ბატონიშვილის ბიბლიოთეკა

ციტირებისთვის:

სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, თბილისი, 2017

ელექტრონული იურიდიული ბიბლიოთეკა www.princelibrary.ge

შექმნილია USAID/PROLoG-ის ფინანსური ხელშეწყობით

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი

USAID ამერიკელი ხალხისგან

EAST • WEST MANAGEMENT INSTITUTE
კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში (PROLoG)

სამოქალაქო კოდექსის კომენტარი

წიგნი I

სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები

თბილისი
2017

რედაქტორი

ლადო ჭანტურია

ავტორები:

ირაკლი ბურდული (მუხ. 24-49)
სამართლის დოქტორი, პროფესორი,
იურიდიული ფაკულტეტის დეკანი (თსუ)

აკაკი გაწერელია (მუხ. 111-114)
დოქტორანტი (თსუ), ასისტენტი კერძო სამართლის მიმართულებით (თსუ), მოწვეული ლექტორი (კავკასიის უნივერსიტეტი და საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი), ადვოკატი

ასისტენტები: ქეთევან ბურდული, მარიამ კვერნაძე, ლევან ტაბიძე

თორნიკე დარჯანია (მუხ. 6, 68-80)
დოქტორანტი, GIZ-ის სამართლის პროგრამის სამართლის ექსპერტი, ადვოკატი

ასისტენტები: თენგიზ მამულია, ლევან ხაჭაპურიძე

დემეტრე ეგნატაშვილი (მუხ. 24-26)
დოქტორანტი (თსუ), იურიდიული ფაკულტეტის აკადემიური ასისტენტი (თსუ)

ბესარიონ ზოიძე (მუხ. 11-16)
სამართლის დოქტორი, იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი (თსუ)

ასისტენტები: თამარ გრძელიშვილი, ნინო ქირია

ნონა ზუბიტაშვილი (მუხ. 37)
სამართლის დოქტორი, სამართლის სკოლის მოწვეული ლექტორი (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი)

ნუნუ კვანტალიანი (მუხ. 121-136)
სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი (გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი), მოწვეული ლექტორი (თსუ)

ასისტენტები: უჩა ავსაჯანაშვილი, ეროსი ბზეკალავა, დავით მაისურაძე, სიმონი ტაკაშვილი

თამარ კორძაია (მუხ. 12 IV, V, 58[1])
სამართლის მაგისტრი, მოწვეული სპეციალისტი (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი), მოწვეული ლექტორი (საქართველოს უნივერსიტეტი)

გიორგი მახარობლიშვილი (მუხ. 35, 36, 38)
სამართლის დოქტორი,
ასისტენტ-პროფესორი (თსუ)

გიორგი რუსიაშვილი (მუხ. 81-89, 99-102)
სამართლის დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი (თსუ), თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი

ასისტენტი: გოჩა ოყრეშიძე

გიორგი სვანაძე (მუხ. 137-146)
სამართლის დოქტორი, ასისტენტ-პროფესორი (თსუ), ასოცირებული პროფესორი (თავისუფალი უნივერსიტეტი), ადვოკატი

სიმონი ტაკაშვილი (მუხ. 105-107)
დოქტორანტი (თსუ), მოწვეული ლექტორი (კავკასიის უნივერსიტეტი), ადვოკატი

ასისტენტები: თორნიკე აბაშიძე, სანდრო სუბელიანი, მათე ხვედელიძე

სოფიო ჩაჩავა (მუხ. 115-120)
სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი (თსუ), პროფესორი (ნიუ ვიჟენ უნივერიტეტი)

ასისტენტები: თამარ გიორგობიანი, თეონა გონაშვილი, თეონა ჟიჟიაშვილი, თამარ სახარაძე

ლადო ჭანტურია (მუხ. 1-5, 7-10, 50-67, 90-98)
სამართლის დოქტორი, პროფესორი (თსუ), საქართველოს ელჩი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში

სერგი ჯორბენაძე (მუხ. 17-23, 103-114)
სამართლის დოქტორი, ასისტენტი კერძო სამართლის მიმართულებით (თსუ), მოწვეული ლექტორი (კავკასიის უნივერსიტეტი), ადვოკატი

ასისტენტები: თამარ გადრანი, ნიკა გიგაშვილი, თორნიკე გოგისვანიძე, სოფიკო გოგიშვილი, ანა გუდაძე, თეონა კაპანაძე, თინათინ კასრაძე, ნათია მახათაძე, ანა მჭედლიშვილი, თამარ შიოშვილი, ანა ჯიქია, თათია ჯორბენაძე

წინამდებარე კომენტარი შექმნილია GIZ-ის (Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit) ფინანსური მხარდაჭერით. 1993 წლიდან GIZ-ი საქართველოში ხელს უწყობს სამართლისა და იუსტიციის რეფორმების გატარებას. სხვა ღონისძიებებთან ერთად GIZ-ი ზრუნავს იურიდიული ლიტერატურის შექმნასა და სამართლის პოპულარიზაციაზე. GIZ-ი არ იღებს პასუხისმგებლობას ნაშრომის შინაარსობრივი მხარის სისწორეზე.

წინამდებარე კომენტარი შეიქმნა ამერიკის ხალხის კეთილი ნებით, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით. კომენტარის შექმნა შესაძლებელი გახდა პროექტის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი (EWMI). კომენტარის შინაარსისათვის პასუხისმგებლები არიან ავტორები. იგი არ წარმოადგენს ამერიკის მთავრობის ოფიციალურ მოსაზრებას და არ ასახავს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის, შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ან აღმოსავლეთ დასავლეთის მართვის ინსტიტუტის შეხედულებებს.

მთავარი სამეცნიერო რედაქტორი
ლადო ჭანტურია (მუხ. 1-146)

სამეცნიერო რედაქტორები
თორნიკე დარჯანია (მუხ. 11-16)
გიორგი ჯუღელი (მუხ. 24-39)

ტექნიკური რედაქტორები
დავით მაისურაძე
მარიამ ჩაგელიშვილი

ენობრივი რედაქტორი
ნელი ელიზბარაშვილი

დიზაინი
დავით კუტუბიძე

ISBN 978-9941-25-322-5

© შესაბამისი კომენტარის ავტორები, 2017;
© გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), 2017;
© ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID);
© აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი (EWMI);

გამოცემის ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ვებგვერდზე lawlibrary.info/ge
კომენტარის განახლებადი ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ვებგვერდზე www.gccc.ge

კომენტარის ციტირება შესაძლებელია შემდეგნაირად:
ავტორი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, ჭანტურია (რედ.), 2017,
მუხლი, ველის ნომერი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ახალი კომენტარი

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის პირველი კომენტარის გამოცემიდან 15 წელზე მეტი გავიდა. ამ ხნის მანძილზე **ქართული სამოქალაქო სამართალი მნიშვნელოვნად განვითარდა,** კოდექსში შევიდა ბევრი ცვლილება, ჩამოყალიბდა ახალი სამოსამართლო სამართალი, შეიქმნა დიდძალი იურიდიული ლიტერატურა, დაიხვეწა სამეცნიერო ნაშრომების მომზადების მეთოდიკა, დაგროვდა ახალი ცოდნა და გამოცდილება, ასპარეზზე გამოვიდნენ ახალი თაობის იურისტები. ყოველივე ეს უნდა ასახულიყო კოდექსის ახალ კომენტარში, რომლის მომზადებაც კომენტირების თანამედროვე სტანდარტებისა და მოთხოვნების შესაბამისად ქართული სამართლის მეცნიერებისა და პრაქტიკის წარმომადგენლებმა ითავეს.

სამ წელზე მეტხანს გაგრძელდა ახალ კომენტარზე მუშაობა. შესწავლილ იქნა ასეულობით სასამართლო გადაწყვეტილება, მრავალრიცხოვანი იურიდიული ლიტერატურა, კოდექსის აქტუალურ თემებს მიეძღვნა რამდენიმე სემინარი და სამუშაო შეხვედრა. მუდმივ დიალოგსა და აზრთა ურთიერთგაცვლაში იხვეწებოდა კომენტარის სტილი და ტექსტი. დაინტერესებული მკითხველის მოსაზრებების შეკრებისა და გათვალისწინების მიზნით გამოქვეყნდა **კომენტარის ონლაინ ვერსია.** მკითხველთა წინადადებები და შენიშვნები გათვალისწინებულია წინამდებარე გამოცემაში. **იურიდიულ საზოგადოებასთან ინტერაქციამ** უდავოდ გაამდიდრა კომენტარი ახალი შინაარსითა და მიდგომებით.

კანონის კომენტარი **იურისტის სამაგიდო წიგნია.** შესაბამისად, დიდია კომენტართან დაკავშირებული მოლოდინიც: მან უნდა ასახოს სამართლის განვითარების თანამედროვე დონე, ის უნდა იყოს მუდმივად აქტუალური, ითვალისწინებდეს სამოსამართლო სამართალს, სამართლებრივ პრაქტიკასა და სამართლის მეცნიერების მიღწევებს. კომენტარში მკითხველი კომპაქტური ფორმით უნდა პოულობდეს პასუხს მისთვის საინტერესო კითხვებზე. ეს მიზანი დაისახეს ავტორებმა სამოქალაქო კოდექსის ახალი გამოცემის მომზადებისას.

სამოქალაქო კოდექსის **წინამდებარე კომენტარი განსხვავდება წინამორბედი კომენტარისაგან** როგორც სტრუქტურით, ისე მასში მოცემული მასალის მოცულობით. მკითხველი უფრო იოლად მოძებნის ინფორმაციას კონკრეტულ საკითხებზე, რასაც ხელს უწყობს კომენტარის დაწვრილებითი სარჩევი და ველის ნუმერაცია. ავტორთა შემადგენლობამაც განიცადა ცვლილება. პირველი კომენტარის ავტორები, პროფესორები: სერგო ჯორბენაძე, ზურაბ ახვლედიანი, შალვა ჩიკვაშვილი, მაყვალა კახაძე, სამწუხაროდ, ცოცხლები აღარ არიან. მათი ადგილი ახალი თაობის იურისტებმა დაიკავეს და კომენტარი ფრიად საინტერესო და დახვეწილი კვლევებით შეავსეს.

წინამდებარე კომენტარის მიზანს წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსის მუხლების **სტრუქტურირებული** და **სისტემური განხილვა** სასამართლო, განსაკუთრებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის,

იურიდიული ლიტერატურისა და რელევანტური საკანონმდებლო მასალის საფუძველზე.

ავტორებმა მიზნად დაისახეს კომენტარის **დაახლოება სამართლებრივ პრაქტიკასთან** და მასში სამოქალაქო კოდექსის გამოყენების საკითხების ასახვა. თეორიული დებულებები და დისკუსიები მხოლოდ ამ ასპექტით განიხილება. ვინაიდან კომენტარი წარმოადგენს შემოქმედებითი შრომის შედეგს, ყოველი მუხლის **კომენტარის ავტორი პასუხისმგებელია** გადმოცემული დებულებების სისწორესა და დასაბუთებულობაზე, შესაბამისად, კომენტარის ყოველ გვერდზე აღნიშნულია **ავტორის გვარი.**

სამოქალაქო კოდექსის კომენტარი უმთავრესად განკუთვნილია **იურიდიული პროფესიების წარმომადგენელთათვის.** როგორც ადვოკატების, მოსამართლეების, ნოტარიუსების, საწარმოს იურისტების, მეცნიერი იურისტების, სამართლისმცოდნეობის სტუდენტების სამაგიდო წიგნი, კომენტარი ცდილობს დაამკვიდროს იურიდიული ენის მაღალი სტანდარტები და განამტკიცოს სამართლებრივ პრაქტიკასა თუ სამართლის მეცნიერებაში აღიარებული **იურიდიული ცნებები** და **ტერმინები.** ამავდროულად, კომენტარის ტექსტი გასაგებია **არაიურისტებისთვისაც** და მათ აძლევს საჭირო ინფორმაციას სამოქალაქო კოდექსის გამოყენების ცალკეულ საკითხებზე.

კომენტარის სტრუქტურა და **შინაარსი** შეესაბამება კომენტირების აღიარებულ სტანდარტებს. წიგნი შეიცავს სამოქალაქო კოდექსის **ყველა მუხლის კომენტარს.** საჭიროების შემთხვევაში განხილულია მოცემულ მუხლთან ორგანულად დაკავშირებული **სპეციალური კანონის** ან მისი ცალკეული მუხლების ნორმებიც. განსახილველ მუხლებთან, ნორმებთან ან სამართლებრივ ინსტიტუტებთან მიმართებაში კომენტარი ითვალისწინებს **დამკვიდრებულ სასამართლო პრაქტიკასა** და **სამეცნიერო მოსაზრებებს,** თუკი ასეთი არსებობს.

სასამართლო პრაქტიკის გამოყენებისას, პირველ რიგში, გამოყენებულია **უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები** და **განჩინებები,** ხოლო შემდეგ – **სააპელაციო სასამართლოების** სამოსამართლო სამართალი. კონტექსტიდან გამომდინარე გამოყენებულია **საკონსტიტუციო სასამართლოს** რელევანტური გადაწყვეტილებებიც.

საერთაშორისო სასამართლოების, მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ან **უცხო ქვეყნის სასამართლოების** გადაწყვეტილებები გამოყენებულია მაშინ, როცა მათ მნიშვნელობა აქვთ კონკრეტული ნორმის კომენტარისთვის. ანალოგიურად არის გამოყენებული **საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოების** გადაწყვეტილებებიც.

სამეცნიერო მოსაზრებები მითითებულია კონკრეტული ნორმის კომენტირების აუცილებლობისას. კომენტარი იურიდიულ მეცნიერებაში არსებული დისკუსიის ასახვის ადგილია. ამიტომ ავტორები შეეცადნენ, ეჩვენებინათ ლიტერატურაში არსებული განსხვავებული მოსაზრებები ამ თუ იმ საკითხზე.

ვინაიდან კომენტარი ემყარება **კანონის ტექსტს, კონკრეტულ მუხლსა** და მასში მოცემულ **ნორმებს,** გაკეთებული დასკვნები ლოგიკურად და აზრო-

ბრივად გამომდინარეობს კანონის ტექსტიდან. სასამართლოსეული ინტერპრეტაციის ანალიზისას ჩანს კონტექსტი, კავშირი ნორმასა და სასამართლოს გადაწყვეტილებას შორის. კომენტარის ტექსტში **მუქი შრიფტით** არის გამოყოფილი ერთი ან რამდენიმე **საკვანძო სიტყვა თუ დებულება.**

მუხლის კომენტარის სტრუქტურა აგებულია შემდეგი სქემის შესაბამისად:

I. ზოგადი დებულებები –
ნორმის ისტორია (თუკი ამის გამოყოფის აუცილებლობა არსებობს)
II. ნორმის საგანი და მიზანი
1. გამოყენების სფერო
2. კონკრეტული მაგალითები ან პრაქტიკიდან, ან ავტორის მიერ შედგენილი
III. ნორმის მიერ შესრულებული ფუნქცია სხვა ნორმებსა და ინსტიტუტებთან კავშირის ჩვენებით
IV. საკვანძო დებულებების განმარტება (საკვანძო დებულებები უნდა აღინიშნოს მუქი შრიფტით)
V. შემადგენლობის სხვა ნიშნების დახასიათება
1. გამოყენების წინაპირობები
2. სამართლებრივი შედეგები

განვლილი **ოცი წლის მანძილზე** სამოქალაქო კოდექსის მრავალი დებულება შეიცვალა. ბევრი საკითხი ახლებურად მოწესრიგდა. მიუხედავად ამისა, კოდექსის ბევრი ნორმა თუ ინსტიტუტი კვლავაც დასახვეწია. კომენტარის ავტორები ამ ასპექტითაც განიხილავენ კერძო სამართლის ამ უმნიშვნელოვანესი კანონის მუხლებს და შესაბამის წინადადებებსაც სთავაზობენ კანონმდებლებს.

კომენტარის წინამდებარე გამოცემას მხარში ედგნენ გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ) და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროექტი „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (EWMI-PROLoG), რომელთა ფინანსურმა თუ საექსპერტო თანადგომამ შესაძლებელი გახადა ამ პროექტის განხორციელება.

იმედია, ქართველი იურისტები ინტერესით გაეცნობიან სამოქალაქო კოდექსის ახალ კომენტარს და თავიანთ პროფესიულ საქმიანობაში გამოსაყენებელ და სასარგებლო ბევრ დებულებას იპოვიან მასში.

ლადო ჭანტურია
13.12.2016

წინათქმა

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ძალაში შევიდა 1997 წელს. სამოქალაქო კოდექსის წარმოშობის ქრონოლოგიასთან დაკავშირებით კოდექსის თანაავტორი, პროფესორი ლადო ჭანტურია იხსენებდა:

„1991 წელს, უშუალოდ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, დღის წესრიგში დადგა ახალი სამოქალაქო კოდექსის მიღების საკითხი. საქართველოს მაშინდელმა მთავრობამ იმავე წელს გადაწყვიტა შეექმნა კომისია, რომელიც იმუშავებდა ახალი სამოქალაქო კოდექსის შემუშავებაზე. კომისიის შემადგენლობაში შედიოდნენ როგორც თეორეტიკოსები, აგრეთვე პრაქტიკოსი იურისტები. კომისიის ხელმძღვანელად დაინიშნა პროფესორი სერგო ჯორბენაძე.

1991 წლის ბოლოს მომხდარმა სახელმწიფო გადატრიალებამ, პრეზიდენტის ჩამოგდებამ და შემდგომმა სამოქალაქო ომმა (1992–1994) კომისიის მუშაობას დიდი დაბრკოლებები შეუქმნა. მიუხედავად ამ სირთულეებისა, კომისიის წევრებს მუშაობა არ შეუწყვეტიათ. 1993 წლის დასაწყისიდან დაიწყო გერმანელ კოლეგებთან თანამშრომლობა ბრემენის უნივერსიტეტის პროფესორის როლფ კნიპერის ხელმძღვანელობით. 1995 წლის დეკემბერში კომისიის მიერ შემუშავებული კანონპროექტი წარედგინა იუსტიციის მინისტრს. ეს კანონპროექტი 1996 წლის ივნისში პირველი მოსმენით იქნა მიღებული და ერთი წლის შემდეგ, 1997 წლის 26 ივნისს, საქართველოს პარლამენტის მიერ როგორც პირველი სამოქალაქო კოდექსი დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ერთხმად მხარდაჭერილი.“[1]

საქართველოს ახალი სამოქალაქო კოდექსის ძირითად ორიენტირს წარმოადგენდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსი, რომელიც თავის მხრივ პანდექტურ სამართალს ეფუძნება და გასაგებად და ერთმნიშვნელოვნად ასხვავებს კერძო და საჯარო სამართალს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, განსხვავებით თანადროულად შემუშავებული დსთ-ს კანონის მოდელისგან, შეიცავს ერთგვაროვან საკუთრების ცნებას. კოდექსზე მომუშავე ავტორებმა თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის კვალდაკვალ კანონში გაითვალისწინეს ხელშეკრულების ახალი ფორმები და აგრეთვე წინ გაუსწრეს ვალდებულებითი სამართლის რეფორმას გერმანიაში, ამ რეფორმის ზოგიერთი შედეგის ქართულ კანონში ასახვით. მაგრამ, როგორც ყველა სხვა კოდიფიკაცია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსიც არ არის სრულყოფილი, რაც სავსებით ნორმალურია. სამოქალაქო კოდექსის ყოველდღიური გამოყენება და მისი თანმიმდევრული განვითარება საჭიროებს სამართლის ამ დარგის იურისტების არსებობას, პირველ რიგში, მოსამართლეების. სწორედ ამ საკითხს შეეხო ლადო ჭანტურია ზემოთ ხსენებულ სტატიაში, რომელიც 2001 წელს დაიბეჭდა:

„მიუხედავად მრავალგზის მცდელობისა, დღემდე მსოფლიოს ვერც ერთმა კანონმდებელმა ვერ მოახერხა, შეექმნა უნაკლო და ყველა მოქალა-

1 *Lado Chanturia,* Das neue Zivilgesetzbuch Georgiens: Verhältnis zum deutschen Bürgerlichen Gesetzbuch, in: Aufbruch nach Europa, 75 Jahre Max-Planck-Institut für Privatrecht (2001).

ქისთვის გასაგები კანონები. ეს იმით აიხსნება, რომ ყოფითი ურთიერთობები იმდენად კომპლექსურია, „რომ მათი დალაგება შეუძლებელია რამდენიმე მარტივი წინადადებით, რომელიც ხალხის წიაღიდან ამოსული ნებისმიერი ადამიანისთვის გასაგები იქნებოდა“. (...)

ვერც ერთი კანონი ვერ გასცემს რეალური ცხოვრებიდან წარმოშობილ ყველა კითხვას ამომწურავ პასუხს. აქედან გამომდინარე, თანამედროვე იურისპრუდენციისთვის ცხადია, რომ კანონები ხარვეზებისგან სრულად თავისუფალი არ არის. პირიქით, კანონების არასრულყოფილება საჭიროდ აღიქმება. არც ერთ გამოცდილ იურისტს არ აქვს უნაკლო კანონების არსებობის ილუზია.

რა იქნებოდა თანამედროვე სამართალი, სასამართლოებს რომ არ ჰქონდეს სამოსამართლო სამართლის განვითარების შესაძლებლობა და კონტროლირებადი უფლებამოსილება? ბევრი ინსტიტუტი, რომელიც ძალზე მნიშვნელოვანია თანამედროვე სამოქალაქო სამართლისთვის, შეიქმნა სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე. შეუძლებელია თანამედროვე სამართლის მხოლოდ მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე გაგება. (...) ქართულ სამოქალაქო კოდექსში მოხდა თანამედროვე სასამართლო პრაქტიკის გამოცდილების გათვალისწინება და შესაბამისი წესების გაწერა, რომელიც ბევრ ქვეყანაში მხოლოდ სამოსამართლო სამართლის განვითარების შედეგის სახით არსებობს. მაგალითის სახით წარმოგიდგენთ რამდენიმე მათგანს:

ა. პიროვნული უფლებები;
ბ. გარიგების საფუძვლის მოსპობა;
გ. ბრალი ხელშეკრულების დადებისას (Culpa in contrahendo);
დ. ვალდებულების არაკეთილსინდისიერი შესრულება, რითაც ზიანი მიადგა მეორე მხარეს.

ეს მაგალითები არა მხოლოდ, ერთი მხრივ, იმ ფაქტს უსვამს ხაზს, რომ ქართული სამოქალაქო კოდექსი ძალზე თანამედროვეა, არამედ, მეორე მხრივ იმასაც, რომ აგრეთვე ახალი კანონებიც ძველდება, თუ არ მოხდება მათი მუდმივი განახლება სამოსამართლო სამართლით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის სამეცნიერო-პრაქტიკული კომენტარის შედგენის საჭიროება პასუხობს სამოქალაქო სამართლის მუდმივი განახლების ტენდენციას მისი დარგობრივი გამოყენების გზით. ზოგადად მოქმედებს, რომ ქართული სასამართლოების სასამართლო პრაქტიკა გავხადოთ გამოყენებადი ყველა პრაქტიკოსი იურისტისთვის. ყველა იურისტისთვის ცნობილი უნდა იყოს, თუ რას შეიცავს სასამართლო გადაწყვეტილებები სამოქალაქო სამართლის ნორმების განმარტებების კუთხით, რაც, საერთო ჯამში, მიზნად ისახავს სამართლის ნორმების ერთიანი და თანმიმდევრული გამოყენების პრაქტიკის დანერგვას. ამასთან, ამ შემთხვევაში საქმე ყოველთვის უწინარესად კერძო სამართლის განვითარებას როდი ეხება, არამედ სამართლის ნორმების პროფესიონალურ განმარტებას მათი გამოყენებისას.

ამით სამართლის გამოყენება უფრო წინასწარ განჭვრეტადი ხდება.

ქართული სამოქალაქო კოდექსი მე-2, მე-4, მე-5, მე-9 და მე-10 მუხლების სახით უკვე დასაწყისშივე შეიცავს რეგულაციებს, რომელიც გასათვალისწინებელია სამოქალაქო სამართლის ნორმების განმარტებისას. განსაკუთრებით მე-5 მუხლში მოცემულია კანონისა და სამართლის ანალოგიის დეფინიცია, იმ შემთხვევებისთვის, თუ კანონისმიერ დანაწესში გაჩნდება გაუთვალისწინებელი ხარვეზი.

გარდა ამისა, არსებობს კოდიფიცირებული სამართლის განმარტების ზოგადი წესები.[2] კანონის წესის განმარტებისას, პირველ რიგში, ყურადღება ექცევა ამ რეგულაციის ტექსტს, წესის ლოგიკურ შინაარსს, მთლიანად კანონის სისტემატიკას, მის სტატუსს კანონმდებლობაში და აგრეთვე, სრულად დამსახურებულად, კანონმდებლის ნებას.[3] ეს უკანასკნელი გამომდინარეობს, მათ შორის, საკანონმდებლო მასალებიდან, რამაც გადამწყვეტი როლი ითამაშა კანონის მიღებისას, მისი დასაბუთების კუთხით.

თუ კანონმდებლის (ისტორიული) ნება ზუსტად ვერ დგინდება, კანონი შეიძლება განიმარტოს დღეს არსებულ მიზანთან თანხვედრის კუთხით. ეს უკანასკნელი ითვალისწინებს „სამართლის ავტონომიას“. მოსამართლის მოვალეობას არ წარმოადგენს სამართლის ავტონომიურად ან დამოუკიდებლად განვითარება, არამედ სამართლის თანმიმდევრული განმარტება და საჭიროების შემთხვევაში მისი განვითარება მოქმედი სამართლის საფუძველზე.[4] კომენტარის ავტორების მოვალეობა კი იმაში მდგომარეობს, გააცნონ სხვებს მოქმედი მოძღვრებები და სასამართლო პრაქტიკა.

ინგო ფონ მიუნიჰმა GIZ-სთვის დაწერილ სტატიაში, რომელიც 2003 წლის ივნისში გამოქვეყნდა, განმარტა კონსტიტუციის კომენტირების საჭიროებისთვის სიტყვა „კომენტარის“ მნიშვნელობა. მისი შენიშვნები ყურადღების ღირსია წინამდებარე წამოწყებასთან დაკავშირებითაც:

„სიტყვა „კომენტარს“ გერმანულში რამდენიმე მნიშვნელობა აქვს. სასაუბრო ენაზე ეს სიტყვა გამოიყენება, როდესაც ვინმე კონკრეტულ შედეგთან დაკავშირებით ან სხვა პირის ნათქვამზე გამოხატავს საკუთარ შეფასებით პოზიციას, ან აქებს, ან აკრიტიკებს მას. ამ სიტყვას აგრეთვე სამართლის დარგშიც განსხვავებული გამოყენება აქვს. (...) კომენტარი იურიდიული ნომენკლატურის ვიწრო გაგებით წარმოადგენს (...) წიგნს, რომელშიც განმარტებულია („კომენტირებულია“) კონსტიტუცია ან ერთი რიგითი კანონი, მაგალითად, სამოქალაქო კოდექსი. კომენტარი ამ გაგებით განსხვავდება სახელმძღვანელოსგან. მაშინ, როდესაც სახელმძღვანელო იხილავს მთელ რიგ სამართლებრივ საკითხებს, კომენტარი მჭიდროდაა დაკავშირებული იმ

2 საერთო სამართალთან (common law) *დაკავშირებით შდრ.* William Burnham, Introduction to the Law and Legal System of the US, მე-5 გამოც., გვ. 54-63.

3 ფრიდრიჰ კარლ ფონ სავინი (1779-1861) წერდა, რომ განმარტების მიზანი უნდა ყოფილიყო იმაში, რომ *„ჩაწვდე კანონმდებლის აზრებს და მოახდინო შენში მისი საქმიანობის ხელოვნურად ინსცენირება“* ან *„გააცოცხლო შენ წარმოსახვაში მკვდარი ასოებით წარმოდგენილი ცოცხალი აზრები“*.

4 შდრ. Rolf Knieper: Interpretation, Analogie und Rechtsfortbildung: Delikate Abgrenzungen zwischen Judikative und Legislative (WiRO 2003, 65).

კანონის ტექსტთან, რომლის კომენტირებასაც ის ახდენს. სხვა სიტყვებით: სახელმძღვანელოს ავტორი კითხულობს და ამუშავებს კანონს ნაწილ-ნაწილ; კომენტარის ავტორი კითხულობს და ამუშავებს კანონს სიტყვასიტყვით.“

როგორ შეიძლება წარმოვიდგინოთ კანონის დამუშავების ეს მიდგომა? ზემოთ ნათქვამის შესაბამისად სამუშაო ძირითადად შედგება კანონის ტერმინოლოგიის, წინადადებებისა და წესების სისტემატური განმარტებისგან. კომენტარის ავტორი ახდენს ნორმის ანალიზს, ის დეტალურად იხილავს მას. მეორე მხრივ, ის მას წარმოადგენს მომიჯნავე ნორმებთან კავშირში; ის მას განიხილავს საერთო კანონისმიერი მოწესრიგების კონტექსტში. ამოსავალი წერტილია კანონის წინააღმდეგობებისგან თავისუფალი შეფასებისა და აგრეთვე მთლიანად სამართლებრივი სისტემის ერთობლიობა. კანონის წესის განმარტება, მისი ფაქტობრივი არსისა და მიზნიდან გამომდინარე, შესაძლოა უფრო მნიშვნელოვანი გახდეს, ვიდრე მხოლოდ ნორმის ტექსტი, ისე როგორც ის იკითხება ერთი შეხედვით ნებისმიერი მკითხველისთვის.

კანონების კომენტირებისას შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნეს შემდეგი შემეცნების წყაროები:

- წესის სიტყვასიტყვით გაგება, მისი მნიშვნელობა ენის ჩვეულებრივი გამოყენებისა და იურიდიულ ტერმინოლოგიასთან დაკავშირებით არსებულ აზრთა საყოველთაო თანხვედრის პირობებში;
- კონკრეტული კანონის სისტემატიკა და მისი სტატუსი საერთო კანონმდებლობაში;
- საკანონმდებლო მოტივები;
- სამართლის გამოყენების პრაქტიკა, სამართალბრუნვის მონაწილე მოქალაქეებისა და იურიდიული პირების მიერ;
- საერთო სასამართლოების სასამართლო პრაქტიკა;
- საქართველოს კონსტიტუცია და საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა (შდრ. სკ-ის. მე-2 მუხ. პირველი ნაწ. და საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხ. პირველი ნაწ.);
- იურიდიული ლიტერატურა;
- სამართლის ნორმების გამოყენების საერთაშორისო პრაქტიკა.

ბოლოს დასახელებული პუნქტი ეხება არა მხოლოდ რატიფიცირებულ კონვენციებს, არამედ, ძალზე ზოგადად, უცხო ქვეყნების კანონმდებლობას, რომელიც შესაძლოა გათვალისწინებულ იქნეს შედარებითი სამართლის კუთხით. განსაკუთრებით, როდესაც საქმე ეხება მონათესავე სამართლის მქონე ქვეყნის კანონმდებლობას, ის შესაძლოა ძვირფას დამხმარე საშუალებად იქცეს ქართული ეროვნული კანონმდებლობის განმარტებისას ორიენტაციის კუთხით. რაც უფრო მეტ ინფორმაციას ვფლობთ, უფრო უკეთ შეგვიძლია განვსაზღვროთ შესაბამისი კანონის მიზანი და ეფექტი.

კომენტარის საკვანძო კითხვაა: „რას აწესრიგებს კონკრეტული ნორმა?“

თუმცა კომენტარს შეუძლია სხვა მრავალ კითხვასაც გასცეს პასუხი, რაც ამარტივებს ნორმის გამოყენებას. ამ მიმართულებით შეიძლება ბევრი

ასპექტის ჩამოთვლა, რომელიც, გამომდინარე კონკრეტული ნორმის სახეობიდან, შეიძლება მეტად ან ნაკლებად მნიშვნელოვანი იყოს. მოცემულ შემთხვევაში შემოვიფარგლებით შემდგომი მაგალითების წარმოდგენით:

- რამდენად ფართოა ნორმის მოქმედების სფერო?
- რომელი წინაპირობების არსებობისას გამოიყენება ეს ნორმა?
- რა შემთხვევებზე ვრცელდება ის, რა შემთხვევებზე არა?
- რა მნიშვნელობა ენიჭება ტერმინებს და საკვანძო ცნებებს?
- რომელია ნორმის შემადგენელი ნიშნები?
- რა სამართლებრივი შედეგები გამომდინარეობს მისგან?
- რაში მდგომარეობს ნორმისა და კანონის არსი და მიზანი?
- რა ფუნქცია აქვს ნორმას საკანონმდებლო კონტექსტში?
- რა შედეგები მოჰყვებოდა ნორმის დარღვევას?
- რას უკავშირდება ნორმა, გასაჩივრების საშუალებებს თუ პროცესუალურ რეგულაციას (მაგ., „ვისზეა მტკიცების ტვირთი“)?

კანონების კომენტირებასთან დაკავშირებული სხვა კითხვები გამომდინარეობს კომენტირების ენისა და სტილისგან და აგრეთვე მის ხარისხთან დაკავშირებული მოთხოვნებისგან.

ენასა და სტილთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ ქვეყნის სამართლებრივ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებისთვის ყოველი მოქალაქისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის დიდი მნიშვნელობიდან გამომდინარე, არცთუ უმნიშვნელოა, რომ ზოგადად ყველასთვის გასაგებად ხდებოდეს აზრის გადმოცემა. ბუნებრივია, თეორიული და პრაქტიკული განათლების მქონე პრაქტიკოსი იურისტები (მოსამართლეები, პროკურორები, ადვოკატები, ნოტარიუსები, მოხელეები და ა.შ.) იყენებენ იურიდიულ ტერმინოლოგიას. მართალია, კანონის კომენტირებისას კომენტარის ავტორების მოვალეობას არ წარმოადგენს უარი თქვან ამ ტერმინოლოგიაზე, თუმცა ისინი უნდა შეეცადონ შეძლებისდაგვარად განმარტონ დარგობრივი ცნებები და გასაგები გახადონ ის მაგალითებისა და კაზუსების წარმოდგენით. კარგად და გასაგებად შედგენილი კომენტარი პარალელებს ავლებს მოძღვრებას, მართლმსაჯულებასა და პრაქტიკას შორის. კომენტარის წერისას საქმე მხოლოდ მონაწილე დარგობრივი წრეების ინფორმირებას როდი ეხება, არამედ მოსახლეობის სამართლებრივი თვითშეგნების ამაღლებას. ამრიგად, ყოველთვის გამოწვევას წარმოადგენს კომპრომისის პოვნა, ერთი მხრივ, მოკლე და ლაკონიურ კომენტარს, ხოლო, მეორე მხრივ, მის გასაგები ფორმით შეთავაზებას შორის. კომენტარი უნდა იკითხებოდეს და გასაგები იყოს აგრეთვე არაიურისტებისთვისაც.

კომენტარის ხარისხთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ კარგი ავტორი მკითხველს მხოლოდ საკუთარ ხედვას კი არ წარმოუდგენს, არამედ ის სამართალს აშუქებს მისი განვითარებისა და პრაქტიკული გამოყენების ჭრილში ისე, როგორც ის ზოგადად და ყველასთვის ერთნაირად მოქმედებს. კომენტარის ავტორი განსხვავებულ სამართლებრივ მოსაზრებებს ყურადღების მიღმა კი არ ტოვებს, არამედ აღწერს მათ საკუთარ სამართ-

ლებრივ შეხედულებებთან ერთად და ამასთან, დისკუსიისთვის სამართლებრივ არგუმენტებს გვთავაზობს.

მეთოდური მიდგომა იურისტისგან ითხოვს სხვადასხვა პერსპექტივიდან შეხედოს სამართალს. კანონის კომენტირება მაშინ წარმოადგენს სამართლის მეცნიერებასა და პრაქტიკაში შეტანილ ნაყოფიერ წვლილს, როდესაც ის მაქსიმალურად ობიექტურად ხორციელდება. აქედან გამომდინარე, ჭეშმარიტების ცალმხრივად გაშუქებას უნდა ვამჯობინოთ ანალიტიკური დისკურსი. ზემოთ დასახელებული წესების შესაბამისად ნორმების ინტერპრეტაციის წინაპირობაა, რომ კომენტარის ავტორმა რაც შეიძლება მეტი ასპექტი მოიცვას, გაითვალისწინოს განმარტების შესაძლებელი შედეგები და აწონ-დაწონოს მიგნებული გამოსავლის დადებითი და უარყოფითი მხარეები.

სამოქალაქო სამართალი ვითარდება ხელშეკრულებების შედგენისა და აგრეთვე კერძო მხარეებს შორის კონკრეტულ სამართლებრივ დავებზე მიღებულ სასამართლო გადაწყვეტილებებზე დაყრდნობით. ამ პროცესში მუდმივად იჩენს ხოლმე თავს ახალი კონსტელაციები და სამართლებრივი საკითხები. არ არსებობს არც იმგვარი კანონი, რომელიც ნებისმიერ შესაძლო შემთხვევაზე გამოყენებადი იყოს, ისევე როგორც, არ არსებობს იურისტი, რომელიც ყოველთვის უშეცდომოდ იყენებს კანონს, და მით უფრო არ არსებობს კომენტარი, რომელსაც ნებისმიერი კონსტელაციის პირობებში შეუძლია მოგვცეს კარგი რჩევა კანონის სწორი გამოყენებისთვის.

დაბალანსებული და მრავალმხრივი კომენტარი, რომლიც ცდილობს სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით შეძლებისდაგვარად სრულყოფილად წარმოადგინოს სამართლის მეცნიერებისა და პრაქტიკის აქტუალური მდგომარეობა, კარგი საწინდარია მისი წარმატებულად გამოყენებისთვის. ის ამით უფრო ინფორმაციულია, ვიდრე დიდაქტიკური. კომენტარის მკითხველმა მხოლოდ ავტორის ინტერპრეტაციის შედეგი კი არ უნდა შეიტყოს, მას კომენტარმა, გარდა ამისა, უნდა მისცეს საკუთარი აზრის შექმნის შესაძლებლობა მასში წარმოდგენილი სამართლებრივი შეხედულებების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე.

იენს დეპე
გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ),
ევროპულ სტანდარტებთან სამხრეთ კავკასიის
დაახლოების პროგრამის ჯგუფის ხელმძღვანელი

გიორგი ჯუღელი
აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი,
„კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (USAID/PROLoG),
კომერციული სამართლის მრჩეველი

აბრევიატურების საძიებელი

ა.შ.	ასე შემდეგ
გვ.	გვერდი
გსკ	გერმანიის სამოქალაქო კოდექსი
დის.	დისერტაცია
იხ.	იხილეთ
თსუ	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
კომენტ.	კომენტარი
მაგ.	მაგალითად
მუხ.	მუხლი
რედ.	რედაქტორი
სკ	საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
სუს	საქართველოს უზენაესი სასამართლო
სუსგ	საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება
შდრ.	შეადარეთ

Art.	Artikel, article
AT	Algemeiner Teil
Aufl.	Auflage
Bd.	Band
BGB	Bürgerliches Gesetzbuch
BGH	Bundesgerichtshof
BGHZ	Entscheidungen des Bundesgerichtshofs in Zivilsachen
BVerfG	Bundesverfassungsgericht
BVerfGE	Entscheidungen des Bundesverfassungsgerichts
Diss.	Dissertation
ed.	editor
f.	folgende
ff.	fortfolgende
HGB	Handelsgesetzbuch
Hrsg.	Herausgeber
Komm.	Kommentar
LG	Landesgericht
MüKo	Münchener Kommentar
NJW	Neue Juristische Wochenschrift
NJW-RR	Neue Juristische Wochenschrift – Rechtsprechungs-Report
OLG	Oberlandesgericht
p.	page
pp.	pages
S.	Seite
Rn.	Randnummer
usw.	und so weiter
Vol.	Volume
WM	Wertpapiermitteilungen (Zeitschrift)
ZPO	Zivilprozessordnung
С.	Страница

სარჩევი

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ახალი კომენტარი..... V
წინათქმა..... VIII
აბრევიატურების საძიებელი..... XIV

შესავალი დებულებები

მუხლი 1. ცნება. მოქმედების სფერო..... 1
მუხლი 2. სამოქალაქო კანონმდებლობა..... 11
მუხლი 3. სამოქალაქო კანონის შესვლა ძალაში..... 18
მუხლი 4. სამოქალაქო საქმეების განხილვისას მართლმსაჯულების განხორციელებაზე უარის თქმის დაუშვებლობა..... 25
მუხლი 5. კანონისა და სამართლის ანალოგია..... 30
მუხლი 6. სამოქალაქო კანონთა უკუქცევითი ძალა..... 35
მუხლი 7. კერძო სამართლის ობიექტები..... 40
მუხლი 8. კერძო სამართლის სუბიექტები..... 47
მუხლი 9. სამოქალაქო კანონთა მიზანი..... 52
მუხლი 10. სამოქალაქო უფლებათა დამოუკიდებლობა პოლიტიკური უფლებებისაგან. სამოქალაქო სამართლის იმპერატიული ნორმები..... 53

კარი პირველი
პირები

თავი პირველი
ფიზიკური პირები

მუხლი 11. უფლებაუნარიანობა..... 60
მუხლი 12. ქმედუნარიანობა..... 67
მუხლი 13. ქმედუნარიანობის შეზღუდვის დაუშვებლობა გარიგებით... 77
მუხლი 14. შეზღუდული ქმედუნარიანობა..... 79
მუხლი 15. წარმომადგენლის თანხმობა შეზღუდული ქმედუნარიანობისას..... 82
მუხლი 16. ქმედუნარიანობის შეზღუდვა ალკოჰოლის ან ნარკოტიკული ნივთიერებების გამოყენების გამო..... 88
მუხლი 17. სახელის უფლება..... 90

მუხლი 18. პირადი არაქონებრივი უფლებები 103
მუხლი 18[1]. პერსონალური მონაცემების მიღების უფლება 150
მუხლი 19. პირადი უფლებების დაცვა გარდაცვალების შემდეგ 156
მუხლი 20. საცხოვრებელი ადგილი 160
მუხლი 21. პირის აღიარება უგზო-უკვლოდ დაკარგულად 166
მუხლი 22. პირის გამოცხადება გარდაცვლილად 173
მუხლი 23. გარდაცვლილად გამოცხადებულის
დაბრუნების შედეგები 178

თავი მეორე
იურიდიული პირი

I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 24. ცნება. სახეები 182
მუხლი 25. იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა 195
მუხლი 26. იურიდიული პირის ადგილსამყოფელი 203

II. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

მუხლი 27. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის
სახელწოდება 208
მუხლი 28. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის,
უცხო ქვეყნის არასამეწარმეო (არაკომერციული)
იურიდიული პირის ფილიალის (წარმომადგენლობის)
რეგისტრაციის წესი 218
მუხლი 29. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული
პირის რეგისტრაციის პირობები 227
მუხლი 30. ამოღებულია. 232
მუხლი 31. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის,
უცხო ქვეყნის არასამეწარმეო (არაკომერციული)
იურიდიული პირის ფილიალის (წარმომადგენლობის)
მიერ განხორციელებული ცვლილების
რეგისტრაცია 233
მუხლი 32. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის,
უცხო ქვეყნის არასამეწარმეო (არაკომერციული)
იურიდიული პირის ფილიალის (წარმომადგენლობის)
რეგისტრაციაზე გადაწყვეტილების მიღების წესი 236

მუხლი 33. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქმიანობის კონტროლი 241
მუხლები 33[1] და 34 ამოღებულია 244
მუხლი 35. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა 245
მუხლი 36. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისება 255
მუხლი 37. ზიანის ანაზღაურება 261
მუხლი 38. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია 268
მუხლი 38[1] ამოღებულია 277
მუხლი 39. არარეგისტრირებული კავშირი (გაერთიანება) 278
მუხლები 40-49 ამოღებულია 285

კარი მეორე
გარიგებანი

თავი პირველი
ზოგადი ნორმები

მუხლი 50. ცნება 286
მუხლი 51. ცალმხრივი ნების გამოვლენის ნამდვილობა 294
მუხლი 52. ნების გამოვლენის განმარტება 303
მუხლი 53. გარიგების არარსებობა მისი შინაარსის დაუდგენლობის გამო 311
მუხლი 54. მართლსაწინააღმდეგო და ამორალური გარიგებანი 312
მუხლი 55. გარიგების ბათილობა გავლენის ბოროტად გამოყენების გამო 324
მუხლი 56. მოჩვენებითი და თვალთმაქცური გარიგებანი 327
მუხლი 57. გარიგების ბათილობა ნების გამოვლენის არასერიოზულობის გამო 333
მუხლი 58. გარიგების ბათილობა მცირეწლოვანების ან ფსიქიკური აშლილობის გამო 336
მუხლი 58[1]. მხარდაჭერის მიმღების მიერ გარიგების დადება 342
მუხლი 59. ფორმის დაუცველად დადებული გარიგება 345
მუხლი 60. გარიგების კონვერსია 356
მუხლი 61. დადასტურების მნიშვნელობა გარიგებათა ბათილობისას 359
მუხლი 62. გარიგების ნაწილის ბათილობა 366

თავი მეორე
ქმედუნარიანობა, როგორც გარიგების ნამდვილობის პირობა

მუხლი 63. არასრულწლოვანის მიერ დადებული გარიგება 369
მუხლი 64. უარი არასრულწლოვანის მიერ დადებულ გარიგებაზე 373
მუხლი 65. არასრულწლოვანის ემანსიპაცია 375
მუხლი 66. წარმომადგენლის აუცილებელი თანხმობის გარეშე დადებული გარიგების ბათილობა 380
მუხლი 67. ნებართვის ვალდებულება ქმედუნარიანობის შეზღუდვამდე 383

თავი მესამე
გარიგების ფორმა

მუხლი 68. ფორმის მნიშვნელობა გარიგების ნამდვილობისათვის ... 386
მუხლი 69. გარიგების ფორმა 392
მუხლი 70. ხელის მოწერის გადანდობა სხვა პირისათვის 406
მუხლი 71. გარიგების დადება რამდენიმე დოკუმენტის შედგენით .. 408

თავი მეოთხე
საცილო გარიგებანი

I. შეცდომით დადებული გარიგებანი

მუხლი 72. ცნება 410
მუხლი 73. არსებითი შეცდომის სახეები 416
მუხლი 74. შეცდომა კონტრაჰენტის პიროვნებაში 432
მუხლი 75. შეცდომა უფლებაში 442
მუხლი 76. შეცდომა გარიგების მოტივში 444
მუხლი 77. კონტრაჰენტის თანხმობა შეცდომით დადებულ გარიგებებში 445
მუხლი 78. წვრილმანი შეცდომები 447
მუხლი 79. შეცილების ნამდვილობა 449
მუხლი 80. შეცდომა შუამავლის მიზეზით 457

II. მოტყუებით დადებული გარიგებანი

მუხლი 81. ცნება 460
მუხლი 82. გარიგების მიჩნევა ბათილად მოტყუების გამო 475
მუხლი 83. მოტყუება მესამე პირის მხრიდან 477
მუხლი 84. შეცილების ვადა 486

III. იძულებით დადებული გარიგებანი

მუხლი 85. ცნება 491
მუხლი 86. იძულების ხასიათი 504
მუხლი 87. იძულება პირის ახლობელთა წინააღმდეგ 512
მუხლი 88. იძულება მართლზომიერი საშუალებებით 517
მუხლი 89. შეცილების ვადა 525

თავი მეხუთე
პირობითი გარიგებანი

მუხლი 90. ცნება 529
მუხლი 91. მართლსაწინააღმდეგო ან/და ამორალური პირობის ბათილობა 533
მუხლი 92. ნებაზე დამოკიდებული პირობა 535
მუხლი 93. პოზიტიური პირობა 537
მუხლი 94. ნეგატიური პირობა 539
მუხლი 95. პირობის დადგომაზე ზემოქმედების დაუშვებლობა 541
მუხლი 96. გარიგება გადადების პირობით 545
მუხლი 97. გარიგება გაუქმების პირობით 547
მუხლი 98. კეთილსინდისიერების მნიშვნელობა პირობის დადგომისას 548

თავი მეექვსე
თანხმობა გარიგებებში

მუხლი 99. ცნება 550
მუხლი 100. წინასწარ გაცემული თანხმობა (ნებართვა) 566
მუხლი 101. შემდგომი თანხმობა (მოწონება) 571
მუხლი 102. საგნის განკარგვა არაუფლებამოსილი პირის მიერ 582

თავი მეშვიდე
წარმომადგენლობა გარიგებებში

მუხლი 103. ცნება 590
მუხლი 104. გარიგების შედეგების ადრესატი წარმომადგენლობისას 599
მუხლი 105. წარმომადგენილის შეზღუდული ქმედუნარიანობა 606
მუხლი 106. ნების გამოვლენის ნაკლი წარმომადგენლობისას 608
მუხლი 107. წარმომადგენლობითი უფლებამოსილება 612
მუხლი 108. შეტყობინების ვალდებულება უფლებამოსილების შეცვლისას 616
მუხლი 109. წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლები 620
მუხლი 110. წარმომადგენლის ვალდებულება უფლებამოსილების გაქარწყლებისას 625
მუხლი 111. გარიგების დადება წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე 627
მუხლი 112. ხელშეკრულებაზე უარის უფლება 636
მუხლი 113. წარმომადგენლის ვალდებულება წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნაკლის არსებობისას 639
მუხლი 114. საკუთარ თავთან გარიგების დადების დაუშვებლობა 647

კარი მესამე
უფლების განხორციელება

მუხლი 115. უფლების ბოროტად გამოყენების დაუშვებლობა 654
მუხლი 116. აუცილებელი მოგერიების ფარგლებში მიყენებული ზიანი 662
მუხლი 117. უკიდურესი აუცილებლობით გამოწვეული ზიანი 671
მუხლი 118. თვითდახმარება 686
მუხლი 119. თვითდახმარების ფარგლები 692
მუხლი 120. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება 695

კარი მეოთხე
ვადები

121-ე მუხლის შესავალი 697

თავი პირველი
ვადების გამოთვლა

მუხლი 121. ვადების გამოთვლის წესების გამოყენების სფერო..... 701
მუხლი 122. ვადის დასაწყისის აღმნიშვნელი დრო 706
მუხლი 123. ვადის დამთავრება 709
მუხლი 124. ცნებები 713
მუხლი 125. ვადის გამოთვლა ვადის გაგრძელებისას 714
მუხლი 126. ვადის გამოთვლა თვეების მიხედვით 716
მუხლი 127. გამოსასვლელი და სადღესასწაულო დღეები 718

თავი მეორე
ხანდაზმულობა

მუხლი 128. ცნება. სახეები. 720
მუხლი 129. სახელშეკრულებო მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადა 729
მუხლი 130. ხანდაზმულობის ვადის დაწყება..... 732
მუხლი 131. მოთხოვნის წარმოშობა 736
მუხლი 132. ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერება..... 738
მუხლი 133. ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერება ქორწინების განმავლობაში 744
მუხლი 134. ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერება შეზღუდულქმედუნარიანის და მხარდაჭერის მიმღების მონაწილეობისას 749
მუხლი 135. დრო, რომლის განმავლობაშიც ხანდაზმულობის ვადის დენა შეჩერებულია..... 753
მუხლი 136. ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერების მომენტი 754
მუხლი 137. ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა 759
მუხლი 138. ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა სარჩელის შეტანით 763
მუხლი 139. ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის ხანგრძლივობა 766
მუხლი 140. უარი სარჩელზე 769
მუხლი 141. ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყების ათვლა თავიდან 771
მუხლი 142. სასამართლოს გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა..... 772

მუხლი 143. ხანდაზმულობის ვადა სანივთო მოთხოვნათა მიმართ 774
მუხლი 144. ვალდებული პირის უფლება ხანდაზმულობის ვადის გასვლისას 776
მუხლი 145. დამატებითი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა 781
მუხლი 146. ხანდაზმულობის ვადის შეცვლის დაუშვებლობა მხარეთა შეთანხმებით 783

ბიბლიოგრაფია 785

შესავალი დებულებები

მუხლი 1. ცნება. მოქმედების სფერო

ეს კოდექსი აწესრიგებს პირთა თანასწორობაზე დამყარებულ კერძო ხასიათის ქონებრივ, საოჯახო და პირად ურთიერთობებს.

I. ზოგადი დებულებანი 1
1. ნორმის მიზანი და ფუნქცია 1
2. კერძო და საჯარო სამართალი 2
3. სამოქალაქო კოდექსის რეგულირების საგანი 3
ა. პირთა თანასწორობა 3
ბ. კერძო ხასიათის ურთიერთობები 3
გ. ქონებრივი ურთიერთობები 4
დ. საოჯახო ურთიერთობები 5
ე. პირადი ურთიერთობები 5
4. კერძო და საჯარო სამართლის გამიჯვნა 5
5. კერძო სამართლის სისტემა 6
6. საჯარო სამართლის სისტემა 7
II. სამოქალაქო სამართლის კოდიფიკაცია 8
1. სამოქალაქო კოდექსის შექმნის ისტორია 8
2. სამოქალაქო სამართლის განვითარება კოდექსის მიღების შემდეგ 9

I. ზოგადი დებულებანი

1. ნორმის მიზანი და ფუნქცია

სამოქალაქო კოდექსის პირველი მუხლი ზოგადად განსაზღვრავს სამოქალაქო კოდექსით მოსაწესრიგებელი ურთიერთობების სფეროს და ასრულებს **საორიენტაციო ფუნქციას.** მართალია, მასში ჩამოთვლილი ურთიერთობები არ არის ამომწურავი, მაგრამ შეიცავს საჯარო სამართლისაგან კერძო სამართლის განმასხვავებელ თითქმის ყველა კრიტერიუმს და ნორმატიულად განამტკიცებს იმ დებულებას, რომ **სამოქალაქო სამართალი კერძო სამართალია.** 1

პირველი მუხლის ფუნქცია **„სპეციფიკურია“**, რადგან „იგი უშუალოდ ემსახურება კოდექსის ტექსტის ორგანიზაციის ამოცანას“ და იურიდიული ძალის მქონეა სამოქალაქო სამართლის ნორმების განმარტებისას.[1]

საქართველოს სამოქალაქო კოდექსს არა აქვს **პრეამბულა.** ამით ის განსხვავდება ზოგიერთი სხვა ქვეყნის სამოქალაქო კოდექსისაგან.[2] ამ თვალსაზ- 2

1 *ნინიძე*, სამოქალაქო კოდექსის პირველი მუხლის სტრუქტურა, 2013, გვ. 151.

2 ახალი კოდიფიკაციებიდან მაგალითად გამოდგება ქვებეკის სამოქალაქო კოდექსის პრეამბულა, ხოლო ძველიდან – საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსი. იხ. *ნინიძე*, სამოქალაქო

რისით პირველი მუხლი ასრულებს პრეამბულის ფუნქციასაც.

3 კოდექსის მოქმედების სფეროს განსაზღვრის გარდა, პირველი მუხლი შეიცავს **სამოქალაქო სამართლის ლეგალური დეფინიციის** მცდელობასაც, რომლის თანახმად, სამოქალაქო სამართალი „აწესრიგებს პირთა თანასწორობაზე დამყარებულ კერძო ხასიათის ქონებრივ, საოჯახო და პირად ურთიერთობებს“.

2. კერძო და საჯარო სამართალი

4 სამოქალაქო კოდექსმა საქართველოში ნორმატიულად პირველად განამტკიცა **„ნაციონალური სამართლის სისტემის დანაწევრება კერძო და საჯარო სამართლის სფეროებად“**.[3] ამით კოდექსმა საკანონმდებლო დონეზე აღიარა კონტინენტური ევროპის სამართლისადმი ქართული სამართლის კუთვნილების ფაქტი.[4]

5 **კერძო სამართალი** არის სამართლის სისტემის ნაწილი, რომელიც აწესრიგებს კერძო პირთა შორის თანასწორუფლებიანობის საფუძველზე წარმოშობილ ურთიერთობებს, რომელთაც საფუძვლად უდევს პირთა ნების გამოვლენის თავისუფლება და სხვა პირებთან ურთიერთობის დამყარების სურვილი – **კერძო ავტონომია.**[5]

კერძო ავტონომია **საკუთრების უფლებასთან** ერთად შეადგენს კერძო სამართლის ფუნდამენტს.[6] კერძოსამართლებრივი ურთიერთობების მაგალითებია: ნასყიდობა, ჩუქება, ქირავნობა, იჯარა, დაქორწინება, ანდერძი და ა.შ.

6 **საჯარო სამართალი** აწესრიგებს სახელმწიფოს მიერ საჯარო უფლებამოსილებათა განხორციელებისას პირთა **სუბორდინაციული დაქვემდებარების** ნიადაგზე წარმოშობილ ურთიერთობებს, რომელთა ინიცირება ხდება არა კერძო ავტონომიის, არამედ **სახელმწიფოს ან მისი ორგანოების ნების საფუძველზე.**

საჯარო სამართალი განსაზღვრავს სამართლებრივ ურთიერთობებში სახელმწიფოსა და მისი ორგანოების მონაწილეობის წინაპირობებსა და წესებს, რომელთა შესაბამისად სახელმწიფო აღასრულებს კონსტიტუციითა და საჯარო სამართლის სხვა კანონებით დაკისრებულ ფუნქციებს. ამ გაგებით საჯარო სამართალი წარმოადგენს **სახელმწიფოსთვის შექმნილ სპეციალურ სამართალს.**[7]

კოდექსის პირველი მუხლის სტრუქტურა, გვ. 152-153.

3 *ნინიძე,* სამოქალაქო კოდექსის პირველი მუხლის სტრუქტურა, გვ. 156.

4 *ჯორბენაძე*, სკ-ის კომენტარის პირველი გამოცემის წინათქმა, წიგნი I, 1999, გვ. 8; *მისივე,* საქართველოს რესპუბლიკის მომავალი სამოქალაქო კოდექსის ძირითადი პრობლემები, 1994; *ზოიძე*, ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, 2005, *მისივე* სამოქალაქო სამართლის რეფორმის ისტორიული ძირები საქართველოში, ჟურნალი „სამართალი“, №5-6, 1996, გვ. 54-61 და სხვ.

5 *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 2.

6 შდრ. *Medicus,* BGB AT, 10. Aufl., Rn. 4 a.

7 ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 13, შდრ. *Lüke,* Zivilprozessrecht, 9. Aufl., 2006, Rn. 52.

კერძო სამართლისაგან განსხვავებით, რომელშიც პირები გადაწყვეტილებებს კერძო ავტონომიის საფუძველზე იღებენ, საჯარო სამართალში მისაღები გადაწყვეტილებების უმეტესობა კანონით არის დადგენილი: სახელმწიფოს არ უნდა ჰქონდეს თავისი ძალაუფლების შეუზღუდავად გამოყენების შესაძლებლობა.[8]

საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობების მაგალითებია: სამშენებლო ნებართვებისა და ლიცენზიების გაცემა, პოლიციური ფუნქციების შესრულება, სამართალდარღვევების აღკვეთა, გადასახადებისა და მოსაკრებლების ადმინისტრირება და ა.შ.

3. სამოქალაქო კოდექსის რეგულირების საგანი

პირველი მუხლი განსაზღვრავს სამოქალაქო კოდექსის, როგორც კერძო სამართლის კანონის, გამოყენების სფეროს და ადგენს სამოქალაქო კოდექსით მოსაწესრიგებელი **ურთიერთობების კრიტერიუმებს.** 7

ა. პირთა თანასწორობა

პირთა თანასწორობა ნიშნავს ნების თავისუფალი გამოვლენისა და ურთიერთობის თავისუფლად დამყარებისა თუ კონტრაგენტის არჩევის შესაძლებლობას, ურთიერთობის მონაწილეთა მიერ „ინიციატივის გამოჩენას, გარეშე პირთა ჩაურევლობას".[9] ერთი პირის ბრძანების ან მისი დიქტატის საფუძველზე წარმოშობილი ურთიერთობა, მაგალითად, პოლიციელის მიერ ჯარიმის დაკისრება, არ წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსის მოწესრიგების საგანს. 8

პირთა თანასწორობა არ გამორიცხავს **კერძო სამართალში სუბორდინაციულ ურთიერთობებს**, ე.ი. ხელისუფლებასა და დაქვემდებარებაზე დამყარებული ურთიერთობების არსებობას, მაგალითად, ურთიერთობანი სამეწარმეო საზოგადოების პარტნიორებსა და მართვის ორგანოებს ანდა მშობლებსა და შვილებს შორის და ა.შ.

პირთა თანასწორობა არსებითად **კერძო ავტონომიის** სინონიმია და ნიშნავს ნების თავისუფლად, სხვისი იძულების გარეშე, გამოხატვის უნარს.[10]

ბ. კერძო ხასიათის ურთიერთობები

სამოქალაქო კოდექსი აწესრიგებს მხოლოდ **კერძო პირებს, ინდივიდებს შორის წარმოშობილ ურთიერთობებს**, მიუხედავად იმისა, წარმოადგენს თუ არა ეს ურთიერთობები სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესის საგანს, მაგალითად, მშობლების მოვალეობა იზრუნონ შვილებზე და ა.შ. ამ გაგებით სამოქალაქო სამართალი ყოველდღიურობის მომწესრიგებელ ურ- 9

8 შდრ. *Medicus,* Allgemeiner Teil des BGB, Rn. 5.

9 *ჯორბენაძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხლი 1, გვ. 29.

10 *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 4.

თიერთობებს, **ყველასა და თითოეულს ეხება**.[11]

კერძო პირად მიიჩნევა ურთიერთობის მონაწილე ყველა სუბიექტი, რომელიც თანასწორობის საფუძველზე და არასაჯარო ფუნქციის შესასრულებლად იყენებს სამოქალაქო-სამართლებრივ კონსტრუქციებსა თუ ინსტიტუტებს, მაგალითად, ნასყიდობის ან ნარდობის ხელშეკრულებებს. ამ პირების დეფინიციას შეიცავს 8 I მუხლი.

სახელმწიფოს ან საჯარო სამართლის სხვა იურიდიული პირების მონაწილეობა ურთიერთობაში ავტომატურად არ იწვევს ამ ურთიერთობის გადაქცევას საჯარო-სამართლებრივ ურთიერთობად, თუკი სახელმწიფო მათში არ აღასრულებს საჯარო ფუნქციებს, მაგალითად, არ ახორციელებს გადასახადების აკრეფას.

გ. ქონებრივი ურთიერთობები

10 სამოქალაქო კოდექსით მოწესრიგებული ურთიერთობების უმეტესობა **ქონებრივი ხასიათისაა** და ისინი წარმოიშობა ქონებრივ სიკეთეებთან დაკავშირებით, მიუხედავად იმისა, ქონებრივი სიკეთე მატერიალურია თუ არამატერიალური (7, 147).

საჯარო სამართალში წარმოშობილი ქონებრივი ურთიერთობები არ წესრიგდება სამოქალაქო კოდექსით, ვინაიდან ისინი არ არიან კერძო ხასიათის და მათ საფუძვლად არ უდევთ პირთა თანასწორუფლებიანობა, მაგალითად, სახელმწიფოს საბიუჯეტო ურთიერთობები.

11 **სახელმწიფოს მონაწილეობა** ქონებრივ ურთიერთობებში არ იწვევს ამ ურთიერთობების გადაქცევას საჯარო-სამართლებრივ ქონებრივ ურთიერთობებად, მაგალითად, სახელმწიფოს მიერ მაღაზიაში სამსახურებრივი ავტომანქანის შეძენა ნასყიდობის ხელშეკრულების დადებით. სახელმწიფოს მიერ ავტომანქანის შეძენის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესი წარმოადგენს საჯარო-სამართლებრივ ურთიერთობას და მასზე სამოქალაქო კოდექსი არ ვრცელდება.[12]

12 **ქონებრივი ურთიერთობების კვალიფიკაციის** პრობლემა წარმოიშობა **სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის** შემთხვევაშიც. გადაწყვეტილება პრივატიზაციის შესახებ და ამ გადაწყვეტილების პროცედურა წარმოადგენს საჯარო სამართალს, ხოლო სახელმწიფო ქონების მიყიდვა შემძენზე ფორმდება კერძოსამართლებრივი ხელშეკრულებით.

პრივატიზაციის ხელშეკრულების შეფასებასთან დაკავშირებით უზენაესი სასამართლო თავის ადრეულ სასამართლო გადაწყვეტილებებში ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ პუნქტზე დაყრდნობით თვლიდა, რომ პრივატიზაციის ხელშეკრულება წარმოადგენდა ადმინისტრაციულ გარიგებას და დავა ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას უნდა განეხილა.[13]

11 *ჯორბენაძე,* სკ-ის კომენტარის პირველი გამოცემის წინათქმა, წიგნი I, გვ. 7.

12 ეს ურთიერთობები წესრიგდება კანონით სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.

13 საქ. უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2001

დ. საოჯახო ურთიერთობები

სამოქალაქო კოდექსი აწესრიგებს **საოჯახო ურთიერთობებსაც.** თავისი ბუნებით საოჯახო ურთიერთობები შეიძლება იყოს პირადიც და ქონებრივიც.[14] მაგრამ პირველ მუხლში საოჯახო ურთიერთობების ცალკე გამოყოფით სამოქალაქო კოდექსი გაემიჯნა 70-წლიან საბჭოთა ტრადიციას, რომლის მიხედვითაც საოჯახო სამართალი ცალკე იყო მოწესრიგებული საქორწინო და საოჯახო სამართლის კოდექსებში. მრავალი პოსტსაბჭოთა ქვეყანა დღემდე ამ ტრადიციის ერთგული დარჩა.[15] 13

ე. პირადი ურთიერთობები

პირადი ურთიერთობებით სრულდება სამოქალაქო კოდექსით მოწესრიგებული ურთიერთობების საორიენტაციო ჩამონათვალი. მათში იგულისხმება სახელის, პატივისა და ღირსების, საკუთარი გამოსახულების, საქმიანი რეპუტაციის და ა.შ. დაცვა. 14

პირად ურთიერთობებს განეკუთვნება **ავტორობის უფლებიდან** წარმოშობილი ურთიერთობებიც.

ლიტერატურაში არის მოსაზრება „პირადი უფლებების“ „პიროვნული უფლებებით“ შეცვლის თაობაზე. ვიდრე სამოქალაქო კოდექსი იყენებს ტერმინს „პირადი უფლებები“, მიზანშეწონილია ამ ტერმინით სარგებლობა.[16]

4. კერძო და საჯარო სამართლის გამიჯვნა

სამართლის სისტემის დაყოფა კერძო და საჯარო სამართლად სამართლის მეცნიერების ერთ-ერთი უძველესი თემაა და მას მიეძღვნა მრავალი თეორია, რომელთაგან აღსანიშნავია **ინტერესების, სუბორდინაციის, სუბიექტის და სპეციალური სამართლის** თეორიები.[17] 15

თეორიულის გარდა საყურადღებოა **გამიჯვნის პრაქტიკული მნიშვნელობა,** რომელთაგან აღსანიშნავია ორი საკითხი: პირველი, რომელი ნორმა უნდა იქნეს შერჩეული ურთიერთობის მოსაწესრიგებლად კონკრეტულ შემთხვევაში და, მეორე, რომელმა სასამართლომ უნდა განიხილოს მოცემული დავა – სამოქალაქომ თუ ადმინისტრაციულმა. 16

სამართლის ნორმის შერჩევის საკითხი მნიშვნელოვანია როგორც **კანონშემოქმედების,** ისე **სამართალგამოყენების** დროს. 17

კანონშემოქმედების დროს კანონმდებელმა უნდა გადაწყვიტოს, მიზანშეწონილია ურთიერთობის მოწესრიგება სახელმწიფოს მონაწილეობით (სა-

წლის 10 ოქტომბრის 3კ/332-01 და 3კ/554-01 განჩინებები.

14 *შენგელია,* საოჯახო სამართალი, 1999; *ჩიკვაშვილი,* საოჯახო სამართალი, 1999.

15 *ზოიძე,* ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, ასევე, *Knieper/Chanturia/Schramm,* Das Privatrecht im Kaukasus und in Zentralasien, BWV, Berlin, 2010, S. 53 ff.

16 ამის თაობაზე იხ. *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, გვ. 131-133.

17 ამ თეორიების განხილვა იხ. *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 9-14.

ჯარო სამართალი), თუ საკმარისია თვით ამ ურთიერთობის მონაწილეთა ინიციატივა და აქტიურობა (კერძო სამართალი). მაგალითად, შრომითი ურთიერთობები შესაძლებელია მთლიანად კერძო სამართლით მოწესრიგდეს შრომის ხელშეკრულების საფუძველზე ანდა სახელმწიფომ საჯარო-სამართლებრივად განსაზღვროს სამუშაოს მიმღებთა სამართლებრივი სტატუსი.

სამართალგამოყენების დროს მოსამართლის ამოცანაა შეარჩიოს დავის გადასაწყვეტად შესაბამისი ნორმა და გადაწყვიტოს საკითხი იმის შესახებ, დავა საჯარო-სამართლებრივია თუ კერძოსამართლებრივი, მაგალითად, თუ სახელმწიფოს ასპროცენტიანი მონაწილეობით შექმნილი სააქციო საზოგადოების ორგანოებმა მიიღეს გადაწყვეტილება მომსახურების ან პროდუქტის შესყიდვის შესახებ, გარიგების სამართლებრივი შეფასებისას გადასაწყვეტი იქნება საკითხი იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი კანონის საფუძველზე უნდა მოხდეს ეს შეფასება – მეწარმეთა შესახებ თუ სახელმწიფო შესყიდვების კანონების საფუძველზე.

18 კერძო და საჯარო სამართლის გამიჯვნა პრობლემატურია **განსჯადობის საკითხის** გადაწყვეტისას, რომელიც პარალელურად რამდენიმე საპროცესო სამართლის არსებობისას – სამოქალაქო და ადმინისტრაციული – წარმოიშობა. კერძოდ, პასუხი უნდა გაეცეს კითხვას, თუ რომელმა სასამართლომ უნდა განიხილოს მოცემული დავა.

წლების მანძილზე ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მისაჩნევად საკმარისად თვლიდა სახელმწიფოს ან მისი ორგანოების მონაწილეობას გარიგებაში, რაც იწვევდა სახელმწიფოს მონაწილეობით დადებული სამოქალაქო გარიგებების განხილვის აუცილებლობას ადმინისტრაციული სასამართლოების მიერ **(სუბიექტის თეორია)**. 2005 წლის 25 ივნისს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში შეტანილი ცვლილებებით ეს მიდგომა შეიცვალა: ამჯერად მნიშვნელოვანია ის, თუ რა უფლებამოსილებით მონაწილეობს სახელმწიფო ურთიერთობებში – თუკი საჯარო ფუნქციებს ახორციელებს, მაშინ დავა ადმინისტრაციულმა სასამართლომ უნდა განიხილოს, თუ არა – სამოქალაქო სასამართლომ **(სპეციალური სამართლის თეორია)**. ამით განსჯადობის საკითხის გადაწყვეტისას უპირატესობა მიენიჭა არა ამ ურთიერთობის მონაწილეებს, მაგალითად, სახელმწიფოს (სუბიექტის თეორია), არამედ სადავო სამართალურთიერთობის ბუნებას (სპეციალური სამართლის თეორიას).[18]

5. კერძო სამართლის სისტემა

19 კერძო სამართალი შედგება სამოქალაქო სამართლისა და კერძო სამართლის სხვა დარგებისაგან.

20 სამოქალაქო სამართალი, როგორც სამოქალაქო კოდექსისა და მის საფუძველზე წარმოშობილი სამოსამართლო სამართლის ნორმების ერთობლიობა, **ზოგად კერძო სამართალს** წარმოადგენს. ამ დებულებას აღიარებს

18 იხ. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65-ე მუხლი.

უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაც.[19] **სამოქალაქო სამართალი კერძო სამართლის ბირთვია** და განსაზღვრავს კერძო სამართლის ფუძემდებლურ დებულებებს, როგორიცაა პირები, გარიგებები, კერძო ავტონომია, ხელშეკრულების თავისუფლება, საკუთრების უფლება და ა.შ.

გარდა ზოგადი კერძო სამართლისა, არსებობს ასევე **კერძო სამართლის სპეციალური დარგები,** რომლებიც კერძო სამართლის ცალკეულ კანონებში არის განმტკიცებული.[20] 21

ზოგად კერძო სამართლად სამოქალაქო სამართლის აღიარება ნიშნავს სამოქალაქო კოდექსში განმტკიცებული **ნორმებისა** და **ინსტიტუტების გამოყენებას კერძო სამართლის სპეციალურ დარგებშიც.** მაგალითად, გარიგებანი, ვადები და ხანდაზმულობა, იურიდიული პირები გამოიყენება საკორპორაციო სამართალშიც.[21]

კერძო სამართლის სპეციალურ დარგებს განეკუთვნება: **მეწარმეთა, ინტელექტუალური საკუთრების, შრომის, საკორპორაციო, გაკოტრების** და ა.შ. სამართალი. 22

საერთაშორისო კერძო სამართლით მოწესრიგებული ურთიერთობები ასევე კერძოსამართლებრივია და განეკუთვნება კერძო სამართალს.[22]

კერძო სამართლის სპეციალური დარგების ეს ჩამონათვალი არ არის ამომწურავი.

6. საჯარო სამართლის სისტემა

საჯარო სამართალს განეკუთვნება: **კონსტიტუციური, სახელმწიფო, ადმინისტრაციული, საგადასახადო, საბაჟო, სისხლისა და საპროცესო, საეკლესიო სამართალი.** [23] 23

კონსტიტუციური (სახელმწიფო) სამართლის შემდეგ მოცულობითა და შესრულებული როლით განსაკუთრებული ადგილი უკავია **ადმინისტრაციულ სამართალს.** ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის გვერდით, რომელიც 1999 წლიდან საქართველოში კოდიფიცირებულია, მნიშვნელოვანია **სპეციალური ადმინისტრაციული სამართლის დარგები:** საგადასახადო, საბაჟო, საფინანსო, საბიუჯეტო, საპოლიციო, საპასპორტო, სამშენებლო, სასოფლო-სამეურნეო, გარემოს დაცვის, საგზაო, კომუნალური, სამოხელეო და ა.შ. სამართალი. 24

საპროცესო სამართალი მთლიანად, როგორც სისხლის, ისე ადმინისტრაციული და სამოქალაქო პროცესი, განეკუთვნება საჯარო სამართალს. 25

საჯარო საერთაშორისო სამართალი ასევე საჯარო სამართალს წარმოად- 26

19 საქ. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეებზე (სუსგ), 1/2008, გვ. 20.

20 *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 14.

21 იქვე, გვ. 15.

22 *ლილუაშვილი,* საერთაშორისო კერძო სამართალი, 2001; *გამყრელიძე,* საერთაშორისო კერძო სამართლის შესავალი, წიგნი I, 2000; გაბისონია, საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართალი, 2006.

23 *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 17-18.

გენს, განსხვავებით საერთაშორისო კერძო სამართლისაგან, რომელიც კერძო სამართლის ნაწილია.

27 საჯარო სამართლის ნაწილია **საეკლესიო სამართალი,** რომელიც აწესრიგებს ეკლესიასა და მის წევრებს შორის წარმოშობილ ურთიერთობებს.

II. სამოქალაქო სამართლის კოდიფიკაცია

1. სამოქალაქო კოდექსის შექმნის ისტორია

28 1991 წელს საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობის გამოცხადებამ, კერძო საკუთრებისა და საბაზრო ეკონომიკის პრინციპების აღიარებამ დღის წესრიგში დააყენა **ახალი სამოქალაქო კოდექსის შექმნის აუცილებლობა.** ამ მიზნით შეიქმნა სამთავრობო კომისია (შემდგომში კომისია), რომელსაც პროფესორი სერგო ჯორბენაძე ხელმძღვანელობდა. კომისიის შემადგენლობაში შედიოდნენ სამართლის მეცნიერებისა და პრაქტიკის წარმომადგენელი სხვადასხვა თაობის იურისტები.[24]

29 ახალი სამოქალაქო კოდექსის შემუშავების აუცილებლობა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სხვა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებშიც იქნა დანახული. ინიციატივა რუსეთმა გამოიჩინა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) საპარლამენტო ასამბლეის ფარგლებში შექმნილმა კერძო სამართლის ცენტრმა პროფესორ ალექსანდრე მაკოვსკის ხელმძღვანელობით დაიწყო მუშაობა **დსთ-ის მოდელურ სამოქალაქო კოდექსზე**. ამ კოდექსის შემუშავებაში მონაწილეობის თაობაზე მიწვევა საქართველომაც მიიღო. გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში საქართველოში მრავლად იყვნენ როგორც პოლიტიკოსები, ისე იურისტები, რომლებიც დსთ-ის მოდელური კოდექსის მიღებას უჭერდნენ მხარს.[25]

30 პარალელურად დაიწყო **თანამშრომლობა გერმანელ იურისტებთან** ბრემენის უნივერსიტეტის პროფესორის როლფ კნიპერის ხელმძღვანელობით.[26] ამ თანამშრომლობას გერმანიის მთავრობის დავალებით უზრუნველყოფდა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება.[27] კომისიამ არჩევანი გააკეთა გერმანელებთან თანამშრომლობაზე და უარი თქვა დსთ-ის მოდელური სამოქალაქო კოდექსის შემმუშავებელ ჯგუფთან კოოპერაციაზე.[28]

---

24 სამოქალაქო კოდექსის შექმნის ისტორია იხ. *ზოიძე*, ქართული სამოქალაქო კოდექსის შექმნის ისტორიიდან, ქართული სამართლის მიმოხილვა, 6/2003-1, გვ. 86-114; *მისივე* „ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში“ და „სამოქალაქო სამართლის რეფორმის ისტორიული ძირები საქართველოში“, ჟურნალი სამართალი, 5-6/1996, გვ. 54-61.

25 ამ დისკუსიის შესახებ იხ. *Чантурия,* Итоги и перспективы реформы частного права в Грузии. Пути к новому праву, 1998. С. 35-47; *მისივე* Предотвращение законотворческого хаоса – важная задача правовой реформы. 1998. С. 157-158.

26 ქართული სამართლის განვითარების საქმეში შეტანილი წვლილისათვის *როლფ კნიპერი* ჯერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი გახდა, ხოლო მოგვიანებით – საქართველოს საპატიო მოქალაქე.

27 2011 წლის 1 იანვრამდე ამ საზოგადოებას ერქვა გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება (GTZ).

28 ამ უარის მოტივების შესახებ იხ. *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011 გვ. 21.

კომისიის მიერ მომზადებული **სამოქალაქო კოდექსის პირველი პროექტი** ითარგმნა გერმანულ ენაზე. ამ ტექსტის ექსპერტიზის საფუძველზე გერმანელი იურისტების მიერ შემუშავდა **კოდექსის პროექტის ახალი ვარიანტი**, რომლის ყოველ წინადადებასა და მუხლზე ოთხი წლის განმავლობაში – 1993-1997 წლებში – მიმდინარეობდა მუშაობა. კოდექსზე მუშაობას ართულებდა მრავალი ინსტიტუტისა და დებულების სიახლე და ქართული იურიდიული ენის მოუმზადებლობა ახალი სამართლებრივი რეალობისათვის. სამართლის მეცნიერებისა და სასამართლო პრაქტიკის განვითარებამ მრავალი პრობლემა და სირთულე გამოიტანა სააშკარაოზე.

1996 წელს **სარედაქციო ჯგუფმა დაასრულა მუშაობა** სამოქალაქო კოდექსის პროექტზე და ის იუსტიციის მინისტრმა თედო ნინიძემ წარუდგინა საქართველოს მაშინდელ პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს, რომელმაც პროექტი განსახილველად საქართველოს პარლამენტს გადაუგზავნა. 31

კოდექსის პროექტზე მუშაობა ერთი წლის განმავლობაში გაგრძელდა **პარლამენტშიც.** საბოლოოდ 1997 წლის 26 ივნისს საქართველოს პარლამენტმა ერთხმად მიიღო საქართველოს ისტორიაში დამოუკიდებელი სახელმწიფოს **პირველი სამოქალაქო კოდექსი**.[29] სამოქალაქო კოდექსი ძალაში შევიდა 1997 წლის 25 ნოემბრიდან (1504). 32

2. სამოქალაქო სამართლის განვითარება კოდექსის მიღების შემდეგ

სამოქალაქო კოდექსის მიღებამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საქართველოში თანამედროვე, განვითარებული სამოქალაქო სამართლის რეცეფციისა და დამკვიდრების საქმეში. მან დააჩქარა საბჭოთა სამართლის რელიქტების გაუქმება და ახალი ქართული სამართლებრივი ცნობიერების ჩამოყალიბება.[30] 33

ასპარეზზე გამოვიდნენ **ახალი თაობის ქართველი იურისტები,** რომლებმაც სამოქალაქო სამართალი ახალი კოდექსის საფუძველზე შეისწავლეს, ხოლო მათმა ერთმა ნაწილმა განათლება დასავლეთის ქვეყნებში მიიღო. ეს თაობა სრულიად თავისუფალია საბჭოთა სამოქალაქო სამართლის იდეოლოგიური გადმონაშთებისაგან. 34

სამოქალაქო კოდექსმა საფუძველი ჩაუყარა **ქართული ცივილისტიკის განვითარებას,** რაც გამოიხატება სამოქალაქო კოდექსის ცალკეული ინსტიტუტების თაობაზე მომზადებულ და გამოქვეყნებულ მრავალრიცხოვან პუბლიკაციაში.[31] პირველად ქართული სამართლის ისტორიაში მომზადდა და გამოიცა სამოქალაქო კოდექსის ექვსტომიანი კომენტარი.[32] 35

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მრავალჯერ იყო უცხოეთში შეს-

29 პარლამენტის უწყებანი, № 31, 24 ივლისი, 1997, გვ. 1.

30 იხ. *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 23-32.

31 მაგ., *ზოიძე*, ქართული სანივთო სამართალი, 2003; *შენგელია*, საოჯახო სამართალი, 1999; *ახვლედიანი*, ვალდებულებითი სამართალი, 1999;, *ჭანტურია*, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, 1997 და ა.შ.

32 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი ექვს წიგნად. გამომცემლობა „სამართალი“, 1999-2002 წლები.

რულებული სამეცნიერო კვლევების საგანიც.[33] უცხოელმა ავტორებმაც მიუძღვნეს ნაშრომები ქართულ სამოქალაქო კოდექსს.[34] საზღვარგარეთ გამოცემულ სამეცნიერო კრებულებსა თუ მონოგრაფიებშიც იყო სამოქალაქო კოდექსი კვლევის ობიექტი.[35]

სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე მომზადდა არაერთი **სახელმძღვანელო თუ დამხმარე სახელმძღვანელო,** რამაც შესაძლებელი გახადა სამოქალაქო სამართლის ფართომასშტაბიანი სწავლება უნივერსიტეტებში.

36 **სამოქალაქო კოდექსმა გავლენა მოახდინა სასამართლო პრაქტიკაზე.** სასამართლო გადაწყვეტილებების გამოქვეყნებით 1999 წლიდან ხელმისაწვდომი შეიქნა სამოსამართლო სამართალი, რამაც შესაძლებელი გახადა მეცნიერებასა და პრაქტიკას შორის მჭიდრო კავშირი.[36]

სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე მიღებული ზოგიერთი სასამართლო გადაწყვეტილება სამართალშეფარდების მეთოდოლოგიის სრულყოფის თვალსაზრისითაც იმსახურებს ყურადღებას, რის გამოც ისინი ცალკე კვლევის ობიექტიც კი გახდა.[37] ქართული სასამართლო პრაქტიკის ზოგი პრობლემური საკითხი უცხოელი მოსამართლეების მსჯელობისა და პუბლიკაციის საგანიც იყო.[38]

37 სამოქალაქო კოდექსმა შესაძლებელი გახადა **საერთაშორისო კონტაქტების,** უცხოელ კოლეგებთან თანამშრომლობისა და ერთობლივი სამეცნიერო კვლევების წამოწყება და მათი ფართოდ განვითარება. მრავალი პროექტი დღემდე წარმატებულად ხორციელდება.[39] ამან კი ხელი შეუწყო ქართული სამოქალაქო სამართლის ევროპეიზაციის პროცესს.[40]

33 მაგ., *Kupraschwili*, Schweigen beim Vertragsabschluss. Eine rechtsvergleichende Untersuchung unter Berücksichtigung von Deutschland und Georgien, 2006; *Kereselidze,* Der allgemeine Teil des Georgischen Zivilgesetzbuches von 1997, 2004 usw.

34 მაგ., *Muth,* Neues Recht zwischen Tradition und Systemwechsel: Beratung des georgischen Arbeitsrechts in der Praxis, 2004; *Pellegrino,* Postkommunismus und Zivilrecht. Das Obligationenrecht Georgiens. 1996.

35 მაგ., *Knieper/Chanturia/Schramm,* Das Privatrecht im Kaukasus und in Zentralasien, 2010; *Chanturia,* Das neue Zivilgesetzbuch Georgiens: Verhältnis zum deutschen Bürgerlichen Gesetzbuch. In Aufbruch nach Europa. 2001. S.893-904; *Chanturia,* The Development of Civil Law in Georgia, in Georgia in Transition *King/Khubua* (eds.), 2009, p. 1-17.

36 1999 წლიდან საქართველოს უზენაესმა სასამართლომ, პირველმა, პოსტსაბჭოთა სივრცეში, დაიწყო სასამართლო გადაწყვეტილებების გამოქვეყნება და უარი თქვა უზენაესი სასამართლოს პლენუმის ე.წ. ნორმატიულ დადგენილებებზე.

37 მაგ., *ბოელინგი/ჭანტურია*, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, 2003.

38 მაგ., *Bölling*, Recognition as an Unworthy Heir and the Deprivation of the Right to a Compulsory Portion according to the Civil Code of Georgia (and Some Comments on the Method of Interpretation of Law), in: Georgian Law Review 6/2003. p. 517-525.

39 მაგ., გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების სამართლის რეფორმის პროექტი. ამ გამოცდილების შესახებ იხ. *Knieper,* Juristische Zusammenarbeit: Universalität und Kontext. 2004.

40 2007 წლის 24 მაისს ჰამბურგის მაქს-პლანკის ინსტიტუტში ინსტიტუტის დირექტორის პროფესორ *კლაუს ჰოპტის* ინიციატივით ჩატარდა კონფერენცია თემაზე „ქართული სამართლის ევროპეიზაცია“. იხ. *Chanturia,* Die Europäisierung des georgischen Rechts _ bloßer Wunsch oder große Herausforderung? In Rabels Zeitschrift, Band 74, Heft 1, 2010, S. 154-181

მუხლი 2. სამოქალაქო კანონმდებლობა

1. სამოქალაქო კოდექსი, კერძო სამართლის სხვა კანონები და მათი განმარტებები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კონსტიტუციას.

2. ერთი და იმავე დონის სამართლის ნორმათა კოლიზიის დროს გამოიყენება სპეციალური და უფრო ახალი კანონი. ამ კოდექსით გათვალისწინებულ ზოგად ნორმებსა და სპეციალურ ნორმებს შორის კოლიზიისას გამოიყენება სპეციალური ნორმები.

3. სამოქალაქო ურთიერთობების მოსაწესრიგებლად კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუ ისინი ავსებენ კანონის ნორმებს. თუ ეს აქტები ეწინააღმდეგება კანონს, მოქმედებს კანონი.

4. ჩვეულებანი გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუ ისინი არ ეწინააღმდეგება სამართლისა და ზნეობის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს ან საჯარო წესრიგს.

I. ზოგადი დებულებები 11
1. მიზანი და გამოყენების სფერო 11
2. კავშირი სხვა ნორმებთან და ინსტიტუტებთან 12
II. სამოქალაქო სამართლის წყაროები 12
1. ცნება და სტრუქტურა 12
2. სამოქალაქო კოდექსი და კერძო სამართლის კანონები (2 I) 13
3. კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები (2 III) 14
4. ჩვეულებანი 14
III. სამოქალაქო კოდექსის სისტემა 15
1. შესავალი 15
2. ზოგადი ნაწილი 15
3. ზოგადი ნაწილის სახეები 16
4. ნორმათა კოლიზია (2 II) 16

I. ზოგადი დებულებები

1. მიზანი და გამოყენების სფერო

მე-2 მუხლი განსაზღვრავს **სამოქალაქო კანონმდებლობის სისტემას** და მის შესაბამისობას საქართველოს კონსტიტუციასთან (2 I). გარდა ამისა, აღნიშნული მუხლის ნორმები პასუხს შეიცავენ კითხვებზე, რომლებიც გასული საუკუნის 90-იან წლებში დიდი დისკუსიის საგანი იყო და ბევრ პოსტსაბჭოთა ქვეყანაში აქტუალობა დღემდე არ დაუკარგავთ, როგორიცაა, მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის აღიარება ე.წ. სუპერკანონად, როგორც ეს დსთ-ის მოდელური სამოქალაქო კოდექსით არის გათვალისწინებული. კერძოდ, ამ კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სამოქალაქო კოდექსს უნდა შეესაბამებოდეს ყველა სხვა კანონი. **1**

2 მე-2 მუხლის ძირითად მიზანს წარმოადგენს **სამოქალაქო სამართლის წყაროების სისტემატიზაცია** და სამართალგამოყენების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი დებულებების განმტკიცება, მაგალითად, სამართლებრივი ნორმების კოლიზიისას გამოსაყენებელი ნორმების შესახებ (2 II).

3 სამოქალაქო კოდექსმა ნორმატიულად პირველად განამტკიცა „ნაციონალური სამართლის სისტემის დანაწევრება კერძო და საჯარო სამართლის სფეროებად“[1] და ამის აღსანიშნავად მე-2 მუხლმა შემოიღო **„კერძო სამართლის კანონების“** ცნება, რომლის სინონიმად კოდექსი ასევე გამოთქმას „სამოქალაქო კანონები“ იყენებს (6, 8 II, 9).

2. კავშირი სხვა ნორმებთან და ინსტიტუტებთან

4 მე-2 მუხლი განხილულ უნდა იქნეს **მე-3, მე-5 და მე-6 მუხლებთან კავშირში**. მათში გათვალისწინებული საკითხები არ განეკუთვნება მხოლოდ სამოქალაქო სამართლის სფეროს და სამოქალაქო კოდექსში მათი შეტანა ისტორიულად განპირობებული იყო კოდექსის შემუშავებისას ნორმატიული აქტების შესახებ კანონის არარსებობით. ამ მუხლების მრავალი დებულება დღეს ნორმატიული აქტების შესახებ კანონის დებულებებს ასახავს.[2]

გარდა ამისა, აუცილებელია მე-2, მე-3, მე-5 და მე-6 მუხლების განხილვა **ნორმატიული აქტების შესახებ კანონის** შესაბამის მუხლებთან. ეს უკანასკნელი კანონი წარმოადგენს სპეციალურ კანონს და ის ნორმათა კოლიზიის საკითხების განხილვის დროსაც იმსახურებს სათანადო ყურადღებას, მაგალითად, კანონის ან სამართლის ანალოგიის ანდა კანონის უკუძალის საკითხების განხილვისას (ნორმატიული აქტების შესახებ კანონის მე-5 და 24-ე მუხლები).

II. სამოქალაქო სამართლის წყაროები

1. ცნება და სტრუქტურა

5 სამოქალაქო კოდექსი, კონტინენტური ევროპის სამართლის ტრადიციის შესაბამისად, სამართლის წყაროთა ორ სახეს განამტკიცებს – **კანონსა და ჩვეულებებს (2 I, IV)**.[3]

6 **კანონი ქართული სამოქალაქო სამართლის უმთავრესი წყაროა.** ერთმანეთისაგან განსხვავდება კანონი ფორმალური გაგებით და მატერიალური გაგებით.

ფორმალური გაგებით კანონად მიიჩნევა მხოლოდ საკანონმდებლო ორგანოს – პარლამენტის – მიერ ან რეფერენდუმის გზით მიღებული ნორმა-

1 *ნინიძე*, სამოქალაქო კოდექსის პირველი მუხლის სტრუქტურა, გვ. 156.
2 საქართველოს კანონი ნორმატიული აქტების შესახებ, 2009 წლის 22 ოქტომბერი.
3 შდრ. *Rüthers*, Rechtstheorie, 4. Aufl., 2008, Rn. 217 ff.; *Schelhammer*, Schuldrecht nach Anspruchsgrundlagen samt BGB Allgemeiner Teil, 7. Aufl., 2008, Rn 2 ff.; *Larenz/Wolf*, AT des bürg. Rechts, 9. Aufl., 2004, § 3 Rn. 6.

ტიული აქტები.[4]

მატერიალური გაგებით კანონად ჩაითვლება სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოების მიერ მიღებული ყველა ნორმატიული აქტი. ამ გაგებით ერთმანეთისაგან განსხვავდება **საკანონმდებლო აქტები,** რომელთაც კანონებიც განეკუთვნება, და **კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები (2 III)**.[5]

საქართველოში მოქმედი **ნორმატიული აქტების იერარქიული სტრუქტურა** განმტკიცებულია ნორმატიული აქტების შესახებ კანონის 10 I მუხლში. მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი ნორმატიული აქტების იერარქიის სათავეში დგას **კონსტიტუცია,** რომელსაც ყველა სხვა დანარჩენი კანონი და კანონქვემდებარე აქტი უნდა შეესაბამებოდეს (საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლი). **7**

იმავე დებულებას განამტკიცებს 2 I მუხლი, რომლის თანახმად სამოქალაქო კოდექსი, კერძო სამართლის სხვა კანონები და მათი განმარტებები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კონსტიტუციას.[6]

2. სამოქალაქო კოდექსი და კერძო სამართლის კანონები (2 I)

ნორმატიული აქტების იერარქიულ სისტემაში **სამოქალაქო კოდექსი** დგას კანონების გვერდით. იურიდიული ძალის მიხედვით ის წარმოადგენს კანონს და მისი დიდი ფაქტობრივი მნიშვნელობა კერძო სამართლისათვის მას განსაკუთრებული ძალის მქონე კანონად, რომელსაც სხვა კანონები უნდა შეესაბამებოდეს, ვერ გადააქცევს. ამით საქართველოს სამოქალაქო კოდექსი განსხვავდება დსთ-ის მოდელური სამოქალაქო კოდექსისაგან, რომლის მიხედვით, ყველა სხვა კანონი კერძო სამართლის სფეროში სამოქალაქო კოდექსს უნდა შეესაბამებოდეს.[7] **8**

კოდექსის ლეგალური დეფინიცია განმტკიცებულია კანონში ნორმატიული აქტების შესახებ, რომლის თანახმად კოდექსი არის განსაზღვრული (ერთგვაროვანი) საზოგადოებრივი ურთიერთობების მომწესრიგებელ სამართლებრივ ნორმათა სისტემატიზებული ნორმატიული აქტი (ნორმატიული აქტების შესახებ კანონის 2 VI მუხლი). **9**

კერძო სამართლის სხვა კანონების ჩამონათვალს სამოქალაქო კოდექსი არ შეიცავს და ეს არც არის კოდექსის ფუნქცია. **10**

კერძო სამართლის კანონებს განეკუთვნება კანონი მეწარმეთა შესახებ, კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ, კანონები ჩეკისა და თამასუქის შესახებ, გაკოტრების შესახებ და ა.შ.

4 საკანონმდებლო წესით კანონების მიღების პროცედურა საქართველოში განმტკიცებულია კანონით ნორმატიული აქტების შესახებ (მე-15-22-ე მუხლები).

5 ნორმატიული აქტების შესახებ კანონის მე-7 მუხლი.

6 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში სამოქალაქო კოდექსის ნორმების გამოყენების შესახებ იხ. *ზოიძე,* საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, 2010.

7 დსთ-ის მოდელური სამოქალაქო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის მე-2 აბზაცი.

3. კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები (2 III)

11 კანონებთან კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიმართების საკითხს აწესრიგებს კანონი ნორმატიული აქტების შესახებ, რომლის 7 VII მუხლის თანახმად **საკანონმდებლო აქტებს აქვს უპირატესი იურიდიული ძალა** კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიმართ.

ამავე იდეას განამტკიცებს 2 III მუხლი, რომელიც კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების გამოყენების შესაძლებლობას ითვალისწინებს მხოლოდ მაშინ, როცა ისინი ავსებენ კანონის ნორმებს.

12 პრობლემა კერძო სამართალში შეიძლება წარმოიშვას მაშინ, როცა გარიგების მონაწილეებმა თავიანთი ურთიერთობების მოსაწესრიგებლად აირჩიეს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, რომელიც ეწინააღმდეგება კანონს. დავის განხილვისას უნდა გამოიყენოს თუ არა სასამართლომ კანონსაწინააღმდეგო, მაგრამ მხარეების მიერ არჩეული კანონქვემდებარე აქტი? 3 III მუხლის მიხედვით გამოყენებულ უნდა იქნეს კანონი და გარიგების მონაწილეების მიერ არჩეულ კანონქვემდებარე აქტს არ უნდა მიენიჭოს უპირატესობა.

4. ჩვეულებანი

13 სამოქალაქო კოდექსი სამართლის წყაროდ აღიარებს **ჩვეულებებს,** თუმცა მათ ლეგალურ დეფინიციას კოდექსი არ იძლევა. სამაგიეროდ კოდექსი განსაზღვრავს ჩვეულებების გამოყენების ფარგლებს, კერძოდ, 2 IV მუხლის მიხედვით, ჩვეულებანი გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუ ისინი არ ეწინააღმდეგება **სამართლისა და ზნეობის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს ან საჯარო წესრიგს.**

14 სირთულეებთან არის დაკავშირებული **ჩვეულების შინაარსის დადგენა,** რადგან ჩვეულება ხანგრძლივი გამოყენების შედეგად ყალიბდება და წერილობით არ არის დაფიქსირებული. შესაბამისად, პრაქტიკული მნიშვნელობისაა საკითხი იმის შესახებ, თუ ვინ და რა კრიტერიუმებით უნდა დაადგინოს ჩვეულების არსებობა.

ჩვეულებად შეიძლება მიჩნეულ იქნეს მხოლოდ **სოციალური ჯგუფის მიერ შესასრულებლად სავალდებულოდ აღიარებული წესი** (ან წესები). ასეთი წესების არსებობის ფაქტი სასამართლოს დასადგენია.[8]

15 ჩვეულების არსებობის დადასტურებით ან აღიარებით **სასამართლოს არ წარმოეშობა მისი გამოყენების ვალდებულება.** სასამართლო ვალდებულია შეამოწმოს ჩვეულების შესაბამისობა 2 IV მუხლის მოთხოვნებთან. მაგალითად, მართალია, დაქორწინება საცოლის მოტაცების გზით ჩვეულებას წარმოადგენს, მაგრამ კანონსაწინააღმდეგობის გამო ის არ შეიძლება სამოქალაქო სამართლის წყაროდ იქნეს მიჩნეული.[9]

16 ჩვეულებითი სამართლის ნორმა შესაძლებელია **საკანონმდებლო ნორ-**

8 *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 58.
9 იქვე, გვ. 58.

მის წარმოშობის საფუძველი გახდეს. მაგალითად, კომერსანტებს შორის დუმილით გარიგების დადების წესი ჩვეულებითი სამართლიდან გადმოვიდა სამოქალაქო კოდექსებში (335).

სამოსამართლო სამართალი არ წარმოადგენს ჩვეულებით სამართალს და, შესაბამისად, არ არის გასაზიარებელი ლიტერატურაში არსებული ამ იდეის მხარდამჭერი მოსაზრება.[10]

III. სამოქალაქო კოდექსის სისტემა

1. შესავალი

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის სისტემა შეესაბამება პანდექტური სამართლის სისტემას.[11] მას აქვს მთლიანად კერძო სამართლისათვის საერთო **ზოგადი ნაწილი.** 17

სამოქალაქო კოდექსი შედგებოდა ექვსი ნაწილისაგან, რომელთაც წიგნები ეწოდება: **ზოგადი დებულებანი, სანივთო (ქონებრივი) სამართალი, ვალდებულებითი სამართალი, ინტელექტუალური საკუთრების სამართალი, საოჯახო სამართალი და მემკვიდრეობის სამართალი.**

1999 წელს, **საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონის** მიღების შემდეგ, საკანონმდებლო პარალელიზმის თავიდან აცილების მიზნით სამოქალაქო კოდექსიდან ამოღებულ იქნა საავტორო სამართლის მომწესრიგებელი ნორმები, რის გამოც მეოთხე წიგნი მხოლოდ მითითებითი ნორმებისაგან შედგება. 18

მნიშვნელოვანი სიახლეა **საოჯახო სამართლის ინტეგრაცია სამოქალაქო კოდექსში.** ამით სამოქალაქო კოდექსი განსხვავდება სამოქალაქო სამართლის პოსტსაბჭოთა კოდიფიკაციებისაგან, რომლებშიც საოჯახო სამართალი კვლავაც საქორწინო და საოჯახო სამართლის კოდექსებშია მოთავსებული. ცალკე არსებული საქორწინო-საოჯახო კოდექსი დამახასიათებელი იყო მხოლოდ სოციალისტური ქვეყნების სამართლისათვის.[12] 19

2. ზოგადი ნაწილი

სამოქალაქო კოდექსის პირველ წიგნად ზოგადი ნაწილის გამოყოფა გერმანიის სამოქალაქო კოდექსის პანდექტური სისტემის გავლენით მოხდა და მას საფუძვლად პრაგმატული მოსაზრებები უდევს. კერძოდ, ზოგადი ნაწილი შეიცავს ფუნდამენტურ დებულებებსა და ინსტიტუტებს, რომლებიც მთლიანად კერძო სამართალში გამოიყენება კანონის ტექსტში მათი მუდმივად განმეორების გარეშე. მაგალითად, ზოგადი ნაწილის დებულებები ნების ნაკლით დადებული გარიგებების შესახებ გამოიყენება ყველა კერ- 20

10 დაწვრილებით იხ. *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 58.

11 *ჯორბენაძე,* საქართველოს რესპუბლიკის მომავალი სამოქალაქო კოდექსის ძირითადი პრობლემები, გვ. 142.

12 იქვე, გვ. 143.

ძოსამართლებრივი ხელშეკრულების მიმართ, ამ ხელშეკრულებებში ნების ნაკლზე მითითებების გაკეთების მიუხედავად.

ზოგადი ნაწილის ინსტიტუტები, როგორიცაა პირები, გარიგებები, ვადები, ხანდაზმულობა, უფლებათა განხორციელება და ა.შ. გამოიყენება კერძო სამართლის ყველა დარგში, მაგალითად, საკორპორაციო ან შრომის სამართალში. ამ გაგებით სამოქალაქო კოდექსის პირველი წიგნი წარმოადგენს მთელი კერძო სამართლისათვის ზოგად ნაწილს.

3. ზოგადი ნაწილის სახეები

21 სამოქალაქო კოდექსი განამტკიცებს **რამდენიმე ზოგად ნაწილს**, რომლებიც სამოქალაქო კოდექსის სხვადასხვა ნაწილშია განთავსებული და განსხვავებული ფუნქციები აკისრიათ.[13]

ზოგადი ნაწილის ცალკეული სახეები გათვალისწინებულია კოდექსის ცალკეულ წიგნებში და საფუძველს ქმნიან ამ წიგნებით განსაზღვრული ურთიერთობების მოსაწესრიგებლად, მაგალითად, **ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი** გამოიყენება ყველა ტიპის ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობების მიმართ როგორც სახელშეკრულებო, ისე კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობების მიმართ.

ზოგადი ნაწილის ერთი სახე დამახასიათებელია კონკრეტული ინსტიტუტებისათვის და მისი მნიშვნელობა მხოლოდ ამ ინსტიტუტით შემოიფარგლება, მაგალითად, ზოგადი დებულებანი ვალდებულების შესრულების ნაწილში.

4. ნორმათა კოლიზია (2 II)

22 ზოგადი ნაწილის ნორმები, მართალია, საერთოა ყველა ან უმეტესი ურთიერთობისათვის, მაგრამ ისინი ყოველთვის სრულად ვერ ასახავენ მოსაწესრიგებელი ურთიერთობის სპეციფიკას. ამის შედეგად შესაძლოა წარმოიშვას **ნორმათა კოლიზია** – ზოგადი ნაწილის ნორმა შესაძლოა ეწინააღმდეგებოდეს სპეციალურ ნორმას. ეს კოლიზია შეიძლება არსებობდეს როგორც სამოქალაქო კოდექსის, ისე სხვადასხვა კანონის ცალკეულ ნორმებს შორის.[14]

ნორმათა კოლიზიის ორივე შემთხვევისას **უპირატესობა ენიჭება სპეციალურ ნორმებს (2 II 2)**. მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 128 III მუხლის თანახმად, ხანდაზმულობის საერთო ვადა შეადგენს ათ წელს. მეწარმეთა შესახებ კანონის მე-15 მუხლის მიხედვით კი მოთხოვნათა საერთო ვადა 5 წელია. სამეწარმეო საზოგადოებების პარტნიორებს შორის დავის განხილვისას ხანდაზმულობის ვადებთან დაკავშირებით გამოყენებულ უნდა იქნეს სპეციალური ნორმა, ე.ი. მეწარმეთა შესახებ კანონის მე-15 მუხლი.

23 კოლიზია შეიძლება წარმოიშვას სპეციალურ ნორმებს შორისაც. ასეთ

13 *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 44-47.
14 იქვე, 2011, გვ. 48.

შემთხვევაში **უპირატესობა ენიჭება „უფრო ახალ კანონს“,** ე.ი. უფრო გვიან მიღებულ სპეციალურ ნორმას (2 II 1). ანალოგიურ დებულებას შეიცავს კანონი ნორმატიული აქტების შესახებ, რომლის 7 VIII მუხლის მიხედვით, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებს შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება უფრო გვიან მიღებულ ნორმატიულ აქტს.

კოლიზია შეიძლება არსებობდეს თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებს შორის.[15]

15 ნორმატიული აქტების შესახებ კანონის 7 VIII მუხლი.

მუხლი 3. სამოქალაქო კანონის შესვლა ძალაში

1. კანონი და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები ძალაში შედიან მხოლოდ დადგენილი წესით ოფიციალურ ორგანოში საყოველთაო გაცნობისათვის მათი გამოქვეყნების შემდეგ.

2. კანონის არცოდნა ან მისი არასათანადოდ გაგება არ შეიძლება იყოს კანონის გამოუყენებლობის ანდა ამ კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საფუძველი.

3. კანონი კარგავს ძალას, თუ ამის შესახებ პირდაპირ უთითებს ახალი კანონი, ან ძველი ეწინააღმდეგება ახალს, ან ახალი კანონი მოიცავს ძველით მოწესრიგებულ ურთიერთობას, ანდა, თუ აღარ არსებობს ის ურთიერთობა, რომელსაც აწესრიგებდა კანონი.

4. ზოგადი ხასიათის კანონი არ აუქმებს სპეციალურ კანონს, თუ ამგვარი გაუქმება არ წარმოადგენს კანონმდებლის პირდაპირ მიზანს.

5. იმ კანონის გაუქმება, რომლითაც გაუქმდა ძველი კანონი, არ ნიშნავს ძველი კანონის ამოქმედებას.

I. ზოგადი დებულებები 19
1. მიზანი და გამოყენების სფერო 19
2. კავშირი სხვა ნორმებთან 19
II. ნორმატიული აქტის შესვლა ძალაში (3 I) 19
1. ნორმატიული აქტები 19
2. დადგენილი წესით გამოქვეყნება 20
3. საყოველთაო გაცნობა 20
III. კანონის არცოდნის ან არასათანადოდ გაგების სამართლებრივი შედეგები (3 II) 21
1. შესავალი 21
2. კანონის გამოუყენებლობის დაუშვებლობა 21
3. პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების დაუშვებლობა 21
IV. კანონის გამოცხადება ძალადაკარგულად (3 III) 22
1. ნორმის მიზანი და საგანი 22
2. პირდაპირ მითითება ახალ კანონში 22
3. კოლიზია ძველსა და ახალ კანონს შორის 23
4. ძველი ურთიერთობების მოწესრიგება ახალი კანონით 23
5. ურთიერთობის არარსებობა 24
V. ახალი კანონის გაუქმების შედეგი (3 V) 24

I. ზოგადი დებულებები

1. მიზანი და გამოყენების სფერო

მე-3 მუხლი განსაზღვრავს ნორმატიული აქტების ძალაში შესვლის, გაუქმებისა და კანონის ცოდნის პრეზუმფციის **ზოგად დებულებებს** და მას რაიმე მხოლოდ სამოქალაქო სამართლისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური დანიშნულება და ფუნქცია არ გააჩნია. 1

მე-3 მუხლში მოცემული ნორმები საერთოა მთლიანად სამართლის სისტემისათვის და ისინი შეიცავენ **კანონის დროში მოქმედების უნივერსალურ წესებს.** შესაბამისად, ეს საკითხები უფრო დაწვრილებით არის მოწესრიგებული კანონში ნორმატიული აქტების შესახებ.[1]

კანონის მოქმედება დროში განისაზღვრება კანონის ამოქმედებისა და მისი ძალადაკარგულად აღიარების დროს შორის არსებული დროის მონაკვეთით.[2]

2. კავშირი სხვა ნორმებთან

მე-3 მუხლი განხილულ უნდა იქნეს, ერთი მხრივ, **მე-2, მე-5 და მე-6** მუხლებთან, ხოლო, მეორე მხრივ, ნორმატიული აქტების შესახებ კანონის 22-ე მუხლთან. ეს უკანასკნელი წარმოადგენს სპეციალურ კანონს და სამოქალაქო კოდექსის ნორმებთან კოლიზიის შემთხვევაში უპირატესობა უნდა მიენიჭოს სპეციალურ კანონს, როგორც უფრო გვიან მიღებულ ნორმატიულ აქტს. 2

II. ნორმატიული აქტის შესვლა ძალაში (3 I)

1. ნორმატიული აქტები

ნორმატიული აქტის ლეგალურ დეფინიციას განამტკიცებს ნორმატიული აქტების შესახებ კანონის 2 III მუხლი, რომლის მიხედვითაც ნორმატიული აქტი არის უფლებამოსილი სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღებული (გამოცემული) სამართლებრივი აქტი, რომელიც შეიცავს მისი მუდმივი ან დროებითი და მრავალჯერადი გამოყენების ქცევის ზოგად წესებს. 3

თავის მხრივ ნორმატიული აქტები იყოფა **საკანონმდებლო** და **კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებად** (ნორმატიული აქტების შესახებ კანონის 7 I მუხლი).

1 შდრ. საქართველოს კანონი ნორმატიული აქტების შესახებ, 22-ე მუხლი.
2 *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 59.

2. დადგენილი წესით გამოქვეყნება

4 3 I მუხლის მიხედვით, ნორმატიული აქტები ძალაში შედის მხოლოდ **დადგენილი წესით** ოფიციალურ ორგანოში **გამოქვეყნების** შემდეგ.

ნორმატიული აქტების **გამოქვეყნების დადგენილი წესი** მოცემულია საქართველოს კონსტიტუციის 68-ე და ნორმატიული აქტების შესახებ კანონის 22-ე და 27-ე მუხლებში.

5 **ნორმატიული აქტის ოფიციალურ გამოქვეყნებად** ითვლება მისი სრული ტექსტის **„საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე პირველად განთავსება.** ოფიციალური იურიდიული ძალა აქვს აგრეთვე „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე ელექტრონული ფორმით განთავსებულ სისტემატიზებულ ნორმატიულ აქტებს (ნორმატიული აქტების შესახებ კანონის 26 I მუხლი).

6 საერთო წესის მიხედვით, ნორმატიული აქტები **ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე,** თუ თვით ამ ნორმატიულ აქტებში **ძალაში შესვლის სხვა ვადა** არ არის მითითებული (ნორმატიული აქტების შესახებ კანონის 23 I მუხლი) ანდა მოცემული აქტისათვის არ არის დადგენილი **ძალაში შესვლის სპეციალური ვადა,** მაგალითად, საკანონმდებლო აქტი ძალაში შედის გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს (ნორმატიული აქტების შესახებ კანონის 23 III მუხლი). ჩვეულებრივ, ნორმატიულ აქტში მიეთითება მისი ძალაში შესვლის ვადა, მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის ძალაში შესვლის დრო არის 1997 წლის 25 ნოემბერი (1504).

თუ კანონი ძალაში შედის **გამოქვეყნებისთანავე** – ეს ნიშნავს, რომ ნორმატიული აქტი ძალაში შედის **გამოქვეყნების დღეს 24 საათზე** (ნორმატიული აქტების შესახებ კანონის 22 II მუხლი).

3. საყოველთაო გაცნობა

7 ნორმატიული აქტების გამოქვეყნება, როგორც ნორმატიული აქტის ძალაში შესვლის კონსტიტუციური წინაპირობა, მიზნად ისახავს ამ აქტის მოსახლეობისათვის **საყოველთაოდ გაცნობის უზრუნველყოფას.** დადგენილი წესით ნორმატიული აქტის გამოქვეყნება გულისხმობს, რომ მოცემული აქტი მოსახლეობისათვის უკვე ხელმისაწვდომია.[3]

გარდა ოფიციალური გამოქვეყნებისა, შესაძლებელია ნორმატიული აქტების გამოცემა კერძო გამომცემლობების მიერ. ნორმატიული აქტები განეკუთვნება ისეთ ნაწარმოებთა კატეგორიას, რომლებზეც არ ვრცელდება საავტორო უფლება და ამიტომ მათი ტირაჟირება და გამოცემა დასაშვებია ნებისმიერი გამომცემლობისათვის.

8 საყოველთაო გაცნობისათვის ნორმატიული აქტის გამოქვეყნებასთან დაკავშირებულია **კანონის ცოდნის პრეზუმფცია,** რომელიც მნიშვნელოვან

3 საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ოფიციალურ ტექსტებზე, რომელთაც კანონებიც განეკუთვნება, არ ვრცელდება საავტორო უფლებები.

სამართლებრივ შედეგებს იწვევს (3 II), კერძოდ, ივარაუდება, რომ გამოქვეყნებული კანონი ყველასათვის ხელმისაწვდომია.

III. კანონის არცოდნის ან არასათანადოდ გაგების სამართლებრივი შედეგები (3 II)

1. შესავალი

3 II მუხლი რომის სამართლიდან მომდინარე ორ მნიშვნელოვან პრინციპს განამტკიცებს: პირველი, **კანონის გამოუყენებლობის დაუშვებლობა** და, მეორე, **პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების დაუშვებლობა კანონის არცოდნის** გამო. 9

კანონის ამ ორ პრინციპს **ორი განსხვავებული ადრესატი** ჰყავს: პირველი პრინციპი ეხება **მოსამართლეს,** რომელმაც კანონი უნდა გამოიყენოს, ხოლო მეორე – **კერძო პირს,** რომელმაც არ შეასრულა ნაკისრი ვალდებულება ან სხვაგვარად არამართლზომიერად მიაყენა ზიანი სხვა პირს.

2. კანონის გამოუყენებლობის დაუშვებლობა

კანონის გამოუყენებლობის დაუშვებლობას საფუძვლად უდევს რომის სამართლის პრინციპი **iura novit curia – სასამართლომ იცის კანონი.** უმთავრესად საპროცესო სამართალში გამოყენებადი ეს პრინციპი მოსამართლეს ავალდებულებს კანონის ცოდნას, მაგრამ იმავე ვალდებულებას არ აკისრებს კერძო პირს: მისთვის საკმარისია მოსამართლის წინაშე მხოლოდ ფაქტობრივი გარემოებების შესახებ ინფორმაციის მიწოდება. 10

მოსამართლეს არა აქვს უფლება უარი თქვას კანონის გამოყენებაზე კანონის არცოდნის ან მისი არასათანადოდ გაგების მომიზეზებით. მსგავს აკრძალვას შეიცავს 4 I და II მუხლებიც. მოსამართლე არა მარტო ვალდებულია იცოდეს კანონი, არამედ უნდა გამოიყენოს კიდევაც ეს კანონი. იგი ვალდებულია მოძებნოს დავის გადასაწყვეტად სათანადო კანონი და მისი ნორმა. კანონის გამოუყენებლობა იქნება მოსამართლის მიერ კონსტიტუციური მოვალეობის შეუსრულებლობა. 11

გამონაკლისი ამ ზოგადი წესიდან მოქმედებს სასამართლოს მიერ სხვა ქვეყნის სამართლის გამოყენებისას, რადგან აღიარებული წესის მიხედვით **მოსამართლე არ არის ვალდებული იცოდეს უცხო ქვეყნის სამართალი.** 12

3. პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების დაუშვებლობა

კანონის არცოდნის გამო პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების შესაძლებლობას თანამედროვე სამართალი არ იცნობს. აღნიშნული აკრძალვაც რომის სამართლის პრინციპებს განეკუთვნება – **Ignorantia legis non excusat – კანონის არცოდნა არ ამართლებს.** სხვა სიტყვებით, სამართლის უცოდინრობა ან შეცდომა არ არის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველი. 13

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული პრინციპი უმთავრესად სისხლის ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევების სამართალში გამოიყენება, 3 II მუხლს საფუძვლად დაედო **ავსტრიის ზოგადი სამოქალაქო კოდექსის § 2,** რომლის თანახმად, „კანონის სათანადოდ გამოქვეყნების მომენტიდან არავის არ შეუძლია თავი იმართლოს იმით, რომ კანონი მისთვის უცნობი იყო". მოქმედი კანონის გამოყენება, აღიარებული შეხედულების თანახმად, არ არის ადრესატების მიერ მის ცოდნაზე დამოკიდებული.[4]

14 მართალია, რიგითი მოქალაქე არ არის ვალდებული იცოდეს კანონი, მაგრამ კანონის არცოდნა მას არ ათავისუფლებს **არც ერთი სამოქალაქო-სამართლებრივი ვალდებულების,** მათ შორის სახელშეკრულებო ვალდებულების, შესრულებისაგან.[5]

IV. კანონის გამოცხადება ძალადაკარგულად (3 III)

1. ნორმის მიზანი და საგანი

15 კანონის ამოქმედებასთან ერთად ასევე მნიშვნელოვანია **ძალადაკარგულად კანონის გამოცხადება.** 3 III მუხლი შეიცავს კანონის ძალადაკარგულად გამოცხადების რამდენიმე შემთხვევას, რომლებიც ასევე გათვალისწინებულია ნორმატიული აქტების შესახებ კანონის 25-ე მუხლში.

3 III მუხლის გარდა, სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებით კანონის ძალადაკარგულად გამოცხადების საკითხები კონკრეტულად მოწესრიგებულია **სამოქალაქო კოდექსის გარდამავალ დებულებებში** (1505-1507).

16 3 III მუხლი უთითებს კანონის ძალის დაკარგვის რამდენიმე საფუძველზე: ძველი კანონის გაუქმების შესახებ პირდაპირი მითითება ახალ კანონში, კოლიზია ძველსა და ახალ კანონს შორის, ძველი ურთიერთობის მოწესრიგება ახალი კანონით, მოსაწესრიგებელი ურთიერთობის არარსებობა. ეს ჩამონათვალი არ არის ამომწურავი და მას მხოლოდ საორიენტაციო ფუნქცია აქვს.

2. პირდაპირ მითითება ახალ კანონში

17 სამოქალაქო ნორმების გაუქმების ერთ-ერთი საფუძველია **ახალი კანონის გამოცემა,** რომელიც აუქმებს ძველ კანონს.[6] გაუქმების შესახებ პირდაპირ უნდა იყოს მითითებული ახალ კანონში ან ახალი კანონი უნდა აწესრიგებდეს ძველი კანონით მოწესრიგებულ ურთიერთობას. მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 1505-ე მუხლში ჩამოთვლილია სამოქალაქო კოდექსის ამოქმედების შედეგად გაუქმებული კანონები.

კანონი შეიძლება კონკრეტულად არ შეიცავდეს ძალადაკარგული

4 შდრ. *Koziol/Bydlinski/Bollenberger,* Kurzkommentar zum AGBG, 2. Aufl., 2007, S. 2-3.

5 შდრ. „No man shall, under the pretence of ignorance oft he law, excuse himself from the performance of his obligations": Festschrift für Hans Stoll zum 75. Geburtstag, 2001, S. 105, Fn. 174.

6 შდრ. ნორმატიული აქტების შესახებ კანონის 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ბ ქვეპუნქტს.

კანონების ნუსხას, მაგრამ ზოგადად უთითებდეს **გარკვეული კატეგორიის ნორმატიული აქტების ძალადაკარგულად გამოცხადებაზე.** მაგალითად, 1506 I მუხლი ძალადაკარგულად აცხადებს ყველა კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტს, რომლებიც არ შეესაბამება საქართველოს სამოქალაქო კოდექსს. საკითხი იმის შესახებ, თუ რომელი ნორმატიული აქტი არ შეესაბამება სამოქალაქო კოდექსს, უნდა გადაწყდეს ინტერპრეტაციის საფუძველზე.[7]

3. კოლიზია ძველსა და ახალ კანონს შორის

ძალადაკარგულად კანონის გამოცხადების ერთ-ერთი საფუძველია **კოლიზია ძველსა და ახალ კანონებს შორის.** კერძოდ, თუ ძველი კანონი ეწინააღმდეგება ახალ კანონს, ძველი კანონი მიიჩნევა ძალადაკარგულად. ამ დროს ახალი კანონი არ შეიცავს მითითებას იმაზე, თუ კონკრეტულად რომელი კანონი უნდა გამოცხადდეს ძალადაკარგულად. თვით კოლიზიის ფაქტი ხდება ძველი კანონის გაუქმების საფუძველი. 18

თუ ახალი კანონი ზოგადი ხასიათის კანონია, მისი ამოქმედება **არ იწვევს მოქმედი სპეციალური კანონის გაუქმებას** (3 IV). ამ ნორმის გამოყენებისას პრობლემად რჩება იმ საკითხის გარკვევა, თუ რომელი კანონი უნდა ჩაითვალოს სპეციალურად და რომელი ზოგადად.

ზოგადი ხასიათის კანონი მხოლოდ ერთ შემთხვევაში აუქმებს სპეციალურ კანონს: თუკი სპეციალური კანონის გაუქმება წარმოადგენს **კანონმდებლის პირდაპირ მიზანს** (3 IV). დასაზუსტებელია, თუ როგორ უნდა გამოიხატებოდეს „კანონმდებლის პირდაპირი მიზანი“. თუ ახალი კანონი პირდაპირ უთითებს გასაუქმებელ კანონზე, მაშინ სახეზე იქნება 3 III მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა, მაგალითად, 1505-ე მუხლმა გააუქმა ისეთი სპეციალური კანონები, როგორიც იყო კანონი საკუთრების უფლების შესახებ ან საბინაო კოდექსი. 19

4. ძველი ურთიერთობების მოწესრიგება ახალი კანონით

კანონის ამოქმედებამდე არსებული ურთიერთობების მოწესრიგება ახალი კანონით იწვევს ძველი კანონის გამოცხადებას ძალადაკარგულად. ზოგადი წესის მიხედვით, ახალი კანონი, მათ შორის სამოქალაქო კოდექსი, ვრცელდება მხოლოდ იმ ურთიერთობებზე, რომლებიც წარმოიშობა კანონის (კოდექსის) ამოქმედების შემდეგ (1507 I) და ადრე წარმოშობილ ურთიერთობებზე მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში გავრცელდება. ამიტომ ეს საკითხი კავშირშია კანონის უკუქცევითი ძალის საკითხთან (6). 20

ჩვეულებრივ, ახალი კანონი შეიცავს **მითითებას წარსულში წარმოშობილ ურთიერთობებზე,** რომლებიც უნდა მოაწესრიგოს ახალმა კანონმა, მაგალითად, 1507 III მუხლი.

ახალი კანონი შეიძლება არც შეიცავდეს მითითებას ახალი კანონით მოსაწესრიგებელ, მაგრამ ადრე წარმოშობილ ურთიერთობებზე. ასეთ შემთხ- 21

7 შდრ. ნორმატიული აქტების შესახებ კანონის 25-ე მუხლის მე-6 პუნქტს.

ვევაში ინტერპრეტაციის საფუძველზე უნდა დადგინდეს, იწვევს თუ არა ახალი კანონის მიღება მოქმედი კანონის გაუქმებას.

5. ურთიერთობის არარსებობა

22 კანონი ძალადაკარგულად ითვლება მაშინაც, როცა **აღარ არსებობს კანონით მოსაწესრიგებელი ურთიერთობა,** მიუხედავად იმისა, ძველი კანონი ფორმალურად გაუქმებულია თუ არა. მაგალითად, საკოლმეურნეო ურთიერთობების გაუქმებამ გამოიწვია ყველა იმ საკანონმდებლო აქტის ფაქტობრივი გაუქმება, რომლებიც ამ ურთიერთობებს აწესრიგებდა, მიუხედავად იმისა, ოფიციალურად გაუქმდა ეს აქტები თუ არა.

V. ახალი კანონის გაუქმების შედეგი (3 V)

23 მართალია, ახალი კანონის ძალაში შესვლა იწვევს ძველი კანონის გაუქმებას, მიუხედავად ძალადაკარგულად გამოცხადების კონკრეტული საფუძვლებისა, მაგრამ ახალი კანონის გაუქმება, რაც პრაქტიკაში არ არის იშვიათობა, ავტომატურად არ ხდება ძალადაკარგული კანონის ამოქმედების საფუძველი. მაგალითად, 1997 წლის სამოქალაქო კოდექსის გაუქმება არ გამოიწვევს 1964 წლის საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის კოდექსის ამოქმედებას.

მუხლი 4. სამოქალაქო საქმეების განხილვისას მართლმსაჯულების განხორციელებაზე უარის თქმის დაუშვებლობა

1. სასამართლოს არა აქვს უფლება უარი თქვას სამოქალაქო საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელებაზე იმ შემთხვევაშიც, თუ სამართლის ნორმა არ არსებობს, ან იგი ბუნდოვანია.

2. სასამართლოს არა აქვს უფლება უარი თქვას კანონის გამოყენებაზე იმ მოტივით, რომ მას კანონის ნორმა უსამართლოდ ან არაზნეობრივად მიაჩნია.

I. ზოგადი დებულებები 25
1. ნორმის მიზანი და ფუნქცია 25
2. ნორმის ადრესატები 26
II. მართლმსაჯულების განხორციელებაზე უარის დაუშვებლობა (4 I) 26
1. ცნება და მნიშვნელობა 26
2. ნორმის არარსებობა 27
3. ნორმის ბუნდოვნობა 27
III. კანონის გამოყენების ვალდებულება (4 II) 28
1. ცნება და მნიშვნელობა 28
2. კანონის კონსტიტუციურობის შემოწმება 28
3. კანონის ნორმის უსამართლობა ან არაზნეობრიობა 29

I. ზოგადი დებულებები

1. ნორმის მიზანი და ფუნქცია

თავისი ბუნებით მე-4 მუხლის ნორმა **საპროცესო-სამართლებრივია** და სამოქალაქო საქმეების განხილვისას მოსამართლის მოქმედების პრინციპებს განამტკიცებს. მიუხედავად ამისა, მსგავსი ნორმები ზოგიერთი ქვეყნის სამოქალაქო კოდექსებშიცაა განმტკიცებული, მაგალითად, საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის მე-4 მუხლი, რომლის მიხედვითაც შემუშავდა ქართული ნორმაც.[1] **1**

ნორმის მიზანია **სამოქალაქო საქმეებზე მართლმსაჯულების უწყვეტად ფუნქციონირების უზრუნველყოფა** საკანონმდებლო ხარვეზების არსებობის მიუხედავად. საერთო სამართლის ქვეყნების გამოცდილება ადასტურებს მართლმსაჯულების ფუნქციონირებას კანონების არსებობის გარეშეც.[2]

მიუხედავად მე-4 მუხლის საპროცესო-სამართლებრივი ბუნებისა, ის განამტკიცებს **მართლმსაჯულების განხორციელების მატერიალურ-სამართლებრივ ასპექტს.** კერძოდ, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არარსე- **2**

1 „მოსამართლე, რომელიც უარს იტყვის საქმის განხილვაზე კანონის ხარვეზის, მისი ბუნდოვნობის ან არასაკმარისობის საბაბით, შეიძლება მიჩნეულ იქნეს ბრალეულად მართლმსაჯულების განხორციელებაზე უარის თქმაში“: Французский гражданский кодекс: учебно-практический комментарий. - Москва.: Проспект, 2008 г.

2 შდრ. *Schnitzer,* Vergleichende Rechtslehre, Bd. II, 2. Aufl., 1961, S. 443.

ბობა ან მისი ბუნდოვანება არ წარმოადგენს სასამართლოში შემოსული დავის განუხილველად დატოვების საფუძველს. განსახილველი დავის განუხილველად დატოვების საპროცესოსამართლებრივ წინაპირობებს ითვალისწინებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი (185-187).

სამართლებრივი პოლიტიკის თვალსაზრისით მე-4 მუხლი მნიშვნელოვან დებულებას შეიცავს და სამართლებრივი სახელმწიფოსა და სამართლებრივი სტაბილურობის ერთ-ერთ სამართლებრივ გარანტიას განამტკიცებს: საკანონმდებლო ხარვეზებისა და კანონშემოქმედების დონის მიუხედავად, სამოქალაქო საქმეებზე მართლმსაჯულება უწყვეტად უნდა განხორციელდეს.

2. ნორმის ადრესატები

3 მე-4 მუხლში განმტკიცებული ვალდებულების სუბიექტს წარმოადგენს **მოსამართლე.** ნორმა ეხება სამოქალაქო საქმეების განმხილველი ყველა ინსტანციის სასამართლოს, მიუხედავად იმისა, საქმის განხილვა ხორციელდება ერთპიროვნულად თუ კოლეგიურად.

4 მე-4 მუხლის თანახმად, მოსამართლედ არ უნდა იქნეს მიჩნეული **საარბიტრაჟო სასამართლოს არბიტრი,** რადგან საარბიტრაჟო სასამართლოები კერძო ავტონომიისა და სახელშეკრულებო თავისუფლების საფუძველზე იქმნება და მათი ფუნქცია არ არის სახელმწიფო მართლმსაჯულების განხორციელება.[3] ისინი დავის გადაწყვეტის ვალდებულებას ხელშეკრულების, ე.წ. **საარბიტრაჟო შეთანხმების** საფუძველზე კისრულობენ და კონსტიტუციით გათვალისწინებული მართლმსაჯულების განხორციელების ვალდებულება მათ არ ეკისრებათ.[4]

5 მოსამართლის მიერ კანონის გამოყენება ყველა შემთხვევისათვის ერთდროულად წარმოადგენს როგორც მის **უფლებას,** ისე **მოვალეობას**.[5] იმავდროულად, მოსამართლემ უნდა იცოდეს გამოსაყენებელი კანონი (მე-3 მუხლის კომენტარი).

II. მართლმსაჯულების განხორციელებაზე უარის დაუშვებლობა (4 I)

1. ცნება და მნიშვნელობა

6 კონტინენტური ევროპის სამართლის ტრადიციის შესაბამისად, მოსამართლე **გადაწყვეტილებას იღებს კონკრეტული კანონის საფუძველზე.** გადაწყვეტილებაში მოსამართლე უთითებს არა მარტო კონკრეტულ კანონს ან მის ნორმას, არამედ ასაბუთებს მოცემული ნორმის გამოყენების მიზანშეწონილობასა და აუცილებლობას, მის საფუძველზე ახდენს ფაქტობრივი

3 *ცერცვაძე,* საერთაშორისო არბიტრაჟი, 2008, გვ. 30-33.

4 *ჭანტურია,* კერძო მართლმსაჯულება – სახელმწიფო მართლმსაჯულების კონკურენტი თუ მისი რაციონალური დამატება, დავით ფურცელაძე 110, საიუბილეო კრებული, სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები. 2012, გვ. 635-647.

5 *ჭანტურია,* შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, 2011, გვ. 107.

გარემოებების იურიდიულ შეფასებას.[6] პრობლემა წარმოიშობა კონკრეტული დავის გადასაწყვეტი კანონის ნორმის არარსებობის ან ბუნდოვნობის შემთხვევაში.

კანონის ნორმის არარსებობის მოტივით **საქმის განუხილველად დატოვების შესაძლებლობას** სამოქალაქო კოდექსი არ ითვალისწინებს.[7] ე.წ. **მართლმსაჯულების გაკოტრებას**[8] სამოქალაქო კოდექსი არ უშვებს. მე-4 მუხლის თანახმად, კონკრეტულ საქმეზე მოსამართლემ გადაწყვეტილება მაშინაც უნდა მიიღოს, როცა არ არსებობს შესაბამისი კანონი. ამ ამოცანის განხორციელებას ემსახურება მისთვის კანონისა და სამართლის ანალოგიის ინსტრუმენტების მიცემა (5).

მართლმსაჯულების განხორციელებაზე შესაძლო უარის ორ შესაძლო საფუძველს ითვალისწინებს 4 I მუხლი: შესაბამისი **ნორმის არარსებობა** და **ნორმის ბუნდოვნობა**. **7**

2. ნორმის არარსებობა

4 I მუხლის შესაძლო გამოყენების ერთ-ერთი წინაპირობა არის **კანონის ხარვეზი,** ე.ი. კანონის ნორმის არარსებობა, რაც მოსამართლეს აძლევს არა მართლმსაჯულების განხორციელებაზე უარის უფლებას, არამედ აკისრებს მას **ხარვეზის შევსების ვალდებულებას.**[9] **8**

კანონის შესაბამისი ნორმის არარსებობის შემთხვევაში წარმოიშობა ანალოგიური კანონის **(კანონის ანალოგია)** გამოყენების ვალდებულება (5 I). ანალოგიური ნორმის არარსებობა საფუძველი ხდება **სამართლის ანალოგიის** გამოყენებისათვის (5 II).

შესაბამისი მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არარსებობა მოსამართლეს არც ერთ შემთხვევაში არ აძლევს დავის ღიად დატოვების უფლებას.

3. ნორმის ბუნდოვნობა

არც **მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის ბუნდოვნობის** შემთხვევაში თავისუფლდება მოსამართლე დავის გადაწყვეტის ვალდებულებისაგან. კანონის ბუნდოვანი ადგილები კანონის განმარტების საფუძველზე უნდა დაზუსტდეს და ეს არ აძლევს მოსამართლეს მართლმსაჯულების განხორციელებაზე უარის უფლებას. **9**

კანონის ხარვეზის შევსება შეადგენს მოსამართლის ამოცანას, რასაც იგი ნორმის განმარტებისა და სამოსამართლო სამართლის ნორმების ჩამოყალიბების საფუძველზე ქმნის.[10] კანონის ნორმის გამოყენებისას მოსამარ-

6 *ლილუაშვილი/ხრუსტალი,* საქართველოს სამოქალაქო-საპროცესო კოდექსის კომენტარი, 2007. მუხ. 249, გვ. 442.

7 *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 66.

8 შდრ. *Schnitzer,* Vergleichende Rechtslehre, Bd. II, S. 448.

9 *ჯორბენაძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 4, გვ. 33.

10 *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 69. შდრ. *Staudinger/Coing/Hon-*

თლე ფაქტობრივად ახორციელებს კანონის განმარტებას, აზუსტებს მის ცალკეულ დებულებებს და ა.შ.

III. კანონის გამოყენების ვალდებულება (4 II)

1. ცნება და მნიშვნელობა

10 მოქმედი კანონების ცოდნის გარდა (3), ძალაში მყოფი კანონის გამოყენება მოსამართლის კონსტიტუციური მოვალეობაა.

ყოველი კონკრეტული დავა მოსამართლემ კანონის კონკრეტული ნორმის საფუძველზე უნდა გადაწყვიტოს. მოსამართლის ვალდებულებაა დავის მონაწილეთა **მოთხოვნების სამართლებრივი საფუძვლის მოძებნა.**[11] კოდექსის ყველა ნორმა არ შეიცავს მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს.[12] ამიტომ მოსამართლის გადასაწყვეტია, თუ რომელი ნორმის საფუძველზე უნდა გადაწყდეს დავა. მოთხოვნის საფუძვლის სწორად შერჩევა მოსამართლის უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა.[13]

აღიარებული შეხედულების თანახმად, რომელსაც მე-4 მუხლიც იზიარებს, „მოსამართლე ვალდებულია, მასთან მისული ყველა სადავო საკითხი კანონიდან გამომდინარე გადაწყვიტოს. მას არა აქვს უფლება უარი თქვას დავის გადაწყვეტაზე“.[14] მოსამართლემ დავა უნდა გადაწყვიტოს ზუსტი საკანონმდებლო რეგულირების არსებობის მიუხედავად.[15]

2. კანონის კონსტიტუციურობის შემოწმება

11 მოსამართლეს უფლება აქვს საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართოს კანონის **კონსტიტუციურობის,** ე.ი. კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხის შესამოწმებლად და შეაჩეროს საქმისწარმოება.[16] საკონსტიტუციო სასამართლოსათვის **კონსტიტუციური წარდგინებით** მიმართვის ფორმას და წესს განსაზღვრავს კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“.[17]

საკონსტიტუციო სასამართლოში კანონის ნორმის კონსტიტუციურობის შესამოწმებლად მიმართვა მართლმსაჯულების განხორციელების ნაწილია და ეს არ წარმოადგენს უარს მართლმსაჯულების განხორციელებაზე.

---

sell, Einl. I zum BGB, 2004, Rn. 124.

11 *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 130-132.

12 შდრ. *ბიოლინგი/ლუტრინგჰაუსი*, სკ-ის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, გვ. 105-137.

13 *ჩაჩავა*, მოთხოვნებისა და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია, 2011, გვ. 18.

14 შდრ. *Staudinger/Coing/Honsell*, Einl. I zum BGB, 2004, Rn. 121.

15 *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 68.

16 საქართველოს სამოქალაქო-საპროცესო კოდექსის 6 II მუხლი.

17 საქმისწარმოების შეჩერებისა და კონსტიტუციური წარდგინების მიმართვის პროცედურის შესახებ იხ. *ლილუაშვილი/ხრუსტალი*, საქართველოს სამოქალაქო-საპროცესო კოდექსის კომენტარი, მუხ. 6, გვ. 12-13.

3. კანონის ნორმის უსამართლობა ან არაზნეობრიობა

12 სამართლიანობის ან ამორალურობის მოტივით კანონის გამოყენებაზე უარის უფლება მოსამართლეს არა აქვს. მოსამართლის ამოცანა არ არის **კანონის სამართლიანობის ან ზნეობრიობის შეფასება.** იმ შემთხვევაშიც, როცა კანონი, მოსამართლის აზრით, უსამართლოა ან მორალის ნორმებთან შეუსაბამო, ის ვალდებულია გამოიყენოს ეს კანონი.

თუ კანონი იმდენად უსამართლო და ამორალურია, რომ საეჭვოა მისი შესაბამისობა კონსტიტუციით გათვალისწინებულ ძირითად უფლებებთან, მაშინ მოსამართლეს აქვს საკონსტიტუციო სასამართლოში საკონსტიტუციო წარდგინებით მიმართვის უფლება.

მუხლი 5. კანონისა და სამართლის ანალოგია

1. კანონში პირდაპირ გაუთვალისწინებელი ურთიერთობის მოსაწესრიგებლად გამოიყენება ყველაზე უფრო მსგავსი ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლის ნორმა (კანონის ანალოგია).

2. თუ კანონის ანალოგიის გამოყენება შეუძლებელია, ურთიერთობა უნდა მოწესრიგდეს სამართლის ზოგადი პრინციპების საფუძველზე, აგრეთვე სამართლიანობის, კეთილსინდისიერებისა და ზნეობის მოთხოვნების შესაბამისად (სამართლის ანალოგია).

3. სპეციალური ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმები (საგამონაკლისო ნორმები) არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ანალოგიით.

I. ზოგადი დებულებანი 30
1. მიზანი და გამოყენების სფერო 30
2. ცნებები 31
II. გამოყენების წინაპირობები 31
1. კანონის ანალოგიის 31
2. სამართლის ანალოგიის 32
III. ანალოგიის გამოყენების დაუშვებლობა 32
1. საგამონაკლისო ნორმები 32
2. სასამართლო პრაქტიკა 32

I. ზოგადი დებულებანი

1. მიზანი და გამოყენების სფერო

1 მე-5 მუხლის მიზანი არის მოსამართლისათვის მე-4 მუხლით დაკისრებული **კანონის გამოყენებისა** და **მართლმსაჯულების განხორციელების ვალდებულების** შესასრულებლად აუცილებელი სამართლებრივი ინსტრუმენტების მიცემა. **კანონისა** და **სამართლის ანალოგი**ა კანონის გამოყენების შესაძლებლობას იძლევა მაშინაც, როცა კანონი ხარვეზს შეიცავს ან მოსაწესრიგებელ შემთხვევას პირდაპირ არ ითვალისწინებს.

2 **კანონის ხარვეზი** კანონის საკანონმდებლო პროცესის ბუნებრივ თანამდევ მოვლენად[1] ანდა სამართლის განვითარებისათვის აუცილებელ წინაპირობად[2] ითვლება. ურთიერთობის მომწესრიგებელი კონკრეტული ნორმის არარსებობისას მე-5 მუხლი მოსამართლეს ანალოგიური ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმის გამოყენების უფლებას აძლევს.

3 **ანალოგია** გამოიყენება მხოლოდ მაშინ, როცა კონკრეტული ურთიერთობის მოსაწესრიგებელი ნორმა გამოსაყენებელ კანონში არ არის. შესაბამისად, მოსამართლე უნდა დარწმუნდეს ასეთი ნორმის არარსებობაში. კანონის ხარვეზი ობიექტურად უნდა არსებობდეს. კანონის ნორმის არცოდ-

1 *MüKo/Säcker,* BGB, 4. Aufl., 2001, Rn. 61.
2 *Knieper, Gesetz* und Geschichte, 1996, S. 139-141.

ნა არ აძლევს მოსამართლეს ანალოგიით სხვა ნორმის გამოყენების უფლებას. უზენაესი სასამართლოს აზრით, კანონის ანალოგიით ყველაზე უფრო მსგავსი ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმა გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუ სასამართლო დარწმუნდება იმაში, რომ კანონში პირდაპირ არ არის გათვალისწინებული მოსაწესრიგებელი ურთიერთობა.[3]

ანალოგიის ადრესატი არის მოსამართლე. მხოლოდ მას შეუძლია სა- **4**
მართალგამოყენების ამ მეთოდით სარგებლობა. ამ გაგებით მე-5 მუხლი შეიცავს **მოსამართლის ქცევის სტანდარტს.**[4] სხვა თანამდებობის პირს ან სახელმწიფო ორგანოს წარმომადგენელს უფლება არა აქვს გამოიყენოს კანონის ან სამართლის ანალოგია.

ანალოგიად არ მიიჩნევა შემთხვევა, როცა კანონი შეიცავს მითითებას **5**
სხვა ნორმაზე და ამ ნორმის გამოყენებაზე. მაგალითად, 138-ე მუხლი მიუთითებს 139-ე და 140-ე მუხლების გამოყენებაზე.

2. ცნებები

მე-5 მუხლი ერთმანეთისაგან განასხვავებს კანონისა და სამართლის ანა- **6**
ლოგიას. მათ ლეგალურ დეფინიციას შეიცავს როგორც სამოქალაქო კოდექსი, ისე საქართველოს კანონი ნორმატიული აქტების შესახებ (მე-5 მუხლი).

კანონის ანალოგიად მიიჩნევა „კანონში პირდაპირ გაუთვალისწინებელ შემთხვევაში“ ყველაზე უფრო მსგავსი ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლის ნორმის გამოყენება (5 I).

სამართლის ანალოგია გამოიყენება კანონის ანალოგიის, ე.ი. მსგავსი ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლის ნორმის არარსებობის შემთხვევაში და გულისხმობს ურთიერთობის მოწესრიგებას **სამართლის ზოგადი პრინციპების** საფუძველზე (5 II).

II. გამოყენების წინაპირობები

1. კანონის ანალოგიის

აღიარებული შეხედულების თანახმად, ანალოგიის გამოყენების წინაპირო- **7**
ბა არის კანონის ე.წ. **დაუგეგმავი**, ე.ი. **წინასწარ გაუთვალისწინებელი არასრულყოფილება.**[5] იმ შემთხვევებში, როცა კანონმდებელს ურთიერთობა მოწესრიგების გარეშე შეგნებულად აქვს დატოვებული, კანონის ანალოგია არ გამოიყენება. ამიტომ უნდა შემოწმდეს, დაგეგმილ ხარვეზთან გვაქვს საქმე თუ არა.

ანალოგიის წესით შეიძლება **მხოლოდ ძალაში არსებული ნორმის** გამოყენება. ძალადაკარგული კანონის ნორმების გამოყენება ანალოგიით დაუშვებელია,[6]

3 საქ. უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 16 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-321-306-2013.

4 *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, გვ. 64.

5 *Coing/Honsell* in Staudinger BGB, Eckpfeiler des Zivilrechts, B. Einleitung, 2010, Rn. 61.

6 შდრ. *Larenz/Wolf,* AT, §4, Rn. 80.

თუნდაც ძალადაკარგული კანონის ნორმა სრულყოფილად აწესრიგებდეს ამ ურთიერთობებს.

ანალოგიური ნორმა შეიძლება იყოს **ერთი ან რამდენიმე**. ამიტომ მოსამართლის მიზანშეწონილობაზეა დამოკიდებული, თუ რომელ ნორმას გამოიყენებს ანალოგიით. მიუხედავად ამისა, ყოველი ნორმა „ყველაზე უფრო მსგავს ურთიერთობას“ უნდა აწესრიგებდეს.

8 ნორმა ანალოგიურია თუ არა, უნდა გადაწყდეს ნორმის განმარტების საფუძველზე. აქედან გამომდინარე, **განმარტება** და **ანალოგია** სამართლის მეთოდოლოგიის ცენტრალური ინსტიტუტებია.[7] ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ კანონისა და სამართლის ანალოგიის საკითხების განხილვა, როგორც წესი, ხდება ნორმათა განმარტების მეთოდებისა და სახეების განხილვის პარალელურად.[8]

კანონის ანალოგიის წესით ანალოგიური ნორმის გამოყენებისას მნიშვნელოვანია **კანონის მიზნის განსაზღვრა,** რადგან სწორედ კანონის მიზანი იძლევა პასუხს კითხვაზე, შეიძლება თუ არა მოსაწესრიგებელი ურთიერთობის მიმართ ანალოგიური ნორმის გამოყენება.

2. სამართლის ანალოგიის

9 კანონის ანალოგიისაგან განსხვავებით, სამართლის ანალოგიის გამოყენება უფრო რთულია, რადგან მოსამართლეს ამ დროს დავის გადაწყვეტა უწევს არა კონკრეტული, თუნდაც ანალოგიური ნორმის საფუძველზე, არამედ **სამართლის ზოგადი პრინციპების საფუძველზე,** რომლებიც უნდა შეესაბამებოდეს **სამართლიანობის, კეთილსინდისიერებისა და ზნეობის მოთხოვნებს.**

სამართლის ანალოგიის გამოყენების არსებითი წინაპირობაა კანონის კონკრეტული ნორმის არარსებობა, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნებოდა დავის გადაწყვეტა.

10 სამართლის ანალოგიის სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ მოსამართლეს უწევს აბსტრაქტული ცნებებითა და კატეგორიებით ოპერირება. სამართლის ზოგად პრინციპებთან ერთად, დაკონკრეტებას მოითხოვს **სამართლიანობის, კეთილსინდისიერებისა და ზნეობის ცნებებიც.**

III. ანალოგიის გამოყენების დაუშვებლობა

1. საგამონაკლისო ნორმები

11 **სპეციალური ურთიერთობების მომწესრიგებელ ნორმებს** სამოქალაქო კოდექსი **საგამონაკლისო ნორმებს** უწოდებს (5 III) და მათი გამოყენება ანალოგიის წესით დაუშვებელია. თუმცა დაზუსტებას საჭიროებს თვითონ სპეციალური ურთიერთობებისა და მათი მომწესრიგებელი ნორმების ცნება.

7 *Coing/Honsell* in Staudinger BGB, Eckpfeiler des Zivilrechts, B. Einleitung, 2010, Rn. 61.

8 მაგ., *თუმანიშვილი,* შესავალი საქართველოს კერძო სამართალში, 2012, გვ. 23-29.

ჩვეულებრივ, ასეთი ნორმები კანონმდებლის მიერ ექსკლუზიურად მიიღება და კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგებას ისახავს მიზნად.[9]

ლიტერატურაში გაკრიტიკებულია კანონმდებლის ასეთი მკაცრი მიდგომა საგამონაკლისო ნორმების ანალოგიით გამოყენების აკრძალვის მიმართ. ამ მოსაზრების მიხედვით, მოსამართლის გადასაწყვეტი უნდა იყოს ანალოგიით ნებისმიერი ნორმის გამოყენების საკითხი.[10]

საგამონაკლისო ნორმის მაგალითად უთითებენ 624-ე მუხლს, რომლის მიხედვით სესხის ხელშეკრულების ნამდვილობა წერილობითი ფორმის არარსებობისას არ შეიძლება მხოლოდ მოწმეთა ჩვენებით დადგინდეს. ამ წესის გამოყენება სხვა ხელშეკრულებების მიმართ არ შეიძლება.[11]

2. სასამართლო პრაქტიკა

სასამართლო პრაქტიკა ხშირად აწყდება საგამონაკლისო ნორმების გან- **12**
მარტებისა და მათი კვალიფიკაციის საკითხებს.

შრომის-სამართლებრივი კონტრაქტის მიმართ სამოქალაქო კოდექსის **13**
ნორმების გამოყენების საკითხზე უზენაესმა სასამართლომ შემდეგი განმარტება გააკეთა: „სპეციალური ხასიათის ნორმა, რომელიც სპეციალურ სუბიექტთა ურთიერთობას აწესრიგებს, არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვა სპეციალური ურთიერთობის მოსაწესრიგებლად ანალოგიის სახით, ხოლო, რაც შეეხება ზოგად ნორმებს, რომლებიც კერძოსამართლებრივი ურთიერთობის სივრცეში ზოგადი ხასიათის დებულებებს შეიცავს, ისინი გამოყენებულ უნდა იქნეს სპეციალური ურთიერთობების მოწესრიგების დროს, თუ აღნიშნული ურთიერთობების მოწესრიგებას სპეციალური კანონი არ ითვალისწინებს“.[12]

უზენაესმა სასამართლომ 832-ე მუხლით გათვალისწინებული ე.წ. სუბ- **14**
როგაციის წესი[13] დაახასიათა როგორც საგამონაკლისო ხასიათის ნორმა, რომელიც სპეციალურ ურთიერთობებს არეგულირებს და დაუშვებლად მიიჩნია მისი გამოყენება პირადი დაზღვევის მიმართ ანალოგიის წესით რეგრესული მოთხოვნის დასასაბუთებლად.[14]

საგამონაკლისო ნორმად ჩათვალა უზენაესმა სასამართლომ მეწარმეთა **15**
შესახებ კანონის 32-ე მუხლი, რომელიც აწესრიგებს სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებასა და მის პარტნიორებს შორის ურთიერთობას, და დაუშვებლად მიიჩნია ანალოგიის წესით მისი გამოყენება შპს-ასა და მის

9 *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, გვ. 63.
10 *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, გვ. 63.
11 *პეპანაშვილი,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, თბილისი, 2014, გვ. 106.
12 სუსგ სამოქ. 1/2008, გვ. 21.
13 დაწვრილებით იხ. *მოწონელიძე,* სუბროგაცია როგორც მზღვეველის მოთხოვნის დაკმაყოფილების საშუალება, 2015, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.
14 საქ. უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 17 თებერვლის №ას-663-624-2011 განჩინება, გვ. 72: http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/kr201211.pdf

პარტნიორებს შორის ურთიერთობაზე.[15]

16 უზენაესმა სასამართლომ სპეციალურ საგამონაკლისო ნორმად ჩათვალა 274 IV მუხლი და გირავნობა შეწყვეტილად არ მიიჩნია განაჩენის საფუძველზე სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადასულ გირავნობით დატვირთულ ავტომანქანაზე.[16]

ანალოგიის წესით დაუშვებელია ვადებთან დაკავშირებით საპროცესო ნორმის გამოყენება მატერიალურ სამართალში, – აღნიშნა უზენაესმა სასამართლომ სამოქალაქო-საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლის ანალოგიით გამოყენების საკითხის შემოწმებისას.[17]

15 საქ. უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-771-732-2013.

16 საქ. უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-743-699-2012.

17 საქ. უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 1 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1595-1498-2012.

მუხლი 6. სამოქალაქო კანონთა უკუქცევითი ძალა

კანონებსა და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს არა აქვთ უკუქცევითი ძალა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს პირდაპირ არის კანონით გათვალისწინებული. არ შეიძლება კანონს მიეცეს უკუქცევითი ძალა, თუ იგი ზიანის მომტანია ან აუარესებს პირის მდგომარეობას.

I. ნორმის არსი და დანიშნულება კოდექსში 35
II. უკუძალის სახეები 35
1. ნამდვილი (რეტროაქტიური) უკუძალა 36
2. არანამდვილი (რეტროსპექტული) უკუძალა 38

I. ნორმის არსი და დანიშნულება კოდექსში

1 მე-6 მუხლში დარეგულირებული კანონის უკუძალის აკრძალვა ნორმატიული აქტების შესახებ კანონის 24-ე მუხლის შინაარსის მსგავსია და კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტში დარეგულირებული უკუძალის ზოგადი სახის აკრძალვის გაგრძელება. მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციაში დარეგულირებული უკუძალის აკრძალვა თანაბრად მოქმედებს სამართლის ყველა სფეროში, კანონმდებელმა მაინც ჩათვალა საჭიროდ სამოქალაქო კოდექსში დაეზუსტებინა ნორმის უკუძალის დასაშვებობის/დაუშვებლობის კონკრეტული წესი.

2 აღსანიშნავია, რომ ნორმატიული აქტების შესახებ კანონის 24-ე მუხლი უფრო მეტად მორგებულია სისხლის სამართალზე[1] და მას ნაკლები დატვირთვა აქვს სამოქალაქო სამართალში. კერძოდ, 24 II მუხლის ფორმულირება „ნორმატიულ აქტს, რომელიც ადგენს ან ამძიმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს“ – სისხლისსამართლებრივი ხასიათისაა. შესაბამისად, მე-6 მუხლის მე-2 წინადადების ფორმულირება – „თუ იგი ზიანის მომტანია ან აუარესებს პირის მდგომარეობას“ – ითვალისწინებს სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის ხასიათს. კანონმდებლის მიზანი მე-6 მუხლის დანაწესის შემოღებით არის უკუძალის აკრძალვისა და დასაშვებობის ზოგადი წესის შემოტანა სამოქალაქო სამართალში. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სისხლის სამართალში უკუძალის აბსოლუტური აკრძალვა არ ვრცელდება ზოგადად მთელ სამართლებრივ სისტემაზე.[2] ამასთანავე, ნორმის უკუძალის დაშვება ყოველთვის არ ეწინააღმდეგება კონსტიტუციას (მათ შორის სისხლის სამართალშიც[3]).

II. უკუძალის სახეები

3 მე-6 მუხლის 1-ლი წინადადება განსაზღვრას უკუძალის დასაშვებობის ან დაუშვებლობის აუცილებელ პირობას: **კანონში (ან განმარტებით ბარათ-**

1 სისხლის სამართალში უკუძალის მოქმედებასთან დაკავშირებით იხ. *ტურავა*, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, 2013, გვ. 558 და შემდგ. მუხლები.
2 *შვაბე*, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, გვ. 335.
3 *ტურავა*, იქვე.

ში, რომელიც თან ერთვის კანონს) პირდაპირ უნდა იყოს მითითებული შეტანილი ცვლილება მოქმედებს თუ არა წარსულში დასრულებულ ან მიმდინარე ურთიერთობებზე. მაგალითად: 2013 წლის 12 დეკემბრის კანონში სამოქალაქო კოდექსში ცვლილებების თაობაზე, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა ფიზიკურ პირებს შორის გაფორმებული იპოთეკის ხელშეკრულებისა და იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის კრედიტორის (იპოთეკარის) საკუთრებაში გადასვლის სხვაგვარი წესი, მითითებულია, რომ „ამ კანონის ამოქმედება არ გამოიწვევს მის ამოქმედებამდე დადებული ხელშეკრულებების პირობების გადახედვას“. თუ მოცემული იქნებოდა საპირისპირო ფორმულირება და კანონმდებელი მიუთითებდა, რომ „კანონში შეტანილი ცვლილებები ვრცელდება დასრულებულ ან მიმდინარე ურთიერთობებზე და იწვევს ხელშეკრულებების გადახედვას“, მაშინ კანონშემფარდებელს ყოველ ცალკეულ შემთხვევაში მოუწევდა შეფასება – განხორციელებული ცვლილება **ხომ არ იქნებოდა ზიანის მომტანი ან ხომ არ გააუარესებდა პირის მდგომარეობას.**[4] როგორც ვხედავთ, კანონმდებელი კანონის უკუძალის დასაშვებობის შესამოწმებლად აწესებს ორ საფეხურს: 1. უკუძალის შესახებ დათქმა უნდა იყოს მითითებული კანონში და 2. კანონის უკუძალა არ უნდა ამძიმებდეს პირის მდგომარეობას. „დამამძიმებელი კანონი არ არის მხოლოდ ისეთი კანონი, რომელიც ითვალისწინებს რაიმე სახის გადასახადს ან რაიმეს აკრძალვას, არამედ აქ იგულისხმება ყველა მოქმედი ნორმა, რომელიც აუარესებს პირის/პირთა სამართლებრივ მდგომარეობასა და პოზიციას“.[5] თუმცა, სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში ყოველთვის რთულია შეფასდეს რამდენად უარესდება პირის მდგომარეობა ან რამდენად ადგება მას ზიანი, ვინაიდან სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობაში ყოველთვის ორი მხარეა და კანონის ცვლილებით ერთის მდგომარეობა შესაძლოა უმჯობესდებოდეს, ხოლო მეორის უარესდებოდეს.[6]

4 იმისდა მიხედვით, თუ როგორი სახით ეხება კანონი წარსულში დასრულებულ ურთიერთობას ან წარსულში დაწყებულ და მიმდინარე ურთიერთობას, ერთმანეთისაგან განასხვავებენ **ნამდვილ (რეტროაქტიურ)** და **არანამდვილ (რეტროსპექტულ) უკუძალას.**

1. ნამდვილი (რეტროაქტიური) უკუძალა

5 „ნამდვილი (რეტროაქტიური) უკუძალა სახეზეა, როდესაც კანონი მოგვიანებით, ანუ გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, ახორციელებს წარსულში მოწესრიგებული, ამოწურული და რეალიზებული ფაქტობრივი ელემენტების ცვლილებას და ამით იჭრება მათ სფეროში“.[7] ნამდვილი უკუძალის მქონე კანონების არაკონსტიტუციურობა გამომდინარეობს კონსტიტუციით გარანტირებული თავისუფლების ფუნდამენტური უფლებებისა და სამართლებრი-

4 *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 61.
5 *შვაბე,* იქვე.
6 *კერესელიძე,* ქართული სამართლის მიმოხილვა 7/2004-1, გვ. 20.
7 *შვაბე,* გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, გვ. 335.

ვი სახელმწიფოს პრინციპიდან.[8] უკუძალის აკრძალვის საფუძველი უკავშირდება სამართლიანი სახელმწიფოს იდეას, რამეთუ კანონისმიერი ნდობის პრინციპი, ამასთანავე, გულისხმობს კანონების სტაბილურად არსებობის პრინციპსაც: მას, ვისაც კანონი ეხება, უფლება აქვს ჰქონდეს მოლოდინი, რომ დარღვეული უფლება დარღვევის მომენტში არსებული კანონით გადაწყდება. სამოქალაქო ურთიერთობაში მონაწილე პირებს უნდა ჰქონდეთ კანონიერი ნდობა მოქმედი ნორმების მიმართ, რაც გულისხმობს იმას, რომ დღეს განხორციელებული მოქმედება მომავალში მიღებული კანონით არ იქნება გადაწყვეტილი. შესაბამისად, სამართლებრივი მდგომარეობის გამაუარესებელი კანონები, რომლებიც უკუქცევითი ძალით აწესრიგებენ უკვე ამოწურულ გარემოებებს, როგორც წესი, არ შეესაბამება სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს, რომლის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია სამართლებრივი სტაბილურობა, რაც, პირველ რიგში, ცალკეული მოქალაქის ნდობის დაცვას გულისხმობს[9], ნდობაში კი იგულისხმება ის, რომ აღიარებული, უცვლელი დარჩება უკვე ამოწურულ ფაქტობრივ ელემენტებსა და გარემოებებთან დაკავშირებული სამართლებრივი შედეგები[10] (მაგ., კანონმდებელი, როგორც წესი, არღვევს სამართლებრივ სტაბილურობას, როდესაც ის გადასახადის გადახდის წესსა და ოდენობას გადამხდელის საზიანოდ უკუქცევითი ძალით ცვლის). დაცულია სამართალსუბიექტის ნდობა კანონის და არა სამართლებრივი მდგომარეობის მიმართ, რომელიც კანონის შეფარდებით (დადგენილი პრაქტიკით) წარმოიქმნება.[11]

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, ნამდვილი უკუძალა ძირითად შემთხვევებში სრულად დაუშვებელია. შესაძლებელია მხოლოდ რამდენიმე შემთხვევის გამოყოფა, როდესაც მისი დასაშვებობა შეიძლება გამართლებული იყოს:[12] **1. მოსალოდნელი იყო კანონის შეცვლა** და ახალი რეგულირების შემოღება,[13] ანუ მაშინ, როდესაც დადგა კანონით გათვალისწინებული შესაბამისი სამართლებრივი შედეგი, მოსალოდნელი იყო ახალი ნორმის მიღება (მაგ., მანამდე არსებული მყარად დადგენილი სასამართლო პრაქტიკის კოდიფიცირება). ამ შემთხვევაში მხოლოდ საკანონმდებლო ინიციატივები არ ითვლება საკმარისად და უკუძალის დასაშვებობის არგუმენტი ვერ იქნება ის, რომ მოსალოდნელი იყო ახალი კანონის მიღება, რადგან წარდგენილი იყო კანონპროექტი და ეს სამართალსუბიექტმა იცოდა. ცნობილია, რომ საკანონმდებლო პროცესი დაკავშირებულია ბევრ წინაღობასთან და კანონპროექტიც შეთავაზებული რედაქციით ყოველთვის არ შედის ძალაში. ამის

8 *Schönfeld,* Bergmann, DStR 2015, 257.

9 *შვაბე,* გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, გვ. 335; „კანონმდებელს არ აქვს უფლება უმაღლესი ინსტანციის სასამართლოს მიერ სათანადოდ გამოყენებული ნორმა შეცვალოს უკუქცევითი ძალით მხოლოდ იმ მიზნით, რომ სასამართლო პრაქტიკა კანონთან შეუსაბამო გახადოს და შეასწოროს“, – ამონარიდი გადაწყვეტილებიდან BVerfGE 18, 429 - 440.

10 BVerfGE 13, 261 - 274.

11 *Schönfeld,* Bergmann, DStR 2015, 257.

12 შემთხვევათა აღნიშნული ჯგუფები მოყვანილია გერმანიის უმაღლესი ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკიდან.

13 BVerfGE 13, 261 (272).

დაშვება დაანგრევდა მოქალაქის ნდობას სამართლებრივი სტაბილურობის მიმართ. მსგავს შემთხვევებში ყოველთვის გასათვალისწინებელია საკანონმდებლო პროცესის გამჭვირვალობის ხარისხიც. **2. ძველი კანონი იყო ბუნდოვანი და არაერთაზროვანი** და კანონმდებელმა ეს ხარვეზი ცვლილებით გამოასწორა.[14] კანონმდებლის ამგვარი ჩარევა უკვე დასრულებულ ურთიერთობებში გამართლებულია, ვინაიდან სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი მოითხოვს, რომ ახალი გამართული ნორმით აღდგეს სამართლებრივი სტაბილურობა და უსაფრთხოება.[15] ამ ჯგუფს მიეკუთვნება ასევე ის შემთხვევები, როდესაც ნორმის შინაარსი ცალსახად კონსტიტუციასთან და მთლიან სამართლებრივ სისტემასთან შეუსაბამო შინაარსს ატარებს და ეს სამართალსუბიექტების მიერ ნათლად შესამჩნევია.[16] **3. ახალი კანონის შემოღება არ იწვევს მნიშვნელოვან ზიანს** და პირის სამართლებრივი მდგომარეობის გაუარესებას.[17]

2. არანამდვილი (რეტროსპექტული) უკუძალა

7 ნამდვილი უკუძალა, რომელიც ერევა წარსულში დასრულებულ სამართლებრივ ურთიერთობაში, განსხვავდება აწმყო დროის, აქტუალური და ჯერ კიდევ ამოუწურავი ფაქტობრივი ელემენტების სამართლებრივ ურთიერთობათა სფეროში ჩარევისა და მათზე ზეგავლენისაგან (ე.წ. არანამდვილი, რეტროსპექტული უკუძალა).[18] ამ დროს სახეზეა წარსულში დაწყებულ და აწმყოში მიმდინარე სამართალურთიერთობაში ჩარევა. არანამდვილი უკუძალა ძირითადად დასაშვებია და კონსტიტუციასთან შესაბამისი, მაგალითად, სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას კანონმდებლის მიერ სასამართლო და საადვოკატო ხარჯების გაზრდა,[19] საპროცესო ვადების გაზრდა ან შემცირება,[20] საგადასახადო ვალდებულებების (განჭვრეტადი) შეცვლა (მაგალითად, 2015 წლის 25 ივლისს შევიდა ძალაში კანონი, რომლითაც 2015 წლის საგადასახადო წლისათვის ქონების გადასახადი 15%-დან იზრდება 20%-მდე, ვინაიდან ქონების გადასახადის გადახდა 2015 წლის კალენდარული წლისთვის 2016 წლის 1 აპრილამდე უწევს, საგადასახადო-სამართლებრივი ურთიერთობა არ არის ჯერ დასრულებული, შესაბამისად, სახეზეა არანამდვილი უკუძალის შემთხვევა).

8 მაშასადამე, როგორც წესი, არანამდვილი უკუძალა დასაშვებია და დაუშვებელია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, ვინაიდან არ არსებობს ზოგადი აბსოლუტური ნდობის პრინციპი კანონების მუდმივ (შეუცვლელ) მოქმედებასთან დაკავშირებით და კანონმდებელს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა საკანონმდებლო ჩარევებით მოახდინოს რეაგირება სახელმწიფოს

14 BVerfGE 7, 129 (151); 11, 64 (73); 13, 261 (272).
15 *შვაბე*, გვ. 336.
16 BVerfGE 13, 215 (224); 19, 187 (197).
17 BVerfGE 14, 288 (299); 337 22, 241 (252).
18 *შვაბე*, იქვე.
19 იხ. BVerfGE 11, 139 - 149.
20 საქ. უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 13 თებერვალის № ას-58-57-2010 განჩინება.

წინაშე დამდგარი გამოწვევების დასარეგულირებლად. შესაბამისად, არ არსებობს აბსოლუტური ნდობა ნორმების სტაბილურობის მიმართ, ვინაიდან როგორც საზოგადოებრივ-სამართლებრივი ურთიერთობები, კანონებიც უნდა განიცდიდეს ცვლილებას. არანამდვილი უკუძალის დაუშვებლობა შესაძლოა სახეზე იყოს მაშინ, როდესაც **1. კანონი ახდენს ისეთ ჩარევას, რომელსაც სამართალსუბიექტი ვერ გაითვალისწინებდა** და შესაბამისად, თავის მოქმედებასაც ვერ შეუსაბამებდა დაგეგმილ ცვლილებას. მოქალაქე ვერ მიუთითებს სამართლებრივი სტაბილურობისადმი ნდობაზე, როდესაც დაგეგმილი ცვლილებების შესახებ საჯარო დისკუსიები გაიმართება, ან სახელმწიფო ორგანოები ჩაატარებენ საინფორმაციო კამპანიებს დაგეგმილი ცვლილებების დანერგვის მიზნით; ამის შემოწმება უნდა მოხდეს მკაცრი მასშტაბით. **2. მოქალაქის ნდობა უფრო მეტ დაცვას იმსახურებს, ვიდრე კანონით დაგეგმილი ცვლილების სარგებელი.** ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ამის დადგენა უნდა მოხდეს თანაზომიერების შემოწმებით: ერთ მხარეს დგას სახელმწიფოს მიერ კანონის ცვლილებით მისაღწევი სარგებელი, ხოლო მეორე მხარეს საპირწონედ – სამართალსუბიექტის სამართლებრივი მდგომარეობის დამძიმება. თანაზომიერების პრინციპიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ კანონმდებელი ქმნიდეს გარდამავალ დებულებებს. მაგალითისათვის: 50 წლის პოლიციელმა კრედიტით იყიდა სახლი, რომლის გადახდაც მას მისი ხელფასის გათვალისწინებით 15 წელი მოუწევს. მიღებულმა კანონმა პოლიციელებისთვის საპენსიო ასაკი დასწია 60 წლამდე. იმ შემთხვევაში, თუ კანონი არ გაითვალისწინებს გარდამავალ დებულებას (მაგ., „პოლიციელები, რომლებსაც ამ კანონის მიღებამდე შეუსრულდათ 50 წელი, უფლება აქვთ საპოლიციო საქმიანობა განახორციელონ კიდევ 15 წელი“), მაშინ შეიძლება ჩაითვალოს, რომ კანონი თანაზომიერების პრინციპის შეუსაბამო და არაკონსტიტუციურია. ამ მიდგომას იზიარებს ქართული სასამართლო პრაქტიკა, მაგალითად, შრომით-სამართლებრივ დავებში, სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის მსჯელობა, რომ 2013 წლის 12 ივნისს შრომის კოდექსის 38 VI მუხლში შესული ცვლილება გასაჩივრების ერთთვიანი ვადის შემოღების თაობაზე გავრცელებულიყო კანონის მიღებამდე დაწყებულ შრომით-სამართლებრივ ურთიერთობებზე და შეემცირებინა მანამდე კანონით არსებული გასაჩივრების 3-წლიანი ხანდაზმულობის ვადა.[21]

21 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 9 ივლისის № 2ბ/2099-14.

მუხლი 7. კერძო სამართლის ობიექტები

კერძოსამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი შეიძლება იყოს ქონებრივი ან არაქონებრივი ღირებულების მატერიალური და არამატერიალური სიკეთე, რომელიც კანონით დადგენილი წესით ბრუნვიდან არ არის ამოღებული.

I. ზოგადი დებულებანი 40
1. მიზანი და გამოყენების სფერო 40
2. ობიექტის ცნება 41
II. ნივთები 41
1. ცნება 41
2. უძრავი ნივთები 42
3. მოძრავი ნივთები 42
III. არამატერიალური ქონებრივი სიკეთეები 43
1. ცნება 43
2. უფლებები 43
3. მოთხოვნები 43
IV. ქონება და მისი მონაწილეობა სამოქალაქო ბრუნვაში 44
1. ცნება 44
2. მონაწილეობა სამოქალაქო ბრუნვაში 44
V. საწარმო, როგორც კერძო სამართლის ობიექტი 45
1. ცნება 45
2. საწარმო, როგორც ნასყიდობის ობიექტი 46

I. ზოგადი დებულებანი

1. მიზანი და გამოყენების სფერო

1 მე-7 მუხლი შეიცავს კერძო სამართლის ობიექტების **ლეგალურ დეფინიციას** და მას მხოლოდ საორიენტაციო ფუნქცია აქვს. ქონებრივი ობიექტების ცალკეული სახეები და სამოქალაქო ბრუნვაში მათი მონაწილეობის პირობები განმტკიცებულია სანივთო სამართალში.

2 მე-7 მუხლი განხილულ უნდა იქნეს 147-ე მუხლთან კავშირში. მე-7 მუხლის „ობიექტი“ და 147-ე მუხლის „ქონება“ იდენტური ცნებებია.[1]

3 მე-7 მუხლი გულისხმობს **სიკეთეებს, რომლებიც ბრუნვიდან არ არის ამოღებული.** ამიტომ ისეთი **არაქონებრივი სიკეთეები,** როგორიცაა პატივი, ღირსება, საქმიანი რეპუტაცია, სახელი და მათი მსგავსი სხვა არაქონებრივი სიკეთეები, მართალია, წარმოადგენენ **სამოქალაქო-სამართლებრივი დაცვის ობიექტებს,** მაგრამ არა **სამოქალაქო ბრუნვის ობიექტებს.** შესაბამისად, მათი კვალიფიკაცია მე-7 და 147-ე მუხლებით არ არის მართებული.[2]

1 იხ. *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, გვ. 185; *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 139.

2 *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 139.

2. ობიექტის ცნება

კერძო სამართლის ობიექტი (ქონება), მე-7 და 147-ე მუხლების თანახმად, არის **ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე,** რომელთა ფლობა, სარგებლობა, განკარგვა და შეძენა შეიძლება შეუზღუდავად, თუკი ეს აკრძალული არ არის კანონით ან არ ეწინააღმდეგება ზნეობის ნორმებს. 4

სამოქალაქო კოდექსი არ შეიცავს კონკრეტული ობიექტების ჩამონათვალს. შესაბამისად, მოქმედებს პრინციპი – **ბრუნვაუნარიანია ყველაფერი, რაც კანონით არ არის ბრუნვიდან ამოღებული.** ობიექტი არის ყველაფერი, რისი ფლობაც შეუძლიათ ადამიანებს და რაც მართლწესრიგის მიერ კონკრეტულ ადამიანს შეიძლება მიეკუთვნოს.[3] 5

კერძო სამართლის ობიექტები იყოფა **ნივთებად** და **არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეებად.**

II. ნივთები

1. ცნება

ნივთების ლეგალურ დეფინიციას სამოქალაქო კოდექსი არ იცნობს.[4] იურიდიულ ლიტერატურაში არსებული შეხედულების თანახმად, ნივთები პიროვნულობას მოკლებული, ბრუნვაუნარიანი, პირთა ბატონობას დაქვემდებარებული, ნატურით გამიჯნული და სხეულებრივად ერთიანი საგნებია.[5] 6

ნივთების ნორმატიული ცნების მიხედვით ნივთებს განეკუთვნება ისეთი საგნები, რომელთა ფლობა, სარგებლობა, განკარგვა და შეძენა შესაძლებელია მართლზომიერად და ზნეობის ნორმების დარღვევის გარეშე (147).

ადამიანი ან მისი სხეული არ წარმოადგენს ნივთს.[6] ადამიანის **სხეულის ნაწილები** ნივთებად შეიძლება გადაიქცნენ მხოლოდ ადამიანის ორგანიზმიდან მათი მოცილებისა და მათზე გარიგების დადების მომენტიდან, თუკი კანონმდებლობით ეს აკრძალული არ არის.[7] ქართულ სამართალში ადამიანის სხეულის ნაწილების გასხვისება შესაძლებელია კანონით ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ.[8] 7

სადავოა **ადამიანის ცხედრის (გვამის)** მიჩნევა ნივთად.[9] 8

ცხოველებს სამოქალაქო კოდექსი არ მიიჩნევს ნივთებად, თუმცა მათი გათანაბრება ნივთებთან შესაძლებელია, განსაკუთრებით მაშინ, როცა ისინი ნასყიდობის ან სხვა გარიგების საგანს წარმოადგენენ.[10]

3 შდრ. გერმანულ სამართალში: *Schack*, BGB-Allgemeiner Teil, 12. Aufl. 2008, Rn. 149.

4 შდრ. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის § 90-ს: „ნივთებს ამ კანონის თანახმად წარმოადგენენ მხოლოდ სხეულებრივი საგნები“.

5 *ზოიძე*, ქართული სანივთო სამართალი, გვ. 26-28.

6 *ზოიძე*, ქართული სანივთო სამართალი, გვ. 26; *კერესელიძე*, უზოგადესი ცნებები, გვ. 203.

7 *კერესელიძე*, უზოგადესი ცნებები, გვ. 204.

8 ადამიანის სხეულის ნაწილების ბრუნვაუნარიანობის შესახებ იხ. *ზოიძე*, ქართული სანივთო სამართალი, გვ. 27, *კერესელიძე*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, გვ. 203-206.

9 *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 142-143.

10 *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 143.

9 სამართლებრივად მნიშვნელოვანია ნივთების დაყოფა **უძრავ და მოძრავ ნივთებად.**

2. უძრავი ნივთები

10 149-ე მუხლის თანახმად, უძრავ ნივთებს მიეკუთვნება **მიწის ნაკვეთი** მასში არსებული წიაღისეულით, მიწაზე აღმოცენებული მცენარეები, ასევე შენობა-ნაგებობანი, რომლებიც მყარად დგას მიწაზე.

საჯარო რეესტრის შესახებ კანონის მე-2 მუხლის ა ქვეპუნქტის მიხედვით, უძრავი ნივთი – ეს არის **მიწის ნაკვეთი მასზე არსებული შენობა-ნაგებობებით ან მის გარეშე.** მიწაზე მდგარი შენობის გაყიდვა სამართლებრივად ნიშნავს მიწის ნაკვეთის გაყიდვას. დაუშვებელია სახლის გაყიდვა იმ მიწის ნაკვეთის გარეშე, რომელზეც ეს სახლი დგას ან პირიქით, მიწის ნაკვეთის გაზიდვა მასზე აღმართული კაპიტალური ნაგებობის გარეშე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა იყიდება მიწის ნაკვეთი, რომელიც დატვირთულია აღნაგობის უფლებით.[11]

მიწის ნაკვეთი უძრავ ნივთად მიიჩნევა მხოლოდ მაშინ, როცა ის საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია კანონით დადგენილი წესით.[12] არც უკანონო ნაგებობა მიიჩნევა სამოქალაქო სამართლის ობიექტად, რადგან მასზე კანონით გათვალისწინებული წესით არ შეიძლება დადგინდეს არც საკუთრება და შესაბამისად, არც მფლობელობა.[13]

3. მოძრავი ნივთები

11 სამოქალაქო კოდექსი არ შეიცავს მოძრავი ნივთების დეფინიციას. მისგან განსხვავებით, საჯარო რეესტრის შესახებ კანონის მე-2 მუხლის ბ ქვეპუნქტი განამტკიცებს მოძრავი ნივთების ცნებას: **მოძრავია ნებისმიერი ნივთი, რომელიც სამოქალაქო კოდექსით არ არის უძრავი.**

მოძრავი ნივთების მრავალფეროვნების გამო მათი ჩამოთვლა საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით არ არის მიზანშეწონილი.

12 საყურადღებოა **ინტელექტუალური შემოქმედების ობიექტებზე** საკუთრებისა და ამ ობიექტების მატარებლებზე საკუთრების ურთიერთკავშირი. მაგალითად, მოძრავ ნივთს წარმოადგენს წიგნი, მაგნიტოფირი, დისკეტა, კომპაქტდისკი ან ციფრული ვიდეო და ა.შ. თუმცა ამ ნივთებზე საკუთრების შეძენით არ წარმოიშობა ინტელექტუალური საკუთრების ობიექტზე, მაგალითად, რომანზე საავტორო უფლება.[14]

11 იხ. *ჩიტოშვილი,* უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების წარმოშობის ძირითადი სამართლებრივი ასპექტები, 2006.

12 საქ. უზ. სასამართლოს 2013 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილება №ას-101-6-2013.

13 საქ. უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 18 ნოემბრის №ას-515-1171-03 გადაწყვეტილება.

14 დაწვრილებით: *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 147.

III. არამატერიალური ქონებრივი სიკეთეები

1. ცნება

არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეებს განეკუთვნება **მოთხოვნები** და **უფლებები** (152-ე მუხლი), ე.წ. „უსხეულო ნივთები“.[15] უფლებებისა და მოთხოვნების არამატერიალურ ქონებრივ სიკეთედ, ე.ი. ობიექტებად აღიარების წინაპირობებია: ა. **ბრუნვაუნარიანობა** – სხვა პირთათვის გადაცემის შესაძლებლობა, ბ. **მატერიალური სარგებლიანობა**, გ. სხვა პირისაგან რაიმეს **მოთხოვნის უფლება**.[16] 13

იმის გამო, რომ არამატერიალური ქონებრივი სიკეთეების მონაწილეობა სამოქალაქო ბრუნვაში გარკვეული სპეციფიკით გამოირჩევა, მათზე უფლებები და მათი დაცვა სპეციალური კანონმდებლობით არის მოწესრიგებული, მაგალითად, კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ.[17]

2. უფლებები

არამატერიალური ქონებრივი სიკეთეების კატეგორიას განეკუთვნება **საავტორო და მომიჯნავე უფლებები.** საავტორო უფლებათა ობიექტებს წარმოადგენს მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებები.[18] 14

არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეებს წარმოადგენს **უფლებები სამრეწველო საკუთრების ობიექტებზე** (პატენტი), მაგალითად, გამოგონებები, სასარგებლო მოდელები ან სამრეწველო ნიმუშები.[19]

ზოგიერთი არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეებს განკუთვნილი უფლებები განმტკიცებულია სამოქალაქო კოდექსში, მაგალითად, უზუფრუქტი, გირავნობის უფლება და ა.შ.

3. მოთხოვნები

არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეებს მიეკუთვნება **ბრუნვაუნარიანი მოთხოვნები.** ბრუნვაუნარიანი მოთხოვნები შეიძლება იყოს როგორც **სახელშეკრულებო,** ისე **კანონისმიერი,** მაგალითად, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა როგორც სახელშეკრულებო, ისე დელიქტური. 15

198-202-ე მუხლებით გათვალისწინებული **დათმობადი მოთხოვნები** განეკუთვნება არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეებს და შესაბამისად, წარმოადგენს სამოქალაქო სამართლის ობიექტებს.[20]

15 *ზოიძე,* ქართული სანივთო სამართალი, გვ. 46.
16 *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 154.
17 დანვრილებით: *ზოიძე,* ქართული სანივთო სამართალი, გვ. 47-48.
18 მოწესრიგებულია კანონში საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ.
19 მოწესრიგებულია საქართველოს კანონში საპატენტო კანონით.
20 *ზოიძე,* ქართული სანივთო სამართალი, გვ. 188-199.

IV. ქონება და მისი მონაწილეობა სამოქალაქო ბრუნვაში

1. ცნება

16 **ქონების ცნებას** სამოქალაქო კოდექსი რამდენიმე გაგებით იყენებს. განსხვავებით 147-ე მუხლში გათვალისწინებული ქონებისაგან, რომელიც ობიექტის სინონიმად იხმარება, სამოქალაქო კოდექსი ქონებას სხვა გაგებითაც იცნობს. მაგალითად, 320-ე და 321-ე მუხლებში მითითებული „ქონება“ არ არის კონკრეტული ობიექტის იდენტური.

17 ერთი გაგებით ქონება ნიშნავს **კონკრეტულ ქონებრივ ობიექტს,** რომელიც ინდივიდუალიზების გზით სამოქალაქო ბრუნვაში მონაწილეობს (147-ე მუხლი), მეორე გაგებით ქონება წარმოადგენს **ქონებრივ სიკეთეთა ერთობლიობას,** რომელიც, სამოქალაქო ბრუნვის ინტერესებიდან გამომდინარე, დაკონკრეტებას მოითხოვს (320).[21]

18 როგორც წესი, ქონებად მიიჩნევა **ქონებრივი უფლებების ერთობლიობა,** რომელიც კონკრეტულ პირს ეკუთვნის.[22] ამ აზრით, ქონებას განეკუთვნება მხოლოდ **აქტივები** (ე.ი. უფლებები) და არა პასივები (ე.ი. ვალდებულებები).[23] ასეთი შინაარსით გამოიყენება ქონების ცნება სამოქალაქო პასუხისმგებლობის საკითხის განსაზღვრისას, მაგალითად, 24 I მუხლის მიხედვით, იურიდიულ პირს აქვს „საკუთარი ქონება“ და „თავისი ქონებით დამოუკიდებლად აგებს პასუხს“. ე.ი. ქონება ამ ასპექტში წარმოადგენს იმ ქონებრივ სიკეთეთა ერთობლიობას, რომლითაც შესაძლებელია კრედიტორების დაკმაყოფილება.

2. მონაწილეობა სამოქალაქო ბრუნვაში

19 **ქონება არ წარმოადგენს ერთიან ობიექტს** და მასზე უფლების დაფიქსირება ცალკეული ნივთების მსგავსად შეუძლებელია. მაგალითად, არ შეიძლება მთლიანი ქონების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში, რაც შესაძლებელია ცალკეულ უძრავ ნივთებზე. ქონება შეიძლება შეიცავდეს ისეთ ობიექტებსაც, რომელთაც არ სჭირდებათ რეგისტრაცია.

20 **ქონება არ არის სანივთო სამართლის ერთი კონკრეტული ობიექტი.** მიუხედავად იმისა, რომ 254-ე მუხლი საუბრობს „ქონების დაგირავებაზე“,[24] არ შეიძლება ქონების დაგირავება ან იპოთეკით დატვირთვა იმგვარად, როგორც ეს ხდება ცალკეული მოძრავი ან უძრავი ნივთების შემთხვევაში.[25]

21 **ქონება არ წარმოადგენს სამართლებრივი დაცვის ერთიან ობიექტს.** მაგალითად, ზოგადად, ქონების მიმართ არ გამოიყენება ვინდიკაცია, როგორც ეს

21 დაწვრილებით: *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 158.

22 შდრ. მაგ., გერმანულ სამართალში ასეთად მიიჩნევა უფლებები, რომელთა ღირებულების ფულადი გამოხატვა შესაძლებელია და რომელთაც ბაზარზე გარკვეული ფასი აქვთ: *Rüthers/Stadler,* Allgemeiner Teil des BGB, 16. Aufl., § 12, Rn. 1; *Larenz/Wolf,* Allgemeiner Teil, § 21, I 1 Rn. 8.

23 შდრ. *Larenz/Wolf,* Allgemeiner Teil, § 21 I 1 Rn. 3 ff.

24 ეს გამოთქმა სამოქალაქო კოდექსში შევიდა 2006 წლის ცვლილებების შედეგად.

25 *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 159.

სხვისი უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის დროს ხდება.

ქონება შეიძლება იყოს ვალდებულებით-სამართლებრივი გარიგებების საგანი. ასეთი გარიგებისათვის სამოქალაქო კოდექსი სავალდებულო წერილობით ფორმას მოითხოვს. მაგალითად, 321-ე მუხლის თანახმად, ხელშეკრულება, რომლითაც ერთი მხარე იღებს ვალდებულებას, მთელი თავისი ამჟამინდელი ქონება ან ამ ქონების ნაწილი გადასცეს სხვას, მოითხოვს წერილობით ფორმას. ეს გარემოება არ გადააქცევს ქონებას სამართლის ობიექტად და საკუთრების გადაცემა შემძენზე ხდება ქონებაში შემავალ ცალკეულ ქონებრივ ობიექტებზე საკუთრების გადაცემისთვის დადგენილი წესის მიხედვით.

სამოქალაქო ბრუნვაში მონაწილეობენ მხოლოდ ცალკეული ობიექტები, თუმცა სამოქალაქო კოდექსი მრავალ ადგილას იყენებს ქონების ცნებას, მაგალითად, მეუღლეთა საერთო ქონება 1158-ე მუხლის მიხედვით.[26] **22**

V. საწარმო, როგორც კერძო სამართლის ობიექტი

1. ცნება

საწარმოს, როგორც კერძო სამართლის ობიექტს, სამოქალაქო კოდექსი ცალკე არ განამტკიცებს. არც კანონი მეწარმეთა შესახებ იცნობს საწარმოს ლეგალურ დეფინიციას.[27] ტერმინს „საწარმო“ 65 II მუხლი არასრულწლოვანის ემანსიპაციასთან კავშირში იყენებს. მიუხედავად ამისა, საწარმოს, როგორც მეწარმე სუბიექტის საკუთრებაში ან მფლობელობაში მყოფი სამეწარმეო მიზნებისათვის გამოყენებული ნივთებისა და უფლებების ერთობლიობას,[28] ეკონომიკურ ურთიერთობებში დიდი მნიშვნელობა აქვს. დასაზუსტებელია საწარმოს ობიექტუნარიანობა სამოქალაქო სამართლისათვის. **23**

გავრცელებული შეხედულების მიხედვით, **საწარმო წარმოადგენს ქონებრივ კომპლექსს,** რომელიც შედგება როგორც მატერიალური ქონებრივი სიკეთეებისაგან (მიწის ნაკვეთები, ქარხნები, მანქანა-დანადგარები და ა.შ.), ისე არამატერიალური ქონებრივი სიკეთეებისაგან (პატენტები, მოთხოვნები, სხვადასხვა უფლება და ა.შ.), ე.ი. **ნივთებისა და ქონებრივი უფლებების ერთობლიობას.**[29] თითოეული ეს სიკეთე თვითონ წარმოადგენს სამოქალაქო ბრუნვის ობიექტს. შესაბამისად, არ არის მიზანშეწონილი საწარმოს აღიარება სამოქალაქო სამართლის ერთ ობიექტად.[30] **24**

26 *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 160.

27 საწარმოს ცნების თაობაზე იხ. *ჭანტურია/ნინიძე,* მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, გვ. 12-13.

28 *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 161.

29 *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, გვ. 208; *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 161-162.

30 *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 162.

2. საწარმო, როგორც ნასყიდობის ობიექტი

25 მართალია, საწარმო სამოქალაქო სამართლის ერთ ობიექტს არ წარმოადგენს, მაგრამ საწარმოს შეძენა ან გასხვისება არის სამართლებრივი რეგულირების საგანი და მიზანი. მაგალითად, საწარმოთა შეძენას ევროპის კავშირში ცალკე დირექტივა აწესრიგებს, კერძოდ, 2004 წლის 21 აპრილის დირექტივა საწარმოს შეძენის თაობაზე სავალდებულო შეთავაზების შესახებ.[31]

ერთმანეთისაგან განასხვავებენ საწარმოთა შეძენის ან გასხვისების ორ შესაძლებლობას: პირველი, **საწარმოს, როგორც ქონების, ყიდვა (Asset Deal),** და მეორე, **საწარმოს წილების, აქციების ყიდვა (Share Deal).** ეს ცნებები უმთავრესად გამოიყენება ფასიანი ქაღალდების ბაზრის სამართალში და ისინი სცდება სამოქალაქო სამართლის ფარგლებს.[32]

26 **საწარმოს, როგორც ქონების, ნასყიდობისას** საკუთრების გადაცემა შემძენზე ხდება საწარმოში შემავალი ყველა ქონებრივი ობიექტის ცალ-ცალკე გადაცემით. ერთმანთისაგან უნდა გაიმიჯნოს საწარმოს გასხვისების ვალდებულებით-სამართლებრივი ხელშეკრულება და საწარმოს ქონებრივ ობიექტებზე საკუთრების გადაცემის სანივთო-სამართლებრივი წესი. მაგალითად, თუ საწარმოს შემადგენლობაში შედის მიწის ნაკვეთი, მაშინ მასზე საკუთრების გადაცემისათვის აუცილებელია საწარმოს შემძენის, როგორც მესაკუთრის, რეგისტრაცია საჯარო რეესტრში, თუმცა საწარმოს სხვა ქონებრივი ობიექტებისათვის ასეთი რეგისტრაცია სავალდებულო არ არის.[33]

27 **შპს-ის წილების ან სააქციო საზოგადოების აქციების ნასყიდობისას** შემძენი მოიპოვებს კონტროლს საწარმოში შემავალ ქონებრივ ობიექტებზე, შემძენის სახელზე ამ ობიექტების გადაფორმების გარეშე. ნასყიდობის ხელშეკრულების საგანს ამ დროს წარმოადგენს არა საწარმოს ქონების ცალკეული ობიექტები.

31 Directive 2004/25/EC of the European Parliament and of the Council of 21 april 2004 on takeover bids, Official Journal L 142 , 30/04/2004 P. 0012 - 0023.

32 მაგ., Directive 2004/25/EC of the European Parliament and of the Council of 21 april 2004 on takeover bids, Official Journal L 142 , 30/04/2004 P. 0012 - 0023; Ek /Hoyenbergn, Unternehmenskauf und -verkauf, 1. Aufl. 2007.

33 *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 163.

მუხლი 8. კერძო სამართლის სუბიექტები

1. კერძოსამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი. ეს წესი გამოიყენება როგორც სამეწარმეო, ასევე არასამეწარმეო, საქართველოსა თუ სხვა ქვეყნის პირების მიმართ.

2. სახელმწიფო ორგანოებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების კერძოსამართლებრივი ურთიერთობები სხვა პირებთან ასევე წესრიგდება სამოქალაქო კანონებით, თუკი ეს ურთიერთობები, სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, არ უნდა მოწესრიგდეს საჯარო სამართლით.

3. სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებულნი არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობანი.

I. ზოგადი დებულებები 47
1. ნორმის მიზანი 47
2. კავშირის სხვა ნორმებთან 48
II. კერძოსამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი (8 I) 48
III. საჯარო სამართლის იურიდიული პირები
კერძო სამართალში (8 II) 49
IV. უფლება-მოვალეობათა კეთილსინდისიერად
განხორციელების ვალდებულება (8 III) 49
1. ცნება და მნიშვნელობა 49
2. სასამართლო პრაქტიკა 51

I. ზოგადი დებულებები

1. ნორმის მიზანი

მე-8 მუხლი სამი ნაწილისაგან შედგება და სამ მნიშვნელოვან დებულებას განამტკიცებს. პირველი, 8 I მუხლი, განსაზღვრავს **კერძოსამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტების წრეს;** მეორე, 8 II მუხლი ადგენს კერძო სამართალში **საჯარო სამართლის იურიდიული პირების მონაწილეობის პრინციპს,** ხოლო მესამე, 8 III მუხლი, კი განსაზღვრავს კერძოსამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეების ქცევის მასშტაბს – **კეთილსინდისიერების ვალდებულებას.**[1] 1

მუხლის მიზანი, ერთი მხრივ, არის კერძოსამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა წრის განსაზღვრა, ხოლო, მეორე მხრივ, ამ ურთიერთობის **მონაწილეთა ქცევის შეფასების უნივერსალური შეფასების** დადგენა.

გარდა ამისა, მუხლი საკანონმდებლო პოლიტიკის თვალსაზრისით მნიშვნელოვან დებულებას შეიცავს. 8 II მუხლი შესაძლებლად მიიჩნევს თავისი ბუნებით კერძოსამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგებას საჯა-

1 მას ასევე კეთილსინდისიერების პრინციპი ეწოდება: *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, გვ. 83.

რო სამართლითაც. მაგალითად, კერძო სამართლის იურიდიული პირების დაფუძნებაში სახელმწიფოს მონაწილეობის საკითხები შეიძლება საჯარო სამართლით მოწესრიგდეს.[2]

2. კავშირი სხვა ნორმებთან

2 მე-8 მუხლი შეიცავს ზოგადი ხასიათის დებულებებს და მათი კონკრეტიზაცია სამოქალაქო კოდექსის სხვადასხვა ინსტიტუტში ან მუხლებში ხდება. ამიტომ, გამოყენების თვალსაზრისით რელევანტურია მუხლის დებულებების განხილვა მათთან კავშირში, მაგალითად, ფიზიკური პირების მონაწილეობა სამოქალაქო სამართალში მოწესრიგებულია 11-23-ე მუხლებში.

კეთილსინდისიერების ვალდებულების ანალიზისას საყურადღებოა 8 III მუხლის კავშირი სხვა ინსტიტუტებთან, მაგალითად, საკუთრების კეთილსინდისიერ შეძენასთან (187-ე მუხლი). ამ თვალსაზრისით კეთილსინდისიერების პრინციპი გამოიყენება მთლიანად კერძო სამართალში.

II. კერძოსამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი (8 I)

3 8 I მუხლი განამტკიცებს კერძო სამართლის ერთ-ერთ ცენტრალურ დებულებას – **კერძოსამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი.** ეს ნორმა მხოლოდ ზოგად დებულებას შეიცავს და მისი განხორციელებისათვის აუცილებელია დაკონკრეტება. მაგალითად, საკმარისი არ არის მხოლოდ იმის აღნიშვნა, რომ ურთიერთობის მონაწილე შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური პირი. აუცილებელია, რომ ეს ფიზიკური პირი იყოს უფლებაუნარიანი (მე-11 მუხლი) და ქმედუნარიანი (მე-12 მუხლი).

4 8 I 2 მუხლის მნიშვნელოვანი მიზანი მდგომარეობს **სუბიექტთა თანასწორუფლებიანობის პრინციპის** განმტკიცებაში. ამ ასპექტით გამოყოფილია ოთხი კატეგორია სუბიექტებისა, რომელთა მიმართაც თანასწორუფლებიანობის პრინციპი განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს: **სამეწარმეო და არასამეწარმეო** სუბიექტები, **საქართველოსა თუ სხვა ქვეყნის პირები.** ამ დებულების დაკონკრეტებაც სამოქალაქო კოდექსის თუ სხვა კანონების ცალკეულ დებულებებში ხდება, მაგალითად, იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა (25-ე მუხლი).

5 სამართლებრივი პრაქტიკისათვის მნიშვნელოვანია **უცხო ქვეყნის იურიდიული პირების მონაწილეობა** შიდასამართლებრივ ურთიერთობებში. კერძოდ, გასარკვევია, თუ რა ფორმით მონაწილეობენ ისინი ნაციონალურ სამართალში – ფილიალის ან წარმომადგენლობის მეშვეობით (მაგალითად, 28-ე მუხლი) ან შვილობილი საზოგადოების დაფუძნებით ანდა ამის გარეშე. ამ საკითხის გარკვევა რელევანტურია ასევე სამოქალაქო პროცესისათვის.

2 კოდექსის ამ დებულების კრიტიკა ნახეთ: *პეპანაშვილი,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, 2014, გვ. 121.

8 I მუხლი კავშირშია ასევე 10 I მუხლთან, რომელიც სამოქალაქო უფლებების პოლიტიკური უფლებებისაგან, მაგალითად, მოქალაქეობასთან ასოცირებული უფლებები, დამოუკიდებლობის პრინციპს განამტკიცებს. 6

იურიდიული პირების, როგორც კერძოსამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეების სტატუსის ანალიზისას, მნიშვნელოვანია 8 I მუხლის კავშირის 24-26-ე მუხლებთან, რომლებიც განსაზღვრავენ პირთა გაერთიანებების, როგორც იურიდიული პირების, კვალიფიკაციას და ურთიერთობებში მონაწილეობის წინაპირობებს.

რელევანტურია 8 I მუხლის კანონი მეწარმეთა შესახებ კანონთან და ამ კანონით განსაზღვრულ სამეწარმეო საზოგადოებათა სამართლებრივ ფორმებთან.

კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში უცხო ქვეყნის მოქალაქეების მონაწილეობის უფლება არ ნიშნავს მათთვის **გამონაკლისების დაწესების** შეუძლებლობას, მაგალითად, უცხოელებისათვის ქვეყანაში კანონიერად ყოფნის უფლება, როგორც საკუთრების შეძენის წინაპირობა და ა.შ. ამ ასპექტით ყურადღებას იმსახურებს სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთებზე უცხოელთა საკუთრების უფლების განხილვაც. 7

III. საჯარო სამართლის იურიდიული პირები კერძო სამართალში (8 II)

8 II მუხლი განამტკიცებს სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთ ცენტრალურ პრინციპს, რომლის თანახმად, **კერძოსამართლებრივი ურთიერთობის შინაარსი დამოუკიდებელია მასში მონაწილე სუბიექტისაგან.** განსაკუთრებით ეხება ეს სახელმწიფოს მონაწილეობას კერძო სამართალში. სახელმწიფოს მონაწილეობა კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში, მაგალითად, ნასყიდობის ხელშეკრულებაში, არ გადააქცევს ამ ურთიერთობას საჯარო-სამართლებრივად. 8

8 II გამოყოფს სახელმწიფოსა და საჯარო სამართლის სხვა იურიდიული პირების კერძოსამართლებრივ ურთიერთობებს სხვა პირებთან, მაგალითად, სახელმწიფოს მიერ ავტომანქანების შეძენა კერძო ავტომაღაზიისაგან. თუმცა ეს არ გამორიცხავს თვით საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს შორის კერძოსამართლებრივი ურთიერთობების არსებობას, მაგალითად, სახელმწიფოს მიერ მიწის ნაკვეთის გადაცემა იჯარით სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის. 9

8 II მუხლის ნორმა ზოგადია და ის განხილულ უნდა იქნეს 24 III და 24 IV მუხლებთან კავშირში (იხ. 24-ე მუხლის კომენტარი).

IV. უფლება-მოვალეობათა კეთილსინდისიერად განხორციელების ვალდებულება (8 III)

1. ცნება და მნიშვნელობა

8 III მუხლი კერძოსამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეებს აკისრებს 10

უფლებებისა და მოვალეობების კეთილსინდისიერად განხორციელების ვალდებულებას.[3] მართალია, კეთილსინდისიერება ურთიერთობის მონაწილეთა ზნეობრივ მოვალეობადაც მიიჩნევა,[4] მაგრამ 8 III მუხლი სხვა მუხლებთან კავშირში შეიძლება **მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლადაც** განვიხილოთ.[5] უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში მიუთითა შემდეგი: „აღნიშნული ნორმა დეკლარაციული ხასიათის არ არის და ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევა ზოგადად დამრღვევისათვის ვალდებულების დაკისრების მოთხოვნის საფუძველს წარმოადგენს“.[6]

როგორც ლიტერატურაშია აღნიშნული, **კეთილსინდისიერების პრინციპი ინდივიდის მოქმედებას სამართლიანობის კრიტერიუმებთან ურთიერთკავშირში განიხილავს** და იგი ინდივიდის მოქმედების თავისუფლების ერთგვარი შეზღუდვაა, სხვა პირის ინტერესების გათვალისწინების ვალდებულებაა იმ მოცულობით, რომელიც არ იწვევს თავად მისი ინტერესების არათანაზომიერ შეზღუდვას.[7] ამ გაგებით კეთილსინდისიერების პრინციპი კერძო სამართლის უნივერსალური შეფასებითი კატეგორიაა.[8]

11 კეთილსინდისიერების პრინციპი დამახასიათებელია **კონტინენტური ევროპის სამართლისათვის** და ის უცხოა საერთო სამართლის ქვეყნებისათვის. ეს პრინციპი ხელშეკრულების მხარეებს მოუწოდებს, რომ ურთიერთვალდებულებები შეასრულონ კეთილსინდისიერად – ურთიერთნდობისა და რწმენის საფუძველზე. „ინგლისურ სამართალში ხელშეკრულების მხარეებს მათი ხელშეკრულების შესრულებისას არ სჭირდებათ ყურადღების გამახვილება ურთიერთნდობასა და რწმენაზე. პრინციპულად ყველაფერს წყვეტს ხელშეკრულების მშრალი ასოები და არაფერს ავნებს, თუ ერთ-ერთი მხარე თავის სახელშეკრულებო უფლებებს უსამართლოდ ან ბოროტად გამოიყენებს“.[9] ასევე უცხოა მხარეთა სავალდებულო შეთანხმება იმის თაობაზე, რომ ისინი ხელშეკრულებას ნდობისა და რწმენის საფუძველზე შეასრულებენ. მაგალითად, ბანკი, რომელიც ვალდებულების უზრუნველმყოფ ქონებას (გირაოს) ყიდის, სულაც არ არის ვალდებული, ეს ქონება მაქსიმალურად მაღალ ფასში გაყიდოს ისე, რომ მესაკუთრესაც დარჩეს რამე.[10]

კეთილსინდისიერების ინსტიტუტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამოქალაქო სამართლისათვის და იგი მთლიანად **კერძო სამართლის უმთავრეს პრინციპს** წარმოადგენს.[11] ლიტერატურა იზიარებს ასეთ მიდგომას და აღიარებს, რომ სამოქალაქო კოდექსში გათვალისწინებულია კეთილსინდისიერ-

3 ქართულ სამოქალაქო სამართალში კეთილსინდისიერების პრინციპის გამოყენების თაობაზე ნახეთ: *ვაშაკიძე,* კეთილსინდისიერება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით – აბსტრაქცია თუ მოქმედი სამართალი, „ქართული სამართლის მიმოხილვა“, 10/2007, გვ. 14-58.

4 *ჯორბენაძე,* სკ-ის კოდექსის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 115, გვ. 301.

5 მოთხოვნის სამართლებრივი საკითხის შესახებ ნახეთ: ჩაჩავა, მოთხოვნისა და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია, 2011.

6 საქ. უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 21 მაისის №ას-221-213-2012 განჩინება, გვ. 71-77.

7 *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, გვ. 83.

8 *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, გვ. 83.

9 შდრ. *Triebel/Hodgson/Kellenter/Müller,* Englisches Handels- und Wirtschaftsrecht. 2. Aufl., 1995, S. 66-67.

10 იქვე, გვ. 67.

11 საქ. უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 24 მაისის №ას-23-18-2011 განჩინება, გვ. 70-73.

ების პრინციპის უნივერსალურობა.[12]

კეთილსინდისიერების პრინციპის ძირითადი ფუნქცია **სამართლიანი შედეგების დადგომა და** ამავე დროს, **აშკარად უსამართლო შედეგის თავიდან აცილებაა,** რითაც მიღწეულ უნდა იქნეს სამოქალაქო ურთიერთობის სტაბილურობა და სიმყარე, – აღნიშნა უზენაესმა სასამართლომ.[13]

2. სასამართლო პრაქტიკა

სასამართლოები თავის გადაწყვეტილებებში არცთუ იშვიათად იყენებენ 8 III მუხლს, მაგალითად, ენერგოკომპანიის მიერ მომხმარებლებისათვის ელექტროენერგიის აღრიცხვის უვარგისი ხელსაწყოს მიწოდება ჩაითვალა 8 III მუხლით გათვალისწინებული კეთილსინდისიერების მოვალეობის დარღვევად.[14] აღნიშნული გადაწყვეტილებით მომხმარებელს არ დაეკისრა ვალდებულება მრიცხველის დამოწმების ბრჯენებით აღჭურვის თაობაზე. 12

შემკვეთის მიერ მენარდისათვის ძველვარგისი რელსების მიუწოდებლობა, რის გამოც მენარდემ ვერ შეძლო ნაკისრი ვალდებულების დროულად შესრულება, სააპელაციო სასამართლოს მიერ მიჩნეულ იქნა კეთილსინდისიერების ვალდებულების დარღვევად. საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა ეს მოსაზრება და მიუთითა, რომ კეთილსინდისიერება უკავშირდება პირისათვის დაკისრებული ვალდებულების შესრულებას და არა იმის შესრულებას, რაც მას არც ხელშეკრულებით და არც სხვა სახით მხარის მიმართ არ უკისრია.[15]

12 *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, გვ. 92.
13 საქ. უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 24 მაისის №ას-23-18-2011 განჩინება, გვ. 70-73.
14 საქ. უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 13 თებერვლის №ას-505-889-06 განჩინება, გვ. 133-140.
15 საქ. უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 23 ივნისის №ას-1388-1224-10 განჩინება, გვ. 9-12.

მუხლი 9. სამოქალაქო კანონთა მიზანი

სამოქალაქო კანონები უზრუნველყოფენ საქართველოს ტერიტორიაზე სამოქალაქო ბრუნვის თავისუფლებას, თუ ამ თავისუფლების განხორციელება არ ხელყოფს მესამე პირთა უფლებებს.

მე-9 მუხლი განსაზღვრავს სამოქალაქო კანონთა მიზანს და მისი დებულებები უფრო დეკლარატორულია. ის არ წარმოადგენს მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს. ნორმის მიზანს შეადგენს საქართველოს ტერიტორიაზე საქონლის, მომსახურებისა და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილების სამართლებრივი უზრუნველყოფის კონსტატაცია.

მუხლი 10. სამოქალაქო უფლებათა დამოუკიდებლობა პოლიტიკური უფლებებისაგან. სამოქალაქო სამართლის იმპერატიული ნორმები

1. სამოქალაქო უფლებათა განხორციელება არ არის დამოკიდებული პოლიტიკურ უფლებებზე, რომლებიც განისაზღვრება კონსტიტუციით ან საჯარო სამართლის სხვა კანონებით.

2. სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეებს შეუძლიათ განახორციელონ კანონით აუკრძალავი, მათ შორის კანონით პირდაპირ გაუთვალისწინებელი ნებისმიერი მოქმედება.

3. უფლებათა ბოროტად გამოყენებისაგან სხვათა თავისუფლებას იცავს სამოქალაქო კანონების იმპერატიული ნორმები. მოქმედებები, რომლებიც ეწინააღმდეგება ამ ნორმებს, ბათილია, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა კანონი პირდაპირ მიუთითებს სხვაგვარ შედეგებზე. ცალკეული ჩარევები ადმინისტრაციული აქტების მეშვეობით აკრძალულია, თუ ეს აქტები კონკრეტული კანონის საფუძველზე არ არის გამოყენებული.

I. ზოგადი დებულებები 53
1. ნორმის მიზანი 53
2. სამოქალაქო უფლება 54
3. სამოქალაქო უფლებათა შეძენა, გადაცემა და შეწყვეტა 55
II. სამოქალაქო უფლებათა დამოუკიდებლობა პოლიტიკური უფლებებისაგან 57
III. კერძო ავტონომია და ხელშეკრულების თავისუფლება 57
1. ცნება და შინაარსი 57
2. კერძო ავტონომიის ფარგლები 58
IV. უფლების ბოროტად გამოყენების დაუშვებლობა 58
1. ცნება და მნიშვნელობა 58
2. კავშირი სხვა ინსტიტუტებთან 59

I. ზოგადი დებულებები

1. ნორმის მიზანი

მე-10 მუხლი განამტკიცებს სამოქალაქო უფლებათა განხორციელების სამ ფუძემდებლურ პრინციპს. პირველი, **სამოქალაქო უფლებათა დამოუკიდებლობა პოლიტიკური უფლებებისაგან,** მეორე, **კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობის თავისუფლება და,** მესამე, **უფლების ბოროტად გამოყენების აკრძალვა.** 1

გარდა ამისა, მე-10 მუხლი ადგენს კანონის იმპერატიული ნორმების დარღვევით სამოქალაქო უფლებათა გამოყენების **სამართლებრივ შედეგებსა** და ადმინისტრაციული აქტების მეშვეობით კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში ჩარევის წინაპირობებსა და ფარგლებს.

მე-10 მუხლის მოქმედება არ შემოიფარგლება სამოქალაქო სამართლით და ის ვრცელდება მთლიანად **კერძო სამართალზე.** შესაბამისად, მუხლი გან- 2

ამტკიცებს მთლიანად კერძო სამართლისათვის რელევანტურ ზოგად ნორმას.

2. სამოქალაქო უფლება

3 **სამოქალაქო უფლება** არის კერძო პირთა ინტერესების დასაცავად, მათ შორის სასამართლოს მეშვეობით, სამოქალაქო კანონმდებლობით მინიჭებული სამართლებრივი ძალაუფლება.[1]

სამოქალაქო უფლებები შეიძლება იყოს განმტკიცებული როგორც სამოქალაქო კოდექსსა და სხვა კანონებში, ისე კანონქვემდებარე აქტებში, ხელშეკრულებებსა თუ იურიდიული პირების წესდებებში. კონტექსტიდან გამომდინარე, სამოქალაქო უფლებები მიმობნეულია სამოქალაქო კოდექსის სხვადასხვა ნაწილში, მაგალითად, მესაკუთრის უფლებები – სანივთო სამართალში, ხოლო მყიდველის უფლებები – ნასყიდობის თავში. ამ უფლებათა აღსანიშნავად სამოქალაქო კოდექსი იყენებს **მოთხოვნის ან მოთხოვნის უფლების** (128 I) ცნებებს, რითაც აკონკრეტებს უფლების გამოყენებას მოცემულ კონტექსტში.[2]

4 პრაქტიკისათვის მნიშვნელოვანია სამოქალაქო უფლებათა დაყოფა **აბსოლუტურ და რელატიურ (ფარდობით)** უფლებებად.[3]

აბსოლუტურ უფლებებზე არ ვრცელდება სასარჩელო ხანდაზმულობის ვადები, მაგალითად, საკუთრების უფლებაზე, ხოლო **ფარდობითი უფლებები ექვემდებარება სასარჩელო ხანდაზმულობას,** მაგალითად, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

5 **აბსოლუტურ უფლებებს განეკუთვნება:** პირადი უფლებები, პირადი საოჯახო უფლებები, ნივთებსა თუ არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეებზე (უფლებებსა და მოთხოვნებზე) ბატონობის უფლებები.[4]

6 **პირადი უფლებების** ერთი ნაწილი განმტკიცებულია სამოქალაქო კოდექსის ზოგად ნაწილში: სახელის უფლება, პირადი არაქონებრივი უფლებები, პირადი უფლებების დაცვა გარდაცვალების შემდეგ (მე-17, მე-18 და მე-19 მუხლები), სხვა პირადი უფლებები გათვალისწინებულია ვალდებულებით სამართალში: სხეულისა და ჯანმრთელობის დაცვა (408 II) ან ინტელექტუალური საკუთრების სამართალში, მაგალითად, ავტორობის უფლება.

საოჯახო სამართალში განმტკიცებულია **პირადი საოჯახო უფლებები,** როგორიცაა, მაგალითად, შვილების მიმართ მშობელთა უფლებები (1197-1198).

---

1 სამოქალაქო უფლების დეფინიციის თაობაზე დისკუსია ნახეთ: *კერესელიძე*, უზოგადესი ცნებები, გვ. 185, *ჭანტურია*, ზოგადი ნაწილი, გვ. 76-77, *ჭანტურია*, ზოგადი ნაწილი, გვ. 98-99.

2 შდრ. გერმანულ სამოქალაქო სამართალში გამოიყენება სხვადასხვა ტერმინი იმის მიხედვით, უფლება ვალდებულებით-სამართლებრივი თუ სანივთო-სამართლებრივია. სანივთო-სამართლებრივ უფლებას ეწოდება der Anspruch, ხოლო ვალდებულებით-სამართლებრივს – die Forderung. ქართული სამართლებრივი ენა ასეთ დაყოფას არ იცნობს. ამიტომ გამოიყენება მოთხოვნის ერთიანი ცნება.

3 ეს კლასიფიკაცია ასევე კავშირშია სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობათა დაყოფასთან აბსოლუტურ და შეფარდებით ურთიერთობებად: *შენგელია*, სამოქალაქო სამართალი, წიგნში „ქართული სამართლის საფუძვლები“, 2000, გვ. 134.

4 *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 100.

აბსოლუტურ უფლებებს შორის ეკონომიკური თვალსაზრისით საყურადღებოა ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეებზე **ბატონობის უფლებები,** ე.წ. სანივთო უფლებები: საკუთრება (170 და შემდგომი მუხლები) და შეზღუდული სანივთო უფლებები – აღნაგობა, სერვიტუტი, იპოთეკა და ა.შ. მფლობელობა არ წარმოადგენს უფლებას, რადგან კოდექსი მას „ნივთზე ფაქტობრივ ბატონობად“ აკვალიფიცირებს (155 I). 7

არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეებზე ბატონობის უფლებებს განეკუთვნება საავტორო, საპატენტო უფლებები, უფლებები სასაქონლო ნიშნებზე და ა.შ.

რელატიურ უფლებებს მიეკუთვნება: მოთხოვნები, აღმჭურველი უფლებები და შესაგებლები.[5] 8

მოთხოვნები, როგორც რელატიური უფლებების ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი, შეიძლება წარმოიშვას როგორც სახელშეკრულებო, ისე კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობებიდან, როგორც საოჯახო, ისე სანივთო სამართლის საფუძველზე. მაგალითად, საკუთრებიდან, როგორც აბსოლუტური უფლებიდან, წარმოიშობა ვინდიკაციის უფლება, რომელიც მოთხოვნის უფლებას წარმოადგენს.

აღმჭურველი უფლებები უფლებამოსილ პირს ანიჭებენ სამართლებრივ ურთიერთობაზე ცალმხრივად ზემოქმედების – მისი შეცვლის ან შეწყვეტის – უფლებამოსილებას, მაგალითად, ხელშეკრულებიდან გასვლა ცალმხრივად (355) და გარიგების შეცილების უფლება (59 II 2).

შესაგებლები უფლებამოსილ პირს ანიჭებენ განსაზღვრულ მოქმედებაზე უარის თქმის უფლებას და ამით მეორე მხარეს არ აძლევენ საკუთარი უფლების განხორციელების შესაძლებლობას. მაგალითად, მე-500 მუხლის თანახმად, გამყიდველს უფლება აქვს დაიტოვოს ნივთი ან დააკავოს გზაში მანამ, სანამ მყიდველი არ აუნაზღაურებს შესაბამის თანხას.[6]

3. სამოქალაქო უფლებათა შეძენა, გადაცემა და შეწყვეტა

სამოქალაქო სამართალი ერთმანეთისაგან განასხვავებს სამოქალაქო უფლებათა **პირველად და ნაწარმოებ (დერივატიულ) შეძენას.** 9

უფლების პირველადი წარმოშობისას უფლება შემძენთან თავდაპირველად აღმოცენდება გარიგების გარეშე, მაგალითად, 190-ე მუხლის თანახმად, თუ პირი მფლობელობაში იღებს უპატრონო მოძრავ ნივთს, იგი იძენს საკუთრებას ამ ნივთზე. უფლების პირველადი წარმოშობის სხვა შემთხვევებია: საკუთრების შეძენა განძზე (192), საკუთრების შეძენა ხანდაზმულობით (165-168), საკუთრების წარმოშობა მოძრავი ნივთების შერწყმის (194) ან მასალის გადამუშავების (195) შედეგად, საავტორო უფლების შეძენა ნაწარმოების შექმნის შედეგად და ა.შ. 10

უფლებათა ნაწარმოები (დერივატიული) წარმოშობა პრაქტიკაში უფრო გავრცელებულია. უფლების გადასვლა შემძენზე ხდება წინამორბედი 11

5 *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 101.
6 იქვე, გვ. 101.

პირისაგან, რომელსაც ეს უფლება ჰქონდა. უფლების გადასვლის საფუძველი შეიძლება იყოს როგორც გარიგება, ისე კანონი. მაგალითად, საწარმოს გაყოფის შემთხვევაში გაყოფის შედეგად წარმოშობილ საწარმოებზე უფლებები გადადის გაყოფის შესახებ ხელშეკრულების თანახმად, ხოლო შერწყმის შედეგად წარმოშობილ საწარმოებზე უფლებები გადადის კანონის საფუძველზე. მემკვიდრეებისათვის საკუთრების გადაცემა სამკვიდრო ქონებაზე ასევე ხდება კანონის საფუძველზე.[7]

უფლებათა დერივატიული წარმოშობის დახასიათებისას გადამწყვეტია ის გარემოება, რომ **უფლების გადასვლა ხდება წინამორბედი პირისაგან,** მიუხედავად ამ პირთან განკარგვის უფლებამოსილების არსებობისა. შესაბამისად, საკუთრების კეთილსინდისიერი შეძენა 187-ე მუხლის თანახმად უნდა ჩაითვალოს უფლების ნაწარმოებ წარმოშობად.

12 სამოქალაქო უფლებები, ჩვეულებრივ, **გადაცემადი უფლებებია,** მაგალითად, 152-ე მუხლი არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეებთან მიმართებაში. უფლების გადაცემის სამართლებრივი საფუძველი ამ შემთხვევაშიც არის გარიგება ან კანონი. მაგალითად, მემკვიდრეებზე სამკვიდრო ქონების გადაცემის წესი კანონით მემკვიდრეობისას კანონით განისაზღვრება, ხოლო მყიდველზე საკუთრების გადაცემის პირობები ნასყიდობის ხელშეკრულებით.

სამოქალაქო უფლებათა გადაცემის წესი განსხვავებულად შეიძლება იყოს დადგენილი უფლების ობიექტის მიხედვით. მაგალითად, უძრავ ნივთზე საკუთრების გადაცემისათვის აუცილებელია წერილობითი გარიგება და შემძენზე გარიგებით განსაზღვრული საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში (183-ე მუხლი). მოძრავ ნივთზე საკუთრების გადაცემა ხდება ნამდვილი უფლების საფუძველზე შემძენისათვის ნივთის გადაცემით.

პირადი უფლებები არ განეკუთვნება გადაცემად უფლებებს, რადგან ისინი მჭიდროდ არიან კონკრეტულ პირთან დაკავშირებულნი, მაგალითად სახელის უფლება არც გარიგებით და არც კანონით სხვა პირზე არ გადადის.[8]

13 **სამოქალაქო უფლების შეწყვეტა** ხდება გარიგების ან კანონის საფუძველზე.

გარიგების საფუძველზე უფლების შეწყვეტის თვალსაჩინო მაგალითებია **უარის თქმა უფლებაზე** (190 II მუხლი) ან უფლების ვადის გასვლა, რომელიც გარიგებით იყოს განსაზღვრული, მაგალითად, ქირავნობის ვადის გასვლა.

კანონის საფუძველზე უფლების შეწყვეტა, როგორც წესი, უკავშირდება კანონით დადგენილი მიზნის მიღწევას, მაგალითად, ვალის დაბრუნებით წყდება ამ ვალის უზრუნველსაყოფად დადგენილი იპოთეკა, როგორც აქცესორული უფლება.

14 **სამოქალაქო კოდექსი არ იცნობს უფლებას სუბიექტის გარეშე.** ამიტომ უფლების მატარებელი პირის, ე.ი. უფლების სუბიექტის გარდაცვალების შემთხვევაში ავტომატურად ადგენს მის უფლებამონაცვლეს, მაგალითად, 1319-ე მუხლის მიხედვით სამკვიდრო იხსნება პირის გარდაცვალების მო-

7 *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 102.
8 იქვე, 2011, გვ. 102-103.

მენტიდან, ე.ი. მისი უფლებები ავტომატურად გადადის მემკვიდრეებზე.[9]

II. სამოქალაქო უფლებათა დამოუკიდებლობა პოლიტიკური უფლებებისაგან

15 სამოქალაქო უფლებები, როგორც კერძოსამართლებრივი უფლებები, ჩვეულებრივ, **პოლიტიკურად ნეიტრალურია.** ეს გარემოება არა მხოლოდ სამოქალაქო უფლებების ბუნებით აიხსნება, არამედ 9 I მუხლიდან პირდაპირ გამომდინარეობს: **სამოქალაქო უფლებათა განხორციელება არ არის დამოკიდებული პოლიტიკურ უფლებებზე,** რომლებიც განისაზღვრება კონსტიტუციით ან საჯარო სამართლის სხვა კანონებით.

მართალია, ზოგიერთი სამოქალაქო უფლება კონსტიტუციით განმტკიცებული ძირითადი უფლებიდან გამომდინარეობს, მაგალითად, საკუთრების უფლება კონსტიტუციის 21-ე მუხლის მიხედვით, მაგრამ საკუთრების სამოქალაქო-სამართლებრივი უფლების განხორციელებისათვის, მაგალითად, გასხვისება, ვინდიკაცია და ა.შ. არ არის აუცილებელი მოქალაქეობა ან სხვა პოლიტიკური უფლებების ქონა.[10]

„პოლიტიკური უფლებების შეზღუდვამ ან წართმევამ არ შეიძლება ხელყოს პირის სამოქალაქო-სამართლებრივი მდგომარეობა, რომელსაც სრულიად სხვა შინაარსი და სხვა სოციალური დატვირთვა აქვს“.[11] თუმცა ეს არ ნიშნავს ზოგიერთი უფლების შეზღუდვის დაუშვებლობას, მაგალითად, ცალკეულ შემთხვევებში უცხოელებს შეიძლება შეეზღუდოთ საკუთრების უფლება სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთებზე.

10 I მუხლი ნორმატიულად განამტკიცებს პიროვნების, როგორც პოლიტიკური არსების, და პიროვნების, როგორც კერძო სამართლის სუბიექტის, განსხვავებულ სტატუსს.[12] ამით ქართული სამოქალაქო კოდექსი გაემიჯნა საბჭოთა სამოქალაქო სამართალს, რომელშიც პოლიტიკური და კერძოსამართლებრივი უფლებები ორგანულად იყო შერწყმული ერთმანეთთან, როცა ერთის დაკარგვა იწვევდა მეორის დაკარგვასაც.[13]

III. კერძო ავტონომია და ხელშეკრულების თავისუფლება

1. ცნება და შინაარსი

16 10 II მუხლი განამტკიცებს **მხარეთა კერძო ავტონომიას,** რომელიც კერძო სამართლის ერთ-ერთ ფუძემდებლურ პრინციპს წარმოადგენს. მის თანახმად კერძოსამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეებს შეუძლიათ განახორციელონ კანონით აუკრძალავი ნებისმიერი მოქმედება, მათ შორის, ისეთიც,

9 *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 104.

10 დაწვრილებით ამ საკითხზე იხ. *ზოიძე,* საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, 2007, გვ. 91-127.

11 *ჯორბენაძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 10, გვ. 3.

12 *ზოიძე,* ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, გვ. 198.

13 იქვე, გვ. 198.

რომელიც კანონით პირდაპირ არ არის გათვალისწინებული.[14] მაგალითად, არ არის სავალდებულო მხარეების მიერ დადებული ხელშეკრულება სამოქალაქო კოდექსში ან სხვა კანონში პირდაპირ იყოს გათვალისწინებული.

17 კერძო ავტონომიის პრაქტიკულ გამოვლინებას წარმოადგენს **ხელშეკრულების თავისუფლება** (319 I მუხლის კომენტარი).

ხელშეკრულების თავისუფლება ორი ელემენტისაგან შედგება: **ხელშეკრულების დადების თავისუფლება** და **ხელშეკრულების შინაარსის განსაზღვრის თავისუფლება.** პირველი გულისხმობს შესაძლებლობას, დადოს ან არ დადოს პირმა ხელშეკრულება. გამონაკლისი შემთხვევების გარდა, ხელშეკრულების დადების ვალდებულებას კანონი არ იცნობს, მაგალითად, 319 II მუხლი. ხოლო მეორე ნიშნავს ხელშეკრულების მხარეთა შესაძლებლობას, ხელშეკრულებაში გაითვალისწინონ ნებისმიერი საკითხი, რომელიც კანონით არ არის აკრძალული.[15]

18 კერძო ავტონომიის შინაარსი მოიცავს ასევე **თვითპასუხისმგებლობას:** პირი თვითონ აგებს პასუხს საკუთარი მოქმედებისათვის. თვითპასუხისმგებლობა და პასუხისმგებლობის დაკისრების საფრთხე ეკონომიკური წინსვლის კატალიზატორად მიიჩნევა.[16]

2. კერძო ავტონომიის ფარგლები

19 კერძო ავტონომიის ფარგლები, როგორც წესი, **განისაზღვრება კანონით** და **ეხება ან გარიგების ფორმას ან გარიგების შინაარსს.** მაგალითად, უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულების ნამდვილობისათვის აუცილებელია ხელშეკრულების გაფორმება წერილობით.

კონტრაჰირების იძულება კერძო ავტონომიის შეზღუდვის ერთ-ერთ შემთხვევას წარმოადგენს (319 II მუხლის კომენტარი). ეს ვალდებულება ჩვეულებრივ ვრცელდება ბაზარზე გაბატონებული მდგომარეობის მქონე სუბიექტებზე, რომელთაც შესაძლებლობა აქვთ ხელშეკრულების კონტრაჰენტს თავს მოახვიონ კაბალური პირობები.

სასამართლო პრაქტიკის აზრით, **ხელშეკრულების თავისუფლება სახელშეკრულებო სამართლიანობის ფარგლებში მოქმედებს** და სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეებმა სამოქალაქო უფლებები კეთილსინდისიერად უნდა განახორციელონ.[17]

IV. უფლების ბოროტად გამოყენების დაუშვებლობა

1. ცნება და მნიშვნელობა

20 **კერძო ავტონომიის შეზღუდვა** გამოიხატება ასევე **სამოქალაქო უფლებებ-**

14 იხ. *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 90.
15 იქვე, გვ. 93.
16 იქვე, გვ. 92.
17 საქ. უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 13 თებერვლის №ას-505-889-06 განჩინება, გვ. 133-140.

ის კეთილსინდისიერად განხორციელების ვალდებულების დაკისრებასა (8 III მუხლის კომენტარი) და **უფლების ბოროტად გამოყენების დაუშვებლობაში** (10 III). ორივე შემთხვევაში ამ შეზღუდვის მიზანი არის **სხვათა თავისუფლების დაცვა.**

უფლების ბოროტად გამოყენების აკრძალვის მიზანს სამოქალაქო კოდექსი აღწევს, ერთი მხრივ, **იმპერატიული ნორმების დაწესებით,** რომლებიც ბათილად მიიჩნევენ უფლების ბოროტად გამოყენებას, ხოლო, მეორე მხრივ, **შიკანის აკრძალვით** (115-ე მუხლის კომენტარი). **21**

უფლების ბოროტად გამოყენების საკანონმდებლო დაკონკრეტების მცდელობას შეიცავს 170 I მუხლი, რომელიც საკუთრების უფლების ბოროტად გამოყენებად აკვალიფიცირებს საკუთრების ისეთ სარგებლობას, რომლითაც მხოლოდ სხვებს ადგებათ ზიანი ისე, რომ არ არის გამოკვეთილი მესაკუთრის ინტერესის უპირატესობა და მისი მოქმედების აუცილებლობა გაუმართლებელია (170 II).

უფლების ბოროტად გამოყენება შეიძლება **გარიგების ბათილობის საფუძველი გახდეს,** მაგალითად, ბათილია გარიგება 55 II მუხლის თანახმად, როცა ის დადებულია ერთი მხარის მიერ მეორეზე გავლენის ბოროტად გამოყენებით, როცა მათი ურთიერთობა დაფუძნებულია განსაკუთრებულ ნდობაზე.

სამოქალაქო უფლების განხორციელებით ურთიერთობის მეორე მონაწილის ჩაყენება არახელსაყრელ მდგომარეობაში ავტომატურად არ იწვევს უფლების განხორციელების კვალიფიკაციას უფლების ბოროტად გამოყენებად, თუკი უფლებამოსილ პირს ჰქონდა **დაცვის ღირსი სამართლებრივი ინტერესი** ამ უფლების განხორციელების მიმართ.[18] **22**

2. კავშირი სხვა ინსტიტუტებთან

უფლების ბოროტად გამოყენება **ზოგად და შეფასებით კატეგორიას** წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, საყურადღებოა მისი განხილვა სხვა მონათესავე ინსტიტუტებთან, რომლებიც აკონკრეტებენ უფლების ბოროტად გამოყენების შინაარსს. ამ ასპექტში მნიშვნელოვანია **შიკანის აკრძალვა** (115), **აუცილებელი მოგერიება** (116), **უკიდურესი აუცილებლობა** (117), **თვითდახმარება** (118-120) და ა.შ. **23**

18 იხ. *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 110.

კარი პირველი
პირები

თავი პირველი
ფიზიკური პირები

მუხლი 11. უფლებაუნარიანობა

1. ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა – უნარი, ჰქონდეს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები, წარმოიშობა დაბადების მომენტიდან.

2. მემკვიდრედ ყოფნის უფლება წარმოიშობა ჩასახვისთანავე; ამ უფლების განხორციელება დამოკიდებულია დაბადებაზე.

3. ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა წყდება მისი გარდაცვალებით. გარდაცვალების მომენტად ითვლება თავის ტვინის ფუნქციონირების შეწყვეტა.

4. არ შეიძლება ფიზიკურ პირს წაერთვას უფლებაუნარიანობა.

I. ზოგადი მიმოხილვა.....60
II. უფლებაუნარიანობის ცნება.....61
III. უფლებაუნარიანობის წარმოშობა (11 I).....62
IV. ჩანასახის ნაწილობრივი უფლებაუნარიანობა (11 II) 63
V. უფლებაუნარიანობის დასასრული (11 III) 64

I. ზოგადი მიმოხილვა

1 სამოქალაქო კოდექსის ადრესატები არიან კერძო უფლებისა და მოვალეობის მქონე სამართლის სუბიექტები. ასეთებია ფიზიკური (ადამიანი) და იურიდიული (სამეწარმეო, არასამეწარმეო და საჯარო სამართლის) პირები, რომელთა საერთო ნიშანს (მახასიათებელს) წარმოადგენს **უფლებაუნარიანობა.**[1]

2 პირის მთავარი ცნება მიეკუთვნება სამართლებრივ-ტექნიკურ კატეგორიას.[2] ფიზიკური პირის ცნებაში იგულისხმება ადამიანი, რომელიც სამართლებრივი პიროვნულობის („Rechtspersönlichkeit“) მქონეა. სამართლებრივი პიროვნულობა წესრიგდება მე-11 მუხლით მხოლოდ მაშინ, როდესაც ადამიანი უფლებაუნარიანია და სამართლებრივი აზრით წარმოადგენს პიროვნებას.[3]

3 უფლებაუნარიანობა, როგორც ახალი დროის, კერძოდ, ბუნებითი სამართლისა და გერმანული იდეალიზმის, პროდუქტი და ყველა ადამიანის თანასწორობის იდეა, განუყოფელია ერთმანეთისაგან.[4] თანამედროვე სამართალი კონსტიტუციურად განამტკიცებს აღნიშნულ დამოკიდებულებას.

1 Anwaltkommentar zum BGB AT, 2005, §1, Rn.1
2 *Heinrichs,* in Palandt BGB Komm, 67. Aufl., §1, Rn. 1
3 Anwaltkommentar zum BGB AT, 2005, §1, Rn. 2.
4 Anwaltkommentar zum BGB AT, 2005, §1, Rn. 4.

ფიზიკური პირი, რომელშიც იგულისხმება ადამიანი, საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის თანახმად, „დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა“.[5] უფლებაუნარიანობა არ წარმოადგენს საკანონმდებლო-სამართლებრივი წესრიგის ქმნილებას, იგი კანონამდე უფრო ადრეა წარმოშობილი. უფლებაუნარიანობა ახასიათებს ყველა დაბადებულსა და ჯერ კიდევ ცოცხალ ადამიანს. ყველა ადამიანის მიერ უფლებაუნარიანობის შეძენა კონსტიტუციის აღნიშნული მუხლიდან გამომდინარეობს. უფლებაუნარიანობა, როგორც სამართლის სუბიექტის განმსაზღვრელი ფასეულობა, ყველა ადამიანისათვის ერთიანია და მისი დიფერენციაცია ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლის მოთხოვნებს.

II. უფლებაუნარიანობის ცნება

მე-11 I მუხლის თანახმად, „ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა – უნარი, ჰქონდეს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები – წარმოიშობა დაბადების მომენტიდან“. უფლებაუნარიანობის ასეთი განმარტება ემყარება ცივილისტურ დოქტრინაში ისტორიულად გაბატონებულ დეფინიციას. უფლებაუნარიანობა, უფლება – მოვალეობათა ქონების აბსტრაქტული შესაძლებლობაა და ამდენად, ფიზიკური პირის, როგორც სამართლის სუბიექტის არსებობის განმსაზღვრელია. არ არსებობს სუბიექტი ამ შესაძლებლობის გარეშე. **4**

უფლებაუნარიანობა განსხვავდება უფლებისაგან. უფლებაუნარიანობა ზოგადი კატეგორიაა, უფლება კი – კონკრეტული. უფლებაუნარიანობა გააჩნია ყველა ადამიანს, მაშინ როცა, უფლება მხოლოდ კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობასთანაა დაკავშირებული და მხოლოდ მის მონაწილეს აქვს.[6] კონკრეტული უფლება, უფლებაუნარიანობის შინაარსში შესაძლებლობის სახით მოცემული უფლების, კონკრეტულ ურთიერთობაში გამოვლენის შედეგია. ვერც ერთი კონკრეტული უფლება ვერ იარსებებს, თუ არ იარსებებს ის შესაძლებლობის სახით. უფლებაუნარიანობასა და უფლებას შორის ისეთივე მიმართებაა, როგორი მიმართებაცაა შესაძლებლობასა და სინამდვილეს შორის. **5**

უფლებაუნარიანობისგან განსხვავებით, ქმედუნარიანობა გულისხმობს სამართლებრივად რელევანტური (ფასეული) ქმედების განხორციელების უნარს. ქმედუნარიანობა – ესაა მოქმედების შესაძლებლობა,[7] რაც თავის თავში ცალკეული ქმედებისაგან თავშეკავებასაც მოიცავს. **6**

5 Anwaltkommentar zum BGB AT, 2005, §1, Rn. 4.

6 *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2012, გვ. 176; ასევე: *ჭანტურია,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 11, გვ. 41.

7 MüKo/*Schmitt,* BGB, 6. Aufl., 2012, §1, Rn. 7.

7 უფლებაუნარიანობა განსხვავდება გარიგებაუნარიანობისაგან (რაც გულისხმობს კანონით დაშვებული გარიგების დამოუკიდებლად დადების უნარს) და პასუხისმგებლობისა თუ დელიქტუნარიანობისაგან (რაც გულისხმობს საკუთარი მოქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების უნარს).[8]

8 სამოქალაქო სამართლისგან განსხვავებით, სამოქალაქო-საპროცესო სამართალში მოქმედებს პროცესუნარიანობა, რაც გულისხმობს სამართლებრივი დავის შემთხვევაში, საპროცესო-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილედ ყოფნის უნარს, საპროცესო მოქმედებების დამოუკიდებლად ან კანონიერი წარმომადგენლის მეშვეობით განხორციელების უნარს.[9] პროცესუნარიანია ის პირი, რომელიც იმავდროულად არის უფლებაუნარიანი.

უფლებაუნარიანობა ასევე უნდა გაიმიჯნოს ადმინისტრაციულ და საგადასახადო სამართალში საპროცესო მოქმედების განხორციელების უნარიანობისაგან.[10]

III. უფლებაუნარიანობის წარმოშობა (11 I)

9 უფლებაუნარიანობის წარმოშობა არ არის დამოკიდებული პირის ასაკზე, ჯანმრთელობაზე, ან სხვა რაიმე ხასიათის სამართლებრივ აქტზე.[11] უფლებაუნარიანობა 11 I მუხლის თანახმად, „წარმოიშობა დაბადების მომენტიდან“. დაბადება გულისხმობს სამართლის სუბიექტის დაბადებას. ამიტომაც, დაბადების მომენტის განსაზღვრაზეა დამოკიდებული, იარსებებს თუ არა სამართლის სუბიექტი. საქართველოს კანონმდებლობით არ არის დადგენილი დაბადების მომენტი. მნიშვნელოვანია, ამ შემთხვევაში მოხდეს ბავშვის დედის საშვილოსნოსაგან ბუნებრივი თუ ხელოვნური გზით გამოყოფა და მან იცოცხლოს გარკვეული დროის განმავლობაში, როგორც ადამიანმა. ამდენად, უფლებაუნარიანია დედის ორგანიზმისაგან გამიჯნული, დამოუკიდებელი არსება, მნიშვნელობა არა აქვს, როგორი იქნება მისი სიცოცხლისუნარიანობის შემდგომი პერსპექტივა. მთავარია, დაბადების მომენტში იყოს იგი სასიცოცხლო ფუნქციის მატარებელი.[12] ამრიგად, უფლებაუნარიანობა წარმოიშობა იმ მომენტიდან, როცა ბავშვი გამოეყოფა დედის სხეულს და თანამედროვე მედიცინის თანახმად, იგი ჩაითვლება ცოცხალ არსებად.[13]

მნიშვნელოვანია, ცოცხლად დაბადების მტკიცების ტვირთის მოვალეობა, რაც უკავშირდება უფლების წარმოშობას. არ არსებობს ცოცხლად დაბადების კანონისმიერი პრეზუმფცია. სამოქალაქო აქტის ჩანაწერში დაბადების რეგისტრაცია არის იმის მტკიცება, რომ პიროვნება ცოცხალი დაიბადა. „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წესის“ მე-15 მუხლის თანახმად, დაბადების რეგისტრაციის საფუძველია სამედიცინო ორგანოს

8 AnwaltKommentar zum BGB AT, 2005, §1, Rn. 12.
9 AnwaltKommentar zum BGB AT, 2005, §1, Rn. 13.
10 AnwaltKommentar zum BGB AT, 2005, §1, Rn. 14.
11 *ჭანტურია*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, წიგნი I, მუხ. 11, გვ. 40-41.
12 MüKo/*Schmitt,* BGB, 6. Aufl., 2012, §1, Rn. 2, Rn. 16.
13 *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2009, გვ. 168.

მიერ გაცემული დაბადების დამადასტურებელი დოკუმენტი.

IV. ჩანასახის ნაწილობრივი უფლებაუნარიანობა (11 II)

მართალია, უფლებაუნარიანობა დაბადების მომენტიდან წარმოიშობა, მაგრამ თანამედროვე სამართალი, რომის სამართლიდან მოკიდებული, აღიარებს ჯერ კიდევ დაუბადებელი ბავშვის – ჩანასახის (nasciturus) შეზღუდულ უფლებაუნარიანობას. რომის სამართალი, მიუხედავად იმისა, რომ ჩანასახს განიხილავდა დედის ნაწილად, მას მაინც აღიარებდა სამემკვიდრეო უფლების სუბიექტად.[14] ჩანასახის უფლებას აღიარებს და იცავს არა მარტო სამოქალაქო სამართალი, არამედ სისხლის სამართალი – აბორტის აკრძალვით, საკონსტიტუციო სამართალი – მისი ძირითადი უფლების სუბიექტად აღიარებით.[15] 10

11 II მუხლის თანახმად, ჩანასახი შეზღუდული და პირობითი უფლებაუნარიანობის მქონეა. შეზღუდულია უფლებაუნარიანობა იმიტომ, რომ იგი მხოლოდ „მემკვიდრედ ყოფნის უფლებას“ მოიცავს. პირობითია იმიტომ, რომ ამ უფლების განხორციელება დამოკიდებულია დაბადებაზე.[16] ამდენად, უფლება, როგორც ფასეულობა, ჩანასახის, როგორც სამართლის შეზღუდული უფლებაუნარიანობის მქონე სუბიექტის განმსაზღვრელია. რადგანაც ეს უფლება ჩასახვისთანავე ჩნდება, ამით ჩანასახი ხდება იმ კონკრეტული მემკვიდრეობითი ურთიერთობის სუბიექტი, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ჩასახვიდან დაბადებამდე დროის მონაკვეთში. დაბადების ფაქტით ხდება მანამდე წარმოშობილი უფლების რეალიზაცია და არა თავად უფლების წარმოშობა. დაბადების შემდეგ სახეზეა სრული უფლებაუნარიანობის მქონე სუბიექტი – ფიზიკური პირი, რომელიც ამ მომენტიდან ხდება უფლებაუნარიანობაში მოაზრებული უფლებების შეძენაზე ზოგადი უფლებამოსილების მქონე. 11

ჩანასახი შეზღუდული უფლებაუნარიანობის მქონეა ძირითად უფლებებთან მიმართებითაც. სიცოცხლის უფლება, რომელსაც იცავს საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლი, ჩანასახზეც უნდა გავრცელდეს. ჩანასახს დაბადებამდეც ახასიათებს თავისი გენეტიკური იდენტობა და შესაბამისად, განუმეორებელობა და შეუცვლელობა. ჩანასახს, როგორც ჯერ კიდევ დაუბადებელ ადამიანურ სიცოცხლეს, გააჩნია ღირსება და მართლწესრიგი იცავს მისი სიცოცხლის უფლებას.[17] გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით, სიცოცხლის უფლება გარანტირებულია ყველასათვის, ვინც „ცოცხალია“, მათ შორის დაუბადებელი ცოცხალი არსებისათვის.[18] 12

ჩანასახის უფლებაუნარიანობა 11 II მუხლით გათვალისწინებული მემკვიდრეობის უფლების გარდა, ზოგჯერ მოიცავს ზიანის ანაზღაურების 13

14 *Гарридо*, Римское частное право: Казусы, иски, институты, 2005, gv. 225.
15 *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2012, გვ. 169.
16 *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 11, 1999, გვ. 42.
17 AntwaltKommentar zum BGB AT, Ring, §1, Rn. 39.
18 BVerfGE 39, 1, 41 f = NJW 1975, 573, 575.

უფლებასაც. 1006-ე I 1 მუხლში აღნიშნულია, რომ „დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში ზიანის მიმყენებელმა სარჩოს დაწესებით უნდა აუნაზღაუროს ზიანი იმ პირებს, რომელთა რჩენაც დაზარალებულს ევალებოდა“. სამართლებრივ ლიტერატურაში არსებული განმარტებით, ამ ნორმით გათვალისწინებულ სარჩენ პირებში, ასევე იგულისხმება ჯერ არდაბადებული, მაგრამ ჩასახულიც, რომლის რჩენაზეც გარდაცვლილი იქნებოდა პასუხისმგებელი მისი დაბადების შემთხვევაში.[19]

14 სამართლის სხვადასხვა სისტემაში ჩანასახის სამართლებრივი მდგომარეობის მოწესრიგებისას პრობლემურია ის შემთხვევები, როდესაც ბავშვი სერიოზული ფიზიკური ნაკლით იბადება და შესაძლებელი იყო მოსალოდნელი შედეგების მშობიაროობამდე დადგენა. ამ დროს შეიძლება ჩანასახს წარმოეშვას სახელშეკრულებო ან დელიქტური მოთხოვნის საფუძველი. ის ფაქტი, დედას რომ სცოდნოდა ჩანასახის ავადმყოფობის შესახებ, იგი არ გააჩენდა მას, ვერ წარმოშობს ჩანასახის უფლებას „არარსებობაზე“, ვინაიდან ეს იქნება მისი სიცოცხლის უფლების შელახვა. ასეთი მიდგომა გასაზიარებელია ქართულ სამართალშიც.[20]

V. უფლებაუნარიანობის დასასრული (11 III)

15 ისევე, როგორც 11 I მუხლის მიხედვით, უფლებაუნარიანობის წარმოშობა უკავშირდება დაბადების ფაქტს, ამავე მუხლის მე-3 ნაწილით, გარდაცვალება იწვევს მის შეწყვეტას. უფლებაუნარიანობა წყდება პირის ფიზიკური სიკვდილით და არა ე. წ. „სამოქალაქო სიკვდილით“ (მაგალითად, ბერად შედგომა), რაც უცნობია სამოქალაქო კოდექსისათვის. გარდაცვალების ფაქტს უკავშირდება სუბიექტის ქონებრივი უფლება-მოვალეობების შემდგომი ბედი. კერძოდ, იხსნება სამკვიდრო (1313) და წყდება ვალდებულება (453).

16 მნიშვნელოვანია გარდაცვალების დროის დადგენა. თანამედროვე მედიცინის მეცნიერების საფუძველზე ასეთად უნდა ჩაითვალოს ადამიანის გულის ან ტვინის სიკვდილი. გულის სიკვდილი შეესაბამება სიკვდილის კლასიკურ გაგებას, როგორიცაა, გულის მოქმედების, სისხლის მიმოქცევისა და სუნთქვის შეჩერება, ე. წ. „კლინიკური სიკვდილი“. ტვინის სიკვდილი გულისხმობს ტვინის ფუნქციის შეუქცევად დაკარგვას მისი რეანიმაციის შესაძლებლობის გარეშე,[21] როცა სამედიცინო აპარატი საბოლოოდ წყვეტს ტვინის ფუნქციონირების ამსახველი ტალღების ჩვენებას.[22] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი თავის ტვინის ფუნქციონირების შეწყვეტას უკავშირებს ადამიანის გარდაცვალების მომენტს.

17 „ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის თანახმად, „ადამიანი გარდაცვლილად ჩაითვლება მხოლოდ მას შემ-

19 *კერესელიძე*, უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 106.
20 იქვე, 2009, გვ. 107.
21 Anwaltkommentar zum BGB AT, 2005, §1, Rn. 22.
22 *კერესელიძე*, უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 103.

დეგ, როდესაც დადგინდება თავის ტვინის სიკვდილი ან გულის შეუქცევადი გაჩერება და სისხლის მიმოქცევის შეწყვეტა“. როგორც ვხედავთ, მოცემული კანონი აფართოებს გარდაცვალების მომენტის დეფინიციას და არ შემოიფარგლება მარტო სამოქალაქო კოდექსის შედარებით ვიწრო განმარტებით. ასეთი მიდგომა უნდა ასახავდეს მედიცინის განვითარების თანამედროვე მიღწევებს.

18 გარდაცვალების მომენტის განსაზღვრისადმი განსხვავებულმა მიდგომამ სამართლის მეცნიერებაში განაპირობა მისი დიფერენცირებული გამოყენების აუცილებლობა. კერძოდ, იმ უფლების (მაგალითად, მემკვიდრეობა) წარმოსაშობად, რომლისთვისაც გადამწყვეტია სიკვდილის დადგომის მომენტის ცნება, გარდაცვალება უკავშირდება გულის გაჩერებას. იმ შემთხვევაში, როცა სიკვდილის ფაქტის დადგენა საჭიროა რაიმე უფლების განსახორციელებლად, მაგალითად, როგორიცაა სხეულის ორგანოს ტრანსპლანტაცია, მაშინ მის დასადგენად უნდა გამოვიყენოთ თავის ტვინის ფუნქციონირების შეწყვეტა.[23] სიკვდილის ფაქტისადმი ასეთი დუალისტური მიდგომა შედეგობრივად უვარგისი უნდა იყოს. რის საფუძველზეც არ უნდა ჩაითვალოს პირი გარდაცვლილად, ეს ფაქტი შეუქცევადია და შესაბამისად, სამართლებრივი შედეგები უკავშირდება ამ ფაქტს და არა მისი დადგომის მდგომარეობას.

19 დღევანდელი სამედიცინო გაგებით, გარდაცვალება არ არის ერთჯერადი აქტი, იგი გარკვეული პროცესის დასასრულია. დღეს მედიცინას შეუძლია ცალკეული ორგანოების ფუნქციონირების შენარჩუნება, მაშინაც, როცა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ორგანო, როგორიცაა ტვინი, უკვე დიდი ხანია უფუნქციოა.[24]

20 გარდაცვალების მომენტის დადგენა მნიშვნელოვანია ტრანსპლანტაციის პრობლემების გადასაჭრელად, როცა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ორგანოს ფუნქციის უუნარობის შემთხვევაში, შესაძლებელია, რომ სხეულის ცალკეული ნაწილების ფუნქციონირება შენარჩუნდეს. მათი ტრანსპლანტაცია დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა გარდაცვალების ფაქტი უტყუარია. კანონით განსაზღვრული პირების უფლებამოსილება, თანხმობა განაცხადონ გარდაცვლილის სხეულის ნაწილების ტრანსპლანტაციის მიზნით გამოყენებაზე, მხოლოდ მაშინ წარმოიშობა, როცა დონორი ჩაითვლება გარდაცვლილად.

21 შეიძლება თუ არა უფლებაუნარიანობა შეწყვეტილად ჩაითვალოს პირის გარდაცვლილად გამოცხადების შემთხვევაში (22). პირის გარდაცვლილად გამოცხადება წარმოადგენს იურიდიულ ფიქციას, რომელიც ეფუძნება გარკვეული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე გარდაცვალების ვარაუდს. გარდაცვლილად გამოცხადება იწვევს არსებითად იმავე სამოქალაქო-სამართლებრივ შედეგებს, რასაც იწვევს პირის ფიზიკური სიკვდილი. აქედან გამომდინარე, სწორი უნდა იყოს, რომ გარდაცვლილად გამოცხადების ლოგიკურ შედეგად ჩავთვალოთ უფლებაუნარიანობის შეწყვეტა,

23 *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2012, გვ. 177.
24 MüKo/*Schmitt*, BGB, 6. Aufl., 2012, §1, Rn. 19.

როგორც ასევე სამართლებრივი ფიქცია. არალოგიკურია სუბიექტის გარდაცვალება წარმოადგენდეს ფიქციას და უფლებაუნარიანობა, რომელიც მისი სამართლებრივი პიროვნულობის განმსაზღვრელი ფაქტორია, არ წარმოადგენდეს ფიქციას.

22 ადამიანი, რომლის უფლებაუნარიანობაც შეწყდა გარდაცვალების შედეგად, რჩება ნაწილობრივ უფლებაუნარიანად პიროვნულობასთან დაკავშირებული უფლებების დაცვის კონტექსტში.[25] მე-19 მუხლის თანახმად, დაინტერესებული პირების მხრიდან „დაცვას ექვემდებარება ისეთი უფლებები, რომელიც პიროვნების არსების განმსაზღვრელია და გრძელდება სიკვდილის შემდეგაც“. გარდაცვლილი პირის „უფლებაუნარიანობისადმი“ ასეთი დამოკიდებულება გამომდინარეობს ღირებულებათა კონსტიტუციურ-სამართლებრივი გაგებიდან, რომლის თანახმადაც, პიროვნების სახე მომავალი თაობების მეხსიერებაში რჩება გარდაცვალების შემდეგაც და იგი დაცულია მესამე პირთა მხრიდან. ადამიანის ღირსება დაცულია გარდაცვალების შემდეგაც და რაიმე დროის მონაკვეთით შეზღუდვას არ ექვემდებარება.[26]

25 Anwaltkommentar zum BGB AT, 2005, §1, Rn. 31.
26 Anwaltkommentar zum BGB AT, 2005, §1, Rn. 32.

მუხლი 12. ქმედუნარიანობა

1. ქმედუნარიანობა, ანუ ფიზიკური პირის უნარი, თავისი ნებითა და მოქმედებით სრული მოცულობით შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები, წარმოიშობა სრულწლოვანების მიღწევისთანავე.

2. სრულწლოვანია პირი, რომელმაც 18 წლის ასაკს მიაღწია.

3. ქმედუნარიანად ითვლება პირი, რომელმაც 18 წლის ასაკის მიღწევამდე იქორწინა.

4. ქმედუნარიანად ითვლება ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირი (შემდგომ – მხარდაჭერის მიმღები), ანუ პირი, რომელსაც აქვს მყარი ფსიქიკური, გონებრივი/ინტელექტუალური დარღვევები, რომელთა სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებამ შესაძლოა ხელი შეუშალოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას სხვებთან თანაბარ პირობებში, თუ ეს პირი აკმაყოფილებს ამ მუხლის მე-2 ან მე-3 ნაწილის პირობებს, ამასთანავე, აღნიშნული დაბრკოლებები სათანადო რჩევისა და დახმარების გარეშე მნიშვნელოვნად ართულებს პირის მიერ საკუთარი ნების თავისუფლად გამოხატვას და ინფორმირებული და გააზრებული არჩევანის გაკეთებას სასამართლოს მიერ განსაზღვრულ სფეროში.

5. მხარდაჭერის მიმღებად სასამართლომ შეიძლება ცნოს აგრეთვე არასრულწლოვანი იმ ფარგლებში, რომლებშიც, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, მას თავისი უფლება-მოვალეობების განხორციელებისას კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა არ სჭირდება.

6. 7 წლამდე ასაკის არასრულწლოვანი (მცირეწლოვანი) ქმედუუნაროდ ითვლება.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილება №2/4/532,533 – ვებგვერდი, 28.10.2014წ.

საქართველოს 2015 წლის 20 მარტის კანონი №3339 – ვებგვერდი, 31.03.2015წ.

I. ქმედუნარიანობის ცნება (12 I) 68
II. სრულწლოვანება (12 II) 70
III. ქმედუნარიანად ემანსიპაცია (12 III) 70
IV. ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირის (მხარდაჭერის მიმღების) ქმედუნარიანობა 71
V. ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე არასრულწლოვანი პირის (მხარდაჭერის მიმღების) ქმედუნარიანობა 74
VI. ქმედუუნაროობა მცირეწლოვნობის გამო (12 VI) 75

I. ქმედუნარიანობის ცნება (12 I)

1 თუკი უფლებაუნარიანობა უფლება-მოვალეობათა ქონის აბსტრაქტული შესაძლებლობაა სუბიექტის მოქმედების უნარის მიუხედავად, ქმედუნარიანობა მთლიანად სუბიექტის უნარზეა დამოკიდებული. ქმედუნარიანობა – ესაა სუბიექტის უნარი, თვითონ, თავისი მოქმედებით მოახდინოს უფლებაუნარიანობის შინაარსის პრაქტიკული რეალიზაცია. 12 I მუხლი იძლევა ქმედუნარიანობის ნორმატიულ ცნებას, რომელიც ემყარება სამართალში აღიარებულ (დამკვიდრებულ) განმარტებას. კერძოდ, „ქმედუნარიანობა – ესაა ფიზიკური პირის უნარი, თავისი ნებითა და მოქმედებით სრული მოცულობით შეიძინოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები“. უნდა ვივარაუდოთ, რომ ყველა ადამიანი ქმედუნარიანია. კანონით გათვალისწინებული შემთხვევები, როცა პირი ქმედუუნარო (მცირეწლოვანი) ან შეზღუდულად ქმედუნარიანია, უნდა ჩავთვალოთ იმ გამონაკლის შემთხვევებად, რომელთაც სპეციალურად აწესრიგებს სამოქალაქო კოდექსი.[1] მოცემული სამართლებრივი კატეგორიები – უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა – ორგანულად არიან ერთმანეთთან დაკავშირებული. ისინი ერთმანეთის გარეშე არ არსებობენ, მაშინაც კი, როცა ფიზიკური პირი ქმედუუნაროა. ამ შემთხვევაში, უფლებაუნარიანობის „მამოძრავებელი“ ხდება სხვათა (კანონიერ წარმომადგენელთა) ქმედუნარიანობა. თუკი არ იარსებებდა სხვისი ქმედუნარიანობის გამოყენებით საკუთარი ქმედუუნაროობის შევსება, მაშინ ყველა ფიზიკური პირი ვერც უფლებაუნარიანი და შესაბამისად, ვერც სამართალის სუბიექტი იქნებოდა.

2 ცნობილია **ზოგადი ქმედუნარიანობა** და **სპეციალური ქმედუნარიანობა.** 12 I მუხლში მოცემულია ზოგადი ქმედუნარიანობის ცნება. კერძოდ, ესაა ზოგადად პირის უნარი, საკუთარი ნებით განახორციელოს (მართოს) ესა თუ ის სამართლებრივი შედეგის მომტანი მოქმედებანი[2] და არა მისი უნარი, განახორციელოს ერთი რომელიმე კონკრეტული მოქმედება.[3] ზოგადი ქმედუნარიანობის ფორმებად უნდა ჩაითვალოს **გარიგებაუნარიანობა** და **დელიქტუნარიანობა**, თუმცა ამ ტერმინებს სამოქალაქო კოდექსი არ იყენებს.[4] ისინი „ქმედუნარიანობის“ გვარეობითი ცნების სპეციალური ფორმებია. გარიგებაუნარიანია პირი, რომელსაც შესწევს უნარი თავისი ნებით დადოს ნებადართული გარიგება, რაც შესაძლებელია კერძო ავტონომიის პირობებში. სამოქალაქო კოდექსი ქმედუნარიანობას მიიჩნევს გარიგების ნამდვილობის აუცილებელ პირობად (63, 67). თუ არ არის პირი ქმედუნარიანი, ის ვერც გარიგებაუნარიანი იქნება. ვინც გარიგებაუნარიანია, იმავდროულად ქმედუნარიანიცაა. დელიქტუნარიანობა – ესაა ზიანის გამომწვევი ქმედებისათვის პასუხისმგებლობის ქონის უნარი ზიანის ანაზღაურების მოვალეობის ფორმით.[5]

1 იხ. გარიგებაუნარიანობის ჭრილში: MüKo*/Schmitt,* BGB, 6. Aufl., 2012, §104, Rn. 2.
2 *Larenz/Wolf,* AT des bürg. Rechts, 1997, S. 131, Rn. 4.
3 *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, გვ. 116.
4 *Palm* in Erman BGB, §1, Rn. 1.
5 *Larenz/Wolf,* AT des bürg. Rechts, 1997, S. 132, Rn. 5.

ქმედუნარიანობა დაკავშირებულია ადამიანური მოქმედების სხვა ფორმებთან, რაც არც გარიგებაუნარიანობაა და არც დელიქტუნარიანობა.[6] მაგალითად, როგორიცაა მასალის გადამუშავება ანდა გადაკეთება (195), ნაპოვარი (191).

3 2015 წელს კოდექსში შეტანილი ცვლილებების მიხედვით, სიახლეა, რომ ნორმა **ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირს** აღიარებს ქმედუნარიან პირად. ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირი, ანუ პირი, რომელსაც აქვს ფსიქიკური, გონებრივი ან/და ინტელექტუალური დარღვევები, სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში მიიჩნევა ქმედუნარიანად, ანუ სუბიექტად, რომელსაც შეუძლია თავისი ნებითა და მოქმედებით განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები. 12 I მუხლში მითითებული სუბიექტისგან განსხვავებით, ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირს თავისი ნებისა და მოქმედების განსახორციელებლად ესაჭიროება სხვა პირის დახმარება (მხარდაჭერა). მუხლში მითითებული ცნებაც მხარდაჭერის მიმღები ნორმის ამ არსის გამომხატველია.

4 ნორმის შინაარსი ასეთი ფორმით ჩამოყალიბდა სამოქალაქო კოდექსში 2015 წლის 1 აპრილს შესული ცვლილებების თანახმად. ეს ცვლილება ორმა მნიშვნელოვანმა გარემოებამ განაპირობა:[7] ა) საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება; ბ) კონვენციით აღებული ვალდებულებები.[8] საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით ნორმის ის შინაარსი, რომლის თანახმად ჭკუასუსტობის ან სულით ავადმყოფობის გამო პირი მიიჩნეოდა ქმედუუნაროდ, ცნობილ იქნა არაკონსტიტუციურად კონსტიტუციის მე-14 და მე-16 მუხლებთან მიმართებაში. გადაწყვეტილების მიხედვით, დაუშვებელია პირს სრულად წაერთავს ქმედუნარიანობა მისი ინდივიდუალური გონებრივი შესაძლებლობების გათვალისწინების გარეშე. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების გაეროს კონვენცია საქართველოს მიერ რატიფიცირებულ იქნა 2013 წლის 26 დეკემბერს, რითაც საქართველომ აიღო ვალდებულება სამართლებრივად უზრუნველყოს კონვენციით აღიარებული უფლებების დაცვა. კონვეციის 4 I ა-ბ მუხლის თანახმად: „წევრი-სახელმწიფოები იღებენ ვალდებულებას[...] ა) მიიღონ ყველა საჭირო საკანონმდებლო, ადმინისტრაციული ან სხვა ზომა ამ კონვენციით აღიარებული ყველა უფლების უზრუნველსაყოფად; ბ) მიიღონ ყველა საჭირო ზომა, საკანონმდებლოს ჩათვლით, რათა შეცვალონ, ან გააუქმონ კანონები, დადგენილებები, ადათები და პრაქტიკები, რომლებიც დისკრიმინაციულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ“. ნორმის ამ სახით ჩამოყალიბების მიზანი ფსიქიკური ან გონებრივი/ინტელექტუალური დარღვევების მქონე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიმართ წარსულში არსებული უთანასწორო, დისკრიმინაციული მიდგომის აღმოფხვრაა. ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირი სხვებთან თანასწორ პირობებში თავისი ნებით განახორციელებს საკუთარ სამოქალაქო უფლებებსა და მოვალეობებს.

6 *Larenz/Wolf,* AT des bürg. Rechts,1997, S. 132, Rn. 7.

7 იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის №2/4/532,533 გადაწყვეტილება.

8 იხ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენცია“, 13/12/2006.

II. სრულწლოვანება (12 II)

5 კანონით დადგენილი ასაკის შესრულებისთანავე, პირი ავტომატურად ხდება ქმედუნარიანი ყოველგვარი სამართლებრივი აქტის გარეშე.[9] სრული მოცულობით, ფიზიკური პირის ქმედუნარიანობა წარმოიშობა სრულწლოვანების მიღწევისთანავე. ამ მომენტიდან ფიზიკურ პირს შეუძლია სამოქალაქო უფლებაუნარიანობაში მოაზრებული უფლებები და მოვალეობები განახორციელოს სრული მოცულობით, თუ არ არსებობს კანონით გათვალისწინებული შემაფერხებელი გარემოებანი. 12 II მუხლის თანახმად, „სრულწლოვანია პირი, რომელმაც თვრამეტი წლის ასაკს მიაღწია“. იგულისხმება, რომ ამ ასაკში პირის გონებრივი და ფიზიკური განვითარების დონე ისეთია, რომ მას შეუძლია სწორად შეიმეცნოს და შეაფასოს კერძო უფლებებთან დაკავშირებული გარემოებები და მიიღოს თავისუფალ ნებაზე დამყარებული გადაწყვეტილება. სხვა სიტყვებით, ამ ასაკის პირისათვის ნების გამოვლენის ასპარეზი კერძოსამართლებრივ სივრცეში თავისუფალია.

6 სრულწლოვანების მიღწევისთანავე წყდება მშობლების მხრიდან შვილების მიმართ მზრუნველობის ვალდებულება (1304, I ბ.). საოჯახო სამართალში სრულწლოვანებას მოსდევს დაქორწინების უფლება (1108, I), მემკვიდრეობით სამართალში – ანდერძის შედგენის უნარი (1345). სრულწლოვანების ასაკთანაა დაკავშირებული სამოქალაქო-საპროცესო ქმედუნარიანობისა და საარჩევნო უფლების წარმოშობა.

7 მნიშვნელოვანია თვრამეტი წლის ასაკის შესრულების დროის განსაზღვრა. საამისოდ, ანალოგიით გამოყენებულ უნდა იქნეს 122-ე მუხლით გათვალისწინებული წესი, რომლიდან გამომდინარე, გაანგარიშებაში ჩაითვლება დაბადების დღეც. თვრამეტი წელი სრულდება სიცოცხლის მეთვრამეტე წლის ბოლო დღის ამოწურვით.[10]

8 სამოქალაქო კოდექსი არ ითვალისწინებს არასრულწლოვნობის მდგომარეობის არც შემცირებას და არც გაზრდას. არ არსებობს სრულწლოვნობის ნაადრევად დადგომის შესაძლებლობა. თვრამეტ წლამდე ქორწინების ფაქტით არასრულწლოვანი არ ხდება სრულწლოვანი. იგი მხოლოდ არასრულწლოვანი პირის მოქმედების ფარგლების გაფართოებას იწვევს.[11]

III. ქმედუნარიანად ემანსიპაცია (12 III)

9 სამოქალაქო კოდექსი ზოგ შემთხვევაში ითვალისწინებს არასრულწლოვანი პირების სრულ გათანაბრებას **(ემანსიპაციას)** სრულწლოვანი პირების უფლებებთან. 12 III მუხლის თანახმად, „ქმედუნარიანად ითვლება პირი, რომელიც იქორწინებს თვრამეტი წლის ასაკის მიღწევამდე“. 1108 I მუხლი საქორწინო ასაკად მიიჩნევს 18 წელს. აქედან გამონაკლისია 15073 I მუხლის დანაწესი, როცა გარკვეული პირობების (გარემოებების) არსებობისას,

9 *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 12, 1999, გვ. 45.
10 MüKo/*Schmitt,* BGB, 6. Aufl., 2012, §2, Rn. 2.
11 MüKo/*Schmitt*, BGB, 6. Aufl., 2012, §2, Rn. 3, Rn. 4.

როგორიცაა ბავშვის დაბადება, დასაშვებია 17 წელს მიღწეული არასრულწლოვანი პირის ქორწინება სასამართლოს თანხმობით. არასრულწლოვანი ხდება სრული ქმედუნარიანი. ოჯახის შექმნის საფუძველზე არასრულწლოვანი ექცევა კერძოსამართლებრივი ურთიერთობის ისეთ სივრცეში, რომელშიც მისი სრულფასოვანი ფუნქციონირება (შეგუება) შეუძლებელია სრული ქმედუნარიანობის სტატუსის გარეშე. სრული ქმედუნარიანობა ამ ურთიერთობის ობიექტური მოთხოვნილებაა.

პრაქტიკული თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, თუ რა გავლენას ახდენს **10**
ქმედუნარიანობაზე არასრულწლოვანის განქორწინება, ან ქორწინების ბათილობა სრულწლოვანების მიღწევამდე. სამოქალაქო კოდექსი არ იძლევა ამაზე პირდაპირ პასუხს. ერთი შეხედვით, განქორწინება ან ქორწინების ბათილობა ავტომატურად უნდა სპობდეს (წყვეტდეს) პირის ქმედუნარიანობას და იწვევდეს მის თავდაპირველ მდგომარეობაში დაბრუნებას. თუკი დავეყრდნობით ქმედუნარიანობის წარმოშობის საფუძველს, ამ შემთხვევაში, შეუძლებელია იგი მისი შენარჩუნების საფუძველიც არ იყოს. ჩვენი აზრით, არ იქნებოდა სწორი ქმედუნარიანობის იმგვარად დაკავშირება ქორწინებასთან, რომ იგი მიზეზობრივად მხოლოდ ქორწინებასთან დაკავშირებულ ფაქტს წარმოადგენდეს და არა პირის სამართლებრივად ანგარიშგასაწევ ნებელობით მდგომარეობას. სასამართლოს თანხმობა მიგვანიშნებს იმაზე, რომ ქორწინების ფაქტი ვერ იარსებებდა, არასრულწლოვანის ნებელობითი მზაობა, ან მასზე მოთხოვნილების ობიექტურად გარდაუვალი აუცილებლობა რომ არ იყოს.

IV. ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირის (მხარდაჭერის მიმღების) ქმედუნარიანობა

ტერმინი „ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირი“ მოიაზრებს სამ **11**
ძირითად კომპონენტს, რომელთაგან ერთ-ერთის არარსებობა გამორიცხავს პირის ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირად (მხარდაჭერის მიმღებად) აღიარებას. ტერმინი გულისხმობს: 1) ფიზიკურ პირს, რომელსაც აქვს მყარი ფსიქიკური, გონებრივი/ინტელექტუალური დარღვევები; 2) ეს დარღვევები სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებაში ხელს უშლის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ამ პირის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას; 3) საზოგადოებრივ ცხოვრებაში პირის სრული და ეფექტიანი მონაწილეობა იზომება სხვებთან თანაბარ პირობებში მონაწილეობის შესაძლებლობით.

1) ფსიქიკური, გონებრივი/ინტელექტუალურ დარღვევების დასადგენად **12**
აუცილებლად უნდა არსებობდეს სამედიცინო დასკვნა, რომლის თანახმად პირს აქვს ისეთი დაავადებები, როგორიცაა შიზოფრენია, გონებრივი ჩამორჩენილობა, ალცჰაიმერი და ა.შ. სამოქალაქო კოდექსში ამ ტერმინის შემოღებამდე, მხოლოდ და მხოლოდ სამედიცინო დასკვა იყო საკმარისი იმისათვის, რომ პირი სასამართლოს ეღიარებინა ქმედუუნაროდ და უარი ეთქვა მისთვის სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების განხორციელებაზე, რაც პრინციპულ წინააღმდეგობაში მოდის საერთაშორისო მიდგო-

მასთან, რადგან კონვენცია „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის“ მსგავს მიდგომას მიიჩნევს ადამიანის ფუნდამენტური უფლებების შეზღუდვად და პირველ მუხლში აცხადებს: „წინამდებარე კონვენციის მიზანია, ხელი შეუწყოს, დაიცვას და უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიერ ადამიანის ყველა უფლებითა და ფუნდამენტური თავისუფლებით სრულყოფილ და თანასწორ სარგებლობას და მათი თანდაყოლილი ღირსების პატივისცემას.“ ამ მიდგომის გათვალისწინებით, სამედიცინო დასკვნის არსებობა არ არის საკმარისი ფაქტობრივი გარემოება იმისათვის, რომ დღის წესრიგში დადგეს პირის სამოქალაქო ქმედუნარიანობის განხილვის საკითხი. ამისათვის, აუცილებელია დამატებით ქვემოთ განხილული ორი კომპონენტის არსებობაც.

13 **2) სხვებთან თანაბარ პირობებში საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრული და ეფექტიანი მონაწილეობა.** ფსიქიკური, გონებრივი/ინტელექტუალური დარღვევები სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებაში ხელს უშლის საზოგადოებრივ ცხოვრებაში პირის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას. აქ, უპირველეს ყოვლისა, უარია ნათქვამი წარსულში არსებულ მიდგომაზე, რომლის თანახმად, პირს სრულად წართმეული ჰქონდა სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში არათუ დამოუკიდებლად, არამედ მეურვის დახმარებით მონაწილეობის უფლება (მისი ნება მხარდაჭერილი კი არა, ჩანაცვლებული იყო მეურვის ნებით). კანონმდებელი მიიჩნევს, რომ ფსიქოსოციალუარი საჭიროების მქონე პირს (მხარდაჭერის მიმღებს) გააჩნია სამოქალაქო ქმედუნარიანობა, თუმცა, შესაძლოა, მისი ფსიქიკური, გონებრივი მდგომარეობისა და სოციალური უნარ-ჩვევების გამო მას სამოქალაქო-სამართლებრივი უფლებებისა და მოვალეობების განხორციელების პროცესში დამოუკიდებლად არ შეეძლოს სრული და ეფექტიანი მონაწილეობა და ამისათვის საჭიროებდეს მხარდამჭერის დახმარებას (ტერმინები: ა) მხრდამჭერის მიმღები, ანუ ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირი, რომელიც საჭიროებს მხარდაჭერას და ბ) მხარდამჭერი, ანუ ვინც ეხმარება ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირს სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების განხორციელებაში). საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, პირისთვის სამოქალაქო ქმედუნარიანობის წართმევა ფსიქიკური ან გონებრივი დარღვევების გამო, პირის ინდივიდუალური შეფასების გარეშე, ეწინააღმდეგება კონსტიტუციის მე-16 მუხლს, რომელიც „იცავს პიროვნების ავტონომიურობას, პირის თავისუფლებას, თავისი შეხედულებისამებრ განკარგოს საკუთარი შინაგანი სამყარო, მისი პირადი გონებრივი და ფიზიკური სფერო, სხვებისგან ჩაურევლად, პირადი გადაწყვეტილებით დაამყაროს და განავითაროს ურთიერთობა სხვა პირებთან და გარესამყაროსთან. საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლით დაცულია პირის უფლება, აკონტროლოს საკუთარი თავის წარმოჩენა საზოგადოების თვალში და პიროვნული განვითარებისა და რეალიზაციისათვის აუცილებელი მოქმედებების განხორციელების თავისუფლება. პიროვნების ავტონომიურობის, მისი თავისუფალი და სრულყოფილი განვითარებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება როგორც გარე

სამყაროსთან ურთიერთობის დამოუკიდებლად განსაზღვრის თავისუფლებას, ასევე ინდივიდის ფიზიკურ და სოციალურ იდენტობას, ინტიმური ცხოვრების ხელშეუვალობას.[12] კონსტიტუციის მე-16 მუხლის ამ ზოგადი განმარტებიდან გამომდინარე, ფსიქიკური ან გონებრივი დარღვევების გამო პირის ქმედუუნარობა ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებების მოყვანილ მიდგომას. კერძოდ, „სასამართლო ხაზგასით აღნიშნავს, რომ აღნიშნული კატეგორიის პირები უნდა განიხილებოდნენ როგორც უფლებათა სუბიექტები და არა როგორც მხოლოდ პაციენტები".[13] ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირის ქმედუნარიანობას (სამართლის სუბიექტობას) აღიარებს „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების" კონვენციის 12 I მუხლი: „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ყველგან აქვთ უფლება სამართლის სუბიექტად აღიარებაზე". შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის სტატუსი (მოცემულ შემთხვევაში „ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირი – მხარდაჭერის მიმღები") არ უნდა გახდეს საფუძველი სამართალუნარიანობაზე უარის თქმისათვის.[14]

3) სათანადო რჩევისა და დახმარების გარეშე მოქმედების შეუძლებლობა. 14
საზოგადოებრივ ცხოვრებაში პირის სრული და ეფექტიანი მონაწილეობა სხვებთან თანაბარ პირობებში გულისხმობს სამოქალაქო-სამართლებრივი უფლებებითა და მოვალეობებით სხვების თანასწორად სარგებლობას. „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების" კონვენციის 12 V მუხლი: „წევრი სახელმწიფოები იღებენ ყველა სათანადო და ეფექტურ ზომას, რომ უზრუნველყონ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების თანაბარი უფლება საკუთრების ფლობაზე ან მემკვიდრეობით მიღებაზე, საკუთარი ფინანსური საქმეების მართვასა და საბანკო სესხების, იპოთეკებისა და ფინანსური კრედიტების სხვა ფორმების თანაბარ ხელმისაწვდომობაზე და უზრუნველყოფენ, რომ არ მოხდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის საკუთრების თვითნებურად ჩამორთმევა". შესაბამისად, ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირმა, მისი ინდივიდუალური შესაძლებლობების შეფასების შემდეგ, მხარდამჭერის დახმარებით, თავად უნდა მიიღოს მონაწილეობა სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში, ისევე, როგორც მსგავს გადაწყვეტილებას იღებს ქმედუნარიანი პირი.

გარდა ზემოთ მოყვანილი სამი კომპონენტისა, კანონმდებელი 12 IV 15
მუხლში აზუსტებს, რომ ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირი ამავდროულად უნდა აკმაყოფილებდეს 12 II, III მუხლის პირობებს, ანუ არის სრულწოვანი, 18 წელს მიღწეული პირი, ან არის პირი, რომლის ემანსიპაცია მოხდა 18 წლამდე, ქორწინების გამო.

ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული დაბრკოლებები სათანადო 16
რჩევისა და დახმარების გარეშე მნიშვნელოვნად ართულებს პირის მიერ

12 იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის №2/4/532,533 გადაწყვეტილება, სამოტივაციო ნაწილი, ველი 3.

13 იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის №2/4/532,533 გადაწყვეტილება, სამოტივაციო ნაწილი, ველი 38.

14 იხ. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კომიტეტის ზოგადი კომენტარი №1(2014).

საკუთარი ნების თავისუფლად გამოხატვას და ინფორმირებული და გააზრებული არჩევანის გაკეთების შესაძლებლობას, კანონმდებელი ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირს მიიჩნევს ქმედუნარიან პირად, რომელიც თავის ნებას მხარდამჭერი პირის მიერ გაწეული დახმარებით გამოხატავს. შესაბამისად, ყველა ადამიანს გააჩნია სამართალსუბიექტობა. უფლებაუნარიანობისა და ქმედუნარიანობის ასეთი განმარტება შეესაბამება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების სოციალური სტატუსის თანამედროვე კონცეფციას და მისი განუყოფელი ნაწილია.

17 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გაკეთებული განმარტება, რომლის თანახმად, დაუშვებელია პირის ქმედუნარიანობის ხარისხის დადგენა, ამ პირის ინდივიდუალური შეფასების გარეშე, გულისხმობს კომპლექსურ მიდგომას. „ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე ექსპერტიზის შესახებ“ კანონი ადგენს ექსპერტიზის ჩატარების აუცილებლობას, რომელიც გულისხმობს დისციპლინათშორის საქმიანობას სამედიცინო-ფსიქიატრიული, ფუნქციური, ფსიქოლოგიური, სოციალური ადაპტაციისა და სხვა ასპექტების შეფასების მიზნით. ექსპერტიზის ჩატარების ძირითადი ამოცანაა პირის გონებრივი/ინტელექტუალური დარღვევის ხარისხის დადგენა, მისი სოციალური ადაპტაციის შეფასება და აქედან გამომდინარე, პირის მხარდაჭერის თავისებურებების განსაზღვრა. საბოლოო გადაწყვეტილებას, პირი აღიარებულ იქნეს თუ არა მხარდაჭერის მიმღებად და რა სფეროებში ესაჭიროება მას მხარდაჭერა, იღებს სასამართლო. სასამართლოში მიმართვისა და განხილვის წესები მოწესრიგებულია სამოქალაქო-საპროცესო კოდექსით (თავი XIV11, პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობა).

V. ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე არასრულწლოვანი პირის (მხარდაჭერის მიმღების) ქმედუნარიანობა

18 საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ერთმანეთისაგან მიჯნავს მცირეწლოვანისა და არასრულწლოვანის ქმედუნარიანობის ფარგლებს. არასრულწლოვანის მიმართ, ანუ პირის მიმართ, რომელიც არის 7-დან 18 წლამდე ასაკის, სამოქალაქო ურთიერთობები დასაშვებად მიიჩნევს მშობლის მოწონების შემთხვევაში ან მის გარეშე გარიგების დადების შესაძლებლობას (15). შესაბამისად, მხარდაჭერის ფარგლებიც სწორედ ამ სპეციფიკის გათვალისწინებით დგინდება. კერძოდ, ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე არასრულწლოვანი პირის მიმართ მხარდაჭერის ფარგლების განსაზღვრისას სასამართლომ დამატებით აღნიშნულ ფაქტორებზე უნდა გაამახვილოს ყურადღება. კერძოდ, არასრულწლოვან პირს გარიგების დასადებად ესაჭიროება თუ არა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა. იმ შემთხვევაში, თუ ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირის კანონიერი წარმომადგენელი და მხარდამჭერი ერთი და იგივე პირია, მაშინ არასრულწლოვანი ამ პირის მხარდაჭერითა და თანხმობით დებს გარიგებას. ისეთი გარიგების დადებისას, როდესაც არასრულწლოვანი იღებს სარგებელს და არ ესაჭიროება კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა, სწორედ სარგებლის სწორად აღქ-

მისა და ნამდვილი ნების ჩამოყალიბებისათვის შესაძლებელია საჭირო გახდეს პროცესში მხარდამჭერის მონაწილეობაც.

VI. ქმედუუნარობა მცირეწლოვნობის გამო (12 VI)

19 სამოქალაქო კოდექსი იცნობს ასაკის გამო ქმედუუნარო პირებს. 12 VI მუხლის მიხედვით, ასეთებია შვიდ წლამდე ასაკის პირები. სამოქალაქო კოდექსი მათ უწოდებს **მცირეწლოვნებს.** ეს ასაკობრივი ზღვარი მთავრდება სიცოცხლის მეშვიდე წელიწადის უკანასკნელი დღის ამოწურვით. ამ მომენტიდან ბავშვი ითვლება შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონედ.[15] ქმედუუნაროებს ეკრძალებათ სამოქალაქო ურთიერთობებში შესვლა როგორც დამოუკიდებლად, ისე კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით. მათი სამართალსუბიექტობა მხოლოდ უფლებაუნარიანობით შემოიფარგლება. ისინი მოკლებულნი არიან შეფასებაუნარიანობას, კერძოდ, მათ არ ძალუძთ საკუთარი ქმედებებისა და მასთან დაკავშირებული გარემოებების სრულფასოვნად შეცნობისა და შეფასების უნარი.

20 პრაქტიკაში ფართოდაა გავრცელებული შემთხვევები, როდესაც კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით მცირეწლოვნები დებენ სხვადასხვა წვრილმან (ყოფით) გარიგებებს, რომელთა სამართლებრივი შედეგებიც მათთვისაა გათვალისწინებული. მაგალითად, მშობელი აძლევს ექვსი წლის ბავშვს ფულს და ეს უკანასკნელი ყიდულობს საღეჭ რეზინას, კანფეტს და ა.შ. ცხადია, გაჩნდება კითხვა, რას წარმოადგენენ მცირეწლოვნები ამ შემთხვევაში? სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეებს თუ ამ ურთიერთობის „იარაღს“ კანონიერი წარმომადგენლის ხელში? „ქმედუუნარობის“ მიუხედავად, მცირეწლოვნებს საკმაოდ ხშირად კარგად აქვთ შეცნობილი და შეფასებული ცალკეული მოქმედების ხასიათი და შედეგები, რაც უნდა მიგვანიშნებდეს მათი ქმედუნარიანობის გარკვეულ ხარისხზე მოცემულ ურთიერთობებში. ასეთი გარიგებები, რომლებიც კანონის ენაზე არარა გარიგებებია, ფაქტობრივად წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს. ეს შემთხვევები შესაძლოა განვიხილოთ ქმედუუნარო – ქმედუნარიანობის ზღვარზე მყოფ მდგომარეობად და ყოველი კონკრეტული ფაქტის ინდივიდუალური შეფასებით უნდა დადგინდეს ამით გამოწვეული სამართლებრივი შედეგები. ამ ვარაუდის საფუძველს იძლევა ის ფაქტიც, რომ სხვადასხვა ქვეყანაში სამოქალაქო კოდექსები ადგენენ ქმედუნარიანობის სხვადასხვა ზღვრულ ასაკს, ან საერთოდ არ ითვალისწინებენ მას. მაგალითად, მაშინ, როცა ავსტრიულ და გერმანულ სამართალში ზღვრული ასაკია 7 წელი,[16] ბერძნულში – 10 წელი, ფრანგული და შვეიცარიული კანონმდებლობა საერთოდ არ აწესებს ქმედუუნარობის ზღვრულ ასაკს.[17] ასეთი მიდგომები კიდევ უფრო ზრდის სასამართლო პრაქტიკის მნიშვნელობას ქმედუუნარობის კვალიფიკაციის საქმეში, მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო კოდექსი შვიდ წლამდე

15 MüKo/*Schmitt*, BGB, 6. Aufl., 2012, §104, Rn. 8.

16 *კერესელიძე,* კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, გვ. 122-124

17 *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 180.

პირებს მიიჩნევს ქმედუუნაროებად.

21 ასაკის გამო ქმედუუნარო პირებს სამოქალაქო ურთიერთობებში წარმოადგენენ მათი კანონიერი წარმომადგენლები. მართალია, 12 VI მუხლში ამის შესახებ არაფერია ნათქვამი, სამოქალაქო კოდექსში მაინც იკითხება კანონმდებლის ნება, რომ მცირეწლოვნებზე გავრცელდეს კანონიერი წარმომადგენლობის ინსტიტუტი, რომელიც პირდაპირაა გათვალისწინებული სრულწლოვანი პირებისათვის. ამის საფუძველს იძლევა საოჯახო სამართლის ნორმებიც (1198 II, III, IV; 1275 I).[18]

22 ქმედუუნარო პირი არც დელიქტუნარიანია. დელიქტუნარიანობა დგება 10 წლის ასაკიდან (994 I).

18 *კერესელიძე*, უზოგადესი ცნებები, გვ. 124-125.

მუხლი 13. ქმედუნარიანობის შეზღუდვის დაუშვებლობა გარიგებით

ქმედუნარიანობის შეზღუდვა დაიშვება მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. დაუშვებელია ქმედუნარიანობის შეზღუდვა გარიგებით.

I. ქმედუნარიანობის შეზღუდვა კანონით (13 I 1)

ქმედუნარიანობის შეზღუდვა ხდება როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური გარემოებების საფუძველზე „მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში“. ერთ შემთხვევაში ეს დაკავშირებულია პირის ასაკთან. კერძოდ, შვიდიდან თვრამეტ წლამდე არასრულწლოვანი შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონეა (14). მეორე შემთხვევაში, ასაკის მიუხედავად ხდება ქმედუნარიანობის შეზღუდვა ალკოჰოლის ან ნარკოტიკული ნივთიერებების გამოყენების გამო (16). ქმედუნარიანობის შეზღუდვა ემსახურება როგორც აღნიშნული კატეგორიის პირთა დაცვას, აღზრდასა და შესაბამისად, მათ სრულ ქმედუნარიანებად ჩამოყალიბებას, ისე სამოქალაქო ბრუნვის უსაფრთხოებას, როცა გარიგების მეორე მხარის ინტერესებსაც ეწევა ანგარიში.[1] ასაკის გამო ქმედუნარიანობის შეზღუდვა თანაბრად ეხება ყველა არასრულწლოვანს, იმის მიუხედავად, ინდივიდუალურად (სუბიექტურად) ნების გამოვლენის რა უნარი გააჩნიათ მათ. როცა შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირი დებს ისეთ გარიგებას, რითაც კანონიერი წარმომადგენლის თანხმობაა საჭირო, ეს უკანასკნელი წყვეტს არასრულწლოვნის ნების გამოვლენის სამართლებრივ ძალაუნარიანობას. ალკოჰოლის ან ნარკოტიკული ნივთიერების გამოყენების გამო ქმედუნარიანობის შეზღუდვა კი ემყარება სუბიექტურ გარემოებებს, ყოველი შემთხვევა ინდივიდუალურად ფასდება. **1**

სამოქალაქო კოდექსი იცნობს მხოლოდ ქმედუნარიანობის შეზღუდვის ინსტიტუტს და არა ფიზიკური პირების ნაწილობრივ ქმედუნარიანობას, რომელსაც ცნობდა საქართველოს საბჭოთა სამოქალაქო სამართალი და ამჟამად იცნობს ზოგიერთი პოსტსაბჭოთა ქვეყნის სამოქალაქო კოდექსი.[2] ასეთებად მიჩნეული იყვნენ თოთხმეტიდან თვრამეტ წლამდე პირები.

I. ქმედუნარიანობის შეზღუდვა კანონით (13 I 1)

ქმედუნარიანობის შეზღუდვა გარიგებით დაუშვებელია. ქმედუნარიანობა ფიზიკური პირის ნებაუნარიანობის ობიექტური მდგომარეობაა. კანონით შეზღუდვის შემთხვევებიც არსებითად მოცემული მდგომარეობის ამსახველია. 12 I მუხლით განსაზღვრული „ფიზიკური პირის უნარი“ ისეთი მდგომარეობაა, რომელსაც სუბიექტი ვერც გაზრდის და ვერც შეამცირებს. იგი სუბიექტისგან განუყოფელია. ამიტომაც, ნებისმიერი გარიგება, რომელიც ქმედუნარიანობის შეზღუდვას შეეხება, იქნება უსაგნო, ვინაიდან „პირის უნარი“ პირისგან განუყოფელი (მოუშორებელი) თვისებაა. ის, რისი იდენტი- **2**

1 MüKo/*Schmitt*, BGB, 6. Aufl., 2012, §106, Rn. 2.

2 *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 183.

ფიცირებაც პირისგან შეუძლებელია, შეუძლებელია იყოს გარიგების საგანი. შეუძლებელია პირი, რომელიც სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტია, იმავდროულად იყოს მისი ობიექტი. თუკი ჩვენ დავუშვებდით გარიგებით მის შეზღუდვას, სავსებით შესაძლებელია შეფასების ობიექტურმა კრიტერიუმმა თავისი მნიშვნელობა დაკარგოს და პირის ნების გამოვლენის უნარიანობა დამოკიდებული გახდეს გარიგების მონაწილეთა ნებაზე. ამის დაშვებით დაირღვეოდა კერძო სამართალში დამკვიდრებული ღირებულებათა ობიექტური წესრიგი და სამოქალაქო ბრუნვაში ქაოსი გაბატონდებოდა.

3 ქმედუნარიანობის შეზღუდვის გაუქმება ეხება როგორც ასაკის გამო ქმედუნარიანობის შეზღუდვას, ისე სხვა საფუძვლით მის შეზღუდვას (მ. 14, მ. 16).

მუხლი 14. შეზღუდული ქმედუნარიანობა

1. არასრულწლოვანი შვიდიდან თვრამეტ წლამდე შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონეა.

2. შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონედ ითვლება ასევე სრულწლოვანი, რომელსაც სასამართლომ დაუწესა მზრუნველობა. შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირი თავის ქმედუნარიანობაში უთანაბრდება არასრულწლოვანს.

3. ქმედუნარიანობის შეზღუდვა უქმდება მაშინ, როცა აღარ არის ის საფუძველი, რომლის გამოც პირს შეეზღუდა ქმედუნარიანობა.

I. ასაკობრივი შეზღუდული ქმედუნარიანობა 79
II. ასაკის მიუხედავად შეზღუდული ქმედუნარიანობა 80
III. ქმედუნარიანობის შეზღუდვის გაუქმება 81

I. ასაკობრივი შეზღუდული ქმედუნარიანობა

სამოქალაქო კოდექსი იმპერატიულად ადგენს, რომ „არასრულწლოვანი შვიდიდან თვრამეტ წლამდე შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონეა“. ეს არ ნიშნავს იმას, რომ იგი ნაწილობრივი ქმედუნარიანობის მქონეა, რაც გულისხმობს სუბიექტის გარკვეულ ურთიერთობებში ქმედუნარიანობას, გარკვეულში კი – ქმედუუნაროობას.[1] შეზღუდული ქმედუნარიანობის ინსტიტუტი ემსახურება ამ კატეგორიის არასრულწლოვნების დაცვასა და მათი აღზრდის გზით სრულ ქმედუნარიანობამდე მიყვანას. იმავდროულად, იგი ემსახურება მეორე მხარის ინტერესებსაც.[2] შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირი ქმედუნარიანია, ოღონდ, მისი ნების გამოვლენა ჯერ კიდევ არ არის იმ თვისების (ავტონომიურობის) მქონე, რომ მან, როგორც წესი, სხვა პირთა შეფასების გარეშე, დამოუკიდებლად გამოიწვიოს სამართლებრივი შედეგი. ნების გამოვლენას არასრულწლოვანი ახდენს, მაგრამ მისი ძალაუნარიანობის აღიარება დამოკიდებულია იმაზე, რამდენად უნარიანია იგი იყოს ნების გამოვლენიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობის აქტიური მატარებელი. ნების გამოვლენის, ე.წ. „ძალაში შესვლის“ ნორმატიულად დადგენილი წესი, არ აქცევს პირს ქმედუუნაროდ. ქმედუუნაროობის შემთხვევაში პირის ნების გამოვლენა საერთოდ არ არსებობს და შესაბამისად, რაც არ არსებობს, იგი ვერც შეფასდება. მცირეწლოვანი საერთოდ არ წარმოადგენს ნების გამოვლენის სუბიექტს, მაშინ, როცა შვიდიდან თვრამეტ წლამდე არასრულწლოვანი ნების გამოვლენის სუბიექტია. ესაა მისი საკუთარი, არასრულწლოვნის ნების გამოვლენა, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს ნამდვილად, შეიძლება – არა. მაშასადამე, ნების გამოვლენა და ნების გამოვლენის ნამდვილობა ერთმანეთისაგან განსხვავდება. ბათილი ნების გამოვლენა მაინც ნების გამოვლენაა. ამდენად, არასრულწლოვანი ქმედუნარიანი იმიტომაა, რომ ის ნების გამოვლენის სუბიექტია. თუ სრულწლოვნის ნების **1**

1 ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 183-184.
2 MüKo/*Schmitt*, BGB, 6. Aufl., 2012, §106, Rn. 2.

გამოვლენა უშუალოდ ფასდება ნამდვილობის კუთხით, არასრულწლოვნის ნების გამოვლენის ნამდვილობა დამოკიდებულია დამატებით გარემოებაზე, როგორიცაა **კანონიერი წარმომადგენლების თანხმობა.**

2 ბუნებრივია, შვიდიდან თვრამეტ წლამდე ასაკობრივი ზღვარის შიგნით არასრულწლოვანთა მიერ სამართლებრივად ჯანსაღი (ვარგისი) ნების გამოვლენის უნარიანობა განსხვავდება ერთმანეთისაგან. სუბიექტის ნორმალური განვითარების პროცესში, რაც უფრო მეტი ასაკისაა არასრულწლოვანი, მით უფრო სამართლებრივად გონივრული იქნება მის მიერ გამოვლენილი ნება და მით მეტადაა სავარაუდო, რომ იგი იურიდიული ძალის მქონე იქნება. კანონმდებელი ვერ განსაზღვრავდა აღნიშნული ასაკობრივი ზღვარის შიგნით, ასაკის მატების ყოველი კონკრეტული შემთხვევის დროს, რა კატეგორიის ნების გამოვლენა იქნებოდა სამართლებრივად გამართლებული. კანონმდებელი ზოგადი დანაწესებით შემოიფარგლება. იგი ადგენს, რომ არასრულწლოვნის ნების გამოვლენის ნამდვილობისათვის აუცილებელია კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა. შესაბამისად, იმის მიუხედავად, რამდენი წლისაა აღნიშნული ასაკობრივი ზღვარის მონაკვეთში და რა კატეგორიის გარიგებას დებს არასრულწლოვანი, ეს თანხმობა აუცილებელია. ამასთან, კანონმდებელი იმასაც ადგენს, რომ აღნიშნული თანხმობა არ არის საჭირო, როცა შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირი გარიგებით იღებს სარგებელს (15, 63 I, 65) ან განკარგავს ე.წ. „ჯიბის ფულს“ (65 I). თვრამეტ წლამდე ასაკის პირები, რომლებიც იმყოფებიან ქორწინებაში, უტოლდებიან სრულ ქმედუნარიანებს (12, III). თექვსმეტი წლის ასაკს მიღწეული პირი, რომელსაც მშობელი ანიჭებს საწარმოს დამოუკიდებლად გაძღოლის უფლებას, ამ სფეროში შეუზღუდავად ქმედუნარიანი ხდება (65 II); შეზღუდული ქმედუნარიანი პირები შეიძლება მოქმედებდნენ, როგორც წარმომადგენლები (105), მაგრამ მათი პასუხისმგებლობა შეიძლება შეზღუდული იყოს გარკვეული გარემოებებით.

3 შეზღუდული ქმედუნარიანობის სტატუსი შვიდიდან თვრამეტ წლამდე პირს ენიჭება შვიდი წლის ასაკს მიღწევისთანავე, ანუ დაბადების 00:00 საათზე. ამ დროიდან არასრულწლოვანი შეზღუდულ ქმედუნარიანად ითვლება. შეზღუდული ქმედუნარიანობის მდგომარეობა მთავრდება მე-18 წელიწადის უკანასკნელი დღის გასვლით, ანუ 24:00 საათზე.[3]

II. ასაკის მიუხედავად შეზღუდული ქმედუნარიანობა

4 თუკი შვიდიდან თვრამეტ წლამდე არასრულწლოვნები ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე ითვლებიან შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონედ, სრულწლოვანი პირი, ასეთად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მას სასამართლო უწესებს მზრუნველობას (14 II 1). მზრუნველს დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე ნიშნავს სასამართლო, თუკი დაადგენს, რომ სრულწლოვანი პირის მიმართაც არსებობს ის ზოგადი საფუძველი, რის გამოც კანონმდებელმა შვიდიდან თვრამეტ წლამდე არა-

3 MüKo/*Schmitt*, BGB, 6. Aufl., 2012, ,§106, Rn. 8.

სრულწლოვნები აღიარა შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონედ. კერძოდ, მზრუნველი შეიძლება დაენიშნოს სრულწლოვან პირს, რომლის გონებრივი, ინტელექტუალური განვითარების საერთო მდგომარეობა ისეთია, რომ მას არ ძალუძს დამოუკიდებლად მიიღოს სამართლებრივად აწონილ-დაწონილი (გონივრული) გადაწყვეტილება კერძოსამართლებრივი ურთიერთობის დამყარების პროცესში, გარდა კანონით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევებისა.

14 II მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა განსხვავდება 1277 II 2 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისაგან, როცა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო სრულწლოვან ქმედუნარიან პირს მისი თხოვნით უნიშნავს მზრუნველს, იმიტომ, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია დამოუკიდებლად განახორციელოს თავისი უფლებები და შეასრულოს თავისი მოვალეობები. ეს შემთხვევა არ წარმოადგენს ქმედუნარიანობის შეზღუდვას. ქმედუნარიანობის შეზღუდვა შეზღუდვის სუბიექტის ნებისგან დამოუკიდებლად ხდება. სამოქალაქო კოდექსი კრძალავს გარიგებით ქმედუნარიანობის შეზღუდვას (3). ქმედუნარიანობის შეზღუდვა პირის ფაქტობრივად შეზღუდული ქმედუნარიანობის ფორმალური აღიარებაა. ის, რაც ფაქტის სახით არ არის მოცემული, ვერც საკუთარი ნებით და ვერც ფორმალურად ვერ მოხდება მისი აღიარება. ამიტომაც, როცა პირი ითხოვს მზრუნველის დანიშვნას, ივარაუდება, რომ ამას ითხოვს ქმედუნარიანი პირი, რომელიც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო უძლურია განახორციელოს კუთვნილი უფლება-მოვალეობანი. ამის გამოა, რომ მზრუნველი კანონიერ წარმომადგენლად ითვლება და განსაკუთრებული უფლებამოსილების გარეშე წარმოადგენს მის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს მესამე პირებთან ურთიერთობაში, მათ შორის სასამართლოში (1290). **5**

III. ქმედუნარიანობის შეზღუდვის გაუქმება

როცა ასაკის გამო ხდება ქმედუნარიანობის შეზღუდვა, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევისთანავე (12 II) ან გარკვეული გარემოებების დადგომის შემთხვევაში (12 III), უქმდება შეზღუდვის საფუძველი და პირი ხდება სრული ქმედუნარიანი. სხვა შემთხვევებში (14 II; 16 I) ქმედუნარიანობის შეზღუდვა უქმდება სასამართლოს გადაწყვეტილებით. **6**

მუხლი 15. წარმომადგენლის თანხმობა შეზღუდული ქმედუნარიანობისას

შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირის ნების გამოვლენის ნამდვილობისათვის აუცილებელია მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირი გარიგებით იღებს სარგებელს.

I. მნიშვნელობა და გამოყენების სფერო 82
II. თანხმობის გამომხატველი ნების გამოვლენა 83
1. თანხმობა 83
2. მოცულობა 83
III. სარგებლის მომტანი გარიგება 83

I. მნიშვნელობა და გამოყენების სფერო

1 მე-15 მუხლი წარმოადგენს შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირის უფლების განმსაზღვრელ ცენტრალურ ნორმას.[1] იგი იცავს მას იმ უარყოფითი სამართლებრივი შედეგებისაგან, რაც შეიძლება მოჰყვეს ამ პირის მიერ განხორციელებულ მოქმედებას შეზღუდული ქმედუნარიანობის ნიადაგზე. შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირის მიერ კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე ნების გამოვლენა ნამდვილად ჩაითვლება, თუკი იგი ამ გარიგებით იღებს სარგებელს. კანონიერი წარმომადგენლის თანხმობაში ერთ შემთხვევაში იგულისხმება ნებართვა, როგორც წინასწარ გაცემული თანხმობა (100) და მოწონება, როგორც შემდგომი თანხმობა (101). მკაცრი წესები მოქმედებს ცალმხრივი გარიგების მიმართ (66). მე-15 მუხლი ეხება ქმედუნარიანობის სპეციალურ შემთხვევას – გარიგებაუნარიანობას. მსგავს რეგულირებას შეიცავს 63 I მუხლი.[2] მიუხედავად იმისა, რომ ამ მუხლში საუბარია იმ პირებზე, რომელთაც ქმედუნარიანობა შეზღუდული აქვთ არასრულწლოვნობის საფუძველზე, მე-15 მუხლი აფართოებს ამ ნორმის მოქმედების ფარგლებს და ავრცელებს მას შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე ყველა პირზე.[3]

2 მე-15 მუხლი ვრცელდება როგორც ყველა კატეგორიის ნების გამოვლენაზე, ისე გარიგების მსგავს მოქმედებებზე, გარდა რეალური აქტებისა. იგი გამოიყენება საოჯახო-სამართლებრივი ნების გამოვლენისას, როგორიცაა ნიშნობა, თუმცა, არ ეხება, მაგალითად, არასრულწლოვნის თანხმობას საკუთარ სამართლებრივ სიკეთეში ჩარევაზე, როგორიცაა, ოპერაციაზე თანხმობა. გადამწყვეტია ასეთ შემთხვევებში გონიერებისა და გადაწყვეტილების მიღების უნარი.[4]

1 *Baldus,* Anwalt kommentar zum BGB AT, 2005, §432, Rn. 1.
2 *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი I, 1999, მუხ. 15, გვ. 49.
3 *კერესელიძე*, უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 374.
4 *Erman* in Erman BGB, 12. Aufl., §107, Rn. 2.

II. თანხმობის გამომხატველი ნების გამოვლენა

1. თანხმობა

თანხმობა წარმოადგენს მიღებასავალდებულო, ფორმით თავისუფალ ნების გამოვლენას, რომელიც მის მიღებამდე შეიძლება უკან იქნეს გამოხმობილი (100). კანონიერ წარმომადგენელს შეუძლია შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირის ან გარიგების მეორე მხარის წინაშე წინასწარ ან გარიგების დადებისას გამოხატოს თავისი ნება. თანხმობის გამოხატვა შეიძლება კონკლუდენტური მოქმედებითაც.[5] მე-15 მუხლის საფუძველზე კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით დადებული გარიგება, უნდა განვასხვაოთ იმ გარიგებისაგან, რომელსაც კანონიერი წარმომადგენელი დებს შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირის სახელით. ეს პირი საკუთარი სახელით დებს გარიგებას, მაშინ, როცა კანონიერი წარმომადგენელი მოქმედებს სხვისი სახელით. კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით შეიძლება დაიდოს ისეთი გარიგებები, რომლებიც შეიძლება არ იყოს უფლებრივად სარგებლიანი. **3**

2. მოცულობა

თანხმობას მე-15 მუხლით დაცული ინტერესის (მიზნის) ფარგლებში შეიძლება სხვადასხვა მოცულობა ჰქონდეს. ერთ შემთხვევაში სახეზეა სპეციალური თანხმობა, რომელიც ეხება მკაცრად განსაზღვრულ გარიგებას. მეორე შემთხვევაში სახეზეა გვარეობითი თანხმობა, რომელიც ეხება გარკვეული კატეგორიის გარიგებებს. მესამე შემთხვევაში გენერალური თანხმობაა, რომელიც მრავალი გარიგების დადებას ეხება.[6] ასეთი თანხმობა შეზღუდული გენერალური თანხმობაა და ეხება მიზნობრივად ერთმანეთთან დაკავშირებულ გარიგებებს. როცა შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირს კანონიერი წარმომადგენელი თანხმდება დადოს მგზავრობის ხელშეკრულება, მას ამით უფლება ეძლევა დამოუკიდებლად დადოს ის გარიგებებიც, რომლებიც მგზავრობის მიზნებს ემსახურება (როგორიცაა, ტვირთის გადატანის, სასტუმროს მომსახურების, კვების პროდუქტების შეძენის და ა.შ.).[7] **4**

III. სარგებლის მომტანი გარიგება

მე-15 მუხლით არ არის განსაზღვრული იმ სარგებლის ცნება, რომელსაც შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირი იღებს კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე გარიგების დადებისას. კანონმდებელმა სამოქალაქო კოდექსის მიღებისას უარი თქვა გერმანიის სამოქალაქო კოდექსის ანალო- **5**

5 *Erman* in Erman BGB, 12. Aufl., §107, Rn. 9.

6 *Larenz/Wolf*, AT des bürg. Rechts, 8.Aufl., გვ. 493, Rn. 30.

7 *ჭანტურია*, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 186.

გიური ნორმის – § 107-ის სიტყვასიტყვით გადმოტანაზე და შესაბამისად, იქ მოცემულ ტერმინზე, როგორიცაა „უფლებრივი სარგებელი“. ეს გარემოება სამართალგამომყენებელს აფიქრებინებს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-15 მუხლი სარგებლის ზოგადი ცნების შემოტანით, იმაზე მეტად აფართოებს მის შინაარსს, ვიდრე იგი მოცემულია გერმანიის სამოქალაქო კოდექსში. ამით უნდა იყოს გამოწვეული ლიტერატურაში არსებული მოსაზრება, რომლის თანახმადაც სარგებლის შეფასებისას გასათვალისწინებელია მისი როგორც ეკონომიკური, ისე პედაგოგიური მხარე.[8] როგორი შეფასებაც არ უნდა მიეცეს მე-15 მუხლით გათვალისწინებული სარგებლის ცნებას და რა კატეგორიის სარგებელიც არ უნდა მოიაზრებოდეს მასში, ვინაიდან გარიგების სამართლებრივ შედეგებს ეხება საქმე, ნებისმიერი შედეგი შეფასდება უფლებრივი სარგებლიანობის კუთხით. ამიტომაც, ეკონომიკური სარგებელი მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩაითვალოს სამართლებრივად ანგარიშგასაწევ სარგებლად, როცა იგი შეზღუდულად ქმედუნარიანი პირისათვის უფლებრივადაა სარგებლიანი. გარიგება წარმოადგენს უფლებრივ ურთიერთობას და შესაბამისად ღირებულებითი სასწორი, რომლითაც მისი პოზიტიური და ნეგატიური შედეგები ფასდება, ესაა უფლებრივი სასწორი. აქედან გამომდინარე, სწორი უნდა იყოს მე-15 მუხლით გათვალისწინებული სარგებლის უფლებრივი სარგებლის ფოკუსში მოქცევა, როცა უფლება-მოვალეობათა ერთმანეთთან შეწოვნის შედეგად აღნიშნული სასწორი უფლების სასარგებლოდ იხრება. მიიღო თუ არა შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირმა უფლებრივი სარგებელი, ამას წყვეტენ მისი კანონიერი წარმომადგენლები.[9]

6 **ა) ცალმხრივი გარიგება უფლებრივი სარგებლის მომტანია**. მაგალითად, როგორიცაა: უპროცენტო სესხი, როცა შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირია გამსესხებელი; შეხსენება ვალის გადახდის თაობაზე. მეტწილად ასეთი გარიგებები სამართლებრივად წამგებიანია. მაგალითად, ქირავნობის ხელშეკრულების, პროცენტიანი სესხის მოშლა, სამკვიდროს მიღებაზე უარი.[10]

7 **ბ) მავალდებულებელი გარიგებები.** ამ კატეგორიის გარიგებებს მიეკუთვნება ისეთი გარიგებები, რომელთა საფუძველზეც პირი კისრულობს რაიმე მოქმედების შესრულების ან მისგან თავშეკავების ვალდებულებას.[11] ასეთია ორმხრივი გარიგებები, რომლებიც შეზღუდული ქმედუნარიანი პირისათვის არ იწვევს მარტო უფლებრივ სარგებელს. შეიძლება იგი ეკონომიკურად მისთვის მომგებიანად (სასარგებლოდ) გამოიყურებოდეს, მაგრამ უფლებრივად არ იყოს სარგებლიანი.[12] შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირს კი, კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე შეუძლია დადოს მხოლოდ უფლებრივი სარგებლის მომტანი გარიგება. ორმხრივი გარიგებებით შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირი იმავდროულად იტვირთე-

8 *ჭანტურია*, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 186.
9 იქვე, გვ. 186.
10 *Erman* in Erman BGB, 12. Aufl., §107, Rn. 3.
11 *ჭანტურია*, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 307.
12 *Erman* in Erman BGB, 12. Aufl., §107, Rn. 5.

ბა მოვალეობებით. რაც გამორიცხავს მხოლოდ უფლებრივი სარგებლის მიღებას. მაგალითად, თხოვების ხელშეკრულების შემთხვევაში შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირის მოქმედება არ არის დაკავშირებული მარტო უფლებრივ სარგებელთან, მისი მოქმედებები დაკავშირებულია მოვალეობებთანაც. როცა გამნათხოვრებლის როლში გამოდის, 615-ე მუხლის საფუძველზე იგი იღებს ვალდებულებას უსასყიდლო სარგებლობაში გადასცეს ნივთი მონათხოვრეს, ხოლო, როცა შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირი მონათხოვრეა, 621 I მუხლის საფუძველზე იგი ვალდებულია ხელშეკრულებით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ ნათხოვარი ნივთი უკან დაუბრუნოს გამნათხოვრებელს. როცა შეზღუდული ქმედუნარიანი პირი უსასყიდლო მიბარების ხელშეკრულებისას მიმბარებელია, იგი არ იღებს მარტო უფლებრივ სარგებელს, რადგანაც 769-ე მუხლის საფუძველზე ვალდებულია აანაზღაუროს ნივთის თვისებებით გამოწვეული ზიანი. დაზღვევის ხელშეკრულება, საბანკო გარიგება, სესხი, არ არის მარტოოდენ სარგებლის მომტანი შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირისათვის და საჭიროებს კანონიერი წარმომადგენლის თანხმობას. ცალმხრივად მავალდებულებელი ხელშეკრულება დამოუკიდებლად შეიძლება დადოს მან მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ვალდებულება ეხება ხელშეკრულების პარტნიორს.[13] მავალდებულებელი გარიგება, რომელიც შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირს ანიჭებს მხოლოდ მოთხოვნის უფლებას, ითვლება უფლებრივი სარგებლის მომტანად. მაგალითად, როგორიცაა საჩუქრის დაპირება (525, III). მნიშვნელობა არა აქვს, შემდგომში, ვიდრე საჩუქრის გადაცემა მოხდებოდეს, გაიზრდება თუ შემცირდება შეპირებული ნივთის ღირებულება კერძო თუ საჯარო დატვირთვების შედეგად.[14] სამართლებრივად მომგებიანად ვერ ჩაითვლება, როცა ქონებასთან ერთად პირს დაეკისრება ის ვალდებულებაც, რომლის უზრუნველსაყოფადაც გამოიყენება ეს ქონება.[15] სამართლებრივი სარგებლის მომტანად ვერ ჩაითვლება სამემკვიდრეო წილის ჩუქება, რომელიც დატვირთულია ვალებით. ამ შემთხვევაში საჭიროა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა.

8 **გ) განკარგვითი გარიგება.** განკარგვითი გარიგებით ხდება უკვე არსებული უფლებების შინაარსობრივი შეცვლა, გადაცემა, დატვირთვა ან გაუქმება.[16] განკარგვითი გარიგება შეზღუდული ქმედურიანობის მქონე პირმა შეიძლება დადოს კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე, როცა ამ განკარგვით იგი ღებულობს სარგებელს. კერძოდ, მოცემულ პირზე საკუთრების გადაცემა ან მოთხოვნის დათმობა ნამდვილია, როცა შემძენი არ იქნება დატვირთული ვალდებულებებით, რისთვისაც იგი პასუხს აგებს არა მარტო შეძენილი ქონებით, არამედ საკუთარი ქონებითაც.[17]

მნიშვნელობა არა აქვს ქონების შეძენისას დატვირთულია თუ არა იგი შეზღუდული სანივთო უფლებებით, რამაც შეიძლება გამოიწვიოს საკუ-

13 *Erman* in Erman BGB, 12. Aufl, §107, Rn. 5.
14 *Erman* in Erman BGB, 12. Aufl, §107, Rn. 5.
15 კერესელიძე, უზოგადესი ცნებები, გვ. 378.
16 *Larenz/Wolf,* AT des bürg. Rechts, 8. Aufl., gv. 450, Rn. 36.
17 *Erman* in Erman BGB, 12. Aufl., §107, Rn. 5.

თრების უფლების სრული ან ნაწილობრივი გამოფიტვა. როგორც არ უნდა შემცირდეს მისი ქონების ღირებულება, უფლებრივი სარგებელი, რომელიც პირმა მიიღო საკუთრების შეძენით, შენარჩუნდება, ვინაიდან სანივთო-სამართლებრივი ტვირთები არ იწვევს შემძენის პასუხისმგებლობას.[18]

გერმანულ ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება, რომელიც, შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირზე ქონების გადაცემისას, საჭიროდ მიიჩნევს კანონიერი წარმომადგენლის თანხმობას,[19] ასეთმა პირმა უმიზნოდ რომ არ გამოიყენოს ეს ქონება. ეს არგუმენტი არ შეიძლება ჩაითვალოს საფუძვლიანად, ვინაიდან ქონების გამოყენების პროცესში დადებული ახალი გარიგების ნამდვილობა, მისი ხასიათიდან გამომდინარე, დამოკიდებული იქნება კანონიერი წარმომადგენლის თანხმობაზე. მიწაზე საკუთრების გადაცემა დატვირთული რომ იყოს, ტრადიციული საჯარო-სამართლებრივი ვალდებულებებით, ეს არ გამოიწვევს უფლებრივი სარგებლის გაუქმებას მე-15 მუხლის აზრით, ვინაიდან იგი არავითარ საფრთხეს არ უქმნის შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირის კანონით დაცულ ინტერესებს.[20] მაგალითად, თუკი მშობელი თავის არასრულწლოვან შვილს აჩუქებს მიწის ნაკვეთს, რომელიც შემდგომ გადასახადით დაიტვირთება, ჩუქება იქნება უფლებრივი სარგებლის მქონე.

9 **დ) საზოგადოებებში არსებული წილის გადაცემა** არასრულწლოვანისთვის უმეტესად დაკავშირებულია პასუხისმგებლობის რისკთან და/ან სხვადასხვა ვალდებულებასთან, რის გამოც იგი არ არის მარტო უფლებრივი სარგებლის მომტანი. ეს წესი მოქმედებს მაშინაც, როცა ვალდებულებები დაკავშირებულია კომანდიტ პარტნიორებთან. უფლებრივად სარგებლიანია სრულად ანაზღაურებადი აქციების გადაცემა.[21]

10 **ე) ნეიტრალური გარიგება** ისეთი გარიგებაა, რომელიც არც უფლებრივი სარგებლის მომტანია და არც წამგებიანი. იგი გათანაბრებულია სარგებლის მომტან გარიგებასთან და არ საჭიროებს კანონიერი წარმომადგენლების თანაქმედებას. მაგალითად, ნივთის განკარგვა არაუფლებამოსილი არასრულწლოვნის მიერ, როცა ეს ხდება უფლებამოსილი პირის თანხმობით (101 I), ან როცა მას იძენს კეთილსინდისიერი შემძენი (187, 312). ამ გარიგებებს არ მოაქვთ ზიანი არასრულწლოვნისთვის, ვინაიდან იგი სხვის ქონებას განკარგავს. მაგრამ ეს გარემოება არ არის საკმარისი გარიგება ნამდვილად რომ ჩაითვალოს. გარიგების ნამდვილობა განპირობებულია იმით, რომ ხდება მე-15 მუხლის ფართო განმარტება და მასში ამ ტიპის გარიგების მოაზრება.

იურიდიულად ნეიტრალური გარიგების სპეციალურ შემთხვევას მიეკუთვნება შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირის ნების გამოვლენა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების საფუძველზე (105).[22]

18 *Шапп,* Система германского гражданского права, 2006, gv. 258.

19 *Medicus,* ATdes BGB, 2006, § 39, Rn. 566. შდრ. *Medicus,* Burgerlicher Recht, 19, Aufl. Rn. 171. გაზიარებულია: *კერესელიძე,* კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, გვ. 376.

20 *Erman* in Erman BGB, 12. Aufl, §107, Rn. 6.

21 *Erman* in Erman BGB, 12. Aufl, §107, Rn. 6.

22 *Шапп*, Система германского гражданского права, 2006, გვ. 261-262.

ვ) ნივთის მითვისებისას უპატრონო მოძრავ ნივთს შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირი ეუფლება 190 I მუხლის საფუძველზე. ამ დროს მისი მხრიდან ხდება ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი შედეგის დადგომისაკენ. შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირი ნების გამოვლენით იღებს სარგებელს და მიუხედავად იმისა, რომ მსგავს შემთხვევებში (191, 192) მასთანაა დაკავშირებული კანონისმიერი ვალდებულებების შესრულება, ეს არ აბათილებს უფლებრივი სარგებლის მომტან ხასიათს.[23] 11

23 *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 377.

მუხლი 16. ქმედუნარიანობის შეზღუდვა ალკოჰოლის ან ნარკოტიკული ნივთიერებების გამოყენების გამო

1. სასამართლოს მიერ მზრუნველობა შეიძლება დაუწესდეს სრულწლოვან პირს, რომელიც ბოროტად იყენებს ალკოჰოლს ან ნარკოტიკულ ნივთიერებებს და ამის გამო თავის ოჯახს მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში აყენებს. იგი უფლებამოსილია დადოს ქონების განკარგვის გარიგება, აგრეთვე განკარგოს ხელფასი, პენსია ან სხვა სახის შემოსავალი მხოლოდ მზრუნველის თანხმობით, გარდა წვრილმანი ყოფითი გარიგებების დადებისა.

2. ქმედუნარიანობის სრულად აღდგენა იწვევს მზრუნველობის გაუქმებას.

I. ქმედუნარიანობის შეზღუდვის საფუძველი

1 16 I მუხლის მოქმედება ეხება სრულწლოვან პირს, რომელიც **ბოროტად იყენებს ალკოჰოლს ან ნარკოტიკულ ნივთიერებებს.** თავისთავად ალკოჰოლისა და ნარკოტიკული ნივთიერებების მიღება ვერ იქნება ქმედუნარიანობის შეზღუდვის საფუძველი. ქმედუნარიანობის შეზღუდვისათვის მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ რა გავლენას ახდენს პირის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე ალკოჰოლისა თუ ნარკოტიკული ნივთიერების მიღება. ბოროტად გამოყენების მაკვალიფიცირებელი ნიშანი ის არის, რომ პირი „ამის გამო თავის ოჯახს მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში აყენებს“. მძიმე მატერიალურ მდგომარეობას იწვევს ის ფაქტი, რომ სრულწლოვანი პირი თავის შემოსავლებს იყენებს არამიზნობრივად ალკოჰოლისა და ნარკოტიკული ნივთიერებების შესაძენად. უნდა ვივარაუდოთ, რომ ადგილი აქვს ოჯახის არსებობისათვის აუცილებელი სახსრების გაფლანგვას, რაც ოჯახის მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში ჩაყენებად კვალიფიცირდება. ამიტომაცაა, რომ მას ქმედუნარიანობა ეზღუდება მხოლოდ იმ ურთიერთობებში, რაც დაკავშირებულია აღნიშნული შემოსავლების განკარგვასთან. კერძოდ, 16 I 2 მუხლის თანახმად, „იგი უფლებამოსილია დადოს ქონების განკარგვის გარიგება, აგრეთვე განკარგოს ხელფასი, პენსია ან სხვა შემოსავალი მხოლოდ მზრუნველის თანხმობით.“ ამ შეზღუდვას აქვს პრევენციული მნიშვნელობა, ვინაიდან სრულწლოვანი პირი ვერ შეძლებს დამოუკიდებლად ისეთი გარიგების დადებას, რაც შეიძლება მისი ოჯახისათვის ზიანის მომტანი აღმოჩნდეს. ქმედუნარიანობის შეზღუდვის აღნიშნული გარემოებები, როგორიცაა ალკოჰოლისა და ნარკოტიკული ნივთიერებების ბოროტად გამოყენება და ოჯახის მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში ჩაყენება, მიზეზშედეგობრივადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. შეიძლება პირი იყენებდეს ალკოჰოლსა და ნარკოტიკულ ნივთიერებებს, მაგრამ ამით ოჯახი არ ვარდებოდეს მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში. ამ შემთხვევაში არც ქმედუნარიანობის შეზღუდვის საფუძველი იქნება. სასამართლო ვალდებულია ქმედუნარიანობის შეზღუდვის ყოველი კონკრეტული შემთხვევის შეფასებისას დაადგინოს, აყენებს თუ არა ოჯახს მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში პირის მოქმედება, ვინაიდან თავისთავად ქმედება კი არაა კერძოსამართლებრივი შედეგის გამომწვევი, არამედ ქმედების ხასიათი, რაც კანონით

განსაზღვრულ შედეგთან აუცილებელ მიზეზობრივ კავშირშია.

ქმედუნარიანობაშეზღუდულ პირს უფლება აქვს დამოუკიდებლად და- **2**
დოს **„წვრილმანი ყოფითი გარიგება.“** ამ გარიგებებს იგი დებს იმ საშუალებების გამოყენებით, რომელთა განკარგვაც, როგორც წესი, მზრუნველის თანხმობით ხდება. სამოქალაქო კოდექსი არ იძლევა „წვრილმანი ყოფითი გარიგების“ ცნებას. ასეთ გარიგებად უნდა ჩავთვალოთ პირის არსებობისათვის აუცილებელი მასობრივი, ყოველდღიური მოხმარების საგნების შესაძენად დადებული გარიგება (მაგალითად, სიგარეტის, კვების პროდუქტების და ა.შ. საგნების შეძენა). წვრილმანი გარიგების კატეგორიაში არსებითად ხვდება ბევრი ისეთი გარიგებაი, რომელთა დადების უფლებაც აქვთ ასაკის გამო შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირებს.

ალკოჰოლისა და მსგავსი ნივთიერებების გამოყენების შედეგად ქმე- **3**
დუნარიანობაშეზღუდული პირი, თუკი დროებით უგონო ან სულიერი მოშლილობის მდგომარეობაში სხვა პირს მიაყენებს ზიანს, ამისათვის იგი პასუხს აგებს როგორც დელიქტუნარიანი პირი (996)

აღნიშნული ხასიათის ნორმას შეიცავს პოსტსაბჭოური ქვეყნების სამო- **4**
ქალაქო კოდექსები. ერთ დროს მას შეიცავდა გერმანიის სამოქალაქო კოდექსიც. ამ კატეგორიის ნორმის არსებობა თანამედროვე სამოქალაქო კოდექსებში საეჭვოდ უნდა მივიჩნიოთ, ვინაიდან ქმედუნარიანობაშეზღუდული პირი სრული ქმედუნარიანობის თვისებას ატარებს ყველა დანარჩენ ურთიერთობაში.

II. შეზღუდვის გაუქმება

ქმედუნარიანობის შეზღუდვა უქმდება, თუკი პირი თავს დაანებებს **5**
ალკოჰოლისა და ნარკოტიკული ნივთიერებების ბოროტად გამოყენებას. შესაძლებელია პირი კვლავაც იყენებდეს ალკოჰოლს ან ნარკოტიკულ ნივთიერებებს, მაგრამ ამით თავის ოჯახს არ აყენებდეს მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში. სასამართლო აუქმებს ქმედუნარიანობის შეზღუდვას და შესაბამისად უქმდება მის მიმართ მზრუნველობა.

მუხლი 17. სახელის უფლება

1. ყოველ ფიზიკურ პირს აქვს სახელის უფლება, რაც მოიცავს სახელსა და გვარს.

2. სახელის შეცვლა დასაშვებია. ამისათვის საჭიროა პირის დასაბუთებული განცხადება, რომელიც დადგენილი წესით უნდა განიხილოს სათანადო ორგანომ.

3. სახელის შეცვლა არ წარმოადგენს იმ უფლებებისა და მოვალეობების შეწყვეტის ან შეცვლის საფუძველს, რომლებიც შეძენილი იყო ადრინდელი სახელით. პირი მოვალეა მიიღოს აუცილებელი ზომები სახელის შეცვლის შესახებ კრედიტორებისა და მოვალეების გასაფრთხილებლად.

I.ზოგადი დებულებანი 91
II. სახელის, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტის მნიშვნელობა.....91
1. სახელის შეძენა 91
2. განსხვავება სახელსა და სახელწოდებას შორის 92
III. 17 I სახელის განმარტება.....93
1. სახელი და გვარი.....93
2. ბავშვისთვის სახელის დარქმევის ვალდებულება 93
3. ფსევდონიმი.....94
4. ნათლობის სახელი, არაოფიციალური საკუთარი სახელი და ზედმეტსახელი 95
5. წოდება, ტიტული 95
6. სასულიერო სახელი.....96
7. ვებგვერდის სახელწოდება.....96
IV. 17 II სახელის შეცლა.....97
1. სახელის შეცვლის უფლების საკანონმდებლო მოწესრიგება 97
2. სახელის შეცვლა მშვილებლის მოთხოვნით.....98
3. შვილის გვარის გამოცვლა.....98
V. 17 III უფლებამონაცვლეობა სახელის შეცვლისას.....98
1. უფლება-მოვალეობების შენარჩუნების ფაქტორი.....98
2. კრედიტორთა და მოვალეთა ინფორმირების სავალდებულობა.....99
VI. სახელი, როგორც პირადი არაქონებრივი უფლება 99
VII. სახელი, როგორც არამატერიალური ქონებრივი სიკეთე 99
VIII. კავშირი კერძო და საჯარო სამართლის ინსტიტუტებთან.....100
1. კერძო სამართლის ცალკეული ინსტიტუტები 100
2. კავშირი საჯარო სამართალთან 100
IX. ნორმის დატვირთვა საპროცესო სამართალში.....101
1. სამოქალაქო-საპროცესო პროცედურები.....101

2. უდავო წარმოება 101
X. ნორმის გამოყენება პრაქტიკაში.....101

I. ზოგადი დებულებანი

სახელის უფლება ზოგადი პიროვნული უფლების ერთ-ერთი გამოვლინებაა და იგი პიროვნულობის განუყოფელ ელემენტს შეადგენს.[1] პირს გააჩნია უფლებამოსილება, ყველა სხვა სუბიექტს თავისი სახელის აღიარება და მისი ხელყოფისგან თავის შეკავება მოსთხოვოს.[2] სახელი წარმოადგენს ანბანის ასოებისგან შემდგარ სიტყვას, რომელიც რეგისტრირებულია შესაბამის ორგანოში პირის იდენტიფიცირების მიზნით და რომელიც განასხვავებს მას სხვა პირებისგან.[3] სახელის უფლება კონსტიტუციურ დონეზე დაცული უფლებაა. მის საკონსტიტუციო საფუძვლად შეიძლება მივიჩნიოთ საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლში გაწერილი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება, რომლის ფარგლებშიც პირს უფლება აქვს საკუთარ სახელზე.[4] **1**

ფიზიკური პირის სახელად ციფრების, გეომეტრიული ფიგურების, სასვენი ნიშნების, გრაფიკული გამოსახულების, სიმბოლოების, უცენზურო და შეურაცხმყოფელი ხასიათის სიტყვების ან მრავალწევრიანი (ორზე მეტი სახელისგან შემდგარი) სახელის განსაზღვრა დაუშვებელია.[5] **2**

თანამედროვე ტექნოლოგიურ განვითარებასთან ერთად სახელმა შეიძინა ელექტრონულ სივრცეში (ინტერნეტში) ინდივიდუალიზების ფუნქცია.[6] ადამიანთა უმეტესობას, სახელიდან გამომდინარე, აქვს შექმნილი ელექტრონული ფოსტა, რომლის საშუალებითაც ერთმანეთთან სხვადასხვა სახის კონტაქტს ამყარებენ. **3**

II. სახელის, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტის მნიშვნელობა

1. სახელის შეძენა

ფიზიკურმა პირმა სახელი შეიძლება შეიძინოს დაბადებით, ქორწინებით ან/და სახელის შეცვლის საფუძველზე.[7] ჩამოთვლილთაგან სახელის შეცვლის ყველაზე გავრცელებული საშუალება ფიზიკური პირის დაბადებაა, რომლის დროსაც, უმეტეს შემთხვევაში, ბავშვის სახელს მისი მშობლები **4**

1 *საჯაია*, ავტორობისა და სახელის უფლება – ქართული საავტორო სამართალი და თანამედროვე სამართლებრივი ტენდენციები, სამართლის ჟურნალი,1/2013, გვ. 236.
2 *ნინიძე*, სკ-ისკომენტარი, წიგნი I, მუხ. 17, გვ. 52.
3 *Wüstenberg,* Das Namensrecht der Domainnamen, GRUR, Heft 2, 2003, გვ. 109.
4 *გოცირიძე*, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, 2013, მუხ. 16, გვ. 92.
5 იხ. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 31 იანვრის №18 ბრძანების მე-20 მუხლის მე-8 პუნქტი.
6 იხ. *Koos,* Der Name als Immaterialgut, GRUR, Heft 10, 2004, გვ. 808.
7 *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ.203.

ურთიერთშეთანხმებით განსაზღვრავენ (1194).[8] ბავშვს გვარი მიეცემა მშობლების გვარის მიხედვით, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ მშობლებს საერთო გვარი არ აქვთ, შვილს დედის ან მამის გვარი, ან მშობლების შეთანხმებით შეერთებული გვარი მიენიჭება (1195).

5 იმ შემთხვევაში, თუ ბავშვს დაბადების შემდეგ მშობელმა არ მიანიჭა სახელი და გვარი (არ დაარეგისტრირა ფიზიკურ პირად შესაბამის ორგანოში) და თუ სასამართლოს გზით იგი აღიარებულია მიტოვებულად (1193[1] და „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ საქართველოს კანონი), მაშინ ამ უკანასკნელს სახელსა და გვარს ანიჭებს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო,[9] რომელმაც მიმართვაში უნდა ჩაწეროს ბავშვის სახელი და გვარი („სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონი).

6 თუ უფლებამოსილი პირი ბავშვს არ მიანიჭებს სახელს, მაშინ აღნიშნული პრეროგატივა ენიჭება სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს, ბავშვის სქესიდან გამომდინარე, დამახასიათებელი სახელებიდან შემთხვევითი შერჩევის პრინციპით („სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტი).

7 გვარის შეძენის (გვარის შეცვლის საფუძველზე) საშუალებაა ქორწინება, როდესაც მეუღლეს „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლის საფუძველზე ერთ-ერთ მეუღლეს გააჩნია უფლებამოსილება, აირჩიოს საკუთარი გვარი, ან საკუთარი და მეუღლის გაერთიანებული გვარისგან ერთობლივი გვარი.

8 სახელის შეძენის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს ასევე სახელის შეცვლა, რომელიც აუცილებელია განხორციელდეს ნებაყოფლობით,[10] საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.[11] სახელის შეცვლისთვის არ არის მნიშვნელოვანი განმცხადებლის მოტივაციის დადგენა და სურვილი, მთავარია, იგი შეესაბამებოდეს მოქმედ საკანონმდებლო წესს.[12]

2. განსხვავება სახელსა და სახელწოდებას შორის

9 სახელის, ისევე როგორც სახელწოდების არჩევისას მისი მომავალი მატარებელი (იურიდიული პირის შემთხვევაში – დამფუძნებელი) თავისუფალია,[13] გარდა გარკვეული გამონაკლისისა. მაგალითად, ორ არაკომერციულ (არასამეწარმეო) იურიდიულ პირს არ შეიძლება გააჩნდეს ერთი და იგივე სახელი,[14] რაც არ ვრცელდება კომერციულ იურიდიულ პირებ-

8 *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 204.
9 *შენგელია/შენგელია*, საოჯახო სამართალი, 2009, გვ. 199.
10 *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ.204.
11 სახელის შეცვლის თაობაზე საკანონმდებლო მოწესრიგების საკითხი იხილეთ: *პეპანაშვილი,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, 2014, გვ. 157-160.
12 *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ.204.
13 *Schöpflin,* in Beck OK BGB, §57, Rn. 6.
14 იხ. *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ.201.

ზე[15] და სხვ. განსხვავებით სახელისგან, იურიდიული პირის იდენტიფიკაციის საშუალებას სახელწოდება წარმოადგენს.[16] იგი განხილულ უნდა იქნეს იურიდიული პირის დასახელების ან კონკრეტული ბრუნვაუნარიანი პროდუქტის, ასევე კონკრეტულ სფეროში არსებული ობიექტის გამიჯვნის საშუალებად. სახელწოდება იურიდიული პირის ქონებას წარმოადგენს,[17] ხოლო სახელი – ფიზიკური პირის ქონებად არ შეიძლება იქნეს მიჩნეული.

სახელის დარად, სახელწოდების გამოყენება ხორციელდება ნებისმიერ 10
სფეროსა და სამართლის ნებისმიერ დარგში. მაგალითად, პოლიტიკურ პარტიებს გააჩნიათ საკუთარი სახელწოდება, რომლითაც ხდება მათი ერთმანეთისგან განსხვავება.[18] ასეთი სახელწოდების არარსებობის შემთხვევაში, რეალურად პრობლემა შეექმნებოდა ისეთ ძირითად უფლებას, რომელსაც პიროვნების საარჩევნო უფლება ჰქვია, ვინაიდან მისთვის რთული იქნებოდა ერთმანეთისგან გაემიჯნა კონკრეტული პოლიტიკური შეხედულების მქონე დაჯგუფებები.[19]

III. 17 I სახელის განმარტება

1. სახელი და გვარი

ფიზიკური პირის სახელს „სამოქალაქო სახელსაც“ უწოდებენ.[20] თანა- 11
მედროვე ქართულ სახელში ეროვნული ანთროპონიმიკის ისტორიაში გაბატონებული ორწევრიანი სისტემა აისახა,[21] რაც, თავის მხრივ, ქრისტიანულ ტრადიციებს შეესაბამება[22] და რომლის მიხედვითაც, პირის იდენტიფიკაციის ძირითად საშუალებას სახელისა და გვარის ქონის უფლება წარმოადგენს.[23]

სახელისა და გვარის ტარების უფლება თავის მხრივ გარკვეულ მოვალე- 12
ობასაც წარმოადგენს,[24] ვინაიდან აღნიშნულის მიმართ მოქმედებს სახელმწიფო და სოციალური ინტერესები.[25]

2. ბავშვისთვის სახელის დარქმევის ვალდებულება

1990 წლის 2 სექტემბრიდან ძალაში შევიდა გაერთიანებული ერების ორ- 13
განიზაციის მიერ ბავშვთა უფლებების კონვენცია, რომელსაც საქართველო 1994 წელს შეუერთდა. აღნიშნული კონვენციის მე-7 მუხლის მიხედვით,

15 აღნიშნულ საკითხზე იხილეთ, *ხუბაშვილი,* საფირმო სახელწოდების დაცვის მატერიალური და საპროცესო-სამართლებრივი საშუალებები, მართლმსაჯულება და კანონი №4(43)14, გვ. 174.
16 იხ. *ჭანტურია/ნინიძე,* მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, მუხ. 6, გვ. 98.
17 *ხუბაშვილი,* არაკეთილსინდისიერი კონკურენცია საფირმო სახელწოდებასთან მიმართებით *ბესარიონ ზოიძე* 60,საიუბილეო კრებული, 2013, გვ. 79.
18 *Schmitt-Gaedke/Arz,* Der NamensschutzpolitischerParteien, NJW, 2013, Heft37, S. 2730.
19 იხ. იქვე.
20 *ნინიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 17, გვ. 52.
21 იქვე.
22 *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ.195.
23 იქვე.
24 *ჭანტურია*, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, 2000, გვ. 165
25 *ნინიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 17, გვ. 52.

ბავშვს დაბადებიდანვე უნდა ჰქონდეს სახელი და გვარი, რაც, თავის მხრივ, მშობლების მოვალეობას წარმოშობს, სახელის დარქმევის კუთხით.[26]

3. ფსევდონიმი

14 ფსევდონიმი, ისევე როგორც სამოქალაქო სახელი, ინდივიდუალიზების საშუალებას წარმოადგენს.[27] ფსევდონიმის დაცვის უფლება პირს გააჩნია მას შემდეგ, თუ იგი საყოველთაოდაა ამ ფსევდონიმით ცნობილი.[28] ფსევდონიმი არ გულისხმობს სამოქალაქო სახელის შეცვლას, თუმცა იგი ანიჭებს მის მატარებელს შესაძლებლობას, მოითხოვოს საკუთარი უფლებების დაცვა იმავე სახით, რაც სამოქალაქო სახელის შემთხვევაშია გათვალისწინებული. მიუხედავად იმისა, რომ მე-17 მუხლი ფსევდონიმზე არ საუბრობს, აღნიშნული სამართლებრივი ინსტიტუტი მოწესრიგების გარეშე არ რჩება, ვინაიდან მისი სამართლებრივი წინაპირობები განსაზღვრულია სპეციალური კანონით.[29]

15 ფსევდონიმზე ვრცელდება ზოგიერთი ისეთი სახის უფლებამოსილება, რაც პირს სამოქალაქო სახელიდან გამომდინარე გააჩნია. მაგალითად, პერსონალური მონაცემების დაცვის კუთხით, რომელიც პირად საიდუმლოებას ეხება.[30] აღნიშნული განპირობებულია იმ ფაქტორით, რომ ფსევდონიმის დროს, ისევე როგორც სამოქალაქო სახელისას, ხდება პირის იდენტიფიცირება და მათ შორის განსხვავება მხოლოდ დასახელებასა და განსხვავებულ სახელწოდებაშია.[31] ამასთან, სახელის უფლებისგან განსხვავებით, ფსევდონიმს შეიძლება რამდენიმე პირი ერთობლივი საქმიანობისთვის იყენებდეს.[32] ასეთის არსებობისას, მისი დაცვა ხდება ერთი ფიზიკური პირის მიერ ფსევდონიმის ტარების სამართლებრივი ნორმების დაცვის გათვალისწინებით.

16 ფსევდონიმით ნაწარმოების გამოცემისას ავტორის უფლებების დაცვა ხდება გამომცემლის მიერ, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ავტორმა თავისი სახელი არ გამოააშკარავა.[33] ფსევდონიმი, ისევე როგორც ავტორობის უფლება, წარმოადგენს პირის პირად არაქონებრივ უფლებას, რომლის განკარგვაც შეუძლებელია. მან შეიძლება უარი თქვას, მაგალითად, ფსევდონიმზე,[34] თუმცა უფლების დატვირთვის თვალსაზრისით მას მხოლოდ ქონებრივი უფლებებით სარგებლობის შესაძლებლობა გააჩნია.

26 *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 195.
27 იქვე, გვ. 197.
28 *MüKo/Säcker,* BGB, 6. Aufl., 2012, §12, Rn. 11.
29 *საჯაია*, ავტორობისა და სახელის უფლება – ქართული საავტორო სამართალი და თანამედროვე სამართლებრივი ტენდენციები, სამართლის ჟურნალი,1/2013, გვ. 241.
30 იხ. *Roßangel/Scholz*, Datenschutz durch Anonymität und Pseudonymität - Rechtsfolgen der Verwendung anonymer und pseudonymer Daten, MMR (Multimedia und Recht), Heft 12, 2000, S. 721 ff.
31 *Härting,* Anonymität und Pseudonymität im Datenschutzrecht, NJW, Heft 29, 2013, S. 2066.
32 იხ. *საჯაია*, ავტორობისა და სახელის უფლება – ქართული საავტორო სამართალი და თანამედროვე სამართლებრივი ტენდენციები, სამართლის ჟურნალი,1/2013, გვ. 243.
33 *ძამუკაშვილი*, ძამუკაშვილი/ჯორბენაძე/შენგელია/ხრუსტალი/გაბუნია, „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის კომენტარი, 2003, მუხ. 10, გვ. 66.
34 იხ. *ჯორბენაძე*, საავტორო უფლებები ცხოვრებაში, გვ. 104.

4. ნათლობის სახელი, არაოფიციალური საკუთარი სახელი და ზედმეტსახელი

17 არაოფიციალურია საკუთარი სახელი, რომელიც არც ფსევდონიმს წარმოადგენს და არც სამოქალაქო სახელს.[35] იგი შეიძლება უკავშირდებოდეს ნათლობას ან მშობლების სურვილს, დაუძახონ შვილს განსხვავებული სახელი.[36] აღნიშნული, უპირველეს ყოვლისა, გამომდინარეობს ტრადიციებიდან, რომლის საფუძველზეც პირს მიეცემა ე.წ. „მეორე სახელი".[37] სამოქალაქო სახელისგან განსხვავებით, იგი არ წარმოშობს რაიმე სახის სამართლებრივ შედეგს. ასეთი სახელი ძირითადად ჟღერადობის, შემოკლებისა და სხვა ფაქტების გამოა შერქმეული.

ნათლობის სახელი ასევე განსხვავდება სამოქალაქო სახელისაგან. საეკლესიო კანონის საფუძველზე, არ არის სავალდებულო, პირი მხოლოდ წმინდანის სახელზე მოინათლოს,[38] თუმცა რელიგიური ადათის გათვალისწინებით, ისეთი სახელის დარქმევა, რომელიც ცნობილ წმინდანს ან დღესასწაულს უკავშირდება, რეკომენდებულია.[39] თუნდაც პიროვნებას სამოქალაქო სახელისგან განსხვავებით, სხვა ნათლობის სახელი ჰქონდეს, სამართლებრივი ურთიერთობისთვის სწორედ სამოქალაქო სახელის გამოყენება იქნება სავალდებულო.

18 ზედმეტსახელი გამოიყენება ფიზიკური პირის სამოქალაქო სახელისგან განსხვავებული, იდენტიფიკაციის საშუალების მქონე არაოფიციალური მიმართვის ფორმის მიზნით. ზედმეტსახელი არ ეთითება რომელიმე სახის ოფიციალურ დოკუმენტში (მათ შორის სასამართლო გადაწყვეტილებებში), თუ იგი საქმის ვითარებასთან ოფიციალურ კავშირში არ არის.[40]

5. წოდება, ტიტული

19 ნებისმიერი სახის წოდება ან ტიტული (აკადემიური ან სხვ.) არ წარმოადგენს სამოქალაქო სახელის შემადგენელ ნაწილს.[41] სპეციალური ნორმებიდან გამომდინარე, საქართველოში არ ხდება მისი დართვა პირადობის დამადასტურებელ ან სხვა ოფიციალურ დოკუმენტზე. აღნიშნული მოწესრიგება განსხვავდება მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში არსებული პრაქტიკისგან, რომლის მიხედვითაც, მაგალითად, დოქტორის, პროფესორის და სხვ. რეგალიის მითითება სახელის წინ შესაბამისი სტატუსის განსაზღვრის მიზნით შესაძლებელია.[42] ამასთან, პირის სტატუსიდან ან ტიტულიდან გამომდინარე შესაბამისი მოთხოვნის დაყენება სამართლებრივ საფუძველსაა მოკლებული და მას არ გააჩნია დაცვის მექანიზმი მე-18 მუხლის მიხედვით. აღნიშნულს

35 *ნინიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 17, გვ. 53.
36 *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 196.
37 *ჭანტურია*, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, 2000, გვ. 165
38 *ჩიკვაიძე*, მართლმადიდებლური საეკლესიო სამართალი, 2013, გვ. 53.
39 იქვე.
40 იხ. მაგ., საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 23 მაისის №2კ-36აპ-13 განჩინება.
41 MüKo/*Säcker*, BGB, 6. Aufl., 2012, §12, Rn. 13.
42 იქვე, Rn. 15.

განაპირობებს ამ საკითხის მხოლოდ საზოგადოებრივი ეთიკის შემადგენელ ნაწილად კუთვნილება.[43]

6. სასულიერო სახელი

20 სასულიერო სახელი, რომელიც სასულიერო პირებს შეიძლება მიენიჭოს, ასევე არ წარმოადგენს სამოქალაქო სახელის ანალოგს. თუმცა, განსხვავებით სამოქალაქო სახელის მატარებელი პირისგან, სასულიერო სახელის მქონე პირზე ვრცელდება გარკვეული გამონაკლისი, რომელიც, უპირველეს ყოვლისა,საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიურ მართლმადიდებლურ ეკლესიას შორის დადებული კონსტიტუციური შეთანხმების მე-2 მუხლიდან გამომდინარეობს, რომლითაც საეკლესიო საიდუმლოების (სასულიერო პირისთვის განდობილი ინფორმაციაა) დაცვაა განსაზღვრული. აღნიშნული თავის მხრივ, ასახვას პოვებს ცალკეულ სამართლებრივ ნორმებში. მაგალითად, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტიდან გამომდინარე, მოწმედ ყოფნის ვალდებულება არ გააჩნია იმ სასულიერო პირს, რომლისთვისაც კონკრეტული გარემოება აღსარების ან სხვაგვარად განდობის საფუძველზე გახდა ცნობილი.

7. ვებგვერდის სახელწოდება

21 ვებგვერდი თანამედროვე მსოფლიოში კომუნიკაციის დამყარების ერთ-ერთი უმთავრესი შესაძლებლობაა.[44] როგორც წესი, ვებგვერდის შექმნისთვის პირი ხელმძღვანელობს საკუთარი სამოქალაქო სახელით, ფსევდონიმით, საფირმო ან მასთან იდენტიფიკაციის მქონე სხვა სახელწოდებით. ვებგვერდის შექმნა შეუძლებელია ე.წ. „დომეინის გარეშე“, რომელიც ინტერნეტში ტექნიკური მისამართის ერთ-ერთი სახეობაა.[45] თავის მხრივ, დომეინთან ერთად, ვებგვერდის მისამართი (სახელწოდება), სამოქალაქო სახელისგან განსხვავებით, მაშინ იღებს სამართლებრივ დატვირთვას, როდესაც მას გარდა მისამართისა, გააჩნია შემდეგი სახის ნიშნები: სახელწოდების წინ ერთვის – „www“ და სახელის შემდეგ „ge“, „com“, „edu.ge“[46] ან სხვ.[47] ისევე, როგორც სამოქალაქო სახელის შემთხვევაში, ვებგვერდის სახელწოდების უფლებაზეც ვრცელდება მე-12 მუხლით გათვალისწინებული პირობები და შესაბამისი მოთხოვნის დაყენების შემთხვევაში, მის მფლობელს უფლება გააჩნია კოდექსით გათვალისწინებული ნორმების საფუძველზე მოახდინოს უფლების დაცვა.

43 *Rifai,* Anspruch eines Beamten auf die Anrede mit akademischem Grad, NVwZ, Heft 13, 2009, S. 816.

44 *ჯორბენაძე/ბახტაძე/მაჭარაძე*, მედიასამართალი, 2014, გვ. 42.

45 *Kleespies,* Die Domain als selbständiger Vermögensgegenstand in der Einzelzwangsvollstreckung, GRUR, Heft 9, 2002, გვ. 765.

46 თითოეულ დომეინს გააჩნია განსხვავებული მოწესრიგება.

47 იხ. *Wüstenberg,* Das Namenrecht der Domainnamen, GRUR, Heft 2, 2003, გვ. 110.

IV. 17 II სახელის შეცლა

სახელის შეცვლის უფლება ფიზიკურ პირს გააჩნია დასაბუთებული განცხადების საფუძველზე, რომლითაც მან უნდა მიმართოს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს.[48] დასაბუთებულ განცხადებაში იგულისხმება ნებისმიერი სახის მოტივაცია, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას. 22

ასეთი სახის დასაბუთება შეიძლება იყოს ქორწინებისას გვარის შეცვლის თაობაზე დაყენებული მოთხოვნა. კერძოდ, მეუღლის გვარზე გადასვლა ისე, რომ მეუღლის მხოლოდ გვარი შეიძინოს მეორე მეუღლემ[49] ან კანონით განსაზღვრული წესების დაცვით მოახდინოს ორივე გვარის ერთდროულად დარეგისტრირება. 23

1. სახელის შეცვლის უფლების საკანონმდებლო მოწესრიგება

სახელის შეცვლა დაუშვებელია იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელი სახელად ციფრების, გეომეტრიული ფიგურების, სასვენი ნიშნების, გრაფიკული გამოსახულების, სიმბოლოების, უცენზურო და შეურაცხმყოფელი ხასიათის სიტყვების ან მრავალწევრიან (ორზე მეტი სახელისგან შემდგარ) სახელს ირჩევს („სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის 1-ლი პუნქტი). 24

გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, პირს სახელის შეცვლის უფლება მხოლოდ ერთხელ გააჩნია. უშუალოდ სახელისგან განსხვავებით, გვარის არჩევის შემთხვევაში, სპეციალური ნორმით განსაზღვრულია ჩამონათვალი, რომლის მიხედვითაც, პირს შეუძლია მიიღოს ახალი გვარი, თუ იგი წარმოადგენს: ა) პირდაპირი აღმავალი შტოს ნათესავის გვარს; ბ) მშობელთა შეერთებულ გვარს; გ) ფაქტობრივი აღმზრდელის გვარს; დ) მშვილებლის გვარს; ე) მეუღლის გვარს; ვ) სხვა სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ მისთვის მინიჭებულ გვარს („სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 64-ე მუხლის მე-2 პუნქტი). ჩამოთვლილთაგან უკანასკნელ შემთხვევაში გამოიყენება „საერთაშორისო კერძო სამართლის“ შესახებ საქართველოს კანონის 68-ე მუხლი, რომლის საფუძველზეც, საქართველო უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებებს ცნობს[50] და შესაბამისი პირის მიერ უცხო ქვეყანაში სახელის შეცვლის თაობაზე შუამდგომლობის დაყენების შემთხვევაში, თუ არ არსებობს კანონით გათვალისწინებული დამაბრკოლებელი გარემოებანი, სასამართლო შუამდგომლობას აღსასრულებლად მიაქცევს.[51] 25

48 *პეპანაშვილი*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, 2014, გვ. 157.
49 იხ. *Hebermann*, in Staudinger BGB, 2013, §12, Rn. 294.
50 იხ. მაგ., სუს განჩინება, 11 ივნისი, 2012, №ა-2330-შ-50-2012.
51 იხ. სუს განჩინება, 14 მაისი, 2009, №ა-476-შ-22-09.

2. სახელის შეცვლა მშვილებლის მოთხოვნით

26 ნაშვილებისთვის სახელისა და გვარის მინიჭება მშვილებლის თხოვნით ხორციელდება (1257). „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, ბავშვს შეიძლება შეეცვალოს სახელი მშვილებლის მოთხოვნით იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული განპირობებულია კონფიდენციალურობის დაცვის მიზნით. გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც ბავშვი 10 წელს მიღწეულია. ასეთ შემთხვევაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს უშუალოდ ბავშვის მოსაზრება (თანხმობა, 1257 II). ბავშვის სურვილის გაზიარება ხდება მაშინაც, როდესაც შვილად აყვანის გაუქმების შემთხვევაში სასამართლოს მიერ შვილად აყვანისას ბავშვისთვის მიკუთვნებული სახელისა და გვარის შეცვლის თაობაზე უნდა იქნეს გადაწყვეტილება მისაღები.

3. შვილის გვარის გამოცვლა

27 შვილისთვის გვარის გამოცვლა, რომელიც მშობელთან ქორწინების შეწყვეტის ან ბათილად ცნობის შემდეგ დარჩა, შესაძლებელია სასამართლო გზით, შვილის ინტერესის შესაბამისად (1196 II). აღნიშნული თავის თავში გულისხმობს ობიექტური გარემოებების არსებობას, რომელიც განმცხადებლის მიერ სასამართლოში უნდა იქნეს დასაბუთებული. მშობლის სურვილი, შვილისთვის გვარის გამოცვლის აუცილებლობის თაობაზე, ვერ გახდება მტკიცებულების საგანი და მისი გაზიარებისგან ასეთ შემთხვევაში სასამართლო თავს შეიკავებს.[52]

V. 17 III უფლებამონაცვლეობა სახელის შეცვლისას

28 სახელის შეცვლის შემთხვევაში, პირი ხდება ადრინდელი სახელის მქონე პირის უფლებამონაცვლე და არა სამართალმემკვიდრე. შესაბამისად, სახელის ცვლილება არ წარმოადგენს ვალდებულების გამომრიცხავ გარემოებას. მისი გათვალისწინება დაუშვებელია ასევე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის კუთხითაც, ვინაიდან შესრულების შეუძლებლობის სამართლებრივი ინსტიტუტი უშუალოდ ქმედების განხორციელების შეუძლებლობას გულისხმობს და არა მისი მონაწილე მხარის მიერ შესაბამისი მაიდენტიფიცირებელი მონაცემების ახლიდან ჩამოყალიბებას.

1. უფლება-მოვალეობების შენარჩუნების ფაქტორი

29 სახელის შეცვლით არ იცვლება სამართლებრივი ინსტიტუტის შინაარსი. მაგალითად, თუ პირს დადებული აქვს ხელშეკრულება და ნაკისრი აქვს ვალდებულება, შესაბამისი ქმედების განხორციელების კუთხით, მან ეს ვალდებულება უნდა შეასრულოს ხელშეკრულების შინაარსიდან გამომდინარე.

52 იხ. სუს განჩინება – აღწერილობითი ნაწილი, 5 თებერვალი 2008, №ას-888-1195-07.

სახელის შეცვლა მხოლოდ კონტრაჰენტის ფორმალურ ასპექტებს შეიცავს და გარიგების შინაარსთან მას არ გააჩნია რაიმე სახის გავლენა.

2. კრედიტორთა და მოვალეთა ინფორმირების სავალდებულობა

30 სახელის შეცვლის შემთხვევაში პირის ვალდებულებაა, შეიტანოს ცვლილება ყველა იმ დოკუმენტში, რომელიც მისი იდენტიფიკაციის დამადასტურებელ საბუთს წარმოადგენს.[53] მაგალითად, თუ პირმა შეიცვალა სახელი და არ შეატყობინა კრედიტორს ან მოვალეს, ამ უკანასკნელს შეეძლება შესაბამისი მოთხოვნის დაყენება 390-393-ე ან მე-400-404-ე მუხლებიდან გამომდინარე, ვინაიდან პირის უმოქმედობა, შეუტყობინებლობის კუთხით ასეთ შემთხვევაში ჩაითვლება კრედიტორის ან მოვალის მიერ ვადის გადაცილებად.[54]

VI. სახელი, როგორც პირადი არაქონებრივი უფლება

31 სახელი წარმოადგენს პირის პირად და აბსოლუტურ უფლებას,[55] რომლის არაქონებრივი ხასიათიც მისი დაცვის სამართლებრივი მექანიზმიდან გამომდინარეობს. კერძოდ, მე-18 მუხლი უშუალოდ განსაზღვრავს არაქონებრივი უფლებების დაცვის სამართლებრივ მოწესრიგებას, რომლის ერთერთ შემადგენელ ელემენტსაც სახელის უფლების დაცვა წარმოადგენს.[56]

32 სახელის უფლების არაქონებრივ ხასიათს მისი ბრუნვაუნარიანად ცნობის შეუძლებლობა განსაზღვრავს. სასაქონლო ნიშნის სახით რეგისტრირებული სახელის უფლების გადაცემა სხვა პირისთვის დასაშვებია. ასეთ შემთხვევაში პირის მიერ სხვა პირისადმი ხდება არამატერიალური ქონებრივი სიკეთის გადაცემა, რომელიც სავაჭრო ურთიერთობებისთვის იქნება შესაბამისი გამოყენების მნიშვნელობის მქონე.[57] სხვა მხრივ, ნებისმიერი არაქონებრივი სიკეთის და მათ შორის, სახელის სხვა პირზე გადაცემა დაუშვებელია.

VII. სახელი, როგორც არამატერიალური ქონებრივი სიკეთე

33 სამოქალაქო ბრუნვაში სახელის გამოყენება ხდება მხოლოდ იმ ასპექტში, რითაც სახელის, როგორც საფირმო სახელწოდების ან სასაქონლო ნიშნის საკუთრების უფლების საფუძველზე განკარგვის შესაძლებლობა გააჩნია პირს.[58] აღნიშნულის მაგალითად შეიძლება მოყვანილ იქნეს საავტორო სამართლით მოწესრიგებული საკითხი, რომლის საფუძველზეც განსაზღვრულია საავტორო ქონებრივი უფლების განკარგვის შესაძლებლობა[59] და

53 *ნინიძე,*სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 17, გვ. 56.
54 *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 205.
55 *კობახიძე,* სამოქალაქო სამართალის ზოგადი ნაწილი, 2000, გვ. 127.
56 *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 200.
57 იქვე, გვ. 201
58 იქვე.
59 იხ. *ჯორბენაძე*, საავტორო უფლებები ცხოვრებაში, გვ. 168 და შემდგომი.

რომელიც მას მიჯნავს საავტორო პიროვნული უფლებისგან.[60]

34 საფირმო სახელწოდების შემთხვევაში ცალკე დასახელების გასხვისება დაუშვებელია.[61] მხარეთა შეთანხმებითაც კი, რომლის მიხედვითაც, კონკრეტული საფირმო სახელის ტარების უფლებაზე შეიძლება იურიდიული პირის კანონიერმა წარმომადგენელმა უარი თქვას და შეუცვალოს სახელწოდება, ეს არ გულისხმობს სახელწოდების გასხვისებას, ვინაიდან ასეთივე სახელის დარქმევის უფლებამოსილება წარმოეშობა არა მხოლოდ შეთანხმების მეორე მხარეს, არამედ პირთა განუსაზღვრელ წრეს.

VIII. კავშირი კერძო და საჯარო სამართლის ინსტიტუტებთან

1. კერძო სამართლის ცალკეული ინსტიტუტები

35 სახელის უფლების კავშირი კერძო სამართლის თითქმის ყველა ინსტიტუტთან მიმართებით შეიძლება იქნეს განხილული, რამდენადაც სამართალი, უპირველეს ყოვლისა, პირთა შორის ურთიერთობის დამყარების მოწესრიგების მიზნით გამოიყენება, თითოეული ნორმის ფარგლებში, მისი საშუალებით უფლების დაცვისას, პირის იდენტიფიკაციის ფაქტორი უმთავრეს როლს თამაშობს.

36 კერძო სამართლის ინსტიტუტიდან გამოსაყოფია „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლით მოწესრიგებული ავტორობის პრეზუმფციის საკითხი. ამავე კანონის მე-4 მუხლით კი ავტორობის დეფინიციაა მოცემული, რომლის საფუძველზეც განსაზღვრულია ის, თუ ვინ შეიძლება იყოს კონკრეტული ნაწარმოების ავტორი. მაგალითად, ასეთი შეიძლება იყოს პირი, ვისი სახელიცა და გვარიც მითითებულია ნაწარმოებზე.[62]

აღსანიშნავია ასევე „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელშიც საწარმოს რეგისტრაციის თაობაზე შესაბამისი დათქმაა განსაზღვრული. მაგალითად, დასახელებული ნორმის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, რეგისტრაციისთვის სავალდებულოა პარტნიორთა ხელმოწერილი და სათანადო წესით დამოწმებული განაცხადი, რომელშიც მათი სახელი და გვარი უნდა მიეთითოს,[63] რაც იმას გულისხმობს, რომ პარტნიორის სახელისა და გვარის გარეშე საწარმოს დაფუძნება (რეგისტრაცია) შეუძლებელია.

2. კავშირი საჯარო სამართალთან

37 პირის იდენტიფიკაცია კერძო სამართლის მსგავსად, საჯარო სამართალშიც სწორედ სახელის უფლებიდან ხორციელდება. მაგალითად, თანამდებო-

60 *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, გვ. 192.
61 *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 202.
62 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 30 მაისის №ას-869-1225-06 განჩინება.
63 იხ. *ჭანტურია/ნინიძე,* მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, მუხ. 5, გვ. 76.

ბის პირის სამართლებრივი ინსტიტუტის მოწესრიგება, რომელიც შეიძლება იყოს მხოლოდ ის პირი, ვისაც გავლილი აქვს შესაბამისი რეგისტრაცია და რომლის თაობაზეც შესაბამისი ინფორმაცია შეტანილია სახელის ერთიან ბაზაში შესაბამისი ორგანოს მიერ. ამასთან, თანამდებობის პირის მიერ გამოცემული, სამართლის ძალის მქონე ბრძანება (საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება და სხვ.), ან საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს მიერ მიღებული კანონის (მაგალითად, საქართველოს კონსტიტუცია) ძალაში შესვლა დამოკიდებულია შესაბამისი თანამდებობის პირის ხელმოწერაზე, რომლითაც თავის მხრივ, ხდება ამ პირის იდენტიფიკაცია. სახელის რეგისტრაცია კერძო სამართლის პრინციპებზე დაფუძნებით საჯარო-სამართლებრივ პროცედურას წარმოადგენს.

IX. ნორმის დატვირთვა საპროცესო სამართალში

1. სამოქალაქო-საპროცესო პროცედურები

38 სამოქალაქო პროცესის ჩატარება შეუძლებელია იმ შემთხვევაში, თუ დადგენილი არ იქნება მოსარჩელის ან მოპასუხის სახელი ან სახელწოდება.[64] სამოქალაქო-საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, სარჩელში უნდა აღინიშნოს მოსარჩელისა და მოპასუხის სახელი (ან სახელწოდება). აღნიშნული დათქმა წარმოადგენს სასამართლოს მხრიდან მოსარჩელის იდენტიფიკაციის შესაძლებლობას. დასახელებული ნორმით განისაზღვრება სახელის აღნიშვნის გარკვეული სავალდებულო წესი. მაგალითად, მოწმის დაკითხვა, რომელიც მისი სახელისა და გვარის გარკვევით უნდა დაიწყოს (იხ. ამავე კოდექსის 148-ე მუხლის მე-2 ნაწილი) და სხვ.

2. უდავო წარმოება

39 სახელის უფლების დატვირთვა სამოქალაქო-საპროცესო სამართალში ცალკე მნიშვნელობის მქონეა უდავო წარმოების სამართლებრივი ინსტიტუტიდან გამომდინარე.[65] აღნიშნულის საფუძველზე, სასამართლო განიხილავს იურიდიული მნიშვნელობის ფაქტების დადგენის შესახებ, რომლის ერთ-ერთ გამოვლინებასაც სახელის უფლების დამტკიცება და განსაზღვრა წარმოადგენს.[66]

X. ნორმის გამოყენება პრაქტიკაში

40 განსახილველი ნორმის გამოყენება პრაქტიკაში დიდია იმდენად, რამდენადაც სახელის გარეშე პირი მოკლებული იქნება შესაძლებლობას, დაამყაროს

64 *ქურდაძე/ხუნაშვილი,* საქართველოს სამოქალაქო-საპროცესო სამართალი, 2012, გვ. 82.
65 იქვე, გვ. 439.
66 იხ. სუს განჩინება, 13 იანვარი 2014, №ას-958-916-2013.

სამართლებრივი ურთიერთობა. მაგალითად, დაბადების რეგისტრაციისას პირს ენიჭება პირადი ნომერი, რომელიც პირის უნიკალურ საიდენტიფიკაციო მონაცემს წარმოადგენს. თუ კანონი დაბადების რეგისტრაციას პირადი ნომრის მინიჭების გარეშე ითვალისწინებს, პირადი ნომრის მინიჭება რეგისტრაციის გარეშე დაუშვებელია. თავის მხრივ, თუ პირს არ ექნა პირადი ნომერი, იგი ვერ მოახერხებს ისეთი უფლებამოსილების განხორციელებასაც, როგორიცაა აქტიური ან პასიური საარჩევნო ხმის უფლება და სხვ.

41 ნორმის პრაქტიკულ დანიშნულებას განსაზღვრავს ასევე „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 58-ე მუხლის მე-3 პუნქტი, რომლის მიხედვითაც სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო უფლებამოსილია არ განახორციელოს განქორწინების რეგისტრაცია, თუ განქორწინების შესახებ სასამართლოს მიერ თავისი გადაწყვეტილებით არ არის დადგენილი მეუღლეთა სახელი და გვარი. ამასთან, ცალკეულ სამართლებრივ ურთიერთობებში სახელისა და გვარის მითითება და აღნიშნულიდან გამომდინარე, ხელმოწერით პირის მიერ ნების გამოვლენა უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს ისეთი სამართლებრივი ინსტიტუტების შემთხვევაში, როგორიცაა, მაგალითად, ხელშეკრულების დადება,[67] შრომითი ურთიერთობის დამყარება[68] და სხვ.

სახელისა და გვარის არჩევის უფლება განსაკუთრებულ აქტუალურობას იძენს იმ პერიოდში, როდესაც პიროვნება სრულწლოვანებას მიაღწევს. კანონმდებლობა ამ მხრივ გარკვეულ თავისუფლებას ანიჭებს პირს, თავად მიიღოს გადაწყვეტილება სახელსა და გვარზე. მაგალითად, ატაროს მისი ბიოლოგიური მამის ან გამზრდელი მამის გვარი[69] და სხვ. ამდენად, გარდა გამონაკლისებისა, სახელისა და გვარის შეცვლაზე გადაწყვეტილებას იღებს უშუალოდ ის პირი, ვინც ამ სახელსა და გვარს ატარებს.[70]

67 *სვანაძე,* ძლიერიშვილი/სვანაძე/ცერცვაძე/ცერცვაძე/ჯანაშია/რობაქიძე, სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2014, გვ. 94-95.

68 *Hebermann,* in StaudingerBGB, 2013, §12, Rn.23.

69 სუს განჩინება, 3 ივნისი, 2015, №ას-307-294-2015.

70 იხ. სუს განჩინება – აღწერილობითი ნაწილი, 5 თებერვალი, 2008, №ას-888-1195-07.

მუხლი 18. პირადი არაქონებრივი უფლებები

1. ვისაც სახელის ტარების უფლებას შეეცილებიან, ან ვისი ინტერესებიც ილახება მისი სახელით უნებართვო სარგებლობით, მას უფლება აქვს ხელმყოფს მოსთხოვოს მოქმედების შეწყვეტა ან უარის თქმა მასზე.

2. პირს უფლება აქვს სასამართლოს მეშვეობით, კანონით დადგენილი წესით დაიცვას საკუთარი პატივი, ღირსება, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, პირადი ხელშეუხებლობა ან საქმიანი რეპუტაცია შელახვისაგან.

3. თუ პირის პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის ან პირადი ცხოვრების საიდუმლოების შემლახველი ცნობები გავრცელებულია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, მაშინ მათი უარყოფაც უნდა მოხდეს ამავე საშუალებებით. თუ ამგვარ მონაცემებს შეიცავს ორგანიზაციის მიერ გაცემული საბუთი, მაშინ ეს საბუთი უნდა შეიცვალოს და ამის შესახებ ეცნობოს დაინტერესებულ პირებს.

4. პირს, რომლის პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობებიც გამოქვეყნდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, უფლება აქვს გამოაქვეყნოს საპასუხო ცნობები ინფორმაციის იმავე საშუალებებში.

5. ამ მუხლის პირველ და მე-2 ნაწილებში გათვალისწინებული მოთხოვნის უფლება აქვს პირს მაშინაც, როცა მისი გამოსახულება (ფოტოსურათი, კინოფილმი, ვიდეოფილმი და ა.შ.) გამოქვეყნდება მისი თანხმობის გარეშე. პირის თანხმობა არ არის საჭირო, როცა ფოტოგადაღება (ვიდეოგადაღება და ა.შ.) დაკავშირებულია მის საზოგადოებრივ აღიარებასთან, დაკავებულ თანამდებობასთან, მართლმსაჯულების ან პოლიციის მოთხოვნებთან, სამეცნიერო, სასწავლო ან კულტურულ მიზნებთან, ანდა ფოტოგადაღება (ვიდეოგადაღება და ა.შ.) მოხდა საზოგადო ვითარებაში, ანდა პირმა პოზირებისათვის მიიღო საზღაური.

6. ამ მუხლით გათვალისწინებული სიკეთის დაცვა ხორციელდება, მიუხედავად ხელმყოფის ბრალისა. ხოლო, თუ დარღვევა გამოწვეულია ბრალეული მოქმედებით, პირს შეუძლია მოითხოვოს ზიანის (ზარალის) ანაზღაურებაც. ზიანის ანაზღაურება შეიძლება მოთხოვილ იქნეს იმ მოგების სახით, რომელიც წარმოექმნა ხელმყოფს. ბრალეული ხელყოფის შემთხვევაში უფლებამოსილ პირს უფლება აქვს მოითხოვოს არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურებაც. მორალური ზიანის ანაზღაურება შეიძლება ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისაგან დამოუკიდებლად.

I. ზოგადი დებულებები 106
1. პირადი არაქონებრივი უფლებების განმარტება 106
2. არაქონებრივი უფლებების გამიჯვნა ქონებრივი უფლებებისგან 107
3. არაქონებრივი უფლება, როგორც ადამიანის განუყოფელი უფლება 108
4. იურიდიული პირის არაქონებრივი უფლებები 108
5. ნორმის საკონსტიტუციო წინაპირობები 109
6. სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება სამოქალაქო სამართალში 110

ა. ინფორმაციის შინაარსისა და მისი განთავსების ფარგლები 111
ბ. ინფორმაციის წყარო/პროფესიული საიდუმლოება 112
გ. დასაშვები კრიტიკის ფარგლები 113
დ. აზრი 115
ე. ფაქტი 116
II. 18 I შეცილება სახელის ტარების უფლებაზე 117
III. 18 II პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვა სასამართლოს გზით 118
1. პირადი არაქონებრივი უფლებების დიფერენციაცია 118
ა. პატივი 118
ბ. ღირსება 118
გ. პირადი ცხოვრების საიდუმლოება და პირადი ხელშეუხებლობა 119
ე. საქმიანი რეპუტაცია 121
2. არაქონებრივი უფლებების შელახვა 122
3. ტერმინი „კანონით დადგენილი წესით“ – სპეციალურ კანონზე მითითება 123
4. ცილისწამება 123
ა. კერძო პირის ცილისწამება 125
ბ. საჯარო პირის ცილისწამება 125
გ. ცილისწამების გამომრიცხველი გარემოებები 126
აა. პოლიტიკური დებატები, სახელმწიფოებრივი ვალდებულებების შესრულება 126
ბბ. სასამართლო სხდომაზე გაკეთებული განცხადება 126
გგ. უფლებამოსილი ორგანოს მოთხოვნით გაკეთებული განცხადება 127
დდ. კვალიფიციური პრივილეგია ცილისწამებისთვის 127
ეე. ფაქტების უცოდინრობა 128
დ. ბოდიშის მოხდის მოთხოვნის დაუშვებლობა 128
ე. ცილისწამების თაობაზე სასამართლო დავის დაუშვებლობა 128
IV. 18 III არაქონებრივი უფლებების შემლახველი ცნობების უარყოფა 128
1. გავრცელებული ცნობების უარყოფა მასობრივი ინფორმაციის საშუალებით 129
2. ორგანიზაციის მიერ გაცემული საბუთი 130
V. 18 IV პირის უფლება, გაავრცელოს საპასუხო ცნობები 130
VI. 18 V არაქონებრივი უფლებების დაცვა გამოსახულების გამოქვეყნების შემთხვევაში 131
1. გამოსახულების გამოქვეყნება თანხმობის გარეშე 131
2. მოთხოვნის დაუშვებლობის ფარგლები 132

VII. 18 VI არაქონებრივი უფლებების დაცვა და ზიანის ანაზღაურება 133
1. არაქონებრივი უფლებების დაცვა ხელმყოფის ბრალის მიუხედავად 133
2. არაქონებრივ უფლებათა ხელყოფით ქონებრივი ზიანის მოთხოვნის უფლებამოსილება – კავშირი 993-ე მუხლთან 133
3. ზიანის ანაზღაურება ხელმყოფის მიერ მიღებული მოგების სახით 134
4. არაქონებრივი (მორალური) ზიანის არსი 135
ა. ბრალი 135
ბ. მართლწინააღმდეგობა 136
გ. მიზეზობრივი კავშირი 137
დ. ზნეობრივი ტანჯვა (სულიერი ტკივილი) 137
5. არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება არაქონებრივი უფლებების დარღვევისთვის 137
ა. პასუხისმგებლობის სუბიექტები არაქონებრივი ზიანის მიყენების შემთხვევაში 138
ბ. არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება, კავშირი 413 I მუხლთან 139
გ. არაქონებრივი ზიანის კომპენსაცია გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით 140
დ. არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების შემთხვევაში – კავშირი 413 II მუხლთან 142
6. არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება ქონებრივი ზიანისგან დამოუკიდებლად 144
VIII. ხანდაზმულობის ვადები არაქონებრივ უფლებებთან მიმართებით 144
IX. კავშირი სხვა სამართლებრივ ინსტიტუტებთან 145
1. პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვა ადმინისტრაციულ სამართალში 145
2. პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვა სისხლის სამართალში 146
3. პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მიხედვით 147
4. არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით 147
X. ნორმის დატვირთვა საპროცესო სამართალში 148
1. ზოგადი პრინციპები 148
2. კუმულაციური პირობების არსებობა 148
3. მაუწყებლის თვითრეგულირების მექანიზმი 148

4. არბიტრაჟისთვის არაქონებრივი უფლებების თაობაზე
საქმის გადაცემის დაუშვებლობა.....149

I. ზოგადი დებულებები

1 განსახილველი ნორმა პირის სახელის ტარების უფლების დაცვას ითვალისწინებს. ნორმის არსიდან გამომდინარე, პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვა უნდა განხორციელდეს იმ პირის მიმართ, რომელმაც ხელყო იგი მცდარი ინფორმაციის გავრცელებით თუ სხვა გზით.[1]

2 არაქონებრივი უფლებები (კერძო სამართლის ჭრილში) აბსოლუტური ხასიათისაა. შესაბამისად, განსახილველ ნორმაში მოცემული უფლებების დაცვა საკონსტიტუციო ნორმით განსაზღვრული უფლებების ფარგლების დამდგენია, არ მოხდეს კერძო დონეზე მათი შეზღუდვა,[2] რაც თავის მხრივ, ნორმას კონსტიტუციასთან შეუსაბამობაში მოიყვანდა. ამ მხრივ მნიშვნელოვანია, ერთმანეთისგან გაიმიჯნოს არაქონებრივი უფლებებისა და გამოხატვის (სიტყვის, ინფორმაციის გავრცელების) თავისუფლების ფარგლები. არაქონებრივი უფლების დაცვის საკითხი გამოხატვის თავისუფლების ზღვარზე გადის. მართალია, გამოხატვის თავისუფლება, ასევე, საკონსტიტუციო უფლებაა, თუმცა ე.წ. „დასაშვები კრიტიკის“ ფარგლების არარსებობის შემთხვევაში, თანაზომიერების პრინციპის არსიდან გამომდინარე, მათი შეზღუდვა შესაძლებელია მაშინ, როდესაც კრიტიკა დასაშვებ ზღვარს გადასცდება და შეურაცხყოფა (ცილისწამება) პირველ პლანზე იქნება წამოწეული.[3] სწორედ შეზღუდვა შეიძლება გახდეს არაქონებრივი უფლების თაობაზე ზიანის მიყენების მტკიცების და შესაბამისად, ასეთის მოთხოვნის შემთხვევაში – კომპენსაციის დაკისრების საფუძველი.

1. პირადი არაქონებრივი უფლებების განმარტება

3 კონტინენტური სამართლის რამდენიმე ქვეყანაში პირადი არაქონებრივი უფლებები სასამართლო პრაქტიკის შედეგად ჩამოყალიბებული სამართლებრივი ინსტიტუტებია, რომელთა საფუძველზეც მათი რეცეფცია განხორციელდა კოდექსში.[4]

4 არაქონებრივ უფლებებს მოიხსენიებენ პიროვნულ უფლებებადაც,[5] რომელიც ღირსების, პატივისცემისა და ინდივიდის განვითარების უფლებისგან წარმოშობილ უფლებას წარმოადგენს და რომელიც თითოეულ პირს (მათ შორის, სახელმწიფოსაც) პატივისცემის მოვალეობას აკისრებს.[6]

1 სუს განჩინება, 23 მაისი, 2006, №ას-1422-1638-05.

2 იხ. *ჩიკვაშვილი,* პასუხისმგებლობა მორალური ზიანისთვის, გვ. 136.

3 *ლუთრინგჰაუსი,* დელიქტური სამართალი, *შნიტგერი/ლუთრინგჰაუსი/შუშკე/ტოლკმიტი,* მოკლე კონსპექტები, 2011, გვ. 24-25.

4 *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 74.

5 იხ. *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, გვ. 132.

6 *ბიჭია,* კერძო ცხოვრების ცნების მოცულობა საქართველოს კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, სამართლის ჟურნალი 1/2011, გვ. 78.

განსახილველ ნორმაში მოწესრიგებული პირადი არაქონებრივი უფლებები, მათი არსიდან გამომდინარე, შესაძლებელია განსხვავდებოდეს სპეციალურ კანონში მოწესრიგებული არაქონებრივი უფლებებისგან. მაგალითად, სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული პირადი არაქონებრივი უფლებების წარმოშობის საკითხი განსხვავდება საავტორო სამართლით მოწესრიგებული არაქონებრივი უფლებების წარმოშობის საკითხისგან[7] და სხვ.

არაქონებრივი უფლებები გააჩნია ნებისმიერ ფიზიკურ პირს (იურიდიული პირის თაობაზე იხ. ამავე მუხლის კომენტარი ქვემოთ). მაგალითად, პირებს, რომელთაც შეზღუდული აქვთ არაქონებრივი უფლების აღქმის უნარი. ასევე, სამეურვეო პირის ქორწინებაზე თანხმობის მიცემასთან დაკავშირებით, სადაც მეურვის კომპეტენცია პირადი არაქონებრივი შინაარსის ურთიერთობებზე არ ვრცელდება.[8] **5**

2. არაქონებრივი უფლებების გამიჯვნა ქონებრივი უფლებებისგან

სამართალი პირად არაქონებრივ უფლებებს ქონებრივი უფლებებისგან, პირველ რიგში, მათი ბრუნვაუნარიანობის ხასიათიდან გამომდინარე განასხვავებს. მართალია, არაქონებრივი უფლება ქონებრივის მსგავსად შეიძლება კერძო სამართლის ობიექტს წარმოადგენდეს (7), თუმცა ქონებრივისგან განსხვავებით, პირადი არაქონებრივი უფლებების გასხვისება ან სხვა სახის (სახელშეკრულებო სამართლის) ობიექტად ქცევა დაუშვებელია.[9] სწორედ ამაში მდგომარეობს მისი აბსოლუტური ხასიათი.[10] აღნიშნული დაყოფა უფლების ქონებრივი და არამატერიალური ხასიათიდან გამომდინარეობს. კერძოდ, არამატერიალური სიკეთის გასხვისება შესაძლებელია ზოგ შემთხვევაში, თუ მას ქონებრივი ხასიათი გააჩნია, რაც არაქონებრივი უფლების შემთხვევაში გამორიცხულია.[11] **6**

არაქონებრივი უფლებების ქონებრივისგან გამიჯვნის საფუძველს ზიანის ანაზღაურების საკითხიც განსაზღვრავს. არაქონებრივი უფლებების დაცვა შესაძლებელია როგორც სამართლებრივი, ისე მორალური ნორმების დარღვევისას,[12] რაც ქონებრივი ურთიერთობებისას განსხვავებული სახით გვხვდება. ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისას კომპენსაციის დადგენა იოლია. არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებისას კი გასათვალისწინებელია თვით დაზარალებული პიროვნების სულიერი მდგომარეობა და ზიანის დაკისრე- **7**

7 *საჯაია,* ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები, ნაშრომი დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თსუ, 2014, გვ. 106.

8 იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 10 ოქტომბრის №2/4/532,522 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

9 *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, გვ. 133.

10 აღნიშნულის თაობაზე იხ. *ბიჭია,* სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი, სამართლის ჟურნალი, 1/2012, გვ. 31 და შემდგომი.

11 *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, გვ. 135.

12 იხ. სუს განჩინება, 28 ნოემბერი, 2003, №ას-278-952-03.

ბის შედეგის განსაზღვრა.[13/14] ქონებრივი ზიანი უფრო მატერიალიზებული სახითაა წარმოდგენილი და მისი სიდიდე განისაზღვრება კონკრეტული ფაქტებიდან გამომდინარე არსებული მტკიცებულებებით. არაქონებრივი ზიანის შემთხვევაში მტკიცებისთვის საკმარისია მხოლოდ ასეთი უფლების დარღვევის ფაქტის დადასტურება.[15] მაგალითად, შეფასების საზომს შეიძლება წარმოადგენდეს ქონება, რაც პირის (დაზარალებულის, სუბიექტის) გარეთ არსებულ ობიექტურ ფაქტორებს ეფუძნება.[16]

3. არაქონებრივი უფლება, როგორც ადამიანის განუყოფელი უფლება

8 გარკვეული არაქონებრივი უფლებები (მაგალითად, ღირსება) ადამიანს გააჩნია დაბადებიდან გარდაცვალებამდე (უფლების დაცვა შესაძლებელია პირის გარდაცვალების შემდეგაც, თუმცა მხოლოდ ქონებრივი ზიანის ანაზღაურების კუთხით[17] – 19).[18] მასზე უარის თქმა პირს სურვილის შემთხვევაშიც კი არ შეუძლია.[19] ამასთან, მნიშვნელობა არ აქვს, თუ როგორი რეპუტაციით სარგებლობს პირი საზოგადოებაში, მას არაქონებრივი უფლებები უნარჩუნდება და შესაბამისად, მისი დაცვის უფლებამოსილებაც გააჩნია.[20]

4. იურიდიული პირის არაქონებრივი უფლებები

9 არაქონებრივი უფლებების უმეტესი კატეგორია ფიზიკურ პირს გააჩნია. **იურიდიული პირის არაქონებრივი უფლებების არსი უწინარესად 27 V მუხლიდან გამომდინარეობს,** რომლის საფუძველზეც ასეთ უფლებას საქმიანი რეპუტაცია წარმოადგენს.[21/22] აღნიშნული შეესაბამება იურიდიული პირის სამართლებრივ ბუნებას, რომელსაც არ შეიძლება გააჩნდეს ფიზიკური თუ სულიერი ტანჯვა,[23] მაგალითად, ღირსების საკითხის განხილვისას.[24]

10 იურიდიული პირის არაქონებრივი უფლებების შელახვის შემთხვევაში, უნდა არსებობდეს საქმიანი რეპუტაციის შელახვის იმგვარი ფაქტი, რომ ეს უკანასკნელი ვეღარ ახორციელებდეს თავის საქმიანობას,[25] რადგან

13 *საჯაია,* პრესა და მორალური ზიანი, სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა, ქართული სამართლის მიმოხილვა, 8/2005-1/2, გვ. 176.

14 იხ. იქვე.

15 სუს გადაწყვეტილება, 25 თებერვალი, 2013, №ას-1149-1169-2011.

16 *ზოიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი III, მუხ. 413, გვ. 469.

17 იხ. სუს გადაწყვეტილება – 27 დეკემბერი, 2012, №ბს-78(კ-12).

18 იხ. *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, გვ. 135.

19 *გოცირიძე,* საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, 2013, მუხ. 17, გვ. 109.

20 *საჯაია,* ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები, ნაშრომი დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თსუ, 2014, გვ. 86.

21 იხ. *გოცირიძე,* საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, 2013, მუხ. 17, გვ. 109.

22 სუს გადაწყვეტილება, 30 სექტემბერი, 2015, №ას-1052-1007-2014.

23 *ჩიკვაშვილი,* მორალური ზიანის ანაზღაურება იურიდიული პირის არაქონებრივი უფლებების ხელყოფისთვის, სამართალი, №1-2/2004, გვ. 42-43.

24 იხ. *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, გვ. 132.

25 თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება, 25 ივნისი, 2013, №2ბ/696-13.

გავრცელებული ინფორმაცია იურიდიული პირის „საბაზრო სახეს“, კომერციულ შეხედულებას ეწინააღმდეგება.[26] ამასთან, კონკრეტულ შემთხვევაში მკაფიოდ უნდა განისაზღვროს, მაგალითად, თუ ვის მიმართ მოხდა განცხადების გაკეთება – იურიდიული პირის თუ მისი დირექტორის[27] და სხვ.

5. ნორმის საკონსტიტუციო წინაპირობები

კონკრეტული სამართლებრივი ინსტიტუტის კონსტიტუციურ-სამართლებრივი და სამოქალაქო-სამართლებრივი განმარტება ერთმანეთისგან განსხვავებდა.[28] ასე, მაგალითად, ღირსების უფლების შემთხვევაში,[29] თუმცა ეს არ გულისხმობს, რომ დასახელებულ უფლებას კონსტიტუციური წინაპირობა არ გააჩნია. სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე, განსახილველი ნორმის საკონსტიტუციო საფუძვლად, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლი უნდა განისაზღვროს,[30] რომელიც სოციალური სახელმწიფოს უმთავრეს პრინციპს, **ადამიანის ღირსების** შენარჩუნებას ემსახურება[31] და რომლის მთავარ ღირებულებას ადამიანი, როგორც თვითმყოფადი, თავისუფალი და სხვა ადამიანების თანასწორი სუბიექტი წარმოადგენს.[32] ღირსების შელახვა გარკვეული გამონათქვამით, გარკვეული **გამოხატვით** შეიძლება განხორციელდეს, რაც საქართველოს კონსტიტუციის მე-19 და 24-ე მუხლებიდან გამომდინარე შეიძლება შეიზღუდოს. პიროვნების აზრის თავისუფლად გამოხატვას გააჩნია შესაბამისი ვალდებულებანი და პასუხისმგებლობა, რომელიც შეიძლება მას დაეკისროს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მე-18 მუხლი ეფუძნება, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს კონსტიტუციასა და ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას.[33] 11

ამავე მუხლის მოწესრიგების საგანია **პიროვნულობისა და თავისუფლების ხელშეუხებლობის** უფლება, რაც მის საკონსტიტუციო საფუძვლად, ასევე, საქართველოს კონსტიტუციის მე-18 და მე-20 მუხლებს მოიაზრებს. ამასთან, **სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისი ზიანის მიყენების საკითხთან მიმართებით** განსახილველი ნორმა შესაბამისობაშია კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტთან. 12

26 სუს გადაწყვეტილება, 30 სექტემბერი 2015, №ას-1052-1007-2014.

27 იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება, 25 ივნისი, 2013, №2ბ/696-13.

28 იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება, 7 ოქტომბერი, 2014, №2ბ/6800-13; ასევე სუს განჩინება, 4 მაისი, 2015, №ას-1155-1101-2014.

29 იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის №2/2/389 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ.

30 იხ. *ბიჭია,* ღირსების სამოქალაქო-სამართლებრივი დაცვის რამდენიმე ასპექტი (ქართული და ევროპული მიდგომები), გვ. 82 და შემდგომი.

31 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 27 აგვისტოს №1/2/434 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

32 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის №2/2-389 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ.

33 იხ. სუს გადაწყვეტილება, 25 ივნისი, 2002, №3კ-337-02.

6. სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება სამოქალაქო სამართალში

13 გამოხატვის თავისუფლება სამოქალაქო სამართალში არ არის აბსოლუტური. მისი შეზღუდვის დასაშვებობა პიროვნების არაქონებრივი უფლებების დაცვისკენაა მიმართული,[34] რათა არ მოხდეს ცრუ ინფორმაციის (დეზინფორმაციის) გავრცელება[35] და სხვ. გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა დასაშვებია კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში თანაზომიერების პრინციპის დაცვით,[36] როდესაც შეზღუდვა იქნება აუცილებელი (მნიშვნელოვანი) დემოკრატიული საზოგადოებისთვის.[37] ასეთი ჩარევით განსაზღვრული ქმედება დაცულ სიკეთეს უნდა აღემატებოდეს.[38] კერძოდ, სასამართლომ უნდა შეაფასოს გამოხატვის შინაარსისა და ფორმის ღირებულება, მისი საზოგადოებრივი მნიშვნელობა და ასევე, უფლების რეალიზაციის შედეგად მიყენებული ზიანი.[39] აღნიშნული კი, თავის მხრივ, ასახვას მე-18 მუხლში გაწერილი არაქონებრივი უფლებების არსიდან გამომდინარე პოვებს.[40] ამდენად, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა სახელმწიფოს მიერ შესაძლებელია მწვავე საზოგადოებრივი საჭიროების შემთხვევაში,[41] რაც შეიძლება, მაგალითად, სხვისადმი დამამცირებელ დამოკიდებულებაში გამოიხატოს.[42]

14 საკონსტიტუციო-სამართლებრივი ურთიერთობებისგან განსხვავებით, რომელშიც უფლების სუბიექტს წარმოადგენს ნებისმიერი ის პირი, რომელთა უფლებებსაც სახელმწიფო იცავს,[43] სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობისას გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა პირთა თანასწორობაზეა დაფუძნებული. შეზღუდვის ფარგლებს სასამართლო აწესებს და სწორედ სუბიექტური თუ ობიექტური შეხედულებანი თამაშობს გადამწყვეტს როლს. ასე, მაგალითად, ჟურნალისტს რესპოდენტის მიერ გამოთქმული მოსაზრებისგან გამიჯვნა ევალება, რათა არ გაავრცელოს სიძულვილისა[44] თუ

34 სუს განჩინება, 3 აპრილი, 2012, №ას-1477-1489-2011.

35 იხ. *ჯორბენაძე*, გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლება, როგორც დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობის წინაპირობა, ზურაბ ახვლედიანი 80, გვ. 174.

36 *იზორია*, ადამიანის უფლებების შეზღუდვა და თანაზომიერების პრინციპი, ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში, 2004, გვ. 44 და შემდგომი.

37 იხ. მაგალითად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება, 25 ივნისი, 2013, №2ბ/696-13.

38 სუს განჩინება, 15 ნოემბერი 2013, №ას-378-359-2013.

39 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის №1/3/421,422 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

40 იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 11 მარტის №2/1/241 გადაწყვეტილება საქმეზე მოქალაქე აკაკი გოგიჩაიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

41 სუს გადაწყვეტილება, 30 სექტემბერი, 2015, №ას-1052-1007-2014.

42 *ზოიძე*, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, 2013, მუხ. 24, გვ. 259.

43 იხ. *გეგენავა* (რედ.), საკონსტიტუციო სამართალი, მეორე გამოცემა, გვ. 344.

44 ქართულ რეალობაში სიძულვილის ენის შესახებ იხილეთ, *მამულაშვილი, მარგველაშვილი,* სიძულვილის ენა მედიაში – გამოხატვის თავისუფლების ფარგლები, მედია, ეთიკა და სამართალი, 2015, გვ. 144-145 – ნაშრომში მოყვანილია ასევე კვლევა, რომლითაც დასტურდება, რომ დღევანდელ რეალობაში ასი გამოკითხულიდან 76%-ს მიაჩნია, რომ ისმენენ ტელევიზიით სიძულვილის ენის შემცველ ინფორმაციას.

ძალადობის შემცველი განცხადება;[45] მასვე ევალება ინფორმაციის გადამოწმება და მისი სისწორის დადგენა.[46] აღნიშნულის ამომავალი წერტილია ის, რომ ჟურნალისტი უნდა ავრცელებდეს ისეთ ინფორმაციას, რომელიც სანდო/გადამოწმებული და სინამდვილესთან შესაბამისი იქნება.[47] რესპოდენტის მიერ გამოთქმული მოსაზრების დადასტურება მხოლოდ აღნიშნულ წყაროზე დაყრდნობის შემთხვევაშია დასაშვები, თუნდაც ეს უკანასკნელი სიმართლესთან შეუსაბამო ინფორმაციას ავრცელებდეს. ასეთ შემთხვევებში, პირს მოთხოვნის უფლება უშუალოდ რესპოდენტის მიმართ წარმოეშობა და სახელმწიფოს როლი სასამართლოს გზით დარღვეული უფლების შედეგად მართლმსაჯულების განხორციელებაში ვლინდება. ამასთან, ჟურნალისტს აკისრია ე.წ. „მოკვლევის ვალდებულება“. აღნიშნულის ფარგლებში იგი იქნება ვალდებული გაავრცელოს არა 100%-ით ობიექტური, არამედ სიმართლესთან ყველაზე შესაბამისი ინფორმაცია.[48]

მასობრივი ინფორმაციის საშუალებაში გაშუქებული სტატიისა ან ინ- **15**
ტერვიუს გადაცემის შემთხვევაში იგი ავტომატურად იძენს საჯარო ხასიათს. სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების ფარგლებიდან გამომდინარე, პირს, რომლის მიმართაც გაჟღერებულია გარკვეული განცხადება/ინფორმაცია (სიმართლესთან შეუსაბამო და სხვ.), უფლება აქვს, საპასუხო განცხადება/ინფორმაცია გაავრცელოს სასამართლოში სარჩელის შეტანამდე, თუნდაც განცხადება/ინფორმაცია ინფორმაციის პირველად გამავრცელებლისადმი უსიამოვნო ტექსტს შეიცავდეს. ეს უკანასკნელი ვალდებულია, ითმინოს ადრესატის ქმედება. თმენის სამართლებრივი ფარგლები სრულდება მაშინ, როდესაც ამ განცხადებით/ინფორმაციით შეილახება (მოხდება უხეში ხელყოფა) არაქონებრივი უფლებები.[49] აღნიშნულის კვალად, თუ არაქონებრივი უფლებები და ზოგადად კანონმდებლობა არ დაირღვევა (მათ შორის, ცილისწამების ფაქტი არ იარსებებს), სახეზე არ იქნება გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძველიც.[50]

ა. ინფორმაციის შინაარსისა და მისი განთავსების ფარგლები

ინფორმაციის გავრცელება სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების **16**
ერთ-ერთ გამოვლინებას წარმოადგენს.[51] გამავრცელებელი, როგორც წესი, მედია საშუალებაა. ამდენად, პირადი არაქონებრივი უფლებების დარღვევის ყველაზე გავრცელებული მაგალითები სწორედ მედიის საქმიანობისას გვხვდება, სადაც ხშირად კონფლიქტი წარმოიშობა მედიის საზოგადოებრივ

45 სუს განჩინება, 23 აპრილი, 2014, №ას-1332-1258-2012.
46 *ალფაიძე,* ჟურნალისტის სამართლებრივი სტატუსი, ადამიანი და კონსტიტუცია, 4/2004, გვ. 82.
47 *ალფაიძე*, მედია სამართალი, გვ. 222.
48 *ლუთრინგჰაუსი*, დელიქტური სამართალი, *შნიტგერი/ლუთრინგჰაუსი/შუშკე/ტოლკმიტი,* მოკლე კონსპექტები, 2011, გვ. 25.
49 იხ. სუს გადაწყვეტილება, 10 ოქტომბერი, 2001, №3კ-548-01.
50 სუს განჩინება, 30 აპრილი, 2015, №ას-1179-1124-2013.
51 იხ. *ზოიძე,* საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, 2013, მუხ. 24, გვ. 260 და შემდგომი.

ფუნქციასა და პირთა ინტერესებს შორის.[52] ამდენად, მნიშვნელოვანია, განისაზღვროს, თუ სად გადის ზღვარი ინფორმაციის გავრცელების უფლებასა და გავრცელების შეზღუდვის/თავის შეკავების ვალდებულებას შორის.

17 მაგალითად, უხამს განცხადებად მოაზრებულია ისეთი შინაარსის განცხადება, რომელსაც პოლიტიკური, კულტურული, სამეცნიერო ან საგანმანათლებლო მიზანი არ გააჩნია და რომელიც უხეშად არღვევს საზოგადოებაში საყოველთაოდ დამკვიდრებულ ეთიკურ ნორმებს. აღნიშნული კი, თავის მხრივ, გამოხატვის თავისუფლების არსიდან გამომდინარე, მისი შეზღუდვის ერთ-ერთი სახეა,[53] რომლის დარღვევის შემთხვევაშიც **მოსარჩელემ შესაძლებელია ცილისწამებისთვის სასარჩელო მოთხოვნა სწორედ უხამსი განცხადების გავრცელებაზე დააფუძნოს.**[54] უხამსობას შეიძლება სიუჟეტის, სტატიის, განცხადების და სხვა სახით გავრცელებული ინფორმაციის ცალკეული სიტყვა მოიცავდეს, თუმცა „უხამსად“ რომ იქნეს აღქმული, მნიშვნელოვანია, იგი ერთიან კონტექსტში იქნეს განხილული.[55] მაგალითად, სიტყვა „მოკვეთა“ – იგი შეიძლება მოიაზროს პირმა რამდენიმე ასპექტში, თუმცა, თუ დასახელებული სიტყვა არა მუქარის ან შეურაცხყოფის, არამედ ფაქტის დადასტურების მიზნითაა მოყვანილი, მაშინ იგი უფლების დარღვევის წინაპირობა არ გახდება.[56]

18 ცალკე განხილვის თემაა სოციალური ქსელის საშუალებით პირის მიერ გავრცელებული ინფორმაცია, გამოთქმული აზრი ან დაფიქსირებული რაიმე მონაცემები, რომლითაც შესაძლებელია სხვათა უფლებების დარღვევა. ასეთი ქმედება, რომელიც განხორციელებული იქნება სოციალური ქსელის კონკრეტული მომხმარებლის მიერ ე.წ. სტატუსის დაწერით, შეფასდება როგორც საჯაროდ გავრცელებული ინფორმაცია[57] და ნებისმიერ სხვა პირს შეეძლება ამ ინფორმაციის გაზიარება, გავრცელება და სხვ. (პირველადი წყაროს დაცვით). რაც შეეხება ე.წ. „დახურულ ჯგუფში“ დაფიქსირებულ პოზიციას, მისი გასაჯაროების უფლებამოსილება იმავე ჯგუფის არც ერთ წევრს არ გააჩნია.[58] თითოეულ შემთხვევაში ინფორმაციის გავრცელების ფარგლები სწორედ მისი განთავსების თავისებურებიდან გამომდინარე უნდა შეფასდეს, რაც პირის ძირითადი უფლებების რეალიზაციის საფუძველი გახდება.[59]

ბ. ინფორმაციის წყარო / პროფესიული საიდუმლოება

19 „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების“ შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-7 პუნქტში პირდაპირ განსაზღვრულია სიტყვის თავ-

52 *ჭანტურია*, პირადი არაქონებრივი უფლებები თანამედროვე სამოქალაქო სამართალში, სამართალი, 11-12/1997, გვ. 27.
53 *ჯორბენაძე/ბახტაძე/მაჭარაძე*, მედია სამართალი, გვ. 77.
54 სუს განჩინება, 3 აგვისტო, 2012, №ას-1739-1720-2011.
55 სუს გადაწყვეტილება, 20 თებერვალი 2012, №ას-1278-1298-2011.
56 სუს განჩინება, აღწერილობითი ნაწილი, 19 მარტი, 2007, №ას-385-780-06.
57 სუს განჩინება, 9 იანვარი, 2014, №ას-1559-1462-2012.
58 იხ. იგივე განჩინება.
59 *ჯორბენაძე/ბახტაძე/მაჭარაძე*, მედია სამართალი, გვ. 46.

ისუფლების შეზღუდვის დაუშვებლობა იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხე არ ამხელს ინფორმაციის წყაროს ან პროფესიულ საიდუმლოებას. ასეთ შემთხვევაში ერთ-ერთი მათგანის გამხელისგან თავის შეკავება, როგორც მტკიცებულების წარდგენა სასამართლოში (სამოქალაქო-საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლის მე-5 ნაწილი), საპატიო მიზეზად უნდა იქნეს მიჩნეული.[60] სხვა მხრივ, ინფორმაციის წყაროს სამართლებრივ ინსტიტუტსა და პროფესიული საიდუმლოების არსს აზრი დაეკარგებოდა.

გ. დასაშვები კრიტიკის ფარგლები

გამოხატვის თავისუფლების არსიდან გამომდინარე, კრიტიკა დასაშვებია, **20**
როდესაც დიდია საზოგადოებრივი ინტერესი.[61] ასეთი ინტერესი შეიძლება შეეხებოდეს ჯანმრთელობას, ექიმის კვალიფიკაციას და სხვ. მაგალითად, უკმაყოფილო პაციენტის მიერ გაკეთებული განცხადება, თუნდაც ამით ზიანი ექიმის (ან ამ სფეროში მოღვაწე შესაბამისი პირის) საქმიან რეპუტაციას მიადგეს, გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში ექცევა.[62]

დასაშვები კრიტიკა, უპირველეს ყოვლისა, საჯარო პირებზე, მათ შორის **21**
პოლიტიკოსთა მიმართ გაკეთებულ განცხადებებზე ვრცელდება. მაგალითად, პოლიტიკური თანამდებობის პირების შემთხვევაში, რაც უფრო დიდია მათი პასუხისმგებლობა, დასაშვები კრიტიკის ფარგლები უფრო ფართოდ უნდა იქნეს გაგებული.[63] ასეთი დათქმა გამომდინარეობს შესაბამისი საქმიანობიდან – პოლიტიკოსის საქმიანობისადმი საზოგადოებრივი ინტერესი უფრო დიდია, ვიდრე ჩვეულებრივი მოქალაქის საქმიანობის მიმართ.[64] ეს გამომდინარეობს სახელმწიფოს დემოკრატიული წყობის მდგრადობის ინტერესებიდან,[65] რაც იმის საფუძველია, რომ თანამდებობის პირებმა დასაშვებზე მეტი კრიტიკა ითმინონ.[66]

ზემოაღნიშნულს განაპირობებს, ასევე, მედიის თავისუფლების სამართ- **22**
ლებრივი პრინციპი. მედია ხშირად ადამიანს აწვდის ინფორმაციას, რომლის გავრცელებაც ამ უკანასკნელის სურვილს არ წარმოადგენს.[67] მაგალითად, **საჯარო პოლემიკის დროს, რომელშიც საჯარო პირი (პოლიტიკოსი) მონაწილეობს, ან როდესაც საკითხი საზოგადოებრივ და არა პირად ინტერესს შეეხება.** ასევე, მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციისას როგორც კერ-

60 ამ საკითხზე საინტერესო მსჯელობა იხილეთ: *სიმონიშვილი,* მტკიცების სტანდარტი პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვისა და სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების კონკურენციისას, მტკიცებითი სამართლის აქტუალური საკითხები, სტატიათა კრებული, თბილისი, 2016, გვ. 103.

61 იხ. სუს გადაწყვეტილება, 24 აპრილი, 2003, №3კ-1240-02.

62 სუს განჩინება, 15 ნოემბერი, 2013, №ას-378-359-2013.

63 *კერესელიძე,* გამოხატვის თავისუფლება, სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა, ქართული სამართლის მიმოხილვა, 5/2002-4, გვ. 620.

64 იხ. სუს გადაწყვეტილება, 18 ივლისი, 2001, №3კ/376-01.

65 *ბექაია,* საქართველოს კანონი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ, ქართული სამართლის მიმოხილვა, 7-2/3(1)/2004, გვ. 438.

66 იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა – კასტელსი ესპანეთის წინააღმდეგ (Castells v. Spain, 11798/85, 1992).

67 სუს განჩინება, 23 აპრილი, 2014, №ას-1332-1258-2012.

ძო პირის, ისე საჯარო პირის პატივი და ღირსებაც დაცული უნდა იყოს შელახვისგან.[68] ასეთის არსებობისას გამოხატვის თავისუფლება კანონიერ ჩარჩოშია მოქცეული, თუნდაც პოლემიკისას კონკრეტული მოსაზრება (პასუხი ან სხვ.) არაობიექტური ან/და გადაჭარბებული იყოს.[69] მაგალითად, კონკრეტულ რეგიონში არსებული ეკონომიკური და სოციალური საკითხების შესახებ ფაქტებზე დაფუძნებული ინფორმაცია შეიძლება კრიტიკის დასაშვებ ფარგლებში ექცეოდეს.[70] **მედიის მიერ ინფორმაციის გავრცელება წყაროზე მითითებით დასაშვები კრიტიკის ფარგლებს არ სცდება.**

23 დასაშვები, ანუ საქმიანი კრიტიკა გამოხატვის თავისუფლების ჩარჩოში ჯდება მანამ, სანამ იგი არ გასცდება კანონით განსაზღვრულ ფარგლებს.[71] პოლიტიკურ (ასევე – პოლიტიკოსებზე) და მათთან გათანაბრებულ თანამდებობის პირებზე დასაშვებია თავისუფალი კრიტიკა, მათი პიროვნების საზოგადოებრივი შეფასებისთვის,[72] თუ ასეთი სახის კრიტიკა (ასევე, გამოქვეყნებული ინფორმაცია[73]) არ ხელყოფს მათ პირად ცხოვრებას.[74] კერძოდ, თუ კრიტიკა მხოლოდ პირის საქმიანობას ეხება და მასში აღნიშნული არ არის პირადი ცხოვრების რაიმე ელემენტი.[75] **პირად ცხოვრებასთან დაკავშირებული საკითხები არ შეიძლება გამართლდეს საზოგადოებრივი/საჯარო ინტერესით.** აღნიშნულის ერთ-ერთ საფუძველს კი ის ფაქტი წარმოადგენს, რომ მედიის თავისუფლებას აბსოლუტური ხასიათი არ გააჩნია.[76] თავის მხრივ, საჯარო პირის მიმართ საზოგადოებრივი ინტერესი არ შემოიფარგლება მხოლოდ საზოგადოების ცნობისმოყვარეობით მის პირად ცხოვრებაზე. ინტერესის ობიექტს იმ ფუნქციების განხორციელება უნდა წარმოადგენდეს, რის საფუძველზეც მას საჯარო პირის სტატუსი აქვს მინიჭებული.[77]

24 კერძო პირის მიმართ დასაშვები კრიტიკის ფარგლები უფრო შეზღუდულია.[78] ასეთ შემთხვევაში კანონით დაშვებული კრიტიკა შესაძლებელია, თუ კერძო პირი კონკრეტულ შემთხვევაში საჯარო მიზნისთვის ახორციელებს საქმიანობას. კრიტიკის ფარგლები განისაზღვრება პირის საზოგადოებისადმი პასუხისმგებლობით, რომლის პროპორციულადაც უნდა დადგინდეს კრიტიკის ფარგლები.[79]

68 *ჯორბენაძე/ბახტაძე/მაჭარაძე*, მედია სამართალი, გვ. 77.
69 სუს განჩინება, 21 ივლისი, 2004, №ას-322-605-04.
70 სუს განჩინება, 28 იანვარი, 2004, №ას-84-791-93
71 სუს გადაწყვეტილება, 25 ივნისი, 2002, №3კ-337-02.
72 სუს გადაწყვეტილება, მარტი, 2002, №3კ/1044.
73 იხ. *ბარაბაძე*, სახელის, პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვის შესახებ აღძრულ საქმეთა განხილვისა და მორალური ზიანისათვის კომპენსაციის დაკისრების ზოგიერთი თავისებურებანი, მართლმსაჯულება და კანონი, 4(31)11, გვ. 116.
74 სუს გადაწყვეტილება, 18 ივლისი, 2001, №3კ/376-01.
75 იხ. სუს განჩინება, 14 ივნისი, 2006, №ას-1106-1352-05.
76 იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა, საქმე თამერი ესტონეთის წინააღმდეგ (Tammer v. Estonia, 41205/98, 2001).
77 სუს განჩინება, 3 აპრილი, 2012, №ას-1477-1489-2011.
78 იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა, საქმე ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ (Lingens v. Austria, 9815/82, 1986).
79 იხ. *კერესელიძე*, უზოგადესი ცნებები, გვ. 155.

დ. აზრი

აზრში იგულისხმება ნებისმიერი შეფასებითი გამონათქვამი, რომელიც შედგება განსჯის, დამოკიდებულებისა და შეფასების ელემენტებისგან და რომლის მართებულობა პირად შეფასებაზეა დამოკიდებული.[80] აზრი არ ექვემდებარება სისწორისა თუ მცდარობის მტკიცებას.[81] სწორედ აღნიშნულზე დაფუძნებით მიიჩნევს სასამართლო, რომ სახელმწიფომ და ხალხმა მათთვის გამაოგნებელი ინფორმაციის მოსმენა უნდა აიტანოს,[82] რაც დემოკრატიული საზოგადოების მიზნებს შეესაბამება.[83] 25

სპეციალური კანონიდან გამომდინარე, **აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით,** თუ მისი გასაჯაროების შემთხვევაში არ შეილახება სხვათა უფლებები.[84] შესაბამისად, კომენტარის, შეფასებითი მსჯელობის, თვალსაზრისისა და სხვა შეხედულების გამოხატვა, რომელიც პოზიციის დაფიქსირებას, პიროვნების, საგნის ან მოვლენის მიმართ დამოკიდებულების გამოხატვას წარმოადგენს, სამართლებრივ ფარგლებში დაცულ ძირითად უფლებათა გამოვლინებად მიიჩნევა და იგი არ ჩაითვლება ცილისწამებად.[85] თითოეული ასეთი შემთხვევისას აუცილებელია გაიმიჯნოს და ცალკე სახედ განისაზღვროს შემთხვევა, როდესაც, მართალია, ცალკეული სიტყვა ან გამონათქვამი არ მოსწონს მხარეს, მაგრამ ერთიანი კონტექსტიდან გამომდინარე, ასეთი გამონათქვამი, როგორც აბსოლუტური აზრის მქონე, ცალკე განხილული ვერ იქნება.[86] ამდენად, ცილისწამება არ მოხდება ერთი სიტყვით და მით უმეტეს, საკუთარი პოზიციის დახასიათებით. შესაბამისად, სასარჩელო მოთხოვნასაც ამ შემთხვევაში პრაქტიკული მნიშვნელობა ექნება დაკარგული.[87] 26

თუ აზრი შეიცავს მტკიცებას გარკვეულ საკითხთან მიმართებით, შესაძლებელია აღნიშნული არაქონებრივი ზიანის მიყენების საწინდარი გახდეს.[88] თავის მხრივ, აზრის გავრცელება თანაბრადაა შესაძლებელი როგორც სიტყვიერად ან წერილობით, ასევე, ნებისმიერი სხვა საშუალებით,[89] მაგალითად, ჟესტებით, სიმბოლოებით და სხვ.[90] 27

აღსანიშნავია შეფასების საკითხის მიმართება აზრთან. სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, შეფასება განხილულ იქნეს, როგორც სუბიექტური დამოკიდებულება, რაც უფლების დარღვევად არ მიიჩნევა.[91] ამგვარი პოზი- 28

80 სუს გადაწყვეტილება, 24 აპრილი, 2003, №3კ-1240-02.
81 სუს განჩინება, 3 აპრილი, 2012, №ას-1477-1489-2011.
82 ეს პოზიცია გაზიარებულია შემდეგ საქმეში: სუს განჩინება, 30 აპრილი, 2015, №ას-1179-1124-2013.
83 სუს განჩინება, 20 თებერვალი, 2012, №ას-1278-1298-2011.
84 სუს განჩინება, 24 სექტემბერი, 2012, №ას-677-638-2011.
85 იხ. მაგალითად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება, 29 მაისი 2012, №2ბ/1297-12.
86 სუს განჩინება, 10 სექტემბერი, 2015, №ას-979-940-2014.
87 იხ. იგივე განჩინება.
88 სუს განჩინება, 7 მაისი, 2004, №ას-721-1360-03.
89 *კუბლაშვილი,* ძირითადი უფლებები, მესამე გამოცემა, 2014, გვ. 211.
90 იქვე.
91 სუს განჩინება, 7 მაისი, 2015, №ას-962-920-2013.

ცია შესაძლოა ცალკეულ შემთხვევაში საკამათო გახდეს.[92] უფრო ზუსტად, გადამწყვეტი როლი მიენიჭება იმას, რამდენად გაიყვანს სასამართლო შეფასებას აბსოლუტური პრივილეგიის ჭრილში. ასეთის არსებობის შემთხვევაში, გამოხატვის თავისუფლების ფარგლები უფრო ფართოდ იქნება წარმოჩენილი.

ე. ფაქტი

29 განსხვავებით აზრისგან, ფაქტი რეალური შედეგის გადმოცემას წარმოადგენს. იგი არ შეიძლება შეფასებით მსჯელობას შეიცავდეს.[93] ფაქტში იგულისხმება რეალური გარემოებები ან/და საგნები, რომელთა მტკიცებულებით დადასტურება შესაძლებელია.[94] საეჭვო ქმედება, რომელსაც არ გააჩნია შესაბამისი მტკიცებულება/ინფორმაციის წყარო, არ ჩაითვლება უტყუარ ფაქტად და შესაბამისად, ამ ინფორმაციის გასაჯაროება არ იქნება კანონიერი.[95] მაგალითად, თუ პირის მიმართ სისხლისსამართლებრივ დანაშაულზე მიუთითებენ, სასამართლო განაჩენიდან გამომდინარე, უნდა მიეთითოს ასეთ საქმეზე, რომელიც კანონიერ ძალაში იქნება შესული. წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნული ჩაითვლება არა ფაქტად, არამედ პირის არაქონებრივი უფლებების შელახვად.[96] კერძოდ, გასაჯაროვდება კონკრეტული მტკიცებულებებით დაუდასტურებული ინფორმაცია.

30 ფაქტების სასამართლოში წარდგენა სასარჩელო მოთხოვნის იურიდიულად გამყარების საფუძველია. ფაქტის საკითხი იურიდიული ნორმის რეალიზაციის საფუძვლად უნდა იქნეს მიჩნეული,[97] რომელიც თავის მხრივ, წარმოაჩენს იმ რეალობას, რომლის საფუძველზეც სასამართლომ უნდა მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება. მაგალითად, თუ პიროვნება (ისტორიკოსი თუ სხვ.) იკვლევს ისტორიულ ფაქტებს, ვალდებულია, კონკრეტული მოსაზრება, წარსულში მნიშვნელოვანი ფიგურის (რომელიც ისტორიაში დღემდე რჩება აქტუალურად) ან მისი მემკვიდრის თაობაზე შესაბამის მტკიცებულებებსა და ფაქტებს დააფუძნოს.[98]

31 აზრისა და ფაქტის ერთმანეთთან მჭიდრო კავშირის გამო, მათი გამიჯვნა საკმაოდ რთულია. ხშირ შემთხვევაში აზრი ეყრდნობა ფაქტს,[99] ხოლო,

92 იგივე განჩინება – მცირე ამონარიდი: „[...] თუ მოპასუხე იტყოდა, რომ მოსარჩელეები არიან „ცუდი მენეჯერები“. საკასაციო პალატის შეფასებით, მსგავსი გამონათქვამის გავრცელების შემთხვევაში, მას ვერ მივაკუთვნებდით ფაქტის კატეგორიას, ვინაიდან ასეთი გამონათქვამი პიროვნებისადმი (მენეჯერისადმი) სუბიექტურ დამოკიდებულებას (შეფასებას) ასახავს [...]“. ამ მსჯელობიდან გამომდინარე, პიროვნების შეფასება, რომელიც შეიძლება გარკვეულ უსიამოვნო და მისი პროფესიონალიზმისადმი შეუსაბამო სიტყვებს შეიცავდეს, არ გახდება უფლების დარღვევის საკითხი. სასამართლოს ამგვარმა დამოკიდებულებამ შესაძლოა პრობლემა შექმნას სამომავლოდ პრაქტიკის განვითარების თვალსაზრისით.

93 სუს განჩინება, 7 მაისი, 2015, №ას-962-920-2013.

94 სუს განჩინება, 3 აპრილი, 2012, №ას-1477-1489-2011.

95 იხ. სუს გადაწყვეტილება, 17 თებერვალი, 2005, №ას-843-1095-04.

96 იხ. იგივე გადაწყვეტილება.

97 იხ. *თორდია*, ფაქტისა და სამართლის საკითხის ურთიერთგამიჯვნა, მართლმსაჯულება და კანონი, №4(27)10, გვ. 15.

98 იხ. სუს განჩინება – აღწერილობითი ნაწილი, 26 ნოემბერი, 2003, №ას-203-890-03.

99 სუს განჩინება, 3 აპრილი, 2012, №ას-1477-1489-2011.

ფაქტი წარმოადგენს აზრის საფუძველს, რომლითაც ადასტურებს ან უარყოფს მას.[100] სწორედ ამიტომ, სადავო გამონათქვამის სწორი კვალიფიკაციისათვის უნდა შემოწმდეს მისი შინაარსი, გამოთქმის ფორმა და გამოთქმის კონტექსტი – რა ფაქტობრივი ელემენტებისაგან შედგება გამონათქვამი.[101] მაგალითად, საგაზეთო სტატიის შეფასებით, რამდენად დაირღვა პირადი არაქონებრივი უფლებები. ასეთი პუბლიკაცია მთლიანობაში უნდა გაანალიზდეს და არა საერთო აზრისგან განყენებული წინადადება.[102]

II. 18 I შეცილება სახელის ტარების უფლებაზე

32 განსახილველი ნორმა განსაზღვრავს არაქონებრივი უფლებების დაცვის ზოგად დანაწესს. აღნიშნულის ფარგლებში შესაბამისი მოთხოვნის დაყენება კონკრეტული შინაარსის მქონე დანაწესიდან უნდა განხორციელდეს, იქნება ეს ამ მუხლის შესაბამისი ნაწილი,[103] თუ სპეციალური კანონით მოწესრიგებული სამართლებრივი სიკეთე.[104] სპეციალურ კანონში არსებული დათქმის საფუძველზე სახელი და შესაბამის ნორმაში არსებული სამართლებრივი ინსტიტუტი (მაგალითად, ავტორობის უფლება) ერთმანეთთან არ უნდა გაიგივდეს.[105]

33 სახელის ტარების უფლებაზე შეცილებას მე-18 მუხლი ორ ძირითად ასპექტში განსაზღვრავს: ა) პირისთვის სახელის ტარების უფლების შეცილებისა და ბ) სხვის მიერ სახელის უნებართვოდ ტარებისა და სარგებლობისთვის მოქმედების შეწყვეტის ან მასზე უარის თქმის სამართლებრივ საფუძვლებს. თითოეულ შემთხვევაში პირს უნდა ელახებოდეს კანონით გათვალისწინებული უფლებები.[106] პირველ შემთხვევაში შესაძლებელია მოთხოვნის დაყენება სახელის აღიარების თაობაზე,[107] რომელიც, ასევე, შეიძლება შეეხებოდეს ფსევდონიმსაც.[108] მეორე ასპექტიდან გამომდინარე, მოთხოვნა სახელის ტარების გამოყენების შეწყვეტას ეხება.[109]

34 თავის მხრივ, მოთხოვნა შესაძლებელია **მოქმედების შეწყვეტის ან სახელზე უარის თქმის უფლების თაობაზე** იქნეს დაყენებული. თითოეულის არსებობისას, თუ მოსარჩელეს მიადგა ზიანი, იქნება ეს ქონებრივი თუ არაქონებრივი, მას ანაზღაურების მოთხოვნის უფლებამოსილება წარმოეშობა.[110]

100 თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება, 25 ივნისი 2013, №2ბ/696-13.
101 სუს განჩინება, 3 აპრილი, 2012, №ას-1477-1489-2011.
102 სუს გადაწყვეტილება, 25 ივნისი, 2002, №3კ-337-02.
103 იხ. სუს განჩინება, 29 მაისი, 2002, №3კ-641-02.
104 იხ. სუს განჩინება, 1 აგვისტო, 2011, №ას-152-146-2011.
105 იხ. *ბიჭია,* პირადი ცხოვრების დაცვა, 2012, გვ. 146.
106 *ნინიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 18, გვ. 59.
107 *ბიჭია,* პირადი ცხოვრების დაცვა, 2012, გვ. 144.
108 იხ. *ნინიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 18, გვ. 59.
109 *ბიჭია*, პირადი ცხოვრების დაცვა, 2012, გვ. 145.
110 *ნინიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 18, გვ. 60.

III. 18 II პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვა სასამართლოს გზით

35 18 II მუხლის მიზანი უპირველესად, გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში დარღვეული პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვაა.[111] ამ მიზნით შესაბამისი სასარჩელო მოთხოვნის დაყენების უფლებამოსილება გააჩნია პირს, რომლის შესახებაც გავრცელდა ინფორმაცია და არა იმ პირს, რომელმაც ივარაუდა, რომ ეს ცნობები მას შეეხებოდა და რომ ამ ცნობებში იგი იგულისხმებოდა (არ იგულისხმება მე-19 მუხლი).[112] არაქონებრივ უფლებათა დაცვის ფორმებია: არაქონებრივ უფლებათა აღიარება, ხელმყოფი მოქმედების შეწყვეტა ან მათზე უარის თქმა (უარყოფა)[113] და ასევე, არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება. თითოეულის არსებობისთვის საჭიროა ჩამოთვლილთაგან ერთი ან რამდენიმე სიკეთე მაინც შეილახოს.[114]

1. პირადი არაქონებრივი უფლებების დიფერენციაცია

ა. პატივი

36 პატივის ქვეშ იგულისხმება პიროვნების მორალური თუ სხვა თვისებების ობიექტური შეფასება საზოგადოების მიერ, რომელიც პიროვნების მიმართ საზოგადოების დამოკიდებულებას განსაზღვრავს[115] და იძლევა ინდივიდის სოციალურ დახასიათებას,[116] წარმოადგენს სოციალურ შეფასებას.[117] კერძოდ, პატივის განმარტებაში უნდა მოვიაზროთ პირის სოციალური პრესტიჟი, პატივისცემა, რენომე, იმიჯი,[118] საზოგადოების მხრიდან მის მიერ შექმნილი გარკვეული ფასეულობის აღიარება[119] და სხვ.

ბ. ღირსება

37 ღირსება თავად პიროვნების მიერ მორალური თუ სხვა თვისებების შეფასებას წარმოადგენს.[120] ესაა პირის შეხედულება, თუ როგორ აღიქმება

111 იხ. სუს განჩინება, 10 სექტემბერი, 2015, №ას-979-940-2014.
112 სუს განჩინება, 1 დეკემბერი, 2005, №ას-448-775-05.
113 სუს გადაწყვეტილება, 24 აპრილი, 2003, №3კ-1240-02.
114 სუს გადაწყვეტილება, 18 ივლისი, 2001, №3კ/376-01.
115 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 11 მარტის №2/1/241 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე აკაკი გოგიჩაიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.
116 *ბიჭია,* პატივის სამოქალაქო-სამართლებრივი ცნების მოცულობა (ქართულ-ევროპული მიდგომები), თანამედროვე სამართლის მიმოხილვა, №1(2), გვ. 14.
117 *ბარაბაძე,* სახელის, პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვის შესახებ აღძრულ საქმეთა განხილვისა და მორალური ზიანისათვის კომპენსაციის დაკისრების ზოგიერთი თავისებურებანი, მართლმსაჯულება და კანონი, №4(31)11, გვ. 114.
118 *ბიჭია,* ღირსების სამოქალაქო-სამართლებრივი დაცვის რამდენიმე ასპექტი (ქართული და ევროპული მიდგომები), გვ. 83.
119 *ბიჭია,* ღირსების სამოქალაქო-სამართლებრივი ცნების მოცულობა, სამართლის ჟურნალი, №2/2014, გვ. 15.
120 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 11 მარტის №2/1/241 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე აკაკი გოგიჩაიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

პიროვნება საზოგადოების თვალში[121] და ის, თუ როგორ შეაფასებს თავად პიროვნება საკუთარ საზოგადოებრივ მნიშვნელობას.[122] ღირსების უფლება არ გამომდინარეობს იქიდან, დააფასა თუ არა საზოგადოებამ პირი.[123] იგი წარმოადგენს ადამიანის განუყოფელ არაქონებრივ უფლებას, რომელიც აბსოლუტური ხასიათისაა.[124]

ღირსება ზოგადი პიროვნული უფლების ცენტრალური სფეროა.[125] იგი ადამიანს მაშინაც გააჩნია, თუ საზოგადოების მიერ ჯერ კიდევ არ არის დაფასებული და აღიარებული.[126] ღირსებას „შესწევს უნარი“, მოიცვას სხვა პიროვნული უფლებაც.[127] ასე, მაგალითად, ღირსების შელახვით შესაძლებელია პირს შეელახოს საქმიანი რეპუტაციაც და სასარჩელო მოთხოვნა სწორედ ამ ორი უფლების ერთდროულად დაცვის მიზნით დააყენოს. ამ თვალსაზრისით შესაძლებელია მოყვანილ იქნეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსაზრება, რომლითაც განიმარტა, რომ ღირსების ხელყოფა ფაქტობრივად ყოველთვის სხვა უფლების დარღვევას უკავშირდება.[128] აღნიშნული მოსაზრება შესაძლებელია მსჯელობის საგნად იქცეს, თუმცა ის, რომ ღირსების უფლება ასეთ ხარისხშია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ აყვანილი, მის სამართლებრივ მნიშვნელობასა და სტატუსზე უთითებს, ვინაიდან სწორედ ამ გადაწყვეტილებით მოხდა სამოქალაქო-სამართლებრივ დონეზე ღირსების უფლების განმარტების გამიჯვნა საკონსტიტუციო-სამართლებრივი მოწესრიგებისგან. **38**

გ. პირადი ცხოვრების საიდუმლოება და პირადი ხელშეუხებლობა

პიროვნების ხელშეუხებლობაში როგორც ფიზიკური, ისე ვერბალური ხელყოფისგან დაცვის სავალდებულობა იგულისხმება.[129] მასში მოიაზრება თავისუფლება, როგორც უფლება, რომელიც პირს კონსტიტუციით აქვს მინიჭებული. მისი შეზღუდვა შესაძლებელია სწორედ არაქონებრივი უფლების შელახვის საფუძველი გახდეს.[130] **39**

121 სუს განჩინება, 23 აპრილი, 2014, №ას-1332-1258-2012.

122 *ნინიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 18, გვ. 60.

123 *ბიჭია*, ღირსების საჯარო-სამართლებრივი ცნების მოცულობა, მართლმსაჯულება და კანონი, №4(43)14, გვ. 48-49.

124 ღირსების აბსოლუტურობის, ხელშეუხებლობის საკითხთან დაკავშირებით იხილეთ: პოშერი, ადამიანის ღირსება, როგორც ტაბუ, მიხეილ ბიჭიას თარგმანი, მართლმსაჯულება და კანონი, №2(41)14, გვ. 51-70.

125 *ბიჭია*, ღირსების სამოქალაქო-სამართლებრივი დაცვის რამდენიმე ასპექტი (ქართული და ევროპული მიდგომები), გვ. 85.

126 *ბიჭია*, ღირსების სამოქალაქო-სამართლებრივი ცნების მოცულობა, სამართლის ჟურნალი, №2/2014, გვ. 15.

127 *ბიჭია*, ღირსების სამოქალაქო-სამართლებრივი დაცვის რამდენიმე ასპექტი (ქართული და ევროპული მიდგომები), გვ. 84.

128 იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის №2/2/389 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ.

129 *ცერცვაძე, ძლიერიშვილი/სვანაძე/ცერცვაძე/ცერცვაძე/ჯანაშია/რობაქიძე*, სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2014, გვ. 667.

130 იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 24 ოქტომბრის №1/2/519 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს

40 პირადი ცხოვრების საიდუმლოება კერძო პირის პერსონალური მონაცემებთან მიმართებით შეიძლება იქნეს დანახული. იგი შეიძლება შეეხებოდეს როგორც პირის პირად, ისე საოჯახო საიდუმლო მონაცემებს.[131] მართალია, ინფორმაციის თავისუფლებისა და გამოხატვის თავისუფლების არსიდან გამომდინარე, საჯარო ინტერესის არსებობის შემთხვევაში, მონაცემების გასაჯაროება დასაშვებია, თუმცა, პრაქტიკული თვალსაზრისით, კერძო პირის პირადი მონაცემები ამგვარ ფარგლებში არ ექცევა.[132] აღნიშნული გამომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ პირადი ცხოვრების საიდუმლოება მოიცავს ისეთ ცხოვრებისეულ მომენტებს, რომელიც, მართალია, რეალურად მოხდა, მაგრამ ინდივიდს მისი გასაჯაროება არ სურდა.[133]

41 პირად სფეროში ჩარევას უნდა გააჩნდეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრული მიზანი. ცალკე განხილვის თემაა, თუ რამდენადაა ასეთი მიზანი გამართლებული მაშინ, როდესაც ფარული ჩანაწერი სასამართლოს მიერ შეიძლება მტკიცებულებად იქნეს მიღებული (სამოქალაქო-საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლის მე-3 ნაწილზეა ამ შემთხვევაში ყურადღება გასამახვილებელი[134]). საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ამგვარი ჩანაწერის მტკიცებულებად მიღების თაობაზე შესაბამისი მსჯელობაა განვითარებული, სადაც ზოგიერთ შემთხვევაში ასეთ ჩანაწერს იღებს მტკიცებულებად,[135/136] ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში – არა.[137/138]

მოქალაქე თამარ ჩუგოშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

131 *კობახიძე,* სამოქალაქო სამართალის ზოგადი ნაწილი, გვ. 262.

132 იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის №2/4/532,533 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

133 სუს განჩინება, 14 აპრილი, 2004, №ას-593-1241-03.

134 იხ. მაგალითად, *მესხიშვილი,* ფარული ჩანაწერი როგორც მტკიცებულება სამოქალაქო სასამართლო სამართალწარმოების ფარგლებში, ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა IV, 2015, გვ. 71-72. ავტორი თავის მოსაზრებას ასაბუთებს უცხოენოვან ლიტერატურაზე დაყრდნობით და განსაზღვრავს, რომ კანონის დარღვევით მოპოვებულია მტკიცებულება, თუ იგი საკონსტიტუციო პრინციპებს ეწინააღმდეგება (იხ. გვ. 72). აღნიშნულის კვალად ავტორს მოჰყავს ქართული სასამართლო პრაქტიკა (მითითებულია შემდეგ შენიშვნებში), რომელშიც სასამართლო უშუალოდ კონსტიტუციის ნორმას ემყარება და არა მხოლოდ მის პრინციპს. უფრო ზუსტად, კონსტიტუციის ნორმაზე დაფუძნებით იღებს გადაწყვეტილებას, რაც ამ ასპექტში შეიძლება საკამათო გახდეს.

135 იხ. მაგალითად, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის დადგენილება, 3 ოქტომბერი, 2014, №4/6241-14.

136 მართალია, არაერთგვაროვანი პრაქტიკა გარკვეულ შეკითხვებს ბადებს, თუმცა ბოლო დროის ტენდენციიდან გამომდინარე, სასამართლო ასეთ ჩანაწერს არ იღებს მხედველობაში და მტკიცებულებად არ ურთავს საქმეს. მოყვანილი მაგალითებიდან, საქალაქო სასამართლოს შემთხვევა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევების საკითხს ეხება, ხოლო სააპელაციო და საკასაციო ინსტანციების მაგალითები – კერძოსამართლებრივ ურთიერთობას. თითოეულ შემთხვევაში, ის, თუ რამდენადაა საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისი ნორმა პირდაპირ გამოყენებადი (რამდენად შეიძლება უშუალოდ საკონსტიტუციო ნორმით გადაწყდეს კერძოსამართლებრივი დავა), საკამათოა.

137 იხ. ასევე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება, 7 ოქტომბერი, 2014, №2ბ/6800-13.

138 იხ. ასევე სუს განჩინება, 4 მაისი, 2015, №ას-1155-1101-2014. დასახელებულმა განჩინებამ მიიღო პრეცედენტული ხასიათი, რაც ცალკეულ შემთხვევებში საკასაციო საჩივრის დაუშვებლობის დასაბუთებაში გამოიხატება. იხ. მაგალითად, სუს განჩინება, 17 ივლისი 2015, №ას-1337-1375-2014; ასევე, სუს განჩინება, 25 მაისი, 2016, №ას-290-276-2016. თითოეულ შემთხვევაში სასამართლო საკასაციო საჩივრის დაუშვებლობის საკითხის განხილვისას, სწორედ 2015 წლის 4 მაისის განჩინებაზე დაფუძნებით ამყარებს მსჯელობას.

პირადი ცხოვრების საიდუმლოების დარღვევისას მნიშვნელოვანია იმ ფაქტის დადგენა, რამდენად სურდა ან არ სურდა პირს, გავრცელებულიყო საჯაროდ მისი პირადი საიდუმლოების შემცველი მონაცემები,[139] ასევე, თუ რამდენმა პირმა შეიტყო საიდუმლოების ფაქტი და რამდენად შეიძლება გაიზარდოს ასეთ პირთა წრე.[140] 42

ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლებელია საზოგადოებრივი ინტერესი იმდენად მაღალი იყოს, რომ ამ უკანასკნელმა გადაწონოს კანონიერად დადგენილი კონფიდენციალურობის ვალდებულება.[141] ამის საპირისპიროდ, ასეთ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ზღვარი მართებულად იქნეს გავლებული, რათა ერთი ინტერესის დაცვის მიზნით სხვათა უფლება არ დაირღვეს/შეილახოს. 43

დ. საქმიანი რეპუტაცია

საქმიანი რეპუტაციის ქვეშ იგულისხმება საზოგადოების მიერ პირის პროფესიული თუ სხვა საქმიანი თვისებების შეფასება,[142] ხოლო მის შელახვას პირის აღნიშნული თვისებების დისკრედიტაცია წარმოადგენს.[143] საქმიანი რეპუტაციის ასეთი დეფინიცია კერძო პირის საქმიანობის საკითხს ეხება.[144] სახელმწიფო პოლიტიკურ, ასევე, თანამდებობის პირების, მათი საქმიანობის ფარგლებიდან გამომდინარე, უფლების განმარტების აღნიშნული საშუალება განსხვავებულად უნდა განიმარტოს.[145] 44

პირის საქმიანი რეპუტაცია არის საქმიანი ბრუნვის სფეროში კონკრეტული პირის საქმიანი თვისებების, უნარების შესახებ შექმნილი აზრი. ასეთი აზრი საზოგადოებაში, სოციუმში ყალიბდება,[146] რამაც შესაძლებელია განაპირობოს როგორც მისი სამომავლო წარმატება, ისე – წარუმატებლობა.[147] ამდენად, ფიზიკური პირის **საქმიან რეპუტაციაში შესაძლებელია მისი პატივი და ღირსება მოიაზრებოდეს**,[148] ვინაიდან საქმიანი რეპუტაცია გათანაბრებულია კონკრეტული პროფესიის მქონე პირის ავტორიტეტთან.[149] 45

ნებისმიერი განცხადება, რომელშიც პირის სახელია მითითებული, საქმიანი რეპუტაციის შელახვად ყოველთვის არ ჩაითვლება. მაგალითად, პირის სამსახურიდან გათავისუფლება (შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა)[150] ან 46

139 *კობახიძე,* სამოქალაქო სამართალის ზოგადი ნაწილი, გვ. 262.
140 *თუმანიშვილი,* შესავალი საქართველოს კერძო სამართალში, გვ. 70.
141 იხ. მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა: Fressoz and Roire v. France (29183/95, 1999); Radio Twist, A.S. v. Slovakia (622002/00, 2006); aseve, Guja v. Moldova (14277/04, 2009).
142 *ნინიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 18, გვ. 61.
143 იხ. სუს გადაწყვეტილება, 18 ივლისი, 2001, №3კ/376-01.
144 იხ. მაგალითად, სუს განჩინება, 22 მარტი, 2006, №ბს-1324-900(კ-05).
145 იგივე გადაწყვეტილება.
146 თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება, 25 ივნისი, 2013, №2ბ/696-13.
147 *ცერცვაძე, ძლიერიშვილი/სვანაძე/ცერცვაძე/ცერცვაძე/ჯანაშია/რობაქიძე,* სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2014, გვ. 669.
148 სუს განჩინება, 1 დეკემბერი, 2005, №ას-448-775-05.
149 იხ. სუს განჩინება, 15 ნოემბერი, 2013, №ას-378-359-2013.
150 სუს განჩინება, 1 მარტი, 2002, №3კ/685ა-01.

აღნიშნულის შესახებ ბრძანების გამოქვეყნება[151] და სხვ.

47 შრომითი ურთიერთობის საკითხთან დაკავშირებით საინტერესო მსჯელობაა განვითარებული სუს პრაქტიკაში, სადაც სასამართლო სამსახურებრივ მოხსენებით ბარათთან მიმართებით ერთმანეთისგან მიჯნავს ფაქტსა და ავტორის მოსაზრებას. კერძოდ, სასამართლოს მიაჩნია, რომ, თუ მოხსენებით ბარათში დასაქმებულის ქცევის სტანდარტთან მიმართებითაა შესაბამისი მითითებები (გამონათქვამები) გაწერილი და იგი ამავე ბარათის შემდგენლის აზრს წარმოადგენს, არ დადგება ცილისწამების შემთხვევა, თუ ბარათის შემდგენელს ასეთი მიზანი არ ამოძრავდებდა.[152] აქვე უნდა განიმარტოს, რომ მოყვანილი მსჯელობა ისე არ უნდა იქნეს გაგებული, თითქოს დამსაქმებელს (ამ შემთხვევაში – ბარათის შემდგენელს) აბსოლუტური თავისუფლება გააჩნია დოკუმენტის შედგენისას.

48 შესაძლებელია, რომ კონკრეტულ განცხადებაში პირი საეროდ არ იყოს უშუალოდ ნახსენები, მაგრამ განცხადების შინაარსი მის რეპუტაციას მაინც ლახავდეს.[153] ზოგიერთ შემთხვევაში პირიქითაა, მაგალითად, ავტორის სახელის უნებართვო ან არასწორი გამოყენება შეიძლება მისი პატივისა და რეპუტაციისთვის უფრო მეტი ზიანის მომტანი იყოს, ვიდრე სახელის მიუთითებლობა.[154]

49 სახელმწიფო პოლიტიკურ, ასევე, თანამდებობის პირებზე დიფამაციის არსებობისას საქმიანი რეპუტაციის გავრცელება ასეთ სუბიექტთა მიმართ უფრო მეტად შებოჭილი ხასიათისაა.[155] სინამდვილესთან შეუსაბამო ინფორმაცია დიფამაციაა,[156] თუმცა საჯარო პირის ე.წ. „თმენის ვალდებულების“ გათვალისწინებით, ასეთ დროს უფლება შესაძლებელია არ შეილახოს.

2. არაქონებრივი უფლებების შელახვა

50 პირადი არაქონებრივი უფლებების შელახვად ჩაითვლება ისეთი განცხადების ან ფაქტის გავრცელება, რომელიც მე-18 მუხლში ჩამოთვლილი არაქონებრივი უფლებებიდან ერთ-ერთის ან რამდენიმეს ერთად ხელმყოფია[157] და რომელიც კანონის ან მორალის ნორმების დარღვევის, უღირსი საქციელის ჩადენის შესახებ მტკიცებას შეიცავს.[158] მაგალითად, განცხადება, ქურდობის,[159] მკვლელობის დაბრალების თაობაზე[160] და სხვ. ასეთი განცხადების გაკეთებისას, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ფაქტები არსებობდეს. ამასთან, თუ მოსარჩელის მიერ დასაბუთდება, რომ მას ამგვარი ქმედება

151 სუს განჩინება, 18 დეკემბერი, 2002, №3კ-1364-02.
152 სუს განჩინება, 27 მაისი, 2015, №ას-1304-1242-2014.
153 სუს განჩინება, 1 დეკემბერი, 2005, №ას-448-775-05.
154 *საჯაია*, ავტორობისა და სახელის უფლება – ქართული საავტორო სამართალი და თანამედროვე ტენდენციები, სამართლის ჟურნალი, 1/2013, გვ. 232.
155 სუს გადაწყვეტილება, 18 ივლისი, 2001, №3კ/376-01.
156 *ალფაიძე*, მედია სამართალი, გვ. 239.
157 სუს განჩინება, 21 ივლისი, 2004, №ას-322-605-04.
158 *ნინიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 18, გვ. 61.
159 სუს გადაწყვეტილება, 25 ივნისი, 2002, №3კ-337-02.
160 სუს გადაწყვეტილება, 24 აპრილი, 2003, №3კ-1240-02.

არ ჩაუდენია, მას წარმოეშობა მოთხოვნის დაყენების უფლებამოსილება.[161]

უფლების შელახვა რეალურ სამართლებრივ საფუძველს უნდა ემყარებოდეს. აღნიშნულზე მიუთითებს „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის მიხედვითაც, ყოველგვარი ეჭვი, რაც უფლების დარღვევის ფაქტს არ ასაბუთებს, უფლების შეზღუდვის საწინააღმდეგოდ უნდა გადაწყდეს.[162] ასეთი დათქმა სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების უფლების დაცვისკენაა მიმართული. **51**

3. ტერმინი „კანონით დადგენილი წესით“ – სპეციალურ კანონზე მითითება

18 II მუხლში განსაზღვრულ დანაწესში მითითებულ სპეციალურ კანონში ცალკეულ კანონებთან ერთად, უპირატესად იგულისხმება „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც 2004 წელს იქნა მიღებული.[163] მე-18 მუხლიდან გამომდინარე, სპეციალური კანონის გამოყენება, განსაკუთრებით მორალურ ზიანთან მიმართებით, ხშირადაა გამოსადეგი, თუმცა არაქონებრივი უფლებების დაცვის ყველაზე გავრცელებული სპეციალური მოწესრიგების მქონე აქტი სწორედ დასახელებული კანონია, რომელშიც გაწერილია ცილისწამების, როგორც არაქონებრივი უფლების დარღვევის ერთ-ერთი შემთხვევის, სამართლებრივი ინსტიტუტი. **52**

4. ცილისწამება

ცილისწამება ისეთი სახის განცხადებაა, რომელიც **არსებითად მცდარი ფაქტის შემცველ და სახელის გამტეხ ინფორმაციას შეიცავს.** „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, განცხადება არის ინფორმაცია, რომელიც საჯაროდ გავრცელდა ან მესამე პირს გააცნო მისმა გამავრცელებელმა. ასეთი შეიძლება იყოს მაგალითად, ციფრულ ვიდეოდისკზე (DVD დისკზე) ჩაწერილი ინფორმაცია[164] და სხვ. ამასთან, ცილისწამებას საფუძვლად უნდა დაედოს ცრუ მონაცემები (მითითება არასწორ ფაქტზე,[165] ანუ სიმართლესთან შეუსაბამო ფაქტზე[166]) და ზიანი, რომელიც მიადგა პირს. **53**

სასამართლო ცილისწამების შემადგენლობის უმთავრეს ელემენტად სინამდვილესთან შეუსაბამო არსებითად მცდარი ინფორმაციის გავრცელებას,[167] ხოლო კომპენსაციის განსაზღვრისას ამომავალ კრიტერიუმად შემლახავი **54**

161 სუს გადაწყვეტილება, 25 ივნისი, 2002, №3კ-337-02.

162 იხ. სუს განჩინება, 3 აგვისტო, 2012, №ას-1739-1720-2011.

163 კრიტიკული მოსაზრება აღნიშნული კანონის შესახებ იხილეთ, მაგალითად, *კაკუშაძე,* ზიანის ანაზღაურება ცილისწამებისთვის ქართულ სასამართლო პრაქტიკაში, თანამედროვე სამართლის აქტუალური პრობლემები, 2016, გვ. 95.

164 სუს გადაწყვეტილება, 30 სექტემბერი, 2015, №ას-1052-1007-2014.

165 *ოსაკვე,* ანგლოამერიკულ სამართალში მორალური ზიანის ცნება, კლასიფიკაცია და ანაზღაურება, თ. შოთაძის თარგმანი, 70.

166 იხ. მაგალითად, სუს განჩინება, 23 აპრილი, 2014, №ას-1332-1258-2012.

167 იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, 1 აგვისტო, 2012, №2ბ/1476-12.

ცნობების გავრცელების არეალს მიიჩნევს.[168] ამდენად, თუ ცილისწამების ფაქტი არ დადასტურდება, იმავე სახის გავრცელებულ ინფორმაციაზე პირს არაქონებრივი ზიანის მიყენებისთვის კომპენსაცია არ დაეკისრება.[169] მაგალითად, თუ ფაქტები რეალურია და მხარეს არ გააჩნია მისი სიმართლესთან შეუსაბამობის მტკიცების საფუძველი, ასეთი განცხადება ცილისმწამებლური არ არის[170] და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ვალდებულებაც არ წარმოიშობა.

55 ცილისწამებაზე საუბრისას მნიშნელოვანია მტკიცების ტვირთის განსაზღვრა, რომელიც მოსარჩელეს ეკისრება. ისეთი მტკიცებულების წარდგენა, რომელიც ინტერნეტის საშუალებითაა გავრცელებული, უმეტეს შემთხვევაში დამატებით სირთულეებთანაა დაკავშირებული.[171] კერძოდ, მოსარჩელემ უნდა დაასაბუთოს, რომ მოპასუხეა სწორედ ის პირი, ვინც ინტერნეტში შესაბამისი ინფორმაცია განათავსა[172] და სხვ.

56 ცილისწამება, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე, ორ ასპექტში უნდა განვიხილოთ: ა) კერძო პირისა და ბ) საჯარო პირის ცილისწამება. სპეციალური კანონიდან გამომდინარე, **კერძო პირს წარმოადგენს** ნებისმიერი ფიზიკური თუ იურიდიული პირი, რომელიც არ არის საჯარო პირი ან ადმინისტრაციული ორგანო; ამავე კანონის თანახმად, **საჯარო პირია** სპეციალური კანონით[173] განსაზღვრული თანამდებობის პირი, ასევე, ყველა, ვისი აზრიც ან გადაწყვეტილებაც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. კანონში არსებული დანაწესიდან გამომდინარე, საჯარო პირად, ასევე, ის პირი მოაზრება, რომლის გარკვეული ქმედების შედეგად ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით მიმართული იქნება საზოგადოებრივი ყურადღება. მაგალითად, პოლიტიკოსი, საზოგადოებისთვის ცნობილი პირი,[174] ცნობილი მსახიობი,[175] ჟურნალისტი,[176] ნოტარიუსი[177] და სხვ. წინდაწინვე უნდა აღინიშნოს, რომ როგორც კერძო, ისე საჯარო პირის დიფერენციაცია პრაქტიკული მნიშვნელობის მქონეა, გავრცელებული განცხადების/ინფორმაციის ადრესატად განსაზღვრისთვის. კერძოდ, ცილისწამების გამო შესაბამისი პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სწორედ გავრცელებული განცხადების ადრესატს.[178]

168 *ალფაიძე,* მედია სამართალი, გვ. 220.
169 სუს განჩინება, 24 ივლისი, 2011, №ას-207-194-2011.
170 იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა – კასტელსი ესპანეთის წინააღმდეგ (Castells v. Spain, 11798/85, 1992).
171 იხ. მაგალითად, სუს განჩინება, 10 ოქტომბერი, 2013, №ას-1378-1300-2012.
172 იხ. სუს განჩინება, 10 ოქტომბერი, 2012, №ას-1378-1300-2012.
173 „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონი. 2017 წლის 1 იანვრიდან – „საჯარო დაწესებულებაშ ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონი“.
174 სუს განჩინება, 23 აპრილი, 2014, №ას-1332-1258-2012.
175 იგივე განჩინება.
176 სუს განჩინება, 25 თებერვალი, 2013, №ას-1149-1169-2011.
177 სუს განჩინება, 6 აპრილი, 2015, №ას-22-22-2014.
178 იხ. სუს განჩინება, 10 სექტემბერი, 2015, №ას-979-940-2014.

წინდაწინვე აღსანიშნავია ის, რომ კერძო და საჯარო პირის ცილისწამების საკითხის განხილვისას ამოსავალი წერტილია არა ის, თუ ვინაა განცხადების ავტორი (ცილისწამების განმახორციელებელი), არამედ ის, ვინცაა გავრცელებული განცხადების ადრესატი.[179] 57

ა. კერძო პირის ცილისწამება

პირმა, რომელსაც მიაჩნია, რომ მას ცილი დასწამეს, უნდა დაასაბუთოს გავრცელებული ფაქტების მცდარობა და ზიანის მიყენების ფაქტი.[180] მოსარჩელეს ეკისრება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებათა მტკიცების ტვირთი: 1. სადავო განცხადების გამავრცელებლის (მოპასუხის) დასაბუთება; 2. განცხადებით მოსარჩელის არაქონებრივი უფლებების შელახვის საკითხი; 3. ფაქტების სიმართლესთან შეუსაბამობა; 4. გამოხატვის თავისუფლების ფარგლების (თანაზომიერების პრინციპის) განსაზღვრა; 5. მიყენებული ზიანის დადასტურება. არ შეიძლება ჩამოთვლილთაგან რომელიმეს მტკიცების ტვირთის სახით მოპასუხის მიმართ შებრუნება.[181] მაგალითად, პირმა, რომელმაც მედია საშუალების მიერ გავრცელებულ სარედაქციო ჩანაწერთან დაკავშირებით, რომელზე დაყრდნობითაც პირი მიიჩნევს, რომ მის მიმართ განხორციელდა ცილისწამება, უნდა წარადგინოს საპასუხო მტკიცებულებები, რითაც დაადასტურებს გავრცელებული ინფორმაციის უზუსტობას[182] და სხვ. 58

ბ. საჯარო პირის ცილისწამება

აღნიშნულ სამართლებრივ ინსტიტუტს საფუძვლად უდევს შემდეგი წინაპირობები: ა) თუ მოსარჩელე დაასაბუთებს გასაჯაროებული ფაქტის სიმართლესთან შეუსაბამობას; ბ) წარმოადგენს ზიანის მიყენების თაობაზე შესაბამის მტკიცებულებას და გ) დაადასტურებს, რომ ფაქტის მცდარობა მოპასუხისთვის წინასწარ იყო ცნობილი ან მოპასუხემ აშკარა ან უხეში დაუდევრობით გაავრცელა იგი, რამაც მცდარი ფაქტის შემცველი განცხადების გავრცელება გამოიწვია. სამივე პირობის კუმულაციური არსებობა ცილისწამების დასაბუთებისთვის სავალდებულო მოთხოვნაა.[183] 59

საჯარო პირს, მისი საქმიანობიდან, მისი სტატუსიდან გამომდინარე, თმენის მეტი ვალდებულება აქვს. დასაშვები კრიტიკის ფარგლების მსგავსად, საჯარო პირების თმენის ვალდებულების ზღვარი გადის იქ, სადაც კრიტიკა დასაშვებ ფარგლებს არ სცდება.[184] საჯარო პირის ასეთად მოაზრების საკითხი ყოველი კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე უნდა განისაზღვროს. მართალია, ტელევიზია ან ინტერნეტი პირის ცნო- 60

179 სუს განჩინება, 30 აპრილი, 2015, №ას-1179-1124-2013.
180 იხ. სუს განჩინება 14 იანვარი, 2008, №ას-564-905-07.
181 სუს განჩინება, 3 აპრილი, 2012, №ას-1477-1489-2011.
182 სუს განჩინება, 19 მარტი 2007, №ას-385-789-06.
183 იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, 1 აგვისტო, 2012, №2ბ/1476-12. აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში დატოვა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ: იხილეთ, სუს განჩინება, 23 აპრილი, 2014, №ას-1332-1258-2012.
184 სუს გადაწყვეტილება, 25 ივნისი, 2002, №ას-335-319-2013.

ბადობას უფრო მეტად ზრდის, ვიდრე რომელიმე სხვა საშუალება, მაგრამ პიროვნების ქმედება საჯარო ან საზოგადოებრივ ინტერესს აუცილებლად უნდა იწვევდეს.[185]

გ. ცილისწამების გამომრიცხველი გარემოებები

61 ცილისწამების საქმეზე, თუნდაც პირის მიერ სიმართლესთან შეუსაბამო ინფორმაცია იყოს გავრცელებული, თუ დადასტურდება, რომ არსებობს ცილისწამებისთვის პასუხისმგებლობის გამომრიცხველი რომელიმე გარემოება მაინც, სასამართლომ სარჩელი არ უნდა დააკმაყოფილოს.[186] კერძოდ, სპეციალური კანონი ამომწურავად განსაზღვრავს ცილისწამების პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებებს. **თითოეული მათგანი ეხება როგორც კერძო, ისე საჯარო პირის ცილისწამებას.**

აა. პოლიტიკური დებატები, სახელმწიფოებრივი ვალდებულებების შესრულება

62 პოლიტიკური დებატებისას, ასევე, პარლამენტში კანონპროექტის ან სხვა საკითხის განხილვისას, კანონით განსაზღვრული სახელმწიფოებრივი ვალდებულებების შესრულებისას არ დგება პირის პასუხისმგებლობა ცილისმწამებლური განცხადების გაკეთებასთან დაკავშირებით. აღნიშნულს ე.წ. „თმენის ვალდებულების“ სამართლებრივი ინსტიტუტი განაპირობებს, ვინაიდან პოლიტიკური დისკუსიის/დებატების თავისუფლება დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბების უმთავრესი საფუძველია.[187] თავის მხრივ, ასეთი შეიძლება იყოს პოლემიკა, როდესაც საჯარო პირების (პოლიტიკოსების) საქმიანობა ფასდება,[188] და სხვ.

63 განსახილველი ნორმიდან გამომდინარე, პოლიტიკოსთან გათანაბრებულია პირი, რომელიც შეიძლება არ არის იმ მომენტში აქტიურად ჩაბმული საარჩევნო კამპანიაში, არ წარმოადგენს თანამდებობის პირს, თუმცა სამომავლოდ აპირებს არჩევნებში მონაწილეობას და თავისი აქტიურობით (განცხადებით, საკუთარი თავის გაცნობით და სხვ.) საზოგადოების ყურადღებას იქცევს.[189]

ბბ. სასამართლო სხდომაზე გაკეთებული განცხადება

64 აღნიშნულს წარმოადგენს ნებისმიერი განცხადება, რომელიც სასამართლო პროცესზე შეიძლება გაკეთდეს.[190] მაგალითად, ადვოკატის განცხადე-

185 *ჯორბენაძე/ბახტაძე/მაჭარაძე,* მედია სამართალი, გვ. 79.

186 იხ. სუს განჩინება, 24 ოქტომბერი, 2013, №ას-335-319-2013.

187 *ბარაბაძე,* სახელის, პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვის შესახებ აღძრულ საქმეთა განხილვისა და მორალური ზიანისათვის კომპენსაციის დაკისრების ზოგიერთი თავისებურებანი, მართლმსაჯულება და კანონი, №4(31)11, გვ. 117.

188 სუს განჩინება, 21 ივლისი, 2004, №ას-322-605-04.

189 სუს განჩინება, 24 სექტემბერი, 2012, №ას-677-638-2011.

190 სუს განჩინება, 26 თებერვალი, 2015, №ას-923-885-2014.

ბა პროცესის მიმდინარეობისას[191] ან მოსამზადებელ ეტაპზე;[192] აგრეთვე, სარჩელში აღნიშნული განცხადება, თუნდაც იგი ცილისმწამებლურ ნიშნებს შეიცავდეს;[193] ასევე, სასამართლო ან/და საგამოძიებო დოკუმენტები, რომლებიც კონკრეტულ ფაქტებს შეიცავს.[194] შეურაცხმყოფელი განცხადების გაკეთება წარმოადგენს კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის საფუძვლებს და მის ადრესატს არ წარმოეშობა ვალდებულება, ამტკიცოს სიმართლესთან შეუსაბამო ფაქტები.

გგ. უფლებამოსილი ორგანოს მოთხოვნით გაკეთებული განცხადება

მაგალითად, განცხადება ძებნის გამოცხადების შესახებ, ასევე, ნებისმიერი ისეთი სახის განცხადების საჯაროდ გამოქვეყნება, რომელიც უფლებამოსილი ორგანოს საქმიანობის ერთ-ერთ შემადგენელ ელემენტს წარმოადგენს. **65**

დდ. კვალიფიციური პრივილეგია ცილისწამებისთვის

იგი არსებობს მაშინ, როდესაც პირმა განახორციელა შემდეგი: ა) მან მიიღო გონივრული ზომები ფაქტის სისწორის გადასამოწმებლად, მაგრამ ვერ შეძლო შეცდომის თავიდან აცილება და ქმედითი ღონისძიებები გაატარა ცილისწამებით დაზიანებული პირის რეპუტაციის აღსადგენად; ბ) იგი მიზნად ისახავდა საზოგადოების კანონიერი ინტერესების დაცვას და დაცული სიკეთე აღემატება მიყენებულ ზიანს; გ) მან განცხადება გააკეთა მოსარჩელის თანხმობით; დ) მისი განცხადება წარმოადგენდა მოსარჩელის მიერ მის წინააღმდეგ გაკეთებულ განცხადებაზე თანაზომიერ პასუხს; ე) მისი განცხადება წარმოადგენდა სამართლიან და ზუსტ რეპორტაჟს იმ მოვლენასთან დაკავშირებით, რომლისკენაც მიმართულია საზოგადოებრივი ყურადღება. **ჩამოთვლილი პირობებით სასამართლოში საქმისწარმოებისას მხარემ უნდა დაადასტუროს შესაბამისი გარემოება და მტკიცებულების სახით წარადგინოს.**[195] ამასთან, ცალკე გამოსაყოფია ჟურნალისტის (ფაქტზე დაფუძნებული რეპორტაჟის გამავრცელებლის) საკითხი, რომელიც, თუ არ ასაჯაროებს ფაქტებს განსხვავებული სახით (ასახავს რეალობას), მისი ქმედება აბსოლუტური პრივილეგიით იქნება დაცული.[196] მაგალითად, უფლება არ ჩაითვლება დარღვეულად, თუ ჟურნალისტი პოლიტიკურ თანამდებობის პირთა საქმიანობას მკვეთრად აფასებს და თუ ეს შეფასება ჟურნალისტის ხელთ არსებულ ფაქტებს ეფუძნება (იქნება ეს ჟურნალისტური გამოძიება თუ სხვ.).[197] **66**

191 სუს განჩინება, 24 ოქტომბერი, 2013, №ას-335-319-2013.
192 სუს განჩინება, 3 დეკემბერი, 2009, №ას-268-591-09.
193 იგივე განჩინება.
194 სუს განჩინება, 29 მაისი, 2002, №3კ-621-02 განჩინება.
195 იხ. მაგალითად, სუს განჩინება, 3 აპრილი, 2012, №ას-1477-1489-2011.
196 სუს განჩინება – აღწერილობითი ნაწილი, 19 მარტი, 2007, №ას-385-780-06.
197 სუს გადაწყვეტილება, 4 ივლისი, 2002, №3კ-390-02.

ეე. ფაქტების უცოდინრობა

67 ფაქტების უცოდინრობა ცილისწამების გამომრიცხველ გარემოებად იმ შემთხვევაში ჩაითვლება, თუ პირი დაასაბუთებს, რომ მან არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა, რომ ცილისწამებას ავრცელებდა. აღნიშნულის მტკიცების ტვირთი ეკისრება მოპასუხეს, რომელიც ვალდებულია, დაასაბუთოს უცოდინრობის მიზეზი.[198]

დ. ბოდიშის მოხდის მოთხოვნის დაუშვებლობა

68 სპეციალური კანონი იმპერატიულად განსაზღვრავს, რომ ბოდიშის მოხდის მოთხოვნის დაყენება დაუშვებელია, შესაბამისად, იგი არ წარმოადგენს სარჩელის სამართლებრივ საფუძველს.[199/200] ასეთი მოთხოვნა დაუსაბუთებელია,[201] მიუხედავად სამართლებრივი მოთხოვნის დაყენებისა (თუნდაც იგი ცილისწამებას ეხებოდეს),[202] თუმცა საერთო სასამართლოებში არსებობს ისეთი პრაქტიკაც, როდესაც სასამართლომ (ქედის რაიონულმა სასამართლომ) პირს ბოდიშის მოხდა დაავალა,[203] რაც ეწინააღმდეგება სპეციალურ კანონს (მსჯელობა ეხება სპეციალური კანონის მიღების შემდეგ მიღებულ სასამართლო გადაწყვეტილებას).

ე. ცილისწამების თაობაზე სასამართლო დავის დაუშვებლობა

69 „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონი აკონკრეტებს იმ შემთხვევებს, როდესაც ცილისწამების თაობაზე სასამართლო დავა დაუშვებელია. ასეთ კატეგორიას განეკუთვნება: ა) განცხადება, რომელიც ეხება პირთა განუსაზღვრელ წრეს და სადაც პირის იდენტიფიკაცია შეუძლებელია; ბ) განცხადება, პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვის თაობაზე, რომელსაც სახელმწიფო (ადმინისტრაციული) ორგანო მოითხოვს.

IV. 18 III არაქონებრივი უფლებების შემლახველი ცნობების უარყოფა

ცნობა, რომელიც პირის არაქონებრივი უფლების შემლახველ ხასიათს ატარებს, უნდა იქნეს უარყოფილი იმავე საშუალებით, რომლითაც თავდაპირველად მისი გასაჯაროება მოხდა. გავრცელებული ცნობების უარყოფის

198 იხ. მაგალითად, სუს განჩინება, 3 აპრილი, 2012, №ას-1477-1489-2011.

199 იხ. მაგალითად, სუს განჩინება – აღწერილობითი ნაწილი, 15 ნოემბერი, 2013, №ას-378-359-2013.

200 იხილეთ ასევე, სუს განჩინება – აღწერილობითი ნაწილი, 15 ნოემბერი, 2012, №ას-1172-1103-2012

201 იხ. სუს განჩინება – აღწერილობითი ნაწილი, 7 მარტი, 2011, №ას-273-257-2011.

202 სუს განჩინება, 25 იანვარი, 2013, №ას-1336-1261-2012.

203 იხ. სუს განჩინება – აღწერილობითი ნაწილი, 22 დეკემბერი, 2008, №ას-992-1192-08.

წინაპირობაა ცნობების პატივისა და ღირსების შემლახველი ხასიათი.[204/205]

მე-18 III მუხლი უარყოფის ორ საშუალებას განსაზღვრავს: ა) მასობრივი ინფორმაციის საშუალებითა და ბ) ორგანიზაციის მიერ გაცემული საბუთით. თავის მხრივ, უარყოფა შესაძლებელია როგორც მონაცემების გავრცელებით, ისე გავრცელებული არასრული ცნობების სიმართლის შემცველი მონაცემების შევსებით.[206] ამგვარად მოხდება პირველად გავრცელებული ინფორმაციის გაქარწყლება.[207] 70

1. გავრცელებული ცნობების უარყოფა მასობრივი ინფორმაციის საშუალებით

მასობრივი ინფორმაციის საშუალებით უარყოფას წინ უნდა უძღოდეს ასეთი ფაქტის იმავე საშუალებაში გავრცელება, რაც, მაგალითად, ბეჭდურ მედიაში გავრცელებული ინფორმაცია შეიძლება იყოს. ასეთ შემთხვევაში, სასამართლოს მიერ მხედველობაში მიიღება მოსარჩელის მოთხოვნა, გაავრცელოს ინფორმაცია იმავე გამოცემაში (იგულისხმება ბეჭდური მედიის სახეობა და დასახელება), იმავე შრიფტით, იმავე გვერდზე და ა.შ.[208] 71

ამასთან, სასამართლომ უნდა განსაჯოს, რამდენადაა საჭირო ახალი ინფორმაციის გავრცელება. ასეთი ვალდებულება შეიძლება პირს დაეკისროს, მაგალითად, როდესაც მან დანაშაულის ჩამდენად მოიხსენია სხვა პირი, ყოველგვარი სასამართლო განაჩენის (მტკიცებულების) არსებობის გარეშე.[209] ასევე, თუ პირის მიმართ გამოქვეყნებულია ინფორმაცია, სადაც აღნიშნულია, რომ მან შვილს გვარი არ მისცა და თუ ამ ფაქტთან მიმართებით მამობის დადგენა სასამართლოს გზით არ გამხდარა სადავო (ხოლო მამობა რეგისტრაციით დასტურდება), მაშინ შეუძლია პირმა მოითხოვოს საპირისპირო მონაცემების გავრცელება.[210] სასამართლოს მიერ შესაძლებელია პირს მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილების შესახებ ცნობის გამოქვეყნების ვალდებულება დაეკისროს. აღნიშნული უნდა გამომდინარეობდეს კონკრეტული დავის არსიდან. იმ შემთხვევაში, თუ ჩაითვლება, რომ ამგვარი გამოქვეყნებით მოსარჩელის ინტერესი მიღწეული იქნება, სასამართლო მიიღებს განსახილველი ნორმისა და სპეციალურ კანონზე დაყრდნობით შესაბამის გადაწყვეტილებას.[211] 72

ინფორმაცია უნდა განვასხვაოთ შეფასებისგან. მაგალითად, ჟურნალისტის შეფასება სინამდვილესთან მტკიცების საკითხს სცდება და იგი არ 73

204 სუს გადაწყვეტილება, 24 აპრილი, 2003, №3კ-1240-02.

205 იხ. მაგალითად, სუს განჩინება (გარდა სამოტივაციო ნაწილისა, აღწერილობითი ნაწილი), 3 აგვისტო, 2012, №ას-208-201-2012.

206 *ჭანტურია*, პირადი არაქონებრივი უფლებები თანამედროვე სამოქალაქო სამართალში, სამართალი, 11-12/1997, გვ. 30.

207 *ნინიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 18, გვ. 63.

208 იქვე.

209 სუს გადაწყვეტილება, 17 თებერვალი, 2005, №ას-843-1095-04.

210 სუს განჩინება, 1 ივნისი, 2006, №ას-1284-1520-05.

211 ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, 4 ივლისი, 2014, №2/ბ-437-14.

ჩაითვლება უფლების დარღვევად.[212]

74 განსახილველი მუხლის კვალდაკვალ აღსანიშნავია მედიის საქმიანობის კანონისმიერი შეზღუდვა. თუ სასამართლო მხარეს ავალებს გავრცელებული ინფორმაციის იმავე საშუალებაში უარყოფას,[213] მედიის წარმომადგენელი ვალდებულია, აღასრულოს სასამართლო გადაწყვეტილება. აღნიშნული მისი საეთერო ბადის (ბეჭდურ მედიაში – გვერდის მოცულობის) თავისუფლების შეზღუდვას წარმოადგენს. მიუხედავად შეზღუდვის ამგვარი ხასიათისა, პირის უფლების დაცვისა და მედიის სტატუსის არსიდან გამომდინარე, ამგვარი ქმედება მედია საშუალების საქმიანობაში სახელმწიფოს მხრიდან უკანონო ჩარევად არ დაკვალიფიცირდება, ვინაიდან შეზღუდვა სამართლებრივ ფარგლებს არ სცდება.

2. ორგანიზაციის მიერ გაცემული საბუთი

75 ორგანიზაციის მიერ გაცემული ისეთი საბუთი, რომელიც არაქონებრივი უფლებების შემლახავ შინაარსს შეიცავს, სასამართლოს გადაწყვეტილებით შესაძლებელია ახლიდან იქნეს გაცემული, რომელიც უნდა შეიცვალოს და აღნიშნულის თაობაზე ინფორმაცია ყველა დაინტერესებულ პირს მიეწოდოს. დაინტერესებული პირი, აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, შეიძლება იყოს ნებისმიერი, ვისთვისაც თავდაპირველად ცნობილი გახდა უფლების შემლახავი ფაქტების შესახებ.[214] მოსარჩელის პრეროგატივას წარმოადგენს დაინტერესებულ პირთა წრის განსაზღვრა, რომელიც შეიძლება შეიცავდეს როგორც კონკრეტიკას (პირთა იდენტიფიკაციას), ასევე, ზოგად მონაცემებს მათ შესახებ (მაგალითად, მხოლოდ ორგანიზაციის, საზოგადოების გაერთიანების დასახელება და სხვ.).

V. 18 IV პირის უფლება, გაავრცელოს საპასუხო ცნობები

76 უარყოფის მოთხოვნისგან განსხვავებით, 18 IV მუხლი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში საპასუხო ინფორმაციის გავრცელების უფლებამოსილებას განსაზღვრავს. **აღნიშნული დათქმა პირს ინფორმაციის გავრცელების შესაძლებლობას სასამართლოს გარეშე ანიჭებს,** ხოლო, თავის მხრივ, მედია საშუალების მხრიდან **უარის მიღების შემთხვევაში პირს წარმოეშობა უფლება, სასამართლოს ასეთი ინფორმაციის გავრცელების იძულების მოთხოვნით მიმართოს.**[215] „საპასუხო ცნობებში“ მოიაზრება პირველად გავრცელებული ცნობების გამომრიცხველი, გამბათილებელი ან განსხვავებული შეხედულების მქონე ინფორმაცია, რომელიც ახსნა-განმარტების სახით, კონკრეტულ ფაქტებზე დაფუძნებით უნდა გამოქვეყნდეს.[216]

212 სუს განჩინება, 27 ივლისი 2005, №ას-627-903-04.
213 იხ. მაგალითად, სუს განჩინება, 26 ივლისი, 2005, №ას-370-704-05.
214 იხ. *ნინიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 18, გვ. 63.
215 იქვე, გვ. 63-64.
216 *ბიჭია*, პატივის სამოქალაქო-სამართლებრივი ცნების მოცულობა (ქართულ-ევროპული მიდგომები), თანამედროვე სამართლის მიმოხილვა, №1(2), გვ. 24.

77 ნიშანდობლივია, რომ ასეთი უფლება პირს მხოლოდ მაშინ წარმოეშობა, როდესაც შელახული იქნება მისი **პატივი** და **ღირსება.** კანონი არ განსაზღვრავს საქმიანი რეპუტაციის, ასევე, **პირადი ცხოვრების საიდუმლოებისა და პირადი ხელშეუხებლობის** შელახვის[217] შემთხვევაში პირის მიერ ანალოგიური ქმედების განხორციელების შესაძლებლობას.[218]

VI. 18 V არაქონებრივი უფლებების დაცვა გამოსახულების გამოქვეყნების შემთხვევაში

78 გამოსახულებაზე პირის უფლება მისი დამოუკიდებელი არაქონებრივი უფლებაა, რომელშიც ინდივიდის გამოსახულების ისეთი გამოქვეყნება იგულისხმება, რომლითაც მისი აღქმა, იდენტიფიცირებაა შესაძლებელი.[219] აღნიშნული პირადი ცხოვრების დაცვის ერთ-ერთი სამართლებრივი წინაპირობაა,[220] რომელმაც არაქონებრივი უფლების ხელყოფაც კი შეიძლება მოიცვას.[221]

1. გამოსახულების გამოქვეყნება თანხმობის გარეშე

79 საკუთარი გამოსახულების ფოტოსურათზე, კინოფილმში, ვიდეოფილმსა[222] და ა.შ. გასაჯაროების თაობაზე პირის თანხმობა, მისი გამოვლენილი ნებით უნდა დასტურდებოდეს. ასეთი შეიძლება იყოს ცალმხრივი განცხადება ან/და ხელშეკრულება (ხელშეკრულებაში დეტალურად უნდა აღინიშნოს გამოსახულების გავრცელების ფარგლები),[223] რომელიც სხვადასხვა ფორმით იქნება გავრცელებული.

80 აღბეჭდილმა პირმა თავად უნდა გადაწყვიტოს, რა სახით მოხდება გამოსახულების გამოქვეყნება.[224] თავის მხრივ, გამოქვეყნება, უპირველეს ყოვლისა, გამოსახულების გასაჯაროებას გულისხმობს. იგი შეიძლება გასაჯაროვდეს როგორც პირთა კონკრეტულ წრეში, ასევე, საჯარო სივრცეში. მაგალითად, სოციალური ქსელის დახურულ ჯგუფში გამოსახულება ვრცელდება პირთა ზუსტად განსაზღვრული წრისათვის.[225]

81 გამოსახულება უნდა განვასხვაოთ ფოტოგრაფიული ან სხვა სახით შექმნილი ნაწარმოებისგან. საავტორო უფლება, რომელიც ნაწარმოების გავრცელებას ეხება, მე-18 V მუხლის მსგავსად, პირის განუყოფელ უფლებას არ წარმოადგენს და ქონებრივ უფლებათა კატეგორიას განეკუთვნება,[226] ვინაიდან **გამოსახულებაზე უფლების გადაცემა პიროვნული უფლების**

217 აღნიშნულის თაობაზე იხ. *ნინიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 18, გვ. 64-65.
218 იხ. *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, გვ. 156.
219 იქვე, გვ. 65.
220 *ბიჭია,* პირადი ცხოვრების დაცვა, 2012, გვ. 142.
221 სუს გადაწყვეტილება, 8 ნოემბერი, 2013, №ას-370-352-2013.
222 იხ. მაგალითად, სუს განჩინება, 14 ივნისი, 2011, №ას-280-264-2011.
223 *ნინიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 18, გვ. 66.
224 *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, გვ. 143
225 იხ. სუს განჩინება, 9 იანვარი, 2014, №ას-1559-1462-2012.
226 იხ. სუს განჩინება, 8 ნოემბერი, 2013, №ას-370-352-2013.

ქონებრივი სახით დატვირთვას არ გულისხმობს. ამით, უპირველეს ყოვლისა, არაქონებრივი უფლებების დაცვა ხორციელდება.

2. მოთხოვნის დაუშვებლობის ფარგლები

82 განსახილველი ნორმა განსაზღვრავს იმ შემთხვევებს, როდესაც ამავე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნა სამართლებრივ საფუძველსაა მოკლებული. უპირველესად, ასეთ საფუძვლად მიჩნეულია **საზოგადოებრივი აღიარება,** რომლის მონაწილეობითაც არსებული ინფორმაცია საზოგადოების ინტერესის ნაწილია.[227] თავის მხრივ, ინტერესი ინფორმაციული ღირებულებიდან გამომდინარეობს.[228] აღნიშნულში მოიაზრება შესაბამის თანამდებობასთან დაკავშირებით გამოსახულების გავრცელება. ასეთ თანამდებობაში, უპირველეს ყოვლისა, პოლიტიკური თანამდებობა იგულისხმება, თუმცა ე.წ. „თმენის ვალდებულების“ პრინციპიდან გამომდინარე, ასეთად შესაძლებელია სპეციალურ კანონში განმარტებული საჯარო პირიც იქნეს მოაზრებული.

83 ცალკეა გამოყოფილი **მართლმსაჯულების ან პოლიციის მოთხოვნებთან** დაკავშირებით გამოსახულების გამოქვეყნება. იგი სამართლებრივი ნორმის დაცვის მიზნისკენაა მიმართული, რადგან სახელმწიფო ინტერესებმა შესაძლებელია კერძო პირის ინტერესები გადაწონოს. მაგალითად, დაკარგული პირის გამოსახულების გამოქვეყნება[229] და სხვ.

84 ჩამოთვლილი შემთხვევებიდან აღსანიშნავია, ასევე, **სამეცნიერო, სასწავლო ან კულტურულ მიზნებთან დაკავშირებული გამოსახულების გამოქვეყნება.** თითოეულის შემთხვევაში სავალდებულოა, რომ მიზანი არ აღემატებოდეს პირის ინტერესს და არ არღვევდეს მის უფლებას. ამასთან, ნებისმიერ შემთხვევაში, თუ გადაღება **საზოგადოებრივ ვითარებაში** მოხდა, ამით არ შეილახება არაქონებრივი უფლება. აღნიშნულის მიზეზია ის, რომ ასეთის არსებობისას პირის თანხმობა იგულისხმება.[230] კერძოდ, საზოგადოებრივ ვითარებაში მოიაზრება წვეულება, თავშეყრის ადგილი და სხვ. შემთხვევის მართებულად კვალიფიკაციისთვის საჭიროა, მოვლენა იწვევდეს საზოგადოების ლეგალურ ინტერესს,[231] რომლის სრულყოფის მიზნითაც, კონკრეტული პირის გამოჩენა ამავე კონტექსტში იქნება შესაძლებელი.

85 გამოსახულების გამოყენება შესაძლებელია სახელშეკრულებო-სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტიც გახდეს. სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე, მე-18 მუხლი ითვალისწინებს შემთხვევას, როდესაც პირს, **საზღაურის** მიღების შემთხვევაში ასეთი უფლების დაცვის შესაძლებლობა არ გააჩნია. საზღაური წარმოადგენს პირის თანხმობას, რომლის ფარგლებიც რელატიურ-სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველზე, ხელშეკრულების შინაარსში გაწერილი დათქმიდან გამომდინარეობს.

227 *ნინიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 18, გვ. 68.
228 *კერესელიძე*, უზოგადესი ცნებები, გვ. 144.
229 იქვე, გვ. 145.
230 იხ. *Kereselidze*, AT des ZGB, gv. 126.
231 *ნინიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 18, გვ. 69.

დასახელებული წესების დარღვევისას შესაძლებელია, პირმა მოითხოვოს როგორც ქონებრივი, ისე არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება,[232] რომელიც 18 VI, 413 I, 992-ე მუხლებზე იქნება დამყარებული.[233] ხოლო, თუ პირი ჩათვლის, რომ სპეციალური კანონის დარღვევის საფუძველი არსებობს, მას, ამ კანონიდან გამომდინარე, შეუძლია შესაბამისი მოთხოვნის დაყენება. 86

VII. 18 VI არაქონებრივი უფლებების დაცვა და ზიანის ანაზღაურება

კოდექსი არაქონებრივი უფლებების დაცვის მექანიზმს ითვალისწინებს და ამასთანავე, ზიანის ანაზღაურების უფლებამოსილებასაც განსაზღვრავს. **ზიანის ანაზღაურება, განსახილველი მუხლიდან გამომდინარე, მხოლოდ მაშინაა დასაშვები, თუ მისი გამოხატულება ობიექტურად ფასდება, არა მხოლოდ დაზარალებულის გადასახედიდან, არამედ ინდივიდუალური შეფასების გზითაც.**[234] აღნიშნული გამომდინარეობს, მაგალითად, ღირსების არსიდან, რომელიც ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს იგი ყველა ადამიანისთვის, მისი შეხედულებიდან გამომდინარე, სუბიექტურ სიკეთეს წარმოადგენს.[235] არაქონებრივი ზიანის არსი ვლინდება მის ობიექტურ გამოხატულებაში, რომელიც, გარდა ასეთი შედეგის არსებობისა, კანონით გათვალისწინებულ ფარგლებში უნდა იქნეს მოთხოვნილი.[236] 87

1. არაქონებრივი უფლებების დაცვა ხელმყოფის ბრალის მიუხედავად

არაქონებრივი უფლებების დაცვის ფორმები რამდენიმე ასპექტში შეიძლება განვიხილოთ: მათი აღიარება, ხელმყოფი მოქმედების შეწყვეტა ან გავრცელებული ცნობების/ინფორმაციის უარყოფა.[237] განსხვავებით მორალური ზიანის ანაზღაურებისგან, ასეთ შემთხვევაში ხელმყოფის ბრალეულობა არ არის უპირატესი მნიშვნელობის. 88

2. არაქონებრივ უფლებათა ხელყოფით ქონებრივი ზიანის მოთხოვნის უფლებამოსილება – კავშირი 993-ე მუხლთან

993-ე მუხლი განსხვავდება არაქონებრივი უფლებების ხელყოფის საერთო მოწესრიგებისგან, რომლის საფუძველზეც საჭიროა არსებობდეს ქონებრივი ზიანი.[238] 89

არაქონებრივი უფლებების შელახვის შემთხვევაში განმცხადებლის მიზანი, ზიანის ანაზღაურების საკითხთან მიმართებით, პირის საზოგადოების 90

232 იხ. სუს განჩინება, 8 ნოემბერი, 2013, №ას-370-352-2013.

233 *ბიჭია,* პირადი ცხოვრების დაცვა, 2012, გვ. 142.

234 *ჩიკვაშვილი,* პასუხისმგებლობა მორალური ზიანისთვის, გვ. 148.

235 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის №2/4/532,533 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

236 *ზოიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი III, მუხ. 413, გვ. 471.

237 *ნინიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 18, გვ. 70.

238 *სტურუა,* ქონებრივი ზიანის მომტანი ცნობების გახმაურება, სამართლის ჟურნალი, 1/2012, გვ. 148.

თვალში დამცირებაა.[239] გამოხატვის (სიტყვის, ინფორმაციის) თავისუფლების პრინციპებიდან გამომდინარე, ასეთი ანაზღაურების მიღების უფლებამოსილება შეიძლება შეიზღუდოს, თუ არსებობს ე.წ. კანონიერი საზოგადოებრივი ინტერესი. ასეთი შეიძლება იყოს პოლიტიკური ფიგურის აქტივობა და სხვ. თავის მხრივ, ამგვარი დათქმით 993-ე მუხლი შეესაბამება, ერთი მხრივ, საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ ძირითად უფლებათა სამართლებრივ ფარგლებს და, მეორე მხრივ, სპეციალურ კანონში არსებულ წესს.

3. ზიანის ანაზღაურება ხელმყოფის მიერ მიღებული მოგების სახით

91 მოგების სახით ზიანის ანაზღაურებაში იგულისხმება ქონებრივი ზიანის ანაზღაურება, რომელიც შესაძლებელია მოთხოვნილ იქნეს როგორც არაქონებრივ ზიანთან ერთად, ისე, მისგან დამოუკიდებლადაც. ქონებრივი ზიანის არსებობისთვის მნიშვნელოვანია რამდენიმე კრიტერიუმი. **პირველი კრიტერიუმია** ის ქონებრივი დანაკლისი, რაც პირმა მისი პიროვნული უფლებების ხელყოფით განიცადა და, მოგება, რომელიც ხელმყოფმა პირადი არაქონებრივი უფლების ხელყოფის შედეგად მიიღო.[240] ასეთი შეიძლება იყოს: პროფესიული საქმიანობის შეზღუდვა, კლიენტურის, პაციენტების დაკარგვა, პუბლიკაციის ტირაჟის გაზრდა, სხვადასხვა სახის ქონებრივი სარგებელი და სხვ.[241] **მეორე კრიტერიუმი** მართლსაწინააღმდეგო მოქმედებაა, რომელიც შესაძლებელია განხორციელდეს: ა) ქონებრივი ზიანის მომტანი ფაქტების გავრცელებით; ბ) ზიანის მომტანი ფაქტების გახმაურებით; გ) თანხმობის გარეშე პირის გამოსახულების გავრცელებით (იხ. 993).[242] **მესამე კრიტერიუმად** კი უნდა განისაზღვროს მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ ქონებრივ ზიანს შორის.[243] იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული ქმედების მიუხედავად პირს არ მიადგა ზიანი, ასეთი მოთხოვნის დაყენების შემთხვევაში, მას ანაზღაურების მიღების სამართლებრივი საფუძველი არ წარმოეშობა. **მეოთხე კრიტერიუმს** ხელმყოფის ბრალეულობა წარმოადგენს.[244] ბრალეულობის დამტკიცების გარეშე მოთხოვნის დაყენებას სამართლებრივი საფუძველი არ წარმოეშობა.

92 მოგებაში არ იგულისხმება მხოლოდ წმინდა ეკონომიკური ხასიათის მოგება.[245] აქ მხედველობაშია მისაღები ნებისმიერი სარგებელი, რომელიც ხელმყოფმა ასეთი ქმედების შემდეგ მიიღო. მაგალითად, გაავრცელა ინფორმაცია, რომელმაც მიიღო სასაქონლო ხასიათი,[246] გაზარდა ტირაჟი,[247]

239 სტურუა, დასახელებული ნაშრომი.
240 *ნინიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 18, გვ. გვ. 70.
241 იქვე, გვ. 71.
242 იქვე.
243 იქვე, გვ. 72.
244 იქვე.
245 იქვე, გვ. 77.
246 იხ. *კობახიძე*, სამოქალაქო სამართალის ზოგადი ნაწილი, გვ. 261.
247 *ნინიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 18, გვ. 78.

ასევე, განათავსა არასათანადო რეკლამა,[248] რომელიც, თავისი არსიდან გამომდინარე, ყველა იმ რეკლამას აერთიანებს, რომლის ეთერში გაშვებაც კანონმდებლობის დარღვევას წარმოადგენს,[249] ხოლო, ხელმყოფი ასეთი რეკლამის განთავსებით გარკვეულ თანხას (მოგებას) მიიღებს.[250]

4. არაქონებრივი (მორალური) ზიანის არსი

93 არაქონებრივი (მორალური) ზიანი ნიშნავს ადამიანის ფსიქიკაში ნეგატიური ცვლილებების გამოწვევას,[251] რომელიც სიმძიმის მიხედვით შეიძლება იყოს სულიერი (ზნეობრივი) ტკივილი (ტანჯვა)[252] და სხვ. მაგალითად, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, ერთი მხრივ, შეიძლება პირის ღირსების დაცვის წინაპირობას წარმოადგენდეს,[253] ხოლო, მეორე მხრივ, შესაძლებელია პირს აღნიშნულის საფუძველზე არაქონებრივი ზიანი მიადგეს. მიუხედავად ქონებრივი ზიანის არსებობისა, არაქონებრივი ზიანი, თავისი არსით, უმეტეს შემთხვევაში მას აღემატება.[254] არაქონებრივი ზიანი მეორად მოთხოვნას წარმოადგენს, რომლის დადგომისთვისას ჯერ სხვა უფლებათა დარღვევა უნდა არსებობდეს.[255]

ა. ბრალი

94 სამოქალაქო სამართალში ბრალი პირის მიერ კონკრეტული ქმედებისა და მისი შედეგებისადმი დამოკიდებულებას გულისხმობს.[256] ბრალის ცნება ქართულ ცივილისტურ დოქტრინაში არ არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული, თუმცა მეცნიერებაში გამოთქმულია მოსაზრება, რომლის საფუძველზეც განხორციელებულია ბრალის განსაზღვრება.[257]

95 ბრალი წარმოადგენს სამართალდარღვევის შემადგენლობის მნიშვნელოვან სუბიექტურ ელემენტს,[258] რომლის ცნების დადგენისთვის ცალკეულ შემთხვევებში სამოქალაქო ბრუნვისათვის ჩვეული ყურადღებიანობის მოთხოვნის დაცვაც კი შეიძლება გახდეს ამოსავალი.[259] აღნიშნულს უნდა ამყარებდეს კონკრეტული მტკიცებულებანი.[260] იმ შემთხვევაში, თუ ბრალის დადგე-

248 იხ. სუს განჩინება, 26 დეკემბერი, 2001, №3/კ924-01.
249 *ჯორბენაძე*, რეკლამის განთავსება ტელემაუწყებელზე, გვ. 103, იხ. იქვე ასევე წინა შენიშვნაში აღნიშნული სასამართლო გადაწყვეტილების კრიტიკა, გვ. 204.
250 იხ. *ნინიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 18, გვ. 78.
251 *ალფაიძე*, მედია სამართალი, გვ. 216.
252 *ნინიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 18, გვ. 73.
253 სუს განჩინება, 10 ივნისი, 2009, №1/2/458.
254 *თუმანიშვილი*, შესავალი საქართველოს კერძო სამართალში, გვ. 67.
255 სუს განჩინება, 11 მაისი, 2015, №ას-1084-1034-2014.
256 *ცერცვაძე*, ძლიერიშვილი/სვანაძე/ცერცვაძე გ./ცერცვაძე ლ./ჯანაშია/რობაქიძე, სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2014, გვ. 678.
257 იხ. *ქოჩაშვილი*, ბრალი, როგორც სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა (შედარებით-სამართლებრივი კვლევა), სამართლის ჟურნალი, 1/2009, გვ. 89.
258 *ზოიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, მუხ. 394, გვ. 370.
259 *კვანტალიანი*, პაციენტის უფლებები და ჯანმრთელობის დაცვის პერსონალის სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები, გვ. 188.
260 იხ. სუს განჩინება, 14 ნოემბერი, 2011, №ას-1169-1189-2011.

ნისთვის არ იქნება შესაბამისი ფაქტები (მტკიცებულებები) წარდგენილი, პირის ქმედება მართლსაწინააღმდეგოდ არ ჩაითვლება,[261] ვინაიდან ბრალი მართლწინააღმდეგობის არსებობას გულისხმობს.[262]

96 სამოქალაქო სამართალში განსაზღვრული ბრალი განსხვავდება სისხლის სამართალში მოწესრიგებული ბრალისგან, რომლის საფუძველზეც არ არსებობს, მაგალითად, განზრახვის კლასიფიკაცია,[263] თუმცა განზრახვისა და გაუფრთხილებლობის შემთხვევა ბრალის დადგენისთვის სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობაში გადამწყვეტ როლს თამაშობს,[264] ვინაიდან სასამართლო საკითხის გადაწყვეტისას, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ბრალის ხარისხს განსაზღვრავს.[265]

ბ. მართლწინააღმდეგობა

97 ბრალთან ერთად არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისათვის აუცილებელია არსებობდეს მართლწინააღმდეგობა. იგი თავის თავში გულისხმობს სამართლისადმი წინააღმდეგობას,[266] რომლის არსებობა აუცილებელია ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობისთვის.[267] კერძოდ, პირის ქმედება კანონს/მართლწესრიგს უნდა ეწინააღმდეგებოდეს, ხოლო ასეთი დარღვევისთვის კანონი არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებას უნდა ითვალისწინებდეს (413 და ცალკეული სამართლებრივი აქტით მოწესრიგებული შესაბამისი მუხლები). მხოლოდ სუბიექტის მოსაზრება, რომ კონკრეტული ქმედებით/უმოქმედობით, მას მიადგა არაქონებრივი ზიანი და ამით განხორციელებულია მართლსაწინააღმდეგო ქმედება/უმოქმედობა, არ არის მართებული. ასეთ შემთხვევაში, არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ნებისმიერ საკითხთან მიმართებით იქნებოდა შესაძლებელი და 413-ე მუხლის ფუნქცია თავის დანიშნულებას დაკარგავდა. მართლწინააღმდეგობა არ არის დამოკიდებული იმაზე, აცნობიერებდა თუ არა პირი (უფლების დამრღვევი) თავის ქმედებას (გარდა კანონით განსაზღვრული გამონაკლისი შემთხვევებისა),[268] არსებითად მნიშვნელობა აქვს დამდგარ შედეგს. მაგალითად, თუ არაქონებრივი ზიანი მიადგება პირს, მნიშვნელობა არ აქვს, სურდა თუ არა ზიანის მიმყენებელს ასეთი შედეგის დადგომა. თუ კანონის დარღვევა იქნება სახეზე, ამ უკანასკნელის პასუხისმგებლობა უნდა დადგეს შესაბამისი წესით.

261 იხ. სუს განჩინება, 6 იანვარი, 2011, №ას-987-928-2010.

262 *ზოიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი III, მუხ. 394, გვ. 371.

263 იხ. *ცერცვაძე, ძლიერიშვილი/სვანაძე/ცერცვაძე/ცერცვაძე/ჯანაშია/რობაქიძე,* სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2014, გვ. 678-679.

264 სუს განჩინება, 10 ივლისი, 2003, №3კ-569-02.

265 *გელაშვილი,* გაყინული ემბრიონის სამართლებრივი მდგომარეობა, სამართლის ჟურნალი, 1/2012, გვ.74.

266 *ქოჩაშვილი,* ბრალი, როგორც სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა (შედარებით-სამართლებრივი კვლევა), სამართლის ჟურნალი, 1/2009, გვ. 82.

267 *ცერცვაძე, ძლიერიშვილი/სვანაძე/ცერცვაძე/ცერცვაძე/ჯანაშია/რობაქიძე,* სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2014, გვ. 684.

268 *ქოჩაშვილი,* ბრალი, როგორც სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა (შედარებით-სამართლებრივი კვლევა), სამართლის ჟურნალი, 1/2009, გვ. 82.

გ. მიზეზობრივი კავშირი

მიზეზობრივი კავშირი სამართალდარღვევის ერთ-ერთ ელემენტს წარ- **98**
მოადგენს.[269] იგი ზიანის ანაზღაურების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის უნდა დადგინდეს.[270] თავის მხრივ, მიზეზობრივი კავშირის საფუძველზე დგინდება, თუ როგორია ქმედება, რომელიც ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს წარმოადგენს (412). ასეთის არარსებობის შემთხვევაში (ფაქტების არარსებობისას, როდესაც არ დასტურდება ქმედებასა და შესაბამის შედეგს შორის კავშირი), საკითხი მოპასუხის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს.[271]

დ. ზნეობრივი ტანჯვა (სულიერი ტკივილი)

ზნეობრივი ტანჯვა (სულიერი ტკივილი) გამოიხატება ფსიქიკური ჯან- **99**
მრთელობის დარღვევაში, როგორიც შეიძლება იყოს: შიშის, მწუხარების, ნეგატიური ემოციების, აკვიატებული მდგომარეობის, ეჭვისა და სხვა გამოხატულება.[272] ყოველი ადამიანის ზნეობრივი ტანჯვის სიღრმე ინდივიდუალურია,[273] შესაბამისად, მისი განსაზღვრა უშუალოდ დაზარალებულის სუბიექტურ შეხედულებას ემყარება, რაც ობიექტური ფორმით უნდა განისაზღვროს.[274] მაგალითად, გაზეთში ფოტოსურათის გამოქვეყნებისას არაა აუცილებელი, ყველა მკითხველმა იცნოს პირი. საკმარისია, უშუალოდ სუბიექტმა ნახოს საკუთარი სურათი, რომ მას შეიძლება მიადგეს სულიერი ტკივილი.[275]

5. არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება არაქონებრივი უფლებების დარღვევისთვის

არაქონებრივი უფლებების დარღვევისთვის ზიანის ანაზღაურება უშუ- **100**
ალოდ კანონიდან უნდა გამომდინარეობდეს, რაც, გარდა სამოქალაქო კოდექსისა, სპეციალური ნორმებითაც განისაზღვრება.[276] მაგალითად, „რეკლამის შესახებ“, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“, „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონებსა და სხვ. არაქონებრივი უფლებების დარღვევისთვის ზიანის ანაზღაურება შესაძლებელია, თუ დამტკიცდა, ის, რომ შელახულია პირის პიროვნული უფლებები. ასეთი ქმედება შეიძლება იყოს ცილისწამება და სხვ.

269 *ზოიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, მუხ. 378, გვ. 368.
270 *ცერცვაძე, ძლიერიშვილი/სვანაძე/ცერცვაძე/ცერცვაძე/ჯანაშია/რობაქიძე*, სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2014, გვ. 688.
271 იხ. სუს განჩინება – აღწერილობითი ნაწილი, 16 ივნისი, 2014, №ა-8-8-2014.
272 *კვანტალიანი*, პაციენტის უფლებები და ჯანმრთელობის დაცვის პერსონალის სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები, გვ. 153.
273 იქვე, გვ. 159.
274 *ზოიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, მუხ. 413, გვ. 469.
275 სუს განჩინება – აღწერილობითი ნაწილი, 18 აპრილი, 2003, №3კ-1483-02.
276 იხ. *ზოიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, მუხ. 413, გვ. 471.

ა. პასუხისმგებლობის სუბიექტები არაქონებრივი ზიანის მიყენების შემთხვევაში

101 არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების საკითხთან მიმართებით მნიშვნელოვანია მოსარჩელემ სწორად განსაზღვროს პასუხისმგებლობის სუბიექტი.[277] იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს თანამდებობის პირია, მაშინ ზიანის ანაზღაურების თაობაზე საქმე ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ/პალატამ უნდა განიხილოს. კერძოდ, მოსარჩელის მიერ უნდა მოხდეს დიფერენცირება იმის თაობაზე, მოთხოვნას აყენებს კონკრეტული პირის, როგორც თანამდებობის პირის თუ რიგითი მოქალაქის მიმართ.[278]

102 **ჯანმრთელობის დაზიანების შემთხვევაში პასუხისმგებელ სუბიექტად გვევლინება სამედიცინო დაწესებულება (კლინიკა).**[279] აღნიშნული ხდება იმ შემთხვევაში, თუ ჯანმრთელობის დაზიანება **სამედიცინო დაწესებულებაში ექიმის მიერ მოხდა, ხოლო ეს უკანასკნელი, სამედიცინო დაწესებულების ვალდებულებათა შესრულების მიზნით საქმიანობდა** (396). კვალიფიკაციის ამგვარი ფორმა პრაქტიკაში დამკვიდრებული მაგალითებიდან გამომდინარეობს. კერძოდ, უმეტეს შემთხვევაში, კლინიკაში მკურნალობისას, ხელშეკრულების ერთი მხარე არის კლინიკის ხელმძღვანელობა, შესაბამისად, 997-ე მუხლის საფუძველზე პასუხისმგებლობა ეკისრება კლინიკას.[280]

103 ზიანის მიმყენებელს ასევე არ ეკისრება პასუხისმგებლობა, თუ იგი: ათი წლის ასაკს მიუღწეველია (994); წარმოადგენს ჭკუასუსტ ან სულით ავადმყოფ პირს (995); იმყოფება დროებით უგონო ან სულიერი მოშლილობის მდგომარეობაში (996, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა) და სხვ.

104 „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, **ჟურნალისტის მიერ ცილისწამების საკითხთან დაკავშირებით მოპასუხე მხარეს წარმოადგენს მედიის მესაკუთრე.**[281] აღნიშნული, ერთი მხრივ, გამომდინარეობს ჟურნალისტსა და მედია საშუალებას შორის არსებული შრომით-სამართლებრივი ურთიერთობიდან,[282] თუმცა, მეორე მხრივ, იგი გარკვეულწილად შეუსაბამოა ამავე მუხლის მე-5 პუნქტთან, რომელშიც არასათანადო მოპასუხის საკითხია განსაზღვრული.[283]

277 *სუხიტაშვილი*, სამოქალაქო პასუხისმგებლობის სუბიექტები, მართლმსაჯულება და კანონი, №2(29)11, გვ. 95

278 იხ. სუს განჩინება, 22 ოქტომბერი, 2009, №ას-711-1012-09.

279 იხ. სუს განჩინება, 13 აპრილი, 2005, №ას-33-406-05.

280 *კვანტალიანი*, პაციენტის უფლებები და ჯანმრთელობის დაცვის პერსონალის სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები, გვ. 185-186.

281 „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი არ ადგენს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების წესს. იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის №1/3/421,422 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

282 *ჯორბენაძე/ბახტაძე/მაჭარაძე*, მედია სამართალი, გვ. 27.

283 აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იხილეთ: *ალფაიძე*, მედია სამართალი, 223-224; ასევე, სუს განჩინება, 3 დეკემბერი 2009, №ას-440-754-09.

ბ. არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება, კავშირი 413 I მუხლთან

105 ზოგადად, არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება საკუთარი უფლების დაცვისთვის მიყენებული ფიზიკური და ზნეობრივი ტანჯვისთვის ფულად კომპენსაციას გულისხმობს,[284] თუმცა არაქონებრივი ზიანის შევსება თანხით პირდაპირი მნიშვნელობით არ უნდა იქნეს გაგებული, ვინაიდან მატერიალური სახით მისი გამოხატვა, დასაბუთება შეუძლებელია.[285] 413 I მუხლი განსაზღვრავს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების წესს, რომლის საფუძველზეც, ასეთი მოთხოვნის დაყენების უფლებამოსილება პირს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გააჩნია. მაგალითად, არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა მხოლოდ ვალდებულების დარღვევისთვის კანონით პირდაპირ გათვალისწინებული არაა, რაც ნიშნავს იმას, რომ მხოლოდ ამ ფაქტზე დაფუძნებით მოთხოვნის დაყენება უსაფუძვლოა.[286/287]

106 413 I მუხლიდან გამომდინარე, არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების საფუძვლები კანონით ზუსტადაა დადგენილი. აღნიშნული არ გულისხმობს, რომ ყველა შესაძლო გარემოება უნდა მიეთითოს კანონში. განსახილველ შემთხვევაში, უმთავრესია, პირის ბრალეულობა მეორე მხარის მიმართ წარმოჩნდეს და დადასტურდეს.[288] ასეთი ქმედებისთვის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების წინაპირობას კანონი უნდა ითვალისწინებდეს. კერძოდ, მორალური ზიანის ანაზღაურება დაუშვებელია ისეთი ქმედებისადმი, რომელიც კანონის საფუძველზეა განხორციელებული. მაგალითად, სამეზობლო სამართლიდან გამომდინარეობს სამეზობლო ზემოქმედებათა თმენის ვალდებულება (175), თუ ესთეტიკური ემისიის ან უმნიშვნელოდ ხელყოფის გათვალისწინებით, მეზობელი ყოველდღიურად საქმიანობს;[289] შრომითი ურ-

284 იხ. გალდავა, სამოქალაქო უფლებათა დაცვის ფორმები და საშუალებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, სამართლის ჟურნალი, 1/2009, გვ. 129.

285 იხ. სუს განჩინება, 16 მაისი, 2002, №3კ-352-02.

286 სუს განჩინება, 30 იანვარი, 2004, №ბს-190-361-კ-03.

287 ზემოთ დასახელებული მსჯელობა ეხება შემთხვევას, როდესაც ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება არ შეასრულა მხარემ ჯეროვნად. ასეთ დროს, რა თქმა უნდა, არაქონებრივი ზიანის მოთხოვნა მართებული არაა. მაგრამ, სასამართლო პრაქტიკა იცნობს შემთხვევას, როდესაც პირის მიერ შესაბამისი ვალდებულების ფარგლებში ნაკისრი ვალდებულება არ შესრულდა ჯეროვნად (გაუფრთხილებლობას ჰქონდა ადგილი) და ამით სხვა პირის ჯანმრთელობას მიადგა ვნება. შედეგად, სასამართლოს მიერ დაეკისრა პირს შესაბამისი არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება 413 II მუხლით. დასახელებული მაგალითი კი, თავის მხრივ, ემყარება ისეთ შემთხვევას, როდესაც ჯანმრთელობისთვის ვნების მიყენება უშუალო კავშირში იყო ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობასთან. ამან კი ძლიერი სულიერი ტანჯვა გამოიწვია. ამდენად, ვალდებულების შეუსრულებლობა პირდაპირ მიზეზშედეგობრივ კავშირში მოვიდა ჯანმრთელობისთვის ვნების მიყენებასთან. ამ საკითხის თაობაზე იხილეთ: სუს განჩინება, 10 სექტემბერი, 2015, №ას-979-940-2014.

288 განსხვავებული პოზიცია დააფიქსირა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ თავის განჩინებაში №ას-668-931-04 – 2004 წლის 30 დეკემბერი, როდესაც აღნიშნა, რომ, ვინაიდან ქონების ხანძრით დაზიანების შემთხვევას კანონი პირდაპირ არ ითვალისწინებს, მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა აღნიშნულ ფაქტზე დაფუძნებით არამართებულია. სასამართლოს მსჯელობაზე დაყრდნობით, ყველა შემთხვევას უნდა ითვალისწინებდეს კანონი და არა მის ზოგად დანაწესს.

289 სუს განჩინება, 30 აპრილი, 2004, №ას-860-1492-03.

თიერთობის დაწყების ან გაგრძელებისთვის ატესტაციის ჩაუბარებლობის გამო შრომითი ურთიერთობის არდაწყება პირისთვის არაქონებრივი ზიანის მიყენების ფაქტს არ წარმოადგენს;[290] ასევე, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონიდან წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობანი;[291] აგრეთვე, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ წყვილებს შორის ინტიმური კავშირის დაუმყარებლობა (დაავადების ან სხვა მიზეზის გამო).[292] აღნიშნული ეფუძნება პირის ბრალეულობის სამართლებრივ ინსტიტუტს, რომელიც მოყვანილ მაგალითებში არ არსებობს.

107 არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების საკითხის განხილვისას მხედველობაში მიიღება **ბრალის ხარისხი, მხარეთა ქონებრივი მდგომარეობა, სოციალური ფონი და ის გარემოებანი, რომლებიც მნიშვნელოვანია საკითხის სწორად გადაჭრისა და კომპენსაციის გონივრული ფარგლების დადგენისთვის.**[293] მართალია, მოპასუხის ქონებრივი მდგომარეობა მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს, თუმცა მხოლოდ მისი გათვალისწინება საკითხის გადაწყვეტისთვის საკმარისი არ არის.[294]

გ. არაქონებრივი ზიანის კომპენსაცია გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით

108 გონივრული და სამართლიანი კომპენსაციის ოდენობის დაკისრება ემსახურება მიზანს, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს დაზარალებულის დაკმაყოფილება, ზიანის მიმყენებელზე ზემოქმედების მოხდენა, სამომავლოდ პიროვნული უფლებების ხელყოფის თავიდან აცილება.[295] იგი მიმართულია უარყოფითი ემოციების გასაქარწყლებლად[296] და არ უნდა იყოს შეუსაბამოდ დიდი.[297]

109 განსახილველი საკითხი ორ წინაპირობას ერთდროულად ითვალისწინებს. კერძოდ, კანონის საფუძველზე იქნება განხორციელებული კომპენსაციის დაკისრება, თუ გონივრულთან ერთად, იგი სამართლიანიც იქნება. მხოლოდ ერთ-ერთის არსებობის შემთხვევაში სასამართლოს გადაწყვეტილება იურიდიულ საფუძველს მოკლებულად ჩაითვლება. **არაქონებრივი ზიანისთვის კომპენსაციის დაკისრება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობდა რაიმე ფაქტი, რაც პირს ასეთი ზიანის მიყენებას უქადდა.**[298]

110 კოდექსი არ განმარტავს მორალური ზიანის (კომპენსაციის) გამოთვლის წესს.[299] **არაქონებრივ ზიანს არ მოეძებნება ფულადი შესაბამისობა (ეკვივ-**

290 სუს განჩინება, 15 ოქტომბერი, 2012, №ას-1038-973-2012.
291 სუს განჩინება, 27 სექტემბერი, 2002, №3კ-316-02.
292 სუს განჩინება, 10 მაისი, 2005, №ას-74-4008-04.
293 სუს განჩინება, 28 იანვარი, 2004, №ას-84-791-03.
294 სუს განჩინება, 18 აპრილი, 2003, №3კ-1483-02.
295 სუს განჩინება – აღწერილობითი ნაწილი, 3 აპრილი, 2012, №ას-1477-1489-2011.
296 სუს განჩინება – აღწერილობითი ნაწილი, 30 ივნისი, 2005, №ას-1433-1531-04.
297 სუს დიდი პალატის განჩინება, 9 თებერვალი, 2004, №107-კოლ.
298 სუს განჩინება, 19 მარტი, 2007, №ას-385-780-06.
299 *გელაშვილი*, გაყინული ემბრიონის სამართლებრივი მდგომარეობა, სამართლის ჟურნალი, 1/2012, გვ. 72.

ალენტი),[300] შესაბამისად, ხელყოფილი უფლების სრულყოფილი რესტიტუცია შეუძლებელია[301] და კომპენსაციის ნებისმიერი ოდენობა დაზარალებულს უფლების ხელყოფამდე არსებულ მდგომარეობას ვერ აღუდგენს.[302] კომპენსაციის გამოთვლის დროს საჭიროა, კონკრეტულად გამოიკვეთოს ის კრიტერიუმები, რომლებიც არსებით ზეგავლენას მოახდენს არაქონებრივი ზიანის დაკმაყოფილებისას.[303] გონივრულობაში იგულისხმება მისი ობიექტური გაგება,[304] ვინაიდან, არაქონებრივი ზიანის არსიდან გამომდინარე, სასარჩელო მოთხოვნა ყოველთვის სუბიექტურ შეხედულებას ემყარება.[305] ზოგ შემთხვევაში სასამართლოს მიერ „ობიექტურობა“ ძალიან მცირე თანხის ოდენობით განისაზღვრება.[306] ამან კი შესაძლებელია ეჭვი გააჩინოს, თუ რამდენად შეუმსუბუქებს მოთხოვნილი დიდი თანხის შემცირება დაზარალებულს ტკივილის განცდას, ანუ რამდენად შესრულდება კომპენსაციის მიზანი.[307] მაგალითად, შედარებით დიდი ოდენობით კომპენსაცია (გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების პრინციპის დაცვით) შეიძლება დაეკისროს პირს, რომელმაც წარსულში უკვე ხელყო პიროვნული უფლებები.[308]

არაქონებრივი ზიანის ოდენობის განსაზღვრის ძირითადი კრიტერიუმებია: დამრღვევის ბრალის ხარისხი, ფიზიკური და მორალური ტანჯვის ხარისხი, სხეულის დაზიანების სიმძიმე/ხარისხი, ჯანმრთელობის მოშლის პერიოდი (ხანგრძლივია თუ მოკლევადიანი), შრომისუნარიანობის დაკარგვის ხარისხი (მნიშვნელოვანი, უმნიშვნელო ან მუდმივი), ზიანის მიმყენებლის ქონებრივი მდგომარეობა (მოვალე გადახდისუნარიანი, ხოლო სასამართლო გადაწყვეტილება აღსრულებადი უნდა იყოს), მოთხოვნილი კომპენსაციის გონივრულობა და სამართლიანობა.[309] ამასთან, გამოთვლისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სხვადასხვა საკითხი. მაგალითად, თუ ზიანის მიმყენებელი ცნობები გავრცელდა მედიით, მნიშვნელოვანია განისაზღვროს გამოქვეყნების ფორმა, ხასიათი,[310] ადგილი, ტერიტორია, სადაც ვრცელდება ასეთი მედია საშუალება,[311] გამოთქმული აზრის საჯაროდ უარყოფის ფაქტი,[312] ასევე, ცალკეული მაგალითების არსებობისას შესაძლებელია ყურადღება მიექცეს ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას[313] და სხვ. თითოეული ზემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმის განხილვა კონკრეტუ-

300 *ჩიკვაშვილი*, პასუხისმგებლობა მორალური ზიანისთვის, გვ. 21.
301 სუს გადაწყვეტილება, 24 აპრილი, 2003, №3კ-1240-02.
302 სუს გადაწყვეტილება – 27 დეკემბერი, 2012, №ბს-78(კ-12).
303 *ნინიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 18, გვ. 75.
304 *ნინიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 18, გვ. 75.
305 იხ. *კაკუშაძე,* ზიანის ანაზღაურება ცილისწამებისთვის ქართულ სასამართლო პრაქტიკაში, თანამედროვე სამართლის აქტუალური პრობლემები, 2016, გვ. 92-93.
306 სუს განჩინება, 18 აპრილი, 2003, №3კ-1483-02.
307 იხ. *საჯაია*, პრესა და მორალური ზიანი, სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა, ქართული სამართლის მიმოხილვა, №8/2005-1/2, გვ. 176.
308 *ნინიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 18, გვ. 77.
309 სუს განჩინება, 3 აპრილი, 2012, №ას-1477-1489-2011.
310 იხ. *ზოიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, მუხ. 413, გვ. 473-474.
311 *ნინიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 18, გვ. 76.
312 იხ. სუს განჩინება, 3 დეკემბერი, 2009, №ას-440-754-09.
313 იხ. სუს განჩინება – აღწერილობითი ნაწილი, 3 აპრილი, 2012, №ას-1477-1489-2011.

ლი შემთხვევიდან უნდა გამომდინარეობდეს, ვინაიდან არაქონებრივი ზიანი ყოველთვის ინდივიდუალურ ხასიათს ატარებს.[314]

112 არაქონებრივი უფლებების დარღვევისთვის ზიანის ანაზღაურების ფაქტები ზოგიერთ შემთხვევაში მედიის საქმიანობას უკავშირდება. მედიისგან ასეთი უფლების დარღვევის შემთხვევაში, სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს ის ფაქტი, რომ კომპენსაციის არაგონივრულად გაზრდამ შეიძლება მედიის თავისუფლების დაუსაბუთებელი შეზღუდვა გამოიწვიოს.[315] კომპენსაციის დაკისრებისას გასათვალისწინებელია მოპასუხისა და საზოგადოების ინტერესიც. მედია საშუალების შემთხვევაში, სახელმწიფო ინტერესების (დემოკრატიული საზოგადოების თვალსაზრისით) გათვალისწინებით, კომპენსაცია არ უნდა უქმნიდეს მედია საშუალებას სამომავლო საქმიანობის განხორციელების დამაბრკოლებელ გარემოებას.[316]

დ. არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების შემთხვევაში – კავშირი 413 II მუხლთან

113 მორალური ზიანის ანაზღაურების ცალკე სახეს გამოყოფს 413 II მუხლი, რომლის არსებობისთვისაც სახეზე უნდა იყოს სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისთვის ვნების მიყენების ფაქტი. ჯანმრთელობაზე ვნების მიყენების ფაქტის თაობაზე თანამედროვე სასამართლო პრაქტიკის ერთ-ერთ გამორჩეულ მაგალითად მოიაზრება შემთხვევა, როდესაც დედას საკუთარი შვილის ცხედრის გადმოსვენების დაგვიანების, ასევე ამ ფაქტზე ინფორმაციის მიუწოდებლობის გამო მიადგა სულიერი ტანჯვა, ვნება და მან განიცადა ძლიერი ემოციური სტრესი.[317] შედეგად, სასამართლომ მისი მოთხოვნა არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურების თაობაზე დააკმაყოფილა.[318]

114 აღნიშნული კანონი სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეს არამატერიალურ ფასეულობათა ხელყოფისგან იცავს.[319] თითოეულ შემთხვევაში, **კომპენსაციის ოდენობა განისაზღვრება მორალური ტკივილის სიმძიმის, პირის ასაკის, სულიერი განცდისა და ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით.**[320] იმის გათვალისწინებით, რომ ფულადი კომპენსაციით ჯანმრთელობის შეფასება შეუძლებელია,[321] სასამართლო ყურადღებას ამახვილებს სხეულის დაზიანების სიმძიმის ხარისხზე, ჯანმრთელობის მოშლის პერიოდზე, შრომისუნარიანობის დაკარგვის ხარისხზე, ზიანის მიმყენებლის ქონებრივ,[322] ასევე,

314 სუს გადაწყვეტილება, 3 აპრილი, 2012, №ბს-1107-1096(კ-11).
315 *ნინიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 18, გვ. 75.
316 სუს გადაწყვეტილება, 24 აპრილი, 2003, №3კ-1240-02.
317 სუს განჩინება, 10 სექტემბერი, 2015, №ას-979-940-2014.
318 აქვე აღსანიშნავია, რომ სასამართლომ ეს მოთხოვნა დააკმაყოფილა სწორედ 413 II მუხლის პირდაპირი გამოყენებით და მე-18 II მუხლზე დაყრდნობით აღნიშნა, რომ ეს საკითხი გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში წესრიგდება.
319 სუს განჩინება, 10 მაისი, 2005, №ას-74-4008-04 განჩინება.
320 სუს განჩინება – აღწერილობითი ნაწილი, 13 აპრილი, 2005, №ას-33-406-05.
321 სუს გადაწყვეტილება, 8 აპრილი, 2009, №ბს-972-936(3კ-08).
322 *კვანტალიანი*, პაციენტის უფლებები და ჯანმრთელობის დაცვის პერსონალის სამოქალაქო-სა-

ოჯახურ მდგომარეობაზე[323] და სხვ.

115 მიყენებულმა ფიზიკურმა ზიანმა შესაძლებელია იმოქმედოს ადამიანის ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე, რაც, მართალია, არამატერიალიზებულ ზიანს წარმოადგენს,[324] მაგრამ მისი მტკიცება შესაძლებელია ექსპერტიზის დასკვნას ეფუძნებოდეს,[325] თუმცა ასეთის არარსებობის შემთხვევაში მხოლოდ ფიზიკური ზიანის მიყენება არ არის საკმარისი არაქონებრივი ზიანის დასადგენად.[326] მართალია, არაქონებრივი უფლებების შელახვის ფაქტებისთვის კანონი მტკიცებულების დადასტურების სავალდებულობას არ ითვალისწინებს,[327] მაგრამ მხარემ არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნასთან ერთად მატერიალური ზიანის დამადასტურებელი დოკუმენტიც უნდა წარმოადგინოს.[328] ასე მაგალითად, არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება შეიძლება დაკავშირებული იყოს ჯანმრთელობის ისეთ საკითხთან, როგორიცაა: სისხლის გადასხმა,[329/330] როგორც უხარისხო პროდუქტით მიყენებული ზიანი.[331] საკითხის მართებულად გადაწყვეტისთვის გასათვალისწინებელია დამზიანებლის ბრალეულობისა და მართლწინააღმდეგობის საკითხი.[332] მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენება პაციენტის ქმედებიდან გამომდინარეობს (არ მიაწოდა ინფორმაცია ექიმს და სხვ.), ექიმის ბრალეულობა არ დადგება.[333]

116 პრაქტიკაში არსებული მაგალითებიდან გამომდინარე, პაციენტის მიერ მოთხოვნილი ზიანის ოდენობა უფრო მეტია, ვიდრე უმეტეს შემთხვევაში სასამართლოს მიერ დაკისრებული კომპენსაციის ოდენობა,[334] რაც გონივრული და სამართლიანი განსჯის შედეგს წარმოადგენს.[335] პაციენტი ამგვარ საკითხს სუბიექტურად ეკიდება, ხოლო, სასამართლოს მიერ საკითხის გადაჭრა ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე წარმოებს,[336] ვინაიდან მიყენებული ზიანი უნდა იყოს სამართლებრივად მნიშვნელოვანი და ანგარიშგასაწევი,[337] განსაზღვრის კრიტერიუმად კი დაზიანების სიმძიმე უნდა იქნეს გათვალისწინებული.[338]

117 ექიმის ბრალეულობით პაციენტის გარდაცვალებისას არაქონებრივი

მართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები, გვ. 159-160.

323 სუს განჩინება, 25 ივნისი, 2004, №ას-894-1514-04.

324 სუს განჩინება, 3 აპრილი, 2012, №ას-1477-1489-2011.

325 სუს განჩინება, 25 თებერვალი, 2005, №ას-1426-1535-04.

326 სუს განჩინება, 3 აპრილი, 2012, №ას-1477-1489-2011.

327 იხ. სუს განჩინება, 23 ივლისი, 2009, №ას-1174-1319-08.

328 იხ. სუს განჩინება, 24 მარტი, 2014, №ას-651-619-2013.

329 სუს განჩინება, 25 სექტემბერი, 2007, №ას-296-624-07.

330 დაწვრილებით იხილეთ: *ზოიძე,* წუნდებული პროდუქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურება, 2016, გვ. 92 და შემდგომი.

331 აღნიშნულის თაობაზე იხილეთ: *ზოიძე,* წუნდებული (უხარისხო) პროდუქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურება ქართულ სასამართლო პრაქტიკაში, სამართლის ჟურნალი, 1/2012, გვ. 93.

332 *ჩიკვაშვილი,* პასუხისმგებლობა მორალური ზიანისთვის, გვ. 127.

333 სუს განჩინება, 27 ივნისი, 2011, №ას-260-244-2011.

334 *კვანტალიანი,* პაციენტის უფლებები და ჯანმრთელობის დაცვის პერსონალის სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები, გვ. 157.

335 იხ. სუს განჩინება, 1 მარტი, 2012, №ას-1766-1746-2011.

336 იხ. მაგალითად, სუს განჩინება, 21 ივნისი, 2012, №ას-394-373-2012.

337 სუს განჩინება, 25 თებერვალი, 2005, №ას-1426-1535-04.

338 *თუმანიშვილი,* შესავალი საქართველოს კერძო სამართალში, გვ. 69.

ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს გარდაცვლილის ოჯახის წევრს (ახლობელს) მისი ფსიქიკური და ზნეობრივი ტანჯვიდან (ტანჯვის ხარისხიდან) გამომდინარე.[339]

118 არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების საკითხს განსაზღვრავს „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლი, რომელშიც ჩამოყალიბებულია ის კრიტერიუმები, რასაც შეიძლება მოსარჩელის მოთხოვნა დაეფუძნოს. ასეთი შეიძლება იყოს არასასურველი ჩასახვა ან ბავშვის დაბადება,[340] სამედიცინო დაწესებულების გაუმართავი ფუნქციონირება (მათ შორის, სანიტარიული ნორმების დაუცველობა) და სხვ.

6. არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება ქონებრივი ზიანისგან დამოუკიდებლად

119 ტერმინი – „ქონებრივი ზიანისგან დამოუკიდებლად“ განამტკიცებს არაქონებრივი უფლების ქონებრივი უფლებისგან გამიჯვნის პრინციპს. აღნიშნულის შესაბამისად, მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა პირდაპირ კავშირში არ არის ქონებრივ ზიანთან. მაგალითად, მხოლოდ იმის მტკიცება, რომ ვალდებულების დარღვევით მიადგა პირს მორალური ზიანი, სამართლებრივ საფუძველსაა მოკლებული.[341] ასევე, მხოლოდ ვალის დაუბრუნებლობის საფუძველზე არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება არ წარმოადგენს სამართლებრივად მტკიცების საგანს.[342]

VIII. ხანდაზმულობის ვადები არაქონებრივ უფლებებთან მიმართებით

120 არაქონებრივ უფლებებზე მოთხოვნის დაყენების ნაწილში ხანდაზმულობის ვადას, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, კანონი არ ითვალისწინებს.[343/344] ხანდაზმულობის ვადის განსაზღვრა მოთხოვნის არსიდან გამომდინარე ხდება. მაგალითად, **413-ე მუხლზე დაფუძნებული სარჩელისთვის ხანდაზმულობის ვადად ჩაითვლება სამი წელი.** ასეთივე ვადაა განსაზღვრული, თუ მოთხოვნა **დელიქტური ურთიერთობებიდან** (წარმოშობის საფუძვლების გათვალისწინებით) **გამომდინარეობს** (1008).[345]

121 „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების“ შესახებ საქართველოს კანონიდან გამომდინარე, ხანდაზმულობის **ვადად ასი დღე განისაზღვრება.** ეს ვადა აითვლება მას შემდეგ, რაც პირი გაეცნო ან შესაძლებლობა ჰქონდა, რომ გასცნობოდა კონკრეტულ განცხადებას. „შესაძლებლობა, გასცნობოდა განცხადებას“ – ივარაუდება განცხადების გამოქვეყნების თარიღი. მაგალითად, თუ სტატია საჯაროდ გამოქვეყნდა 2015 წლის 30 იანვარს, ასდღიანი

339 *ჩიკვაშვილი*, პასუხისმგებლობა მორალური ზიანისთვის, გვ. 131.
340 *გელაშვილი*, ჩანასახის სამართლებრივი მდგომარეობა, გვ. 193-195.
341 იხ. სუს განჩინება, 30 სექტემბერი, 2004, №ას-517-797-04.
342 სუს განჩინება, 28 მარტი, 2003, №3კ-1314-02.
343 იხ. *ახვლედიანი*, სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 128, გვ. 317.
344 *კობახიძე*, სამოქალაქო სამართალის ზოგადი ნაწილი, გვ. 366.
345 იხ. მაგალითად, სუს განჩინება – აღწერილობითი ნაწილი, 16 ივნისი, 2014, №ას-8-8-2014.

ვადა სწორედ ამ დღიდან აითვლება.[346]

განსხვავებით სპეციალური კანონისგან, **მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მიხედვით,** განცხადებაში მოცემული მცდარი ფაქტის თანაზომადი საშუალებებითა და ფორმით შესწორება, ან უარყოფის თაობაზე **მოთხოვნა შესაძლებელია დაყენებულ იქნეს განცხადების გამოქვეყნებიდან/ფაქტის მოყვანიდან ათი დღის ვადაში.** ასეთი განცხადებით/საჩივრით მიმართვის უფლებამოსილება მხოლოდ დაინტერესებულ პირებს გააჩნიათ. ასეთად კი შეიძლება მოაზრებულ იქნეს ის ჯგუფი, რომელთაც პირდაპირ ან ირიბად შეეხოთ შესაბამისი სიუჟეტი/გავრცელებული ინფორმაცია.[347] 122

IX. კავშირი სხვა სამართლებრივ ინსტიტუტებთან

1. პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვა ადმინისტრაციულ სამართალში

ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობში ზიანის ანაზღაურების წესი 1005-ე მუხლიდან გამომდინარეობს. ადმინისტრაციულ სამართალში არაქონებრივი ზიანის მიყენების ფაქტი სახელმწიფოს ან სახელმწიფოს სახელით მოქმედი პირის (ასევე, კერძო სამართლის იურიდიული პირის, რომელიც დელეგირების საფუძველზე საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილებას ახორციელებს[348]) მხრიდან გარკვეული ქმედების საფუძველზე შეიძლება წარმოიშვას.[349] სამოქალაქო ნორმების მსგავსად, მატერიალური ზიანისგან მიყენებული არაქონებრივი ზიანი ადმინისტრაციულ სამართალში მტკიცებულებების წარდგენის საფუძვლით განისაზღვრება.[350] აღნიშნულით შესაძლებელია დადასტურდეს საჯარო მოხელის ბრალი. საჯარო მოხელის პასუხისმგებლობა დასაშვებია, თუ ის განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით განხორციელებულ ქმედებას ეფუძნება,[351] ხოლო, ასეთ დროს საჯარო მოხელის მიმართ სახელმწიფოს მხრიდან შესაძლებელია რეგრესის წესით შესაბამისი კომპენსაციის გადახდა განხორციელდეს.[352] აღნიშნული არ გულისხმობს, რომ მტკიცებულებათა წარდგენით არაქონებრივი ზიანის დადასტურება ხდება. ამგვარი ფაქტებით მხოლოდ იმის განსაზღვრაა შესაძლებელი, რომ სახელმწიფოს მიერ მართლა დაირღვა შესაბამისი უფლება. 123

არაქონებრივი უფლების შელახვად არ დაკვალიფიცირდება ისეთი შემთხვევები, როდესაც სახელმწიფოს სახელით შესაბამისი პირი კანონის ფარგლებში მოქმედებს. მაგალითად, სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას პროცესის დამსწრეს ან მონაწილის დაჯარიმება არ უნდა ჩაითვალოს 124

346 იხ. სუს განჩინება, 18 ოქტომბერი, 2010, №ას-431-403-2010.

347 *კარელიძე,* თვითრეგულირების ორგანოები რეგიონალურ მაუწყებლებში, მედია, სამართალი და ეთიკა, 2015, გვ. 123-124.

348 იხ. *კიკილაშვილი,* იურიდიულ პირებს შორის ურთიერთობიდან წარმოშობილი არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების დროს ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობის და პასუხისმგებელი სუბიექტის განსაზღვრის პრობლემა, მართლმსაჯულება და კანონი №4(43)14, გვ. 75.

349 იხ. სუს გადაწყვეტილება, 10 აპრილი, 2014, №ბს-648-623(2კ-13).

350 იხ. სუს გადაწყვეტილება, 30 იანვარი, 2004, №ბს-283-427-კ-03.

351 იხ. სუს განჩინება, 13 თებერვალი, 2004, №ბს-464-571-კ-03.

352 იხ. *ტურავა/წკეპლაძე,* ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, 2013, გვ. 235.

არაქონებრივი უფლების შელახვად. აღნიშნული გამომდინარეობს იმ ლეგიტიმური მიზნიდან, რომლის ფარგლებშიც მოქმედებს სასამართლო.[353]

125 ადმინისტრაციული ორგანო პასუხისმგებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საჯარო მოხელემ სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას ბრალეულად იმოქმედა. ყველა სხვა შემთხვევაში მისი პასუხისმგებლობა კერძო პირის პასუხისმგებლობად უნდა იქნეს დაკვალიფიცირებული.[354]

126 ცალკე განხილვის თემაა, თუ სად გადის ზღვარი საჯარო სამსახურში მომუშავეთა/საჯარო მოხელეთა დისციპლინურ პასუხისმგებლობასა და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებას შორის. საჯარო სამსახურში მომუშავე პირთა მიერ არსებული დასკვნის საფუძველზე (თუნდაც მათ მიერ დარღვეული იყოს სხვადასხვა სამართლებრივი ნორმა), დასკვნის გასაჯაროების უფლებამოსილება კანონის ფარგლებში გააჩნია შესაბამის უწყებას. თუ მოხდა ისე, რომ დასკვნა, რომელიც შეიძლება უწყებამ არ გაასაჯაროა, მაგრამ ცნობილი გახდა საზოგადოებისთვის (დასკვნა შეიძლება ეხებოდეს კონკრეტულ რეგიონში/ქალაქში ცნობილ პიროვნებას), ეს უკანასკნელი ვერ გახდება პასუხისმგებლობის მატარებელი, ვინაიდან მან იხელმძღვანელა კანონით დადგენილი წესით. თავის მხრივ, არაქონებრივი ზიანის ფაქტი არ დადგება იმ პირის (საჯარო უწყების) მიმართ, რომლის ეგიდითაც მოხდა ინფორმაციის გასაჯაროება, ვინაიდან კონკრეტული საქმისწარმოების დარღვევისას, უპირველეს ყოვლისა, პირის დისციპლინური ან სხვა სახის პასუხისმგებლობის საფუძველი იქნება.[355] არაქონებრივი უფლების შელახვის ფაქტის დადასტურება შესაძლებელია სწორედ ბრალეული ქმედების შედეგად, რომელსაც ბრალთან ერთად შესაბამისი შედეგი უნდა მოჰყვეს.

2. პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვა სისხლის სამართალში

127 სისხლისსამართლებრივ ურთიერთობაზე დაფუძნებული არაქონებრივი უფლებების დაცვის საკითხი სამოქალაქო წესით, 992-ე მუხლზე მითითებით, უნდა იქნეს შეტანილი,[356] რომლის განმარტებასაც, ასევე, 1005-ე მუხლი იძლევა.[357] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი შესაბამისი მოთხოვნის დაყენების უფლებამოსილებას განსაზღვრავს (დასახელებული კოდექსის 92-ე მუხლი), რაც სამოქალაქო-სამართლებრივ საკითხთან მიმართებით, დელიქტის სამართლებრივ ინსტიტუტს ეყრდნობა. მოთხოვნა შესაძლებელია წაუყენონ როგორც ზიანის მიმყენებელ თანამდებობის პირს/საჯარო მოხელეს, ასევე,

353 იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 27 თებერვლის №2/2/558 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე ილია ჭანტურაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ – აღნიშნული გადაწყვეტილების თაობაზე იხილეთ: ქურდაძე, საექსპერტო შეფასება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 27 თებერვლის №2/2/558 გადაწყვეტილებაზე, ადვოკატი, 3-4/2014, გვ. 55-57.

354 *მეგენეიშვილი,* სახელმწიფოს პასუხისმგებლობის მოდელების ზოგადი მიმოხილვა, ადმინისტრაციული სამართლის პრობლემები, გვ. 148.

355 სუს განჩინება, 5 ოქტომბერი, 2002, №3კ/670-01.

356 იხ. მაგალითად, სუს განჩინება – აღწერილობითი ნაწილი, 9 ივნისი 2014, №ას-322-303-2014.

357 იხ. სუს დიდი პალატის განჩინება, 24 მარტი 2003, №3გ/ად-329-კ-02.

სახელმწიფოს, ორივეს ერთად სოლიდარულად,[358] ან, არანაკლებ ორ სახელმწიფო ორგანოს ერთად.[359] მოსარჩელეს თითოეულ შემთხვევაში ეკისრება მტკიცების ვალდებულება. მაგალითად, საბრალდებო დასკვნა არ შეიძლება პირის არაქონებრივი უფლებების შელახვად იქნეს მიჩნეული იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ქმედება უკანონოდ არაა ჩატარებული,[360] თუმცა ასეთის არსებობისას ჟურნალისტმა, პირის ინტერესების გაუთვალისწინებლად, ინფორმაცია იდენტიფიკაციის შემცველი მონაცემების თაობაზე არ უნდა გაავრცელოს.[361]

3. პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მიხედვით

128 საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობისას გამოსარჩევია, ასევე, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც, განსაზღვრულია პასუხისმგებლობა წვრილმანი ხულიგნობისთვის. დასახელებული მუხლი, ერთი მხრივ, საზოგადოებრივი წესრიგის და, მეორე მხრივ, შეურაცხმყოფელი გამონათქვამების სამომავლოდ თავიდან აცილების მოწესრიგების პრევენციულ ზომას წარმოადგენს.[362] წვრილმანი ხულიგნობა წარმოადგენს ქონებრივი ზიანის ანაზღაურების არაპირდაპირ ფორმას, რომლის საფუძველზეც მხარეს მხოლოდ მაშინ გააჩნია შესაძლებლობა სასამართლოს გზით არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს, თუ წვრილმანი ხულიგნობით შესაბამისი შედეგი დადგება (მიადგება პირს სულიერი ტკივილი იმ ფორმით, რომლის მოწესრიგებაც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის საფუძველზე შეუძლებელია).

4. არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით

129 საავტორო უფლებების დაცვის თვალსაზრისით, ქონებრივი და არაქონებრივი ზიანი შესაძლებელია ერთმანეთისგან იყოს გამიჯნული, ვინაიდან ისინი მოთხოვნის დაყენების შემთხვევაში ერთმანეთს არ განაპირობებს.[363] საავტორო უფლებების დარღვევის საფუძველზე არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისას მოსარჩელემ უნდა წარმოადგინოს ის მტკიცებულებები, რომლებიც მის სულიერ ტანჯვას, ანუ მორალური ზიანის მიყენების ფაქტს დაადასტურებს.[364] წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთი მოთხოვნა სამართლებრივ საფუძველს იქნება მოკლებული.

358 იხ. მაგალითად, სუს გადაწყვეტილება – 27 დეკემბერი, 2012, №ბს-78(კ-12).
359 თბილისის საქალაქო სასამართლო, 23 ივნისი, 2015, №3/807-15.
360 სუს განჩინება, 23 თებერვალი, 2005, №ას-916-1503-კ-04.
361 სუს განჩინება, 14 აპრილი, 2004, № ას-593-1241-03.
362 იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს დადგენილება, 3 ოქტომბერი 2014, №4/6241-14.
363 სუს განჩინება, 14 ივნისი, 2011, №ას-280-264-2011.
364 თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება, 2 ივლისი, 2013, №2ბ/805-13.

X. ნორმის დატვირთვა საპროცესო სამართალში

1. ზოგადი პრინციპები

130 არაქონებრივ დავებზე სახელმწიფო ბაჟის ოდენობა, სამოქალაქო-საპროცესო კოდექსიდან გამომდინარე, შესაბამისი ინსტანციების მიხედვით, 100, 150 და 300 ლარია, თუ არაქონებრივი დავიდან ქონებრივი დავა არ გამომდინარეობს და თუ ეს უკანასკნელი 100 ლარს არ აღემატება. ამასთან, საკასაციო საჩივრის შეტანისას არაქონებრივ დავაზე დასაშვებობის საკითხი დასახელებული კოდექსის 391-ე მუხლიდან გამომდინარე განისაზღვრება.

2. კუმულაციური პირობების არსებობა

131 სასარჩელო განცხადებაში, რომელსაც მოსარჩელე მოპასუხის მიმართ წარადგენს, აუცილებლად უნდა აღინიშნოს შემდეგი პირობები: ა) ფაქტების მცდარობა (მოსარჩელის მტკიცების ტვირთი); ბ) ზიანის ფაქტი (უნდა არსებობდეს რაიმე შედეგი) და გ) გაცხადებული ფაქტების მცდარობის შესახებ ინფორმაცია მოპასუხისთვის წინასწარ იყო ცნობილი ან ამ უკანასკნელმა გამოიჩინა დაუდევრობა, რამაც ამ ინფორმაციის გავრცელება გამოიწვია.[365] ჩამოთვლილი პირობებიდან ერთ-ერთის არარსებობის შემთხვევაში არ დადგება პირის პასუხისმგებლობა არაქონებრივი ზიანისთვის.

3. მაუწყებლის თვითრეგულირების მექანიზმი

132 გარკვეულ საკითხებზე პირს, რომელიც მიიჩნევს, რომ მაუწყებელმა გაავრცელა სიმართლესთან შეუსაბამო ინფორმაცია, უფლებამოსილება გააჩნია, მაუწყებელშივე არსებული თვითრეგულირების მექანიზმით, **სიუჟეტის (ინფორმაციის) ეთერში გასვლიდან ათდღიან ვადაში** (იხ. ამავე კომენტარის ვნ. 123) **მოითხოვოს საწყის განცხადებაში მოცემული მცდარი ფაქტის თანაზომადი საშუალებებითა და ფორმით შესწორება ან უარყოფა საწყისი განცხადების ხანგრძლივობით, დაახლოებით იმ დროს, როდესაც გაკეთდა საწყისი განცხადება** და იმავე პერიოდულობით.[366] ასეთი ფაქტის დადგენის შემთხვევაში **ჟურნალისტის პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტა უშუალოდ მაუწყებლის პრეროგატივაა**[367] და დაინტერესებული პირის მიერ ჟურნალისტის პასუხისმგებლობის თაობაზე დაყენებული მოთხოვნა სამართლებრივ საფუძველს იქნება მოკლებული. ამასთან, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და მაუწყებელთა ქცევის კოდექსის შესაბამისად, მაუწყებლის თვითრეგულირების მექანიზმით საჩივრის განხილვის შემთხვევაში **საჩივრის ავტორს წარმოეშობა უფლება, თვითრეგულირების მექანიზ-**

365 სუს განჩინება, 16 მაისი, 2008, №ას-810-1129-07.

366 განაცხადში მისათითებელი ინფორმაციის შესახებ იხილეთ: *კარელიძე,* თვითრეგულირების ორგანოები რეგიონალურ მაუწყებლებში, მედია, სამართალი და ეთიკა, 2015, გვ. 123.

367 იხ. *ჯორბენაძე/ბახტაძე/მაჭარაძე*, მედია სამართალი, გვ. 154.

მის სააპელაციო ორგანოში გაასაჩივროს განხილული საკითხი. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას ან სასამართლოს მიმართოს შესაბამისი გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით იგი ვერ მიმართავს[368] და ასეთ საჩივარს შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანო არ მიიღებს.[369]

4. არბიტრაჟისთვის არაქონებრივი უფლებების თაობაზე საქმის გადაცემის დაუშვებლობა

საქართველოს სამოქალაქო-საპროცესო კოდექსისა და „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე არაქონებრივი უფლებების თაობაზე დავის არბიტრაჟისთვის გადაცემა დაუშვებელია.[370]

368 იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის №1/3/421,422 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები – გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

369 იხ. მაგალითად, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2012 წლის 7 დეკემბრის №776/23 გადაწყვეტილება.

370 იხ. მაგალითად, *ცერცვაძე*, საერთაშორისო არბიტრაჟი, 2008, გვ. 252 და შემდგომი.

მუხლი 18[1]. პერსონალური მონაცემების მიღების უფლება

1. პირს უფლება აქვს, გაეცნოს მასზე არსებულ პერსონალურ მონაცემებს და ჩანაწერებს, რომლებიც დაკავშირებულია მის ფინანსურ/ქონებრივ მდგომარეობასთან ან სხვა კერძო საკითხებთან, და მიიღოს ამ მონაცემების ასლები, გარდა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა.

2. პირს არ შეიძლება უარი ეთქვას იმ ინფორმაციის გაცემაზე, რომელიც მოიცავს პერსონალურ მონაცემებს ან ჩანაწერებს მის შესახებ.

3. ნებისმიერი პირი ვალდებულია, წერილობითი თხოვნის საფუძველზე სხვა პირს გადასცეს მასთან დაცული პერსონალური მონაცემები და ჩანაწერები, თუ იგი წარუდგენს იმ პირის წერილობით თანხმობას, რომლის პერსონალურ მონაცემებსაც წარმოადგენს შესაბამისი ინფორმაცია. ასეთ შემთხვევაში პირი ვალდებულია დაიცვას აღნიშნული მონაცემების, ინფორმაციის საიდუმლოება.

I. ზოგადი დებულებანი 150
1. ნორმის კონსტიტუციური საფუძვლები 151
2. ინფორმაციის თავისუფლება სამოქალაქო სამართალში 151
II. 18 I პერსონალური მონაცემების გაცნობის უფლებამოსილება 152
1. პერსონალური მონაცემების განმარტება 152
2. დაინტერესებული პირი 152
3. ფინანსური/ქონებრივი მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია 153
4. კერძო საკითხების შესახებ ინფორმაცია 153
5. ასლების მიღების უფლებამოსილება – კავშირი ადმინისტრაციულ სამართალთან 153
6. ინფორმაციის გაცემის დამაბრკოლებელი საშუალებანი 154
III. 18 II პერსონალური მონაცემები და ჩანაწერები 154
IV. 18 III მესამე პირის მიერ გამოთხოვილი ინფორმაცია 154
1. მონაცემების ადრესატის (სუბიექტის) წერილობითი თანხმობის საფუძველზე ინფორმაციის გაცემის სავალდებულობა 154
2. კონფიდენციალობა 155
V. კავშირი სხვა სამართლებრივ ინსტიტუტებთან 155

I. ზოგადი დებულებანი

1 პერსონალური მონაცემები პირის იდენტიფიცირების საშუალებას წარმოადგენს. იგი როგორც კერძო, ისე საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობისას პირის უფლებების დაცვის გარანტიაა. **პერსონალური მონაცემების ღიაობა მხოლოდ კანონით განსაზღვრული შემთხვევებისას არის შესაძლე-**

ბელი.[1] საჯარო სამართალში არსებული მოწესრიგებისგან განსხვავებით, განსახილველი ნორმის მიზანს კერძო სამართლის სუბიექტებისგან ინფორმაციის გამოთხოვა წარმოადგენს. საჯარო სამართლის სივრცეში ინფორმაციის თავისუფლება პერსონალურ მონაცემებზე ითვალისწინებს ზოგიერთ გამონაკლისს[2], რომელიც შეიძლება თანამდებობის პირებსაც ეხებოდეს.[3]

1. ნორმის კონსტიტუციური საფუძვლები

განსახილველი ნორმის კონსტიტუციურ საფუძვლად მიჩნეულ უნდა **2**
იქნეს საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლი, რომელიც ინფორმაციის თავისუფლებას, კერძოდ, საჯარო დაწესებულებებიდან პირის მიერ ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას მოიცავს. აღნიშნული მუხლი არაპირდაპირი სახით ასახვას პოვებს კოდექსში იმდენად, რამდენადაც, განსხვავებით საჯარო-სამართლებრივი მოწესრიგებისგან, კოდექსში განხორციელებულმა ცვლილებებმა ასეთი ინფორმაციის მიღების უფლებამოსილება პირს კერძო სამართლის იურიდიული პირებისგანაც მიანიჭა. პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებულ ინფორმაციას გააჩნია ე.წ. დამხმარე ხასიათი სხვა კონსტიტუციური უფლებების დასაცავად,[4] თუმცა სხვა უფლებების დაცვა, უპირველეს ყოვლისა, იმ პირის უფლებების დაცვის პირდაპირპროპორციულად უნდა იქნეს განხილული, ვისაც ასეთი სახის ინფორმაცია ეხება.

ნორმის კონსტიტუციური საფუძველი ასახვას პოვებს ინფორმაციის **3**
თავისუფლების შეზღუდვაში. საქართველოს კონსტიტუციის საფუძველზე, აღნიშნული უფლება არ წარმოადგენს აბსოლუტური ხასიათის მქონე უფლებას.[5]

2. ინფორმაციის თავისუფლება სამოქალაქო სამართალში

ინფორმაციის თავისუფლება სამოქალაქო სამართალში ადამიანის **4**
ძირითადი უფლებების დაცვის ერთ-ერთ გამოვლინებას წარმოადგენს. განსხვავებით საჯარო (ადმინისტრაციული) სამართლისგან, კოდექსი არ განსაზღვრავს ინფორმაციის მიღებისთვის კონკრეტული ვადების დაწესებას, თუმცა ანალოგიის არსიდან გამომდინარე (სზაკ-ის III თავი), შესაძლებელია **ანალოგიის გზით მოხდეს გონივრული ვადების დადგენა.**

იმ შემთხვევაში, თუ ინფორმაციის გამცემი ორგანო არ აწვდის პირს ინ- **5**
ფორმაციას ამ მუხლში გათვალისწინებულ საკითხებთან მიმართებით, სასამართლოს გზით ასეთი მონაცემების მიღების უფლებამოსილება სამოქა-

1 იხ. სუს განჩინება, 5 ივლისი, 2010, №ბს-1278-1210(კ-08).
2 იხ. სუს გადაწყვეტილება, 4 ოქტომბერი, 2006, №ბს-333-317(კ-06).
3 *ჯორბენაძე,* ინფორმაციის თავისუფლება, 2012, გვ. 23.
4 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბრის №2/3/406,408 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.
5 იხ. *ქანთარია,* საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, 2013, მუხ. 41, გვ. 504.

ლაქო წესით განისაზღვრება. თუმცა, სამართლებრივი ფორმის მიუხედავად (შპს, სს და სხვ.), ინფორმაციის მიღება საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელების საფუძვლიდან გამომდინარეობს, პირის მიერ შესაბამისი მოთხოვნის დაყენება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ნორმების საფუძველზე უნდა განხორციელდეს.

6 სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობა არ ითვალისწინებს ისეთ შეზღუდვებს, როგორიც ეს საჯარო სამართალშია მოცემული. თუმცა, საჯარო დაწესებულების მიერ ინფორმაციის გაცემის დარად, კერძო სამართლის სუბიექტის მიერ მიწოდებული ინფორმაცია შეიძლება ასევე არ იყოს სრულყოფილი სახის.[6] კერძოდ, მასში არ იყოს ნაჩვენები ის პასუხი, რისი მიღებაც ინფორმაციის მომთხოვნს სურდა და სხვ. ასეთის არსებობისას, პირს წარმოეშობა უფლებამოსილება სამოქალაქო წესით მოახდინოს საკუთარი უფლების დაცვა და სასამართლოს გზით დაავალოს პირს, სრულყოფილი სახით მიაწოდოს მას სასურველი ინფორმაცია.

II. 18 I პერსონალური მონაცემების გაცნობის უფლებამოსილება

1. პერსონალური მონაცემების განმარტება

7 პერსონალური მონაცემების დეფინიცია მოცემულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში. აღნიშნული კანონი, ერთი მხრივ, იცავს პირის უფლებებსა და ხელშეუხებლობას, ხოლო, მეორე მხრივ, მისი მოწესრიგების სფერო პირის მიერვე ინფორმაციის გამოთხოვის შესაძლებლობას არ ეწინააღმდეგება. პერსონალური მონაცემების არსებობის საკითხი ზოგ შემთხვევაში შეიძლება განმარტების საგანი გახდეს. აქ იგულისხმება ისეთი პირობები, როდესაც მესამე პირი ითხოვს ინფორმაციას და მას ამ ინფორმაციას არ აწვდიან საიდუმლოების გამო.

8 პერსონალური მონაცემების დიფერენციაცია მოცემულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში, რომლის მიხედვითაც მას გამოყოფილი აქვს ორი ძირითადი კატეგორია: ჩვეულებრივი და განსაკუთრებით მგრძნობიარე პერსონალური ინფორმაცია,[7] რაც სადავოა.[8] მართალია, აღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე ინფორმაციის გამოთხოვნის საკითხს ეხება, თუმცა მისი გავრცელება შეიძლება სამოქალაქო სამართალზეც მოხდეს.

2. დაინტერესებული პირი

9 პირი ჩაითვლება დაინტერესებულად ინფორმაციის მოპოვებაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული მონაცემები მას ეხება. გამონაკლისს წარ-

6 იხ. *ჯორბენაძე,* საჯარო ინფორმაციის გაცემა საქართველოში, სამართლის ჟურნალი, 1/2012, გვ. 184-195.

7 სუს განჩინება, 5 ივლისი, 2010, №ბს-1278-1210(კ-08).

8 *ჯორბენაძე,* საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება, როგორც პირადი საიდუმლოების შემცველი მონაცემი, სამართლის ჟურნალი, 2/2012, გვ. 71-81.

მოადგენს 181 III მუხლი, რომელიც სხვა პირის მიერ ინფორმაციის მიღების საკითხს ეხება. დაინტერესებული პირი არ არის ვალდებული, დაასაბუთოს ის, თუ რა მიზნით სურს მას ინფორმაციის მიღება. ინფორმაციის გამომთხოვნის მოტივს ასეთ შემთხვევაში არსებითი მნიშვნელობა არ ენიჭება.[9]

3. ფინანსური/ქონებრივი მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია

ფინანსურ და ამასთანავე, **ქონებრივ მდგომარეობად შეიძლება მიჩნეულ იქნეს ინფორმაცია პირის სახელფასო განაკვეთის, ასევე შემოსავლების ოდენობის თაობაზე,** რომლის დროსაც დამსაქმებელი ვალდებულია, მიაწოდოს დასაქმებულს ასეთი მოთხოვნის დაყენების შემთხვევაში ინფორმაცია სახელფასო განაკვეთის/შემოსავლების ოდენობის შესახებ. ასევე, ინფორმაცია, რომელიც ხელფასის ან ნებისმიერი ფულადი შემოსავლის პირის ანგარიშზე ჩარიცხვის საკითხს ეხება. მაგალითად, **ბანკიდან რამდენიმე თვის** (კონკრეტული პერიოდის) **სახელფასო ამონაწერი,** რომლითაც ხდება იმის იდენტიფიკაცია, თუ რა თანხა იქნა პირის საბანკო ანგარიშზე ასახული და რა პერიოდულობით მოახდინა მან თანხის განკარგვა. ბანკს ასეთი ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის უფლებამოსილება არ გააჩნია, თუმცა სხვა პირს ასეთი სახის მონაცემები არ უნდა მიაწოდოს მან.[10] 10

4. კერძო საკითხების შესახებ ინფორმაცია

კერძო საკითხების შესახებ ინფორმაცია გარდა მატერიალურისა, არამატერიალურ ინფორმაციასაც მოიცავს.[11] შესაბამისად, გარდა ფინანსური და ქონებრივი მდგომარეობისა, პირს უფლება აქვს ინფორმაცია მიიღოს ისეთი სახის კერძო საკითხებზე, როგორიცაა ჯანმრთელობა და სხვ. ამასთან, კერძო სფეროდ მოაზრებულ უნდა იქნეს ყველა ის საკითხი, რომელიც არ წარმოადგენს საჯარო საკითხს და რომელიც საჯარო-სამართლებრივ საწყისებზე არ არის აგებული.[12] 11

5. ასლების მიღების უფლებამოსილება – კავშირი ადმინისტრაციულ სამართალთან

ინფორმაცია, რომელიც პირს უნდა მიეწოდოს, უმეტეს შემთხვევაში ასლების მიწოდების საფუძველზე ხდება. აღნიშნული არ ეხება ცნობებს, რომლის ორიგინალსაც გასცემს კონკრეტული იურიდიული პირი. ასლის მიწოდება დასაშვებია მხოლოდ იმ საფუძვლით, თუ ამ ქმედებით არ მოხდება 12

9 იხ. *ჯორბენაძე,* ინფორმაციის თავისუფლება, 2012, გვ. 46.

10 იხ. სუს განჩინება – აღწერილობითი ნაწილი, 17 მაისი, 2012, №ას-461-437-2012.

11 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბრის №2/3/406,408 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

12 *ბიჭია,* კერძო ცხოვრებისა და საადვოკატო საიდუმლოების სამოქალაქო-სამართლებრივი დაცვა, თანამედროვე სამართლის მიმოხილვა, 1/2013, გვ. 6.

სხვა პირთა უფლებების დარღვევა (მაგალითად, თუ მასში არ იქნება აღნიშნული სახელმწიფო, კომერციული ან/და სხვა სახის ინფორმაცია).

6. ინფორმაციის გაცემის დამაბრკოლებელი საშუალებანი

13 ინფორმაციის გაცემის ერთადერთ დამაბრკოლებელ გარემოებად კოდექსი განსაზღვრავს საიდუმლოების საკითხს, რომელიც საქართველოს კანონმდებლობითაა მოწესრიგებული (გამონაკლისია181 II მუხლი, რომელიც აკონკრეტებს ქცევის აღნიშნულ წესს). აღნიშნული შეიძლება ეხებოდეს სახელმწიფო, კომერციულ ან სხვა საიდუმლოებას.

III. 18 II პერსონალური მონაცემები და ჩანაწერები

14 საიდუმლოების არსებობის შემთხვევაში, კანონი იცნობს პირის შესახებ პერსონალური მონაცემების ან ჩანაწერების გაცემის სავალდებულობას. ინფორმაცია, რომელიც მას სურს მიიღოს, შესაძლებელია ეხებოდეს სახელმწიფო საიდუმლოებას, რომელშიც მისი სახელი ფიგურირებს, თუმცა ასეთის არსებობისას, ინფორმაციის გამცემი ვალდებულია დოკუმენტის შინაარსის (დოკუმენტში არსებული დათქმის იდენტიფიკაციის) გარეშე გასცეს ასეთი სახის ჩანაწერი მასზე. კერძოდ, ინფორმაციის გამცემი ასეთის არსებობისას გასცემს ე.წ. ზოგადი ხასიათის ჩანაწერს, რომლითაც პირს მიეთითება საიდუმლოების შემცველი ფაქტის შესახებ.

IV. 18 III მესამე პირის მიერ გამოთხოვილი ინფორმაცია

1. მონაცემების ადრესატის (სუბიექტის) წერილობითი თანხმობის საფუძველზე ინფორმაციის გაცემის სავალდებულობა

15 პერსონალური მონაცემების ხასიათიდან გამომდინარე, მესამე პირის მიერ სხვა პირის თაობაზე ასეთი ინფორმაციის გამოთხოვის შემთხვევაში, მას უნდა გააჩნდეს წერილობითი თანხმობა, რომლითაც დადასტურდება, რომ ინფორმაციის მიღების სუბიექტი შესაბამისი ნების საფუძველზე მოქმედებს. **წერილობითი თანხმობა არაა საჭირო, როდესაც ინფორმაციას ითხოვს მეურვე, კანონიერი წარმომადგენელი ან გარდაცვლილის მემკვიდრე (უფლებამოსილი პირი).**

16 წერილობითი თანხმობა აუცილებელია ასევე იმ შემთხვევაში, თუ ინფორმაცია ორ ან ორზე მეტ სუბიექტს ეხება და თუ მათი მაიდენტიფიცირებელი მონაცემების გაცემის გარეშე ინფორმაცია თავის არსს დაკარგავს. ასეთი თანხმობის არსებობის შემთხვევაში ინფორმაციის გამცემი ვალდებულია მიაწოდოს პირს სასურველი მონაცემები.

2. კონფიდენციალობა

პირი, რომელიც სხვა პირის თანხმობის საფუძველზე იღებს ინფორმაციას, ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალობა, ინფორმაციის საიდუმლოება. მას ეკისრება ანალოგიური ვალდებულებანი, რაც იმ პირს, რომელთანაც სწორედ გამოთხოვნილი ინფორმაციაა დაცული. კონფიდენციალობის დარღვევის (ინფორმაციის გასაჯაროების და სხვ.) შემთხვევაში, ინფორმაციის მომთხოვნს დაეკისრება ანალოგიური ვალდებულებანი, რაც ინფორმაციის გამცემს, ასეთი სახის მონაცემები რომ გაესაჯაროებინა. 17

V. კავშირი სხვა სამართლებრივ ინსტიტუტებთან

განსახილველი სამართლებრივი ინსტიტუტის კავშირი წარმოდგენილია ინფორმაციის თავისუფლების საჯარო-სამართლებრივი მოწესრიგების საკითხთან დაკავშირებით. მიუხედავად სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობისა, პერსონალური მონაცემების შემთხვევაში საკითხის მოწესრიგება, ადმინისტრაციული სამართლის მსგავსად, მკაცრად განსაზღვრული ჩარჩოების დაცვით უნდა მოხდეს. 18

პერსონალური მონაცემების გაცემის ან გაუცემლობის საფუძველზე შესაძლებელია მოთხოვნილ იქნეს როგორც ქონებრივი, ისე არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება. თითოეული ასეთი საკითხი კონკრეტული განსჯის საგანს წარმოადგენს და მისი მოწესრიგება კოდექსის შესაბამისი ნორმებით განისაზღვრება. 19

მუხლი 19. პირადი უფლებების დაცვა გარდაცვალების შემდეგ

მე-18 მუხლში აღნიშნული უფლებები შეუძლია გამოიყენოს იმ პირმაც, რომელიც, თუმცა თვითონ არ არის სახელის ან პირადი ღირსების უფლების მატარებელი, მაგრამ საამისოდ აქვს დაცვის ღირსი ინტერესი. მას შეუძლია სახელისა და ღირსების ისეთი დაცვის მოთხოვნის განხორციელება, რომელიც პიროვნების არსების განმსაზღვრელია და გრძელდება სიკვდილის შემდეგაც. სახელის, პატივის, ღირსების ან საქმიანი რეპუტაციის შელახვისათვის მორალური ზიანის ქონებრივი ანაზღაურების მოთხოვნა სიკვდილის შემდეგ დაუშვებელია.

I. ზოგადი დებულებანი 156
II. გარდაცვლილის არაქონებრივი უფლებები და მისი სამართლებრივი ფარგლები 156
1. ღირსი ინტერესის არსი 156
2. პიროვნების არსების განსაზღვრულობა სიკვდილის შემდეგ 157
3. მორალური ზიანის ქონებრივი ანაზღაურების სახით მოთხოვნის დაუშვებლობა 157
III. ნორმის კავშირი საავტორო სამართალთან 159

I. ზოგადი დებულებანი

1 ნორმის არსი სახელმწიფოს მხრიდან ადამიანის ხსოვნისადმი პატივისცემის გამოხატვას გულისხმობს.[1] აღნიშნული აისახება იმავე კონტექსტში, რაც ცოცხალი ადამიანის შემთხვევაში. განმცხადებელს არ გააჩნია უფლებამოსილება, სიტყვის თავისუფლების რეალიზაციიდან გამომდინარე, გაავრცელოს ცილისმწამებლური ინფორმაცია.[2] ამასთან, თმენის ვალდებულება პოლიტიკოსის ან საჯარო პირის გარდაცვალების შემდეგ იმავე კონტექსშტი, რაც მის სიცოცხლეში უშუალოდ სუბიექტს გააჩნდა, მის ოჯახის წევრებს ან დაცვის ღირსი ინტერესის მქონე სუბიექტებს ასევე, უნარჩუნდებათ.[3] მაგალითად, პოლიტიკოსის საზოგადოებრივი პოზიცია[4] და სხვ.

II გარდაცვლილის არაქონებრივი უფლებები და მისი სამართლებრივი ფარგლები

1. ღირსი ინტერესის არსი

2 გარდაცვლილი პირის დაცვა არა მხოლოდ მისი ახლობლების, არამედ

1 იხ. *მონიავა*, პირადი არაქონებრივი უფლებები, პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვის უფლება საზღვარგარეთის ქვეყნებში, გვ. 32.
2 *ნინიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 19, გვ. 80.
3 სუს გადაწყვეტილება, 5 დეკემბერი, 2001, №3კ/754-01.
4 *ნინიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 1, გვ. 81.

მთელი საზოგადოების ინტერესს წარმოადგენს[5] იმდენად, რამდენადაც არ განხორციელდეს სხვა პირებზეც ასეთი სახის შეურაცხმყოფელი ქმედება. თუმცა, მიუხედავად ინტერესის არსებობისა, მოთხოვნის დაყენების უფლება მხოლოდ მას შეუძლია, ვინც ღირსი ინტერესის მატარებელია (სპეციალური კანონიც განსაზღვრავს ასეთ შემთხვევას[6]). ასეთი პიროვნება შეიძლება იყოს: ოჯახის წევრი,[7] მეგობარი და სხვ., რომელიც განსაკუთრებით მტკივნეულად აღიქვამს გარდაცვლილის მიმართ არაქონებრივი უფლებების შელახვის ფაქტს. ღირსი ინტერესის მქონე პირის საკითხს სასამართლო ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვრავს.[8]

ღირსი ინტერესის მქონე პირი თავადაც იზღუდება შესაბამისი უფლებებით, არ მოახდინოს გარდაცვლილის შესახებ საიდუმლო ან უფლების შემლახავი ინფორმაციის გავრცელება,[9] თუკი კრიტიკა უხეშად არ ხელყოფს გარდაცვლილის ინტერესს.[10] ამდენად, გამოხატვის თავისუფლების არსიდან გამომდინარე, პირს შეიძლება პირადი საიდუმლოების შემცველი მონაცემის ინფორმაციის გასაჯაროებისას გარკვეული პასუხისმგებლობა დაეკისროს. **3**

2. პიროვნების არსების განმსაზღვრელობა სიკვდილის შემდეგ

პიროვნების არსების განსაზღვრა ღირსების უფლებიდან გამომდინარე ხდება. ადამიანის ღირსების მიმართ არსებობს გარდაცვალების შემდეგ მისი დაცვის ინტერესი იმდენად, რამდენადაც იგი პიროვნების არსს განსაზღვრავს და მასზეა პიროვნებისადმი პატივისცემის საკითხი დამოკიდებული.[11] **4**

3. მორალური ზიანის ქონებრივი ანაზღაურების სახით მოთხოვნის დაუშვებლობა

გარდაცვლილის არაქონებრივი უფლებების შელახვისთვის, მორალური ზიანის ანაზღაურების დაუშვებლობა არაქონებრივი ზიანის არსიდან გამომდინარეობს. გარდაცვლილი პირის მაგივრად სხვა პირს ვერ მიადგება რაიმე სახის მორალური ტანჯვა, ვინაიდან თითოეული ასეთი შემთხვევა მხოლოდ სუბიექტური აღქმის საგანს წარმოადგენს და ქმედება დამდგარი შედეგისთვის უშუალო წინაპირობას უნდა წარმოადგენდეს.[12] ასეთივე ჩანაწერია „სიტყვისა და გამოხატვის შესახებ“ საქართველოს კანონშიც.[13] **5**

5 *ნინიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 1, გვ. 79.

6 აღნიშნულის თაობაზე იხ. *სტურუა,* ქონებრივი ზიანის მომტანი ცნობების გახმაურება, სამართლის ჟურნალი, 1/2012, გვ. 159;

7 იხ. *ბიჭია,* პირადი ცხოვრების დაცვა, 2012, გვ. 251.

8 *ბარაბაძე,* სახელის, პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვის შესახებ აღძრულ საქმეთა განხილვისა და მორალური ზიანისათვის კომპენსაციის დაკისრების ზოგიერთი თავისებურებანი, მართლმსაჯულება და კანონი, №4(31)11, გვ. 103.

9 *ნინიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 19, გვ. 80.

10 *პეპანაშვილი,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, 2014, გვ. 192.

11 იხ. *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, გვ. 159.

12 სუს გადაწყვეტილება – 27 დეკემბერი, 2012, №ბს-78(კ-12).

13 იხ. ნორმის კრიტიკა: *ბიჭია,* პირადი ცხოვრების დაცვა, 2012, გვ. 256-257.

6 არაქონებრივი ზიანის ქონებრივი ანაზღაურების მოთხოვნის დაუშვებლობა სუბიექტის არარსებობასთანაა კავშირში. თუ სუბიექტს უშუალოდ არ ადგება სულიერი ტანჯვა, სხვა პირი ვერ განსაზღვრავს, თუ რა სახით უნდა იქნეს სასამართლოში მოთხოვნა დაყენებული.[14] მორალური ზიანი პიროვნეული უფლების ხელყოფით გამოწვეული ზიანია და სწორედ ამიტომ აქვს მისი ანაზღაურების მოთხოვნის უფლება მხოლოდ სუბიექტს[15] (გარდაცვლილი არ შეიძლება იყოს უფლებებისა და მოვალეობების სუბიექტი[16] და შესაბამისად, ამ ასპექტში შეუძლებელი იქნება უფლებამონაცვლეობის სახით შესაბამისი მოთხოვნის დაყენება[17]).

7 ადამიანი, ანუ სამართლებრივ ურთიერთობათა სუბიექტი, გარდაცვალების შემდეგ ქრება, თუმცა მის პიროვნებას გააჩნია განსაკუთრებული სულიერი ღირებულება, რომელიც გრძელდება მისი გარდაცვალების შემდეგაც.[18] ამასთან, პირადი არაქონებრივი უფლებები მემკვიდრეობით არ გადაიცემა.[19] ეს დათქმა ეფუძნება იმ შემთხვევას, რომ არაქონებრივი უფლებები პიროვნული ხასიათის მატარებელია.[20] შესაბამისად, გარდაცვლილის მემკვიდრეების მიერ ხორციელდება გარდაცვლილის პიროვნული უფლებებისა და არა მემკვიდრეობით მიღებული უფლებების დაცვა.[21] მემკვიდრეობით პირმა შეიძლება მიიღოს, მაგალითად, საკუთრების უფლება, რაც ბრუნვაუნარიან სიკეთესთან მიმართებით განკარგვის წინაპირობებს წარმოშობს. აღნიშნული წესი მოქმედებს მიუხედავად უფლების დარღვევის ხასიათისა. თუნდაც სისხლისსამართლებრივი ურთიერთობიდან (მკვლელობა, რომლის თაობაზე განაჩენია კანონიერ ძალაში შესული) გამომდინარე მოითხოვოს პირმა არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება, თუ სუბიექტი, ვისაც მიადგა ზიანი, ცოცხალი აღარაა, მას ასეთი მოთხოვნისთვის სამართლებრივი საფუძველი არ წარმოეშობა.[22] თავის მხრივ, მოთხოვნის დაუშვებლობის საფუძველს უშუალოდ წარმოადგენს იმ სუბიექტის არარსებობა, რომელიც გარდაიცვალა, აღარ შეუძლია საკუთარი უფლებების დაცვა. სასამართლო საკითხის განხილვისას სწორედ განსახილველი მუხლიდან გამოვა.[23]

8 აღნიშნული მსჯელობა განსხვავდება შემთხვევისგან, როდესაც მოხდა პირისთვის ისეთი სახის განაჩენის გამოტანა, რომლის უფლებამოსილებაც სასამართლოს არ გააჩნდა. ასეთის არსებობისას, სასამართლო პრაქტიკა მსჯელობის საგნად განსაზღვრავს იმას, თუ რამდენად შესაძლებელია მე-19 მუხლზე დაფუძნებით გარდაცვლილის ახლობლების (მშობლები და სხვ.)

14 სუს განჩინება, 30 ივნისი, 2005, №ას-1433-1531-04.
15 სუს გადაწყვეტილება, 5 დეკემბერი, 2001, №3კ/754-01.
16 სუს განჩინება, 14 აპრილი, 2005, №ას-1401-1526-04.
17 სუს გადაწყვეტილება, 3 აპრილი, 2012, №ბს-1107-1096(კ-11).
18 *ნინიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 19, გვ. 79.
19 იხ. სუს განჩინება, 14 აპრილი, 2005, №ას-1401-1526-04.
20 სუს განჩინება, 26 ნოემბერი, 2015, №ას-889-389-2015.
21 *ნინიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 19, გვ. 81
22 იხ. სუს გადაწყვეტილება, 24 აპრილი, 2002, №3კ-1218-01 – აღნიშნული სასამართლო პრაქტიკის კრიტიკა იხილეთ: *ჩიკვაშვილი*, პასუხისმგებლობა მორალური ზიანისთვის, გვ. 133.
23 იხ. იგივე გადაწყვეტილება, მათ შორის: იხ. აღწერილობითი ნაწილი.

მიერ არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმა.[24] დასახელებული შემთხვევისას ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს გარდაცვლილი პირის უფლებებისა და პირის გარდაცვალების შედეგად, მაგალითად, მისი მშობლების უფლებების დაცვის საკითხი, მათთვის შესაბამისი არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება[25] და სხვ.

III. ნორმის კავშირი საავტორო სამართალთან

9 არაქონებრივი უფლებების დაცვა აისახება სპეციალურ კანონში. ნაწარმოების ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვა „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის საფუძველზე შესაძლებელია შესაბამისი პირების მიერ.[26] ასეთი დანაწესი შესაბამამება მე-18 და მე-19 მუხლებს.

10 კერძოდ, ავტორობის, სახელისა და ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება მემკვიდრეობით არ გადადის, მაგრამ მემკვიდრეებს აქვთ მხოლოდ ამ უფლებათა დაცვის განხორციელების უფლებამოსილება, რომელიც ხანდაზმულობის ვადით არ იზღუდება. მეტიც, თუ მემკვიდრეები არ არსებობენ, ან არაჯეროვნად ახორციელებენ ავტორობის, სახელისა და ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლებათა დაცვას, მაშინ მათი დაცვა შეიძლება აწარმოოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულმა ცენტრმა – „საქპატენტმა“.

24 იხ. სუს განჩინება, 5 აგვისტო, 2009, №ბს-1512-1478(კ-02).
25 იხ. მაგალითად, სუს გადაწყვეტილება – 27 დეკემბერი, 2012, №ბს-78(კ-12).
26 იხ. სუს დიდი პალატის განჩინება, 3 იანვარი, 2002, №3კ/35-02.

მუხლი 20. საცხოვრებელი ადგილი

1. ფიზიკური პირის საცხოვრებელ ადგილად მიიჩნევა ადგილი, რომელსაც იგი ჩვეულებრივ საცხოვრებლად ირჩევს. პირს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი.

2. არასრულწლოვანის საცხოვრებელ ადგილად ითვლება მშობლის უფლებამოსილების მქონე მშობლების საცხოვრებელი ადგილი, ხოლო სამეურვეო პირისა – მეურვის საცხოვრებელი ადგილი.

3. პირის საცხოვრებელი ადგილი არ უქმდება, თუ იგი იძულების წესით ან სახელმწიფოებრივი მოვალეობის შესასრულებლად განსაზღვრული ვადით ტოვებს ამ ადგილს.

I. ზოგადი განმარტებანი 160
II. 20 I საცხოვრებელი ადგილის განმარტება 161
1. საცხოვრებელი ადგილის არჩევის უფლებამოსილება 161
2. რამდენიმე საცხოვრებელი ადგილის ქონის შესაძლებლობა 162
3. განსხვავება საცხოვრებელ ადგილსა და ადგილსამყოფელს შორის 162
4. განსხვავება საცხოვრებელ ადგილსა და რეგისტრაციის ადგილს შორის 162
5. განსხვავება ფიზიკური პირის საცხოვრებელ ადგილსა და იურიდიული პირის იურიდიულ მისამართს შორის 163
III.20 II არასრულწლოვნისა და სამეურვეო პირის საცხოვრებელი ადგილი 163
IV. 20 III საცხოვრებელი ადგილის გაუქმების სამართლებრივი წინაპირობები 163
V. კავშირი სხვა სამართლებრივ ინსტიტუტებთან 164
1. პირის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება 164
2. ვალდებულებითი სამართალი 164
3. სამკვიდროს გახსნის ადგილი 165
4. საერთაშორისო კერძო სამართალი 165
5. ნორმის დატვირთვა საჯარო სამართალში 165
VI. ნორმის დატვირთვა სამოქალაქო-საპროცესო სამართალში 165

I. ზოგადი განმარტებანი

1 საცხოვრებელი ადგილი პირის სამოქალაქო-სამართლებრივი იდენტიფიკაციის საშუალებას წარმოადგენს.[1] განსახილველი ნორმა ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლში არსებულ დათქმას, რომლის მიხედვითაც პირი საცხოვრებელი ადგილის არჩევაში თავისუფალია. თავის მხრივ, არჩევანის გაკეთების თავისუფლება გარკვეულ ჩარჩოებშია მოქცეუ-

1 *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 205.

ლი, რომელსაც გარდა სამოქალაქო კოდექსისა, სპეციალური კანონები და საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება განსაზღვრავს. საცხოვრებელი ადგილის კონსტიტუციური უფლება შეზღუდული ხასიათისაა. კანონი აწესებს მკაცრ ჩამონათვალს, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია ასეთი სახის უფლება შეიზღუდოს.[2]

II. 20 I საცხოვრებელი ადგილის განმარტება

საცხოვრებელი ადგილის სამართლებრივი მნიშვნელობა ყოველდღიური ყოფითი ცხოვრების მოწესრიგებიდან გამომდინარეობს.[3] მისი ასახვა ხდება როგორც კერძო, ისე საჯარო-სამართლებრივ ურთიერთობებში და მასზე მრავალი უფლება და მოვალეობაა დამოკიდებული.[4] საცხოვრებელი ადგილი შეიძლება განიმარტოს ადგილად, რომელიც ადამიანის უმთავრეს ადგილსამყოფელს წარმოადგენს და რომელსაც ძირითად საცხოვრებლად ირჩევს იგი.[5] **2**

1. საცხოვრებელი ადგილის არჩევის უფლებამოსილება

საცხოვრებელი ადგილის არჩევაში პირი თავისუფალია. აღნიშნული შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრულ ნორმას და პირის მიერ ყოველგვარი ზემოქმედების გარეშე შესაბამისი ნების გამოვლენას გულისხმობს.[6] საცხოვრებელი ადგილის არჩევის თავისუფლება და, შესაბამისად, მისი რეგისტრაცია არ წარმოადგენს გარიგებას.[7] ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანხმად, შესაძლებელია საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევის ორი ძირითადი პრინციპის გამოყოფა: ა) იგი დამოკიდებულია პირის ნებაზე და ბ) პირს უნდა გააჩნდეს შესაძლებლობა, მოახდინოს საცხოვრებელი ადგილის დაფუძნება.[8] **3**

საცხოვრებელი ადგილის არჩევის თავისუფლება განსაზღვრულია საოჯახო სამართალშიც, რომლითაც მეუღლეებს კანონი ასეთი სახის ქმედების განხორციელებას ანიჭებს (1157). იმის გათვალისწინებით, რომ საცხოვრებელი ადგილის არჩევის თავისუფლება თავისი არსით აბსოლუტურ უფლებათა კატეგორიას არ განეკუთვნება, კანონი საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობისას შეზღუდვას აწესებს. შეზღუდვის არსი ოჯახის ინტერესებისადმი შეწინააღმდეგებას გულისხმობს. **4**

2 იხ. *კორკელია,* თავისუფალი მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევის უფლება საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ქართული სამართლის მიმოხილვა, 7/2004-4, გვ. 668 და შემდგომი.

3 *Bamberger/Roth/Bamberger,* BGB. §7, 2012, Rn. 2.

4 იხ. მაგ., სუს განჩინება, 9 ივნისი, 2011, №ბს-1896-1849(კ-10).

5 *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 207.

6 *ტუღუში/ბურჯანაძე/მშვენიერაძე/გოცირიძე/მენაბდე,* ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, გვ. 282.

7 MüKo*/Schmitt,* BGB, 5. Aufl., 2009, §7, Rn. 18.

8 პრინციპების ასეთი სახით ჩამოთვლა ეფუძნება შემდეგ ლიტერატურას: *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 208-209.

2. რამდენიმე საცხოვრებელი ადგილის ქონის შესაძლებლობა

5 რამდენიმე საცხოვრებელი ადგილის ქონის უფლებამოსილება პირის მიერ თავისუფალი არჩევანის გაკეთების შესაძლებლობიდან გამომდინარეობს. აღნიშნული არ ეხება ისეთ შემთხვევებს, როდესაც პირს დროებითი საცხოვრებელი სადგომი მიეცემა სხვა ფართზე[9] ან თავად ირჩევს მას.

6 **რამდენიმე საცხოვრებელი ადგილის არსებობა არ გულისხმობს რამდენიმე ადგილზე პირის რეგისტრაციას.** ასეთი დათქმა უმთავრესად, საჯარო-სამართლებრივი ვალდებულებების განხორციელების საფუძვლებიდან გამომდინარეობს, ვინაიდან გარკვეული საჯარო მიზნების შესასრულებლად, პირს კონკრეტული ჩაწერის ადგილი მხოლოდ ერთ მისამართზე უნდა გააჩნდეს.

3. განსხვავება საცხოვრებელ ადგილსა და ადგილსამყოფელს შორის

7 საცხოვრებელი ადგილისგან განსხვავებით, ადგილსამყოფელი წარმოადგენს პირის მიერ დროებით გამოსაყენებელ ადგილს. თუ პირს ადგილსამყოფელი არ აქვს საცხოვრებელ ადგილად განსაზღვრული, მაშინ იგი ჩაითვლება დროებით საცხოვრებელ სადგომად, რომელიც შეიძლება იყოს დასასვენებელი ადგილი, ან ნებისმიერი ისეთი ადგილი, სადაც პირი მუდმივად დაფუძნებასა და ცხოვრებას არ გადაწყვეტს.

8 ადგილსამყოფელს მეორადი დატვირთვა გააჩნია. აღნიშნული, უპირველეს ყოვლისა, სამოქალაქო-საპროცესო ნორმებიდან გამომდინარეობს, რომლის მიხედვითაც, სარჩელი მოპასუხის ადგილსამყოფელის მიხედვით მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიტანება, თუ მას საცხოვრებელი ადგილი არ გააჩნია.[10]

4. განსხვავება საცხოვრებელ ადგილსა და რეგისტრაციის ადგილს შორის

9 პირს გააჩნია უფლებამოსილება, რეგისტრაცია განახორციელოს როგორც საცხოვრებელ, ისე სხვა ადგილზე. საქართველოს კანონმდებლობა არ ადგენს აღნიშნული ორი ცნების ერთმანეთისგან გამომრიცხავ გარემოებას.[11] რეგისტრაციის ადგილი უმეტეს შემთხვევაში მხოლოდ ერთ უძრავ ნივთზე ხდება, მაშინ, როდესაც განსახილველი ნორმით პირს შეიძლება რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი გააჩნდეს.

10 რეგისტრაციის ადგილის განსაზღვრა პრაქტიკულ დანიშნულებას, უპირველეს ყოვლისა, საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობების დროს პოვებს. მაგალითად, საქართველოს საარჩევნო კოდექსიდან გამომდინარე, რომლის საფუძველზეც (31 III), ამომრჩეველთა ერთიან სიაში ამომრჩევლის მონაცემები შეიტანება მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით. რეგისტრაციის განხორციელება ავტომატურად არ წარმოშობს პირის საცხოვრებელი ადგილის დაფუძნებას.[12]

9 იხ. სუს განჩინება – აღწერილობითი ნაწილი, 23 ივლისი, 2012, №ას-791-755-2012.
10 იხ. სუს განჩინება, 28 ივლისი, 2010, №ბს-823-796(გ-10).
11 იხ. სუს განჩინება – აღწერილობითი ნაწილი, 4 ნოემბერი, 2008, №ას-595-822-08.
12 *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 208.

5. განსხვავება ფიზიკური პირის საცხოვრებელ ადგილსა და იურიდიული პირის იურიდიულ მისამართს შორის

11 ისევე როგორც ფიზიკური პირის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრისას, იურიდიული პირის იურიდიულ მისამართს (ადგილსამყოფელს) მნიშვნელოვანი დატვირთვა გააჩნია როგორც კერძო, ისე საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგებისთვის (მაგალითად, საპროცესო ნორმებიდან გამომდინარე).[13] აღნიშნულის ერთ-ერთ შემთხვევას რეგისტრაციისთვის ადგილსამყოფელის მითითების სავალდებულობა წარმოადგენს. **ფიზიკური პირის არსებობა თუ შესაძლებელია საცხოვრებელი ადგილის მითითების გარეშე, იურიდიული პირის რეგისტრაცია** და შესაბამისად, მისი სახელით საქმიანობის განხორციელება **იურიდიული მისამართის გარეშე დაუშვებელია.** აღნიშნული დათქმა, უპირველეს ყოვლისა, კანონმდებლის მიერ იურიდიული პირის გეოგრაფიული მდგომარეობის აღსანიშნავად გამოიყენება.[14] **საცხოვრებელი ადგილი შეიძლება გააჩნდეს მხოლოდ ფიზიკურ პირს.** იურიდიულ პირს კი მხოლოდ იურიდიული მისამართი გააჩნია.

III. 20 II არასრულწლოვნისა და სამეურვეო პირის საცხოვრებელი ადგილი

12 კანონი პირდაპირ განსაზღვრავს საცხოვრებელი ადგილის საკითხს იმ პირებისთვის, რომელთაც არ გააჩნიათ შესაძლებლობა, დამოუკიდებლად აირჩიონ იგი (**კანონით განსაზღვრული საცხოვრებელი ადგილი**).[15] ერთი მხრივ, ასეთ პირად შეიძლება მიჩნეულ იქნეს ნებისმიერი ფიზიკური პირი, რომელსაც არ მიუღწევია სრულწლოვანების ასაკისთვის (გარდა ემანსიპაციის შემთხვევისა) ან/და მეორე მხრივ, პირი, რომელსაც კანონით დადგენილი წესით დანიშნული ჰყავს მეურვე და მიჩნეულია არაქმედუნარიან პირად.[16]

13 არასრულწლოვნის საცხოვრებელი ადგილი კანონითაა განსაზღვრული იმ შემთხვევაშიც, თუ მეუღლეები განქორწინდებიან და ცალ-ცალკე გადაწყვეტენ ცხოვრებას (1201). ასეთ შემთხვევაში, სწორედ მათ მიერ უნდა იქნეს შეთანხმება მიღწეული, თუ რა ჩაითვლება არასრულწლოვნისთვის კანონით გათვალისწინებულ საცხოვრებელ ადგილად.

IV.20 III საცხოვრებელი ადგილის გაუქმების სამართლებრივი წინაპირობები

14 საცხოვრებელი ადგილის გაუქმება უმეტეს შემთხვევაში ხდება ახალი საცხოვრებელი ადგილის დაფუძნებით,[17] რომლის დროსაც პირს გააჩნია უფლებამოსილება, საკუთარი ნება დააფიქსიროს შესაბამის ორგანოში. **იძულების წესით საცხოვრებელი ადგილის დატოვების შემთხვევაში** მისი გაუქმე-

13 იხ. MüKo/*Reuter,* BGB, 5. Aufl., 2009, § 24, Rn. 1.
14 იხ. *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 207.
15 იქვე, გვ. 205.
16 *ჭანტურია,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 20, გვ. 88.
17 *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 212.

ბა დაუშვებელია და პირს რჩება ძველი საცხოვრებელი ადგილი.[18] ასეთი მაგალითი შეიძლება იყოს კანონიერ ძალაში შესული სისხლისსამართლებრივი განაჩენი, საომარი მდგომარეობის გათვალისწინებით შესაბამისი ადგილის დატოვება;[19] აღნიშნული საკითხი ზოგ შემთხვევაში სპეციალური ნორმის მოწესრიგების საგანია. მაგალითად, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც დევნილის მუდმივი საცხოვრებელი ადგილის ცნებას განსაზღვრავს.[20] მიუხედავად იძულებითი წესით გადაადგილებისა, აღნიშნული პირი წარმოადგენს საქართველოს სხვა მოქალაქეებთან გათანაბრებულს და მისი უფლებები საცხოვრებელი ადგილის არჩევის საკითხთან დაკავშირებით არსებითად არ უნდა განსხვავდებოდეს ჩამოყალიბებული ქცევის წესისგან.[21]

15 საცხოვრებელი ადგილის გაუქმების დაუშვებლობაა განსაზღვრული, ასევე მაშინ, როდესაც **პირი სახელმწიფოებრივ ვალდებულებას ასრულებს,** რაც სამხედრო სამსახურში მსახურობას ან შეიძლება დიპლომატიური მისიით სხვა ქვეყანაში სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებას გულისხმობდეს და სხვ.

V. კავშირი სხვა სამართლებრივ ინსტიტუტებთან

1. პირის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება

16 21-ე მუხლის მიხედვით, საცხოვრებელ ადგილზე პირის გამოჩენის საკითხს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მის უფლებებსა და ვალდებულებებთან დაკავშირებით, რომლის საფუძველზეც უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება სწორედ საცხოვრებელი ადგილისა და ადგილსამყოფელის საკითხზეა დაფუძნებული.

2. ვალდებულებითი სამართალი

17 საცხოვრებელი ადგილის სამართლებრივი ინსტიტუტი მნიშვნელოვან როლს იკავებს ვალდებულებით სამართალში, სადაც აღნიშნულთან უშუალოდ კავშირშია: ხელშეკრულების ცალკეული დებულების განმარტების (337),

18 *კობახიძე*, სამოქალაქო სამართალის ზოგადი ნაწილი, გვ. 132.

19 იხ. *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 212.

20 შედარების თვალსაზრისით იხილეთ სუს განჩინება, 9 ივნისი, 2011, №ბს-1896-1849(კ-10), რომელიც დევნილთა მუდმივი საცხოვრებელი ადგილის სტატუსს განსაზღვრავს (სასამართლო გადაწყვეტილება ეფუძნება „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონში გაწერილ მოწესრიგებას, რომელიც 2014 წელს გაუქმებულ იქნა, ხოლო მის ნაცვლად მოქმედებს „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონი. ორივე შემთხვევაში შედარების კუთხით სასამართლო პრაქტიკის განხილვა რელევანტური ხასიათისაა).

21 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 7 ნოემბრის №2/7/219 გადაწყვეტილება საქმეზე მოქალაქეები: ჯანო ჯანელიძე, ნინო უბერი, ელეონორა ლაგვილავა და მურთაზ თოდრია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

ვალდებულების შესრულების ადგილის (362 II), კრედიტორის საცხოვრებელი ადგილის შეცვლით გამოწვეული ხარჯების ანაზღაურების (363, ასევე 432 II), ფულადი ვალდებულების შესრულების ადგილის (386), თავდებობის ვალდებულებისგან გათავისუფლების (904 I ბ) საკითხები.

3. სამკვიდროს გახსნის ადგილი

ნორმის დატვირთვა განსაკუთრებით მნიშნელოვანია მემკვიდრეობის სამართალში. კერძოდ, სამკვიდროს გახსნა უნდა მოხდეს მამკვიდრებლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით (1324 I). აღნიშნული ნორმა ადგენს სამკვიდროს გახსნის ტერიტორიულობის პრინციპს. 18

4. საერთაშორისო კერძო სამართალი

საერთაშორისო კერძო სამართალში საცხოვრებელი ადგილის სამართლებრივ ინსტიტუტს მნიშნელოვანი დატვირთვა გააჩნია იმდენად, რამდენადაც სწორედ ამ უკანასკნელის საფუძველზე შეიძლება იქნეს გადაწყვეტილი, რამდენად შეესაბამება საკითხის გადაწყვეტა საქართველოს სასამართლოების იურისდიქციას. მაგალითად, მათ ასეთი უფლებამოსილება შეიძლება მიენიჭოთ, თუ მოპასუხე მხარეს საქართველოში საცხოვრებელი ადგილი ექნება („საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლი). 19

5. ნორმის დატვირთვა საჯარო სამართალში

საცხოვრებელი ადგილის სტატუსი საჯარო სამართალში რამდენიმე ძირითადი მიზნის შესასრულებლადაა გათვალისწინებული. მაგალითად, საგადასახადო მიზნები, რომლისთვისაც საცხოვრებელ ადგილს უპირატესი როლი ენიჭება. ასევე შეიძლება ცალკე გამოიყოს საპოლიციო სამართლის დარგი, რომლის მიზნების შესრულებისთვისაც დაუშვებელია პირს ხანგრძლივად შეეზღუდოს საცხოვრებელი ადგილით სარგებლობის უფლება და სხვ. 20

VI. ნორმის დატვირთვა სამოქალაქო-საპროცესო სამართალში

საცხოვრებელი ადგილის სამართლებრივი ინსტიტუტი საპროცესო სამართალში დატვირთვას პოვებს, რამდენადაც სამოქალაქო სარჩელი მოპასუხის ადგილსამყოფელის მიხედვით შეიტანება (საერთო განსჯადობა). აღნიშნული წარმოადგენს განსჯადი სასამართლოს განსაზღვრის უმთავრეს სამართლებრივ წინაპირობას, რაზეც სასამართლო უწყების გაგზავნის საკითხია დაკავშირებული (იხ. ასევე, ამავე კანონის 38-ე მუხლი).[22] 21

22 იხ. მაგ., სუს განჩინება – აღწერილობითი ნაწილი, 21 ივლისი, 2014, №ას-377-354-2014.

მუხლი 21. პირის აღიარება უგზო-უკვლოდ დაკარგულად

1. დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე ფიზიკური პირი შეიძლება სასამართლოს გადაწყვეტილებით აღიარებულ იქნეს უგზო-უკვლოდ დაკარგულად, თუ მისი ადგილსამყოფელი უცნობია და ორი წლის მანძილზე იგი არ გამოჩენილა თავის საცხოვრებელ ადგილას. გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ კანონით მემკვიდრეები მოიპოვებენ უფლებამოსილებას, უკვალოდ დაკარგულის ქონება მართონ მინდობილი საკუთრების სახით, მათ შორის, მიიღონ მისგან სარგებელი. ამ ქონებიდან მიეცემა სარჩო უგზო-უკვლოდ დაკარგულის რჩენაზე მყოფ პირებს და დაიფარება ვალები.

2. უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებული პირის დაბრუნების ან მისი ადგილსამყოფლის აღმოჩენის შემთხვევაში უქმდება სასამართლოს გადაწყვეტილება მისი ქონების მართვის შესახებ. მეურნეობის სათანადო გაძღოლით მიღებული სარგებლის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება მას არა აქვს.

I. ზოგადი დებულებანი 167
II. 21 I უგზო-უკვლოდ დაკარგვის სამართლებრივი ინსტიტუტი 167
1. დაინტერესებული პირის ცნება 167
2. კუმულატიური წინაპირობების არსებობის სავალდებულობა 168
3. კანონით მემკვიდრეების უფლება-მოვალეობანი 168
4. უგზო-უკვლოდ დაკარგულის რჩენაზე მყოფი პირისა და კრედიტორთა დაკმაყოფილების ვალდებულება 169
III. 21 II უგზო-უკვლოდ დაკარგულის დაბრუნების სამართლებრივი შედეგები 169
1. სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმება 169
2. ანაზღაურების მოთხოვნის ფარგლები 170
IV. უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება, როგორც პირის გარდაცვლილად გამოცხადების წინაპირობა 170
V. კავშირი სხვა სამართლებრივ ინსტიტუტებთან 171
1. საკუთრების მინდობა 171
2. უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების სამართლებრივი დატვირთვა საოჯახო სამართალში 171
3. უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების სამართლებრივი ინსტიტუტი საერთაშორისო კერძო სამართალში 171
VI. ნორმის დატვირთვა საპროცესო სამართალში 172

I. ზოგადი დებულებანი

ფიზიკური პირის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება წარმოადგენს სამართლებრივ პრეზუმფციას,[1] რომელიც გარკვეულ ფაქტორებზე დაყრდნობით ეფუძნება დასაბუთებულ ეჭვს.[2] აღნიშნული წარმოადგენს მე-11 მუხლისგან განსხვავებულ შემთხვევას, როდესაც პირის უფლებაუნარიანობის დასრულება არა მის ფიზიოლოგიურად დადასტურებულ გარდაცვალებაზე (11 III), არამედ ვარაუდზეა დამყარებული.[3] თავის მხრივ, ვარაუდი უნდა იყოს შესაბამისი დასაბუთებით გაჯერებული. მხოლოდ დაინტერესებული პირის მოსაზრება და მის მიერ სავარაუდო ფაქტების წარდგენა ვერ გახდება შესაბამისი პირის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების სამართლებრივი წინაპირობა.[4] 1

უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების უფლებამოსილება გააჩნია მხოლოდ სასამართლოს. კანონი ამ კუთხით იმპერატიულ მოთხოვნას აყენებს. აღნიშნული გამომდინარეობს პირის უფლებების დაცვის მიზნიდან, რომლის დადასტურებისთვის სავალდებულოა შესაბამისი მტკიცებულების არსებობა.[5] სასამართლოს მიერ საქმის განხილვა არ იქნება მიზანშეწონილი, თუ საკითხის გადაწყვეტა ადმინისტრაციული წესით მოხდება.[6] 2

II. 21 I უგზო-უკვლოდ დაკარგვის სამართლებრივი ინსტიტუტი

1. დაინტერესებული პირის ცნება

კანონი არ განსაზღვრავს, თუ ვინ შეიძლება იყოს დაინტერესებული პირი, რომელიც სასამართლოში უდავო წარმოების საქმეს დაიწყებს პირის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების თაობაზე. ამდენად, ყოველ კონკრეტულ პირს აქვს უფლებამოსილება, მიმართოს აღნიშნულის შესახებ სასამართლოს და სწორედ სასამართლო გამოარკვევს შემდგომში, თუ რამდენადაა სახეზე განმცხადებელი პირის იურიდიული ინტერესი. ასეთი ინტერესი[7] შესაბამისობაში მოდის მიზანთან, რომელიც განმცხადებელს ასეთი გადაწყვეტილების გამოტანის თვალსაზრისით უნდა გააჩნდეს.[8] 3

დაინტერესებულ პირს შეიძლება წარმოადგენდეს სამოქალაქო აქტების განმახორციელებელი ორგანო, ასევე ნებისმიერი ის ორგანო, რომელიც დაინტერესებულია საქმის სწორად გადაწყვეტის კუთხით.[9] ამასთან, სასამართლომ უნდა უზრუნველყოს ყველა იმ პირის ჩართვა საქმეში, ვისაც კანონიერი ინტერესი ექნება საქმის გადაწყვეტის თვალსაზრისით და ასევე 4

1 *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 189.
2 *პეპანაშვილი,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, 2014, გვ. 203.
3 *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, გვ. 108.
4 იხ. სუს განჩინება, 28 თებერვალი, 2006, №ას-923-1157-05.
5 იხ. მაგ., სუს განჩინება, 25 იანვარი, 2011, №ას-681-637-2010.
6 *ძლიერიშვილი,* სამოქალაქო-საპროცესო სამართლის ცალკეული საკითხები, 2007, გვ. 35.
7 *პეპანაშვილი,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, 2014, გვ. 200.
8 *ძლიერიშვილი,* სამოქალაქო-საპროცესო სამართლის ცალკეული საკითხები, 2007, გვ. 45.
9 იქვე, გვ. 27.

სურვილი ექნება, მონაწილეობის მიღების საფუძველზე შესაბამისი მოსაზრება წარადგინოს.[10] იმ შემთხვევაში, თუ სასამართლომ არ ჩართო დაინტერესებული პირები საქმეში, შესაძლებელია მათ მიერ კანონით დადგენილი წესით სასამართლო გადაწყვეტილება სააპელაციო წესით იქნეს გასაჩივრებული (კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების შემთხვევაში განისაზღვრება ცალკეული მოწესრიგება).[11] აღნიშნული ასაბუთებს დაინტერესებული პირის ჩართვის მნიშვნელობის ფაქტს.

2. კუმულატიური წინაპირობების არსებობის სავალდებულობა

5 დაინტერესებული პირის განცხადება, გარდა მისი ინტერესისა, უპირველეს ყოვლისა, ორ ძირითად გარემოებას უნდა ეფუძნებოდეს. კერძოდ, იმ პირის შესახებ, რომლის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების საკითხს ეხება განცხადება: ა) არ უნდა მოიპოვებოდეს მისი ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაცია და ბ) იგი ორი წლის მანძილზე არ უნდა იყოს მის საცხოვრებელ ადგილას გამოჩენილი. თუ ამ ორიდან ერთ-ერთი პირობა მაინც არ არის სახეზე, სასამართლომ განმცხადებელს განცხადების დაკმაყოფილებაზე უარი უნდა უთხრას.[12]

6 პირის **ადგილსამყოფელად** შეიძლება ჩაითვალოს ნებისმიერ ქვეყანაში არსებული ტერიტორია, სადაც იგი დროებით, ან უვადოდ (თავისი ნებით ან იძულების წესით) არის დაფუძნებული. ასეთი შეიძლება იყოს უცხო ქვეყნის რომელიმე სამსახურში მუშაობა, ან უცხო ქვეყანაში პატიმრობა და სხვ. **საცხოვრებელ ადგილად** ჩაითვლება მე-20 მუხლში გაწერილი ნორმის შესაბამისად, პირის მიერ არჩეული ასეთი ადგილი.

7 იმ შემთხვევაში, თუ პირის მიმართ ხორციელდება ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება და იგი შეგნებულად თავს არიდებს გამოჩენას, მისი მაიდენტიფიცირებელი მონაცემების გასაჯაროებას და სხვ., ასეთი ქმედება არ ჩაითვლება პირის უგზო-უკვლოდ დაკარგვად. მხოლოდ საქართველოს საზღვრის გადაკვეთა არ წარმოადგენს განსახილველი ნორმის სამართლებრივ საფუძველს,[13] რაც სასამართლოს მიერ უნდა იქნეს სამართლებრივი წინაპირობების სახით გაზიარებული.[14]

3. კანონით მემკვიდრეების უფლება-მოვალეობანი

8 უგზო-უკვლოდ დაკარგვა თავის თავში შესაბამისი სამართლებრივი ქმედების განხორციელების დამაბრკოლებელ გარემოებას არ წარმოადგენს.[15] სასამართლოს მიერ ასეთი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის

10 დაინტერესებული პირის თაობაზე იხილეთ: სუს დიდი პალატის განჩინება, 4 ნოემბერი, 2002, №3გ/ად-204-კ-02.
11 *ძლიერიშვილი,* სამოქალაქო-საპროცესო სამართლის ცალკეული საკითხები, 2007, გვ. 38-39.
12 იქვე, გვ. 49.
13 იხ. სუს განჩინება, 5 აპრილი, 2013, №ას-1612-1513-2012.
14 *ძლიერიშვილი,* სამოქალაქო-საპროცესო სამართლის ცალკეული საკითხები, 2007, გვ. 47.
15 იხ. სუს განჩინება, 15 ივნისი, 2005, №ას-42-431-05.

შემდეგ, უგზო-უკვლოდ დაკარგულის კანონით მემკვიდრეებს (იხ. 1336 და შემდგომი) მის ქონებაზე მინდობილი საკუთრების სახით (724 და შემდგომი) მართვის უფლება წარმოეშობათ. კანონი განსაზღვრავს სარგებლის მიღების უფლებამოსილებასაც, რაც კანონით მემკვიდრეებს ასეთ შემთხვევაში მესამე პირებთან მიმართებით მას მესაკუთრის უფლებამოსილებებს ანიჭებს.[16]

9 პირის უგზო-უკვლოდ აღიარების შემთხვევაში არ იხსნება მემკვიდრეობა.[17] აღნიშნული გულისხმობს, რომ მისი ქონების მესაკუთრეები ვერ გახდებიან კანონით მემკვიდრეები. მაგალითად, კანონით მემკვიდრე ვერ დაირეგისტრირებს თავის სახელზე დაკარგული პირის უძრავ ქონებას და სხვ.

10 კანონით მემკვიდრეების უფლებამოსილებანი განისაზღვრება, ასევე, საპროცესო-სამართლებრივი ნორმებითაც. საქმეში, რომელშიც დაკარგული უნდა მონაწილეობდეს, მის ინტერესებს ის პირი დაიცავს, ვინც მინდობილი საკუთრების გზით ახორციელებს ქონების მართვას (სამოქალაქო-საპროცესო კოდექსის 101 III მუხლი).[18]

4. უგზო-უკვლოდ დაკარგულის რჩენაზე მყოფი პირისა და კრედიტორთა დაკმაყოფილების ვალდებულება

11 დაკარგულად აღიარებული პირის რჩენაზე მყოფ პირებს უნდა მიეცეს შესაბამისი სარჩო, რომლის გამოანგარიშება უშუალოდ დაკარგულის ქონებიდან ხორციელდება. სარჩენის უფლებამოსილებისა და, შესაბამისად, მარჩენალის ვალდებულების საკითხი შესაძლებელია მხარეთა მიერ ცალკე სახით იყოს შეთანხმებული (941 და შემდგომი მუხლების შესაბამისად). იმ შემთხვევაში, თუ უგზო-უკვლოდ დაკარგულს გააჩნია ვალი და კრედიტორთა მიერ წარმოდგენილია უტყუარი მტკიცებულება (ხელშეკრულება ან ნებისმიერი სახის შეთანხმება, რომელიც კანონმდებლობასთან იქნება შესაბამისობაში მოსული) აღნიშნულის თაობაზე, კანონით მემკვიდრეებს ასევე წარმოეშობათ ვალდებულება, კანონით განსაზღვრული წესის დაცვით მოახდინონ შესაბამისი ვალის დაფარვა.

III. 21 II უგზო-უკვლოდ დაკარგულის დაბრუნების სამართლებრივი შედეგები

1. სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმება

12 პირის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმება დასაშვებია ორ შემთხვევაში: ა) თუ დაკარგული პირი დაბრუნდება და დადგინდება მისი ცოცხლად ყოფნის ფაქტი ან ბ) თუ აღმოჩენილი იქნება დაკარგული პირის ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაცია. სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე შესაბამი-

16 *პეპანაშვილი*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, 2014, გვ. 202.
17 *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 194.
18 იხ. სუს განჩინება, 5 აპრილი, 2013, №ას-1612-1513-2012.

სი მიმართვის გაკეთების უფლებამოსილება გააჩნია დაინტერესებულ პირს, რომლის მიმართვის საფუძველზეც იქნა იგი უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებული, ასევე ნებისმიერ სხვა დაინტერესებულ პირსა და უშუალოდ პირს, რომელსაც ეხება სასამართლო გადაწყვეტილება. ასეთ შემთხვევაში, თუ დამტკიცდება პირის რეალური არსებობის ფაქტი, სასამართლო აუქმებს თავის წინანდელ გადაწყვეტილებას და ახალი გადაწყვეტილების საფუძველზე სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში უქმდება სასამართლოს ძველი გადაწყვეტილება (იხ. საქართველოს სამოქალაქო-საპროცესო კოდექსის 321-ე მუხლი).

2. ანაზღაურების მოთხოვნის ფარგლები

13 პირის უგზო-უკვლოდ დაკარგულად სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევაში, პირს უბრუნდება ის ქონება, რაც მას დაკარგვამდე გააჩნდა. ასეთ შემთხვევაში, დაბრუნებულ პირს მოთხოვნის დაყენების შესაძლებლობა არ გააჩნია მხოლოდ იმ ქონებაზე, რომელიც სარჩოს სახით იქნა გაცემული ან რომლითაც კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილება განხორციელდა.

14 დაბრუნებულ პირს არ გააჩნია უფლება, მოითხოვოს მისი ქონების საფუძველზე კანონით მემკვიდრეთა მიერ მეურნეობის სათანადო გაძღოლით მიღებული სარგებლის ანაზღაურება. ასეთი სარგებელი შეიძლება იყოს ნებისმიერი ქონებრივი სიკეთე, რომელსაც კანონით მემკვიდრე მისი ქონების კანონიერი განკარგვის საფუძველზე მიიღებდა, მაგალითად, ნაყოფი. მისი მესაკუთრე ხდება პირი, რომელიც მინდობილი საკუთრების გზით ახორციელებდა დაკარგული პირის ქონების მართვას და რომელიც სწორედ ამ ქონების განკარგვის საფუძველზე მიღებულ შემოსავალს წარმოადგენს.[19]

15 მეურნეობის სათანადო გაძღოლით მიღებული სარგებლის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება დაბრუნებულ პირს წარმოეშობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდება, რომ მინდობილი საკუთრების უფლების მქონე პირი მის მიმართ არაკეთილსინდისიერად მოქმედებდა. მაგალითად, იცოდა მისი ადგილსამყოფელის შესახებ და შეგნებულად არ შეატყობინა სასამართლოს და სხვ.[20]

IV. უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება, როგორც პირის გარდაცვლილად გამოცხადების წინაპირობა

16 უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება პირის გარდაცვლილად გამოცხადების უცილობელ წინაპირობას არ წარმოადგენს, მაგრამ პრაქტიკული დანიშნულებიდან გამომდინარე, უმეტეს შემთხვევაში, ეს ამგვარად ხორ-

19 განსხვავებული მოსაზრებაა გამოთქმული ლიტერატურაში. იხილეთ: *პეპანაშვილი,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, 2014, გვ. 202.

20 იქვე. გვ. 204

ციელდება.[21] გარდა კანონით განსაზღვრული ვადებისა, განსაზღვრულია რამდენიმე სამართლებრივი ინსტიტუტი, სადაც უგზო-უკვლოდ დაკარგულად პირის აღიარება სამართლებრივად წინმსწრები მოვლენაა პირის გარდაცვლილად გამოცხადების ფაქტთან მიმართებით. მაგალითად, ქორწინების აღდგენის შესაძლებლობა, რომელიც უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის მიმართ ახალი სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაში, ასეთი ქმედების განხორციელებას ითვალისწინებს (1135). ქორწინების აღდგენას წინ უნდა უსწრებდეს ქორწინების შეწყვეტის ფაქტი, რომლის მომწესრიგებელ ნორმებში უგზო-უკვლოდ დაკარგვის თაობაზე არაფერია ნახსენები (1122). ამასთან, ერთ დღეს გარდაცვლილ პირთა მემკვიდრეობისა (1321) და გარდაცვლილად პირის გამოცხადების შემდეგ სამკვიდროს გახსნის (1322) საკითხთან მიმართებით უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება კანონის საფუძველზე სწორედ პირის გარდაცვლილად გამოცხადების წინაპირობადაა განსაზღვრული.

V. კავშირი სხვა სამართლებრივ ინსტიტუტებთან

1. საკუთრების მინდობა

დაკარგული პირის ქონების მართვის საკითხთან მიმართებით გამოიყენება 724-ე და შემდგომი მუხლები, რომელიც თავისი არსით, ასევე, დავალების ხელშეკრულების (709 და შემდგომი) ძირითადი პრინციპების გათვალისწინებასაც მოიცავს. განსახილველი ნორმის მიზნებიდან გამომდინარე, სახეზეა საკუთრების მინდობის კანონისმიერი ურთიერთობა. **17**

2. უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების სამართლებრივი დატვირთვა საოჯახო სამართალში

საოჯახო სამართალში უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების სამართლებრივ ინსტიტუტს რამდენიმე ნორმასთან გააჩნია კავშირი. კერძოდ, ქორწინების აღდგენა (1135), ბავშვის შვილად აყვანის დაქვემდებარებისა (1254 „ა“) და მეურვეობისა და მზრუნველობის (1275 I; 1279 „ვ“) საკითხები. **18**

3. უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების სამართლებრივი ინსტიტუტი საერთაშორისო კერძო სამართალში

განსახილველი ნორმა დატვირთვას პოვებს საერთაშორისო კერძო სამართალში. კერძოდ, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლში განსაზღვრულია უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების თაობაზე საქართველოს სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენცია, რომლის წინაპირობასაც აუცილებლად უნდა აკმაყოფილებდეს განმცხადებელი, რომელიც ასეთი სახის მოთხოვნას დააყენებს სასა- **19**

21 *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 193.

მართლოში. მაგალითად, უცხო ქვეყანაში საქართველოს მოქალაქის გაუჩინარების შემთხვევაში და სხვ. ასეთის არსებობისას, პირის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება მოხდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ანალოგიურად ვრცელდება განსახილველი სამართლებრივი ინსტიტუტი პირის გარდაცვლილად გამოცხადების (22) საკითხთან მიმართებით.

VI. ნორმის დატვირთვა საპროცესო სამართალში

20 უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების საკითხი განეკუთვნება უდავო წარმოების საქმეთა კატეგორიას, რომლის მიზანსაც იურიდიული ფაქტების დადგენა წარმოადგენს[22] და რომელი უფლების განხორციელების შესაძლებლობაც დაკარგული პირისგან დამოუკიდებლად დგება.[23] საქართველოს სამოქალაქო-საპროცესო კოდექსი მას XXXVII თავს უთმობს და დეტალურად განსაზღვრავს თითოეულ პროცედურას, რომლის განხორციელების უფლებამოსილება გააჩნია განმცხადებელ პირს და ასევე პირს, რომელიც აღიარებულია უგზო-უკვლოდ დაკარგულად, მისი გამოჩენის შემთხვევაში. უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების (სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმების) სამართლებრივი მოწესრიგება სასამართლოს მიერ გარდაცვლილად გამოცხადების იდენტურია.

21 განცხადება სასამართლოში განმცხადებლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით უნდა იქნეს შეტანილი (საქართველოს სამოქალაქო-საპროცესო კოდექსის 317-ე მუხლის შესაბამისად).[24] განცხადებაში მნიშვნელოვანია განსაზღვრულ იქნეს განმცხადებლის მოტივაცია და ის უტყუარი მტკიცებულებები, რომელიც პირის დაკარგვის ფაქტს ადასტურებს.[25] სასამართლოს მიერ განხილვის საგანი უნდა გახდეს მხოლოდ ის ფაქტები, რასაც კანონმდებელი მკაცრად განსაზღვრავს. ამ მხრივ, სხვა ფაქტების წარდგენის საფუძველზე სასამართლოს მიერ პირის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება (ასევე გარდაცვლილად გამოცხადება) დაუშვებელია.[26]

22 თუ პირი, რომელიც უგზო-უკვლოდ დაკარგულად იქნა აღიარებული, მონაწილეობდა სასამართლო პროცესში (საქმეში), მის წარმომადგენლად მიჩნეულ იქნება პირი, რომელსაც დაკარგული პირის ქონება გადაეცემა სამართავად (საქართველოს სამოქალაქო-საპროცესო კოდექსის 101-ე მუხლის მე-3 ნაწილი).[27]

22 *ქურდაძე/ხუნაშვილი,* საქართველოს სამოქალაქო-საპროცესო სამართალი, გვ. 443.

23 *ძლიერიშვილი,* უდავო წარმოების განსხვავება სასარჩელო წარმოებისაგან, თენგიზ ლილუაშვილი, საიუბილეო კრებული, 75, 2003, გვ. 319.

24 *ქურდაძე/ხუნაშვილი,* საქართველოს სამოქალაქო-საპროცესო სამართალი, გვ. 443.

25 იქვე

26 *ლილუაშვილი/ხრუსტალი,* საქართველოს სამოქალაქო-საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გამოცემა, 2007, მუხ. 312, გვ. 544.

27 იხ. სუს განჩინება, 15 ივნისი, 2005, №ას-42-431-05.

მუხლი 22. პირის გამოცხადება გარდაცვლილად

1. პირი შეიძლება სასამართლოს წესით გამოცხადდეს გარდაცვლილად, თუ მის საცხოვრებელ ადგილას ხუთი წლის განმავლობაში არ მოიპოვება ცნობები ამ პირის ადგილსამყოფელის შესახებ, აგრეთვე, თუ იგი უგზო-უკვლოდ დაიკარგა ისეთ გარემოებაში, რომელიც მას სიკვდილს უქადდა, ანდა სავარაუდოა მისი დაღუპვა რაიმე უბედური შემთხვევის გამო და ასეთი ცნობები ექვსი თვის განმავლობაში არ მოიპოვება.

2. სამხედრო მოსამსახურე ან სხვა პირი, რომელიც უგზო-უკვლოდ დაიკარგა საომარ მოქმედებასთან დაკავშირებით, შეიძლება სასამართლო წესით გამოცხადდეს გარდაცვლილად არა უადრეს ორი წლის გასვლისა საომარი მოქმედების დამთავრების დღიდან.

3. პირის გარდაცვალების დღედ მიიჩნევა მისი გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღე.

4. ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებულ შემთხვევებში სასამართლოს შეუძლია პირის სიკვდილის დღედ აღიაროს მისი სავარაუდო დაღუპვის დღე.

I. ზოგადი დებულებანი 173
II. 22 I გარდაცვლილად გამოცხადების სამართლებრივი ინსტიტუტი 174
1. განსხვავება პირის გარდაცვლილად გამოცხადებასა და პირის გარდაცვალებას შორის 174
2. გარდაცვლილად გამოცხადების სამართლებრივი წინაპირობები 174
3. დაინტერესებული პირი 175
III. 22 II გარდაცვლილად გამოცხადება საომარი მოქმედებების გამო 175
IV. 22 III და 22 IV გარდაცვალების დღე პირის გარდაცვლილად გამოცხადებისას 176
V. ნორმის კავშირი სხვა სამართლებრივ ინსტიტუტებთან 176
VI. ნორმის დატვირთვა საპროცესო სამართალში 176

I. ზოგადი დებულებანი

ფიზიკური პირის გარდაცვლილად გამოცხადება მნიშვნელოვანი სამართ- **1**
ლებრივი შედეგის დადგომის წინაპირობაა. ნორმაში განსაზღვრულია პირის გარდაცვალების ვარაუდის ყველა შესაძლო შედეგი. მაგალითად, ტერმინები – „უბედური შემთხვევა“ ან „საომარი მდგომარეობა“ – სწორედ ისეთი სახის ზოგადი განმარტების საგანს წარმოადგენს, რაც შეიძლება შედეგზე ავიაკატასტროფაზე, ომზე და მასზე დამოკიდებულ ვარაუდს ემყარებოდეს.

II. 22 I გარდაცვლილად გამოცხადების სამართლებრივი ინსტიტუტი

1. განსხვავება პირის გარდაცვლილად გამოცხადებასა და პირის გარდაცვალებას შორის

2 ადამიანის გარდაცვალება 11 III მუხლის საფუძველზე მისი უფლებაუნარიანობის დასრულების სამართლებრივ წინაპირობას წარმოადგენს. გარდაცვალება წარმოადგენს გარკვეული მოვლენების ერთობლიობას, პროცესს, რომლის დასასრულიც ტვინის უჯრედების ფუნქციის შეწყვეტაა.[1] ასეთი ფაქტის არსებობის შემთხვევაში ვარაუდი, თითქოს პირი არ არის გარდაცვლილი, სამართლებრივ საფუძველს იქნება მოკლებული, რაც, პირიქით, უმნიშვნელოვანეს დატვირთვას პოვებს პირის გარდაცვლილად გამოცხადების საკითხის შემთხვევაში. ამასთან, მარეგისტრირებელი ორგანო არ არეგისტრირებს პირს გარდაცვლილად მაშინ, როდესაც გარდაცვლილად გამოცხადების თაობაზე სასამართლოშია შესაბამისი წარმოება დაწყებული.[2]

3 პირის გარდაცვლილად გამოცხადებით იწყება ან მთავრდება მისი უფლებაუნარიანობა.[3] აღნიშნული გამომდინარეობს იმ თანმდევი სამართლებრივი შედეგისგან, რომელიც გარდაცვალების იდენტურია.[4] მიუხედავად ამისა, ასეთი შედეგი, მაგალითად, ექიმის დასკვნისგან განსხვავებით,[5] მხოლოდ ვარაუდს და ამ ვარაუდის საფუძველზე შესაბამის ფაქტებს (პირის დაკარგვის ან სიკვდილის თაობაზე ან/და სხვ.) ეფუძნება.

2. გარდაცვლილად გამოცხადების სამართლებრივი წინაპირობები

4 პირის გარდაცვლილად გამოცხადებისთვის საჭიროა არსებობდეს კანონით დადგენილი წინაპირობები. ასეთი სახის შემთხვევაა, როდესაც, ამ **პირის საცხოვრებელ ადგილას მისი ადგილსამყოფელის შესახებ ხუთი წლის განმავლობაში არაა ცნობილი.** საცხოვრებელ ადგილას მისი ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაცია შეიძლება იცოდეს იმ პირმა, ვინც უშუალოდ ცხოვრობს ან დროებით სარგებლობს აღნიშნული მისამართით. არსებული პრეზუმფციის თანახმად, იგი შეიძლება იყოს დაკარგული პირის ახლობელი, ნათესავი, ოჯახის წევრი და სხვ.

5 გარდაცვლილად გამოცხადების მოთხოვნით სასამართლოსადმი მიმართვა დასაშვებია იმ შემთხვევაშიც, თუ **პირი აღიარებულია უგზო-უკვლოდ დაკარგულად ისეთ ვითარებაში, რომელიც მას სიკვდილს უქადდა.** აღნიშნული დათქმა ერთგვარად წარმოადგენს 21-ე მუხლის, როგორც წინაპირობის გამოყენების სამართლებრივ ინსტიტუტს. მესამე წინაპირობა, რომლის

1 *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, გვ. 103.
2 *ძლიერიშვილი,* სამოქალაქო-საპროცესო სამართლის ცალკეული საკითხები, 2007, გვ. 32.
3 *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 178. ავტორს განვითარებული აქვს მოსაზრება, თუ რამდენად მართებულია გარდაცვლილად გამოცხადების საკითხის გარდაცვალებასთან გაიგივება.
4 *პეპანაშვილი,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, 2014, გვ. 207.
5 სიკვდილის დადასტურება განსაზღვრულია სპეციალური კანონით. იხ. იქვე, გვ. 135.

დროსაც პირის გარდაცვლილად გამოცხადებაა შესაძლებელი, ესაა **უბედური შემთხვევის სახეზე არსებობა,** რომლის დროსაც მისი დაღუპვა სავარაუდო უნდა იყოს. ასე მაგალითად, ხანძარი, ავიაკატასტროფა და სხვ.[6] უბედური შემთხვევის არსებობისას, კანონი ითვალისწინებს გამონაკლის საერთო ხუთწლიანი ვადიდან და მხოლოდ ექვს თვეს განსაზღვრავს. ასეთი ვადის დაცვისთვის აუცილებელი წინაპირობაა, რომ უბედური შემთხვევის ფაქტი დადასტურებულ იქნეს შესაბამისი ორგანოს მიერ ან მოიპოვებოდეს უტყუარი მტკიცებულებანი ფაქტის დადგომის თაობაზე.

ჩამოთვლილი სამი პირობიდან ერთ-ერთის სახეზე არსებობა პირის გარ- **6**
დაცვლილად გამოცხადების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს. ტერმინი „აგრეთვე“ გაგებულ უნდა იქნეს, როგორც „ასევე“, „ან“, რაც ე.წ. კუმულატიური წინაპირობების არსებობის სავალდებულო ხასიათს არ გულისხმობს. კერძოდ, ჩამოთვლილი სამი პირობიდან რომელიმეს სახეზე არსებობის შემთხვევაში სასამართლოს გადაწყვეტილება, პირის გარდაცვლილად გამოცხადების თაობაზე კანონიერი იქნება.

3. დაინტერესებული პირი

დაინტერესებული პირი, რომელიც სასამართლოს გარდაცვლილად გა- **7**
მოცხადების თაობაზე მიმართავს, შეიძლება იყოს ნებისმიერი სუბიექტი. 21-ე მუხლის დარად, განცხადების სასამართლოში წარდგენის შემდეგ უშუალოდ სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს განსაზღვროს ის, თუ რამდენადაა, ერთი მხრივ, პირის რეალური ინტერესი სახეზე და მეორე მხრივ, რამდენადაა ის სამართლებრივი წინაპირობანი დაცული, რომლის ფარგლებშიც პირი შეიძლება გარდაცვლილად იქნეს გამოცხადებული.[7]

III.22 II გარდაცვლილად გამოცხადება საომარი მოქმედებების გამო

საომარი მოქმედებების გამო პირის გარდაცვლილად გამოცხადება წარ- **8**
მოადგენს პირის დაკარგვის სპეციალურ შემთხვევას,[8] რომლის არსებობის შემთხვევაშიც, საომარი მოქმედებების დამთავრებიდან ორწლიან ვადას განსაზღვრავს კანონი. ის, თუ რა დღე შეიძლება იქნეს მიჩნეული საომარი მოქმედებების დასრულების თარიღად, განისაზღვრება სპეციალური კანონით. აღნიშნული კანონით გათვალისწინებულია საქართველოს პრეზიდენტის მიერ შესაბამის ბრძანებულებაში საომარი მოქმედებების პერიოდულობის განსაზღვრის უფლებამოსილება, რაც, თავის მხრივ, შეიძლება სწორედ საომარი მოქმედებების დასრულების თარიღს უკავშირდებოდეს.[9]

6 *პეპანაშვილი,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, 2014, გვ. 206.
7 იქვე, გვ. 205-206.
8 *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, გვ. 113.
9 *პეპანაშვილი,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, 2014, გვ. 209.

IV.22 III და 22 IV გარდაცვალების დღე პირის გარდაცვლილად გამოცხადებისას

9 პირის გარდაცვლილად გამოცხადებისას პირის გარდაცვალების დღედ ჩაითვლება საქართველოს სამოქალაქო-საპროცესო კოდექსის 264-ე მუხლით გათვალისწინებული წესით, სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღე. სასამართლოს გააჩნია უფლებამოსილება, თავად განსაზღვროს პირის გარდაცვლილად გამოცხადების დღე. ასეთ შემთხვევაში მან უნდა იხელმძღვანელოს იმ თარიღით, რომელიც პირის სავარაუდო დაღუპვის დღეს წარმოადგენს. მაგალითად, დღე, რომელიც გამოძიების შედეგად, პირის გარდაცვალების დამადასტურებელ „ყველაზე უფრო სავარაუდო“ დროს წარმოადგენს, იქნება ეს ავიაკატასტროფის თარიღი თუ სხვ.[10]

10 სასამართლო გადაწყვეტილების თანახმად, მოხდება შესაბამისი პირის თაობაზე უფლებამოსილ ორგანოში შესაბამისი მონაცემების რეგისტრაცია. აღნიშნული მოწესრიგებულია სპეციალური კანონით.[11]

11 იმ შემთხვევაში, თუ დადგენილი არ არის საომარი მოქმედებების დასრულების ზუსტი თარიღი, ან არ მოიპოვება ზუსტი სამართლებრივი დოკუმენტი აღნიშნულის თაობაზე, სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს 123-ე მუხლის თანახმად. შესაბამისად, მან პირის გარდაცვალების დღედ უნდა მიიჩნიოს საომარი მოქმედებების დასრულების წლიდან ორი წლის გასვლის შემდეგ, წლის უკანასკნელი კალენდარული დღე.[12]

V. ნორმის კავშირი სხვა სამართლებრივ ინსტიტუტებთან

12 იმ სამართლებრივი ინსტიტუტებიდან, რომელთაც კავშირი გააჩნიათ განსახილველ ნორმასთან, გამოსაყოფია: **საოჯახო სამართალი** (პირის გარდაცვლილად გამოცხადება ქორწინების შეწყვეტის ერთ-ერთი სამართლებრივი საფუძველია – 1122 „ბ“); **მემკვიდრეობის სამართალი** (გარდაცვლილად გამოცხადების თაობაზე სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღე ჩაითვლება სამკვიდროს გახსნის დროდ – 1322) და სხვ.[13] პირის გარდაცვლილად გამოცხადება მნიშვნელოვან დატვირთვას პოვებს **ვალდებულებით სამართალშიც.** კერძოდ, 453 I მუხლის თანახმად, განსაზღვრული პირობის არსებობასთან ერთად, მოვალის გარდაცვალება ვალდებულების შეწყვეტას იწვევს, ხოლო 453 II მუხლი ანალოგიურ სამართლებრივ შედეგებზე კრედიტორის უფლებამოსილებაზე დაყრდნობით საუბრობს. ნორმა დატვირთვას პოვებს, ასევე, **საერთაშორისო კერძო სამართალშიც,** სადაც საკითხის მოწესრიგება უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების (იხ. 21-ე მუხლის კომენტარი) იდენტურია.

10 *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, გვ. 114.
11 იხ. *პეპანაშვილი,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, 2014, გვ. 210.
12 იხ. სუს განჩინება, 25 იანვარი, 2011, №ას-681-637-2010.
13 *Mäsch,* in Beck OK BGB (EGBGB), 2013, Art. 9, Rn. 1.

VI. ნორმის დატვირთვა საპროცესო სამართალში

13 ნორმის დატვირთვა საპროცესო სამართალში უდავო წარმოების საქმეების სამართლებრივი ინსტიტუტიდან გამომდინარეობს. 21-ე მუხლის მსგავსად, საქართველოს სამოქალაქო-საპროცესო კოდექსის XXXVII თავი განსაზღვრავს პირის გარდაცვლილად გამოცხადებისთვის განსახორციელებელ თითოეულ მოქმედებასა და იურიდიულ პროცედურას (იხ. 21-ე მუხლის კომენტარი).

14 გარდაცვლილად გამოცხადების საკითხით დაინტერესება შესაძლებელია სასამართლოში მხარეთა მიერ არსებული დავის ფარგლებში, როდესაც შესაძლებელია ერთ-ერთი მხარის ინტერესში არ შედიოდეს ამგვარი ფაქტის დადგენა. ასეთის არსებობის შემთხვევაში მან აუცილებლად უნდა წარადგინოს მტკიცებულება, რომლითაც მოხდება იმის განსაზღვრა, რომ პირის შესახებ, რომელიც გარდაცვლილად უნდა გამოცხადდეს, ინფორმაცია მოიპოვება ან მოიპოვებოდა კანონით გათვალისწინებულ პერიოდში (სასამართლოს მიმართვამდე პერიოდში).[14]

15 სასამართლო პროცესში პირის ინტერესებს, რომელიც თავდაპირველად თავად მონაწილეობდა პროცესში, ხოლო შემდეგ გარდაცვლილად იქნა გამოცხადებული, მისი კანონიერი წარმომადგენელი დაიცავს. აღნიშნული იქნება მემკვიდრე, რომელთაც მიიღეს ქონება, ხოლო, თუ მემკვიდრეთაგან არავის მიუღია იგი, მაშინ მხარედ ის პირი გამოვა, ვინც სამკვიდრო ქონების მართვისა და დაცვისთვის დაინიშნა (საქართველოს სამოქალაქო-საპროცესო კოდექსის 101-ე მუხლის მე-4 ნაწილი).

14 იხ. სუს განჩინება – აღწერილობითი ნაწილი, 3 ივნისი, 2013, №19-17-2013.

მუხლი 23. გარდაცვლილად გამოცხადებულის დაბრუნების შედეგები

1. გარდაცვლილად გამოცხადებული პირის დაბრუნების ან მისი ადგილსამყოფლის აღმოჩენის შემთხვევაში სასამართლო აუქმებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

2. დაბრუნების დროის მიუხედავად, პირს უფლება აქვს მოითხოვოს ის შენარჩუნებული ქონება, რომელიც მისი გარდაცვლილად გამოცხადების შემდეგ უსასყიდლოდ გადაეცა სხვა პირს.

3. ის პირი, რომელმაც გარდაცვლილად გამოცხადებულის ქონება სასყიდლით შეიძინა, ვალდებულია დაუბრუნოს მას ეს ქონება, თუ დამტკიცდება, რომ ქონების შეძენისას მან იცოდა, რომ გარდაცვლილად გამოცხადებული პირი ცოცხალი იყო.

4. თუ გარდაცვლილად გამოცხადებული პირის ქონება გადაეცა სახელმწიფოს და მან მოახდინა მისი რეალიზაცია, მაშინ გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების შემდეგ პირს უბრუნდება ქონების რეალიზაციით მიღებული თანხა.

საქართველოს 2005 წლის 9 დეკემბრის კანონი №2239 – სსმ I, №54, 20.12.2005წ. მუხ.360

I. ზოგადი დებულებანი 178
II.23 I სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გაუქმების სავალდებულოობა 179
III.23 II შენარჩუნებული ქონების მოთხოვნის შესაძლებლობა 179
IV.23 III გარდაცვლილად გამოცხადებულის ქონების არაკეთილსინდისიერი შემძენის ვალდებულება 180
V. 23 IV გარდაცვლილად გამოცხადებულის ქონების რეალიზაცია სახელმწიფოს მიერ 180
VI. კავშირი სხვა სამართლებრივ ინსტიტუტებთან 181
VII. ნორმის დატვირთვა საპროცესო სამართალში 181

I. ზოგადი დებულებანი

1 განსახილველი ნორმა განსაზღვრავს გარდაცვლილად გამოცხადებული პირის დაბრუნების სამართლებრივ შედეგებს. ნორმის მიზანია, უპირველეს ყოვლისა, მოახდინოს იმ პირის სამოქალაქო უფლებების დაცვა, რომელსაც სასამართლო გადაწყვეტილებით შეუწყდა უფლებაუნარიანობა. ამასთან, ნორმა განსაზღვრავს გარდაცვლილად გამოცხადებული პირის ქონებრივ მდგომარეობასა და აკონკრეტებს იმ ქცევის წესს, რაც მას უფლებამოსილს ხდის, შესაძლებლობის ფარგლებში მოითხოვოს სარგებლის მიღება.

2 თუ პირი არ არის გამოცხადებული გარდაცვლილად, ასევე არაა აღიარებული უგზო-უკვლოდ დაკარგულად, მაგრამ არ გამოჩენილა მის საცხოვრებელ ადგილზე და არ არის პირის ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაცია,

მაშინ მისი ქონების რეალიზაციის უფლებამოსილება მის მემკვიდრეებს არ წარმოეშობათ.

II. 23 I სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გაუქმების სავალდებულობა

სასამართლოს მიერ პირის გარდაცვლილად გამოცხადების თაობაზე შე- **3**
საბამისი გადაწყვეტილების გაუქმება უტყუარი მტკიცებულებების საფუძ-
ველზე უნდა მოხდეს.[1] ასეთი შესაძლებლობა სასამართლოს მხოლოდ ორი
წინაპირობის არსებობის საფუძველზე გააჩნია: ა) თუ დაბრუნდება დაკარ-
გული პირი ან ბ) თუ აღმოჩენილ იქნება მისი ადგილსამყოფელი. სასა-
მართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს ნებისმიერი ის მონაცემი, რომელიც
პირის არსებობას ადასტურებს. აღნიშნული ვრცელდება იმ შემთხვევაზეც,
როდესაც პირს შეცვლილი აქვს სახელი[2] და სხვ.

21-ე და 22-ე მუხლების მსგავსად, სასამართლოსადმი შესაბამისი გადა- **4**
წყვეტილების გაუქმების მოთხოვნის თაობაზე განცხადებით მიმართვის
უფლებამოსილება გააჩნია ნებისმიერ პირს.

III.23 II შენარჩუნებული ქონების მოთხოვნის შესაძლებლობა

სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება დაკარგული პირის უფლებებ- **5**
ის აღდგენის სამართლებრივ წინაპირობას წარმოადგენს.[3] ამდენად, პირს
კვლავ წარმოეშობა ის უფლებები, რომელიც მას დაკარგულად გამოცხადე-
ბამდე ჰქონდა. თუმცა, აღნიშნულის მიუხედავად, პირს მოთხოვნის **დაყენებ-
ის შესაძლებლობა გააჩნია მხოლოდ იმ ქონებაზე, რომელიც შენარჩუნებულია**
(არ არის სასყიდლიანი ხელშეკრულების გზით გადაცემული სხვა პირზე)
ან, **თუ იგი სხვა პირს უსასყიდლოდ გადაეცა.** მაგალითად, მემკვიდრეები
(1322-ე მუხლიდან გამომდინარე), რომელთაც ქონება იურიდიული შედეგის
დადგომის გათვალისწინებით გადაეცათ ან სხვა პირი, რომელმაც ჩუქების
ხელშეკრულების (524-ე და შემდგომი მუხლები) საფუძველზე ქონება უსას-
ყიდლოდ მიიღო.

დაკარგული პირის დაბრუნების შემთხვევაში კანონი არ ითვალისწინებს **6**
ხანდაზმულობის ვადებს. შესაბამისად, დაკარგული პირის უფლებების აღ-
დგენა დასაშვებია სასამართლო გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან (22-ე
მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომიდან) ნებისმიერ პერიოდ-
ში.

იმ შემთხვევაში, თუ ქონება, რომელიც მას გააჩნდა გარდაცვლილად **7**
გამოცხადებამდე, გაუმჯობესებული სახით იქნება მემკვიდრეთა (უსასყ-
იდლოდ გადაცემულ პირთა) მიერ უკან გადაცემული, დაბრუნებული პირი
ვალდებულია, აანაზღაუროს ყველა ის ხარჯი, რაც კანონით განსაზღვრულ

1 *პეპანაშვილი,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, 2014, გვ. 211.
2 *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 192.
3 *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, გვ. 114.

პირთა მიერ ქონების გაუმჯობესებისთვის იქნა გაწეული.[4]

IV. 23 III გარდაცვლილად გამოცხადებულის ქონების არაკეთილსინდისიერი შემძენის ვალდებულება

8 განსახილველ ნორმასთან დაკავშირებით კეთილსინდისიერების პრინციპი 8 III მუხლიდან გამომდინარეობს. კოდექსის ცალკეული დებულებები იცავს კეთილსინდისიერ შემძენს (187). ისევე, როგორც ნებისმიერ სხვა სამართლებრივ ურთიერთობაში, დაკარგულის ქონების შეძენის ფაქტის მიმართაც შემძენი ამ ფაქტის მიმართ კეთილსინდისიერი უნდა იყოს. კეთილსინდისიერების ფაქტი ნივთის გადაცემამდე უნდა არსებობდეს (შდრ. 187 I).

9 პირი ჩაითვლება არაკეთილსინდისიერად, თუ მას გააჩნდა ნებისმიერი სახის, მათ შორის სავარაუდო ინფორმაცია, რომელიც დაკარგული პირის შესახებ არსებობის ფაქტს დაადასტურებდა. ასეთი შეიძლება იყოს დაკარგული პირის მემკვიდრის მეგობარი, ბიზნესპარტნიორი, ან სხვ., რომლის ინტერესსაც სამომავლოდ დაკარგულის ქონების შეძენა წარმოადგენდა.

10 მტკიცების ტვირთი, რომლითაც ქონების დაბრუნების ვალდებულება შეიძლება ახალ შემძენს დაეკისროს, გააჩნია მის პირვანდელ მესაკუთრეს (გარდაცვლილად გამოცხადებულს). ასეთ მტკიცებულებას შეიძლება წარმოადგენდეს ნებისმიერი სახის შეტყობინება, ან სხვა ინფორმაცია, რომელიც მან ქონების შემძენს გარდაცვლილად გამოცხადებამდე გააცნო (კონფიდენციალურობის მიუხედავად).

V. 23 IV გარდაცვლილად გამოცხადებულის ქონების რეალიზაცია სახელმწიფოს მიერ

11 გარდაცვლილად გამოცხადებულის ქონება სახელმწიფოს გადაეცემა იმ შემთხვევაში, თუ მას არ გააჩნია კანონით ან ანდერძით მემკვიდრე, ასევე, თუ არც ერთმა მემკვიდრემ ქონება არ მიიღო ან/და როცა ყველა მემკვიდრეს მემკვიდრეობის უფლება ჩამოერთვა (1343). სახელმწიფოს ასეთ შემთხვევაში წარმოეშობა ქონების რეალიზაციის უფლებამოსილება.

12 იმის გათვალისწინებით, რომ ქონების სახელმწიფოს საკუთრებაში გადასვლა კანონით დადგენილი წესით განისაზღვრება – კეთილსინდისიერი შემძენის სამართლებრივი ინსტიტუტი მხედველობაში არ მიიღება. შესაბამისად, გარდაცვლილად გამოცხადებული პირის დაბრუნების შემთხვევაში სახელმწიფოს წარმოეშობა ქონების რეალიზაციიდან მიღებული თანხის მასზე გადახდის ვალდებულება.

13 რეალიზაციიდან მიღებული თანხა განსხვავდება ქონების საბაზრო ღირებულებისგან. ამ შემთხვევაში წინა პლანზე სახელმწიფო ინტერესის საკითხი იქნება წამოწეული. სახელმწიფოს ქონების საბაზრო ღირებულებაზე ბევრად ნაკლებ ფასად (სიმბოლურ ფასად) რომც ჰქონდეს ქონება რეალიზებული, დაბრუნებულ პირს მაინც არ წარმოეშობა მის მიმართ საბაზრო

4 *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 192.

ღირებულების ანაზღაურების უფლებამოსილება.

14 მიუხედავად ასეთი სახის საკანონმდებლო ჩანაწერისა, კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვა სახელმწიფოს მხრიდანაც აუცილებლობას წარმოადგენს. თუ პირმა, რომელიც სახელმწიფო სტრუქტურაში მუშაობს, იცოდა გარდაცვლილად გამოცხადებულის ადგილსამყოფელის ან მისი არსებობის სხვა გარემოების შესახებ, მასზე გავრცელდება ზიანის ანაზღაურების და უფლებამოსილების შესაბამისად კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის შესაბამისი ნორმები.

15 სახელმწიფოს მიერ აღნიშნული ქონების უსასყიდლოდ მესამე პირზე გადაცემის შემთხვევაში, დაბრუნებულ პირს საკუთრების შეძენის ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარე უფლება წარმოეშობა მოსთხოვოს კეთილსინდისიერ შემძენს მისი უკან დაბრუნება, სახელმწიფოსგან დამატებითი ანაზღაურების მიღების გარეშე (187 II).

VI. კავშირი სხვა სამართლებრივ ინსტიტუტებთან

16 გარდაცვლილად გამოცხადებულის დაბრუნების შემთხვევაში დაბრუნებულ პირს აღუდგება ის უფლება-მოვალეობანი, რაც მას გარდაცვლილად გამოცხადებამდე კრედიტორთა ან მოვალეთა მიმართ გააჩნდა. აღნიშნული შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს ცალკეულ სამართლებრივ ნორმებთან (მაგ., 590 I და სხვ.).

17 გარდაცვლილად გამოცხადებულის დაბრუნების შემთხვევაში გონივრული ფარგლები მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით (შდრ. 453 II). ასეთ შემთხვევაში, შესაბამისი სამართლებრივი ურთიერთობის გაგრძელების თაობაზე უპირატეს როლს მხარეთა შეთანხმება წარმოადგენს (ხელშეკრულებაში გაწერილი ე.წ. ფორსმაჟორული გარემოებების გათვალისწინებით).

18 გარდაცვლილად გამოცხადებულის უფლებების აღდგენა მოწესრიგებულია საოჯახო სამართალში, რომლის საფუძველზეც სასამართლოს გააჩნია პირის გარდაცვლილად გამოცხადების (უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების) საფუძვლით შეწყვეტილი ქორწინების აღდგენის უფლებამოსილება (1135 I). კანონი ითვალისწინებს უფლებამოსილების დამაბრკოლებელ გარემოებას, თუ გარდაცვლილად გამოცხადებული პირის მეუღლე სხვა პირთან იურიდიულ ქორწინებაში იმყოფება (1135 II).

VII. ნორმის დატვირთვა საპროცესო სამართალში

19 გარდაცვლილად გამოცხადებულის თაობაზე სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმება საქართველოს სამოქალაქო-საპროცესო კოდექსის 321-ე მუხლითაა მოწესრიგებული და იგი უგზო-უკვლოდ დაკარგულად გამოცხადებული პირის გამოჩენის შემთხვევაში საპროცესო წარმოების მომწესრიგებელი წესების ანალოგიურია (იხ. 21-ე მუხლის კომენტარი).

თავი მეორე
იურიდიული პირი

საქართველოს 2006 წლის 14 დეკემბრის კანონი №3967 – სსმ I, №48, 22.12.2006წ., მუხ.336

I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 24. ცნება. სახეები

1. იურიდიული პირი არის განსაზღვრული მიზნის მისაღწევად შექმნილი, საკუთარი ქონების მქონე, ორგანიზებული წარმონაქმნი, რომელიც თავისი ქონებით დამოუკიდებლად აგებს პასუხს და საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ.

2. იურიდიული პირი შეიძლება იყოს კორპორაციულად ორგანიზებული, წევრობაზე დაფუძნებული, წევრთა მდგომარეობაზე დამოკიდებული ან მისგან დამოუკიდებელი და მისდევდეს ან არ მისდევდეს მეწარმეობას.

3. საჯარო სამართლის იურიდიული პირები სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობენ ისევე, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირები. მათი შექმნის, ორგანიზებისა და საქმიანობის წესი განისაზღვრება კანონით.

4. სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობენ ისევე, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირები. სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებებს ამ დროს ახორციელებენ მისი ორგანოები (უწყებები, დაწესებულებები და ა. შ.) ისე, რომ ისინი არ არიან იურიდიული პირები.

5. იურიდიული პირი, რომლის მიზანია სამეწარმეო (კომერციული) საქმიანობა, აგრეთვე მისი ფილიალი უნდა შეიქმნას „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

6. იურიდიული პირი, რომლის მიზანია არასამეწარმეო საქმიანობა, უნდა დარეგისტრირდეს ამ კოდექსით დადგენილი წესით.

საქართველოს 2006 წლის 14 დეკემბრის კანონი №3967 – სსმ I, №48, 22.12.2006წ., მუხ.336

I. ნორმის მიზანი 183
II. მოძღვრება იურიდიული პირის შესახებ (ისტორიული მიმოხილვა) 183
1. ძირითადი თეორიები 184
2. მოძღვრების წარმოშობა საქართველოში 185
III. იურიდიული ელემენტები 186
1. მიზანი 187
2. საკუთარი ქონება 187

3. ორგანიზებულობა 189
4. დამოუკიდებელი ქონებრივი პასუხისმგებლობა 190
5. საკუთარი სახელი 190
6. გარიგებაუნარიანობა 191
7. საპროცესო უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა 192
IV. იურიდიული პირის ძირითადი ტიპოლოგიური კლასიფიკატორები 192
1. კორპორაციული ორგანიზებულობა 192
2. წევრობაზე დაფუძნება 193
3. წევრთა მდგომარეობზე დამოკიდებულობა და მისგან დამოუკიდებლობა 193
4. სამეწარმეო და არასამეწარმეო საქმიანობა 194

I. ნორმის მიზანი

24-ე მუხლი წარმოადგენს იურიდიული პირის კერძოსამართლებრივი სუ- 1
ბიექტობისა და ამ სფეროში მისი მოქმედების კონცეპტუალურ საფუძველს.[1] სამოქალაქო კოდექსი, კერძო სამართლის იურიდიული პირებისა თუ სხვაგვარი გაერთიანებების, არარეგისტრირებული კავშირების (39) გვერდით, სხვა ნორმებშიც მიუთითებს საჯარო სამართლის იურიდიული პირების შესახებ, თუმცა მათ მიმართ მას დეფინიციურ-რეგულატორული ფუნქცია არა აქვს. საჯარო სამართლის იურიდიული პირი მხოლოდ კერძოსამართლებრივი ხასიათის ურთიერთობებში ექცევა სამოქალაქო კოდექსის იურისდიქციის ქვეშ, ე. ი. იძენს კერძო სამართლის სუბიექტობას (8 II, 24).

აღნიშნული მუხლის დანიშნულება იურიდიული პირის ცნების, სახეების (ჯგუფების), საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და სხვა საჯარო დაწესებულებების კერძოსამართლებრივ სფეროში მოქმედების ფუნდამენტური დებულებებისა და, ასევე, სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიული პირების ნორმატიული საფუძვლის განსაზღვრით ამოიწურება.

24-ე მუხლის რეფორმა დღემდე მხოლოდ ერთხელ, 2006 წელს განხორციელდა.[2] აღნიშნული ცვლილება მთლიანად შეეხო იურიდიული პირების ზოგად სამოქალაქო სამართალს და მისი ახალი ძირითადი პრინციპები ჩამოაყალიბა.

II. მოძღვრება იურიდიული პირის შესახებ (ისტორიული მიმოხილვა)

იურიდიული პირის შესახებ თეორიული მოძღვრება არსებითად კონტი- 2
ნენტურევროპულ, ძირითადად, გერმანული სამართლის მეცნიერებას ეკუ-

1 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მოქმედებისა და რეგულირების სფეროების შესახებ იხ; ნინიძე, სამოქალაქო კოდექსის პირველი მუხლის სტრუქტურა, *ჟანტურია* (რედ.), პროფ. აკაკი ლაბარტყავას საიუბილეო კრებული, 2013, გვ. 151 და მომდევნო.

2 საქართველოს 2006 წლის 14 დეკემბრის №3967 კანონი „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“.

თვნის.[3] მოძღვრების ზოგიერთმა ელემენტმა, როგორიც არის, მაგალითად, იურიდიული პირის, მისი დამფუძნებლისა თუ წევრისაგან განცალკევებული და დამოუკიდებელი პიროვნულობა, განსაკუთრებული განვითარება ჰპოვა პრეცედენტული სამართლის სისტემაშიც.[4] აღნიშნული საერთო დოქტრინის სხვადასხვა პრინციპი დღეს ახლებური გაგებით გამოიყენება.[5] ქვემოთ წარმოდგენილი იქნება მოძღვრების რამდენიმე ისტორიული ასპექტი, რომლის მიუხედავადაც, იურიდიული პირის შესახებ შეხედულებათა განვითარების მთავარ პერიოდად მაინც XIX და XX საუკუნე უნდა ჩაითვალოს.

1. ძირითადი თეორიები

3 სამართლებრივ ურთიერთობაში სუბიექტად ადამიანთა, ანუ ბუნებრივ პირებთან ერთად ხელოვნური პირებიც, ორგანიზაციული წარმონაქმნებიც, ე. ი. იურიდიული პირებიც[6] მონაწილეობენ (1, 8 I 1). ინსტიტუციური თვალ-

3 *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 224; *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 162; *Deiser,* The Juristic Person, University of Pennsylvania Law Review and American Law Register, Vol. 57, No. 3, 1908, pp. 136-137; ტერმინის პოსტსაბჭოთა სივრცეში დამკვიდრების, იურიდიული პირის ცნების, როგორც აბსტრაქტულ-სამართლებრივი კატეგორიის შესახებ ამ ქვეყნებში იხ.: *Knieper/Chanturia/Schramm*, Das Privatrecht im Kaukasus und in Zentralasien, BWV 2010, S. 85 ff.

4 იხ. დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს ლორდთა პალატის გადაწყვეტილება *Salomanv. A. Saloman* & Co. Ltd [1897] AC 22.

5 შდრ. თანამედროვე პრინციპი, რომელიც გერმანულ სამართალში ცნობილია სახელით Haftungsdurchgriff, ხოლო ინგლისურენოვანი სამართლის ქვეყნებში სახელით — piercing the corporate veil (იხ. გაერთიანებული სამეფოს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება Adam sv. Cape Industriesplc [1990] Ch 433. აშშ-ში აღნიშნული ინსტიტუტის დოგმატური საფუძვლები იხ.: *Merkt/Göthel,* US-amerikanisches Gesellschaftsrecht, 2. Aufl., Rn. 376 ff.; ამ პრინციპის ქართულენოვან შესატყვისად უკვე დამკვიდრდა კორპორაციული საფარველის გამჭოლვა, რის შესახებაც იხ. გულაშვილი, კორპორაციული საფარველის გამჭოლვა, როგორც კრედიტორთა დაცვის განსაკუთრებული ღონისძიება მშობელ-შვილობილ კომპანიათა ურთიერთობის კონტექსტში, 2011, გვ. 69 დამომდევნო; ბურდული, საწესდებო კაპიტალი და მისი ფუნქციები, თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, 2009, გვ. 235 და მომდ. იგივე პრინციპი დაფიქსირებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 13 მაისის გადაწყვეტილებაში საქმეზე № ას-286-272-2013, როგორც გამჭოლი პასუხისმგებლობის დადგომა ან კორპორაციული საფარველის ჩამოხსნა.

6 ქართულ სამართლებრივ ენაში სახელი იურიდიული პირი, საფიქრებელია, რუსულენოვანი ანალოგის **юридическое лицо** გავლენით უნდა დამკვიდრებულიყო, რადგან პირველად იგი გამოყენებულ იქნა საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის 1923 წლის 18 აგვისტოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის მეცამეტე მუხლში, რომელსაც დეფინიციური ფუნქცია აქვს და რომელიც ზუსტი ასლია რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის 1922 წლის 31 ოქტომბრის სამოქალაქო კოდექსის მეცამეტე სტატიისა. თავის მხრივ, საბჭოთა სამართალში, პირველ საბჭოთა სამოქალაქო კოდიფიკაციაში, ეს ტერმინი გერმანულენოვანი განათლების მქონე რუსი იურისტების, პიოტრ სტუჩკასა და ადოლფ იოფეს მეშვეობით დამკვიდრდა. გერმანულენოვან სამართლებრივ ტერმინს Juristische Person ინგლისურად juristic person შეესაბამება მაშინ, როცა ინგლისური სახელი legal person ზოგადად სამართლებრივად უფლებაუნარიან სუბიექტს, როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირს გულისხმობს და მას გერმანულენოვანი Rechtspersönlichkeit შეესატყვისება. ზოგიერთი მართლწესრიგისათვის, მაგალითად, ფრანგული, ავსტრიული სამართლის სისტემისათვის ეს მოვლენა ცნობილია სახელწოდებით მორალური პირი – personne morale (moralische Person). ქართულ ენაზე იხ. *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 164 და *ხეცურიანი,* იურიდიული პირის საკანონმდებლო რეგულირების ძირითადი პრობლემები, *ჯორბენაძე/კნიპერი/ჭანტურია* (რედ.), სამართლის რეფორმა საქართველოში, 1994, გვ, 192 და მომდევნო.

საზრისით იურიდიული პირის წარმოშობის თაობაზე გერმანული სამართალმცოდნეობა სამ ძირითად თეორიას იცნობს: ფიქციის თეორია, რეალური კავშირის თეორია და მიზნობრივი ქონების თეორია.[7] დღეს მათ ზოგიერთი შეხედულება მხოლოდ ისტორიულ მნიშვნელობასღა ანიჭებს,[8] თუმცა სხვა მოსაზრებით, მსჯელობა მათ შესახებ შესაძლოა კვლავაც აქტუალური იყოს.[9]

2. მოძღვრების წარმოშობა საქართველოში

იურიდიული პირის, ორგანიზაციული წარმონაქმნის, კორპორაციული სუბიექტის პირველსახედ ისტორიულად როგორც სხვა გეოგრაფიულ რეგიონებში, ისე ამიერკავკასიაშიც ვაჭარ-ხელოსანთა გაერთიანებები, ასნაფები, ამქრები, ასევე, რაინდთა დაჯგუფებები – „ლაშქარნი“ და სამონასტრო სავანეთა საძმოები განიხილება.[10] ხელოსან-ვაჭრების ასეთი გაერთიანებების არსებობა საქართველოში X-XII საუკუნეებში, ხოლო ასნაფთა და ამქართა ორგანიზაციების რეალურობა, სამხრეთ კავკასიის რეგიონში არაბთა სახალიფოს გავლენის გამო, უკვე VIII საუკუნიდან დასტურდება.[11] საგულისხმოა, რომ ცნობები მრავლად მოიპოვება საკორპორაციო წესწყობილების შესახებ იმავე პერიოდის ბიზანტიაში, რომელთანაც ქართულ სახელმწიფოს მჭიდრო კავშირი ჰქონდა.[12] 4

ივანე ჯავახიშვილი განიხილავს სამონასტრო საძმოთა საკორპორაციო წესწყობილების ისეთ რამდენიმე მნიშვნელოვან ნიშანს შუა საუკუნეების საქართველოში, როგორიც არის გაერთიანების ხელმძღვანელობა – „წინამჯდომელობაჲ“, ფინანსური მმართველი – „მეჭურჭლე“, საერთო კრება, როგორც მმართველობის უმაღლესი ორგანო – „კრებული ყოველთა ძმათაჲ“ და „ყოველი სავსებაჲ ძმათაჲ“, გადაწყვეტილების მიღება საერთო ნების საფუძ- 5

7 *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 224-228; 1997 წლის 26 ივნისის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შემუშავების პროცესში ზემოდასახელებული თეორიების განხილვის შესახებ იხ. *ზოიძე,* ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, 2005, გვ. 213 და მომდევნო. ასევე იხ. *ქირია,* საკორპორაციო სამართლის სისტემა საქართველოში, 2011, გვ. 18-19 და *პეპანაშვილი,* საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, წიგნი I, 2014, გვ. 213 და მომდევნო.

8 შდრ. *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 162.

9 შდრ. *Teubner,* Enterprise Corporatism: New Industrial Policy and the "Essence" of the Legal Person, 36 American Journal of Comparative Law 130, 1988, p. 132-133. ამასთან, აღნიშნულ თეორიათა ვრცელი შეფასებისათვის იხ. *Deiser,* The Juristic Person, University of Pennsylvania Law Reviewand American Law Register, Vol. 57, No. 3, 1908, pp. 136-137 და *Koessler,* The Person in Imagination or Persona Ficta of the Corporation, 9 Louisiana Law Review 4, 1949, p. 435 და მომდევნო. გარდა ამისა, მოძღვრების ისტორიული განვითარების თეორია განიხილება ფრანგული სამართლის სისტემის თვალთახედვიდანაც, რის შესახებაც იხ. *Ferid/Sonnenberger,* Das Französische Zivilrecht, 2. Aufl., 1994, 1 D 301 და მომდევნო.

10 *ჯავახიშვილი,* ქართული სამართლის ისტორია, ტომი II, 1929, გვ. 321.

11 იქვე, გვ. 321

12 იქვე, 1929, გვ. 321; ასევე საქართველოში იტალიელი, ვენეციელი და გენუელი ვაჭრების ურთიერთობების შესახებ იხ. *თამარაშვილი,* ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, 2011, გვ. 133-134; სავაჭრო ხასიათის ურთიერთობის შესახებ, ზოგადად, ასევე იხ. *ნათაძე,* საქართველოს ისტორიის მოკლე სოციოლოგიური მიმოხილვა, I, 1925.

ველზე – „ერთითა განზრახვითა“, „ერთნებაობითა“, „ერთსულობისა მიერ ძმათაჲსა“, „ერთითა სიტყვითა“.[13]

იურიდიული პირის, კორპორაციული[14] წარმონაქმნის შესახებ მსჯელობის საფუძველს იძლევა კიდევ ერთი ცნების „ერთი გუამი“ არსებობა მსგავს ისტორიულ წყაროებში, რომელიც სწორედ ერთიანი სხეულის ან პიროვნების აღმნიშვნელად უნდა გამოიყენებოდეს. ივანე ჯავახიშვილს გამოაქვს დასკვნა, რომ ქართული სამართლის ისტორიაში აქ ირკვევა სწორედ იმ დოქტრინის არსებობა, რომელიც იურიდიული პირის შესახებ მოძღვრების სახელით არის ცნობილი.[15]

III. იურიდიული ელემენტები

6 იურიდიული პირების სამართალს სხვადასხვა მართლწესრიგში განსხვავებული ფუნქციური აგებულება აქვს.[16] 24 I მუხლი იურიდიული პირის ცნებას ელემენტობრივი განსაზღვრებით იძლევა და იურიდიული პირების შესახებ ნორმებს სწორედ მისით იწყებს. თავისთავად იურიდიული პირი არის ხელოვნური წარმონაქმნი, რომელსაც მართლწესრიგი ბუნებითი პირის თვისებებს სძენს და ამდენად, სამართალსუბიექტად მიიჩნევს და რომელიც ასოციაციის კონსტიტუციურ საფუძველს ემყარება.[17] ამასთან, იურიდიული პირის საქართველოს სამოქალაქო კოდექსისეული განსაზღვრება სრულ თანხვედრაშია კორპორაციული წარმონაქმნის განვითარებულ სამართლებრივ სისტემებში გავრცელებულ დეფინიციასთან.[18] იგი შეიცავს შვიდ

13 *ჯავახიშვილი,* ქართული სამართლის ისტორია, ტომი II, 1929, გვ. 324-328; ასევე შდრ. წმ. *გრიგოლ ფერაძე,* ბერმონაზვნობის ისტორიისათვის საქართველოში, 2012, გვ. 87 და მომდევნო; *გვაზავა,* ზოგიერთი ცნობა ქართულ მონასტერთა ძველ წეს-განგებათა შესახებ, სამეცნიერო ჟურნალი ლოგოსი, 6/2011, გვ. 52-55. ერთ-ერთ ასეთ ჩვენს დრომდე მოღწეულ დოკუმენტს წარმოადგენს, მაგ., 1204-1234 წლებით დათარიღებული „განგებაჲ ვაჰანის ქვაბთაჲ“, დოლიძე (გამ.), ქართული სამართლის ძეგლები, ტომი III, 1970, გვ. 135-150.

14 ლათ. corpus – სხეული.

15 *ჯავახიშვილი,* ქართული სამართლის ისტორია, ტომი II, 1929, გვ. 329-330 და მომდევნო.

16 მაგ., იურიდიული პირების შესახებ პირველი ნორმები გერმანიის სამოქალაქო კოდექსში (§ 21 Nichtwirtschaftlicher Verein (არაკომერციული კავშირი) და § 22 Wirtschaftlicher Verein (კომერციული კავშირი)) უფლებაუნარიანობის წარმოშობის საფუძველს განსაზღვრავს; შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლი იურიდიული პირის მინიმალურ ნიშნებს ჩამოთვლის და წარმოშობის მომენტს ადგენს, ხოლო მომდევნო 53-ე მუხლი უფლებაუნარიანობას ეხება; ესპანეთის სამოქალაქო კოდექსის 35-ე მუხლი კანონით ნებადართულ იურიდიულ პირებს ჩამოთვლის და მათზე მოქმედ იურისდიქციას განსაზღვრავს; პორტუგალიის სამოქალაქო კოდექსში, რომელიც წააგავს ესპანურ კოდექსს, 157-ე და 158-ე მუხლები ანალოგიური თანმიმდევრობით განსაზღვრავს სუბიექტებს და შემდეგ – დაფუძნების, უფლებაუნარიანობისა და იურისდიქციის საკითხს; ნიდერლანდების სამოქალაქო კოდექსი იურიდიული პირების სკრუპულოზურ მოწესრიგებას შეიცავს, მისი მეორე წიგნის პირველი სამი მუხლი მხოლოდ ჩამოთვლის სამართალსუბიექტობის მქონე საჯარო, საეკლესიო-რელიგიურ და კერძო პირებს და ა. შ. შდრ. *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 161.

17 საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლი; იმავე შეხედულებისათვის იხ. *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 215, *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 160. ანალოგიურ პრინციპს განამტკიცებს, მაგ., გერმანიის ძირითადი კანონის მე-9 მუხლი.

18 *ჭანტურია,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, 2002, გვ. 98; კრიტიკულად: *ქირია,* საკორპორაციო სამართლის სისტემა საქართველოში, 2011, გვ. 19, 22 და მომდევნო.

ძირითად ნიშანს, რომელიც ქვემოთ იქნება განხილული.

1. მიზანი

იურიდიული პირი შეიძლება შეიქმნას მხოლოდ წინასწარ განსაზღვრული მიზნით. მიზანი შეიძლება ჩაითვალოს წარმონაქმნის ინჰერენტულ ნიშნად, ვინაიდან წარმონაქმნის „ბიოგრაფიაში“ არ არსებობს მიზნის არმქონე ან მისადმი ინდიფერენტული პერიოდი. ამიტომ იგი იურიდიული პირის კონსტიტუტიურ ელემენტად მიიჩნევა.[19] **7**

მიზანი, როგორც ლეგალური ნიშანი, მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება მხოლოდ ინტერესით, რომლის ცნებაც კანონმდებელს შემოღებული არ აქვს. დამფუძნებლის, დამფუძნებლების ან წევრების მიზანი გაცილებით ფართოდ უნდა იქნეს აღქმული, ვიდრე მათივე ინტერესი. ინტერესი შეიძლება იყოს ყოველდღიურ საქმიანობასთან, ყოველ წვრილმანთან დაკავშირებული საჭიროება, მოთხოვნილება მაშინ, როცა მიზანი გაცილებით მაღალ ღირებულებას წარმოადგენს.

აღსანიშნავია, რომ ფაქტობრივ სინამდვილეში სამართლებრივად და წარმონაქმნის ინსაიდერი მხარისათვის მნიშვნელოვანი მიზანი შესაძლოა არ დაემთხვეს ერთმანეთს.[20] წარმონაქმნის „საინიციატივო ფაზაზე“ არსებითია სამართლებრივად რელევანტური მიზანი. **8**

გარდა ამისა, ურთიერთობის მხარეთათვის შესაძლოა თავიდანვე არსებობდეს ანდა შემდგომში წარმოიშვას სხვა, არასადამფუძნებლო მიზანი, რომელიც მნიშვნელობით შეიძლება აღემატებოდეს კიდეც სამართლებრივად რელევანტურ, ფორმალურად გაცხადებულ მიზანს.

დაბოლოს, საქართველოს სამოქალაქო სამართალი ზემოგანხილულ ნიშანს არ აკავშირებს არც იურიდიული პირის სპეციალური უფლებაუნარიანობის წესთან და არც მიზნობრივი ქონების თეორიასთან. ეს მიზანი და მის ნიადაგზე განსაზღვრული საქმიანობის საგანი იურიდიული პირის ინსაიდერებს ბოჭავს მხოლოდ შიდა ურთიერთობაში და გარე ურთიერთობებისათვის მას შეიძლება მხოლოდ ნაკლებად მნიშვნელოვანი ფუნქცია ჰქონდეს.[21] **9**

2. საკუთარი ქონება

24 I მუხლის დებულება „საკუთარი ქონების მქონე“ დაზუსტებას საჭიროებს. კანონმდებლის მიზანს იურიდიული პირის ფაქტობრივი ქონებრივი მდგომარეობის ხაზგასმა არ წარმოადგენს. აქ ნორმა მიუთითებს მხოლოდ „მესაკუთრეობის“, ქონების ქონის უნარზე, რომელიც იურიდიულ პირს, როგორც ფიზიკური პირის თვისებებით მართლწესრიგის მიერ აღჭურვილ სუ- **10**

19 *ჭანტურია,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, გვ. 98; ასევე, *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 219; ასევე, *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, გვ. 166-167.

20 *ჭანტურია,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, გვ. 99; ასევე, *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 219.

21 *ჭანტურია,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, გვ. 99; ასევე, *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 219.

ბიექტს, ცხადია, გააჩნია, ანუ მას შეუძლია, ჰქონდეს ქონება.[22]

11 იურიდიული პირის (ა) ქონება განსხვავდება მისი ინსაიდერების ქონებისაგან და (ბ) იგი, როგორც სუბიექტი, თავისთავად არ წარმოადგენს ქონებას მისი ინსაიდერების ხელში.

კორპორაციის[23] ქონებრივი ავტონომია გულისხმობს წევრებისა და გაერთიანების ქონების სწორედ მკაცრ გამიჯვნას, ე. ი. თუკი იგი, როგორც სუბიექტი, სრულყოფილი „არსებაა“ ქონებრივი უნარისა თუ შესაძლებლობის თვალსაზრისით, მაშინ არ არსებობს საჭიროება, რომ მისი ქონება რეალურად ან წევრთა ქონებად ითვლებოდეს და ან თავად იყოს მუდმივად დამოკიდებული საკუთარ წევრებზე, ვინაიდან მას ისევე სრულფასოვნად შეუძლია ჰქონდეს ქონება, როგორც ნებისმიერ უფლებაუნარიან ფიზიკურ პირს.

გარდა ამისა, იურიდიული პირი, როგორც სუბიექტი, არ არის ქონება, ანუ, თავისთავად, იგი არ მიიჩნევა მისი ინსაიდერების ქონებად. ცხადია, იურიდიული პირი ვერ იქნება ქონება იმ მნიშვნელობითაც, რომ იგი, როგორც ქონება, ვერ შეიძენს სხვა ქონებას მაშინ, როცა მას, როგორც სუბიექტს, ეს შეუფერხებლად შეუძლია. ამასთან, შესაძლებელია იურიდიული პირის, როგორც ცნების, და მისი ქონების, როგორც ამ ცნების მატერიალური ხასიათის მქონე ძირითადი ელემენტის ურთიერთასოცირება. მსგავს, მაგრამ ცალკეულ, უფრო ვიწრო შემთხვევაში გამოიკვეთება მეწარმის ობიექტური და სუბიექტური მხარეები.[24]

12 იურიდიული პირის ეს ელემენტი – ქონება – და მისი დეფინიცია სანივთო სამართლის სფეროს განეკუთვნება.[25] მას, როგორც ნორმატიულ ცნებას, განამტკიცებს 147-ე მუხლი.

აღსანიშნავია, რომ იურიდიული პირის მიერ ქონების მფლობელობა, ფიზიკური პირის მიერ ქონების მფლობელობასთან შედარებით, როგორც ამ ქონების მესაკუთრედ ყოფნის პრეზუმირების საფუძველი (158 I), შესაძლოა, გარკვეული თავისებურებებით ხასიათდებოდეს. აქ საუბარი არ ეხება ისეთ ქონებას, რომელზეც საკუთრების უფლება მხოლოდ საჯარო რეგისტრაციით უნდა დასტურდებოდეს (158 II 1).

ფიზიკური პირი ქონების მიმართ რეალურ, მატერიალურ მფლობელობით ურთიერთობაში შეიძლება იმყოფებოდეს მაშინ, როცა იურიდიულ პირს არ შესწევს უნარი, შევიდეს ამგვარ მფლობელობით ურთიერთობაში ფიზიკური თვალსაზრისით; ქონების მიმართ იურიდიულ პირი შესაძლოა იყოს მხოლოდ ფორმალურ მფლობელობით ურთიერთობაში. შესაბამისად, იურიდიული პირის მიერ ცალკეული ქონების მიმართ მფლობელობითი მდგომარეობის არსებობა შესაძლოა მყარ დოკუმენტურ დადასტურებას საჭიროებდეს. ამასთან, მფლობელობითი ურთიერთობის აქ ხსენებული ორივე სახე ფაქტობრივი ბატონობის კატეგორიაში ექცევა (155 I).[26]

22 *ჭანტურია,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, 2002, გვ. 100-101; ასევე, *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 220; ასევე, *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 167.

23 *ბურდული,* სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი I, 2010, გვ. 110-117.

24 *ჭანტურია,* მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის კომენტარი, 2002, გვ. 12-13.

25 *ზოიძე,* ქართული სანივთო სამართალი, 2003, გვ. 26 და მომდევნო.

26 ასევე იხ. *ზოიძე,* ქართული სანივთო სამართალი, 2003, გვ. 55 და მომდევნო.

3. ორგანიზებულობა

13 წარმონაქმნის ორგანიზებულობა (ა) გულისხმობს შიდა სტრუქტურის არსებობას, რომელიც სუბიექტის ფუნქციონირებას უზრუნველყოფს, (ბ) საჯარო რეგისტრაციის მიზნებისათვის დეკლარირებულია მისი კონსტიტუტიური აქტით და (გ) ავლენს სუბიექტის მოქმედების გეგმაზომიერებას.

14 ახალი სუბიექტის შექმნა, მისი ფუნდამენტური მიზნ(ებ)ის განსაზღვრა-გაერთიანების შემდეგ, უპირველესად, შიდა სტრუქტურის, შინაგანი აგებულების შემუშავებას მოითხოვს. ორგანიზებულობის ნიშანი მიუთითებს სუბიექტის სწორედ შინაარსობრივ მხარეზე, რომელიც, ცხადია, ავსებს და შეადგენს ფორმას, მაგრამ გამიჯნულია მისგან.

წარმონაქმნის შინაგანი აგებულება უკავშირდება მის ფუნქციონირებას. ეს განპირობებულობა ნიშნავს იმას, რომ ცალკეულ სამოქმედო-ფუნქციურ საჭიროებას, გარკვეული ორგანული ელემენტ(ებ)ი უნდა ემსახურებოდეს. შესაბამისად, ორგანიზმის შემადგენელი ნაწილების შემოღება და მათი საშუალებით ამ ორგანიზმის განსაზღვრული წესით აგება სწორედ სამოქმედო-ფუნქციურ ამოცანათა თავისებურებებს ეფუძნება.

15 ორგანიზებულობა, როგორც ნიშანი, საჯარო რეგისტრაციისას ვლინდება. ამ პროცესში აუცილებელია დაფუძნების ინიციატორ(ებ)ის შესაბამისი გარიგების[27] არსებობა, რომელიც როგორც წარმონაქმნის შექმნის იდეის, ისე მისი აგებულების დემონსტრირების საშუალებას წარმოადგენს.

წარმონაქმნის წესდება[28] შეიცავს დამფუძნებელ და მარეგულირებელ დებულებებს ორგანიზაციული სტრუქტურის ელემენტების, მაგალითად, მმართველობითი ორგანოების შესახებ. უმრავლეს შემთხვევაში ასეთ ერთეულს წარმოადგენს, მაგალითად, დირექტორი, პარტნიორთა საერთო კრება, სამეთვალყურეო საბჭო; ჩამოთვლილთაგან თითოეულის სრულყოფილი დახასიათება, ძირითადად, საკორპორაციო სამართლის დარგის კომპეტენციაა.

16 იურიდიული პირების ზოგადი სამართალი სწორედ ორგანიზებულობის ნიშანში შეიცავს მითითებას წარმონაქმნის არაერთჯერად[29], გეგმაზომიერ[30] ბუნებაზე. ასეთი ბუნების დასახასიათებლად მართებულია სისტემატურობის ტერმინის გამოყენებაც.[31]

---

27 შესაძლოა სადავო იყოს, რამდენად არის ერთი ფიზიკური პირის მიერ იურიდიული პირის დაფუძნება გარიგება, როგორც მას სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლი განსაზღვრავს, თუმცა საფიქრებელია, რომ ეს სწორედ ცალმხრივი გარიგების ნაირსახეობაა. სხვადასხვა წყაროზე მითითებით: *ბურდული*, სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი I, 2010, გვ. 406, მე-40 სქოლიო.

28 წესდების ნორმატიული ცნება სრულყოფილად შემოაქვს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 3 IV1 მუხლს. წესდების თანამედროვე ქართული გაგების შესახებ იხ.: *ჭანტურია*, საწესდებო ავტონომია საკორპორაციო სამართალში, წიგნში: სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები, 2010, გვ. 560-571.

29 არაერთჯერადობის ლეგალურ ნიშანს განამტკიცებს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლი 1.2.

30 გეგმაზომიერება შეიძლება ჩაითვალოს არაერთჯერადობის, როგორც ნიშნისა თუ თვისების, უფრო მკაფიო გამოხატულებად, ვინაიდან არაერთჯერადობა სემანტიკურად შეიცავს არასაჭირო აქცენტს საქმიანობის პერიოდულობისა და ციკლურობის მიმართ. იხ. *ჭანტურია*, მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის კომენტარი, 2002, გვ. 2-3.

31 იხ. *ჭანტურია*, მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის კომენტარი, 2002, გვ. 2.

4. დამოუკიდებელი ქონებრივი პასუხისმგებლობა

17 დამოუკიდებელი ქონებრივი პასუხისმგებლობის ელემენტი მიუთითებს, (ა) ზოგადად, წარმონაქმნის პასუხისმგებლობა-უნარიანობასა და ასევე, (ბ) ასეთი პასუხისგების დამოუკიდებლად განხორციელების შესაძლებლობაზე – წარმონაქმნის მონაწილეთა ჩართვის გარეშე. ეს ნიშანი გამომდინარეობს საკუთარი ქონების ელემენტისგან[32].

18 იურიდიული პირი აღჭურვილია პასუხისგების უნარით, რაკი მას სამოქალაქო ბრუნვის ჩვეულებრივ მოთამაშედ წარმოვიდგენთ. პასუხისმგებლობა-უნარიანობა ქმედუნარიანობის ერთ-ერთი ასპექტია. სამართლის სუბიექტის ნებელობითმა ქმედებამ შესაძლოა გამოიწვიოს, მისივე, უკვე არა ნებელობითი, არამედ სავალდებულო საპასუხო ქმედება – პასუხისგება.

ამდენად, წარმონაქმნის ქმედუნარიანობა მოიცავს მის პასუხისმგებლობა-უნარიანობასაც, რომელზე მითითებასაც სწორედ დამოუკიდებელი ქონებრივი პასუხისმგებლობის ელემენტი შეიცავს.

აღნიშნული ნიშანი აგრეთვე გულისხმობს პასუხისმგებლობის განხორციელებას სხვათაგან „დაუხმარებლად“, დამოუკიდებლად. ძირითადად, ასეთი პასუხისმგებლობითი „თავისუფლება“ დაკავშირებულია იურიდიული პირის მონაწილეებთან – პარტნიორებთან; ე. ი. პასუხისმგებლობის საფუძვლის წარმოშობისას კრედიტორის სასარგებლოდ პასუხს აგებს თავად იურიდიული პირი და არა მისი წევრი.

19 კანონით განსაზღვრულ ზოგიერთ შემთხვევაში[33] იურიდიული პირის პასუხისმგებლობის გზა მის პარტნიორებზე გადის. ამ გამონაკლისს წარმოადგენს ამხანაგობის ტიპის იურიდიულ პირებში – სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში – პარტნიორი და კომანდიტურ საზოგადოებაში – კომპლემენტარი.[34] კაპიტალური ტიპის საზოგადოების პარტნიორები ასეთი საფრთხისგან დაცულნი არიან.

5. საკუთარი სახელი

20 სახელის უფლება, ფიზიკური პირის მსგავსად, იურიდიულ პირსაც აქვს და მათი ფუნქციებიც დიდწილად ერთმანეთს ჰგავს. წარმონაქმნის სახელი (ა) ასრულებს საიდენტიფიკაციო როლს, (ბ) გამოხატავს პიროვნულობის უფლებას და (გ) ემსახურება სოციალურ მიზანს.[35]

21 საკუთარი სახელი ასრულებს იურიდიული პირის ინდივიდუალიზებისა და იდენტიფიცირების როლს.[36] შესაძლოა ითქვას, რომ საკუთარ სახელს

32 *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 221.

33 მაგ., „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მუხ. 3 II.

34 იხ. *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 221; *პეპანაშვილი,* საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, წიგნი I, 2014, გვ. 222-223; *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, 2009, 161.

35 დაწვრილებით იხ. 27-ე მუხლის კომენტარი.

36 *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 221. ცხადია, იმავე როლს ასრულებს საკუთარი სახელი ფიზიკური პირისათვის, რასაც ადგენს სამოქალაო კოდექსის 17-ე მუხლი; იხ. *ნინიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი I, გვ. 52.

ამ როლის შესრულებაში მნიშვნელოვნად ეხმარება წარმონაქმნის საჯარო რეგისტრაციისას სახელმწიფოს მიერ მისთვის მინიჭებული საიდენტიფიკაციო კოდი. როგორც წესი, საქმიან ურთიერთობებში მხარეები აუცილებლად მიუთითებენ საკუთარ საიდენტიფიკაციო კოდს მათივე იურიდიულ სახელწოდებასთან ერთად. ამასთან, რეგისტრაცია უზრუნველყოფს მხოლოდ საიდენტიფიკაციო კოდის და არა საკუთარი სახელის უნიკალურობას, ერთადერთობას.

სახელწოდება, რამდენადაც წარმონაქმნი გაიგივებულია და „დაჯილდოებულია“ ბუნებითი პირის ნიშნებით, მიიჩნევა პიროვნული უფლების[37] ერთ-ერთ განმახორცილებელ, სარეალიზაციო საშუალებად.

პიროვნული უფლების გამოხატვა უკავშირდება სუბიექტის სოციალურ დანიშნულებას. იურიდიული პირი სოციალური წარმონაქმნი და სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეა. ამდენად, მას ინდივიდუალური, სხვებისაგან გამორჩეული სახე უნდა გააჩნდეს. ზემოგანხილულ სხვა ფუნქციებთან ერთად, სახელწოდების არსებობას ეს დანიშნულებაც აქვს.

დაბოლოს, იურიდიულ პირს, ფიზიკური პირისაგან განსხვავებით, არ შეიძლება ჰქონდეს ფსევდონიმი. თუმცა, ხშირად ვხვდებით მათ სახელწოდებათა შემოკლებებს. ასეთ დამატებით სახელებს შესაძლოა მიეცეთ გარკვეული იურიდიული შინაარსი, მაგ., სავაჭრო ნიშნად რეგისტრაციის გზით. სრულყოფილი სახელწოდება კი ზოგ შემთხვევაში ისედაც იწვევს პირად არაქონებრივ უფლებრივ ეფექტს.[38]

6. გარიგებაუნარიანობა

გარიგების დადების უნარი, გარიგებაუნარიანობა იურიდიული პირის ქმედუნარიანობის ნაწილია. წარმონაქმნის ქმედუნარიანობა და უფლებაუნარიანობა წარმოიშობა ერთდროულად, რაც მას განასხვავებს ფიზიკური პირისაგან.[39] საერთოდ, ბევრი მსგავსების მიუხედავად, ფიზიკური პირისა და იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა განსხვავებულია. **22**

იურიდიული პირის ეს ნიშანი, ერთი მხრივ, აქცენტს სვამს წარმონაქმნში (საერთო) ნების ჩამოყალიბებისა და გამოვლენის შესაძლებლობაზე. მეორე მხრივ, სამართლებრივი შედეგის თვალსაზრისით, გარიგებაუნარიანობა არის ერთ-ერთი ძირითადი საფუძველი, სამოქალაქო ბრუნვის პირობებში იურიდიულმა პირმა შეძლოს სხვადასხვა უფლებისა და მოვალეობის შეძენა. **23**

37 ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების რეჟიმის იურიდიულ პირებზე გავრცელების საფუძველია საქართველოს კონსტიტუციის 45-ე მუხლი. იხ. *ბურდული,* დემეტრაშვილი (რედ.), საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი (თავი II), 2013, გვ. 598 და მომდევნო. წარმონაქმნის პიროვნული უფლებების არსებობა აღიარებულია სამართლებრივ ლიტერატურაშიც. ამის თაობაზე იხ. კერესელიძე, უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 131-133, ასევე, *კუბლაშვილი,* ძირითადი უფლებები, 2003, გვ. 92-94, ხოლო თავად ქართულ ტერმინს ამგვარი ფორმით ამკვიდრებს იურიდიული ლიტერატურა, მაგ., *ნინიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, გვ. 52.

38 *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 222.

39 *ჭანტურია,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, გვ. 113; *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 234.

7. საპროცესო უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა

24 წარმონაქმნის აქტიური და პასიური სასარჩელო უფლებაუნარიანობა მისი ზოგადი უფლებაუნარიანობის მორიგი გამოვლინებაა. აქტიური სასარჩელო უფლებაუნარიანობა გულისხმობს სასამართლოში – მოსარჩელედ, ხოლო პასიური სასარჩელო უფლებაუნარიანობა მოპასუხედ გამოსვლის შესაძლებლობას. ორივე მათგანი სასამართლო პროცესში მხარედ მონაწილეობას უკავშირდება.[40]

საპროცესო უფლებაუნარიანობისა და საპორცესო ქმედუნარიანობის ლეგალურ ცნებებს ასევე სამოქალაქო-საპროცესო კანონმდებლობა განსაზღვრავს.[41] სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციული სამართლის საპორცესო კანონმდებლობა ამ მხრივ დეფინიციურ როლს არ ასრულებს.

სასამართლო წარმოებაში მონაწილეობის, სასამართლოსადმი მიმართვისა თუ მოპასუხეობის უფლება, შეიძლება ითქვას, არსებითი ბერკეტია სამართლის ნებისმიერი სუბიექტისათვის საკუთარი კანონიერი უფლების განხორციელების დაცვისათვის. ამიტომ, იურიდიულ პირს კანონი სრულყოფილად აღჭურავს ამ შესაძლებლობით.

IV. იურიდიული პირის ძირითადი ტიპოლოგიური კლასიფიკატორები

25 იურიდიული პირების კლასიფიკაციას აქვს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული დანიშნულება.[42]

იურიდიული პირების დაჯგუფება ბევრნაირად არის შესაძლებელი. სამართლის სხვადასხვა სისტემა სხვადასხვაგვარ მიდგომას ირჩევს იურიდიული პირის სახეობათა ჩამონათვალისა თუ მათი განმასხვავებელი ნიშნების თვალსაზრისით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი წარმონაქმნთა კლასიფიკაციას ორგანიზაციული თეორიის ზოგადი პრინციპების საფუძველზე ახდენს.

24 II გამოყოფს ოთხ კატეგორიას იურიდიული პირების დასაჯგუფებლად: კორპორაციული ორგანიზებულობა, წევრთა გაერთიანება, წევრთა მდგომარეობაზე დამოკიდებულება ან მისგან დამოუკიდებლობა და სამეწარმეო ან არასამეწარმეო საქმიანობა. აღსანიშნავია, რომ ეს ნიშნები ურთიერთგამომრიცხავი არ არის, ე. ი. ცალკეულ წარმონაქმნს შესაძლოა ერთდროულად გააჩნდეს ზოგიერთი მათგანი.

8. კორპორაციული ორგანიზებულობა

26 კორპორაციულად აგებული წარმონაქმნი გამოირჩევა მნიშვნელოვანი ორგანიზაციული მახასიათებლებით. მასში შინაარსობრივი აქცენტი გადა-

40 სამოქალაქო სასამართლო პროცესში იურიდიული პირის მხარედ გამოსვლის შესაძლებლობას განამტკიცებს საქართველოს კანონის „საქართველოს სამოქალაქო-საპროცესო კოდექსი“ მუხ. 79 I 2.

41 საქართველოს კანონის „საქართველოს სამოქალაქო-საპროცესო კოდექსი“ 80 I და 81 I მუხლები.

42 *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი I, 2002, გვ. 102-103; *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 242.

ტანილია ორგანულ ნაწილებზე, მათ სტრუქტურაზე, ფუნქციასა და საერთო სისტემაზე, როგორც ასეთზე, და არა მასში მოქმედ წევრებზე, დამფუძნებლებსა თუ პარტნიორებზე, წევრთა გაერთიანებისაგან განსხვავებით.

კაპიტალური საზოგადოება კორპორაციულად ორგანიზებული წარმონაქმნის თვალსაჩინო ნიმუშია.[43] პირველ რიგში, ის არის ქონებრივი და არა ადამიანური რესურსის გაერთიანება.

9. წევრობაზე დაფუძნება

წევრთა გაერთიანება წარმონაქმნის პირველადი, მარტივი ფორმაა. იგი ადამიანური რესურსის საფუძველზე იქმნება. მასში მთავარია მისი წევრების კატეგორია და მრავლობითობა. **27**

თუკი კორპორაციული ორგანიზაციის ძირითადი საყრდენი მისი სტრუქტურის ფორმაცა და შინაარსიცაა, წევრობაზე დაფუძნებულ წარმონაქმნში გადამწყვეტი მის წევრთა პერსონალურობაა. აქ იგულისხმება მათი პირადი მახასიათებლები და, ასევე, ქონებრივი მდგომარეობა. გარდა ამისა, კორპორაციულ ორგანიზაციაში მის წევრთა რაოდენობას მნიშვნელობა არ ენიჭება, რადგან მასში ქონებრივი რესურსის მობილიზებაა საჭირო. წევრობაზე დაფუძნებულ წარმონაქმნში სწორედ წევრთა თავმოყრაა, მათი რაოდენობაა სასიცოცხლო. ამრიგად, წევრობაზე დაფუძნებულ წარმონაქმნს სულ ცოტა ორი პარტნიორი მაინც ესაჭიროება.

ასეთი იურიდიული პირის მაგალითია სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება.[44]

10. წევრთა მდგომარეობაზე დამოკიდებულობა და მისგან დამოუკიდებლობა

წარმონაქმნში წევრთა მდგომარეობას შესაძლოა განსხვავებული დანიშნულება ჰქონდეს. ერთი მხრივ, გაერთიანება შესაძლოა მის წევრთა იმდენად მტკიცე კავშირი იყოს, რომ მათი შემადგენლობის მცირე ცვლილებამაც კი წარმონაქმნის არსებობას აზრი დააკარგვინოს. აქ კავშირის სიმტკიცე მისი თითოეული წევრის შემადგენლობაში ყოფნის აუცილებლობაზეც მეტყველებს. ასე, მაგალითად, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების წესდებით შესაძლოა იმის გათვალისწინება, რომ გაერთიანებიდან რომელიმე პარტნიორის გასვლა წარმონაქმნის დაშლის სამართლებრივი საფუძველი იყოს. ასეთ გაერთიანებას სამოქალაქო კოდექსი და იურიდიული დოქტრინა წევრთა მდგომარეობაზე დამოკიდებულ წარმონაქმნად მიიჩნევს.[45] **28**

თუმცა, შესაძლოა გაერთიანებას, ამ თვალსაზრისით, „ნაკლებმგრძნობიარე“ ხასიათი ჰქონდეს. მაგალითად, ხშირ შემთხვევაში იურიდიული პირი **29**

43 *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 244.
44 იქვე, 2011, გვ. 245.
45 იქვე, 2011, გვ. 245.

შესაძლოა გულგრილი იყოს იმ გარემოების მიმართ, თუკი მის წევრთა რიგებს, ამა თუ იმ მიზეზის გამო, რომელიმე პარტნიორი ტოვებს. ეს ნიშნავს, რომ ეს გაერთიანება დამოუკიდებელია მის წევრთა მდგომარეობისაგან.[46]

30 გასათვალისწინებელია, რომ წევრთა მდგომარეობაზე დამოკიდებული ან ამ მდგომარეობისაგან დამოუკიდებელი შესაძლოა იყოს მხოლოდ წევრობაზე დაფუძნებული იურიდიული პირი, ვინაიდან ამ ნიშნების გამოყენება კორპორაციული ორგანიზაციის მქონე გაერთიანებათა მიმართ არასწორი იქნებოდა.

11. სამეწარმეო და არასამეწარმეო საქმიანობა

31 იურიდიული პირების მიმართ მოქმედებს კიდევ ერთი გამიჯვნის წესი: სამოქალაქო სამართლის პერსპექტივიდან ისინი შესაძლოა იყვნენ სამეწარმეო ან არასამეწარმეო საქმიანობის სუბიექტები. შესაბამისად, ერთმანეთისაგან განსხვავდებიან სამეწარმეო (კომერციული) და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მეწარმე სუბიექტები, როგორც წესი, კერძო სამართლის იურიდიული პირები არიან და არა – საჯარო სამართლის. თუმცა, თეორიულად სამეწარმეო საქმიანობის განმახორციელებელი საჯარო სამართლის სუბიექტიც შესაძლოა იყოს. ეს გარემოება განპირობებულია იმით, რომ სახელმწიფო, უმრავლეს შემთხვევაში, სამეწარმეო საქმიანობის განსახორციელებლად, არჩევანს კერძო სამართლის სხვადასხვა ტიპის იურიდიულ პირებს შორის აკეთებს.[47]

სამეწარმეო და, შესაბამისად, მისგან გამომდინარე, არასამეწარმეო საქმიანობის ცნებებს იძლევა სამეწარმეო სამართალი.[48] ამდენად, აღნიშნული ნიშნების დახასიათებისასაც მას უნდა მივმართოთ.[49]

46 *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 245.
47 იქვე, გვ. 243.
48 საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, მუხ. 1 I 2 და 1 II.
49 *ჭანტურია,* მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის კომენტარი, 2002, გვ. 1-8.

მუხლი 25. იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი უფლებამოსილია განახორციელოს კანონით ან მისი სადამფუძნებლო დოკუმენტებით გათვალისწინებული მიზნების შესაბამისი საქმიანობა.

2. კერძო სამართლის იურიდიულ პირს (სამეწარმეოს თუ არასამეწარმეოს (არაკომერციულს)) უფლება აქვს განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს საქმიანობა მისი სადამფუძნებლო დოკუმენტებით გათვალისწინებული.

3. ზოგიერთი საქმიანობა, რომელთა ჩამონათვალსაც განსაზღვრავს კანონი, იურიდიულ პირს შეუძლია განახორციელოს მხოლოდ სპეციალური ლიცენზიის/ნებართვის ან ავტორიზაციის გავლის საფუძველზე. აღნიშნული საქმიანობის განხორციელების უფლება იურიდიულ პირს წარმოეშობა ლიცენზიის/ნებართვის მიღების ანავტორიზაციის გავლის მომენტიდან.

4. იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა წარმოიშობა მისი რეგისტრაციის მომენტიდან და წყდება მისი ლიკვიდაციის დასრულების ფაქტის რეგისტრაციის მომენტიდან.

5. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი უფლებამოსილია ეწეოდეს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, რომლიდან მიღებული მოგებაც უნდა მოხმარდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიზნების რეალიზებას. ასეთი საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების განაწილება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლებს, წევრებს, შემომწირველებს, აგრეთვე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის დაუშვებელია.

საქართველოს 2006 წლის 14 დეკემბრის კანონი №3967 – სსმ I, №48, 22.12.2006წ., მუხ.336
საქართველოს 2010 წლის 21 ივლისის კანონი №3537 – სსმ I, №47, 05.08.2010წ., მუხ.304

I. ნორმის მიზანი და ისტორია 196
II. საჯარო სამართლის იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა 196
III. კერძო სამართლის იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა 197
IV. ლიცენზია/ნებართვა, ავტორიზაცია 199
V. უფლებაუნარიანობის წარმოშობა და შეწყვეტა 200
VI. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სამეწარმეო საქმიანობა 201

I. ნორმის მიზანი და ისტორია

1 სამოქალაქო სამართალში იურიდიული პირების ზოგადი უფლებაუნარიანობის ცნებას ადგენს და განსაზღვრავს 25-ე მუხლი. შეიძლება ითქვას, რომ იურიდიული პირისათვის, ფიზიკურ პირთან შედარებით, ის არის მე-11 და მე-12 მუხლების მსგავსი, რამდენადაც ამ შემთხვევაში უფლებაუნარიანობისაგან განცალკევებით ქმედუნარიანობის შემოღებას კანონმდებელი მიზნად არ ისახავს.[1] აღნიშნულის მიუხედავად, ქმედუნარიანობის ცნება იურიდიული პირისათვის რელევანტურია. იურიდიული პირის ქმედუნარიანობა უფრო მჭიდროდ, ქრონოლოგიური თვალსაზრისითაც მიბმულია მის უფლებაუნარიანობაზე იმდენად, რამდენადაც ორივე მათგანს წარმოშობის მომენტი[2] საერთო აქვთ (25 IV).[3]

გარდა ამისა, 25-ე მუხლი იძლევა სამოქალაქო-სამართლებრივი უფლებაუნარიანობის საფუძველს საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირებისათვის (25 I, II). ამასთან, იგი ცალკეული შემთხვევებისათვის ადგენს იურიდიული პირის ქმედუნარიანობის წარმოშობის სალიცენზიო/სანებართვო და საავტორიზაციო წინაპირობებს (25 III.), განსაზღვრავს უფლებაუნარიანობის წარმოშობისა და შეწყვეტის დროს (25 IV) და ქმნის გარკვეულ პირობებს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სამეწარმეო საქმიანობისათვის (25 V).

2 იურიდიული პირების ზოგადი სამოქალაქო სამართლის ძირეული რეფორმის[4] შემდეგ 25-ე მუხლმა ცვლილება მხოლოდ ერთხელ, 2010 წელს განიცადა, როდესაც მის მესამე ნაწილში შევიდა მცირე დამატება ავტორიზაციის, როგორც ქმედუნარიანობის ერთ-ერთი შესაძლო წინაპირობის, აუცილებლობის შესახებ.[5]

II. საჯარო სამართლის იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა

3 საჯარო სამართლის იურიდიული პირის შექმნის, საქმიანობისა თუ ორგანიზაციის წესი არ გამომდინარეობს არც ცალკე აღებული სამოქალაქო სამართლიდან და არც ზოგადად კერძო სამართლიდან, ვინაიდან იგი სრულად ექცევა საჯარო სამართლის იურისდიქციის ქვეშ.[6] საჯარო სამართლის იურიდიული პირის, როგორც ინსტიტუტის, საფუძველს საჯარო სამართლის

1 *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი I, 2002, გვ. 113-114.

2 ტერმინოლოგიური დანიშნულებით უნდა ითქვას, რომ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1923 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსი იურიდიული პირის უფლებაუნარიანობის მომწესრიგებელ ნორმაში სარგებლობდა ტერმინის „მომენტი“ ქართულენოვანი შესატყვისით „წამი“. კერძოდ, მუხ. 14 III ადგენდა, რომ „იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა წარმოიშობა წესდების (დებულების) დამტკიცების წამიდან, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც კანონი მოითხოვს იურიდიული პირის რეგისტრაციას, – ასეთი რეგისტრაციის წამიდან.“

3 იხ. *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 240.

4 საქართველოს 2006 წლის 14 დეკემბრის №3967 კანონი „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“.

5 საქართველოს 2010 წლის 21 ივლისის №3537 კანონი „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ“.

6 *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 235-236.

სფეროს კანონმდებლობა ქმნის.[7] ამდენად, მისი უფლებაუნარიანობის საკითხიც საჯარო სამართლის მიერ არის გადაწყვეტილი,[8] რაც კერძო სამართალში აირეკლება საჯარო სამართლის იურიდიული პირის სამოქალაქო-სამართლებრივი უფლებაუნარიანობის სახით.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი აღჭურვილია სპეციალური უფლებაუნარიანობით,[9] ვინაიდან იგი ვიწრო, განსაზღვრული საჯარო დანიშნულების შესასრულებლად იქმნება.[10] ამავე პრინციპს განამტკიცებს 25 I მუხლი.

4 უფლებაუნარიანობის სპეციალური ხასიათი, ცხადია, დაკავშირებულია იურიდიული პირის საქმიანობასთან. აღსანიშნავია, რომ ამგვარი სპეციალური უფლებაუნარიანობის ფარგლებს გარეთ, თუ მისი დარღვევით დადებული გარიგება ბათილია[11] და ასეთ შემთხვევაში კანონი მესამე პირს ვერ დაიცავს იმ საფუძვლით, რომ მან უფლებაუნარიანობის შეზღუდვის შესახებ არ უწყოდა[12], ე.ი. ამ გარემოების მიმართ იგი კეთილსინდისიერი იყო[13].[14] მართალია, კანონის ეს დებულება[15] შეიცავს ჩანაწერს მხოლოდ „კეთილსინდისიერი შეძენის შესახებ“, თუმცა, საფიქრებელია, რომ მასში სამოქალაქო სამართლით განმტკიცებული ზოგადი კეთილსინდისიერების პრინციპიც (8 III) უნდა მოიაზრებოდეს.

სპეციალური უფლებაუნარიანობის გარეშე დადებული გარიგების ბათილობა თანაბარ ეფექტს იძლევა მისი ყველა მხარის მიმართ, განსხვავებით ზოგადი უფლებაუნარიანობით დადებული გარიგებისაგან. მესამე პირი გაიზიარებს ამგვარი ბათილობის ტვირთს, რაკი ივარაუდება, რომ მას უნდა სცოდნოდა შესაბამისი იურიდიული პირის უფლებაუნარიანობის შეზღუდვის შესახებ, ვინაიდან ასეთი სპეციალური უფლებაუნარიანობა განისაზღვრება შესაბამისი კანონით, საქართველოს მთავრობის დადგენილებით ან/და იურიდიული პირის წესდებით (დებულებით).[16]

III. კერძო სამართლის იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა

5 კერძო სამართლის იურიდიული პირი სარგებლობს ზოგადი სამოქალაქო-სამართლებრივი უფლებაუნარიანობით[17] ისე, როგორც ფიზიკური

7 საქართველოს 1999 წლის 28 მაისის №2052 კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“.

8 „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მუხ. 5 I.

9 „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მუხ. 3 I 1.

10 *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 174; ასევე, *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 235.

11 „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მუხ. 3 IV 1.

12 „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მუხ. 3 IV 2.

13 „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მუხ. 3 IV 3.

14 *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 235.

15 „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მუხ. 3 IV 3.

16 „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მუხ. 3 II 1; ამ საკითხის შესახებ კრიტიკული მოსაზრებისათვის იხ. *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 235.

17 *ზოიძე*, ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, 2005, გვ. 215 და მომდევნო.

პირი. აღნიშნული გულისხმობს იურიდიული პირის უფლებას, განახორციელოს ნებისმიერი საქმიანობა, რომელსაც არ კრძალავს კანონი, იმისგან დამოუკიდებლად, იყო თუ არა ეს დაგეგმილი მის საინიციატივო-სადამფუძნებლო ეტაპზე და მოხდა თუ არა ამ საქმიანობის გათვალისწინება შესაბამის სამართლებრივ დოკუმენტ(ებ)ში (25 II).[18]

ამდენად, თუკი საჯარო სამართლის იურიდიული პირების შემთხვევაში უფლებაუნარიანობის სპეციალურობა, უფრო ზუსტად კი მისი ფარგლების დაუცველობა, შესაძლოა გახდეს გარიგების ბათილობის საფუძველი, კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ გაფორმებულ გარიგებებს ასეთი შედეგი ვერ მოჰყვება – ზოგადი უფლებაუნარიანობა მყარ ნიადაგს ქმნის გარიგების ნამდვილობის შესანარჩუნებლად მესამე პირებისათვის, თუნდაც ეს გარიგება სხვაგვარ ეფექტს იწვევდეს იურიდიული პირის შიდა ურთიერთობებში.[19]

6 იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა განსხვავებულადაა გადაწყვეტილი სხვადასხვა სამართლებრივ სისტემაში.[20] იურიდიული პირის ზოგადი უფლებაუნარიანობის იმ მოდელთან შედარებით, რომელიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსითაა დამკვიდრებული და რომელიც გერმანული, ავსტრიული და შვეიცარიული სისტემის შესაბამისი ელემენტის ანალოგია, უნდა განვასხვაოთ ინგლისურ-ამერიკულ სამართალში დამკვიდრებული სპეციალური უფლებაუნარიანობის მოდელი.

7 აღნიშნული მოდელი ინგლისურ-ამერიკულ სამართალში ცნობილია, როგორც დოქტრინა ultra vires. ეს დოქტრინა ზღუდავს იურიდიული პირის უფლებაუნარიანობას გარკვეული სახის გარიგებების დადებისას იმით, რომ, თუკი იურიდიული პირი აფორმებს ისეთ გარიგებას, რომელიც მისი უფლებაუნარიანობის ფარგლებს გარეთაა, ასეთი გარიგება მიიჩნევა ბათილად. დოქტრინა ultra vires გამოიყენება როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირების, ისე სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების მიმართ. ამდენად, თუკი იურიდიული პირი კანონით არის შექმნილი, ინგლისში მისი უფლებამოსილებანი პარლამენტის შესაბამისი აქტით განისაზღვრება, ხოლო, თუ იგი ყალიბდება „კომპანიათა შესახებ“ 2006 წლის აქტის (მის ამოქმედებამდე – „კომპანიათა შესახებ“ 1985 წლის აქტით) თანახმად, მაშინ იურიდიული პირის უფლებამოსილებას შეზღუდავს მისი სადამფუძნებლო დოკუმენტის[21] სპეციალური დებულებები იურიდიული პირის მიზნების შესახებ, რომელიც საჯაროა და რომელიც შეტანილ უნდა იქნეს კომპანიათა რეესტრში.[22]

18 აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, რა თქმა უნდა, იურიდიული პირი ვერ იქნება ისეთი უფლების სუბიექტი, რომლის განხორციელებაც შესაძლებელია მხოლოდ ადამიანის მიერ. იხ. *კერესელიძე*, უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 173.

19 *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 231.

20 *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 230, სქოლიო 361; საერთო სამართლის სისტემის ქვეყნებიდან ავსტრალიურ სამართალში იურიდიული პირის უფლებაუნარიანობის შესახებ იხ. *Egert,* Legal Capacity of Incorporated Associations and the Associatins Incorporations Act 1981 (QLD), 8 James Cook U. L. Rev. 39, 2001, pp. 39 and ff.

21 ინგ. „memorandum of association“.

22 *Richards,* Law of Contract, 2002, p. 87.

დოქტრინა ultra vires იცავს ბრუნვის სუბიექტებს, რომლებსაც შესაძლოა შესაბამის იურიდიულ პირთან მოუწიოთ თანამშრომლობა და მათ ასეთი ურთიერთობის დასაწყისშივე ავალდებულებს, გაეცნონ საზოგადოების წესდებას. მართალია, აღნიშნული დოქტრინის დანიშნულება სწორედ დაინტერესებული სუბიექტების დაცვაა, მაგრამ მისი პრაქტიკული სარგებლიანობის შესახებ შეხედულებები სხვადასხვაა.[23]

ზემოგანხილული დოქტრინისაგან განსხვავებით, თუ ზოგადი უფლებაუ- **8**
ნარიანობის მქონე იურიდიული პირი დადებს გარიგებას საქმიანობის ისეთ სფეროში, რომელიც მის სადამფუძნებლო დოკუმენტაციაში განსაზღვრული არ არის, ამ გარიგებას ბათილობის საფრთხე ამგვარი თვალსაზრისით არ დაემუქრება.[24]

IV. ლიცენზია/ნებართვა, ავტორიზაცია

უფლებაუნარიანობის ცალკეულ სპეციალურ სახეებს ადგენს 25 III. ეს **9**
ნორმა შეეხება შემთხვევებს, როდესაც იურიდიულ პირს ესაჭიროება სახელმწიფოს მიერ დადგენილი სპეციალური პროცედურის გავლა და მისგან შესაბამისი თანხმობის მიღება განსაზღვრული ტიპის საქმიანობის წამოწყებისა და განხორციელებისათვის.

სალიცენზიო და სანებართვო პროცედურა საგანგებოდაა დადგენილი **10**
კანონმდებლობის მიერ.[25] აღნიშნული სფეროს ამგვარი განსაკუთრებული მოწესრიგება განპირობებულია ისეთი საქმიანობის განსაკუთრებული მნიშვნელობით, „რომელიც ეხება პირთა განუსაზღვრელ წრეს, ხასიათდება ადამიანის სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის მომეტებული საფრთხით, მოიცავს განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს ან დაკავშირებულია სახელმწიფო რესურსებით სარგებლობასთან“[26] და შესაბამისად, საჭიროებს სახელმწიფოს განსაკუთრებულ მეთვალყურეობას.

სამოქალაქო კოდექსი ცალკეული სახის უფლებაუნარიანობის წარმოშობას, მართალია, უკავშირებს ამა თუ იმ ლიცენზიის/ნებართვის არსებობას, მაგრამ ასეთი მოწმობის გაცემის პროცედურულ სფეროში იგი არ ერევა. ლიცენზიისა და ნებართვის ცნებებს ადგენს სწორედ ზემოაღნიშნული სპეციალური კანონი.[27] ამასთან, იგივე კანონი განსაზღვრავს სალიცენზიო საქმიანობის ისეთ სახეებს, როგორიცაა, მაგალითად, ბავშვთა კვების პროდუქტების წარმოება, ბიოლოგიური პესტიციდების წარმოება, ბირთვული და რადიაციული საქმიანობა, სამხედრო-საბრძოლო იარაღით ვაჭრობა[28],

23 აღნიშნულთან დაკავშირებით კრიტიკული მოსაზრების შესახებ იხ. *Richards,* Law of Contracts, 2002, pp. 87-88.

24 *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 232.

25 საქართველოს 2005 წლის 24 ივნისის №1775 კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“.

26 „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მ. 1 I 1.

27 „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მ. 3 (ა) და (ე).

28 სამხედრო-საბრძოლო იარაღის ბრუნვას დამატებით აწესრიგებს საქართველოს მთავრობის 2005 წლის 23 აგვისტოს №144 დადგენილება „იარაღის ბრუნვასთან დაკავშირებული ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“.

კერძო მაუწყებლობა, ელექტროენერგიის წარმოება, ნავთობის გადამუშავება ან ბუნებრივი გაზის დამუშავება, საბანკო და საფონდო ბირჟის საქმიანობა და სხვ.[29]

11 საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, ავტორიზაცია ძირითადად დაკავშირებულია საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ სწავლების განხორციელების სანქციონირებასთან.[30] გარდა ამისა, შესაძლებელია, ავტორიზაციის ინსტიტუტის გამოყენება არა საგანმანათლებლო, არამედ სხვაგვარი მისიის მქონე დაწესებულებების მიმართაც, თუკი სახელმწიფო აუცილებლად ჩათვლის მათი საქმიანობის შესაბამისობის გამორკვევასა და დადგენას მის მიერვე წინასწარ განსაზღვრულ სტანდარტულ ნორმებთან თუ მოთხოვნებთან მიმართებით.

V. უფლებაუნარიანობის წარმოშობა და შეწყვეტა

12 25 IV განსაზღვრავს იურიდიული პირის უფლებაუნარიანობის წარმოშობის მომენტს. აქ შესაძლებელია კიდევ ერთი პარალელის გავლება იურიდიულ პირსა და ფიზიკურ პირს შორის. კერძოდ, როგორც ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა – „უნარი, ჰქონდეს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები“ – წარმოიშობა დაბადების მომენტიდან (11 I), ასევე, იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა – უფლება, „განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს საქმიანობა მისი სადამფუძნებლო დოკუმენტებით გათვალისწინებული“ (25 II.) – წარმოიშობა მისივე რეგისტრაციის მომენტიდან (25 IV).[31]

უფლებაუნარიანობის წარმოშობის ლეგალური დროის ცოდნას არსებითი მნიშვნელობა აქვს, რამდენაც მასთან შეიძლება იყოს დაკავშირებული იურიდიული პირის საქმიანობიდან გამომდინარე სხვადასხვა უფლებისა და თუ ვალდებულების ნამდვილობის საკითხი. მაგალითად, ლიცენზიის გაცემა იურიდიულ პირზე თავისთავად მოითხოვს ამ იურიდიული პირის უფლებაუნარიანობას.[32]

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ ეს ნორმა შეეხება მხოლოდ კერძო სამართლის იურიდიულ პირებს.[33] საჯარო სამართლის იურიდიული პირების უფლებაუნარიანობის წარმოშობის საკითხი, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, საჯარო სამართლის მიერ არის გადაწყვეტილი.[34]

29 „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მ. 6.

30 მაგ., საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანება „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ ან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 16 აგვისტოს №135/ნ ბრძანება „მხოლოდ საღვთისმეტყველო საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულების ავტორიზაციის წესის დამტკიცების შესახებ“ და სხვ. მსგავსი მოსაზრებისათვის იხ. პეპანაშვილი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, 2014, გვ. 233-234.

31 კერძო სამართლის იურიდიული პირის უფლებაუნარიანობის წარმოშობა რეგისტრაციის ფაქტს უკავშირდება ზოგიერთ სხვა სამართლებრივ სისტემაშიც. იხ. მაგ., *Ferid/Sonnenberger,* Das Französische Zivilrecht, Band 1/1, 2. Aufl., 1 D 344; ასევე, BGB §21.

32 *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 234.

33 *ჭანტურია,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, გვ. 115, მუხ. 25.

34 „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მ. 5.

იგივე ნორმა განსაზღვრავს იურიდიული პირის უფლებაუნარიანობის შეწყვეტის მომენტს. ეს იურიდიული შედეგი დაკავშირებულია სუბიექტის ლიკვიდაციასთან,[35] რომლის განსაზღვრებასაც არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისათვის იძლევა მ. 38 I1, ხოლო სამეწარმეო იურიდიული პირებისათვის – „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მ. 14,[36] რაც არსებითად იდენტურია. 13

აღსანიშნავია, რომ იურიდიული პირის ლიკვიდაცია, როგორც სასჯელის სახის სანქცია, მოქმედებს სისხლის სამართალშიც.[37] ამის მიუხედავად, იურიდიული პირის ლიკვიდაციის ცნება კერძოსამართლებრივი მოვლენაა.

VI. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სამეწარმეო საქმიანობა

25 V არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისათვის (ა(ა) იპ) სამეწარმეო საქმიანობის შესაძლებლობას იძლევა. იგი ა(ა)იპ-ს კომერციული საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილებას ანიჭებს, რაც, შესაძლოა, ამგვარი ცალკეული სუბიექტისათვის დროის ცალკეულ მონაკვეთში ძალზე მნიშვნელოვანი და აქტუალური იყოს.[38] 14

კერძო სამართლის იურიდიული პირების დაყოფა კომერციული და არაკომერციული საქმიანობის სუბიექტებად, ცხადია, მათ შორის არსებით განსხვავებას ნიშნავს.[39] ორივე მათგანი იურიდიული პირის სრულყოფილი სტატუსით სარგებლობს, მაგრამ კანონმდებელი მათი ურთიერთგამიჯვნით არაერთ ამოცანას ასრულებს, რაც დაკავშირებულია სახელმწიფოს საგადასახადო პოლიტიკის, სამოქალაქო ინიციატივებით საზოგადოების პროგრესირებისა თუ სხვა რთულ მიზნებთან. ასეთი განსხვავების მიუხედავად, მათი ზოგიერთი ასპექტი სავსებით იგივეობითია და ნიშან-თვისებათა ამგვარი მცირე „აღრევით“ წინ იწევს ხან ერთი და ხან მეორე ფორმის ინტერესი. განსახილველი ნორმა ა(ა)იპ-ის ინტერესების სამსახურში დგას, რაკი კომერციული საქმიანობა და მისგან მიღებული მატერიალური სარგებელი მრავალი ასეთი სუბიექტისათვის შესაძლოა სასიცოცხლოდ არსებითი და უაღრესად მნიშვნელოვანი იყოს.

ამდენად, ა(ა)იპ უფლებამოსილია, მისდევდეს სამეწარმეო საქმიანობას, თუმცა კანონი მას საამისოდ განსაზღვრულ პირობებს უწესებს. შესაძლებელია სამი ასეთი გარემოების გამოყოფა: (ა) კომერციული საქმიანობის დამხმარე ხასიათი, (ბ) მიღებული მოგების გამოყენება ა(ა)იპ-ის იდეალური მიზნებისათვის და (გ) ინსაიდერებს შორის მიღებული მოგების განაწილების 15

35 მსგავსი მოწესრიგების შესახებ საფრანგეთში იხ. *Ferid/Sonnenberger,* Das Französische Zivilrecht, Band 1/1, 2. Aufl., 1 D 346 ff.

36 *ჭანტურია*, მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის კომენტარი, 2002, გვ. 176 და მომდევნო.

37 საქართველოს 1999 წლის 22 ივლისის №2287 კანონის „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი“ მ. 1073 I (ა) დამ. 1074.

38 *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 266.

39 კომერციულ და არაკომერციულ იურიდიულ პირებს შორის განსხვავების შესახებ იხ. *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 267-268; ასევე *კერესელიძე*, უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 175-176.

დაუშვებლობა.

ა(ა)იპ არამომგებიანი სუბიექტია და, ფორმალური თვალსაზრისით, წარმოუდგენელია, იგი მერკანტად გადაიქცეს. ამიტომ მისი მხრიდან კომერციულ საქმიანობას მხოლოდ დამხმარე-დამატებითი ხასიათი შეიძლება ჰქონდეს[40] და ამასთან ერთად, აუცილებელია, იგი ინარჩუნებდეს მის თავდაპირველ არასამეწარმეო იდეალებს. წინააღმდეგ შემთხვევაში მის მიმართ შესაძლოა გამოყენებულ იქნეს საქმიანობის შეჩერების ან აკრძალვის ღონისძიებები (33 II).[41]

თავდაპირველი საქმიანობის შენარჩუნების აუცილებლობა იქიდანაც იკვეთება, რომ კანონი ა(ა)იპ-ს ავალდებულებს, სამეწარმეო პროექტ(ებ)იდან ამონაგები შემოსავალი სრულად მოახმაროს მისი არაკომერციული გეგმებისა და ამოცანების შესრულებას.[42] აშკარაა, კანონმდებელი ამგვარი იდეალური მიზნების რეალიზებას ა(ა)იპ-ის უმთავრეს დანიშნულებად მიიჩნევს.

დაბოლოს, განსახილველი ნორმა შეიცავს მკაცრ მოთხოვნასაც, ა(ა)იპ-მა არ დაუშვას მომგებიანი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის განაწილება „დამფუძნებლებს, წევრებს, შემომწირველებს, აგრეთვე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს“ – ინსაიდერებს შორის (25 V 2.). კომერციული მოგების უტილიზაციისათვის ა(ა)იპ-ს სამი ალტერნატტვა აქვს: იგი მიქცეულ უნდა იქნეს საზოგადოების მაღალი მიზნების რეალიზებისაკენ, შენარჩუნებულ იქნეს საზოგადოების ქონებრივ რეზერვში[43] ანდა დაბანდებულ იქნეს იმავე სახის კომერციულ ბრუნვაში.

40 *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 266.
41 იხ. *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 176.
42 *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 266.
43 იქვე, 2011, გვ. 266-267.

მუხლი 26. იურიდიული პირის ადგილსამყოფელი

1. იურიდიული პირის ადგილსამყოფლად ითვლება მისი ადმინისტრაციის მდებარეობის ადგილი. იურიდიულ პირს შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ერთი ადგილსამყოფელი (იურიდიული მისამართი).

2. იურიდიული პირის სხვა ადგილსამყოფელი ჩაითვლება მისი ფილიალის ადგილსამყოფლად.

საქართველოს 2006 წლის 14 დეკემბრის კანონი №3967 – სსმ I, №48, 22.12.2006წ., მუხ.336

I. შესავალი 203
II. იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიზნობრივი კონსტრუქცია 203
III. იურიდიული მისამართის ფუნქციური დატვირთვა საპროცესო სამართალში 206

I. შესავალი

საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს შესატყვისი ადრესატები ჰყავს. მათ შორის ერთ-ერთი ადგილი იურიდიულ პირს უკავია, როგორც კონსტიტუციით დადგენილი ძირითადი უფლებების მიზან სუბიექტს.[1] კერძო სამართლის იურიდიულ პირს, იქნება ეს სამეწარმეო თუ არასამეწარმეო იურიდიული პირი, აქვს კლასიკური რეკვიზიტები, რომელიც მას პრაქტიკულად სუბსტანციურ არსს განუსაზღვრავს.[2] ასეთ ერთ-ერთ მთავარ რეკვიზიტად წარმოდგენილია იურიდიული პირის ადგილსამყოფელი, რომლის (ადგილსამყოფლის) სამართლებრივი სინონიმი იურიდიული მისამართია.[3] **1**

II. იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიზნობრივი კონსტრუქცია

თანამედროვე კერძო თუ საერთაშორისო კერძოსამართლებრივი ურთიერთობისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობის მატარებელია იურიდიული პირის ადგილსამყოფლის ზუსტი განსაზღვრა. მის რელევანტურობას რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი განაპირობებს. პირველი, ეს არის იურიდ- **2**

1 საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის – „საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი“ – მთავარი ადრესატი ფიზიკური პირი, ინდივიდია. თუმცა, კონსტიტუცია სპეციალურ მუხლს (45) უთმობს ამ უფლებებისა და თავისუფლებების კიდევ ერთ სუბიექტს – იურიდიულ პირს. აღნიშნული მუხ. კომენტარი იხ.: *კუბლაშვილი,* იზორია/კორკელია/კუბლაშვილი/ხუბუა, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, 2005, გვ. 396 და მომდ.; ბურდული, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, 2013, გვ. 599 და მომდ.; აშშ-ში უზენაესმა სასამართლომ იმსჯელა არასამეწარმეო იურიდიული პირის ისეთ „მოქალაქეობრივ“ უფლებაზე, როგორიც არის პოლიტიკური უფლებები, მაგრამ არა ხმის მიცემის უფლება, თავისუფალი „საუბრისა“ და საარჩევნო პროცესში ფინანსური მონაწილეობით ჩართულობის უფლება. იხ. Citizens United v. Federal Election Commission, 558 U.S-, 130 S. Ct. 876, 2010.

2 იხ. *Pinto/Branson,* Understanding Corporate Law, 2009, p. 13.

3 შდრ. *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი II, მეორე, 2002, მუხ. 24, გვ. 117.

იული პირის სტატუსის, ორგანიზაციული მოწყობისა და ამ ორგანიზებულობის დასრულების (დაშლის) მოწესრიგებაზე გასავრცელებელი ნორმების იდენტიფიცირების პრობლემა.[4]

3 ორგანიზაციულ წარმონაქმნს, რომლის ორგანიზებულობის ერთ-ერთ ძირითად გამოვლენად მესამე პირებისადმი „შიდა", პარტნიორებს შორის ურთიერთობის გარეთ, მესამე პირებთან მიმართებით გატანა („გაცხადება")[5] წარმოადგენს,[6] საზოგადოებრივი (როგორც ფართო, ისე მისი ვიწრო გაგების კონტექსტში) ფუნქციონირებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მისი ადმინისტრაციის ადგილსამყოფლის არსებობა. იურიდიული პირის ადგილსამყოფლად კი ითვლება მისი ადმინისტრაციის (ე.წ. სათავო ოფისის) მდებარეობის ადგილი. თუ იურიდიულ პირს სხვადასხვა ადგილას აქვს ადმინისტრაციული ერთეული, მაშინ მან ერთ-ერთი უნდა აირჩიოს იურიდიული პირის ადგილსამყოფლად.[7]

4 ძირითადი ადმინისტრაციული ადგილსამყოფელი იურიდიული პირის სახასიათო რეკვიზიტებიდან (სამართლებრივი ფორმა, რეგისტრაციის ნომერის, საიდენტიფიკაციო ნომერი, სახელწოდება)[8] 26-ე მუხლის რეგულირებად სფეროს წარმოადგენს. იურიდიული პირის დამფუძნებელ პირთა წინარე სადამფუძნებლო ეტაპზე არსებული ერთსულოვანი შეთანხმება აყალიბებს წინარე სადამფუძნებლო საზოგადოებას.[9] ამ ეტაპზე იურიდიული პირის დამფუძნებელ პირებს შორის ყალიბდება სპეციფიკური „შიდასაზოგადოებრივი" ურთიერთობა, რომლის სპეციფიკას წინარე საზოგადოების მიზანი განსაზღვრავს – მოხდეს არსებული შიდა ურთიერთობის გარეთ გატანა.[10] იურიდიული პირი მესამე პირებთან ეკონომიკურ-სამართლებრივი და საქმიანი შემხებლობის ერთ-ერთ წერტილს სწორედ იურიდიული მისამართის საშუალებით იჩენს.

5 იურიდიული მისამართი იურიდიული პირის ისეთივე აუცილებელი ნიშანია,[11] როგორც სახელწოდება. ლოგიკურია, რომ მას მოეთხოვება რეგისტრაციისთვის ცნობა იურიდიული მისამართის შესახებ. თუკი ეს მისამართი ეკუთვნის სხვა პირს, რომელიც სარგებლობისთვის გადასცემს მას დას-

4 შდრ. *ქირია,* იურიდიული პირის დაფუძნების თავისუფლება ევროპული სამართლის მიხედვით და გერმანიის საერთაშორისო საკორპორაციო სამართალი, სამართლის ჟურნალი, 1-2/2010, გვ. 140-146.

5 *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 178.

6 რასაც მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის გზით ახორციელებს. იხ. *ლილუაშვილი,* მეწარმეთა რეგისტრაციის არსი და მიზნები, წიგნში: თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, 2009, გვ. 139-145.

7 იხ. *ჭანტურია,* სკ-ის კომენტარი, წიგნი II,მუხ. 27, გვ. 118.

8 იხ. *Allen/Kraakman/Subramanian,* Commentaries and Caseson the Law of business Organization, 2012, p. 94-96.

9 იხ. *ბურდული,* ქონებრივი ურთიერთობა სააქციო საზოგადოებაში, 2008, გვ. 66-69.

10 წინარესაზოგადოების სამართლებრივი ბუნების, შიდა და გარესამართლებრივ ურთიერთობებთან მიმართებით, იხ. *ბურდული,* სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი I, 2010, გვ. 426 და მომდ.

11 ევროპის კავშირის მეორე საკორპორაციოსამართლებრივი დირექტივაც კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტები, რომელიც გახსნილობას ექვემდებარება უნდა შეიცავდეს საზოგადოების ადგილსამყოფელს. იხ. *ჭანტურია,* საკორპორაციო სამართლის ევროპული დირექტივები, წიგნში: თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, 2009, გვ. 465.

აფუძნებელ იურიდიულ პირს, მაშინ აუცილებელია ამ ადგილსამყოფლის მესაკუთრის თანხმობა ან სარგებლობის თაობაზე ხელშეკრულება.[12] იდენტურ დათქმას შეიცავს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეგისტრაციის შესახებ ინსტრუქცია (11 V), რომლის მიხედვით საწარმოს იურიდიული მისამართის განსაზღვრისთვის სავალდებულოა ადგილსამყოფლის მესაკუთრის სათანადო წესით დადასტურებული თანხმობის ან ადგილსამყოფლით სარგებლობის თაობაზე დადგენილი წესით გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულების ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში წარდგენა.

6 იურიდიული მისამართი – ეს არის განსაზღვრულ ფარგლებში ტერიტორიის ინდივიდუალიზება, რომელიც სახელმწიფოს მიერ არის დადგენილი, რეგისტრირებული და აქვს იურიდიულად მბოჭავი ხასიათი.[13] შესაბამისად, იურიდიული მისამართი არის სუბიექტივირებული გეოგრაფიული წერტილი, რომელიც ქალაქებში ქუჩითა და შესაბამისი ნომრით უნდა გამოიხატოს[14] ან უნდა ხასიათდებოდეს საორიენტაციო ნიშნით, სადაც უფრო კონკრეტული მითითება შეუძლებელია (მაგალითად, დასახლება, უბანი და ა.შ.).[15] ის შეიძლება კორელაციაში იყოს საქმიანობის ადგილთან ან არ ემთხვეოდეს მას.[16]

7 26-ე მუხლის მიხედვით იურიდიული პირის ადგილსამყოფლად ითვლება მისი ადმინისტრაციის მდებარეობის ადგილი. ამასთან, კანონის იმპერატიული მოთხოვნაა, რომ იურიდიულ პირს ჰქონდეს მხოლოდ ერთი იურიდიული მისამართი. თუ იურიდიულ პირს მართვის ორგანიზებულად განხორციელების სტრატეგიულ სეგმენტში საქმიანობის გეოგრაფიული არეალის გაფართოების ან მომსახურების გაუმჯობესების მიზნით ადმინისტრაციული ერთეულების დამატება ესაჭიროება, მას ეს შეუძლია პრაქტიკულ რეალიზაციაში მოიყვანოს სამართლებრივად განსხვავებული მეთოდით, ვიდრე ეს იურიდიული პირის მისამართია. კერძოდ, მართვის სტრუქტურულ ორგანოს შეუძლია მიიღოს იურიდიული პირის საქმიანობის სრულყოფისა და დახვეწისთვის მისი ტერიტორიული, გეოგრაფიულად გამოყოფილი, მაგრამ

12 *ჭანტურია,* სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 255.

13 *ლილუაშვილი,* მეწარმეთა რეგისტრაციის არსი და მიზნები, წიგნში: თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, 2009, გვ. 168.

14 *ჭანტურია/ნინიძე,* მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, 2002, გვ. 81.

15 ეს უკანასკნელი იმ შემთხვევაშია აუცილებელი, როდესაც არ არსებობს ისეთი დეტალური ნუმერაციული აღრიცხვა, როგორც ეს მსხვილ ადმინისტრაციულ ერთეულებშია, მაგ., ქალაქებში. ეს უკანასკნელი, ძირითადად, ეხება სოფლებს. იხ. *ლილუაშვილი,* მეწარმეთა რეგისტრაციის არსი და მიზნები, წიგნში: თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, 2009, გვ. 169.

16 იხ. Del. Code Ann. Tit. 8, §§ 131, 2, 2001; Model Business Corp. Act §§ 5.01, 5.02, 5.03. აღსანიშნავია, რომ აშშ-ის ზოგიერთ შტატში ბიზნეს ორგანიზაციის ორმაგი რეგისტრაციის იმპერატიული მოთხოვნაა დაწესებული. პირველი, ის გადის რეგისტრაციას, ე.წ. შტატის მდივანთან (secretary of state) და მეორე, ორგანიზაციას მოეთხოვება იმ ადმინისტრაციული ერთეულის კლერკთან გაიაროს რეგისტრაცია, სადაც ორგანიზაციის სათავო ოფისი, ანუ იურიდიული ადგილსამყოფელი იქნება. ამასთან, ადმინისტრაციული ერთეულის კლერკთან რეგისტრაცია ამ ორგანიზაციის წარმოშობის (დაარსების) პრეკონდიცია არ არის. იხ. *Cox/Hazen,* The Law of Corporations, Vol. 1, 2010, P. 187. მაგრამ გამონაკლისი კანზასის შტატში იქნა სასამართლო პრაქტიკით დადგენილი, რომლის მიხედვითაც, თუ კომპანია არ გაივლის ორმაგ რეგისტრაციას, მაშინ მისი პარტნიორები საზოგადოების ვალდებულებებზე პასუხს პირადად აგებენ. იხ. Insurance Agency v. Snyder, 930 P. 2d, 1054, 1058-1059, Kan. 1997.

სამართლებრივად იდენტური ერთეულის – ფილიალის დაფუძნების შესახებ გადაწყვეტილება.[17] შესაბამისად, ძირითადი ადგილსამყოფლისგან (იურიდიული მისამართისგან) განსხვავებული ყველა ასეთი სტრუქტურული ერთეული იურიდიული პირის ფილიალის ადგილსამყოფლად ჩაითვლება.[18]

8 პარალელურად, იურიდიულ პირს შესაძლოა ჰქონდეს ფაქტობრივი ადგილსამყოფელი, რომელიც, რა თქმა უნდა, მისი იურიდიული მისამართი არ არის. ეს არის იურიდიული პირის ალტერნატიული მისამართი,[19] რომელიც ეკონომიკური ბრუნვის სტაბილურობისა და სამართლებრივი პროცედურების განხორციელების დაცვის დამატებითი ინსტრუმენტია. იურიდიული პირის ალტერნატიული მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი, თუ ეს განსხვავებულია რეგისტრირებული მისამართისგან) როგორც არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ისე სამეწარმეო იურიდიული პირის სარეგისტრაციო დოკუმენტაციაში სავალდებულოდ მისათითებელი რეკვიზიტია (29 III).[20] იმ შემთხვევაში, თუ იურიდიული მისამართი, როგორც მესამე პირებთან საკონტაქტო ადმინისტრაციული ერთეული,[21] არ იქნა მითითებული რეგისტრაციისთვის წარდგენილ სარეგისტრაციო განაცხადში, მაშინ მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში სარეგისტრაციო წარმოებისას მარეგისტრირებელი ორგანო დაადგენს ხარვეზს.[22]

III. იურიდიული მისამართის ფუნქციური დატვირთვა საპროცესო სამართალში

9 იურიდიული მისამართის განსაზღვრა პროცესუალური მნიშვნელობითაც გამოირჩევა.[23] იურიდიული მისამართის მიზანი არის ის, რომ დაინტერესებულმა პირმა და შესაბამისმა სახელმწიფო ორგანომ (ფოსტა, საგადასახადო ორგანო), ფუნქციონირების პროცესის სრულყოფისთვის,[24] აუცილებლობის შემთხვევაში, ადვილად მიაგნოს მას.[25]

საქართველოს სასამართლო, რომელიც იურიდიულ პირთან დაკავშირებულ სამართლებრივ დავას განიხილავს, სასამართლო უწყებას აგზავნის იურიდიულ მისამართზე ან ალტერნატიულ მისამართზე.[26] სამოქალაქო-საპროცესო კოდექსით გამონაკლისია დადგენილი, რომ, თუ სარჩელი მომ-

17 იხ. *ჭანტურია/ნინიძე*, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, 2002, გვ. 207-210.

18 იხ. *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი II,მუხ. 27, გვ. 118.

19 ისევე როგორც იურიდიული მისამართი.

20 იხ. *French/Mayson/Ryan*, Company Law, 2010, p. 67. ასევე, იხ. საქართველოს „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მუხ. 5 I მ); საქართველოს პარლამენტის უწყებები, 21-22, 28/10/1994.

21 *Schneeman,* The Law of Corporations and Other Business Organizations, 2008, p. 297-299.

22 იხ. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2009 წლის 31 დეკემბრის №241 ბრძანება „მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეგისტრაციის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“, მე-15 მუხლი.

23 იხ. *French/Mayson/Ryan*, Company Law, 2010, p. 68.

24 *Palmiter,* Corporations, 2006, პ. 42.

25 *ჭანტურია/ნინიძე*, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, 2002, გვ. 81.

26 საქართველოს სამოქალაქო-საპროცესო კოდექსი, მუხ. 71 I. პარლამენტის უწყებანი, 47-48, 31/12/1997. ასევე, იხ. *Cox/Hazen*, The Law of Corporations, Vol. 1, 2010, p. 198-199.

დინარეობს იურიდიული პირის ფილიალის საქმიანობიდან, სასამართლოს სარჩელი წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით.[27] აღნიშნული ნორმა განსაზღვრავს განსაკუთრებულ განსჯადობას, რომლის თანახმად, თუ ურთიერთობა ეხება იურიდიული პირის ფილიალის საქმიანობას, მაშინ სარჩელი წარდგენილ უნდა იქნეს იმ სასამართლოში, სადაც მდებარეობს ეს ფილიალი, მაგრამ ძირითადი საწარმოს წინააღმდეგ.[28] ამასთან, იურიდიული მისამართის არასწორი მითითება ან მისი შემდგომი შეცვლა შეტყობინების გარეშე, მაღალი საპროცესო რისკის შემცველია. კერძოდ, 76-ე მუხლის თანახმად, თუ მხარეებმა არ მიუთითეს მისამართის ცვლილების თაობაზე, მაშინ სასამართლოს მიერ გაგზავნილი უწყება ჩაითვლება ჩაბარებულად.[29] გარდა ამისა, კერძოსამართლებრივ სახელშეკრულებო ურთიერთობაში ყველა ხელშეკრულების და მისი ეგზემპლარის აუცილებელი რეკვიზიტია იურიდიული პირის სახელწოდება, საიდენტიფიკაციო ნომერი, ანგარიშის ნომერი და ადგილსამყოფელი (იურიდიული მისამართი).

27 საქართველოს სამოქალაქო-საპროცესო კოდექსი, მუხ. 16 III; ვრცლად ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. ამავე კომენტარის 28-ე მუხლი.

28 აღნიშნული უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებითაც იქნა გამყარებული. იხ. საქ. უზენაესი სასამართლოს 2006 წლის 27 ივლისის № ას-671-952-05 განჩინება. აქაც, გასათვალისწინებელია, რომ მიუხედავად უზენაესი სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილებისა, სასამართლო სისტემაში ამ საკითხს გარკვეულწილად განსხვავებულად უყურებენ. იხ. ამავე კომენტარის 28-ე მუხლი.

29 აშშ-ის სამოსამართლო პრაქტიკაში განიმარტა, რომ იურიდიული პირის ადგილსამყოფელი არის სადამფუძნებლო დოკუმენტის აუცილებელი საკანონმდებლო სარეკვიზიტო ნიშანი. შესაბამისად, რადგან დაფუძნების ეტაპზე კომპანია თავად ირჩევს იურიდიულ მისამართს, გონივრულია, რომ ამ კომპანიის მიმართ სასამართლო პროცესი რეგისტრირებული მისამართის მიხედვით იქნეს წარმოებული. იხ. Melliere v. Luhr Bros., Inc., 706 N.E.2d 40, 41, 1999.

II. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

მუხლი 27. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელწოდება

1. არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს აქვს სახელწოდება, რომელშიც აღინიშნება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისადმი მისი კუთვნილება.

2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელწოდებაში არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ისეთი გრაფიკული სიმბოლოები, რომელთაც არ აქვთ ენობრივი ნორმებით დადგენილი ბგერითი ან სიტყვიერი შესატყვისი, ასევე „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული იურიდიული პირისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმებისათვის დამახასიათებელი აღნიშვნები. ამასთანავე, სახელწოდებას არ უნდა ერთოდეს რაიმე ისეთი დამატება, რომელმაც შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს მესამე პირი ან/და გამოიწვიოს შეცდომა ან/და გაუგებრობა სუბიექტის ფორმისა თუ საქმიანობის გამო.

3. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელწოდება არ შეიძლება ემთხვეოდეს უკვე რეგისტრირებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელწოდებას.

4. პირი, რომელიც მართლსაწინააღმდეგოდ სარგებლობს სხვა იურიდიული პირის სახელწოდებით, ვალდებულია უფლებამოსილი პირის მოთხოვნის საფუძველზე შეწყვიტოს ასეთი სარგებლობა და აანაზღაუროს მართლსაწინააღმდეგო სარგებლობით გამოწვეული ზიანი.

5. იურიდიული პირის საქმიანი რეპუტაციის შელახვის შემთხვევაში გამოიყენება ამ კოდექსის მე-18 მუხლით გათვალისწინებული წესები.

საქართველოს 2006 წლის 14 დეკემბრის კანონი №3967 – სსმ I, №48, 22.12.2006წ., მუხ.336
საქართველოს 2011 წლის 1 ივლისის კანონი №5017 – ვებგვერდი, 14.07.2011წ.

I. შესავალი, წარმოშობის ისტორია 209
II. ნორმის სტრუქტურა, მიზანი და საგანი 210
III. იურიდიული პირის სახელწოდება 211
1. ცნება 211
2. შეზღუდვები სახელწოდების გამოყენებისას 212
ა. დასაშვები და დაუშვებელი სახელწოდებები 212
ბ. განსხვავებულობა, შეცდომაში შემყვანი ან გაუგებარი დამატება 214
ბ. ა. სახელწოდების განსხვავებულობა 214
ბ. ბ. „სახელწოდების ნამდვილობა“, შეცდომაში შემყვანი დამატების დაუშვებლობა 215
ბ. გ. „გადაფარვის“ დაუშვებლობა 216
ბ. დ. სახელწოდების მართლსაწინააღმდეგო გამოყენების

დაუშვებლობა და იურიდიული შედეგი 216
3. ბლანკეტური ნორმის შესახებ 217

I. შესავალი, წარმოშობის ისტორია

სამოქალაქო კოდექსის აღნიშნული თავით (არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი) წესრიგდება ე.წ. იდეალური მიზნის მქონე საზოგადოების ურთიერთობასთან დაკავშირებული ის საკითხები, რომლებიც შეეხება ამ ტიპის იურიდიული პირის სახელს (სახელწოდებას), მის ფილიალს (წარმომადგენლობას), რეგისტრაციის წესსა და პირობებს, რეგისტრაციაზე, მათ შორის, ცვლილების რეგისტრაციაზე გადაწყვეტილების მიღების წესს, ამგვარი იურიდიული პირის საქმიანობაზე სახელმწიფო კონტროლის თავისებურებებს, მესამე პირებთან ურთიერთობას დაკავშირებულს ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობასთან, ამასთან, ქონებრივ საკითხებს, მათ შორის იურიდიული პირის რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის კონტექსტში, ასევე, იურიდიული პირის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. **1**

აღსანიშნავია, რომ არაკომერციულ იურიდიულ პირებთან დაკავშირებით სამოქალაქო კოდექსის ძალაში შესვლიდან დღემდე, მართლაც, „რევოლუციური“ ცვლილებები განხორციელდა. ამ თვალსაზრისით გამოსაყოფია 2006 წელს გატარებული რეფორმა[1], რომელმაც რადიკალურად შეცვალა არაკომერციულ იურიდიულ პირებთან მიმართებაში ადრე არსებული საკანონმდებლო მიდგომა.[2] ამან, თავის მხრივ, დიდი გავლენა მოახდინა თავად ამ იურიდიული პირის კონფიგურაციაზე, შეცვალა რა გარკვეულ პრიზმაში მისი ეგზისტენციალური ხასიათი და რეგულატორული ფუნქციები. ამა თუ იმ საკითხის ლიბერალური მოწესრიგების სულისკვეთებამ,[3] შეიძლება ითქვას, მოჭარბებული ოდენობით შეაღწია არაკომერციული იურიდიული პირების ნაწილში და მის მიმართ კანონმდებლის საწესდებო ავტონომიის თავისუფლების შეუზღუდავ ფარგლებს დაუდო დასაბამი, რამაც ქართული იურიდიული საზოგადოება მწირი სასამართლო პრაქტიკისა და ამ სფეროში თითქმის საერთოდ არარსებული კაუტელარული იურისპრუდენციის პირობებში, გარკვეული სირთულეების წინაშე დააყენა. საკანონმდებლო ცვლილებათა შედეგად სპეციალური მომწესრიგებელი ნორმა-დებულებები ფონდებისა და კავშირების[4] შესახებ გაუქმებულ იქნა. ამან კი საქართ- **2**

1 კანონმდებლობაში 2006 წლის 14 დეკემბერს აისახა: კანონი №3967 – სსმ I, №48, 22.12.2006.

2 იხ. ასევე *ჭანტურია*, სამოქალაქო კოდექსის შესავალი ნაწილი, 2011, გვ. 8.

3 იქვე, 2011, გვ. 8.

4 საქართველოში არასამეწარმეო საქმიანობის განხორციელების ამ იურიდიული ორგანიზაციული კონსტრუქციის გამომხატველად, მის სამართლებრივ ფორმად თავიდანვე აღებულ იქნა კავშირი და ფონდი, რომელთა შორის განსხვავებაც, ისევე როგორც ამას, მაგალითად, გერმანული სამოქალაქო სამართალი აკეთებს (ზოგადად, უფლებაუნარიანი და არაუფლებაუნარიანი სამოქალაქო-სამართლებრივი კავშირის (გაერთიანების) დახასიათების შესახებ იხ. მაგ.: ***Grünewald,*** Gesellschaftsrecht, 7. Aufl., 2008, S. 189 ff.). სამართლებრივი ფორმის დონეზე, თვალნათელი იყო. გერმანული სამართლის გავლენის შესახებ იხ.: *ზოიძე*, ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, გვ. 213 და მომდევნო. კავშირებისა და ფონდების წარმომავლობის, მათ შორის, ქართულ სამოქალაქო კოდექსში მათი ადგილისა და მომწესრიგებელი ნორმების განმარტების შესახებ: *ჭანტურია*, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, 1997, გვ. 251-256, 257 და მომდ.

ველოში არასამეწარმეო საქმიანობის განხორციელების მხოლოდ ერთადერთი, კანონმდებლობით დადგენილი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა – არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი[5] – ჩამოაყალიბა.[6] თუმცა ეს უკანასკნელიც ალბათ უფრო ასეთი ფორმის შინაარსობრივი ონტოლოგიის გამომხატველია და არა თავად სამართლებრივი ფორმის ლეგალური აღმნიშვნელი. მართალია, სპეციალური მომწესრიგებელი ნორმები კავშირებისა და ფონდების, ისევე, როგორც ამ სამართლებრივი ფორმების ლეგალური დეფინიციის მომცველი დებულებები სამოქალაქო კოდექსიდან ამოღებულია და, ერთადერთი სამართლებრივი ფორმაა საკანონდებლო დონეზე დარჩენილი, თქმა იმისა, რომ ქართულ სამართლებრივ რეალობაში კავშირები და ფონდები გაუქმებულია, რასაკვირველია, არ შეიძლება. არასამეწარმეო იურიდიულ პირს მისი საქმიანობის წარმართვა ნებისმიერი კანონით აუკრძალავი ტრანსკრიფციით შეუძლია, მათ შორის, კავშირის ან ფონდის, ან ასოციაციის დამატებით.[7] მით უმეტეს ამას არანაირად არ გამორიცხავს 27 I და II მუხლი. ეს საკითხი მთლიანად საწესდებო ავტონომიის ფარგლებშია მოქცეული. ამას კი თავად ამ სამართლებრივი ფორმის (ა(ა)იპ) შიდა სტრუქტურის ჩამოყალიბება-განსაზღვრის, ასევე, საზოგადოების სახელწოდების არჩევის[8] თავისუფლება ადასტურებს.

II. ნორმის სტრუქტურა, მიზანი და საგანი

3 27-ე მუხლი არასამეწარმეო იურიდიული პირის სახელწოდებას და მასთან დაკავშირებულ ურთიერთობას ეხება. ნორმის სტრუქტურა საკანონმდებლო დონეზე იმგვარად არის ჩამოყალიბებული, რომ მას უშუალო შეხება აქვს სხვა საკანონმდებლო აქტებით რეგლამენტირებულ მსგავს საკითხებთან და ხშირად შემვსებ მინიშნებებსაც აკეთებს, მაგალითად, ამავე მუხლის მე-2 ნაწილი. აღნიშნული მუხლის მიზანია განსაზღვროს არაკომერციული იურიდიული პირის სახელწოდება, როგორც მესამე პირებთან სამართლებრივ ურთიერთობაში იდენტიფიცირების საშუალება, დაადგინოს მისი ლეგალური დეფინიცია, ის იურიდიული შესაძლებლობა, რომლის დროსაც ამა თუ იმ არასამეწარმეო იურიდიულ პირს საკუთარი სახელწოდების დართვის უფლება ექნება, რაც როგორც სხვისი, ისე თავად ამ სუბიექტის დაცვის

5 შესაბამისი ცვლილებების შემდეგ ქართულ იურიდიულ ტერმინოლოგიაში მისი შემოკლებითი აღმნიშვნელიც დამკვიდრდა „ა(ა)იპ“. იხ. მაგ. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდება 2010 წლის 1 იანვრიდან 2012 წლის 1 იანვრამდე მდგომარეობით.

6 არარეგისტრირებული კავშირი ასეთი საქმიანობის განხორციელების ერთ-ერთ შესაძლებლობას ადგენს, თუმცა იურიდიული პირის სტატუსის არქონა მის, როგორც კანონმდებლის მიერ დადგენილ ერთ-ერთ სამართლებრივ ფორმად განხილვამდე ვერ მიგვიყვანს. ვერც sui generis-ზე გაკეთდება აქცენტი, რადგან არარეგისტრირებული კავშირი წმინდა წევრთა ურთიერთკავშირია და მხოლოდ სახელშეკრულებო-სამართლებრივ გაერთიანებას წარმოადგენს. რეგისტრირებული და არარეგისტრირებული გაერთიანებების, უფრო სწორედ, „კავშირების“, მათი სამართალსუბიექტობისა და უფლებაუნარიანობის მოპოვების „იურიდიულ-ტექნიკური“ მოცემულობის (ევროპულ-ამერიკულ კონტექსტში) შესახებ მაგ.: MüKo/*Reuter,* 6. Aufl., 2012,Vor. §21 Rn. 175 ff.

7 იხ. მოყვანილი მაგალითები ჭანტურიასთან: *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 254.

8 კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით.

მოტივით არის განპირობებული. ეს კი კარგად ვლინდება იმ შინაარსში, რომელიც ამ ნორმაშია ჩადებული: „სახელწოდებას არ უნდა ერთვოდეს რაიმე ისეთი დამატება, რომელმაც შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს მესამე პირი ან გამოიწვიოს შეცდომა, ან გაუგებრობა სუბიექტის ფორმისა თუ შინაარსის გამო“ (27 II, 18); ზიანის ანაზღაურებისა და მართლსაწინააღმდეგო სარგებლობის შეწყვეტის მოთხოვნის უფლება (27 IV); პირის საქმიანი რეპუტაციის შელახვის ამკრძალავი, უფრო სწორედ, ასეთი შელახვის შედეგად გამოწვეული თანმდევი ქმედების განეიტრალებისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება (27 V). ეს კი სამართლებრივ ურთიერთობაში სიცხადისა და ბრუნვის სტაბილურობის მნიშვნელოვანი გარანტიაა, ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნულ ნორმას სიცხადის შემცველი ხასიათიც აქვს.

III. იურიდიული პირის სახელწოდება

1. ცნება

საზოგადოებრივი ცხოვრება რთული და მრავალფეროვანია. იგი ურთი- **4**
ერთობათა მრავალრიცხოვან სეგმენტს მოიცავს, რაშიც ძალიან ბევრი ფიზიკური თუ იურიდიული პირია ჩართული. ფიზიკური პირი, სამართლებრივ ურთიერთობაში საკუთარი იდენტიფიცირების მიზნით, იყენებს სახელს, რათა ყოველი მესამე პირისათვის შესაცნობი იყოს თუ ვისთან აქვს ამ უკანასკნელს საქმე. იგივე პრინციპი ვრცელდება იურიდიული პირის მიმართაც, რომელსაც ასევე უნდა ჰქონდეს იდენტიფიცირების შესაძლებლობა სამართლებრივ ურთიერთობაში, რასაც მისი სახელწოდება ემსახურება.[9]

წარმოდგენილი მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, არასამეწარმეო **5**
იურიდიულ პირს აქვს სახელწოდება, რომელიც ამ იურიდიული პირის სამართლებრივ ურთიერთობაში დამოუკიდებელი სამართლის კონსტრუქციად აღქმის წინაპირობაა. მისი კუთვნილებაა იურიდიული პირის სახელწოდება (სახელი), რომლის მეშვეობითაც „ხორციელდება ბრუნვის მონაწილეთა, ერთი მხრივ, იდენტიფიკაცია, ანუ მათი იგივეობის, თავისთავადობის დადგენა და, მეორე მხრივ, ინდივიდუალიზაცია“, რაც ნიშნავს მის განსხვავებას სხვა ორგანიზაციული ერთეულისაგან.[10] მოკლედ, არასამეწარმეო იურიდიული პირის სახელწოდება არის კერძო სამართალურთიერთობის სუბიექტის სახელი, რითიც იგი გამოდის მესამე პირებთან ურთიერთობაში.

იურიდიული პირის სახელწოდება, იქნება ეს იდეალური თუ სამეწარმეო **6**
სუბიექტისა,[11] გარკვეული საქმიანობის განმახორციელებელი ორგანიზაციული წარმონაქმნის „საჯაროობის შემადგენელი ნაწილია“ და სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა დაცვის გარანტიის ფუნქციით არის გამსჭვალული.[12] ამიტომაც კანონმდებლობა (27 II) ამ მიზნის მისაღწევად იურიდიული პირის

9 *Lochner/Heidel,in Heidel/Hüsstege/Mansel/Noack,* BGB, 2. Aufl. 2011, §57 Rn. 5.
10 *ჭანტურია/ნინიძე,* მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, 2002, გვ. 98.
11 „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით ჩამოყალიბებული.
12 *Hopt,* in Baumbach/Hopt, HGB, 33. Aufl., 2008, §18 Rn. 1.

სახელწოდების მოთხოვნათა დადგენისას აწესებს შემზღუდველ ნორმებს, რომელთა დარღვევა გარკვეული სანქციის შემცველი შედეგით შეიძლება იყოს განპირობებული. შესაბამისად, სახელწოდება „კუთვნილებაუნარიანობისა და განსხვავებულობის ხარისხის“ მატარებელი უნდა იყოს, რათა მან, ყველა შეზღუდვის გათვალისწინებით, სამართალურთიერთობაში „სახელის ფუნქციის“ შესრულება შეძლოს.[13] ამასთან, სახელწოდება იურიდიული პირის აუცილებელი ატრიბუტია, მისი სუბსტანციის შემადგენელი ნაწილი, ამიტომ სადამფუძნებლო დოკუმენტებში (წესდება) მისი მითითება სავალდებულოა, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს მის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენს.

2. შეზღუდვები სახელწოდების გამოყენებისას

ა. დასაშვები და დაუშვებელი სახელწოდებები

7 იურიდიული პირის მიერ სახელწოდების გამოყენების პროცესს იურიდიულ ლიტერატურაში „ფირმის ჩამოყალიბების“ სამართალს უწოდებენ.[14] ამიტომ კანონმდებლობა განსაზღვრავს იმ შეზღუდვებს, რომლებიც აუცილებელია იმისთვის, რომ სამოქალაქო ბრუნვაში სახელწოდებამ არ შექმნას მცდარი წარმოდგენა მესამე პირთა თვალში იურიდიული პირის მიზნის, სახეობის, საქმიანობის[15] და ა.შ. შესახებ.

8 იურიდიული პირის სახელწოდების ფუნქციიდან გამომდინარე,[16] იგი უნდა შეიცავდეს ისეთ აღნიშვნებს, რომლითაც შესაძლებელი იქნება ამ პირის სხვა პირისაგან იდენტიფიცირება, განსხვავება, ასევე, იგი სხვა უკვე არსებული არაკომერციული იურიდიული პირების სახელწოდების გადაფარვის დაუშვებლობას უნდა ემსახურებოდეს. როგორც წესი, სახელწოდების არჩევა თავისუფალია.[17] ეს ნიშნავს, რომ მისი შერჩევისას არაკომერციული იურიდიული პირის წევრები დამოუკიდებლად და თავისუფლად იღებენ გადაწყვეტილებას, თუ რა საგნობრივი, ტერიტორიული, საქმიანობითი თუ სხვა

13 MüKo/*Heidinger,* HGB, 3. Aufl., 2010, §18 Rn. 1; *Zimmer,* in Ebenroth/Boujong/Joost/Strhon, HGB, 2. Aufl., 2008, §18 Rn. 1.

14 თუმცა ის ფაქტიც გასათვალისწინებელია, რომ ფირმა (საფირმო სახელწოდება) მხოლოდ მეწარმე სუბიექტისთვის დამახასიათებელი კატეგორიაა და არა იდეალური მიზნის მქონე საზოგადოებისათვის. MüKo/*Heidinger,* HGB, 3. Aufl., 2010, §17 Rn. 3. ამიტომაც სამოქალაქო კოდექსი აქცენტს არა „საფირმო სახელწოდებაზე“ (როგორც ეს მეწარმეთა კანონმდებლობითაა დადგენილი), არამედ იურიდიული პირის სახელწოდებაზე აკეთებს. საფირმო სახელწოდებას, როგორც კომენტატორულ ლიტერატურაშია აღნიშნული, ორგვარი ბუნება აქვს. ერთი მხრივ, იგი უზრუნველყოფს სახელის უფლებას (ე.წ. პიროვნულ უფლებებს), მეორე მხრივ, მას ქონებრივი ღირებულებაც აქვს, რადგანაც საგაკოტრებო მასაში შედის და შეიძლება კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილებასაც მოემსახუროს. *Hopt,* in Baumbach/Hopt, HGB, 33. Aufl., 2008, §17 Rn. 5, 47.

15 MüKo/*Reuter, 6*. Aufl., 2012,§57 Rn. 1.

16 *Hopt,* in Baumbach/Hopt/, HGB, 33. Aufl., 2008, §18 Rn. 4.

17 *Westermann,* in Erman BGB, 12 Aufl., 2008, §58 Rn. 2. სამოქალაქო კოდექსი გამორიცხვის მეთოდით მოქმედებს: კანონით განსაზღვრულია მხოლოდ აკრძალვები, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელწოდების შერჩევისას სუბიექტი თავისუფალია. მან არ უნდა ხელყოს ის შეზღდუვები, რომელიც კანონმდებლობით არის დაწესებული.

კრიტერიუმზე დაფუძნებული სახელწოდება უნდა შეირჩეს.[18] როგორც წესი, არასამეწარმეო იურიდიული პირის სახელწოდება ასოცირდება იმ საქმიანობის საგანთან, რომელსაც ესა თუ ის პირი წარმართავს. თუმცა შესაძლებელია, რომ იგი მისი (იურიდიული პირის) მიზნის მიღმა სფეროს გათვალისწინებით ჩამოყალიბდეს[19] და დამოკიდებული არ იყოს ორგანიზაციის მიზანსა[20] და საქმიანობის საგანზე.

გამომდინარე იქიდან, რომ 27 II და III მუხლი საჯარო ინტერესის დამცველი ნორმებია,[21] იურიდიულ პირს მხოლოდ ერთი სახელწოდების ქვეშ საქმიანობის უფლება აქვს[22] და გამორიცხულია მის მიერ რამდენიმე სახელწოდების გამოყენება. 9

სახელწოდება აუცილებლად უნდა შედგებოდეს სიტყვებისაგან (ანბანური ასოებისაგან),[23] რომელშიც იგულისხმება მისი შექმნა გარკვეული ტრანსკრიფციული დამატებებისაგან, საგნობრივი აღმნიშვნელებისაგან, შემოკლებებისაგან.[24] ამასთან, ყურადსაღებია, რომ სახელწოდება გარკვეულ შინაარსს უნდა გამოხატავდეს და იგი აღქმადი იყოს მესამე პირის მხრიდან. შესაბამისად, მარეგისტრირებელმა ორგანომ ხარვეზის გამოსწორების ვადა უნდა დანიშნოს იმ შემთხვევაში, როდესაც სახელწოდებაში გამოყენებულია უაზრო სიტყვები, მხოლოდ ასოთა წყება და ა.შ.,[25] რომელიც არანაირ მნიშვნელობას არ იძლევა. 10

სახელწოდება შეიძლება იყოს ფანტაზიის ნაყოფი,[26] თუმცა გასათვალისწინებელია ისეთი აღნიშვნები, რომელიც მორალური ან ეთიკური ნორმების საწინააღმდეგოა. ამასთან, როდესაც არასამეწარმეო იურიდიული პირის სახელწოდებაზეა საუბარი, მიზანშეუწონელია, რომ ფანტაზიის ნაყოფი იყოს სამეწარმეო სუბიექტისთვის დამახასიათებელი, მისი მიზნიდან 11

18 „ფირმის“ სახეობათა (საგნობრივი, ტერიტორიული, პერსონალური, ფანტაზიის ნაყოფის შედეგად ჩამოყალიბებული და ა.შ.) შესახებ მაგ.: *Hopt,* in Baumbach/Hopt, HGB, 33. Aufl., 2008, §17 Rn. 6 ff.

19 *Waldner/Wöhrle-Himmel,* in Sauter/Schweyer/Waldner, Der eingetragene Verein, 19 Aufl., 2010, Rn. 58.

20 ამ შემთხვევაში იგულისხმება მიზანი ვიწრო გაგებით, რადგან ფართო გაგებით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიზანი ყოველთვის იდეალურია და მოგების მიღებაზე ორიენტირებული არ არის.

21 ისევე როგორც ეს, მაგალითად, გერმანულ სამართალშია აღიარებული: *Waldner/Wöhrle-Himmel,* in *Sauter/Schweyer/Waldner,* Der eingetragene Verein, 19 Aufl., 2010, Rn. 58.

22 MüKo*/Heidinger,* HGB, 3. Aufl., 2010, §17 Rn. 7.

23 მუხ. 27 II მიხედვით, სახელწოდებაში დაუშვებელია დაფიქსირება ისეთი გრაფიკული სიმბოლოებისა, რომლებსაც ენობრივი ნორმებით გათვალისწინებული ბგერითი ან სიტყვიერი შესატყვისი არ მოეძებნება. მოკლედ, იგი (სახელწოდება) აღქმული უნდა იყოს როგორც ორგანიზაციული წარმონაქმნის სახელი, რათა მან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სახელის (სახელწოდების) ფუნქციის“ შესრულება შეძლოს. BayObLGZ 1971, 329 (332) = NJW 1971, 957 f. მითითებულია: *Waldner/Wöhrle-Himmel,* in Sauter/Schweyer/Waldner, Der eingetragene Verein, 19 Aufl., 2010, Rn. 58; ასევე: *Wamser, i*n Henssler/Strhon, Gesellschaftsrecht, 2. Aufl., 2014, §18 Rn. 2.

24 *Hopt,* in Baumbach/Hopt, HGB, 33. Aufl., 2008, §18 Rn. 4; ასევე: *პეპანაშვილი*, სკ-ის კომენტარი, წიგნი I, 2014, გვ. 238.

25 მართალია, გერმანული სასამართლოების ეს პრაქტიკა (სამწუხაროდ, ქართული სასამართლო პრაქტიკა ამ საკითხის თაობაზე ვერ იქნა მოძიებული) შპს-ს ეხება, თუმცა მისი გამოყენება ხდება არაკომერციული კავშირების მიმართაც. OLG Celle = GmbHRschau 1999, 412. მითითებულია: *Waldner/Wöhrle-Himmel,* in Sauter/Schweyer/Waldner, Der eingetragene Verein, 19 Aufl., 2010, Rn. 58.

26 *Schlingloff,* in Oetker, HGB, 3. Aufl., §18 Rn. 13.

გამომდინარე აღმნიშვნელი. მე-2 ნაწილის მიხედვით, სახელწოდებაში არ შეიძლება იყოს გამოყენებული, მაგალითად, „მეწარმეთა შესახებ“ კანონით გათვალისწინებული აღნიშვნები. აქ იგულისხმება ამავე კანონის მე-6 პუნქტის მოცემულობა, რომელიც ძირითად ყურადღებას ამა თუ იმ ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის[27] დამატების ვალდებულებაზე ამახვილებს, თუმცა სახელწოდებაში სხვა ნებისმიერი აღმნიშვნელის გამოყენების უფლებას იძლევა.[28] არაკომერციულ იურიდიულ პირს თითქოსდა რჩება იმის უფლება, რომ სახელწოდების შერჩევისას, რადგან 27 II მუხლი მიუთითებს რა მეწარმეთა კანონზე, ხოლო ეს უკანასკნელი სავალდებულო დართვის თვალსაზრისით მხოლოდ კონკრეტული მეწარმის სამართლებრივი ფორმის აღმნიშვნელის დატანას ითვალისწინებს, იგი (სახელწოდება), სამეწარმეო საქმიანობიდან გამომდინარე, ფანტაზიის ნაყოფის შედეგად ჩამოყალიბდეს, რაც მიზანშეუწონელი უნდა იყოს.[29] მართალია, იდეალური მიზნის მქონე იურიდიული პირის სახელწოდებას უნდა დაერთოს „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი“, მაგრამ ეს დამატება უნდა გამორიცხავდეს ფანტაზიის შედეგად სამეწარმეო მიზნის, კომერციული საქმიანობის შედეგად შექმნილ სახელწოდებას.[30]

ბ. განსხვავებულობა, შეცდომაში შემყვანი ან გაუგებარი დამატება

ბ. ა. სახელწოდების განსხვავებულობა

12 იურიდიული პირის სახელწოდებას არ უნდა დაერთოს ისეთი დამატება, რომელიც ემსახურება მესამე პირის შეცდომაში შეყვანას ან მისთვის გაუგებარ მდგომარეობაში ჩაყენებას სუბიექტის სახელწოდებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, სახელწოდებას „განსხვავებულობის ძალა“ უნდა ჰქონდეს, რაც სამოქალაქო ბრუნვაში „სახელწოდების ფუნქციის“ უაღრესად მნიშვნელოვანი ნაწილია.[31]

13 სახელწოდების განსხვავებულობა „საფირმო სახელწოდების ინდივიდუალიზების ფუნქციის მატარებელიცაა“.[32] იგი (სახელწოდება) იმისთვის უნდა იყოს განკუთვნილი, რომ მოხერხდეს ამ პირის განსხვავება სხვა ან (მით უმეტეს) იმავე საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტისაგან.[33] ეს კიდევ უფრო დამაჯერებელი არგუმენტი იქნებოდა ზემოთ განვითარებულ მსჯელობასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც, არაკომერციული იურიდიული პირის მიერ უშუალო სამეწარმეო საქმიანობის შედეგად გამომ-

27 სრულად ან შემოკლებით.

28 გარკვეული შეზღუდვების გათვალისწინებით.

29 ასევე: *პეპანაშვილი*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი,წიგნი I, 2014, გვ. 239.

30 თავისთავად ცხადია, ამ საკითხს შეხება არ აქვს იმასთან, რომ არასამეწარმეო იურიდიულ პირს კომერციული საქმიანობის განხორციელების უფლება აქვს. როგორც ცნობილია, ამ შემთხვევაში ეს უბრალოდ მის მიზანს ემსახურება.

31 *Hopt,* in Baumbach/Hopt, HGB, 33. Aufl., 2008, §18 Rn. 5.

32 MüKo*/Heidinger,* HGB, 3. Aufl., 2010, §18 Rn. 23.

33 *Röhricht/Westphalen/Ammon/Ries,*HGB, 3. Aufl. 2008, Rn. 17; *Bülow,* Der erweiterte Eigentumsvorbehalt nach der Insolvenzrechtsreform, DB Heft 43. 1999, S. 2169, 2170; *Lutter/Welp,* ZIP 1999, S. 1073, 1074. იხ. MüKo*/Heidinger,* HGB, 3. Aufl., 2010, §18 Rn. 23.

დინარე სახელწოდება ან დანამატი ამ სახელწოდებაზე მიზანშეუწონელი იქნებოდა. სახელწოდება ან დამატება სახელწოდებაზე უნდა იძლეოდეს საზოგადოებისთვის იმ შეგნების შესაძლებლობას, რომ მის წევრებს, კითხვითა და სმენადობით, გაუჩნდეთ ამ ორგანიზაციასთან დაკავშირებული ასოციაცია[34], რითიც, საბოლოო ჯამში, მოხდებოდა მისი (ამ იურიდიული პირის) განსხვავების აღქმა სხვა პირებისაგან.

ბ. ბ. „სახელწოდების ნამდვილობა“, შეცდომაში შემყვანი დამატების დაუშვებლობა

14 იურიდიული პირის სახელწოდებასთან ერთად მნიშვნელოვანია საკითხი, რომელიც მესამე პირის შეცდომაში შეყვანას უკავშირდება. ეს პირდაპირ შემხებლობაშია ე.წ. „სახელწოდების ნამდვილობასთან“,[35] რაც ნიშნავს, რომ იურიდიული პირი ნამდვილად ამ სახელწოდებას ატარებს, იგი არ არის ფორმალური ხასიათის, გამოხატავს ამ სუბიექტის მიერ საქმიანობის წარმართვის სერიოზულობას, მის არსს და საზოგადოების შეცდომაში შეყვანის დაუშვებლობას ემსახურება.

15 შეცდომაში შეყვანის დაუშვებლობა ვრცელდება მთლიანად სახელწოდებაზე როგორც მის ძირითად ნაწილზე, ისე დამატებაზე,[36] მიუხედავად იმისა, რომ 27 II მუხლი ამ შემთხვევაში მხოლოდ სახელწოდების დამატებაზე საუბრობს.

დაუშვებელი სახელწოდების შერჩევა იმ შემთხვევაშია სახეზე, როდესაც იგი ემსახურება არასწორი წარმოდგენის ჩამოყალიბებას ამ იურიდიულ პირზე ბრუნვის მონაწილეთა მხრიდან. თანაც მნიშვნელოვანია, რომ შეცდომაში შეყვანის განზრახვა ირელევანტურია, რადგან მთავარი ამ დროს არის ის შედეგი, რომელიც დადგა, ანუ არა ბრალეული თუ არაბრალეული ქმედება სახელწოდების შერჩევისას, არამედ ბრუნვის მონაწილე მესამე პირის მცდარი წარმოდგენა მის შესახებ.[37]

16 ამასთან, მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ სამოქალაქო კოდექსის აღნიშნული მუხლი შეცდომას, შეცდომაში შეყვანას ან გაუგებრობას ერთ ძირითად მოცემულობას უკავშირებს. ეს არის სუბიექტის ფორმა და საქმიანობა. ეს ნიშნავს, რომ სახელწოდება არ უნდა შეიცავდეს ისეთ ფორმულირებებს (დამატებებს და ა.შ.), რომელიც გამოიწვევს გაუგებრობას ბრუნვაში მონაწილე ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის გამო (ვერ მოხდება განსხვავება და დადგენა იმისა, თუ რა სახის სუბიექტთან – კომერციულთან თუ არაკომერციულთან – აქვს პირს საქმე), საქმიანობასთან – ფონდია, კავშირია თუ ასოციაცია;[38] იგი არის არასამეწარმეო

34 *Hopt,* in Baumbach/Hopt, HGB, 33. Aufl., 2008, §18 Rn. 5.

35 Firmenwahrheit; *Wamser,* in Henssler/Strhon, Gesellschaftsrecht, 2. Aufl., 2014, §18 Rn. 4.

36 *Wamser,* in Henssler/Strhon, Gesellschaftsrecht, 2. Aufl., 2014, §18 Rn. 4.

37 სხვადასხვა მითითებით: *Schlingloff* in Oetker, Handelsgesetzbuch, 3. Aufl., 2013, §18 Rn. 17.

38 მართალია, როგორც ზემოთ აღინიშნა, ფონდისა და კავშირების მომწესრიგებელი ნორმები გაუქმებულია, თუმცა არასამეწარმეო იურიდიული პირის სახელწოდებაზე ამ აღმნიშვნელის

ორგანიზაცია, თუმცა სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეს სახელწოდებიდან გამომდინარე ექმნება იმის წარმოდგენა, რომ ეს სუბიექტი სხვა საქმიანობით არის დაკავებული და ა.შ.

ბ. გ. „გადაფარვის“ დაუშვებლობა

17 შემდეგი საკითხი, რომელიც ასევე მეტად მნიშვნელოვანია საჯაროობისა და ბრუნვის მონაწილის დაცვის თვალსაზრისით, განმტკიცებულია 27 III მუხლში: მარეგისტრირებელმა ორგანომ, ფორმალური შემოწმების შედეგად, უნდა უზრუნველყოს, რომ ერთი იურიდიული პირი არ ატარებდეს (უკვე არსებული) იურიდიული პირის სახელწოდებას. თუმცა თეორიულად შესაძლებელია, რომ დაშვებულ იქნეს შეცდომა. ასეთის არსებობის შემთხვევევაში არაკომერციული იურიდიული პირის სახელწოდება შესაბამისობაში უნდა მოვიდეს კანონის მოთხოვნებთან. პრაქტიკაში, ალბათ, უფრო მნიშვნელოვანია ისეთი შემთხვევა, როდესაც ერთი იურიდიული პირი მეორე იურიდიული პირის სახელწოდებით სარგებლობს. ამ დროს მარეგისტრირებელი ორგანოს შეცდომა გამორიცხულია, ხოლო სამოქალაქო ბრუნვის მონაწილე ერთი სუბიექტი უკვე არსებული სუბიექტის სახელს იყენებს, რათა სხვადასხვა მიზანს მიაღწიოს: შექმნას კონკურენცია და მცდარი წარმოდგენა მის შესახებ სხვისი სახელწოდების გამოყენების ხარჯზე, მიიღოს მატერიალური სარგებელი ან სხვა სახის უპირატესობა, ან უფრო მეტიც, განზრახ მიაყენოს ზიანი სხვა პირს. 27-ე მუხლი ითვალისწინებს ასეთ შემთხვევებს და ამის თავიდან აღსაკვეთად სპეციალურ ნორმას ადგენს.

ბ. დ. სახელწოდების მართლსაწინააღმდეგო გამოყენების დაუშვებლობა და იურიდიული შედეგი

18 სამართლებრივ რეალობაში არ არის გამორიცხული, რომ იურიდიულ პირს ჰქონდეს სხვა სუბიექტის სახელწოდების გამოყენების უფლება. ეს შესაბამის იურიდიულ საფუძველს, მათ (პირებს) შორის ხელშეკრულების არსებობას მოითხოვს და, ვინაიდან კანონმდებლობით ურთიერთობის ასეთი კონფიგურაცია აკრძალული არ არის, ეს დასაშვები იქნება. შესაბამისად, 27 IV მუხლი ყურადღებას ამახვილებს იმ შემთხვევაზე, როდესაც ზემოთ აღნიშნული იურიდიული ნონსენსის – შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, მართლსაწინააღმდეგოდ მოხდება სხვა იურიდიული პირის სახელწოდების გამოყენება და დგება გარკვეული, ამასთანავე, სანქციის შემცველი შედეგი.

19 ამ დროს ის, ვინც მართლსაწინააღმდეგოდ იყენებს სხვის სახელს, ვალდებული ხდება 1. შეწყვიტოს ასეთი სარგებლობა და 2. აანაზღაუროს ზიანი.[39]

დამატება აკრძალული არ არის. ამიტომ, როდესაც პირი საქველმოქმედო საქმიანობით არის დაკავებული და ატარებს, მაგ., ფონდის სახელწოდებას (უფრო სწორედ დამატებას), მან ბრუნვის მონაწილეს არ უნდა შეუქმნას მცდარი წარმოდგენა მისი სხვა საქმიანობის შესახებ.

39 ქართულ სასამართლო პრაქტიკაში რამდენიმე საინტერესო გადაწყვეტილება იქნა მოძიებული, რომელიც რეგისტრირებული კავშირის მიერ უკვე არსებული კავშირის სახელის (სახელწოდების)

აქ რამდენიმე ფაქტორს უნდა მიექცეს ყურადღება. სარგებლობის შეწყვეტა უფლებამოსილი პირის მოთხოვნის საფუძველზე უნდა მოხდეს, ანუ მართლსაწინააღმდეგოდ პირი სახელწოდებით მანამ ისარგებლებს, სანამ მას ასეთი სარგებლობის შეწყვეტის მოთხოვნა არ წაეყენება. შესაძლოა, მხარეთა შორის ჩამოყალიბებული სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველზე მართლსაწინააღმდეგოდ დაწყებული სახელწოდების გამოყენება მართლზომიერად გაგრძელდეს. ეს კერძო ავტონომიის ფარგლებში გადასაწყვეტი საკითხია. 20

მეორე მნიშვნელოვანი მომენტი იმაში მდგომარეობს, რომ სახელწოდებით არამართლზომიერ მოსარგებლეს ეკისრება ზიანის ანაზღაურება. აქაც ნიშანდობლივია, რომ სახელწოდების არამართლზომიერი სარგებლობით პირს მიადგეს ზიანი. თუმცა ორივე პირობის არსებობა სავალდებულო არ არის პირველი შედეგის დადგომისთვის, ანუ ზიანის მიყენება აუცილებელი არ არის იმისთვის, რომ სახელწოდებით მართლსაწინააღმდეგო სარგებლობის შეწყვეტა განხორციელდეს. უფლებამოსილ პირს ამის გაკეთება ზიანის ფაქტის არარსებობის შემთხვევაშიც აქვს. რაც შეეხება უფლებამოსილ პირს. აქ პირველ რიგში იგულისხმება არაკომერციული იურიდიული პირის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი. ორგანიზაციის წესდებით შესაძლოა, ეს კომპეტენცია სხვა სტრუქტურულ ერთეულს მიეცეს, მაგალითად, წევრთა კრებას ან საზედამხედველო საბჭოს წარმომადგენლობით ორგანოსთან ერთად, ან ხელშეკრულების საფუძველზე სხვა პირს. 21

3. ბლანკეტური ნორმის შესახებ

27 V მუხლი მიანიშნებს, რომ ნებისმიერი (და არა მხოლოდ არაკომერციული) იურიდიული პირი სარგებლობს სახელის დაცვის საყოველთაო წესებით, რომლის შესახებაც დათქმას აკეთებს ამავე კოდექსის მე-18 მუხლი და საქმიანი რეპუტაციის შელახვის შემთხვევაში შესაბამისად გამოიყენება მე-18 მუხლით დადგენილი წესები. ამიტომ ამ საკითხის განმარტებისთვის იხ. მე-18 მუხლის კომენტარი.[40] 22

მართლსაწინააღმდეგო გამოყენებას ეხებოდა. თუმცა ამ შემთხვევაში კასატორი (მოსარჩელე) სამოქალაქო კოდექსის მუხ. 26 (ძვ. რედ.) დაყრდნობით, ამ კავშირის რეგისტრაციის გაუქმებას ითხოვდა, რაც სამართლიანად იქნა უარყოფილი (მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა). იხ.: საქ. უზენაესი სასამართლოს 2001 წლის 28 ნოემბრის № 3კ/939-01გადაწყვეტილება; საქ. უზენაესი სასამართლოს 2001 წლის 30 მარტის № 3კ/211-01 გადაწყვეტილება. დანარჩენი გადაწყვეტილებები ამ თვალსაზრისით სასაქონლო ნიშნით სარგებლობის აკრძალვას ეხება: საქ. უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 27 თებერვლის № ას-1666-1563-2012 განჩინება; საქ. უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 26 სექტემბრის № ას-471-445-2011გადაწყვეტილება; საქ. უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 25 ნოემბრის № ას-1296-1316-2011 განჩინება.

40 იხ. ასევე *პეპანაშვილი*, სკ-ის კომენტარი, წიგნი I, 2014, გვ. 240-241.

მუხლი 28. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, უცხო ქვეყნის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის (წარმომადგენლობის) რეგისტრაციის წესი

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, უცხო ქვეყნის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის (წარმომადგენლობის) რეგისტრაცია ხორციელდება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში.

2. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრს აწარმოებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო (შემდგომ – მარეგისტრირებელი ორგანო).

3. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, უცხო ქვეყნის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის (წარმომადგენლობის) რეგისტრაცია ხორციელდება ამ კოდექსითა და მეწარმე სუბიექტების, უცხო ქვეყნის მეწარმე იურიდიული პირის ფილიალის (წარმომადგენლობის) რეგისტრაციისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საქართველოს 2002 წლის 28 დეკემბრის კანონი №1902 – სსმ I, №4, 22.01.2003 წ., მუხ.20
საქართველოს 2004 წლის 24 ივნისის კანონი №179 – სსმ I, №19, 15.07.2004 წ., მუხ.79
საქართველოს 2006 წლის 25 მაისის კანონი №3140 – სსმ I, №18, 31.05.2006წ., მუხ.134
საქართველოს 2006 წლის 14 დეკემბრის კანონი №3967 – სსმ I, №48, 22.12.2006წ., მუხ.336
საქართველოს 2009 წლის 3 ნოემბრის კანონი №1964 – სსმ I, №35, 19.11.2009წ., მუხ.253
საქართველოს 2009 წლის 25 დეკემბრის კანონი №2458 – სსმ I, №49, 30.12.2009წ., მუხ.370
საქართველოს 2010 წლის 27 აპრილის კანონი №2978 – სსმ I, №24, 10.05.2010წ., მუხ.144
საქართველოს 2011 წლის 1 ივლისის კანონი №5017 – ვებგვერდი, 14.07.2011წ.

I. ნორმის ისტორია, სტრუქტურა, მიზანი და საგანი (შესავალი).....219
II. ფილიალის (წარმომადგენლობის) ცნება.....219
1. იურიდიული პირის ძირითადი და „დამატებითი“ ადგილსამყოფელი.....219
2. ფილიალის სამართლებრივი ბუნება.....220
3. ფილიალის სახასიათო ნიშნები.....221
III. ფილიალის საპროცესოუნარიანობა.....222
IV. რეგისტრაციის განმახორციელებელი სუბიექტი.....225
V. რეგისტრაციის განხორციელების წესი: გამოსაყენებელი კანონმდებლობა.....225

I. ნორმის ისტორია, სტრუქტურა, მიზანი და საგანი (შესავალი)

სამოქალაქო კოდექსის აღნიშნული მუხლი ცვლილების შედეგად ახლე- 1
ბურად არის ჩამოყალიბებული. 2006 წლამდე ძველი რედაქციის 28-ე მუხ-
ლი განსაზღვრავდა იურიდიული პირის ფილიალს, მის ცნებასა და სამართ-
ლებრივ ბუნებას. რეფორმის შემდეგ ფილიალის კანონისმიერი დეფინიცია
გაუქმებულია. სამოქალაქო კოდექსი კი მხოლოდ არასამეწარმეო (უცხო
ქვეყნის) იურიდიული პირის ფილიალის თაობაზე ამახვილებს ყურადღე-
ბას, თუმცა ლეგალური ცნების დონეზე მას მაინც არ განმარტავს. ამიტომ
ფილიალის (წარმომადგენლობის) განმარტებისთვის მეწარმეთა კანონი და
სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმების კომპლექსურად განმარტებაა
საჭირო.

წინამდებარე მუხლი ნაციონალური არასამეწარმეო იურიდიული პირის, 2
როგორც სამოქალაქო ურთიერთობის დამოუკიდებელი სუბიექტის და უცხ-
ოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალის, მისი წარმომადგენლო-
ბის რეგისტრაციის წესს ეხება. შესაბამისად, ნორმის სტრუქტურა იმგვარად
არის ფორმულირებული, რომ გასცეს პასუხი კითხვაზე, თუ რის საფუძვ-
ელზე უნდა დარეგისტრირდეს საქართველოში არაკომერციული იურიდიუ-
ლი პირი, მათ შორის, უცხოეთში რეგისტრირებულის ფილიალი, ვინ არის
სუბიექტი, რომელიც უფლებამოსილი და პასუხიმგებელია მის რეგისტრა-
ციაზე და საქართველოში არსებული რომელი კანონმდებლობა უნდა იქნეს
გამოყენებული ამ პროცესის განსახორციელებლად. 28-ე მუხლი აფუძნებს
აუცილებლობას, რომ განიმარტოს, თუ რა არის ფილიალი, რა სამართლე-
ბრივი ბუნების მქონე წარმონაქმნია იგი, რა დანიშნულებას ასრულებს და
რა დოგმატურ-სამართლებრივი საფუძველში გააჩნია ამ უკანასკნელს.

II. ფილიალის (წარმომადგენლობის) ცნება

1. იურიდიული პირის ძირითადი და „დამატებითი“ ადგილსამყოფელი

ნებისმიერი იურიდიული პირის, რომელიც კერძოსამართლებრივ ურთი- 3
ერთობაში გამოდის და ბაზარზე ოპერირებს, სახასიათო ნიშანი არის მისი
ადგილსამყოფელი. მას „საჯარო-სამართლებრივი“ დატვირთვა აქვს, რად-
განაც იგი ამის მიხედვით არის შეტანილი მარეგისტრირებელ ორგანოში,
მესამე პირისთვის სწორედ ეს არის მინიშნება იმის თაობაზე, თუ რომელ
სუბიექტს აქვს აქტიური საპროცესოუნარიანობა, ვინ არის მისი მოთხოვნის
დაკმაყოფილების გარანტი და ა.შ.[1] თუმცა სამართალში განასხვავებენ იუ-
რიდიული პირის ძირითად (ფაქტობრივ) ადგილსამყოფელს, იურიდიულ მი-
სამართს და მის ფილიალს, წარმომადგენლობას.

იურიდიული პირის ძირითადი ადგილსამყოფელი და მისი იურიდიული მის- 4
ამართი ხშირ შემთხვევაში ემთხვევა კიდეც ერთმანეთს, თუმცა შესაძლოა,
რომ კერძოსამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი რეგისტრირებული

1 *Wamser*, in Henssler/Strhon, Gesellschaftsrecht, 2. Aufl., 2014, §13 Rn. 4.

იყოს ერთ მისამართზე, ხოლო ფაქტობრივი ადგილსამყოფელი ჰქონდეს სხვაგან. ამასთან, იურიდიულ პირს აქვს უფლება, ძირითადი ადგილსამყოფელის გარდა, საქმიანობა ტერიტორიულად სხვა ადგილიდან განახორციელოს, ანუ მისი წარმომადგენლობის – ფილიალის მეშვეობით გამოვიდეს სამოქალაქო ბრუნვაში. 28-ე მუხლი[2] სწორედ იმ შემთხვევას განსაზღვრავს, როდესაც არასამეწარმეო იურიდიულ პირს აქვს ადგილსამყოფელი (იურიდიული მისამართი), აქვს ძირითადი (ფაქტობრივი) ადგილსამყოფელი[3] და ამასთანავე, აქვს ტერიტორიულ-ორგანიზაციული, როგორც წესი, ადგილმდებარეობის თვალსაზრისით, განცალკევებულად მდებარე წარმონაქმნი,[4] რასაც ფილიალი დაერქმევა.[5]

5 ფილიალი კორპორაციულ-სამართლებრივი ტერმინია და იგი, ძირითადად, სამეწარმეო საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტისთვის არის დამახასიათებელი.[6] ქართული სამართალი ფილიალთან (წარმომადგენლობასთან) მიმართებაში უნიფიცირებულ მიდგომას აყალიბებს, რაც ნიშნავს, რომ დამკვიდრებულია მისი (ფილიალის) ზოგადი ცნება, თუმცა ისევე, როგორც ამას მრავალი ევროპული ქვეყანა აკეთებს,[7] იგი არ არის საკანონმდებლო ლეგალური დეფინიციის სახით ჩამოყალიბებული. ამიტომ მისი განსაზღვრება დოგმატურ-სამართლებრივი, ხელოვნურ-იურიდიული კონსტრუქციის სახით არის მოცემული.

2. ფილიალის სამართლებრივი ბუნება

6 არაკომერციულ იურიდიულ პირს, როგორც ზემოთ აღინიშნა, მისი საქმიანობის ხასიათიდან გამომდინარე, უფლება აქვს დააარსოს ფილიალი (წარმომადგენლობა), რომელიც, მიუხედავად გარკვეული ორგანიზაციულ-სტრუქტურული დამოუკიდებლობისა,[8] არ განიხილება იურიდიულ პირად და, შესაბამისად, იგი არ რეგისტრირდება რეესტრში როგორც საქმიანობის განმახორციელებელი დამოუკიდებელი სამართლებრივი ფორმა.

2 სკ-ის 26-ე მუხლთან ერთობლიობაში.

3 ის შესაძლოა ემთხვეოდეს იურიდიულ მისამართს, თუმცა შეიძლება სხვაგანაც მდებარეობდეს. შედარებისთვის იხ.: *Preuss,* in Oetker, Handelsgesetzbuch, 3. Aufl., 2013, §13 Rn. 11.

4 *Pentz* in Ebenroth/Boujong/Joost/Strohn, HGB, o2. Aufl., 2008, §13 Rn. 22.

5 ძირითადი და „დამატებითი“ ადგილსამყოფელის შესახებ მოკლედ შეგიძლიათ იხ.: *Hopt* in Baumbach/Hopt/, HGB, 33. Aufl., 2008, §13 Rn. 1; MüKo/*Krafka,* HGB, 3. Aufl., 2010, §13 Rn. 6,7-9.

6 *ჭანტურია,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, 2002, მუხ. 28, გვ. 118. მაგ., გერმანულ, ავსტრიულ სამართალში ფილიალი (წარმომადგენლობის ცნებას - Repräsentanz, გერმანული სამართალი ლეგალური დეფინიციის დონეზე საერთოდ არ იცნობს. IHK, Oldenburgische Industrie- und Handelskammer, Errichtung einer Zweigniederlassung oder Betriebsstätte) შესაძლოა ჰქონდეს მხოლოდ მეწარმე სუბიექტს. ამიტომაც არის, რომ გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში, როდესაც საუბარი ფილიალს ეხება, მისგან განსასაზღვრად ყოველთვის „საწარმოს მატარებელ სუბიექტზე“ ამახვილებენ ყურადღებას და მეწარმეზე (იქნება ეს ინდივიდუალური საწარმო თუ სამეწარმეო საზოგადოება) მიუთითებენ. იხ. მაგ.: *Krafka/Kühn,* Registerrecht, 9. Aufl., 2013, Rn. 289; *Hüffner,* Aktiengesetz, 10. Aufl., 2012, Anh. §45 §13 HGB (Zweigniederlassungen von Unternehmen mit Sitz im Inland) Rn. 6 da a.S.

7 გერმანია, ავსტრია, ესპანეთი და სხვ.

8 *Preuss,* in Oetker, Handelsgesetzbuch, 3. Aufl., 2013, §13 Rn. 8, 9.

ფილიალი იურიდიული თვალსაზრისით არის „ერთიანი საწარმოს (იუ- 7
რიდიული პირის)[9] ძირითადი ადგილსამყოფლის არადამოუკიდებელი (მაგრამ მისი შემადგენელი) ნაწილი“.[10] შესაბამისად, გაბატონებული იურიდიული მოსაზრების თანახმად, ფილიალი[11] არ არის აღჭურვილი საკუთარი სამართალსუბიექტობით,[12] არ ჰყავს განსაკუთრებული კანონისმიერი წარმომადგენელი, არ არის სამართლებრივად დამოუკიდებელი ქონების მესაკუთრე და დავაში არ გამოდის დამოუკიდებელ მხარედ.[13]

3. ფილიალის სახასიათო ნიშნები

იმისთვის, რომ შესაძლებელი იყოს ფილიალის განსხვავება ძირითადი 8
„დანაყოფისაგან“, იურიდიული პირისაგან იგი გარკვეულ კრიტერიუმებს, ნიშნებს უნდა აკმაყოფილებდეს. პირველი ის არის, რომ ფილიალი, როგორც იურიდიული პირის წარმომადგენლობა, „დამოუკიდებელ ტერიტორიულ ერთეულს“ უნდა წარმოადგენდეს.[14] იგი „განცალკევებული ტერიტორიული ქვედანაყოფია, რომელიც იურიდიული პირის (ძირითადი) ადგილსამყოფელის გარეთ მდებარეობს“.[15] არ შეიძლება, რომ იურიდიული პირის ფილიალი და მისი ძირითადი ადგილსამყოფელი ერთსა და იმავე სივრცეში მდებარეობდეს,[16] რაც ტერიტორიული თვალსაზრისით მათ გადაფარვას გამოიწვევდა. თუმცა ეს არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ ფილიალი ძირითადი ადგილსამყოფლის ტერიტორიულ ერთეულში[17] მდებარეობდეს.[18] მთავარია, რომ ეს ორი „სუბიექტი“ ერთსა და იმავე შენობაში, ოთახში არ იყოს განთავსებული.

9 ბუნებრივია, გერმანულ ლიტერატურაში, ზემოთქმულიდან გამომდინარე, მხოლოდ საწარმოზე მახვილდება ყურადღება (ჩამატება ი. ბ.).

10 *Krafka/Kühn*, Registerrecht, 9. Aufl., 2013, Rn. 289.

11 როგორც შიდა იურიდიული პირისა, ისე უცხოური სუბიექტისა. *Hopt,* in Baumbach/Hopt, HGB, 33. Aufl., 2008, §13 Rn. 4.

12 სხვადასხვა მითითებით: *Preuss*, in Oetker, Handelsgesetzbuch, 3. Aufl., 2013, §13 Rn. 22.

13 *Hopt,* in Baumbach/Hopt, HGB, 33. Auf., 2008, §13 Rn. 4. ქართული სასამართლოები ამ საკითხთან მიმართებაში განსხვავებულ მიდგომას ამკვიდრებენ, რაზედაც ქვემოთ იქნება საუბარი. თუმცა, მიუხედავად ამისა, ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ ქართულ და გერმანულ სამართალს ამ შემთხვევაში ერთი საერთო უნდა ჰქონდეს: ფილიალი არ არის განსახილველი დამოუკიდებელ, სრულყოფილ უფლებაუნარიანობის მქონე წარმონაქმნად. აქედან გამომდინარე, უფლების შემძენი და მოვალეობის მატარებელი სუბიექტი თავად იურიდიული პირია და არა მისი ფილიალი. *Preuss*, in Oetker, Handelsgesetzbuch, 3. Aufl., 2013, §13 Rn. 23. რაც შეეხება საპროცესოსუნარიანობას, რაზედაც ქვემოთ იქნება მსჯელობა, სიტუაცია განსხვავებულია. გერმანული პროცესუალურ-სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ (ისიც იმ შემთხვევაში, როდესაც ფილიალი თავისი საფირმო სახელწოდებით გამოდის სამართალურთიერთობაში, მის მიერ უშუალოდ განხორციელებული საქმიანობიდან გამომდინარე), იხ. მაგ.: BGH 24.11.1951 გადაწყვეტილება, გამოქვეყნებულია: NJW 1952, 182-184; *Hüffner,* Aktiengesetz, 10. Aufl., 2012, Anh. §45 §13 HGB (Zweigniederlassungen von Unternehmen mit Sitz im Inland) Rn. 6.

14 *Hopt* in Baumbach/Hopt, HGB, 33. Aufl., 2008, §13 Rn. 3.

15 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 10 ოქტომბრის №2ბ/5236-13 განჩინება.

16 MüKo/ *Krafka,* HGB, 3. Aufl., 2010, §13 Rn. 10.

17 რაიონი, რეგიონი, ქალაქი და ა.შ.

18 *Krafka/Kühn,* Registerrecht, 9. Aufl., 2013, Rn. 291.

9 შემდეგი ნიშანი არის **ორგანიზაციული დამოუკიდებლობა.**[19] ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ მას საქმიანობის დამოუკიდებლად წარმართვის უფლებამოსილება ჰქონდეს.[20] მართალია, იგი ვალდებულია დაიცვას ძირითადი იურიდიული პირის საქმიანობის „საგნობრივი მახასიათებლები“,[21] ანუ საქმიანობის საგნიდან გამომდინარე, მუშაობდეს მხოლოდ იმ სფეროში, რომელშიც ძირითადი სუბიექტი მოღვაწეობს, თუმცა მოცულობის, ინტენსიურობისა და სხვა კრიტერიუმების მიხედვით, მისი (ფილიალის) საქმიანობა დამოუკიდებელია.[22] ეს დამოუკიდებლობა, რა თქმა უნდა, არ განაპირობებს ფილიალის კერძო სამართლის დამოუკიდებელ სუბიექტად აღიარებას,[23] რაც ნიშნავს, რომ ფილიალი ძირითადი იურიდიული პირის საქმიანობის, მათ შორის ტერიტორიულ, განვრცობა-გაფართოებას ემსახურება.[24]

10 განსხვავების შემდეგი კრიტერიუმია ფილიალის **მოქმედების ხანგრძლივობა.** როგორც ლიტერატურაშია ნათქვამი, ერთჯერადი ღონისძიების განსახორციელებლად (მაგალითად, ბაზრობის ჩასატარებლად) ფილიალის სუბსტანციას ვერ მივიღებთ.[25] ამასთან, წარმომადგენლობის (ფილიალის) საქმიანობა არ უნდა ატარებდეს ძირითადი იურიდიული პირის საქმიანობის დამხმარე ხასიათს. შესაბამისად, ფილიალის საქმიანობა სრულყოფილად უნდა ქმნიდეს ძირითადი იურიდიული პირის არსებითი საქმიანობის ასოციაციასა და წარმოდგენას სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეებში.[26] არ შეიძლება, რომ ფილიალი ძირითადი იურიდიული პირის გარიგებების, ღონისძიებების მხოლოდ მომზადება-დაგეგმვით, შუამავლობით იყოს დაკავებული.[27] ეს მის ბუნებას შეეწინააღმდეგებოდა.

III. ფილიალის საპროცესოუნარიანობა

11 ერთ-ერთი საინტერესო საკითხი, რომელიც ქართულ სამართალწარმოებაში საკმაოდ მნიშვნელოვანი და აქტუალურია, ფილიალის (წარმომადგენლობის) პროცესუალურ-სამართლებრივ უნარიანობას ეხება. მისი სხვადასხვა სახიდან გამომდინარე,[28] სრული საპროცესოუნარიანობა, ანუ

19 ამ შემთხვევაში ყურადღება მხოლოდ ეკონომიკურ, ტერიტორიულ და არა იურიდიულ დამოუკიდებლობაზე გამახვილდებოდა. ეს უკანასკნელი სამეწარმეო საქმიანობის ერთ-ერთი აუცილებელი შემადგენელი ელემენტია (*ჭანტურია/ნინიძე*, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, 2002, გვ. 4) და „მეწარმეთა შესახებ“ კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტიდან და მე-2 მუხლის პირველი პუნქტიდან გამომდინარე, დამოუკიდებელ სამართლებრივ ფორმად განხილვის მნიშვნელოვანი წინაპირობა.

20 *ჭანტურია/ნინიძე*, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, მე-3 გამოც., 2002, გვ. 208.

21 *Hopt,* in Baumbach/Hopt, HGB, 33. Aufl., 2008, §13 Rn. 3.

22 MüKo/*Krafka,* HGB, 3. Aufl., 2010, §13 Rn. 11.

23 სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 3/2001, გვ. 226. მითითებულია: *ჭანტურია/ნინიძე*, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, 2002, გვ. 209.

24 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წ. 10 ოქტომბრის № 2ბ/5236-13განჩინება.

25 *Hopt,* in Baumbach/Hopt, HGB, 33. Aufl., 2008, §13 Rn. 3.

26 MüKo/*Krafka,* HGB, 3. Aufl., 2010, §13 Rn. 14.

27 ROHG 14, 401, 402; RGZ 77, 60, 64. მითითებულია: MüKo/*Krafka,* HGB, 3. Aufl., 2010, §13 Rn. 14.

28 ზოგადად, საპროცესო-სამართლებრივი უნარიანობის შესახებ იხ. მაგ.: *Bendtsen* in Saenger (Hrsg.), Zivilprozessordnung, 5. Aufl., 2013, §50 Rn. 12 ff; ქართულად საპროცესო უფლებაუნარიანობისა და ქმედუნარიანობის თაობაზე: *ლილუაშვილი*, სამოქალაქო საპროცესო-სამართალი, 2005, გვ. 108-

პირი იყოს თანაბრად წარმოდგენილი სასამართლოში მოსარჩელედ და მოპასუხედ, მხოლოდ იურიდიული პირისთვის არის დამახასიათებელი. შესაბამისად, გაბატონებული შეხედულების თანახმად, პროცესში ფილიალი არ წარმოადგენს დამოუკიდებელ მხარეს.[29] ეს ნიშნავს, რომ ფილიალს არ უნდა ჰქონდეს აქტიური საპროცესოუნარიანობა, თუმცა საკითხი იმის შესახებ, შესაძლებელია თუ არა, რომ წარმომადგენლობის წინააღმდეგ შეტანილ იქნეს სარჩელი, განსხვავებულია. გერმანულ სამართალში ფილიალი შესაძლოა (პასიურ) მოპასუხედ იქნეს წარმოდგენილი იმ დავაში, რომელიც მისი უშუალო გარიგების შედეგად იქნა წარმოშობილი და ისიც იმ შემთხვევაში, თუკი ეს ფილიალი საკუთარ სახელს ატარებს, ანუ აქვს საფირმო სახელწოდება.[30]

ქართული სასამართლო პრაქტიკა ამ საკითხთან დაკავშირებით არაერთგვაროვანია. უზენაესი სასამართლოს 2012 წლის გადაწყვეტილებით[31] საწარმოს (იურიდიული პირის)[32] ფილიალი სასამართლო დავაში მხარედ იქნა მიჩნეული. საფუძველი ამ არგუმენტაციისა იყო 16 III მუხლის, რომელიც იურიდიული პირის ფილიალის წინააღმდეგ აღძრული სარჩელის განსჯადობას ადგენს.[33] ისიც გასათვალისწინებელი იქნებოდა, რომ მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ (ძირითადად, უცხოური საწარმოს (იურიდიული პირის) ფილიალის (წარმომადგენლობის) ცალკე სამართლებრივ ფორმად რეგისტრაცია მომხდარიყო. აღნიშნულ შემთხვევაში სარჩელი სამართლის დამოუკიდებელი სუბიექტის მიმართ აღიძრება და საკამათო არაფერი იქნება.[34] მაგრამ, როდესაც საქმე იურიდიული პირის წარმომადგენლობას ეხება, პროცესში

12

112. ისევე როგორც ქართული საპროცესო სამართალი, გერმანულიც (სამოქალაქო-საპროცესო კანონი, § 21) სპეციალურ განსჯადობას ადგენს. მაგალითისთვის: *Rintelen* in Beckmann/Matusche-Beckmann, Versicherungsrechts-Handbuch, 2. Aufl., 2009, §23 Rn. 4.

29 *Oetker,* Handelsgesetzbuch, 3. Aufl., 2013, §13 Rn. 26.

30 გერმანული სამართლის მიხედვით, ფილიალს შესაძლოა ჰქონდეს ფირმა (საფირმო სახელწოდება), რომლის ფარგლებში იგი სამართალურთიერთობაში გამოვა. *Oetker,* Handelsgesetzbuch, 3. Aufl., 2013, §13 Rn. 26. ამ შემთხვევაში ფილიალის ფირმა არის ის სახელწოდება, რომლითაც იურიდიული პირი მისი წარმომადგენლობის მეშვეობით გამოდის საქმიან ურთიერთობაში.

31 იხ. საქ. უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 5 ნოემბრის№ ას-1144-1073-2012 განჩინება.

32 ბუნებრივია, ამას არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირზეც გავავრცელებთ.

33 თუმცა აქ გასათვალისწინებელია, რომ კანონის ჩანაწერი ფილიალის ადგილსამყოფელზე ამახვილებს ყურადღებას და არა რეგისტრირებულ მისამართზე. „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის მეორე წინადადების შესაბამისად, საწარმოს ფილიალი რეგისტრაციას არ ექვემდებარება. იგივე ითქმის არაკომერციული იურიდიული პირის ფილიალის შემთხვევაში, რადგანაც 28-ე მუხლის სათაურის და მისი პირველი ნაწილის მიხედვით რეგისტრაციას უნდა დაექვემდებაროს მხოლოდ უცხოური იურიდიული პირის წარმომადგენლობა და არა საქართველოში რეგისტრირებული არასამეწარმეო იურიდიული პირისა.

34 თუმცა ისიც საინტერესოა, თუ რა სამართლებრივი საფუძველი აქვს წარმომადგენლობის ცალკე სამართლებრივ ფორმად (მაგ., შპს-დ) რეგისტრაციას. ფილიალი, მათ შორის, უცხოური კორპორაციის მხოლოდ წარმომადგენლობას ნიშნავს და არა დამოუკიდებელ სამართლებრივ ფორმას. ამ უკანასკნელის შემთხვევაში დედა-შვილობილ საზოგადოებას მივიღებდით, რაც თავისი სამართლებრივი ბუნებით, რა თქმა უნდა, ფილიალისაგან განსხვავდება. კონცერნის თაობაზე მაგ.: *ჭანტურია/ნინიძე,* მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, 2002, გვ. 213 და მომდევნონი. კომერციული და არაკომერციული იურიდიული პირების რეესტრის პრაქტიკა კი სწორი მიმართულებით მიდის, როდესაც რეესტრიდან ამონაწერის იმ გრაფაში, სადაც სამართლებრივ ფორმაზეა მითითება, უცხოური იურიდილი პირის წარმომადგენლობაა ჩაწერილი. ამიტომ საწინააღმდეგოს მტკიცება მხოლოდ მხარის შეცდომას თუ დაბრალდებოდა.

მისი მხარედ ჩართვა შესაძლოა უმართებულო იყოს.

13 ქართულ სასამართლო პრაქტიკაში ერთიანი პოზიცია ყალიბდება იმაზე, რომ საწარმოს ფილიალი შეიძლება გამოვიდეს მხარედ სამართალურთიერთობაში, თუმცა არა როგორც იურიდიულად დამოუკიდებელი წარმონაქმნი, სამართლებრივი ფორმა, არამედ როგორც „ძირითადი საწარმოს უფლებამოსილების დელეგირების ფარგლებში“ მოქმედი სუბსტრატი.[35] „შესაბამისად, ასეთი სამართალურთიერთობის დროსაც კი ფილიალი შეიძლება მონაწილეობდეს სამართალწარმოებაში, თუმცა მხოლოდ ძირითადი საწარმოს წარმომადგენლის სტატუსით, ისიც მხოლოდ საამისოდ საპროცესო-სამართლებრივი უფლებამოსილების მინიჭების შემთხვევაში.“[36] ამ მსჯელობიდან გამომდინარე, სააპელაციო ინსტანცია აკეთებს დასკვნას, რომ აქტიური საპროცესოუნარიანობა მხოლოდ იურიდიულ პირს აქვს, ხოლო „ფილიალი შეიძლება მხოლოდ ძირითადი საწარმოს წარმომადგენლად გამოდიოდეს“.[37]

14 იურიდიული პირის ფილიალის მხარედ განხილვას შეიძლება რამდენიმე პრობლემა დაუკავშირდეს. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი იქნებოდა კრედიტორთა მოთხოვნის დაკმაყოფილება, რადგან ფილიალი არ არის „საკუთრებაუნარიანი“ სუბიექტი, რაც მის კრედიტუნარიანობას გამორიცხავს. გასათვალისწინებელია, ასევე, ზემოთ განვითარებულ გერმანულ მსჯელობაზე დაყრდნობით, რომ ფილიალს არ ჰყავს განსაკუთრებული კანონიერი წარმომადგენელი. მესამე პირებთან ურთიერთობაში დირექტორი (ფილიალის მმართველი) გამოდის მხოლოდ „ძირითადი“ იურიდიული პირის წარმომადგენლად. სამართალურთიერთობის მონაწილე ასეთ შემთხვევაში სწორედ ძირითადი კორპორაციაა და „ფილიალის მმართველიც“ იურიდიული პირის სახელით დებს გარიგებებს. გარიგების შედეგები კი იურიდიულ პირს შეერაცხება. და მთავარი, სამოქალაქო-საპროცესო კოდექსი ყურადღებას საკითხის პროცესუალურ-სამართლებრივ მხარეზე ამახვილებს, და მიღმა ტოვებს მის მატერიალურ შემხებლობას. შესაბამისად, აღნიშნული კოდექსის მე-16 მუხლი საპროცესო-სამართლებრივი ინსტიტუტია, რომელიც სპეციალურ განსჯადობას აწესრიგებს. ეს ვერ დაუკავშირდებოდა ამ საკითხის მატერიალურ-სამართლებრივ კონცეფციას, რომლის მიხედვითაც, „თუ დავა წარმოიშვა იურიდიული პირის ფილიალის, როგორც სამეწარმეო, ისე სხვა სახის კერძოსამართლებრივი საქმიანობიდან, იგი საქმის განხილვაში დამოუკიდებლად მონაწილეობს“.[38] აქ უფრო ის არის სავარაუდო, რომ მისი (ფილიალის) მეშვეობით მხარედ იურიდიული პირი ერთვება, და არა პირიქით, როდესაც ფილიალის ადგილმდებარეობის მიხედვით შეტანილი სარჩელი არა ძირითადი იურიდიული პირის, არამედ წარმომადგენლობის მიმართ არის მხოლოდ მიმართული.

35 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წ. 10 ოქტომბრის განჩინება № 2ბ/5236-13.
36 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წ. 10 ოქტომბრის განჩინება № 2ბ/5236-13.
37 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წ. 10 ოქტომბრის განჩინება № 2ბ/5236-13.
38 სწორედ ასეთია უზენაესი სასამართლოს მსჯელობა. საქ. უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 5 ნოემბრის №ას-1144-1073-2012 განჩინება.

IV. რეგისტრაციის განმახორციელებელი სუბიექტი

28 I მუხლის თანახმად, არაკომერციული იურიდიული პირის, ისევე, რო- **15**
გორც უცხო ქვეყნის იურიდიული პირის ფილიალის (წარმომადგენლობის) რეგისტრაცია სავალდებულოა და მას ახორციელებს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრი, რომელიც იუსტიციის სამინისტროს მმართველობის ქვეშ მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შემადგენლობაში შედის. ამით საქართველოში იურიდიული პირებისა და მათთან დაკავშირებული რეგისტრაციასავალდებულო იურიდიული ფაქტების აღნუსხვის უნიფიცირებულ კონცეფციას დაედო საფუძველი.[39] „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის ბოლო წინადადების მიხედვით სამეწარმეო საზოგადოების (ინდივიდუალური მეწარმის ჩათვლით) ფილიალი რეგისტრაციას არ ექვემდებარება, თუმცა რეგისტრაცია, უცხოური არაკომერციული იურიდიული პირის, ისევე როგორც უცხო ქვეყანაში რეგისტრირებული მეწარმის ფილიალისა (წარმომადგენლობის), აუცილებელია.[40] მოკლედ, 28-ე მუხლი განსაზღვრული წესის მიხედვით (ნაციონალური), არაკომერციული იურიდიული პირი რეგისტრირდება მეწარმეთა რეესტრში. კომერციული და არაკომერციული იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრირდება ასევე უცხო ქვეყნის იურიდიული პირის ფილიალი.

V. რეგისტრაციის განხორციელების წესი: გამოსაყენებელი კანონმდებლობა

28 III მუხლი იმ კანონმდებლობაზე აკეთებს მინიშნებას, რომლის მიხედ- **16**
ვითაც ა(ა)იპ-ის, უცხო ქვეყნის ა(ა)იპ-ის ფილიალისა და მასთან დაკავშირებული მონაცემების რეგისტრაცია ხორციელდება. პირველ რიგში, გამოსაყენებელია 29-ე და მომდევნო მუხლები, სადაც რეგისტრაციის პირობებია მოცემული, ანუ ის, თუ რა უნდა დაედოს საფუძვლად სარეგისტრაციო პროცესს. იუსტიციის მინისტრის ბრძანება[41] კი ის ძირითადი დოკუმენტია, რომლითაც თავად რეგისტრაციის პროცესი ხორციელდება. ამასთან, უნდა

39 განსხვავებით 2006 წლამდე მდგომარეობისა, როდესაც კომერციული და არაკომერციული საზოგადოებების რეგისიტრაციაზე განსხვავებული უწყებები იყვნენ პასუხისმგებელნი.

40 *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 259-260. შესაბამისად, იურიდიული პირის მიერ რეესტრის წინაშე ფილიალის რეგისტრაციის მოთხოვნის დაყენების მიუხედავად, მისი რეგისტრაცია არ უნდა მოხდეს. ეს შეეწინააღმდეგებოდა მეწარმეთა კანონის იმპერატიულ მოთხოვნას. განსახვევებული სიტუაციაა უცხოური იურიდიული პირის შემთხვევაში, სადაც, ერთი მხრივ, სამოქალაქო კოდექსი, ხოლო, მეორე მხრივ, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი (იუსტიციის მინისტრის 2009 წლის 31 დეკემბრის №241 ბრძანების მე-11 მუხლის მე-2 პუნქტია აღებული. თუმცა რამდენად შეიძლება მეწარმეთა კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტისთვის დისპოზიციური, უფრო სწორედ, შემვსები ხასიათის მინიჭება, რთული სათქმელია) მისი წარმომადგენლობის რეგისტრაციას საჭიროდ მიიჩნევს. რეესტრში მხოლოდ ფილიალის ხელმძღვანელი, ანუ „ძირითადი“ იურიდიული პირის წარმომოადგენლობაზე უფლებამოსილი პირის (ე.წ. ფილიალის მმართველი) უნდა დარეგისტრირდეს.

41 საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2009 წლის 31 დეკემბერის № 241 ბრძანება „მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეგისტრაციის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“.

აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ნორმის ფორმულირება, საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით, გარკვეულწილად გაუგებრობას იწვევს. თავად მუხლის სათაური და პირველი და მესამე ნაწილების ფორმულირება იმგვარად არის მოცემული, თითქოს ფილიალის რეგისტრაცია ყველა შემთხვევაშია საჭირო, ანუ როგორც ნაციონალური არაკომერციული იურიდიული პირის, ისე უცხო ქვეყნის. მაგრამ, რადგანაც წინამდებარე მუხლის მე-3 ნაწილი მეწარმე სუბიექტების რეგისტრაციისთვის დადგენილ წესზე ამახვილებს ყურადღებას, ხოლო „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 16 I 1 მუხლის შესაბამისად საქართველოში რეგისტრირებული მეწარმის ფილიალი რეგისტრაციას არ ექვემდებარება, საკითხი იმგვარად განიმარტება, რომ არც საქართველოში რეგისტრირებული არაკომერციული იურიდიული პირის წარმომადგენლობა საჭიროებს რეგისტრაციას.

რაც შეეხება უცხო ქვეყნის იურიდიული პირის ფილიალს – მასთან მიმართებაში ნაციონალური კანონმდებლობა რეგისტრაციას მოითხოვს, რაც ბუნებრივიც არის და იგი საჯარო წესრიგის, სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. ზემოთ განვითარებულ პოზიციას ასევე განამტკიცებს იუსტიციის მინისტრის ნახსენები №241-ე ბრძანება, რომლის 5 I მუხლი შეიცავს ამომწურავ ჩამონათვალს, თუ რომელი წარმონაქმნი რეგისტრირდება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში და ამავე ბრძანების 5 III მუხლი.

მუხლი 29. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაციის პირობები

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაციის მოთხოვნის შემთხვევაში დაინტერესებული პირი მარეგისტრირებელ ორგანოს წარუდგენს დამფუძნებელთა/წევრთა შეთანხმებას და განცხადებას, რომელიც უნდა შეიცავდეს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით მეწარმე იურიდიული პირის რეგისტრაციისათვის დადგენილ სავალდებულო მონაცემებს.

2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაციის მოთხოვნის შემთხვევაში მის სადამფუძნებლო დოკუმენტაციაში, გარდა ამ მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი მონაცემებისა, უნდა მიეთითოს:

ა) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქმიანობის მიზანი;

ბ) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის წევრად მიღების, წევრობიდან გასვლისა და გარიცხვის წესი, თუ იგი წევრობაზე დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირია;

გ) რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს (პირის) დასახელება, გადაწყვეტილების მიღების წესი და პროცედურა;

დ) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ხელმძღვანელი ორგანოს (ხელმძღვანელი პირის) შექმნის (არჩევის) წესი და უფლებამოსილების ვადა.

3. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაციის სხვა წესები განისაზღვრება „მეწარმეთა შესახებ“,„პროფესიული კავშირების შესახებ“ და „შემოქმედ მუშაკთა და შემოქმედებითი კავშირების შესახებ“ საქართველოს კანონებით.

საქართველოს 2006 წლის 14 დეკემბრის კანონი №3967 – სსმ I, №48, 22.12.2006წ., მუხ.336
საქართველოს 2009 წლის 3 ნოემბრის კანონი №1964 – სსმ I, №35, 19.11.2009წ., მუხ.253
საქართველოს 2009 წლის 25 დეკემბრის კანონი №2458 – სსმ I, №49, 30.12.2009წ., მუხ.370
საქართველოს 2010 წლის 27 აპრილის კანონი №2978 – სსმ I, №24, 10.05.2010წ., მუხ.144
საქართველოს 2011 წლის 1 ივლისის კანონი №5017 – ვებგვერდი, 14.07.2011წ.

I. ნორმის სტრუქტურა, მიზანი და საგანი 228
II. რეგისტრაციის განმახორციელებელი სუბიექტი და რეგისტრაციის იურიდიული საფუძველი..... 228
1. წინაპირობა 228
III. დაინტერესებული პირი (მოთხოვნის სუბიექტი) და მარეგისტრირებელი ორგანო..... 228
IV. რეგისტრაციის პირობები..... 229
V. რეგისტრაციის სხვა წესები 231

I. ნორმის სტრუქტურა, მიზანი და საგანი

1 აღნიშნული მუხლი არასამეწარმეო იურიდიული პირის რეგისტრაციისათვის საჭირო მოთხოვნებს ეხება. ეს მოთხოვნები გათვალისწინებულია სხვადასხვა საკანონმდებლო აქტით და აფუძნებს იურიდიული პირის რეგისტრაციის პირობებს, რომლის დაუცველობაც ხდება ამ სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე სუბიექტის რეგისტრაციაში გატარებაზე უარის თქმის ან მისთვის (უფრო სწორედ, მისი დამფუძნებლისთვის) ხარვეზის დანიშვნის საფუძველი. შესაბამისად, ამ ნორმის მიზანს წარმოადგენს იმ პირობების განსაზღვრა, რომლებიც აუცილებელია სოციალური წარმონაქმნის მიერ იურიდიული პირის სტატუსის შესაძენად და სრული უფლებაუნარიანობისა და ქმედუნარიანობის მქონე ორგანიზაციად ჩამოსაყალიბებლად.

II. რეგისტრაციის განმახორციელებელი სუბიექტი და რეგისტრაციის იურიდიული საფუძველი

1. წინაპირობა

2 როგორც წინა მუხლის კომენტარში აღინიშნა, კერძო სამართლის იურიდიული პირის რეგისტრაციას ახორციელებს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრი, რომელიც იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში ექცევა. იმისთვის, რომ არაკომერციულ იურიდიულ პირს სახელმწიფოს მხრიდან ლეგიტიმაციის ხარისხი მიენიჭოს, გასათვალისწინებელია სამი მნიშვნელოვანი ფაქტორი: უნდა არსებობდეს იურიდიული პირის დაფუძნების მსურველთა შეთანხმება, შეთანხმება მოიცავს წევრებსა და თავად ამ იურიდიულ პირს შორის სამართლებრივ კავშირს და უნდა მოხდეს „შეთანხმება“ თავად სახელმწიფოსა და იურიდიულ პირს შორის, რაც საბოლოოდ სახელმწიფოს მხრიდან მის იურიდიულ პირად აღიარებას ნიშნავს, ანუ ხელშეკრულება სახელმწიფოსა და „კორპორაციას“, იურიდიული პირის სტატუსში გახვეულ სოციალურ წარმონაქმნს შორის. სწორედ ამ ხელშეკრულებათა კავშირს წარმოადგენს იურიდიული პირი. მაგრამ ის პირობები, რომელიც ამ კავშირს უნდა განაპირობებდეს ნაწილობრივ იმპერატიული ნორმების სახით, არის მოცემული კანონმდებლობაში. იმისთვის, რომ სახეზე იყოს არაკომერციული იურიდიული პირი, ანუ დაფუძნდეს ასეთი სამართლებრივი ფორმა, გარკვეული პროცედურული ნიუანსებია გასათვალისწინებელი.

III. დაინტერესებული პირი (მოთხოვნის სუბიექტი) და მარეგისტრირებელი ორგანო

3 იდეალური მიზნის მქონე სუბიექტის რეგისტრაციის წინაპირობას ორი ძირითადი მონაწილის არსებობა განაპირობებს. პირველი – ეს არის დაინტ-

ერესებული პირი, ხოლო მეორე სახელმწიფო, წარმოდგენილი მარეგისტრირებელი ორგანოს სახით. დაინტერესებული პირის ლეგალურ დეფინიციას საკანონმდებლო აქტები არ იძლევა, თუმცა იგი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით არის განსაზღვრული.[1] ბრძანების მე-3 მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, **დაინტერესებული პირი არის ყველა ის ფიზიკური თუ იურიდიული პირი, რომლის ინტერესზეც სააგენტოს (ადმინისტრაციული ორგანოს – საჯარო რეესტრის) გადაწყვეტილება ან მისი რომელიმე ქმედება პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს.** მოცემულ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ პირველადი რეგისტრაციის დროს დაინტერესებული პირი არის არაკომერციული იურიდიული პირის დამფუძნებელი,[2] მისი წევრი, რომელიც რეგისტრაციაზე უფლებამოსილ ორგანოს – მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრს წარუდგენს შეთანხმებასა (საზოგადოების დაფუძნების თაობაზე)[3] და განაცხადს. განცხადების წარმდგენი პირი, მისი (ა(ა)იპ-ის) დამფუძნებელი წევრია (წევრები არიან). შესაძლებელია ასევე, რომ წევრებმა მინდობილობა გასცენ ერთ-ერთ წევრზე ან სხვა პირზე, რომელსაც სარეგისტრაციო განცხადების წარდგენის უფლებამოსილება მიენიჭება. ამ შემთხვევაშიც დაინტერესებულ პირად ისევ დამფუძნებელი უნდა მიიჩნეოდეს. თუმცა „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 5 II მუხლიდან გამომდინარეობს, რომ სარეგისტრაციო განაცხადის, ანუ სავალდებულო რეკვიზიტების ცვლილების რეგისტრაციაზე უფლებამოსილების მქონე სხვა პირი განისაზღვროს, ანუ არა ხელმძღვანელი და წარმომადგენელი ან ორგანიზაციის წევრი, არამედ სხვა გარეშე პირიც.

IV. რეგისტრაციის პირობები

საკორპორაციო სამართალში, სამეწარმეო საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტის რეგისტრაციის წინაპირობას წარმოადგენს წესდება, რომელიც ორი ნაწილისაგან შედგება.[4] 29 I მუხლი ამ საკითხთან მიმართებაში არ ხმარობს კორპორაციულ-სამართლებრივ ტერმინს და ორგანიზაციის – არაკომერციული იურიდიული პირის – სტრუქტურას, შიდა ურთიერთობებთან და სხვა დაკავშირებულ საკითხებს წევრთა შეთანხმებით არეგულირებს. პირველი ნაწილი იმგვარად არის ფორმულირებული, რომ რეგისტრაციის წინაპირობას კუმულაციური ფაქტის დადგომა განაპირობებს, ანუ **4**

1 იუსტიციის მინისტრის 2009 წლის 31 დეკემბერის № 241 ბრძანება, „მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეგისტრაციის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“.

2 ის შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი. იხ.: *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 253-254.

3 მასში ასევე სხვა ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმებიც შეიძლება იყოს ინტეგრირებული. ეს დოკუმენტიც, როგორც წესი, წესდების ფორმას ატარებს. იხ.: *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 254.

4 წესდების სავალდებულო და ფაკულტატური მონაცემების (ასევე, ამ საკითხის შედარებით-სამართლებრივი შემხებლობის) შესახებ იხ.: *ბურდული,* სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი I, 2010, გვ. 398-417; *ჭანტურია,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, გვ. 131; *Windbichler,* Gesellschaftsrecht, 23. Aufl., 2013, §26 Rn. 2.

რეესტრს არა მხოლოდ შიდა სტრუქტურის მომწესრიგებელი დოკუმენტი (შეთანხმება) წარედგინება, არამედ განცხადებაც, რომელშიც უნდა აისახოს მონაცემები ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის, იურიდიული პირის სახელწოდების, დამფუძნებელი წევრის (წევრების), იურიდიული მისამართის, ხელმძღვანელი და წარმომადგენელი პირის შესახებ.[5] შესაბამისად, არასამეწარმეო იურიდიული პირის დამფუძნებელი დოკუმენტებიც ორ ნაწილად შეიძლება დაიყოს – ფაკულტატური (არასავალდებულო) და სავალდებულო. ამ უკანასკნელს კი ისეთი სახე ექნება, როგორიც ეს მეწარმე სუბიექტის განაცხადს აქვს. თუმცა სამეწარმეო საზოგადოებების განაცხადის აუცილებელი მონაცემები არაკომერციული პირის შემთხვევაში შესაძლოა ინტეგრირებული იყოს დამფუძნებელთა ან წევრთა შეთანხმებაში.

5 განსხვავებით სამეწარმეო საქმიანობის განმახორციელებელი ორგანიზაციებისაგან, იდეალური იურიდიული პირისთვის აუცილებელია სადამფუძნებლო დოკუმენტაციაში მისი საქმიანობის მიზნის მითითება. მეწარმეთა კანონი მხოლოდ გარკვეულ სფეროში მოქმედი პირებისთვის აწესებს ასეთ მოთხოვნას.[6] ბუნებრივია, იდეალური მიზნის მქონე საზოგადოების ტიპოლოგიური ბუნება განსხვავდება სამეწარმეო საზოგადოებისაგან. სწორედ ამით არის განპირობებული 29II „ა“მუხლის მინიშნება.

6 სადამფუძნებლო დოკუმენტაციაში (დამფუძნებელთა შეთანხმებაში) მიეთითება, აგრეთვე, არაკომერციულ იურიდიულ პირში წევრად მიღება-გასვლის და წევრობიდან პირის გარიცხვის საკითხების მომწესრიგებელი წესები (29II ბ). თუმცა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე წევრობაზე დაფუძნებულ იურიდიულ პირს ეხება. ბუნებრივია, ქონების გაერთიანების შედეგად ჩამოყალიბებულ სუბიექტში ასეთი მოცემულობა არ იარსებებს.

7 წესდების (დამფუძნებელთა შეთანხმების) ავტონომიურად განსაზღვრის პრინციპი[7] განაპირობებს იმას, რომ კოდექსი მხოლოდ არაკომერციული იურიდიული პირის რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის მიმღები ორგანოს დასახელებას, გადაწყვეტილების მიღების წესსა და უფლებამოსილების ვადას ითხოვს (29 II გ). ასეთი გადაწყვეტილების მიმღები ორგანო, როგორც წესი, წევრთა საერთო კრებაა (მაგალითად, კავშირის არაკომერციული იურიდიული პირის შემთხვევაში). თუმცა შესაძლებელია, რომ ამის თაობაზე გადაწყვეტილება პირის მიერ იქნეს მიღებული (მაგალითად, ფონდის შემთხვევაში იმ ფიზიკური პირის მიერ, რომელმაც არასამეწარმეო იურიდიულ პირს გარკვეული ქონება გადასცა). გადაწყვეტილების მიღების წესსა და პროცედურაში იგულისხმება ის პროცედურულ-ორგანიზაციული საკითხები, რომლებიც ამ გადაწყვეტილების მიღებასთან არის დაკავშირებული,

5 „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტი.

6 საქმიანობის საგნის შესახებ მონაცემის სავალდებულო წესით მითითებას შეიცავს „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის მე-7 პუნქტი.

7 ქართულ კერძო სამართალში საწესდებო ავტონომიის თავისუფლების ფარგლებთან და, ზოგადად, ლიბერალური რეგულატორული რეჟიმის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით იხ.: *ჭანტურია,* საწესდებო ავტონომია საკორპორაციო სამართალში, კრებულში: სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები, წიგნი I, 2010, გვ. 560-571; *Burduli,* Gesellschaftsrecht in Georgien und seine Entwicklungstendenzen, Kieler Ostrechts-Notizen, 16. Jahrgang 1/2013, S. 28 ff.

ასევე, გადაწყვეტილებაუნარიანობასთან, ხმის მიცემასთან და ა.შ. დაკავშირებული საკითხები.

დაბოლოს, არაკომერციული იურიდიული პირის სადამფუძნებლო დოკუმენტაციაში, მეწარმეთა კანონით გათვალისწინებული სავალდებულო მონაცემების გარდა, მოცემული უნდა იყოს იურიდიული პირის ხელმძღვანელი ორგანოს (მაგალითად, კოლეგიური გამგეობის) ან დირექტორის (იმ შემთხვევაში, თუ სახეზე მხოლოდ ერთი დირექტორია) შექმნის, არჩევის წესი და უფლებამოსილების ვადა (29 II დ). აქვე სასურველია, რადგანაც კანონმდებლობა ამ საკითხს დაწვრილებით არ აწესრიგებს, რომ დამფუძნებელთა შეთანხმებით დარეგულირებული იყოს დირექტორის გადარჩევის, კონსენსუსის მიუღწევლობის შემთხვევაში, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი სპეციალური პირის დანიშვნის წესი, მისი უფლებამოსილების ვადა და სხვა მსგავსი საკითხები. **8**

V. რეგისტრაციის სხვა წესები

არაკომერციული იურიდიული პირის რეგისტრაციის, გარდა სამოქალაქო კოდექსით დადგენილი, სხვა წესები საქართველოს სხვადასხვა კანონმდებლობით განისაზღვრება. „მეწარმეთა შესახებ“ კანონზე ზემოთ უკვე იყო საუბარი. პრინციპში, სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმა-დებულებები არაკომერციული იურიდიული პირის რეგისტრაციის შესახებ შემვსებ ხასიათს ატარებს, რადგანაც ძირითადი მონაცემები სარეგისტრაციო განაცხადისა, სწორედ მეწარმეთა კანონშია ინტეგრირებული. გამოსაყოფია აგრეთვე „პროფესიული კავშირების შესახებ“ კანონი, თუმცა რამდენად ასრულებს ამ კანონში მოცემული ნორმები დამატებით რეგულატორულ ფუნქციას ორგანიზაციის რეგისტრაციის საკითხებთან დაკავშირებით, საკამათოა („პროფესიული კავშირების შესახებ“ კანონის მე-7 მუხლი). შესაბამისად, პროფესიული კავშირების ასოციაციის რეგისტრაციასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი საკითხი ისევ სამოქალაქო კოდექსით განისაზღვრება: ასოციაციის შინაგანი სტრუტურა, მართვის, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის, წევრად მიღებისა და წევრობიდან გასვლის, გარიცხვის, ორგანოთა კომპეტენციის საკითხები წესდებით განისაზღვრება. ამიტომ განსაკუთრებულ წესებს ეს კანონი არ შეიცავს. ბუნებრივია, პროფკავშირის გაერთიანებაც არასამეწარმეო იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმით უნდა ჩამოყალიბდეს, თუ იგი იურიდიული პირის სტატუსით საქმიანობს. ამასთან, 2 0IX მუხლი ასეთი ასოციაციის დასაფუძნებლად მინიმუმ 50 პირს განსაზღვრავს. **9**

გასათვალისწინებელია ასევე „შემოქმედ მუშაკთა და შემოქმედებითი კავშირების შესახებ“ კანონი, რომელიც გარკვეულ სპეციფიკას შეიცავს. ასეთი კავშირი, მე-11 მუხლის საფუძველზე იდეალური მიზნის მქონე ორგანიზაციად მიიჩნევა და სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული არასამეწარმეო იურიდიული პირის სამართლებრივ ფორმად ყალიბდება. მისი დამფუძნებლები მხოლოდ ფიზიკური პირები (ე.წ. შემოქმედი მუშაკები) **10**

არიან, რომელთა რაოდენობა 5-ზე ნაკლები არ უნდა იყოს (16 I). ასეთი წარმონაქმნის შექმნის საფუძველს წარმოადგენს სულ მცირე 5 პირისაგან ჩამოყალიბებული ყრილობა, რომელიც იღებს ორგანიზაციის წესდებას და რეგისტრაციისთვის წარუდგენს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს (17 I). შესაბამისად, ასეთი საქმიანობის მატარებელი არაკომერციული იურიდიული პირის რეგისტრაციის განხორციელებაზე უფლებამოსილი სუბიექტი, განსხვავდება სამეწარმეო ან სხვა (სამოქალაქო კოდექსით რეგულირებული) არასამეწარმეო საზოგადოების მარეგისტრირებელი ორგანოსაგან. წინა კანონისაგან (პროფკავ.) განსხვავებით, „შემოქმედ მუშაკთა და შემოქმედებითი კავშირების შესახებ“ კანონი დეტალურად ადგენს იმ მინიმალურ სავალდებულო მოთხოვნებს, რომელსაც ორგანიზაციის წესდება უნდა აკმაყოფილებდეს, რათა იგი სააგენტომ რეგისტრაციაში გაატაროს. მოთხოვნათა მინიმალური სტანდარტი (წესდების სავალდებულო რეკვიზიტები) მოცემულია 19 II მუხლში, ხოლო ფაკულტატურის შესახებ მინიშნება 19 III.

მუხლი 30. ამოღებულია.

მუხლი 31. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, უცხო ქვეყნის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის (წარმომადგენლობის) მიერ განხორციელებული ცვლილების რეგისტრაცია

1. რეგისტრირებული მონაცემების ცვლილების საფუძველია უფლებამოსილი პირის/ორგანოს სათანადო წესით მიღებული და დამოწმებული გადაწყვეტილება ან უფლებამოსილი პირების მიერ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით შედგენილი გარიგება.

2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, უცხო ქვეყნის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის (წარმომადგენლობის) მიერ განხორციელებული ცვლილებები, რომლებიც იწვევს მათ სარეგისტრაციო დოკუმენტაციაში ცვლილებებს, საჭიროებს რეგისტრაციას. ცვლილება განხორციელებულად ითვლება მისი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

3. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის/უცხო ქვეყნის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის (წარმომადგენლობის) რეგისტრირებული მონაცემების ცვლილების რეგისტრაცია ხორციელდება მეწარმე იურიდიული პირის/ფილიალის (წარმომადგენლობის) რეგისტრაციისათვის დადგენილი წესით.

საქართველოს 2004 წლის 24 ივნისის კანონი№179 – სსმ I, №19, 15.07.2004 წ., მუხ.79
საქართველოს 2006 წლის 25 მაისის კანონი №3140 – სსმ I, №18, 31.05.2006წ., მუხ.134
საქართველოს 2006 წლის 14 დეკემბრის კანონი №3967 – სსმ I, №48, 22.12.2006წ., მუხ.336
საქართველოს 2009 წლის 3 ნოემბრის კანონი №1964 – სსმ I, №35, 19.11.2009წ., მუხ.253
საქართველოს 2009 წლის 25 დეკემბრის კანონი №2458 – სსმ I, №49, 30.12.2009წ., მუხ.370
საქართველოს 2010 წლის 27 აპრილის კანონი №2978 – სსმ I, №24, 10.05.2010წ., მუხ.144
საქართველოს 2011 წლის 1 ივლისის კანონი №5017 – ვებგვერდი, 14.07.2011წ.

I. ნორმის სტრუქტურა, მიზანი და საგანი 233
II. ცვლილების საფუძველი 234
III. ცვლილების იურიდიული ძალა 235
IV. ცვლილების რეგისტრაცია დადგენილი წესით 235

I. ნორმის სტრუქტურა, მიზანი და საგანი

წინამდებარე მუხლი არასამეწარმეო იურიდიული პირის, ასევე, უცხო ქვეყნის ფილიალის მიერ განხორციელებული ცვლილების რეგისტრაციას ეხება. მისი მიზანია დაადგინოს ის საფუძველი, რომლითაც მარეგისტრირებელი ორგანო შესაბამისი რეგისტრაციადაქვემდებარებული იურიდიული ფაქტის აღნუსხვას განახორციელებს. 31-ე მუხლი არასამეწარმეო იურიდიული პირის, უცხო ქვეყნის იურიდიული პირის ფილიალის, მისი წარმომადგენლობის ცვლილების რეგისტრაციას ეხება. „ძირითად“ იურიდიულ **1**

პირთან დაკავშირებული სავალდებულო ფაქტების რეგისტრაციისას[1] სამოქალაქო კოდექსის შესაბამის ნორმებთან ერთად ამ საკითხის მოსაწესრიგებლად „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 51-ე მუხლი. მოთხოვნებსაც იყენებს, რომელიც (მეწარმე სუბიექტის) რეგისტრირებული მონაცემების ცვლილების რეგისტრაციას ეხება.

II. ცვლილების საფუძველი

2 **რეგისტრირებული მონაცემი,** იურიდიული მნიშვნელობით, არის ის იურიდიული ფაქტი, რომელიც ექვემდებარება რეგისტრაციას და შეტანილია რეესტრში. უცხო ქვეყნის არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი, როგორც წინა მუხლების კომენტირებისას აღინიშნა, განსხვავებით სამეწარმეო სუბიექტის ფილიალისაგან, რეგისტრაციას ექვემდებარება. შესაბამისად, ფილიალთან დაკავშირებული მონაცემები, რომლებიც რეგისტრირდება, რეესტრის საჯაროობისა და უტყუარობის პრეზუმფციას ამკვიდრებს.[2] ეს მონაცემები ნებისმიერი პირისათვის არის ხელმისაწვდომი. შესაბამისად, ამ მონაცემების შეცვლა იმ პირის მიერ, რომლის ქმედების შედეგადაც რეესტრმა მოახდინა სავალდებულო წესით მათი თავდაპირველი რეგისტრაცია, ასევე მავალდებულებელი წესით ექვემდებარება რეგისტრაციას. 31 I მუხლის მიხედვით, მარეგისტრირებელი ორგანოს ქმედება (განახორციელოს შესაბამისი ფაქტის ცვლილების რეგისტრაცია) დეტერმინირებული უნდა იყოს ნაციონალური ან უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის სათანადო ორგანოს გადაწყვეტილებით. სათანადო ორგანოში მოიაზრება იურიდიული პირის ის სტრუქტურული შემადგენელი ნაწილი, რომელიც მსგავსი გადაწყვეტილების მიღებაზე არის უფლებამოსილი.[3] თავად უფლებამოსილება კანონით და კანონიდან გამომდინარე ორგანიზაციის წესდებით განისაზღვრება. შესაძლებელია, ეს კომპეტენცია სხვა ორგანოზე იქნეს დელეგირებული. იურიდიული პირის ორგანოს ნაცვლად შესაძლებელია აღნიშნული უფლებამოსილება უფლებამოსილ პირს ჰქონდეს მინიჭებული (მაგ., დირექტორს). მნიშვნელოვანია ასევე, რომ გადაწყვეტილება სათანადო წესით იქნეს მიღებული, შედგენილი წერილობითი ფორმით და დამოწმებული შესაბამისი წესით. ეს ძირითადად უცხო ქვეყნის იურიდიულ პირს ეხება.[4] საქართველოს შემთხვევაში, გარკვეული სამართლებრივი ფილტრის

1 სკ-ის მუხლი 29-ე და „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მუხლი მე-5 გათვალისწინებული მონაცემების ცვლილების რეგისტრაცია, მაგ., სახელწოდება, იურიდიული მისამართი, წევრად მიღების, გასვლისა და გარიცხვის წესები და ა.შ.

2 შდრ. იხ. *ჭანტურია/ნინიძე,* მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, 2002, გვ. 71-72.

3 აქ გასათვალისწინებელი იქნებოდა, თუ რომელ მართლწესრიგთან, რომელ სისტემასთან გვექნება საქმე. იმ ქვეყნებში, სადაც ბატონობს საწესდებო ავტონომიის თავისუფლება, შესაძლოა ორგანიზაციული სტრუქტურის სპეციფიკიდან გამომდინარე, განსხვავებული სიტუაცია გვქონდეს ფუნქციური თვალსაზრისით. ამიტომ მნიშვნელოვანია რეგისტრაციისას იმ ფაქტის ცოდნა, აქვს თუ არა სამართლებრივი ფორმის (კავშირის, ფონდის) ამა თუ იმ ორგანოს ცვლილების განხორციელების კომპეტენცია.

4 იხ. საქ. იუსტიციის მინისტრის 2009 წლის 31 დეკემბერის №241 ბრძანება, „მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეგისტრაციის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“, მუხლი მე-11, პუნქტი მე-3.

გავლის მიზანშეწონილობიდან, „მნიშვნელოვანი პრევენციული ფუნქციიდან“[5] გამომდინარე, უმჯობესია გადაწყვეტილება სანოტარო წესით დამოწმდეს.

III. ცვლილების იურიდიული ძალა

31II მუხლის შესაბამისად, ნაციონალური იურიდიული პირის, უცხოური იურიდიული პირის ფილიალის სარეგისტრაციო დოკუმენტაციაში ცვლილებები, რომელიც საჭიროებს რეგისტრაციას, იურიდიულ ძალას იძენს მხოლოდ რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან. **3**

IV. ცვლილების რეგისტრაცია დადგენილი წესით

31III მუხლი არაკომერციული იურიდიული პირის, უცხოურის ფილიალის, მისი წარმომადგენლობის ცვლილების რეგისტრაციისთვის გამოსაყენებელ წესზე აკეთებს მინიშნებას. თუმცა დადგენილი წესი დაწვრილებით მოცემული არ არის. ამ წესის შემცველი ნორმა-დებულებები გაბნეულია სხვადასხვა აქტში. პირველ რიგში, თვით სამოქალაქო კოდექსში. ამ თვალსაზრისით გამოსაყენებელი იქნება 28-ე მუხლი, რომელიც იურიდიული პირისა და ფილიალის (წარმომადგენლობის) რეგისტრაციის წესს განსაზღვრავს. მართალია, საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით ამგვარი მიდგომა უხერხულობას იწვევს, მაგრამ სხვა წესი დადგენილი არ არის. შესაბამისად, თუკი იცვლება ის მონაცემები, რომლებიც თავდაპირველი რეგისტრაციის შედეგად იქნა აღნუსხული რეესტრში, ბუნებრივია, შეცვლილი იურიდიული ფაქტი რეგისტრაციას იმ წესის მიხედვით დაექვემდებარება, რომელიც, ზოგადად, იურიდიული პირისა და მისი ფილიალის რეგისტრაციისათვის არის განკუთვნილი. მეწარმეთა კანონს (5 I) პირობების განმსაზღვრელი ფუნქცია ენიჭება, ხოლო იუსტიციის მინისტრის ზემოთ აღნიშნული ბრძანება რეგისტრაციის პროცედურას[6] ადგენს (თუმცა ხაზგასასმელია ამ ბრძანებით გათვალისწინებული ნორმების ანალოგიით გამოყენების ხასიათი). **4**

5 *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 258.

6 როგორც ამას უზენაესი სასამართლო უწოდებს: საქ. უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული პალატის 2010 წლის 1 დეკემბრის № ბს-1211-1178 (კ-10) გადაწყვეტილება.

მუხლი 32. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, უცხო ქვეყნის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის (წარმომადგენლობის) რეგისტრაციაზე გადაწყვეტილების მიღების წესი

1. მარეგისტრირებელი ორგანო ამ თავით განსაზღვრულ, მისი კომპეტენციისათვის მიკუთვნებულ საკითხებზე იღებს „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონით რეგისტრაციისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობისათვის დადგენილ, ასევე „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 14^2 მუხლით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებებს.

2. მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების წესი განისაზღვრება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 14^2 მუხლით.

3. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, უცხო ქვეყნის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის (წარმომადგენლობის) რეგისტრაციის და რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების მოთხოვნის შემთხვევაში მარეგისტრირებელი ორგანო, გარდა მეწარმე სუბიექტისთვის საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული საფუძვლებისა, იღებს გადაწყვეტილებას სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ, თუ:

ა) რეგისტრაციისათვის წარდგენილი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, უცხო ქვეყნის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის (წარმომადგენლობის) მიზნები ეწინააღმდეგება მოქმედ სამართალს, აღიარებულ ზნეობრივ ნორმებს ან საქართველოს კონსტიტუციურ-სამართლებრივ პრინციპებს;

ბ) არსებობს საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული პირობები.

საქართველოს 2006 წლის 14 დეკემბრის კანონი №3967 – სსმ I, №48, 22.12.2006წ., მუხ.336
საქართველოს 2009 წლის 3 ნოემბრის კანონი №1964 – სსმ I, №35, 19.11.2009წ., მუხ.253
საქართველოს 2009 წლის 25 დეკემბრის კანონი №2458 – სსმ I, №49, 30.12.2009წ., მუხ.370
საქართველოს 2010 წლის 27 აპრილისკანონი №2978 – სსმ I, №24, 10.05.2010წ., მუხ.144
საქართველოს 2011 წლის 1 ივლისისკანონი №5017 – ვებგვერდი, 14.07.2011წ.

I. ნორმის სტრუქტურა, მიზანი და საგანი 237
II. მარეგისტრირებელი ორგანოს გადაწყვეტილება 237
1. საჯარო რეესტრის კანონის მიხედვით (კომპეტენციის საკითხები) 237
2. „მეწარმეთა შესახებ“ კანონის საფუძველზე 238
3. წარმოების შეჩერების დამატებითი საფუძვლები 239

I. ნორმის სტრუქტურა, მიზანი და საგანი

1 წინამდებარე მუხლი არასამეწარმეო იურიდიული პირის, ასევე, უცხო ქვეყნის არაკომერციული იურიდიული პირის ფილიალის რეგისტრაციის გადაწყვეტილების მიღების წესს ეხება. ნორმის სტრუქტურის მიხედვით სამოქალაქო კოდექსის შესაბამის მუხლთან ერთად გამოიყენება საქართველოს კანონები „საჯარო რეესტრის შესახებ“ და „მეწარმეთა შესახებ“. შესაბამისად, მარეგისტრირებელი ორგანოს მხრიდან რეგისტრაციის ან ცვლილების რეგისტრაციის განხორციელების იურიდიული საფუძველია ზემოაღნიშნული საკანონმდებლო აქტებით ამისათვის დადგენილი ნორმა-დებულებები, ხოლო 32 III მუხლი წარმოადგენს დამატებითი ხასიათის რეგულაციას დამახასიათებელს არაკომერციული იურიდიული პირის სპეციფიკისთვის. მუხლის მიზანია, მოაწესრიგოს რეგისტრაციაზე უფლებამოსილი პირის მიერ გადაწყვეტილების ფორმირების წესი, პროცედურა.

II. მარეგისტრირებელი ორგანოს გადაწყვეტილება

1. საჯარო რეესტრის კანონის მიხედვით (კომპეტენციის საკითხები)

2 როგორც წინა მუხლების კომენტარებისას აღინიშნა, იურიდიულ პირთან, მის ფილიალთან დაკავშირებული იურიდიული ფაქტების აღნუსხვას ახორციელებს საჯარო რეესტრში შემავალი მარეგისტრირებელი ორგანო – მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრი. მარეგისტრირებელი ორგანო სარეგისტრაციო ფაქტების შესახებ გადაწყვეტილებებს იღებს პირველ რიგში „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის საფუძველზე.

ამ კანონის 3 II მუხლი ფუნქციურად განსაზღვრავს სააგენტოს, ანუ მარეგისტრირებელი ორგანოს კომპეტენციას. შესაბამისად, ფუნქცია და უფლებამოსილება კანონის მიზნიდან გამომდინარე სინონიმებად უნდა იქნეს აღქმული. ამავე მუხლის II „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მარეგისტრირებელი ორგანო სხვა უფლებამოსილებასაც ახორციელებს. ეს ნიშნავს, რომ კომერციულ და არაკომერციულ იურიდიულ პირებთან მიმართებაში კომპეტენციის ფარგლებში სარეგისტრაციო მოქმედებების განხორციელების საფუძველი ორ ძირითად კანონშია ინტეგრირებული. ეს არის სამოქალაქო კოდექსი და კანონი „მეწარმეთა შესახებ“.

3 რეესტრის წარმოებაზე და კონკრეტული მეწარმე თუ არასამეწარმეო სუბიექტის შესახებ ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელია მარეგისტრირებელი ორგანო, ინფორმაცია (გარკვეული გამონაკლისების გარდა) არის საჯარო და აღნიშნული კანონის 3 I მუხლის შესაბამისად, იგი წარმოადგენს ამ საკითხებთან მიმართებაში საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელ დაწესებულებას.[1] „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონ-

1 მაგ. საქ. უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული პალატის 2013 წლის 29 იანვრის №ბს-1504-1466(კ-10) განჩინება;

ის 3 II „ა“ მუხლის თანახმად, მარეგისტრირებელი ორგანო უფლებამოსილია რეგისტრაციაზე. ჩვენს შემთხვევაში რეგისტრაციის ფაქტი ეხება ასევე არაკომერციულ იურიდიულ პირთან დაკავშირებული რეგისტრაცია სავალდებულო ფაქტების აღნუსხვას რეესტრში.

4 მნიშვნელოვანია აგრეთვე ამავე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მოცემულობა, რომელიც ყურადღებას ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე ამახვილებს.[2] ეს მარეგისტრირებელი ორგანოს საჯარო-სამართლებრივი ფუნქციის მეტად მნიშვნელოვანი გამოვლენაა, რადგან ის ფაქტები, რომლებიც რეგისტრაციას ექვემდებარება, საჯარო, ყველასათვის ხელმისაწვდომი[3] უნდა იყოს, რასაც აღნიშნული მუხლის ჩანაწერი უზრუნველყოფს ამავე კანონის მე-5, მე-6, 61-ე მუხლების დანაწესებთან ერთობლიობაში.[4]

2. „მეწარმეთა შესახებ“კანონის საფუძველზე

5 32 I მუხლი „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 142-ე მუხლზე აკეთებს მინიშნებას. აღნიშნული ნაწილი ამავე მუხლის II ნაწილთან მიმართების გზით უნდა განიმარტოს, რადგანაც სწორედ ამ უკანასკნელშია მითითება იმაზე, თუ (შინაარსობრივად) რა სახის გადაწყვეტილებას იღებს მარეგისტრირებელი ორგანო. მეწარმეთა კანონის 142-ე მუხლი იმ წესს ეხება, რომელიც სამეწარმეო საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტის რეგისტრაციის გაუქმებისთვის, მათ შორის, ხარვეზის დადგენის, მისი გამოუსწორებლობის საფუძველზე რეგისტრაციის გაუქმებისთვის არის დადგენილი.[5] თუმცა კანონის ეს მოცემულობა, მიუხედავად ამგვარი მოწესრიგების პოლიტიკურ-სამართლებრივი მიზანშეუწონლობისა, იმავდროულად არასამეწარმეო იურიდიულ პირზეც ვრცელდება.

6 მეწარმეთა კანონის 142-ე მუხლის პირველი პუნქტიდან გამომდინარე, სააგენტოს გადაწყვეტილება რეგისტრაციის შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კატეგორიაში ექცევა.[6] მისი გაუქმება შეიძლება სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე. აქედან არსებობს გამონაკლისი, რომელიც ამავე მუხლის IV და მომდევნო პუნქტებშია გათვალისწინებული. ეს ის შემთხვევაა, როდესაც მარეგისტრირებელი ორგანოს მართლსაწინააღმდეგო გადაწყვეტილების გაუქმება გამოიწვევს იურიდიული პირის რეგისტრაციის შეწყვეტას და ამ იურიდიულ პირს არ რჩება სამართალმემკვიდრე. საჯარო ინტერესიდან, სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა ინტერესიდან გამომდინარე, მარეგისტრირებელი ორგანო ნიშნავს ვადას ხარვეზის აღმოსაფხვრელად. (30-დღიანი) ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ კი მარეგისტრირებელი ორგანო იწყებს იძულებითი ლიკვიდაციის პროცესს და შესაბამის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს გამოსცემს (142 VI). ეს

2 იხ. ასევე *პეპანაშვილი,* სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I,2014, გვ. 262.

3 გარკვეული გამონაკლისების გარდა, მე-6 მუხლის პირველი პუნქტი. მაგ. პერსონალური მონაცემების, გარკვეული საიდუმლოების შემცველი ინფორმაცია და სხვ.

4 *პეპანაშვილი,* სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, 2014, გვ. 262.

5 იქვე, გვ. 263 და მომდევნო.

6 იქვე, გვ. 263.

უკანასკნელი შესაძლოა გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ საერთო წესით სასამართლოში. სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილება კი იურიდიული პირის ლიკვიდაციას, უფრო სწორედ, რეესტრიდან მის ამოშლას ედება საფუძვლად.

3. წარმოების შეჩერების დამატებითი საფუძვლები

გარდა ზემოთ აღნიშნული საფუძვლებისა, რომლებიც მეწარმეთა კანონშია მოცემული,32 IIIმუხლი არაკომერციული იურიდიული პირისთვის სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების სხვა საფუძვლის მქონე გადაწყვეტილების მიღების საკითხს განსაზღვრავს. ეს (ფუნქციურად) კავშირშია სამოქალაქო კოდექსის იმ მუხლთან, რომელიც არაკომერციული იურიდიული პირის საქმიანობის შეჩერებას ან შეწყვეტას ითვალისწინებს.[7] თუმცა უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ 32 III მუხლი სარეგისტრაციო წარმოებას, ანუ იმ პროცედურას ეხება, რომელიც მარეგისტრირებელ ორგანოში იურიდიული პირის (ან უცხოური იურიდიული პირის) მიერ დოკუმენტაციის წარდგენისას ექვემდებარება შემოწმებას, კონტროლს. თუკი 33-ე მუხლიუკვე დარეგისტრირებული იურიდიული პირის ან ფილიალის საქმიანობის შეჩერებაზე, ან აკრძალვაზე ამახვილებს ყურადღებას, 32 III მუხლი რეგისტრაციის (მათ შორის, ცვლილების რეგისტრაციის) დროს „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით მოცემული შემთხვევების გამოაშკარავებისას მარეგისტრირებელი ორგანოს მყისიერ რეაქციაზე აკეთებს აქცენტს. 7

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია საქმიანობის მიზნის „დაუყოვნებლივი“ კონტროლი, რათა ეს უკანასკნელი არ ეწინააღმდეგებოდეს მოქმედ სამართალს, ზნეობრივ ნორმებს ან საქართველოს კონსტიტუციურ-სამართლებრივ პრინციპებს. ეს კი კონკრეტული საქმის შეფასების ინდივიდუალურ მიდგომას მოითხოვს, რაც საკმაოდ რთულია, რამდენადაც მართლსაწინააღმდეგო მიზნის გაცხადება დოკუმენტურად ყოველგვარ რაციონალურ საფუძველსაა მოკლებული. შესაბამისად, ასეთი შემთხვევები ქართულ კაუტელარულ პრაქტიკაში არც არსებობს. 8

საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის შესაბამისად, ნებისმიერ პირს თავისუფლად და დამოუკიდებლად აქვს გაერთიანების შექმნის ან მასში გაწევრიანების უფლება.[8] საზოგადოებრივი გაერთიანებები არაკომერციული იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმითაც მოქმედებენ და მათი შექმნის თავისუფლება, ისევე როგორც განსახორციელებელი საქმიანობის თავისუფლება, კონსტიტუციურ-სამართლებრივად არის გარანტირებული. თუმცა კონსტიტუციით დაცულია ის შემთხვევები, როდესაც ასეთი ორგანიზაციის ჩამოყალიბების, მისი შემდგომი საქმიანობის მიზანი ასახავს 26 III 9

7 იხ. ამავე კომენტარის მუხლი 33-ე. ასევე, ამ მუხლიდან გამომდინარე ორგანული კანონი „საზოგადოებრივ გაერთიანებათა საქმიანობის შეჩერებისა და მათი აკრძალვის შესახებ“. აგრეთვე: *პეპანაშვილი*, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, 2014, გვ. 269 და მომდ.

8 ამასთან დაკავშირებით იხ. ქანთარია, საქ. კონსტიტუციის კომენტარი, თავი II, 2013, მუხ. 26, გვ. 298-309; ასევე, მისი შეზღუდული ხასიათის შესახებ: *კუბლაშვილი*, იზორია/კორკელია/კუბლაშვილი/ხუბუა, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, 2005, მუხ. 26, გვ. 224-230.

მუხლში ფორმულირებულ ნიშნებს. კერძოდ, თუკი მიზანი განასახიერებს საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობრივი გზით შეცვლას,[9] ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფას, ტერიტორიული მთლიანობის რღვევას, ომის, ძალადობის პროპაგანდას და ა.შ.,[10] მაშინ მარეგისტრირებელი ორგანო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ. შესაბამისად, სახეზე იქნება ადმინისტრაციული აქტი, რომლის გასაჩივრება საერთო წესით იქნება შესაძლებელი.

9 რაშიც, მიუხედავად საკანონმდებლო ნორმის სტრუქტურისა, დამხობაც მოიაზრება. ამიტომ, როგორც ლიტერატურაში აღნიშნავენ, ეს ორი ფრაზა შინაარსობრივად ერთი და იგივეს აცხადებს (და ერისა და იმავე შედეგამდე მივყავართ). *ქანთარია,* საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი II, 2013, მუხ. 26, გვ. 323 (71 სქოლიო) შემდ. მითითებით.

10 ნორმის (26 III) თითოეული მოცემულობის შინაარსობრივი განმარტებისთვის ვრცლად იხ.: *ქანთარია,* საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი II, 2013, მუხ. 26, გვ. 322-328; *კუბლაშვილი,* იზორია/კორკელია/კუბლაშვილი/ხუბუა, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, 2005, მუხ. 26, გვ. 231-232.

მუხლი 33. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქმიანობის კონტროლი

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქმიანობის შეჩერების ან აკრძალვის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.

2. თუ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი არსებითად გადავიდა სამეწარმეო საქმიანობაზე, სასამართლო მარეგისტრირებელი ორგანოს ან/და დაინტერესებული პირის სარჩელის საფუძველზე განიხილავს და წყვეტს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქმიანობის შეჩერების ან აკრძალვის საკითხს.

3. სასამართლოს მიერ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქმიანობის აკრძალვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ მარეგისტრირებელმა ორგანომ უნდა გააუქმოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაცია.

საქართველოს 2006 წლის 14 დეკემბრის კანონი №3967 – სსმ I, №48, 22.12.2006წ., მუხ.336
საქართველოს 2009 წლის 3 ნოემბრის კანონი №1964 – სსმ I, №35, 19.11.2009წ., მუხ.253

I. ნორმის სტრუქტურა, ისტორია, მიზანი და საგანი 241
II. მაკონტროლებელი ფუნქციის სუბიექტი და გამოსაყენებელი კანონმდებლობა 242
III. რეგისტრაციის გაუქმება 243

I. ნორმის სტრუქტურა, ისტორია, მიზანი და საგანი

2006[1] და 2009[2] წლებში განხორციელებული ცვლილებების შედეგად სამოქალაქო კოდექსით დადგენილი არასამეწარმეო იურიდიული პირის საქმიანობის სახელმწიფო კონტროლთან დაკავშირებული ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმა შეიცვალა. კერძოდ, ძველი რედაქციის მიხედვით, აქცენტი, ბუნებრივია, კეთდებოდა კავშირისა და ფონდის დამოუკიდებელ სამართლებრივ ფორმებსა და იმ შემთხვევაზე, როდესაც ეს სუბიექტები არსებითად გადავიდოდნენ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებაზე ან, თუ მათი წესდებებით გათვალისწინებული მიზნების შესრულება შეუძლებელი იქნებოდა, სასამართლო, უფრო სწორად, სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე იუსტიციის სამინისტრო, რომელიც ფონდებისა და კავშირების რეგისტრაციაზე უფლებამოსილი ორგანო იყო, მიიღებდა მათი რეგისტრაციის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებას (35 ძვ. რედ.). ახალი რედაქციის (33) შესაბამისად, არაკომერციულ იურიდიულ **1**

1 2006 წ. 14 დეკემბრის კანონი №3967-სსმ I, №48., მუხ. 336.
2 2009 წ. 3 ნოემბრის კანონი №1964-სსმ I, №35., მუხ. 253.

პირს შეიძლება შეუჩერდეს ან აეკრძალოს საქმიანობა. შესაბამისად, აღნიშნული მუხლის მიზანია დაადგინოს არასამეწარმეო იურიდიული პირის საქმიანობაზე სახელმწიფოს პრევენციული მაკონტროლებელი ფუნქცია და მისი საზედამხედველო როლი განსაზღვროს.

II. მაკონტროლებელი ფუნქციის სუბიექტი და გამოსაყენებელი კანონმდებლობა

2 არასამეწარმეო იურიდიული პირი კანონითა და წესდებით დადგენილ მიზანს ემსახურება. ეს მიზანი იდეალურ ხასიათს ატარებს, რაც ნიშნავს, რომ ამ სამართლებრივი ფორმის წარმონაქმნისათვის სამეწარმეო საქმიანობა მხოლოდ დამატებით ხასიათს უნდა ატარებდეს და იგი მისი მიზნის მიღწევას და დაგეგმილი იდეალური ამოცანების განხორციელებას უნდა ემსახურებოდეს. სამოქალაქო, დემოკრატიული და თავისუფალი საზოგადოების პირობებში იდეალური მიზნის მქონე (სამოქალაქო სექტორის) წარმონაქმნებს დიდი ზეგავლენის მოხდენა შეუძლიათ ამ საზოგადოების თითოეულ წევრზე; შესაბამისად, სახელმწიფო, მისი პრევენციული ფუნქციიდან გამომდინარე, ვალდებული ხდება განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდოს ამ სუბიექტების საქმიანობას, რაც, თავის მხრივ, მათ (არაკომერციული პირების) საქმიანობაზე სახელმწიფოს მხრიდან მაკონტროლებელი ფუნქციის შესრულების „ბუნებრივი თანმდევია“.[3] მაშასადამე, სახელმწიფომ, წარმოდგენილი შესაბამისი ორგანოების სახით, უნდა მოახდინოს საქმიანობაზე გარკვეული ზედამხედველობა.

3 ძირითადი საკანონმდებლო აქტი, რომლის საფუძველზეც ხორციელდება არაკომერციულ იურიდიულ პირზე სახელმწიფოს კონტროლი, არის ორგანული კანონი „საზოგადოებრივ გაერთიანებათა საქმიანობის შეჩერებისა და მათი აკრძალვის შესახებ“. წინამდებარე კანონი საქმიანობის შეჩერებისა და აკრძალვის საფუძვლებსა და წესს ადგენს.[4] კანონის შინაარსი ორ მნიშვნელოვან მომენტზე აკეთებს აქცენტს. პირველი – ეს არის შემთხვევა, როდესაც არაკომერციული იურიდიული პირი არსებითად გადადის სამეწარმეო საქმიანობაზე. როგორც აღინიშნა, იდეალური მიზნის მქონე ორგანიზაციასაც აქვს უფლება ახორციელებდეს სამეწარმეო საქმიანობას (შინაარსის მიხედვით). მაგალითად, გარკვეული არაკომერციული იურიდიული პირი, რომლის მიზანია საქველმოქმედო საქმიანობა, შეიძლება ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას. თუმცა აქედან შემოსული მატერიალური სახსრები კვლავ ამ საზოგადოების მიზნებისა და ამოცანების შესრულებას უნდა ემსახურებოდეს და, შესაბამისად, მოგების სახით მისი განაწილება წევრებზე ან სხვა პირებზე დაუშვებელია.[5] ამიტომ, თუკი კანონის ეს მოცემულობა დარღვეულია, მაშინ სასამართლოს შეუძლია მიიღოს შედეგობრივი თვალსაზრისით ორი სახის გადაწყვეტილება: ამ პირისთვის საქმიანობის

3 *ჭანტურია,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I,მუხ. 35, გვ. 133.

4 „საზოგადოებრივ გაერთიანებათა საქმიანობის შეჩერებისა და მათი აკრძალვის შესახებ“, მუხ. 1.

5 ასე მაგ., *ჭანტურია,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 35, გვ. 134; *ჭანტურია,* შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, 1997, გვ. 259.

შეჩერება სამ თვემდე ვადით ან საქმიანობის აკრძალვა და, შესაბამისად, რეგისტრაციის გაუქმება.[6] ბუნებრივია, რეგისტრაციის გაუქმების უფლებამოსილების მქონე ორგანო (ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფის კუთხით), როგორც ზემოთ აღინიშნა, არის მარეგისტრირებელი ორგანო. სწორედ მის საბოლოო ნაბიჯს ედება საფუძვლად სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილება.[7]

მეორე შემთხვევის დროს ხდება საზოგადოებრივი ორგანიზაციის მიერ **4**
ისეთი ქმედების განხორციელება, რომელიც საჯარო-საზოგადოებრივი წესრიგის შემლახველია: იგი მიმართულია კუთხური, უმცირესობაში მყოფი ხალხების, რელიგიურ-სოციალური, ეროვნული შუღლის ჩამოგდებისკენ; მისი მიზანია ქვეყნის კონსტიტუციურ-სამართლებრივი წყობილების რღვევა, მისი ძალადობით შეცვლა და მსგავსი საქმიანობა.[8] მნიშვნელოვანია, რომ ის ჩამონათვალი, რომელსაც „საზოგადოებრივ გაერთიანებათა საქმიანობის შეჩერებისა და მათი აკრძალვის შესახებ“ კანონის მე-4 მუხლი შეიცავს, არ არის კუმულაციური, ერთმანეთზე დამოკიდებული. შეიძლება სახეზე იყოს მათგან მხოლოდ ერთი პირობა, რომ სასამართლოს ამავე მუხლიდან გამომდინარე ექნება ასეთი საქმიანობის შეჩერების ან აკრძალვის გადაწყვეტილება. საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, როდესაც ამ ნიშნით იურიდიულ პირს აკრძალვოდეს საქმიანობა და მისთვის რეგისტრაცია გაეუქმებინათ.[9]

„საზოგადოებრივ გაერთიანებათა საქმიანობის შეჩერებისა და მათი აკრძალვის შესახებ“ კანონის მე-4[1] მუხლი იმ შემთხვევას განსაზღვრავს, როდესაც იურიდიული პირის მიმართ შეიძლება გამოვიდეს სისხლის სამართლის საქმეზე გამამტყუნებელი გადაწყვეტილება. ასეთი კანონიერ ძალაში შესული განაჩენი, აღნიშნული ნორმის მიხედვით, შესაძლოა საფუძვლად დაედოს საზოგადოებრივი გაერთიანებისთვის საქმიანობის უფლების ჩამორთმევას ან საერთოდ მის ლიკვიდაციას.

III. რეგისტრაციის გაუქმება

31 III მუხლის შესაბამისად, თუკი არასამეწარმეო იურიდიულ პირს აეკრძა- **5**
ლა საქმიანობა, ეს კი შეიძლება დადგეს როგორც პირველადი, ისე თანმდევი

6 „საზოგადოებრივ გაერთიანებათა საქმიანობის შეჩერებისა და მათი აკრძალვის შესახებ“, კანონის მე-3 მუხ., მე-4 მუხ. ერთობლიობაში.

7 *ჟანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 263.

8 წინაპირობები ძირითადად, მატერიალურ-სამართლებრივ ხასიათს ატარებს. ჩამონათვალი ამომწურავი ვერ იქნება. თუმცა ეს მატერიალური წინაპირობები, რომელიც შეიძლება გარკვეულ ქვეკატეგორიებად ჩაიშალოს, შესაძლოა სფეროების მიხედვით გამოიყოს, იხ.: *Baudewin,* Das Vereinsverbot, NVwZ 2013, S. 1050-1051. ასევე: VGH München, Urteilvom21-08-1989-4 A 881000 = NJW 1990, S. 62-64.

9 იხ. მაგ., საქ. საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციის ფარგლებში განხილული კონსტიტუციური სარჩელების/წარდგინებების სტატისტიკა. მისი ერთ-ერთი სეგმენტი – მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებათა შექმნისა და საქმიანობის კონსტიტუციურობის საკითხი. ამ თვალსაზრისით საინტერესოა სხვა ქვეყნების პრაქტიკა. იხ. მაგ.: BVerwG,Urt. v. 18.4. 2012–6 A 2/10 = NVwZ-RR 2012, S. 648-656 (კავშირის აკრძალვა ჰამასის მხარდაჭერის გამო); BVerwG,Beschlußvom21-04-1995-1 VR 9/94 = NJW 1995, S. 2505-2507 (ახალგაზრდა ვიკინგის კავშირთან დაკავშირებული დავა); და ა.შ.

(მაგ., თავდაპირველად შეუჩერდა, ხოლო შემდეგ აეკრძალა) შედეგი, მაშინ მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრი ვალდებულია გააუქმოს აღნიშნული სუბიექტი, რაც მის რეესტრიდან ამოშლას იწვევს. თუ იურიდიულ პირს რეგისტრაციის გაუქმების შემდეგ რაიმე ქონება დარჩება, იგი განაწილდება 38-ე მუხლის შესაბამისად.

მუხლები 33[1] და 34 ამოღებულია.

მუხლი 35. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებელი/წევრი უფლებამოსილია ერთ პირს მიანიჭოს საქმეების ერთპიროვნულად გაძღოლის უფლებამოსილება ან/და დააწესოს ორი ან ორზე მეტი პირის ერთობლივი ხელმძღვანელობა ან/და წარმომადგენლობა.

2. ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება გულისხმობს უფლებამოსილების ფარგლებში არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელით გადაწყვეტილებების მიღებას, ხოლო წარმომადგენლობითი უფლებამოსილება – არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელით გამოსვლას მესამე პირებთან ურთიერთობაში. თუ სარეგისტრაციო დოკუმენტაციით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება გულისხმობს წარმომადგენლობით უფლებამოსილებასაც.

3. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ორგანიზაციული სტრუქტურა უნდა მოწესრიგდეს მისი წესდებით (დამფუძნებელთა/წევრთა შეთანხმებით), რომელიც საჭიროებს სათანადო წესით დამოწმებას.

4. არაკომერციული იურიდიული პირის ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების წარმოშობისა და შეწყვეტის მიმართ ვრცელდება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლით მეწარმე სუბიექტის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირისთვის განსაზღვრული წესები.

საქართველოს 2004 წლის 24 ივნისის კანონი №179 – სსმ I, №19, 15.07.2004 წ., მუხ.79
საქართველოს 2004 წლის 26 ნოემბრის კანონი №617 – სსმ I, №36, 08.12.2004 წ., მუხ.168
საქართველოს 2005 წლის 25 თებერვლის კანონი №1051 – სსმ I, №9, 17.03.2005 წ., მუხ.59
საქართველოს 2006 წლის 25 მაისის კანონი №3140 – სსმ I, №18, 31.05.2006წ., მუხ.134
საქართველოს 2006 წლის 14 დეკემბრის კანონი №3967 – სსმ I, №48, 22.12.2006წ., მუხ.336
საქართველოს 2009 წლის 3 ნოემბრის კანონი №1964 – სსმ I, №35, 19.11.2009წ., მუხ.253
საქართველოს 2010 წლის 27 აპრილის კანონი №2978 – სსმ I, №24, 10.05.2010წ., მუხ.144
საქართველოს 2011 წლის 1 ივლისის კანონი №5017 – ვებგვერდი, 14.07.2011წ.

I. შესავალი 246
II. ა (ა) იპ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა 247
III. ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის სამართლებრივი არსი 247
IV. ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის სახეები 249
V. ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის ურთიერთმიმართება და გამიჯვნა 251
VI. ა (ა) იპ-ის ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის წარმოშობა და შეწყვეტა 252

I. შესავალი

1 კოდექსით გათვალისწინებული იურიდიული პირის დეფინიცია შინაარსობრივად შეიცავს ორგანიზებული წარმონაქმნის ელემენტს. ორგანიზებულობას რამდენიმე ელემენტი აქვს. პირველი – ეს არის სამართლებრივი ფორმა, რომელიც ნორმატიულ დონეზე ე.წ. დახურულ რიცხვთა (numerus clausus)[1] პრინციპის ფარგლებშია განსაზღვრული.[2] სამართლებრივი ფორმა მისი ორგანიზაციული მართვის სტრუქტურას მოიცავს. ეს უკანასკნელი კი აყალიბებს ორგანიზებული წარმონაქმნის მეორე სეგმენტს – საზოგადოების მართვის შიდა სტრუქტურას.

2 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, ისევე როგორც ნებისმიერი ორგანიზაციულად ჩამოყალიბებული სოციალური წარმონაქმნი, გარკვეული ორგანოების მეშვეობით ოპერირებს ბრუნვაში. ორგანიზაციული სტრუქტურა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ქმედუნარიანობის[3] პრაქტიკული რეალიზების სამართლებრივი ფორმაა.[4] კოდექსით მოცემულია მხოლოდ არასამეწარმეო იურიდიული პირის აღმასრულებელი ორგანო, რომელსაც შეიძლება დირექტორთა საბჭო ან აღმასრულებელი საბჭო, დირექტორატი ან გამგეობა ეწოდოს.[5] ეს ლოგიკური დანაწესია, რადგან ა(ა)იპ-ს ფუნქციონირებისთვის სჭირდება ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი ორგანო. მიუხედავად იმისა, რომ კოდექსი ამ ორგანოს სტრუქტურისა და კომპეტენციის ნორმატიულ დეტალიზაციას არ აკეთებს და მთლიანად სადამფუძნებლო დოკუმენტებსა და „მეწარმეთა შესახებ“ კანონზე გადამისამართებას ახდენს,[6] მას მაინც არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სავალდებულო ორგანოდ განიხილავს[7]

1 ტერმინი გამოხატავს პრინციპს, რომელიც სამართლებრივ მდგომარეობათა (ფორმათა) ნორმატიულად ზუსტად განსაზღვრულ რიცხვს ადგენს, რომლის სახელშეკრულებო დონეზე შეცვლა ბათილია. იხ. *Merrill/Smith,* Optimal Standardization in the Law of Property: The Numerus Clausus Principle, The Yale Law Journal, Vol. 110, 2000, p. 9-12.

2 *ჭანტურია*, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, 2000, გვ. 220.

3 იქვე, გვ. 238-240.

4 აშშ-ის უმრავლეს შტატში კორპორაციის, როგორც იურიდიული პირის ინკორპორირების დასრულების ბოლო ეტაპი რეგისტრაციის შემდგომი ორგანიზაციული კრებაა (პირველი კრება), სადაც სრულყოფილად იქნება შესრულებული საწარმოს ორგანიზაციული სტრუქტურის ფორმირება: აირჩევა დირექტორი (თუ ისინი სადამფუძნებლო დოკუმენტში, ე.წ. Article of incorporation არ არის წარმოდგენილი), დაინიშნება აღმასრულებელი მენეჯერი ან კრება აირჩევს ბორდს, რომელიც დაასრულებს საზოგადოების ორგანიზაციულ მოწყობას. იხ. *Cox/Hazen,* The Law of Corporations, Vol. 1, 2010, პ. 186. აღნიშნული პროცესის დასრულებით კორპორაცია, როგორც იურიდიული პირი, ხდება ქმედუნარიანი (გარიგებაუნარიანი). იხ. *ბურდული,* სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი II, 2013, გვ. 358-359; *Schneeman*, The Law of Corporations and Other Business Organizations, 2008, pp. 307-310; *Palmiter,* Corporations, 2006, p. 44-45.

5 ქართული სამართლებრივი სივრცე არანაირ შეზღუდვას არ შეიცავს აღმასრულებელი ორგანოს სახელწოდებასთან მიმართებით. შესაბამისად, პრაქტიკაში ამ ორგანოს სახელწოდება განსხვავებულია და დამოკიდებულია ორგანიზაციაზე, საქმიანობის საგანსა და ა.შ.

6 იგი (მეწარმეთა შესახებ კანონი), თავის მხრივ, ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი ორგანოს კომპეტენციის ნორმატიულ მოწესრიგებას არ შეიცავს.

7 კერძო სამართლის ყველა იურიდიულ პირს ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის ორგანო სავალდებულო სტრუქტურულ ელემენტად აქვს დადგენილი. იხ. მაგ., *Pinto/Branson,* Understanding Corporate Law, 2009, პ. 13;. *ბურდული,* სააქციო სამართლის საფუძვლები, II, 2013, გვ. 355-360.

II. ა (ა) იპ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა

კოდექსი ა(ა)იპ-ის ორგანიზაციულ სტრუქტურაზე პირდაპირ არაფერს ამბობს. ის 35-ე მუხლში განმარტავს მხოლოდ ხელმძღვანელობით და წარმომადგენლობით ინსტიტუტს, მაგრამ (დისპოზიციური) მოწესრიგების ყურადღების მიღმა ტოვებს საზოგადოების მართვის ისეთ ძირითად ორგანოს, როგორიც საერთო კრებაა და მისი განსაზღვრის შესაძლებლობას აბსოლუტურ კერძო ავტონომიურობის ფარგლებში აქცევს. თუმცა ირიბი ვალდებულება მაინც არის შენარჩუნებული (29 II), რომელიც ა(ა)იპ-ის სავალდებულო სარეგისტრაციო პირობად ითხოვს რეორგანიზაციაზე ან ლიკვიდაციაზე გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს/პირის განსაზღვრას. საერთო ჯამში, ა(ა)იპ-ის წევრები/დამფუძნებლები აყალიბებენ წევრთა საერთო კრებას, რომელიც, წესით, რეგისტრაციის მომენტისთვის წესდებით უკვე უნდა იყოს განსაზღვრული. **3**

35 III მუხლი არ განმარტავს ორგანიზაციული სტრუქტურის თანმდევ აუცილებელ ელემენტს – უფლებამოსილებას.[8] ორგანიზაციული მოწყობა, დანიშნულებიდან გამომდინარე, თვისებრივად მოიცავს მართვის კომპეტენციათა განსაზღვრას. ვინაიდან კოდექსი არ აწესრიგებს არც ორგანიზაციული მოწყობის უფლებამოსილებათა დანაწილებას, ეს საკითხიც საწესდებო ავტონომიის ფარგლებში უნდა იქნეს გაწერილი.[9] **4**

რაც შეეხება წესდებით განსაზღვრული ორგანიზაციული სტრუქტურის „სათანადო წესით დამოწმებას“. კოდექსის 29-ე მუხლი არაფერს ამბობს წესდების/პარტნიორთა შეთანხმების დამოწმების წესზე, თუმცა ა(ა)იპ-ის რეგისტრაციის წესებზე „მეწარმეთა შესახებ“ კანონს ავრცელებს (29 III). თავის მხრივ, მეწარმეთა კანონი მეწარმე სუბიექტის წესდების მიღების წერილობით ფორმას განსაზღვრავს, რომლის ნოტარიული დამოწმება არ არის აუცილებელი. თუმცა, სარეგისტრაციო განაცხადი, რომელიც წარედგინება მარეგისტრირებელ ორგანოს, უნდა იყოს დამოწმებული ნოტარიულად, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ყველა დამფუძნებელი პარტნიორი მარეგისტრირებელ ორგანოში მოაწერს ხელს ამ განაცხადს.[10] შესაბამისად, ა(ა)იპ-ის წესდებაზე გავრცელდება იგივე წესები, რაც მეწარმე სუბიექტების მიმართ ზოგადად მოქმედებს. **5**

III. ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის სამართლებრივი არსი

ა(ა)იპ-ის, როგორც ფიქციური (ხელოვნური) წარმონაქმნის[11] ხასიათი **6**

8 *Allen/Kraakman/Subramanian,* Commentaries and Caseson the Law of business Organization, 2012, p. 96.

9 ა(ა)იპ-ის სამართლებრივი ფორმა არ არის მის წევრთა პირადი ქონებრივი ინტერესების მართვის ორგანიზაციული ბერკეტი. ასეთ სამართლებრივ ფორმას არ აქვს წილები. იხ. *Davies,* Introduction to Company Law, 2010, p. 26. შესაბამისად, არაქონებრივი ინტერესის დაცვისთვის მასში ისეთი დამატებითი ორგანოს შემოღება, როგორიც სამეთვალყურეო საბჭოა, მენეჯმენტის კუთხით, არამიზნობრივი ხარჯი და ბიუროკრატიული ელემენტი უნდა იყოს.

10 იხ. „მეწარმეთა შესახებ“ კანონი, 5 III.

11 ისევე როგორც თითქმის ყველა კერძოსამართლებრივი ორგანიზაციული წარმონაქმნი. იხ.

განაპირობებს მის გარესამართლებრივ ურთიერთობაში წარმოდგენაზე უფლებამოსილი ორგანოს შიდაორგანიზაციულ კონსტანტირებას.[12] ხელმძღვანელები ორგანიზაციულ მართვაში არსებით როლს ასრულებენ, რადგან მათ უნარზე, ნიჭსა და გამოცდილებაზეა დამოკიდებული საზოგადოების მიზნობრივად სწორი ფუნქციონირება. რა თქმა უნდა, ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დელეგირება აუცილებელი წინაპირობაა პირის ხელმძღვანელად (წარმომადგენლად) დანიშვნის პროცესში. ა(ა)იპ-ის ძირითადი მიზანი არასამეწარმეო საქმიანობაა, რომელიც თავისთავად არ გულისხმობს ეკონომიკური აქტივობის არარსებობას. პირიქით, ა(ა)იპ, როგორი მიმართულების ან თვისებრივი სპეციფიკის მიზნითაც არ უნდა იყოს დაფუძნებული, ჩართულია ჩვეულებრივ სტატიკურ თუ დინამიკურ ეკონომიკურ პროცესში. უფრო მეტიც, ის შესაძლოა სამეწარმეო ეკონომიკურ საქმიანობას და აქტივობას მობილიზებას უკეთებდეს მისი (იდეალური) მიზნის მიღწევისთვის, ანუ ეკონომიკური ბუნების შეთავსება მისთვის მიზნის მიღწევის საშუალებაა (25 V). დედუქციური მსჯელობა ა(ა)იპ-ის დამფუძნებლის ან წევრის ინტერესს წარმოსახავს. ამიტომ მას (დამფუძნებელს/წევრს) პირადი ინტერესი აქვს, რომ ა(ა)იპ-ის მატერიალური თუ არამატერიალური ქონებრივი სიკეთის სამართლებრივი კონსტრუქციის ქვეშ ეკონომიკური ბერკეტების გამოყენებით მიზნის რელატიური ორგანიზაციული მმართველი დანიშნოს. შესაბამისად, 35 I ა(ა)იპ-ის დამფუძნებელ პირს ან უბრალოდ მის წევრს, ანუ არადამფუძნებელ სუბიექტს, ე.წ. პრინციპალს ანიჭებს ექსკლუზიურ უფლებამოსილებას, დანიშნოს ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი.[13] დამფუძნებელი პირი დანიშვნის ორგანიზაციულ უფლებას ერთჯერადი გენერირებით იყენებს. კერძოდ, ქართულ ნორმატიულ სივრცეში დამკვიდრებული ორგანული თეორიიდან[14] გამომდინარე, ხელმძღანელობასა და წარმომადგენლობაზე

Jensen/Meckling, Theory of the FirmVol. 3, No. 4, 1976, p. 314.

12 იხ. Merrill Lynch Trust Co. FSB., 235 S.W.3d 185, Texas, 2007.

13 მმართველი ორგანოს დაკომპლექტება საზოგადოების წევრების (პარტნიორების) რელევანტური უფლებამოსილებაა როგორც ა(ა)იპ-ის, ისე მეწარმე სუბიექტების შემთხვევაში. იხ. *ჭანტურია,* კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელ პირთა პასუხისმგებლობა, 2006, გვ. 112; *ბურდული,* სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი II, 2013, გვ. 357-358; *Allen/Kraakman/Subramanian,* Commentaries and Caseson the Law of business Organization, 2012, p. 8, 156. ამასთან, დამფუძნებლის/წევრის მიერ მართვის (მისი პირდაპირი გაგებით) ორგანოს დაკომპლექტება შესაძლებელია როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი მეთოდით. მაგ., კაპიტალური ტიპის საზოგადოების ერთსაფეხურიანი მართვის სისტემის მქონე ქვეყნებსა და ამხანაგური ტიპის საზოგადოებათა (თუ პარტნიორები არ ისურვებენ ხელმძღვანელობას, როგორც ამხანაგური ტიპის საზოგადოებისთვის დამახასიათებელ ტრადიციულ ფორმას. იხ. *ლაზარაშვილი,* პარტნიორთა უფლებები და მოვალეობები სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში, ჟურნალი ადამიანი და კონსტიტუცია, 3/1997, გვ. 36.) მართვის ორგანოს დაკომპლექტების პირდაპირი წესია დამკვიდრებული, რაც ნიშნავს უშუალოდ პარტნიორების/წევრების მიერ ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირთა არჩევა/დანიშვნას. ხოლო კაპიტალური ტიპის მეწარმე სუბიექტთა მიმართ მართვის დუალისტური მოდელის პირობებში ხელმძღვანელის (წარმომადგენლის) არაპირდაპირი არჩევა/დანიშვნის წესია უპირატესი, ანუ პარტნირთა კრება ირჩევს „ზედამხედველობის" ორგანოს (სამეთვალყურეო საბჭოს), რომელიც, თავის მხრივ, აკომპლექტებს დირექტორატს. მაგ., იხ. *Rosin/Closen,* Agency, Partnerships and Limited Liability Companies, 2000, p. 127.

14 იხ. *ჭანტურია,* შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, 2000, გვ.

უფლებამოსილებით პირის ავტორიზება ერთჯერადი ბუნების მქონეა.

კოდექსი[15] ერთმანეთისგან განასხვავებს ხელმძღვანელობისა და წარმო- 7
მადგენლობის ინსტიტუტებს. განსხვავება ორი მიმართულებით პოვებს გან-
ვრცობას. პირველი მიმართულების მოცემულობას ხელმძღანელობისა და
წარმომადგენლობის სახეები აყალიბებს (35 I). რაც შეეხება მეორე მიმარ-
თულებას, ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობას შორის ჰიპოთეტური
დივერგენსიის წყაროდ კომპეტენციური სხვაობა გვევლინება (35 II).

IV. ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის სახეები

არსებობს ხელმძღვანელობის (წარმომადგენლობის), როგორც ინსტი- 8
ტუტის ორი ძირითადი სახე: ერთპიროვნული (დამოუკიდებელი) და თანახ-
ელმძღვანელობა (კოლეგიური). თუ ა(ა)იპ-ის დამფუძნებელი პირი/წევრი
გადაწყვეტს, რომ საზოგადოებას ჰყავდეს ერთპიროვნული ხელმძღვანელი,
მაშინ ის კონკრეტულ სუბიექტს მიანიჭებს საქმის ერთპიროვნული გაძღო-
ლის უფლებამოსილებას. ერთპიროვნული მმართველობის დროს, მაგალით-
ად, მეწარმე სუბიექტების შემთხვევაში, ხელმძღვანელ პირს, როგორც წესი,
უწოდებენ გენერალურ დირექტორს, რომლის უფლებამოსილება გარე-
სამართლებრივ ურთიერთობაში არ შეიძლება შეიზღუდოს, გარდა ისეთი
საგამონაკლისო შემთხვევისა, როდესაც დირექტორის უფლებამოსილების
სისრულისთვის საწარმოს საერთო კრების ან სამეთვალყურეო საბჭოს გად-
აწყვეტილება იქნება საჭირო. ეს არის დანიშნული ხელმძღვანელის კონ-
ტროლთან დაკავშირებული სტრატეგიული მიდგომა მისი პრაქტიკული
განხორციელების პირდაპირი მექანიზმით, იქნება ეს ერთპიროვნული თუ
კოლეგიური მართვის სახე. საკითხი ეხება დამფუძნებელი პირების/წევრების
მიერ გადაწყვეტილების მიღების,[16] ინიცირებისა და ვეტოს უფლებას.[17] ა(ა)
იპ-ის წევრთა მხრიდან გადაწყვეტილების მიღებაში პირდაპირი მონაწილეო-
ბის უფლება ან გადასაწყვეტი საკითხის დაბლოკვა საზოგადოების ფუნდა-
მენტური სტრუქტურული ცვლილებების განხორციელების შემზღუდველი
და, შესაბამისად, კონტროლირებადი ფაქტორია.[18] ფუნდამენტური ორგან-
იზაციული ცვლილება შეიძლება იყოს ისეთი შიდა ცვლილება, როგორი-
ცაა წესდებაში ცვლილებების შეტანა და ლიკვიდაცია-რეორგანიზაცია და
„გარე“ ცვლილება, როგორიც არის ერთი ა(ა)იპ-ის მიერ მეორეს შეძენა ან
მათი შერწყმა (38).[19]

თუ ა(ა)იპ-ის წევრები მართვის პროცესის რამდენიმე პირისგან შემდგარ 9

238-241; *ზოიძე,* ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, 2005, გვ. 232-233.

15 ისევე, როგორც კანონი „მეწარმეთა შესახებ“. ამასთან, მეწარმეთა კანონის მე-9 მუხლზე გადა-
მისამართებას კოდექსი აკეთებს (35 IV).

16 კონტროლის ეს სეგმენტი იურიდიულ დოქტრინაში სავსებით სამართლიანად არის აღიარებული
ფორმალურ კონტროლად, როდესაც ხმის მიცემა ხდება დირექტორთა საბჭოს ასარჩევად ან
ფუნდამენტური ცვლილებების განსახორციელებლად წევრთა საერთო კრებაზე. იხ. *Hansmann,*
Ownership of Enterprise, 1996, p. 11.

17 *Armour/Hansmann/Kraakman,* Agency Problems and Legal Strategies, 2009, p. 38 et seq.

18 *Hansmann,* Ownership of the Firm, Journal of Law, IV:2, 1991, p. 290.

19 *Palmiter,* Corporations, 2006, p. 595-614.

ორგანოს შექმნიან, სახეზე იქნება კოლეგიური ხელმძღვანელობის ტიპი. თანახელმძღვანელობის მთავარი მაკვალიფიცირებელი ფაქტორი საზოგადოების სახელით მიღებული გადაწყვეტილების მესამე პირებთან ავტორიზირებული „მიტანის“ ფორმაში მდგომარეობს. კერძოდ, არასამეწარმეო იურიდიული პირის კოლეგიური ხელმძღვანელობის დროს, საჭიროა, რომ მართვის ორგანოში შემავალი, მაგალითად, ორი დირექტორი, ერთდროულად და ერთობლივად ახორციელებდეს საზოგადოების ხელმძღვანელობასა და მართვას.[20] ამასთან, რეესტრის პრაქტიკა ცხადყოფს, რომ კერძოსამართლებრივ ურთიერთობაში ცალკეულ ხელმძღვანელს (დირექტორს) დამოუკიდებლად აქვს საზოგადოების სახელით გამოსვლის უფლებამოსილება მინიჭებული.

10 ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების სრული ავტორიზებისთვის აუცილებელია მისი მესამე პირებისთვის „გაცხადება“. ამას საზოგადოება რეესტრში რეგისტრაციის გზით აღწევს. მაგრამ, ხშირია შემთხვევა, როდესაც საზოგადოების დირექტორატი რამდენიმე პირისგან შედგება, მაგრამ ყველა ისინი არ არიან დარეგისტრირებული რეესტრში, როგორც ხელმძღვანელობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები. ასეთ შემთხვევაში, სრულყოფილი წარმომადგენლობითი უფლებამოსილება ექნებათ იმ პირებს, რომლებიც რეესტრის ამონაწერში იქნებიან დაფიქსირებული, ხოლო ისინი, რომლებიც რეესტრის მონაცემებში არ არიან, ბუნებრივია, არ ექნებათ საზოგადოების მესამე პირებთან წარმოდგენის კომპეტენცია. ისინი მხოლოდ შიდასაზოგადოებრივი საკითხების მოგვარებით იქნებიან შემოსაზღვრულნი.[21]

11 შესაძლებელია, აგრეთვე, წარმომადგენლობასთან დაკავშირებით კომბინირებული ვარიანტების შემუშავება. მაგალითად, დირექტორატის, როგორც კოლეგიური ორგანოს ერთ წევრს, ჰქონდეს გარკვეულ სფეროში მინიჭებული წარმომადგენლობა, ხოლო დანარჩენი წევრები ერთობლივად წარმოადგენდნენ.[22] მსგავსი მრავალი კომბინაცია შეიძლება იქნეს შემუშავებული. აღნიშნულს შესაძლოა ეწოდოს ხელმძღვანელობის შერეული ფორმა, თუმცა ასეთი შემთხვევები რამდენად იდეალური იქნება პრაქტიკისთვის, ეს თავად მომავლის საკითხია.

20 საქ. უზენაესმა სასამართლომ ხელმძღვანელი პირის მიერ ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების სხვა პირისათვის გადაცემა მისი უფლებამოსილების არეალს მიღმა დატოვა. იხ. საქ. უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 26 სექტემბერი № ას-310-294-2011. ეს ლოგიკურია, რადგან, მაგ., მეწარმე სუბიექტის შემთხვევაში, ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მინიჭება ხდება ორგანული, კორპორაციულ-სამართლებრივი აქტის (წესდება ან შესაბამისი ორგანოს სხდომის ოქმით გაფორმებული გადაწყვეტილება) საფუძველზე, რაც პრინციპულად გამორიცხავს ხელმძღვანელისთვის იგივე, ორგანული და ექსკლუზიური უფლებამოსილების „გადაყოლას“. ის საზოგადოების „ზემდგომი“ ორგანოს, როგორც დამოუკიდებელი ერთეულის შიდა ორგანიზაციული კომპეტენციაა. რაც შეეხება დირექტორის მიერ გაცემულ მინდობილობას, მას მხოლოდ გარიგებით-სამართლებრივი ხასიათი ექნება და არა ორგანული წარმომადგენლობითი ბუნება.

21 *ბურდული*, სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი II, 2013, გვ. 364.

22 იქვე, გვ. 365-369.

V. ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის ურთიერთმიმართება და გამიჯვნა

ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობას შორის კომპეტენციური სხვაობა იდენტურად არის მოწესრიგებული როგორც კოდექსით (35 (II)), ისე „მეწარმეთა შესახებ“ კანონით (9 (II)). ამიტომ, კომპეტენციური დივერგენსია სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა ხელმძღვანელობის (წარმომადგენლობის) ურთიერთმიმართებით შეჯერდება. **12**

კოდექსი ერთმანეთისგან განასხვავებს ხელმძღვანელობით და წარმომადგენლობით უფლებამოსილებებს. **ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება** გულისხმობს უფლებამოსილების ფარგლებში არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელით გადაწყვეტილების მიღებას, ხოლო **წარმომადგენლობითი უფლებამოსილება** – არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელით გამოსვლას მესამე პირებთან ურთიერთობაში. აღნიშნული დანაწესი, ისევე როგორც „მეწარმეთა შესახებ“ კანონი, ხელმძღვანელობის ვიწრო გაგებას გვთავაზობს. კერძოდ, დაკონკრეტებული და გამიჯნულია საზოგადოების შიდაორგანიზაციული საქმიანობა გარესამართლებრივი ურთიერთობისგან. მაგალითად, მეწარმე სუბიექტის შემთხვევაში, რომელსაც ჰყავს სამეთვალყურეო საბჭო, საბჭოს თავმჯდომარე არის შიდაორგანიზაციული ხელმძღვანელობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი, რომელიც საზოგადოების სახელით მატერიალურ-სამართლებრივ გადაწყვეტილებებს არ ღებულობს[23] და რომელსაც მესამე პირებთან სამართლებრივად მბოჭავ ხასიათს მიანიჭებდა.[24] თუმცა, მას (სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს) შეუძლია მოიწვიოს საერთო კრება, აწარმოოს სააღრიცხვო დღე და ა.შ.[25] ანალოგიური ვითარება წარმოდგება ა(ა)იპ-ის ხელმძღვანელთან მიმართებაში, როდესაც მას შიდაორგანიზაციული ურთიერთობის მიღმა სამართლებრივი მოქმედება შეზღუდული ექნება. ასეთი კონფიგურაციის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ შემდეგი ფორმით: საზოგადოება შიდაორგანიზაციულად, ანუ საწესდებო დონეზე დაადგენს ვიწრო გაგებით ხელმძღვანელ პირს, რომელიც არ იქნება რეგისტრირებული რეესტრში, რადგან რეგისტრირებული ხელმძღვანელი პირის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება მესამე პირების წინაშე არ შეიძლება შეიზღუდოს.[26] სხვა სიტყვით, თუ პირი რეგისტრირებულია ხელმძღვანელად რეესტრში, საჯაროობის მოვალეობიდან გამომდინარე, არ შეიძლება მესამე პირებთან მიმართებით იქნეს გამოყენებული ხელმძღვანელის დანიშვნის პროცედურული ხარვეზები ან/და კომპეტენციური შეზღუდვები, თუ ეს არ ეხება თანახელმძღვანელობას ან თუ ასეთი შეზღუდვის შესახებ იცოდა მესამე პირმა.[27]

23 შესაძლოა მხედველობაში მიიღებოდეს გარკვეული გამონაკლისები.

24 სამეთვალყურეო საბჭოს წევრები საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობის პირდაპირი ადრესატები არიან, როგორც ფიდუციარები. იხ. მეწარმეთა შესახებ კანონი, 9 VI.

25 იხ. მაგ., „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მუხ. 54 I, 55 VI.

26 *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 264.

27 მაგ., ევროპის კავშირის პირველი საკორპორაციო-სამართლებრივი დირექტივა შეიცავს დანაწესს,

13 35 II 1 მუხლი შესაძლებლობას უშვებს ხელმძღვანელობა წარმომადგენლობის გარეშე არსებობდეს. ასეთ დროს წარმომადგენლობითი უფლებამოსილება მხოლოდ მესამე პირებთან ურთიერთობაში გამოსვლის კომპეტენციას მოიცავს. მაგრამ ამას საწესდებო ავტონომიის ფარგლებში მოწესრიგება სჭირდება, რადგან წარმომადგენლის დანიშვნა ავტომატურად არ ნიშნავს ხელმძღვანელი პირისთვის უფლებამოსილების შეზღუდვას.[28]

14 კოდექსის დისპოზიციური მოწესრიგება ხელმძღვანელობას ფართო გაგებით ადგენს (35 II 2). კერძოდ, ხელძღვანელობა, მისი კანონისმიერი მოწესრიგების ფარგლებში, მოიცავს წარმომადგენლობას. აღნიშნულ დათქმას კომბინაციაში მოჰყავს ხელმძღვანელობის ვიწრო გაგება და წარმომადგენლობის ინსტიტუტი.

VI. ა (ა) იპ-ის ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის წარმოშობა და შეწყვეტა

15 35 IV მუხლი ბლანკეტური ტიპის ნორმაა. ის ხელმძღვანელობის(წარმომადგენლობის) წარმოშობისა და შეწყვეტის სამართლებრივ რეგულირებას „მეწარმეთა შესახებ“ კანონზე გადამისამართებით ახდენს.

ხელმძღვანელი (წარმომადგენელი) პირი საზოგადოების ფიდუციარია.[29] საკორპორაციო სამართალი ერთმანეთისგან განასხვავებს საწარმოს დირექტორატის წევრად წარდგენას (დანიშვნას) და მის შრომით თანამდებობაზე გამწესებას.[30] ეს არის კონსესუალური ურთიერთობა, რომელიც სათავეშივე მოითხოვს პრინციპალის მხრიდან ნების (სურვილის) გამოხატვას და წარმომადგენლის მიერ თანხმობის გაცხადებას.[31]

ა(ა)იპ-ის წევრს უფლება აქვს წარადგინოს ნებისმიერი პირი წევრთა საერთო კრებაზე დასანიშნად (ასარჩევად).[32] წარდგენის, დანიშვნის ქვეშ მოიაზრება დირექტორატის წევრის დანიშვნა მის ორგანულ თანამდებობაზე. ამიტომ, დანიშვნის აქტი არის კორპორაციულ-სამართლებრივი და ამავდროულად, ცალმხრივი ხასიათის, რადგან დანიშვნა ფორმდება საზოგადოების აქტით, რომელიც საზოგადოების მხრიდან ნების გამოვლენისა

რომ საზოგადოების მართვის ორგანოთა უფლებამოსილების შეზღუდვას, რომელიც მხოლოდ წესდებით არის გათვალისწინებული, არ აქვს იურიდიული ძალა იმ შემთხვევაშიც კი, თუ ის გამოქვეყნებულია. შესაბამისად, დირექტივა მხოლოდ კანონის საფუძველზე მიიჩნევს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეზღუდვას მესამე პირებისათვის სამართლებრივი ძალის მქონედ. იხ. *ჭანტურია,* საკორპორაციო სამართლის ევროპული დირექტივები, 2009, გვ. 461.

28 შდრ. *ბურდული,* სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი II, 2013, გვ. 365.

29 იხ. *Kleinberger,* Agency, Partnerships and LLC, 2002, p. 4.

30 შდრ. „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მუხ. 9 VII. იხ. *ლაზარაშვილი,* სასამსახურო ხელშეკრულება საწარმოს დირექტორთან, წიგნში: *ბურდული,* თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, 2009, გვ. 314 და მომდ; ვრცლად: *ბურდული,* სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი II, 2013, გვ. 374 და მომდევნონი.

31 *Allen/Kraakman/Subramanian,* Commentaries and Caseson the Law of business Organization, 2012, p. 8. მეწარმეთა კანონი (5 I2) პირდაპირ ადგენს, რომ საწარმოს ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის (პირების) დანიშვნისთვის/რეგისტრაციისთვის სარეგისტრაციო დოკუმენტაციით უნდა დასტურდებოდეს ამ პირის (პირების) ნება.

32 იხ. *Armour/Hasnmann/Kraakman,* WhatisCorporateLaw? In: AnatomyofCorporateLaw, 2009, p. 14.

და ამ ნების მიღების სამართლებრივ აქტს წარმოადგენს.[33] დანიშვნის აქტი საფუძველია დირექტორის კომპეტენციის განსაჯაროებისთვის, ანუ მარეგისტრირებელ ორგანოში დასარეგისტრირებლად. სწორედ რეგისტრაციის კონსტიტუტიური მნიშვნელობიდან გამომდინარე, პირი საზოგადოების ხელმძღვანელობითი უფლებამოსილებით მას შემდეგ აღიჭურვება, რაც მის სარეგისტრაციო მონაცემებში ხელმძღვანელ (წარმომადგენელ) პირად რეგისტრაცია განხორციელდება. შესაბამისად, პირი ხელმძღვანელად გამწესებულად ითვლება საწარმოს რეგისტრირებული მონაცემების გამოქვეყნების, განსაჯაროების მომენტიდან.

16 ხელმძღვანელის (წარმომადგენლის) დანიშვნის სარეგისტრაციო დოკუმენტაციით, როგორც წესი, განისაზღვრება ხელმძღვანელის (წარმომადგენლის) უფლებამოსილების ვადა. განსაზღვრული ვადის გასვლის შემდგომ რეესტრში ცვლილებების შეუტანლობა არ იწვევს ავტორიზებული პირის უფლებამოსილების შეწყვეტას.[34] საწესდებო ავტონომიის ფარგლები ხელმძღვანელის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში გადამწყვეტია. დირექტორის ვადამდე უფლებამოსილების შეწყვეტა რაიმე კანონისმიერ დათქმაზე დაფუძნებული არ არის.[35] შესაბამისად, საზოგადოების წევრთა საერთო კრებას ან შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილ ორგანოს შეუძლია ყოველგვარი საფუძვლის გარეშე მისი თანამდებობიდან გათავისუფლება. პირი გათავისუფლებულად ითვლება (გარესამართლებრივი ურთიერთობისთვის) გათავისუფლების შესახებ უფლებამოსილი პირის მიერ განცხადების წარდგენისა და სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილებების შეტანის მომენტიდან.[36]

17 კოდექსი არ განსაზღვრავს ხელმძღანელობითი საქმიანობის ფარგლებს და ორგანოთა შორის კომპეტენციათა განაწილების სქემას. თუმცა, რადგან კოდექსის 35 IV მუხლი ხელმძღვანელობის (წარმომადგენლობის) წარმოშობასა და შეწყვეტას „მეწარმეთა შესახებ“ კანონზე გადამისამართებით არეგულირებს, ამიტომ ხელმძღვანელობითი კომპეტენციის ფარგლები ამ უკანასკნელის ანალიზიდან უნდა დადგინდეს. ანალიზის აუცილებლობა მეწარმეთა კანონიდან გამომდინარეობს, რადგან არც ის ითვალისწინებს კონკრეტულად დირექტორის უფლებამოსილებათა განსაზღვრულ არეალს (ე.წ. დაწერილ კომპეტეციას[37]), მაგრამ მისი უფლებამოსილებათა ფარგლების შემოსაზღვრა შესაძლებელია საზოგადოების მართვის სხვა ორ-

33 ვრცლად, იხ. *ბურდული,* სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი II, 2013, გვ. 374-381.

34 იხ. „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მუხ. 5 I3.

35 განსხვავებით, მაგ., ინგლისური კომპანიათა სამართლისგან. იხ. *French,* Mayson, Ryan, Company Law, 2010, p. 437.

36 იხ. „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მუხ. 9 VII 1 და VII 2 .

37 იხ. *ბურდული,* სააქციო სამართლის საფუძვლები, ტომი II, 2013, გვ. 325-330. არსებობს ფაქტობრივი, ნამდვილი უფლებამოსილება (Actual Authority), გარემოებების მიხედვით გონივრულად ნავარაუდევი უფლებამოსილებები (Apparent Authority), ნაგულისხმევი უფლებამოსილება (Implied Authority) და არსებული უფლებამოსილება, რომელიც მისი დანიშვნის აქტში ან მასთან დადებულ სასამსახურო ხელშეკრულებაში არ არის ჩამოთვლილი, მაგრამ გამომდინარეობს მისგან (Inherent Power). იხ. *Rosin/Closen,* Agency, Partnerships and Limited Liability Companies, 2000, p. 235-264; *Kleinberger,* Agency, Partnerships and LLC, 2002, pp. 21-29.

განოთა კომპეტენციების ანალიზის საფუძველზე. სხვა ორგანოთა (საერთო კრება, სამეთვალყურეო საბჭო) უფლებამოსილებები კი გამიჯნულად მხოლოდ სააქციო საზოგადოების კერძო ნაწილშია წარმოდგენილი. შესაბამისად, ხელმძღვანელ პირთა უფლებამოსილებათა ფარგლების ძირითადი განმსაზღვრელია პირის დანიშვნის აქტი[38] და მასთან დადებული (სასამსახურო)[39] ხელშეკრულება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ წარმომადგენლობითი და ხელმძღვანელობით უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს საქმის კეთილსინდისიერად წარმართვის მოვალეობა ეკისრებათ, რაც მათი ფიდუციური ბუნებით არის განპირობებული.

38 იხ. *Allen/Kraakman/Subramanian,* Commentaries and Caseson the Law of business Organization, 2012, p. 103.

39 ლაზარაშვილი, სასამსახურო ხელშეკრულება დირექტორთან. პარტნიორი და დირექტორი შიდასაზოგადოებრივ ურთიერთობაში, წიგნში: *ბურდული*, თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, 2009, გვ. 309-341.

მუხლი 36. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისება

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ გასხვისება ემსახურება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქმიანობას, მის ორგანიზაციულ განვითარებას, ხელს უწყობს მისი მიზნების განხორციელებას ან ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს.

საქართველოს 2006 წლის 14 დეკემბრის კანონი №3967 – სსმ I, №48, 22.12.2006წ., მუხ.336

I. შესავალი: ა(ა)იპ-ის ქონება 255
II. ა(ა)იპ-ის ქონების განკარგვაზე უფლებამოსილი პირი (ორგანო) 256
III. ქონების გასხვისების წინაპირობები 258

I. შესავალი: ა(ა)იპ-ის ქონება

კოდექსში მოცემული იურიდიული პირის დეფინიციის შემადგენელი ელემენტი ქონებაა (25 I). სავალდებულო მინიმალური კანონისმიერი კაპიტალის არარსებობის პირობებში, იურიდიულ პირს სარეგისტრაციო მიზნებისთვის განსაზღვრული ქონების საკუთრებაში ფლობა არ მოეთხოვება. თუმცა, როგორც არასამეწარმეო იურიდიული პირი, ისე მეწარმე იურიდიული პირი, მისი ფუნქციონირების დაწყების პირველივე ფაზაში, შესაძლოა აღიჭურვოს განსაზღვრული ქონებით, ანუ იყოს კაპიტალიზებული. 1

იურიდიული პირის ქონება გამიჯნულია მისივე პარტნიორების (წევრების) ქონებისაგან. გამიჯვნის მთავარი არსი რამდენიმე პოსტულატშია. პირველი, იურიდიული პირი მისი შექმნის/ჩამოყალიბების მომენტიდან იძენს დამოუკიდებელი სუბიექტის სტატუსს და ხდება „განცალკევებული პატრიმონი“.[1] ეს უკანასკნელი მოიცავს გამყოფ ხაზს გაერთიანების შედეგად შექმნილ ქონებასა და საზოგადოების წევრთა საკუთრებაში არსებულ ქონებას შორის. გაერთიანებული ქონების მესაკუთრედ განიხილება საზოგადოება, რომელიც ქონების მართვას ახორციელებს ხელმძღვანელის საშუალებით. განსაზღვრული ქონების მართვის უფლებამოსილება მოიცავს მის განკარგვას, გაყიდვას და გარემოებებიდან გამომდინარე, კრედიტორებისთვის გადაცემას, ე.ი. რადგან ეს ქონება საზოგადოების საკუთრებად განიხილება და არა იურიდიული პირის წევრთა საკუთრებად, საზოგადოების მესაკუთრეთა პირად კრედიტორთათვის ეს ქონება პასუხისმგებლობის მისაქცევად მიუწვდომელია, რაც საზოგადოების იურიდიული პირის სტატუსით 2

1 ე.წ. Separate patrimony („განცალკევებული მემკვიდრეობა“) – ქონების დამოუკიდებელი, განცალკევებული მემკვიდრე მესაკუთრე, რომელიც საზოგადოებას მიღებული აქვს მისი წევრების (პარტნიორების) მხრიდან. იხ. *Armour/Hasnmann/Kraakman,* What is Corporate Law? In: Anatomy of Corporate Law, 2009, p. 6.

სამართლებრივი პიროვნულობის შედეგად მიიღწევა.[2] „განცალკევებული მემკვიდრეობის“ ძირითად ფუნქციას „გაერთიანების დაცულობა“ ეწოდება.[3] გაერთიანების დაცვა ნიშნავს საზოგადოების მესაკუთრეთა პირად კრედიტორთა მოთხოვნებისგან საზოგადოების საკუთრებაში არსებული ქონების დაცვას.[4] „ორგანიზაციული წარმონაქმნის“ სახელმწიფოს მხრიდან რეგისტრაციის გზით ლეგიტიმირების შემდგომ ეტაპზე აღარ განიხილება, რომ საზოგადოებას ცალკე პიროვნულობის სტატუსი არ აქვს: ის განცალკევებული და სამართალსუბიექტობის მქონე იურიდიული პირის სტატუსის მატარებელი საზოგადოებაა,[5] რომელსაც შეიძლება ჰქონდეს განსაზღვრული ტიპის ან გარკვეული მოცულობის (რაოდენობრივად) ქონება.[6]

3 საზოგადოების ქონება არის ამ საზოგადოებაში არსებული ყველა ობიექტის ერთობლიობა.[7] ქონების შინაარსობრივ მოცემულობას,[8] თუ რა კატეგორიის ან სუბსტანციის მატარებელია (მატერიალური თუ არამატერიალური) ის, არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. მთავარია, ა(ა)იპ-ის საკუთრებაში არსებული ქონება იყოს ბრუნვაუნარიანი ობიექტი, რომელსაც განსაზღვრული ეკონომიკური ღირებულება აქვს ან შესაძლებელია მისი ეკონომიკური ღირებულების დადგენა.[9]

ნებისმიერ შემთხვევაში, საზოგადოების ქონების მართვა სუბსტანციურად მნიშვნელოვანი მომენტია ფუნქციონირების პროცესში. შესაბამისად, ქონების მართვაზე უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი (ორგანო) პასუხისმგებელია მის სწორ და მიზნობრივ განკარგვაზე.

II. ა(ა)იპ-ის ქონების განკარგვაზე უფლებამოსილი პირი (ორგანო)

4 ზოგადად, იურიდიული პირის ქმედუნარიანობის გარეგნული გამოვლენის გამოხატულებაა საზოგადოების მესამე პირებთან წარმოდგენის[10] უფლე-

2 ეს, როგორც წესი, მხოლოდ კაპიტალური საზოგადოების შემთხვევაში გვხვდება, რადგან ქართული კანონმდებლობით გათვალისწინებული ამხანაგური ტიპის საზოგადოებებს, მიუხედავად მათი იურიდიული პიროვნულობისა, მსგავსი „თავდაცვითი“ საშუალების გამოყენების შესაძლებლობა არ აქვს არც საკანონმდებლო და არც პარტნიორთა კერძო ავტონომიის ფარგლებში. მაგ., „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მუხ. 3 III გამომდინარე ყველა ასეთი დათქმა თუ შეთანხმება ბათილია მესამე პირების წინაშე. იხ. *მახაროპლიშვილი,* მეწარმე სუბიექტთა დოგმატურ-თეორიული გამიჯვნა კაპიტალურ საზოგადოებათა საწყისებზე, სამართლის ჟურნალი, 2/2011, გვ. 116. კაპიტალური ტიპის საზოგადოების ანალოგიური თავდაცვის სისტემა გავრცელდება ა(ა)იპ-ისა და მისი წევრების მიმართ.

3 *Hansmann/Kraakman/Squire,* Law and Rise of the Firm, 119 Harvard Law Review 1333, 2006, pp. 1335-1343.

4 *Armour/Hasnmann/Kraakman,* What is Corporate Law?, 2009, p. 6.

5 *მახაროპლიშვილი,* მეწარმე სუბიექტთა დოგმატურ-თეორიული გამიჯვნა კაპიტალურ საზოგადოებათა საწყისებზე, სამართლის ჟურნალი, 2/2011, გვ. 115-116.

6 ქონების დეფინიცია სამოქალაქო კოდექსის 147-ე მუხლშია მოცემული.

7 მეწარმე სუბიექტის ქონებასთან დაკავშირებით, იხ. *ბურდული,* ქონებრივი ურთიერთობა სააქციო საზოგადოებაში, 2008, გვ. 115-116; *ზოიძე,* სანივთო სამართალი, 2002, გვ. 26-55.

8 ზოგადად, ქონების შესახებ, იხ. *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 138-164; *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 183-231.

9 იხ. *მახაროპლიშვილი,* შეტანაუნარიანი ობიექტების განსაზღვრის პოზიტიური და ნეგატიური შინაარსი, მართლმსაჯულება და კანონი, 1/2012, გვ. 102-108; *ჭანტურია/ნინიძე,* მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, 2002, გვ. 48.

10 და ამით სახელშეკრულებო ურთიერთობაში მისი სამართლებრივი პიროვნულობის სტატუსით ფუნქციონირების ეფექტურად წარმოჩენა.

ბამოსილებათა მქონე პირი,[11] რომელსაც შეუძლია გაერთიანების სახელით მისივე (საზოგადოების) ქონების განკარგვა და ისეთ სახელშეკრულებო ურთიერთობებში შესვლა, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება ამავე (საზოგადოების) ქონებით.[12] ამ ეტაპზე იკვეთება ისეთი სფერო, როგორიც საზოგადოების პრაქტიკული ფუნქციონირების პროცესში მისი (ორგანიზაციის) ინტერესების დაცვაა, რადგან შესაძლებელია იურიდიული პირის სახელით ქონების არამიზნობრივი განკარგვა და სტაგნაციურ ეკონომიკურ თუ არაეკონომიკურ ურთიერთობაში შესვლა. საზოგადოების ინტერესთა დაცვა საჭიროა მაშინ, როდესაც მისი უფლებები ირღვევა ან ის არღვევს სხვის უფლებებს. ბუნებაში უფლება აბსტრაქტულად მისი მატარებელი კონკრეტული სუბიექტის გარეშე არ არსებობს. თუ ინტერესის დაცვა ხდება, ე.ი. ის უფლების დარღვევის ან გადაჭარბების შედეგია; თუ უფლება არსებობს, ე.ი. მისი მატარებელი სუბიექტიც სახეზეა, ხოლო თუ ამ უფლება-მოვალეობათა მატარებელი სუბიექტი არსებობს, ე.ი. მას ახასიათებს სამართლებრივი სუბსტანცია, რომლის ფუნქციურ რეალიზაციას უფლებამოსილებათა დელეგირების საფუძველზე ახორციელებენ. შედეგად, კოდექსი ა(ა)იპ-ის ქონების რეალიზაციის ნორმატიულ დასაშვებობას ადგენს, მაგრამ კონკრეტულად არ განსაზღვრავს მის პრაქტიკულ განხორციელებაზე უფლებამოსილ პირს.

კოდექსი ა(ა)იპ-ის ორგანიზაციულ სტრუქტურაზე არაფერს ამბობს (35 III). ის 35-ე მუხლში განმარტავს მხოლოდ ხელმძღვანელობით და წარმომადგენლობით ინსტიტუტს, ხოლო საერთო კრებისა და მისი განსაზღვრის შესაძლებლობას საწესდებო ავტონომიურობის ფარგლებში აქცევს. ორგანიზაციული მართვის კუთხით, აუცილებელია, რომ ა(ა)იპ-ის წევრები/დამფუძნებლები აყალიბებდნენ წევრთა საერთო კრებას, რომელიც ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირთან (პირებთან) ერთად შექმნის ა(ა)იპ-ის ორგანიზაციულ სტრუქტურას. ორგანიზაციული სტრუქტურის, როგორც მართვის სქემის რელევანტური კომპონენტიც (უფლებამოსილება), კანონით პირდაპირ განსაზღვრის არარსებობის პირობებში, წესდებით გადასაწყვეტ საკითხთა სფეროს განეკუთვნება. თუ ა(ა)იპ-ის ქონების განსხვისების შესაძლებლობა მხოლოდ წევრთა/დამფუძნებლეთა გადაწყვეტილების საფუძველზე იქნება შესაძლებელი,[13] ეს

5

11 საბოლოო ჯამში, ნებისმიერი იურიდიული პირის საქმიანობა, მიუხედავად მისი განცალკევებული პიროვნულობისა, დაიყვანება ფიზიკურ პირებამდე, რადგან „ხელოვნურ" ქმნილებას, რომელსაც ადამიანის მნიშვნელოვანი ელემენტი – ღირსება არ გააჩნია (იხ. *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 165-166.), ესაჭიროება მისი როგორც სამართლის სუბიექტის უფლებამოსილების განმახორციელებელი კონკრეტული ინდივიდი, რაც, თავის მხრივ, არ აფერმკრთალებს, მისი, როგორც ცალკე სუბიექტის არსებობის ფაქტს – ის უბრალოდ საზოგადოების მესამე პირებთან ურთიერთობაში წარმოდგენის საშუალებაა. იხ. *Ratner,* Corporations and Human Rights: A Theory of Legal Responsibility, 111 Yale Law Journal, 2001, pp. 2-39. ამიტომ უფლებამოსილებით აღჭურვილ პირს საზოგადოების ორეულსაც უწოდებენ. იხ. *Armour/Hasnmann/Kraakman,* What is Corporate Law?, 2009, p. 13.

12 *Armour/Hasnmann/Kraakman,* What is Corporate Law?, 2009, p. 7.

13 მეწარმე სუბიექტების შემთხვევაში საზოგადოების ქონების გასხვისების უფლებამოსილება აქვს დირექტორს, მაგრამ ის, როგორც წესი, შეზღუდულია გარკვეული მოცულობის ფარგლებში. მაგალითად, თუ გასხვისების ობიექტია საზოგადოების ქონების ნახევარზე მეტი (ქონებრივი გასხვისების შემთხვევაში, ე.წ. Asset Deal), მაშინ გასხვისებას საერთო კრების გადაწყვეტილება ესაჭიროება. იხ. მეწარმეთა შესახებ კანონი, 54 VI ლ.

ნიშნავს, რომ ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს, ე.წ. დამატებითი ავტორიზება ესაჭიროება ა(ა)იპ-ის ქონების „ნამდვილი“ გასხვისებისთვის.[14] წინააღმდეგ შემთხვევაში სახეზე იქნება არაუფლებამოსილი პირის მიერ გასხვისება, რომელსაც მესამე პირებთან მიმართებით სამართლებრივად მბოჭავი ხასიათი ექნება, ხოლო საზოგადოების შიდაორგანიზაციულ და სამართლებრივ კონტექსტში ა(ა)იპ-ის ხელმძღვანელის (წარმომადგენლის) პირადი პასუხისმგებლობის საფუძველს შექმნის.[15]

ნებისმიერ შემთხვევაში, ა(ა)იპ-ის წესდებით როგორ იქნება გავლებული კომპეტენციათა ზღვარი მართვის ორგანოთა შორის, ა(ა)იპ-ის ქონების განსხვისების, ანუ გარესამართლებრივი ურთიერთობის პრაქტიკული რეალიზების შესაძლებლობით კანონით დადგენილი ხელმძღვანელობით (წარმომადგენლობით) თანამდებობაზე მყოფი პირია აღჭურვილი. სხვა საკითხია, თუ უფლებამოსილების საწესდებო შეზღუდვის შესახებ იცოდა მესამე პირმა. ასეთ შემთხვევაში, კოდექსის (35 IV) მიხედვით, გამოსაყენებელია „მეწარმეთა შესახებ“ კანონი (9 IV), რომლის მიხედვითაც წარმოდგენილ საზოგადოებას (ა(ა)იპ-ს) შესაძლებლობა ექნება გარიგების დადებიდან 18 თვის განმავლობაში განაცხადოს გარიგების ბათილობის თაობაზე.[16]

III. ქონების გასხვისების წინაპირობები

6 კოდექსის 36-ე მუხლი ა(ა)იპ-ის ქონების გასხვისების (და ნორმის გამოყენების) ორ გენერალურ წინაპირობას განასხვავებს. პირველი სამართლებრივად მარტივი კონსტრუქციის მატარებელია და გულისხმობს ქონების არსებობას, ანუ ა(ა)იპ-ის ბალანსზე განსაზღვრული ოდენობის ქონების აღრიცხვას. სუბსტანციურად მნიშვნელოვანი კი მეორე წინაპირობაა. ეს არის ქონების გასხვისების კანონით დადგენილი ის ალტერნატივები, რომელთაგან ერთ-ერთის არსებობის შემთხვევაში ა(ა)იპ-ის უფლებამოსილი პირი (ორგანო) ქონების გასხვისების კანონისმიერი უფლებით აღიჭურვება.

7 ა(ა)იპ-ს საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ გასხვისება ემსახურება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქმიანობას, მის ორგანიზაციულ განვითარებას, ხელს უწყობს მისი მიზნების განხორციელებას ან ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს.

იურიდიული პირი, რომელიც არ მისდევს სამეწარმეო საქმიანობას, იქმნება სხვადასხვა მიზნის რეალიზებისათვის. მიზანი შეიძლება იყოს იდეალური, მაგრამ აკრძალულია არსებითად სამეწარმეო საქმიანობაში ჩართვა (33 II). დასაშვებია მხოლოდ მიზნის მიღწევისთვის სამეწარმეო საქმიანობის დროებითი განხორციელება, რომლისგანაც მიღებული შემოსავალი მიზნის სისრულეში მოყვანას უნდა მოხმარდეს. ა(ა)იპ-ის მიზანი არ ზღუდავს მისი საქმიანობის განმარტების არეალს. კერძოდ, ის ჩვეულებრივ მონაწილეობს

14 *Cox/Hazen,* Treatise on The Law of Corporations, Vol. 1, 2010, pp. 499-501.

15 *Fletcher,* Fletcher Cyclopedia of the Law of Corporations, Vol. 3A, 2011, pp.161-166.

16 იხ. მაგ. საქ. უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 4 ივნისის №ას-281-270-2012.

ეკონომიკურ ურთიერთობაში,[17] დებს ხელშეკრულებებს, საკუთარი ქონებით აგებს პასუხს და ა.შ. შესაბამისად, ეკონომიკურ ურთიერთობაში მონაწილეობის პროცესში ან იდეალური მიზნის მიღწევისთვის მას, როგორც სამართალსუბიექტს, უწევს ქონებრივი გარიგებების დადება, მათ შორის, საკუთარი ქონების გასხვისების შესახებ ნების გამოვლენა. სწორედ ამ უკანასკნელ შემთხვევას აწესრიგებს კოდექსის მიმდინარე მუხლი, რომელიც იმპერატიულად, მაგრამ ალტერნატივების ფარგლებში განსაზღვრულად ადგენს იმ შემთხვევებს, როდესაც შესაძლებელია ა(ა)იპ-ის ქონების გასხვისება.[18] მუხლის ძირითადი დატვირთვაა, რომ ა(ა)იპ-ის ქონება შეიძლება გასხვისდეს ზემოთ ჩამოთვლილი ოთხი შემთხვევიდან ერთ-ერთის არსებობისას.

8 პირველი, ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ ის ემსახურება საზოგადოების საქმიანობას. შემთხვევის ილუსტრირებისთვის ნათელი მაგალითის მოყვანაა შესაძლებელი. მაგალითად, ა(ა)იპ-ის („უმცირესობათა პარიტეტული უფლებები“) დაფუძნებისას მისმა დამფუძნებელმა ერთ-ერთმა პირმა საზოგადოებას საკუთრებაში გადასცა მისი კუთვნილი ავტომობილი, რომლის ღირებულება 10 000 ლარია. მაგრამ საზოგადოების საქმიანობის შესასრულებლად აუცილებელია საოფისე ფართი, საიდანაც ა(ა)იპ-ის ორგანიზაციული მართვა განხორციელდება. ფართის იჯარით აღებისთვის უკვე ა(ა)იპ-ის კუთვნილი ავტომობილის გასხვისება არის საზოგადოების საქმიანობისთვის საჭირო განკარგვის შემთხვევა, რომელსაც კოდექსი დასაშვებად ცნობს.

9 ა(ა)იპ-ის ქონების გასხვისების მეორე შემთხვევა ორგანიზაციულ განვითარებას მოიცავს. ზემოაღნიშნული ილუსტრაციის ფონზე, თუ ა(ა)იპ-ის ორგანიზაციული საქმიანობა მოითხოვს გაფართოებას ან/და დამატებითი/ახალი პერსონალის დაქირავებას და მას ამისთვის საჭირო თანხის მოძიება შეუძლია კუთვნილი ქონების გასხვისების საშუალებით.

10 რაც შეეხება გასხვისების მესამე და მეოთხე წინაპირობებს, ისინი მსგავსი ურთიერთობების აღმწერი ფუნქციით არიან დატვირთული. კერძოდ, ა(ა)იპ იქმნება როგორც უშუალოდ საქველმოქმედო საქმიანობისთვის, ისე სხვა ნებისმიერი საქმიანობის სამართლებრივი ფორმის ქვეშ განხორციელებისთვის, რომლის მიზანი არ არის სამეწარმეო საქმიანობა. აღნიშნულ მიზნებს კოდექსის 36-ე მუხლი ერთმანეთისგან განასხვავებს. შესაბამისად, თუ, მაგალითად, შექმნილია ა(ა)იპ „მწერალთა კავშირი“ და ა(ა)იპ „საქველმოქმედო ფონდი იავნანა“, მაშინ მათი მიზნები ერთმანეთისგან განსხვავებულია, თუმცა არც ერთი მისდევს სამეწარმეო საქმიანობას და არც მეორე. აქედან გამომდინარე, კოდექსი ალტერნატივების ფორმით ჩამოთვლის იმ

17 გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ა(ა)იპ-ის საქმიანობის მიზანი არის საქველმოქმედო საქმიანობა. ასეთ შემთხვევაში, საქველმოქმედო საქმიანობა საქართველოს საგადასახადო კოდექსით (საქართველოს პარლამენტი, № 3591, 17/09/2010) (9 II ბ)) აღიარებულია არაეკონომიკურ საქმიანობად.

18 ავტომობილის გასხვისება, რა თქმა უნდა, ა(ა)იპ-ის ეკონომიკური აქტივობაა. ეკონომიკური საქმიანობის შესახებ, იხ. *ნადარაია,* ნადარაია/როგავა/რუხაძე/ბოლქვაძე, საგადასახადო კოდექსის კომენტარი, 2012, გვ. 120-127.

შემთხვევებს, რომელთაგან ერთ-ერთის არსებობის შემთხვევაში, იქნება ეს საქველმოქმედო თუ არასაქველმოქმედო მიზნით განხორციელებული, შესაძლებელია ა(ა)იპ-ის ქონების გასხვისება.[19]

11 დაბოლოს, კოდექსი ა(ა)იპ-ის ქონების გასხვისების სხვა შემთხვევას არ ადგენს, თუმცა შესაძლებელია ქონების განკარგვის ორი სხვა ფორმის გამოყოფა. ქონების განკარგვის ერთ-ერთ ფორმად იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა და მისთვის დაწესებულ სასჯელთა ისეთი ფორმა შეიძლება იქნეს წარმოდგენილი, როგორიც ქონების ჩამორთმევაა.[20] ქონების ჩამორთმევა სახელმწიფო კომპეტენტური ორგანოს მიერ პირის საკუთრების (ქონების) იძულებითი განკარგვაა, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი პირობების არსებობისას შეიძლება გამოყენებულ იქნეს.[21] ქონების გასხვისების მეორე ფორმა მოიცავს შემთხვევას, როდესაც ა(ა)იპ-ის დამფუძნებლებმა/წევრებმა ლიკვიდაციის ნარჩენ ქონებაზე უფლებამოსილი პირი არ განსაზღვრეს და ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილ ქონებას სასამართლო გადასცემს[22] ერთ ან რამდენიმე ა(ა)იპ-ს, რომლებსაც აქვთ იგივე ან მსგავსი მიზნები, როგორიც ლიკვიდირებულ ა(ა)იპ-ს ჰქონდა (38 IV). კოდექსის ეს დანაწესი ხაზს უსვამს ა(ა)იპ-ის მიზნებს და ამოდის მისი მიღწევის ყველა მეთოდის დეტალიზაციის პრინციპიდან. ამიტომ, თუ ასეთი იურიდიული პირი (პირები) არ არსებობს ან ასეთი იურიდიული პირის (პირების) გამოვლენა შეუძლებელია, რომელსაც მსგავსი მიზანი (ანუ არასამეწარმეო მიზანი) ექნება, შეიძლება მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება ამ ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ.

19 აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ა(ა)იპ-ის საქმიანობა, მისი ორგანიზაციული განვითარება და საზოგადოების მიზნების ხელშემწყობი ქონების გასხვისება პირობითი ცნებებია და ისინი პრაქტიკაში ერთმანეთისგან ძნელად გასამიჯნ კატეგორიას წარმოადგენენ.

20 *დვალიძე,* სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, 2013, გვ. 263-266.

21 იქვე, 2013, გვ. 261-262.

22 გადაცემა გასხვისებაში გენერალური სუკცესიის გზით მოიაზრება.

მუხლი 37. ზიანის ანაზღაურება

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი პასუხს აგებს იმ ზიანისათვის, რომელიც მიადგა მესამე პირებს ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის (პირების) მიერ დაკისრებული მოვალეობის შესრულებისას ისეთი მოქმედების გამო, რომელიც იწვევს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას.

2. ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი (პირები) საქმეს კეთილსინდისიერად უნდა უძღვებოდეს. ამ მოვალეობის შეუსრულებლობის შემთხვევაში იგი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის წინაშე პასუხისმგებელია წარმოშობილი ზიანისათვის. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე უარის თქმა ბათილია, თუ ეს აუცილებელია მესამე პირთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

3. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი თავისი წევრის (წევრების), აგრეთვე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის (პირების) მდგომარეობისაგან დამოუკიდებელია. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის პასუხისმგებლობა შემოიფარგლება მისი ქონებით. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ვალდებულებებისათვის მისი წევრები, აგრეთვე მისი ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი (პირები) პასუხს არ აგებენ. ასევე არ აგებს პასუხს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი საკუთარი წევრების, აგრეთვე თავისი ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის (პირების) ვალდებულებებისათვის.

საქართველოს 2006 წლის 14 დეკემბრის კანონი №3967 – სსმ I, №48, 22.12.2006წ., მუხ.336

I. ა(ა)იპ-ის დამოუკიდებლობის კონცეფცია და მისი ფარდობითი ბუნება 262
II. ა(ა)იპ-ის სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა. პასუხისმგებლობის ელემენტები 263
III. ხელმძღვანელის (წარმომადგენლის) შიდასამართლებრივი პასუხისმგებლობა 264
IV. კეთილსინდისიერი ხელმძღვანელის ცნება 265
V. ხელმძღვანელის შიდასამართლებრივი პასუხისმგებლობის ელემენტები 265
VI. პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძვლები 266
VII. ultra vires ქმედებით მიყენებული ზიანი სანაზღაურება 267

I. ა(ა)იპ-ის დამოუკიდებლობის კონცეფცია და მისი ფარდობითი ბუნება

1 კოდექსი განამტკიცებს იურიდიული პირის დამოუკიდებლობის ტრადიციულ დოქტრინას, რომლის თანახმადაც იურიდიული პირი განცალკევებულია მისი დამფუძნებლებისგან, იურიდიული პირის ქმედება არ იწვევს მათ პასუხისმგებლობას და, პირიქით.[1] ეს არის სამართლებრივი ფიქცია, რომლის ძალითაც ა(ა)იპ-ის ქმედება, მიუხედავად იმისა, რომ ამ ქმედებას, საბოლოო ჯამში, ყოველთვის ფიზიკური პირი ახორციელებს, მიეწერება თავად ა(ა)იპ-ს.

ამავდროულად, სამართლის პრაქტიკული გამოყენების პროცესში შეიძლება შეიქმნას რეალობა, რომელშიც იურიდიული პირის სამართლებრივი განცალკევებულობა გამოიყენება არა იმ მიზნით, რა მიზნითაც იგი შეიქმნა (ან უნდა შექმნილიყო). ასეთ შემთხვევაში სასამართლო უფლებამოსილი უნდა იყოს უარყოს იურიდიული პირის მისი წევრისგან დამოუკიდებლობა და იურიდიული პირის სახელით განხორციელებული ქმედება მიაწეროს მის წევრს.[2] უნდა აღინიშნოს, რომ მეწარმეთა შესახებ კანონი, სამოქალაქო კოდექსისგან განსხვავებით, აწესებს პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპის უკუგდების შესაძლებლობას კაპიტალური ტიპის იურიდიული პირების პარტნიორების წინააღმდეგ, თუკი სახეზეა მათ მიერ პასუხისმგებლობის შეზღუდვის ბოროტად გამოყენება.[3] თუმცა საქართველოს უზენაეს სასამართლოს ამ ნორმის განმარტება არასდროს მოუხდენია.[4] ზოგადად, ქა-

1 *Gurney,* Behind the Corporate Screen, 1 Peabody Law Review 84 1936-1937, 87; Disregarding the Corporate Entity, Notes, 2 St. Louis Law Review 108, 1917, 110. ეს არის, ე.წ. entity shielding და owner shielding. პირველ შემთხვევაში საზოგადოებაა დაცული მისი წევრების პირადი კრედიტორების მოთხოვნებისგან, ხოლო მეორე მოცემულობაში, საზოგადოების წევრები არიან დაცულნი საზოგადოების კრედიტორთა მოთხოვნებისგან. იხ. *Hansmann/Kraakman/Squire,* Law and Rise of the Firm, 119 Harvard Law Review 1333, 2006, p. 1337-1343.

2 ე.წ. „გამჭოლი პასუხისმგებლობა“. თუმცა ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში ა(ა)იპ-ის კონტექსტში ეს გამონაკლისი განხილული არ არის. გამჭოლი პასუხისმგებლობის გავრცელება ა(ა)იპ-ის წევრებზე სადავოა აშშ-ს დოქტრინაშიც, რამდენადაც ა(ა)იპ-ში არ არის წილები და შესაბამისად, არც მის წევრს აქვს ქონებრივი ინტერესი (დივიდენდის მიღების უფლების ჩათვლით). იხ. *Schlicht,* Piercing the Nonprofit Corporate Veil, 66, Marquette L. Rev. 134, 1982, p.135; თუმცა, აშშ-ს სასამართლო პრაქტიკაში არსებობს არაკომერციული იურიდიული პირის წევრის პირადი პასუხისმგებლობის რამდენიმე მნიშვნელოვანი პრეცედენტი ე.წ. „alter ego“-ს საფუძველზე, რომლის მიხედვითაც, თუკი წევრის კონტროლის ხარისხი იმდენად მაღალია, რომ იკარგება ა(ა)იპ-ის დამოუკიდებლობა, წევრი უნდა განიხილებოდეს, როგორც ა(ა)იპ-ის ალტერ ეგო, რაც მისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების წინაპირობას იძლევა, იხ. MacAluso v. Jenkins, 95 I1. App. 3d 461, 420 N.E.2d,1981, 257.

3 „მეწარმეთა შესახებ“კანონის მუხ. 3 VI.

4 გამჭოლი პასუხისმგებლობის შესახებ იხ. საქ. უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 13 მაისის № ას-286-272-2013 გადაწყვეტილება. ამ საქმეში საკასაციო სასამართლომ არათუ განმარტა მეწარმეთა შესახებ კანონის მუხ. 3 VI, არამედ საერთოდ არ იმსჯელა გამჭოლი პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლებლობაზე (მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო პრაქტიკაში ამ პრინციპის გამოყენების პრეცედენტი საქართველოში არ არის, საკასაციო სასჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი იმ მითითებით, რომ არ არსებობს განხილვის აუცილებლობა სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბების თვალსაზრისით). ამდენად, უნდა ვივარაუდოთ, რომ უზენაესი სასამართლო დაეთანხმება სააპელაციო სასამართლოს პოზიციას, რომლის თანახმადაც, სათანადო ფაქტობრივი გარემოებების არსებობისას შესაძლებელია პასუხისმგებლობა შეზღუდული პარტნიორისთვის გამჭოლი პასუხისმგებლობის დაკისრება იურიდიული პირის ვალდებულებებისთვის. თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ ამ კონკრეტულ დავაში აპელანტი სარწმუნო მტკიცებულებებით ვერ ადასტურებდა სადავო გარემოებებს, მისი

რთული სასამართლო პრაქტიკა არ არის მდიდარი იურიდიული პირის სამართლებრივი დამოუკიდებლობის კონცეფციის შეფასებაში.[5]

II. ა(ა)იპ-ის სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა. პასუხისმგებლობის ელემენტები

ზიანის ანაზღაურების სახით ა(ა)იპ-ის პასუხისმგებლობის საფუძველი შეიძლება გახდეს ა(ა)იპ-ის მიერ, ხელმძღვანელის (წარმომადგენლის) მეშვეობით,ზიანის მიმყენებელი ქმედების განხორციელება, ან ა(ა)იპ-ის მუშაკის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით ზიანის მიყენება. **2**

პასუხისმგებლობის პირველი წინაპირობაა ზიანის მიყენება (ზიანის არსებობა).[6] ა(ა)იპ-ის (და ზოგადად იურიდიული პირის) კონტექსტში ეს წინაპირობა განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს, რადგანაც ზიანის მიმყენებელ ქმედებას სჩადის ფიზიკური პირი, რომელიც ა(ა)იპ-ის დამოუკიდებელი სამართალსუბიექტობის პრინციპის ძალით მიეწერება ა(ა)იპ-ს. ამდენად, მნიშვნელოვანია იმ სამართლებრივი ურთიერთობის ხასიათის განსაზღვრა, რომელიც აკავშირებს ზიანის მიმყენებელ ფიზიკურ პირს ა(ა)იპ-თან. ეს ურთიერთობა ნებისმიერ შემთხვევაში სახელშეკრულებო ბუნებისაა და შეიძლება გამომდინარეობდეს როგორც შრომითი, ასევე სამოქალაქო-სამართლებრივი წარმომადგენლობითი ურთიერთობიდან (დავალების ხელშეკრულებიდან, მინდობილობიდან). ზიანი შეიძლება მიყენებულ იქნეს ა(ა)იპ-ის სახელით (მაგ., სახელშკრულებო ვალდებულების დარღვევის დროს) ან ფიზიკური პირის მიერ მასზე დაკისრებული მოვალეობის (სამსახურებრივი, შრომითი) შესრულების დროს. ამ კონტექსტში საჭიროა დელიქტურისა და სხვა კატეგორიის ზიანის ანაზღაურების წესის გამიჯვნა. დელიქტის შემთხვევაში ა(ა)იპ-ის მიერ ანაზღაურებას ექვემდებარება არამხოლოდ ხელმძღვანელის (წარმომადგენლის), არამედ ნებისმიერი მუშაკის მართლსაწინააღმეგო ქმედებით[7] დამდგარი ზიანი (997). სახელშეკრულებო კატეგორიის ზიანის შემთხვევაში, ხელმძღვანელის (წარმომადგენლის) ნებისმიერი ქმედება, რომელიც იწვევს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას, მიეწერება **3**

მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

5 იურიდიული პირის დამოუკიდებლობის დოქტრინასთან მიმართებით ყველაზე მნიშვნელოვანი განმარტება ეკუთვნის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს. 1998 წლის 19 იანვრის №2/36-7 გადაწყვეტილებში სასამართლომ იმსჯელა იურიდიული პირისა და მისი დამფუძნებლის დამოუკიდებელ სამართალსუბიექტობაზე საკუთრების მიკუთვნების კონტექსტში, რის საფუძველზეც დაადგინა, რომ „იურიდიული პირის ქონება იურიდიული პირის, როგორც სამართლის სუბიექტის საკუთრებაა და არა მისი დამფუძნებლების, ან მასში მონაწილეების.“ იხ. *ზოიძე,* თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, 2009, გვ. 77-82.

6 ზიანი საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში განმარტებულია, როგორც ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლების ან კეთილდღეობის ხელყოფა. იხ.საქ. უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 29 ივლისის № ას-920-959-11გადაწყვეტილება, ასევე 2013 წლის 24 ივნისის № ას-182-175-2013 გადაწყვეტილება.

7 მართლწინააღმდეგობაზე, როგორც ზიანის ანაზღაურების წინაპირობაზე იხ. საქ. უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 16 აპრილის № 3კ-1457-02 გადაწყვეტილება, სადაც არასამეწარმეო იურიდიულ პირს არ დაეკისრა ზიანის ანაზღაურება, მისი მხრიდან მართლსაწინააღმდეგო ქმედების არსებობის გამო.

ა(ა)იპ-ს და შესაბამისად, პასუხისმგებლობაც მას გადახდება. ზიანის ანაზღაურების ვალდებულებასთან დაკავშირებით მოქმედებს ზოგადი პრინციპი: „არ არსებობს პასუხისმგებლობა ბრალის გარეშე,“[8] ამდენად, მეორე წინაპირობად უნდა განვიხილოთ ბრალი, რომელიც შეიძლება გამოიხატოს განზრახვის ან გაუფრთხილებლობის ფორმით.[9] მესამე წინაპირობაა, მიზეზშედეგობრივი კავშირი დამდგარ ზიანსა და ქმედებას შორის, რისი ძალითაც ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მისი გამომწვევი ქმედების უშუალო და პირდაპირი შედეგია.[10]

III. ხელმძღვანელის (წარმომადგენლის) შიდასამართლებრივი პასუხისმგებლობა

4 ხელმძღვანელის პასუხისმგებლობის დახასიათებისას უნდა გაიმიჯნოს იმ სამართლებრივი ურთიერთობის ფაქტობრივი ხასიათი, რომელშიც წარმოიშვა ზიანის ანაზღაურების ვალდებულება. ამ კუთხით, უნდა განვასხვავოთ შიდა და გარეურთიერთობები. გარესამართლებრივ ურთიერთობებში (ე.ი. მესამე პირების წინაშე) ხელმძღვანელი (წარმომადგენელი), როგორც ზემოთ აღინიშნა, არ აგებს პასუხს მიყენებული ზიანისათვის, იმ დათქმით, რომ იგი მოქმედებდა ა(ა)იპ-ის სახელით ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას. ეს წესი გამომდინარეობს, ერთი მხრივ, ა(ა)იპ-ის დამოუკიდებლობის კონცეფციიდან და, მეორე მხრივ, წარმომადგენლობის ინსტიტუტის ფუნდამენტური პრინციპიდან, რომელიც ასევე განმტკიცებულია კოდექსში, კერძოდ კი, 396-ე მუხლში. რაც შეეხება შიდაურთიერთოებებს, ამ შემთხვევაში დირექტორის პასუხისმგებლობა შეუზღუდავია. აქ მას აღარ იცავს ა(ა)იპ-ის დამოუკიდებლობის ფიქცია. შესაბამისად, ხელმძღვანელი (წარმომადგენელი) პასუხისმგებელია ა(ა)იპ-ის წინაშე იმ ზიანისათვის, რომელიც მას მიადგა კეთილსინდისიერი ხელმძღვანელობის მოვალეობის დარღვევის შედეგად. ხელმძღვანელ პირთა მოვალეობების განსაზღვრისას მუხლი შემოიფარგლება მხოლოდ კეთილსინდისიერების ზოგადი მოვალეობის დაწესებით. შესაბამისად, ისმის კითხვა: რა სტანდარტით უნდა იხელმძღვანელოს დირექტორმა ა(ა)იპ-ის მართვისას? როგორც ქართულ, ასევე დასავლურ იურიდიულ ლიტერატურაში არსებული შეხედულების თანახმად, არაკომერციული იურიდიული პირის ხელმძღვანელს არსებითად იგივე ფიდუციური მოვალეობები აკისრია, როგორც კომერციულ იურიდიულ პირის ხელმძღვანელს.[11] ამ შეხედულებას განაპირობებს ის ფაქტი, რომ

8 *ცვაიგერტ/კოტცი,* შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, II, 2001, გვ. 320.

9 იხ. საქ. უზენაეს სასამართლოში მოსამართლეთა რეგულარული შეხვედრების შედეგად სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სფეროში შემუშავებული რეკომენდაციები და სამოქალაქო სამართლის საკითხებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა, 2011, გვ. 54.

10 *ქოჩაშვილი,* ბრალი, როგორც სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა, სამართლის ჟურნალი 1/2009, გვ. 82.

11 *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 265; ასევე, იხ. *Hazen/Hazen,* Punctilios and Nonprofit Corporate Governance, Journal of Business Law, Vol.14:2, 2012, p. 356; ხელმძღვანელ პირთა მოვალეობათა კატალოგი გვხვდება როგორც აშშ-ში, ასევე გერმანიაშიც. ამავდროულად,

ფიდუციური მოვალეობის, როგორც არ უნდა განიმარტოს იგი, საფუძველი მაინც კეთილსინდისიერების ზოგადი სტანდარტია.[12] უნდა აღინიშნოს, რომ კოდექსით დადგენილი წესი ანალოგიურია მეწარმეთა შესახებ კანონით გათვალისწინებული პოსტულატისა, იმ განსხვავებით, რომ ეს უკანასკნელი შედარებით დეტალურად განუსაზღვრავს კომერციული იურიდიული პირის ხელმძღვანელს კეთილსინდისიერების ზოგადი სტანდარტიდან გამომდინარე კონკრეტულ მოვალეობებს.[13]

IV. კეთილსინდისიერი ხელმძღვანელის ცნება

კეთილსინდისიერი ხელმძღვანელობა გულისხმობს, ერთი მხრივ, გულ- **5**
მოდგინების (duty of care), ხოლო, მეორე მხრივ, ერთგულების მოვალეობის (duty of loyalty) დაცვას. გულმოდგინების მოვალეობა ავალდებულებს ა(ა)იპ-ს ხელმძღვანელს იმოქმედოს სათანადო გონივრულობის ფარგლებში. ერთგულების მოვალეობა ა(ა)იპ-ის კონტექსტში, გაბატონებული შეხედულების თანახმად, გულისხმობს ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მოვალეობას.[14] დასავლურ იურიდიულ ლიტერატურაში, არაკომერციულ იურიდიულ პირებთან მიმართებით, ასევე გამოყოფენ **მიზნებისადმი „მორჩილების მოვალეობას" (duty to obedience), რაშიც მოიაზრება ხელმძღვანელის მოვალეობა უზრუნველყოს ა(ა)იპ-ს საქმიანობის შესაბამისობა ა(ა)იპ-ის მიზნებსა და ზოგადად, მისიასთან**.[15]

V. ხელმძღვანელის შიდასამართლებრივი პასუხისმგებლობის ელემენტები

ხელმძღვანელის შიდასამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობები **6**
პასუხისმგებლობის დაკისრების ზოგადი კონსტრუქციის ანალოგიურია. შესაბამისად, პირველ წინაპირობას, 37 II მუხლის საფუძველზე, წარმოადგენს

ამ სფეროში გერმანული სამართლის განვითარებაზე დიდი გავლენა იქონია აშშ-ს პრეცედენტულმა სამართალმა. იხ. *ჟანტურია,* კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, 2006, გვ. 256.

12 დასავლეთის სამეცნიერო წრეებში მიდის დავა იმის შესახებ, წარმოადგენს თუ არა კეთილსინდისიერება დამოუკიდებელ მოვალეობას, იხ. *Strine/Hamermesh/Balotti/Gorris,* Loyalty's Core Demand, Georgetown Law Journal,98:629, 2010, p. 673, სადაც განხილულია კეთილსინდისიერების, როგორც დამოუკიდებელი მოვალეობის აღმასვლა და აღსასრული.

13 როგორც ერთ-ერთ ცნობილ პრეცედენტში აღნიშნა მენის შტატის (აშშ) უზენაესმა სასამართლომ, მოვალეობა ისე უნდა იყოს ფორმულირებული, რომ დირექტორს შეეძლოს განსაზღვროს, რისი უფლება აქვს და რისი არა, Northeast Harbor Golf Club,Inc.v. Harris 61 A.2d 11146 (1995). კონკრეტიცაზიის გარეშე, შეიძლება ითქვას, რომ 37(2) მუხლის მითითება კეთილსინდისიერებაზე არაფრისმომცემია და წარმოადგენს მუხ. 8 III დუბლირებას.

14 იქვე, ALI, Nonprofit Principles §330.

15 *Palmiter,* Duty of Obedience: The Forgotten Duty, 55 N.Y.L. ch. Law Review (2010/2011) p.457; *Atkinson,* Obedience as the Foundation of Fiduciary Duty, The Journal of Corporation Law, Vol. 34:1, 2008,. p.43. ეს მოვალეობა განსაკუთრებულ დატვირთვას სწორედ არაკომერციულ იურიდიულ შემთხვევაში იძენს, რადგანაც პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც ა(ა)იპ-ის სპონსორები და დონორები ითხოვენ სახსრების განკარგვას მხოლოდ განსაზღვრული მიზნისათვის. ამ მოვალეობასთან მიმართებით, ასევე, მნიშვნელოვანია 25 V მუხლი, რომლის თანახმადაც, ა(ა)იპ-ი უფლებამოსილია აწარმოოს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობა მხოლოდ იმისთვის, რომ ფინანსურად უზრუნველყოს ა(ა)იპ-ის იდეალური მიზნების მიღწევა.

ხელმძღვანელის მიერ კოდექსით (ანდა წესდებით) გათვალისწინებული მოვალეობის ბრალეული დარღვევა.[16] მეორე წინაპირობაა ზიანის არსებობა. თავის მხრივ, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ განზრახი ან გაუფრთხილებელი ქმედებით მიყენებული ზიანი (395 I).[17] მესამე წინაპირობა ასევე კოდექსიდან გამომდინარებს (412) და არის მიზეზობრივი კავშირის არსებობა ბრალეულ ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის. ამდენად, ხელმძღვანელს სამოქალაქო-სამართლებივი პასუხისმგებლობა ზიანის ანაზღაურების სახით გადახდება იმ შემთხვევაში, თუკი სახეზე იქნება სამივე წინაპირობა.[18]

VI. პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძვლები

7 ფიდუციური მოვალეობის დარღვევის შედეგად დამდგარი ზიანი ანაზღაურდება. ა(ა)იპ-ის დამოუკიდებლობის კონცეფციის გამოვლინება ამ საკითხშიც ხდება. ა(ა)იპ-ისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა თავად ა(ა)იპ-ს ეკუთვნის და არა, მაგალითად, მის წევრებს. ხელმძღვანელი შეიძლება გათავისუფლდეს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისგან. ამავდროულად კოდექსით დადგენილია, ანაზღაურების მოთხოვნაზე უარის თქმის გამომრიცხავი გარემოება – თუკი ზიანის ანაზღაურება აუცილებელია კრედიტორთა დასაკმაყოფილებლად.[19] რა ფორმით უნდა მოხდეს უარის თქმა, კოდექსი არ უთითებს. ასევე არ არის მითითება, თუ რომელი ორგანოა უფლებამოსილი, მოსთხოვოს ხელმძღვანელს (წარმომადგენელს) ზიანის ანაზღაურება ან, პირიქით, უარი თქვას ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის განხორციელებაზე? ბუნებრივია, ხელმძღვანელი (წარმომადგენელი), როგორც მოთხოვნის ადრესატი, ვერ იქნება ამავე მოთხოვნის განმახორციელებელი სუბიექტი. ამდენად, საჭიროა განისაზღვროს ის ორგანო/პირი, რომელსაც ექნება უფლებამოსილება წარმოადგინოს ა(ა)იპ-ი ხელმძღვანელის წინააღმდეგ დავაში. ეს პრაქტიკული მნიშვნელობის საკითხები უნდა მოწესრიგდეს ა(ა)იპ-ის წესდებით. შესაძლებელია რამდენიმე კომბინაციიდან ერთ-ერთის გამოყენება. კერძოდ, წესდებით დამფუძნებელ წევრს მიენიჭოს ნაწარმოები სარჩელის წარდგენის უფლება (ე.წ. „დერივაციული სარჩელი“),[20] როდესაც დამფუძნებელი წევრი უფლებამოსილი იქნება საკუთარი სახელით და საზოგადოების სასარგებლოდ იდაოს ხელმძღვანელის წინააღმდეგ ან წევრთა საერთო კრების მიერ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დადგინდეს ასეთ დავაში საზოგადოების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი.

16 *ჭანტურია,* კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, 2006, გვ. 386.

17 თუმცა მუხლი უთითებს მოქმედებაზე.

18 ამ საკითხებზე ვრცლად იხ. *ჭანტურია,* კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, 2006, გვ. 384-386 და 405-407.

19 უნდა აღინიშნოს, რომ ზიანის ანაზღაურების გარდა, მეწარმეთა შესახებ კანონი 9 V მუხლით დირექტორის შიდასამართლებრივი პასუხისმგებლობისას, საანქციის სახით ასევე აწესებს გასამრჯელოს დათმობის მოვალეობას.

20 წევრისათვის დერივაციული სარჩელის წარდგენის უფლების მინიჭება წესდებით გავრცელებული პრაქტიკაა აშშ-ში, იხ. *Hazen/Hazen,* Punctilios and Nonprofit Corporate Governance, Journal of Business Law, Vol.14:2, 2012, 411.

ლოგიკურად, ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნაზე უარი უნდა იყოს მიღებული ა(ა)იპ-ის წევრების მიერ. თუმცა კოდექსი არ უთითებს პროცედურულად რომელი ორგანოს კომპეტენციაში შედის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დათმობა, რის გამოც ისმის რამდენიმე კითხვა: მოთხოვნის დათმობა უნდა მოხდეს წევრთა საერთო კრებაზე გადაწყვეტილების ფორმით თუ წევრებსა და დირექტორს შორის წერილობითი (ან ზეპირი) შეთანხმების ფორმით? ჩაითვლება თუ არა ა(ა)იპ-ის უმოქმედობა მოთხოვნის განხორციელებაზე უარად? იმის გათვალისწინებით, რომ ა(ა)იპ-ის უარი ნების გამოვლენაა და მისთვის კანონით არ არის გათვალისწინებული სპეციალური ფორმა, იგი შეიძლება განხორციელდეს როგორც ზეპირი, ასევე წერილობით ფორმით (წევრებსა და დირექტორს შორის შეთანხმების ან წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილების ფორმით), რაზეც ასევე უნდა არსებობდეს კომპეტენციის დამდგენი დათქმა წესდებაში. საზოგადოების (მისი წევრების) უმოქმედობა მოთხოვნის დათმობად არ უნდა ჩაითვალოს, რადგანაც მოთხოვნის ხანდაზმულობის არსიდან გამომდინარე, კრედიტორი უფლებამოსილია ხანდაზმულობის ვადაში ნებისმიერ დროს მოახდინოს ვალდებულების მოთხოვნის იძილებითი წესით განხორციელება.[21]

VII. ultra vires ქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება

მუხლი პირდაპირ არ უთითებს, როგორ უნდა ანაზღაურდეს მესამე პირისათვის ხელმძღვანელის ისეთი ultra vires[22] ქმედებით მიყენებული ზიანი, რომელიც მოვალეობის შესრულებას არ უკავშირდება. ასეთ შემთხვევაში, ქმედება არ მიეწერება ა(ა)იპ-ს და შესაბამისად, გამოსაყენებელია 992-ე და 37(3) მუხლების კომბინაცია, რის საფუძველზეც ზიანს უშუალოდ ქმედების განმახორციელებელი ანაზღაურებს. **8**

21 საქ. უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკით, კრედიტორი უფლებამოსილია ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგაც მოითხოვოს შესრულება, თუმცა ასეთ დროს მას აღარ აქვს იძულებითი განხორციელების უფლება, თუკი არ მოხდება ხანდაზმულობის ვადის შეჩერების ან შეწყვეტის საფუძვლების დადასტურება. იხ. საქ. უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 29 ივლისის № ას-920-959-11გადაწყვეტილება.

22 არასანქცირებული, უფლებამოსილების ფარგლებს მიღმა იხ. *Wharton,* Dictionary of Jurisprudence, 1867, p. 951.

მუხლი 38. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმის შეცვლა დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სამართლებრივი ფორმის შეცვლით იგი საჯარო სამართლის იურიდიულ პირად გარდაიქმნება.

1[1]. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის გაყოფა (დაყოფა, გამოყოფა), შერწყმა (გაერთიანება, მიერთება) და ლიკვიდაცია ხორციელდება მეწარმე სუბიექტის ლიკვიდაციისათვის/ რეორგანიზაციისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილ პირს რეგისტრაციის შესახებ განცხადებით განსაზღვრავენ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლები/წევრები. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაციისას ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ:

ა) გასხვისება ხელს უწყობს მის მიერ დასახული მიზნების მიღწევას;

ბ) გასხვისება ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს;

გ) ქონება გადაეცემა სხვა არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.

3. აკრძალულია არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების განაწილება მის დამფუძნებლებს/ წევრებს, ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის.

4. თუ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლებმა/წევრებმა არ განსაზღვრეს მისი ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილი პირი, სასამართლო არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილ ქონებას გადასცემს ერთ ან რამდენიმე არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, რომლებსაც აქვთ იგივე ან მსგავსი მიზნები, როგორებიც ლიკვიდირებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს. თუ ასეთი იურიდიული პირი (პირები) არ არსებობს ან ასეთი იურიდიული პირის (პირების) გამოვლენა შეუძლებელია, შეიძლება მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება ამ ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ. სასამართლომ აღნიშნული ქონება შეიძლება გაანაწილოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციიდან 6 თვის შემდეგ.

5. სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაციას ახორციელებს (ახორციელებენ) სასამართლოს მიერ დანიშნული ლიკვიდატორი (ლიკვიდატორები). აკრძალულია არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიმართ სალიკვიდაციო და რეორგანიზაციასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელება მის მიმართ სისხლის სამართლის საქმის წარმოების დაწყების მომენტიდან სასა-

მართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე ან სისხლის სამართლის საქმის წარმოების შეწყვეტამდე.

საქართველოს 2006 წლის 14 დეკემბრის კანონი №3967 – სსმ I, №48, 22.12.2006წ., მუხ.336
საქართველოს 2009 წლის 3 ნოემბრის კანონი №1964 – სსმ I, №35, 19.11.2009წ., მუხ.253
საქართველოს 2010 წლის 27 აპრილის კანონი №2978 – სსმ I, №24, 10.05.2010წ., მუხ.144
საქართველოს 2011 წლის 1 ივლისის კანონი №5017 – ვებგვერდი, 14.07.2011წ.
საქართველოს 2013 წლის 30 მაისის კანონი №651 – ვებგვერდი, 12.06.2013წ.

I. შესავალი 269
II. რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის სამართლებრივი არსი 270
III. რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის დაწყებაზე უფლებამოსილი პირი (ორგანო) 271
IV. რეორგანიზაცია და მისი სახეები 271
V. ლიკვიდაცია 274

I. შესავალი

ა(ა)იპ-ი, როგორც ორგანიზაციული მოწყობის ერთეული, ერთგვარი მუდმივაა, რომელიც ყოველთვის მოძრაობაშია. ის ქმნის ახალ გეგმებს, ისახავს ახალ მიზნებს, ითვისებს მიზნის მიღწევის ახალ მეთოდებს და ა.შ. ის, ასევე, ცვლის საკუთარ სტრუქტურას, აყალიბებს დამატებით ორგანოებს, იერთებს, ერთიანდება, გამოეყოფა, დაიყოფა ან უერთდება სხვა ორგანიზაციას, ზრდის ან ამცირებს მის ეკონომიკურ აქტივობას. იურიდიული პირის ნებისმიერი სახის ქმედება, რომელიც ევენტუალურ შედეგებს სტრუქტურულ ერთეულებზე განავრცობს, ფუნდამენტური ცვლილებების საფუძველია. ეს იწვევს ა(ა)იპ-ის შიდა სტრუქტურული ორგანოების რეკონსტრუქციას, რაც მისი ორგანიზაციული მართვის სტრუქტურის შეცვლის საფუძველია. კოდექსის 38 I ა(ა)იპ-ის ორგანიზაციული ფორმის რეორგანიზაციის ისეთ ტიპს, როგორიც გარდაქმნაა, არსებითად არ უშვებს. ამის მარტივი მიზეზია ის, რომ კოდექსით არ არის სხვა სამართლებრივი ფორმა განსაზღვრული, რომელ ფორმასაც მოირგებდა უკვე არსებული არასამეწარმეო იურიდიული პირი, რადგან გარდაქმნა სამართლებრივი ფორმის ცვლილებას გულისხმობს. თუმცა, აქვე უშვებს ისეთ საგამონაკლისო შემთხვევას, რომ, თუ ა(ა)იპ-ის მართვის ორგანო მიიღებს მისი სამართლებრივი ფორმის ცვლილების შესახებ გადაწყვეტილებას, რომელიც ა(ა)იპ-ის, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირის საჯარო სამართლის იურიდიულ პირად გარდაქმნას ითვალისწინებს, მაშინ მსგავსი სამართლებრივი რესტრუქტურიზაცია დასაშვებია. 1

II. რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის სამართლებრივი არსი

2 არასამეწარმეო იურიდიული პირის ფუნქციონირების ამა თუ იმ ეტაპზე შესაძლებელია დადგეს მომენტი, როდესაც აუცილებელია მისი სამართლებრივი ფორმის ცვლილება ან საქმიანობის დასრულება.[1] სამართლებრივი ფორმის ცვლილების არსი მისი შედეგებით განიმარტება. კერძოდ, რეორგანიზაცია ორგანიზაციული წარმონაქმნის სამართალსუბიექტობის ტრანსფორმაციის განმაპირობებელია, მაგრამ ისე, რომ არ წყდება მისი ეკონომიკური აქტივობა, ან, უბრალოდ, ფუნქციონირება. ის საქმიანობას ახორციელებს, მაგრამ შეცვლილი სამართლებრივი ფორმის ფარგლებში ან სხვა სამართლებრივი ფორმის მატარებელ ორგანიზაციის ფარგლებში. სამართლებრივი ფორმის შეცვლას კოდექსი არ უშვებს, მაგრამ უშვებს მისი ლიკვიდაციის გარეშე შეწყვეტას ან სხვა სუბიექტთან გაერთიანებას. უკანასკნელ შემთხვევაში საუბარია რეორგანიზაციის ისეთ ტიპზე, როგორიც ა(ა)იპ-ის შერწყმა, გაყოფა და მათი სახეებია.

3 სისტემურ ცვლილებებს შორის[2] რეორგანიზაცია „ხელოვნური ქმნილების ფუნქციონალური თამაშის“ ბოლო „სვლას“ წარმოადგენს.[3] რეორგანიზაციის საფუძველთა შორის შეძენა/შერწყმა კლასიკური შემთხვევაა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ კომბინაციების ეს სახეები (მათი ნაწილი) რეორგანიზაციული[4] ტრანსაქციებია.[5] ისინი თავად წარმოადგენენ რეორგანიზაციას.[6]

4 რეორგანიზაცია ა(ა)იპ-ის, როგორც სამართალსუბიექტის ორგანიზაციულ ცვლილებას მოიცავს. ორგანიზაციული გარდაქმნა გულისხმობს სამართლებრივი ფორმის ცვლილებას, როდესაც სამიზნე საზოგადოების სამართლებრივი ფორმით ორგანიზებულად, სამართლებრივი მეთოდების გამოყენებით, ორგანიზაციული მართვის სამართლებრივ ფორმას ფუნქციონირების უწყვეტობის რეჟიმში იცვლის (მაგრამ არა გარდაქმნის საშუალებით).

5 ლიკვიდაცია, როგორც განსაკუთრებული ფენომენი, მეწარმე სუბიექტთა სამართალში ჩამოყალიბებული და დამკვიდრებული ინსტიტუტია. პირთა თუ ქონების ორგანიზებულ კავშირს კანონი სამართლებრივი ფორმით (ეკონომისტთა გაგებით, „მეთოდით“)[7] უზრუნველყოფს. ორგანიზაციული წარმონაქმნის სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცევის მომენტიდან ყალიბდება პირთა სამართლის ნორმებით ორგანიზებული სამართლებრივი ერთობა.

„ლიკვიდაცია“ ფუნქციონირების არეალიდან კანონმდებლობით დადგენილი წესების დაცვით გასვლას გულისხმობს. აზრი სხვა სიტყვით რომ განიმარტოს, ლიკვიდაცია დაფუძნებისას ფორმირებული კონსტრუქციული წარმონაქმნის ოპოზიტური ქმედებაა. ეს არის დეკონსტრუქცია, ანუ ჩამოყალიბებული სტრუქტურული ელემენტების საკანონმდებლო დონეზე

1 *ბურდული*, სააქციო სამართლის საფუძვლები, II, 2013, გვ. 226.
2 *Palmiter,* Corporations, 2006, pp. 591-627.
3 *Gevurtz*, Corporation Law, 2010, p. 661.
4 *Fletcher*, Fletcher Cyclopedia of the Law of Corporations, Vol. 15, 2008, pp. 546-548.
5 *Gilson/Black,* The Law and Finance of Corporate Acquisitions, 1986, p. 450.
6 იხ. *Dickinson* (ed.), Federal Income Tax, 2012,, p. 341. მეწარმეთა შესახებ კანონი, 144.
7 *Posner*, The Economic Analysis of Law, 2007, p. 409.

განსაზღვრული წესებით „დემონტაჟი“. ის იწვევს პირთა თუ ქონების გაერთიანების დაშლას და მის ჩამომყალიბებელ პირთა (წევრთა) მიერ ქონების იმ პირთა საკუთრებაში გადაცემას, რომელიც დამფუძნებლებმა/წევრებმა განსაზღვრეს.[8] ლიკვიდაციის ეტაპზე ფიგურირებს ორგანიზაციის დასრულების ორგანიზებული პროცესი.

III. რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის დაწყებაზე უფლებამოსილი პირი (ორგანო)

6 როგორც შერწყმის, ისე გაყოფის რეორგანიზაციასა და ლიკვიდაციას რეორგანიზაციის/ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილება სჭირდება. აღნიშნულ გადაწყვეტილებას „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მიხედვით, პარტნიორები ღებულობენ.[9] რაც შეეხება ა(ა)იპ-ის, კოდექსით არ არის განსაზღვრული რეორგანიზაცია/ლიკვიდაციაზე უფლებამოსილი პირი, თუმცა რეგისტრაციის ეტაპზე სარეგისტრაციო წინაპირობებში კოდექსი (29 II დ) ქვეპუნქტი) პირდაპირ ითხოვს იმ ორგანოს დასახელებას, რომელიც უფლებამოსილი იქნება რეორგანიზაცია/ლიკვიდაციის შესახებ მიიღოს გადაწყვეტილება. გამომდინარე იქიდან, რომ კოდექსი ა(ა)იპ-ის ორგანიზაციულ სტრუქტურას პირდაპირ არ განსაზღვრავს და ის საწესდებო ავტონომიის ფარგლებში აქვს მოქცეული (35), რეორგანიზაცია/ლიკვიდაციის პროცესის დაწყება შესაძლებელი იქნება წესდებით განსაზღვრული პირის (ორგანოს) გადაწყვეტილებით. როგორც წესი, ეს არის დამფუძნებელთა/წევრთა (საერთო კრება) კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხი.

ამასთან, თუ იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი დგას დღის წესრიგში, რომელიც ა(ა)იპ-ის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენით დასრულდება და სასჯელის სახედ განისაზღვრება იურიდიული პირის ლიკვიდაცია, მაშინ ლიკვიდატორს (ლიკვიდატორებს) ნიშნავს სასამართლო.[10] ეს უკანასკნელი არის ა(ა)იპ-ის ლიკვიდაციის გარესამართლებრივი ჩარევით დაწყება, ანუ იძულებითი ლიკვიდაცია.[11]

IV. რეორგანიზაცია და მისი სახეები

7 კოდექსი რეორგანიზაციის ორ ძირითად სახეს ადგენს. ეს არის რეორგანიზაცია შერწყმით და გაყოფით. თავის მხრივ, რეორგანიზაციის სახეთა სუბტიპები არსებობს. კერძოდ, რეორგანიზაცია შერწყმით მოიცავს ორ ძირითად ქვეტიპს: შერწყმა მიერთებით და შერწყმა გაერთიანებით. ხოლო რეორგანიზაცია გაყოფით შეიძლება განხორციელდეს დაყოფით და გამოყოფით. მათი სამართლებრივი ფორმირების პროცედურული ასპექტები ურთიერთგანსხვავებულია და დიფერენცირებულ შედეგებს წარმოშობს.

8 ასეთის დარჩენის შემთხვევაში.

9 „მეწარმეთა შესახებ“ კანონი, მუხ. 14 I.

10 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 1074 I.

11 იძულებით ლიკვიდაციას იცნობს „მეწარმეთა შესახებ“კანონი, 14^{1}.

რეორგანიზაცია/ლიკვიდაციის პროცესებისა და შედეგების მიმართ კი გამოიყენება მეწარმეთა კანონი. შესაბამისად, მათი ანალიზი საკორპორაციო-სამართლებრივ კონტექსტში უნდა წარმოჩნდეს.

შერწყმა და გაყოფა სამართლის ქმნილებაა.[12] მათი განხორციელება საკანონმდებლო რეგულაციების გვერდის ავლით შეუძლებელია.[13]

შერწყმის ჰომოგენურობა მისი სპეციფიკური ფინანსური და სამართლებრივი გამოვლინებებით ყალიბდება. ის არის ტრანსაქცია,[14] რომელიც ორივე მონაწილე ორგანიზაციის მენეჯმენტის მხარდაჭერით ხორციელდება.[15] მხარეთა შორის ურთიერთობები პარიტეტულობის პრინციპის დაცვით ვითარდება. შერწყმის არსობრივი შედეგი არის ორი ა(ა)იპ-ის გაერთიანების შედეგად ერთი ახალი ა(ა)იპ-ის დაარსება ან ტრანსაქციაში მონაწილე რომელიმე საზოგადოების სამართალსუბიექტობის შეწყვეტა მეორე ორგანიზაციასთან მიერთების გზით.[16] მისი შედეგები ipso iure[17] განისაზღვრება.[18] ორი საზოგადოების გაერთიანების სუბსტანციური მიზანი საქმიანობის მაქსიმალური ეფექტურობის მიღწევაა.[19]

შერწყმა გაერთიანებით თვისებრივი სპეციფიკურობით ხასიათდება. გაერთიანების შედეგად შექმნილი საზოგადოება შეიძლება ახლად ფორმირებული ან შერწყმის ტრანსაქციის მიზნებისთვის ტრანსაქციის შესრულებამდე დაფუძნებული კომპანია იყოს.[20] ახალი კომპანია, როგორც წესი, ფინანსურ-ეკონომიკური და სოციალური სტრუქტურით (მუშა-მოსამსახურეთა, მომწოდებელთა, დასაქმებულთა და მომხმარებელთა რაოდენობა) გაცილებით კომპლექსურია, ვიდრე მისაერთებელი საწარმოები.

8 შერწყმა მიერთების შემთხვევაში პროცედურულად და შედეგობრივად განსხვავებული გარემოებები წარმოდგება. კერძოდ, მიერთების შემთხვევაში მონაწილეობს ორი ან მეტი კომპანია, საიდანაც შერწყმის დასრულების შემდეგ, სამართალსუბიექტობას მხოლოდ ერთი კომპანია ინარჩუნებს. მიმაერთებელი საზოგადოება განაგრძობს ფუნქციონირებას, რჩება იურიდიულ პირად, რის გამოც მას „გადარჩენილ“ (surviving) კომპანიას უწოდებენ.[21] კომბინაციაში მონაწილე მეორე პარტნიორი საზოგადოება წყვეტს

12 *Cox/Hazen*, Business Organizations Law, 2011, p. 605; *Swartz/Lee,* The Corporate, Securities, and M&A Lawyer's Job, 2007, p. 8.

13 *Cox/Hazen,* Treatise on The Law of Corporations, Vol. 4, 2010, pp. 41,42; *Fletcher,* Fletcher Cyclopedia of the Law of Corporations, Vol. 15, 2008, pp. 43-46.

14 Jewel Companies, Inc. v. Pay Less Drug Stores 741 F.2d 1555 (9th. Cir. 1984). იხ. *Carney,* Mergers and Acquisitions, Cases and Materials, 2000, p. 617-625; *Hurst/Gregory,* Cases and Materials on Corporations, 1999, pp. 681-691.

15 *Ravenscraft/Scherer,* Mergers, Sell-offs, & Economic Efficiency, 1987, pp. 129-132.

16 *Halibozek/Kovacich,* Mergers and Acquisition Security, 2005, pp. 5,6.

17 *Cox/Hazen,* Business Organizations Law, 2011, p. 605.

18 ესენია: შერწყმის პოსტტრანსაქციული შედეგები, მართვის სტრუქტურა, აქტივებისა და პასივების ტრანსფერირება და უფლებამონაცვლეობა, ორივე კორპორაციის აქციონერთა უფლებების საკანონმდებლო დაცულობა. იხ. *Cox/Hazen,* Business Organizations Law, 2011, pp. 604-625; *Gilson/Black,* The Law and Finance of Corporate Acquisitions, 1986, p. 503-514; *Fletcher,* Fletcher Cyclopedia of the Law of Corporations, Vol. 15, 2008, §7327-49, pp. 671-694.

19 *Thompson,* Business Planning for Mergers and Acquisitions, 2001, pp. 19-21.

20 *Das/Raskhit/Debasish*, Corporate Restructuring, 2009, p.66.

21 *Gevurtz,* Corporation Law, 2010, p. 676.

არსებობას, ანუ წყვეტს დამოუკიდებელ სუბიექტად ფუნქციონირებას, რის გამოც ის მიერთებულ, „გამქრალ“ საწარმოდ მოიხსენიება.[22] შერწყმის შედეგად წარმოდგება საზოგადოება, რომელიც ორი ან მეტი სხვა საზოგადოების მატერიალური თუ არამატერიალური ქონებრივი სიკეთის მართვას ერთი სამართლებრივი ფორმის ქვეშ ახორციელებს. ამასთან, სუბიექტი მიერთებულად ითვლება მისაერთებელი სუბიექტის რეგისტრაციის გაუქმებისა და იმ სუბიექტის რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების რეგისტრაციის მომენტიდან, რომელთანაც ხდება მიერთება.[23]

მიერთებულ საზოგადოებათა ვალდებულებების (პასივების) სამართლებრივი მდგომარეობა შერწყმის პროცესის დასრულების მნიშვნელოვანი ეტაპია. კერძოდ, საკითხი ეხება შერწყმის პროცესის დასრულებამდე აღებულ ვალდებულებებზე კრედიტორის წინაშე პასუხისმგებლობის ადრესატს, რომელიც მესამე პირს დაუკმაყოფილებს მოთხოვნას. შერწყმის რეორგანიზაციის შედეგები, პროცესთან ერთად, ნორმატიულად არის გაწერილი. „მეწარმეთა შესახებ“ კანონი (144 III) პირდაპირ განსაზღვრავს, რომ შერწყმის შედეგად ჩამოყალიბებული საზოგადოება, იქნება ეს შერწყმა მიერთებით თუ შერწყმა გაერთიანებით, მიერთებულ თუ გაერთიანებულ კომპანიათა უფლებამონაცვლეა. შედეგად, შერწყმის პროცესის დასრულებას მიერთებულ თუ გაერთიანებულ კომპანიებს ჰყავს (ჰყავთ) სამართალმემკვიდრე, რომელიც პასუხისმგებელია მიერთებულ (გაერთიანებულ) საზოგადოებათა უკვლებლივ ყველა ვალდებულებაზე. ამასთან, სუბიექტების გაერთიანებით შექმნილი საზოგადოება წარმოშობილად ითვლება გასაერთიანებელი სუბიექტების რეგისტრაციის გაუქმებისა და ახალი ორგანიზაციის რეგისტრაციის მომენტიდან.[24] **9**

შერწყმის ანტონიმია რეორგანიზაცია გაყოფით. გაყოფის სამართლებრივი კონსტრუქცია ორი მიმართულებით ვრცელდება. პირველი, ეს არის გამოყოფა. გამოყოფის შემთხვევაში არსებულ ა(ა)იპ-ის გამოეყოფა ერთი ან რამდენიმე ა(ა)იპ ისე, რომ მანამდე არსებული იურიდიული პირი სამართალსუბიექტობას ინარჩუნებს, ხოლო მის ბაზაზე იქმნება კიდევ სხვა იურიდიული პირი (პირები). რეორგანიზაციის შედეგად გამოყოფილი სუბიექტი წარმოშობილად ითვლება ახალი სუბიექტის რეგისტრაციისა და იმ სუბიექტის რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების რეგისტრაციის მომენტიდან, რომლიდანაც მოხდა მისი გამოყოფა.[25] **10**

რაც შეეხება მეორე მიმართულებას, ეს არის დაყოფა. დაყოფის სპეციფიკა არის ის, რომ არსებული ა(ა)იპ, როგორც სამართალსუბიექტი, წყვეტს არსებობას, ხოლო მის ბაზაზე ყალიბდება ორი ან მეტი სამართალსუბიექტი. დაყოფის შედეგად შექმნილი სუბიექტები წარმოშობილად ითვლება მათი პირველადი რეგისტრაციისა და დაყოფილი სუბიექტის რეგისტრაციის გაუ- **11**

22 *Cox/Hazen,* Business Organizations Law, 2011, p. 607.

23 იხ. „მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეგისტრაციის შესახებ“ ინსტრუქცია, 10 XIII.

24 იხ. იქვე.

25 იხ. იქვე

ქმების მომენტიდან.[26]

12 გაყოფით რეორგანიზაცია საინტერესოა შედეგობრივი თვალსაზრისით. გაყოფის (გამოყოფა, დაყოფა) დროს კრედიტორთა ინტერესის დაცვის უზრუნველყოფისთვის საკანონმდებლო დონეზეა განსაზღვრული საკითხი, თუ ვინ არის პასუხისმგებელი გაყოფით რეორგანიზაციის პროცესის დასრულების შემდეგ იმ პასივებზე, რომელიც რეორგანიზაციამდე არსებობდა. გაყოფის შედეგად წარმოქმნილი გაერთიანებები სოლიდარულად აგებენ პასუხს თავდაპირველი საზოგადოების გაყოფამდე არსებული ვალდებულებებისათვის, ხოლო თავდაპირველი ორგანიზაციის უფლებამონაცვლე საწარმო განისაზღვრება გაყოფის შესახებ გადაწყვეტილებით.[27] შესაბამისად, გაყოფით რეორგანიზაციის შემთხვევაში, მესამე პირთა იმ მოთხოვნებზე, რომელიც რეორგანიზაციამდე წარმოიშვა, სოლიდალურად პასუხისმგებელია ყველა ის საზოგადოება, რომელიც რეორგანიზაციის შედეგად იქნა ფორმირებული. სხვაგვარი შეთანხმება პარტნიორთა შორის პასუხისმგებლობის შეზღუდვასთან დაკავშირებით ბათილია.

V. ლიკვიდაცია

13 ლიკვიდაცია განსხვავებულია ა(ა)იპ-ის ფუნქციონირების შეწყვეტისგან,[28] რომელიც რეორგანიზაციისას არსებობის შეწყვეტის გარეშე სრულდება.[29] მეწარმე სუბიექტის შემთხვევაში, ლიკვიდაციის არსი საზოგადოების ქონების ნებაყოფლობით[30] განაწილებაშია,[31] რომლის შედეგთა ინტეგრირება საზოგადოების ორგანიზაციული მართვის სტრუქტურულ ელემენტთა და მისი არსის მაფორმირებელ ორგანულ სუბსტანციურ ნიშანთა ტერმინაციას იწვევს. ლიკვიდაციის პროცესში ხდება კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილება და ნარჩენი ქონების უფლებამოსილ პირთა შორის განაწილება.[32]

14 განსხვავებით ა(ა)იპ-ის სამართალსუბიექტის „ფუნქციონალური თამაშის“ დასრულებისკენ მიმართული ბოლო ქმედებისგან (რეორგანიზაციისგან),[33] ლიკვიდაციის ეტაპზე ქრება არსებული ორგანიზაციული წარმონაქმნი (ხდება რეესტრიდან ამოშლა, საიდენტიფიკაციო კოდის დეაქტივაცია),[34] წყდება იურიდიული პირის სტატუსი და ხდება ეკონომიკურ მიმოქცევაში არსებული

26 იხ. „მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეგისტრაციის შესახებ“ ინსტრუქცია, 10.

27 მეწარმეთა შესახებ კანონი, 144 V.

28 *Fletcher*, Fletcher Cyclopedia of the Law of Corporations, Vol. 16A, 2012, P. 352-359.

29 მას სხვაგვარად, „არაგაკოტრებით რეორგანიზაციას უწოდებენ. იხ. *Fletcher,* Fletcher Cyclopedia of the Law of Corporations, Vol. 15, 2008, p. 544-545.

30 „ნებაყოფლობითობა“ აქციონერთა ნების თავისუფალი გამოვლენით კორპორაციის სალიკვიდაციო რეჟიმში გადაყვანას გულისხმობს, სადაც საკანონმდებლო იძულებითი ლიკვიდაციის წინაპირობები არ არსებობს. იხ. *Tabb,* Bankruptcy Anthology, 2002, pp. 141-155. ქართული კანონმდებლობა ნებაყოფლობითობის დათქმას „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-14 მუხლის პირველ პუნქტში აკეთებს. შდრ. *DePamphilis,* Mergers, Acquisitions, and Other Corporate Restructuring Activities, 2010, p. 621.

31 *Fletcher,* Fletcher Cyclopedia of the Law of Corporations, Vol. 16A, 2012, P. 63-67.

32 *Lopucki/Mirick*, Strategies for Creditors in Bankruptcy Proceedings, 2007, pp. 17, 204-207.

33 *Gevurtz,* Corporation Law, 2010, p. 661.

34 *Fletcher,* Fletcher Cyclopedia of the Law of Corporations, Vol. 14A, 2008, p. 514.

კაპიტალის ბრუნვიდან ამოღება.[35] სახეზეა დაფუძნების რევერსული პროცედურული ქმედება. „ლიკვიდაცია“ ფუნქციონირების არეალიდან კანონმდებლობით დადგენილი წესების დაცვით გასვლას გულისხმობს. აღნიშნულ წესებს „მეწარმეთა შესახებ“ კანონი (14) ადგენს, მაგრამ გარკვეულ წესებს დამატებით განსაზღვრავს კოდექსი.

15 ლიკვიდაციის პროცესის დასრულება, შედეგების მხრივ, განსხვავებულია მეწარმეთა კანონით დადგენილი წესებისგან.[36] ა(ა)იპ-ის შემთხვევაში, ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილი პირი ა(ა)იპ-ის დამფუძნებლების/წევრების მიერ განსაზღვრული უნდა იყოს რეგისტრაციის შესახებ განცხადებით.[37] შესაბამისად, ნარჩენი ქონების მიღების ადრესატი წინასწარ, სპეციალურად უნდა იქნეს განსაზღვრული. ამასთან, თუ მეწარმის ლიკვიდაციის შემთხვევაში ლიკვიდაციის პროცესი შეიცავს არსებული ქონების გასხვისებას, კოდექსი ა(ა)იპ-ის ქონების გასხვისებას სავალდებულო ფაქტორად არ ადგენს. პირიქით, 38 II ლიკვიდაციის პროცესში ქონების გასხვისებას[38] მხოლოდ სამ შემთხვევაში ხდის შესაძლებელს (თუ 1. გასხვისება ხელს უწყობს მის მიერ დასახული მიზნების მიღწევას; 2. გასხვისება ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს; 3. ქონება გადაეცემა სხვა არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს). ლოგიკურია, რომ ლიკვიდაციას თავისი დანიშნულება აქვს. ეს დანიშნულება ლიკვიდაციამდე დასახული და არსებული მიზნის მიღწევის საბოლოო მცდელობაში უნდა იქნეს განსახიერებული. ამიტომ ის ქონება, რაც ა(ა)იპ-ის კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილების შემდგომ დარჩება, ისევ იმ მიზანს უნდა მოხმარდეს, რაც მას ჰქონდა დასახული. ხოლო თუ ა(ა)იპ-ის საქმიანობა (არ) იყო საქველმოქმედო, მაშინ ასევე დასაშვებია საქველმოქმედო მიზნით ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების განკარგვა. აღნიშნული დანაწესი პირდაპირ მიუთითებს ა(ა)იპ-ის ფუნქციონალური დანიშნულების არსზე, რომ არ შეიძლება არასამეწარმეო იურიდიული პირის ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების დამფუძნებლებს/წევრებსა და ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს შორის იქნეს განაწილებული (38 III).

16 ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების განკარგვის მესამე შემთხვევას დიფერენცირებული შედეგი განაპირობებს. თუ ა(ა)იპ-ის წევრებმა ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილ პირად განსაზღვრეს სხვა არასამეწარმეო იურიდიული პირი, მაშინ გასხვისებაში გენერალური სუკცესიის გზით მოიაზრება გადაცემაც. ეს უკანასკნელი კი შეიძლება იყოს როგორც სასყიდლიანი, ისე უსასყიდლო.

35 *Kuney,* Mastering Bankruptcy, 2008, pp. 139-144.

36 ლიკვიდაციის პროცესის წარმართვის წესებს განსაზღვრავს მეწარმეთა შესახებ კანონი, 14.

37 იურიდიული პირის ლიკვიდაციის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება რეგისტრირებულ უნდა იქნეს სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში. იხ. „მეწარმეთა შესახებ“ კანონი, 14 II.

38 აღსანიშნავია, რომ „მეწარმეთა შესახებ“ კანონის (14 V) თანახმად, თუ პარტნიორები არ შეთანხმდებიან საზოგადოების ნატურით გაყოფაზე, მაშინ მთელი ქონება ლიკვიდატორის მიერ უნდა გასხვისდეს აუქციონის წესით ან საბაზრო ფასად, ხოლო რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხები უნდა განათავსოს სასამართლოს ანდა ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშზე.

17 იმ შემთხვევაში, თუ ა(ა)იპ-ის დამფუძნებლებმა/წევრებმა ლიკვიდაციის ნარჩენ ქონებაზე უფლებამოსილი პირი არ განსაზღვრეს, მაშინ სასამართლო ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილ ქონებას გადასცემს ერთ ან რამდენიმე ა(ა)იპ-ს, რომლებსაც აქვთ იგივე ან მსგავსი მიზნები, როგორიც ლიკვიდირებულ ა(ა)იპ-ს ჰქონდა (38 IV). კოდექსის ეს დანაწესი ხაზს უსვამს ა(ა)იპ-ის მიზნებს და ამოდის მისი მიღწევის ყველა მეთოდის დეტალიზაციის პრინციპიდან. ამიტომ, თუ ასეთი იურიდიული პირი (პირები) არ არსებობს, ან შეუძლებელია გამოვლენა ასეთი იურიდიული პირისა (პირების), რომელსაც მსგავსი მიზანი (ანუ არასამეწარმეო მიზანი) და პროფილი ექნება, შეიძლება მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება ამ ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ. ნებისმიერ შემთხვევაში, სასამართლო ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების გასხვისების შესახებ გადაწყვეტილებას შეზღუდულ ვადებში იღებს. სასამართლომ აღნიშნული ქონება შეიძლება გაანაწილოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციიდან 6 თვის შემდეგ.

18 იურიდიული პირის ლიკვიდაციის პროცესის დაწყებას როგორც მეწარმე, ისე არასამეწარმეო საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტის შემთხვევაში, ორი განსხვავებული საფუძველი აქვს. პირველი და აპრობირებულია საწარმოს ან ა(ა)იპ-ის დამფუძნებელ/წევრთა მიერ მიღებული გადაწყვეტილება ლიკვიდაციის დაწყების თაობაზე. ასეთი გადაწყვეტილება ხასიათდება ნებაყოფლობითობის მაღალი ხარისხით და ის სრულ თანხვედრაშია დამფუძნებელთა/წევრთა დისკრეციულ უფლებამოსილებასთან.

19 მაგრამ არსებობს ლიკვიდაციის მეორე სახე, ე.წ. იძულებითი ლიკვიდაცია, რომლის შესრულება მხოლოდ სასამართლო გზით არის შესაძლებელი. იძულებითი ლიკვიდაციის პროცესის საფუძველი სასამართლო გადაწყვეტილებაა. კერძოდ, სისხლის სამართლის კოდექსის (1074) მიხედვით, სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე, რომელშიც სასჯელის სახედ განსაზღვრულია ლიკვიდაცია, სასამართლო ნიშნავს ლიკვიდატორს, რომელიც უზრუნველყოფს იურიდიული პირის ლიკვიდაციას, იურიდიული პირის ლიკვიდაციისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესის[39] შესაბამისად.[40]

20 სასამართლო პროცესის მსვლელობისას იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლების[41] შემოწმება რეორგანიზაცია/ლიკვიდაციასთან დაკავშირებით კოდექსში სპეციფიკურ არის განხილული. კერძოდ, ა(ა)იპ-ის მიმართ სისხლის სამართლის საქმისწარმოების

39 „კანონმდებლობით დადგენილ წესში“ იგულისხმება „მეწარმეთა შესახებ“ კანონით (14) განსაზღვრული წესები. ამასთან, „მეწარმეთა შესახებ“ კანონი იურიდიული პირის იძულებითი ლიკვიდაციის პროცესის მიმართ გამოსაყენებელ ნორმებზე გადამისამართებას აკეთებს. კერძოდ, იძულებითი ლიკვიდაციისას გამოიყენება „გადახდისუუნარობის საქმისწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისი ნორმები. იხ. „მეწარმეთა შესახებ“ კანონი, 141 I.

40 იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით, იხ. *ოხანაშვილი,* იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, სამართლის ჟურნალი, 2/2009, გვ. 183-208.

41 სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 1071.

დაწყების მომენტიდან სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე ან სისხლის სამართლის საქმისწარმოების შეწყვეტამდე აკრძალულია სალიკვიდაციო და რეორგანიზაციასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელება (38 V).

მუხლი 38[1] ამოღებულია.

მუხლი 39. არარეგისტრირებული კავშირი (გაერთიანება)

1. არარეგისტრირებული კავშირის (გაერთიანების) მოწყობისა და სტრუქტურის საკითხები განისაზღვრება მის წევრთა ურთიერთშეთანხმებით. არარეგისტრირებული კავშირი (გაერთიანება) არ არის იურიდიული პირი.

2. წევრთა საწევრო შესატანები და ამ შესატანებით შეძენილი ქონება შეადგენს არარეგისტრირებული კავშირის (გაერთიანების) საერთო ქონებას.

3. არარეგისტრირებული კავშირი (გაერთიანება) შეიძლება სასამართლოში ან სასამართლოს გარე ურთიერთობებში წარმოდგენილი იყოს თავისი წევრებით ან საამისოდ უფლებამოსილი პირებით.

4. კრედიტორების მოთხოვნები შეიძლება დაკმაყოფილდეს არარეგისტრირებული კავშირის (გაერთიანების) საერთო ქონებიდან. ამასთანავე, პერსონალურად და, როგორც სოლიდარული მოვალეები, პასუხს აგებენ აგრეთვე ის პირები, რომლებიც მოქმედებდნენ არარეგისტრირებული კავშირის (გაერთიანების) სახელით.

საქართველოს 2004 წლის 24 ივნისის კანონი №179 – სსმ I, №19, 15.07.2004 წ., მუხ.79
საქართველოს 2006 წლის 25 მაისის კანონი №3140 – სსმ, №18, 31.05.2006წ., მუხ.134
საქართველოს 2006 წლის 25 ივლისის კანონი №3536 – სსმ I, №37, 07.08.2006წ., მუხ.277
საქართველოს 2006 წლის 14 დეკემბრის კანონი №3967 – სსმ I, №48, 22.12.2006წ., მუხ.336

I. ნორმის სტრუქტურა, მიზანი და საგანი 278
II. ცნება 279
III. განსხვავება სხვა (მსგავსი) წარმონაქმნებისაგან 281
IV. ქონება 283
V. წარმომადგენლობა, მართვა 283
VI. კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილება, პასუხისმგებლობა 285

I. ნორმის სტრუქტურა, მიზანი და საგანი

1 კერძოსამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი – ფიზიკური თუ იურიდიული პირები, – როგორც წინა მუხლების კომენტირებისას აღინიშნა, უფლებუნარიანობისა და ქმედუნარიანობის მატარებელი სუბიექტები არიან. უფლებაუნარიანობა, მიუხედავად მისი სამოქალაქო-სამართლებრივი ინსტიტუციონალური აღქმისა, საჯარო-სამართლებრივი ინსტიტუტიცაა, რამდენადაც სოციალურ წარმონაქმნს, აბასტრაქტულ-იურიდიული კონფიგურაციის სამართლებრივი ხარისხიდან გამომდინარე, ანიჭებს ან არ ანიჭებს ლეგიტიმაციას, რაც, თავის მხრივ, სახელმწიფოს მხრიდან იმის აღიარებას ნიშნავს, რომ ურთიერთობის მონაწილეს სახელმწიფოს მიერ ეძლევა იურიდიული უფლებებისა და მოვალეობების მატარებელი სრულფასოვანი, საკანონმდებლო დონეზე აღიარებული იურიდიული პირის სტატუსი. თუმცა საზოგადოებრივ ურთიერთობაში მრავლად არსებობს შემთხვევები,

როდესაც სამოქალაქო ბრუნვაში ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ერთად, ასევე მონაწილეობენ გარკვეული გაერთიანებები, რომელნიც არ საჭიროებენ სახელმწიფოს მხრიდან ლეგიტიმაციის გამოვლენას და შესაბამისად, არც იურიდიულ პირებად განიხილებიან. 39-ე მუხლს სწორედ ისეთ წარმონაქმნებზე აქვს ყურადღება გამახვილებული, რომლებიც შესაძლოა არ წარმოადგენენ იურიდიულ პირს, თუმცა სამართლებრივ ურთიერთობაში გამოდიან როგორც პირთა გაერთიანება. მოკლედ, წინამდებარე მუხლი არარეგისტრირებული კავშირის (გაერთიანების) შესახებ აკეთებს აქცენტს. ნორმის კონსტრუქცია იმგვარად არის ფორმულირებული, რომ იგი მიზნად ისახავს განსაზღვროს არარეგისტრირებული გაერთიანების სტატუსი; მისი ორგანიზაციული მოწყობა, რომელიც კანონმდებლის მიერ დისპოზიციური რეგულირების რეჟიმით არის გადაწყვეტილი; საწევრო შესატანები; გაერთიანების ვალდებულებათა შესაძლო სპეციფიკიდან გამომდინარე, პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე. ამასთან ნიშანდობლივია, რომ აღნიშნული ნორმა არ შეიცავს არანაირ ბლანკეტურ მინიშნებას სხვა სტრუქტურულად მსგავსი ორგანიზაციების სამართალზე (მომწესრიგებელ ნორმებზე), რაც გარკვეული თვალსაზრისით, რაც ქვემოთ წარმოჩნდება, სირთულეს ქმნის.

II. ცნება

დასავლეთის ქვეყნებში არარეგისტრირებული კავშირი, როგორც სამართალურთიერთობის სპეციფიკური წარმონაქმნი – sui generis – ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს, რომელიც თავისებური იურიდიული ინტერაქციით არის დადგენილი და აღიარებული.[1] თუმცა, როგორც ეს ლიტერატურაშია აღნიშნული, არარეგისტრირებული კავშირი პოსტსაბჭოურ სამართლებრივ სივრცეში, მიუხედავად იმისა, რომ მისი „მონაწილეობა სამოქალაქო სამართალში განსაკუთრებულ მოვლენად არც უნდა იქნეს მიჩნეული“,[2] საკმაოდ „უჩვეულო წარმონაქმნია“ და მას საკანონმდებლო დონეზე ამ ქვეყნების მხოლოდ უმცირესობა იცნობს.[3] ასეთ უმცირესობაში შედის საქართველო, რომელიც კანონმდებლობით მინიმალურად მაინც აწესრიგებს მასთან (არარეგისტრირებულ კავშირთან) დაკავშირებულ ურთიერთობას. **2**

არარეგისტრირებული კავშირი არის პირთა გაერთიანების სპეციფიკური ფორმა, რომელიც ჩვეულებრივ მონაწილეობს სამოქალაქო ურთიერთობაში, აქვს (შიდა) ორგანიზაციული სტრუქტურა, გამოდის საკუთარი სახელით ბრუნვაში, ანუ დე ფაქტო აკმაყოფილებს იურიდიული პირისათვის დამახასიათებელ მრავალ ნიშანს, თუმცა აკლია სახელმწიფოს მხრიდან ლეგიტი- **3**

1 სწორედ ასეთი არარეგისტრირებული გაერთიანებების „სამართლებრივ ფორმას“ იცნობდა ადრეული მსოფლიო, სანამ კაცობრიობა თანამედროვე კორპორაციულ რეჟიმებს, გაერთიანებებს არ შექმნიდა. ისინი, იურიდიული პირის დეფინიციის წარმოშობამდე, სავაჭრო წარმონაქმნების სახით გვიან შუა საუკუნეებამდე იყვნენ გავრცელებული. ამ საკითხების შესახებ იხ.: *Fleckner,* The Max Plank Encyclopedia of European Private Law, Volume I, Oxford University Press 2012, pp. 282; იქვე: Hopt, p. 252 და მომდ.; *Rehme,* P., Geschichte des Handelsrechts, Berlin 1913, S. 14 ff.

2 *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 277.

3 *Chanturia,* Knieper/Chanturia/Schramm, Das Privatrecht im Kaukasus und in Zentralasien. Bestandsaufnahme und Entwicklung, BWV, 2010, S. 102.

მაცია. იგი[4] 39 I მუხლის ბოლო წინადადების მიხედვით, არ განიხილება იურიდიულ პირად, თუმცა ქართული სასამართლო პრაქტიკით[5] აღიარებულია სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე სუბიექტად. შესაბამისად, პროცესუალურ-სამართლებრივად იგი შეიძლება უფლებაუნარიან სუბიექტთან გათანაბრებულ წარმონაქმნად მივიჩნიოთ.[6] ის, რომ არარეგისტრირებული კავშირი (ნაწილობრივ[7]) უფლებაუნარიანობის მქონეა, ისიც ადასტურებს, რომ მას აქვს საბანკო ანგარიშის გახსნის უფლება.[8] ეს კი მას ფინანსურ-საბანკო ოპერაციებში მონაწილეობის სრულ შესაძლებლობას აძლევს.

4 ქართული სამოქალაქო სამართალი არარეგისტრირებული გაერთიანების რამდენიმე სახეს იცნობს. საერთოდ, ბუნებაში შესაძლოა არარეგისტრირებული გაერთიანება ავტომატურადაც ჩამოყალიბდეს,[9] თუმცა განსახილველ

4 როგორც ამას მრავალი ევროპული ქვეყანა აღიარებს, არ არის უფლებაუნარიანობის მქონე სუბიექტი. იხ.: *Katschinski,* in Semler/Stengel (Hrsg.), UmwG, 3. Aufl., 2012, §99 Rn. 42 ff.

5 საქ. უზენაესი სასამართლოს 2001 წლის 22 თებერვლის № 3კ/599 გადაწყვეტილება. მაგ., გერმანიის ფედერალური უმაღლესი სასამართლოს პრაქტიკით (რაც სამოქალაქო-საპროცესო კოდექსის § 50 განმარტებას უკავშირდება), იგი აქტიური საპროცესო უნარიანობის სუბიექტადაც განიხილება. ამასთან, (გარე) სამოქალაქო სამართლის საზოგადოებასთან მიმართებაში (GesbR. მასთან დაკავშირებით იხ. მაგ., *Windbichler,* Gesellschaftsrecht, 23. Aufl., 2013, §2 Rn. 13-15; *Saenger,* Gesellschaftsrecht, 2010, §2 Rn. 38 f; *ბურდული,* სააქციო სამართლის საფუძვლები, I, 2010, გვ. 122-124) აქტიური და პასიური საპროცესო უნარიანობა არარეგისტრირებული გაერთიანებისა რამდენიმე წელია უკვე აღიარებულია: BGHZ 146, 343 f. იხ. ასევე: BGH-ის 2007 წ. 2 ივლისის N II ZR 111/05 გადაწყვეტილება და დაუსწრებელი გადაწყვეტილება (გამოქვეყნებულია: DNotZ 2008, 144 f.). უნდა აღინიშნოს, რომ გერმანიის ფედერალური უმაღლესი სასამართლოს პრაქტიკა, ისევე, როგორც გერმანული დოგმატიკა, ამ საკითხთან დაკავშირებით სამოქალაქო-საპროცესო კოდექსის რეფორმის შედეგად ჩამოყალიბებულ 50-ე პარაგრაფის მე-2 აბზაცს ეფუძნება, რომელმაც „არაუფლებაუნარიან კავშირს“ (გერმანული ტერმინოლოგიით - nicht rechtsfähiger Verein) არა მხოლოდ პასიური, არამედ სრული საპროცესო უნარიანობა მიანიჭა. იხ.: MüKo/*Reuter,* BGB, 6. Aufl., 2012, §54 Rn. 20. 2009 წლის კავშირის სამართლის აღნიშნულ რეფორმამდე სასამართლო პრაქტიკა და იურიდიული ლიტერატურა ამასთან დაკავშირებით იურიდიულ საზოგადოებას განსხვავებულ დიქოტომიას სთავაზობდა. არარეგისტრირებული კავშირის უძრავი ქონების საკუთრებაუნარიანობის, მემკვიდრეობაუნარიანობის, გარდაქმნაუნარიანობის შესახებ იხ.: MüKo/*Reuter*, BGB, 6. Aufl., 2012, §54 Rn. 21-23, 25-30.

6 პასიური საპროცესო (უფლება)უნარიანობის გათვალისწინებით.

7 შესაძლოა ნახმარი იყოს ასევე ტერმინი „შეზღუდული“. ამის არგუმენტირებისთვის საკითხის გერმანული შემხებლობა გამოდგებოდა, რადგან არარეგისტრირებული კავშირის (გარე) სამოქალაქო სამართლის საზოგადოებასთან გაიგივების დაშვების გზით (BGHZ, NJW 2001, S. 1058-59), იგი „შეზღუდულ უფლებაუნარიან“ სუბიექტად მიიჩნეოდა. ის, რომ არარეგისტრირებული კავშირი შეიძლება „იურიდიული პირის ხარისხის“ მქონე წარმონაქმნად წარმოჩნდეს, ეჭვს არ იწვევს. გერმანულ დოგმატიკაზე შემდგომი მითითებით იხ.: *Westermann,* in Ermann, BGB, 12. Aufl., 2008, §54 Rn. 1. ამას ისიც ადასტურებს, რომ არარეგისტრირებული კავშირის მიმართ პირდაპირ გამოიყენება სამოქალაქო კანონმდებლობის შესაბამისი ნორმები სამოქალაქო სამართლის საზოგადოების (ჩვენი გაგებით ამხანაგობის) მიმართ. შესაბამისად, წმინდა „პირთა გაერთიანებისთვის“ (ამხანაგობისთვის) უფლებაუნარიანობის აღიარებას ლოგიკური შედეგი არარეგისტრირებული კავშირისთვისაც უნდა ჰქონდეს. MüKo/*Reuter,* BGB, 6. Aufl., 2012, §54 Rn. 18. გერმანული (ადრე მოქმედი) სამართალი საუბრობს ასევე არარეგისტრირებული კაშვირის „შეზღუდული სამართალსუბიექტობის“ თაობაზეც. MüKo/*Reuter,* BGB, 6. Aufl., 2012, §54 Rn. 17. ამიტომ არასწორი უნდა იყოს არარეგისტრირებული კავშირის არაუფლებაუნარიან სუბიექტად წარმოჩენა, როგორც ამას ზოგიერთი ავტორი აკეთებს. *პეპანაშვილი,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, 2014, მუხ. 39, გვ. 293.

8 *ჭანტურია,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 45. გვ. 155; *ჭანტურია,* შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, 1997, გვ. 275-276.

9 ასეთად შესაძლოა წარმოდგენილი იყოს ე.წ. Implied (Partnership) Gesellschaft. *Merkt/Göthel,* US-amer-

შემთხვევაში ყურადღება გასამახვილებელია ასეთი წარმონაქმნის შექმნის ნებელობით გათვითცნობიერებულ, თავიდანვე საქმიანობის აღნიშნული ფორმით წარმართვის საკითხზე. ამ შემთხვევაში იგულისხმება 930-ე მუხლით გათვალისწინებული ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულება (ე.წ. ამხანაგობა),[10] რომელსაც საფუძვლად უდევს პირთა შეთანხმება (უბრალოდ არარეგისტრირებული კავშირისაგან განსხვავები,თ იგი საქმიანობის მიზნის სხვაგვარი იდეით არის დეტერმინირებული) და ამავე კოდექსის 39-ე მუხლით განსაზღვრული არარეგისტრირებული კავშირი (გაერთიანება). ეს უკანასკნელიც, ისევე, როგორც ამხანაგობა, წევრთა ნების ფორმირების საფუძველზე ყალიბდება. თუმცა იგი, როგორც ქვემოთ აღინიშნება, გაერთიანების მიზნის თვალსაზრისით, ამხანაგობისაგან განსხვავებით, საქმიანობის სხვა სპეციფიკას ექვემდებარება. არარეგისტრირებული გაერთიანების შემდეგი (ბოლო) შესაძლებლობა (სახე), რომელსაც სამოქალაქო სამართალი იცნობს, არის ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობა. თუმცა მას, გამომდინარე იქიდან, რომ „იგი ბინის მესაკუთრეთა ბუნებრივ გაერთიანებას წარმოადგენს“ და რაიმე კონკრეტული მიზნისთვის, როგორც წესი, არ იქმნება, არაიურიდიულ პირს გაერთიანებების ქვეშ არ განიხილავენ ხოლმე.[11] მაგრამ ეს უფრო ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ ცალკე კანონის[12] მიღებამდე იქნებოდა დამახასიათებელი. ამ კანონის პირველი, მე-2, ასევე მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის გაანალიზების შედეგად ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ასეთი ამხანაგობის ფორმის ჩამოყალიბებისას, ასევე გაერთიანების შექმნის ირგვლივ წევრთა ნების ფორმირებას შეიძლება ჰქონდეს ადგილი, რაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, არაიურიდიული პირი გაერთიანების მახასიათებელი და შემადგენელი ნიშანია. ის, რომ ეს უკანასკნელიც იურიდიული პირის სტატუსის არმქონე კორპორაციათა[13] რიცხვს მიეკუთვნება, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ კანონის მიზნიდან, განსაკუთრებით 14 I მუხლიდან ჩანს.

III. განსხვავება სხვა (მსგავსი) წარმონაქმნებისაგან

გამომდინარე იქიდან, რომ იურიდიული პირის სტატუსის არმქონე გაერთიანებებს შორის სუბსტანციური მსგავსება თვალნათელია, ისმის კითხვა არარეგისტრირებული კავშირის სხვა მსგავსი წარმონაქმნებისაგან, განსაკუთრებით ამხანაგობისაგან, განსხვავების თაობაზე. ამგვარი კონსტრუქციის მქონე ორგანიზაცია წააგავს პირთა პერსონალურ გაერთიანებას – ამხანაგობის ტიპის საზოგადოებას.[14] ამიტომ იურიდიულმა ლიტერატურამ ის 5

ikanisches Gesellschaftsrecht, 2. Aufl., Rn. 134.

10 ვრცლად იხ. *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 278 და მომდ.

11 როგორც ამას *ჭანტურია* აკეთებს. *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 277.

12 საქართველოს კანონი „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“, სსმ 29, 27.07.2007.

13 კორპორაცია აქ ზოგადი გაგებით მოიაზრება.

14 *Chanturia,* Knieper/Chanturia/Schramm, Das Privatrecht im Kaukasus und in Zentralasien. Bestandsaufnahme und Entwicklung, BWV, 2010, S. 103.

დემარკაციული ხაზი გაავლო, რომლის მეშვეობითაც უნდა დადგინდეს ამ განსხვავების ძირითადი პარამეტრები.

პირველი, ეს არის არარეგისტრირებული გაერთიანების შექმნა არასამეწარმეო (ეკონომიკური) მიზნისათვის.[15] მეორე, არარეგისტრირებული კავშირი იდეალური ორგანიზაციაა, რადგან იგი მოგების მიღებაზე ორიენტირებული არ არის, მაშინ, როდესაც ამხანაგობას, როგორც წესი, საფუძვლად უდევს წევრთა შენატანების შედეგად ქონების მაქსიმიზაცია. მესამე, ეს არის პასუხისმგებლობის საკითხი.[16]

6 არარეგისტრირებული კავშირი რეგისტრირებული კავშირისაგან მხოლოდ მისი ლეგიტიმაციის ხარისხით განსხვავდება. სახელმწიფოს მხრიდან რეგისტრაციის ფაქტი ა(ა)იპ-ის, როგორც სამართლებრივი ფორმის, მიმართ სრული უფლებაუნარიანობის დაშვებას საკანონმდებლო დონეზე ახდენს მაშინ, როდესაც არარეგისტრირებული გაერთიანება, როგორც წესი, სამართლებრივი პიროვნულობის არმქონე სუბიექტად მიიჩნევა. იგი ვერ დაფუძნდება ვერც წესდებით და ვერც ხელშეკრულებით და ვერც პასუხისმგებლობის „კავშირისეულ“ კონცეფტს დაუდებს დასაბამს.[17] სხვა მხრივ არარეგისტრირებული გაერთიანება რეგიონული კავშირის სტრუქტურის მსგავსი და მიზნის მსგავსი ორგანიზაციული წარმონაქმნია.

7 კომერციული საზოგადოებებისაგან მისი განსხვავება მარტივია: სამეწარმეო ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები სამეწარმეო, კომერციული საქმიანობისა და მიზნის მიღწევისათვის იქმნება. განსხვავებულია მათი მოწყობის ორგანიზაცია, პასუხისმგებლობის, ქონებისა და საკუთრების სამართლებრივი მდგომარეობა. იმ შემთხვევაშიც, თუკი ამხანაგობის ტიპის საზოგადოების მიმართ ამერიკულ კონცეფციას დავეყრდნობოდით,[18] განსხ-

15 მრავალი დასავლური ქვეყანა ამ თვალსაზრისით განასხვავებს იდეალური მიზნის მქონე არარეგისტრირებულ გაერთიანებას და ეკონომიკური მიზნის მქონე არარეგისტრირებულ კავშირს (მაგ., გერმანია). ამასთან, შესაძლებელია სახეზე იყოს არარეგისტრირებული კავშირისა და საზოგადოების შერეული ფორმები, რომლის დროსაც შესაძლებელი იქნება კავშირისა (როგორც ეკონომიკური აქტივობის განმახორციელებლი სუბიექტისა) და საზოგადოების (ამხანაგობის) სამართლის ნორმების ურთიერთგამოყენება. ამას გერმანულ სამართალში ორი მოვლენა განაპირობებს: ერთი არის ის, რომ თავად კავშირი შესაძლოა დაიყოს „ქვეარარეგისტრირებულ კავშირად“, თუკი იგი ხანგრძლივი ვადით (ან უვადოდ) არის შექმნილი, აქვს (ქვე) ორგანიზაციული სტრუქტურა და საკუთარი სახელწოდება. მეორე, გახლავთ საკანონმდებლო ტექნიკა, რომელსაც გერმანული სამართალი იყენებს. კერძოდ, არარეგისტრირებული კავშირის მიმართ შესაძლოა გამოიყენებოდეს (სამოქალაქო სამართალის) საზოგადოების (705 და მომდევნო პარაგრაფები), ასევე, კავშირის სტრუქტურის მომწესრიგებელი ნორმები, როდესაც კომენტატორულ ლიტერატურაში მის მიმართ გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 21-ე და მომდევნო პარაგრაფების გამოყენებაზე მიუთითებენ. იხ.: *Westermann,* in Ermann, BGB, 12. Aufl., 2008, §54 Rn. 2, 5. ეს კი, ამ საკითხის ქართულ რელობაში გადმოტანის დაშვების შემთხვევაში, გარკვეულ სირთულეებს წარმოაჩენს. ძირითადად კი ეს დაკავშირებული იქნება თავად ნორმის (39-ე მუხ.) საკანონმდებლო კონსტრუქციაზე, რადგან სხვა ნორმებზე გადამისამართების ფუნქციის მატარებელი ეს უკანასკნელი არ არის.

16 გამოყენებულია ჭანტურიას მიხედვით, შინაარსობრივი ჩამონათვალი უცვლელად არის დატოვებული. *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 45. გვ. 156; *ჭანტურია,* შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, 1997, გვ. 276.

17 *Westermann,* in Ermann, BGB, 12. Aufl., 2008, §54 Rn. 3.

18 მხედველობაშია სრული ამხანაგობის არაიურიდიული პირის სტატუსი, მისი დაურეგისტრირებლობა სახელმწიფო (შტატის) რეესტრში (secretary of state), რაც ამ სამართლებრივი ფორმის აბსტრაქტულ-ნორმატიული თვალსაზრისით არაუფლებაუნარიან გაერთიანებად განხილვის საწინდარია.

ვავების ქვაკუთხედი მაინც ეკონომიკურ და არაეკონომიკურ (იდეალურ) მიზნის მქონე სუბიექტებს შორის დემარკაციული ხაზი იქნებოდა.

IV. ქონება

ქონების ფორმირება არარეგისტრირებულ კავშირში წესდების ან ხელშე- **8**
კრულების ჩანაწერს ეფუძნება. არარეგისტრირებული გაერთიანების საწეს-
დებო, სახელშეკრულებო ავტონომიის პრინციპიდან გამომდინარე, შესა-
ტანის ოდენობას, მისი განხორციელების წესსა და ვადას, შეტანაუნარიანი
ობიექტების დადგენის კრიტერიუმებს, ისევე, როგორც ქონების შექმნისა
და გამოყენების შემდგომ წესებს[19], გაერთიანების შიდაორგანიოზაციული
სახელშეკრულებო თავისუფლება განსაზღვრავს.

„გაერთიანების ქონების ძირითად წყაროს წევრთა საწევრო შესატანები“[20] **9**
და ამ შესატანების შევსების შედეგად შეძენილი სიკეთე[21] წარმოადგენს.[22]
თუმცა ქონების ფორმირება (მაქსიმიზაცია) ასევე შეიძლება განხორციელ-
დეს გაერთიანების შემდგომი საქმიანობის შედეგად. მნიშვნელოვანი მომენ-
ტია ის, რომ არარეგისტრირებული კავშირის ქონება „საერთო ხელის საკუ-
თრებად“,[23] საერთო ქონებად მიიჩნევა და ამას პასუხისმგებლობის საკითხის
განსაზღვრისთვისაც აქვს მნიშვნელობა.[24] ამასთან, გასათვალისწინებელია
ის ფაქტი, რომ მეწარმე სუბიექტების მიმართ აღიარებული კონცეფციებისა
და პრინციპების დაშვებას არარეგისტრირებული კავშირისთვის ნაკლებად
თუ ექნებოდა გამოყენების დაშვების საფუძველი. მაგალითად, დამატებითი
საწევრო შესატანების დადგენის ვალდებულება, რომლის შეუსრულებლობაც
ვალდებულებით-სამართლებრივ სანქციასთან ერთად კორპორაციულ-სა-
მართლებრივი შედეგის დადგომის ტოლფასი შეიძლება გამხდარიყო;[25] და
სხვ.

V. წარმომადგენლობა, მართვა

არარეგისტრირებული კავშირის (გაერთიანების) შიდაორგანიზაციული **10**
მოწყობა, მისი სტრუქტურა თავად ამ წარმონაქმნის წესდებით ან ხელშე-
კრულებით განისაზღვრება.[26] სწორედ ეს იძლევა იმის თქმის უფლებას, რომ

19 კანონმდებლობით დადგენილი გარკვეული შემთხვევების გათვალისწინებით.

20 უფრო სწორედ, შენატანები. შესატანის/შენატანის თაობაზე: *ჭანტურია/ნინიძე,* მეწარმეთა შეს-
ახებ კანონის კომენტარი, 2002, მუხ. 3, გვ. 46 და მომდ.; *ბურდული,* სააქციო სამართლის
საფუძვლები, I, 2010, გვ. 178 და მომდ.

21 *Chanturia,* Knieper/Chanturia/Schramm, Das Privatrecht im Kaukasus und in Zentralasien. Bestandsauf-
nahme und Entwicklung, BWV, 2010, S. 103.

22 *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 287.

23 Gesamthandvermögen. *Raiser/Veil,* Recht der Kapitalgesellschaften, 5. Aufl., 2010, S. 9-10.

24 პასუხისმგებლობის თაობაზე ქვემოთ (VI).

25 ამ საკითხის წმინდად სამეწარმეო (ორგანიზაციული) სამართლებრივი მიდგომის შესახებ შედარე-
ბისთვის იხ.: *ბურდული,* შენატანის განუხორციელებლობის სამართლებრივი შედეგი: უტოპიური
შეხედულება სს-იდან პარტნიორის გარიცხვის შესახებ, სამართლის ჟურნალი, 1-2/2010, გვ. 18-
54, განსაკუთრებით გვ. 41 და მომდ.

26 *Chanturia,* Knieper/Chanturia/Schramm, Das Privatrecht im Kaukasus und in Zentralasien. Bestandsauf-

ამგვარი გაერთიანების მართვის სისტემაც, მათ შორის, ხელმძღვანელობითი უფლებამოსილებისა და წარმომადგენლობის (შიდა) საკითხები, რომლებიც კანონმდებლობით გაწერილი სახით არ არის ჩამოყალიბებული, არარეგისტრირებული კავშირის წევრთა შეთანხმების შედეგად არის ფორმულირებული და გაფორმებული წესდების ან ხელშეკრულების სახით. მოკლედ, მართვის სისტემისთვის კანონმდებლობის დისპოზიციური მოწესრიგების რეჟიმია დადგენილი და იგი სრულად გადატანილია საწესდებო ავტონომიის თავისუფლებაზე. ეს ნიშნავს, რომ წევრებზე იქნება დამოკიდებული თუ როგორ ხელმძღვანელობით მოდელს აირჩევენ ისინი,[27] რა პირობებს დაადგენენ ამ (ხელმძღვანელ) თანამდებობაზე მისაღები პირისთვის, როგორ განსაზღვრავენ მათი პასუხისმგებლობის სამართლებრივ საკითხებს, რა კრიტერიუმებზე დააფუძნებენ ამ პირთა ანაზღაურებას და ა.შ., ანუ ამ შემთხვევაში საუბარია გაერთიანების შიდაორგანიზაციული მართვის მოწყობის სისტემაზე. თუმცა უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ურიგო არ იქნებოდა ამ თვალსაზრისით არარეგისტრირებულ კავშირზე, უფრო სწორედ, მის მართვის სისტემაზე რეგისტრირებული კავშირისთვის (არაკომერციული იურიდიული პირისთვის) დამახასიათებელი, მომწესრიგებელი ნორმების გავრცელება. ამ საკითხის პოლიტიკურ-სამართლებრივი თვალით დანახვა 39-ე მუხლის მინიშნებითი ხასიათის დათქმას გაითვალისწინებდა, როგორც ეს, მაგალითად, გერმანულ სამოქალაქო კოდექსშია მოცემული.[28] მაგრამ იმასაც უნდა მიექცეს ყურადღება, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსში განხორციელებული რეფორმის შედეგად თავად ა(ა)იპ-ის მართვის სტრუქტურა გახდა წესდებაზე დამოკიდებული. ამიტომ კაუტელაურ პრაქტიკაში არარეგისტრირებულ კავშირზე რეგისტრირებული არაკომერციული იურიდიული პირისთვის დადგენილი მართვის მოდელის გადატანა არანაირ სირთულეს არ უნდა წარმოადგენდეს.

11 არარეგისტრირებული კავშირის ხელმძღვანელობის (შიდა) სისტემისაგან განსხვავებით, გარესამართლებრივ წარმომადგენლობას, ანუ გაერთიანების სახელით გამოსვლას მესამე პირებთან ურთიერთობაში, კანონი გარკვეულ მოცემულობას უკავშირებს. კერძოდ, 39 III მუხლის შესაბამისად, არარეგისტრირებული გაერთიანება სასამართლო და სასამართლოს გარე ურთიერთობაში შეიძლება წარმოდგენილი იყოს მისი წევრებით ან წევრების მიერ დანიშნული გარიგებით-სამართლებრივი წარმომადგენლით. ამ შემთხვევაში კანონის ფორმულირება „შეიძლება... წარმოდგენილი იყოს“ – არ გახლავთ დისპოზიციური ხასიათის. სიტყვა შეიძლება კატეგორიულად განსაზღვრავს იმ შემთხვევას, როდესაც შიდა საზოგადოება გარე საზოგადოების ნიშნებს იძენს, რაც მესამე პირებთან გაერთიანების სახელით გარიგებების დადებას ითვალისწინებს, და ამ დროს არარეგისტრირებულ კავშირს, როგორც გარე საზოგადოების ბუნების მქონე წარმონაქმნს, წარმომადგენლობითი ფუნ-

nahme und Entwicklung, BWV, 2010, S. 102-103; *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 287.

27 იქნება ეს საკუთარი თუ უცხო ორგანოს კონცეფციაზე დაფუძნებული ხელმძღვანელობა. MüKo/*Reuter,* BGB, 6. Aufl., 2012, §54 Rn. 33.

28 BGB §54.

ქციის განმხორციელებელი პირი ესაჭიროება. ამიტომ ამ ფუნქციას, კანონის დანაწესიდან გამომდინარე, მხოლოდ არარეგისტრირებული გაერთიანების წევრები (ერთობლივი წარმომადგენლობა) ან საამისოდ უფლებამოსილი პირები (პირი[29]) განახორციელებენ.

VI. კრედიტორის მოთხოვნის დაკმაყოფილება, პასუხისმგებლობა

12 როგორც ურთიერთობის მონაწილე, არარეგისტრირებული კავშირი დებს გარიგებებს, შედის სამართალურთიერთობაში და, შესაბამისად, შესაძლოა მესამე პირს მის მიმართ გარკვეული მოთხოვნები აღეძრას. გაერთიანების მიმართ სამართლებრივად გამართლებული, საფუძვლიანი მოთხოვნის წაყენების ლოგიკური შედეგი, ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებაა. ამიტომ 39 IV მუხლი სწორედ იმას აწესრიგებს, თუ როგორ შეიძლება მოხდეს კრედიტორთა მოთხოვნის დაკმაყოფილება. მოთხოვნის დაკმაყოფილების პირველადი წყარო, როგორც წესი, არარეგისტრირებული კავშირის (გაერთიანების) საერთო ქონებაა, ანუ საწევროების განხორციელების შედეგად შეკრებილი, თუ შემდგომი საქმიანობით კონცენტრირებული, ფორმიებული ქონება. თუმცა სამოქალაქო კოდექსი ამავდროულად წევრთა სოლიდარულ პასუხისმგებლობასაც ითვალისწინებს. ეს კი, როგორც წესი, იმ შემთხვევას უკავშირდება, როდესაც ქმედება გაერთიანების სახელით არის განხორციელებული.[30]

მუხლები 40-49 ამოღებულია.

29 მიუხედავად იმისა, რომ კანონის ტექსტი მრავლობით რიცხვში ხმარობს „პირებს“, ნორმის ლოგიკური განმარტების შედეგად უნდა გაკეთდეს დასკვნა, რომ ამ დროს ერთპიროვნული გარიგებით-სამართლებრივი წარმომადგენლობაც შეიძლება იყოს სახეზე.

30 *ჭანტურია*, სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 45. გვ. 155.

კარი მეორე
გარიგებანი

თავი პირველი
ზოგადი ნორმები

მუხლი 50. ცნება

გარიგება არის ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ.

I. ზოგადი დებულებანი 286
1. გარიგების ცნება და მნიშვნელობა 286
2. გარიგება, როგორც ნების გამოვლენა 287
3. სამართლებრივი შედეგი – ნების გამოვლენის მიზანი 288
II. გარიგების სახეები 289
1. ცალმხრივი, ორმხრივი და მრავალმხრივი გარიგებები 289
ა. ცალმხრივი გარიგება 289
ბ. ორმხრივი გარიგებები 289
გ. მრავალმხრივი გარიგებები 290
2. მავალდებულებელი და განკარგვითი 291
3. კაუზალური და აბსტრაქტული 291
4. სასყიდლიანი და უსასყიდლო 292
5. გარიგებათა სხვაგვარი კლასიფიკაცია 293

I. ზოგადი დებულებანი

1. გარიგების ცნება და მნიშვნელობა

1 გარიგება სამოქალაქო სამართლის ცენტრალურ ინსტიტუტს წარმოადგენს.[1] იგი **კერძო ავტონომიისა** და **ხელშეკრულების თავისუფლების** განხორციელების მნიშვნელოვანი სამართლებრივი ინსტრუმენტია. გარიგება, როგორც **კერძო სამართლის უზოგადესი ცნება,** გამოიყენება არა მხოლოდ სამოქალაქო სამართალში, არამედ კერძო სამართლის სხვა ნაწილებში, მაგალითად, საკორპორაციო ან საავტორო სამართალში. შესაბამისად, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილის ნორმები გარიგებათა შესახებ

1 ქართულ სამოქალაქო სამართალში გარიგების ცნების შემოღების თაობაზე იხ. *ჯორბენაძე*, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ძირითადი პრობლემები, 1994, გვ. 149; *ზოიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 50, გვ. 165-166; *ჭანტურია*, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, 1997, გვ. 307-311 და ა.შ.

ვრცელდება ყველა სახის კერძოსამართლებრივ ურთიერთობებზე, მაგალითად, ქორწინება, ანდერძი, საერთო კრების გადაწყვეტილებები და ა.შ.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში გარიგება კერძო საკუთრებასთან ერთად **ეკონომიკის სამართლებრივი საფუძველია.** კომერციული საქმიანობის მონაწილეებს გარიგება აძლევს იმის შესაძლებლობას, რომ ერთმანეთს შორის ურთიერთობები სახელმწიფოს ჩარევის გარეშე ურთიერთშეთანხმებით მოაგვარონ. კანონით დადგენილი პირობების დაცვისას სახელმწიფო კერძო პირთა ამ შეთანხმებას სავალდებულო ძალას ანიჭებს. **2**

50-ე მუხლი შეიცავს გარიგების ლეგალურ დეფინიციას, რომლის თანახმად გარიგება არის სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ მიმართული **ნების გამოვლენა.**[2]

2. გარიგება, როგორც ნების გამოვლენა

ნების გამოვლენა გარიგების დეფინიციის აუცილებელი ელემენტია.[3] ამ გაგებით ნების გამოვლენა არის სამართლებრივი შედეგის დადგომის სურვილის გარეგნული გამოხატვა კანონით დადგენილი ფორმით. ამით სამოქალაქო კოდექსი გარიგების რეგულირებისას **ნების თეორიას** ეყრდნობა.[4] **3**

შინაგანი ნების გამოხატულებით გარიგების მონაწილენი აფიქსირებენ იმ მიზანს, რომლის მიღწევაც სურთ და ამისათვის კანონით განსაზღვრულ სამართლებრივ საშუალებებს იყენებენ.[5]

სამართლებრივ შედეგს იწვევს მხოლოდ **ნამდვილი ნების გამოვლენა,** რაც გულისხმობს ნების შესაბამისობას კანონმდებლობის მოთხოვნებთან.[6] ნამდვილია ნების გამოვლენა, თუ დაცულია მისი გამოხატვის **სამართლებრივი წინაპირობები – მატერიალური თუ ფორმალური.** მატერიალურ წინაპირობებს განეკუთვნება ნების გამომვლენი პირის გონებრივი შესაძლებლობები (ასაკი, ჯანმრთელობა), ხოლო ფორმალურს – ნების გამოვლენის კანონით დადგენილი ფორმის დაცვა (ნების გამოვლენა წერილობით, ზეპირად, ნოტარიუსის მონაწილეობით, კანონის შესაბამისად და ა.შ.).[7] მაგალითად, 63-ე მუხლის მიხედვით არასრულწლოვანის მიერ ავტომანქანის ყიდვა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე ბათილია.

სამართლებრივი შედეგის მისაღწევად ყოველთვის არ არის საკმარისი მხოლოდ გარიგების მონაწილეთა ნების გამოვლენა და აუცილებელი ხდება **მესამე პირების ნების გამოვლენაც,** მაგალითად, უძრავი ნივთის შეძენა მხოლოდ მაშინაა ნამდვილი, თუკი შემძენი დარეგისტრირდება საჯარო რეესტრში. მიუხედავად იმისა, რომ საჯარო რეესტრში რეგისტრაცია არ **4**

2 შდრ. დსთ-ის მოდელურ სამოქალაქო კოდექსს, რომლის თანახმად გარიგება არის მოქმედება. ჭანტურია, ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 291.

3 *Köhler,* BGB Allgemeiner Teil, 36. Aufl., 2012, §3 Rn. 5.

4 *ზოიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 50, გვ. 166.

5 საქ. უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 6 თებერვლის №ას-1435-1450-2011 განჩინება.

6 იქვე.

7 *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 292.

წარმოადგენს გარიგების ფორმის შემადგენელ ელემენტს, რასაც სასამართლო პრაქტიკაც აღიარებს,[8] რეესტრის გარეშე საკუთრების უფლება უძრავ ნივთებზე არ წარმოიშობა. ამ თვალსაზრისით რეესტრში რეგისტრაცია არის რეალაქტი.

გარიგების ნამდვილობისათვის მესამე პირთა ნების გამოვლენის აუცილებლობის მაგალითებია ასევე წარმომადგენლის მონაწილეობით გარიგების დადება (103-114) ანდა თანხმობა გარიგებებში (99-102).

3. სამართლებრივი შედეგი – ნების გამოვლენის მიზანი

5 ყოველგვარი ნების გამოვლენა არ წარმოადგენს გარიგებას. ნების გამოვლენის მიზანი უნდა იყოს **სამართლებრივი შედეგის დადგომა.** 50-ე მუხლის მიხედვით ეს სამართლებრივი შედეგი გამოიხატება **სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობაში, შეცვლასა და შეწყვეტაში.** მაგალითად, ნასყიდობის ხელშეკრულების დადების მიზანია მყიდველის მიერ საკუთრების შეძენა ნასყიდობის საგანზე.

6 სირთულეებთან არის დაკავშირებული **გარიგების მსგავსი ნების გამოვლენის** გამიჯვნა გარიგებებისაგან, რომლებიც გარეგნულად ჰგვანან ნების გამოვლენას, მაგრამ არ წარმოადგენენ გარიგებას, რადგან უშუალოდ არ იწვევენ სამართლებრივი შედეგის დადგომას, მაგალითად, დამატებითი ვადის დანიშვნა (394 II), შეტყობინება (374), გაფრთხილება (379) და ა.შ. თუმცა მათი ნამდვილობის მიმართ შეიძლება ზოგიერთ შემთხვევაში გარიგების მომწესრიგებელი ნორმები გამოიყენებოდეს.

7 ნების გამოვლენას 50-ე მუხლის მიხედვით არ წარმოადგენენ **რეალური აქტები,** ე.ი. მოქმედებები, რომლებიც მიმართულია ან გარიგების შესასრულებლად, ან გარიგებისაგან დამოუკიდებლად იწვევენ სამართლებრივ შედეგს. პირველის მაგალითია, გამყიდველის მიერ მყიდველისათვის ნაყიდი ნივთი გადაცემა მფლობელობაში, ხოლო მეორის – 194-ე მუხლით გათვალისწინებული საკუთრების წარმოშობა მოძრავი ნივთების შერწყმის შედეგად.

8 გარიგებას არ წარმოადგენს ასევე ნების გამოვლენა, რომელიც **ზნეობრივ ვალდებულებებს** წარმოშობს, მაგალითად, აეროპორტში მანქანით მიყვანის ან სასტუმროს ხარჯების გადახდის შეთავაზება. რელევანტურია იმის გარკვევა, თუ რა სამართლებრივ შედეგს იწვევს ზნეობრივი ვალდებულების დარღვევა, მაგალითად, აეროპორტში არწაყვანა და თვითმფრინავის ბილეთების გაუქმებითა და არშემდგარი შვებულებით გამოწვეული ხარჯების ანაზღაურება.

ზემოთ განხილულ **გამიჯვნათა სამართლებრივი მნიშვნელობა** გამოიხატება ორ გარემოებაში: პირველი, წარმოშობს თუ არა ნების გამოვლენა სამართლებრივ ვალდებულებას, რომლის შესრულებაც შეიძლება მოითხოვოს ნების გამოვლენის ადრესატმა; მეორე, გამოიყენება თუ არა გარიგების ნამდვილობის წესები ამ ურთიერთობის მიმართ და რა მოცულობით.

8 თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 30 ნოემბრის № 2ბ/3325-11 გადაწყვეტილება.

II. გარიგების სახეები

1. ცალმხრივი, ორმხრივი და მრავალმხრივი გარიგებები

50-ე მუხლის თანახმად სამართლებრივი შედეგის დადგომა შეიძლება გა- 9
მოიწვიოს როგორც **ცალმხრივმა,** ისე **ორმხრივმა** ან **მრავალმხრივმა ნების გამოვლენამ.** ამრიგად, გარიგება შეიძლება შედგებოდეს ერთი ან რამდენიმე ნების გამოვლენისაგან. აქედან გამომდინარე, რელევანტურია გარიგებების კლასიფიკაცია და დახასიათება ნების გამოვლენათა რაოდენობის მიხედვით **ცალმხრივ, ორმხრივ** და **მრავალმხრივ** გარიგებებად.

ა. ცალმხრივი გარიგება

ცალმხრივია გარიგება, რომლის ნამდვილობისათვის საკმარისია ერთი 10
ნების გამოვლენის არსებობა, მაგალითად, ანდერძი ან ხელშეკრულების შეწყვეტა (მოშლა). რადგან სამართლებრივი შედეგის დადგომა მხოლოდ ერთი პირის ნებაზეა დამოკიდებული, რამაც სამართლებრივ სტაბილურობას შეიძლება საფრთხე შეუქმნას, კანონი დეტალურად აწესრიგებს ცალმხრივ გარიგებებსა და მათი გამოყენების წინაპირობებს.

ცალმხრივი ნების გამოვლენით გამოწვეული სამართლებრივი შედე- 11
გი შეიძლება ეხებოდეს მხოლოდ ნების გამომვლენს ან მესამე პირს. ამის მიხედვით კანონი ერთმანეთისაგან განასხვავებს ცალმხრივ გარიგებებს, რომელთაც ნამდვილობისათვის სჭირდებათ **ნების გამოვლენის მიღება მესამე პირის მიერ** (51 I), და გარიგებებს, რომელთაც ასეთი ნების მიღება არ სჭირდებათ. ცალმხრივი გარიგებების ამ დაყოფას ე.წ. **თავისთვის** და **მესამე პირისათვის** მნიშვნელოვანი სამართლებრივი შედეგი უკავშირდება – **ნების გამოვლენის ნამდვილობა.** მართალია, ცალმხრივი გარიგებით მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგის დადგომისათვის მესამე პირის თანხმობა აუცილებელი არ არის, მაგრამ მან, სულ ცოტა, უნდა შეიტყოს უფლებამოსილი პირის განზრახვის შესახებ. მაგალითად, ბინის დამქირავებელმა უნდა შეიტყოს, რომ დამქირავებელი წყვეტს ქირავნობის ხელშეკრულებას (51 I, 555). მესამე პირის (ხელშეკრულების კონტრაჰენტის) მიერ ნების მიღების მომენტს კონსტიტუტიური მნიშვნელობა აქვს – ნების გამოვლენა ნამდვილია და სამართლებრივი შედეგი დგება, მაგალითად, ქირავნობის ხელშეკრულება წყდება. ამიტომ ასეთი გარიგებები ნამდვილია ადრესატისათვის ნების გამოვლენის მისვლის მომენტიდან.[9]

ბ. ორმხრივი გარიგებები

ორმხრივია გარიგება, რომლით გათვალისწინებული სამართლებრივი 12
შედეგის დადგომისათვის აუცილებელია, სულ ცოტა, **ორი შინაარსობრივად**

9 *Medicus,* BGB AT, 10. Aufl., 2010, Rn. 202; დაწვრილებით იხ. მუხ. 51 I კომენტ.

ერთმანეთის თანამთხვევადი ნების გამოვლენა. ორმხრივი გარიგების კლასიკური მაგალითია **ხელშეკრულება.** ამ გაგებით ხელშეკრულება ყოველთვის ორმხრივი ან მრავალმხრივი გარიგებაა.[10]

13 ხელშეკრულების დასადებად აუცილებელია ორი თანამთხვევადი ნების გამოვლენის – **ოფერტისა** და **აქცეპტის** – არსებობა. ოფერტიც (წინადადება ხელშეკრულების დადების შესახებ – შეთავაზება) და აქცეპტიც (ამ წინადადების მიღება), ორივე წარმოადგენს ნების გამოვლენას, მაგრამ ცალ-ცალკე არ იწვევს სამართლებრივი შედეგის დადგომას. ამიტომ არც ოფერტი და არც აქცეპტი ცალმხრივ გარიგებებად არ მიიჩნევა.[11] ოფერტისა და აქცეპტის თანამთხვევადობა – **კონსენსუსი**[12] – უზრუნველყოფს სამართლებრივი შედეგის დადგომას. თუ მათ შორის არსებობს განსხვავება, ხელშეკრულება არ დაიდება. მაგალითად, მყიდველი და გამყიდველი შეთანხმდნენ ნასყიდობის ყველა პირობაზე, გარდა ფასისა. ამის გამო ხელშეკრულება ჯერ არ ითვლება დადებულად.

მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულება ორმხრივი გარიგებაა, თავის მხრივ, ხელშეკრულება შეიძლება იყოს **ცალმხრივი** და **ორმხრივი. ცალმხრივია ხელშეკრულება,** როცა ის მხოლოდ ერთ მხარეს აკისრებს მოვალეობას ან ანიჭებს უფლებას, მაგალითად, ჩუქება. **ორმხრივი ხელშეკრულების** დროს მხარეებს ერთმანეთის მიმართ აქვთ როგორ უფლებები, ისე მოვალეობებიც, მაგალითად, ნასყიდობის ხელშეკრულების შემთხვევაში.

გ. მრავალმხრივი გარიგებები

14 **მრავალმხრივი გარიგების** გავრცელებული ფორმაა **გადაწყვეტილება,** რომელიც მიიღება არა გამოვლენილ ნებათა კონსენსუსის საფუძველზე, არამედ გამოვლენილ ნებათა უმრავლესობის მიერ.[13] გადაწყვეტილებათა მიღების პირობები და პროცედურა ჩვეულებრივ კანონით განისაზღვრება, მაგალითად, აქციონერთა საერთო კრების მიერ გადაწყვეტილებების მიღება ხდება მეწარმეთა შესახებ კანონის საფუძველზე. არ არის გამორიცხული, რომ გადაწყვეტილების მიღება გათვალისწინებული იყოს კონსენსუსითაც. სასამართლო პრაქტიკის თანახმად, სამეთვალყურეო საბჭოს მიერ ხმების უმრავლესობით მიღებული გადაწყვეტილებები წარმოადგენს მრავალმხრივი გარიგების ნაირსახეობას.[14]

გადაწყვეტილებების, როგორც მრავალმხრივი გარიგებების, თავისებურება შეიძლება იმაშიც გამოიხატოს, რომ ისინი შეიძლება მბოჭავი და სავალდებულო გახდეს იმ პირთათვისაც, რომლებიც არ მონაწილეობდნენ ამ გადაწყვეტილების მიღებაში, მაგალითად, საზოგადოების წესდება იმ პარტნიორებისათვის, რომლებიც მოგვიანებით გახდნენ საზოგადოების პარტ-

10 *Medicus,* BGB AT, 10. Aufl., 2010, Rn. 203.

11 ჭანტურია, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 303.

12 *Kötz/Flessner,* Europäisches Vertragsrecht, Bd. 1, 1996, S. 23-26.

13 ზოგიერთი პოსტსაბჭოთა ქვეყნის კანონმდებლობა გადაწყვეტილებებს არ მიიჩნევს გარიგებად. იხ. ამასთან დაკავშირებით: *ჭანტურია,* სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 302.

14 საქ. უზენაესი სასამართლოს 2013 წელის 22 ივლისის № ას-598-569-2013 გადაწყვეტილება.

ნიორები, ანდა საერთოდ წინააღმდეგი იყვნენ ამ გადაწყვეტილების მიღების, მაგალითად, კენჭისყრაში მონაწილეთა უმცირესობა.[15]

2. მავალდებულებელი და განკარგვითი

მავალდებულებელია გარიგება, რომლითაც პირი (მოვალე) კისრულობს რაიმე მოქმედების შესრულების ან შესრულებისაგან თავის შეკავების ვალდებულებას სხვა პირის (კრედიტორის) წინაშე, მაგალითად, ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველი იღებს ვალდებულებას გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე (477 I). **15**

მავალდებულებელი გარიგება შეიძლება იყოს **ცალმხრივი** (მაგალითად, ჯილდოს საჯაროდ დაპირება) ან **ორმხრივი** (მაგალითად, ნასყიდობა, იჯარა, გადაყიდვა და ა.შ.). **16**

ვალდებულებით სამართალში არსებული ყველა ხელშეკრულება არ წარმოადგენს მავალდებულებელ გარიგებას, მაგალითად, ვალის პატიება (448-451).[16]

განკარგვითია გარიგება, რომლითაც უფლებამოსილი პირი ცვლის უკვე არსებულ უფლებას იმით, რომ უარს ამბობს ამ უფლებაზე, მაგალითად, უძრავი ნივთის მესაკუთრის მიერ უარის თქმა საკუთრებაზე (184). განკარგვა გულისხმობს უფლების ან სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტას.[17] ნივთის განკარგვაც იურიდიულად ნიშნავს ამ ნივთზე უფლების, მაგალითად, საკუთრების, განკარგვას.[18] **17**

მავალდებულებელი გარიგებებისაგან განსხვავებით, განკარგვით გარიგებებს ორი მნიშვნელოვანი თავისებურება ახასიათებს: პირველი, განკარგვა შეიძლენა კონკრეტული საგნის ან უფლების (განსაზღვრულობის პრინციპი) და მეორე, განმკარგველი პირი უნდა იყოს უფლებამოსილი პირი, ე.ი. მას უნდა ჰქონდეს განკარგვის უფლებამოსილება.[19] არაუფლებამოსილი პირის მიერ განხორციელებული განკარგვა ბათილია (102). სანივთო განკარგვების მიმართ გამოიყენება დამატებით **საჯაროობის პრინციპი,**[20] მაგალითად, მფლობელი ივარაუდება მესაკუთრედ ან რეესტრის ჩანაწერი მიიჩნევა სწორად და ა.შ.

3. კაუზალური და აბსტრაქტული

კაუზალურია გარიგება, თუკი მისგან გამომდინარეობს სამართლებრივი საფუძველი, ე.წ. causa და გარიგების ნამდვილობა დამოკიდებულია ამ საფუძვლის ნამდვილობაზე. მაგალითად, უძრავ ნივთზე საკუთრების გადაცემისათვის აუცილებელია მისი სამართლებრივი საფუძვლის – ნასყიდობა, **18**

15 *Medicus*, BGB AT, 10. Aufl., 2010, Rn. 205.
16 შდრ. გერმანულ სამართალში: *Medicus,* BGB AT, 10. Aufl., 2010, Rn. 207.
17 მაგ. გერმანულ სამართალში: *Larenz/Wolf,* AT des bürg. Rechts, 9. Aufl., 2004, § 23 IV 1 Rn. 35.
18 *Tuhr,* AT des bürg. Rechts, 1957, Bd. 2/1, S. 242.
19 *Medicus,* BGB AT, 10. Aufl., 2010, Rn. 209-210.
20 ანალოგიურად გერმანულ სამართალში: *Medicus,* BGB AT, 10. Aufl., 2010, Rn. 209-211.

ჩუქება, გაცვლა და ა.შ. მითითება. თუ ეს საფუძველი ბათილია, მაგალითად, ნასყიდობის ხელშეკრულება არ არის წერილობით გაფორმებული, მაშინ გარიგება მთლიანად ბათილია და შემძენი მესაკუთრე ვერ გახდება.

19 სამართლებრივი საფუძვლის მნიშვნელობის მაგალითია 56 I მუხლით გათვალისწინებული **მოჩვენებითი გარიგება,** რომელიც გარიგებას ბათილად აღიარებს მხოლოდ იმის გამო, რომ სამართლებრივი საფუძველი არ არის სწორად მითითებული, მაგალითად, მითითებულია ჩუქება, სინამდვილეში კი ნასყიდობაა

20 **აბსტრაქტული გარიგების** ნამდვილობისათვის გარიგების სამართლებრივ საფუძველს მნიშვნელობას არ ანიჭებს და გარიგების ნამდვილობა დამოუკიდებელია ამ სამართლებრივი საფუძვლის ნამდვილობაზე. მაგალითად, 925 I მუხლის თანახმად, საორდერო ფასიანი ქაღალდის (მაგალითად, ჩეკის) ჩაბარების სანაცვლოდ გადახდის მოთხოვნა, მიუხედავად იმისა, თუ რა სამართლებრივი საფუძველი უდევს მას. ასევე, მოთხოვნის დათმობისას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ რა საფუძვლითა და მიზნით ხდება მოთხოვნის დათმობა, ე.ი. მას საფუძვლად შეიძლება ედოს ჩუქება, ნასყიდობა, გაცვლა და ა.შ.

აბსტრაქტულ გარიგებებად ჩვეულებრივ მიიჩნევა **განკარგვები**, თუმცა აბსტრაქტული შეიძლება იყოს ვალდებულებით-სამართლებრივი გარიგებებიც, მაგალითად, ვალის არსებობის აღიარება (341) ან ზემოთ დასახელებული საორდერო ფასიანი ქაღალდების გამოყენება.[21]

21 **აბსტრაქტული გარიგება არ არის აბსტრაქციის პრინციპის იდენტური.** აბსტრაქციის პრინციპის დროს მავალდებულებელი გარიგების არსებობა სანივთო გარიგების არსებობის წინაპირობაა, თუმცა ნამდვილობის თვალსაზრისით მისგან დამოუკიდებელი. აბსტრაქტული გარიგების დროს ასეთი წინაპირობის არსებობა კაუზალური გარიგების სახით არ მოითხოვება. მაგალითად, აბსტრაქტციის პრინციპის დროს საკუთრების გადაცემისათვის მხოლოდ სანივთო გარიგების დადება არ არის საკმარისი. აუცილებელია ნასყიდობის ან სხვა კაუზალური გარიგების დადებაც. მაგრამ, თუ კაუზალური გარიგება ბათილი აღმოჩნდება, ეს ავტომატურად არ იწვევს სანივთო გარიგების ბათილობას, რომლითაც მოხდა საკუთრების გადაცემა შემძენზე.[22]

4. სასყიდლიანი და უსასყიდლო

22 **სასყიდლიანია გარიგება,** რომელშიც გარიგების ერთი მონაწილის მიერ ნაკისრ ვალდებულებას შეესაბამება მეორე მონაწილის საპასუხო შესრულება – ეკვივალენტი. მაგალითად, ნასყიდობისას ნასყიდობის საგნის სანაცვლოდ მყიდველი გამყიდველს უხდის ამ საგნის საფასურს.

23 **უსასყიდლო გარიგების** დროს გარიგების ერთი მონაწილე კისრულობს

21 შდრ. *Medicus,* BGB AT, 10. Aufl., 2010, Rn. 215.

22 დაწვრილებით გერმანულ სამართალში აბსტრაქციის პრინციპების შესახებ იხ.: *Medicus,* BGB AT, 10. Aufl., 2010, Rn. 220-241.

ვალდებულების შესრულებას ისე, რომ ამისთვის სანაცვლოს (ეკვივალენტს) არ იღებს მეორე მხარისაგან, მაგალითად, ჩუქების დროს.

5. გარიგებათა სხვაგვარი კლასიფიკაცია

გარიგებების კლასიფიკაცია შეიძლება სხვა კრიტერიუმებითაც: **ქონებრივი** ან **პირადი, საოჯახო-სამართლებრივი, ვალდებულებით-სამართლებრივი** ან **სანივთო-სამართლებრივი გარიგებები** (მაგალითად, უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების მიტოვება) და ა.შ. ამა თუ იმ ინსტიტუტის მოთავსება სანივთო სამართალში არ იწვევს მის თაობაზე დადებული გარიგების გადაქცევას სანივთო გარიგებად, მაგალითად, იპოთეკის ხელშეკრულება წარმოადგენს ვალდებულებით-სამართლებრივ და არა სანივთო გარიგებას, მიუხედავად იმისა, რომ იპოთეკა აბსოლუტური სანივთო უფლებაა.[23] სასამართლო პრაქტიკა ამ საკითხთან დაკავშირებით კორექტირებას მოითხოვს.[24] 24

23 იხ. ამასთან დაკავშირებით: *ჭანტურია*, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, 2012, გვ. 61.

24 საქ. უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 25 მაისის № ას-1283-1538-09 გადაწყვეტილება, სუს სამოქალაქო საქმეებზე 10/2012, გვ. 98-102.

მუხლი 51. ცალმხრივი ნების გამოვლენის ნამდვილობა

1. ნების გამოვლენა, რომელიც მოითხოვს მეორე მხარის მიერ მის მიღებას, ნამდვილად ჩაითვლება იმ მომენტიდან, როცა იგი მეორე მხარეს მიუვა.

2. ნების გამოვლენა არ ჩაითვლება ნამდვილად, თუ მეორე მხარე წინასწარ ან მაშინვე განაცხადებს უარს.

3. ნების გამოვლენის ნამდვილობაზე შეიძლება გავლენა არ მოახდინოს გარიგების დამდები პირის გარდაცვალებამ ან ამ კოდექსის 1293-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულმა შემთხვევამ, თუ ეს მოვლენა ნების გამოვლენის შემდეგ მოხდა.

საქართველოს 2015 წლის 20 მარტის კანონი №3339 – ვებგვერდი, 31.03.2015წ.

I. ზოგადი დებულებები 294
1. ნორმის მიზანი და გამოყენების სფერო 294
2. ნამდვილობის წინაპირობები 296
3. დისპოზიციური ნორმები 296
II. ნების გამოვლენის მისვლა 297
1. ნების მისვლა 297
2. ნების მისვლის ცალკეული შემთხვევები 298
3. დამხმარე პირების მონაწილეობა ნების მიღების პროცესში 298
4. ნების მიღების ჩაშლა 299
III. ადრესატის უარის სამართლებრივი შედეგი (51 II) 299
1. პრობლემა 299
2. სამართლებრივი შედეგი 300
3. შედარებითი ანალიზი 300
IV. პირის გარდაცვალების შედეგები (51 III) 301
1. ნორმის მიზანი და გამოყენების სფერო 301
2. გამოყენების წინაპირობები 302

I. ზოგადი დებულებები

1. ნორმის მიზანი და გამოყენების სფერო

1 51-ე მუხლი აწესრიგებს მხოლოდ იმ ნების გამოვლინებებს, რომელთა ნამდვილობისათვის აუცილებელია **ნების გამოვლენის მიღება მეორე მხარის მიერ (მიღებასავალდებულო ნების გამოვლენა).** სათაურის მიუხედავად, ეს მუხლი გამოიყენება როგორც ცალმხრივი, ისე ორმხრივი და მრავალმხრივი ნების გამოვლინებების მიმართ, სადაც ფიგურირებს მიღებასავალდებულო ნების გამოვლენა,[1] მაგალითად, ხელშეკრულების დასადებად მიმართული

1 შდრ. *ზოიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი I, 1999, მუხ. 51, გვ. 170; *კერესელიძე*, უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 246-247.

ნების გამოვლინებები – ოფერტი და აქცეპტი.[2] გადამწყვეტი არის **გამოვლენილი ნების მიღების სავალდებულობა ადრესატის** მიერ, რომ ამან გამოიწვიოს სამართლებრივი შედეგის დადგომა, ე.ი. ნების გამოვლენის ნამდვილობა.[3]

მართალია, 51-ე მუხლის შინაარსი ნებისმიერი მიღებასავალდებულო ნების გამოვლენის მიმართ გამოიყენება, მაგრამ იგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია **ცალმხრივი გარიგებებისათვის.**[4] ჩვეულებრივ, ცალმხრივ გარიგებათა ნამდვილობისათვის საკმარისია ერთი პირის ნების გამოვლენა. მაგალითად, ანდერძი ნამდვილია მისი შედგენის მომენტიდან და მნიშვნელობა არა აქვს, მემკვიდრეები მიიღებენ ანდერძს თუ არა. მიუხედავად იმისა, რომ ცალმხრივ გარიგებებში ერთი პირის მიერ ნების გამოვლენას უკვე შეუძლია სამართლებრივი შედეგის გამოწვევა, კანონით დადგენილ შემთხვევებში ამ შედეგის დადგომისათვის სავალდებულოა გარიგების მეორე მონაწილის მიერ ნების გამოვლენის მიღება **(მიღებასავალდებულო ნების გამოვლენა)**.[5] 2

51-ე მუხლი გამოიყენება მხოლოდ **მიღებასავალდებულო ნების გამოვლენის** მიმართ, ე.ი. იმ ნების გამოვლენის მიმართ, რომელიც **მოითხოვს მეორე მხარის მიერ მის მიღებას. მოითხოვს თუ არა ნების გამოვლენა მეორე მხარის მიერ მის მიღებას, კანონიდან უნდა გამომდინარეობდეს.** მაგალითად, 59 II 2 მუხლის თანახმად, შეცილება ხორციელდება ხელშეკრულების მეორე მხარის მიმართ (ანუ შეცილების განცხადება უნდა მიუვიდეს მეორე მხარეს), გამქირავებლის წინადადება ქირავნობის **ხელშეკრულების მოშლის შესახებ** უნდა მიიღოს დამქირავებელმა და ა.შ. 3

იმის გამო, რომ ნების გამოვლენის სამართლებრივი შედეგი შესაძლოა საზიანო იყოს გარიგების მეორე მონაწილისათვის, 51 I მუხლი მოითხოვს გამოვლენილი **ნების მისვლას ადრესატამდე** და განსაზღვრავს **დროის მომენტს,** როცა ნება ჩაითვლება მისულად და შესაბამისად, იწვევს მის ნამდვილობას. ასეთ მომენტად მიიჩნევა ადრესატის მიერ **ნების გამოვლენის მიღება.** 4

ნორმა არ აკონკრეტებს, ეხება იგი **არათანმყოფ თუ თანმყოფ პირებს შორის** განხორციელებულ ნების გამოვლენას, რაც ორივე ვითარებაში მისი გამოყენების შესაძლებლობას იძლევა.[6] თუმცა ზოგიერთი გამონაკლისის გათვალისწინებით იგი ძირითადად არათანმყოფ პირებს შორის ნების გამოვლენის მიმართ გამოიყენება.[7] 5

თანმყოფ პირებს შორის ურთიერთობებში 51 I მუხლის გამოყენება შესაძლებელია მაშინ, როცა კომუნიკაცია გარიგების მონაწილეებს შორის ენის 6

2 შდრ. გერმანულ სამართალში: *Schack,* BGB AT, 12. Aufl., 2008, § 9 Rn. 184.

3 ანალოგიურად გერმანულ სამართალში: *Medicus,* BGB AT, 10. Aufl., 2010, Rn. 259.

4 ამას ადასტურებს ის მრავალრიცხოვანი მაგალითებიც, რომლებიც გერმანულ ლიტერატურაში მოჰყავთ მიღებასავალდებულო ნების გამოვლინებების დასახასიათებლად. შდრ. *Larenz/Wolf,* Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, 9. Aufl., 2004, § 23, Rn. 4-5,

5 შდრ. *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გვ. 298-300.

6 შდრ. *კერესელიძე,* უზოგადესო ცნებები, 2009, გვ. 247.

7 შდრ. გერმანულ სამართალს: *Jauernig,* BGB Kommentar, 13. Aufl., 2009, § 130, Rn. 4.

არცოდნის ან ყრუ-მუნჯობის გამო გართულებულია. მაგალითად, გარიგების მეორე მხარემ არ იცის ის ენა, რომელზეც ხდება ნების გამოვლენა. ასეთ შემთხვევაში მისთვის ინფორმაციის ზეპირად მიწოდება არ ჩაითვლება ნების მისვლად.[8]

7 51-ე მუხლი გამოიყენება **გარიგების მსგავსი ნების გამოვლინებების** მიმართაც, მაგალითად, შეტყობინება, გაფრთხილება, ვადის დანიშვნა და ა.შ., თუკი მათი ნამდვილობისათვის აუცილებელია მეორე მხარის მიერ ნების გამოვლენის მიღება.[9]

2. ნამდვილობის წინაპირობები

8 მიღებასავალდებულო ნების გამოვლენის ნამდვილობისათვის აუცილებელია ორი წინაპირობის არსებობა:

პირველი, გამოხატული ნება უნდა შეიცავდეს **სამართლებრივი შედეგის დადგომის სურვილს.** მაგალითად, ნების გამოვლენა არ იქნება ნამდვილი, თუკი მდივანი შეცდომით გაუგზავნის ადრესატს შეცილების მომზადებულ პროექტს.[10] გარდა ამისა, ეს ნება უნდა იყოს ნების გამომვლენისათვის მბოჭავი და სავალდებულო:[11] ადრესატის მიერ ამ ნების მიღების შემთხვევაში ნების გამომვლენმა უნდა შეასრულოს გამოვლენილ ნებაში გათვალისწინებული ვალდებულება, მაგალითად, შეასრულოს ხელშეკრულების მოშლით გამოწვეული ვალდებულება.

მეორე, **ნება მიმართული უნდა იყოს ადრესატისაკენ,** მაგალითად, ნების გამოვლენა არ იქნება ნამდვილი, თუკი ადრესატი მედიით შეიტყობს იმის შესახებ, რომ გარიგების მონაწილე წყვეტს მასთან ურთიერთობას.

3. დისპოზიციური ნორმები

9 51-ე მუხლის ნორმები **დისპოზიციურია** და გარიგების მონაწილეებს შეუძლიათ სხვა რამეზე შეთანხმდნენ.[12] მაგალითად, შეუძლიათ განსაზღვრონ, რომ ნების გამოვლენა ნამდვილია არა ადრესატთან მისვლის, არამედ ინტერნეტ გვერდზე გამოქვეყნების მომენტიდან.

51-ე მუხლი გამოიყენება მაშინ, როცა მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან და ადრესატის მიერ ნების მიღების საკითხი სადავოა.

8 ასეთია გერმანული სამართლის მიდგომა ამ საკითხისადმი: *Jauernig,* BGB Kommentar, 13. Aufl., 2009, § 130, Rn. 12.

9 შდრ. *Larenz/Wolf,* Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, 9. Aufl., 2004, § 26, Rn. 15.

10 დისკუსია ამასთან დაკავშირებით: *Medicus,* BGB AT, 10. Aufl., 2010, Rn. 266.

11 *Medicus,* Allgemeiner Teil des BGB, 10. Aufl., 2010, Rn. 267.

12 შდრ. გერმანულ სამართალს: *Wendtland,* in Beck OK BGB, Hrsg: *Bamberger/Roth,* 27. Aufl. Stand 01.05.2013, § 130 Rn. 32.

II. ნების გამოვლენის მისვლა

1. ნების მისვლა

51 I მუხლი განამტკიცებს **ნების მიღების თეორიას,**[13] რომლის თანახმად ნების გამოვლენის ნამდვილობისათვის აუცილებელია **გამოვლენილი ნების მისვლა ადრესატამდე.** არა აქვს მნიშვნელობა, ადრესატი ეთანხმება გამოვლენილ ნებას თუ არა. მაგალითად, ბინის დამქირავებელს შეიძლება არც სურდეს ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტა, მაგრამ, თუ არსებობს ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის საფუძველი, გამქირავებელს უფლება აქვს დადგენილი ვადის დაცვით შეატყობინოს დამქირავებელს ქირავნობის მოშლის შესახებ. ასევე, მინდობილობის გაუქმების შესახებ ნების გამოვლენა ძალის მქონე იქნება, თუკი იგი მიუვა იმ პირს, რომლის მიმართაც ჰქონდა ადგილი წარმომადგენლობას.[14] **10**

კანონი არ განსაზღვრავს **„ნების მისვლის“ ცნებას.** ამიტომ ნების მისვლის მომენტის დადგენისათვის მნიშვნელოვანია სასამართლო პრაქტიკის ან იურიდიული ლიტერატურის გამოცდილების გათვალისწინება. ლიტერატურაში შემოთავაზებული დეფინიციის თანახმად ნება მიღებულად ჩაითვლება, თუ იგი მოხვდა „მიმღების ძალაუფლების სფეროში“.[15] ნების გამოვლენა მისულად ჩაითვლება, როცა დოკუმენტი, რომელშიც გამოხატულია ნება, აღმოჩნდება ადრესატის ხელში.[16] **11**

ნება მისულად ჩაითვლება, თუკი ნების მატარებელი საშუალება (მაგალითად, წერილი) ადრესატის **ზემოქმედების სფეროში**[17] მოექცევა და მას აქვს ნორმალურ ვითარებაში ამ **ნების გაცნობის შესაძლებლობა,** მაგალითად, საფოსტო ყუთში წერილის მოთავსება, ელექტრონული წერილის (მაილის) ან ფოსტის მიღება. არა აქვს მნიშვნელობა ადრესატი ამ შეტყობინებას წაიკითხავს თუ არა.[18] მთავარია იმის ვარაუდი, რომ იგი დაუყოვნებლივ გაეცნობა მის შინაარსს.[19] **12**

ნების გამოვლენა მისულად შეიძლება ჩაითვალოს იმ **დოკუმენტის ფიზიკურად ჩაბარების გარეშეც,** რომელშიც გამოხატულია ნება, მაგალითად, წერილი გადაეცა ადრესატს, მაგრამ მან ის არ მიიღო ან მოითხოვა, რომ წერილი დაეტოვებინათ ფოსტაში და თვითონ წამოიღებდა, მაგრამ არ წამოიღო და ა.შ.[20] **13**

საპატიო მიზეზად, როგორც წესი, არ ითვლება, ადრესატის ავადმყოფო- **14**

13 თეორიათა მიმოხილვა ნახეთ: *ზოიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, 1999, მუხ. 51, გვ. 170; ასევე: *Medicus,* BGB AT, 10. Aufl., 2010, Rn. 268-273.

14 საქ. უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 5 აპრილის № ას-514-898-06 გადაწყვეტილება.

15 შდრ. *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 247.

16 *ზოიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, 1999, მუხ. 51, გვ. 171.

17 გამოიყენება ასევე „ადრესატის ძალაუფლება“ (*ზოიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, 2002, მუხ. 51, გვ. 171), „მიმღების ძალაუფლების სფერო“ (*კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 247).

18 *Wendtland,* inBeck OK BGB, 27. Aufl. Stand 01.05.2013, § 130 Rn. 12.

19 *ზოიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, 1999, მუხ. 51, გვ. 171.

20 იქვე.

ბა, ხანგრძლივი მივლინება, პატიმრობა ან შვებულებაში ყოფნა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ნების გამომვლენმა იცოდა ამ გარემოებების შესახებ.[21]

2. ნების მისვლის ცალკეული შემთხვევები

15 ნების გამოვლენის მისვლის, ნების მიღების შემთხვევები განსხვავდება ერთმანეთისაგან და დამოკიდებულია როგორც კომუნიკაციის ფორმაზე, მაგალითად, შეტყობინება დაზღვეული წერილის მეშვეობით, ისე მხარეთა შეთანხმებაზე ანდა სხვა გარემოებებზე. ქვემოთ ჩამოთვლილ მაგალითებს მხოლოდ საორიენტაციო ფუნქცია აქვთ.

16 **დაზღვეული წერილით გაგზავნილი შეტყობინება (ნების გამოვლენა)** მიღებულად ითვლება იმ მომენტიდან, როცა წერილი ადრესატს ჩაბარდება და ამას ის ხელმოწერით დაადასტურებს. ბარათის დატოვება სახლში, რომ მის სახელზე ფოსტაში ინახება წერილი, არ უნდა ჩაითვალოს ნების მიღებად.[22]

წერილები მისულად უნდა ჩაითვალოს ადრესატის საფოსტო ყუთში მათი ჩაგდების ან ბინის (სახლის) შესასვლელი კარის ქვეშ წერილის შეცურების მომენტიდან.[23]

17 **საწარმოს ფილიალში წერილის ჩაბარება** უნდა ჩაითვალოს საწარმოს იურიდიულ მისამართზე ნების გამოვლენის მისვლად, რადგან ფილიალის ამოცანა არის საწარმოს ინტერესების წარმოდგენა ძირითადი ადგილსამყოფელისაგან განსხვავებულ ადგილებში.[24]

18 ფაქსის ან **ელექტრონული წერილის** (E-Mail) გაგზავნა ითვლება ნების გამოვლენის მიღებად, მიუხედავად იმისა, ეს ფაქსი ან მეილი ადრესატმა ამობეჭდა თუ არა.[25] კორესპონდენციის მისაღებად გამოსაყენებელი და კომუნიკაციისათვის მითითებული ტექნიკური აპარატის გაუმართაობის რისკი ეკისრება ადრესატს (მეორე მხარეს).[26] ფაქსის ნომრისა და ელექტრონული ფოსტის მისამართის მითითებით პირი ქმნის დასაბუთებული ვარაუდის საფუძველს იმისათვის, რომ ამ კომუნიკაციისათვის გამიზნული ტექნიკური საშუალებებიც გამართულად იმუშავებს.

3. დამხმარე პირების მონაწილეობა ნების მიღების პროცესში

19 ვითარება იცვლება, როცა ნების მიღების პროცესში **შუალედური რგოლები,** მაგალითად, მდივანი, წარმომადგენელი, ოჯახის წევრები და ა.შ. ჩაერთვებიან. თუ ადრესატი ამ პირებს საქმიან ურთიერთობებში მისი სახელითა და მის სასარგებლოდ მონაწილეობას ანდობს, მაშინ მათთვის წერ-

21 *Wendtland,* in Beck OK BGB, 27. Aufl. Stand 01.05.2013, § 130 Rn. 9.
22 გერმანულ სამართალში: *Wendtland,* in Beck OK BGB, 27. Aufl. Stand 01.05.2013, § 130 Rn. 13.
23 *Schiemann,* in Staudinger/Eckpfeiler des Zivilrechts, 2011, C Rn. 31.
24 მსგავსი მიდგომაა გერმანულ სამართალში: *Ellenberger,* in Palandt BGB Komm., § 130, Rn. 6.
25 *Jauernig,* BGB Kommentar, 13. Aufl., 2009, § 130, Rn. 5; *Schiemann,* in Staudinger/Eckpfeiler des Zivilrechts, 2011, C Rn. 31.
26 *Wendtland,* in Beck OK BGB, 27. Aufl. Stand 01.05.2013, § 130 Rn. 25.

ილის ან სხვა დოკუმენტაციის ჩაბარება უნდა შეფასდეს ადრესატისთვის ნების მისვლად.[27] მაგალითად, თუ მდივანი დროზე არ გადასცემს წერილს თავის უფროსს, ეს არ იქნება საპატიო მიზეზი.

შუალედურ რგოლად და შესაბამისად **ნების მიმღებად არ გამოდგებიან** ბავშვები, ქმედუუნარო პირები ან ხელოსნები, რომლებიც ნების მიმღების ფირმაში დროებით მუშაობენ. მათთვის წერილის ჩაბარება არ უნდა ჩაითვალოს ადრესატთან ნების მისვლად.[28] 20

4. ნების მიღების ჩაშლა

განსხვავებით მიღებული ნების შინაარსის გაცნობაზე თავის შეკავებისაგან, მაგალითად, ადრესატი არ ხსნის კონვერტს და არ კითხულობს შეტყობინებას, **ნების მიღების ჩაშლის** დროს ადრესატი თავს არიდებს ნების მიღებას და მიმართავს ისეთ ზომებს, რომელიც შეუძლებელს ხდის ადრესატამდე ნების მიღწევას, მაგალითად, ადრესატი იცვლის საცხოვრებელს ადგილს და არ უთითებს ახალ მისამართს.[29] 21

ნების მიღების ჩაშლის თავიდან ასაცილებლად, გარიგების მონაწილეები შეიძლება შეთანხმდნენ **ნების მიღებაზე უფლებამოსილ მესამე პირზე,** რომელიც ადრესატის არყოფნის შემთხვევაში მიიღებს კორესპონდენციას და ამით ნება ადრესატამდე მისულად ჩაითვლება.[30] 22

ნების მიღების ჩაშლით გამოწვეული **ზიანის ანაზღაურება** ჩვეულებრივ ეკისრება ადრესატს, თუკი ზიანი მისი ბრალის შედეგად დადგა. 23

III. ადრესატის უარის სამართლებრივი შედეგი (51 II)

1. პრობლემა

51 II მუხლი გარიგების მეორე მხარეს **გამოვლენილი ნების უარყოფის უფლებას**[31] აძლევს, რაც გარკვეულწილად წინააღმდეგობაში მოდის ცალმხრივი ნების გამოვლენის ბუნებასთან: თუკი გარიგების მეორე მხარეს გამოვლენილი ნების მიღებაზე უარის თქმის უფლება ექნება, მაშინ ცალმხრივი ნების გამოვლენით მისაღწევი სამართლებრივი შედეგის დადგომა შეუძლებელი ხდება.[32] მაგალითად, თუ დამქირავებელი არ გადაიხდის ქირას, 558-ე მუხლის თანახმად, გამქირავებელი ცალმხრივად ვეღარ მოშლიდა ქირავნობის ხელშეკრულებას, თუკი დამქირავებელი „წინასწარ ან მაშინვე განაცხადებს უარს“. 24

27 შდრ. გერმანულ სამართალს: *Wendtland,* in Beck OK BGB, 27. Aufl. Stand 01.05.2013, § 130 Rn. 16.
28 შდრ. გერმანულ სამართალს: *Wendtland,* in Beck OK BGB, 27. Aufl. Stand 01.05.2013, § 130 Rn. 18.
29 შდრ. *Larenz/Wolf,* Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, 9. Aufl., 2004, § 26, Rn. 44.
30 შდრ. *Larenz/Wolf,* Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, 9. Aufl., 2004, § 26, Rn. 48.
31 გერმანული სამართლის მსგავსად, ქართულ სამართალშიც შემოთავაზებულია „ნების გამოვლენის გამოთხოვის“ შემუშავების წინადადება. შდრ. *კერესელიძე*, უზოგადესი ცნებები, გვ. 248.
32 ამ ნორმის კრიტიკა ნახეთ: *კერესელიძე*, უზოგადესი ცნებები, გვ. 248-249.

25 ცხადია, კანონმდებელს ასეთი განზრახვა არ უნდა ჰქონდეს, რადგან ეს არარაობად აქცევს 51 I მუხლით მინიჭებულ უფლებას. ამიტომ **კანონის ეს ნორმა ძალიან ვიწროდ უნდა იქნეს გაგებული და გამოყენებული** და მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა გარიგების მეორე მხარეს უარის უფლება აქვს, მაგალითად, 66-ე მუხლი. თუ რა საფუძვლით აქვს მეორე მხარეს უარის უფლება, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შემოწმდეს.

26 გარდა ამისა, ადრესატს უფლება აქვს უარი თქვას ნების გამოვლენის მიღებაზე, თუკი დარღვეულია მისი ტრანსპორტირების ან ჩაბარების წესი. მაგალითად, თუ დალუქული კონვერტი გახსნილი აღმოჩნდა ანდა ჩაბარების ვადა გასულია და ა.შ. ასეთ შემთხვევებში ადრესატის უარი უნდა შეფასდეს როგორც ნების არმისვლა ადრესატამდე.[33]

2. სამართლებრივი შედეგი

27 გამოვლენილი ნების მიღებაზე **წინასწარ ან მიღებისთანავე უარის თქმა** იწვევს იმას, რომ ვერ დგება ამ ნების გამოვლენით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგი, მაგალითად, 66-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში არასრულწლოვანი ვერ მიიღებს ცალმხრივი გარიგებით დასახულ მიზანს, თუკი მას სურს ბინის ქირავნობის ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლა.

წინასწარ უარის თქმის მაგალითად შეიძლება გამოდგეს ასევე მომავალი წარმომადგენლის მიერ მარწმუნებლისათვის წინასწარ გაგზავნილი უარი.[34] მაგალითად, მართალია, წარმომადგენელი შეუთანხმდა მარწმუნებელს, რომ ის წარმოადგენდა მის ინტერესებს სასამართლოში, რის შემდეგაც მარწმუნებელმა მას გაუგზავნა წერილობითი მინდობილობა. მინდობილობის მიღებამდე წარმომადგენელმა გადაიფიქრა და ელექტრონული ფოსტით გაუგზავნა მარწმუნებელს უარი წარმომადგენლობაზე.

3. შედარებითი ანალიზი

28 51 II მუხლით გათვალისწინებული უარის უფლებას გერმანიის სამოქალაქო კოდექსი ანიჭებს თვით ნების გამომვლენს და არა გარიგების მეორე მხარეს.[35] თუკი ნების გამომვლენი დაუყოვნებლივ გამოიხმობს თავის ნებას, მაშინ მის მიერ გამოვლენილი ნება არ ჩაითვლება ნამდვილად და სამართლებრივი შედეგი აღარ დადგება.[36]

ცხადია, ასეთი ფორმულირება მოხსნიდა ზემოთ აღნიშნულ უხერხულობას, მაგრამ, ვიდრე კანონის ნორმა არ შეცვლილა, სასურველია, მისი

33 51 II მუხლი იძლევა ასეთი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას. შდრ. გერმანულ სამართალს: *Wendtland,* in Beck OK BGB, 27.Aufl. Stand 01.05.2013, § 130 Rn. 21.

34 *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გვ. 300.

35 გერმანიის სამოქალაქო კოდექსის § 130 I მეორე წინადადება.

36 შდრ. *Schiemann,* in Staudinger/Eckpfeiler des Zivilrechts, 2011, C Rn. 40.

გამოყენება არა ზოგადად ყველა შემთხვევაში, არამედ მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ ან ზემოთ მითითებულ შემთხვევებში.

ლიტერატურაში შემოთავაზებულია **ნების გამომვლენისათვის ნების უკან გამოთხოვის უფლების მინიჭება,**[37] რითაც 51 II მუხლი გაიმეორებს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის ანალოგიურ ნორმას.

IV. პირის გარდაცვალების შედეგები (51 III)

1. ნორმის მიზანი და გამოყენების სფერო

29 ადრესატამდე ნების გამოვლენის მისვლით ნების გამოვლენა ხდება ნამდვილი (51 I მუხლი). აქედან ლოგიკურად გამომდინარეობს, რომ ადრესატამდე ნების მისვლის შემდეგ ნების გამომვლენი პირის გარდაცვალება ვეღარ მოახდენს გავლენას ნების გამოვლენის ნამდვილობაზე (51 III მუხლი). კანონის ეს ნორმა **სამოქალაქო ბრუნვის სიმყარის** ინტერესებს ემსახურება,[38] რადგან **იცავს ნების მიმღებს,** რომელმაც არ იცის ან გვიან გაიგო ნების გამომვლენი პირის გარდაცვალების შესახებ, ხოლო თვითონ კი საქმეები უკვე მიღებულ ნებას მიუსადაგა.[39] მაგალითად, თუ ბინის გამქირავებელმა შეატყობინა დამქირავებელს ბინის ქირავნობის ხელშეკრულების მოშლის შესახებ, გამქირავებლის გარდაცვალება გავლენას არ მოახდენს ხელშეკრულების მოშლაზე, მით უფრო, თუკი დამქირავებელმა ამასობაში უკვე დაიქირავა ახალი ბინა.

30 **კანონისმიერი წარმომადგენლებისათვის ან მემკვიდრეებისათვის** სავალდებულოა იმ ნების გამოვლენა, რომელიც გააკეთა ნების გამომვლენმა გარდაცვალებამდე ან ქმედუნარიანობის დაკარგვამდე.[40] გამონაკლისი ამ წესიდან შეიძლება მაშინ არსებობდეს, როცა ადრესატამდე მისული ნების მიხედვით ნების გამომხატველს ვალდებულება პირადად უნდა შეესრულებინა, მაგალითად, მწერლის ოფერტი, რომ ის წლის ბოლომდე ახალ რომანს ჩააბარებდა გამომცემელს (ადრესატს), რომელსაც გამომცემელმა აქცეპტით უპასუხა, ე.ი. მიიღო. მართალია, მწერლის გარდაცვალება მის მიერ გამოვლენილი ნების ნამდვილობაზე გავლენას არ ახდენს, მაგრამ 453 I მუხლის მიხედვით გარდაცვალებით მისი ვალდებულება შეწყდება, რადგან მემკვიდრეს არ შეუძლია ამ ვალდებულების შესრულება. ალბათ ამ გამონაკლისის აღსანიშნავად იყენებს 51 III მუხლი გამოთქმას „ნამდვილობაზე შეიძლება გავლენა არ მოახდინოს“.[41] ჩვეულებრივ, ნების გამომვლენი პირის გარდაცვალება გავლენას არ ახდენს გამოვლენილი ნების ნამდვილობაზე.

37 *ზოიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი I, 1999, მუხ. 51, გვ. 172.

38 იქვე.

39 *Wendtland,* in Beck OK BGB, 27.Aufl. Stand 01.05.2013, § 130 Rn. 7.

40 *Wendtland,* in Beck OK BGB, 27.Aufl. Stand 01.05.2013, § 130 Rn. 7.

41 სამოქალაქო კოდექსის თავდაპირველ პროექტში, რომელიც განსახილველად წარედგინა პარლამენტს, იყო სხვა რედაქცია: „ნების გამოვლენის ნამდვილობაზე არ შეიძლება გავლენა მოახდინოს...“. დღეს მოქმედი რედაქციის კრიტიკა ნახეთ: *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, გვ. 250.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის №2/4/532,533 გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელმაც გააუქმა სულით ავადმყოფობის ან ჭკუასუსტობის გამო პირის ქმედუუნაროდ აღიარების ინსტიტუტი, 2015 წლის 20 მარტს მიღებული კანონით 51 III მუხლს დაემატა მითითება 1293 IV ნაწილზე, რამაც საკმაოდ ბუნდოვანი გახადა ამ ნორმის გამოყენება ამ კონკრეტულ შემთხვევაში.

2. გამოყენების წინაპირობები

31 51 III მუხლის გამოყენების წინაპირობაა ნების გამოვლენის მიღება ადრესატის მიერ ამ ნების გამომვლენის **გარდაცვალებამდე.** ეს წესი გამოიყენება მაშინაც, როცა გარდაცვლილ პირს სურდა, რომ ნების გამოვლენა მისი გარდაცვალების შემდეგ გამხდარიყო ნამდვილი.[42] მაგალითად, ანდერძის დამტოვებელმა ანდერძში მემკვიდრეებისაგან მოითხოვა მისი დასაჩუქრებულის მიმართ ჩუქების გაუქმება და გაჩუქებული ქონების გამოთხოვა.[43]

მნიშვნელობა არა აქვს, თუ რამდენი დროა გასული ნების გამოვლენასა და ნების გამომვლენი პირის გარდაცვალებას შორის. მთავარია, რომ ნების გამოვლენა წინ უნდა უსწრებდეს ამ ორივე მოვლენას.

32 გარდაცვალებას უნდა გაუთანაბრდეს **პირის გამოცხადება გარდაცვლილად** (22-ე მუხლი).

42 შდრ. *Medicus*, BGB AT, 10. Aufl., 2010, Rn. 292.
43 შდრ. *Jauernig,* BGB Kommentar, 13. Aufl., 2009, § 130, Rn. 17.

მუხლი 52. ნების გამოვლენის განმარტება

ნების გამოვლენის განმარტებისას ნება უნდა დადგინდეს გონივრული განსჯის შედეგად, და არა მარტოოდენ გამოთქმის სიტყვასიტყვითი აზრიდან.

I. ზოგადი დებულებები 303
1. ნორმის მიზანი და ნების გამოვლენის განმარტების აუცილებლობა 303
2. თანაფარდობა კანონის განმარტებასთან 304
3. კავშირი სხვა ნორმებთან 305
II. განმარტების მეთოდები 305
1. გონივრული განსჯა თუ სიტყვასიტყვითი გაგება 305
2. ნების მიმღების (ადრესატის) ინტერესების უპირატესობა 306
3. სავაჭრო ჩვეულებები და ტრადიციები 307
4. პირთა განუსაზღვრელი წრის მიმართ ნების გამოვლენის განმარტება 308
5. ანდერძის განმარტება 308
6. დუმილისა და სხვა კონკლუდენტური მოქმედებების განმარტება 309
ა. დუმილი 309
ბ. კონკლუდენტური მოქმედებები 309
გ. განმარტების საერთო წესები 310
7. განმარტების შეუძლებლობის შედეგი 310

I. ზოგადი დებულებები

1. ნორმის მიზანი და ნების გამოვლენის განმარტების აუცილებლობა

სამართლებრივი შედეგის მისაღწევად გამიზნული **ნება შეიძლება სხვადასხვა ფორმით** გამოიხატოს: მოქმედებით, უმოქმედობით, წერილობით, ზეპირად, დუმილით და ა.შ. ნების გამოვლენის ფორმათა ამ მრავალფეროვნებაში დიდია იმის ალბათობა, რომ გარიგების მონაწილეებმა განსხვავებული მნიშვნელობით გაიგონ გამოვლენილი ნება, ვიდრე ეს ნების გამომვლენს ჰქონდა ნაგულისხმევი. **გამოვლენილ ნებათა კონფლიქტის** გადაწყვეტის სამართლებრივ საშუალებას წარმოადგენს **ნების გამოვლენის განმარტება**. **1**

ნების გამოვლენის განმარტების აუცილებლობა წარმოიშობა მაშინ, როცა გამოვლენილი ნება **ბუნდოვანი, არაზუსტი და ორაზროვანია**[1] და გარიგების მონაწილეებს განსხვავებულად ესმით მისი შინაარსი. ნათლად და არაორაზროვნად ჩამოყალიბებულ ნებას განმარტება არ სჭირდება, თუმცა ნება ნათლად და არაორაზროვნად არის ჩამოყალიბებული თუ არა, ესეც განმარტების შედეგად უნდა დადგინდეს.[2] ერთი შეხედვით ნათელი და არაორაზროვანი, **2**

1 შდრ. *Bar/Zimmermann,* Grundregeln des Europäischen Vertragsrechts, Teile I und II, 2002, S. 341 ff.
2 შდრ. *Jauernig,* BGB, 13. Aufl., 2009, § 133, Rn. 2.

არცთუ იშვიათად, შეიძლება საკმაოდ ბუნდოვანიც კი იყოს.

მხარეთა ნება უნდა განიმარტოს იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ეჭვის საფუძველი ნების არასწორ ან არასრულ გამოხატვაში, – მიიჩნევს უზენაესი სასამართლო თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში.[3]

3 ნებისმიერი ნების გამოვლენა, მიუხედავად მისი ფორმისა, მათ შორის წერილობითიც და სანოტარო წესით დამოწმებულიც, ასევე ხელშეკრულების სტანდარტული პირობებიც (345) შეიძლება იყოს **განმარტების საგანი.**[4] განმარტების აუცილებლობა დამოკიდებულია არა ნების გამოვლენის ფორმაზე, არამედ ამ ნების ბუნდოვნობაზე.

4 52-ე მუხლი შეიცავს **ნების გამოვლენის განმარტების ზოგად დირექტივას,** რომლის მიზანიც არის გარიგების მონაწილეთათვის სადავოდ ქცეული ნების დადგენა.[5] ამრიგად, განმარტების მიზანი არის არა ნების გამოვლენისათვის ახალი მნიშვნელობის მინიჭება, არამედ გარიგების მონაწილეთა ნების დადგენა.[6]

2. თანაფარდობა კანონის განმარტებასთან

5 ნების განმარტების გარდა სამოქალაქო კოდექსი იცნობს ასევე **კანონის განმარტების** ცნებას (2 II). ორივე განმარტების მიზანი ბუნდოვანი და სადავო დებულებების დაზუსტებაა. კანონის განმარტებას ზოგადი ხასიათი აქვს, გამოიყენება სამართლის ყველა სუბიექტის მიმართ და მიზნად ისახავს **კანონის ბუნდოვანი ადგილების ერთიანი გაგების უზრუნველყოფას.** ნების გამოვლენის განმარტების მიზანი კი მხოლოდ გარიგების მონაწილეთა შორის წარმოშობილი გაუგებრობის გარკვევაა, რის გამოც ნების გამოვლენის განმარტებას მნიშვნელობა მხოლოდ გარიგების მონაწილეთათვის აქვს.[7]

6 მეორე მხრივ, **კანონის განმარტებას შეიძლება გავლენა ჰქონდეს ნების გამოვლენის განმარტებაზე.** ეს ხდება მაშინ, როცა კანონი ნების გამოვლენის განმარტებისათვის კანონის ნორმაზე უთითებს და კანონის ამ ნორმის სასამართლოსეული ინტერპრეტაცია საფუძვლად ედება ნების გამოვლენის განმარტებას. მაგალითად, 337-ე მუხლი ხელშეკრულებათა ცალკეული გამონათქვამების განმარტებისას ითვალისწინებს საცხოვრებელი ადგილის პრინციპს. თუ სასამართლო საცხოვრებელი ადგილის ცნების ფართო დეფინიციას დაუჭერს მხარს, მაგალითად, სტუდენტის სწავლის ადგილიც იქნება მიჩნეული საცხოვრებელ ადგილად, ამან შეიძლება გავლენა მოახდინოს ნების გამოვლენის განმარტებაზეც.

---

3 საქ. უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 16 თებერვლის № ას-908-856-201 გადაწყვეტილება, გვ. 61.

4 შდრ. *Bar/Zimmermann,* Grundregeln des Europäischen Vertragsrechts, Teile I und II, 2002, S. 341-342.

5 ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა, მაგალითად, საფრანგეთი, ბელგია, ლუქსემბურგი, ესპანეთი და ა.შ. შეიცავს ნების გამოვლენის განმარტების დეტალურ წესებს. იხ.: *Bar/Zimmermann,* Grundregeln des Europäischen Vertragsrechts, Teile I und II, 2002, S. 344.

6 გერმანიის სამოქალაქო კოდექსის §133, განსხვავებით ქართული სამოქალაქო კოდექსი, არ იყენებს „ნამდვილი ნების“ ცნებას, თუმცა სწორედ ეს იგულისხმება ნების დადგენაში. შდრ. *Wendtland,* in Beck OK BGB, 27. Aufl. Stand 01.05.2013, § 133 Rn. 3.

7 შდრ. *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 320.

კანონთა განმარტება იურიდიული მეთოდოლოგიის ნაწილია და ამიტომ მისი განხილვა ნების გამოვლენის განმარტების კონტექსტში არ არის მიზანშეწონილი.[8] 7

3. კავშირი სხვა ნორმებთან

52-ე მუხლი ნების განმარტების განსაზღვრისას ცენტრალური ნორმაა, მაგრამ მისი გამოყენებისას მნიშვნელოვანია სხვა მუხლებთან კავშირიც. კერძოდ, **ხელშეკრულებათა განმარტებისას რელევანტურია 337-340-ე მუხლების** დებულებები, ხელშეკრულებათა სტანდარტულ პირობებში ბუნდოვანი ადგილების განმარტებისას – 345-ე მუხლი და ა.შ. 8

52-ე მუხლთან მიმართებაში სამოქალაქო კოდექსის სხვა ნორმები განმარტების თაობაზე დამხმარე, სუბსიდიურ როლს თამაშობს. ამიტომ მათ **განმარტების სუბსიდიური წესები შეიძლება ეწოდოს.**[9] განმარტების მიზნები ამ ნორმებში განსხვავებულად არის განსაზღვრული: 52-ე მუხლის მიხედვით უნდა დადგინდეს ნება გონივრული განსჯის შედეგად, ხოლო 337-ე მუხლის თანახმად, უპირატესობა უნდა მიენიჭოს აქცეპტანტის მიერ ნების გაგებას,[10] თუმცა „გონივრული განსჯა“ არც ამ შემთხვევაში უნდა დარჩეს გამოყენების გარეშე.

II. განმარტების მეთოდები

1. გონივრული განსჯა თუ სიტყვასიტყვითი გაგება

52-ე მუხლი ადგენს **გონივრული განსჯის შედეგად ნების დადგენის** პრინციპს და გამორიცხავს **ნების სიტყვასიტყვითი გაგების პრინციპის** გამოყენებას, რომელსაც ბევრი მართლწესრიგი განამტკიცებს.[11] 9

გონივრული განსჯის შედეგად ნების დადგენა მოითხოვს იმის გარკვევას, თუ **რა იგულისხმეს გარიგების მონაწილეებმა გამოხატულ ნებაში.** ეს კი იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ უპირატესობა მიენიჭოს მათ ნებას და არა გარიგებაში სიტყვიერად გამოხატულს (falsa demonstratio non nocet).[12] მაგალითად, თუ მხარეებს ხელშეკრულებაში ჩაწერილი აქვთ იჯარა, ხოლო სინამდვილეში დადებული აქვთ ბინის ქირავნობის ხელშეკრულება, იჯარა უნდა განიმარტოს როგორც ქირავნობა აქედან გამომდინარე სამართლე- 10

8 შდრ. *Rüthers/Stadler,* Allgemeiner Teil des BGB, 16. Aufl. 2009, § 18 I Rn. 3.

9 შდრ. *Rüthers/Stadler,* Allgemeiner Teil des BGB, 16. Aufl. § 18 II 1 Rn. 4.

10 სუსგ სამოქალაქო,სამეწარმეო და სხვა კატეგორიის საქმეებზე, 7/2007, გვ.62

11 მაგ., რუსეთის სამოქალაქო კოდექსის მუხ. 431-ე მიხედვით, „ხელშეკრულების პირობების განმარტებისას სასამართლო მხედველობაში იღებს ხელშეკრულებაში მოცემული სიტყვებისა და გამოთქმების სიტყვასიტყვით მნიშვნელობას“. იგივეს განამტკიცებს დსთ-ის მოდელური სამოქალაქო კოდექსი და მის საფუძველზე მიღებული სამოქალაქო კოდექსები. ანალოგიური მიდგომაა ინგლისურ სამართალშიც: *Bar/Zimmermann,* Grundregeln des Europäischen Vertragsrechts, Teile I und II, 2002, S. 345.

12 რომაული სამართლის პრინციპი, რომლის თანახმად მცდარი სახელწოდება არ ახდენს გავლენას მხარეთა შეთანხმების შინაარსზე.

ბრივი შედეგებით.[13]

ამასთან, ნების გამოვლენის ინტერპრეტაციისათვის აუცილებელია იმის გათვალისწინებაც, თუ რა საბოლოო შედეგს ისახავდა სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე მიზნად.[14]

11 მართალია, აღიარებულია, რომ ნების გამოვლენის განმარტება უნდა განხორციელდეს **ნების მიმღების შემეცნების (გაგების) შესაძლებლობათა გათვალისწინებით,**[15] მაგრამ ეს არ იძლევა ნების მიმღების მიერ გაგების შესაძლებლობათა კრიტერიუმებს. ამიტომ ნების გამოვლენის განმარტების დროს გათვალისწინებული უნდა იყოს ყველა ხელშესახები გარემოება, რომელიც ამ შემთხვევას ახასიათებს,[16] მათ შორის ის, თუ რა მიზანს ისახავდა მხარე ხელშეკრულების დადებისას.[17]

12 ნების გამოვლენასთან დაკავშირებული ხელშესახები გარემოებების გათვალისწინება გულისხმობს **შემდეგი საკითხების გარკვევას:** შეეძლო თუ არა ნების მიმღებს გამოვლენილი ნება ისევე გაეგო, როგორც ეს ნების გამომვლენმა იგულისხმა? რა გარემობები ლაპარაკობს იმის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ, რომ მიმღებს ნების გამოვლენა ისე უნდა გაეგო, როგორც ეს ნების გამომვლენმა იგულისხმა? მაგალითად, თუ ნების მიმღები იურისტია, მას ისე უნდა გაეგო ესა თუ ის დებულება, როგორც ამას სასამართლო პრაქტიკა ან იურიდიული ლიტერატურა აღიარებს.[18] შეიძლებოდა თუ არა გარემოებათაგან გამომდინარე ნების გამომვლენს ეჭვი შეჰპარვოდა, რომ მის ნათქვამს სხვანაირად გაიგებდნენ და ა.შ.[19]

2. ნების მიმღების (ადრესატის) ინტერესების უპირატესობა

13 მართალია, 52-ე მუხლი უპირატესობას არ ანიჭებს არც ნების გამომვლენის და არც ნების მიმღების შემეცნების (გაგების, აღქმის) შესაძლებლობას და შეფასების საზომად „გონივრულ განსჯას“ ადგენს, მაგრამ კოდექსი ზოგიერთ შემთხვევაში მაინც **ნების მიმღების ინტერესების** დაცვას უჭერს მხარს. მაგალითად, 337-ე მუხლში რელევანტურია აქცეპტანტის საცხოვრებელი ადგილი, ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ბუნდოვანი ადგილები განიმარტება მეორე მხარის სასარგებლოდ და ა.შ. (345). ეს ზოგადი წესიდან გამონაკლისია და 52-ე მუხლის პრინციპი ნამდვილი ნების დადგენის შესახებ ხელშეუხებელი რჩება.

14 337-ე მუხლით გათვალისწინებული **აქცეპტანტის უპირატესობის პრინციპი** უკანა პლანზე გადაიწევს, თუკი აქცეპტანტის საცხოვრებელ ადგილზე მიღებული გაგება ეწინააღმდეგება გონივრული განსჯის შედეგად სავარაუ-

13 შდრ. *Bar/Zimmermann,* Grundregeln des Europäischen Vertragsrechts, Teile I und II, 2002, S. 342.

14 საქ. უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 28 ივნისის № ას-377-357-2011 გადაწყვეტილება, სუსგ სამოქალაქო საქმეებზე 10/2012, გვ 2-4.

15 შდრ. *Rüthers/Stadler*, Allgemeiner Teil des BGB, 16. Aufl. § 18 II 2 Rn. 7.

16 შდრ. *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 322.

17 საქ. უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება, № 377-357-2011, გვ. 1290.

18 შდრ. *Schiemann,* in Staudinger BGB, Eckpfeiler des Zivilrechts, 2011, C Rn. 47.

19 დაწვრილებით იხ. *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 322.

დო გაგებას. ამიტომაც თანამედროვე სამართალში აღიარებულია, რომ ნების დასადგენად საკმარისი არ არის კონკრეტულად ამ კონტრაჰენტის (ნების მიმღების) გაგების ჰორიზონტი და მისი ჩანაცვლება ხდება **„ობიექტური მესამე პირით".**[20] ამ მოსაზრებას განამტკიცებს 52-ე მუხლიც. „გონივრულად განმსჯელი პირი" არის სწორედ ეს ობიექტური მესამე პირი. აქედან გამომდინარე, გადამწყვეტია, თუ როგორ გაიგებდა ნების გამოვლენას ნების ადრესატის ადგილზე მყოფი სხვა გონივრულად მოაზროვნე ადამიანი.[21]

სასამართლო პრაქტიკა საქართველოში მხარს უჭერს ამ მიდგომას. მაგალითად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს აზრით, ხელშეკრულებაში გამოვლენილი ნების განმარტებისას განმსაზღვრელია მნიშვნელობა, რომელიც შეიძლებოდა მიენიჭებინა **წარმოსახვით გონიერ ადამიანს,** ჩაყენებულს აღნიშნული ნების ადრესატის მდგომარეობაში.[22]

3. სავაჭრო ჩვეულებები და ტრადიციები

ნების გამოვლენის განმარტებისას **სავაჭრო ჩვეულებებისა და ტრადიციების გამოყენების** შესაძლებლობას ითვალისწინებს 339-ე მუხლი. 2 IV მუხლით გათვალისწინებული ჩვეულებებისაგან განსხვავებით, რომლებიც სამართლის წყაროს წარმოადგენს, სავაჭრო ჩვეულებები და ტრადიციები ასეთად არ მიიჩნევა, რადგან ისინი ნორმის სახით არ არის ჩამოყალიბებული.[23] **15**

სავაჭრო ჩვეულებები და ტრადიციები წარმოიშობა **სამეწარმეო საქმიანობის ამა თუ იმ სფეროს** წარმომადგენელთა მიერ ურთიერთშეთანხმებული და ხანგრძლივი გამოყენების შედეგად და, როგორც წესი, კონკრეტულ დარგში, მაგალითად, ვაჭრობის ან მშენებლობის სფეროში და ა.შ.[24] კანონის დისპოზიციური ნორმების შემთხვევაში ნების გამოვლენის განმარტებისას სავაჭრო ჩვეულებებსა და ტრადიციებს უპირატესობა უნდა მიენიჭოს.

სავაჭრო ჩვეულებების როლი განსაკუთრებით დიდია **საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში.** ამ ურთიერთობების მონაწილეებს მოეთხოვებათ, მაგალითად, ისეთი გამოთქმების ცოდნა, როგორიცაა fob[25] ან cif[26] და ა.შ., ხოლო ნების მიმღებს შეუძლია იმაზე მითითება, რომ მის მიმართ გამოთქმული სიტყვები გაიგო ისე, როგორც ეს მიღებულია მოცემულ სფეროში. ასეთი გაგება კი სავალდებულო იქნება ნების გამომვლენისათვისაც, მიუხედავად იმისა, იცოდა მან ამ კონკრეტული წესის არსებობის შესახებ თუ არა. მთავარია, რომ ნების გამომვლენი საქმიანი წრეების მოცემულ კატეგორიას განეკუთვნებოდეს.[27] **16**

ვითარება იცვლება, როცა გარიგების მონაწილეები, ან ერთი მონაწილე

20 შდრ. *Rüthers/Stadler,* Allgemeiner Teil des BGB, 16. Aufl. § 18 II 2 Rn. 12.
21 შდრ. *Bar/Zimmermann,* Grundregeln des Europäischen Vertragsrechts, Teile I und II, 2002, S. 346.
22 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 6 სექტემბრის განჩინება № 2ბ/1375-11
23 შდრ. *Singer,* in Staudinger BGB, 2004, § 133, Rn. 66.
24 *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 325.
25 Free on board.
26 Cost, insurance, freight.
27 შდრ. *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 326.

მაინც, არ განეკუთვნებიან საქმიანი წრეების ერთსა და იმავე კატეგორიას. ამ დროს, სასურველია, განმარტებისას გამოყენებული იყოს **ნების მიმღების შემეცნების (გაგების) შესაძლებლობა.** მაგალითად, ინტერნეტით სარგებლობის ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება ე.წ. „ნულოვანი ტარიფი“, რაც ნიშნავს განსაზღვრული ხანგრძლივობის სატელეფონო საუბრებს (მაგალითად, 60 წუთი) ფიქსირებულ ტარიფად. ამიტომ „ნულოვანი“ არ ნიშნავს უფასოს, რამაც მომხმარებელი შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს.[28]

4. პირთა განუსაზღვრელი წრის მიმართ ნების გამოვლენის განმარტება

17 **პირთა განუსაზღვრელი წრის მიმართ გაკეთებული ნების გამოვლენის,** მაგალითად, ჯილდოს საჯაროდ დაპირება, ფასიანი ქაღალდების გამოშვება ბირჟაზე, აქციონერთა საერთო კრების მოწვევა და ა.შ., განმარტებისას ნების გამომვლენი ვერ გაითვალისწინებს ყველა იმ შესაძლო ადრესატის აღქმის უნარს, გაგების შესაძლებლობას. ამიტომ ასეთი ნების გამოვლენის განმარტების დროს გადამწყვეტად მიიჩნევა ამ **ურთიერთობის საშუალო მონაწილის შემეცნების (აღქმის) შესაძლებლობანი** ან, თუ ნების გამოვლენა სპეციალისტთა განსაზღვრული წრისადმია მიმართული, ასევე მათი საშუალო შესაძლებლობანი.[29]

18 პირთა განუსაზღვრელი წრისადმი, მაგრამ სპეციალისტების მიმართ გაკეთებული ნების გამოვლენის მაგალითია ფასიანი ქაღალდების ბირჟაზე გაკეთებული განცხადებები. ამ დროს გამოყენებული სპეციალური ტერმინების გაგება მოეთხოვებათ, პირველ რიგში, საბირჟო მაკლერებს და სხვა სპეციალისტებს. ნების განმარტებისას მათი სპეციალური ცოდნა და გამოცდილება უნდა იქნეს გათვალისწინებული.

5. ანდერძის განმარტება

19 ანდერძი არ განეკუთვნება ნების მიღებასავალდებულო გარიგებათა კატეგორიას და მისი ნამდვილობისათვის გამოვლენილი ნების მიღება ადრესატის მიერ არ არის აუცილებელი. ეს გავლენას ახდენს ანდერძის განმარტების თავისებურებებზე.

ანდერძის განმარტებისათვის **მთავარია თვით მამკვიდრებლის ნება** და არა ამ ნების გამოვლენის ადრესატების (მემკვიდრეების) შემეცნების (გაგების) შესაძლებლობები. ამ დროს უნდა დადგინდეს მამკვიდრებლის ნება. ამ მიზნით შეიძლება გამოყენებულ იქნეს ყველა გარემოება, ფაქტი თუ ნივთმტკიცებულება, რომელიც ამა თუ იმ ფორმით კავშირში იმყოფება მოანდერძის მიერ ნების გამოვლენასთან: პირადი წერილები, შესაძლო მემკვიდრეებთან პირადი დამოკიდებულება და ა.შ.[30]

28 შდრ. *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 326.
29 შდრ. *Larenz/Wolf,* AT des bürg. Rechts, 9. Aufl., 2004, § 28, C II Rn. 81 ff.
30 შდრ. *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 328.

ანდერძის განმარტების გზას ზოგიერთ შემთხვევაში სამოქალაქო კოდექსი განამტკიცებს, მაგალითად, 1348 II მუხლის თანახმად, თუ ანდერძით რამდენიმე მემკვიდრეა დანიშნული, მაგრამ მასში ერთის წილია განსაზღვრული, სხვების კი – არა, მაშინ ეს უკანასკნელნი თანაბრად მიიღებენ დანარჩენ ქონებას.

6. დუმილისა და სხვა კონკლუდენტური მოქმედებების განმარტება

ა. დუმილი

დუმილი ნების გამოვლენის სპეციფიკური ფორმაა და სამოქალაქო კოდექსი მხოლოდ განსაზღვრულ შემთხვევებში უკავშირებს მას სამართლებრივ შედეგებს. ჩვეულებრივ დუმილს რაიმე სამართლებრივი მნიშვნელობა არა აქვს.[31] ან დუმილი ნიშნავს უარს გარიგების დადებაზე. მაგალითად, 330 I მუხლის თანახმად, თანმყოფი პირისათვის გაკეთებული ოფერტი მაშინვე უნდა იქნეს მიღებული. დუმილი ამ შემთხვევაში ნიშნავს ოფერტის უარყოფას. ამ ზოგადო წესიდან არსებობს გამონაკლისი. **20**

დუმილი, როგორც ნების გამოვლენა, შეიძლება გათვალისწინებული იყოს თვით კანონით. მაგალითად, 335 I მუხლის მიხედვით მეწარმის დუმილი მიღებულ ოფერტზე ჩაითვლება აქცეპტად.

დუმილი გარიგების დადებაზე თანხმობად ჩაითვლება იმ შემთხვევაშიც, როცა გარიგების მხარეები წინასწარ იყვნენ შეთანხმებული, რომ მათ მიერ განსაზღვრულ სიტუაციაში დუმილი ჩაითვლება თანხმობად.[32] მაგალითად, თუ ხელშეკრულების ვადის გასვლამდე სამი თვით ადრე მხარე არ განაცხადებს, ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, ხელშეკრულება გაგრძელებულად ითვლება კიდევ ერთი წლით.

დუმილი შეიძლება შეფასდეს **მოვალეობის დარღვევად,** როცა სახელშეკრულებო მოლაპარაკებებში ან ხელშეკრულების შესრულებისას კონტრაჰენტისაგან პასუხია მოსალოდნელი.[33]

ბ. კონკლუდენტური მოქმედებები

კონკლუდენტური მოქმედებების დროს ნების გამოვლენა გამომდინარეობს **ფაქტობრივად განხორციელებული მოქმედებიდან,** ე.ი. ამ შემთხვევაში მოქმედება უთითებს ნების გამოვლენაზე. მაგალითად, სუპერმარკეტში საქონლის აღება და მოლარესთან მისვლა ფასის გადასახდელად უკვე მიანიშნებს პირის მიერ ნასყიდობის ხელშეკრულების დადების ნებაზე.[34] **21**

31 შდრ. *Medicus,* BGB AT, 10. Aufl., 2010, Rn. 345.
32 შდრ. *Medicus,* BGB AT, 10. Aufl., 2010, Rn. 346.
33 შდრ. *Medicus,* BGB AT, 10. Aufl., 2010, Rn. 349.
34 შდრ. *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 334.

გ. განმარტების საერთო წესები

22 როგორც დუმილი, ისე კონკლუდენტური მოქმედებები წარმოადგენენ ნების გამოვლინებებს და მათი განმარტების მიმართ გამოიყენება 52-ე მუხლი. ორივე შემთხვევაში უნდა დადგინდეს ნამდვილი ნება.

7. განმარტების შეუძლებლობის შედეგი

23 ნების გამოვლენის განმარტების შეუძლებლობის შედეგი განსხვავებულია იმის მიხედვით, თუ კონკრეტულად რას ეხება ნების გამოვლენა. მაგალითად, თუკი ნების გამოვლენის მიზანი არის ხელშეკრულების დადება და მხარეები განსხვავებულად იგებენ ოფერტის დებულებას, **განმარტების შეუძლებლობისას ხელშეკრულება არ დაიდება.**[35]

თუკი ნების გამოვლენა განმარტების შედეგადაც ცენტრალურ საკითხებში ბუნდოვანია ან არასრულყოფილი, მაშინ მას გარიგების ნამდვილობისათვის აუცილებელი განსაზღვრულობა აკლია და ამიტომ **გარიგება ბათილია.**[36]

35 შდრ. *Rüthers/Stadler,* Allgemeiner Teil des BGB, 16. Aufl. 2009, § 18 I Rn. 2.
36 შდრ. *Schiemann,* in Staudinger BGB, Eckpfeiler des Zivilrechts, 2011, C Rn. 59.

მუხლი 53. გარიგების არარსებობა მისი შინაარსის დაუდგენლობის გამო

გარიგება არ არსებობს, თუ არც გარეგნული გამოხატვიდან და არც სხვა გარემოებებიდან არ შეიძლება ზუსტად დადგინდეს გარიგების შინაარსი.

I. ზოგადი დებულებები

53-ე მუხლი შეიცავს გარიგების წარუმატებელი განმარტების ერთ კონკრეტულ შემთხვევას. კერძოდ, როცა არც გარეგნული გამოხატვით და არც სხვა გარემოებებით არ დგინდება გარიგების შინაარსი. ასეთ შემთხვევაში სახეზეა არა ბათილი გარიგება, არამედ გარიგება საერთოდ არ არსებობს. **1**

53-ე მუხლის გამოყენების წინაპირობა არის **გარიგების შინაარსის ზუსტად დადგენის შეუძლებლობა.** ეს შემთხვევებია მაშინ, როცა გარიგებას, მაგალითად, ხელშეკრულებას, აკლია ხელშეკრულების არსებითი პირობები (327 I).

გარიგების შინაარსის დადგენის შეუძლებლობისათვის მნიშვნელობა არა აქვს გარიგება წერილობითი ფორმითაა დადებული თუ ზეპირი შეთანხმების საფუძველზე.[1]

II. სამართლებრივი შედეგი

თუ გარიგება არ არსებობს იმის გამო, რომ შეუძლებელია მისი შინაარსის დადგენა, ცხადია, მხარეთა ნების გამოვლენას დასახული სამართლებრივი შედეგი არ მოჰყვება. **2**

1 საქ. უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 22 დეკემბრის № ას-650-943-05 გადაწყვეტილება.

მუხლი 54. მართლსაწინააღმდეგო და ამორალური გარიგებანი

ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს.

I. ზოგადი დებულებები ... 312
1. ნორმის მიზანი ... 312
2. გამოყენების სფერო ... 313
II. გარიგების ბათილობა ... 313
1. ცნება ... 313
2. ბათილი გარიგების სახეები ... 314
ა. უცილოდ ბათილი (არარა) გარიგება ... 314
ბ. ნაწილობრივად ბათილი გარიგება ... 314
გ. მერყევად ბათილი გარიგება ... 315
დ. ფარდობითად ბათილი გარიგება ... 315
3. საცილო გარიგება ... 316
III. კანონის საწინააღმდეგო გარიგებები ... 316
1. კანონის ცნება ... 316
2. კანონით დადგენილი წესი ... 317
3. კანონით დადგენილი აკრძალვა ... 317
4. კანონსაწინააღმდეგობის მომენტი ... 318
5. სასამართლო პრაქტიკა ... 319
IV. საჯარო წესრიგის საწინააღმდეგო გარიგებები ... 319
1. ცნება ... 319
2. განსაზღვრის კრიტერიუმები ... 320
3. სასამართლო პრაქტიკა ... 320
V. ზნეობის ნორმების საწინააღმდეგო გარიგებები ... 321
1. ზნეობის ნორმების ცნება ... 321
2. ამორალური გარიგებების ცალკეული შემთხვევები ... 322
VI. სამართლებრივი შედეგი ... 323
1. ზოგადად ... 323
2. უსაფუძვლო გამდიდრება ... 323
4. ბათილი გარიგების დადასტურება ... 323

I. ზოგადი დებულებები

1. ნორმის მიზანი

1 54-ე მუხლი შეიცავს **გარიგების შინაარსის კონტროლის განმსაზღვრელ ცენტრალურ ნორმას** და განამტკიცებს კერძო ავტონომიის შეზღუდვის რამდენიმე შემთხვევას. **გარიგება შეიძლება ბათილი იყოს** იმის გამო, რომ მისი შინაარსი ეწინააღმდეგება **კანონს, საჯარო წესრიგს** ან **ზნეობის ნორმებს.**

მუხლის **ფორმულირება ზოგადია** და ის არ აკონკრეტებს, თუ რომელი კანონის, საჯარო წესრიგის ან ზნეობის რომელი ნორმების დარღვევა

იწვევს გარიგების ბათილობას. ამ გაგებით ითვლება, რომ ნორმა შეიცავს **განმარტების წესს კანონის ნორმის დაკონკრეტების გარეშე.**[1]

ნორმის მიზანი არის ასევე **ზოგადად მართლწესრიგსა და სამოქალაქო სამართალს შორის კავშირის უზრუნველყოფა** და იმის დაფიქსირება, რომ **გარიგების ნამდვილობა არ არის მხოლოდ სამოქალაქო კოდექსის ნორმებზე დამოკიდებული.** სხვა კანონებით დადგენილმა შეზღუდვებმა და წესებმა ასევე შეიძლება მოახდინოს გავლენა გარიგების ნამდვილობაზე. 2

2. გამოყენების სფერო

54-ე მუხლით გათვალისწინებული შეზღუდვები გამოიყენება **ყველა გარიგების,** როგორც ცალმხრივი (მაგალითად, ანდერძი), ისე ორმხრივი (მაგალითად, ხელშეკრულება) და მრავალმხრივი გარიგების მიმართ. მაგალითად, პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილებაც შეიძლება იყოს ბათილი იმის გამო, რომ ის ეწინააღმდეგება კანონით დადგენილ აკრძალვას. 3

მუხლის მოქმედება **ვრცელდება გარიგებებზე და არა მხოლოდ ნების გამოვლინებებზე,** მაგალითად, ოფერტსა და აქცეპტზე, როგორც ხელშეკრულების დასადებად მიმართულ ნების გამოვლინებებზე, ეს შეზღუდვები არ უნდა გავრცელდეს.[2]

54-ე მუხლი გამოყოფს „სამი სახის ფასეულობას“,[3] რომელთა დარღვევა იწვევს გარიგების ბათილობას: **კანონით დადგენილი წესი და აკრძალვა, საჯარო წესრიგი და ზნეობის ნორმები.** 4

გარიგების ბათილობა 54-ე მუხლით გათვალისწინებული გარიგებების ცენტრალური სამართლებრივი შედეგი და დებულებაა.

II. გარიგების ბათილობა

1. ცნება

გარიგების ბათილობის ლეგალურ დეფინიციას სამოქალაქო კოდექსი არ შეიცავს და მხოლოდ იმით შემოიფარგლება, რომ განსაზღვრული პირობების დარღვევით დადებულ გარიგებებს ბათილად აღიარებს. ამიტომ ბათილობის ცნება და შინაარსი კანონის ნორმებისა და ლიტერატურაში არსებული მოსაზრებების ანალიზის საფუძველზე უნდა განისაზღვროს.[4] 5

ბათილია გარიგება, თუ ის არ იწვევს გარიგების მონაწილეების მიერ დასახული სამართლებრივი შედეგის დადგომას, რადგან მოქმედი სამართალი გარიგების მონაწილეთა მიერ განხორციელებულ ნების გამოვლენასა და სხვა ქმედებას სამართლებრივად დაუშვებლად მიიჩნევს.[5] მაგალითად,

1 შდრ. *Wendtland,* in Beck OK BGB, 27. Aufl. Stand 01.05.2013, § 134 Rn. 2.
2 შდრ. *Wendtland,* in Beck OK BGB, 27. Aufl. Stand 01.05.2013, § 134 Rn. 4.
3 *ზოიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 54, გვ. 176.
4 იქვე. გვ. 177; *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 261-265; *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 385-393.
5 შდრ. იქვე. 2011, გვ. 385.

თუ მიწის ნაკვეთის ნასყიდობის ხელშეკრულება არ არის წერილობით გაფორმებული, ხოლო შემძენი – საჯარო რეესტრში რეგისტრირებული, ასეთი ნასყიდობა მიიჩნევა ბათილად და საკუთრების უფლება არ წარმოიშობა.

6 გარიგების ბათილობა **კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგია.** ამიტომ გარიგების ბათილობის მიზეზები, მოსალოდნელი შედეგები, გარიგების ნაკლის გამოსწორების ჩათვლით, კანონით განისაზღვრება. ამის შესაბამისად ერთმანეთისაგან განსხვავდება ბათილი გარიგების სახეები.

2. ბათილი გარიგების სახეები

ა. უცილოდ ბათილი (არარა) გარიგება

7 **უცილოდ ბათილი (არარა) გარიგება** ეწოდება ისეთ გარიგებას, რომელიც დადებისთანავე ბათილია და მონაწილეთა მიერ განზრახულ სამართლებრივ შედეგს არ წარმოშობს (61 I).[6] ასეთი გარიგებით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგი არ დადგება არც გარიგების უშუალო მონაწილეების და არც მესამე პირების მიმართ. გარიგება დადებისთანავე ბათილია და მას ნამდვილად ვერ გადააქცევს ვერც გარიგების მონაწილეთა შემდგომი მოქმედება, ვერც სახელმწიფო ორგანოს მხრიდან მოწონება ან სასამართლოს გადაწყვეტილება. კანონი არ ითვალისწინებს ბათილი გარიგების გამოსწორების შესაძლებლობას. გამონაკლისს წარმოადგენს მერყევად ბათილი გარიგებები (63 I).

ბათილი გარიგების ბათილად მიჩნევისათვის არ არის სავალდებულო რაიმე **პროცედურის დაცვა:** შეცილება, გარიგების ბათილობის მოთხოვნა ან სასამართლოს მიერ მისი მიჩნევა ბათილად, რადგან უცილოდ ბათილი (არარა) გარიგება ბათილად ითვლება მისი დადების მომენტიდან.[7]

ბ. ნაწილობრივად ბათილი გარიგება

8 **ნაწილობრივად ბათილია გარიგება,** თუკი ის მთლიანობაში ნამდვილია, მაგრამ მისი ესა თუ ის ნაწილი სამართლებრივად უვარგისია და ეს არ იწვევს მთლიანად გარიგების ბათილობას.

ნაწილობრივად ბათილი გარიგებების შემთხვევაში 54-ე მუხლის შინაარსი გავრცელდება **გარიგების ერთ ან რამდენიმე ნაწილზე,** თუკი ამ ნაწილების ცალკე გამოყოფა შესაძლებელია ისე, რომ ამან არ გამოიწვიოს მთლიანად გარიგების ბათილობა. მაგალითად, თუკი შპს-ის წესდება პარტნიორს უკრძალავს წილის გადაცემას მემკვიდრეობით, ეს გამოიწვევს არა მთლიანად წესდების ბათილობას, არამედ მხოლოდ მემკვიდრეობით წილის

6 ბათილი და უცილოდ ბათილი (არარა) გარიგება სინონიმებს წარმოადგენს და სამართლებრივად მათ შორის განსხვავება არ არსებობს.

7 იხ. 61 I მუხლის კომენტ.

გადაცემის ამკრძალავი ნორმის ბათილობას.[8]

გ. მერყევად ბათილი გარიგება

მერყევად ბათილია გარიგება, რომელიც დადების მომენტში ბათილია, მა- **9**
გრამ შეიძლება გახდეს ნამდვილი, თუკი უფლებამოსილი პირი მოიწონებს მას (63 I).

უცილოდ ბათილი გარიგებისაგან განსხვავებით, გარიგების მონაწილეებს შეუძლიათ გარიგების დადებისას დაშვებული **შეცდომის ან ნაკლის გამოსწორება,** რის შედეგადაც გარიგება ნამდვილი გახდება. ამის შესაძლებლობა კანონით უნდა იყოს გათვალისწინებული, როგორც ეს 63 I მუხლშია გათვალისწინებული.

ამ სახის გარიგების თავისებურება ისაა, რომ **გარიგება მერყეობს ნამდვილობასა და ბათილობას შორის:** კანონით გათვალისწინებული მოთხოვნის (მაგალითად, თანხმობის გაცემა) შესრულება გამოიწვევს გარიგების ნამდვილობას, ხოლო ამ მოთხოვნის შეუსრულებლობა – გარიგების ბათილობას.

კანონი განსხვავებულად აწესრიგებს საკითხს იმის შესახებ, თუ **როდიდან** **10**
უნდა ჩაითვალოს მერყევად ბათილი გარიგება ნამდვილად: დადების მომენტიდან თუ კანონით გათვალისწინებული მოთხოვნის შესრულების მომენტიდან. ამიტომ ეს საკითხი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შემოწმდეს. მაგალითად, თუ კანონიერი წარმომადგენელი 63 I მუხლის მიხედვით არ გასცემს თანხმობას, მაშინ გარიგება ბათილი იქნება დადების მომენტიდან, ე.წ. ex tunc.[9] 101 I მუხლის თანახმად, შემდგომ თანხმობას (მოწონებას) აქვს უკუქცევითი ძალა გარიგების დადების მომენტისათვის, ე.ი. გარიგება ნამდვილად ჩაითვლება არა თანხმობის მიღების, არამედ გარიგების დადების მომენტიდან.

მერყევად ბათილი გარიგებების მაგალითებია 63 I, 64 I, 66-ე და 67-ე, 99 III, 102-ე მუხლებით გათვალისწინებული შემთხვევები.

დ. ფარდობითად ბათილი გარიგება

ფარდობითად ბათილ გარიგებად შეიძლება ჩაითვალოს გარიგება, რომელ- **11**
იც მთლიანობაში ნამდვილია, მაგრამ კონკრეტული პირის ან პირების მიმართ მას იურიდიული ძალა არა აქვს. მაგალითად, სპს-ის პარტნიორების ურთიერთშეთანხმება, რომ ისინი გამორიცხავენ ერთ-ერთი პარტნიორის პასუხისმგებლობას საზოგადოების კრედიტორების წინაშე, შეიძლება მათთვის იურიდიული ძალის მქონე იყოს, მაგრამ მესამე პირებისათვის ასეთი შეთანხმება იურიდიული ძალის არმქონეა.[10]

8 იხ. მუხ. 62 კომენტ.
9 შდრ. *Rüthers/Stadler,* Allgemeiner Teil des BGB, 16. Aufl. § 23 Rn. 27.
10 *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 399.

3. საცილო გარიგება

12 **საცილო გარიგება** დადების მომენტში ნამდვილია, მაგრამ შეცილების (ე.ი. მისი გაუქმების მოთხოვნის) შედეგად კარგავს იურიდიულ ძალას, ე.ი. ხდება ბათილი. საცილო გარიგება შეცილების გამო ბათილად ჩაითვლება არა შეცილების მომენტიდან, არამედ მისი დადების მომენტიდან.[11]

საცილო გარიგების გავრცელებული შემთხვევებია შეცდომით, მოტყუებით ან იძულებით დადებული გარიგებები.[12]

განსხვავებით ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობისაგან, საცილო გარიგების ბათილობისათვის საკმარისია დაინტერესებული პირის მიერ მეორე მხარის მიმართ შეცილება და გარიგების ბათილობისათვის სასამართლოს გადაწყვეტილება სავალდებულო არ არის.[13]

III. კანონის საწინააღმდეგო გარიგებები

1. კანონის ცნება

13 54-ე მუხლი არ შეიცავს კანონის ცნებას. ამიტომ კანონის, როგორც **ნორმატიული აქტის,** გაგება უნდა მოხდეს ნორმატიული აქტების შესახებ კანონისა და სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმების საფუძველზე. აქედან გამომდინარე, კანონის ცნება 54-ე მუხლში გაგებული უნდა იქნეს ფართოდ და მასში მოიაზრება როგორც **კანონი ფორმალური გაგებით**[14] , ისე **მატერიალური გაგებით,** ე.ი. **ყველა ნორმატიული აქტი,** რომელიც გარიგების შინაარსის განსაზღვრისათვის რელევანტურ ნორმებს შეიცავს. კანონის ასეთი გაგება შეესაბამება 2 I, III მუხლის შინაარსს.

54-ე მუხლი ერთმანეთისაგან განასხვავებს **კანონით დადგენილი წესისა** და **კანონით დადგენილი აკრძალვის** დარღვევას.

14 54-ე მუხლი განსაზღვრავს **გარიგების კანონსაწინააღმდეგობის მხოლოდ სამოქალაქო-სამართლებრივ შედეგს** გარიგების ბათილობის სახით, თუნდაც ეს კანონი არ განეკუთვნებოდეს სამოქალაქო სამართალს და იყოს, მაგალითად, საჯარო სამართლის სფეროდან. მაგალითად, ნარკოტიკებით აკრძალული ვაჭრობა დასჯადია სისხლის სამართლის წესით, მაგრამ ნარკოტიკების ნასყიდობის ხელშეკრულებები ბათილია სამოქალაქო სამართლისათვის. ამით სამოქალაქო კოდექსი 54-ე მუხლის წყალობით თავის ადგილს იკავებს მართლწესრიგში და უზრუნველყოფს მის ერთიანობასა და ჰარმონიულობას.[15]

11 იხ. მუხ. 59 II კომენტ.

12 იხ. მუხ. 72-89 კომენტ.

13 დსთ-ის მოდელური სამოქალაქო კოდექსი და მის საფუძველზე შექმნილი ყველა სამოქალაქო კოდექსი გარიგების ბათილად აღიარებისათვის აუცილებლად მიიჩნევს სასამართლოში მიმართვას და სასამართლოს გადაწყვეტილებას.

14 იხ. მუხ. 2 კომენტ.

15 შდრ. *Rüthers/Stadler,* Allgemeiner Teil des BGB, 16. Aufl. § 26 I 1 Rn. 2.

ხელყოფს თუ არა გარიგება კანონით დადგენილ წესს ან აკრძალვას და რა **სამართლებრივი შედეგი** უნდა მოჰყვეს ამ ხელყოფას, გარიგების განმარტების შედეგად უნდა დადგინდეს. შედეგი შეიძლება იყოს ზიანის ანაზღაურების დაკისრება, მაგრამ არა გარიგების ბათილობა.[16] 15

2. კანონით დადგენილი წესი

კანონით დადგენილი წესის დარღვევა ყოველთვის შეიძლება არ იწვევდეს გარიგების ბათილობას. ამიტომ ამ წესის დარღვევის სამართლებრივი შედეგი განმარტების საფუძველზე უნდა დადგინდეს. მაგალითად, სანიტარიული წესების დარღვევით რესტორნის ფუნქციონირება არ იწვევს დადებული ხელშეკრულებების ბათილობას და ამან რესტორნისათვის მხოლოდ ჯარიმის დაკისრება გამოიწვიოს. 16

ზოგიერთ შემთხვევაში გარიგების დასადებად შეიძლება გათვალისწინებული იყოს **თანხმობის აუცილებლობა.** თანხმობის არარსებობის სამართლებრივი შედეგი აქაც შესაძლოა განსხვავებული იყოს. მაგალითად, თუკი გარიგების დადებას სჭირდება **სახელმწიფო ორგანოს ნებართვა,** მაშინ ამ ნებართვის გარეშე დადებული გარიგება ბათილია. მაგალითად, სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიის გარეშე დადებული სამედიცინო მომსახურების ხელშეკრულება არის ბათილი, რადგან ის კანონსაწინააღმდეგოა.[17] თუ გარიგების დადებას სჭირდება კერძოსამართლებრივი თანხმობა, ასეთი გარიგება, როგორც წესი, არ იქნება ბათილი.[18] 17

3. კანონით დადგენილი აკრძალვა

თუ სხვა რამ არ გამომდინარეობს **ამკრძალავი კანონიდან,** გარიგება, რომელიც ამკრძალავ კანონს ეწინააღმდეგება, ბათილია.[19] კანონი ამკრძალავად ჩაითვლება, თუკი მისი ნორმა **გარიგების შინაარსს ან ასეთი გარიგების დადებას** დაუშვებლად მიიჩნევს.[20] 18

ამკრძალავი კანონების უმეტესობა საჯარო-სამართლებრივია და კერძო სამართლის სფეროს სცილდება, მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსი, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა თუ საგადასახადო კოდექსები და ა.შ. ეს კანონები არ შეიცავენ მითითებას იმაზე, რომ მათ საწინააღმდეგოდ დადებული გარიგებები ბათილია. მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსის 158 I მუხლის თანახმად, კერძო საუბრის უნებართვოდ ჩაწერა დანაშაულს წარმოადგენს, მაგრამ სისხლის სამართლის კოდექსი არაფერს ამბობს იმაზე, ხელშეკრულება კერძო საუბრის ჩაწერის შესახებ ბათილია თუ არა. ასეთი დასკვნა უნდა გაკეთდეს სისხლის სამართლის ამკრძალავ 19

16 შდრ. *Wendtland,* in Beck OK BGB, 27. Aufl., Stand 01.05.2013, § 134 Rn. 10.1.

17 საქ. უზენაესი სასამართლოს 2004 წლის 15 დეკემბრის № ას-426-745-04 გადაწყვეტილება, სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 9/2005, გვ. 11.

18 შდრ. *Wendtland,* in Beck OK BGB, 27. Aufl. Stand 01.05.2013, § 134 Rn. 14.

19 შდრ. *Wendtland,* in Beck OK BGB, 27. Aufl. Stand 01.05.2013, § 134 Rn. 12.

20 შდრ. *Rüthers/Stadler,* Allgemeiner Teil des BGB, 16. Aufl. § 26 I 1 Rn. 2.

ნორმასა და 54-ე მუხლის შინაარსს შორის ლოგიკური კავშირის დამყარებით.

ამკრძალავ კანონში შეიძლება საერთოდ არ ფიგურირებდეს გამოთქმები „აკრძალულია“, „დაუშვებელია“, „არ შეიძლება“ და ა.შ. ამიტომ იმის განსაზღვრა, კანონი ამკრძალავია თუ არა, უნდა მოხდეს განმარტების საფუძველზე. განმარტებითვე უნდა დადგინდეს, რა სამოქალაქო-სამართლებრივი შედეგი შეიძლება მოჰყვეს კანონის დარღვევას. ამის მიხედვით ერთმანეთისაგან განასხვავებენ **რელატიურ აკრძალვასა** და **აბსოლუტურ აკრძალვას.**

20 **რელატიური აკრძალვების შემცველი კანონის** დარღვევა არ იწვევს ავტომატურად გარიგების ბათილობას, რადგან ასეთი კანონებით იკრძალება არა გარიგების შინაარსი, არამედ მისი თანამდევი გარემოებები და პროცესები. მაგალითად, ქუჩაში მალფუჭებადი კვების პროდუქტების აკრძალვის მიუხედავად, ქუჩაში დადებული ამ პროდუქტების ნასყიდობის ხელშეკრულება არ იქნება ბათილი, თუნდაც გამყიდველს ამ საქმიანობისათვის პოლიციამ ჯარიმა გადაახდევინოს.

21 რთულია საკითხის გადაწყვეტა მაშინ, როცა საქმე ეხება **ნებართვასავალდებულო (ლიცენზია) საქმიანობის განხორციელებას** სათანადო ნებართვის გარეშე. მაგალითად, იქნება თუ არა არალიცენზირებული აფთიაქის მიერ დადებული წამლების ნასყიდობის ხელშეკრულება ბათილი? სამედიცინო დაწესებულების მიერ ლიცენზიის გარეშე დადებული გარიგებები სასამართლომ ბათილად ჩათვალა.[21]

ამრიგად, **რელატიური აკრძალვის შემცველი ნორმების** დარღვევის სამართლებრივი შედეგის განსაზღვრა არ არის იოლი.

22 **აბსოლუტური აკრძალვის შემცველი კანონის** საწინააღმდეგოდ დადებული გარიგების სამართლებრივი შედეგის განსაზღვრა უფრო მარტივია, რადგან ამ დროს კანონი კრძალავს გარიგების შინაარსს, რის გამოც გარიგება ბათილად უნდა იქნეს მიჩნეული. თუმცა გარკვეული კლასიფიკაცია აქაც არის აუცილებელი. მაგალითად, თუკი ხელშეკრულების ორივე მხარემ იცოდა, რომ ისინი არღვევდნენ ამკრძალავ კანონს, მაშინ გარიგება ბათილია ორივესათვის. მაგრამ, თუკი დაღვევის შესახებ იცოდა გარიგების მხოლოდ ერთმა მონაწილემ, მაშინ გარიგება ბათილი იქნება მხოლოდ ამ ერთი მონაწილის მიმართ და მეორე მხარეს არ მოუწევს გარიგებით მიღებულის უკან დაბრუნება.

23 ამკრძალავი კანონი შეიძლება არც ისახავდეს მიზნად მთლიანად გარიგების ბათილობას. ასეთ შემთხვევაში შეიძლება შედეგი იყოს **გარიგების ნაწილობრივი ბათილობა** (62).[22]

4. კანონსაწინააღმდეგობის მომენტი

24 გარიგება ბათილად ითვლება მისი **დადების მომენტიდან,** თუკი ის დადებისას არღვევს კანონით დადგენილ აკრძალვას ან წესს (61 I). თუ ამკრძალავი

21 საქ. უზენაესი სასამართლოს 2004 წლის 15 დეკემბრის № ას-426-745-04 გადაწყვეტილება, სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 9/2005, გვ. 11.

22 შდრ. *Rüthers/Stadler,* Allgemeiner Teil des BGB, 16. Aufl. § 26 I 2 Rn. 11; *Wendtland,* in Beck OK BGB, 27. Aufl., Stand 01.05.2013, § 134 Rn. 21.

კანონი გარიგების დადების შემდეგ იქნა მიღებული, მაშინ კანონი მოქმედებს სამომავლოდ, მას არა აქვს უკუქცევითი ძალა (6). ამიტომ, აღიარებული შეხედულების თანახმად, გარიგების ნამდვილობა ამკრძალავი კანონის მოგვიანებით მიღებით არ დგება ეჭვქვეშ.[23] ეს წესი არ მოქმედებს მაშინ, როცა კანონს უკუქცევითი ძალა თვით კანონითვე აქვს მინიჭებული.

თუ გარიგება მისი დადებისას კანონსაწინააღმდეგობის გამო ბათილი იყო, ხოლო ეს კანონი მოგვიანებით გაუქმდა, გარიგება მაინც ბათილი რჩება და ეს არ იწვევს მის ნამდვილობას.[24]

5. სასამართლო პრაქტიკა

სასამართლო პრაქტიკაში განსაკუთრებით ხშირია გარიგებათა მიჩნევა ბათილად კანონსაწინააღმდეგობის გამო. მაგალითად, **საზიარო საგნის მოწილის მიერ თანამონაწილის ქონების განკარგვა მასთან შეთანხმების გარეშე** ბათილია 54-ე მუხლის შესაბამისად.[25] 25

IV. საჯარო წესრიგის საწინააღმდეგო გარიგებები

1. ცნება

საჯარო წესრიგის ლეგალურ დეფინიციას სამოქალაქო კოდექსი არ განამტკიცებს. სასამართლო პრაქტიკა ცდილობს საჯარო წესრიგის ცნების დაკონკრეტებას, თუმცა არცთუ ისე წარმატებულად.[26] ამიტომ ამ საკითხში ქართული ლიტერატურა სხვა მართლწესრიგების სამართლებრივი შედარებით შემოიფარგლება.[27] 26

დოქტრინული ცნების თანახმად, საჯარო წესრიგის ცნებაში იგულისხმება **სამოქალაქო ბრუნვის ფუნდამენტური პრინციპები,** როგორიცაა საკუთრების, ხელშეკრულებისა და მეწარმეობის თავისუფლება, რომელთა დარღვევით ილახება არა მხოლოდ ურთიერთობის კონკრეტული მონაწილის უფლებები, არამედ სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესები.[28] 27

საჯარო წესრიგის ცნება გამოიყენება **საერთაშორისო კერძო სამართალში,** მაგალითად, ქვეყნის სასამართლოებმა არ უნდა გამოიყენონ ისეთი უცხოური კანონი, რომელიც არღვევს ან ეწინააღმდეგება მოცემული სახელმწიფოს საჯარო წესრიგს.[29] 28

გასაზიარებელია **კრიტიკა,** რომ საერთაშორისო კერძო სამართალში გამოყენებული „საჯარო წესრიგის“ ცნების გადმოტანა კერძო სამართალში

23 შდრ. *Staudinger/Sack* (2003) § 134 Rn. 55.
24 შდრ. *Staudinger/Sack* (2003) § 134 Rn. 55.
25 საქ. უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 1 დეკემბრის № ას-671-976-09 გადაწყვეტილება, სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 1/2010, გვ. 107.
26 საქ. უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 18 ნოემბრის № ას-533-786-08 განჩინება.
27 შდრ. *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 357-359.
28 შდრ. *ზოიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 54, გვ. 178.
29 შდრ. *გაბისონია,* ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი, 2006, გვ. 112-113.

გარიგების ნამდვილობის შესაფასებლად არაა მიზანშეწონილი.[30]

2. განსაზღვრის კრიტერიუმები

29 რთულია იმის დადგენა, **ეწინააღმდეგება თუ არა გარიგება საჯარო წესრიგს.** თუ გარიგება ეწინააღმდეგება კონკრეტულ კანონს, მაშინ იარსებებს კანონსაწინააღმდეგო გარიგება და არ დადგება საჯარო წესრიგთან მიმართებაში გარიგების ნამდვილობის შემოწმების საკითხი.

საჯარო წესრიგის საწინააღმდეგო გარიგების **მაგალითებია:** შრომის ხელშეკრულებაში პირობის ჩადება, რომ დასაქმებული ხელშეკრულების მოქმედების მანძილზე არ გათხოვდება;[31] ჩუქება ქორწინების შეწყვეტაზე თანხმობის მიღების პირობით[32] და ა.შ.

შედარებით-სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე მოხმობილი მაგალითები ადასტურებს იმ გარემოებას, რომ ამ შემთხვევათა ერთი ნაწილი ქართულ სამართალში კანონით არის მოწესრიგებული, მაგალითად, ამომრჩეველთა მოსყიდვა და ა.შ. ამიტომ აქტუალურია მათი შემოწმება კანონთან შესაბამისობის თვალსაზრისით.[33]

3. სასამართლო პრაქტიკა

30 **ქართული სასამართლო პრაქტიკის** დამოკიდებულება საჯარო წესრიგის ცნების მიმართ დამაჯერებლობით არ გამოირჩევა. მაგალითად, ერთი მხარის მიერ „სხვისი ქონებრივი უფლების მოტყუებით მიღებისა“ და მეორე მხარისათვის „მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების“ სურვილი ჩაითვალა „საჯარო წესრიგის დარღვევად“, რადგან ის წარმოადგენს „სამოქალაქო ბრუნვის ფუნდამენტური პრინციპების დარღვევას“.[34] სასამართლოს აზრით, „საჯარო წესრიგის დარღვევაში იგულისხმება სამოქალაქო ბრუნვის ფუნდამენტური პრინციპები, როგორიცაა საკუთრების უფლება, ხელშეკრულებისა და მეწარმეობის თავისუფლება და სხვ. საჯარო წესრიგის დარღვევით ილახება არა მხოლოდ ურთიერთობის კონკრეტული მონაწილის უფლება, არამედ იგი ვნებას აყენებს (ვნებს), პირველ რიგში, სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესებს“.[35]

ხელშეკრულების დადება ბუნებაში არარსებულ პირთან სასამართლოს მიერ მიჩნეულ იქნა საჯარო წესრიგის საწინააღმდეგო გარიგებად და ამ საფუძვლით ბათილად.[36]

30 *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 278.

31 საფრანგეთის საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება: Cass. Soc. 7 fev. 1968, № 65-40622.

32 *Ferid/Sonnenberger*, Das französische Zivilrecht, 2. Aufl. 1/1, Heidelberg, Verl. Rechts und Wirtschaft, 1991, S. 535.

33 შდრ. *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 357-358.

34 საქ. უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 18 ნოემბრის № ას-533-786-08 განჩინება.

35 იქვე.

36 საქ. უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 31 იანვრის № 465-435-2010 გადაწყვეტილება, სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 1/2012, გვ. 53.

V. ზნეობის ნორმების საწინააღმდეგო გარიგებები

1. ზნეობის ნორმების ცნება

31 მესამე ფასეულობა, რომლის დარღვევაც იწვევს გარიგების ბათილობას, არის **ზნეობა.** კერძოდ, ზნეობის ნორმების საწინააღმდეგოდ დადებული გარიგება ბათილია. ზნეობასთან დაკავშირებით 54-ე მუხლის შეიცავს **ზოგად ნორმას,** რომლის დაკონკრეტება სასამართლო პრაქტიკაზეა დამოკიდებული.

თუ გარიგებათა აღიარება კანონსაწინააღმდეგოდ შედარებით მარტივია, რადგან შეფასების საზომად გამოიყენება კანონის კონკრეტული ნორმები, ზნეობის ნორმების დაკონკრეტება და გარიგების შემოწმება მათზე საკმაოდ რთულია. მთავარი პრობლემა არის იმის დადგენა, თუ **რა არის ზნეობა** და **ზნეობის საწინააღმდეგო გარიგება.**[37]

32 ვინაიდან მორალის ნორმები არ არის კოდიფიცირებული, რთულია იმის დადგენა, თუ კონკრეტულად რომელ ზნეობრივ ნორმებს ეწინააღმდეგება გარიგება. ცხადია, ეს მოსამართლეს დამატებით სირთულეებს უქმნის.[38] რამდენად თავისუფალია მოსამართლე გარიგების ზნეობრიობის შეფასებისას და რომელ მორალურ ღირებულებებს უნდა გაუწიოს მან ანგარიში?

ქართული სასამართლო პრაქტიკა ცდილობს ამ კითხვას უპასუხოს ახალ სასამართლო გადაწყვეტილებებში. მაგალითად, თბილისის საქალაქო სასამართლო მიიჩნევს, რომ „გარიგება ეწინააღმდეგება ზნეობის ნორმებს, როდესაც იგი **არსებითად არღვევს ერთ-ერთი მხარის ინტერესებს** და არათანაბარ პირობებში აყენებს მას... ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს **სარგებლის ამორალური ხასიათი** და კრედიტორის სურვილი, მიიღოს მაქსიმალური სარგებელი დადებული ხელშეკრულებიდან“.[39] თბილისის სააპელაციო სასამართლოს აზრით, გარიგება ამორალურია, თუ „ის ეწინააღმდეგება სოციალური სამართლიანობის პრინციპს, ხელშეკრულების მხარეს აყენებს შეუსაბამოდ რთულ მდგომარეობაში“.[40]

33 შემოწმების საგანი არის არა გარიგების მონაწილეთა ქცევა ზნეობასთან მიმართებაში, არამედ **გარიგების, მისი შინაარსის მიმართება ზნეობასთან.**[41] მაგალითად, საპროცენტო განაკვეთის შეუსაბამოდ მაღალი ოდენობის (ყოველთვიური 30%) მიმართება ზნეობასთან.[42]

34 **გარიგების მოტივის ამორალურობა** შეიძლება გახდეს მთლიანად გარიგების ამორალურად მიჩნევის საფუძველი, მაგალითად, საყვარლისათვის ანდერძით ქონების დატოვება იმ პირობით, რომ ის მოანდერძეს სიცოცხლის განმავლობაში მარტო არ დატოვებს.[43]

37 შდრ. *Medicus*, BGB AT, 10. Aufl., 2010, Rn. 681.
38 შდრ. *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 355.
39 თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 5 თებერვლის № 2/13966-12 გადაწყვეტილება.
40 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 6 თებერვლის № 2ბ/4123-12 გადაწყვეტილება.
41 შდრ. *Medicus*, BGB AT, 10. Aufl., 2010, Rn. 685.
42 თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 5 თებერვლის № 2/13966-12 გადაწყვეტილება.
43 შდრ. *Medicus*, BGB AT, 10. Aufl., 2010, Rn. 688.

გარიგების ბათილობა არ შეიძლება იმაზე იყოს დამოკიდებული, იცოდნენ თუ არა გარიგების მონაწილეებმა, რომ ზნეობის საწინააღმდეგოდ მოქმედებდნენ.[44]

35 ზნეობის დამატებითი შინაარსობრივი კრიტერიუმების არარსებობის გამო გარიგების ბათილობის საზომად ზნეობის გამოყენება მიზანშეუწონლად არის მიჩნეული ქართულ ლიტერატურაში.[45] სხვა მოსაზრების თანახმად, ხელშეკრულება მაშინ უნდა იქნეს აღიარებული ზნეობის საწინააღმდეგოდ, როცა ეს იურიდიულად აუცილებელია და ის შეიცავს დარღვევას იურიდიულად მნიშვნელოვანი ინტერესებისა.[46]

2. ამორალური გარიგებების ცალკეული შემთხვევები

36 ქართული სასამართლო პრაქტიკა ღარიბია ზნეობის საწინააღმდეგო გარიგებების შემთხვევებით. თუმცა ბოლო დროს შეიმჩნევა ამ თვალსაზრისით სასამართლოების გააქტიურება, განსაკუთრებით მევახშეობასთან მიმართებაში. მაგალითად, ყოველთვიური სარგებელი 30%-ის ოდენობით შეუსაბამოდ მაღალია და მხარეთა შეთანხმება ამ პროცენტზე ბათილად მიიჩნევა (სარგებლის ამორალური ხასიათი).[47]

ზნეობრივი სტანდარტების საწინააღმდეგოდ ითვლება გამსესხებლის მიერ ბაზარზე საკრედიტო დაწესებულებების კრედიტებზე დადგენილ **საშუალო საპროცენტო განაკვეთებზე (თვიური 1,9%) ბევრად მეტი ოდენობით პროცენტის** განსაზღვრა.[48]

საყურადღებოა სხვა ქვეყნების, მაგალითად, გერმანული სამოსამართლო სამართლის გამოცდილება ამორალურ გარიგებებთან დაკავშირებით.

ზნეობის საწინააღმდეგოდ შეიძლება ჩაითვალოს კრედიტის უზრუნველყოფის მიზნით უზრუნველყოფის გადაჭარბებული და შეუსაბამო საშუალებების გამოყენება, მაგალითად, მცირე კრედიტის უზრუნველყოფის მიზნით მოვალის მთელი ქონების გამოყენება.[49]

ზნეობის საწინააღმდეგოდ მიიჩნევა სქესობრივი ურთიერთობა საფასურის გადახდის სანაცვლოდ.[50]

შინაარსობრივად ნეიტრალური ხელშეკრულებები, როგორიცაა ნასყიდობა, სესხი, ქირავნობა შეიძლება ამორალურობის მოტივით ბათილად იქნეს აღიარებული, თუკი მათ საფუძვლად არსებული მოტივი ამორალურია, მაგალითად, იარაღის ყიდვა მკვლელობის ჩადენის მიზნით.[51]

44 შდრ. *Medicus,* BGB AT, 10. Aufl., 2010, Rn. 689.

45 *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 280.

46 *ზარანდია/ჯუღელი,* ზნეობრივი ვალდებულებანი სამოქალაქო სამართალში, მართლმსაჯულება და კანონი, 4/2006, გვ. 77.

47 თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 5 თებერვლის № 2/13966-12 გადაწყვეტილება.

48 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 6 თებერვლის № 2ბ/4123-12 გადაწყვეტილება.

49 შდრ. *Medicus,* BGB AT, 10. Aufl., 2010, Rn. 696.

50 შდრ. *Medicus,* BGB AT, 10. Aufl., 2010, Rn. 701.

51 შდრ. *Rüthers/Stadler,* Allgemeiner Teil des BGB, 16. Aufl. § 26 Rn. 35.

VI. სამართლებრივი შედეგი

1. ზოგადად

54-ე მუხლი შეიცავს ზოგად დებულებას იმის თაობაზე, რომ კანონ- **37**
საწინააღმდეგო, საჯარო წესრიგის ან ზნეობის ნორმების საწინააღმდეგო **გარიგება არის ბათილი.** მაგრამ ნორმა კონკრეტულად არ განსაზღვრავს ბათილობის არც პირობებს და არც სახეებს. აქედან გამომდინარე, გასაზიარებელია მოსაზრება, რომ 54-ე მუხლი მხოლოდ ბლანკეტურ, მითითებით მუხლს წარმოადგენს.[52] ეს იმას ნიშნავს, რომ 54-ე მუხლის საფუძველზე გარიგების ბათილად მიჩნევისათვის აუცილებელია ყოველთვის კანონის კონკრეტული ნორმის მითითება.

2. უსაფუძვლო გამდიდრება

განსხვავებით ზოგიერთი ქვეყნის სამოქალაქო კოდექსებისაგან, მაგალ- **38**
ითად, დსთ-ის მოდელური და მის საფუძველზე მიღებული კოდექსებისაგან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ შეიცავს გარიგებების თავში გარიგებათა ბათილობის სამართლებრივ შედეგებს, კერძოდ იმას, თუ რა მოვალეობები ეკისრებათ ბათილი გარიგების მონაწილეებს ერთმანეთის მიმართ.

ზოგადი წესის მიხედვით გარიგების მონაწილეებმა ერთმანეთს უნდა დაუბრუნონ ყველაფერი, რაც მათ ბათილი გარიგებით მიიღეს. თუმცა ამ წესიდან მრავალი გამონაკლისი არსებობს. ამიტომ სამოქალაქო კოდექსი ამ საკითხებს ცალკე აწესრიგებს უსაფუძვლო გამდიდრების ნორმების საფუძველზე.[53]

3. ბათილი გარიგების დადასტურება

მართალია, ბათილი გარიგება დადებისთანავე ბათილია, მაგრამ კანონ- **39**
ით გათვალისწინებულ შემთხვევებში გარიგების მონაწილეებს აქვთ ბათილი გარიგების ნაცვლად ნამდვილი გარიგების დადების შესაძლებლობა. ამას ითვალისწინებს 61 II მუხლი.[54] გარიგების ხელახლა დადების გზით გარიგების მონაწილეებს შეუძლიათ მართლზომიერად მიაღწიონ დასახულ მიზანს.

52 შდრ. *Sack,* in Staudinger, 2003, § 134 Rn. 57.
53 იხ. მუხ. 976-991 კომენტ.
54 იხ. მუხ. 61 II კომენტ.

მუხლი 55. გარიგების ბათილობა გავლენის ბოროტად გამოყენების გამო

ბათილია გარიგება, რომელიც დადებულია ერთი მხარის მიერ მეორეზე გავლენის ბოროტად გამოყენებით, როცა მათი ურთიერთობა დაფუძნებულია განსაკუთრებულ ნდობაზე.

საქართველოს 2012 წლის 8 მაისის კანონი №6151 – ვებგვერდი, 25.05.2012წ.

I. შესავალი დებულებები 324
1. ნორმის მიზანი და რეგულირების საგანი 324
2. განხორციელებული ცვლილებები 324
II. გამოყენების წინაპირობა 325
1. განსაკუთრებული ნდობა 325
2. გავლენის ბოროტად გამოყენება 325
III. სასამართლო პრაქტიკა 325

I. შესავალი დებულებები

1. ნორმის მიზანი და რეგულირების საგანი

1 55-ე მუხლში განმტკიცებული ნორმის მიზანი არის ერთი მხარის მიერ მეორეზე გავლენის ბოროტად გამოყენებით გარიგების დადების თავიდან აცილება.

2 სამოქალაქო კოდექსში ამ ინსტიტუტის ადგილთან დაკავშირებით გამოთქმულია კრიტიკა. კერძოდ, მიზანშეწონილად არის მიჩნეული მისი მოთავსება ზოგად სახელშეკრულებო სამართალში, ვინაიდან ნორმის შინაარსი მხოლოდ ხელშეკრულებებზე – ორმხრივ გარიგებებზე – ვრცელდება და არა ცალმხრივ გარიგებებზე.[1]

2. განხორციელებული ცვლილებები

3 2012 წლის 8 მაისამდე 55-ე მუხლი ორი ნაწილისაგან შედგებოდა. პირველი ნაწილი ითვალისწინებდა გარიგების ბათილობას, თუკი ამ გარიგებით აშკარა შეუსაბამობა იყო განსაზღვრულ შესრულებასა და ამ შესრულებისათვის გათვალისწინებულ ანაზღაურებას შორის და გარიგება დაიდო ერთ-ერთი მხარის მიერ საბაზრო ძალაუფლების ან ხელშეკრულების მეორე მხარის მძიმე მდგომარეობის, ან გამოუცდელობის (გულუბრყვილობის) გამოყენებით.

2012 წლის 8 მაისს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებით 55-ე მუხლის პირველი ნაწილი გაუქმდა. ცვლილების თაობაზე მომზადებული განმარტებითი ბარათის მიხედვით, ნორმის გაუქმება განპირობებული იყო თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ საქართველოს ახა-

1 *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 359.

ლი კანონის[2] მიღებით, რომელიც ითვალისწინებს ამგვარი გარიგებების რეგულირებას. მართალია, ამ კანონის მე-6 მუხლი აწესრიგებს დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებასთან დაკავშირებულ საკითხებს, 55 I მუხლის გაუქმებას ეს არ ამართლებს.

II. გამოყენების წინაპირობა

1. განსაკუთრებული ნდობა

55-ე მუხლის გამოყენების ერთ-ერთი წინაპირობა არის გარიგების მხარეებს შორის **განსაკუთრებული ნდობის** არსებობა. თუ კონკრეტულად რაში შეიძლება გამოიხატებოდეს განსაკუთრებული ნდობა, კონკრეტული ფაქტის შეფასების საკითხია. **4**

განსაკუთრებულ ნდობაზე დამყარებულად შეიძლება ჩაითვალოს ურთიერთობები ექიმსა და პაციენტს შორის, ადვოკატსა და კლიენტს შორის, საკუთრების მიმნდობსა და მინდობილ მესაკუთრეს შორის და ა.შ.[3]

2. გავლენის ბოროტად გამოყენება

გარდა განსაკუთრებული ნდობის არსებობისა, სახეზე უნდა იყოს ერთი მხარის მიერ მეორეზე **გავლენის ბოროტად გამოყენება.** გავლენისა და ნდობის ბოროტად გამოყენებით არაკეთილსინდისიერი მხარე, როგორც წესი, იღებს სარგებელს დადებული გარიგებიდან.[4] **5**

გავლენის ბოროტად გამოყენების არსებობა ყოველი **კონკრეტული შემთხვევის შეფასებისას** უნდა შემოწმდეს. შემოთავაზებულია „გარემოებათა ბოროტად გამოყენების“ შემოღება „გავლენის ბოროტად გამოყენების“ ნაცვლად.[5]

III. სასამართლო პრაქტიკა

2012 წლის საკანონმდებლო ცვლილებებამდე სასამართლო პრაქტიკა იცნობს შემთხვევებს, რომელთა სამართლებრივი შეფასებაც 55 I მუხლის შესაბამისად ხდება. **6**

მაგალითად, სასამართლომ არ ჩათვალა დაჩქარებული წესით მომსახურების გაწევისათვის ნორმატიული აქტით დადგენილი **ჩვეულებრივი ტარიფის ორმაგი ოდენობა** 55 I მუხლით განსაზღვრულ „შესრულებასა და ამ შესრულებისათვის გათვალისწინებულ ანაზღაურებას შორის“ აშკარა შეუსაბამობად.[6]

55 I მუხლის პირობების **კუმულატიურად,** ე.ი. ერთობლიობაში განხილვას

2 საქართველოს კანონი თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ, 2012 წლის 25 მაისი.
3 *ზოიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 55, გვ. 185.
4 იქვე, გვ. 185.
5 *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 358.
6 საქ. უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 26 აპრილის № ას-335-320-2012 გადაწყვეტილება.

უჭერს მხარს სამოსამართლო სამართალი. ერთ-ერთ საქმეზე სასამართლომ განმარტა, რომ გარიგებით განსაზღვრულ შესრულებასა და ამ შესრულებისათვის გათვალისწინებულ ანაზღაურებას შორის აშკარა შეუსაბამობა გარიგების ბათილობისათვის საკმარის საფუძველს არ წარმოადგენს, ამ პირობასთან ერთად უნდა არსებობდეს მეორე გარემოებაც – გარიგება დადებული უნდა იყოს მხოლოდ იმის წყალობით, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთმა მხარემ ბოროტად გამოიყენა თავისი საბაზრო ძალაუფლება, ან ისარგებლა კონტრაჰენტის მძიმე მდგომარეობით, ან გულუბრყვილობით.[7] კუმულაციური პირობის თეორია გაზიარებულია ასევე იურიდიულ ლიტერატურაში.[8]

7 საქ. უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 12 მარტის გადაწყვეტილება № ას-109-105-2012.
8 *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 357.

მუხლი 56. მოჩვენებითი და თვალთმაქცური გარიგებანი

1. ბათილია გარიგება, რომელიც დადებულია მხოლოდ მოსაჩვენებლად, იმ განზრახვის გარეშე, რომ მას შესაბამისი იურიდიული შედეგები მოჰყვეს (მოჩვენებითი გარიგება).

2. თუ მოსაჩვენებლად დადებული გარიგებით მხარეებს სურთ სხვა გარიგების დაფარვა, მაშინ გამოიყენება დაფარული გარიგების მიმართ მოქმედი წესები (თვალთმაქცური გარიგება).

I. ზოგადი დებულებები 327
1. ნორმის მიზანი და გამოყენების სფერო 327
II. მოჩვენებითი გარიგება 328
1. ცნება და ნიშნები 328
2. სამართლებრივი შედეგი 329
3. ცალკეული შემთხვევები 329
III. თვალთმაქცური გარიგება 330
1. ცნება და ნიშნები 330
2. ცალკეული შემთხვევები 331
3. სამართლებრივი შედეგი 331
4. მტკიცების ტვირთი 332

I. ზოგადი დებულებები

1. ნორმის მიზანი და გამოყენების სფერო

56-ე მუხლი აწესრიგებს ნების ნაკლის[1] საფუძველზე დადებული გარიგების ორ შემთხვევას – **მოჩვენებით** და **თვალთმაქცურ** გარიგებებს. ორივე შემთხვევაში საუბარია **სიმულაციასა** და **სიმულაციის განსხვავებულ მეთოდებზე**.[2] **1**

როგორც მოჩვენებითი, ისე თვალთმაქცური გარიგებები **კერძო ავტონომიის ნეგატიური გამოვლინების** მაგალითად მიიჩნევა.[3] **2**

მოჩვენებითი და თვალთმაქცური გარიგებები გამოიყენება მხოლოდ **მიღებასავალდებულო ნების გამოვლინებებ**ის მიმართ, სადაც მიზნის მისაღწევად, სულ ცოტა, ორი მხარის მონაწილეობაა სავალდებულო.[4] აქედან გამომდინარე, მოჩვენებითი გარიგებების მომწესრიგებელი ნორმები არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ანდერძის მიმართ. **3**

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, თვალთმაქცური და მოჩვენებითი გარიგების დადებისას მხარეებს სურთ სხვა გარიგების დაფარვა და არ სურთ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შედეგის დადგომა, მოჩვენ-

1 ასევე „ნების გაცნობიერებული ნაკლი“, რადგან გამოვლენილი ნება შეგნებულად განსხვავდება გამომვლენის ჭეშმარიტი ნებისაგან, ან იგი საერთოდ არ არსებობს; *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 305

2 *ზოიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 56, გვ. 186.

3 MüKo/*Armbrüster,* BGB, 6. Aufl., 2012, § 117 Rn. 1.

4 MüKo/ *Armbrüster,* BGB, 6. Aufl., 2012, § 117 Rn. 2.

ებითი გარიგების შემთხვევაში კი გარიგება დადებულია სხვა გარიგების დასაფარად.[5]

II. მოჩვენებითი გარიგება

1. ცნება და ნიშნები

4 **მოჩვენებითია გარიგება,** როცა ნების გამომვლენი და ნების მიმღები თანხმდებიან იმაზე, რომ მათ მიერ გამოვლენილ ნებას არ მიეცეს მსვლელობა და არ მოჰყვეს ამ გარიგებისათვის დამახასიათებელი სამართლებრივი შედეგი, ე.ი. ახდენენ გარეგნულად გამოხატულის მიღწევის სიმულაციას.[6]

5 მოჩვენებით გარიგებას **ორი ძირითადი ნიშანი** ახასიათებს: პირველი, ის დადებულია **მოსაჩვენებლად** და, მეორე, მხარეებს არა აქვთ ამ გარიგებით გათვალისწინებული **შედეგის დადგომის განზრახვა.** სასამართლო პრაქტიკის მიხედვით მოჩვენებითი გარიგების შემთხვევაში აუცილებელია, რომ ნების გამომვლენი და ნების მიმღები მოქმედებდნენ შეთანხმებით და ორივე აცნობიერებდეს ნების ნაკლს.[7]

6 **მოჩვენებითი გარიგების მიზანი,** როგორც წესი, **მესამე პირის მოტყუებაა.**[8] ეს მესამე პირი შეიძლება იყოს როგორც კრედიტორი,[9] ისე სახელმწიფოც.[10] მაგალითად, თუკი სახლის ნასყიდობის ხელშეკრულებაში მხარეები სახლის ფასს უთითებენ 100.000 ლარს, სინამდვილეში კი მყიდველი იხდის 150.000 ლარს, მიზანი შეიძლება იყოს გადასახადის ან სანოტარო მოსაკრებლის ანდა მაკლერისთვის გადასახდელი საკომისიოს შემცირება.

სასამართლო პრაქტიკაც ადასტურებს, რომ ძირითადად მოჩვენებითი გარიგების დადება დაკავშირებულია მესამე პირებთან არსებულ ურთიერთობასთან, (მაგალითად, მოჩვენებითი გარიგების დადების ერთ-ერთ მოტივს შეიძლება წარმოადგენდეს მესამე პირის მოტყუება, პასუხისმგებლობისაგან თავის არიდება და ა.შ.).[11]

7 სავალდებულო არ არის მოჩვენებითი გარიგების მიზანი ყოველთვის იყოს მესამე პირის მოტყუება. **მოჩვენებით გარიგებად მიჩნევისათვის გადამწყვეტია** ფაქტი, რომ მხარეებს არა აქვთ გარიგებაში მითითებული შედეგის დადგომის განზრახვა, მაგალითად, ხელშეკრულებაში მითითებული ფასის გადახდა.[12]

შეძენილი უძრავი ქონებით არსარგებლობა არ არის საკმარისი საფუძველი

5 საქ. უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 23 თებერვლის № ას-891-1177-09 განჩინება, სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2/2010, გვ. 253.

6 *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 361.

7 საქ. უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 30 აპრილის № ას-571-879-09 გადაწყვეტილება; საქ. უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 23 თებერვლის № ას-891-1177-09 განჩინება, სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2/2010, გვ. 253.

8 შდრ. *Rüthers/Stadler,* Allgemeiner Teil des BGB, 16. Aufl. § 25 Rn. 7.

9 საქ. უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 30 აპრილის № ას-571-879-09 გადაწყვეტილება.

10 *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 361.

11 საქ. უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 30 აპრილის № ას-571-879-09 გადაწყვეტილება.

12 შდრ. MüKo*/Armbrüster,* BGB, 6. Aufl., 2012, § 117 Rn. 13.

ამ გარიგების მიჩნევისათვის მოჩვენებითად. აუცილებელია, რომ გარიგების მხარეებს ამ გარიგებით სურდეთ კანონსაწინააღმდეგო მიზნის მიღწევა ან სხვა გარიგების დაფარვა.[13]

2. სამართლებრივი შედეგი

მოჩვენებითი გარიგება ბათილია, რადგან **მხარეთა შეთანხმება მოკლებულია ნამდვილობას.**[14] 100.000 ლარზე გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულება ბათილია, რადგან მხარეთა ნამდვილი ნება იყო 150.000 ლარის გადახდა. 8

მოჩვენებითი გარიგება **ბათილია** არა მხოლოდ გარიგების მეორე მონაწილის, არამედ **მოტყუებული მესამე პირის** მიმართაც.[15] 9

ბათილობის სამართლებრივი შედეგი გარიგების მონაწილეებისათვის ზემოთ განხილული ნასყიდობის ხელშეკრულების მაგალითში შემდეგნაირად გამოიხატება: გამყიდველს აქვს არა 100.000 ლარის, არამედ 150.000 გადახდის მოთხოვნის უფლება, რადგან მხარეები სწორედ ამაზე შეთანხმდნენ, ხოლო მყიდველი ვალდებულია გადაიხადოს 150.000 ლარი.

რადგან მოჩვენებითი გარიგებების ერთ-ერთი ძირითადი მიზანი მესამე პირთა მოტყუებაა, მათ უნდა მიეცეთ **თავდაცვის შესაძლებლობა** და მიენიჭოთ **შეცილებისა** და **მოჩვენებითი გარიგების ბათილობის მოთხოვნის უფლება,** რაც შეიძლება მიღწეულ იქნეს მათთვის **აღიარებითი სარჩელისა** და **ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებათა** მინიჭებით.[16] 10

მოტყუებულ მესამე პირებს უფლება აქვთ მოითხოვონ მხარეებისაგან ზიანის ანაზღაურება, თუ მათ ზიანი მიადგათ მოჩვენებითი გარიგებით, მაგალითად, მაკლერს შეუძლია მოითხოვოს მოსაჩვენებლად ფასის შემცირებით გამოწვეული დანაკლისის გადახდა (992).

საყურადღებოა **კეთილსინდისიერი შემძენი მესამე პირის უფლებები,** როცა მოსაჩვენებლად შემძენი პირი გაასხვისებს მისთვის გადაცემულ ნივთს მესამე პირზე. 187 I 1 მუხლის თანახმად, შემძენი ხდება ნივთის მესაკუთრე. ამიტომ მოჩვენებითი გარიგების ბათილობა არ იწვევს შემძენის მიერ საკუთრების შეძენის ბათილობას. იგივე წესი უნდა იქნეს გამოყენებული მაშინაც, როცა მოჩვენებითი გარიგების საფუძველზე მოჩვენებითი მყიდველი რეგისტრირებულია რეესტრში და ის გაასხვისებს მიწის ნაკვეთს მესამე პირზე. ამ შემთხვევაშიც, 185, 312 I, II მუხლების საფუძველზე შემძენი კეთილსინდისიერი იქნება.

3. ცალკეული შემთხვევები

აქციონერის მიერ თავისი აქციების გადაფორმება სხვა აქციონერის 11

13 საქ. უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 30 აპრილის № ას-571-879-09 გადაწყვეტილება.
14 *ზოიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 56, გვ. 186.
15 შდრ. *Rüthers/Stadler,* Allgemeiner Teil des BGB, 16. Aufl. § 25 Rn. 7.
16 შდრ. MüKo*/Armbrüster,* BGB, 6. Aufl., 2012, § 117 Rn. 22.

სახელზე **აქციათა საკონტროლო პაკეტის სიმულაციის** მიზნით და ამ გზით ბანკის კრედიტის აღების უზრუნველსაყოფად, ბათილია, რადგან, უზენაესი სასამართლოს აზრით, ამ დროს მოხდა ნასყიდობის ხელშეკრულებით საკუთრების მინდობის დაფარვა.[17]

12 მოჩვენებითია ორ საწარმოს შორის **ხარჯების გაზრდისა და მოგების შემცირების მიზნით დადებული მომსახურების ხელშეკრულება,** თუ მხარეებს არ ჰქონიათ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების განზრახვა და არც შეუსრულებიათ ეს ვალდებულებები.[18]

13 მოჩვენებითია **კრედიტორის დაკმაყოფილების თავიდან აცილების მიზნით** მოვალის მიერ თავისი მიწის ნაკვეთის „გაყიდვა“ მესამე პირზე.[19] მაგალითად, ერთ-ერთი მეუღლის მიერ ბინის გასხვისება მესამე პირზე კრედიტორის მოტყუების მიზნით, ჩაითვალა მოჩვენებით გარიგებად.[20]

14 **სესხის უზრუნველსაყოფად დადებული უძრავი ნივთების ნასყიდობის ხელშეკრულება** მიიჩნევა ბათილად, როგორც მოჩვენებითი გარიგება.[21]

15 **არ არსებობს მოჩვენებითი გარიგება,** როცა მხარეებმა ნასყიდობის ფასი ზუსტად კი მიუთითეს, მაგრამ გადასახადის შემცირების მიზნით ფასი გაყვეს ორ ნაწილად, მაგალითად, უძრავი ქონების ფასი და მისი რემონტის ფასი.[22] ეს განსხვავდება იმ შემთხვევისაგან, როცა ფასი ხელშეკრულებაში რეალურისაგან განსხვავებული და დაბალი იყო მითითებული.

ნაკლები გადასახადების გადახდის მიზანი ყოველთვის არ იწვევს გარიგების მიჩნევას მოჩვენებითად. მაგალითად, საქველმოქმედო ფონდის დაფუძნება და ამ მიზნით ფინანსური შემოწირულობების გაღება შეიძლება იწვევდეს დასაბეგრი მოგების შემცირებას, მაგრამ ამის გამო ფონდის დაფუძნება ან შემოწირულობების გაღება არ უნდა ჩაითვალოს მოჩვენებითად.[23]

III. თვალთმაქცური გარიგება

1. ცნება და ნიშნები

16 როგორც წესი, მოჩვენებითი გარიგების უკან ჩვეულებრივ სხვა გარიგება იმალება, რომლის მიღწევაც გარიგების მონაწილეებს აქვთ განზრახული. ამიტომ კანონი ამ გარიგებას ავტომატურად არ მიიჩნევს ბათილად. პირიქით, მოჩვენებითი (სიმულირებული) გარიგების ბათილობა იწვევს იმას, რომ ამოქმედდება **თვალთმაქცური გარიგების ნორმები** (56 II).

17 თვალთმაქცური გარიგება წარმოადგენს **მოჩვენებითი გარიგების ნაირსახ-**

17 საქ. უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 1 თებერვლის № ა-27-გან-1-2010 განჩინება, გვ. 3-5.

18 *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 362.

19 *ზოიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 56, გვ. 186.

20 საქ. უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 23 თებერვლის № ას-891-1177-09 განჩინება, სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 2/2010, გვ. 253.

21 საქ. უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 23 ივნისის №ას-214-535-05 განჩინება, სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 9/2005, გვ. 25.

22 შდრ. MüKo/*Armbrüster,* BGB, 6. Aufl., 2012, § 117 Rn. 4.

23 შდრ. MüKo/*Armbrüster,* BGB, 6. Aufl., 2012, § 117 Rn. 14.

ეობას და განსხვავდება იმით, რომ გარიგების მონაწილეებს რეალურად მისი განხორციელება სურთ.[24] მაგალითად, მხარეები დებენ ავტომანქანის ჩუქების ხელშეკრულებას **(მოჩვენებითი გარიგება)** მაშინ, როცა სინამდვილეში მათ შორის იყო ნასყიდობის ხელშეკრულება **(თვალთმაქცური გარიგება).** ასეთ დროს 56 I მუხლის თანახმად, ჩუქების ხელშეკრულება ბათილია და 56 II მუხლის მიხედვით, გამოიყენება ნასყიდობის ხელშეკრულების ნორმები, რადგან გარიგების მონაწილეებს სინამდვილეში ნასყიდობის დადება სურდათ.

2. ცალკეული შემთხვევები

უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში თვალთმაქცურად მიიჩნია **სახლის ნასყიდობის ხელშეკრულება დროებით** – სესხის მოქმედების ვადის მანძილზე.[25] გარიგების ბათილობა ამ შემთხვევაში შეიძლება არა მისი თვალთმაქცურობის მოტივით, არამედ სხვა საფუძვლით: საკუთრების გადაცემას დროებით საკუთრებაში სამოქალქო კოდექსი არ იცნობს. ამიტომ სადავოა გარიგების კვალიფიკაცია თვალთმაქცურად. **18**

3. სამართლებრივი შედეგი

მოჩვენებითი გარიგებისაგან განსხვავებით, **თვალთმაქცური გარიგება ნამდვილია.** თუმცა ეს არ გამორიცხავს ამ გარიგების ბათილობას სხვა საფუძვლით, მაგალითად, ფორმის დაუცველობის (59 I) ან კანონსაწინააღმდეგობის (54) გამო. მაგალითად, თუ უძრავი ნივთის ფასზე ნასყიდობის ხელშეკრულების მხარეები შეთანხმდნენ ზეპირად, ხოლო მოსაჩვენებელი ფასი ჩაწერეს ხელშეკრულებაში, მოსაჩვენებელი ფასი იქნება ბათილი 56 I მუხლის მიხედვით როგორც მოჩვენებითი, ხოლო ზეპირად შეთანხმებული ფასი იქნება ბათილი ფორმის დაუცველობის გამო 59 I მუხლის საფუძველზე. **19**

დაფარული გარიგების მიმართ გამოიყენება მის მიმართ მოქმედი წესები. ამიტომ დაფარული გარიგების ნამდვილობისათვის არ კმარა მხოლოდ მოჩვენებითი გარიგების ბათილობა. დაფარული გარიგება უნდა იყოს მართლზომიერი და ამ საფუძვლით ნამდვილი. მაგალითად, თუ მიწის ნაკვეთის ჩუქების ხელშეკრულებით მხარეებს სურთ ნასყიდობის დაფარვა, ნასყიდობის ხელშეკრულება არ იქნება ნამდვილი, თუკი ის არ არის 183-ე და 323-ე მუხლების შესაბამისად წერილობით გაფორმებული. ასეთ შემთხვევაში ჩუქება, როგორც მოჩვენებითი გარიგება, ბათილია, ნასყიდობაც ბათილია ფორმის დაუცველობის გამო. ამიტომ მხარეები ვერ იღებენ თვალთმაქცური გარიგებით გათვალისწინებულ მიზანს – შემძენი ვერ ხდება მესაკუთრე. **20**

24 *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 362.

25 საქ. უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 11 მაისის № ას-27-387-05 განჩინება, სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 9/2005, გვ. 19.

4. მტკიცების ტვირთი

21 მტკიცების ტვირთი როგორც მოჩვენებითი, ისე თვალთმაქცური გარიგებების შემთხვევაში აწევს იმ **პირს, ვინც ამტკიცებს,** რომ არსებობს მოჩვენებითი და თვალთმაქცური გარიგებები.[26]

სასამართლო პრაქტიკის მიხედვით მოჩვენებითი გარიგებების დროს მხარეთა ნების გამოვლენის არანამდვილობის მტკიცების ტვირთი აკისრია მას, ვისაც მიაჩნია, რომ მოსაჩვენებლად დადებული გარიგებით შეილახა მისი უფლება.[27]

22 სასამართლოსათვის აუცილებელია ისეთი ფაქტობრივი გარემოებების არსებობა, რომლებიც მიუთითებენ ნების გამოვლენის ნაკლზე, ფიქციური გარიგების შესახებ შეთანხმებაზე, საერთო მიზანზე, რაც არ შეესაბამება მათ მიერ გარეგანი ნების გამოვლენას.[28]

26 შდრ. MüKo/*Armbrüster,* BGB, 6. Aufl., 2012, § 117 Rn. 21.
27 საქ. უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 30 აპრილის № ას-571-879-09 გადაწყვეტილება.
28 იქვე.

მუხლი 57. გარიგების ბათილობა ნების გამოვლენის არასერიოზულობის გამო

1. ბათილია ნების გამოვლენა, რომელიც გაკეთებულია არასერიოზულად (ხუმრობით) იმ ვარაუდით, რომ არასერიოზულობა გამოცნობილი იქნებოდა.

2. ნების მიმღებს უნდა აუნაზღაურდეს ის ზიანი, რომელიც წარმოიშვა იმის გამო, რომ იგი ენდობოდა ნების გამოვლენის სერიოზულობას, თუკი მან არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა არასერიოზულობის შესახებ.

I. ზოგადი დებულებები 333
1. ნორმის მიზანი და გამოყენების სფერო 333
2. მნიშვნელობა 334
II. გამოყენების წინაპირობები 334
III. სამართლებრივი შედეგი 334
1. გარიგების ბათილობა 334
2. ზიანის ანაზღაურება 335
3. მტკიცების ტვირთი 335

I. ზოგადი დებულებები

1. ნორმის მიზანი და გამოყენების სფერო

ნორმის მიზანი არის **ნების გამომვლენის ინტერესების დაცვა** და მისი გათავისუფლება სამართლებრივი შედეგის დადგომის ვალდებულებისაგან, თუკი მის მიერ გამოხატული ნება არ იყო სამართლებრივი შედეგის მიღწევის განზრახვით გაკეთებული და იგი ვარაუდობდა, რომ ნების მიმღები ამ არასერიოზულობას გამოიცნობდა (57 I).

გარდა ამისა, ნორმა ასევე იცავს **ნების მიმღებსაც** და მას იმ ზიანის ანაზღაურების უფლებას ანიჭებს, რომელიც მას არასერიოზულად გაკეთებული ნების გამოვლენისადმი ნდობის გამო მიადგა (57 II).

57-ე მუხლი გამოიყენება როგორც **ცალმხრივი, ისე ორმხრივი და მრავალმხრივი ნების გამოვლინებების მიმართ,** მაგალითად, არასერიოზულად შედგენილი ანდერძის მიმართაც.[1] არასერიოზულობის გამოცნობის შესაძლებლობაზე მითითება არ ნიშნავს იმას, რომ ამ შემთხვევაში საუბარია ნების მიღებასავალდებულო გარიგებებზე. **1**

57-ე მუხლში გათვალისწინებული გარიგება **არ განეკუთვნება მოჩვენებით ან თვალთმაქცურ გარიგებებს,** რადგან ამისათვის მას აკლია გარიგების მონაწილეთა ერთობლივი ნება, რაც აუცილებელია მოჩვენებითი გარიგებისათვის. ამ შემთხვევაში საუბარია მხოლოდ ნების გამომვლენის მიერ არასერიოზულად განხორციელებულ ნებაზე. **2**

1 შდრ. MüKo/*Armbrüster,* BGB, 6. Aufl., 2012, § 118 Rn. 3; *Wendtland,* in Beck OK BGB, 27. Aufl., Stand 01.05.2013, § 118 Rn. 2.

2. მნიშვნელობა

3 57-ე მუხლის **პრაქტიკული მნიშვნელობა ძალიან მცირეა.** ამ ინსტიტუტს სამოქალაქო სამართალში **„უცხო სხეულსაც“** კი უწოდებენ.[2] ამის მიზეზი არის ის, რომ ნორმა გადამწყვეტად მიიჩნევს ნების გამომვლენის სუბიექტურ განწყობას **(ნების თეორია)** და არა ნების მიმღების მიერ ნების მიღების ობიექტურ შესაძლებლობებს **(ნების მიღების თეორია)**, რასაც თანამედროვე სამოქალაქო სამართალი ეყრდნობა.

57-ე მუხლი თითქმის უცვლელად შეესაბამება გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 118-ე პარაგრაფს.

II. გამოყენების წინაპირობები

4 57-ე მუხლის გამოყენებისათვის აუცილებელია **გარეგნულად გამოხატული ნების არსებობა,** რომელიც ნების გამომვლენს არ უნდა ჰქონდეს სერიოზულად ნაგულისხმევი (ობიექტური ნიშანი), მაგალითად, სპექტაკლის დროს სცენიდან გაკეთებული განცხადება იმის შესახებ, რომ „ვინც დღეს პრემიერას ესწრება, შეუძლია მთელი სეზონი უფასოდ დაესწროს სხვა სპექტაკლებს“.

5 **ნების გამომვლენი დარწმუნებული უნდა იყოს,** რომ ნების მიმღები გამოიცნობს ნების გამოვლენის არასერიოზულობას (სუბიექტური ნიშანი). არა აქვს მნიშვნელობა, ობიექტურად შეუძლია თუ არა ნების მიმღებს არასერიოზულობის გამოცნობა. 57 I მუხლისათვის ამოსავალია **ნების გამომვლენის რწმენა,** რომ არასერიოზულობა გამოცნობილი იქნება.[3]

6 **მნიშვნელობა არა აქვს ნების გამოვლენის ფორმას.** აღიარებული შეხედულების თანახმად, სანოტარო წესით დამოწმებული ნების გამოვლენაც შეიძლება იყოს არასერიოზული, რადგან სანოტარო დამოწმების მიზანი არ არის ნების გამომვლენის ნების სერიოზულობის კონტროლი, მაგალითად, არასერიოზული ანდერძი.[4]

III. სამართლებრივი შედეგი

1. გარიგების ბათილობა

7 57 I მუხლის თანახმად, არასერიოზულად გაკეთებული **ნების გამოვლენა არის ბათილი.**

გარიგების ბათილობას იწვევს ე.წ. **კეთილსინდისიერი ხუმრობა,** რომელშიც თავიდანვეა იმის შესაძლებლობა ჩადებული, რომ იგი ადრესატისათვის გამოსაცნობი იქნება.[5] პირიქით, **ბოროტი ხუმრობა** არ იწვევს გარიგების

2 შდრ. *Rüthers, Stadler,* Allgemeiner Teils des BGB, 16. Aufl. § 25 Rn. 10.
3 შდრ. MüKo*/Armbrüster,* BGB, 6. Aufl., 2012, § 118 Rn. 7.
4 შდრ. MüKo*/Armbrüster,* BGB, 6. Aufl., 2012, § 118 Rn. 8.
5 *ზოიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 57, გვ. 188-189.

ბათილობას და ნების გამომვლენმა უნდა შეასრულოს ნების გამოვლენით გამოხატული ვალდებულება.[6]

2. ზიანის ანაზღაურება

ნების გამოვლენის ბათილობა არ გამორიცხავს ნების გამომვლენისათვის იმ **ზიანის ანაზღაურების დაკისრების ვალდებულებას,** რომელიც ნების გამოვლენის ადრესატს მიადგა იმის გამო, რომ მან ვერ გამოიცნო ნების გამოვლენის არასერიოზულობა. **8**

ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის წინაპირობა არის ნების მიღების ადრესატის **ნდობა ნების გამოვლენის სერიოზულობისადმი.** გარდა ამისა, ადრესატმა არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა არასერიოზულობის შესახებ. **9**

აღიარებული შეხედულების თანახმად, თუკი ნების გამომვლენი ამჩნევს, რომ ნების მიმღებს უჭირს არასერიოზულობის გამოცნობა, მან აუცილებლად უნდა აუხსნას ნების მიმღებს ნების გამოვლენის არასერიოზულობის თაობაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში მას პასუხისმგებლობა დაეკისრება **კეთილსინდისიერების მოვალეობის დარღვევისათვის** (§ 241 III),[7] რადგან არასერიოზულობის შესახებ ინფორმაციის მიუწოდებლობა ითვლება „ბოროტ ხუმრობად“,[8] რაც არ იწვევს გარიგების ბათილობას და ნების გამომვლენმა უნდა შეასრულოს ამ არასერიოზული ნების გამოვლენით გამოხატული ვალდებულება.[9] **10**

3. მტკიცების ტვირთი

მტკიცების ტვირთი ეკისრება იმ პირს, ვინც ამტკიცებს, რომ ნების გამოვლენა ბათილი იყო. ამ დროს მან უნდა დაამტკიცოს ნების გამოვლენის არასერიოზულობის არსებობა და ის, თუ რას ემყარებოდა მოლოდინი, რომ არასერიოზულობა გამოცნობილი იქნებოდა. როგორც წესი, **მტკიცების ტვირთი ეკისრება ნების გამომვლენს.**[10] **11**

6 *ზოიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 57, გვ. 189.

7 შდრ. გერმანული სამოქალაქო კოდექსის §242; *Ellenberger,* in Palandt BGB Komm, § 118, Rn. 2; *Wendtland,* in Beck OK BGB, 27. Aufl., Stand 01.05.2013, § 118 Rn. 7.

8 შდრ. MüKo*/Armbrüster,* BGB, 6. Aufl., 2012, § 118 Rn. 10.

9 *ზოიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 57, გვ. 189.

10 შდრ. MüKo*/Armbrüster,* BGB, 6. Aufl., 2012, § 118 Rn. 13.

მუხლი 58. გარიგების ბათილობა მცირეწლოვანების ან ფსიქიკური აშლილობის გამო

1. მცირეწლოვნის მიერ ნების გამოვლენა ბათილია.

2. ბათილად შეიძლება ჩაითვალოს პირის მიერ ნების გამოვლენა ცნობიერების დაკარგვის ან დროებითი ფსიქიკური აშლილობის დროს.

3. ბათილია ფსიქიკური აშლილობის მქონე პირის მიერ ნების გამოვლენა გარიგების დადებისას, როცა ეს რეალური ვითარების სწორად აღქმას არ შეესაბამება, თუ ეს პირი ამ გარიგებით სარგებელს არ იღებს, თუნდაც იგი სასამართლოს მიერ მხარდაჭერის მიმღებად არ იყოს ცნობილი.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილება №2/4/532,533 -ვებგვერდი, 28.10.2014 წ.

საქართველოს 2015 წლის 20 მარტის კანონი №3339 – ვებგვერდი, 31.03.2015 წ.

I. ზოგადი დებულებები 336
1. ნორმის მიზანი 336
2. გამოყენების სფერო 337
II. მცირეწლოვნის ნების გამოვლენა (58 I) 337
1. გამოყენების წინაპირობები 337
ა. მცირეწლოვნობის გამო ქმედუუნარო პირი 337
ბ. ნების გამოვლინება და გამოყენების შემთხვევები 337
2. სამართლებრივი შედეგები 338
3. კანონიერი წარმომადგენლის მოქმედება 338
III. ნების გამოვლენა ცნობიერების დაკარგვის ან დროებითი ფსიქიკური მოშლილობის დროს (58 II) 339
1. გამოყენების წინაპირობა 339
2. სამართლებრივი შედეგები 340
IV. ფსიქიკური აშლილობის მქონე პირის მიერ ნების გამოვლენა (58 III) 340
V. რესტიტუცია 340
VI. საპროცესო საკითხი 341

I. ზოგადი დებულებები

1. ნორმის მიზანი

1 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის №2/4/532,533 გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელმაც გააუქმა სულით ავადმყოფობის ან ჭკუასუსტობის გამო პირის ქმედუუნაროდ აღიარების ინსტიტუტი, 2015 წლის 20 მარტს მიღებული კანონით 58-ე მუხლი ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა (საქართველოს 2015 წლის 20 მარტის კანონი №3339 – ვებგვერდი, 31.03.2015 წ.).

ნორმის მიზანი არის **მცირეწლოვნის ან ფსიქიკური აშლილობის მქონე**

პირის დაცვა იმ მოსალოდნელი უარყოფითი შედეგებისაგან, რომლებიც შეიძლება მათ მიერ ნების გამოვლენას მოჰყვეს. ამას 58-ე მუხლი აღწევს ამ პირთა მიერ განხორციელებული ნების გამოვლინებების ბათილად გამოცხადებით. ამით სამოქალაქო კოდექსი განამტკიცებს **მცირეწლოვანთა ან ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთა ინტერესების დაცვის პრიმატს** სამოქალაქო ბრუნვის ინტერესებთან შედარებით.[1] ამ კონკრეტულ შემთხვევაში საუბარია კანონით დადგენილი ასაკის მიუღწევლობის გამო არსებულ ქმედუუნარობაზე.

58-ე მუხლი არ ანიჭებს მნიშვნელობას იმ ფაქტს, **იცოდა თუ არა გარიგების მეორე მონაწილემ მცირეწლოვნობის ან ფსიქიკური აშლილობის არსებობის შესახებ** ან უნდა სცოდნოდა თუ არა მას ამის შესახებ. განსახილველი მუხლი რაიმე გამონაკლისს ამ ასპექტით არ ითვალისწინებს. ამიტომ, მიუხედავად იმისა, იცოდა თუ არა გარიგების მეორე მონაწილემ ფსიქიკური აშლილობის შესახებ, **გარიგება ბათილია**.[2] ამრიგად, 58-ე მუხლი არ იცავს გარიგების მეორე მონაწილის კეთილსინდისიერებას. **2**

2. გამოყენების სფერო

58-ე მუხლის ნორმები გამოიყენება მხოლოდ **მცირეწლოვნების ან ცნობიერებადაკარგული ანდა ფსიქიკური აშლილობის მქონე პირების** მიერ განხორციელებული ნების გამოვლინებების მიმართ. **3**

II. მცირეწლოვნის ნების გამოვლენა (58 I)

1. გამოყენების წინაპირობები

ა. მცირეწლოვნობის გამო ქმედუუნარო პირი

58 I მუხლის მთავარი სუბიექტი არის შვიდ წლამდე ასაკის არასრულწლოვანი – **მცირეწლოვანი** (12 VI მუხლი, იხ. მე-12 მუხლის კომენტ.). **4**

ბ. ნების გამოვლინება და გამოყენების შემთხვევები

58 I მუხლი გამოიყენება მცირეწლოვნის **ყველა ნების გამოვლინების მიმართ,** მიუხედავად იმისა, სარგებლის მომტანია მისთვის თუ არა. მაგალითად, მცირეწლოვნის მიერ საჩუქრის მიღებაც ბათილია.[3] ნორმა ეხება როგორც **ცალმხრივ, ისე ორმხრივ და მრავალმხრივ გარიგებებს** გამონაკლისის გარეშე. **5**

58 I მუხლის ნორმები ვრცელდება ასევე **გარიგების მსგავს ქმედებებზეც**,

1 შდრ. *Wendtland,* in Beck OK BGB, 28. Aufl. Stand 01.08.2013, § 105 Rn. 1.
2 შდრ. MüKo*/Schmitt,* BGB, 6. Aufl., 2012, § 105 Rn. 2.
3 შდრ. MüKo*/Schmitt* BGB, 6. Aufl., 2012, § 105 Rn. 8.

როგორიცაა, მაგალითად, გაფრთხილება, დამატებითი ვადის მიცემა და ა.შ.[4]

6 58 I მუხლი **არ გამოიყენება** იმ ურთიერთობების მიმართ, რომლებშიც მონაწილეობს მცირეწლოვანი, მაგრამ **სამართლებრივი შედეგი დგება კანონის ძალით** და არა ამ პირის ნების გამოვლინების შედეგად, მაგალითად, საავტორო უფლებების წარმოშობა ლიტერატურის, ხელოვნების ან მეცნიერების ნაწარმოებზე. მუსიკალური ნაწარმოების შექმნით ქმედუუნარო პირიც ავტომატურად ხდება ავტორი და იძენს საავტორო უფლებებს, რაც არ ექცევა აღნიშნული მუხლის მოქმედების ქვეშ.

რეალაქტებიც არ ექცევა 58 I მუხლის მოქმედების ქვეშ, მაგალითად, მოძრავი ნივთების შერწყმის შედეგად საკუთრების წარმოშობა 194-ე მუხლის საფუძველზე.

მფლობელობის შეძენაც არ არის 58 I მუხლის რეგულირების საგანი, რადგან ამ დროს მთავარია ფაქტობრივი ბატონობის მოპოვება ნივთზე და არა ნების გამოვლენის ნამდვილობა. ამიტომ **მფლობელობა შეიძლება შეიძინოს მცირეწლოვანმაც** 155 I მუხლის საფუძველზე.[5] იგივე წესი შეიძლება გამოყენებულ იქნეს მფლობელობის დაკარგვის მიმართაც.

7 მცირეწლოვანს შეუძლია **საკუთრების შეძენა ხანდაზმულობით** (165 I მუხლი), რადგან ამ დროსაც გადამწყვეტია ნივთის საკუთრად ფლობის ფაქტი და არა ნების გამოვლენის ნამდვილობა.

2. სამართლებრივი შედეგები

8 მცირეწლოვნის მიერ განხორციელებული **ნების გამოვლენა არის უცილოდ ბათილი** ყველას მიმართ როგორც ნების გამომვლენის, ისე ნების მიმღებისა და მესამე პირების მიმართ.[6]

გარიგება ბათილია მაშინაც, როცა მცირეწლოვანი **წვრილმან საყოფაცხოვრებო გარიგებებს** დებს, თუნდაც ეს გარიგებები ფაქტობრივი სახელშეკრულებო ურთიერთობების ფორმით იდებოდეს.[7]

9 ბათილია ასევე მცირეწლოვნის მიერ გაკეთებული ნების გამოვლენა, რომელსაც ის, როგორც **წარმომადგენელი,** აკეთებს, მაგალითად, როცა მშობლები მცირეწლოვან შვილს აგზავნიან პროდუქტების საყიდლად მაღაზიაში.

თუ მცირეწლოვანი ურთიერთობაში გამოდის როგორც შიკრიკი, მაშინ გარიგება იქნება ნამდვილი, რადგან მას არ სჭირდება საკუთარი ნების გამოვლენა და ის მხოლოდ სხვა პირის ნების ტრანსპორტირებას ახდენს.[8]

3. კანონიერი წარმომადგენლის მოქმედება

10 მცირეწლოვნის უფლებებს ამ პირის სახელით სამოქალაქო ბრუნვაში ახ-

4 *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გვ. 296.
5 შდრ. MüKo/*Schmitt,* 6. Aufl., 2012, § 105 Rn. 15.
6 შდრ. MüKo/*Schmitt,* 6. Aufl., 2012, § 105 Rn. 26.
7 *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გვ. 334.
8 შდრ. MüKo/*Schmitt,* 6. Aufl., 2012, § 105 Rn. 28.

ორციელებს მისი **კანონიერი წარმომადგენელი.** ამიტომ საყურადღებოა ამ წარმომადგენლობის სამართლებრივი საფუძვლები და ფარგლები.

წარმომადგენელი უნდა იყოს სულ ცოტა **შეზღუდულად ქმედუნარიანი** მაინც (105-ე მუხლი).

ზოგიერთი გარიგების დადებისას **წარმომადგენლობა არ დაიშვება,** რაც 11
იმას ნიშნავს, რომ ამ ურთიერთობებში ქმედუუნარო პირებს არა აქვთ უფლებების შეძენისა და მათი განხორციელების უფლება, მაგალითად, წარმომადგენლის მეშვეობით არ შეიძლება დაქორწინება, ანდერძის შედგენა და ა.შ. აქედან გამომდინარე, ამ გარიგებებში არ შეიძლება ქმედუუნარო პირი წარმოდგენილი იყოს კანონიერი წარმომადგენლით.

ქმედუუნარო პირის მიერ დადებული გარიგების **მოწონება კანონიერი** 12
წარმომადგენლის მხრიდან არ იწვევს ამ გარიგების ნამდვილობას. ეს შეიძლება შეფასდეს როგორც ახალი გარიგების დადების მცდელობა.[9]

III. ნების გამოვლენა ცნობიერების დაკარგვის ან დროებითი ფსიქიკური მოშლილობის დროს (58 II)

1. გამოყენების წინაპირობა

58 II მუხლი არ ეხება მცირეწლოვნებს და არც ისეთი იმპერატიულო- 13
ბით გამოირჩევა როგორც 58 I მუხლი, თუმცა სამართლებრივი შედეგების თვალსაზრისით ის ცდილობს ცნობიერების დაკარგვის ან დროებითი ფსიქიკური მოშლილობის დროს განხორციელებული ნების გამოვლენის გათანაბრებას ქმედუუნარო პირის მიერ განხორციელებულ ნების გამოვლენასთან.

ნორმის გამოყენების წინაპირობა არის პირის მიერ **ცნობიერების დაკარგვა** ან **დროებითი ფსიქიკური მოშლილობა,** რომელიც არ იწვევს პირის აღიარებას ქმედუუნაროდ და დროებით ხასიათს ატარებს.

58 II მუხლის შინაარსი გამოიყენება ყველა იმ ურთიერთობის მიმართ, 14
რომლებიც გათვალისწინებულია 58 I მუხლით როგორც გარიგებებზე, ისე გარიგების მსგავს მოქმედებებზე, მაგრამ არა რეალაქტებსა და მფლობელობის შეძენაზე.

ცნობიერების დაკარგვა, აღიარებული შეხედულების თანახმად, არ ნიშნავს ცნობიერების სრულად დაკარგვას, რადგან სრულად დაკარგვის დროს შეუძლებელია ნების გამოვლენაზე საუბარი, არამედ ცნობიერების ისეთ მდგომარეობას, რომელიც გამორიცხავს ნების თავისუფლად განსაზღვრის შესაძლებლობას. ამ კატეგორიის ცნობიერების დაკარგვის გამომწვევი ფაქტორები შეიძლება იყოს: სიმთვრალე, ციება, ჰიპნოზი, ეპილეფსიური შეტევა და ა.შ.[10]

ცნობიერების დაკარგვად არ ჩაითვლება ცერებრალური ათერესკლეროზით, გულის იშემიური დაავადებით გამოწვეული დაქვეითება აზროვნებისა

9 შდრ. MüKo/*Schmitt,* 6. Aufl., 2012, § 105 Rn. 36.
10 შდრ. MüKo/*Schmitt,* 6. Aufl., 2012, § 105 Rn. 39.

და ცნობიერების.[11]

ფსიქიკური მოშლილობა გულისხმობს ფსიქიკური ანომალიის არსებობას, რომლის დროსაც გადამწყვეტია არა ამ ფსიქიკური ანომალიის სიძლიერე, არამედ ნების ჩამოყალიბებაზე გავლენის ფაქტორი. დროებითი ფსიქიკური მოშლილობის გამომწვევის მიზეზები შეიძლება იყოს ალკოჰოლი, მედიკამენტები და ნარკოტიკიც.[12]

2. სამართლებრივი შედეგები

15 მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სულიერი მდგომარეობა არ იწვევს ქმედუნარიანობის დაკარგვას. მიუხედავად ამისა, **ნების გამოვლენა შეიძლება ჩაითვალოს ბათილად.**[13] რადგან ნორმაში საუბარია ბათილად გამოცხადების შესაძლებლობაზე, გასარკვევია, თუ რა პირობებში შეიძლება გარიგება იყოს ნამდვილი. ასეთ პირობებს კანონი არ შეიცავს. ამიტომ ნორმის გამოყენება მოსამართლის შეხედულებაზეა დამოკიდებული, რამაც შეიძლება გაართულოს პრაქტიკაში მისი გამოყენება.

ბათილად უნდა ჩაითვალოს ნების გამოვლენა მაშინაც, როცა ნების გამოვლენა სარგებლის მომტანია ნების გამომვლენისათვის ანდა ნების გამომვლენმა თავი შეგნებულად ჩაიყენა ამ მდგომარეობაში.[14]

IV. ფსიქიკური აშლილობის მქონე პირის მიერ ნების გამოვლენა (58 III)

16 ბათილობას იწვევს **ფსიქიკური აშლილობის მქონე პირის მიერ ნების გამოვლენა**, როცა ეს რეალური ვითარების სწორად აღქმას არ შეესაბამება, თუ ეს პირი ამ გარიგებით სარგებელს არ იღებს, თუნდაც იგი სასამართლოს მიერ მხარდაჭერის მიმღებად არ იყოს ცნობილი (12 IV მუხლი).

აუცილებელია, რომ ნების გამოვლენა არ შეესაბამებოდეს **რეალური ვითარების სწორად აღქმას.**

58 III მუხლის რედაქცია 2015 წლის 20 მარტის კანონის საფუძველზე ახლებურად ჩამოყალიბდა და მისი გამოყენების პრაქტიკა ჯერ არ არსებობს.

V. რესტიტუცია

17 თუ მცირეწლოვნის ან ფსიქიკური აშლილობის მქონე პირის მიერ ნების გამოვლენის შედეგად დადებული გარიგებით მხარეებმა რაიმე სიკეთე მიიღეს, უსაფუძვლო გამდიდრების ნორმების მიხედვით მათ ერთმანეთს უნდა დაუბრუნონ მიღებული 976-ე და შემდგომი მუხლების მიხედვით.

11 საქ. უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 24 მაისის № ას-1-453-06-07 გადაწყვეტილება.

12 შდრ. MüKo/*Schmitt,* 6. Aufl., 2012, § 105 Rn. 40-41.

13 განსხვავებით გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 105-ე პარაგრაფისაგან, რომელიც კატეგორიულად მიუთითებს ნების გამოვლენის ბათილობაზე, 58 II მუხლი განამტკიცებს მხოლოდ ბათილად გამოცხადების შესაძლებლობას.

14 შდრ. MüKo/*Schmitt,* 6. Aufl., 2012, § 105 Rn. 44.

VI. საპროცესო საკითხი

18 მცირეწლოვნის ან ფსიქიკური აშლილობის მქონე პირის მიერ ნების გამოვლენის არსებობისას **მოსამართლე კანონის ძალით (ex officio)** იყენებს კანონის ნორმას გარიგების ბათილობის შესახებ.

58 II მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში **მტკიცების ტვირთი** ეკისრება იმ მხარეს, რომელიც ამტკიცებს, რომ ნების გამოვლენისას პირს ჰქონდა ცნობიერება დაკარგული ან იმყოფებოდა დროებითი ფსიქიკური მოშლილობის დროს.

მუხლი 58[1]. მხარდაჭერის მიმღების მიერ გარიგების დადება

1. თუ მხარდაჭერის მიმღები დებს გარიგებას სასამართლოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მხარდაჭერის მიღების გარეშე, გარიგების ნამდვილობა დამოკიდებულია იმაზე, შემდგომ მხარდამჭერი მოიწონებს თუ არა მას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მხარდაჭერის მიმღები ამ გარიგებით სარგებელს იღებს.

2. მხარდაჭერის მიმღების მიერ სასამართლოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მხარდაჭერის მიღების გარეშე გარიგების დადებაზე ვრცელდება ამ კოდექსის 64-ე და 66-ე მუხლებით დადგენილი წესი.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილება №2/4/532,533 – ვებგვერდი, 28.10.2014წ.

საქართველოს 2015 წლის 20 მარტის კანონი №3339 - ვებგვერდი, 31.03.2015წ.

I. ნორმის არსი და მიზანი 342
1. მოწონება 343
2. სარგებელი 343
II. მხარდაჭერის მიღების გარეშე დადებულ გარიგებათა ბათილობა 343

I. ნორმის არსი და მიზანი

1 ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირს (შემდგომში მხარდაჭერის მიმღები) აქვს სამოქალაქო ქმედუნარიანობა, რაც გულისხმობს მის მიერ სამოქალაქო სამართლებრივი გარიგებების დადების შესაძლებლობას. მხარდაჭერის მიმღების მიერ გარიგების დადება ხდება მხარდამჭერი პირის მონაწილეობით. მაგალითად, წერილობითი გარიგების შემთხვევაში აუცილებელია წერილობითი ხელშეკრულებას თან დაერთოს მხარდამჭერის ხელმოწერა, რომელიც ადასტურებს სასამართლოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მხარდაჭერის გაწევას (69 III). 58-ე მუხლი აწესრიგებს მხარდაჭერის მიმღების მიერ გარიგების მხარდაჭერის გარეშე დადების შემთხვევებს. ნორმის მიზანია დაიცვას, როგორც მხარდაჭერის მიმღები პირის ინტერესები.

2 გარიგების ნამდვილობის დადგენისას აუცილებელია გაირკვეს კონკრეტული გარიგების დადებაზე პირს სასამართლოს მიერ დაენიშნა თუ არა მხარდამჭერი. ასეთის არსებობის შემთხვევაში ნორმა იძლევა შესაძლებლობას მხარდაჭერის მიღების გარეშე დადებული გარიგება საცილო გახადოს თავად მხარდაჭერის მიმღებმა. თუ სათანადო ახსნა-განმარტების შემდეგ პირი აღმოაჩენს, რომ მან ნაცვლად თხოვებისა დადო ჩუქების ხელშეკრულება, მას შეუძლია საცილო გარიგებისათვის დადგენილი წესების შესაბამისად სადავო გახადოს აღნიშნული გარიგების ნამდვილობა.

1. მოწონება

მხარდაჭერის მიმღების მიერ სასამართლოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მხარდაჭერის მიღების გარეშე ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებულია იმაზე, შემდგომში მხარდამჭერი მოიწონებს თუ არა მას. მოცემულ შემთხვევაში მოწონება გულისხმობს შემდგომ თანხმობას 101 მუხლის ანალოგიის თანახმად, რომელიც აწესრიგებს არასრულწლოვანის მიერ დადებული გარიგების მოწონებას (იხ. მე-12 მუხლის კომენტ.). მხარდამჭერის მიერ მოწონება გულისხმობს იმის გარკვევას მხარდამჭერის მიერ დადებული გარიგება ნამდვილად შეესაბამება თუ არა მის ნებას, გარიგებაში სრულყოფილად არის თუ არა ასახული ის პირობები, რა პირობებითაც მხარდამჭერს სურდა გარიგების დადება. ასეთი ფაქტობრივი გარემოებების არსებობის შემთხვევაში მერყევად ბათილი გარიგების ნამდვილობა დამოკიდებულია მხარდამჭერის მოწონებაზე. წერილობით დადებული გარიგების შემთხვევაში მხარდამჭერის მოწონება გამოიხატება ხელშეკრულებაზე 69 III მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებით, ანუ ხელმოწერით დადასტურდება, რომ გარიგების დადებისას მხარდაჭერის მიმღებ პირს სასამართლოს მიერ დადგენილ ფარგლებში გაეწია მხარდაჭერა. **3**

თუ მხარდამჭერი მხარდაჭერის მიმღების მიერ გარიგების დადების შემდეგ აღმოაჩენს, რომ მხარდაჭერის მიმღებმა არსებითი შეცდომა დაუშვა გარიგების ფორმაში, შინაარსში ან არ არსებობს ის გარემოებები, რომელთაც მხარეები, კეთილსინდისიერების პრინციპებიდან გამომდინარე, განიხილავენ გარიგების საფუძვლად, მას უჩნდება ვალდებულება განუმარტოს მხარდამჭერის მიმღებს გარიგების ნამდვილი არსი, მისი სამართლებრივი შედეგები და შეცილების შესაძლებლობა. გარიგების ნამდვილი არსის სრულად გაგების შემდეგ, მხარდაჭერის მიმღებს შეუძლია მოითხოვოს გარიგების ბათილად ცნობა. **4**

2. სარგებელი

შემდგომი მოწონების აუცილებლობა არ არსებობს იმ შემთხვევაში, თუ გარიგების დადებით მხარდაჭერის მიმღები იღებს სარგებელს. მოცემულ შემთხვევაში კანონმდებელმა ხელშეკრულების ნამდვილობა გაუთანაბრა არასრულწლოვანის მიერ კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე დადებული გარიგების ნამდვილობის პირობას(იხ. 63-ე მუხლის კომენტ.). **5**

II. მხარდაჭერის მიღების გარეშე დადებულ გარიგებათა ბათილობა

სასამართლოს მიერ განსაზღვრულ სფეროებში მხარდაჭერის მიღების გარეშე დადებულ გარიგებებზე ვრცედელება 64-ე და 66-ე მუხლებით დადგენილი წესები. კანონმდებელი ამ შემთხვევაშიც ანალოგიის წესით ადგენს, რომ მეორე მხარის ინტერესების დაცვის მიზნით აუცილებელია მას მიეცეს შესაძლებლობა მხარდამჭერის მიერ დადებული ხელშეკრულების **6**

მოწონებამდე თავად თქვას უარი ხელშეკრულებაზე. მეორე მხარისათვის ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება იზღუდება იმ შემთხვევაში, თუ მისთვის ცნობილი იყო, რომ ხელშეკრულებას აფორმებდა მხარდაჭერის მიმღებ პირთან (იხ. 64-ე მუხლის კომენტ.).

7 თუმცა, მოცემულ ნორმის განმარტებისას 64 II მუხლის სრული ანალოგიით გამოყენება პრაქტიკულად შეუძლებელია, რადგან 64 II მუხლის თანახმად მეორე მხარეს უნარჩუნდება ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება, თუ დაამტკიცებს, რომ არასრუწლოვანი ხელშეკრულების დადებისას მას ატყუებდა წარმომადგენლის თანხმობის არსებობის თაობაზე. მოცემული დებულების ანალოგიით გამოყენება შესძლებელია იმ შემთხვევაში თუ სახეზეა გარიგების ზეპირად დადება. ზეპირად დადებული ხელშეკრულები პირობებში მეორე მხარეს ხელშეკრულებაზე უარის თქმის პირობა წარმოეშობა მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ კონტრაჰენტი დაამტკიცებს რომ მხარდაჭერის მიმღები ატყუებდა მხარდამჭერის თანხმობის არსებობის თაობაზე. რაც შეეხება წერილობით ხელშეკრულებას, მოცემულ შემთხვევაში კონტრაჰენტი ვერ ისარგებლებს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებით, რადგან მხარდამჭერის მიერ წერილობითი ხელშეკრულების დადებისთვის კოდექსი ითვალისწინებს სავალდებულო ფორმას (69 III), შესაბამისად, ფორმის დაუცველად დადებული გარიგება იმთავითვე ბათილ გარიგებად ჩაითვლება.

8 კოდექსი ცალმხრივი გარიგების შემთხვევაშიც მის ნამდვილობას უკავშირებს მხარდამჭერი პირის მიერ მხარდაჭერის გაწევის ფაქტს, ანუ იმ შემთხვევაში თუ ცალმხრივი გარიგება დადებულია სავალდებულო მხარდაჭერის გარეშე, ასეთი გარიგება ბათილია. ასეთი გარიგება ბათილია მაშინაც, როდესაც სახეზეა მხარდამჭერის მიერ ფაქტობრივად გარიგების მოწონების ფარქტი, თუმცა მხარდაჭერის მიმღებას არ წარმოადგენია ამი დამადასტურებელი წერილობითი საბუთი, ანუ ცალმხრივი გარიგების ზეპირად დადების შემთხვევაში, მას აუცილებლად უნდა გააჩნდეს მხარდამჭერის მიერ გაცემული წერილობითი განმარტება, რომ მხარდამჭერის მიერ განემარტა და ესმის ცალმხრივი გარიგების არსი, ანუ სასამართლოს მიერ დადგენილ ფარგლებში გაეწია მხარდაჭერა. იგივე წესი ვრცელდება წერილობით გარიგებაზეც. მოცემულ შემთხვევაში მხარდამჭერის უფლებამოსილების ფარგლები უტოლდება წარმომადგენლის უფლებამოსილების ფარგლებს. მხარდამჭერის მიერ გაცემული წერილობით განმარტების შემთხვევაშიც კი, თუ მხარდაჭერის მიმღები არ წარმოადგენს აღნიშნულ წერილობით დოკუმენტს, კონტრაჰენტს უნდარჩუნდება გარიგებაზე დაყოვნებლივ უარის თქმის უფლება. თუმცა, თუ მეორე მხარე ინფორემიებული იყო ასეთი წერილობითი განარტების არსებობის თაობაზე მას ერთმევა გარიგებაზე უარის თქმის უფლება (იხ. 66-ე მუხლის კომენტ.).

მუხლი 59. ფორმის დაუცველად დადებული გარიგება

1. ბათილია კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული აუცილებელი ფორმის დაუცველად დადებული გარიგება, ასევე ნებართვის გარეშე დადებული გარიგება, თუ ამ გარიგებისთვის საჭიროა ნებართვა.

2. საცილო გარიგება ბათილია მისი დადების მომენტიდან, თუკი იგი შეცილებული იქნება. შეცილება ხორციელდება ხელშეკრულების მეორე მხარის მიმართ.

3. შეცილების უფლება აქვს დაინტერესებულ პირს.

I. ზოგადი დებულებები 346
1. ნორმის მიზანი 346
2. ნორმის სამართლებრივი ბუნება 346
II. გარიგების ბათილობა ფორმის დაუცველობის გამო 347
1. გარიგების ფორმა, როგორც გარიგების ნამდვილობის წინაპირობა 347
2. ნებართვა, როგორც გარიგების ნამდვილობის პირობა 347
3. გარიგების სავალდებულო ფორმის დარღვევის შედეგები 348
4. გამონაკლისი ბათილობიდან 348
5. სასამართლო პრაქტიკა 349
ა. ანდერძის ბათილობა 349
ბ. წინარე ხელშეკრულების ფორმა 349
გ. ფორმის დაუცველად დადებული უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება 350
დ. შრომით კონტრაქტზე 350
ე. ფორმის დაუცველად დადებული ბეს ხელშეკრულება 350
ვ. უძრავი ნივთის მესაკუთრის რეგისტრაცია საჯარო რეესტრში 350
6. მტკიცების ტვირთი და საპროცესო საკითხი 351
III. საცილო გარიგების ბათილობა (59 II) 351
1. ნორმის მიზანი 351
2. საცილო გარიგების ცნება 351
3. შეცილების განხორციელება (59 II 2) 352
ა. შეცილების უფლება 352
ბ. შეცილების შესახებ განცხადება 352
4. სამართლებრივი შედეგი 353
IV. შეცილების უფლების მქონე პირები (59 III) 354
1. დაინტერესებული პირი 354
2. რამდენიმე დაინტერესებული პირი 355

I. ზოგადი დებულებები

1. ნორმის მიზანი

1 59-ე მუხლი ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ინსტიტუტისაგან შედგება. 59 I-ე მუხლში განმტკიცებულია **გარიგების ფორმის დაუცველობის** ან **ნებართვის არარსებობის** სამართლებრივი შედეგები, ხოლო 59 II და 59 III მუხლი აწესრიგებს საცილო გარიგებებიდან გამომდინარე **შეცილების უფლების განხორციელებისა** და მის სამართლებრივ შედეგებს. ამიტომ მუხლის ეს ორი ნაწილი შეიძლებოდა ცალ-ცალკე მუხლებად ყოფილიყო კოდიფიცირებული, როგორც ეს პროექტის თავდაპირველ ვარიანტში იყო გათვალისწინებული.

2 59 I მუხლი ითვალისწინებს გარიგების ბათილობის ორ შემთხვევას: **გარიგების ბათილობას ფორმის დაუცველობის** ან **ნებართვის გაუცემლობის გამო.** ამ თვალსაზრისით ეს ნორმა შეიძლება განხილულ იქნეს 54-ე მუხლთან კავშირში და მის ერთ-ერთ კონკრეტულ გამოვლინებად, განსაკუთრებით მაშინ, როცა საუბარია კანონით დადგენილი ფორმის ან ნებართვის დარღვევაზე.

3 59 II და III მუხლები **საცილო გარიგებების ბათილობის წესს** განსაზღვრავენ და ამ ასპექტში ისინი განხილულ უნდა იქნეს საცილო გარიგებებთან ერთობლიობაში (მაგალითად, 72-89).

2. ნორმის სამართლებრივი ბუნება

4 59 I მუხლის შინაარსი **იმპერატიულია** და გარიგების მონაწილეებს მისი შეცვლა არ შეუძლიათ.[1] ფორმის ნაკლის გამო ბათილობა არ შეიძლება მხარეთა შეთანხმებით სხვაგვარად განისაზღვროს. ეს ნორმა გამოიყენება არა მხოლოდ სამოქალაქო კოდექსით, არამედ კერძო სამართლის სხვა კანონებით მოწესრიგებული გარიგებების მიმართაც, მაგალითად, კანონით მეწარმეთა შესახებ გათვალისწინებული წესდების წერილობითი ფორმის დარღვევა იწვევს ამ წესდების ბათილობას.

5 59 II მუხლი **იმპერატიულია** იმ საკითხში, რომელშიც განსაზღვრულია, რომ საცილო გარიგების შეცილება იწვევს მის ბათილობას და ეს ბათილობა დგება გარიგების დადების მომენტიდან, ე.წ. ex tunc პრინციპი. თუმცა ეს არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ საცილო გარიგების ბათილობის მომენტი სხვაგვარადაც განისაზღვროს, სახელდობრ, სამომავლოდ, ე.წ. ex nunc.[2] მაგალითად, შრომის ხელშეკრულებაში შესაძლოა შეცილებისას მხარეებმა არ დაუბრუნონ ერთმანეთს ის, რაც ხელშეკრულებით მიიღეს და შეთანხმდნენ ბათილობის სამომავლოდ მოქმედებაზე.

1 *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 348.
2 შდრ. MüKo*/Busche*, BGB, 6 Aufl., 2012, §142 Rn. 17.

II. გარიგების ბათილობა ფორმის დაუცველობის გამო

1. გარიგების ფორმა, როგორც გარიგების ნამდვილობის წინაპირობა

სამოქალაქო კოდექსი განამტკიცებს **გარიგების ფორმის თავისუფლების პრინციპს:** გარიგების მონაწილეებს თვითონ შეუძლიათ განსაზღვრონ გარიგების ფორმა. ამ ზოგადი პრინციპიდან კანონი იცნობს რამდენიმე გამონაკლისს, როცა ადგენს **გარიგების სავალდებულო ფორმას.**[3]/[4] **6**

გარიგების ფორმას შეიძლება ჰქონდეს **მტკიცების** (მაგალითად, 624-ე), **გაფრთხილების, განზრახვის სერიოზულობის,**[5] **კონტროლისა** და **ნამდვილობის** (მაგალითად, 323) ფუნქციები.[6]/[7] 59 I მუხლით გათვალისწინებული **ბათილობა მხოლოდ მაშინ დგება, როცა გარიგების ფორმას ნამდვილობის ფუნქცია აკისრია.**

გარიგების ფორმა, რომელსაც ნამდვილობის ფუნქცია აკისრია, შეიძლება განისაზღვროს როგორც **კანონით,** ისე **მხარეთა შეთანხმებით. კანონით დადგენილი ფორმის შემთხვევები ამომწურავადაა რეგლამენტირებული,** ხოლო გარიგების სხვა ფორმის მიმართ გამოიყენება **ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი,**[8] რაც გარიგების ფორმასთან მიმართებაში **ფორმის არჩევის თავისუფლების პრინციპად** იწოდება.[9] **7**

2. ნებართვა, როგორც გარიგების ნამდვილობის პირობა

59 I მუხლი გარიგების ნამდვილობის ერთ-ერთ პირობად მიიჩნევს ნებართვის არსებობას, თუკი ამ გარიგებისათვის ასეთი **ნებართვა საჭიროა.** ამ თვალსაზრისით ნებართვა, როგორც გარიგების ნამდვილობის პირობა, გათანაბრებულია გარიგების ფორმასთან და მისი დარღვევა ასევე იწვევს გარიგების ბათილობას. **8**

ნებართვის აუცილებლობა (საჭიროება) შეიძლება კანონიდან გამომდინარეობდეს ან ხელშეკრულებით იყოს გათვალისწინებული. ყველა შემთხვევაში საუბარია **მესამე პირის თანხმობაზე** 99-102-ე მუხლების გაგებით.

ნებართვა, როგორც გარიგების ნამდვილობისათვის **წინასწარ გაცემული თანხმობა** (100), წარმოადგენს **ცალმხრივ მიღებასავალდებულო ნების გამოვლენას** და მას არ სჭირდება გარიგებისათვის დადგენილი ფორმის დაცვა (99 II). **9**

3 იხ. მუხ. 68-71 კომენტ.

4 *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 335-348.

5 საქ. უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 18 იანვრის № ას-731-1059-07 განჩინება, სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 1/2008, გვ. 52.

6 დაწვრ.იხ. მუხ. 68 კომენტ.

7 შდრ. MüKo*/Einsele,* BGB, 6 Aufl., 2012, §125 Rn. 8 ff.

8 *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 336.

9 *ზოიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 68, გვ. 213.

3. გარიგების სავალდებულო ფორმის დარღვევის შედეგები

10 59 I მუხლით გათვალისწინებული ბათილობა დგება **როგორც კანონით, ისე ხელშეკრულებით გათვალისწინებული გარიგების ფორმის დარღვევისას,** თუკი ამ ფორმას ნამდვილობის ფუნქცია აკისრია.

გარიგების ბათილობა შეიძლება გამოიწვიოს როგორც **მარტივი წერილობითი,** ისე **რთული სანოტარო ფორმის** დაუცველობამ.[10] მთავარია, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ზუსტად იყოს დაცული მოცემული გარიგების ნამდვილობისათვის დადგენილი ფორმა. მაგალითად, წერილობითი ფორმის დროს სავალდებულოა წერილობით მომზადებულ დოკუმენტზე მხარეთა მიერ საკუთარი ხელმოწერები.[11]

11 როგორც წესი, **მთელი ხელშეკრულება მოითხოვს წერილობით ფორმას,** თუკი მისი ერთი დებულება მაინც წერილობით უნდა გაფორმდეს.[12] მაგალითად, თუკი ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებით ერთ-ერთმა მონაწილემ იკისრა უძრავი ნივთის გადაცემის ვალდებულება, მაშინ მთელი ხელშეკრულება წერილობით უნდა გაფორმდეს (323).

გარიგების მონაწილეთა შეთანხმებით განსაზღვრული გარიგების ფორმის დარღვევამ შეიძლება ყოველთვის არ გამოიწვიოს გარიგების ბათილობა. ეს დამოკიდებულია გარიგების შეთანხმებული **ფორმის მიზანზე: გარიგების ნამდვილობის პირობად** (მაგალითად, ხელშეკრულების ყოველი ცვლილება ნამდვილობისათვის მოითხოვს წერილობით ცვლილებას), **გარიგებიდან გამომდინარე უფლების ნათელსაყოფად** (მაგალითად, გადახდის შესახებ უნდა გაიცეს ქვითარი) თუ **მტკიცებულებად** (მაგალითად, ქირავნობის საგნის გადაცემის ხელწერილი). გარიგების ფორმის დაუცველობა გარიგების ბათილობას იწვევს მხოლოდ მაშინ, თუკი გარიგების მონაწილეებმა ფორმა ნამდვილობის პირობად განსაზღვრეს და ეს უნდა დადგინდეს შეთანხმების განმარტების საფუძველზე.[13]

12 განსხვავებით ზოგიერთი ქვეყნის სამოქალაქო კოდექსისაგან, **იურიდიულ პირებს შორის გარიგებების დასადებად სამოქალაქო კოდექსი არ მოითხოვს წერილობით ფორმას.** ამიტომ იურიდიულ პირებს შორის ზეპირად დადებული გარიგებები ნამდვილია, თუკი მხარეები თვითონ არ შეთანხმდნენ წერილობით ფორმაზე ან მოცემული გარიგებისათვის არ არის დადგენილი სპეციალური ფორმა.[14]

4. გამონაკლისი ბათილობიდან

13 ზოგიერთ შემთხვევაში კანონი ითვალისწინებს **გამონაკლისს** და ფორმის

10 *ზოიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 59, გვ. 193.

11 შდრ. MüKo*/Einsele,* BGB, 6. Aufl. 2012, § 125 Rn. 3.

12 შდრ. MüKo*/Einsele,* BGB, 6. Aufl. 2012, § 125 Rn. 32.

13 *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 349-350.

14 მაგალითად, დსთ-ის მოდელური სამოქალაქო კოდექსი და მის საფუძველზე მიღებული სამოქალაქო კოდექსები ითვალისწინებენ იურიდიულ პირებს შორის ხელშეკრულებებში სავალდებულო წერილობითი ფორმის გამოყენების წესს.

დაუცველად დადებულ გარიგებას არ მიიჩნევს ბათილად. მაგალითად, 563-ე მუხლის თანახმად, საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტა წერილობით უნდა გაფორმდეს, მაგრამ, თუ ხელშეკრულების მხარეებმა ეს მოთხოვნა არ დაიცვეს, ხოლო ხელშეკრულება ფაქტობრივად შეწყვიტეს, ასეთი შეწყვეტა არ იქნება ბათილი, რადგან **ფაქტობრივი შესრულებით სწორდება ხარვეზი.**[15]

დაუშვებელია ამ გამონაკლისის განზოგადება და მისი გამოყენება ფორმის დაუცველი ყველა გარიგების მიმართ. წინააღმდეგ შემთხვევაში ფორმა, როგორც გარიგების ნამდვილობის პირობა, დაკარგავდა აზრს. აქედან გამომდინარე, ფაქტობრივი შესრულება ფორმის ნაკლს მხოლოდ მაშინ ასწორებს, თუ ამის შესახებ კანონი პირდაპირ მიუთითებს ან ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე, ეს საფრთხეს არ უქმნის სამართლებრივ სტაბილურობას ან ურთიერთობის მონაწილეებს.[16] **14**

5. სასამართლო პრაქტიკა

სასამართლო პრაქტიკა განსაკუთრებით მდიდარია ფორმის დაუცველობის გამო გარიგებათა ბათილად აღიარების შემთხვევებით. ზოგიერთი მათგანი ყურადღებას იმსახურებს.

ა. ანდერძის ბათილობა

სასამართლოს განმარტებით კანონმდებლობის მიერ ანდერძის შედგენის მკაცრად დადგენილი წესი განპირობებულია იმით, რომ მოანდერძე, რომლის ნებაც ანდერძშია გამოხატული, ანდერძის ძალაში შესვლის დროს ცოცხალი აღარ არის და მისი ნამდვილი ნების დადგენა რთულია. 1364-ე მუხლზე დაყრდნობით სასამართლომ ბათილად მიიჩნია ანდერძი,რომელიც არ იყო მოანდერძის ხელით დაწერილი, ასევე მოანდერძის მეორე ანდერძიც, ვინაიდან, მის შედგენას და მოანდერძის მიერ ანდერძზე ხელის მოწერას არ დასწრებიან მოწმეები, რომლებიც დაადასტურებდნენ, რომ ანდერძი შედგენილი იყო მათი თანდასწრებით ტექნიკური საშუალებების გამოყენებით.[17] **15**

ბ. წინარე ხელშეკრულების ფორმა

ხელშეკრულებისათვის გათვალისწინებული ფორმა ვრცელდება ასევე წინარე ხელშეკრულებაზედაც. წილის გასხვისების შეპირება, რომელიც არ იყო სანოტარო წესით დამოწმებული, ბათილია, რადგან 2005 წელს მოქმედი „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 46-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, პარტნიორის მიერ წილის დათმობა მოითხოვდა სანოტარო წესით დამოწმებულ ხელშეკრულებას. სანოტარო დამოწმება იყო ასევე საჭირო შეთანხმებისათვის, რომლითაც წარმოიშობოდა პარტნიორის ვალდებულება **16**

15 *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 348.
16 იქვე, 2011, გვ. 349.
17 საქ. უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 11 მარტის № ას-1248-1177-2012 გადაწყვეტილება.

წილის გასხვისების შესახებ.[18]

გ. ფორმის დაუცველად დადებული უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება

17 უძრავი ნივთის მესაკუთრის მიერ მისი უძრავი ნივთის გაყიდვის თაობაზე დაწერილი **ხელწერილი** არ შეიძლება ჩაითვალოს უძრავი ნივთის გასხვისებისათვის აუცილებელი წერილობითი ფორმის დაცვად და ის ბათილია.[19]

დ. შრომით კონტრაქტზე

18 შრომით კონტრაქტზე გაკეთებული დირექტორის ფაქსიმილე სასამართლომ არ მიიჩნია საკმარისად შრომის კოდექსის მე-19 მუხლით შრომის ხელშეკრულებისათვის (კონტრაქტისათვის) გათვალისწინებული წერილობითი ფორმის დაცვად.[20] თავისთავად ფაქსიმილე არ წარმოადგენს ფორმის დარღვევას, თუკი ეს ფაქსიმილე გაკეთებულია უფლებამოსილი პირის მიერ და დადგენილი პროცედურის დაცვით.

ე. ფორმის დაუცველად დადებული ბეს ხელშეკრულება

19 საცხოვრებელი ბინის ყიდვის მიზნით შინაურული წესით გაფორმებული ხელწერილის საფუძველზე გადახდილი თანხა არ ჩაითვლება ბედ და ეს გარიგება ბათილია.[21] იმ შემთხვევებში, როცა კანონი სპეციალურ ფორმას ადგენს, ბეს გამოყენება და მისთვის ხელშეკრულების დადების ფაქტის მტკიცების ფუნქციის დაკისრება შეუძლებელია, რადგან სავალდებულო ფორმის დაუცველობის შემთხვევაში ხელშეკრულება მაინც არ ჩაითვლება დადებულად.[22]

ვ. უძრავი ნივთის მესაკუთრის რეგისტრაცია საჯარო რეესტრში

20 უძრავი ნივთის შეძენა მხოლოდ მაშინაა ნამდვილი, თუკი შემძენი დარეგისტრირდება საჯარო რეესტრში. საჯარო რეესტრში რეგისტრაცია არ წარმოადგენს გარიგების ფორმის შემადგენელ ელემენტს, რასაც სასამართლო პრაქტიკაც აღიარებს,[23] მაგრამ რეესტრში რეგისტრაციის გარეშე საკუთრების უფლება უძრავ ნივთებზე არ წარმოიშობა. ამ თვალსაზრისით რეესტრში რეგისტრაცია წარმოადგენს რეალაქტს, ისევე როგორც მოძრავი ნივთის გადაცემა შემძენისათვის.

18 სუსგ სამოქალაქო,სამეწარმეო და სხვა კატეგორიის საქმეებზე მარტი/2011, გვ. 160
19 საქ. უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 13 სექტემბრის № 3კ/841-02 გადაწყვეტილება.
20 საქ. უზენაესი სასამართლოს 2004 წლის 3 ივნისის № ას-214-511-04 განჩინება.
21 საქ. უზენაესი სასამართლოს 2001 წლის 17 იანვრის № 3კ/80-01 გადაწყვეტილება.
22 *ჭანტურია,* კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, 2012, გვ. 249.
23 თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 30 ნოემბრის № 2ბ/3325-11 გადაწყვეტილება.

6. მტკიცების ტვირთი და საპროცესო საკითხი

მტკიცების ტვირთი, რომ გარიგების ფორმა დაცულია, ეკისრება იმ პირს, ვინც სადავო გარიგებიდან უნდა მიიღოს რაიმე უფლება.[24] **21**

გარიგების ფორმის დაუცველობა არის გარიგების ბათილობის გამომწვევი სამართლებრივი საფუძველი, რომელიც მოსამართლემ უნდა გამოიყენოს მიუხედავად იმისა, მხარეები უთითებენ თუ არა ამ გარემოებაზე.[25]

III. საცილო გარიგების ბათილობა (59 II)

1. ნორმის მიზანი

59 II მუხლის მიზანი არის **შეცილების სამართლებრივი შედეგის** განსაზღვრა საცილო გარიგებებში. **22**

გერმანული სამართლის მსგავსად, ქართული სამოქალაქო სამართალი გარკვეული კატეგორიის გარიგებათა ნამდვილობის საკითხის გადაწყვეტას, კერძო ავტონომიის პრინციპიდან გამომდინარე, გარიგების მონაწილეთა ნებაზე დამოკიდებულად მიიჩნევს.[26] ამ კატეგორიის გარიგებებს განეკუთვნება **საცილო გარიგებები,** რომელთა ბათილობა ავტომატურად არ ხდება, არამედ დამოკიდებულია გარიგების მონაწილეთა მიერ შეცილების უფლების განხორციელებაზე.

2. საცილო გარიგების ცნება

საცილოა გარიგება, რომელიც კანონით განსაზღვრული ნაკლის არსებობისას მხოლოდ შეცილების – ცალმხრივი ნების გამოვლენის – შედეგად ხდება ბათილი. თუ არ მოხდება შეცილება, გარიგება ნამდვილობას ინარჩუნებს.[27] **23**

ბათილი გარიგებისაგან განსხვავებით, **საცილო გარიგება დადების მომენტში ნამდვილია.** მისი შემდგომი ბედი დამოკიდებულია დაინტერესებული პირის მიერ მის შეცილებაზე (გასაჩივრებაზე). შეცილება იწვევს გარიგების ბათილობას.[28]

საცილო შეიძლება იყოს **ნებისმიერი კერძოსამართლებრივი გარიგება** როგორც ცალმხრივი, ისე ორმხრივი და მრავალმხრივი.[29] საცილო გარიგების გავრცელებული შემთხვევებია შეცდომით, მოტყუებით ან იძულებით დადებული გარიგებები. **24**

საცილო შეიძლება იყოს თვით შეცილება, როგორც ცალმხრივი გარიგება, **25**

24 შდრ. MüKo*/Einsele*, BGB, 6. Aufl. 2012, § 125 Rn. 35.
25 შდრ. MüKo*/Einsele,* BGB, 6. Aufl. 2012, § 125 Rn. 42.
26 შდრ. MüKo*/Busche*, BGB, 6 Aufl., 2012, §142 Rn. 2.
27 შდრ. გერმანულ სამართალში: MüKo*/Busche,* BGB, 6 Aufl., 2012, §142 Rn. 2 ff.
28 *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 394.
29 შდრ. MüKo*/Busche,* BGB, 6 Aufl., 2012, §142 Rn. 9.

თუკი შეცილება სამართლებრივი საფუძვლის გარეშე მოხდა.[30]

გარიგების საცილოობის აღსანიშნავად სამოქალაქო კოდექსი იყენებს ასევე გამოთქმას – „სადავო“, მაგალითად, „გარიგება შეიძლება სადავო გახდეს“ (84, 89).

3. შეცილების განხორციელება (59 II 2)

ა. შეცილების უფლება

26 შეცილების განხორციელება და გარიგების ბათილობის გამოწვევა დამოკიდებულია **შეცილების უფლების** არსებობაზე, რომელიც არის გარიგების მონაწილისათვის კანონით მინიჭებული უფლება, ცალმხრივად გადაწყვიტოს გარიგების ნამდვილობის საკითხი, კერძოდ, კანონით განსაზღვრული შეცდომის საფუძველზე გამოიწვიოს გარიგების ბათილობა ან მისი ნამდვილობა.[31]

27 შეცილების უფლება არა მხოლოდ გარიგების ბათილობის გამომწვევი, არამედ მისთვის **ნამდვილობის მიმნიჭებელი უფლებაცაა,** თუკი დაინტერესებული პირი უარს იტყვის ამ უფლების გამოყენებაზე.[32] ამიტომ მისი გამოყენება სამართლებრივი ურთიერთობების არასტაბილურობის საფრთხის თავიდან აცილების მიზნით კანონით მკაცრად არის **რეგლამენტირებული.** მაგალითად, შეცდომით დადებული გარიგების შეცილების უფლება პირს აქვს ერთი თვის განმავლობაში შეცილების საფუძვლის შეტყობის მომენტიდან (79 I).

სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის ინტერესებს ემსახურება შეცილების უფლების გამოყენების შემდეგი აკრძალვა: **შეცილების უფლებას კარგავს პირი,** თუ ის ერთხელ უარს იტყვის შეცილების უფლების გამოყენებაზე (61 II).

28 შეცილების უფლება არის **გადაცემადი და განკარგვადი უფლება,** რომელიც შეიძლება გადაეცეს მესამე პირებს.[33] ამ უფლების ცესიის დროს (199) შეცილების უფლების ადრესატი (გარიგების მეორე მონაწილე) უცვლელი რჩება. შეცილების უფლება შეიძლება გადაეცეს ასევე **მემკვიდრეობით.**[34]

შეცილების უფლების განხორციელება იწვევს ამ უფლების შეწყვეტას.[35]

ბ. შეცილების შესახებ განცხადება

29 გარიგების შეცილება, როგორც წესი, ხორციელდება **შეცილების შესახებ განცხადების გაკეთებით,** რომლის უფლებაც აქვს დაინტერესებულ პირს (59 III). განცხადების გაკეთება უკვე ცვლის სამართლებრივ ურთიერთობას –

30 შდრ. MüKo/*Busche,* BGB, 6 Aufl., 2012, §142 Rn. 13.
31 შდრ. MüKo/*Busche,* BGB, 6 Aufl., 2012, §142 Rn. 5.
32 *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 397.
33 შდრ. MüKo/*Busche,* BGB, 6 Aufl., 2012, §142 Rn. 7.
34 შდრ. MüKo/*Busche,* BGB, 6 Aufl., 2012, §142 Rn. 7.
35 შდრ. *Jauernig,* BGB, 14. Aufl., 2011, § 143, Rn. 3.

იწვევს გარიგების ბათილობას. ამიტომ **შეცილება არის ცალმხრივი გარიგება.**[36]

საცილო გარიგების ბათილად ცნობისათვის **აუცილებელი არაა სასამართლოში ან სხვა ორგანოში მიმართვა**[37] და საკმარისია შეცილება გარიგების მონაწილე მეორე მხარის მიმართ.[38] უფრო მეტიც, შეცილება უნდა გაკეთდეს გარიგების მეორე მონაწილის მიმართ და სახელმწიფო ორგანოში საჩივრით მიმართვა არ ჩაითვლება 59 II 2 მუხლით გათვალისწინებული შეცილების განხორციელებად. ეს არ ეხება იმ შემთხვევებს, როცა სახელმწიფო ორგანო თვითონ წარმოადგენს გარიგების მეორე მონაწილეს. სახელმწიფო ამ დროს ურთიერთობებში გამოდის როგორც კერძო პირი. **30**

შეცილება არის **მიღებასავალდებულო ნების გამოვლენა,** რომლის ნამდვილობისათვის აუცილებელია შეცილების მიღება შეცილების ადრესატის მიერ.[39] 59 II 2 მუხლის მიხედვით, **შეცილების ადრესატი არის ხელშეკრულების მეორე მხარე.** ეს არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ შეცილების ადრესატი იყოს **ყოველი მესამე პირი,** რომელმაც სარგებელი ნახა ამ გარიგებიდან. ამიტომ შეცილების ადრესატის საკითხი უნდა გადაწყდეს ყოველი გარიგების განმარტების საფუძველზე.[40] **31**

გარიგების შეცილებისათვის კანონით არ არის გათვალისწინებული **სპეციალური ფორმა.** მთავარია, შეცილებიდან აშკარად ჩანდეს, რომ დაინტერესებულ პირს არ სურს გარიგების ნამდვილობა[41] ნების ნაკლის გამო.[42] **32**

59 II მუხლიდან არ გამომდინარეობს **შეცილების საფუძვლის მითითების ვალდებულება,** მაგრამ საცილო გარიგებათა ცალკეული სახეების მოწესრიგებისას შეიძლება გათვალისწინებული იყოს დაინტერესებული პირისათვის ასეთი ვალდებულების დაკისრება. თუმცა, ბუნებრივია, გარიგების გაუქმების მოთხოვნისას გაუქმების მიზეზზე მითითება.

4. სამართლებრივი შედეგი

შეცილება იწვევს გარიგების ბათილობას არა შეცილების მომენტიდან, არამედ **დადების მომენტიდან** (59 II 1), ე.წ. ex tunc. გარიგების ბათილობა იწვევს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას, რომლის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს 976 I მუხლი. თუ მხარეებმა საცილო გარიგებით რამე გადასცეს ერთმანეთს ამ გარიგებით გათვალისწინებული **33**

36 *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 395.

37 ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები მუხ. 4:112-ე განამტკიცებს იმავე პრინციპს: „Avoidance must be by notice to the other party" (შეცილება უნდა განხორციელდეს მეორე მხარის წინაშე განცხადებით): *Bar/Zimmermann,* Grundregeln des Europäischen Vertragsrechts, Teile I und II, S. 42.

38 დსთ-ის მოდელური სამოქალაქო კოდექსი და მის საფუძველზე მიღებული კოდექსები საცილო გარიგების ბათილობისათვის აუცილებლად მიიჩნევენ სასამართლოს გადაწყვეტილებას.

39 იხ. მუხ. 51 I კომენტ.

40 შდრ. *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 362-363; *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 395.

41 *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 396.

42 *Jauernig,* BGB, 14. Aufl., 2011, § 143, Rn. 3.

ვალდებულების შესასრულებლად, მათ უნდა დაუბრუნონ ერთმანეთს ყველაფერი იმ საფუძვლით, რომ „ვალდებულება არ არსებობს“.

34 გამონაკლისის სახით საცილო გარიგების ბათილობის მომენტი შეიძლება სხვაგვარადაც განისაზღვროს, მაგალითად, **სამომავლოდ,** ე.წ. ex nunc.[43] მაგალითად, შრომის ხელშეკრულება, თუკი ის უკვე ნაწილობრივ შესრულებულია და შემდგომ აღმოჩნდა, რომ სახეზეა მოტყუებით გარიგების დადების საფუძვლები. ამ დროს შესაძლოა შეცილებისას მხარეებმა არ დაუბრონონ ერთმანეთს ის, რაც ხელშეკრულებით მიიღეს და შეთანხმდნენ ბათილობის სამომავლოდ მოქმედებაზე. ასეთი დასკვნა 59 II 1 მუხლიდან უშუალოდ არ გამომდინარეობს.

თუ შეცილება ეხება **გარიგების ნაწილს** და არა მთლიანად გარიგებას, მაშინ შეცილება გამოიწვევს გარიგების მხოლოდ ამ ნაწილის, და არა მთლიანად გარიგების ბათილობას.

35 **შეცილების შედეგი** მოქმედებს ყველას მიმართ და არა მხოლოდ გარიგების მონაწილეების მიმართ.[44] აღიარებული შეხედულების მიხედვით, დაუშვებელია შეცილებული გარიგების კონვერსია, რადგან შეცილებით ხდება ნების გამოვლენის გამოცხადება ბათილად.[45]

შეცილების სამართლებრივი შედეგების დახასიათებისას მნიშვნელოვანია **კეთილსინდისიერი მესამე პირის** უფლებების დაცვის საკითხი, რომელმაც შეიძინა ნივთი შეცილების ადრესატისაგან. უნდა დააბრუნოს თუ არა მან შეძენილი ნივთი, თუკი შეცილების შედეგად პირველი გარიგება გაბათილდა. 187-ე მუხლის თანახმად, შემძენი ამ შემთხვევაში კეთილსინდისიერია და პირველი გარიგების შეცილება მის მიერ კეთილსინდისიერი შეძენის ფაქტს სადავოდ არ ხდის.[46]

IV. შეცილების უფლების მქონე პირები (59 III)

1. დაინტერესებული პირი

36 59 III მუხლის თანახმად, შეცილების უფლება აქვს **დაინტერესებულ პირს.** შეცილების უფლების მქონე პირები, როგორც წესი, კონკრეტული გარიგებიდან გამომდინარეობენ, მაგალითად, მოტყუებით დადებული გარიგების დროს – მოტყუებული პირი.[47]

თუ ვინ შეიძლება იყოს დაინტერესებული პირი, უნდა დადგინდეს ყოველი გარიგების განმარტების საფუძველზე: იგი შეიძლება იყოს **როგორც გარიგების მონაწილე, ისე მესამე პირი,** რომელსაც გარიგებამ ზიანი მოუტანა ან არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩააყენა იგი.[48] განსხვავებული მოსაზრების თანახმად, დაინტერესებულ პირად მხოლოდ ნების გამომვლენი უნდა

43 შდრ. MüKo/*Busche,* BGB, 6 Aufl., 2012, §142 Rn. 18.
44 შდრ. MüKo/*Busche,* BGB, 6 Aufl., 2012, §142 Rn. 14.
45 შდრ. MüKo/*Busche,* BGB, 6 Aufl., 2012, §142 Rn. 16.
46 შდრ. MüKo/*Busche,* BGB, 6 Aufl., 2012, §142 Rn. 21.
47 შდრ. MüKo/*Busche,* BGB, 6 Aufl., 2012, §142 Rn. 6.
48 *ზოიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 59, გვ. 196.

იქნეს მიჩნეული.[49]

2. რამდენიმე დაინტერესებული პირი

37 სადავო შეიძლება გახდეს შეცილების უფლების გამოყენება, როცა ეს **უფლება რამდენიმე პირს ეკუთვნის** და მათ შორის არსებობს უთანხმოება შეცილების თაობაზე. სასურველია, დავის გადაწყვეტა შეცილების მომთხოვნი პირის სასარგებლოდ.[50] აღიარებული შეხედულების თანახმად, თუ ხელშეკრულების ერთ მხარეს რამდენიმე პირია, მაშინ თითოეულ მათგანს აქვს შეცილების უფლება.[51]

49 შდრ. *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 360.
50 შდრ. *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 398.
51 შდრ. MüKo*/Busche,* BGB, 6 Aufl., 2012, §142 Rn. 6.

მუხლი 60. გარიგების კონვერსია

თუ ბათილი გარიგება აკმაყოფილებს სხვა გარიგებისათვის გათვალისწინებულ მოთხოვნებს, გამოიყენება ეს უკანასკნელი, თუკი გარიგების ბათილობის შეტყობისას მხარეებს სურთ მისი ნამდვილობა.

I. ზოგადი დებულებები 356
1. ცნება და ნორმის მიზანი 356
2. გამოყენების სფერო 357
II. გამოყენების წინაპირობები 357
1. ბათილი გარიგება 357
2. სხვა გარიგება 358
3. მხარეთა ნება 358

I. ზოგადი დებულებები

1. ცნება და ნორმის მიზანი

1 **გარიგების კონვერსია** ეწოდება ბათილი გარიგების ნაცვლად სხვა გარიგების გამოყენებას გარიგების მონაწილეთა მიერ დასახული მიზნის მისაღწევად.[1]

2 მე-60 მუხლის **მიზანია გარიგების მონაწილეთა დაცვა** იმ უარყოფითი შედეგისაგან, რომელიც შეიძლება მოჰყვეს გარიგების ბათილობას. ეს ხდება მაშინ, როცა გარიგების მონაწილეთა მიერ შერჩეული სამართლებრივი საშუალება დაუშვებელია, მაგრამ შესაძლებელია ალტერნატიული საშუალების გამოყენება.[2]

კონვერსიის მიზანი ბათილი გარიგების, უფრო ზუსტად კი მისი იმ ნაწილის შენარჩუნებაა, რომელიც შეესაბამება კანონის მოთხოვნებს და ასევე გარიგების მონაწილეთა ინტერესებს.[3] ამ გაგებით კონვერსიის მიზანი გარიგების მონაწილეთა სასურველი ნების შენარჩუნებაა.[4]

3 **კონვერსია არ მოიაზრება გარიგების განმარტების ნაირსახეობად ან მის ნაწილად,** თუმცა კონვერსია შეიძლება გარიგების განმარტების შედეგად განხორციელდეს მას შემდეგ, რაც დადგინდება გარიგების მონაწილეთა ნამდვილი ნება და განზრახული მიზანი.[5] აღიარებული მოსაზრების თანახმად, კონვერსია გამოიყენება მაშინ, როცა განმარტებას არ მოჰყვა სასურველი შედეგი – გარიგების ნამდვილობა.[6]

კონვერსია წარმოადგენს **სპეციალურ საკანონმდებლო წესს,** რომელ-

1 მუხ. 60 პროტოტიპი არის გერმანიის სამოქალაქო კოდექსის §140.
2 შდრ. MüKo/*Busche*, BGB, 6 Aufl., 2012, §140 Rn. 1.
3 შდრ. *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 400.
4 შდრ. *Jauernig,* BGB, 14. Aufl., 2011, § 140, Rn. 1.
5 შდრ. MüKo/*Busche,* BGB, 6 Aufl., 2012, §140 Rn. 3.
6 შდრ. *Jauernig,* BGB, 14. Aufl., 2011, § 140, Rn. 3.

მაც უნდა შეავსოს გარიგების ბათილობით გამოწვეული რეგულატორული ვაკუუმი.[7]

კონვერსია **განსხვავდება** ბათილი გარიგების დადასტურების შედეგად დადებული ახალი გარიგებისაგან (61 I მუხლი).

2. გამოყენების სფერო

კონვერსიას შეიძლება დაექვემდებაროს **ნებისმიერი ბათილი გარიგება** 4
როგორც ცალმხრივი, ისე ორმხრივი და მრავალმხრივი, მიუხედავად მათი ბათილობის სამართლებრივი საფუძვლისა.

გარიგებისათვის **არასწორი სახელწოდების შერჩევა (falsa demonstratio)** არ წარმოშობს გარიგების კონვერსიის აუცილებლობას.[8] ამიტომ ამ შემთხვევაში კონვერსია არ გამოიყენება.

კონვერსიის აუცილებლობა არ წარმოიშობა არც მაშინ, როცა კანონი ბათილი გარიგების ნაკლის გამოსწორების სპეციალურ წესებს ადგენს.

კონვერსია გამოიყენება კანონის საფუძველზე[9] და მის გამოყენებაზე მხარეთა შეთანხმება სავალდებულო არ არის.

II. გამოყენების წინაპირობები

1. ბათილი გარიგება

გარიგების კონვერსიის ერთ-ერთი წინაპირობა არის **ბათილი გარიგების არსებობა,** 5
რომლის კონვერსიაც უნდა მოხდეს. გარიგების ბათილობის საფუძველს არა აქვს მნიშვნელობა.[10] ნამდვილი გარიგების კონვერსია დაუშვებელია.[11]

თუ გარიგება **ნების ნაკლის გამო** (მოტყუება, შეცდომა, იძულება) არის შეცილებული და ბათილად გამოცხადებული, კონვერსიას არ შეუძლია ნების ნაკლის გამოსწორება.[12] ამიტომ ამ გარიგებათა კონვერსია გამორიცხულია.

თუ გარიგება ფორმის დაუცველობის გამო არის ბათილი, ამ გარიგების 6
კონვერსია დასაშვებია, თუკი ამით ფორმის მიზანი არ იქნება ხელყოფილი და კანონის მოთხოვნა ფორმასთან დაკავშირებით დარღვეული.[13]

კონვერსია არ დაიშვება, თუკი გარიგების მონაწილეთა მოსალოდნელი მიზანი კანონსაწინააღმდეგოა.[14] ამრიგად, გარიგების კონვერსიის მნიშვნელოვანი წინაპირობა არის **მართლზომიერი მიზნის** არსებობა.

7 შდრ. MüKo/*Busche,* BGB, 6 Aufl., 2012, §140 Rn. 3.
8 შდრ. MüKo/*Busche,* BGB, 6 Aufl., 2012, §140 Rn. 4.
9 შდრ. *Rüthers/Stadler,* Allgemeiner Teil des BGB, 16. Aufl. § 27 Rn. 8.
10 შდრ. *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 400.
11 შდრ. MüKo/*Busche,* BGB, 6 Aufl., 2012, §140 Rn. 12.
12 შდრ. MüKo/*Busche*, BGB, 6 Aufl., 2012, §140 Rn. 14.
13 შდრ. *Jauernig,* BGB, 14. Aufl., 2011, § 140, Rn. 2.
14 შდრ. *Jauernig,* BGB, 14. Aufl., 2011, § 140, Rn. 2.

2. სხვა გარიგება

7 ბათილი გარიგება უნდა აკმაყოფილებდეს სხვა გარიგებისათვის (ე.წ. **სათადარიგო გარიგებისათვის**)[15] გათვალისწინებულ მოთხოვნებს. თავის მხრივ, ეს სხვა გარიგება უნდა იყოს ნამდვილი.

8 გარიგება, რომელიც კონვერსიის შედეგად წარმოიშობა ბათილი გარიგების ნაცვლად, არ უნდა განეკუთვნებოდეს **გარიგებათა სხვა ნაირსახეობას,** ვიდრე ბათილი გარიგება.[16] მაგალითად, 242-ე მუხლით გათვალისწინებული აკრძალვის მიუხედავად, გარიგების დადება მოძრავი ნივთების უზუფრუქტის შესახებ, რაც ბათილია და რომლის ნაცვლად შესაძლებელია იჯარის ხელშეკრულების გამოყენება უზუფრუქტის ნაცვლად.[17]

9 **ბათილ გარიგებასა და სხვა გარიგებას შორის უნდა იყოს შესაბამისობა,**[18] რომ ამით შესაძლებელი გახდეს კონვერსია. მაგალითად, თუ არ არსებობს ხელშეკრულების ვადამდე მოშლის საფუძველი, მაშინ ვადამდე ხელშეკრულების მოშლის მიზნით გაგზავნილი ნების გამოვლენის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ხელშეკრულების ჩვეულებრივი მოშლის წესები.

სხვა გარიგება უნდა შეესაბამებოდეს **გარიგების მონაწილეთა სავარაუდო ნებასაც,** რომელსაც ისინი ბათილი გარიგების დადებისას ისახავდნენ.[19]

3. მხარეთა ნება

10 ბათილი გარიგების ნაცვლად სხვა გარიგება გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი გარიგების მონაწილეებს გარიგების ბათილობის შეტყობისას სურთ მისი ნამდვილობა. გარიგების მონაწილეთა ნების საწინააღმდეგოდ კონვერსია არ დაიშვება.[20]

15 შდრ. *Rüthers/Stadler*, Allgemeiner Teil des BGB, 16. Aufl. § 27 Rn. 10.
16 შდრ. *Jauernig*, BGB, 14. Aufl., 2011, § 140, Rn. 15.
17 შდრ. *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 400.
18 შდრ. *Jauernig*, BGB, 14. Aufl., 2011, § 140, Rn. 4; MüKo/*Busche,* BGB, 6 Aufl., 2012, §140 Rn. 16.
19 შდრ. *Jauernig*, BGB, 14. Aufl., 2011, § 140, Rn. 5
20 შდრ. *Rüthers/Stadler*, Allgemeiner Teil des BGB, 16. Aufl. § 27 Rn. 11.

მუხლი 61. დადასტურების მნიშვნელობა გარიგებათა ბათილობისას

1. უცილოდ ბათილი (არარა) გარიგება ბათილად ითვლება მისი დადების მომენტიდან.

2. თუ პირი, რომელიც დებს უცილოდ ბათილ გარიგებას, ადასტურებს მას, მაშინ მისი მოქმედება განიხილება, როგორც გარიგების ხელახლა დადება.

3. თუ გარიგებას ადასტურებს შეცილების უფლების მქონე პირი, მაშინ იგი ამით კარგავს შეცილების უფლებას.

4. თუ უცილოდ ბათილ ორმხრივ გარიგებას ადასტურებენ მხარეები, მაშინ ისინი საეჭვოობისას ვალდებულნი არიან ერთმანეთს გადასცენ ყველაფერი, რაც კი მათ შეხვდებოდათ, გარიგება თავიდანვე ნამდვილი რომ ყოფილიყო.

5. დადასტურება მხოლოდ მაშინ გახდება ნამდვილი, როცა ხელშეკრულება ან გარიგება არ ეწინააღმდეგება ზნეობის ნორმებს და საჯარო წესრიგის მოთხოვნებს.

I. ზოგადი დებულებები 359
1. ნორმის მიზანი 359
2. გამოყენების სფერო 360
II. ბათილი გარიგება (61 I) 360
1. ცნება 360
2. ბათილობის სამართლებრივი შედეგი 361
III. ბათილი გარიგების დადასტურება (61 II) 361
1. გამოყენების სფერო 361
2. განსხვავება სხვა ინსტიტუტებისაგან 362
3. დადასტურების წინაპირობები 363
IV. საცილო გარიგების დადასტურება და მისი შედეგები (61 III) 327 364
V. ბათილი გარიგების დადასტურების შედეგები (61 IV) 328 365
VI. მტკიცების ტვირთი 365

I. ზოგადი დებულებები

1. ნორმის მიზანი

61-ე მუხლი განამტკიცებს გარიგების ბათილობისას გარიგების მონაწილეების მიერ დასახული მიზნის მიღწევის ერთ-ერთ ინსტიტუტს – **ბათილი გარიგების დადასტურებას.** მუხლის მიზანია გარიგების მონაწილეთათვის მათი ნების განხორციელების შესაძლებლობის კიდევ ერთხელ მინიჭება, თუკი გარიგების ბათილობის საფუძვლები აღმოფხვრილი იქნება. ფაქტობრივად საუბარია **გარიგების ხელახლა დადებაზე,** რადგან აღიარებული 1

შეხედულების თანახმად ბათილი გარიგების გასწორება შეუძლებელია.[1]

2 გარიგების დადასტურებას უფრო მეტი **მნიშვნელობა** აქვს, ვიდრე მხოლოდ გარიგების ხელახლა დადებას. ახალი გარიგების დადებისაგან დადასტურება განსხვავდება იმით, რომ იგი გარიგების მონაწილეებს ათავისუფლებს ახალი გარიგების დადებისათვის აუცილებელი მოვალეობებისაგან და უიოლებს მათ დასახული მიზნის მიღწევას: არ არის სავალდებულო ნების გამოვლენა თავიდან მოხდეს, შეთანხმებები გარიგების არსებით პუნქტებზე უცვლელი რჩება და ა.შ. გარდა ამისა, მხარეები ისე უნდა მოიქცნენ, თითქოს გარიგება თავიდანვე ნამდვილი იყო.

გარდა დადასტურებისა, 61-ე მუხლი შეიცავს მნიშვნელოვან დებულებას **ბათილი გარიგების ბათილობის მომენტის შესახებ** და ამით ის იძლევა საცილო გარიგებისა (იხ. 59 II მუხლის კომენტარი) და ბათილი გარიგების განსხვავებათა ნორმატიულ დეფინიციებს.

2. გამოყენების სფერო

3 ბათილი გარიგების დადასტურება შეიძლება გამოყენებულ იქნეს **ყველა ბათილი გარიგების მიმართ,** მიუხედავად გარიგების ბათილობის საფუძვლისა. დადასტურება შეიძლება როგორც **ცალმხრივი** (მაგალითად, ანდერძის), ისე **ორმხრივი** და **მრავალმხრივი** გარიგებებისა.

II. ბათილი გარიგება (61 I)

1. ცნება

4 **გარიგების დადასტურება გამოიყენება მხოლოდ ბათილი გარიგებების მიმართ.** ნამდვილი გარიგებისაგან განსხვავებით **გარიგება ბათილია,** თუკი მას შედეგად არ მოჰყვება გარიგების მონაწილეების მიერ დასახული მიზანი იმის გამო, რომ მოქმედი სამართალი გამოვლენილ ნებას და განხორციელებულ ქმედებას **სამართლებრივად უვარგისად** მიიჩნევს.[2] ასეთი გარიგება არ წარმოშობს დასახულ სამართლებრივ შედეგებს არც მხარეთათვის და არც მესამე პირთათვის.[3]

სამოქალაქო კოდექსი განამტკიცებს ბათილი გარიგების რამდენიმე ფორმას: **უცილოდ ბათილი (არარა) გარიგება** (54, 55, 56 I, 57, 58, 59, 61 I), **ნაწილობრივ ბათილი გარიგება (62)** და **მერყევად ბათილი გარიგება (63 I).**[4]

უცილოდ ბათილი (არარა) გარიგება ბათილად ითვლება **მისი დადების მომენტიდან (61 I)**, მიუხედავად იმისა, ბათილობა ან ბათილობის საფუძველი გამოვლენილი ან გარიგება შეცილებული იქნება თუ არა. ბათილი გარიგება

1 შდრ. MüKo/*Busche,* BGB, 6. Aufl., 2012, §141 Rn. 1; შდრ. *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 387.

2 შდრ. *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 385.

3 *ზოიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 61, გვ. 198.

4 შდრ. *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 385-393.

და უცილოდ ბათილი (არარა) გარიგება **სინონიმებია.**[5]

ბათილი გარიგება ბათილია დადებისთანავე და მას **ნამდვილად ვერ აქ-** 5
ცევს ვერც გარიგების მონაწილეთა შემდგომი მოქმედება და ვერც სასა-
მართლოს გადაწყვეტილება,[6] რადგან ბათილობა კანონით არის განსაზ-
ღვრული და მისი გამოსწორების შესაძლებლობას კანონი არ ითვალისწინებს.
გარიგების ბათილად აღიარებისათვის **არ არის აუცილებელი სასამართლოს**
გადაწყვეტილება. ბათილი გარიგება ბათილია მაშინაც, როცა ბათილობის
საფუძველი მოგვიანებით უკვე აღარ არსებობს.[7]

ზოგიერთი პოსტსაბჭოთა ქვეყნის სამოქალაქო სამართალი არ იცნობს 6
ბათილი გარიგების ინსტიტუტს და ყველა გარიგებას საცილო გარიგებათა
კატეგორიას განაკუთვნებს, რადგან, მათი აზრით, აუცილებელია, გარიგებ-
ის ბათილობის საფუძვლის მხილება და ავტომატურად გარიგების აღიარე-
ბას ბათილად აზრი არა აქვს.[8] ეს მოსაზრება მიუღებელია, რადგან მის
თანახმად ყველა, აშკარად კანონსაწინააღმდეგო გარიგებაც კი, მიიჩნევა
ნამდვილად, ვიდრე არ მოხდება მათი გამოვლენა.

2. ბათილობის სამართლებრივი შედეგი

ბათილი გარიგება არ ნიშნავს „განუხორციელებელ მოქმედებას“, 7
„ნულს“.[9] ბათილი გარიგება, როგორც განხორციელებული ნების გამოვლე-
ნა და ქმედება, იწვევს **სამართლებრივ შედეგებს,** მაგრამ არა იმ შედეგებს,
რომლის მიღწევაც გარიგების მონაწილეებს სურდათ, მაგალითად, თუ ნასყ-
იდობის ხელშეკრულება ბათილია, მყიდველზე ნივთის გადაცემის მიუხედა-
ვად, მასზე არ გადავა საკუთრების უფლება.

ბათილი გარიგების სამართლებრივ შედეგებს ადგენს კანონი. ამ მიზნით 8
სამოქალაქო კოდექსი ახდენს ბათილი გარიგებით განხორციელებული ქმე-
დების სამართლებრივ შეფასებას და განსაზღვრავს ბათილი გარიგების
მოსალოდნელ სამართლებრივ შედეგებს, მაგალითად, ზიანის ანაზღაურებ-
ის ან გარიგების საფუძველზე მიღებულის უკან დაბრუნების სახით.[10]

ბათილი გარიგების ერთ-ერთ სამართლებრივ შედეგად შეიძლება ჩაითვა-
ლოს მისი დადასტურების შესაძლებლობაც (61 II).

III. ბათილი გარიგების დადასტურება (61 II)

1. გამოყენების სფერო

ვინაიდან შეუძლებელია ბათილი გარიგების გამოსწორება, ბათილი 9
გარიგების დადასტურების გზით გარიგების მონაწილეებს შეუძლიათ, მიაღ-

5 შდრ. *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 386.
6 *ზოიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 61, გვ. 198.
7 *Wendtland,* in Beck OK BGB, § 141 Rn. 1.
8 შდრ. ყაზახეთის სამოქალაქო კოდექსი: Гражданское право. Том I, 2000, с. 282.
9 შდრ. *Flume*, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, 3. Aufl., 1979, S. 547-548.
10 შდრ. *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 387.

წიონ დასახულ მიზანს. დადასტურება ბათილ გარიგებას კი არ ასწორებს, ე.ი. მას კი არ აქცევს ნამდვილად, არამედ ნიშნავს გარიგების ხელახლა დადებას.[11] დადასტურებით მხარეები ასწორებენ იმ ნაკლს, რამაც გარიგების ბათილობა გამოიწვია.[12]

დადასტურების გამოყენება დასაშვებია არა მხოლოდ გარიგების ბათილობისას. შეიძლება გარიგება არ იყოს ბათილი, მაგრამ რომელიღაც ერთი ელემენტის ნაკლის გამო შესაძლოა მას არ ჰქონდეს სავალდებულო ძალა გარიგების მონაწილეებისათვის, მაგალითად, ჯერ არ არის გაცემული საექსპორტო ლიცენზია. ლიცენზიის გაცემის შემდეგაც შეუძლიათ მხარეებს დადასტურების გამოყენება.[13]

2. განსხვავება სხვა ინსტიტუტებისაგან

10 ბათილი გარიგების დადასტურება განსხვავდება სხვა მსგავსი ინსტიტუტებისაგან, რომელთაც სამოქალაქო კოდექსი იცნობს.

ბათილი გარიგების დადასტურება განსხვავდება **საცილო გარიგების დადასტურებისაგან (61 III).** თუ გარიგება შეცილებულია, 59 II მუხლის საფუძველზე ის უკვე ბათილია და გარიგების ხელახლა დადება დადასტურების გზით შეიძლება 61 II მუხლის მიხედვით მოხდეს.[14] თუკი ხდება დადასტურება საცილო გარიგების, მაგალითად, შეცდომით დადებული გარიგების, რომელიც ჯერ არ არის შეცილებული, მაშინ დგება 61 III მუხლით გათვალისწინებული შედეგი – უფლებამოსილი პირი კარგავს შეცილების უფლებას. ამრიგად, ამ შემთხვევაში საუბარია არა ბათილი გარიგების დადასტურებაზე, არამედ შეცილების უფლების დაკარგვაზე იმით, რომ გარიგების ერთი მონაწილე ცნობს გარიგებას. მაგალითად, მყიდველი შეცდომით ნივთის ყიდვის მიუხედავად, თანახმაა გადაიხადოს ნასყიდობის ფასი (იხ. 61 III მუხლის კომენტარი).

ბათილი გარიგების დადასტურება განსხვავდება **გარიგების მოწონებისაგან (101)** იმით, რომ ეს უკანასკნელი მომდინარეობს მესამე პირისაგან, ხოლო დადასტურება – თვით გარიგების მონაწილისაგან.[15]

11 კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში გარიგების ნაკლი შეიძლება მისი შესრულებით გასწორდეს, მაგალითად ფორმის ნაკლი ქირავნობის ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლისას. **გარიგების ნაკლის გასწორება შესრულებით** არ წარმოადგენს დადასტურების ნაირსახეობას, რადგან შესრულება არ არის გარიგება, დადასტურება კი წარმოადგენს გარიგებას.[16]

12 არასრულყოფილად დამოწმებული **გარიგების ხარვეზის გასწორება,**

11 *ზოიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი I, 2002, მუხ. 61, გვ. 198-199; *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011 გვ. 387.

12 *ზოიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი I, 2002, მუხ. 61, გვ. 199.

13 შდრ. MüKo/*Busche,* BGB, 6 Aufl., 2012, §141 Rn. 3.

14 შდრ. *Wendtland,* in Beck OK BGB, § 141 Rn. 3.

15 შდრ. MüKo/*Busche,* BGB, 6 Aufl., 2012, §141 Rn. 6.

16 შდრ. MüKo/*Busche,* BGB, 6 Aufl., 2012, §141 Rn. 7.

მაგალითად, მიწის ნაკვეთის ნასყიდობის ხელშეკრულებას აკლდა რეესტრის ამონაწერი იპოთეკით ამ ნაკვეთის დატვირთვის თაობაზე, რაც მოგვიანებით დაემატა, არ წარმოადგენს დადასტურებას, რადგან გარიგება ამ შემთხვევაში არ არის ბათილი და მას არც დადასტურება არ სჭირდება.

ბათილი გარიგების დადასტურება განსხვავდება ასევე **გარიგების კონვერსიისაგან.** პირველი, კონვერსიის დროს ხდება სხვა გარიგების გამოყენება, მაშინ როცა დადასტურებისას ხდება იმავე გარიგების დადება ხელახლა; მეორე, კონვერსიისათვის საკმარისია მხარეთა ჰიპოთეტური ნება, ხოლო დადასტურება მოითხოვს დადასტურების ნებას გამოკვეთილად ან კონკლუდენტურად.[17]

3. დადასტურების წინაპირობები

მართალია, დადასტურება ბათილი გარიგების მოდერნიზებისა და მისი ხელახლა დადების შესაძლებლობას განამტკიცებს, მაგრამ ამ მიზნით მისი გამოყენება მხოლოდ განსაზღვრული წინაპირობების დროსაა შესაძლებელი. **13**

ბათილობის საფუძვლის მოშლა აუცილებელი წინაპირობაა დადასტურებისათვის. თუ არ შეცვლილა ბათილობის საფუძველი, მაგალითად, უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება არ დადებულა წერილობით, დადასტურების გამოყენება დაუშვებელია.

მხოლოდ გარიგების მონაწილეებს შეუძლიათ გარიგების დადასტურება, რადგან დადასტურება წარმოადგენს გარიგებას და მისთვის აუცილებელია მონაწილეთა თანამთქვევდი ნების გამოვლენა. დადასტურება შეიძლება მოხდეს სასამართლო პროცესზეც.[18] თუ ბათილობა მხოლოდ ერთი პირის ნების გამოვლენის შედეგია, მაშინ საკმარისია მხოლოდ მისი მხრიდან დადასტურება, თუკი ორივე მონაწილის ნება ფიგურირებს, მაშინ სავალდებულოა ორივე მონაწილის მიერ დადასტურება. **14**

დადასტურების შინაარსი უნდა ეხებოდეს და მოიცავდეს ბათილი **გარიგების ყველა არსებით პირობაზე** შეთანხმებას. განსხვავება ახალი გარიგების დადებასა და ბათილი გარიგების დადასტურებას შორის იმაში გამოიხატება, რომ დადასტურება ძირითადად შეიცავს ბათილი გარიგების არსებით პირობებს. **15**

ბათილი გარიგების **დადასტურების განზრახვა და ნება** არის დადასტურების შემდეგი წინაპირობა. თუ მხარეები დარწმუნებულნი არიან, რომ გარიგება ნამდვილია, მაშინ დადასტურების გამოყენება არ ხდება.[19]

დადასტურების ფორმის შესახებ სამოქალაქო კოდექსი რაიმე ნორმებს არ შეიცავს, მაგრამ აღიარებული შეხედულების თანახმად, დადასტურებისათვის აუცილებელია ბათილი გარიგებისათვის დადგენილი ფორმის გამოყენება, მაშინაც, როცა გარიგების ბათილობა ფორმის შესახებ მოთხოვნის დარღვევას არ გამოუწვევია.[20] **16**

17 შდრ. MüKo/*Busche,* BGB, 6 Aufl., 2012, §141 Rn. 9.
18 შდრ. MüKo/*Busche,* BGB, 6 Aufl., 2012, §141 Rn. 11.
19 შდრ. MüKo/*Busche,* BGB, 6 Aufl., 2012, §141 Rn. 14.
20 შდრ. *Jauernig,* BGB, 14. Aufl., 2011, § 141, Rn. 3; MüKo/*Busche*, BGB, 6 Aufl., 2012, §141 Rn. 15.

17 დადასტურების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობა არის დასადასტურებელი ხელშეკრულების ან სხვა გარიგების შესაბამისობა **ზნეობის ნორმებისა და საჯარო წესრიგის** მოთხოვნების მიმართ (61 V; იხ. 54-ე მუხლის კომენტ.). არ უნდა არსებობდეს ხელახლა დასადები გარიგების ბათილობის სხვა საფუძველიც.[21]

IV. საცილო გარიგების დადასტურება და მისი შედეგები (61 III)

18 ბათილი გარიგების დადასტურებისაგან განსხვავებით, **საცილო გარიგების დადასტურება არ ნიშნავს გარიგების ხელახლა დადებას.** ამიტომ საცილო გარიგების დადასტურებისსამართლებრივი შედეგიც განსხვავებულია.

19 საცილო გარიგების დადასტურების უფლება აქვს მხოლოდ **შეცილების უფლების მქონე პირს.** განსხვავებით ბათილი გარიგებისაგან, რომლის ბათილობის პირობები კანონით არის განსაზღვრული, საცილო გარიგების ბათილობა ან ნამდვილობა შეცილების უფლების მქონე პირის ნებაზეა დამოკიდებული. ამიტომ გარიგების დადასტურებას ამ პირის მიერ სხვა ფუნქცია აქვს – გარიგებისათვის ნამდვილობის მინიჭება, ვიდრე ბათილი გარიგების დადასტურების დროს.

20 **დადასტურება შეიძლება ნებისმიერი საცილო გარიგების,** მაგალითად, მოტყუებით ან შეცდომით დადებული გარიგებისაც, მის შეცილებამდე. გამონაკლისი შეიძლება გათვალისწინებული იყოს იძულებით დადებული გარიგებებისათვის.[22]

21 საცილო გარიგების დადასტურების შედეგი არის ის, რომ საცილო გარიგება საბოლოოდ ხდება ნამდვილი,[23] ხოლო **შეცილების უფლების მქონე პირი კარგავს შეცილების უფლებას** (61 III).

22 საცილო გარიგების დადასტურებისათვის კანონი არ ითვალისწინებს რაიმე სპეციალური **ფორმის დაცვას.** ამიტომ დადასტურება, რაც ჩვეულებრივ შეცილების უფლების განხორციელებაზე უარის თქმაში გამოიხატება, შესაძლოა **კონკლუდენტურადაც** გამოიხატოს, მაგალითად, შეცდომით დადებული გარიგების შესრულებით. დადასტურება შეიძლება განხორციელდეს **დუმილითაც.**[24]

საცილო გარიგების დადასტურება, მართალია, წარმოადგენს ნების გამოვლენას, მაგრამ მას **ნამდვილობისათვის არ სჭირდება მეორე მხარის მიერ მისი მიღება,**[25] განსხვავებით შეცილებისაგან, რომლის ნამდვილობისათვის აუცილებელია ადრესატის მიერ მისი მიღება (59 II). აქედან გამომდინარე, საცილო გარიგების დადასტურება არის **ცალმხრივი ფორმათავისუფალი გარიგება**.[26]

21 შდრ. *Jauernig,* BGB, 14. Aufl., 2011, § 141, Rn. 3.
22 შდრ. MüKo/*Busche,* BGB, 6 Aufl., 2012, §144 Rn. 2.
23 შდრ. *Wendtland,* in Beck OK BGB, § 144 Rn. 9.
24 *ზოიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, 2002, მუხ. 61, გვ. 199.
25 შდრ. *Wendtland,* in Beck OK BGB, § 144 Rn. 5.
26 შდრ. *Jauernig,* BGB, 14. Aufl., 2011, § 144, Rn. 2.

V. ბათილი გარიგების დადასტურების შედეგები (61 IV)

ბათილი გარიგების დადასტურება არ იწვევს გარიგების გადაქცევას ნამდვილ გარიგებად, მაგრამ **ხელახლა დადებული გარიგება დადასტურების მომენტიდან ნამდვილია**.[27] დადასტურება **არ იწვევს უკუქცევითად ნამდვილობას,** თუმცა გარიგების მონაწილეებს შეუძლიათ გარიგებით მოსალოდნელი სარგებელი ერთმანეთს პირველი გარიგების დადების დროიდან მიანიჭონ. **23**

თუ გარიგების მონაწილეები ამის სურვილს აშკარად არ გამოხატავენ, მაგრამ გარიგებას ადასტურებენ, მაშინ დავის შემთხვევაში (საეჭვოობისას) კანონი მათ გარიგებით მოსალოდნელი სარგებლის ერთმანეთისათვის გადაცემის ვალდებულებას აკისრებს. ეს ბათილი გარიგების დადასტურების **კანონით განსაზღვრული სამართლებრივი შედეგია.** ეს ნორმა არ არის იმპერატიული, რადგან გარიგების მონაწილეებს სხვაგვარად შეუძლიათ ამ საკითხის მოწესრიგება. **24**

61 IV მუხლის ნორმა გამოიყენება ორმხრივი გარიგების – ხელშეკრულების – დროს, რადგან **ორმხრივი რესტიტუციის,** ე.ი. ორმხრივად დაბრუნების ვალდებულება შეიძლება მხოლოდ ასეთ გარიგებებში წარმოიშვას.[28]

VI. მტკიცების ტვირთი

დადასტურების ფაქტის არსებობის მტკიცების ტვირთი ეკისრება იმ პირს, ვინც ხელახლა დადებული გარიგებიდან უნდა მიიღოს სარგებელი. **25**

27 შდრ. MüKo/*Busche*, BGB, 6 Aufl., 2012, §141 Rn. 16.
28 შდრ. *Wendtland*, in Beck OK BGB, § 141 Rn. 2.

მუხლი 62. გარიგების ნაწილის ბათილობა

გარიგების ნაწილის ბათილობა არ იწვევს მისი სხვა ნაწილების ბათილობას, თუ სავარაუდოა, რომ გარიგება დაიდებოდა მისი ბათილი ნაწილის გარეშეც.

I. ზოგადი დებულებები 366
1. ნორმის მიზანი 366
2. გამოყენების სფერო 366
II. გარიგების ნაწილის ბათილობის წინაპირობები 367
1. ერთიანი გარიგება 367
2. გარიგების დაყოფა ნაწილებად 367
3. ბათილი ნაწილის გარეშე გარიგების დადების ვარაუდი 368
III. სამართლებრივი შედეგები 368

I. ზოგადი დებულებები

1. ნორმის მიზანი

1 62-ე მუხლი განამტკიცებს **გარიგების ნამდვილობის პრეზუმფციას** იმ შემთხვევისათვის, როცა გარიგების ერთი ნაწილი ბათილია და არსებობს მთელი გარიგების ბათილად მიჩნევის საფრთხე. ამით ქართული ნორმა არსებითად განსხვავდება გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 139-ე პარაგრაფისაგან, რომელიც მთელი **გარიგების ბათილობის პრეზუმფციას** განამტკიცებს, თუკი მისი ერთი ნაწილი ბათილი იქნება.[1]

ნორმის მიზანია გარიგების მონაწილეთა კერძო ავტონომიის დაცვა და **მთლიანი გარიგების გადარჩენა** მაშინაც, როცა მისი ერთი რომელიმე ნაწილი შეიძლება ბათილი იყოს.

2 თავისი ბუნებით 62-ე მუხლი **დისპოზიციურია,** რადგან მხარეთა შეთანხმებით შეიძლება საპირისპიროს დადგენა და მთელი გარიგების ბათილად გამოცხადება.[2]

2. გამოყენების სფერო

3 62-ე მუხლის შინაარსი გამოიყენება **ყველა სახის გარიგების მიმართ** როგორც ცალმხრივი, ისე ორმხრივი და მრავალმხრივი გარიგებების მიმართ. განსაკუთრებით ხშირია მისი გამოყენება საკორპორაციო სამართალში – იურიდიული პირების წესდებათა შედგენისას: „წესდების ერთი დებულების ბათილობა არ იწვევს მთლიანად წესდების ბათილობას“.

გარიგების ნაწილის **ბათილობის საფუძველს მნიშვნელობა არა აქვს.** მთავარია, შეიძლებოდეს ამ ბათილი ნაწილის გამოყოფა და იგი არ უნდა იწვევდეს მთლიანად გარიგების ბათილობას.

1 შდრ. MüKo/*Busche,* BGB, 6 Aufl., 2012, §139 Rn. 1.
2 შდრ. *Ellenberger,* in Palandt BGB Komm., § 139, Rn. 17.

ნორმის გამოყენება გამოირიცხება, თუკი გარიგების ნაწილობრივი ბა- 4
თილობის საკითხი **სპეციალური ნორმით** არის მოწესრიგებული. ამ შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება სპეციალურ რეგულირებას.[3]

II. გარიგების ნაწილის ბათილობის წინაპირობები

1. ერთიანი გარიგება

გარიგების ნაწილის ბათილობაზე საუბრის აუცილებელი წინაპირობაა 5
ერთიანი გარიგების არსებობა, რომელიც რამდენიმე ნაწილისაგან შედგება.

ნაწილობრივად ბათილი გარიგებების სამართლებრივი დახასიათებისას დიდი მნიშვნელობა აქვს **გარიგების განმარტებას,** ვინაიდან სწორედ ამ გზით არის შესაძლებელი იმის დადგენა, არსებობს თუ არა ერთიანი გარიგება, რომელიც ცალკეული ნაწილებისაგან შედგება, და იწვევს თუ არა ამ ნაწილების ბათილობა მთლიანად გარიგების ბათილობას. ასევე განმარტების საფუძველზე უნდა დადგინდეს, სურთ თუ არა გარიგების მონაწილეებს მთლიანად გარიგების თუ მისი ნაწილის ბათილობა.[4]

გარიგების ერთიანად მიჩნევისათვის პრობლემას არ წარმოადგენს, თუ 6
მასში სხვადასხვა ტიპის გარიგება ფიგურირებს, მაგალითად, ნასყიდობა, იჯარა, ლიზინგი და ა.შ.[5] თავის მხრივ, ამ ხელშეკრულებების ფორმალური და მექანიკური გაერთიანება ერთ დოკუმენტში არ იწვევს მათ გადაქცევას ერთიან გარიგებად.[6]

2. გარიგების დაყოფა ნაწილებად

შესაძლებელი უნდა იყოს ერთიანი გარიგების **ცალკეული ნაწილების** 7
გამოცალკევება, მათი ცალკე განხილვა და ბათილი ნაწილების დადგენა, რათა შეფასდეს, შეუძლია თუ არა ამ ნაწილის ბათილობას მთლიანად გარიგების ბათილობა.[7] ბათილობა ამ ცალკე გამოყოფილ ნაწილს უნდა ეხებოდეს.[8]

უნდა არსებობდეს იმის შესაძლებლობა, რომ ის ნაწილი, რომელსაც 8
არ ემუქრება ბათილობა, **შეიძლება ცალკე გარიგებად დარჩეს.**[9] მაგალითად, მიწის იჯარის ხელშეკრულება მასზე კაპიტალური ნაგებობის აშენების უფლებით. კაპიტალური ნაგებობის აშენების ნაწილში გარიგება ბათილი იქნება, რადგან ამისათვის აუცილებელია მიწის ნაკვეთის დატვირთვა აღნაგობის უფლებით, ხოლო მიწის იჯარის ხელშეკრულება იქნება ნამდვილი.

3 შდრ. *Wendtland,* in Beck OK BGB, 28. Aufl. Stand 01.08.2013, § 139 Rn. 4.
4 შდრ. *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 390-391.
5 შდრ. *Jauernig,* BGB, 14. Aufl., 2011, § 139, Rn. 2.
6 შდრ. *Jauernig,* BGB, 14. Aufl., 2011, § 139, Rn. 2.
7 შდრ. *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 390.
8 შდრ. *Wendtland,* in Beck OK BGB, 28. Aufl. Stand 01.08.2013, § 139 Rn. 13.
9 შდრ. *Jauernig,* BGB, 14. Aufl., 2011, § 139, Rn. 4.

9 გარიგების ნაწილის ბათილობა შეიძლება არსებობდეს მაშინაც, როცა ერთიანი გარიგების რომელიმე **ერთი დებულება არის ბათილი,** მთელი გარიგება კი ნამდვილი. მაგალითად, მიწის ნაკვეთის ნასყიდობის ხელშეკრულების დებულება გამოსაყენებელი სამართლის შესახებ.[10] ასევე, მაგალითად, თხოვების ხელშეკრულებაში ხელშეკრულების ვადა (19 წელი) შეიძლება იყოს ბათილად მიჩნეული, ხოლო მთლიანად ხელშეკრულება ძალაში დარჩეს.[11]

10 გარიგების ნაწილი შეიძლება ბათილი იყოს მასში მონაწილე **სუბიექტთა შემადგენლობის გამო.** მაგალითად, თუ ხელშეკრულების ერთ მხარეს რამდენიმე პირი მონაწილეობს და ერთი მათგანი ქმედუუნაროა, მასთან მიმართებაში ხელშეკრულება იქნება ბათილი, ხოლო დანარჩენების მიმართ – ნამდვილი.[12]

გარიგების ნაწილის ბათილობის შესაძლო შედეგები დამოკიდებულია იმაზე, თუ რა კავშირი არსებობს გარიგების ამ ნაწილსა და მის სხვა ნაწილებს შორის და რამდენად შესაძლებელია მთლიანი გარიგების გადარჩენა ამ ბათილი ნაწილის გარეშე.[13]

3. ბათილი ნაწილის გარეშე გარიგების დადების ვარაუდი

11 გარიგების ნაწილის ბათილობა მხოლოდ მაშინ გამოიყენება, როცა **სავარაუდოა, რომ გარიგება ამ ბათილი ნაწილის გარეშეც დაიდებოდა**. მაგალითად, მიწის ნაკვეთის იჯარის ხელშეკრულება ნამდვილი დარჩება, თუკი მოიჯარე თანახმა იქნებოდა, რომ მიწის ნაკვეთი აეღო იჯარით მასზე კაპიტალური ნაგებობის აშენების უფლების გარეშეც.

ბათილი ნაწილის გარეშე გარიგების დადების **ვარაუდი** უნდა გამომდინარეობდეს **გარიგების მონაწილეთა ჰიპოთეტური ნებისაგან,** რომელიც იმის მიხედვით უნდა განისაზღვროს, თუ რა რეაქცია ჰქონდათ გარიგების მონაწილეებს გარიგების ნაწილის ბათილობის აღმოჩენის შემდეგ.[14]

თუ გარიგებაში რამდენიმე პირი მონაწილეობს, მაშინ აუცილებელია ამ პირთა **თანამთხვევადი ჰიპოთეტური ნების** არსებობა, ე.ი. ყველა მონაწილეს უნდა სურდეს გარიგების გაგრძელება მისი ბათილი ნაწილის გარეშე.

III. სამართლებრივი შედეგები

12 გარიგების ნაწილის ბათილობის შემთხვევაში გარიგება მთლიანად არ იქნება ბათილი. გარიგების ამ ნამდვილი ნაწილიდან გამომდინარე ვალდებულებები გარიგების მონაწილეებმა ჯეროვნად უნდა შეასრულონ.

გარიგების ბათილი ნაწილის მიმართ გამოიყენება ბათილი გარიგების სამართლებრივი შედეგები.

---

10 შდრ. *Wendtland,* in Beck OK BGB, 28. Aufl. Stand 01.08.2013, § 139 Rn. 14.
11 საქ. უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 25 მარტის გადაწყვეტილება №ას-1350-1275-2012.
12 შდრ. *Wendtland,* in Beck OK BGB, 28. Aufl. Stand 01.08.2013, § 139 Rn. 14.
13 *ზოიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 62, გვ. 202.
14 შდრ. *Wendtland*, in Beck OK BGB, 28. Aufl. Stand 01.08.2013, § 139 Rn. 16.

თავი მეორე
ქმედუნარიანობა, როგორც გარიგების ნამდვილობის პირობა

მუხლი 63. არასრულწლოვანის მიერ დადებული გარიგება

1. თუ არასრულწლოვანი დებს ორმხრივ გარიგებას (ხელშეკრულებას) კანონიერი წარმომადგენლის აუცილებელი თანხმობის გარეშე, მაშინ ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებულია იმაზე, შემდგომში მისი წარმომადგენელი მოიწონებს თუ არა მას, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა იგი იღებს სარგებელს.

2. თუ არასრულწლოვანი ქმედუნარიანი გახდება, მაშინ იგი თვითონ წყვეტს საკითხს თავისი ნების გამოვლენის ნამდვილობის შესახებ.

I. ზოგადი დებულებები 369
1. ნორმის მიზანი 369
2. გამოყენების სფერო 369
II. გამოყენების წინაპირობები 370
1. ორმხრივი გარიგება 370
2. სარგებელი 370
3. კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა 371
III. სრულწლოვანების მიღწევის შედეგები (63 II მუხლი) 371

I. ზოგადი დებულებები

1. ნორმის მიზანი

63-ე მუხლის მიზანია **არასრულწლოვნის დაცვა** იმ მოსალოდნელი უარყოფითი შედეგებისაგან, რომლებიც მის მიერ ხელშეკრულების დადებას შეიძლება მოჰყვეს. ამ თვალსაზრისით მუხლი განამტკიცებს **პრინციპს,** რომლის თანახმად **არასრულწლოვნის მიერ ისეთი ხელშეკრულების დადება, რომლითაც ის სამართლებრივ სარგებელს არ იღებს, მოითხოვს კანონიერი წარმომადგენლის თანხმობას**.[1] **1**

მართალია, მცირეწლოვანებისაგან (7 წლამდე: 12 IV მუხლი) განსხვავებით, არასრულწლოვნებს (7-დან 18 წლამდე) **აქვთ უფლება მონაწილეობა მიიღონ სამოქალაქო ბრუნვაში,** მაგრამ მათი ეს მონაწილეობა შეზღუდულია მხოლოდ სარგებლის მომტანი ან ნეიტრალური ხელშეკრულებების[2] დადების შესაძლებლობით. სხვა შემთხვევაში აუცილებელია კანონიერი წარმომადგენლების თანხმობა.

2. გამოყენების სფერო

63-ე მუხლი გამოიყენება მხოლოდ არასრულწლოვნის მიერ დადებული **2**

1 შდრ. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის § 107; MüKo/*Schmitt,* BGB 6. Aufl., 2012, § 107 Rn. 1.
2 შდრ. *Wendtland,* in Beck OK BGB, 28. Aufl. Stand 01.08.2013, § 107 Rn. 1.

ორმხრივი გარიგებების (ხელშეკრულებების) მიმართ, რომლებითაც არასრულწლოვანს შეიძლება სამართლებრივი ნაკლი წარმოეშვას.

3 ნორმა ასევე გამოიყენება **გარიგების მსგავსი მოქმედებების** მიმართ, რომლებშიც არასრულწლოვანი მონაწილეობს, მაგალითად, ქირურგიული ოპერაციის გაკეთების დროსაც.[3]

63-ე მუხლი წარმოადგენს მე-15 მუხლით განმტკიცებული პრინციპის ერთ კონკრეტულ შემთხვევას, რომელიც მხოლოდ არასრულწლოვანებს ეხება, მაშინ, როცა მე-15 მუხლი შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირების ბრუნვაში მონაწილეობის საფუძვლებს განსაზღვრავს.

II. გამოყენების წინაპირობები

1. ორმხრივი გარიგება

4 არასრულწლოვანის მიერ ყველა **ორმხრივი გარიგების** – ხელშეკრულების – დადებისათვის, რომლიდანაც არ იღებს სამართლებრივ სარგებელს, მიუხედავად იმისა, ეს სარგებელი უშუალოდ ძირითადი გარიგებიდან გამომდინარეობს თუ დამატებითი ვალდებულებებიდან.

5 აღნიშნული გარიგებები **მერყევად ბათილია**, ვინაიდან არსებობს კანონიერი წარმომადგენლისაგან მისი მოწონების შესაძლებლობა, რაც გარიგებას ნამდვილობას მიანიჭებს.[4] თუ კანონიერი წარმომადგენელი არ გასცემს თანხმობას, მაშინ გარიგება ბათილი იქნება დადების მომენტიდან, ე.წ. ex tunc.[5]

2. სარგებელი

6 აღიარებული შეხედულების მიხედვით ეკონომიკურ სარგებელს არა აქვს მნიშვნელობა. გადამწყვეტია **სამართლებრივი სარგებელი**[6] და **სამართლებრივი შედეგები.**[7]

სამართლებრივად წამგებიანი იქნება გარიგება, თუკი მისგან არასრულწლოვანს რაიმე **ვალდებულება ეკისრება.** აქედან გამომდინარე, ორმხრივი სასყიდლიანი ხელშეკრულებები უფლებრივი ნაკლის მომტანად მიიჩნევა, რადგან ისინი არასრულწლოვანს გარკვეულ ვალდებულებებს აკისრებენ.[8]

7 სამართლებრივად სარგებლის მომტანად მიიჩნევა ისეთი გარიგებები, რომლებიც არასრულწლოვნის **სამართლებრივ მდგომარეობას აუმჯობესე-**

3 შდრ. *Wendtland,* in Beck OK BGB, 28. Aufl. Stand 01.08.2013, § 107 Rn. 2.

4 *ზოიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 63, გვ. 205; *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 386.

5 შდრ. *Rüthers/Stadler,* Allgemeiner Teil des BGB, 16. Aufl. § 23 Rn. 27.

6 *ზოიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 63, გვ. 204; შდრ. *Wendtland* in Beck OK BGB, 28. Aufl. Stand 01.08.2013, § 107 Rn. 3.

7 შდრ. *Rüthers/Stadler,* Allgemeiner Teil des BGB, 16. Aufl. § 23 Rn. 9.

8 შდრ. *Wendtland,* in Beck OK BGB, 28. Aufl. Stand 01.08.2013, § 107 Rn. 3 ff.; *Rüthers/Stadler,* Allgemeiner Teil des BGB, 16. Aufl. § 23 Rn. 9.

ბენ, მაგალითად, უფლების შეძენა, საკუთრების შეძენა, ჩუქება და ა.შ.[9]

სამართლებრივი სარგებლის შემცველია ყველა ვალდებულებით-სამართლებრივი გარიგება, რომელიც არასრულწლოვანს **მხოლოდ მოთხოვნის უფლებას ანიჭებს,** მაგალითად, საჩუქრის დაპირება (525 III მუხლი).[10]

ნასყიდობას, ქირავნობას, ნარდობას და სხვა მსგავს ხელშეკრულებებს მარტო სამართლებრივი სარგებელი კი არ მოაქვს არასრულწლოვნისათვის, არამედ ვალდებულებებსაც აკისრებს მას.[11] ამიტომ მათზე ვრცელდება 63-ე მუხლის შეზღუდვა.

3. კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა

8 63-ე მუხლით გათვალისწინებული გარიგების ნამდვილობისათვის აუცილებელია არასრულწლოვნის კანონიერი წარმომადგენლების **წინასწარი თანხმობა. თანხმობა ცალმხრივი მიღებასავალდებულო ნების გამოვლენაა,** რომელიც შეიძლება **კონკლუდენტურადაც** განხორციელდეს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გარიგების თავისებურებიდან გამომდინარე, **სპეციალური ფორმაა** დადგენილი.

9 **კანონიერი წარმომადგენლები** არიან არასრულწლოვანი პირის მშობლები ან მეურვეები. არასრულწლოვანს არა აქვს თანხმობის მოთხოვნის უფლება.[12] მათი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ფარგლები და მოცულობა განისაზღვრება კანონით.[13] თანხმობის მოცულობა განისაზღვრება იმით, თუ რას ემსახურება იგი. თანხმობა შეიძლება იყოს ერთი გარიგებისათვის გაცემული, მაგალითად, ავტომანქანის ყიდვა, ან გარკვეულ თანხამდე გარიგებებისათვის, მაგალითად, 500 ლარამდე და ა.შ.[14]

თუ გარიგება არასრულწლოვნისათვის **სამართლებრივად სარგებლის მომტანია,** მაშინ 63-ე მუხლის თანახმად, **გარიგება უკვე ნამდვილია** და მას არ სჭირდება კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა.

თუ თანხმობა გაცემულია, მაშინ არასრულწლოვნის მიერ დადებული გარიგება ისევე იქნება ნამდვილი, როგორც ქმედუნარიანი პირის მიერ დადებული გარიგება.

III. სრულწლოვანების მიღწევის შედეგები (63 II მუხლი)

10 თუკი არასრულწლოვანი, რომელმაც კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე დადო 63 I მუხლით გათვალისწინებული გარიგება, მის მიერ დადებული მერყევად ბათილი გარიგება არ გახდება ავტომატურად ნამდვილი იმით, რომ ეს პირი გახდა სრულწლოვანი. სრულწლოვანებას მიღწეულმა

9 *ზოიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 63, გვ. 205; შდრ. *Rüthers/Stadler,* Allgemeiner Teil des BGB, 16. Aufl. § 23 Rn. 9.

10 *ზოიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 63, გვ. 205.

11 იქვე.

12 შდრ. *Wendtland,* in Beck OK BGB, 28. Aufl. Stand 01.08.2013, § 107 Rn. 17

13 იხ. დისკუსია: *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 424-425.

14 შდრ. *Rüthers/Stadler,* Allgemeiner Teil des BGB, 16. Aufl. § 23 Rn. 23.

პირმა თვითონ უნდა გასცეს თანხმობა, რომელიც მანამდე კანონიერ წარმომადგენელს უნდა გაეცა.[15]

სრულწლოვანების მიღწევით პირი არა მხოლოდ ქმედუნარიანი ხდება, არამედ კანონიერი წარმომადგენლის უფლებამოსილებასაც იძენს 63-ე მუხლიდან გამომდინარე ურთიერთობებში.[16]

15 ქართული ნორმა იმეორებს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 108 პარაგრაფის მე-3 აბზაცის დებულებას. შდრ. *Wendtland*, in Beck OK BGB, 28. Aufl. Stand 01.08.2013, § 108 Rn. 10.

16 *ზოიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 63, გვ. 205.

მუხლი 64. უარი არასრულწლოვანის მიერ დადებულ გარიგებაზე

1. არასრულწლოვანის მიერ დადებული ხელშეკრულების მოწონებამდე მეორე მხარეს აქვს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება.

2. თუ მეორე მხარემ იცოდა პირის არასრულწლოვანობის შესახებ, მაშინ მას უარის თქმა შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა არასრულწლოვანი მას ატყუებდა, რომ წარმომადგენლისაგან მიღებული აქვს თანხმობა.

I. ნორმის მიზანი.....373
II. ხელშეკრულებაზე უარის თქმის წინაპირობები.....373
III. სამართლებრივი შედეგები 374
IV. მტკიცების ტვირთი.....374

I. ნორმის მიზანი

ვინაიდან კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის მიღებამდე **გარიგება მერყევად ბათილია,** ეს ხელშეკრულების კონტრაჰენტს არამყარ სამართლებრივ მდგომარეობაში აყენებს. აქედან გამომდინარე, 64 I მუხლი მას თავდაცვის ღონისძიების სახით ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას ანიჭებს. ამრიგად, 64-ე მუხლის მიზანი არის **კონტრაჰენტის ინტერესების დაცვა,** განსხვავებით 63-ე მუხლისაგან, რომლის მიზანიც არასრულწლოვნის ინტერესების დაცვა იყო.[1] 1

II. ხელშეკრულებაზე უარის თქმის წინაპირობები

ხელშეკრულების კონტრაჰენტის მიერ ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების განხორციელება დამოკიდებულია რამდენიმე წინაპირობის არსებობაზე: 2

პირველი, **ხელშეკრულება უნდა იყოს მერყევად ბათილი,** რაც გამოწვეულია კანონიერი წარმომადგენლის მიერ თანხმობის გაცემის დაყოვნებით.

მეორე, ხელშეკრულებაზე უარის უფლება კონტრაჰენტს მხოლოდ მაშინ წარმოეშობა, როცა **კონტრაჰენტმა არ იცოდა პირის არასრულწლოვნების შესახებ**, მაგალითად, ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისას ინტერნეტის მეშვეობით.[2]

მესამე, უარის თქმა შესაძლებელია მხოლოდ **კანონიერი წარმომადგენლის მიერ თანხმობის გაცემამდე**.[3] თანხმობის გაცემით გარიგება ნამდვილი ხდება, რითაც კონტრაჰენტი კარგავს უარის თქმის საფუძველს.

თუ ხელშეკრულების კონტრაჰენტმა იცოდა არასრულწლოვნების შესახებ, მაშინ ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება, როგორც წესი, გამორიცხულია. გამონაკლისი გათვალისწინებულია 64 II მუხლში, როცა 3

1 მუხ. 64 საფუძვლად უდევს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის § 109.
2 შდრ. *Wendtland,* in Beck OK BGB, 28. Aufl. Stand 01.08.2013, § 109 Rn. 3.
3 შდრ. *Jauernig,* BGB, 14. Aufl., 2011, § 109, Rn. 1.

არასრულწლოვანი ატყუებდა, რომ მას წარმომადგენლისაგან თანხმობა მიღებული ჰქონდა.

მთავარია, რომ **გარიგების მერყევად ბათილობა თვითონ კონტრაჰენტის მიერ არ იყოს გამოწვეული.** ეს ხდება მაშინ, როცა კონტრაჰენტმა იცოდა, რომ არასრულწლოვანთან დებდა ხელშეკრულებას. არასრულწლოვნების ცოდნის ფაქტი მას უკარგავს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას.[4]

III. სამართლებრივი შედეგები

4 თუ ზემოთ აღნიშნული წინაპირობები არსებობს, მაშინ ხელშეკრულების კონტრაჰენტს უფლება აქვს უარი თქვას ხელშეკრულებაზე. ხელშეკრულებაზე უარი წარმოადგენს ცალმხრივ მიღებასავალდებულო ნების გამოვლენას.

ხელშეკრულებაზე უარი კონტრაჰენტმა შეიძლება გამოთქვას როგორც **კანონიერი წარმომადგენლის, ისე არასრულწლოვანი პირის მიმართაც.**[5]

5 ხელშეკრულებაზე უარის სამართლებრივი შედეგები განისაზღვრება 352-ე და 405-ე მუხლების შესაბამისად.

IV. მტკიცების ტვირთი

6 მტკიცების ტვირთი გადანაწილებულია იმის მიხედვით, თუ რომელი ფაქტების მტკიცებაზეა საუბარი. მაგალითად, იმის მტკიცების ტვირთი, რომ ხელშეკრულებაზე უარი განხორციელდა კანონიერი წარმომადგენლის მიერ თანხმობის გაცემის შემდეგ, ეკისრება ხელშეკრულების ნამდვილობითა და მისი განხორციელებით დაინტერესებულ პირს.[6]

მტკიცების ტვირთი იმისა, რომ ხელშეკრულებაზე უარი განხორციელდა კანონიერი წარმომადგენლის მიერ თანხმობის გაცემამდე, ეკისრება ხელშეკრულების კონტრაჰენტს.

ხელშეკრულების კონტრაჰენტის მიერ არასრულწლოვანების ცნობის ფაქტის მტკიცების ტვირთი ეკისრება კანონიერ წარმომადგენელს.

4 შდრ. *Jauernig,* BGB, 14. Aufl., 2011, § 109, Rn. 2.

5 *ზოიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 64, გვ. 206.

6 შდრ. *Wendtland,* in Beck OK BGB, 28. Aufl. Stand 01.08.2013, § 109 Rn. 6.

მუხლი 65. არასრულწლოვანის ემანსიპაცია

1. ხელშეკრულება, რომელიც დადებულია არასრულწლოვანის მიერ კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე, ითვლება ნამდვილად, თუკი არასრულწლოვანმა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოქმედებათა შესასრულებლად განკარგა ის საშუალებანი, რომლებიც მას გადასცეს კანონიერმა წარმომადგენლებმა, ან – ამ წარმომადგენლების თანხმობით – მესამე პირებმა ამ მიზნით ანდა თავისუფალი განკარგვის მიზნით.

2. თუ კანონიერი წარმომადგენელი ანიჭებს თექვსმეტი წლის ასაკს მიღწეულ არასრულწლოვანს საწარმოს დამოუკიდებლად გაძღოლის უფლებას, მაშინ ამ სფეროსათვის ჩვეულებრივ ურთიერთობებში იგი შეუზღუდავად ქმედუნარიანი ხდება. ეს წესი გამოიყენება როგორც საწარმოს დაფუძნების, ასევე ლიკვიდაციისა და შრომითი ურთიერთობების დაწყების ან დამთავრების მიმართაც.

3. საწარმოს გაძღოლის ნებართვა საჭიროებს კანონიერი წარმომადგენლის თანხმობას მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსთან შეთანხმებით.

I. ზოგადი დებულებანი 375
II. გადაცემული სახსრების განკარგვა არასრულწლოვნის მიერ (65 I მუხლი) 376
1. მიზანი და გამოყენების სფერო 376
2. გამოყენების წინაპირობა და სამართლებრივი შედეგი 376
III. საწარმოს გაძღოლა დამოუკიდებლად (65 II) 377
1. მიზანი და გამოყენების სფერო 377
2. გამოყენების წინაპირობები 378
3. სამართლებრივი შედეგი 378

I. ზოგადი დებულებანი

მართალია, არასრულწლოვანი პირის მიერ კანონიერი წარმომადგენლის 1
თანხმობის გარეშე დადებული გარიგებები ბათილად არის აღიარებული (63-ე მუხლი), მაგრამ სამოქალაქო კოდექსი მოსწყდებოდა ცხოვრებისეულ რეალობას, თუკი ამ კატეგორიის პირებს, რომელთა ასაკი მერყეობს 7-დან 18 წლამდე, საერთოდ აუკრძალავდა სამოქალაქო ბრუნვაში მონაწილეობას. კანონიერი წარმომადგენლის კონტროლის ქვეშ არასრულწლოვანთა მიერ სამოქალაქო ბრუნვაში მონაწილეობის უზრუნველყოფას ემსახურება 65-ე მუხლი, რომელიც რამდენიმე კომპრომისულ და ცხოვრებისეული რეალობის შესატყვის რეგულირებებს შეიცავს.

ერთ შემთხვევაში არასრულწლოვანს აქვს მისთვის კანონიერი წარმომადგენლის მიერ გადაცემული საშუალებების განკარგვის უფლება (65 I მუხლი), ხოლო მეორე შემთხვევაში – საწარმოს დამოუკიდებლად გაძღოლის უფლება მას სრულ ქმედუნარიანობას ანიჭებს.

65-ე მუხლის რეგულირებით კანონმდებელი აღწევს ბალანსს სამოქა-

ლაქო ბრუნვაში არასრულწლოვნის მონაწილეობასა და კანონიერი წარმომადგენლის მიერ მასზე კონტროლის განხორციელებას შორის.

II. გადაცემული სახსრების განკარგვა არასრულწლოვანის მიერ (65 I მუხლი)

1. მიზანი და გამოყენების სფერო

2 65 I მუხლი აწესრიგებს არასრულწლოვანი პირის მიერ იმ გარიგებათა დადებას, რომელთა შესასრულებლადაც მან განკარგა კანონიერი წარმომადგენლის ან მესამე პირისაგან მიღებული საშუალებები. ნორმა განამტკიცებს არასრულწლოვნის მიერ ე.წ. „ჯიბის ფულის“ განკარგვის უფლებამოსილებას.[1]

ნორმა გამოიყენება იმ გარიგებათა მიმართ, რომლებიც არასრულწლოვანისათვის შეიძლება სამართლებრივი ზიანის მომტანი იყოს, რადგან სამართლებრივი სარგებლის მომტანი გარიგებები ამ რეგულირების გარეშეც ისედაც ნამდვილია.

3 65 I მუხლი არ წარმოადგენს 63-ე მუხლით გათვალისწინებული ნორმიდან გამონაკლისს, არამედ აკონკრეტებს, რომ კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა შეიძლება **კონკლუდენტურ მოქმედებაშიც** გამოიხატოს, კერძოდ, იმ თანხის გადაცემაში, რომლის განკარგვის უფლებაც არასრულწლოვანს აქვს.[2] ამ გაგებით შეიძლება ითქვას, რომ გარიგება არც არის კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე დადებული, ის უბრალოდ მკვეთრად არ არის გამოხატული.[3] ამრიგად, სახეზეა „წინასწარი თანხმობის სპეციალური შემთხვევა“.[4]

65 I მუხლი არ გამოიყენება, თუკი კანონიერმა წარმომადგენელმა 63-ე მუხლის მიხედვით უკვე მისცა არასრულწლოვანს გარიგების დადების თანხმობა.[5]

2. გამოყენების წინაპირობა და სამართლებრივი შედეგი

4 65 I მუხლის გამოყენების წინაპირობა არის არასრულწლოვნის მიერ ხელშეკრულებით **გათვალისწინებულ მოქმედებათა შესასრულებლად** იმ **საშუალებების განკარგვა,** რომლებიც მან კანონიერი წარმომადგენლის ან მესამე პირისაგან მიიღო.

აღიარებული შეხედულების თანახმად, მხოლოდ ავანსის გადახდა არ არის საკმარისი: ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება სრულად უნდა იყოს შესრულებული. არასრულწლოვნის მიერ ნაწილობრივ შესრულებაც არ

1 *ზოიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 65, გვ. 207.
2 შდრ. *Wendtland,* in Beck OK BGB, 28. Aufl. Stand 01.08.2013, § 110 Rn. 4.
3 *ზოიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ.65, გვ. 208.
4 იქვე.
5 შდრ. *Jauernig,* BGB, 14. Aufl., 2011, § 110, Rn. 1.

ჩაითვლება შესრულებად 65 I მუხლის გაგებით.[6]

გადაცემულ საშუალებებად მიიჩნევა ნებისმიერი ქონებრივი ფასეულობები, პირველ რიგში, ფულადი სახსრები – ნაღდი ფული.[7] **5**

თუ არასრულწლოვანს მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით გახსნილი აქვს საბანკო ანგარიში და ფლობს ელექტრონული ანგარიშსწორების ბარათი, სავარაუდოა, რომ მას კანონიერი წარმომადგენლის მიერ აქვს გადაცემული ეს სახსრები განსაკარგავად. თანხის გადაცემისას არ არის სავალდებულო მისი გამოყენების კონკრეტული მიზნების მითითება. ყოველ შემთხვევაში ამან შეიძლება არ მოახდინოს გავლენა გარიგების ნამდვილობაზე.

არასრულწლოვნის მიერ დადებული **გარიგება ნამდვილია,** თუ მან განკარგა მისთვის კანონიერი წარმომადგენლის ან მესამე პირის მიერ გადაცემული საშუალება. არასრულწლოვნისა და კანონიერი წარმომადგენლის ერთობლივი ქმედება ამ გარიგებას ნამდვილობას ანიჭებს.[8] **6**

გარიგება არ იქნება ნამდვილი, თუ კანონიერმა წარმომადგენელმა არასრულწლოვანს არამართლზომიერად გადასცა საშუალება, მაგალითად, ავტომანქანა და მას არა აქვს მართვის მოწმობა.[9] **7**

თუ არასრულწლოვნის მიერ დადებული გარიგება **ნაწილ-ნაწილ** უნდა შესრულდეს, მაშინ მის მიერ უკვე შესრულებულ ნაწილში გარიგება ნამდვილია, ხოლო გადაუხდელ ნაწილში – მერყევად ბათილი, რადგან ამ უკანასკნელ ნაწილებთან მიმართებაში არასრულწლოვანს ჯერ განკარგვა არ განუხორციელებია.

III. საწარმოს გაძღოლა დამოუკიდებლად (65 II)

1. მიზანი და გამოყენების სფერო

პრაქტიკაში იშვიათია, როცა არასრულწლოვანი დამოუკიდებელ სამეწარმეო საქმიანობას ეწევა და საკუთარი საწარმო აქვს. მაგრამ ამ გამონაკლისი შემთხვევის დროს წარმოიშობა პრობლემა, რაც ხელს უშლის არასრულწლოვნის სრულფასოვან მონაწილეობას კომერციულ საქმიანობაში, კერძოდ, 63-ე მუხლის მიხედვით, ყველა გარიგების დასადებად მას სჭირდება კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა. ამის თავიდან ასაცილებლად 65 II და III მუხლები ითვალისწინებენ **არასრულწლოვნის ემანსიპაციის** (სრულწლოვანებთან უფლებრივი გათანასწორება) შესაძლებლობას, თუკი **თექვსმეტი წლის ასაკს მიღწეული** პირს კანონიერი წარმომადგენელი საწარმოს დამოუკიდებლად გაძღოლის უფლებას ანიჭებს. **8**

შეუზღუდავი ქმედუნარიანობა,[10] რომელსაც არასრულწლოვანი მოიპოვებს, ეხება მისი **სამეწარმეო საქმიანობის სფეროსათვის ჩვეულებრივ ურთი-**

6 შდრ. *Wendtland,* in Beck OK BGB, 28. Aufl. Stand 01.08.2013, § 110 Rn. 5.
7 *ზოიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 65, გვ. 208.
8 შდრ. *Jauernig,* BGB, 14. Aufl., 2011, § 110, Rn. 2.
9 შდრ. *Wendtland,* in Beck OK BGB, 28. Aufl. Stand 01.08.2013, § 110 Rn. 14.
10 *ზოიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 65, გვ. 209.

ერთობებს. ამრიგად, საუბარია ე.წ. **ნაწილობრივ ქმედუნარიანობაზე.**[11]

2. გამოყენების წინაპირობები

9 65 II მუხლის გამოყენების წინაპირობა არის **საწარმოს გაძღოლა არასრულწლოვნის მიერ**, ე.ი. სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება მეწარმეთა შესახებ კანონის შესაბამისად, ვაჭრობის, მომსახურების, წარმოების და ა.შ. სფეროებში.

საყურადღებოა **სამეწარმეო საზოგადოებაში პარტნიორის სტატუსის** საკითხი. აღიარებული შეხედულების მიხედვით, 65 II მუხლი გავრცელდება მხოლოდ პერსონალური საზოგადოებების პარტნიორებზე, რადგან ისინი თვითონ ახორციელებენ სამეწარმეო საზოგადოებას, მაგრამ არა კაპიტალური საზოგადოების პარტნიორებზე, რადგან მათგან აქტიური სამეწარმეო საქმიანობა არ მოითხოვება.[12]

არასრულწლოვანი საწარმოს დამოუკიდებლად უნდა უძღვებოდეს, რაც იმას ნიშნავს, რომ ის უნდა იღებდეს საწარმოსათვის მნიშვნელოვან ყველა ორგანიზაციულ თუ კომერციულ საკითხებზე გადაწყვეტილებებს.

საწარმოს დამოუკიდებლად გაძღოლის უფლება არასრულწლოვანს მინიჭებული უნდა ჰქონდეს კანონიერი წარმომადგენლისაგან მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსთან შეთანხმებით (65 II და III მუხლები).

10 გარდა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსთან შეთანხმებისა, საწარმოს გაძღოლის უფლებამოსილების მინიჭებისათვის კოდექსი რაიმე **ფორმას** არ ითვალისწინებს. ამიტომ ეს ნებართვა შეიძლება გაიცეს **ზეპირადაც.**[13]

11 საწარმოს გაძღოლის უფლებამოსილების გაცემა კანონიერი წარმომადგენლის უფლებაა და არა მოვალეობა. შესაბამისად, არასრულწლოვანს არა აქვს მისგან ამ ნებართვის მოთხოვნის უფლება.

3. სამართლებრივი შედეგი

12 16 წლის ასაკს მიღწეული არასრულწლოვანი ქმედუნარიანი ხდება სამეწარმეო საქმიანობის სფეროში და აქედან გამომდინარე, ვალდებულებებზე მისი **პასუხისმგებლობა ამ სფეროში შეუზღუდავია.**

ქმედუნარიანობის შინაარსი მოიცავს უფლებას, დადოს და შეწყვიტოს შრომის ხელშეკრულებები საწარმოს თანამშრომლებთან, შეიძინოს და გაასხვისოს ნედლეული, წარმოებული პროდუქცია და ა.შ. ქმედუნარიანობა მოიცავს ასევე საპროცესო უფლებაუნარიანობას. ამ ურთიერთობების გარეთ ის ჩვეულებრივად შეზღუდულად ქმედუნარიანობის მქონედ რჩება.[14]

13 არასრულწლოვნისათვის საწარმოს გაძღოლის სფეროში მინიჭებული

11 შდრ. *Jauernig,* BGB, 14. Aufl., 2011, § 112, Rn. 1.

12 შდრ. *Wendtland,* in Beck OK BGB, 28. Aufl. Stand 01.08.2013, § 112 Rn. 2.

13 შდრ. *Jauernig,* BGB, 14. Aufl., 2011, § 112, Rn. 2.

14 *ზოიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 65, გვ. 209.

ნაწილობრივი ქმედუნარიანობის ფარგლებში **კანონიერი წარმომადგენელი კარგავს თავის წარმომადგენლობით უფლებამოსილებებს,** რაც ეხება ასევე სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების განკარგვასაც.[15]

15 შდრ. *Wendtland,* in Beck OK BGB, 28. Aufl. Stand 01.08.2013, § 112 Rn. 8.

მუხლი 66. წარმომადგენლის აუცილებელი თანხმობის გარეშე დადებული გარიგების ბათილობა

ბათილია ცალმხრივი გარიგება, რომელსაც არასრულწლოვანი დებს კანონიერი წარმომადგენლის აუცილებელი თანხმობის გარეშე. ბათილია ასეთი გარიგება მაშინაც, როცა არსებობს კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა, მაგრამ არასრულწლოვანს არ წარმოუდგენია ამის დამადასტურებელი წერილობითი საბუთი, რის გამოც გარიგების მეორე მხარემ დაუყოვნებლივ თქვა მასზე უარი. ასეთი უარი დაუშვებელია, თუკი მეორე მხარე ინფორმირებული იყო კანონიერი წარმომადგენლის ამ თანხმობის შესახებ.

I. ნორმის რეგულირების საგანი და გამოყენების სფერო.....380
II. გამოყენების წინაპირობები და სამართლებრივი შედეგი.....380
III. კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის ფორმა.....381
IV. მტკიცების ტვირთი.....381

I. ნორმის რეგულირების საგანი და გამოყენების სფერო

1 66-ე მუხლი განსაზღვრავს **კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის გარეშე** არასრულწლოვნის მიერ დადებული გარიგების სამართლებრივ ბედს და ყურადღებას იმსახურებს 63 I მუხლთან კავშირში.

პირველი, თუ 63-ე მუხლი ეხება **ორმხრივ გარიგებებს** (ხელშეკრულებებს), 66-ე მუხლი ცალმხრივ გარიგებებს აწესრიგებს.

მეორე, 63-ე მუხლით გათვალისწინებული გარიგებები **მერყევად ბათილია** და მათი ნამდვილობა დამოკიდებულია კანონიერი წარმომადგენლის მიერ გარიგების მოწონებაზე, მაშინ, როცა 63-ე მუხლის გარიგებები უცილოდ ბათილია და ისინი ნამდვილი ვერ გახდება კანონიერი წარმომადგენლის მოწონების შემთხვევაშიც.

მესამე, 63-ე მუხლით გათვალისწინებული **გარიგების ნამდვილობა** შეიძლება მიღწეულ იქნეს კანონიერი წარმომადგენლის შემდგომი თანხმობით (მოწონებით), ხოლო 66-ე მუხლის მიხედვით, გარიგების ნამდვილობისათვის კანონიერი წარმომადგენლის წინასწარი თანხმობაა (ნებართვა) აუცილებელი.

2 66-ე მუხლი განსაზღვრავს არასრულწლოვნის მიერ დადებული **მხოლოდ ცალმხრივი გარიგებების ბათილობას.**

II. გამოყენების წინაპირობები და სამართლებრივი შედეგი

3 66-ე მუხლის შინაარსი გამოიყენება შემდეგი წინაპირობების არსებობისას:

არასრულწლოვნის მიერ დადებული უნდა იყოს **ცალმხრივი გარიგება.** ამასთან, არა აქვს მნიშვნელობა, ნების გამოვლენა მიღებასავალდებულოა თუ არა. ამის მაგალითებია, შეცილება, ხელშეკრულების მოშლა, ხელშეკრულებიდან გასვლა და ა.შ.

გარიგება ბათილია და მას კანონიერი წარმომადგენლის შემდომი მოწონება ვერ აქცევს ნამდვილად.[1]

III. კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის ფორმა

4 არასრულწლოვნის მიერ დადებული ცალმხრივი გარიგების ნამდვილობის აუცილებელ წინაპირობად 66-ე მუხლი **წერილობითი ფორმის დაცვას** განამტკიცებს. კერძოდ, არ არის საკმარისი კანონიერი წარმომადგენლის ზეპირი თანხმობა, თუკი ამის დასამტკიცებლად არასრულწლოვანის მიერ არ იქნება წარდგენილი **წერილობითი საბუთი.**

5 66-ე მუხლის მე-2 წინადადებიდან ჩანს, რომ წერილობითი ფორმის მოთხოვნა ეხება მხოლოდ **მიღებასავალდებულო ნების გამოვლინებებს,** რადგან ამ ნორმაში საუბარია საბუთის წარდგენაზე „მეორე მხარისათვის“ და ამ მეორე მხარის მიერ გრიგებაზე დაუყოვნებლივ უარის თქმაზე.

6 მეორე მხარის მიერ **გარიგებაზე უარის თქმა** წარმოადგენს **ცალმხრივ ნების გამოვლენას,** რომელიც, არასრულწლოვნის მიმართ განხორციელების მიუხედავად, ნამდვილი იქნება.[2] ამიტომ ამ უარს არ დასჭირდება არასრულწლოვნის კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა. უარის ნამდვილობის პირობა იქნება მეორე მხარის მიერ დაუყოვნებლივ უარის განცხადება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა არასრულწლოვანმა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის წარდგენისათვის გარკვეული დრო მოითხოვა.

წერილობითი ფორმის დაცვის აუცილებლობა არ არსებობს იმ შემთხვევაში, როცა გარიგების მეორე მონაწილე ინფორმირებული იყო კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის არსებობის შესახებ (66-ე მუხლის მე-3 წინ.). ინფორმირება (შეტყობინება) მიიჩნევა გარიგების მსგავს მოქმედებად, რომელიც უნდა განხორციელდეს მანამ, სანამ გარიგების მეორე მონაწილე უარს არ განაცხადებს გარიგებაზე.[3]

7 გარიგების მეორე მონაწილის მიერ გარიგებაზე უარის თქმა იწვევს მის ბათილობას (51 II მუხლის კომენტარი) და მიუხედავად კანონიერი წარმომადგენლის შემდგომი თანხმობისა, გარიგება ნამდვილი ვერ გახდება.

IV. მტკიცების ტვირთი

8 მტკიცების ტვირთის განსაზღვრის აუცილებლობა წარმოიშობა ორ საკითხთან დაკავშირებით.

პირველი, ვინც ამტკიცებს **გარიგების ნამდვილობას,** მან უნდა დაამტკიცოს კანონიერი წარმომადგენლის მიერ თანხმობის დროულად გაცემის ფაქტი. ამ მიზნით წარდგენილი უნდა იყოს წერილობითი საბუთი ან გარიგების მეორე მხარის წინასწარი ინფორმირების დამადასტურებელი მტკიცებულება.

1 შდრ. *Knothe,* in Staudinger BGB, § 111 Rn. 9.
2 შდრ. *Knothe,* in Staudinger BGB, § 111 Rn. 11.
3 *Knothe,* in Staudinger BGB, 2004, § 111 Rn. 12.

მეორე, ვინც ამტკიცებს გარიგების ბათილობას, მან უნდა დაამტკიცოს მეორე მხარის მიერ **გარიგებაზე უარის თქმის მართლზომიერება** და კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის არარსებობის ფაქტი.

მუხლი 67. ნებართვის ვალდებულება ქმედუნარიანობის შეზღუდვამდე

გარიგება, რომელიც დაიდო ქმედუნარიანობის შეზღუდვამდე, მოითხოვს ნებართვას, თუ დადგინდება, რომ ის საფუძველი, რის გამოც მოხდა ქმედუნარიანობის შეზღუდვა, აშკარად არსებობდა გარიგების დადების დროსაც.

I. გამოყენების სფერო 383
1. მიზანი და რეგულირების საგანი 383
2. კავშირის სხვა ნორმებთან 383
II. გამოყენების წინაპირობები 384
1. გარიგების დადება ქმედუნარიანობის შეზღუდვამდე 384
2. ნებართვა 384
III. მტკიცების ტვირთი 384

I. გამოყენების სფერო

1. მიზანი და რეგულირების საგანი

1 67-ე მუხლში გათვალისწინებული ნორმა ეხება იმ პირის მიერ დადებულ გარიგებებს, რომელსაც **მოგვიანებით ქმედუნარიანობა შეეზღუდა.** ნორმის **თავისებურება** ისაა, რომ შეზღუდული ქმედუნარიანობა გარიგების ნამდვილობაზე გავლენას ახდენს არა მარტო მაშინ, როცა პირი ასეთადაა ცნობილი სასამართლოს მიერ, არამედ მაშინაც, როცა ქმედუნარიანობის შეზღუდვის საფუძველი ფაქტობრივად არსებობს.[1] **ნორმის მიზანი** არის ასეთი პირის დაცვა იმ უარყოფითი შედეგებისაგან, რომლებიც მის მიერ დადებულ გარიგებას შეიძლება შედეგად მოჰყვეს. ამიტომ მოითხოვს 67-ე მუხლი ამ გარიგების დასადებად ნებართვას.

2 ვინაიდან 67-ე მუხლი ეხება ქმედუნარიანობის შეზღუდვას მომავალში, შესაძლებელია საუბარი იყოს მხოლოდ მე-16 მუხლით გათვალისწინებული **ქმედუნარიანობის შეზღუდვაზე ალკოჰოლის ან ნარკოტიკული ნივთიერებების გამოყენების გამო**. ასაკის გამო შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირები ამ ნორმის მოქმედების ქვეშ არ ექცევიან.

3 67-ე მუხლით გათვალისწინებული გარიგებები განეკუთვნება **მერყევად ბათილი გარიგებების** კატეგორიას, რომლებიც დადების მომენტში ბათილია, მაგრამ კანონიერი წარმომადგენლის ან უფლებამოსილი პირის თანხმობა გარიგებას ნამდვილად აქცევს (54-ე მუხლის კომენტარი). ამრიგად, ამ გარიგების ნამდვილობა დამოკიდებულია კანონიერი წარმომადგენლის ნებაზე, კერძოდ, იმაზე, მოიწონებს იგი დადებულ ხელშეკრულებას თუ არა.[2]

2. კავშირის სხვა ნორმებთან

4 გარდა მე-16 მუხლისა, მნიშვნელოვანია ასევე 14 II და მე-15 მუხლების

1 *ზოიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 67, გვ 212.
2 შდრ. *Medicus,* Bürgerliches Recht, 10. Aufl., 2010, Rn. 571

გამოყენება. 14 II მუხლის თანახმად, ქმედუნარიანობის შეზღუდვის შემთხვევაში პირს უწესდება **მზრუნველობა.**

მე-15 მუხლი ადგენს, რომ შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირის ნების გამოვლენის ნამდვილობისათვის აუცილებელია მისი **კანონიერი წარმომადგენლის,** ე.ი. **მზრუნველის თანხმობა.**

II. გამოყენების წინაპირობები

1. გარიგების დადება ქმედუნარიანობის შეზღუდვამდე

5 67-ე მუხლის მოთხოვნის გამოყენების წინაპირობა არის პირის მიერ გარიგების დადება **ქმედუნარიანობის შეზღუდვამდე.** თუ გარიგება დაიდო შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირის მიერ, მაშინ შესაბამისად გამოიყენება მე-15 მუხლით გათვალისწინებული წესი.

6 მიუხედავად ქმედუნარიანობის შეზღუდვის არარსებობისა, გარიგების დადების მომენტისათვის სახეზე უნდა იყოს ის **საფუძველი,** რამაც მოგვიანებით ქმედუნარიანობის შეზღუდვა გამოიწვია, მაგალითად, პირი უნდა იყოს ალკოჰოლიკი ან იყენებდეს ნარკოტიკულ ნივთიერებებს და ამით თავის ოჯახს მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში აყენებდეს (16 I მუხლი).

7 67-ე მუხლის გამოსაყენებლად მხოლოდ ქმედუნარიანობის შეზღუდვის საფუძვლების არსებობა საკმარისი არ არის. აუცილებელია, რომ პირს ამ საფუძვლების გამო **შეეზღუდოს კიდევაც მომავალში ქმედუნარიანობა** დადგენილი წესით.

2. ნებართვა

8 გარიგების ნამდვილობის წინაპირობა არის **ნებართვის გაცემა** კანონიერი წარმომადგენლის მიერ. ნებართვის გაცემა ბათილ გარიგებას აქცევს ნამდვილად.[3]

ნებართვის გაცემის ინიციატივა, როგორც წესი, ხელშეკრულების მეორე მხარისაგან უნდა მოდიოდეს. შესაბამისად, ნებართვა უნდა გადაეცეს ხელშეკრულების კონტრაჰენტს.[4]

9 ნებართვის გაცემისათვის კოდექსი რაიმე **სპეციალურ ფორმას არ ითვალისწინებს.** ამიტომ ნებართვის მიმართ გამოიყენება ის წესები, რაც გათვალისწინებულია შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირების მიერ დადებული გარიგებების დროს კანონიერი წარმომადგენლის ნებართვის მიმართ (ნახეთ მე-15 მუხლის კომენტარი).

III. მტკიცების ტვირთი

10 67-ე მუხლის გამოყენებისას მტკიცების ტვირთი რამდენიმე საკითხთან

3 შდრ. *Medicus,* Bürgerliches Recht, 10. Aufl., 2010, Rn. 571.
4 შდრ. *Medicus,* Bürgerliches Recht, 10. Aufl., 2010, Rn. 571.

დაკავშირებით შეიძლება წარმოიშვას.

პირველი, ვინც ამტკიცებს **გარიგების ნამდვილობას**, მან უნდა დაამტკიცოს კანონიერი წარმომადგენლის მიერ ნებართვის დროულად გაცემის ფაქტი. ამ მიზნით წარდგენილი უნდა იყოს წერილობითი საბუთი ან გარიგების მეორე მხარის წინასწარი ინფორმირების დამადასტურებელი მტკიცებულება.

მეორე, ვინც ამტკიცებს **გარიგების ბათილობას,** მან უნდა დაამტკიცოს, რომ გარიგების დადებისას არსებობდა ქმედუნარიანობის შეზღუდვის გამომწვევი საფუძვლები, ხოლო კანონიერმა წარმომადგენელმა გარიგების დადების შემდეგ არ გასცა ნებართვა.

თავი მესამე
გარიგების ფორმა

მუხლი 68. ფორმის მნიშვნელობა გარიგების ნამდვილობისათვის

გარიგების ნამდვილობისათვის საჭიროა კანონით დადგენილი ფორმის დაცვა. თუ ასეთი ფორმა არ არის დაწესებული, მხარეებს შეუძლიათ თვითონ განსაზღვრონ იგი.

I. ნორმის არსი და მიზანი 386
II. ფორმის თავისუფლების განვითარების ტენდენცია 386
III. გარიგების ფორმის ფუნქცია 387
IV. ფორმის სავალდებულობის ფარგლები და მისი წინაპირობები 388
1. კანონით განსაზღვრული სავალდებულო ფორმა 388
2. მხარეთა მიერ განსაზღვრული სავალდებულო ფორმა 390
3. წერილობითი დოკუმენტის რეკვიზიტები 391
V. ფორმის დაუცველობის სამართლებრივი შედეგი 391

I. ნორმის არსი და მიზანი

1 ხელშეკრულების თავისუფლების ზოგადი პრინციპის შესაბამისად, სამოქალაქო კოდექსი განამტკიცებს ფორმის თავისუფლების პრინციპს.[1] 68-ე მუხლის პირველი წინადადება, პირველ რიგში, ხაზს უსვამს კანონით დადგენილი ფორმის დაცვის სავალდებულობას და ფორმის თავისუფლების პრინციპი 68-ე მუხლის ფორმულირებიდან მხოლოდ არაპირდაპირ (ირიბად) გამომდინარეობდეს.[2] აღნიშნული რეგულირებით სამოქალაქო კოდექსი ანგარიშს უწევს თანამედროვე ეკონომიკური ბაზრის გამოწვევებს და ცდილობს, არ შექმნას მხარეებისთვის დამატებითი ბარიერები სამართლებრივ ურთიერთობაში შესასვლელად. მაშასადამე, 68-ე მუხლის მიხედვით, მხარეებს შეუძლიათ თავისუფლად განსაზღვრონ გარიგების ფორმა, თუ კანონით გარიგებისთვის რაიმე კონკრეტული ფორმა არ არის დადგენილი. განსაკუთრებით უძრავ ნივთებზე დადებული გარიგებების შემთხვევებში და მემკვიდრეობით და საოჯახო სამართალში კანონი ადგენს განსაზღვრული ფორმების საჭიროებას. სამოქალაქო კოდექსი ერთმანეთისგან განასხვავებს ზეპირ (თუმცა, სადავოა, რამდენად მიიჩნევა ზეპირობა ფორმად), მარტივ წერილობით და რთულ წერილობით (იგივე სანოტარო) ფორმას (იხ. 69-ე მუხლის კომენტარი).

II. ფორმის თავისუფლების განვითარების ტენდენცია

2 როგორც აღინიშნა, სამოქალაქო კოდექსი ეფუძნება ფორმის თავისუ-

1 შდრ. *Medicus,* Bürgerliches Recht, 10. Aufl., 2010, Rn. 571.
2 შდრ. *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 284;

ფლების პრინციპს, რითიც მხარეებს ეძლევათ შესაძლებლობა ზეპირად ან მარტივი წერილობითი ფორმით დადონ გარიგებათა სახეების უმრავლესობა. გარიგების ფორმის თავისუფლების პრინციპმა განვითარება პოვა იმ საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, რომლებიც განხორციელდა 2006 წლის 8 დეკემბრის სამოქალაქო კოდექსის ცვლილების კანონით. 2006 წლის 8 დეკემბრის ცვლილებების შედეგად აღარ არის სავალდებულო უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულების ნოტარიუსის მიერ დამოწმება და მხარეებს შეუძლიათ ხელშეკრულების გაფორმება და მისი საჯარო რეესტრში რეგისტრაცია ნოტარიუსისგან დამოუკიდებლად (შდრ. 183-ე და 289 I მუხლების 2006 წლის 8 დეკემბრამდე არსებული რედაქცია). ეს წესი ვრცელდება ასევე იპოთეკის ხელშეკრულებასა და სხვა სანივთო უფლებებზე (მაგ., უზუფრუქტზე უფლების წარმოშობა ხორციელდება უძრავ ნივთზე საკუთრების წარმოშობის წესების შესაბამისად). ეს, ერთი მხრივ, შესაძლოა შეფასდეს, როგორც წინ გადადგმული ნაბიჯი, გარიგების ფორმის გამარტივებისა და მხარისათვის დაწესებული ბარიერის გაუქმების და ხარჯების შემცირების კუთხით, თუმცა, მეორე მხრივ, უნდა აღინიშნოს, რომ ლიბერალურმა მიდგომამ შესაძლოა გამოიწვიოს პირის (განსაკუთრებით მომხმარებლების) დაცვის სტანდარტის შეუსაბამოდ შესუსტება. სანოტარო დამოწმების ფაკულტატურობა იწვევს გარიგების ფორმის ინფორმაციის მიწოდებისა და კონსულტაციის გაწევის ფუნქციების უგულებელყოფას და საფრთხის წინაშე აყენებს ბაზარზე გამოუცდელ პირს.

III. გარიგების ფორმის ფუნქცია

გარიგებისთვის კანონით განსაზღვრული ფორმის დაწესებას შესაძლოა **3**
ჰქონდეს რამდენიმე მიზანი: ა) **გაფრთხილების ფუნქცია.** ნების გამომვლენი დაცულ უნდა იქნეს გარიგების დადებაზე ნაჩქარევად გადაწყვეტილების მიღებისა და ამასთან დაკავშირებული რისკებისაგან. მაგალითად, ამ მიზნიდან გამომდინარე, კანონი შემდეგ შემთხვევებში ითხოვს წერილობითი ფორმის დაცვას: 892 I (თავდების მიერ ნების გამოვლენა), 525 III (ჩუქების შეპირება), 942 (სამისდღემშიო რჩენის ხელშეკრულება), 341 I (ვალის აღიარება) და ა.შ. ვინაიდან პროფესიული საქმიანობით ან სამეწარმეო მიზნებით მოქმედი პირი ნაკლებ დაცვას საჭიროებს, კანონი ზოგიერთ მსგავს შემთხვევაში არ ითხოვს განსაკუთრებული ფორმის დაცვას (მაგ. 892 II). ბ) **სიცხადისა და მტკიცების ფუნქცია.** ფორმის (მაგ., მარტივი წერილობითი ან სანოტარო) დაცვის შედეგად ცხადი ხდება და შესაძლებელია იმის დამტკიცება, თუ რა სახით და შინაარსით დაიდო გარიგება.[3] გ) **იდენტიფიცირებისა და ნამდვილობის ფუნქცია.** ფორმის დაცვის შედეგად შესაძლებელია მოხდეს დოკუმენტის შემდგენის იდენტიფიცირება. ასევე ნების გამომვლენის მიმღებს შეუძლია იმის დადგენა, თუ ვის მიერ იქნა ნება გამოვლენილი და რომ ნების გამოვლენა ნამდვილია. ხელმოწერების შედეგად კი, შესაძლებელია, იმის გარკვევა და ვარაუდის დაშვება, რომ დოკუმენტზე ხელის მომ-

3 შდრ. იხ. სუსგ სამოქ. 1/2008, გვ. 52.

წერ პირს ეკუთვნის ან მინიმუმ გააზრებული აქვს დოკუმენტის შინაარსი. მხარის მიერ ხელშეკრულების ხელმოწერისას ივარაუდება, რომ მისთვის ცნობილია ამ ხელშეკრულების შინაარსი, ასევე ივარაუდება, რომ პირი აცნობიერებს ხელმოწერით გამოხატული ნების სამართლებრივ შედეგს.[4] დ) **ინფორმაციის მიწოდებისა და კონსულტაციის გაწევის ფუნქცია.** წერილობით ფორმას (განსაკუთრებით სამომხმარებლო ხელშეკრულებებში) აქვს დატვირთვა – მხარეს (მომხმარებელს) მიაწოდოს ინფორმაცია ნაკისრ უფლებებსა და ვალდებულებებზე. ამასთანავე, ნოტარიული წესით გარიგების დამოწმება მიზნად ისახავს, რომ მხარემ ნოტარიუსის მეშვეობით მიიღოს კონსულტაცია იმ სამართლებრივი ურთიერთობის შესახებ, რომელშიც იგი აპირებს შესვლას. ნოტარიუსი ვალდებულია მხარეებს გაუწიოს სამართლებრივი კონსულტაცია და განუმარტოს მხარეს ის სამართლებრივი შედეგები, რაც შეიძლება გამოიწვიოს გარიგების გაფორმებამ (ნოტარიატის შესახებ კანონის 38 III, IV მუხლები), ხოლო მხარის მიერ მოთხოვნის საფუძველზე შეადგინოს სამართლებრივი დოკუმენტი.

IV. ფორმის სავალდებულობის ფარგლები და მისი წინაპირობები

1. კანონით განსაზღვრული სავალდებულო ფორმა

4 68-ე მუხლის პირველ წინადადებაში მოცემულ ფორმულირებაში „კანონით დადგენილი ფორმა“ იგულისხმება ყველა სამართლებრივი ნორმა (სამოქალაქო კოდექსის გარეთ არსებული რეგულირებებიც), რომელიც შესაძლოა აწესებდეს ფორმის სავალდებულობას. ქართულ სამართლებრივ ლიტერატურაში გაზიარებულია მოსაზრება, რომ გარიგების ფორმა ნების გამოვლენის ფორმაა, მისი გარეგნული გამოხატვაა, რომელსაც კანონი უკავშირებს სამართლებრივ შედეგებს.[5] იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებისთვის დადგენილია სავალდებულო ფორმა, მაშინ ხელშეკრულების დადებაზე განაცხადს (ოფერტს) და მასზე აქცეპტს სჭირდება დადგენილი ფორმის დაცვა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კანონი ფორმის სავალდებულობას მხოლოდ ერთი მხარის ნების გამოვლენის მიმართ აწესებს. ზოგ შემთხვევაში კანონი მარტო მხარის ნების გამოვლენას უქვემდებარებს ფორმასავალდებულოობას (მაგ., 525 III: მაშინ, როდესაც თვითონ ჩუქების ხელშეკრულება ფორმისგან თავისუფალია, ჩუქების შეპირება (ცალმხრივი ნების გამოვლენა) საჭიროებს წერილობით ფორმას).

5 როგორც წესი, მთლიანი გარიგება საჭიროებს ფორმის დაცვას, როდესაც მასში დარეგულირებულია ის სამართლებრივი ურთიერთობა და მისგან გამომდინარე ვალდებულება, რომელიც საჭიროებს ფორმის დაცვას. მაშასადამე, სავალდებულო ფორმის დაცვას ექვემდებარება ყველა სახის ნების გამ-

4 სუსგ სამოქ. 9/2005, გვ. 32; თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმე №2ბ/1843-11, განჩინება, 15.05.2011.; პრეზუმფციასთან დაკავშ. იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმე №2ბ/4378-10, გადაწყვეტილება, 19.04.2011.

5 *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 335; *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 282; *ზოიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 68, გვ.213.

ოვლენა, რომელიც მხარეთა წარმოდგენით ხელშეკრულების შინაარსი უნდა გახდეს. შესაბამისად, ფორმასავალდებულოა არა მხოლოდ ხელშეკრულების არსებითი შემადგენელი ნაწილები (essentialia negotii), მაშასადამე, მხარეები და მათი (ძირითადი) ვალდებულებები, არამედ ვალდებულების შესრულების პირობები, ვადები, გადახდის შესახებ დათქმები და დამატებითი შეთანხმებებიც (accidentalia negotii). ფორმის სავალდებულობა ვრცელდება ასევე მოგვიანებით დადებულ დამატებით, გარიგების ცვლილების ან გაუქმების შეთანხმებაზე.

6 დამატებითი შეთანხმებები ფორმასავალდებულოა, თუ ისინი ძირითად ვალდებულებებს ეხებიან და ცვლიან მას, მაშასადამე, უკავშირდებიან ხელშეკრულების შინაარსს. შეთანხმებები, რომლებიც უბრალოდ ხელშეკრულების შინაარსს განმარტავენ ან ივარაუდება, რომ მხარეები მათ გარეშეც გააფორმებდნენ ხელშეკრულებას, ფორმისგან თავისუფალია. სავალდებულო ფორმის დაცვის საჭიროება არ არსებობს იმ შეთანხმებებთან მიმართებით, რომლებიც ისედაც კანონიდან (მაგ., 324) ან კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარეობენ (ამ შემთხვევაში არ არის მოცემული სავალდებულო ფორმის დაცვის მიზანი). იმ შემთხვევაში, თუ მხარეები რამდენიმე სამართლებრივ გარიგებას, რომელთაგანაც ერთ-ერთი საჭიროებს სავალდებულო ფორმის დაცვას, გააერთიანებენ ერთ გარიგებაში, მაშინ ეს გარიგება საჭიროებს სავალდებულო ფორმის დაცვას.[6]

7 ფორმის სავალდებულობა ვრცელდება ასევე იმ ხელშეკრულებების წინარე ხელშეკრულებებზეც, რომლებიც ექვემდებარებიან სავალდებულო ფორმის დაცვას.[7] ეს წესი გამომდინარეობს 327 III მუხლის რეგულირებიდან. წინარე ხელშეკრულებაში მოიაზრება ვალდებულებით-სამართლებრივი ხელშეკრულება, რომლითაც ხელშეკრულების ერთ-ერთი ან ორივე მხარისთვის წარმოიშობა ვალდებულება, რომ დადოს/ონ სხვა ვალდებულებით-სამართლებრივი ხელშეკრულება, მთავარი ხელშეკრულება. იმ შემთხვევაში, როდესაც მთავარი ხელშეკრულების ფორმის სავალდებულობა ემყარება დაცვის ფუნქციას, ანუ დაიცვას მხარე ნაჩქარევად გადაწყვეტილების მიღებისაგან, მაშინ მიზანშეწონილია წინარე ხელშეკრულებაც დაექვემდებაროს სავალდებულო ფორმას (მაგ., უძრავი ნივთის ნასყიდობის წინარე ხელშეკრულება, თავდებობის წინარე ხელშეკრულება და ა.შ.). თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ სავალდებულო ფორმის შესახებ დანაწესს აკისრია სიცხადისა და მტკიცების ფუნქცია, მაშინ წინარე ხელშეკრულება ფორმის გარეშეც ნამდვილია, ვინაიდან მოგვიანებით მთავარი ხელშეკრულების ფორმის დაცვით დადება ამ მიზნების შესრულებისთვის (სიცხადე, მტკიცება) საკმარისია.

წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭება (მინდობილობა) იმ გარიგების დადებისთვის, რომელიც ექვემდებარება სავალდებულო ფორმას, ზოგადი დანაწესის მიხედვით, არ საჭიროებს დასადები გარიგებისთვის დაწესებული ფორმის დაცვას (არგუმენტი: 107 II 1). თუმცა, 107 II 2 მუხ-

6 შდრ. MüKo/*Einsele,* BGB, 6. Aufl., 2012, § 125, Rn. 32 ff.

7 თბილისის სააპელაციო სასამართლო, №2ბ/742-12 განჩინება, 15.01.2013.; შდრ. *Heinrichs,* in Palandt BGB Komm, 66. Aufl., § 125, Rn. 9.

ლის მიხედვით, ეს დანაწესი არ მოქმედებს მაშინ, როდესაც კანონი ითვალისწინებს „სპეციალურ ფორმას“ (ცნებასთან დაკავშ. იხ. 107-ე მუხლის კომენტ.). აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მინდობილობები საჭიროებენ ფორმის დაცვას, როდესაც ისინი გაცემულია იმ გარიგების დასადებად, რომელიც ექვემდებარება სავალდებულო ფორმას. თუმცა, თანხმობა, მინდობილობისგან განსხვავებით, არ საჭიროებს გარიგებისათვის დადგენილი ფორმის დაცვას (არგ.: 99 II).

2. მხარეთა მიერ განსაზღვრული სავალდებულო ფორმა

8 გარიგებისთვის სავალდებულო ფორმა შესაძლოა განისაზღვროს თვითონ მხარეების მიერ მაშინ, როდესაც თვით კანონი გარიგებისთვის არ აწესებს რაიმე სავალდებულო ფორმას. სავალდებულო ფორმაზე შეთანხმება არ საჭიროებს ფორმის დაცვას და შესაძლებელია კონკლუდენტურადაც განხორციელდეს. თუ კანონით განსაზღვრული სავალდებულო ფორმის დარღვევის შემთხვევაში, როგორც წესი, ივარაუდება, რომ გარიგება ბათილია, მხარეთა მიერ განსაზღვრული სავალდებულო ფორმის შემთხვევაში შესაძლოა ეს ასე არ იყოს. ამ შემთხვევაში (ისევე, როგორც კანონით განსაზღვრული სავალდებულო ფორმისას) ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ მხარეთა მიერ შეთანხმებული ფორმის დაცვას საფუძვლად ედოს გარიგების ნამდვილობის ფუნქცია. როგორც აღინიშნა, ივარაუდება, რომ მხარეების მიერ განსაზღვრული სავალდებულო ფორმის დარღვევა ბათილობას იწვევს, თუმცა, ზოგ შემთხვევაში საჭიროა გამოყენებულ იქნეს განმარტების მეთოდი. ამ მოსაზრებას საფუძვლად უდევს მსჯელობა, რომ მხარეებს შეუძლიათ მათ მიერ განსაზღვრული სავალდებულო ფორმა ნებისმიერ დროს ასევე ფორმის დაუცველად გააუქმონ. და შესაძლოა ფორმის დაუცველობაში გამოხატული იყოს მხარეთა მიერ შეთანხმებული ფორმის გაუქმების კონკლუდენტური სურვილი.[8] ეს წესი არ მოქმედებს მაშინ, როდესაც მხარეები წერილობითი ფორმით დადებულ ხელშეკრულებაში გააკეთებენ დათქმას, რომ ხელშეკრულების ცვლილებას სჭირდება წერილობითი ფორმა; ხელშეკრულების ამ დათქმის შეცვლა და გაუქმება კი შესაძლებელია მხოლოდ წერილობით (და არა ზეპირად ან კონკლუდენტურად). ზოგ შემთხვევაში მხარეები შეიძლება თანხმდებოდნენ, მაგალითად, რომ განსაზღვრული ფორმის დაცვას ნამდვილობის ფუნქცია ეკისრებოდეს (ე.წ. ფორმის კონსტიტუციური საჭიროება) ან შეიძლება ფორმის დაცვას მხოლოდ განმარტების ან მტკიცების მიზანი ჰქონდეს (ე.წ. ფორმის დეკლარატორული საჭიროება). თუ დავის საგანია, რა სურდათ მხარეებს, სავალდებულო თუ დეკლარატორული ფორმის საჭიროების განსაზღვრა, გამოიყენება განმარტების მეთოდი (52, 337-339 მუხლები).

8 *Heinrichs*, in Palandt BGB Komm, 66. Aufl., § 125, Rn. 14; აღნიშნული მიდგომა გერმანული სამართლის მსგავსად გაზიარებულია ქართულ იურიდიულ ლიტერატურაშიც. მაგ., იხ. *კერესელიძე*, უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 287.

3. წერილობითი დოკუმენტის რეკვიზიტები

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ როგორ შედგება თვით წერილობითი დოკუმენტი, ვინაიდან ფორმის სავალდებულობის მიზანი მასში პოვებს ასახვას (დამატ. იხ. 69-ე მუხლის კომენტ. 8 და შემდგომი ველები). წერილობითი დოკუმენტი უნდა შეიცავდეს მასში დარეგულირებული გარიგების აუცილებელ პირობებს (მაგ., ხელშეკრულების მხარეები, გარიგების საგანი, ფასი და ა.შ.). თუ რა სიტყვები უნდა იქნეს გამოყენებული დოკუმენტის შედგენისას, კანონში არ არის მოცემული, თუმცა, წერილობით დოკუმენტში მითითებები ზეპირ შეთანხმებებზე არასაკმარისია (მაგ., უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებაში მითითება: „ერთსართულიანი სახლი 100 კვ/მ“).[9] შესაბამისად, თუ ხელშეკრულების ნაწილი არ აკმაყოფილებს ფორმის სავალდებულობის წინაპირობას, იგი, როგორც წესი, ბათილია. ზოგ შემთხვევაში შესაძლოა გამოყენებულ იქნეს 62-ე მუხლის დანაწესი. დოკუმენტის მიმართ მოქმედებს სისრულისა და სისწორის პრეზუმფცია, იმისგან დამოუკიდებლად, შედგენილია იგი საკანონმდებლო თუ მხარეთა მიერ განსაზღვრული ფორმის შესაბამისად.[10] ვარაუდი ვრცელდება მხარეთა შეთანხმებაზე, მაშასადამე, დოკუმენტში ასახული გარიგების შინაარსზე და გულისხმობს, რომ მასში მოცემული მხარეთა მიერ გამოვლენილი ნება სრულად და სწორად არის გადმოცემული. **9**

V. ფორმის დაუცველობის სამართლებრივი შედეგი

ფორმის დაუცველობის სამართლებრივი შედეგი მდგომარეობს გარიგების საწყისი მომენტიდან ბათილობაში. გარიგების ბათილობას, ბათილობიდან გამონაკლისებსა და მტკიცების ტვირთთან დაკავშ. იხ. 59-ე მუხლის კომენტარი. **10**

9 MüKo/*Einsele,* BGB, 6. Aufl., 2012, § 125, Rn. 36.

10 თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმე N2ბ/4378-10, გადაწყვეტილება, 19.04.2011.; შდრ. *Heinrichs,* in Palandt BGB Komm, 66. Aufl., § 125, Rn. 15.

მუხლი 69. გარიგების ფორმა

1. გარიგება შეიძლება დაიდოს ზეპირად ან წერილობითი ფორმით.

2. გარიგება წერილობითი ფორმით შეიძლება დაიდოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში ან მხარეთა შეთანხმებით.

3. გარიგების წერილობითი ფორმის არსებობისას საკმარისია გარიგების მონაწილე მხარეთა ხელმოწერა.

3[1]. მხარდაჭერის მიმღების მიერ გარიგების წერილობითი ფორმით დადებისას მას, მხარეების გარდა, ხელს აწერს მხარდამჭერი. მხარდამჭერი ხელმოწერით ადასტურებს მხარდაჭერის მიმღების მიერ გარიგების დადებისას სასამართლოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მხარდაჭერის გაწევას.

4. მექანიკური საშუალებებით ხელმოწერის აღდგენა, განმეორება ან აღბეჭდვა დასაშვებია იქ, სადაც ეს მიღებულია ჩვეულებად, მათ შორის, ფასიან ქაღალდებზე ხელის მოწერისას, რომელთა გამოშვებაც დიდი რაოდენობით ხდება.

5. წერილობითი ფორმის არსებობისას, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ან მხარეთა შეთანხმებით გარიგება ან გარიგების მონაწილე მხარეთა ხელმოწერების ნამდვილობა უნდა დაამოწმოს ნოტარიუსმა ან კანონით გათვალისწინებულმა სხვა პირმა.

საქართველოს 2006 წლის 8 დეკემბერის კანონი №3879 – სსმ I, №48, 22.12.2006 წ., მუხ.321
საქართველოს 2015 წლის 20 მარტის კანონი №3339 – ვებგვერდი, 31.03.2015წ.

I. ნორმის არსი და მიზანი 392
II. გარიგების ფორმის სახეები 393
1. „ზეპირი ფორმა“ 393
2. წერილობითი ფორმა 394
ა) კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევა 395
ბ) მხარეთა შეთანხმება 396
III. წერილობითი ფორმის წინაპირობები 396
1. წერილობითი დოკუმენტი 396
2. ხელმოწერა 398
3. ბლანკეტური ხელმოწერა 400
IV. მხარდაჭერის ხელმოწერის სავალდებულობა (69 31) 401
V. ხელმოწერის ავთენტურობიდან გამონაკლისი
(მექანიკური საშუალებებით ხელმოწერა) 402
VI. წერილობითი ფორმის განსაკუთრებული სახეები 402
1. სანოტარო (რთული წერილობითი) ფორმა 402
2. ელექტრონული ფორმა 403

I. ნორმის არსი და მიზანი

1 ნორმა 68-ე მუხლთან კავშირში ქმნის ერთიან საფუძველს გარიგების ფორმის თავისუფლების პრინციპის განსამტკიცებლად. იგი, ამასთანავე, განსაზღვრავს გარიგების ფორმის სახეებს. ნორმის პირველი ნაწილი ეხება

უშუალოდ გარიგების ფორმის სახეებს („ზეპირი“ და „წერილობითი“). ნორმის მეორე ნაწილი აზუსტებს 68-ე მუხლის დანაწესს, კერძოდ, იგი განმარტავს 68-ე მუხლში მოცემულ „კანონით დადგენილ ფორმას“ და მოიაზრებს მასში წერილობით ფორმას. მეორე ნაწილი განამტკიცებს ასევე გარიგების ფორმის თავისუფლების პრინციპს – მხარეებმა თვითონ განსაზღვრონ გარიგების ფორმის სახე, ანუ ზეპირის ნაცვლად გარიგება გააფორმონ მარტივი ან რთული წერილობითი ფორმით, ან გამოიყენონ სხვა ფორმა. ნორმის მე-3 ნაწილი ეხება გარიგების წერილობითი ფორმით დადებისას მხარის/მხარეების მიერ მათი ნების გამოვლინების დადასტურების მექანიზს, ანუ წერილობითი ფორმის კონსტიტუციურ ატრიბუტს – ხელმოწერას. ნორმის 31 ნაწილი მუხლს დაემატა 2015 წლის 20 მარტს განხორციელებული ცვლილებების შედეგად და არეგულირებს მხარდამჭერის მიერ ხელშეკრულების ხელმოწერით დადასტურების სავალდებულობას. ნორმის მე-4 ნაწილი ეხება ხელმოწერის ავთენტურობიდან გამონაკლისს – მექანიკური საშუალებებით ხელმოწერის „აღდგენას, განმეორებას ან აღბეჭდვას“. ნორმის მე-5 ნაწილში კი დარეგულირებულია ე.წ. რთული წერილობითი ფორმა – ნოტარიუსის მიერ გარიგების დამოწმების შემთხვევა. ხელშეკრულებისთვის ფორმასთან დაკავშირებული სპეციალური რეგულირებები მოცემულია სკ-ის 328-ე მუხლში (დამატ. იხ. იქ.)

II. გარიგების ფორმის სახეები

1. „ზეპირი ფორმა“

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ 69-ე მუხლის არსებული რედაქციის პირველი და მეორე ნაწილები ჩამატებულია 2006 წლის ცვლილებების შედეგად. აქედან გამომდინარე, ნორმის თავდაპირველ რედაქციაში არ იყო მოხსენიებული ის, რომ გარიგების დადება შესაძლებელია ზეპირად ან წერილობით. აქედან გამომდინარე, ისმის კითხვა, მიეკუთვნება თუ არა ზეპიროობა (გარიგების ზეპირად დადება) გარიგების ფორმის სახეს. ლიტერატურაში გავრცელებული ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად, ზეპირი ფორმა არ უნდა განეკუთვნებოდეს კანონით განსაზღვრულ ფორმის სახეობებს, და ნების გამოვლენა ზეპირად, კონკლუდენტურად თუ დუმილით უნდა ექცეოდეს ფორმის თავისუფლების ფარგლებში.[1] აღნიშნულზე შესაძლოა მეტყველებდეს ნორმის ფორმულირება – „ზეპირად ან წერილობითი ფორმით“ და არა „ზეპირი ან წერილობითი ფორმით“. ამ მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს ასევე ის, რომ კოდექსი რამდენიმე ადგილას იმეორებს 69-ე მუხლის ფორმულირებას „წერილობითი ფორმით ან ზეპირად“ (იხ. მაგ., 931 I ან 624). გარდა ამისა, „ზეპიროობა“ ვერ ასრულებს იმ ფუნქციებს, რომელსაც კანონმდებელი ფორმის (და მისი სახეების) დაწესებით ისახავს მიზნად, შესაბამისად, მიზანშეწონილია ითქვას, რომ „ზეპიროობა“ არ არის ფორმა, რომელსაც კანონმდებელი უწესებს რომელიმე გარიგების დადებას, 2

1 შდრ. *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 289.

იგი მხარის მიერ ფორმის განსაზღვრის თავისუფლების ფარგლებში ხვდება. მაშასადამე, 69-ე მუხლით განსაზღვრულ ფორმებს მიეკუთვნება „მარტივი წერილობითი ფორმა“ და „სანოტარო დამოწმება“ (იგივე რთული წერილობითი ფორმა). მეორე მოსაზრების მიხედვით, ზეპირობა მიჩნეულ უნდა იქნეს ფორმის სახედ.[2] მიუხედავად დოგმატური განსხვავებისა, აღნიშნული გამიჯვნა პრაქტიკული თვალსაზრისით უმნიშვნელოა. უნდა აღინიშნოს, რომ ხელშეკრულებების დადება ტექნიკური საშუალებებით, მაგ. მოკლე ტექსტური შეტყობინებით, ელექტრონული ფოსტით, ფაქსით, დასკანერებული დოკუმენტების მიმოგზავნა და ა.შ. უნდა ჩაითვალოს ზეპირად დადებულად, ვინაიდან ამ დროს ვერ სრულდება წერილობითი ფორმის წინაპირობები, კერძოდ, არ არის სახეზე ხელმოწერა. სხვა შემთხვევა გვაქვს მაშინ, როდესაც ზემოაღნიშნული საშუალებებით დადებულ ხელშეკრულებას თან ერთვის კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა (იხ. ქვემოთ).

2. წერილობითი ფორმა

3 ნორმის მე-2 ნაწილი ადგენს, რომ გარიგების წერილობითი ფორმით დადება შესაძლებელია მაშინ, თუ (1) კანონი ითხოვს ფორმასავალდებულოობას ან (2) მხარეები შეთანხმდნენ გარიგების წერილობითი ფორმით დადებაზე. 69 II მუხლის რეგულირება გამომდინარეობს 68-ე მუხლიდან. 69 II მუხლის ფორმულირება – „კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში“ – მოიაზრებს 68-ე I 1 მუხლის ფორმულირებას – „კანონით დადგენილი ფორმის დაცვა“. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ 68 I 1 მუხლის რეგულირება უფრო ზოგადია და კანონმდებელს შესაძლებლობას უტოვებს (წერილობითის გარდა) სავალდებულოდ დაამკვიდროს ასევე სხვა ფორმის სახეები (მაგ., ელექტრონული). 69 II მუხლის ფორმულირება – „გარიგება წერილობითი ფორმით – შეიძლება დაიდოს ... მხარეთა შეთანხმებით“ შეესაბამება 68-ე I 2 მუხლის ფორმულირებას და კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ფორმის განსაზღვრის თავისუფლების პრინციპს (შდრ. 68 მუხლის პირველი ველი).

4 გარიგების წერილობითი ფორმით დადებას აქვს (1) გაფრთხილების, ანუ ნების ნაჩქარევად (დაუფიქრებლად) გამოვლენისგან დაცვის ფუნქცია; (2) სიცხადისა და მტკიცების ფუნქცია; (3) იდენტიფიცირების და ნამდვილობის ფუნქცია; (4) დ) ინფორმაციის მიწოდების და კონსულტაციის გაწევის ფუნქცია (დაწვრ. იხ. 68 მუხლი მე-3 ველი).

5 69 II მუხლი ეხება მარტივ წერილობით ფორმას, მაშინ, როდესაც 69 V ადგენს ე.წ. რთულ წერილობითი ფორმის,[3] მავე სანოტარო წესით ხელშეკრულების დადების წინაპირობებს. ბაზარზე გავრცელებულია ასევე ე.წ. ელექტრონული ფორმით ხელშეკრულებების დადება.[4] აღნიშნული ფორმით

2 იხ. „ზეპირი ფორმა“ – *ჟანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 339.

3 „რთული წერილობითი ფორმა“ დამკვიდრებულია ლიტერატურასა და სასამართლო პრაქტიკაში, როგორც სანოტარო ფორმის სინონიმი. იხ. მაგ. *ზოიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 69, გვ. 216.

4 თუმცა, ერთმანეთისგან უნდა განვასხვაოთ ელექტრონული ფორმით დადებული ხელშეკრულება და ელექტრონულად ტექსტუალური ფორმით დადებული ხელშეკრულება. ელექტრონული

დადებული ხელშეკრულება შეფასებულია როგორც მარტივი წერილობითი ფორმით დადებულ ხელშეკრულებასთან გათანაბრებული ხელშეკრულება.[5] ამ მხრივ მნიშვნელოვანი ნორმატიული აქტია 2008 წლის 14 მარტის კანონი „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტების შესახებ". აღნიშნული კანონის მიზანია შესაძლებელი გახადოს სამართლებრივ ურთიერთობებში თანამედროვე საინფორმაციო და კომუნიკაციის ტექნოლოგიების გამოყენება, რათა დაზოგილ იქნეს მხარეთა ხარჯები და დრო. ვინაიდან ნების გამოვლენა 69-ე III მუხლის მიხედვით წერილობითი ფორმით მოითხოვს ხელმოწერის არსებობას, ზემოაღნიშნული კანონის მიღებამდე სავალდებულო იყოს კომპიუტერზე აკრეფილი ტექსტის ამობეჭდვა და ხელის მოწერა. აღნიშნული კანონით აღარ არსებობს ამის საჭიროება და უფრო მეტიც, შესაძლებელია სრული სამართლებრივი ურთიერთობის ელექტრონულ ფორმატში განხორციელება (ადგილის დაზოგვის მიზნით), მისი ელექტრონულად შენახვა და შემდგომ მისი ხელახალი გადამუშავება. ელექტრონული ფორმის წერილობით ფორმასთან გათანაბრება წინაპირობად აწესებს, რომ შესაძლებელი იყოს ნების გამომვლენის იდენტურობის დადგენა, მისი ნამდვილობის გადამოწმება და ამით თავიდან იქნეს აცილებული გაყალბების შესაძლებლობა. აქედან გამომდინარე, ელექტრონული დოკუმენტით ნების გამომვლენმა არა მარტო საკუთარი სახელი უნდა მიუთითოს, არამედ დოკუმენტს უნდა დაურთოს კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა (დაწვრ. ქვემოთ 22-ე და შემდგომი ველები).

ა) კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევა

მხარეები ვალდებულნი არიან ხელშეკრულება გააფორმონ წერილობითი ფორმით მაშინ, როდესაც კანონი ამას პირდაპირ ითვალისწინებს (იხ. 68-ე მუხლის კომენტ. ველი 4-7). ეს დანაწესი ვრცელდება სამოქალაქო კოდექსში და ასევე მის გარეთ დარეგულირებულ გარიგებებთან დაკავშირებით. სამოქალაქო კოდექსის მიხედვით სავალდებულო წერილობითი ფორმა სჭირდებათ მაგალითად, შემდეგ (როგორც ცალმხრივ, ისე ორმხრივ) გარიგებებს: 18[1] III, 66, 183 (უძრავ ნივთზე გარიგება), 208 (მრავალბინიან სახლში ინდივიდუალური საკუთრების საგნის შეძენა), 258 (რეგისტრირებული გირავნობის წარმოშობა), 259 (მოთხოვნებისა და ფასიანი ქაღალდების დაგირავება), 260 (მფლობელობითი გირავნობის წარმოშობა), 282 I (მოგირავნის მიერ დამგირავებლის წერილობითი გაფრთხილების ვალდებულება), 289, 295, 302 (იპოთეკის წარმოშობა), 321 (ხელშ. ქონების გადაცემის შესახებ), 323 (უძრავი ქონების გასხვისება), 341 (ვალის აღიარება), 418 II (პირ-

6

ფორმით დადებული ხელშეკრულება აკმაყოფილებს მარტივი წერილობითი ფორმით დადებული ხელშეკრულების წინაპირობებს, ვინაიდან მას ერთვის ხელმოწერა, რომელიც ავტორიზებულია. ელექტრონულად ტექსტუალური ფორმით დადებული ხელშეკრულების შემთხვევაში არ გვაქვს სახეზე ხელმოწერა, შესაბამისად, ასეთი სახით დადებული ხელშეკრულება უთანაბრდება ზეპირად დადებულ ხელშეკრულებას.

5 *ზამბახიძე*, ელექტრონული ვაჭრობის სამართლებრივი რეგლამენტაციის საფუძვლები (პრობლემები და პერსპექტივები), ქართული სამართლის მიმოხილვა, 8/2005, გვ. 1-2; *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 348.

გასამტეხლოზე შეთანხმება), 426 (მოვალის გარანტია), 506 I (განვადებით ნასყიდობა), 525 III (ჩუქების შეპირება) და ა.შ. სამოქალაქო კოდექსის გარეთ სავალდებულო წერილობითი ფორმის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ: მეწარმეთა შესახებ კანონის 3 IV[1] (პარტნიორთა წესდება), 43 II (წილის დათმობის ხელშეკრულება) და ა.შ.

ბ) მხარეთა შეთანხმება

7 იმ შემთხვევაში, თუ კანონი გარიგებისთვის არ ითვალისწინებს წერილობით ფორმას, მხარეებს ამ გარიგებისთვის შეუძლიათ შეათანხმონ ნებისმიერი ფორმა სურვილის მიხედვით. აქ იგულისხმება არა მარტო კანონით გათვალისწინებული ფორმის სახეები, არამედ სხვა სახეებიც (მაგ., ელექტრონული ფოსტა, ელექტრონული შეტყობინება ტელეფონზე და ა.შ.). შეთანხმება გარკვეული ფორმის დაცვის თაობაზე არ საჭიროებს ფორმის დაცვას, ანუ იგი ფორმისგან თავისუფალია, იგი შესაძლებელია შეთანხმდეს ასევე კონკლუდენტურადაც (იხ. დამატ. 68-ე მუხლის კომენტ. ველი 8).

III. წერილობითი ფორმის წინაპირობები

1. წერილობითი დოკუმენტი

8 წერილობითი ფორმის შემთხვევაში ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია გარიგების წარმოშობისკენ, გამოვლენილ უნდა იქნეს ანბანური ასო-ნიშნებით. ტექსტის დიზაინს, სახეს, შრიფტსა და შრიფტის ზომას, როგორც წესი, არ ექცევა ყურადღება (იხ. გამონაკლისები ხელშეკრულების სტანდარტული პირობების შემთხვევაში). 69-ე მუხლი პირდაპირ არ ასახელებს ტერმინს „დოკუმენტი“, როგორც წერილობითი ფორმის გამოხატულებას. 69 III მუხლის ფორმულირება გვაძლევს იმის დასკვნის შესაძლებლობას, რომ წერილობითი ფორმა მოითხოვს დოკუმენტის არსებობას, რომელზეც უნდა განთავსდეს მხარეთა ხელმოწერები.[6] ზოგადი წესის მიხედვით, დოკუმენტის შედგენა შესაძლებელია ქართულ ან უცხოურ, ასევე, მკვდარ ან იშვიათ ენაზე, მთავარია ის, რომ მისი თარგმნა შესაძლებელი იყოს და ამის მეშვეობით დოკუმენტი გასაგები გახდეს.[7] თუმცა, ლიტერატურაში გაზიარებული ერთ-ერთი მოსაზრების მიხედვით, ნების გამოვლენა შეიძლება ჩაითვალოს ბათილად და არ მოჰყვეს მას სამართლებრივი შედეგები მაშინ, როდესაც ერთი პირის მიერ გამოვლენილი ნება იმ ენაზე იქნება გამოვლენილი, რომელიც მეორე პირს არ შეეძლო გაეგო და გარემოებებით ეს ფაქტი დადასტურდება.[8] აღნიშნულთან დაკავშირებით საინტერესოა აჭარის უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილება სანოტარო აქტის ბათილად ცნობის

6 *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 341.

7 შდრ. MüKo*/Einsele,* BGB, 6. Aufl., 2012, § 126, Rn. 6 ff.

8 *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 346 – ეყრდნობა *Flume,* Rechtsgeschäft, S. 250 მოსაზრებას.

თაობაზე: სანოტარო აქტი ბათილად იქნა ცნობილი, რადგან ნების გამომვლენი პირი ეროვნებით რუსი იყო, ხოლო ნოტარიუსმა მას არ შესთავაზა თარჯიმანი.[9] თუმცა, სხვა შემთხვევაში საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ნოტარიუსის მიერ „ნოტარიატის შესახებ“ კანონისა და „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის დარღვევის შედეგად გარიგების ბათილად ცნობასთან დაკავშირებით მიიჩნია, რომ გარიგების სანოტარო წესით გაფორმებისას ნოტარიუსის მიერ სანოტარო მოქმედებათა შესრულების დადგენილი წესის დარღვევა არ იწვევს გარიგების ბათილობას (59-ე მუხლის საფუძველზე), თუკი გარიგების მხარეთა ნების გამოვლენა ნამდვილია და ეჭვს არ იწვევს.[10]

9 დოკუმენტი შეუძლიათ შეადგინონ თვითონ მხარეებმა, ან მესამე პირებმა როგორც ხელნაწერის სახით, ისე საბეჭდი მანქანით ან კომპიუტერით.[11] ასევე უმნიშვნელოა ის მასალა, რომელზეც ხდება ასო-ნიშნების აღბეჭდვა. მთავარია ის, რომ მასალა შესაძლებელს ხდიდეს მასზე გამოსახული ასო-ნიშნების ხანგრძლივი პერიოდით შენახვას.[12] დოკუმენტზე ადგილისა და თარიღის დასმა არ უნდა ჩაითვალოს ნამდვილობის წინაპირობად. იმ შემთხვევაში, თუ საკამათოა თარიღი იმის გამო, რომ მხარე აცხადებს, ხელშეკრულების დადების მომენტში ქმედუუნარო იყო, მაშინ სამართლიანია მასვე დაეკისროს ამის დამტკიცების ვალდებულება.[13]

10 თუ რა შინაარსს უნდა შეიცავდეს წერილობითი დოკუმენტი, გამომდინარეობს თავად კოდექსის ნორმებიდან (მაგ., 892 I). იშვიათად, თუმცა, ზოგ შემთხვევაში მხოლოდ ერთი მხარის ნების გამოვლენა საჭიროებს წერილობით ფორმას (525 III). როგორც წესი, წერილობითი დოკუმენტი უნდა მოიცავდეს მთლიან გარიგებას. ეს კი ნიშნავს იმას, რომ ყველა შეთანხმება, რომელიც მხარეთა წარმოდგენით გარიგების ნაწილია, შეტანილ უნდა იქნეს დოკუმენტში. სხვა შემთხვევებში დოკუმენტის სავალდებულო შინაარსი გამომდინარეობს ფორმის დაცვის მიზნიდან. მაგალითად, გაფრთხილების ფუნქციის გამო, თავდების მიერ თავდებობის გაცხადებისას აუცილებელია წერილობით დოკუმენტში მითითებულ იქნეს კრედიტორი, ძირითადი მოვალე და თავდების პასუხისმგებლობის რაოდენობრივად განსაზღვრული მაქსიმალური თანხა (იხ. 892 I).

11 როგორც წესი, აუცილებელია, რომ მთლიანი ფორმასავალდებულო გარიგება ერთ დოკუმენტში იყოს მოქცეული. ფორმის დაცვას არ საჭიროებს განმარტებითი დებულებები (შდრ. 68-ე მუხლი, მე-6 ველი). დოკუმენტი შესაძლოა შედგებოდეს რამდენიმე ფურცლისგან. განსაკუთრებით ამ შემთხვევაში სავალდებულოა, რომ ფურცლები ქმნიდეს დოკუმენტის ერთიანობის განცდას. აქ თავისთავად არ იგულისხმება მხოლოდ ფურცლების აკინძვა

9 სუსგ სამოქ., 9/2005, გვ. 12-13; ციტ. ასევე *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 346.

10 საქ. უზენაესი სასამართლო, საქმე № ას-1317-1444-04, 12.04.2005.

11 *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 341.

12 იხ. RG DJZ 15 (1910), 594 f. გერმანიის სასამართლო პრაქტიკამ, ასეთად ჩათვალა, მაგ., პატარა დაფა, რაზეც ცარცით იყო დაწერილი ანდერძი.

13 შდრ. მაგ. BGHNJW 1972, 681, 683.

(მაგ., სტეპლერით, ბაინდერით) ან ფურცლების რაიმენაირი სხეულებრივი კავშირი, არამედ უფრო მეტად მნიშვნელოვანია ის, რომ დანომრილი იყოს დოკუმენტის გვერდები, ასევე მისი აბზაცები/პუნქტები, გრაფიკულად დოკუმენტი ქმნიდეს ერთიან სხეულს და ფურცლებზე დატანილი ინფორმაცია აყალიბებდეს ერთიან შინაარს. დოკუმენტის ზემოაღნიშნული კრიტერიუმებით შედგენით სრულდება გაფრთხილების, ანუ დაუფიქრებლად ნაჩქარევი ნების გამოვლენისგან დაცვის მიზანი, ასევე სიცხადისა და მტკიცების ფუნქცია. აღნიშნულისთვის არავითარი როლი არ ენიჭება ფურცლების აკინძვას, ვინაიდან ფურცლების აკინძვა მხოლოდ გაყალბებას უშლის ხელს და ისიც უმნიშვნელოდ.

12 განსაკუთრებით ყურადღება უნდა მიექცეს ურთიერთდაკავშირებული დოკუმენტებისადმი დაწესებულ წინაპირობებს. ეს ის შემთხვევაა, როდესაც ხელშეკრულების დოკუმენტი ფურცლების ერთობლიობისგან კი არ შედგება, არამედ ხელშეკრულების მთლიანი ტექსტი რამდენიმე დოკუმენტის შეერთებით ყალიბდება (მაგ., ცალკე დოკუმენტად ხელშეკრულების სტანდარტული პირობები, ხელშეკრულების დანართი, გადახდის გრაფიკი და ა.შ.). ამ შემთხვევაში შესაძლოა პრობლემური იყოს ის, რომ ურთიერთდაკავშირებული დოკუმენტები არ ქმნიდეს ერთიანობის განცდას, ანუ ისინი ვერ იქნეს აღქმული გარიგების ერთ დოკუმენტად. ამიტომ, ამ დროს მნიშვნელოვანია, რომ არსებობდეს ორმხრივი კავშირი დოკუმენტებს შორის. მაგალითად, ხელშეკრულებაში უნდა იყოს მითითებული, რომ მას ახლავს ასევე დანართი (დანართის საიდ. ნომერი აუცილებელია), ხოლო დანართში უნდა მიეთითოს, თუ რომელ ხელშეკრულებას ერთვის. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია ურთიერთდაკავშირებული დოკუმენტებიდან დადგეს რომელიმეს ან ყველას ბათილობის საკითხი.

2. ხელმოწერა

13 69 III მუხლი ეხება წერილობითი ფორმის სავალდებულო ატრიბუტს – ხელმოწერას. ნორმის ფორმულირებას – „წერილობითი ფორმის არსებობისას საკმარისია გარიგების მონაწილე მხარეთა ხელმოწერა“ – აქვს რამდენიმე დატვირთვა. ერთი მხრივ, რეგულირება მიუთითებს იმაზე, რომ მხარეთა ხელმოწერა გარიგების დოკუმენტის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია და მეორე მხრივ, სიტყვას „საკმარისია“ აქვს პირდაპირი მნიშვნელობა, რაც გულისხმობს იმას, რომ წერილობითი დოკუმენტი იძენს ძალას მხარეთა ხელმოწერით, დამატებითი ატრიბუტები, როგორიცაა, მაგალითად, საწარმოს ბეჭედი, ან სხვა რაიმე აღნიშვნა დოკუმენტზე, ზედმეტია დოკუმენტის სამართლებრივი ძალმოსილების შესამოწმებლად.[14]

14 უპირველეს ყოვლისა, ხელმოწერას აქვს ე.წ. დოკუმენტის დასრულების

14 აღნიშნულ მიდგომას იზიარებს „მეწარმეთა შესახებ“ კანონის V 5 მუხლი: „საწარმოს რეგისტრაციისათვის ან საქმიანობისათვის არ არის სავალდებულო საწარმოს ბეჭდის არსებობა. დაუშვებელია, ნორმატიული აქტით ან სახელმწიფო ორგანოს მიერ მოთხოვნილ იქნეს საწარმოს ბეჭდით დამოწმებული ნებისმიერი დოკუმენტი“.

ფუნქცია, რაც გამოიხატება იმაში, რომ ხელის მომწერი ხელმოწერით ასრულებს თავის ნების გამოვლენას და შინაარსობრივად ადასტურებს მას. დოკუმენტის დასრულების ფუნქციაში იგულისხმება ასევე ის, რომ ხელი უნდა მოეწეროს დოკუმენტის ბოლოს, დოკუმენტის დასაწყისში ან რომელიმე გვერდზე ხელის მოწერა არასაკმარისია დოკუმენტის ძალმოსილებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკაში, ფურცლების გამოცვლის/გაყალბების თავიდან ასაცილებლად, გავრცელებულია ყოველ გვერდზე ხელის მოწერა, ეს მაინც არ ნიშნავს იმას, რომ დოკუმენტის ბოლოს ხელის მოწერა ზედმეტია. ყოველ გვერდზე ხელის მოწერას, განსხვავებით დასრულების ფუნქციისაგან, აქვს სხვა ფუნქცია, კერძოდ, გაყალბებისგან თავდაცვის, ხოლო ტექსტის ბოლოს ხელის მოწერას – დოკუმენტის დასრულების, მისთვის სამართლებრივი ნამდვილობის შეძენის ფუნქცია.

15 ზემოაღნიშნულის გარდა, ხელმოწერას აქვს ასევე მიკუთვნებადობის ფუნქცია, რაც გულისხმობს იმას, რომ ხელმოწერით უნდა დგინდებოდეს ნების გამომვლენის ვინაობა და უზრუნველყოფილ იქნეს შინაარსის ნამდვილობა (ანუ ვის ეკუთვნის ხელმოწერა). ამით მიღწეულ უნდა იქნეს მესამე პირების მიერ დოკუმენტის გაყალბებისგან დაცვა. ამიტომ, სრულიად საკმარისია ხელმოწერა, რომლითაც შესაძლებელი ხდება პირის იდენტიფიცირება. სასამართლო პრაქტიკის მიხედვითაც, „ხელმოწერა უნდა განხორციელდეს გარიგებისათვის სპეციალურად შედგენილ დოკუმენტზე (კონტრაქტზე) საკუთარი ხელით და მითითებული უნდა იყოს ხელმომწერის სახელი და გვარი გარკვევით, წინააღმდეგ შემთხვევაში კონტრაქტი ნამდვილი არ არის“.[15] სწორედ ამიტომ, პრაქტიკაში (მაგ., ბანკები), ხშირ შემთხვევაში ითხოვენ მხარეებისგან, რომ მათ გარკვევით მოაწერონ ხელი დოკუმენტს, რათა ხელმომწერის ვინაობა დადგენადი იყოს. როგორც წესი, ამ დროს საკმარისია გვარის მითითება, მხოლოდ სახელის მოწერით ვერ სრულდება ხელმოწერის ფორმის წინაპირობები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პირი ფსევდონიმით ან რაიმე კონკრეტული სახელითაა ცნობილი. მნიშვნელობა არ ენიჭება იმას, რამდენად „გაკრული ხელით“ არის ხელი მოწერილი, მთავარია, ხელმოწერა მთლიანობაში იძლეოდეს ხელმომწერის იდენტიფიცირების საშუალებას. დასაშვებია ქართულ ენაზე შემდგარ დოკუმენტზე ხელმოწერისას სხვა ალფაბეტის ასოების გამოყენება და ასევე, პირიქით, უცხო ენაზე დაწერილ დოკუმენტზე ქართული ასოების გამოყენება. ჯვრის ან მსგავსი სიმბოლოს დასმა ხელმოწერის ნაცვლად, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც პირმა წერა-კითხვა იცის, არ უნდა ჩაითვალოს ნამდვილად,[16] ამ შემთხვევაში უნდა აღინიშნოს, თუ რატომ ვერ აწერს პირი ხელს და საჭიროების შემთხვევაში მესამე პირმა მოაწეროს ხელი (იხ. 70-ე მუხლის კომენტ.). მიკუთვნებადობის ფუნქციას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ შემთხვევებში, როდესაც გარიგების ფორმას მტკიცებისა და სიცხადის ფუნქცია აქვს.

16 განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ ნების გამომვლენი თავად აწერდეს დოკუმენტს ხელს (ხელმოწერის ავთენტურობა – „საკუ-

15 საქ. უზენაესი სასამართლო, საქმე № ას-214-511-04, 3.05.2004.
16 საქ. უზენაესი სასამართლო, განჩინება, საქმე № 3კ/563-03, 16.12.2003.

თარი ხელით“). წარმომადგენლის მიერ დოკუმენტზე წარმოდგენილის სახელით ხელმოწერა არ იქნება ნამდვილი, ვინაიდან წარმომადგენლის მეშვეობით გარიგების გაფორმებისას წარმომადგენელი მოქმედებს საკუთარი სახელით და ავლენს საკუთარ ნებას. წარმომადგენელს შეუძლია დოკუმენტზე საკუთარი სახელით მოაწეროს ხელი (თუმცა, დოკუმენტის ტექსტში უნდა აღინიშნოს მისი წარმომადგენლობის შესახებ ამ ხელმოწერისას, მაგ., ფორმულირებით – „წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით ...“). ავთენტურობა მოითხოვება ხელმოწერის მიმართ, თუმცა, არ მოითხოვება თვით დოკუმენტთან მიმართებაში (დოკუმენტი შესაძლოა შეადგინონ ასევე მესამე პირებმა). ხელმოწერის დროს დახმარება, მაგალითად, შეუძლო პირისთვის ხელის დაჭერა (ან წაშველება), შეიძლება ჩაითვალოს დასაშვებად, ვინაიდან ამ დროს ნების გამომვლენი დოკუმენტისთვის სამართლებრივი ძალის მინიჭებაში მაინც ჩართული რჩება, ხელმოწერაც მისი ნებიდან გამომდინარეობს და მას ეკუთვნის. ამ დანაწესთან შედარებით, უფრო ფართოდ მიდის 70-ე მუხლი, რომლის დროსაც ხდება ხელმოწერის გადანდობა, ანუ თანმხლები პირი აწერს უშუალოდ ხელს და ამ დროს არ არის სახეზე ხელმოწერაში დახმარება (წაშველება) ან წარმომადგენლის მიერ ხელმოწერა (დაწვრ. იხ. 70-ე მუხლის კომენტ.).

3. ბლანკეტური ხელმოწერა

17 პრაქტიკაში გავრცელებულია ასევე ე.წ. ბლანკეტური ხელმოწერები, რაც გულისხმობს შეუვსებელ ან არასრულყოფილად შევსებულ დოკუმენტზე ხელის მოწერას იმ მიზნით, რომ დოკუმენტში ტექსტი მოგვიანებით ჩაემატება, ან შეუვსებელი ფორმულარი/ბლანკი შეივსება. ბლანკეტური ხელმოწერების ნამდვილობა, დოკუმენტის დასრულებისა თუ მიკუთვნებადობის ფუნქციების ჭრილში, საკმაოდ დიდ პრობლემას წარმოადგენს. თუმცა, მისი გამოყენება სწრაფი სამართალბრუნვის მიზნებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ზოგადი თვალსაზრისით მიიჩნევა, რომ ბლანკეტური ხელმოწერაც არის ასევე გამოვლენილი ნების შინაარსობრივი დადასტურება. მოგვიანებით შემვსების მიერ შეთანხმებული ტექსტის დოკუმენტში ჩამატების მიუხედავად, მიიჩნევა, რომ ჩამატებული ტექტი ექცევა ხელმომწერის მიერ გამოვლენილ ნებაში. მიუხედავად იმისა, რომ ფორმალური თვალსაზრისით, ამ შემთხვევაში შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შესრულებულია ფორმის წინაპირობები, ასეთი სახით დოკუმენტის შედგენისას მაინც ვერ სრულდება გაფრთხილების ფუნქცია – მხარე არ არის დაცული გადაწყვეტილების ნაჩქარევი მიღებისგან. ამიტომ, იმ შემთხვევაში, როდესაც სავალდებულო ფორმის შესახებ ნორმას აკისრია გაფრთხილების ფუნქცია, თავიდან რომ იქნეს აცილებული ბათილობის შედეგი, სავალდებულოდ უნდა იქნეს მიჩნეული დოკუმენტის შევსებაზე უფლებამოსილების წერილობითი მინიჭება.[17] ბლანკეტური ხელმოწერის შემთხვევებთან მიმართებით უნდა

17 აღნიშნული მიდგომა დამკვიდრებულია გერმანიის სასამართლო პრაქტიკაში და გასაზიარებელია ქართულ პრაქტიკაშიც, იხ. მაგ. BGH NJW 1996, 1467, 1468 f; BGH NJW-RR 2005, 1141, 1142. ამ წესის

გამოიყოს ორი შემთხვევა: 1) იმ შემთხვევაში, თუ ბლანკზე ხელის მომწერმა ნებაყოფლობით გადასცა შემსვებელ პირს ბლანკი, ხოლო ამ უკანასკნელმა შეთანხმებული პირობების დარღვევით შეავსო იგი, ითვლება, რომ ბლანკზე ხელის მომწერს არ შეერაცხება გამოვლენილი ნება, ბლანკის შემსვებელი მოქმედებს როგორც წარმომადგენელი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე.[18] თუმცა, ამ შემთხვევაში შესაძლებელია წარმოიშვას ბლანკზე ხელმომწერი პირის მიერ მესამე პირის წინაშე პასუხისმგებლობა გამოწვეული ზიანისთვის, ვინაიდან მან ბლანკზე ხელის მოწერით სამართალბრუნვაში წარმოეშვა მისი ხელმოწერისა და დოკუმენტის ნამდვილობის ფიქცია (გასათვალისწინებელია თანაბრალეულობა ბლანკის შემსებთან ერთად). 2) სხვა შემთხვევაა, თუ პირმა მართლსაწინააღმდეგოდ მოიპოვა ხელმოწერილი ბლანკი. ამ შემთხვევაშიც ითვლება, რომ ბლანკზე ხელის მომწერი არ ავლენს ნებას, ხოლო ბლანკის შემსებელი მოქმედებს როგორც წარმომადგენელი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე. განსხვავებით წინა შემთხვევისაგან, ბლანკზე ხელის მომწერი არ აგებს პასუხს სამართალბრუნვაში ჩადენილი უპასუხისმგებლობისათვის.

IV. მხარდამჭერის ხელმოწერის სავალდებულობა (69 31)

კოდექსი მხარდამჭერის მიერ წერილობითი გარიგების დასადებად ად- **18**
გენს სავალდებულო ფორმას. ხელშეკრულების ნამდვილობა უკავშირდება ხელშეკრულებაზე მხარდამჭერის მიერ ხელმოწერით იმ ფაქტის დადასტურებას, რომ ხელშეკრულების დადების პროცესში მხარდამჭერმა სრულად განუმარტა მხარდაჭერის მიმღებს გარიგების არსი, გარიგებით მხარეების მიერ აღებული ვალდებულებები, გარიგების პირობების დარღვევის სამართლებრივი შედეგები, გარიგების სარგებელი და ა.შ. წერილობითი ხელშეკრულების სავალდებულო ფორმა მიზნად ისახავს ორივე მხარის ინტერესების დაცვას. კოდექსი, ერთი მხრივ, იცავს სამოქალაქო-კური ან გონებრივი/ინტელექტუალური დარღვევების გამო სათანადო განმარტების გარეშე შესაძლოა სრულად არ შეეძლოს გაიაზროს გარიგების ნამდვილი არსი და მიადგეს ზიანი. მეორე მხრივ, კონტრაჰენტის ინტერესში შედის მხარდაჭერის მიმღებთან გარიგების დადებისას წერილობითი გარიგების სავალდებულო ფორმის დაცვა იმისათვის, რომ გამოირიცხოს მისთვის სასურველი გარიგების შეცილების ან ბათილად ცნობის სამართლებრივი შესაძლებლობა.

მიუხედავად იმისა, რომ მხარდამჭერი სავალდებულოდ აწერს ხელს გარიგებას, ის არ არის მხარე, მას არ წარმოეშობა გარიგებით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობისა და ვალდებულებების შესრულების მოვალეობა. მხარდამჭერის მონაწილეობა გარიგების პროცესში დაკავშირე-

დარღვევა განსაკუთრებით სამომხმარებლო ხელშეკრულებებსა და თავდებობის შემთხვევებში უნდა იწვევდეს გარიგების ბათილობას.

18 *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 343.

ბულია გარიგების ნამდვილობასთან (იხ. 58[1], 64 და 66 მუხლების კომენტარი).

V. ხელმოწერის ავთენტურობიდან გამონაკლისი (მექანიკური საშუალებებით ხელმოწერა)

19 69 IV მუხლში განსაზღვრულია ხელშეკრულების ავთენტურობიდან გამონაკლისი, რაც იმას გულისხმობს, რომ იქ, სადაც ეს მიღებულია ჩვეულებად, დასაშვებია ნების გამომვლენის მიერ პირადი ხელმოწერის ნაცვლად დოკუმენტის ფაქსიმილეთი დამოწმება. ეს შესაძლებელია განხორციელდეს ნებისმიერი მექანიკური საშუალებით (მაგ., ბეჭედი, ქსეროქსი და ა.შ.). ფაქსიმილიეთი დამოწმებაში იგულისხმება პირადი ხელმოწერის ასლის მექანიკური საშუალებით გამოსახვა. აქ არ იგულისხმება საწარმოს ბეჭედი, ან სხვა რაიმე სიმბოლო.

„ხელმოწერის აღდგენასა და განმეორებაში“ იგულისხმება პირადი ხელმოწერის ანალოგის განთავსება დოკუმენტზე (მაგ., ბეჭდით). „ხელმოწერის აღბეჭდვა“ მოიცავს მექანიკური საშუალებით ხელმოწერის ასლის ბეჭდური სახით გამოსახვას დოკუმენტზე (მაგ., პრინტერით, ქსეროქსის აპარატით და ა.შ.).

20 ნორმა შემთხვევათა ჯგუფებიდან ასახელებს „ფასიან ქაღალდებს, რომელთა გამოშვებაც დიდი რაოდენობით ხდება“ (იხ. მაგ., 922 I, II; 923 II), თუმცა, იგი შეიძლება მოქმედებდეს ასევე სხვა შემთხვევებისთვისაც (მაგ., სადაზღვევო პოლისები). თუმცა, ასეთად არ ჩაითვლება საწარმოს დირექტორის ფაქსიმილეს განთავსება თანამშრომელთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებაზე, ვინაიდან ამ შემთხვევაში შრომითი კონტრაქტის ფაქსიმილეთი დადება ვერ ჩაითვლება სავაჭრო ჩვეულებაში დამკვიდრებულ წესად, რომელიც გარიგების მხარეების მიერ აღიარებულია; ფაქსიმილე არ შეიძლება გამოიყენებოდეს ინდივიდუალურად დადებული გარიგებების დროს.[19]

VI. წერილობითი ფორმის განსაკუთრებული სახეები

1. სანოტარო (რთული წერილობითი) ფორმა

21 2006 წლის დეკემბერში განხორციელებული ცვლილებების შედეგად შეიცვალა 69 V მუხლის ფორმულირება და გაუქმდა მოსამართლის მიერ გარიგების დამოწმების ინსტიტუტი. სანოტარო მოქმედებების განხორციელებაზე უფლებამოსილ პირებს განსაზღვრავს 69 V მუხლი – „ნოტარიუსმა ან კანონით გათვალისწინებულმა სხვა პირმა. კანონით გათვალისწინებულ სხვა პირებში იგულისხმება „2009 წლის 4 დეკემბრის „ნოტარიატის შესახებ“ კანონის 41-ე და მომდევნო მუხლებში ჩამოთვლილი პირები (მაგ., თვითმმართველი ორგანოს რწმუნებულები, საზღვარგარეთ საქ. დიპლომატიური წარმომადგენლობები და ა.შ.).

19 საქ. უზენაესი სასამართლო, საქმე № ას-214-511-04, 3.05.2004.

69 V მუხლს აქვს მხოლოდ მითითების ფუნქცია, მასში არ არის დეტალურად დარეგულირებული სანოტარო მოქმედების განხორციელებისადმი წაყენებული წინაპირობები. ნორმის გამოყენების სფერო წინაპირობად აწესებს, რომ დამოწმება ხდება მხოლოდ წერილობითი ფორმის არსებობისას; ხოლო ფორმის სავალდებულობა უნდა გამომდინარეობდეს კანონიდან ან მასზე შესაძლებელია თვითონ მხარეები შეთანხმდნენ. ზეპირად დადებული გარიგებების ნოტარიული დამოწმება არ ხდება.

უნდა აღინიშნოს ასევე ის, რომ ნორმის ძველი რედაქცია იცნობდა მხოლოდ „გარიგების ფორმის დამოწმებას"; არსებული რედაქციით კოდექსი ერთმანეთისგან მიჯნავს „გარიგების დამოწმებას" და „გარიგების მონაწილე მხარეთა ხელმოწერების ნამდვილობის დამოწმებას (დადასტურებას!)". აღნიშნული გამიჯვნა გაზიარებულია „ნოტარიატის შესახებ" კანონში: 38 I ა მუხლი – ნოტარიუსი „კანონით დადგენილ შემთხვევებში ან მხარეთა შეთანხმებით ადასტურებს გარიგებებს"; და 38 I ა მუხლში – „ამოწმებს დოკუმენტზე ხელმოწერის ნამდვილობას". როგორც ვხედავთ, სახეზეა ტერმინოლოგიური აღრევა, ვინაიდან 69 V მუხლის თავდაპირველ რედაქციაში გამოყენებული ტერმინი „დამოწმება" გულისხმობდა არა მხოლოდ ხელმოწერების ნამდვილობის (ავთენტურობის) დამოწმებას, არამედ იგულისხმებოდა, რომ ნოტარიუსი ვალდებული იყო გარიგების შინაარსი სამართლებრივად შეემოწმებინა და მხარეებისთვის განემარტა მათი უფლებები და მოვალეობები, ასევე გაეკეთებინა მითითება სამართლებრივ შედეგზე.[20] აღნიშნული მიდგომა გაზიარებულია ასევე ლიტერატურაშიც,[21] ვინაიდან მხოლოდ სანოტარო მოქმედების ასეთი სახით განხორციელებით სრულდება ინფორმაციის მიწოდებისა და კონსულტაციის გაწევის ფუნქცია (იხ. 68-ე მუხლის მე-3 ველი). მხოლოდ გარიგებაზე ხელმოწერის ავთენტურობის დადასტურებით აღნიშნული ფუნქცია ვერ შესრულდება. ინფორმაციისა და კონსულტაციის მიწოდების ვალდებულება გამომდინარეობს „ნოტარიატის შესახებ" კანონის 38 III მუხლიდან – „ნოტარიუსი სამართლებრივ კონსულტაციას უწევს პირებს და მათი თხოვნით ადგენს დოკუმენტების პროექტებს". კონსულტაციის გაწევის ვალდებულება ამ შემთხვევაში უნდა განიმარტოს იმგვარად, რომ ნოტარიუსი ვალდებულია, მხარეებს (განსაკუთრებით სამართლებრივად გამოუცდელ მხარეს) წაუკითხოს ხელშეკრულება და განუმარტოს თავიანთი უფლებები და მოვალეობები და მიუთითოს სამართლებრივ შედეგებზე (ნოტ. კანონის 38 III, 50 II მუხლები).

2. ელექტრონული ფორმა

როგორც ზემოთ აღინიშნა, 2008 წლის 14 მარტს ძალაში შევიდა კანონი „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტების შესახებ". 22

20 ტერმინოლოგიურ გამიჯვნასთან დაკავშირებით იხ. დამატებით *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 345; *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 282.

21 *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 345; *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 282; *ზოიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 69, გვ. 218.

ამით კანონმდებელმა ხელი შეუწყო 1999 წლის 12 დეკემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს „ელექტრონული ხელმოწერის შესახებ საერთო სტანდარტის შესახებ“, ასევე 2000 წლის 8 ივნისის „ელექტრონული სამართალბრუნვის შესახებ“ დირექტივებთან ქართული კანონმდებლობის მიახლოებას, რითიც ხელი შეუწყო სამართალბრუნვაში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას. ამან კი შესაძლებლობა უნდა მისცეს თანამედროვე საინფორმაციო და კომუნიკაციის ტექნოლოგიების გამოყენების გაზრდას საბაზრო ურთიერთობებში.

ელექტრონული ფორმა გამოიყენება მარტივი წერილობითი ფორმის ალტერნატივად. ელექტრონული დოკუმენტი და მასზე ხელმოწერა გათანაბრებულია მატერიალურ დოკუმენტზე ხელმოწერასთან,[22] რაც იმას გულისხმობს, რომ, თუ კანონი სავალდებულოდ აწესებს წერილობით ფორმას, მის სანაცვლოდ შესაძლებელია ელექტრონული ფორმის გამოყენება. ელექტრონულ ფორმას მტკიცებულების ძალა ენიჭება სასამართლოში.[23] მაშასადამე, ელექტრონული ფორმა გულისხმობს ელექტრონული დოკუმენტის არსებობას. ელექტრონული დოკუმენტი არის „ელექტრონული, ოპტიკური ან სხვა მსგავსი საშუალების გამოყენებით შექმნილი, გაგზავნილი, მიღებული ან შენახული წერილობითი ინფორმაცია“.[24] ელექტრონულ დოკუმენტზე ინფორმაცია გამოსახული უნდა იყოს ანბანურად და მისი წაკითხვა შესაძლებელი უნდა იყოს მხოლოდ სპეციალური ტექნიკური მოწყობილობით. არ აქვს მნიშვნელობა იმას, კოდურად დახურულია თუ ღია დოკუმენტი, მთავარია ის, რომ მონაცემის (თუნდაც კოდის მოხსნის შემდგომ) წაკითხვა შესაძლებელი იყოს. მეორე აუცილებელი პირობა, რომელიც დაწესებულია ელექტრონული დოკუმენტის მიმართ, არის მისი ხანგრძლივი გადმოცემაუნარიანობა, ამ უნარის გარეშე ელექტრონული დოკუმენტი დაკარგავდა წერილობითი ფორმის მნიშვნელოვან ფუნქციას, კერძოდ, ვერ შესრულდებოდა მტკიცების ფუნქცია. თუმცა, ამ ფუნქციის შესასრულებლად არ უნდა დაუწესდეს ელექტრონულ დოკუმენტს გადამეტებული მოთხოვნები, საკმარისია ის, თუ ელექტრონული დოკუმენტი მყარ დისკზე ან DVD/CD დისკზე ინახება. ამაზე მეტყველებს ისიც, რომ ელექტრონული დოკუმენტის ყველა ეგზემპლარი ორიგინალად ითვლება და მას არ შეიძლება ასლი ჰქონდეს.[25]

ზემოაღნიშნული არ ვრცელდება ელექტრონულ ხელმოწერაზე, ვინაიდან ელექტრონული ხელმოწერის მოქმედების ვადა შესაძლებელია შეჩერდეს. ამით მიყენებული ზიანი ანაზღაურებას ექვემდებარება.[26] ელექტრონული ხელმოწერა არის ნებისმიერი ელექტრონული საშუალების გამოყენებით შექმნილ მონაცემთა ერთობლიობა, რომელსაც ხელმომწერი იყენებს ელექტრონულ დოკუმენტთან მისი კავშირის აღსანიშნავად.

22 „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტების შესახებ“ კანონის 3 I მუხლი.
23 სამოქ. საპროცესო კოდექსის 134 11 მუხლი; „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტების შესახებ“ კანონის 3 V მუხლი.
24 „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტების შესახებ“ კანონის 2 ა) აა) მუხლი.
25 „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტების შესახებ“ კანონის მუხლი 4.
26 „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტების შესახებ“ კანონის მუხლი 14.

მნიშვნელოვანია, რომ ელექტრონული ფორმაც ასრულებდეს იმ ფუნ- 24
ქციებს, რაც ეკისრება მარტივ წერილობით ფორმას. უნდა აღინიშნოს, რომ წერილობითი ფორმის თითქმის ყველა ფუნქცია სრულდება ელექტრონული ფორმის გამოყენების შემთხვევაშიც. წერილობითი ფორმა უნდა ემსახურებოდეს მიზანს, ხელშეკრულების დადება გამიჯნოს წინასახელშეკრულებო ურთიერთობებისგან და მისი შინაარსი ცხადად წარმოადგინოს (სიცხადის ფუნქცია, იხ. 68, ველი 3). ეს ფუნქცია ელექტრონული ფორმით ისევე სრულდება, როგორც წერილობითი ფორმით. იგივე შეიძლება ითქვას მტკიცების ფუნქციასთან დაკავშირებით, როგორც აღინიშნა, მთავარი, ამ შემთხვევაში ელექტრონული დოკუმენტი გადმოცემაუნარიანი იყოს, რათა საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი იყოს მისი მტკიცებულების სახით ამოღება. პრობლემურად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ის, თუ რამდენად სრულდება ელექტრონული ფორმით გაფრთხილების ფუნქცია, – ნების გამომვლენი დაცულ იქნეს ნაჩქარევად გადაწყვეტილების მიღებისაგან.

მუხლი 70. ხელის მოწერის გადანდობა სხვა პირისათვის

იმ პირს, რომელიც თვითონ ვერ მოაწერს ხელს გარიგებას წერა-კითხვის უცოდინარობის, ფიზიკური ნაკლის, ავადმყოფობის გამო ან კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, შეუძლია გარიგებაზე ხელის მოწერა სხვას მიანდოს. ამ უკანასკნელის ხელის მოწერა დამოწმებული უნდა იყოს ოფიციალურად. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს ის მიზეზი, რომლის გამოც გარიგების დამდებმა ვერ შეძლო გარიგებაზე ხელის მოწერა.

საქართველოს 2010 წლის 15 ოქტომბრის კანონი №3709 – სსმ I, №57, 25.10.2010 წ., მუხ.366

1 ნორმა არეგულირებს ხელმოწერის ავთენტურობიდან გამონაკლისს (იხ. 69-ე მუხლის კომენტ. ველი 16) და ეხება იმ იშვიათ შემთხვევებს, როდესაც პირი ხელს ვერ აწერს „წერა-კითხვის უცოდინარობის, ფიზიკური ნაკლის, ავადმყოფობის გამო ან კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში". 70-ე მუხლის რეგულირება ზუსტდება ნოტარიატის შესახებ კანონში, სადაც მუნჯი, ყრუ ან ყრუ-მუნჯი პირის მიერ ნების გამოვლენის შემთხვევაში ნოტარიუსი ვალდებულია ისარგებლოს სპეციალისტის დახმარებით, რათა სანოტარო მოქმედების შინაარსი გასაგები გახადოს პირისთვის; სპეციალისტი ვალდებულია მის მიერ გაკეთებული განმარტების სისწორე დაადასტუროს ხელმოწერით (ნოტ. შესახებ კანონის 50 III მუხლი). ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც პირი ავადმყოფობის ან ფიზიკური ნაკლის გამო ან სხვა მიზეზით ვერ აწერს ხელს, მას შეუძლია მესამე პირს მიანდოს/დაავალოს ხელმოწერის გაკეთება; ამ შემთხვევაში სავალდებულოა, რომ ხელმოწერის გადანდობა და თავად ხელმოწერა განხორციელდეს სანოტარო მოქმედების განმახორციელებელი პირის და ხელმოწერის გადანმდობი პირის თანდასწრებით და დოკუმენტში უნდა აღინიშნოს ის მიზეზი, რის გამოც პირი ვერ აწერს ხელს (ნოტ. შესახებ კანონის 50 IV მუხლი). წერა-კითხვის უცოდინარ ან უსინათლო პირს ნოტარიუსმა უნდა წაუკითხოს დოკუმენტის ტექსტი და სათანადო მითითება გააკეთოს აღნიშნულზე დოკუმენტში (ნოტარიატის შესახებ კანონის 50 V მუხლი)

2 მიუხედავად იმისა, რომ სკ-ის 70-ე მუხლისა და ნოტარიუსის შესახებ კანონის 50 III, IV მუხლები გულისხმობენ მესამე პირის („სხვა პირის") მიერ უშუალოდ თავისი ხელმოწერის დასმას, მაინც არ უნდა ჩაითვალოს, რომ სახეზეა ხელმოწერაზე უუნარო პირის მიერ მესამე პირისთვის წარმომადგენლობითი უფლების მინიჭება. მესამე პირი, რომელიც ხელს აწერს გარიგებას, ვერ ჩაითვლება მის წარმომადგენლად, ვინაიდან მესამე პირი ხელმოწერისას არ ავლენს საკუთარ ნებას, არამედ მოქმედებს, როგორც მხოლოდ „ხელმოწერის ინსტრუმენტი".[1] წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭების საწინააღმდეგოდ მეტყველებს ასევე ის, რომ ფორმასავალდებულო გარიგებების დადებაზე წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭება მოითხოვს ასევე წერილობით ფორმას და მასზე ხელმოწერას (იხ.

1 სხვა მოსაზრება იხ. *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 296, 297; *ზოიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 70, გვ. 220, 221.

107 მუხლის კომენტ.), რისი განხორციელებაც ხელის მოწერაზე უუნარო პირის მიერ ისედაც შეუძლებელია. მესამე პირზე ხელმოწერის გადანდობით კანონმდებელს სურს სანოტარო მოქმედებაში მესამე პირის ჩართვა და ამით სანოტარო მოქმედების სისწორეზე პასუხისმგებლობის მესამე პირისთვის გადაკისრება.[2] როგორც წესი, ხელმოწერაზე უუნარო პირსა და მესამე პირს შორის უნდა არსებობდეს ნდობითი ურთიერთობა და ნოტარიუსის მიერ აღნიშნული გათვალისწინებულ უნდა იქნეს მესამე პირის ჩართვისას.

2 ქართული რეგულირება აღნიშნულით ხელმოწერაზე უუნარო პირს სთავაზობს უფრო მეტი დაცვის სტანდარტს. მაგ., შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსის ვალდებულებით სამართლის მე-15 მუხლის თანახმად, იმ შემთხვევაში, როდესაც პირი უუნაროა მოაწეროს ხელი, ნოტარიუსის დადასტურება ანაცვლებს ხელმოწერას და მესამე პირის ჩართვა არ არის აუცილებელი.

მუხლი 71. გარიგების დადება რამდენიმე დოკუმენტის შედგენით

თუ გარიგების დადებისას შედგენილია ერთი და იმავე შინაარსის რამდენიმე დოკუმენტი, მაშინ საკმარისია თითოეულმა მხარემ ხელი მოაწეროს იმ დოკუმენტის ეგზემპლარს, რომელიც განკუთვნილია შესაბამისი მხარისათვის.

1 71-მუხლის რეგულირება არის 69 III მუხლის შინაარსის გაგრძელება. 69 III მუხლის რეგულირება ხაზს უსვამს წერილობით დოკუმენტზე (გარიგებაზე) მხარეთა ხელმოწერის სავალდებულობას. ხელმოწერა წერილობითი ფორმის აუცილებელი ატრიბუტია. 71-ე მუხლის რეგულირება ძირითადად ეხება ხელშეკრულებას და სიტყვა „გარიგებაც“ ამ შემთხვევაში გაგებულ უნდა იქნეს როგორც ხელშეკრულება, ვინაიდან ნორმის შინაარსი ეხება ორი ან მეტი მხარის მიერ ხელმოწერას.

2 ხელშეკრულება არის გარიგება, რომელიც შედგება სულ მცირე ორი ურთიერთთანმხვედრი ნების გამოვლენისგან. მაშასადამე, ხელშეკრულების დოკუმენტიც უნდა შეიცავდეს ყველა მხარის ნების გამოვლენას, რომლებიც აფუძნებენ ხელშეკრულებას და ამასთანავე, მათ ხელმოწერებს. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია ოფერტისა და აქცეპტის ერთმანეთისგან დამოუკიდებლად განხორციელება, მაინც აუცილებელია, რომ მხარეების მიერ გამოვლენილმა ნებამ ერთ დოკუმენტში პოვოს ასახვა. ყველა შემთხვევაში ხელშეკრულების მხარეთა ხელმოწერები უნდა ასრულებდეს ხელშეკრულების მთლიან ტექსტს და არა მხოლოდ ცალკეულ ნების გამოვლინებებს. შესაბამისად, არასაკმარისია, როდესაც ხელშეკრულების დადება მხოლოდ ცალმხრივად ხელმოწერით დასტურდება ან მაშინ, როდესაც მხარეები ხელმოწერით მხოლოდ საკუთარ ნების გამოვლენას ადასტურებენ.

3 როგორც აღინიშნა, მაშინ, როდესაც ხელშეკრულების მხოლოდ ერთი დოკუმენტი არსებობს, მისი ნამდვილობისთვის აუცილებელია ორივე მხარემ მოაწეროს ხელი ერთსა და იმავე დოკუმენტს. იმ შემთხვევაში, როდესაც მხოლოდ ერთ-ერთი მხარის ნების გამოვლენა საჭიროებს ფორმას, დოკუმენტზე უნდა დაისვას ნების გამომვლენის ხელმოწერა, ხელშეკრულების მეორე მხარის ხელმოწერა ზედმეტია (მაგ., 891 I). კანონმდებელი არაპირდაპირ განსაზღვრავს, რომ ხელშეკრულების ნამდვილობისთვის სრულიად საკმარისია მხარეების მიერ ხელმოწერილი ერთი დოკუმენტის არსებობა. 71-ე მუხლის რეგულირება კი ადგენს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც მხარეებს განზრახული აქვთ ორი ან მეტი ხელშეკრულების დოკუმენტის შედგენა, ხელშეკრულების ნამდვილობისთვის ასევე საკმარისია, თუ თითოეული მხარე ხელს მოაწერს მეორე მხარისთვის[1] განკუთვნილ ეგზემპლარს. შესაბამისად, ამით კანონმდებელს სურს გაამარტივოს არათანმყოფი მხარეებისთვის დოკუმენტბრუნვა. აქედან გამომდინარე, ნორმა ნაწილობრივ ტექნიკურ ხასიათსაც ატარებს. 71-ის მიზნებისთვის აუცილებელია ის, რომ ორი იდენტური შინაარსის დოკუმენტის „შეერთება“ ასრულებდეს ერთი დოკუმენტის ნამდვილობისთვის დაწესებულ წინაპირობებს. შესაბამისად,

1 ნორმის ფორმულირება „განკუთვნილია შესაბამისი მხარისათვის“ გაგებულ უნდა იქნეს, როგორც ხელშეკრულების მეორე მხარისათვის განკუთვნილი ეგზემპლარი.

იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულებას ჰყავს ორზე მეტი მხარე, 71-ე მუხლის მიზნებიდან გამომდინარე, ყველა პირი უნდა აწერდეს ხელს ყველა დანარჩენი პირის ხელშეკრულების ეგზემპლარს. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების ერთი რომელიმე მხარის ხელმოწერა აკლია რომელიმე მეორე მხარისთვის განკუთვნილ ეგზემპლარს, ხელშეკრულება ნამდვილი ვერ იქნება.

71-ის ფარგლებში მნიშვნელოვანია ასევე ის, თუ რა მომენტიდან იძენს ხელშეკრულება ძალას, თუ მხარეთა ეგზემპლარებზე სხვადასხვა თარიღებია დასმული. ეს ის შემთხვევაა, მაგალითად, როდესაც ერთი მხარე ხელს აწერს, თარიღს სვავს და მეორე მხარეს უგზავნის მისთვის განკუთვნილ ეგზემპლარს, ხოლო მეორე მხარეც ანალოგიურად ხელს აწერს, თუმცა, დოკუმენტზე სვამს მოგვიანებით თარიღს. მსგავს შემთხვევაში ხელშეკრულება ძალაში შევა მეორე მხარის მიერ დასმული თარიღიდან, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულებას ორზე მეტი მხარე ჰყავს, მხარის მიერ დასმული რომელიმე მეორე მხარის ეგზემპლარზე დასმული ყველაზე გვიანი თარიღიდან.

4

თავი მეოთხე
საცილო გარიგებანი

I. შეცდომით დადებული გარიგებანი

მუხლი 72. ცნება

გარიგება შეიძლება საცილო გახდეს, თუ ნების გამოვლენა მოხდა არსებითი შეცდომის საფუძველზე.

I. ნორმის მიზანი....410
II. შეცილების წინაპირობები....411
1. შეცდომა....411
2. არსებითი შეცდომა....411
3. მიზეზობრივი კავშირი შეცდომასა და ნების გამოვლენას შორის....412
4. შეცილებაზე უფლებამოსილება....412
5. შეცილების ადრესატი....413
6. შეცილების განცხადება....413
7. შეცილების ვადა....413
8. შეცილების უფლების ბრალისგან დამოუკიდებლობა....413
9. შეცილება არ უნდა იყოს გამორიცხული....414
III. სამართლებრივი შედეგები....414
IV. მტკიცების ტვირთი....415
V. საერთაშორისო-სამართლებრივი ასპექტი....415

I. ნორმის მიზანი

1 ნების გამომვლენი პირის მიერ გამოვლენილი ნება მის მიმართ ისევე მოქმედებს, როგორც ნების გამოვლენის ადრესატი მას შეიცნობდა, კეთილსინდისიერების პრინციპისა (8 III) და ბაზრის ბრუნვის გათვალისწინებით (52). ეს წესი მოქმედებს ასევე იმ შემთხვევებშიც, როდესაც გამოვლენილი ნება ნების გამომვლენის ნამდვილ ნებას არ შეესაბამება. სამართლებრივი უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, სამართლებრივი წესრიგი ვერ დაუშვებდა ვარაუდს, რომ ნამდვილი და გამოვლენილი ნება ერთმანეთს არ შეესაბამება. ეს საფრთხეს შეუქმნიდა ბაზრის სამართლებრივ სტაბილურობას. ამის დაშვება შესაძლებელია მხოლოდ იშვიათ გამონაკლის შემთხვევებში. თუმცა, ბუნებრივია, რომ სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეები ნებსით თუ უნებლიეთ უშვებენ შეცდომებს. შეცდომის მოძღვრებაც[1] სწორედ იმ საკითხს ეხება, გაარკვიოს, რა შემთხვევებში აქვს პირს შეცილების უფლება და რა შემთხვევაში შეიძლება დააყენოს მან ამგვარი მოთხოვნა შეცდომით დადებულ გარიგებაზე დაფუძნებით.

1 თანამედროვე შეცდომის მოძღვრება ეყრდნობა სავინის სწავლებას. დამატ. იხ. *ჭანტურია,* ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 366; შდრ. *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 317-318.

ბაზრის უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, ყველა სახის შეცდომა ვერ წარმოშობს შეცილების საფუძველს. 72-ე მუხლის მიზანსაც წარმოადგენს სწორედ შეცილების იმ შემთხვევებამდე დაყვანა, რომლებშიც **არსებითი შეცდომაა** მოცემული. იმ შემთხვევაში, თუ შეცდომის ყველა სახე იქნებოდა შეცილების საფუძველი, ეს უარყოფითი შედეგის მომტანი იქნებოდა მხარეთათვის და წინააღმდეგობაში მოვიდოდა pacta sunt servanda-ს (ხელშეკრულება უნდა სრულდებოდეს) პრინციპთან, ვინაიდან მარტივი მიზეზის (შეცდომის) გამო ყველა გარიგების ნამდვილობის ეჭვქვეშ დაყენება იქნებოდა შესაძლებელი. არაარსებითი შეცდომის დაშვების რისკი ეკისრება ნების გამომვლენს. **2**

II. შეცილების წინაპირობები

1. შეცდომა

შეცდომა მოცემულია მაშინ, როდესაც პირის რეალური და გამოხატული ნება ერთმანეთს არ ემთხვევა.[2] სხვანაირად რომ ვთქვათ, შეცდომა არის მხარის **მცდარი წარმოდგენა** შემთხვევის შემადგენლობაზე. შეცდომა ვიწრო გაგებით არ არის მოცემული მაშინ, როდესაც ნების გამომვლენ პირს საერთოდ არ აქვს წარმოდგენა შემთხვევის შემადგენლობაზე (ignorantia).[3] ფართო გაგებით, წარმოდგენის არქონა შესაძლებელია ასევე შეფასდეს როგორც შეცდომა. ამ კუთხით გამონაკლისს ვაწყდებით წაუკითხავი დოკუმენტების ხელმოწერის შემთხვევებში, ვინაიდან ის, ვინც წაუკითხავად აწერს ხელს დოკუმენტს, ვერ მოითხოვს თავისი გამოვლენილი ნების შეცილებას (73, ველი 18-22). **3**

შეცილება გამოირიცხება მაშინ, როდესაც განმარტებით დადგინდება, რომ მხარის მიერ სასურველი ნება გახდა გარიგების შინაარსი და არა ის, რაც მან რეალურად გამოხატა.[4] იმ შემთხვევაშიც, თუ ნების გამოვლენის ადრესატმა ნამდვილი ნება შეიცნო, გამოირიცხება შეცილება, იმისგან დამოუკიდებლად, რომ შესაძლოა ნების გამომვლენმა ნება გასაგებად ვერ გამოხატა.[5] **4**

გარიგებისადმი არასწორი სახელის მინიჭება არის ე.წ. falsa demonstratio-ს შემთხვევა, რაც არ იძლევა შეცილების შემადგენლობას.[6] შეცდომა უნდა იყოს ნების გამომვლენი პირისთვის შეუცნობადი. იმ შემთხვევაში, როდესაც ნების გამომვლენ პირს ეჭვი ეპარება თავისი წარმოდგენის სისწორეში, შეცდომა არ იქნება სახეზე. **5**

2. არსებითი შეცდომა

შეცდომა არსებითია მაშინ, როდესაც შემთხვევის ობიექტური გარემოე- **6**

2 *Heinrichs,* in Palandt BGB Komm. 66. Aufl., § 119 Rn. 7.
3 MüKo/*Armbrüster,* 6. Auflage 2012, § 119, Rn. 52.
4 *Heinrichs,* in Palandt BGB Komm. 66. Aufl., § 119 Rn. 7.
5 იქვე.
6 *ჭანტურია*, ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 368.

ბების გათვალისწინებით, შეიძლება ჩაითვალოს, რომ ის პირი, რომელიც შეცდომით ავლენს ნებას, შემთხვევის ნამდვილი შემადგენლობის ცოდნის შემთხვევაში ნებას საერთოდ არ გამოავლენდა ან თუ გამოავლენდა, არა ასეთი სახით.[7] ზოგადი თვალსაზრისით, შეცდომა არსებითად შესაძლებელია მიჩნეულ იქნეს ასევე მაშინ, როდესაც ზოგადი საბაზრო შეხედულებითა და ნების გამომვლენის გადმოსახედიდან არასასურველ სამართლებრივ ბოჭვაში დარჩენა მიუღებელია.[8] მაშასადამე, ცალკეული შემთხვევების გათვალისწინებით, ყურადღება უნდა მიექცეს როგორც ობიექტურ, ისე სუბიექტურ კრიტერიუმებს: თუ „რა ზომებს მიიღებდა მსგავს ვითარებაში გონიერი ადამიანი, რომ სცოდნოდა საქმის ჭეშმარიტი მდგომარეობის შესახებ".[9] ამდენად, შეცდომის არსებითობის განსჯისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემთხვევის ყველა გარემოება, რომელიც ყოველ შემთხვევაში განსხვავებული წინაპირობებიდან უნდა გამომდინარეობდეს. აღნიშნული კი თავის მხრივ, ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ შეცდომის არსებითობის შეფასება სამართლებრივი კატეგორიაა.

3. მიზეზობრივი კავშირი შეცდომასა და ნების გამოვლენას შორის

7 შეცდომა უნდა იყოს ნების გამოვლენის განმსაზღვრელი, ანუ იგი უნდა იმყოფებოდეს მიზეზობრივ კავშირში დამდგარ შედეგთან (ნების გამოვლენასთან). ეს კი მოცემულია მაშინ, როდესაც შეცდომის შედეგად პირი ავლენს ისეთ ნებას, რომელსაც შეცდომის გარეშე ამ კონკრეტული ფორმით არ გამოავლენდა, ანუ, როდესაც შეცდომა შედეგის განმსაზღვრელია.[10]

4. შეცილებაზე უფლებამოსილება

8 59 III მუხლის მიხედვით, **შეცილებაზე უფლებამოსილია** „დაინტერესებული პირი". დაინტერესებული პირი, უპირველესად, არის ის, ვინც ნების გამოვლენისას შეცდომას უშვებს და არა ნების გამოვლენის ადრესატი (59, ველი 36). იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულება იდება **წარმომადგენლის** მეშვეობით, გადამწყვეტია მისი წარმოდგენა. წარმოდგენილი პირის წარმოდგენას (მათ შორის, მცდარ წარმოდგენას) მნიშვნელობა არ ენიჭება (106 I). შესაბამისად, წარმომადგენლის მიერ შეცდომით გამოხატული ნების შეცილებაზე უფლებამოსილია წარმოდგენილი პირი. რაც შეეხება მესამე პირების მიერ შეცილების უფლებას, სამოქალაქო კოდექსი ამ საკითხს ცალკე არ აწესრიგებს და ასეთის არსებობისას, იგი მოიაზრება ზოგად ტერმინში „დაინტერესებული პირი".[11]

---

7 შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 14 ივნისის №ას-385-358-2010 განჩინება.

8 შდრ. *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 321-322.

9 *ზოიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, 2002, მუხ. 72, გვ. 224; *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 366.

10 *ჩაჩანიძე,* სამოქალაქო კაზუსების ამოხსნის მაგალითები, 2012, გვ. 37

11 *ზოიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, 2002, მუხ. 59, გვ. 196.

5. შეცილების ადრესატი

59 II 2 მუხლის თანახმად, შეცილება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების მეორე მხარის მიმართ. აღნიშნული მოწესრიგება პრობლემურია იმდენად, რამდენადაც ის ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ შეცილება შესაძლებელია მხოლოდ ორმხრივი გარიგების შემთხვევებში. თუ ჩვენ მივიჩნევდით, რომ „ხელშეკრულების მეორე მხარეში“ კანონმდებელი გულისხმობდა მხოლოდ ორმხრივი გარიგების მხარეს, მაშინ ცალმხრივი გარიგების შემთხვევაში პირს წაერთმეოდა გამოვლენილი ნების შეცილების უფლება. შესაბამისად, შეცილების ადრესატად მიზანშეწონილია, მიჩნეულ იქნეს ნების გამოვლენის ადრესატი (59, ველი 31). 9

6. შეცილების განცხადება

შეცილება ხორციელდება შეცილებაზე უფლებამოსილი პირის მიერ შეცილების ადრესატის მიმართ გაკეთებული განცხადებით. **შეცილების განცხადება** არის მიღებასავალდებულო ნების გამოვლენა. შესაბამისად, როგორც ოფერტი და აქცეპტი, შეცილების განცხადებაც უნდა შეფასდეს იმის მიხედვით, თუ როგორ გაიგებდა ამას საშუალოდ გონიერი ადამიანი (52, 337) ობიექტური განსჯის საფუძველზე. ეს კი გულისხმობს იმას, რომ შესაძლოა, შეცილების განცხადებაში სიტყვა „შეცილება“ საერთოდ არ იყოს ნახსენები, მაგრამ ობიექტური თვალსაზრისით აშკარად გამოიხატოს შემცილებლის ნება, ხელშეკრულების კონკრეტული ფორმით მიუღებლობასთან, მის გაუქმებასთან დაკავშირებით. თუ ხელშეკრულებისაგან „თავის დაღწევის“ ნება აშკარად გამოვლენილია, ეს მიიჩნევა შეცილების განცხადებად (59 II 2).[12] 10

7. შეცილების ვადა

შეცდომით დადებული გარიგების შემთხვევებში შეცილების ვადას ეხება 79 I მუხლი, რომლის მიხედვითაც შეცილება უფლებამოსილი პირის მიერ გაცხადებულ უნდა იქნეს შეცილების საფუძვლის შეტყობიდან ერთი თვის ვადაში. 84-ე მუხლი აწესრიგებს შეცილების ვადას მოტყუებით დადებული გარიგებების შემთხვევებში, სადაც ვადა შეადგენს ერთ წელს და იგი „აითვლება იმ მომენტიდან, როცა შეცილების უფლების მქონემ შეიტყო შეცილების საფუძვლის არსებობის შესახებ“. იძულებით დადებული გარიგების შემთხვევაში შეცილების ვადა შეადგენს ერთ წელს იძულების დამთავრების მომენტიდან (89). 11

8. შეცილების უფლების ბრალისგან დამოუკიდებლობა

შეცილების უფლების განხორციელება შესაძლებელია ბრალეულობისაგან დამოუკიდებლად. არარელევანტურია ასევე ის, თუ ვის მიერ არის გა- 12

12 *ჩაჩანიძე*, სამოქალაქო კაზუსების ამოხსნის მაგალითები, 2012, გვ. 38.

მოწვეული შეცდომა და ა.შ. დაუდევრობით (ბრალით) გამოწვეული შეცდომა აფუძნებს 79 II 1 მუხლის მიხედვით ზიანის ანაზღაურების შემადგენლობას.

9. შეცილება არ უნდა იყოს გამორიცხული

13 შეცილება გამორიცხულია იმ შემთხვევაში, როდესაც შეცილების უფლების მქონე პირი გარიგებას დაადასტურებს (61 III). შეცილება გამორიცხულია ასევე იმ შემთხვევაში, როდესაც მეორე მხარე თანახმაა შეასრულოს გარიგება იმ მხარის სურვილის თანახმად, რომელსაც სურს საცილო გახადოს გარიგება (77). შეცილება, კეთილსინდისიერების პრინციპის გათვალისწინებით (8 III), შესაძლებელია ასევე გამორიცხული იყოს იმ შემთხვევებში, როდესაც ფაქტობრივად გამოვლენილი ნება სასურველი ნებისგან განსხვავდება, თუმცა, უკეთეს პირობებში აყენებს შეცილებაზე უფლებამოსილ პირს (დამატებით იხ. 77-ე მუხლის კომენტ. მე-4 ველი). შეცილების გამორიცხვის სამართლებრივ წინაპირობებზე საუბრისას უნდა აღინიშნოს ასევე, რომ იგი ეხება მხოლოდ არსებითი შეცდომის შემთხვევებს. წვრილმანი შეცდომები ვერ ჩაითვლება შეცილების საფუძვლად, მხარეს წარმოეშობა მხოლოდ მოთხოვნა მათ ჩასწორებაზე (78).

III. სამართლებრივი შედეგები

14 ქართული სამართალი ეყრდნობა **შეცილების თეორიას** (59 II). ეს კი გულისხმობს იმას, რომ შეცდომით დადებული გარიგების სამართლებრივი შედეგი შეცილების შემდგომ გამოიხატება გარიგების ბათილობაში მისი დადების მომენტიდან (ex tunc, 59 II). 59 II მუხლი ადგენს, რომ იმ შემთხვევაში, თუ შეცილება განხორციელდება ხელშეკრულების მეორე მხარის **მიმართ, გარიგება ბათილად იქნება ცნობილი მისი დადების მომენტიდან.** მაშასადამე, გარიგება შეცილებამდე ნამდვილი რჩება თავისი ძირითადი და დამატებითი ვალდებულებებით, ხოლო შეცილების შემდგომ, შესაბამისი სამართლებრივი წინაპირობების დადგენის შემთხვევაში, იგი ბათილად იქნება ცნობილი გარიგების საწყისი მომენტიდან (გაუქმებით პირობადებული გარიგება). შეცილების შედეგად გარიგების ბათილობა წარმოშობს კანონისმიერ მოთხოვნას უსაფუძვლო გამდიდრებიდან. მხარეებმა ერთმანეთს უნდა დაუბრუნონ მიღებული შესრულებები 976 I მუხლის თანახმად, ვინაიდან ვალდებულება „ბათილობის გამო შეწყდა შემდგომში“.[13] მოთხოვნის საფუძველი შესაძლოა ასევე იყოს 172 I მუხლი (ვინდიკაცია).

15 სადავოა საკითხი, თუ როდიდან იწყება შეცილების შემთხვევაში **ხანდაზმულობის საერთო ვადის** (10 წელი, 128 III) დენა უსაფუძვლო გამდიდრებიდან წარმოშობილი მოთხოვნისათვის. მიუხედავად იმისა, რომ შეცილების შედეგად ხელშეკრულება საწყისი მომენტიდან ბათილია, 130-ე მუხლის ფორმულირების გათვალისწინებით, უნდა მივიჩნიოთ, რომ ვადის დენის

13 თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო კოლეგიის 2005 წლის 5 იანვარი გადაწყვეტილება, №2/17825-14.

ათვლა უნდა დაიწყოს იმ მომენტიდან, როდესაც პირი შეცილებას განახორციელებს.

16 შეცილების 59 II 2 მუხლში განსაზღვრული შედეგი – გარიგების სრული ბათილობა – შეიძლება შეიცვალოს გარიგების **ნაწილობრივი ბათილობით,** თუ სავარაუდოა, რომ გარიგება დაიდებოდა მისი ბათილი ნაწილის გარეშეც (62). ამ შემთხვევაში ყურადღება ექცევა მხარეთა სავარაუდო ნებას, რომელიც ობიექტურად უნდა შეფასდეს. მხარეთა შინაგანი ნება არარელევანტურია.

17 როგორც აღინიშნა, შეცილების სამართლებრივი შედეგი არის გარიგების სრული ან ნაწილობრივი ბათილობა. იმ შემთხვევაში, როდესაც მხარეებს განხორციელებული აქვთ შესრულებები, მათი უკან დაბრუნება ხდება უსაფუძვლო გამდიდრების ნორმებით ან ვინდიკაციით.

18 79 II 1 მუხლი შეცილების ადრესატს ანიჭებს **ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის** უფლებას, როდესაც შეცდომა გამოწვეულია შეცილების განმახორციელებელი პირის დაუდევრობით. ანაზღაურებას ექვემდებარება ნეგატიური ინტერესი, რომელიც ანაზღაურდება შეუსრულებლობის შედეგად წარმოშობილი ზიანის (პოზიტიური ინტერესის) ზღვრამდე (დამატ. იხ. 79-ე მუხლის კომენტ.).

IV. მტკიცების ტვირთი

19 ის, ვინც იყენებს შეცილების უფლებას, უნდა დაამტკიცოს შეცდომის არსებობა, შეცდომის არსებითობა, და მიზეზობრივი კავშირი შეცდომასა და ნების გამოვლენას შორის.

V. საერთაშორისო-სამართლებრივი ასპექტი

20 „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 35 I მუხლის მიხედვით მხარეთა შეთანხმებით შესაძლებელია 72-73-ე მუხლების მოქმედების გამორიცხვა. ამ დროს გამოიყენება მხარეთა მიერ არჩეული სამართალი.

მუხლი 73. არსებითი შეცდომის სახეები

არსებით შეცდომად ითვლება, როცა:

ა) პირს სურდა დაედო სხვა გარიგება და არა ის, რომელზედაც მან გამოთქვა თანხმობა;

ბ) პირი ცდება იმ გარიგების შინაარსში, რომლის დადებაც მას სურდა;

გ) არ არსებობს ის გარემოებები, რომელთაც მხარეები, კეთილსინდისიერების პრინციპებიდან გამომდინარე, განიხილავენ გარიგების საფუძვლად.

I. შეცილების ნორმების სტრუქტურა და შინაარსი 416
II. მოწესრიგების სფერო 73 „ა“ 417
1. ნების გამოვლენის ნიშნებში დაშვებული შეცდომის ზოგადი მიმოხილვა 417
2. შეცდომა გარიგების ტიპის არჩევაში 418
3. დოკუმენტის წაუკითხავად ხელმოწერა (falsa demonstratio და მსგავსი შემთხვევები) 422
4. ელექტრონული და ავტომატიზებული ნების გამოვლენის შეცილება 424
III. შინაარსში დაშვებული შეცდომა (73 „ბ“) 425
1. ცნება 425
2. შინაარსში დაშვებული შეცდომის ცალკეული შემთხვევები 425
IV. გარიგების საფუძველში დაშვებული შეცდომა (73 „გ“) 427
1. ზოგადი მიმოხილვა 427
2. გარიგების საფუძველში დაშვებული შეცდომის გამოყენების ფარგლები 428

I. შეცილების ნორმების სტრუქტურა და შინაარსი

1 72-ე მუხლი უფლებამოსილ პირს ანიჭებს შეცილების უფლებას მაშინ, როდესაც შეცდომა არსებითია. 73-ე მუხლი აკონკრეტებს 72-ე მუხლის შინაარსს და ჩამოთვლის არსებითი შეცდომის იმ სახეებს, რომლებიც შეცილების საფუძველს ქმნიან. აუცილებელია აღინიშნოს, რომ კანონში არსებული ჩამონათვალი არ არის ამომწურავი. შეცილების სხვა საფუძვლები მოცემულია ასევე 74-ე და მომდევნო მუხლებში, სადაც ერთმანეთისგან იმიჯნება არსებითი და არაარსებითი შეცდომის სახეები (იხ. 72-ე მუხლის კომენტ., ველი I).

2 შეცილების ნორმების წყაროა ევროპული (მაგ., გერმანული, შვეიცარიული, იტალიური[1]) სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმები. თუმცა, ქართველმა კანონმდებელმა არ აირჩია რომელიმე ამ კოდექსის პირდაპირი სტრუქტურა და არ განახორციელა ნორმათა პირდაპირი რეცეფცია, არამედ განახორციელა სხვადასხვა კოდექსის ნორმათა სინთეზი.[2] მაგალ-

1 იხ. მსჯელობა *კერესელიძე*, უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 319.
2 იქვე.

ითად, შეცილების ნორმების ქართული სტრუქტურა ჩამოჰგავს შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსის ვალდებულებითი სამართლის წიგნის ნორმების სტრუქტურას, ვინაიდან შვეიცარიული შეცილების ნორმებიც ეყრდნობა შეცდომის არსებითობის თეორიას და შეცილების საფუძვლების კატალოგს იძლევა. თუმცა, შვეიცარიული კოდექსიდან არ იქნა გადმოტანილი შეცილების ყველა საფუძველი, არამედ მოხდა გერმანული და შვეიცარული და ასევე სხვა ევროპული კოდექსების ნორმების სინთეზი. ამის გამო, შესაძლებელია, შეცდომის სხვადასხვა სახე მოაზრებულ იქნეს ერთსა და იმავე ნორმაში. აღსანიშნავია ასევე, რომ გარკვეულ შემთხვევებში სახეზეა ნორმათა კონკურენციის მაგალითები (იხ. ქვემოთ 34-ე ველიდან). მაშასადამე, ქართული ნორმების კომენტირებისას ქართულთან ერთად, მიზანშეწონილია, გამოყენებულ იქნეს ასევე გერმანული და შვეიცარიული ლიტერატურა და სასამართლო პრაქტიკა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსში მოცემულია შეცილების საფუძვლების დადგენილი (პრაქტიკულად ამომწურავი[3]) ჩამონათვალი: არსებითი შეცდომის ექვსი დამოუკიდებელი სახე, რომლებიც მოწესრიგებულია 73-75-ე მუხლებში.[4]

II. მოწესრიგების სფერო (73 „ა“)

1. ნების გამოვლენის ნიშნებში დაშვებული შეცდომის ზოგადი მიმოხილვა

ნების გამოვლენის ნიშნებში დაშვებული შეცდომის შემთხვევაში ნების **3**
გამომვლენი შეცდომას უშვებს ნების გარეგნულ ჩამოყალიბებაში. ასეთი შეცდომა სახეზეა მაშინ, როდესაც გამოვლენილი ნება არ შეიცავს იმ ნიშნებსა და შინაარსს, რომელიც ნების გამომვლენს რეალურად სურდა, ანუ იგი არ შეესაბამება გამომვლენის რეალურ ნება-სურვილს.[5] როგორც წესი, ეს ის შემთხვევაა, როდესაც ნების გამომვლენი **(მექანიკურად) წერილობით ან ზეპირად უშვებს არსებით შეცდომას.** შეცდომის ეს სახე ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში მოხსენიებულია ასევე, როგორც „ხელის წაცდენის“ შემთხვევა.[6] მაგალითად, ნების გამოვლენის ნიშნებში დაშვებული შეცდომის სახე შეიძლება იყოს გამოთვლაში შეცდომა, როდესაც ნასყიდობის შეკვეთის მიცემისას შეცდომით ხდება ნივთების ოდენობის ან ფასის მითითება (მაგალითად, პირს უნდა 5 ცალი წიგნის შეკვეთა და შეცდომით უკვეთავს 55 ცალს; შეკვეთაში 100 ლარის ნაცვლად წერს 1000 ლარს, სასაჩუქრე კონვერტში 50 ლარის ნაცვლად შეცდომით დებს 100 ლარს[7] და ა.შ.). ნების

3 *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 367.

4 კომენტირებისას გაზიარებულია მიდგომა იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსში არსებითი შეცდომის 6 სახე განხილულ უნდა იქნეს ცალ-ცალკე და არა ორი დიდი ჯგუფის – ნების გამოვლენის ნიშნებში დაშვებული შეცდომისა და ნების გამოვლენის შინაარსში დაშვებული შეცდომის – ფარგლებში. აღნიშნულ მსჯელობასთან დაკავშირებით იხ. *ჯორბენაძე,* გარიგებაში დაშვებული შეცდომის სახეები საქართველოსა და გერმანიის სამოქალაქო კოდექსების მიხედვით, მართლმსაჯულება და კანონი N4-11, გვ. 81.

5 *Singer,* in Staudinger BGB, Eckpfeiler des Zivilrechts, 2011, BGB § 119, Rn. 34.

6 „Verschreiben“ გერმანულიდან – *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 325.

7 *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 368.

ელექტრონული საშუალებით გამოვლენის შემთხვევაში ე.წ. „მაუსით“ შეკვეთის ღილაკზეც შემთხვევით დაჭერაც აღნიშნულ შემთხვევათა ჯგუფში ხვდება. ამ დროს, როგორც წესი, სახეზეა ასევე ნების გამოვლენის ნიშნებში დაშვებული შეცდომა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პირს მოქმედების სურვილი საერთოდ არ ჰქონდა.[8]

4 სადავოა, თუ რამდენად არის შესაძლებელი ნების გამოვლენის ნიშნებში დაშვებული შეცდომა მოაზრებულ იქნეს 73 „ა“ მუხლის მოწესრიგების ფარგლებში, ვინაიდან 73 „ა-ს“ სიტყვასიტყვითი განმარტებიდან ვასკვნით, რომ იგი ეხება გარიგების ტიპში შეცდომას („სურდა დაედო სხვა გარიგება“). ლიტერატურაში გაზიარებული მოსაზრების თანახმად, 73 „ა“ მოიცავს არა მარტო გარიგების ტიპში შეცდომას, არამედ მასში შესაძლებელია მოაზრებულ იქნეს ასევე ნების გამოვლენის ნიშნებში დაშვებული შეცდომებიც.[9] შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ სამოქალაქო კოდექსი არ შეიცავს ზემოაღნიშნული შემთხვევის მოწესრიგების ცალკე ნორმას, მიზანშეწონილია 73 „ა“ მუხლი ფართოდ განიმარტოს და მასში იქნეს გათვალისწინებული ნების გამოვლენის ნიშნებში დაშვებული (ე.წ. „მექანიკური“) არსებითი შეცდომების შემთხვევები.[10] ნაკლებად სავარაუდოა ის, რომ კანონმდებელმა ამ შემთხვევების პირდაპირი მოწესრიგებისგან თავის შეკავებით შეცდომის ამ სახის შეცილებაზე უარი თქვა. ამაზე მეტყველებს ისიც, რომ შუამავლის მიზეზით დაშვებული შეცდომაც ნების გამოვლენის ნიშნებში დაშვებული შეცდომის ერთ-ერთი სახეობაა, თუმცა, იგი მე-80 მუხლში გვხვდება.

5 ბუნდოვანია 73 „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებში გამოყენებული ტერმინი „გარიგება“. მისი საკანონმდებლო დეფინიცია მოცემულია 50-ე მუხლში და განმარტებულია, როგორც ცალმხრივი, სამართლებრივი შედეგის წარმოშობისკენ მიმართული ნების გამოვლენა; იმ შემთხვევაში, თუ 73 „ა“ მუხლი გააზრებული იქნება ამ ჭრილში, ცალსახაა, რომ საქმე ეხება პირის მიერ ნების გამოვლენას, რომელიც მას არ სურდა; აღნიშნული კი ქმნის ნების გამოვლენის ნიშნებში დაშვებული შეცდომის კლასიკურ შემადგენლობას.[11]

2. შეცდომა გარიგების ტიპის არჩევაში

6 როგორც ზემოთ მსჯელობისას აღინიშნა, 73 „ა“ მუხლის სიტყვასიტყვითი განმარტებიდან გამომდინარეობს, რომ მისი საგანი არის შეცდომა გარიგების ტიპის არჩევაში (error in negotio). გარიგების ტიპის არჩევაში შეცდომა მოცემულია მაშინ, როდესაც დადებული გარიგება მთელი თავისი შინაარსით შესაძლებელია შეფასდეს სხვა სახის გარიგებად, ვიდრე ის გარიგება, რომელიც ერთ ან ორივე მხარეს სურდა.[12] მაგალითად, მხარეები

8 *Singer,* in Staudinger BGB, Eckpfeiler des Zivilrechts, 2011, BGB § 119, Rn. 35.

9 *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 367-368.

10 აღნიშნულ მოსაზრებას იზიარებს ასევე *კერესელიძე,* კერძო სამართლის უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 325-326.

11 *როლფ კნიპერი,* 20.12.2014-ის სამოქალაქო კოდექსის ავტორების სამუშაო შეხვედრის დისკუსიის მასალები.

12 *ზოიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 73 გვ. 224; *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი

დებენ სასყიდლიან გარიგებას უსასყიდლოს ნაცვლად, ნასყიდობის ხელშეკრულებას სამისდღემშიო ხელშეკრულების ნაცვლად, თხოვებას ჩუქების ნაცვლად,[13] თავდებობას ინფორმაციის შეტყობინების ვალდებულების კისრების ნაცვლად; წარმომადგენლის მიერ საკუთარი სახელით მოქმედება წარმოდგენილის სახელის ნაცვლად და ა.შ.

7 აღსანიშნავია, რომ შეცილების საფუძველს არ იძლევა ის შემთხვევა, როდესაც პირი სასურველი ხელშეკრულების სამართლებრივი შედეგების კვალიფიკაციაში ცდება (მაგ., პასუხისმგებლობაში), ვინაიდან ამ შემთხვევაში მხარე არ ცდება უშუალოდ გარიგების სახეში. გარიგების ტიპის არჩევაში შეცდომად ჩაითვლება ასევე ის შემთხვევა, როდესაც პირი ბანკში ხელს მოაწერს თავდებობის ხელშეკრულებას, როდესაც ეგონა მხოლოდ მსესხებლის შესახებ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას აწერდა ხელს და ეს ობიექტურად დასტურდება.

8 ლიტერატურაში გავრცელებულია შეხედულება, რომ გარიგების ტიპის არჩევაში შეცდომა განხილულ უნდა იქნეს არა მარტო შეცდომით დადებული სხვა გარიგების სახით, არამედ ასევე შეცდომად ამ გარიგების შიგნითაც.[14] გარიგების ტიპში დაშვებული შეცდომის ამგვარი განმარტება შეიცავს რისკს, შეცდომის ამ სახის აღრევისა სხვა შეცდომის სახეებში, მაგალითად, შინაარსში დაშვებულ შეცდომასთან (73 „ბ“), მიუხედავად იმისა, რომ გარიგების ტიპში შეცდომა შესაძლებელია ასევე მოაზრებულ იქნეს შინაარსში დაშვებული შეცდომის ნაირსახეობად.[15] ეს მიდგომა ვერ იქნება გაზიარებული: 73 „ა“ მუხლის ფარგლებში შესაძლებელია დამატებით მხოლოდ მოაზრებულ იქნეს ნების გამოვლენის ნიშნებში დაშვებული შეცდომა, რაზედაც ზემოთაა მსჯელობა მოცემული.[16] 73 „ა“ მუხლის მოქმედების არეალი უნდა განისაზღვროს ვიწროდ და დაუშვებელია მისი ფართო გავრცელება უშუალოდ „გარიგების შიგნით“ დაშვებულ შეცდომებზე.[17]

9 საინტერესოა შემთხვევა, როდესაც სახელშეკრულებო ურთიერთობისას, ერთ-ერთი მხარის მიერ შეთანხმებულისგან განსხვავებით, **სხვა ნივთის ან უფრო მეტი რაოდენობის მიწოდება ხდება.** ზოგადი თვალსაზრისით, მიზანშეწონილია, მხარეს ასეთ შემთხვევაში მიენიჭოს უფლება, საცილო

ნაწილი, 2011, გვ. 367.

13 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2004 წლის 6 თებერვლის №3კ/992-02 განჩინება.

14 მაგ. *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 368; იზიარებს *ჯორბენაძე,* გარიგებაში დაშვებული შეცდომის სახეები საქართველოსა და გერმანიის სამოქალაქო კოდექსების მიხედვით, მართლმსაჯულება და კანონი, N4-11, გვ. 82.

15 *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 326-327; Irrtum über den Geschäftstyp – *Ellenberger,* in Palandt BGB Komm., 70. Aufl. § 119, Rn. 12; *როლფ კნიპერი,* 20.12.2014-ის სამოქალაქო კოდექსის ავტორების სამუშაო შეხვედრის დისკუსიის მასალები.

16 აღნიშნულზე მიუთითებს ასევე *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 368-ში გამოყენებული მაგალითი: „ა“-ს უნდოდა „ბ“-სთვის ეჩუქებინა 50 ლარი. შეცდომით კონვერტში ჩადო 100 ლარი.

17 თუმცა, საპირისპირო არგუმენტი შესაძლოა იყოს ის, რომ ნორმაში მოცემულია ფორმულირება „დაედო სხვა გარიგება“ და არა „დაედო სხვა სახის გარიგება“. შესაბამისად, საპირისპირო მოსაზრებით, იმ შემთხვევაში, თუ ფართოდ განიმარტება „ა“ ქვეპუნქტი, მხარის ნებისმიერი შეცდომა, რომელიც დაკავშირებულია გარიგებასთან, შესაძლოა მოაზრებული ყოფილიყო „ა“ ქვეპუნქტის მოწესრიგების ფარგლებში.

გახადოს შეცდომით გამოვლენილი ნება ნების გამოვლენის ნიშნებში დაშვებული შეცდომის გამო და მის მიერ მიწოდებული სხვა ნივთი ან ზედმეტი ოდენობა გამოითხოვოს უსაფუძვლო გამდიდრების ნორმების საფუძველზე[18] (მაგ., თხოვების ხელშეკრულების საფუძველზე „ა“ აგზავნის ტელევიზორს და შეცდომით აყოლებს დამატებით ხმის გამაძლიერებელ მოწყობილობას,[19] ან „ა-ს“ სურს „ბ-სთვის“ 50 ლარის ჩუქება და შეცდომით კონვერტში 100 ლარს დებს[20]). გარიგების ნაწილობრივი ბათილობა ამ შემთხვევაში გამოყენებადია, თუ სავარაუდოა, რომ გარიგება დაიდებოდა მისი ბათილი ნაწილის გარეშეც (62). კეთილსინდისიერების პრინციპთან შეუსაბამო იქნებოდა, თუ მხარეს მივანიჭებდით უფლებას, გარიგების ტიპში დაშვებული შეცდომის გამო მსგავს შემთხვევებში სრულად ეთქვა უარი ხელშეკრულებაზე.

10 ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს შეცილების უფლებისა და ნაკლის გამო წარმოშობილი მეორადი მოთხოვნების გამოყენების შემთხვევები. მაგ. ნასყიდობის სამართალი ნივთის ნაკლად არ მიიჩნევს ზედმეტი რაოდენობით ან შეკვეთილთან შედარებით ძვირად ღირებული ნივთის მიწოდებას, მაშინ, როდესაც სხვა ნივთის მიწოდება ან მცირე რაოდენობით მიწოდება ნივთის ნაკლს უთანაბრდება (შდრ. 488 II). შესაბამისად, ამ შემთხვევაში გამყიდველი მყიდველისგან ვერ მოითხოვს საქონლის ზედმეტად მიწოდებული რაოდენობისთვის თანხის გადახდას და მყიდველს არ აქვს უფლება დაიტოვოს საქონლის დამატებითი ოდენობა, ვინაიდან ის მას არ შეუძენია.[21] მან გამყიდველს ზედმეტი ოდენობა უნდა გადასცეს 976-ე და შემდგომი მუხლების შესაბამისად, იმ შემთხვევაში, როდესაც გამყიდველი საცილოდ ხდის ზედმეტად მიწოდებულ შესრულებას.[22] სხვა მხრივ, მხარეების მიერ ხელშეკრულების შემდგომი შეცვლისა და ზედმეტი რაოდენობის მიღების უფლება ხელუხლებელი რჩება.

11 პრაქტიკული თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია, 73 „ა“ მუხლის გამოყენების წინაპირობების დაზუსტება. პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც მხარეები დებენ ერთი ტიპის გარიგებას მეორე ტიპის გადასაფარავად ან სამართლებრივი შედეგების მარტივად მისაღწევად. მაგალითად, ასეთი შემთხვევები შეიძლება იყოს სახეზე სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებებთან მიმართებით, როდესაც მხარეები ფაქტობრივად ზეპირად დებენ სესხის ხელშეკრულებას და უზრუნველყოფის საშუალებად არ იყენებენ იპოთეკას, არამედ დებენ ნასყიდობის ხელშეკრულებას უკან გამოსყიდვის დათქმით (509-ე და შემდგომი მუხლები). ამავე სამართლებრივი კონსტრუქციით „იდება“ ე.წ. „ბინის დაგირავების“ ურთიერთობებიც, როდესაც გამსესხებელი იღებს თანხას, ხოლო მსესხებელი (უძრავი ქონების მესაკუთრე) გამსესხებელს გადასცემს თავის ბინას იქ ცხოვრების უფლებით და დებს ნასყიდობის ხელშეკრულებას უკან გამოსყიდვის დათქმით. ასეთ

18 შდრ. *Weidenkaff,* in Palandt BGB Komm., 70. Aufl., § 434, Rn. 57.

19 *ჯორბენაძე,* გარიგებაში დაშვებული შეცდომის სახეები საქართველოსა და გერმანიის სამოქალაქო კოდექსების მიხედვით, მართლმსაჯულება და კანონი N4-11, გვ. 82.

20 *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 368.

21 *Weidenkaff,* in Palandt BGB Komm, 70. Aufl., § 434, Rn. 57.

22 *Tiedtke/Schmitt,* JZ 04, 1092; თუმცა, ეს მიდგომა გერმანულ სამართალში სადაოდაა მიჩნეული.

დროს გამსესხებელი სამართლებრივად უკეთეს მდგომარეობაშია, ვიდრე იქნებოდა იპოთეკის შემთხვევაში, ვინაიდან მას არ უწევს იპოთეკით უზრუნველყოფილი ქონების რეალიზაცია აუქციონის გზით, რამეთუ ქონება უკვე მის სახელზეა რეგისტრირებული. ამ დროს მნიშვნელოვანია გაირკვეს, თუ რამდენადაა შესაძლებელი, მხარემ 73 „ა“ მუხლის საფუძველზე საცილოდ გახადოს გარიგება იმაზე მითითებით, რომ მას ნასყიდობის ნაცვლად სესხის და იპოთეკის ხელშეკრულებების დადება სურდა.

12 გარიგების ტიპში დაშვებული შეცდომის გამო შეცილების უფლების განხორციელება იმ შემთხვევებში, როდესაც გარიგება მოწმდება სანოტარო წესით, პრაქტიკული თვალსაზრისით, შესაძლოა გამოირიცხოს მაშინ, როდესაც **ნოტარიუსმა სანოტარო მოქმედებები კანონის სრული დაცვით განახორციელა.** ეს კი თავისთავად გულისხმობს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც ნოტარიუსმა „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის 38 III მუხლის მიხედვით, სრულად შეასრულა მასზე დაკისრებული კონსულტაციის ვალდებულება და მხარეს განუმარტა, თუ რა ხელშეკრულებაზე აწერს ხელს, რა ვალდებულებებს კისრულობს და უფლებებს იძენს, არაგონივრული იქნება 73 „ა“ მუხლის საფუძველზე მივიჩნიოთ არსებითი შეცდომის არსებობა. ნოტარიუსის მიერ ხელშეკრულების დამოწმება გულისხმობს სწორედ იმას, რომ მხარეს სრული შესაძლებლობა აქვს, გაიაზროს რა ხელშეკრულებას აწერს ხელს. შესაბამისად, სამართლებრივ დაცვას არ იმსახურებს მხარე, თუ იგი არ ან ვერ გაიგებს ნოტარიუსის განმარტებას, ან წაუკითხავად მოაწერს ხელს (ამასთან დაკავშ. ქვემოთ მე-18 ველიდან). თუმცა, აქვე ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ პრაქტიკაში ნოტარიუსების მიერ ძირითადად შემთხვევებში ხდება ხელმოწერის დადასტურება და არა გარიგების შინაარსის დამოწმება.[23]

13 სხვა შემთხვევა გვაქვს, როდესაც **ნოტარიუსი სანოტარო მოქმედებებს კანონის სრული დაცვით არ განახორციელებს.** ეს შესაძლოა მოცემული იყოს მაშინ, როდესაც ნოტარიუსი მხარეს განზრახ შეიყვანს შეცდომაში, ან, მაგალითად, არ მოიწვევს თარჯიმანს მაშინ, როდესაც მხარემ ხელშეკრულების ენა არ იცის. 73 „ა“ მუხლის გამოყენების წინაპირობები შესაძლოა სახეზე იყოს იმ შემთხვევაში, როდესაც ნოტარიუსი არასაკმარისად მიაწვდის მხარეს ინფორმაციას გარიგების ტიპისა და იმ უფლებებისა და ვალდებულებებს შესახებ, რომლებსაც იგი იძენს. შესაძლებელია, ამ შემთხვევაში სახეზე იყოს მოტყუების გამო შეცილების შემთხვევაც (81), თუ ხელშეკრულების მეორე მხარემ იცის მოტყუების შესახებ (83).

14 საინტერესოა უზენაესი სასამართლოს მიერ განხილული შემთხვევა,[24] სადაც მხარე, რომელმაც არ იცოდა მხოლოდ ქართულად წერა-კითხვა (თუმცა, შეეძლო საუბარი), აცხადებდა, რომ მას სურდა დაედო იპოთეკის ხელშეკრულება, თუმცა ნოტარიუსმა მას ნასყიდობის ხელშეკრულებაზე

23 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 11 ნოემბრის №ას-429-671-08 გადაწყვეტილება.

24 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 19 დეკემბრის №ას-525-870-07 განჩინება.

მოაწერინა ხელი ისე, რომ გასაგებად არ განუმარტა დოკუმენტის შინაარსი და არ მოუწვევია თარჯიმანი. აღნიშნულ შემთხვევაში უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ადგილი ჰქონდა გარიგების ტიპში დაშვებულ შეცდომას, თუმცა მიუთითა, რომ, უპირველეს ყოვლისა, უნდა გამოკვლეულიყო სანოტარო მოქმედების კანონთან შესაბამისობა, ვინაიდან, თუ დადგინდებოდა, რომ ნოტარიუსის მიერ დაირღვა სანოტარო აქტის შედგენის წესი, ეს გამოიწვევდა სანოტარო აქტის სრულად ბათილობას. ნოტარიუსის მიერ სანოტარო აქტის დადგენილი წესებით არშედგენა (ზოგ შემთხვევაში და არა ყოველთვის) იწვევს ამ სანოტარო აქტის ბათილობას 59-ე მუხლის საფუძველზე (იხ. 69-ე მუხლის კომენტ., ველი 21). ამ შემთხვევაში, მხარე, რომელიც ითხოვს გარიგების ბათილობას, სამართლებრივად უკეთეს მდგომარეობაშია, ვინაიდან სანოტარო მოქმედებების დარღვევით დამოწმებული გარიგება უცილოდ ბათილია 59-ე მუხლის საფუძველზე, ხოლო 73 „ა“ მუხლის საფუძველზე გარიგების გაბათილება მოითხოვს მხარის მიერ განსაზღვრულ ვადაში (79 I, ერთი თვე) შეცილებას (საცილო გარიგება).

15 ზემოაღნიშნულის მსგავს შემთხვევებში გამოკვლეულ უნდა იქნეს ასევე, სახეზე ხომ არ არის თვალთმაქცური გარიგების შემთხვევა. აღნიშნულს პრაქტიკაში ხშირად აქვს ადგილი, ვინაიდან, როგორც ზემოთ აღინიშნა, მხარეები, მაგალითად, ნასყიდობის ხელშეკრულებით, სადაც განსაზღვრული იყო უკან გამოსყიდვის პირობა, ფარავდნენ სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებას. ამ შემთხვევაში, თუ დადგინდება თვალთმაქცური გარიგების არსებობა, ვერ იმოქმედებს დაფარული გარიგების მიმართ მოქმედი წესები, ვინაიდან სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების ნამდვილობისთვის აუცილებელია წერილობითი ფორმა და საჯარო რეესტრში რეგისტრაცია. შესაბამისად, მთლიანი გარიგება ბათილად ჩაითვლება.

16 ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წერილობით დადებული გარიგებების შემთხვევებში 73 „ა“ მუხლის გამოყენების მასშტაბი ექვემდებარება მთელი რიგი ობიექტური და სუბიექტური წინაპირობების არსებობას. 73 „ა“ მუხლის ფარგლებში შესაძლებელია განხილულ იქნეს ნების გამოვლენის ნიშნებში დაშვებული შეცდომის შემთხვევათა რამდენიმე ჯგუფი (იხ. ქვემოთ).

17 73 „ა“ მუხლის მოწესრიგების სფეროში შესაძლოა მოხვდეს ასევე ისეთი შემთხვევები, როდესაც პირს საერთოდ არ სურს ნების გამოვლენა და ის სრულიად გაუაზრებლად იყენებს ნების გამოვლენის ნიშანს (მაგ., აუქციონზე შეცდომით ხელის აწევა და სხვ.).[25]

3. დოკუმენტის წაუკითხავად ხელმოწერა (falsa demonstratio და მსგავსი შემთხვევები)

18 ე.წ. falsa demonstratio-ს შემთხვევა გვაქვს მაშინ, როდესაც გარიგების შინაარსი არ ასახავს იმას, რაზედაც მხარეები ზეპირად შეთანხმდნენ

25 *ჩაჩანიძე,* სამოქალაქო კაზუსების ამოხსნის მაგალითები, გვ. 16-21; MüKo*/Armbrüster,* 6. Auflage 2012, § 119, Rn. 49

(ორივე მხარე ცდება).[26] მაგალითად, მხარეები იყენებენ არასწორ ტერმინს გარიგების საგნის აღსანიშნავად, თუმცა, ორივე მხარე ერთსა და იმავე საგანს გულისხმობს. ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც მხარეთა მიერ ზეპირად მიღწეული შეთანხმება დოკუმენტში არასწორად ან არასრულად არის გადმოცემული და დოკუმენტი, ამასთანავე, შეიცავს პირობას, რომლის მიხედვითაც **„ზეპირ შეთანხმებებს ყურადღება არ ექცევა“**, უნდა მივიჩნიოთ, რომ სახეზეა მხარეთა ნორმატიული თანხმობა და, ხელშეკრულებისა და მასში განსაზღვრული პირობის მიუხედავად, მოქმედებს მხარეთა მიერ ზეპირად შეთანხმებული პირობები;[27] ამ შემთხვევაში არ მოქმედებს შეცილების უფლება, თუმცა მხარეს ეკისრება მტკიცების ტვირთი, რომ ზეპირად შეთანხმებულ იქნა დოკუმენტისგან განსხვავებული პირობები.[28] ეს მიდგომა გაზიარებულია ხელშეკრულების სტანდარტული პირობების შემთხვევაში, სადაც მხარეთა მიერ შეთანხმებულ პირობებს უპირატესობა ენიჭება ფორმულარში განსაზღვრულ სტანდარტულ პირობებთან მიმართებით (შდრ. 342 III).

19 falsa demonstratio-თან დაკავშირებით მიზანშეწონილია გამოიყოს ორი შემთხვევა: პირველი, როდესაც მხარეს **საერთოდ არ აქვს წარმოდგენა** (არ არის დაინტერესებული ნების გამოვლენის შინაარსის გაცნობით) ნების გამოვლენის შინაარსთან დაკავშირებით და მეორე შემთხვევა, როდესაც მას აქვს **არასწორი წარმოდგენა.** პირველ შემთხვევაში შეცილების უფლება გამორიცხულია. შეცილების უფლებას იძლევა მხოლოდ მეორე შემთხვევა. ეს მიდგომა სამართლიანია, ვინაიდან, თუ პირი გულგრილად მოეკიბა დოკუმენტის შინაარს, არ გაეცნო მას და მისთვის „სულ ერთია“ რას აწერს ხელს, ის არ იმსახურებს სამართლებრივ დაცვას.[29] გარდა ამისა, შეცდომა წინაპირობად აწესებს მხარის მიერ გარემოებების პოზიტიურ ცოდნას, წარმოდგენას, შესაბამისად, მას ვისაც საერთოდ არ აქვს წარმოდგენა გარემოებების მიმართ, ის ვერც შეცდომას დაუშვებს. იგივე წესი მოქმედებს ხელშეკრულების სტანდარტული პირობების მიმართ, თუმცა, ხელშეკრულების სტანდარტული პირობების უჩვეულო დებულებებისგან დაცვის უფლება მხარეს უნარჩუნდება 344-ე მუხლის თანახმად.

20 გასაზიარებელია გერმანული სამართლის მიდგომა **ენის არმცოდნე უცხოელთან დაკავშირებით:** შეცდომის გამო შეცილება გამოირიცხება იმ შემთხვევებში, როდესაც გერმანული ენის არმცოდნე უცხოელი დოკუმენტის ტექსტს ვერ გაიგებს და ისე მოაწერს ხელს, თუმცა, ზუსტად იცის, რომ დოკუმენტი შესაძლოა ცდებოდეს შინაარსის მიმართ მის წარმოდგენას;[30] იგივე წესი მოქმედებს ასევე ხელშეკრულების სტანდარტული პირობების მიმართ, როდესაც ის შედგენილია მხარისთვის უცხო ენაზე, ხოლო მხარე, ენის უცოდინრობის მიუხედავად, გაცნობიერებულად არ ინტერესდება მისი

26 MüKo/*Kanzleiter,* 6. Auflage 2012, § 311b, Rn. 67.
27 MüKo/*Armbrüster,* 6. Auflage 2012, § 119, Rn. 49.
28 *Wendtland,* Beck'scher Online-Kommentar BGB, § 119, Rn. 23.
29 MüKo/*Armbrüster,* 6. Auflage 2012, § 119, Rn. 50.
30 იქვე, Rn. 51.

შინაარსით და აწერს ხელს.[31] ამ შემთხვევისგან უნდა განვასხვაოთ ის გარემოება, როდესაც ენის არმცოდნემ საერთოდ არ იცის, რომ იგი დოკუმენტზე ხელმოწერით გარიგების დადებაზე გამოხატავს ნებას (არ იცის, რომ ავლენს ნებას).[32] მაშასადამე, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ყურადღება უნდა მიექცეს შემთხვევის ობიექტურ და სუბიექტურ გარემოებებს.

21 რაც შეეხება მეორე შემთხვევას, როდესაც პირი ხელს აწერს წაუკითხავ დოკუმენტს, თუმცა, **დოკუმენტის შინაარსის მიმართ არასწორი წარმოდგენა აქვს,** როგორც წესი, მას ენიჭება შეცილების უფლება შინაარსში დაშვებული შეცდომის გამო 73 „ბ“ მუხლის თანახმად და ასევე მაშინაც, როდესაც უხეში გაუფრთხილებლობაა სახეზე.[33] ამ შემთხვევაში ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს 73 „ა-სა“ და 73 „ბ-ს“ მოქმედების სფეროები. იმ შემთხვევაში, როდესაც პირი წაუკითხავად აწერს ხელს დოკუმენტს და ამ დოკუმენტის კონკრეტულ შინაარსში ცდება, სახეზეა 73 „ბ-ს“ შემთხვევა. ეს შემთხვევა შესაძლოა მოცემული იყოს მაშინ, როდესაც, მაგალითად, ნაკარნახევი ტექსტი არასწორად იქნება გადატანილი დოკუმენტში და მხარე ყურადღების მიუქცევლად მოაწერს ხელს, ან ნოტარიუსი დოკუმენტში შეიტანს დამატებით პირობას, რაზედაც მხარეები არ შეთანხმებულან და მხარეს ეს ცვლილება გამოეპარება. ამისგან განსხვავებით, 73 „ა-ს შემთხვევა გვექნება მაშინ, როდესაც პირი სრულიად სხვა გარიგების ტიპს მოაწერს ხელს მაშინ, როდესაც სულ სხვა გარიგების დადება სურდა.

22 დამატებით უნდა გამოიყოს ის შემთხვევა, როდესაც ერთი პირი მეორეს **დოკუმენტის შედგენის** უფლებას გადასცემს და შემდგომ ამ დოკუმენტს წაუკითხავად მოაწერს ხელს. იმ შემთხვევაში, თუ პირი მის საქმიან პარტნიორს გადასცემს დოკუმენტის შედგენის უფლებას, ხოლო ეს უკანასკნელი ზეპირად შეთანხმებულისგან განსხვავებულ ტექსტს შეადგენს, მაშინ მხარეთა შორის იმოქმედებს ზეპირად შეთანხმებული პირობები (იხ. ზემოთ მე-18 ველი).[34] ამისგან განსხვავებით, თუ პირი თავის საქმიანობის სფეროში მოქმედ პირს დაავალებს დოკუმენტის შედგენას, ხოლო შემდგომ წაუკითხავად მოაწერს ხელს, მაშინ იგი ვეღარ მოითხოვს გარიგების ბათილობას, ვინაიდან, ამ შემთხვევაში, იგივე წესი მოქმედებს, როგორც წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭებისას.[35]

4. ელექტრონული და ავტომატიზებული ნების გამოვლენის შეცილება

23 ელექტრონულად მონაცემთა მიმოცვლის დროს არ მოქმედებს განსაკუთრებული წესები. იმ შემთხვევაში, როდესაც ნების გამომვლენი უშვებს მექანიკურ შეცდომას ელექტრონული ფოსტის, მოკლე ტექსტური შეტყობინების, ფაქსის და ა.შ. შედგენისას, მას შეუძლია თავისი ნება საცილო გახადოს

31 დასახელებული ნაშრომი.
32 იქვე, Rn. 52.
33 იქვე, Rn. 53.
34 იქვე, Rn. 51.
35 *Flume*, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, 3. Aufl., 1979, § 23/2 b (S. 454); s. auch *Soergel/Hefermehl* Rn. 16.

73 „ა“ მუხლის თანახმად, ზუსტად ისევე, როგორც ამას ადგილი ექნებოდა დოკუმენტში (ქაღალდზე) ან ზეპირად დაშვებული შეცდომის დროს.

III. შინაარსში დაშვებული შეცდომა (73 „ბ”)

1. ცნება

73 „ბ“ მუხლი აწესრიგებს შინაარსში დაშვებულ შეცდომას. შინაარსში დაშვებული შეცდომის შემთხვევაში ნების გამომვლენი პირი შეცდომას უშვებს ნების გამოვლენის ნიშნების ობიექტურ მნიშვნელობაში.[36] გამოვლენილ ნიშანს იგი სუბიექტურად უსადაგებს სხვა მნიშვნელობას მაშინ, როდესაც ობიექტურად გამოყენებულ ნიშანს სულ სხვა მნიშვნელობა აქვს. ნების გამოვლენის ნიშნებში დაშვებული შეცდომისაგან განსხვავებით, შინაარსში დაშვებული შეცდომის შემთხვევაში, ნების გამომვლენის მიერ გარეგნულად გამოხატული ნება შეესაბამება მის შინაგან ნებას. ნების გამომვლენმა იცის რასაც ამბობს, მაგრამ მან არ იცის ის, თუ ამ ქმედებით რა შედეგი დგება.[37] ეს, როგორც წესი, სახეზეა სპეციალური ტერმინების გამოყენების, უცხო ენაზე ნების გამოვლენის ან შემოკლებების გამოყენების შემთხვევებში. შინაარსში შეცდომას შესაძლოა უშვებდეს როგორც ნების გამომვლენი, ასევე ნების მიმღებიც.[38] **24**

გასაზიარებელია 73-ე მუხლის ქვეპუნქტების მოწესრიგების სფეროებთან დაკავშირებით მოცემული მოსაზრება, რომლის მიხედვითაც 73 „ბ“ მუხლი შინაარსში დაშვებული შეცდომის მომწესრიგებელი ზოგადი ნორმაა, რომელიც კლასიკური გაგებით თავის თავში შესაძლოა „გარიგების სახეში (ტიპში) შეცდომას“ მოიცავდეს, „პირში შეცდომას“ და „გარიგების საგანში შეცდომას“.[39] **25**

5. შინაარსში დაშვებული შეცდომის ცალკეული შემთხვევები

მნიშვნელოვანია შინაარსში დაშვებული შეცდომის განხილვა ე.წ. falsa demonstracio-სთან კავშირში: 52-ე მუხლის მიხედვით, მხარეთა ნების განმარტებისას, აუცილებელია მათი ნამდვილი ნების დადგენა. აღნიშნული მნიშვნელოვანია, მაშინაც, როდესაც სავალდებულო ფორმასთან გვაქვს საქმე. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების განმარტებისას დადგინდება, რომ მხარეებმა მიაღწიეს შეთანხმებას, თუმცა ნების გამოვლენის ნიშნებს შეუსაბამო მნიშვნელობა მიანიჭეს (მაგ., ორივე მხარე იყენებს წონის ერთეულ ფუნტს და მიაჩნიათ, რომ ერთი ფუნტი უდრის 500 გრამს), ყურადღება არ მიექცევა ნიშნების შეცდომით გამოყენებას (არამედ ჩაითვლება, რომ მხარეები შეთანხმდნენ 500 გრამზე და არა ფუნტის რეალურ მნიშვნელობა- **26**

36 *Köhler,* BGB AT, 39. Aufl., § 7, Rn. 17.
37 *კროპჰოლერი,* გსკ-ის სასწავლო კომენტარი, თარგმანი, § 119, მე-11 ველი.
38 MüKo*/Armbrüster,* 6. Auflage 2012, § 119, Rn. 57.
39 *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 327-328.

ზე – 1 ფუნტი = 453,6 გრამს) და ძალაში დარჩება მხარეთა მიერ გამოხატული ნამდვილი ნება.[40] შესაბამისად, ამ დროს არ წარმოიშობა შეცილების უფლება.

27 შეცილების უფლება გამოირიცხება ასევე მაშინ, როდესაც ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე შეცდომით იყენებს ნების გამოვლენის ნიშანს, თუმცა მეორე მხარისთვის ეს შესამჩნევია (ან გაუფრთხილებლობის გამო შეუმჩნეველი რჩება).[41] ხელშეკრულების ნორმატიული განმარტების შედეგად, ნების გამომვლენი პირი ამ შემთხვევაში არ არის არასწორი გამოხატვის ნიშნით შებოჭილი, თუ მეორე მხარისთვის შეცდომა ცალსახად შესამჩნევი იყო ან/და გარემოებების გათვალისწინებით მას მხარის შეცდომა უნდა შეემჩნია. ამ დროს ნების გამოვლენის ის შინაარსია გადამწყვეტი, რაც მხარემ (რომელიც შეცდომას უშვებს) გარიგებას დაუდო საფუძვლად. მაგალითად, გამყიდველი მყიდველთან აწარმოებდა მოლაპარაკებებს მანქანის მიყიდვის თაობაზე, რომელსაც იგი 10 000 $-ად აფასებდა. მხარეები ფასზე ვერ შეთანხმდნენ, თუმცა, მოგვიანებით გამყიდველმა მყიდველს წერილობით შეცდომით შეატყობინა, რომ თანახმა იყო, მანქანა მიეყიდა 1000 $-ად. მყიდველმა „დაიჯერა“, რომ გამყიდველმა მას ფასი დაუკლო და მისწერა „თანახმა ვარ“. ამ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულება 1000 $-ზე დაიდო, ხელშეკრულება ითვლება მაინც 10 000 $-ზე დადებულად, ვინაიდან მეორე მხარისთვის ცხადი უნდა ყოფილიყო, რომ მხარე შეცდომას უშვებდა და 9000 $-ს ასე მარტივად არ დააკლებდა. თუმცა, მყიდველს უფლება რჩება (თუ არ უღირს), შინაარსში დაშვებული შეცდომის გამო თვითონვე საცილოდ გახადოს 10 000 $-ზე დადებული გარიგება.

28 იგივე წესი მოქმედებს ცალმხრივი ნების გამოვლენასთან დაკავშირებით. მაგალითად იმ შემთხვევაში, თუ პირს სასტუმროში დაჯავშნილი აქვს ნომერი ე.წ. „double lux“ და შეცდომით სასტუმროს შეატყობინებს „single lux“-ის გაუქმების თაობაზე, სასტუმრო მოგვიანებით ვერ მოითხოვს პირისგან ჯარიმის გადახდას ნომრის არგაუქმების გამო, თუ მისთვის ცხადი იყო, რომ პირს შეტყობინებით „double lux“-ის გაუქმება სურდა, რამეთუ მას მხოლოდ ეს ერთი ნომერი ჰქონდა დაჯავშნილი.

29 შემთხვევას, როდესაც ხელშეკრულების განმარტების შედეგად დგინდება, რომ მხარეთა მიერ გამოვლენილი ნება ერთმანეთს არ ფარავს, მიუხედავად იმისა, რომ მხარეებს შეცდომით მიაჩნიათ, რომ მიაღწიეს შეთანხმებას, ეწოდება **ფარული უთანხმოება**.[42] ამ დროს მოცემულია შეცდომისგან თავისუფალი მხარეთა ნების გამოვლინებები, თუმცა, მხარეები არასწორად იგებენ ერთმანეთის ნებას, ვინაიდან ხელშეკრულების შეცილება წინაპირობად აწესებს, რომ მხარეთა მიერ გამოვლენილი ნება ობიექტურად ფარავდეს ერთმანეთს (ერთმანეთს ემთხვეოდეს), რომლის დროსაც ერთი მხარე უშვებს შეცდომას. შესაბამისად, დაფარული უთანხმოების შემთხვევაში არ არის მოცემული შეცდომის გამო შეცილების წინაპირობები.

40 *Wendtland,* Beck'scher Online-Kommentar BGB, 119, Rn. 31.
41 MüKo/*Armbrüster,* 6. Auflage 2012, § 119, Rn. 62.
42 *Wendtland,* Beck'scher Online-Kommentar BGB, 119, Rn. 19.

IV. გარიგების საფუძველში დაშვებული შეცდომა (73 „გ“)

1.ზოგადი მიმოხილვა

73 „გ“ მუხლი აწესრიგებს არსებითი შეცდომის კიდევ ერთ სახეს – **გარიგების საფუძვლებში დაშვებულ შეცდომას.** შეცდომის ეს სახე მოცემულია მაშინ, როდესაც სახეზე არ არის ის გარემოებები, რასაც მხარეები კეთილსინდისიერების პრინციპის ფარგლებში გარიგების საფუძვლად განიხილავდნენ. შესაბამისად, მოცემული უნდა იყოს მხარეთა (ორივე მხარის) ერთობლივი მცდარი წარმოდგენა იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც ისინი დებენ გარიგებას[43] და განიხილავენ მას გარიგების საფუძვლად. გარიგების საფუძველი არის „ხელშეკრულების დადების მომენტისათვის თვალსაჩინო და შესაძლო მხარის მიერ მნიშვნელოვნად მიჩნეული და გაუპროტესტებელი მხარის წარმოდგენა, ან რამდენიმე მხარის საერთო წარმოდგენა, გარკვეული გარემოებების არსებობის ან დადგომის შესახებ, რომლებსაც ემყარება გარიგების დადების ნება“.[44] 73 „გ-ს“ მიზნებისათვის გარიგების საფუძვლის არარსებობა მოცემული უნდა იყოს ხელშეკრულების დადების მომენტში. **30**

გარიგების საფუძველი უნდა გაიმიჯნოს ხელშეკრულების შინაარსისგან. იგი არ უნდა იყოს ხელშეკრულების შინაარსი, რომელსაც მხარეები შესაბამისი სახელშეკრულებო პირობებით დებენ;[45] გარიგების საფუძველი არის ხელშეკრულების გარეთ არსებული, თუმცა, მასთან დაკავშირებული გარემოება ან წარმოდგენა. იმ შემთხვევაში, თუ გარიგების საფუძველი ხელშეკრულების შინაარსშია შეტანილი და მხარეები მასთან დაკავშირებით შეცდომას უშვებენ, სახეზე იქნება შინაარსში დაშვებული შეცდომის ფაქტი. შესაბამისად, ძირითად შემთხვევებში ხელშეკრულებასთან დაკავშირებული არც ცალმხრივი მოტივი ან მოლოდინები ჩაითვლება გარიგების საფუძვლად.[46] **31**

მხარის ცალმხრივი მოლოდინი, რომელიც მნიშვნელოვანი იყო მისი ნების გამოვლენის ჩამოყალიბებისთვის, მხოლოდ მაშინ ჩაითვლება გარიგების საფუძვლად, თუ ის ორივე მხარის ნების გამოვლენის ჩამოყალიბების განმაპირობებელია.[47] ამ შემთხვევაში არ არის საკმარისი, თუ მხარე თავის მოლოდინს სახელშეკრულებო მოლაპარაკებების დროს მეორე მხარეს უბრალოდ შეატყობინებს, არამედ გადამწყვეტია ის, თუ რამდენად გადაიქცევა ერთი მხარის მოლოდინი მეორე მხარის მოლოდინად, ანუ რამდენად იქნება სახეზე მხარეთა საერთო მოლოდინი (ან წარმოდგენა).[48] **32**

73 „გ“ მუხლის მიხედვით, მხარეთა შეცდომა რომ არსებითად ჩაითვალოს, **33**

43 *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 369; *კერესელიძე*, უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 334-335.

44 ცნება იხ. *Oertmann,* Die Geschäftsgrundlage, ein neuer Rechtsbegriff, 1921, S. 37; *Grüneberg,* in Palandt BGB Komm, 70. Aufl., § 313, Rn. 3; ცნების თარგმანი – *კერესელიძე*, უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 334-335;

45 BGH ZIP 91, 1600.

46 MüKo*/Finkenauer*, 6. Auflage 2012, § 313, Rn. 57.

47 Grüneberg, in Palandt BGB Komm, 70. Aufl., § 313, Rn. 9.

48 იქვე.

სახეზე უნდა იყოს სუბიექტური და ობიექტური არსებითობის წინაპირობები. სუბიექტური არსებითობა მოითხოვს, რომ გარემოება, რომელშიც ცდება მხარე, მიზეზობრივ კავშირში იყოს მისსავე ნების გამოვლენასთან.[49] ობიექტური თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, რომ ბაზრის ბრუნვის გათვალისწინებით, გარემოება ან წარმოდგენა ფასდებოდეს გარიგების საფუძვლად. აღსანიშნავია, რომ ამგვარ საფუძვლად ყველა სახის გარემოება ან წარმოდგენა ვერ ჩაითვლება. ასეთ დროს გასათვალისწინებელია კეთილსინდისიერების მასშტაბი და ის, თუ რამდენად შესაძლებელია ესა თუ ის გარემოება შეფასებულ იქნეს გარიგების საფუძვლად ბაზრის ბრუნვის გათვალისწინებით. ობიექტური არსებითობის კუთხით, მნიშვნელოვანია ასევე, რომ შეცდომით შეფასებულ გარემოებას გარიგების შესრულების მიმართ ღირებულებითი დატვირთვა გააჩნდეს. ამგვარ შემთხვევასთან გვექნება საქმე, როდესაც გარემოება გავლენას გარიგების შედეგზე მოახდენს.[50]

6. გარიგების საფუძველში დაშვებული შეცდომის გამოყენების ფარგლები

34 73 „გ“ მუხლი თავისი შინაარსით შესაძლოა კონკურენციაში მოდიოდეს 398 I და II მუხლებთან. ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი გარკვეულწილად 73 „გ“ მუხლის სფეროს მოიცავს, რაც ამავე მუხლის პრაქტიკული გამოყენების არეალის დაკარგვის წინაპირობა ხდება. 398 II მუხლის მიხედვით, ხელშეკრულების მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულების მისადაგება, ან უარი თქვას ხელშეკრულებაზე (398 III) მაშინ, როდესაც წარმოდგენები, რომლებიც ხელშეკრულების საფუძველი გახდა, მცდარი აღმოჩნდა (აღნიშნული უთანაბრდება გარემოებების ცვლილებას – 398 II).

ნორმათა მოწესრიგების სფეროთა გამიჯვნის პრობლემა წარმოშობილია ორი სხვადასხვა სამართლებრივი სისტემის რეცეფციით.[51] კერძოდ, 73 „გ“ მუხლი ემსგავსება შვეიცარიის ვალდებულებითი სამართლის წიგნის 24 IV მუხლს, ხოლო 398-ე მუხლის ასახვა მოხდა გერმანიაში ჩამოყალიბებული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით და მისი შესატყვისია გერმანიის სამოქალაქო კოდექსის § 313.[52]

35 გერმანულ სამართალში სადავოა შეცილების ნორმების მიმართება შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების ინსტიტუტთან (§ 313-თან). ფართოდ გავრცელებული მოსაზრების მიხედვით, გსკ-ის § 313-ს

49 *Schwenzer,* in Basler Komm. zum schweizerischen Privatrecht, 3 Aufl., Art. 24, Rn. 22.

50 იქვე.

51 აღნიშნულ საკითხზე მსჯელობს ასევე კერესელიძე, უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 334-335.

52 გერმანულ სამართალში სადავოა შეცილების ნორმების მიმართება შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების ინსტიტუტთან (§ 313-თან). ფართოდ გავრცელებული მოსაზრების მიხედვით, გსკ-ის § 313-ს სუბსიდიარული (დამატებითი) მოქმედების სფერო აქვს შეცილების ნორმებთან მიმართებით. მაგალითად, გსკ-ის § 119 II (თვისებებში შეცდომა) არის lex specialis § 313-თან მიმართებით, ვინაიდან იგი აწესრიგებს მოტივში შეცდომის განსაკუთრებულ შემთხვევას, მაშინ როდესაც § 313 მხოლოდ ორივე მხარის შეცდომას (მხარეთა საერთო მცდარ წარმოდგენას) ეხება და მხოლოდ მაშინ აქვს მის მოქმედების სფეროს უპირატესობა, როდესაც სახეზეა ორივე მხარის შეცდომა (MüKo*/Finkenauer,* 6. Auflage 2012, § 313, Rn. 148).

სუბსიდიარული (დამატებითი) მოქმედების სფერო აქვს შეცილების ნორმებთან მიმართებით. მაგალითად, გსკ-ის § 119 II (თვისებებში შეცდომა) არის lex specialis § 313-თან მიმართებით, ვინაიდან იგი აწესრიგებს მოტივში შეცდომის განსაკუთრებულ შემთხვევას, მაშინ, როდესაც § 313 მხოლოდ ორივე მხარის შეცდომას (მხარეთა საერთო მცდარ წარმოდგენას) ეხება და მხოლოდ მაშინ აქვს მის მოქმედების სფეროს უპირატესობა, როდესაც სახეზეა ორივე მხარის შეცდომა.[53]

ეს არგუმენტაცია ვერ გამოდგება ქართული ნორმების განმარტებისას, ვინაიდან შეცილების უფლება 73 „გ“ მუხლის მიხედვით უფრო ფართო მასშტაბს მოიცავს და ეხება ორივე მხარის საერთო შეცდომას, ვიდრე შეცილების გერმანული ნორმა (§ 119 II) და ფარავს 398 II მუხლის მოწესრიგების სფეროს. მაშასადამე, 73 „გ“ ვერ ჩაითვლება 398 II მუხლთან მიმართებით სპეციალურ ნორმად (lex specialis). ორივე ნორმა ეხება ორივე მხარის მიერ (ორმხრივი) დაშვებული შეცდომის მოწესრიგებას. **36**

73 „გ“ მუხლის მსგავსი შვეიცარიული მოწესრიგება (შვეიცარიის ვალდებულებითი სამართლის წიგნის 24 IV მუხლი) მოიცავს ასევე შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების შემთხვევებს[54] და, პირველ რიგში, გამოიყენება ცალმხრივი შეცდომის შემთხვევებში. ქართული მოწესრიგებისგან განსხვავებით, შვეიცარიულ სამართალში მნიშვნელობა არ ენიჭება იმას, ორივე მხარეს ჰქონდა მცდარი წარმოდგენა გარემოების შესახებ თუ მხოლოდ ერთს, არამედ (სუბიექტური და ობიექტური არსებითობის გათვალისწინებით) მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ რამდენად იყო მეორე მხარისთვის შესამჩნევი, რომ შეცდომის დამშვები მხარისთვის რაიმე გარემოებას ხელშეკრულების დადებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა.[55] სხვა წესი მოქმედებს შვეიცარიულ სამართალში სამომავლო გარემოებებთან დაშვებულ შეცდომასთან დაკავშირებით, სადაც სამართლებრივ წინაპირობად გარემოებასთან მიმართებით ორივე მხარის ცოდნის არსებობაა დადგენილი.[56] თუმცა, შვეიცარიულ სამართალში ეს საკითხი სადავოდ რჩება, ვინაიდან ლიტერატურაში გავრცელებული მოსაზრებით,[57] გარიგების საფუძველში დაშვებული შეცდომის გავრცელება მომავალში დასადგომ გარემოებებზე სამართლებრივი არასტაბილურობის შემომტანია. აღნიშნულის პარალელურად, შეცვლილი გარემოებებისადმი **ხელშეკრულების მისადაგების ინსტიტუტი** (clausula rebus sic stantibus) თავისი მოქნილი სამართლებრივი შედეგებით (მისადაგება და მხოლოდ შემდგომ უარი ხელშეკრულებაზე) უკეთეს სამართლებრივ მდგომარეობაში აყენებს ხელშეკრულების მხარეს, რომელსაც აღარ მოუწევს შეცილების გამო ბათილობის (ყველაფერი ან არაფერი) შედეგის მიღწევა. **37**

ეს წესი გავრცელდება ასევე 398-ე მუხლის ურთიერთობაზე 73 „გ“ მუხ- **38**

53 იხ. *ჩიტიაშვილი,* შეცვლილი გარემოებების გავლენა ვალდებულების შესრულებასა და მხარეთა შესაძლო მეორად მოთხოვნებზე (დის.), გვ. 66-69.

54 *Huber,* Irrtumsanfechtung und Sachmängelhaftung, S. 76

55 იქვე.

56 *Honsell/Vogt/Wiegand,* Obliationenrecht I, Art. 1-529 OR, 3. Aufl. 2003.

57 იქვე.

ლთან მიმართებით. ისევე, როგორც შვეიცარიულ სამართალში, თუ ქართულ სამართალშიც 73 „გ“ მუხლის გამოყენებისათვის სუბიექტური და ობიექტური არსებითობა დაწესდება, სადაც სუბიექტური არსებითობა ნების ჩამოყალიბებისათვის მცდარი წარმოდგენის მიზეზობრიობას განსაზღვრავს, ხოლო ობიექტური არსებითობა – გარემოების არსებითობას, ბაზრის ბრუნვისა და კეთილსინდისიერების პრინციპის გათვალისწინებით, მაშინ ცალსახაა, რომ 73 „გ“ და 398-ე მუხლებს იდენტური მოწესრიგების სფერო აქვთ. შესაბამისად, ამ შემთხვევაში უნდა ვივარაუდოთ 398-ე მუხლის უპირატესობა 73 „გ-სთან“ მიმართებით, ვინაიდან ის სახელშეკრულებო ურთიერთობების უფრო მოქნილ მოწესრიგებას სთავაზობს ხელშეკრულების მხარეს.

39 73 „გ“ მუხლის მიხედვით, შეცილება გამოირიცხება იმ შემთხვევაში, თუ, 77-ე მუხლის თანახმად, მეორე მხარე გარიგების შესრულებაზე თანხმობას იმ მხარის სურვილის შესაბამისად აცხადებს, რომელსაც გარიგების საცილოდ გახდომა სურს. შესაძლოა, ეს შედეგი ემთხვეოდეს შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების სამართლებრივ შედეგს. 398-ე მუხლის ფარგლებში მხარეს უფლება აქვს, მოითხოვოს შეცვლილ გარემოებებთან მისადაგება მაშინ, როდესაც ამისი წინაპირობები მოცემულია და მისადაგება ობიექტურად მისაღებია. 398 III მუხლის მიხედვით კი, მისადაგების განსახორციელებლად მნიშვნელოვანია არა მეორე მხარის პირდაპირი თანხმობა, არამედ მისადაგების დასაშვებობა (მისაღებობა). მეორე მხარეს თავისთავად უფლება აქვს, უარი განაცხადოს მისადაგებაზე, თუმცა, უარი უნდა იყოს დასაბუთებული, წინააღმდეგ შემთხვევაში მან შესაძლოა დაკარგოს შესრულების მოთხოვნის უფლება და ზიანის ანაზღაურებაც დაეკისროს (იხ. 398-ე მუხლის კომენტ.). 73 „გ“ მუხლის მიხედვით, შეცილების შემთხვევაში, მეორე მხარეზეა დამოკიდებული, რამდენად დათანხმდება იგი შეცილების განმახორციელებელ მხარეს, მისი სურვილის შესაბამისად შეასრულოს გარიგება.

40 მნიშვნელოვანია 73 „გ“ და 398-ე მუხლების განსხვავება ხანდაზმულობის ვადებთან დაკავშირებით. მაშინ, როდესაც შეცილების უფლების განხორციელება შესაძლებელია შეცილების საფუძვლის შეტყობიდან ერთი თვის განმავლობაში, შეცვლილი გარემოებებისადმი ხელშეკრულების მისადაგების მიმართ ვრცელდება სახელშეკრულებო ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა (129 I).

41 სამართლებრივი შედეგის თვალსაზრისით 79 II მუხლი ითვალისწინებს შეცილების განმახორციელებელი პირის მიერ ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას (ნდობის ინტერესის დარღვევა, იხ. 79 II მუხლის კომენტ.), როდესაც მან შეცილების საფუძველი დაუდევრობის გამო არ იცოდა (გაურთხილებლობის მასშტაბი). ზიანის ანაზღაურება კი გამოირიცხება მაშინ, როდესაც შეცილების ადრესატმა შეცილების საფუძვლის შესახებ იცოდა ან დაუდევრობის მიზეზით არ იყო ინფორმირებული (79 II 2). შესაბამისად, 73 „გ“ შემთხვევაში ზიანის ანაზღაურება სრულად გამოირიცხება, ვინაიდან საქმე ეხება ორივე მხარის მიერ ერთობლივად დაშვებულ შეცდომას. 398-ე მუხლი კი ტოვებს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შესაძლე-

ბლობას (ამასთან დაკავშ. იხ. 398-ე მუხლი კომენტ.).

42 ნორმათა კონკურენციის შემთხვევაში სასამართლომ ჯერ მისადაგების შესაძლებლობა უნდა შეამოწმოს და მხოლოდ ამის შემდეგ გააბათილოს ხელშეკრულება (თუ ის მხარე, რომელიც ითხოვს გაბათილებას, დაასაბუთებს მის უარს მისადაგებაზე). ნორმათა შორის კონფლიქტი უნდა გადაწყდეს 398-ე მუხლის სასარგებლოდ. სამოქალაქო კოდექსი მისდევს pacta sunt servanda (ხელშეკრულება უნდა სრულდებოდეს) პრინციპს და ამ პრინციპს უფრო მეტად იცავს 398-ე მუხლი, რომელიც მიმართულია ხელშეკრულების გადარჩენისკენ. 73-ე მუხლი თავისი ბათილობის შედეგით სპობს ხელშეკრულებას და მას ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზანი არ გააჩნია. გარდა ამისა, 73-ე მუხლი ითხოვს კეთილსინდისიერ დამოკიდებულებას ხელშეკრულების საფუძველთან მიმართებაში დაშვებული შეცდომისადმი. შესაბამისად, თუ შესაძლებელია ხელშეკრულების საფუძვლის აღდგენა ან მისი ცვლილება, ისე რომ არ დაირღვეს მხარეთა ინტერესები (რა მიზანსაც 398-ე მუხლიც ემსახურება), ასეთის არსებობის შემთხვევაში 73 „გ“ მუხლი არ უნდა იქნეს გამოყენებული. თუ ხელშეკრულების მისადაგება შესაძლებელია, დაინტერესებული მხარის უპირობო მოთხოვნა – გაბათილდეს ხელშეკრულება, წინააღმდეგობაში მოდის შეცდომის არსებითობის პრინციპთან, რადგან შეცდომა, რომელიც მისადაგების გზით გამოსწორებადია, არ შეიძლება ჩაითვალოს არსებით შეცდომად.

მუხლი 74. შეცდომა კონტრაჰენტის პიროვნებაში

1. შეცდომა კონტრაჰენტის პიროვნების მიმართ მხოლოდ მაშინ ითვლება არსებითად, როდესაც თვითონ კონტრაჰენტის პიროვნება ან მისი პირადი თვისებების გათვალისწინება გარიგების დადების მთავარი საფუძველია.

2. შეცდომა საგნის ძირითად თვისებებში მხოლოდ მაშინ ჩაითვლება არსებითად, თუ მათ მნიშვნელობა აქვთ საგნის ღირებულების განსაზღვრისათვის.

I. ნორმის არსი 432
II. შეცდომა კონტრაჰენტის პიროვნებაში 433
1. კონტრაჰენტის პიროვნება და მისი პირადი თვისებები 433
2. გარიგებები კონტრაჰენტის განსაკუთრებული პირადი თვისებებით 435
3. კონტრაჰენტის კრედიტუნარიანობა და ლიკვიდურობა 436
4. კონტრაჰენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა 437
III. შეცდომა საგნის ძირითად თვისებებში 437
1. გარიგების საგანი 437
2. საგნის ღირებულების განმსაზღვრელი არსებითი თვისებრიობა 438
IV. კონკურენციის შემთხვევები ნაკლის გამო პასუხისმგებლობის სამართალთან 440

I. ნორმის არსი

1 74-ე მუხლი არსებითი შეცდომის ექვსი ძირითადი სახიდან (იხ. მუხ. 73 მე-2 ველი) ორ მათგანს აწესრიგებს: შეცდომას კონტრაჰენტის პიროვნებაში (ასევე მის პირად თვისებებში) და საგნის ძირითად თვისებებში. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა კონტრაჰენტის პიროვნებასა და საგნის ძირითად თვისებებში დაშვებული შეცდომა შინაარსში დაშვებული შეცდომის ნაირსახეობად იქნეს მიჩნეული,[1] კანონმდებელი მათ ცალკე გამოყოფს და ადგენს შეცდომის ამ სახეების არსებითობის კრიტერიუმებს.

2 ლიტერატურაში გავრცელებული მოსაზრების თანახმად, კონტრაჰენტის პიროვნებასა და საგნის ძირითად თვისებებში დაშვებულ შეცდომასთან მიმართებით საქმე გვაქვს თვისებრივად მოტივში დაშვებულ შეცდომის ნაირსახეობებთან, რომელიც, გამონაკლისის სახით, 74-ე მუხლის მიხედვით, მიიჩნევა არსებით შეცდომად (76-ე მუხლის მიხედვით, გარიგების მოტივში დაშვებული შეცდომა არსებითად არ მიიჩნევა).[2] კონტრაჰენტის პიროვნება-

1 ერთ-ერთი მოსაზრების მიხედვით, შესაძლებელია, კონტრაჰენტსა და გარიგების საგანში დაშვებული შეცდომა მოაზრებულ იქნეს 73 „ბ“ მუხლის მოწესრიგების ფარგლებში, იხ. *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 326-327.

2 გასაზიარებელია მოსაზრება, რომლის მიხედვითაც კონტრაჰენტსა და გარიგების საგანში დაშვებული შეცდომა მოტივში დაშვებული შეცდომის არსებითი სახეა და არა ნების გამოვლენის შინაარსში ან ნიშნებში დაშვებული შეცდომა; იხ. მაგ. *Ellenberger,* in Palandt BGB Komm, 70. Aufl., § 119, Rn. 23; *Jauernig/Mansel* BGB, 15. Aufl., 2014, § 119, Rn. 11.

სა და საგნის თვისებებში დაშვებული შეცდომის შემთხვევაში, განსხვავებით 73-ე მუხლის „ა“ და „ბ“ შემთხვევებისგან, ნების გამომვლენის შინაგანი ნება და გამოვლენილი ნების შინაარსი ერთმანეთს შეესაბამება. ნების გამომვლენი შეცდომას არ უშვებს არც ნების გამოვლენის ნიშნებში და არც მის შინაარსში, არამედ ცდება კონტრაჰენტის პიროვნების ან საგნის თვისებებში, მაშასადამე, მისი ნების ჩამოყალიბებისათვის მნიშვნელოვან მოტივებში.[3]

74-ე მუხლის მოწესრიგების მიზნებიდან გამომდინარე, თვისებებში **3**
შეცდომა არსებითი უნდა იყოს სამოქალაქო ბრუნვის გათვალისწინებით. თვისებრიობაში მოიაზრება არა მხოლოდ ფიზიკური თვისებრიობა, არამედ ასევე ყველა ფაქტობრივი თუ სამართლებრივი ნიშანი, რომელიც დაკავშირებულია გარესამყაროსთან და გავლენას ახდენს სამოქალაქო ბრუნვაში მოხმარებაუნარიანობისა და ღირებულების განსაზღვრაზე.[4]

II. შეცდომა კონტრაჰენტის პიროვნებაში

1. კონტრაჰენტის პიროვნება და მისი პირადი თვისებები

კონტრაჰენტის (არსებითი) თვისებრიობა მოიცავს, პირველ რიგში, მის **4**
პირად (პიროვნულ) ნიშან-თვისებებს და ასევე იმ ფაქტობრივ და სამართლებრივ კომპონენტებს, რომელიც სამოქალაქო ბრუნვის გათვალისწინებით გავლენას ახდენს მისი პიროვნების შეფასებისას.[5] კონტრაჰენტს არსებითი თვისება უნდა ახასიათებდეს ხანგრძლივი დროის მანძილზე[6] (სწორედ ამ მიზეზის გამო არ ითვლება ფეხმძიმობა არსებით თვისებრიობად, ვინაიდან ის გარდამავალი მდგომარეობაა[7]). კონტრაჰენტის არსებითი თვისებრიობა, გარიგების შინაარსისა და მიზნის გათვალისწინებით, შესაძლოა იყოს ასაკი, ჯანმრთელობის მდგომარეობა, სქესი, პროფესიონალიზმი, რეპუტაცია (მნიშვნელოვანია განსაკუთრებით ისეთ შრომით ურთიერთობებში, სადაც პირს ხელმძღვანელი თანამდებობა უკავია, ან მოითხოვება მაღალი ხარისხის სანდოობა, კეთილსინდისიერება და ა.შ.). თუმცა, კონტრაჰენტის პიროვნება ან მისი პირადი თვისებები არარელევანტურია ისეთ გარიგებებში, სადაც ეს უმნიშვნელოა. მაგალითად, ასეთი შესაძლოა იყოს ნასყიდობის ხელშეკრულებები, სადაც მნიშვნელოვანია საქონლის ხარისხი და არა გამყიდველის პიროვნება. გარდა ზემოთ აღნიშნულისა, 74 I მუხლის ფარგლებში არსებით თვისებრიობად შესაძლოა ჩაითვალოს ასევე კონტრაჰენტის ლიკვიდურობა, კრედიტუნარიანობა (ამასთან დაკავშ. იხ. ქვემოთ).

კონტრაჰენტში, პირველ რიგში, მოიაზრება ის პირი, რომლისკენაც მი- **5**
მართულია ნების გამოვლენა. ლიტერატურაში მოცემული ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად, „კონტრაჰენტი“ ვერ განიმარტება ფართოდ და ვერ მოი-

3 დასახელებული ნაშრომი.
4 იქვე; BGHZ 88, 240, 245; 34, 32, 41; 16, 54, 57.
5 *Wolf/Neuner,* AT des bürgerlichen Rechts, 10. Aufl. S. 468, Rn. 58.
6 *Bamberger/Roth/Wendtland,* Aufl. 38, § 119, Rn. 41.
7 ევროსასამართლოს 1994 წლის 5 მაისის გადაწყვეტილება, Rs. C-421/92; EuGH NJW 1994, 2077, 2078

ცავს ნებისმიერ პირს, არამედ მასში იგულისხმება ხელშეკრულების მეორე მხარე.[8] ეს მიდგომა გასაზიარებელია, თუმცა, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ყურადღება უნდა მიექცეს გარიგების შინაარსსა და მიზანს. შესაბამისად, 74 I მუხლის ფარგლებში შეცილების საფუძველი ვერ იქნება თვითონ ნების გამომვლენის პირადი თვისებები, როდესაც ეს უკანასკნელი თავის პირად უნარებსა და შესაძლებლობებში ცდება, რომ შეასრულებს ხელშეკრულებით მასზე დაკისრებულ ვალდებულებას (მაგ., სამუშაოს მიმღების მიერ არცოდნა იმისა, რომ პირადი თვისებების გამო ვერ შეასრულებს დაკისრებულ სამუშაოს). ასევე საკამათოა ის, თუ რამდენადაა შესაძლებელი „კონტრაჰენტში“ მოიაზრებოდეს მესამე პირი, რომელიც დაკავშირებულია ხელშეკრულებასთან. ეს შემთხვევა შესაძლოა მოცემული იყოს მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების შემთხვევაში, როდესაც ნების გამომვლენი შეცდომას უშვებს მესამე პირის (შესრულების მიმღების) თვისებებში (349). ასევე საკამათოა, თავდებობის ხელშეკრულების შემთხვევაში კრედიტორს რამდენად აქვს უფლება თავდების ლიკვიდუნარიანობაში დაშვებული შეცდომის გამო განახორციელოს თავდებობის ხელშეკრულების ან მოვალესთან დადებული საკრედიტო ხელშეკრულების შეცილება.[9]

6 74 I მუხლი მოიცავს ორ შემადგენლობას: 1. როდესაც ერთი მხარის ნების ადრესატი აღმოჩნდება შეცდომით სხვა პირი და არა ის, რომელთანაც მას სურს დაამყაროს სამართლებრივი ურთიერთობა[10] (მაგ., „ა-ს“ სურს ხელშეკრულება გააფორმოს ცნობილ მხატვარ „ბ-სთან“ და შეცდომით დებს „გ-სთან“, რომელიც ნაკლებად ცნობილი მხატვარია); 2. როდესაც ნების გამომვლენი არ ცდება პირის ვინაობაში, თუმცა, ცდება ამ პირის პირად თვისებებში (მაგ., „ა“ დებს შრომით საექიმო ხელშეკრულებას „ბ-სთან“, თუმცა, „ბ-ს“ ობიექტურად არ აქვს ექიმის კვალიფიკაცია).

7 74 I მუხლის ფორმულირებიდან გამომდინარე, ზემოაღნიშნულ ორივე შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ შეცდომა კონტრაჰენტის პიროვნებასა ან მის პირად თვისებებში გარიგების საფუძველი იყოს. კონტრაჰენტის პიროვნება ან მისი პირადი თვისებები უნდა იყოს პირის ნების გამოვლენის განმსაზღვრელი და განმაპირობებელი. თუ რამდენად შეიძლება ჩაითვალოს კონტრაჰენტის პიროვნება ან მისი პირადი თვისებები ცალკეულ შემთხვევაში გარიგების საფუძვლად, უნდა შეფასდეს ობიექტური კრიტერიუმით. ამ შემთხვევაში ნების გამომვლენი პირის სუბიექტური წარმოდგენა უკანა პლანზე ინაცვლებს, რათა თვისებებში დაშვებული შეცდომა არ გაუთანაბრდეს მოტივში დაშვებულ შეცდომას, რომელიც არაარსებითია.[11] თვისებებში დაშვებული ყველა შეცდომა ვერ იქნება თავისთავად მიჩნეული არსებითად, არამედ მხოლოდ ისეთი, რომელიც ასეთად განიხილება სამოქალაქო

8 *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 330; იზიარებს ასევე *როლფ კნიპერი,* 20.12.2014-ის სამოქალაქო კოდექსის ავტორების სამუშაო შეხვედრის დისკუსიის მასალები.

9 იხ. დისკუსია MüKo/*Armbrüster,* 6. Auflage 2012, § 119, Rn. 128.

10 *ზოიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 70, გვ. 227.

11 *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 330; იზიარებს *ჯორბენაძე,* გარიგებაში დაშვებული შეცდომის სახეები საქართველოსა და გერმანიის სამოქალაქო კოდექსების მიხედვით, მართლმსაჯულება და კანონი N4-11, გვ. 85.

ბრუნვაში. მაგალითად, აუქციონზე საჯარო გზით ნივთის გაყიდვისას გამყიდველი ვერ განაცხადებს შეცილებას შესაძლო მყიდველის პიროვნებაში ან მის თვისებებში დაშვებული შეცდომის გამო.[12] ასევე საფეხბურთო კლუბი ვერ განახორციელებს შეცილებას ფეხბურთელის სატრანსფერო ხელშეკრულების მიმართ იმ საფუძვლით, რომ მას ნიჭიერი ეგონა ფეხბურთელი, რომელიც ბევრ გოლს გაიტანდა,[13] თუმცა ასეთი არ აღმოჩნდა.

ზემოაღნიშნულის გარდა, ყურადღება უნდა მიექცეს, ასევე, კონტრა- **8**
ჰენტის პირად თვისებებში დაშვებული შეცდომის შემთხვევებში დისკრიმინაციის ფაქტორს. მაგალითად, ოჯახი მართლმადიდებლური მრწამსით ხელშეკრულებას უწყვეტს ძიძას, რომელიც იეღოველი (პირადი თვისება) აღმოჩნდა. კომპანიის უფროსი წყვეტს შრომით ხელშეკრულებას დასაქმებულთან მის სექსუალურ ორიენტაციაში (პირად თვისებებში) დაშვებული შეცდომის გამო და ა.შ. ამასთანავე, შეცილების საფუძველს არ იძლევა დამსაჩუქრებლის მიერ ჩუქების ხელშეკრულების შეცილება იმის გამო, რომ დასაჩუქრებული სხვა მსოფლმხედველობის ან პოლიტიკური იდეოლოგიის მატარებელი აღმოჩნდა (განსაკუთრებული უმადურობის შემთხვევის გარდა).[14] მსგავს შემთხვევებში სახეზეა მოტივში დაშვებული შეცდომა, რომელთა არსებითობა ფასდება სამოქალაქო ბრუნვაში დამკვიდრებული შეხედულებით. თუმცა, სამოქალაქო ბრუნვაში დამკვიდრებული წესების მიუხედავად, დისკრიმინაციული მოტივი კანონის (დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ) დანაწესის გამო ვერ ჩაითვლება არსებითად, რომელიც წარმოშობს შეცილების საფუძველს 74 I მუხლის შესაბამისად.

2. გარიგებები კონტრაჰენტის განსაკუთრებული პირადი თვისებებით

კონტრაჰენტის პიროვნებასა ან მის პირად თვისებებში დაშვებული შეც- **9**
დომა მნიშვნელოვანი ხდება ისეთ გარიგებებში, სადაც მკაცრად მოითხოვება პიროვნული და პირადი თვისებების არსებობა (მაგ., სანდოობის გამო, ან იქ, სადაც მხარეების პირადი ჩართულობა მოითხოვება). როგორც ზემოთ აღინიშნა, 74 I ნაწილის ფარგლებში „პირადი თვისებები“ განიმარტება ფართოდ და მოიცავს სქესს, ასაკს, პროფესიონალიზმს და ა.შ. პირად თვისებებში მოიაზრება ასევე პირის პატიოსნება და სანდოობა. **ნდობის ფაქტორი** შესაძლოა მიჩნეულ იქნეს არსებით საფუძვლად, რომლის არქონაც შეცილების უფლებას წარმოშობს.[15] სანდოობა და პატიოსნება განსაკუთრებით მაშინ არის პირის არსებითი თვისება, როდესაც ხელშეკრულების მხარეებს შორის გრძელვადიანი ურთიერთობები მყარდება. სანდოობა და კეთილსინდისიერება ეჭვქვეშ დგება განსაკუთრებით მაშინ, როდესაც კონტრაჰენტი

12 *ზოიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 70, გვ. 227.

13 *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 370; იხ. იქვე შეცდომისა და შემოქმედებითი წარუმატებლობის გამიჯვნა.

14 *ჯორბენაძე,* გარიგებაში დაშვებული შეცდომის სახეები საქართველოსა და გერმანიის სამოქალაქო კოდექსების მიხედვით, მართლმსაჯულება და კანონი №4-11, გვ. 85.

15 MüKo*/Armbrüster,* 6. Auflage 2012, § 119, Rn. 127.

ნასამართლევია და დაკისრებული აქვს ადმინისტრაციული სახდელი.[16] როგორც წესი, ჩვეულებრივ შრომით ურთიერთობებში პირის ნასამართლობას ან თუნდაც ადმინისტრაციულ სახდელებს ყურადღება არ ექცევა, თუმცა, ცალკეულ შემთხვევებში ეს შესაძლოა იძლეოდეს შეცილების საფუძველს (მაგ., გარემოება, რომ ბანკის მიერ აყვანილი მოლარე-ოპერატორი ნასამართლევია მითვისების გამო, ბანკს უფლებას აძლევს, განახორციელოს შრომითი ხელშეკრულების შეცილება კონტრაჰენტის პირად თვისებებში დაშვებული შეცდომის გამო; ოპერატიული საგამოძიებო ორგანოს თანამშრომელი ვერ იქნება ნასამართლევი პირი და ა.შ.).

10 იურიდიული პირის შემთხვევაში სანდოობის შეფასებისას გასათვალისწინებელია მისი ორგანოებისა და ხელშეკრულების შესრულებაში ჩართული თანამშრომლების სანდოობა.[17] შესაბამისად, ყურადღება ექცევა იმას, იურიდიული პირის მხრიდან თუ ვინ ახდენს მნიშვნელოვან გავლენას ხელშეკრულების შესრულებაზე. ეს შესაძლოა იყოს როგორც იურიდიული პირის წარმომადგენლობითი ორგანო, ასევე პარტნიორი. გარდა ამისა, ცალკეულ შემთხვევაში შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს ის, ხელშეკრულების შესრულებაში იურიდიული პირის რომელი თანამშრომელი ან თანამშრომელთა ჯგუფი იქნება ჩართული (მაგ., „ა“ დებს ფარმაცევტულ ფირმა „ბ-სთან“ ხელშეკრულებას ახალი ტიპის ანტიბიოტიკური პრეპარატის შექმნის თაობაზე და სურს პროექტს უხელმძღვანელოს „ბ-ს“ თანამშრომელმა „გ-მ“, რომელიც ცნობილი ფარმაცევტია და აღმოჩნდება, რომ „გ“ აღარ მუშაობს „ბ-სთან“).

3. კონტრაჰენტის კრედიტუნარიანობა და ლიკვიდურობა

11 საკამათოა, თუ რამდენად ჩაითვლება კრედიტის ამღების (მსესხებლის) ლიკვიდურობა არსებით თვისებად სამოქალაქო ბრუნვაში, რომელიც შესაძლოა ასევე იძლეოდეს შეცილების საფუძველს. საკრედიტო ურთიერთობებისა და სამოქალაქო ბრუნვის გათვალისწინებით, შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ ლიკვიდურობა კონტრაჰენტის ის თვისებაა, რომლის არარსებობის შემთხვევაშიც, ნების გამომვლენს შეუძლია საკრედიტო ხელშეკრულების შეცილება.[18] 74 I მუხლის მოწესრიგების პარალელურად, 484 I მუხლის თანახმად, კრედიტის მიმცემს შეუძლია უარი თქვას თავისი ვალდებულებების შესრულებაზე, თუ ხელშეკრულების დადების შემდეგ აღმოჩნდება, რომ არსებობს რეალური საშიშროება იმისა, რომ კრედიტის ამღები თავის მოვალეობათა მნიშვნელოვან ნაწილს არ შეასრულებს. მას ხელშეკრულებაზე უარის თქმამდე ასევე შეუძლია მოვალისგან მოითხოვოს უზრუნველყოფა (484 II). შესაბამისად, შესაძლოა 484-ე მუხლი გამორიცხავდეს 74 I მუხლის მოწესრიგებას და უპირატესი გამოყენებით სარგებლობდეს მასთან მიმართებით. თუმცა, მიზანშეწონილი იქნებოდა, კრედიტორის უკეთესი დაცვის მიზნით,

16 დასახელებული ნაშრომი.

17 იქვე.

18 *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 371; იხ. ასევე MüKo*/Armbrüster,* 6. Aufl., 2012, § 119, Rn. 128.

თუ მას მიეცემოდა ორივე სამართლებრივი ბერკეტის გამოყენების უფლება, ვინაიდან შეცილების უფლება მას გაუმარტივებდა შეცილების საფუძვლის შეტყობიდან უმალვე განეცხადებინა შეცილების შესახებ და გაებათილებინა ხელშეკრულება, მაშინ, როდესაც 484-ე მუხლის მიზნებიდან გამომდინარე, კრედიტორი უნდა დაელოდოს შესასრულებელი ვალდებულების ვადამოსულობას.[19] მაგალითად, „ა-მ" მიჰყიდა ავტომობილი „ბ-ს", რომელიც მას ორი თვის შემდგომ უნდა გადასცეს და მიიღოს ნასყიდობის საფასური. „ა" შემთხვევით გაიგებს, რომ „ბ-მ" კაზინოში წააგო დიდი თანხა და ვალები დაედო. „ა" არ ელოდება ვადამოსულობის მოსვლას (ორი თვის გასვლას) და „ბ-ს" უცხადებს ხელშეკრულების შეცილებას და ავტომობილს მიჰყიდის „გ-ს". „ბ" ითხოვს ავტომობილის გადმოცემას.

4. კონტრაჰენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა

ხელშეკრულების მხარის (კონტრაჰენტის) ჯანმრთელობის მდგომარეობას (რაც ასევე განიხილება არსებით პირად თვისებად) განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება შრომით-სამართლებრივ ურთიერთობებში. დასაქმებულის ზოგადი ჯანმრთელობის მდგომარეობა, ასევე, მისი შრომისუნარიანობა ან დროებითი შრომისუუნაროობა, არ უნდა ჩაითვალოს 74-ე მუხლის ფარგლებში „პირად თვისებებად", რომელთა გამოც დამსაქმებელს მიეცემოდა შეცილების უფლება დასაქმებულის პირად თვისებებში დაშვებული შეცდომის გამო.[20] თუმცა, გამონაკლისი შემთხვევა იქნებოდა და შეცილების უფლება წარმოიშობოდა მაშინ, როდესაც დასაქმებულის შრომისუნარიანობა მნიშვნელოვნად დაქვეითებულია: ეს ის შემთხვევაა, როდესაც დასაქმებულს ხანგრძლივი ჯანმრთელობის მდგომარეობის ხელშეშლის გამო დაკისრებული სამუშაოს შესრულება არ შეუძლია ან დაკისრებულ სამუშაოს სათანადოდ ვერ უძღვება (მაგ., ეპილეფსიის შეტევების გამო ის დროდადრო ვერ ასრულებს დაკისრებულ სამუშაოს). როგორც ზემოთ აღინიშნა, დასაქმებულის ფეხმძიმობა ხელშეკრულების დადებისას, ზოგადი თვალსაზრისით, ვერ ჩაითვლება სამოქალაქო ბრუნვაში კონტრაჰენტის არსებით პირად თვისებად, ვინაიდან ფეხმძიმობისას სახეზეა გარდამავალი მდგომარეობა (იხ. მე-4 ველი). დამსაქმებლის მხრიდან ფეხმძიმობის საფუძვლით შრომითი ხელშეკრულების მოშლა შესაძლოა შეფასდეს ასევე დისკრიმინაციად დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონის მიხედვით. **12**

III. შეცდომა საგნის ძირითად თვისებებში

1. გარიგების საგანი

გარიგების საგანში 74 II მუხლის ფარგლებში მოიაზრება არა მხოლოდ მოძრავი და უძრავი ნივთები (148), ე.წ. სხეულებრივი ნივთები, არამედ გარიგებ- **13**

19 აღნიშნული მიდგომა საკამათოა. დისკუსია იხ. MüKo*/Armbrüster,* 6. Aufl., 2012, § 119, Rn. 128.
20 შდრ. იხ. MüKo*/Armbrüster,* 6. Aufl., 2012, § 119, Rn. 129.

ის ნებისმიერი საგანი, მაგალითად, არასხეულებრივი საგნები, უფლებები, კომპანიის წილები, მოთხოვნები და ა.შ.[21] **საგნის თვისებრიობა** მოიცავს არა მხოლოდ ფიზიკურ თვისებრიობას, არამედ ასევე ყველა ფაქტობრივ და სამართლებრივ გარემოებას (ნივთობრივი და უფლებრივი სიკეთეები), რომელიც დაკავშირებულია საგანთან ხანრგძლივი ვადით და ზეგავლენას ახდენს მის გამოყენებით (მოხმარების) ფუნქციასა და ღირებულებაზე.[22] ეს თვისებები საგანს უნდა ახასიათებდეს აწმყოში, ანუ გარიგების დადებისა და შესაბამისი სამართლებრივი ურითიერთობის განხორციელებისას.

14 ისევე, როგორც 74 I მუხლის შემთხვევაში, გარიგების საგნის თვისებრიობის შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს ობიექტურ კრიტერიუმს, რაც იმას ნიშნავს, რომ საგნის თვისებრიობაში დაშვებული შეცდომა შეცილების საფუძველს იძლევა მაშინ, როდესაც ის არსებითია სამოქალაქო ბრუნვაში.[23] 74 I მუხლის ფორმულირების მიხედვით, თვისებრიობა სამოქალაქო ბრუნვაში არსებითია მაშინ, როდესაც ის პირდაპირ გავლენას ახდენს საგნის გამოყენებადობასა და ამასთანავე, მნიშვნელოვანია მისი ღირებულების განსაზღვრისათვის.[24] თვისებრიობის არსებითობის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია ის მომენტი, როდესაც პირი ნებას ავლენს.

2. საგნის ღირებულების განმსაზღვრელი არსებითი თვისებრიობა

15 მნიშვნელოვანია, თუ რა უნდა ითვლებოდეს საგნის ღირებულების განმსაზღვრელ თვისებრიობად. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ საგნის ღირებულება (ფასი) განმსაზღვრელ ფაქტორად არ უნდა იქნეს მიჩნეული.[25] ეს თავისთავად გამომდინარეობს 74 II მუხლის ფორმულირებიდან. თუმცა, ზოგ შემთხვევაში, შესაძლებელია, ღირებულებაში შეცდომა მის განმსაზღვრელ ფაქტორებში შეცდომას განაპირობებდეს ან, პირიქით. მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ ღირებულებაში დაშვებული შეცდომა გამოწვეულია სამოქალაქო ბრუნვაში არსებით თვისებრიობაში დაშვებული შეცდომით, როგორიცაა, ნახატის ავტორი, შეძენილი ვაზის ანტიკვარულობა, ნაბეჭდის ავთენტურობა და ა.შ., ამ დროს ღირებულებაში შეცდომა იმთავითვე უთანაბრდება ღირებულების განმსაზღვრელ ფაქტორებში შეცდომას. ეს კი შეცილების საფუძველს იძლევა.[26] თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, შესაძლებელია, ასევე, რომ არ იყოს მოცემული შეცდომა საგნის ღირებულების განმსაზღვრელ ფაქტორებში, არამედ მხოლოდ თვითონ ღირებულებაში (მაგ., „ა-მ“, რომელმაც 20 000 აშშ დოლარად იყიდა 2003 წლის გამოშვება ავტომობილ BMW X5, უთითებს, რომ შეცდა ავტომობილის საბაზრო ფასში, ვინაიდან ბაზარზე ავტომობილის ფასი

21 *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 372.
22 *Wolf/Neuner,* AT des bürgerlichen Rechts, 10. Aufl. S. 468, Rn. 56.
23 *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 331-332.
24 იქვე.
25 საყურადღებოა აღნიშნულთან დაკავშირებით გერმანული სასამართლო პრაქტიკა: იხ. მაგ. BGHZ 16, 54, 57; Flume JZ 1991, 634;
26 შდრ. MüKo/*Armbrüster,* 6. Auflage 2012, § 119, Rn. 131.

ორჯერ ნაკლებია). ასეთი სახის ღირებულებაში დაშვებული შეცდომა არ ქმნის შეცილების საფუძველს. ამის დაშვება შეეწინააღმდეგებოდა საბაზრო ეკონომიკისა და ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპებს, სადაც ფასების ცვალებადობა მუდმივი პროცესია, ხოლო მხარეები ფასებს თავად განსაზღვრავენ და ამას ახორციელებენ საკუთარი რისკის ფარგლებში.[27] შესაბამისად, გამყიდველსაც არ ეკისრება ვალდებულება ფასის ოდენობის განმარტებაზე (თუ რატომ ყიდის ძვირად ან იაფად). თუმცა, ეს წესი შესაძლოა არ მოქმედებდეს მაშინ, როდესაც ფასები ჩამოყალიბებულია არა ბაზარზე, არამედ საჯარო უწყების ან ბაზარზე უპირატესი მდგომარეობის მქონე შემთავაზებლისგან[28] (მაგ., რეგისტრაციის მოსაკრებლები, მატარებლის ბილეთი, დენის, გაზის ტარიფი და ა.შ.).

16 საკამათოა, თუ რამდენად იძლევა შეცილების საფუძველს შეცდომა გარიგების საგნის **მოგებაუნარიანობაში, რენტაბელურობაში.** ნასყიდობის სამართალშიც ნასყიდობის საგნის ნაკლოვანი მოგებაუნარიანობა ან რენტაბელურობა არ მიიჩნევა ნაკლად და არ წარმოშობს მეორად მოთხოვნებს. მაშინაც კი, როდესაც ცალკეულ გამონაკლის შემთხვევებში შესაძლოა მიჩნეულ იქნეს, რომ სახეზეა შეცდომა გარიგების საგნის მოგებაუნარიანობასა ან რენტაბელურობაში, 74 II მუხლის მოქმედების სფერო მაინც არ იარსებებს, ვინაიდან ამ დროს უპირატესად მოქმედებს ნაკლის გამო პასუხისმგებლობის სამართალი (დაწვრ. იხ. მე-20 ველიდან).

17 ნივთზე საკუთრება 74 II მუხლის მიზნებისათვის ვერ ჩაითვლება სამოქალაქო ბრუნვაში არსებით თვისებრიობად, ვინაიდან სამოქალაქო ბრუნვაში არსებითი თვისებრიობა გამომდინარეობს მხოლოდ იმ სამართლებრივი და ფაქტობრივი ურთიერთობებიდან, რაც განსაზღვრავს ნივთის ურთიერთობას გარე სამყაროსთან. მაშასადამე, სახეზე უნდა იყოს ნივთის ისეთ თვისებებში შეცდომა, რომლებიც მას აკავშირებს გარე სამყაროსთან.[29] საკუთრება კი ნივთის შიგნით არსებული კატეგორიაა. გარდა ამისა, საკამათოა ისიც, თუ რამდენად ახდენს საკუთრების უფლება ნივთის მოხმარებაუნარიანობაზე ან ღირებულებაზე ზეგავლენას.[30]

18 მიწის ნაკვეთის შემთხვევაში სამოქალაქო ბრუნვაში არსებით თვისებრიობად ითვლება ნაკვეთის სიდიდე, ასევე ის, თუ რამდენად შესაძლებელია მასზე შენობის აშენება, რა სამშენებლო კოეფიციენტი აქვს და ა.შ. ნაკვეთის არსებით თვისებრიობას მიეკუთვნება ასევე მისგან გამომდინარე უფლებები და ასევე ვალდებულებებიც (მაგ., იპოთეკა, სერვიტუტი და ა.შ.).[31]

19 მოძრავი ნივთების შემთხვევაში სამოქალაქო ბრუნვაში არსებით თვისებრიობად შეიძლება მიიჩნეოდეს ნივთის მახასიათებლები, მაგალითად, ნახატისთვის ის, თუ ვინაა მისი ავტორი, ავტომობილისთვის გამოშვების თარიღი, გარბენი და ა.შ.

27 *Wolf/Neuner,* AT des bürgerlichen Rechts, 10. Aufl. S. 468, Rn. 56.
28 შდრ. MüKo*/Armbrüster,* 6. Auflage 2012, § 119, Rn. 131.
29 MüKo*/Armbrüster,* 6. Auflage 2012, § 119, Rn. 133.
30 იქვე.
31 MüKo*/Armbrüster,* 6. Auflage 2012, § 119, Rn. 134.

IV. კონკურენციის შემთხვევები ნაკლის გამო პასუხისმგებლობის სამართალთან

20 იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზეა ნაკლის გამო პასუხისმგებლობის წინაპირობები 488-ე და შემდგომი მუხლების თანახმად, გამოირიცხება შეცილების უფლება საგნის ძირითად თვისებებში დაშვებული შეცდომის გამო 74 II მუხლზე დაყრდნობით[32] (განსხვავებით მოტყუებით დადებული ხელშეკრულებებისგან). შეცილება გამოირიცხება იმის გამო, რომ ნაკლის გამო წარმოშობილი მოთხოვნების სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა არ გადაფაროს. შეცილების უფლების განხორციელების საერთო ვადამ 10-მა წელმა. კანონმდებლის მიზანი, სწრაფად მოაეხდინა ნასყიდობის და მსგავსი (მაგ., ნარდობის) ხელშეკრულებების სამართლებრივი ურთიერთობების დასრულება და არ მეცა უფლება შეცდომის დამშვები მხარისთვის, არაგონივრულ ვადაში შესცილებოდა საგნის ძირითად თვისებებში დაშვებული შეცდომის გამო. ეს რომ ასე არ იყოს, მივიღებდით უსამართლო მდგომარეობას: მაგალითად, „ა-მ“, რომელმაც შეცდომა დაუშვა ევროპიდან ჩამოყვანილი ავტომობილის გარბენში, ვინაიდან ეგონა, რომ გარბენის მაჩვენებელი იზომებოდა კილომეტრებით, სინამდვილეში, 9 წლის შემდგომ აღმოაჩინა, რომ მანქანა ნაწარმოები იყო ამერიკაში და გარბენი იზომებოდა მილებით. „ა“ შეძლებდა 9 წლის შემდომ შეცილების საფუძვლის შეტყობიდან ერთი თვის ვადაში შეცილების განხორციელებას, რაც არაგონივრული იქნებოდა (სხვა წესი მოქმედებს მოტყუების გამო შეცილების შემთხვევაში). ამ შემთხვევაში შეცილების გამორიცხვა მიზნად ისახავს მოვალის დაცვას, რამეთუ მან შეძლოს სამართლებრივი ურთიერთობის დასრულების განჭვრეტა. შესაბამისად, შეცილების უფლება გამოირიცხება, როდესაც ნაკლის გამო წარმოშობილი მოთხოვნებიც ხანდაზმულია. ამასთანავე, შეიძლება მივიჩნიოთ, რომ შეცილება მაშინაც გამოირიცხება, როდესაც მხარეები ნაკლიდან წარმოშობილი მოთხოვნების გამორიცხვას ხელშეკრულებით შეათანხმებენ.[33] მიზანშეწონილია ასევე, ნაკლის გამო წარმოშობილ მოთხოვნების უპირატესი მოქმედება 74 II მუხლთან მიმართებით ნივთის დაღუპვის რისკის გადასვლამდეც განისაზღვროს (482 I). მართალია, 482 I მუხლის თანახმად, რისკის გადასვლამდე არ მოქმედებს ნაკლის გამო წარმოშობილი მოთხოვნები და შესაძლოა აქ 74 II მუხლის მიმართ არ იყოს მოცემული კონკურენცია, მაინც არ იქნებოდა მიზანშეწონილი მყიდველისთვის დაღუპვის რისკის გადასვლამდე დამატებითი უფლებები (შეცილების უფლება) მიგვენიჭებინა, ვიდრე რისკის გადასვლის შემდგომ.[34]

21 მყიდველისგან განსხვავებით, გამყიდველს შეუძლია 74 II მუხლის თანახმად, გარიგების საგნის ძირითად თვისებებში დაშვებული შეცდომის გამო შეცილების განხორციელება. გამყიდველს არ წარმოეშობა ნაკლის გამო

32 *Ellenberger,* in Palandt BGB Komm, § 119, Rn. 28.

33 BGHZ 63, 369, 376 f = NJW 1975, 970, 972; BGH BB 1967, 96; Flume AT II § 24, 3 a; aA BGHZ 72, 252 = NJW 1979,160, 161; OLG Stuttgart NJW 1989, 2547.

34 შდრ. *Flume,* Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, 3. Aufl., 1979, II § 24, 3 a.

მოთხოვნები და შესაბამისად, არ არის მოცემული 74 II მუხლთან კონკურენცია.

22 ნების გამოვლენის შეცილება მოტყუების გამო (81) არ გამორიცხავს შეცდომის გამო შეცილების უფლებას. უფრო მეტიც, შესაძლოა ცალკეულ შემთხვევებში ერთდროულად მოცემული იყოს მოტყუებისა და შეცდომის გამო შეცილების ნიშნები. იმ შემთხვევაში, როდესაც 79 II მუხლის (ზიანის ანაზღაურება) მიზნებისთვის, მოტყუებისა და შეცდომის გამო შეცილების უფლებებს სხვადასხვა სამართლებრივი შედეგი მოსდევს, განმარტებით უნდა დადგინდეს, თუ უფრო რომელი საფუძვლით განხორციელდა ნების გამოვლენის შეცილება.

მუხლი 75. შეცდომა უფლებაში

შეცდომა უფლებაში არსებითი მნიშვნელობისაა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი იგი გარიგების დადებისას ერთადერთი და მთავარი საფუძველი იყო.

1 უფლებაში შეცდომის სახე სხვადასხვა კუთხითაა განხილული ლიტერატურაში. ერთი მოსაზრების მიხედვით, 75-ე მუხლში მოწესრიგებულ უფლებაში შეცდომა გულისხმობს სამართლებრივ შედეგებში შეცდომას,[1] ხოლო მეორე მოსაზრების მიხედვით, 75-ე მუხლს არ აქვს დამატებითი შინაარსი და შესაძლებელია მოაზრებულ იქნეს ან 74-ე მუხლის მოწესრიგების სფეროში, ან ჩაითვალოს მოტივში დაშვებულ არაარსებით შეცდომად, რომელიც არ იძლევა შეცილების უფლებას.[2]

2 ზოგადი თვალსაზრისით, სამართლებრივ შედეგებში შეცდომა მოცემულია მაშინ, როდესაც სამართლებრივი გარიგება (გამოვლენილი ნება) სასურველისგან განსხვავებულ სამართლებრივ შედეგს იწვევს.[3] მაგალითად, მაშინ, როდესაც პირი დებს ნასყიდობის ხელშეკრულებას, თუმცა, არ იცის, რომ როგორც გამყიდველი პასუხს აგებს ნაკლის გამო წარმოშობილი მოთხოვნებისთვის 494-ე და შემდგომი მუხლების მიხედვით; ან მეწარმე დუმილით პასუხობს პარტნიორს ოფერტზე მაშინ, როდესაც არ იცის, რომ 335 I მუხლის თანახმად, მისი დუმილი ოფერტზე აქცეპტად ჩაითვლება. ამ შემთხვევებში სახეზეა სამართლებრივ შედეგებში შეცდომა. 75-ე მუხლის მოწესრიგების მიზანს წარმოადგენს იმის გარკვევა, სამართლებრივ შედეგებში დაშვებული რომელი შეცდომა ჩაითვლება არსებითად, რომელიც შეიძლება იძლეოდეს შეცილების საფუძველს.

3 სამართლებრივ შედეგებში დაშვებული შეცდომა ემსგავსება ასევე შინაარსში დაშვებულ შეცდომას:[4] ნების გამომვლენმა არ იცის სამართლებრივი შედეგის შესახებ, შესაბამისად, ის ცდება თავისი ნების შინაარსში. ამასთანავე, სამართლებრივ შედეგებში დაშვებული შეცდომა შესაძლოა განხილულ იქნეს, როგორც მოტივში დაშვებულ არაარსებით შეცდომად და შესაბამისად, არ იძლეოდეს შეცილების საფუძველს: სამართლებრივი მდგომარეობის არასწორი ცოდნა იყო ნების გამოვლენის მოტივი. თუ როდის ჩაითვლება სამართლებრივ შედეგებში დაშვებული შეცდომა არსებითად, ამაზე პასუხს იძლევა 75-ე მუხლის მოწესრიგება, რომლის თანახმადაც, შეცდომა უფლებაში ... „გარიგების დადებისას ერთადერთი და მთავარი საფუძველი უნდა იყოს“. როგორც ვხედავთ, 75-ე მუხლი აწესებს მკაცრ მასშტაბს შეცილების უფლების განხორციელებისათვის.

შესაბამისად, აქ ერთმანეთისგან უნდა განვასხვაოთ სამართლებრივი შედეგები, რომლებსაც ნების გამოვლენა პირდაპირ ან არაპირდაპირ იწვევს.

1 მაგ., *ზოიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 75, გვ. 231; იზიარებს *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 372.

2 *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 332-333; ნაწილობრივ იზიარებს *ჯორბენაძე,* გარიგებაში დაშვებული შეცდომის სახეები საქართველოსა და გერმანიის სამოქალაქო კოდექსების მიხედვით, მართლმსაჯულება და კანონი, №4-11, გვ. 86.

3 MüKo*/Armbrüster,* 6. Auflage 2012, § 119, Rn. 84.

4 *ზოიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 75, გვ. 232.

მე-2 ველში მოცემულ მაგალითში ნების გამომვლენის მიერ გამოვლენილი ნების პირდაპირი სამართლებრივი შედეგია ნასყიდობის ხელშეკრულება. არაპირდაპირი შედეგი კი შესაძლოა იყოს ნასყიდობის ნივთის ნაკლის გამო წარმოშობილი მოთხოვნები 494-ე და შემდგომი მუხლების თანახმად. შესაბამისად, 75-ე მუხლის მოწესრიგებაზე დაყრდნობით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სამართლებრივ შედეგებში დაშვებული შეცდომა მაშინაა არსებითი და იძლევა შეცილების საფუძველს, როდესაც ის **ნების გამოვლენის შინაარსშია შეტანილი და მასთან პირდაპირაა დაკავშირებული** (როდესაც იგი „ერთადერთი და მთავარი საფუძველია").[5] მაგალითად, პირი აცხადებს, რომ ყიდის თავის მთელ უძრავ-მოძრავ ქონებას, მაშინ, როდესაც მხოლოდ სახლისა და მასში არსებული ნივთების გაყიდვა უნდა და არა იმ ნაკვეთისაც, რაზეც სახლი დგას.[6]

ამისგან განსხვავებით, თუ ნების გამომვლენი შეცდომას უშვებს იმ სამართლებრივ შედეგებში, რომლებიც პირდაპირ არ გამომდინარეობს ნების გამოვლენიდან, არამედ კანონით დაკავშირებულია მის ნების გამოვლენასთან, მაშინ სახეზე არ გვექნება შინაგან ნებასა და გამოვლენილ ნებას შორის კონფლიქტი, ვინაიდან არაპირდაპირი შედეგის დადგომა მის ნებაზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ კანონის საფუძველზე დგება (როგორც ეს მაგ., მე-2 ველში მოცემულ მაგალითებში იყო).[7] შესაბამისად, შეცილების უფლება გამორიცხულია.

იგივე წესი მოქმედებს ასევე მაშინ, როდესაც, მაგალითად, ფეხმძიმე დასაქმებული ხელშეკრულებას წყვეტს დამსაქმებელთან და არ იცის, რომ ამით კარგავს შრომის კოდექსის 29-ე მუხლით გათვალისწინებულ სადეკრეტო ანაზღაურებაზე მოთხოვნას.[8]

5 MüKo/*Armbrüster,* 6. Auflage 2012, § 119, Rn. 81 ff.

6 *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 372.

7 *Medicus,* AT des BGB, 10. Aufl, S. 310, Rn. 751.

8 იხ. მსგავსი მიდგომა BAG NJW 1983, 2958.

მუხლი 76. შეცდომა გარიგების მოტივში

შეცდომა გარიგების მოტივში არ ჩაითვლება არსებითად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოტივი შეთანხმების საგანს წარმოადგენდა.

1 76-ე მუხლი განსაზღვრავს არაარსებითი შეცდომის სახეს – შეცდომას გარიგების მოტივში. შეცდომა გარიგების მოტივში მოცემულია მაშინ, როდესაც ნების გამომვლენი ობიექტურად ავლენს ისეთ ნებას, რაც მას სუბიექტურად უნდა რომ გამოავლინოს, თუმცა, ნების გამოვლენის განმსაზღვრელ (განმაპირობებელ) ფაქტორთან მიმართებით ცდება.[1] ამ დროს სახეზეა შეცდომა არა თვითონ ნების გამოვლენაში, არამედ ამ ნების ფორმირების განმაპირობებელ ფაქტორებში.[2] ხელშეკრულების მხარეს წარმოეშობა გარკვეული სახის წარმოდგენები, რომელიც მეორე მხარისგან არ მომდინარეობს და რაც მეორე მხარემ არ იცის.[3] მოტივში შეცდომა არაარსებითი შეცდომის სახეა და იგი არ იძლევა შეცილების საფუძველს.

2 ლიტერატურაში გაკრიტიკებულია ნორმის შინაარსი და მისი დანიშნულება საცილო გარიგებების თავში,[4] კერძოდ, კითხვებს ბადებს ნორმის წინადადების მეორე ნაწილი, რომელიც ითვალისწინებს შეცილების შესაძლებლობას იმ შემთხვევაში, როდესაც მოტივი შეთანხმების საგანს წარმოადგენს. იმ შემთხვევაში, თუ ჩავთვლით, რომ მოტივი შეთანხმების საგანი ხდება, იგი ხელშეკრულების არსებით პირობად იქცევა და უკვე ვეღარ ჩაითვლება მოტივად. მაგალითად, თუ მხარეები საქორწინო კაბის ნასყიდობის ხელშეკრულებაში მიუთითებენ, რომ ხელშეკრულება ძალაში შედის ქორწინების ფაქტის დადგომისას და მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები ეკისრებათ მხოლოდ ამის შემდგომ, სახეზე იქნება პირობით დადებული გარიგება, რასაც თავისთავად მოტივში დაშვებულ შეცდომასთან არ აქვს კავშირი.

3 მოტივში დაშვებული შეცდომა არ შეიძლება გაიგივებულ იქნეს 73 „გ“ მუხლის შემადგენლობასთან, რომელიც ეხება მხარეთა ერთობლივ არასწორ წარმოდგენას. მოტივში დაშვებული შეცდომის შემთხვევაში სახეზეა მხოლოდ ერთი მხარის არასწორი წარმოდგენა. მხარეთა ერთობლივი შეცდომის შემთხვევაში გამოიყენება 73 „გ“ ან 398-ე მუხლები (გამიჯვნასთან დაკავშირებით იხ. 73-ე მუხლის კომენტ. 33-ე და შემდგომი ველები).

1 MüKo*/Armbrüster,* 7. Auflage 2015, § 119, Rn. 101a ff.

2 *ზოიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 76, გვ. 232.

3 იქვე.

4 *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 333.

მუხლი 77. კონტრაჰენტის თანხმობა შეცდომით დადებულ გარიგებებში

შეცდომით ნების გამოვლენა არ შეიძლება საცილო გახდეს, თუკი მეორე მხარე თანახმაა შეასრულოს გარიგება იმ მხარის სურვილის თანახმად, რომელსაც სურს საცილო გახადოს გარიგება.

I. ნორმის არსი

განსახილველი ნორმა აწესრიგებს ე.წ. **კონვერსიის შესაძლებლობას** შეცდომით დადებული გარიგების შემთხვევებში.[1] შეცილების უფლება გამოირიცხება, თუ ნების გამოვლენის ადრესატი თანახმაა შეასრულოს ხელშეკრულება ისე, როგორც ეს სინამდვილეში სურდა ნების გამოვლენაში შეცდომის დამშვებ პირს. ამ დროს სახეზეა კონვერსია და ხელშეკრულება შეიძენს იმ შინაარსს, რაც შეცდომაში მყოფ ნების გამომვლენს სურდა. მაგალითად, „ა-ს“ სურს „ბ-ს“ მიჰყიდოს საგვარეულო ბრილიანტის ბეჭედი 9 000 ლარად. ელექტრონული ფოსტით მიმოწერისას იგი უშვებს ნების გამოვლენის ნიშნებში შეცდომას და შეცდომით, 9 000 ლარის ნაცვლად დაწერს 900 ლარს. მაშინ, როდესაც „ბ“ სიხარულით უპასუხებს „ა-ს“ ბეჭდის შეძენასთან დაკავშირებით, „ა“ დაუყოვნებლივ მისწერს შეცდომისა და შეცილების თაობაზე. მიუხედავად შეცილებისა, „ბ“ მაინც თანახმაა გადაიხადოს 9 000 ლარი, ვინაიდან მისთვის საგვარეულო ბეჭედს განსაკუთრებული დატვირთვა აქვს. ამ შემთხვევაში „ა-ს“ ერთმევა შეცილების უფლება მის მიერ ნების გამოვლენის ნიშნებში დაშვებული შეცდომის გამო. **1**

მიუხედავად იმისა, რომ ნორმა პირდაპირ არ ითვალისწინებს, თუ რა ვადაში უნდა განაცხადოს ხელშეკრულების მეორე მხარემ თანხმობა შეცვლილ პირობაზე, მიზანშეწონილია, რომ ამგვარ პერიოდად დაუყოვნებლივი (მაშინვე განხორციელებული) განცხადება უნდა მივიჩნიოთ.[2] იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მხარე შეცილების განცხადებას უგულებელყოფს, იგი მოგვიანებით ვერ მოითხოვს ნების გამომვლენისგან ნების გამოვლენის კონვერსირებას.[3] **2**

იმ შემთხვევაში, თუ ნების ფორმირება შეცდომითაა განპირობებული, მაგალითად, მაშინ, როდესაც სახეზეა თვისებებში დაშვებული შეცდომა, ყოველთვის ვერ იქნება დასაშვები 77-ე მუხლით კონვერსია მაშინაც კი, თუ მეორე მხარე ამაზე თანახმაა. მაგალითად, „ა“ ყიდულობს „ბ-სგან“ ლადო გუდიაშვილის ნახატის ასლს, რომელიც შესრულებულია სხვა მხატვრის მიერ. სინამდვილეში აღმოჩნდება, რომ ნახატი ორიგინალია და ლადო გუდიაშვილის მიერ პირადადაა შესრულებული. მიუხედავად იმისა, რომ „ბ“ თანახმაა გადაიხადოს უფრო მაღალი თანხა ნახატისთვის, „ა“ მაინც აცხადებს შეცილებას და სურს ნახატის უკან დაბრუნება. ამ შემთხვევაში შესაძლოა დადგენილიყო შეცდომაში მყოფი პირის (გამყიდველის) ჰიპოთეტური ნება: რა ნებას გამოავლენდა გამყიდველი, თუ მას ეცოდინებოდა, რომ ნახა- **3**

1 MüKo/*Armbrüster,* 7. Auflage 2015, § 119, Rn. 141 ff.

2 *Honsell/Vogt/Wiegand* (Hrsg), Basler Komm zum Schweizerischen Privatrecht, 3. Auflage, OR Art. 25 Rn. 8.

3 იქვე.

ტი ორიგინალია? ვინაიდან ასეთ შემთხვევებში მხარის (ჰიპოთეტური) ნამდვილი ნების დადგენა თითქმის შეუძლებელია, მოიაზრება ხელშეკრულების კონვერსია მე-60 მუხლის თანახმად, თუმცა, მხოლოდ მაშინ, თუ დადგინდება, რომ ორივე მხარე გარიგების ნაკლოვანების ცოდნისას (ჰიპოთეტურად) დადებდნენ ხელშეკრულებას სხვა შინაარსით.[4]

II. შეცილების უფლების გამორიცხვა კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძვლით

4 შეცილების უფლების გამორიცხვა, 77-ე მუხლის მიხედვით, ეფუძნება კეთილსინდისიერების ზოგად პრინციპს.[5] შეიძლება გამოიყოს შეცილების რამდენიმე შემთხვევა, სადაც ის კეთილსინდისიერების პრინციპის გამო გამოირიცხებოდა. ასეთია, მაგალითად, გრძელვადიანი სამართლებრივი ურთიერთობების შემთხვევა, როდესაც, მართალია, შეცილების საფუძველი ხელშეკრულების დადების მომენტისათვის სუბიექტურად და ობიექტურად არსებობდა, თუმცა, ხელშეკრულების მსვლელობის პერიოდში გაქრა: ამ წესის შესაბამისად, არ იარსებებს შრომითი ხელშეკრულების შეცილების უფლება მაშინ, როდესაც პიროვნებაში დაშვებული შეცდომა მუშაობის მრავალწლიანი პერიოდის შემდგომ უმნიშვნელო იქნება.[6]

III. უცხო ქვეყნებსა და საერთაშორისო ნორმებში არსებული დანაწესები

5 77-ე მუხლის მსგავს მოწესრიგებას და კეთილსინდისიერების პრინციპით შეცილების უფლების გამორიცხვას იცნობს სხვადასხვა კანონმდებლობა. მაგალითად, შვეიცარიის ვალდებულებითი სამართლის 25-ე მუხლი, საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1432-ე მუხლი, საერთაშორისო სავაჭრო ჩვეულებების ე.წ. UNIDROIT Principles-ის 3.13 მუხლი. შეცილების უფლების შეზღუდვა კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზე შესაბამისად მოქმედებს ქართულ სამართალშიც, ვინაიდან შეცდომის გამო შეცილების უფლება მხარეს არ უნდა აძლევდეს ხელშეკრულებიდან დაძვრომის დამალულ უფლებას. შეცდომის დამშვები პირი დაარღვევდა 8 III მუხლში განმტკიცებულ კეთილსინდისიერების პრინციპს (venire contra factum proprium), თუ ის ხელშეკრულების არსებობას უარყოფდა იმ შინაარსით, რაც მას თავდაპირველად სურდა.

4 MüKo/*Armbrüster,* 7. Auflage 2015, § 119, Rn. 141.
5 *ზოიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 77, გვ. 233.
6 MüKo/*Armbrüster,* 7. Auflage 2015, § 119, Rn. 142.

მუხლი 78. წვრილმანი შეცდომები

წვრილმანი შეცდომები გამოანგარიშებებში ან წერილობით განხორციელებულ ნების გამოვლენაში იძლევა მხოლოდ შესწორების, მაგრამ არა შეცილების უფლებას.

I. ნორმის მიზანი

შეცდომით დადებული გარიგების გამო შეცილების უფლების გამორიცხვის კიდევ ერთ შემთხვევას განსაზღვრავს 78-ე მუხლი, რომლის მიზანი არა რომელიმე შეცდომის სახის, არამედ ნებისმიერი სახის შეცდომის არაარსებითობის მოწესრიგებაა.[1] აღნიშნული გამოიყენება იმ შემთხვევებში, როდესაც სახეზეა წვრილმანი შეცდომა. თუ რა უნდა ჩაითვალოს წვრილმან შეცდომად, ნორმა არ იძლევა პირდაპირ განმარტებას. ამიტომ, წვრილმანი შეცდომის შეფასება უნდა მოხდეს სამოქალაქო ბრუნვის გათვალისწინებით, ობიექტური ფაქტორების შესაბამისად.[2] წვრილმანი შეცდომის განსაზღვრისას ასევე ყურადღება უნდა მიექცეს ნივთის საბაზრო ღირებულებასა და დაშვებული შეცდომის გამოსწორების სიმარტივეს.[3] აქვე გათვალისწინებულ უნდა იქნეს იმ შედეგის სიმძიმე, რაც მეორე მხარეს გამოსწორების შედეგად შეიძლება დააწვეს. ნორმის მიზანი, 77-ე მუხლის მსგავსად, უკავშირდება კეთილსინდისიერების პრინციპს და მისი მიზანია დაიცვას ხელშეკრულების მხარე მცირედი შეცდომის გამო ხელშეკრულების გაბათილების შედეგისაგან. **1**

II. შეცდომა გამოანგარიშებებში

შეცდომა გამოანგარიშებაში მოცემულია მაშინ, როდესაც ნების გამომვლენი პირი შეცდომას უშვებს მის მიერ დასახელებული თანხის (მაგ., ნასყიდობის თანხა, ქირა, იჯარა და ა.შ.) ან დაანგარიშების ფაქტორთან დაკავშირებით (მაგ., სხვა ვალუტის გაცვლის კურსი, გასაქირავებელი ფართის კვადრატულობა და ა.შ.). ზოგადი თვალსაზრისით, გამოთვლაში შეცდომა არ იძლევა არც შეცილებისა და არც შეცდომის გამოსწორების საფუძველს, ვინაიდან, თუ პირი თვითონ არასწორად დაიანგარიშებს, ამის საფუძველზე დაადგენს ფასს და შესთავაზებს მეორე მხარეს, თავის თავზე იღებს დაანგარიშებაში შეცდომის დაშვების რისკს.[4] წინააღმდეგ შემთხვევაში, მივიღებდით აბსურდულ სამართლებრივ მდგომარეობას, როდესაც მხარეს შეეძლებოდა ფასის ცალმხრივად არასწორი დაანგარიშების გამო ხელშეკრულებასთან მიმართებით ნებისმიერ დროს შეცილება. ერთ-ერთი მოსაზრებით, გამოთვლაში მხარის დაშვებული შეცდომა უთანაბრდება მოტივში **2**

1 *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 339.

2 *ზოიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 77, გვ. 235.

3 *ჯორბენაძე,* გარიგებაში დაშვებული შეცდომის სახეები საქართველოსა და გერმანიის სამოქალაქო კოდექსების მიხედვით, მართლმსაჯულება და კანონი №4-11, გვ. 78.

4 იხ. მაგ. გერმანული სასამართლოების პრაქტიკა BGH NJW 1998, 3192, 3193; NJW-RR 1987, 1306, 1307; NJW-RR 1986, 569, 570; OLG Köln BeckRS 2012, 18441

დაშვებულ შეცდომას, რაც თავისთავად არ იძლევა შეცილების საფუძველს.[5] 78-ე მუხლის მიხედვით, გამოანგარიშებებში დაშვებული შეცდომის გამოსწორების მოთხოვნის უფლება მხარეს წარმოეშობა მაშინ, როდესაც გამოთვლის მეთოდი ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილია. მაგალითად, მხარეები თანხმდებიან, რომ ბინის ნასყიდობის ფასია X თანხა დოლარში გადახდის დღისთვის ეროვნული ბანკის დადგენილი კურსით ლარში, ხოლო ერთ-ერთი მხარე ეროვნული ბანკის კურსს შემთხვევით შეცდომით უთითებს. ასეთი შეცდომის მოგვიანებით აღმოჩენა იძლევა შესწორების და არა შეცილების საფუძველს.

3 იმ შემთხვევაში, როდესაც დაანგარიშების საფუძველი არ არის ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილი, გამოირიცხება 78-ე მუხლის მოქმედება. ამ დროს, როგორც ზემოთ აღინიშნა, სახეზეა დაფარული შეცდომა დაანგარიშებაში, რაც ნების გამომვლენის რისკის სფეროშია და განიხილება მოტივში დაშვებულ შეცდომად. ზოგ შემთხვევაში და განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ხელშეკრულების ორივე მხარე ცდება გამოთვლაში (მაგ. მხარეს მშენებლობის ხარჯთაღრიცხვა შედგენილი აქვს „მაიქროსოფთ ექსელის“ ცხრილში, ციფრები სწორად შედგენილი, თუმცა, „მაიქროსოფთ ექსელის“ პროგრამაში ფორმულა არასწორადაა გაწერილი, რის გამოც საბოლოო თანხა არასწორია), შესაძლოა, სახეზე იყოს 73 „გ“ მუხლის მიხედვით შეცილების უფლება.

4 იმ შემთხვევაში, როდესაც ნების გამოვლენის ადრესატმა იცის გამოთვლაში დაშვებული შეცდომის შესახებ ან არაკეთილსინდისიერად დაუშვებს ამის ცოდნის შესაძლებლობას, მოიაზრება, რომ სახეზეა მისი მხრიდან უფლების ბოროტად (დაუშვებლად) გამოყენება, თუ ის მხარის მიერ არასწორად დაანგარიშებულ შეთავაზებაზე თანხმობას განაცხადებს.[6] იგი განსაკუთრებით მაშინ არღვევს კეთილსინდისიერების პრინციპს, როდესაც ხედავს, რომ დაანგარიშებაში დაშვებული შეცდომა ნების გამომვლენისთვის მძიმე ფინანსური შედეგის მომტანია.[7]

5 *Heinrichs,* in Palandt BGB Komm. 66. Aufl., § 119 Rn. 19 ff.

6 იქვე. იხ. ასევე გერმანიის სასამართლო პრაქტიკა BGH NJW 1998, 3192, 3194; NJW 1983, 1671, 1672.

7 იხ. იქვე.

მუხლი 79. შეცილების ნამდვილობა

1. შეცილება უნდა მოხდეს შეცილების საფუძვლის შეტყობის მომენტიდან ერთი თვის ვადაში.

2. თუ გარიგება საცილო გახდა და შეცდომა გამოწვეულია შეცილების უფლების მქონე პირის დაუდევრობით, მაშინ იგი ვალდებულია მეორე მხარეს აუნაზღაუროს გარიგების ბათილობით წარმოშობილი ზიანი. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ წარმოიშობა, თუკი მეორე მხარემ იცოდა შეცდომის შესახებ, ან ეს უცნობი იყო მისთვის დაუდევრობის გამო.

I. ნორმის მიზანი 449
II. შეცილების გამორიცხვა ვადის გასვლით (79 I) 450
1. შეცილების ვადა 450
2. ვადის დენის დასაწყისი 450
3. მტკიცების ტვირთი და სამართლებრივი შედეგი 451
III. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება (79 II) 451
1. ზიანის ანაზღაურების უფლების შინაარსი 451
2. წინაპირობები 453
3. ზიანის ანაზღაურების მოცულობა 454
4. ზიანის ანაზღაურების გამორიცხვა 455
5. ხანდაზმულობა 455
6. მტკიცების ტვირთი 456

I. ნორმის მიზანი

79-ე მუხლი შეცილების ვადასთან ერთად აწესრიგებს შეცილების შემთხვევებში ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შესაძლებლობას. 79 I მუხლში მოხსენიებული შეცილების ვადა ვრცელდება 72-80-ე მუხლების მიმართ და იგი არ გამოიყენება მოტყუებით ან იძულებით დადებული გარიგებების შეცილებისას, სადაც განსხვავებული, სპეციალური ვადებია დაწესებული. **1**

მაშინ, როდესაც მოცემულია 72-80-ე მუხლებით განსაზღვრული არსებითი შეცდომა, გარიგება არ ხდება ავტომატურად ბათილი, არამედ მოითხოვება უფლებამოსილი პირის მიერ მისი შეცილება. შეცილება ხდება ცალმხრივი მიღებასავალდებულო ნების გამოვლენით, რაც გარიგებას ბათილად აქცევს საწყისი მომენტიდან. ეს კონსტრუქცია სამართლებრივად არა მხოლოდ იმიტომაა გამართლებული, რომ კერძო ავტონომიის ფარგლებში ყოველი მხარე თვითონ არის საკუთარ ქმედებაზე პასუხისმგებელი და ამასთან ერთად, მეორე მხარის გარიგების ნამდვილობისადმი ნდობის პრინციპი უნდა იქნეს დაცული, არამედ თვითონ შეცდომაში მყოფი პირიც შესაძლოა დაინტერესებული იყოს გარიგების ნამდვილობის შენარჩუნებით. ასეთი შემთხვევა შესაძლოა მოცემული იყოს, მაგალითად, მაშინ, როდესაც გარიგების საგანი ბაზარზე გაძვირდება ან დეფიციტში აღმოჩნდება. **2**

II. შეცილების გამორიცხვა ვადის გასვლით (79 I)

1. შეცილების ვადა

3 79 I მუხლი შეცილების ვადად განსაზღვრავს ერთ თვეს იმ მომენტიდან, როდესაც შეცილებაზე უფლებამოსილი პირი შეიტყობს შეცილების საფუძვლის შესახებ. განსხვავებით სხვა ქვეყნების მოწესრიგებისაგან, სადაც შეცილებაზე უფლებამოსილი პირი ვალდებულია დაუყოვნებლივ[1] შეატყობინოს მეორე მხარეს შეცილება, ქართველმა კანონმდებელმა შეცილებისთვის გონივრულ ვადად მიიჩნია ერთი თვე. ვადების ამგვარ განსაზღვრას აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. კერძოდ, დადებითია ის, რომ მარტივია ვადის გამოთვლა და სასამართლოს მოუწევს მხოლოდ დაადგინოს ის ფაქტი, თუ როდის გახდა შეცილებაზე უფლებამოსილი პირისთვის ცნობილი შეცილების საფუძვლის შესახებ, მაშინ, როდესაც, მაგალითად, გერმანულ სამართალში ყოველთვის სადავოა ის, თუ რამდენად „დაუყოვნებლივ“ შეატყობინა ერთმა მხარემ მეორეს. უარყოფითი ფაქტორი არის ის, რომ შეცილებაზე უფლებამოსილ პირს ეძლევა შეცილების უფლებით სპეკულირების შესაძლებლობა ისეთ ხელშეკრულების საგნებთან, რომლებიც ექვემდებარებიან ფასთა ხშირ ცვალებადობას. ამ შემთხვევებში არაკეთილსინდისიერ მხარეს ეძლევა შესაძლებლობა შეცილება არა იმწამსვე განახორციელოს, არამედ ერთი თვის განმავლობაში დაელოდოს მის სასარგებლოდ მდგომარეობის შეცვლას, რამაც შესაძლოა მეორე მხარე დააზარალოს. ასეთ შემთხვევაში შეცილებაზე უფლებამოსილი პირის მოქმედება შესაძლოა შეფასდეს 115-ე მუხლით უფლების ბოროტად გამოყენებად და ზოგ შემთხვევაში მას დაეკისროს ზიანის ანაზღაურებაც. მაშასადამე, შეცილების საფუძვლის არსებობისას, შეცილების განცხადება მხარის მოვალეობაა, რომელიც მას ეკისრება იმ შემთხვევაში, როდესაც გადაწყვეტილი აქვს გარიგების შეცილება.

4 შეცილების უფლების მიმართ მოქმედებს 128 III მუხლით განსაზღვრული საერთო ხანდაზმულობის ვადა.[2] ეს ნიშნავს იმას, რომ მხარეს 10 წლის განმავლობაში აქვს შეცილების უფლება, თუ იგი შეიტყობს შეცილების საფუძვლის შესახებ.

2. ვადის დენის დასაწყისი

5 შეცილების ვადის დენა იწყება მაშინ, როდესაც შეცილებაზე უფლებამოსილი პირი შეიტყობს შეცილების საფუძვლის შესახებ. მნიშვნელობა არ ენიჭება იმას, პირმა იცის თუ არა, თუ რომელი კონკრეტული სამართლებრივი საფუძვლით აქვს შეცილების უფლება ან რამდენად განხორციელებადია ეს საფუძველი.[3] იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მხარეს ვარაუდი ან

1 მაგ. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 121-ე მუხლი.
2 *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 339, *ზოიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 79, გვ. 236.
3 *Heinrichs,* in Palandt BGB Komm. 66. Aufl., § 121 Rn. 2.

ეჭვი აქვს შეცილების საფუძვლის არსებობის შესახებ, შეცილების ვადის დენა არ იწყება.[4] თუმცა, მეორე მხრივ, არ არის აუცილებელი, რომ მხარემ საფუძვლის არსებობის შესახებ სრული ჭეშმარიტება იცოდეს. საკმარისია, თუ შეცილებაზე უფლებამოსილი პირი „სანდო ინფორმაციის“ საფუძველზე აღნიშნულის შესახებ ინფორმირებულია, რაშიც ეჭვის შეტანის საფუძველი მას ვეღარ ექნებოდა.[5] შეცილებაზე უფლებამოსილ პირს ასევე არ ეკისრება რაიმე ვალდებულება, რომ ჩაატაროს კვლევა სავარაუდოდ არსებული შეცილების საფუძვლის შესახებ.[6] ზემოთქმულის პარალელურად აღსანიშნავია, რომ შეცდომის დაუდევრობით არცოდნაც არ იძლევა შეცილების ვადის დენის საფუძველს.[7]

წარმომადგენელის მიერ შეცილების საფუძვლის ცოდნა შეერაცხება შეცილებაზე უფლებამოსილ წარმოდგენილ პირს (არგ. 166 I), იმის გათვალისწინებით, თუ რა მოცულობით არის წარმომადგენელი პირი მინდობილობის საფუძველზე შეცილებაზე უფლებამოსილი.[8] **6**

3. მტკიცების ტვირთი და სამართლებრივი შედეგი

იმ შემთხვევაში, თუ შეცილების ადრესატი მხარე უთითებს, რომ შეცილების განცხადება ვადის დარღვევით იქნა გაცხადებული, მაშინ მან უნდა დაასაბუთოს და დაამტკიცოს შეცილებაზე უფლებამოსილი პირის მიერ **შეცილების საფუძვლის შეტყობის მომენტი**,[9] ხოლო თავის მხრივ შეცილებაზე უფლებამოსილმა პირმა უნდა დაასაბუთოს შეცილების საფუძვლის არსებობა და დაამტკიცოს, რომ შეცილება ერთი თვის ვადაში განახორციელა.[10] **7**

79 I მუხლით გათვალისწინებული შეცილების ვადა უნდა შემოწმდეს ნორმის შემფარდებელი ორგანოს (მაგ., სასამართლო) მიერ საკუთარი ინიციატივით.[11] ვადის გასვლის შემდგომ შეცილების უფლება ქარწყლდება და შეცილების განცხადება სამართლებრივი შედეგის არმქონეა. **8**

III. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება (79 II)

1. ზიანის ანაზღაურების უფლების შინაარსი

79 II მუხლის მიზანია **სამოქალაქო ბრუნვის დაცვა,** სადაც ნორმა იცავს იმ პირის ინტერესს, რომელსაც 72-80-ე მუხლების საფუძველზე შეცილებული გარიგების ნამდვილობის მიმართ ნდობა გააჩნდა. შესაბამისად, ზიანის **9**

4 დასახლებული ნაშრომი.
5 შდრ. BGH DB 1967, 1807
6 *Heinrichs,* in Palandt BGB Komm. 66. Aufl., § 121 Rn. 2.
7 იქვე.
8 იქვე, იხ. ასევე BGH MDR 1965, 646.
9 BGH WM 1983, 825, 826.
10 *Wendtland,* Beck'scher Online-Kommentar BGB, § 121, Rn. 12.
11 *Heinrichs,* in Palandt BGB Komm. 66. Aufl., § 121 Rn. 2.

ანაზღაურებაზე ვალდებულია ის პირი, რომელმაც კონტრაჰენტის გარიგების ნამდვილობის მიმართ არსებული ნდობა დაარღვია. ამ დროს სახეზეა პასუხისმგებლობა უსაფუძვლო ნდობის გაჩენისთვის, რაც გულისხმობს იმას, რომ მხარემ თავისი ნების გამოვლენის ნაკლოვანებით წარმოშობილი რისკებით შეიძლება გამოიწვიოს მეორე მხარის მიერ კონკრეტული ქმედების ან უმოქმედობის განხორციელება, რისთვისაც ის პასუხს აგებს, მიუხედავად იმისა, მიუძღვის თუ არა ბრალი შემდგომში კონკრეტული შედეგის დადგომაში. შესაბამისად, ზიანის ანაზღაურების წინაპირობა არაა ვალდებული პირის ბრალეულობა.

10 კანონის ტექსტის მიხედვით, საქმე ეხება ზიანის ანაზღაურების ისეთ მოთხოვნებს, რომლებიც გამომდინარეობს მხარის მიერ დაშვებული შეცდომიდან, კერძოდ, 72-ე-80 მუხლების შემადგენლობიდან. თუმცა, 79 II მუხლის მოქმედება შესაძლებელია გავრცელდეს ასევე ე.წ. „მოქმედების საკუთარი სფეროდან“ წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების სხვა კანონით განსაზღვრულ და ასევე განუსაზღვრელ შემთხვევებზე.[12] ასეთი შემთხვევები, შესაძლოა, იყოს შემდეგი: ა) 79 II შეიძლება გამოყენებულ იქნეს მაშინ, როდესაც ნების გამოვლენა მხარისგან გაუთვითცნობიერებლად გავა მისი სფეროდან (მაგ., მაგიდაზე დატოვებულ წერილს მდივანი აგზავნის შეცდომით ხელმძღვანელისგან დაუკითხავად). ამ დროს, თუ მეორე მხარეს მიადგება რაიმე ზიანი, უფლება ექნება ანაზღაურება მოითხოვოს 79 II მუხლის მიხედვით;[13] ბ) 79 II მუხლის მოქმედების სფეროში შესაძლოა მოხვდეს ასევე ისეთი შემთხვევა, როდესაც ერთმა მხარემ მეორეს დასაბუთებული ნდობა გაუჩინა, რომ ხელშეკრულება დაიდებოდა,[14] რის გამოც მეორე მხარემ ხელშეკრულების დადების მოლოდინში გასწია ხარჯები, თუმცა, პირველმა მხარემ (არაბრალეულად) ხელშეკრულება არ დადო. 317 II მუხლის მიხედვით პასუხისმგებლობისაგან გამიჯვნისათვის: 79 II მუხლისგან განსხვავებით, 317 II მუხლი მოითხოვს ბრალეულობის არსებობას. თუმცა, 79 II და 317 II მუხლები ყოველთვის არ გამორიცხავს ერთმანეთს და შესაძლოა ზოგ შემთხვევაში მოცემული იყოს ორივე ნორმის გამოყენების სფერო; გ) 79 II მუხლის მოქმედების ფარგლებში მოიაზრება ასევე შემთხვევა, როდესაც ქმედუუნარო წარმომადგენლის მიერ გამოვლენილი ნაკლოვანი ნების გამო მესამე პირს მიადგება ზიანი. ამ შემთხვევაში პასუხს აგებს წარმოდგენილი პირი, ვინაიდან შეცდომა მისი მოქმედების სფეროდან გამომდინარეობს;[15] დ) 79 II მუხლის გამოყენება შეიძლება მოიაზრებდეს ვალდებულების შესრულებას საწყისი შეუძლებლობის შემთხვევებში, მაშინ, როდესაც, მაგალითად, გარიგების საგანი ხელშეკრულების დადებამდე განადგურდა.[16]

12 ნორმის გამოყენების სფეროსთან დაკავშირებით შეადარეთ MüKo*/Armbrüster,* 7. Auflage 2015, § 122, Rn. 4.

13 შდრ. MüKo*/Armbrüster,* 7. Auflage 2015, § 122, Rn. 6.

14 შდრ. იქვე, Rn. 7.

15 შდრ. იქვე, Rn. 8.

16 შდრ. იქვე, Rn. 11.

2. წინაპირობები

ა) გარიგების ბათილობა

79 II მუხლის გამოყენების წინაპირობაა 72-80-ე მუხლების მიხედვით გარიგების ნამდვილი შეცილება, რომლის მიხედვითაც გარიგება საწყისი მომენტიდან ბათილდება. ნორმა არ გამოიყენება მოტყუებით ან იძულებით დადებული გარიგების შეცილების შემთხვევებში. 11

ბ) ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი და ვალდებული პირები

79 II მუხლის მიხედვით ზიანის ანაზღაურებაზე **ვალდებულია** ის პირი, რომლის ნების გამოვლენაც 72-80-ე მუხლების მიხედვით საცილოს ხდის გარიგებას; წარმომადგენლობის შემთხვევაში ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულია წარმოდგენილი პირი. 12

მიღებასავალდებულო ნების გამოვლენის შემთხვევებში ზიანის ანაზღაურებაზე **უფლებამოსილია** ის პირი, რომელმაც მიიღო გამოვლენილი ნება. ეს წესი მოქმედებს ასევე მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების შემთხვევაშიც. არამიღებასავალდებულო ნების გამოვლენის შემთხვევებში ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილია ნებისმიერი პირი, რომელსაც ნდობა გაუჩნდა გამოვლენილი ნების სისწორის მიმართ და ამის გამო ზიანი მიადგა. 13

თვითონ ნების გამომვლენი პირი არ არის ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი; თუმცა, იმ შემთხვევაში, როდესაც მან (საწყისი მომენტიდან) ბათილი გარიგების საფუძველზე მეორე მხარის მიმართ (სასარგებლოდ) გასწია დანახარჯი, შეუძლია მოითხოვოს მხოლოდ უსაფუძვლო გამდიდრების ნორმების საფუძველზე მისი ანაზღაურება. ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ მეორე მხარე შეცილების საფუძველს ბრალეულად გამოიწვევს, გამოირიცხება ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა 79 II მუხლის მიხედვით. 14

გ) მიზეზობრივი კავშირი

79 II მუხლის მიხედვით, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის მნიშვნელოვანი წინაპირობაა მიზეზობრივი კავშირის არსებობა, რაც გულისხმობს იმას, რომ მეორე მხარის (შეცილების ადრესატის) ან მესამე პირისადმი წარმოშობილი ზიანი უნდა იყოს მიზეზობრივ კავშირში გარიგების არსებობის მიმართ ნდობის ხელყოფასთან. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, მეორე მხარისადმი წარმოშობილი ზიანი უნდა მომდინარეობდეს გარიგების ნამდვილობის მიმართ არსებული მისი ნდობის დარღვევიდან. 79 II 2 მუხლის მიხედვით, ეს შემთხვევა არ არის სახეზე მაშინ, როდესაც „მეორე მხარემ იცოდა შეცდომის შესახებ, ან ეს უცნობი იყო მისთვის დაუდევრობის გამო“. „დაუდევრობაში“ იგულისხმება მეორე მხარის მიერ შეცილების საფუძვლის ბრალეული არცოდნა. სწორედ ამიტომ, გარიგების ორივე მხარის მიერ შეცილების 15

შემთხვევაში, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა 79 II 1 მუხლის მიხედვით გამოირიცხება, ვინაიდან ვერც ერთი მხარე ვერ მიუთითებს იმაზე, რომ მას ნდობა გარიგების ნამდვილობის მიმართ გააჩნდა.

3. ზიანის ანაზღაურების მოცულობა

16 ზიანის ანაზღაურების ოდენობის გამოთვლისთვის გამოიყენება ზიანის ანაზღაურების შესახებ კოდექსის ცენტრალური ნორმა – 394 I მუხლი. იმ შემთხვევაში, თუ ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი პირი დაარღვევს გულისხმიერების პრინციპს, რომლის მიხედვითაც თავისი მოქმედებით ევალება ზიანის შემცირების ვალდებულება (მაგ., მიიღოს ზომები, რომ ზიანის ოდენობა არ გაიზარდოს), მაშინ პასუხისმგებლობა (და შესაბამისად ზიანის ოდენობა) განისაზღვრება თანაბრალეულობის შესახებ 415-ე მუხლით.

17 79 II 1 მუხლის მიხედვით, ანაზღაურებადი ზიანის ფარგლები შეზღუდულია. ანაზღაურდება ის ზიანი, რომელიც მხარეს წარმოეშვა იმის შედეგად, რომ ენდო მეორე მხარის გამოვლენილი ნების ნამდვილობას. ანუ, ანაზღაურდება ე.წ. „ნდობის გაუმართლებლობიდან წარმოშობილი ზიანი“ (ნეგატიური ინტერესი) და არა გარიგების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანი.[17] ე.წ. „ნდობის გაუმართლებლობიდან წარმოშობილი ზიანის“ ქვეშ უნდა გავიგოთ ზიანი, რომელიც მხარეს იმის შედეგად წარმოეშობა, რომ ენდო პარტნიორის წინადადებას და სამართლებრივ ბოჭვაში შევიდა მასთან. ზიანის ანაზღაურებამ მას უნდა აღუდგინოს ის მდგომარეობა, რომელშიც ის იქნებოდა, საერთოდ რომ არ დაედო გარიგება. შესაბამისად, ანაზღაურებადი ზიანი მოიცავს იმ ყველა ქონებრივ დანაკლისს, რაც დაზარალებულ პირს მას შემდეგ წარმოეშვა, რაც ნების გამოვლენის ნამდვილობას ენდო და მისი შემდგომი მოქმედება ამ ნდობის საფუძველზე განახორციელა.[18]

18 ზიანის ანაზღაურების განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია ის, გაუარესდა თუ არა დაზარალებული პირის ქონებრივი მდგომარეობა იმ მოქმედებების შედეგად, რაც მან გარიგების ნამდვილობისადმი ნდობის გამო განახორციელა, ან თავი შეიკავა განხორციელებისგან.[19] შესაბამისად, ანაზღაურებადი ზიანი შეადგენს არა მხოლოდ გაწეულ დანახარჯებს, არამედ ასევე მოგებასაც, რომელიც დაზარალებულმა პირმა იმის შედეგად დაკარგა, რაც გარიგების ნამდვილობისადმი ნდობის გამო სხვა გარიგებაში არ შევიდა.[20] თუმცა, პირი, რომელსაც ზიანი ადგება გარიგების ბათილობის შედეგად, არ უნდა ჩადგეს იმაზე უკეთეს მდგომარეობაში, ვიდრე ის იქნებოდა, გარიგება რომ ნამდვილი ყოფილიყო. ამის გამო 79 II 1 მუხლის მიხედვით, არ ანაზღაურდება შესრულების ინტერესი (ე.წ. „პოზიტიური ინტერესი“). ამ უკანასკნელის ანაზღაურებისას ზიანის ისეთ სახესთან გვაქვს საქმე, რომელსაც პირი განიცდის იმის შედეგად, როდესაც ხელშეკრულება

17 *ზოიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი I, 1999, გვ. 237.
18 BGH NJW 1984 1950.
19 BGH NJW 1984, 1950, 1951.
20 იგივე გადაწყვეტილება.

არ სრულდება. შესრულების ინტერესის ანაზღაურება პირს აყენებს ასევე ისეთ მდგომარეობაში, რომელშიც იგი იქნებოდა ხელშეკრულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო. 79 II 1 მუხლის მიხედვით, ზიანის ანაზღაურებისას, ზიანის ანაზღაურებადი ოდენობა იმ შემთხვევაშიც ვერ იქნება შესრულების ინტერესზე მეტი, როდესაც ის უფრო ნაკლებია, ვიდრე ნდობის ინტერესი (ე.წ. ნეგატიური ინტერესი). მაგალითად, მაშინ, როდესაც პირი შეცილებული გარიგების შედეგად 1000 ლარს მოიგებდა, ვერ მოითხოვს 2000 ლარის ზიანის ანაზღაურებას იმაზე მითითებით, რომ სხვა უფრო სარფიან გარიგებას დადებდა, რომ არ ჰქონოდა ნდობა (უკვე გაბათილებული) გარიგების ნამდვილობის მიმართ.

ზემოაღნიშნულ წესს შემდგომი დასაბუთება უდევს საფუძვლად: ზიანის **19**
ანაზღაურებაზე უფლებამოსილი პირი ნების გამოვლენის შეცილების (გარიგების გაბათილების) შედეგად არ უნდა ჩადგეს იმაზე უკეთეს მდგომარეობაში, ვიდრე ის იქნებოდა, გარიგება საცილო რომ არ გამხდარიყო. საწინააღმდეგოს დაშვების შემთხვევაში, ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულ პირს შეცილების უფლების გამოყენება უფრო მეტად დააზიანებდა, ვიდრე ამ უფლების გამოუყენებლობა, რაც უსამართლო იქნებოდა. შესაბამისად, უსამართლო იქნებოდა ისეთი ზიანის ანაზღაურება, რომელიც კონტრაჰენტის შესრულების ინტერესს ცდება.

4. ზიანის ანაზღაურების გამორიცხვა

79 II 2 მუხლის მიხედვით, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა გამოირიცხ- **20**
ება მაშინ, როდესაც დაზარალებულმა პირმა იცოდა შეცდომის (გარიგების ბათილობის საფუძვლის) შესახებ ან ეს მისთვის უცნობი იყო დაუდევრობის გამო. ამ შემთხვევაში დაზარალებული პირის სამართლებრივი ინტერესი არ იმსახურებს დაცვას. წინადადებაში მოხსენიებული „არცოდნა დაუდევრობით“, გულისხმობს გაუფრთხილებლობით არცოდნას, რაც საერთო ცნებაა მთლიანი კერძო სამართლის სისტემისთვის. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის გამორიცხვისათვის საკმარისია ნებისმიერი სახის, მათ შორის მსუბუქი გაუფრთხილებლობის არსებობაც. აღნიშნული კი გულისხმობს იმას, რომ უფლებამოსილი პირი სათანადო გულმოდგინების გამოვლენის შემთხვევაში შეამჩნევდა საცილოობის საფუძველს. ცოდნა ეხება გარიგების შეცილების საფუძვლის – „შეცდომის“ შესახებ ინფორმაციის ქონას და არა ნების გამომვლენის ნამდვილი ნების, იმ შემთხვევაში, თუ ნების მიმღები მიხვდა ნების გამომვლენის ნამდვილ ნებას. თუ შემდგომ იგი საცილო გახადა დაშვებული შეცდომის გამო, 79 II 1 მუხლის გამოყენების წინაპირობები ისედაც არ იქნება სახეზე. ამასთანავე, 79 II 2 მუხლის წინაპირობების არსებობა გამორიცხავს 415-ე მუხლის მოქმედებას.

5. ხანდაზმულობა

ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე ვრცელდება ხანდაზმულობის ის **21**

ვადა, რაც გავრცელდებოდა იმ შესრულების მოთხოვნის მიმართ, გარიგება ბათილი რომ არ ყოფილიყო[21] – 3 წელი, უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ბათილი გარიგების შემთხვევაში 6 წელი.

6. მტკიცების ტვირთი

22 დაზარალებულმა პირმა უნდა დაასაბუთოს და დაამტკიცოს, რომ ნების გამოვლენის შეცილება ნამდვილია და ის ნების გამოვლენის ადრესატი ან მესამე (გარიგებასთან დაკავშირებული) პირია. მასვე ეკისრება იმისი დასაბუთებისა და მტკიცების ვალდებულება, რომ დაირღვა მისი ნების გამოვლენის (გარიგების) ნამდვილობისადმი არსებული ნდობა და გარიგების ბათილობის გამო მას მიადგა ზიანი. ნების გამომვლენმა პირმა კი, თავის მხრივ, უნდა დაასაბუთოს და დაამტკიცოს, რომ ა) სახეზეა 79 II 2 მუხლის მიხედვით ზიანის ანაზღაურების გამორიცხვის წინაპირობები; ბ) ზიანის ანაზღაურების მოცულობა შესრულების ინტერესის ზღვარს ცდება; გ) ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილმა პირმა დაარღვია ზიანის შემცირების ვალდებულება (415); დ) ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილმა პირმა (სრულად ან ნაწილობრივ) თავად გამოიწვია შეცილების საფუძველი.

21 შდრ. BGHZ 57, 191, 196 = NJW 1972, 95.

მუხლი 80. შეცდომა შუამავლის მიზეზით

ნების გამოვლენა, რომელიც არასწორად იქნა შეტყობინებული შუამავლად გამოყენებული პირის მიერ, შეიძლება საცილო გახდეს იმავე პირობებით, რაც 73-ე მუხლის მიხედვით შეცდომით დადებული გარიგება.

I. ნორმის მიზანი და დანიშნულება 457
II. მე-80 მუხლით შეცილების წინაპირობები 457
1. შუამავალი პირი 457
2. შეტყობინება შუამავალი პირის მეშვეობით 457
3. ნების გამოვლენის გაუცნობიერებლად შეცდომით შეტყობინება 458
4. ნების ადრესატის მიერ ნამდვილი ნების არცოდნა 459
III. სამართლებრივი შედეგი 459

I. ნორმის მიზანი და დანიშნულება

მიღებასავალდებულო ნების გამოვლენა არათანმყოფი პირების მიმართ ნამდვილია მაშინ, როდესაც ის მიუვა ნების გამოვლენის ადრესატს (51 I). მე-80 მუხლი იცავს ნების გამოვლენის ადრესატის ნდობას, რომ მასთან შუამავლის მეშვეობით მისული ნება ნამდვილი და სწორია. შესაბამისად, ნების გამომვლენ პირს ეკისრება შუამავლის მიერ ნების **არასწორად შეტყობინების რისკი.** თუმცა, ნების გამომვლენ პირს უფლება აქვს, არასწორად შეტყობინებული ნების გამოვლენა საცილო გახადოს. **1**

ნორმა სამართლებრივი შინაარსითა და შედეგით უკავშირდება 73-ე მუხლში მოწესრიგებულ შეცდომის სახეებს. ამის გამო მე-80 მუხლი არ შეიძლება ჩაითვალოს შეცდომის ცალკე სახედ. **2**

II. მე-80 მუხლით შეცილების წინაპირობები

1. შუამავალი პირი

ნების გამომვლენი პირი ნების შესატყობილებლად (გადასაცემად) უნდა იყენებდეს ფიზიკურ ან იურიდიულ პირს. შუამავალ პირში მოაზრებულ უნდა იქნეს არა მხოლოდ ფიზიკური პირი, არამედ ნებისმიერი იურიდიული პირი, რომელთა საქმიანობასაც წარმოადგენს უცხო ნების გადაცემა[1] (ფოსტა, საკურიერო მომსახურება და ა.შ.). **3**

2. შეტყობინება შუამავალი პირის მეშვეობით

მე-80 მუხლი გამოიყენება იმ შემთხვევებში, როდესაც ნების გამომვლენი პირი თავის ნებას მესამე (შუამავალი) პირის მეშვეობით გადასცემს/ატყობინებს. მაშასადამე, შუამავალი პირი ნების ადრესატს გადასცემს უცხო **4**

1 *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 336.

ნებას. ამის გამო, ნორმა არ გამოიყენება იმ შემთხვევებში, როდესაც მესამე პირი წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით მოქმედებს, ვინაიდან წარმომადგენელი ავლენს საკუთარ ნებას და არ გადასცემს სხვის ნებას.

5 ნორმა მოქმედებს მხოლოდ მესამე პირების (შუამავლების) მიერ ნების გამოვლენის არასწორად გადაცემის მიმართ. მისი შემადგენლობა არ მოიცავს ისეთ შემთხვევებს, როდესაც ნების გამოვლენის გადასაცემად ჩართულია ნების გამოვლენის ადრესატის შუამავალი, რომელიც შეტყობინებულ ნებას შემდგომ არასწორად გადასცემს.[2] იგივე წესი უნდა გავრცელდეს ასევე იმ შემთხვევებში, როდესაც ელექტრონული სახით გაგზავნილი ნების გამოვლენა შეცვლილი სახით მისდის ნების გამოვლენის ადრესატს. ამ შემთხვევაში უნდა განვასხვაოთ შემდეგი: თუ ნების გამოვლენა ტექნიკური ხარვეზის გამო მოდიფიცირებას განიცდის მანამ, სანამ ის მოხვდება ნების გამოვლენის ადრესატის გავლენის სფეროში (მეილბოქსში, სერვერზე და ა.შ.), ნების გამომვლენი პირი ატარებს ნებაში შეცდომის დაშვების რისკს. ეს რისკი გადადის ნების გამოვლენის ადრესატზე მაშინ, როდესაც ნების გამოვლენა უკვე მისი გავლენის სფეროშია, შესაბამისად, მე-80 მუხლიც აღარ გამოიყენება.

3. ნების გამოვლენის გაუცნობიერებლად შეცდომით შეტყობინება

6 მე-80 მუხლით შეცილების ნამდვილობის წინაპირობაა ასევე ის, რომ შუამავალი პირი გაუცნობიერებლად შეცდომით გადასცემს გამოვლენილ ნებას ნების გამოვლენის ადრესატს. იმ შემთხვევაში, თუ შუამავალი პირი გაცნობიერებულად შეცვლის ნების გამოვლენის შინაარს, გამოირიცხება მე-80 მუხლის მოქმედება.[3] ასეთ შემთხვევაში შუამავალი პირი არა უცხო ნებას გადასცემს, როგორც ამას მე-80 მუხლი მოითხოვს, არამედ მხოლოდ სურს, რომ მის მიერ მოდიფიცირებული (საკუთარი) ნება შერაცხოს ნების გამომვლენის რეალურ ნებად. ამ შემთხვევაში ჩვეულებრივ გამოიყენება 111 I მუხლის წესი, როდესაც გარიგების ნამდვილობისთვის საჭიროა წარმოდგენილი პირის მოწონება.

7 რაც შეეხება ნების გამომვლენი პირის პასუხისმგებლობას, იმის გამო, რომ მან დაარღვია ნების გამოვლენის ადრესატის ნდობა (და ვინაიდან ის მის საქმიანობაში ჩართული პირების მოქმედებაზე პასუხისმგებელია 396-ე მუხლის მიხედვით), განისაზღვრება წინასახელშეკრულებო ურთიერთობების ბრალით (culpa in contrahendo), 79 II 1 მუხლის ანალოგიის წესით გამოყენება აქ გამოირიცხება.

8 მე-80 მუხლი მოქმედებს ასევე იმ შემთხვევებში, როდესაც ნების გამოვლენის შეცდომით გადაცემა ხდება არასწორი ადრესატის მიმართ.[4]

2 შდრ. MüKo/*Armbrüster,* 7. Auflage 2015, § 120, Rn. 7.

3 შდრ. იქვე, ღნ. 4.

4 *ზოიძე,* სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, 2002, გვ. 238; *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 336.

4. ნების ადრესატის მიერ ნამდვილი ნების არცოდნა

ნების ადრესატმა არ უნდა იცოდეს ნების გამომვლენის ნამდვილი ნების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ მან ეს იცის, ჩაითვლება, რომ მასთან მივიდა მხარის ნამდვილი ნება, მიუხედავად იმისა, რომ ეს ნება შეცდომით იქნა შეტყობინებული (არგუმენტი: falsa demonstratio non nocet). ამ შემთხვევაში მე-80 მუხლის მოქმედების გამორიცხვისათვის გადამწყვეტია ნების ადრესატის პოზიტიური ცოდნა, რაც გულისხმობს იმას, რომ, თუ მას სათანადო გულისხმიერების გამოჩენის შემთხვევაში უნდა შეეტყო და (გაუფრთხილებლობით) არ შეიტყო შეცდომის შესახებ, აღარ გამოირიცხება მე-80 მუხლის მოქმედება და ნების გამომვლენ პირს მაინც შეუძლია განაცხადოს შეცილება, თუმცა გამოირიცხება 79 II 1 მუხლის მოქმედება და ნების ადრესატი ვეღარ მოითხოვს ზიანის ანაზღაურებას. 9

III. სამართლებრივი შედეგი

იმ შემთხვევაში, თუ მოცემულია მე-80 მუხლის წინაპირობები, ნების გამომვლენ პირს შეუძლია, განაცხადოს შეცილება მე-80 მუხლის მიხედვით; ნების გამოვლენის ადრესატს უნარჩუნდება ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება 79 II 1 მუხლის თანახმად. შუამავალი პირის პასუხისმგებლობა განისაზღვრება ნების გამომვლენსა და მას შორის არსებული შიდა ურთიერთობის საფუძველზე.[5] შუამავალი პირის მიერ განზრახ არასწორი ნების შეტყობინების შემთხვევაში ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი პირები არიან როგორც ნების გამომვლენი, ასევე ნების გამოვლენის ადრესატი და პასუხისმგებლობა ამ შემთხვევაში განისაზღვრება დელიქტური პასუხისმგებლობის ნორმებით. 10

5 შდრ. MüKo/*Armbrüster, 7*. Auflage 2015, § 120, Rn. 8.

II. მოტყუებით დადებული გარიგებანი

მუხლი 81. ცნება

1. თუ პირი გარიგების დადების მიზნით მოატყუეს, იგი უფლებამოსილია მოითხოვოს ამ გარიგების ბათილობა. ეს ხდება მაშინ, როცა აშკარაა, რომ მოტყუების გარეშე გარიგება არ დაიდებოდა.

2. თუ ერთი მხარე დუმს იმ გარემოებათა გამო, რომელთა გამჟღავნების დროსაც მეორე მხარე არ გამოავლენდა თავის ნებას, მაშინ მოტყუებულს შეუძლია მოითხოვოს გარიგების ბათილობა. გამჟღავნების ვალდებულება არსებობს მხოლოდ მაშინ, როცა მხარე ამას ელოდებოდა კეთილსინდისიერად.

I. ზოგადი დებულებები 460
1. ნორმის მიზანი და შინაარსი 460
2. გამოყენების სფერო 461
II. მოტყუებით დადებული გარიგების წინაპირობები 462
1. ობიექტური შემადგენლობა 462
ა) მცდარი წარმოდგენის შექმნა ან ფაქტების დამახინჯება 462
ბ) მიზეზშედეგობრიობა 464
გ) მოტყუება დუმილით, 81 II 466
2. მართლწინააღმდეგობა 467
3. სუბიექტური შემადგენლობა 468
III. სამართლებრივი შედეგები 471
IV. კონკურენცია 471
1. შეცდომის საფუძვლით შეცილება 471
2. ნაკლოვანი შესრულებიდან წარმოშობილი პასუხისმგებლობა 472
3. კანონსაწინააღმდეგო გარიგება 473
4. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნები 473
V. მტკიცების ტვირთი 473

I. ზოგადი დებულებები

1. ნორმის მიზანი და შინაარსი

1 81-ე მუხლის მიხედვით, გარიგების საფუძვლად ქცეული მცდარი წარმოდგენა პირს ანიჭებს შეცილების უფლებას, თუ ის გამოწვეულია მისი კონტრაჰენტის მხრიდან მოტყუებით.[1] გარიგების დადებისას მოტყუება

1 იხ. მოტყუებით დადებულ გარიგებასთან დაკავშირებით *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 376 და შემდგომნი; *ზოიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 81, გვ. 239 და შემდგომი; შედარებით-სამართლებრივი კუთხით მიმოხილვისათვის შდრ. *კერესელიძე,* კერძო

ხელყოფს გარიგების მონაწილის **ნდობას** მეორე მხარის კეთილსინდისიერ ქცევასთან დაკავშირებით[2] და აქედან გამომდინარე, ხელყოფს **ნების გამოვლენის თავისუფლებას.** ეს დანაწესი ემყარება მოსაზრებას, რომ ნების გამოვლენა მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს სამუდამოდ ნამდვილი, როდესაც მისი გამოვლენის გადაწყვეტილება მხარეს მიღებული აქვს დამოუკიდებლად, საკუთარი გარიგებისმიერი თვითგანსაზღვრის ფარგლებში.[3]

2 ნების გამოვლენის თავისუფლების შეზღუდვის მომენტი ერთმანეთს ამსგავსებს შეცდომით და მოტყუებით დადებულ გარიგებებს, თუმცა განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ მოტყუების შემთხვევაში ხელყოფა მეორე მხარის განზრახი მოქმედებით ხდება.[4] **განსხვავებით შეცდომისაგან,** როდესაც ნების ნაკლის წყარო მისი გამომვლენელია, მოტყუებისას ნების ეს ნაკლი განპირობებულია გარიგების მეორე მხარის სამართლებრივად გასაკიცხი მოქმედებით, რომლის მიზანიც თავიდანვე ნების გამომვლენელისათვის არასწორი წარმოდგენის შექმნაა.[5] ამ დროს ერთი მხარე მეორეს თავისი შეგნებული მოქმედებით **გამოსტყუებს** ხოლმე ნების გამოხატვას. აქედან გამომდინარე, მოტყუებისას, ნების გამოხატვის თავისუფლება, რომელიც მხარეთა კერძო ავტონომიიდან წარმოდგება, გაცილებით უფრო მეტად არის ხელყოფილი, ვიდრე შეცდომისას, რაც მოტყუებულს უპირობოდ ანიჭებს ხელშეკრულების ბათილობის მოთხოვნის უფლებას.[6]

2. გამოყენების სფერო

3 81-ე მუხლი მოქმედებს ყველა სახის ნების გამოხატვის მიმართ როგორც **მიღებასავალდებულოს,** ისე **არამიღებასავალდებულოს, გაცხადებულის,** თუ **კონკლუდენტურის.**

სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, გვ. 340-ე და შემდგომი.

2 შდრ. მუხ. 83 26-ე ველი.

3 *Wendtland,* in Beck OK BGB, 39. Aufl., 2016, § 123 Rn. 1.

4 *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 376; *კიკოშვილი,* ნების ნაკლი ქართულ სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა 2008, გვ. 17; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 29 მაისის №ას-198-186-2014 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 6 მაისის №ას-1214-1156-2014 გადაწყვეტილება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 25 მარტის №ას-1350-1275-2012 გადაწყვეტილება.

5 *ზოიძე, სკ-ის* კომენტარი, წიგნი I, 2002, მუხ. 81, გვ. 240; *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 377; არასწორია თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 30 ნოემბრის №2ბ/2103-11 გადაწყვეტილებაში გამოთქმული მოსაზრება, რომ მოტყუებით გამოხატული ნება ერთ რანგში უნდა დავაყენოთ ძილში ან ჰიპნოზურ მდგომარეობაში გამოხატულ ნებასთან. ამ შემთხვევებში პრობლემურია მოქმედების ნება, ხოლო მოტყუების შემთხვევაში ბოჭვისა ან გარიგების ნება, ამიტომაც მოქმედების ნების გარეშე გამოხატული ნება საერთოდ არ არსებობს, ხოლო მოტყუების საფუძველზე გამოხატული ნება მხოლოდ საცილოა (იხ. 22-ე ველი).

6 *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 377; *ჭანტურია,* შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, 2000, გვ. 378; შდრ. ასევე *კიკოშვილი,* ნების ნაკლი ქართულ სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა 2008, გვ. 17; *ჯორბენაძე,* შეცდომა გარიგებაში, პარალელი სხვა სამართლებრივ ინსტიტუტებთან, სამართლის ჟურნალი №1/2011, გვ. 193 და შემდგომი; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 25 მარტის №ას-1350-1275-2012 განჩინება.

4 მოტყუებით დადებული გარიგებისას ჩვეულებრივ სახეზე გვაქვს ასევე **თაღლითობა** სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის გაგებით, თუმცა სამოქალაქო-სამართლებრივი და სისხლისსამართლებრივი შემადგენლობები სრულად ურთიერთმფარავი არ არის[7] (იხ. 29-ე ველი; მუხ. 82 1-ლი ველი).

5 განსხვავებით **მოჩვენებითი გარიგებისგან,** რომელიც დადებულია ისე, რომ მხარეებს ამ გარიგებიდან გამომდინარე შედეგის დადგომა არ სურთ[8], მოტყუებით დადებული გარიგების შემთხვევაში ორივე მხარეს სურს ხელშეკრულებით დასახული მიზნის მიღწევა, თუმცა ეს მხოლოდ მოტყუებულის თავისუფალი გადაწყვეტილებით არ არის განპირობებული, არამედ განპირობებულია მოტყუებით.[9]

II. მოტყუებით დადებული გარიგების წინაპირობები

1. ობიექტური შემადგენლობა

6 **მოტყუებად** ითვლება კონტრაჰენტის „ცდომილებაში განზრახ შეყვანა".[10] **განზრახვა,** ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებების[11] თანახმად, ერთხმად არის აღიარებული მოტყუების აუცილებელ წინაპირობად და უარყოფილია შეცდომით მოტყუების შესაძლებლობა.[12]

ა) მცდარი წარმოდგენის შექმნა ან ფაქტების დამახინჯება

7 მოტყუება შესაძლებელია როგორც მოქმედებით, ასევე უმოქმედობით (იხ.მე-14 ველი). ორივე მიზნად უნდა ისახავდეს მეორე მხარისათვის

7 *კროპჰოლერი,* გსკ-ის სასწავლო კომენტარი, თარგმანი, 2014, § 123 1-ლი ველი; თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 17 აპრილის № 2ბ/4449-11 გადაწყვეტილება, თუმცა ამ შემთხვევაში სასამართლოს მსჯელობას ბოლომდე ვერ გავიზიარებთ, მართალია, სისხლისსამართლებრივი თაღლითობა და სამოქალაქო-სამართლებრივი მოტყუება ურთიერთმფარავი არ არის, მაგრამ ყოველთვის, როდესაც სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობის შესასრულებლად პირმა გარიგება დაადებინა მეორე მხარეს, მოტყუება სახეზე გვაქვს. თუ მხარეს უღირს შეინარჩუნოს მოტყუებით დადებული გარიგება, მას შეუძლია უბრალოდ არ გამოიყენოს შეცილების უფლება, რა შემთხვევაშიც გარიგება ნამდვილი დარჩება, თუმცა ეს არ ცვლის იმ ფაქტს, რომ ის მაინც მოტყუებით დადებულად ითვლება.

8 56-ე მუხლის კომენტ. ველი 5; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 17 ივლისის № ას-1134-1080-2014 განჩინება; *ჯორბენაძე,* შეცდომა გარიგებაში, პარალელი სხვა სამართლებრივ ინსტიტუტებთან, სამართლის ჟურნალი №1/2011, გვ. 195; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 6 მაისის № ას-1214-1156-2014 გადაწყვეტილება

9 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 17 ივლისის №ას-1134-1080-2014 განჩინება.

10 *ზოიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 81, გვ. 239; *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 376; *ჭანტურია,* შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, 2000, გვ. 377; *კიკოშვილი,* ნების ნაკლი ქართულ სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა 2008, გვ. 11; *ჯორბენაძე,* შეცდომა გარიგებაში, პარალელი სხვა სამართლებრივ ინსტიტუტებთან, სამართლის ჟურნალი №1/2011, გვ. 208; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 27 მაისის №ას-170-163-2013 განჩინება.

11 *ზოიძე,* გარიგებანი საქართველოს მომავალ სამოქალაქო კოდექსში, სამართლის რეფორმა საქართველოში, 1994, გვ. 289; *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 378.

12 ასევე გერმანულ სამართალშიც მოტყუება გამორიცხულია უხეში გაუფრთხილებლობით შეცდომაში შეყვანის შემთხვევაშიც კი — კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, გვ. 343; Müko/*Armbrüster,* BGB, 7. Aufl. 2015, § 123 Rn. 16.

მცდარი **წარმოდგენის შექმნას,** მის **გამყარებას,** ან უკვე შექმნილი წარმოდგენის უბრალოდ **არგაქარწყლებას.**[13] ამასთან, მოტყუება უნდა შეიცავდეს ფაქტობრივ[14] (მაგ., ავტომანქანის განარბენი) და არა მხოლოდ შეფასებით მტკიცებას („მოცემული ავტომანქანა ჩინებულია“).

8 უმნიშვნელოა, **თუ რა ხერხით** ხდება კონკრეტულ შემთხვევაში მოტყუება – მოგონილი და გაყალბებული ფაქტების მიწოდებით, არსებული ფაქტების არმიწოდებით, თუ მხოლოდ ნაწილობრივ შეტყობინებით.[15]

9 შეცდომის **არსებითობა** 72-ე და შემდგომი მუხლების გაგებით არ არის მოტყუების წინაპირობა.[16] მომტყუებლის ქმედებით გამოწვეულ მოტივში შეცდომაც კი,[17] რომელიც ჩვეულებრივ არ არის შეცდომის საფუძვლით შეცილების უფლების მომნიჭებელი,[18] აკმაყოფილებს 81-ე მუხლის წინაპირობებს. ამგვარად, არ არის აუცილებელი, რომ მოტყუება უშუალოდ გარიგების საგანს უკავშირდებოდეს, საკმარისია, ის ეხებოდეს ისეთ **გარემოებებს,** რომლებიც კონკრეტულ შემთხვევაში **განაპირობებენ** ამ გარიგების დადებას[19] (მაგ., უძრავი ქონების ფასის სამომავლო ვარდნაზე მითითება). საბოლოო ჯამში, ხელშეკრულების დადებისათვის ობიექტურად უმნიშვნელო ფაქტიც კი აკმაყოფილებს 81-ე მუხლის წინაპირობებს.[20] სხვაგვარად არის საქმე დუმილით მოტყუების შემთხვევაში (იხ. მე-14 ველი). მოტყუება შესაძლებელია **ჭარბი ინფორმაციის** მიწოდებითაც, როდესაც ნაკლის შესახებ ცნობა რთულად აღქმადი ტექსტის სტრიქონებს შორის არის დამალული.[21]

---

13 *კიკოშვილი,* ნების ნაკლი ქართულ სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა 2008, გვ. 17, 18; *Brox/Walker,* Allgemeiner Teils des BGB, 31. Aufl. 2007, 233.

14 *კროპჰოლერი,* გსკ-ის სასწავლო კომენტარი, თარგმანი, § 123 მე-3 ველი;Müko/*Armbrüster,* BGB, 7. Aufl. 2015, § 123 Rn. 28, უმნიშვნელოა, ჩვეულებრივ, გამყიდველის ჩივილი იმასთან დაკავშირებით, რომ ამ ფასად გაყიდვით ის მხოლოდ „წაგებაშია“, თუმცა სხვაგვარად არის საქმე, როდესაც თვითონ ნივთის ფასია განზრახ არასწორად დაჯამებული (შემცირებულია გადამყიდველის მიერ წამატებული მოგების ოდენობა), ან შეცდომაში შეყვანა ხდება ფასის მოხსენიებით „სააქციო“ ან „განსაკუთრებულ“ ფასად.

15 *ზოიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 81, გვ. 240.

16 *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 340 და შემდგომი; ჯორბენაძე, შეცდომა გარიგებაში, პარალელი სხვა სამართლებრივ ინსტიტუტებთან, სამართლის ჟურნალი №1/2011, გვ. 200, გვ. 208.

17 *კიკოშვილი,* ნების ნაკლი ქართულ სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა 2008, გვ. 17, თუმცა ვერ გავიზიარებთ ავტორის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ მოტყუების შედეგად აუცილებლად მოტივში უნდა შეცდეს პირი, მოტყუებამ შეიძლება გარიგების შინაარსში შეცდენაც გამოიწვიოს – როდესაც პირი ყიდულობს ნაავარიებ მანქანას როგორც არანაავარიებს მეორე მხარის მიერ მიწოდებული არასწორი ცნობის საფუძველზე – ან გამოხატვაში შეცდომა, როდესაც მოტყუებულს სხვისათვის გამიზნულ ფორმულარზე მოაწერინებენ ხელს (შდრ. *Flume,* Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts II, 4. Aufl., 1992, 530).

18 იხ. მუხ. 74 მე-2 ველი.

19 *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 378; *კიკოშვილი,* ნების ნაკლი ქართულ სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა 2008, გვ. 10, 12; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 30 აპრილის №ას-193-180-2015 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 6 ივნისის №ას-257-244-2015 განჩინება, მაგალითად, მოტყუება შეიძლება ნასყიდობის დადების მოტივში, რომელიც უკავშირდებოდა გამყიდველის სხვა მიწის ნაკვეთის იპოთეკისაგან გათავისუფლებას.

20 Müko/*Armbrüster,* BGB, 7. Aufl. 2015, § 123 Rn. 28; იხ. მე-11 ველი.

21 Müko/*Armbrüster,* BGB, 7. Aufl. 2015, § 123 Rn. 28.

ბ) მიზეზშედეგობრიობა

10 იმისათვის, რათა მოტყუებულ მხარეს ჰქონდეს 81-ე მუხლის მიხედვით გარიგების ბათილობის მოთხოვნის უფლება, აუცილებელია, რომ მოტყუება გახდეს გარიგების დადების გადამწყვეტი მოტივი,[22] ანუ აშკარა იყოს, რომ მოტყუების გარეშე გარიგება არ დაიდებოდა,[23] თუმცა, ამასთან ვერ გავიზიარებთ ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულ[24] და სასამართლო პრაქტიკის მიერ[25] უკვე ფართოდ აღიარებულ ე. წ. „თვალსაჩინოების სტანდარტის“ აუცილებლობას მიზეზშედეგობრიობის დადგენისას. ამ **„თვალსაჩინოების სტანდარტის“** ქვეშ მოიაზრება ის ფაქტი, რომ „მოტყუების ფაქტი იმდენად თვალსაჩინო და აშკარა უნდა იყოს, რომ ნებისმიერი საშუალო განვითარებისა და აზროვნების ადამიანის მოტყუება უნდა იყოს შესაძლებელი“.

11 ეს მოსაზრება **არასწორია.** ობიექტური კრიტერიუმი იმისათვის, თუ ზოგადად რა უნდა ჩაითვალოს საკმარისად პირის შეცდომაში შესაყვანად რთული საპოვნელია და არც ნორმის მოთხოვნა – „აშკარაა, რომ მოტყუების გარეშე გარიგება არ დაიდებოდა“ – არ მიიჩნევს სავალდებულოდ მის გამოკვეთას. საკმარისია, თუ შემოვიფარგლებით მიზეზ-შედეგობრიობის დადგენით კონკრეტულ შემთხვევაში, დანარჩენს კი **სუბიექტური შემადგენლობის** ქვეშ იქნება განხილული.[26] შესაბამისად, ამ ობიექტური „თვალსაჩინოების სტანდარტის“ მაგივრად მიზეზშედეგობრიობის განსაზღვრა უნდა მოხდეს **სუბიექტური კრიტერიუმის** მიხედვით, რადგან მიამიტი და მიმნდობი პირიც, რომლის მოტყუება უბრალოდ ტყუილითაც კი შეიძლება, ისევეა დაცული ტყუილისაგან 81-ე მუხლის მიხედვით, როგორც განსაკუთრებით გამოცდილი პირი, რომლის მოსატყუებლადაც რთული კომბინაციაა საჭირო.[27] ამ შემთხვევაში სუბიექტური სტანდარტი დასაშვებია, რადგან,

22 *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 377; *კიკოშვილი,* ნების ნაკლი ქართულ სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა 2008, გვ. 12, 18; *კროპჰოლერი,* გსკ-ის სასწავლო კომენტარი, *თარგმანი*, 2014, § 123 ველი 5.

23 *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 344; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 17 ივლისის №ას-1134-1080-2014 განჩინება.

24 *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 344: გვთავაზობს იტალიის სასამართლო პრაქტიკის კვალდაკვალ კაუზალობის დადგენას ჰიპოთეტური და რეალური კრიტერიუმების მეშვეობით – გარდა იმისა, ზემოქმედება უნდა იყოს ობიექტურად საკმარისი კონტრაჰენტის ნების თავისუფლების შეზღუდვისათვის, ამავდროულად მან რეალურად უნდა შეზღუდოს ეს ნება.

25 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 16 ივნისის №ას-182-171-2014 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 29 აპრილის №ას-132-124-2015 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 6 თებერვლის №ას-505-478-2014 განჩინება; თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 30 მარტის №2ბ/4219-15 გადაწყვეტილება; თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 30 ნოემბრის №2ბ/2103-11 გადაწყვეტილება.

26 მაგალითად, თუ მომტყუებლის კონტრაჰენტი „დუჟინს“ ექვსის აღმნიშვნელ რიცხვით სახელად მიიჩნევს და მომტყუებელმა ამ სიტყვის გამოყენებით ის განზრახ შეიყვანა შეცდომაში, უმნიშვნელო უნდა იყოს, ობიექტურად შესაძლებელია თუ არა „დუჟინის“ გამოყენებით ამგვარი არასწორი წარმოდგენის გამოწვევა.

27 *Brox/Walker,* Allgemeiner Teils des BGB, 31. Aufl. 2007, 234: უმნიშვნელოა შეძლებდა თუ არა მოტყუებული შესაბამისი წინდახედულობის გამოჩენის შემთხვევაში შეცდომის თავიდან აცილებას. მაგალითად, თუ გამქირავებელს თვითონ ავიწყდება დაუსვას დამქირავებელს შეკითხვა

შემცდარი პირის კონტრაჰენტისაგან განსხვავებით,[28] მოტყუებულის კონტრაჰენტის ნდობა დაცვას არ იმსახურებს,[29] ისევე როგორც იძულებით დადებული გარიგების შემთხვევაში იძულებისათვის საკმარისია მისი ამგვარად აღქმა იძულებულის პოზიციიდან (86). გარდა ამისა, თუ დავუშვებთ, რომ არ არის აუცილებელი, მოტყუებით შექმნილი არასწორი წარმოდგენა ხელშეკრულების დადებისათვის არსებითი იყოს (იხ. მე-9 ველი), ანუ არ გვაქვს არანაირი მყარი კრიტერიუმი მოტყუების შინაარსისათვის,[30] მით უფრო უნდა მოხდეს მოტყუების ხერხის დადგენა თავად მოტყუებულის სუბიექტური თვალსაწიერიდან.

ობიექტური კრიტერიუმის ერთადერთი ფუნქცია მხოლოდ **მომტყუებლის ნდობის დაცვა** შეიძლება ყოფილიყო (თუ რამდენად შეეძლო მას გაეცნობიერებინა, რომ მისი ქმედება საკმარისი იყო მეორე მხარისათვის მცდარი წარმოდგენის შესაქმნელად), თუმცა ამის აუცილებლობა არ არსებობს, რადგან სუბიექტურ დონეზე მომტყუებლის განზრახვა ისედაც აუცილებელია.[31] საბოლოო ჯამში, ეს „თვალსაჩინოების სტანდარტი“ წინააღმდეგობაში მოდის 81-ე და შემდგომი მუხლების **მიზანთან** და ამიტომაც უკუსაგდებია. 12

დუმილით მოტყუების (მე-14 ველი) შემთხვევაში საკმარისია ჰიპოთეტური მიზეზშედეგობრივი კავშირი[32] – ინფორმაციის მიწოდების შემთხვევაში 13

მის გადახდისუნარიანობასთან დაკავშირებით, ეს მას არ აკარგვინებს მოგვიანებით ამ მოტივით შეცილების უფლების გამოყენების შესაძლებლობას. გარდა ამისა, გერმანული სასამართლო პრაქტიკის (RGZ 91, 82; *Armbrüster,* in Münchener Kommentar zum BGB, 7. Aufl. 2015, § 123 Rn. 28) მიერ აღიარებულია, რომ არ არის აუცილებელი მომტყუებლის მიერ მიწოდებული ცნობები ობიექტურად არასწორი იყოს, საკმარისია, თუ ის იქნება შეცდომაში შემყვანი; პასუხი — „ათასზე მეტი“, შეკითხვაზე, თუ რა განარბენი აქვს მანქანას, მაშინ, როდესაც სწორი პასუხი იქნებოდა „ათი ათასზე მეტი“. ამგვარი დაშვებით, როდესაც შეცდომაში შემყვანი ობიექტურად სწორი გამონათქვამიც საკმარისია, წაშლილია ზღვარი ობიექტურ და სუბიექტურ კრიტერიუმებს შორის, რომლის მიხედვითაც ხდება მოტყუების ფაქტის დადგენა, რადგან ერთ შემთხვევაში ობიექტურად სწორი ცნობა, მეორე შემთხვევაში შეიძლება შეცდომაში შემყვანი აღმოჩნდეს.

28 იხ. მუხ. 72 1-ლი ველი.

29 ამგვარად, „თვალსაჩინოების სტანდარტის“ საწინააღმდეგოდ მეტყველებს ასევე 83 II მუხლი (იხ. ამ მუხლის კომენტ. 26-ე ველი), საიდანაც მკაფიოდ იკვეთება, რომ მოტყუებით დადებული ხელშეკრულებისას, მართალია, მთავარი დასაცავი პირის ნების გამოხატვის თავისუფლებაა, მაგრამ მხოლოდ მაშინ, თუ ის ნდობითაა გამყარებული, ეს პრინციპი სააპელაციო სასამართლოს თავის გადაწყვეტილებაში (2011 წლის 30 ნოემბრის №2ბ/2103-11 გადაწყვეტილება) ბოლომდე გააზრებული არ აქვს. გარდა ამისა, 83 I მუხლიც ამაზე მიგვანიშნებს, რომ გადამწყვეტ მომენტს გარიგების საცილოდ ცნობისათვის სწორედ კონტრაჰენტის არაკეთილსინდისიერება წარმოადგენს (იხ. ამ მუხლის კომენტ. მე-2 ველი).

30 მაგალითად, გამქირავებლის ცრუ ცნობა, რომ ახლომდებარე ტყეში მელიის იშვიათი ჯიშია გავრცელებული, შეიძლება ჩაითვალოს მოტყუებად, თუ დამქირავებელ ზოოლოგს მხოლოდ მათზე დაკვირვების მიზნით სურდა ბინის ქირავნობა, მაშინაც კი, როდესაც დამქირავებლისათვის ამის შესახებ არ განუცხადებია. ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, დამქირავებელს ეკისრება მეორე მხარის განზრახვისა და კაუზალობის მტკიცება (იხ. 31-ე ველი).

31 მოტყუებით დადებული გარიგება საცილოა და მომტყუებელი „ისჯება“ არა იმიტომ, რომ ისეთ ხერხს მიმართა, რაც ჰიპოთეტურად საკმარისი იქნებოდა ობიექტური მესამე პირი შეცდომაში შესაყვანად, არამედ იმიტომ, რომ რეალურად შეიყვანა შეცდომაში კონტრაჰენტი. ამავე მიმართულებით ავითარებს მსჯელობას *ჯორბენაძე,* შეცდომა გარიგებაში, პარალელი სხვა სამართლებრივ ინსტიტუტებთან, სამართლის ჟურნალი №1/2011, გვ. 200; გერმანულ სამართალთან დაკავშირებით შდრ. ასევე *კიკოშვილი,* ნების ნაკლი ქართულ სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა 2008, გვ. 18.

32 *კროპჰოლერი,* გსკ-ის სასწავლო კომენტარი, *თარგმანი*, 2014, § 123 ველი 5.

მოტყუებული თავს შეიკავებდა გარიგების დადებისაგან – რადგან, განსხვავებით აქტიური ქმედებით მოტყუებისაგან, დუმილით მოტყუებისას ყოველთვის აბსოლუტური სიზუსტით ვერ დამტკიცდება ინფორმაციის გამჟღავნების შემთხვევაში მოტყუებულის მხრიდან გარიგების არდადების ფაქტი.

გ) მოტყუება დუმილით, 81 II

14 მოტყუება დუმილით, ანუ პასიური ქმედებით, ხდება მეორე მხარისათვის მისაწოდებელი ცნობების დამალვით,[33] როდესაც მომტყუებელ მხარეს, მიუხედავად საკუთარი საპირისპირო ინტერესისა, მათი შეტყობინების ვალდებულება ეკისრებოდა ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე (ე. წ. **„გამჟღავნების ვალდებულება“**[34]) **81 II 2** მუხლის მიხედვით,[35] მაგალითად, დუმილი დაავადების შესახებ ჯანმრთელობის დაზღვევის ხელშეკრულების დადებისას.[36]

ეს გამჟღავნების ვალდებულება შეიძლება ასევე გამომდინარეობდეს სამოქალაქო ბრუნვაში **აღიარებული ჩვეულებიდან,**[37] მაგალითად, ფასიანი ქაღალდების სამართალში მოქმედებს სპეციალური წესები შეტყობინების ვალდებულებასთან დაკავშირებით.[38] გერმანული სასამართლო პრაქტიკის თანახმად,[39] ავტომობილის ნასყიდობისას ავარიის შესახებ დუმილი მოტყუებაა, თუ საქმე ეხება მძიმე ავტოავარიას, ან მყიდველი თავად სვამს შეკითხვას ამის შესახებ.[40]

15 მყარად დადგენილი ჩვეულების არარსებობის შემთხვევაში, ყოველი ცალკეული შემთხვევისათვის **ინდივიდუალურად** უნდა განისაზღვროს, თუ რისი გამჟღავნების ვალდებულება ეკისრებათ კონტრაჰენტებს. მართა-

33 *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 377; *კიკოშვილი,* ნების ნაკლი ქართულ სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა 2008, გვ. 18.

34 ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში არ არის დამკვიდრებული კონკრეტული ტერმინი ამ ვალდებულების აღსანიშნავად (*ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 378: „შეტყობინების ვალდებულება“; *კიკოშვილი,* ნების ნაკლი ქართულ სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა 2008, გვ. 18: „გამხელის ვალდებულება“; *კროპჰოლერი,* გსკ-ის სასწავლო კომენტარი, *თარგმანი,* 2014, § 123 ველი 4: „განმარტების ვალდებულება“), თუმცა კანონის ტექსტთან ყველაზე ახლოს (82 II 2) „გამჟღავნების ვალდებულება“ დგას, რისი დამკვიდრებაც სასურველი იქნება სამომავლოდ.

35 *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 377; *ზოიძე, სკ*-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 81, გვ. 240; *კერესელიძე,* კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, გვ. 342, *კიკოშვილი,* ნების ნაკლი ქართულ სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა 2008, გვ. 18; *კროპჰოლერი,* გსკ-ის სასწავლო კომენტარი, *თარგმანი,* 2014, § 123 მე-4 ველი.

36 OLG Nürnberg NJW-RR 1998, 536.

37 *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 378; *ზოიძე, სკ*-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 81, გვ. 241; *კიკოშვილი,* ნების ნაკლი ქართულ სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა 2008, გვ. 18.

38 შდრ. *ჭანტურია,* კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, 2006, გვ. 287-293.

39 *კროპჰოლერი,* გსკ-ის სასწავლო კომენტარი, თარგმანი, 2014,§ 123 ველი 4.

40 *კროპჰოლერი,* გსკ-ის სასწავლო კომენტარი, თარგმანი, 2014 § 123 ველი 4.

ლია, მაგალითად, ნასყიდობის შემთხვევაში გამყიდველი ვალდებულია მყიდველს გაუმჟღავნოს ნივთის ყველა ნაკლი, გარდა იმ ნაკლისა, რომლის შემჩნევაც მყიდველს თავად შეეძლო,[41] თუმცა მაინც არ არსებობს ზოგადი ვალდებულება მეორე მხარისათვის გადაწყვეტილების მიღებისათვის მნიშვნელოვანი უკლებლივ **ყველა არსებითი გარემოების უკითხავად** გამჟღავნებისა.[42] მისთვის საინტერესო მთელი რიგი გარემოებები დაინტერესებულმა მხარემ თავად უნდა გამოიკითხოს.[43]

2. მართლწინააღმდეგობა

მომტყუებლის ქმედება, რომელიც იწვევს ნების ნაკლს, ავტომატურად (ipso facto) მართლსაწინააღმდეგოა,[44] რადგან ნების გამოხატვის თავისუფლება **აბსოლუტური სიკეთეა** და მისი მოტყუებულისაგან შეუცნობლად ხელყოფა დაუშვებელია. 16

მიუხედავად ამისა, გამონაკლისის სახით მართლწინააღმდეგობა გამორიცხულია ე. წ. **„ტყუილის უფლებისას“**. „ტყუილის უფლება“ წარმოადგენს გერმანული სასამართლო პრაქტიკის[45] მიერ აღიარებულ შემთხვევას, როდესაც არასწორი ცნობის მიწოდების მიუხედავად, არ გვაქვს სახეზე მოტყუება 81-ე მუხლის მიხედვით. ეს შეესატყვისება სხვა ქვეყნების გამოცდილება-

41 *კიკოშვილი,* ნების ნაკლი ქართულ სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა 2008, გვ. 18.

42 *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 342; *კიკოშვილი,* ნების ნაკლი ქართულ სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა 2008, გვ. 18.

43 მაგალითად (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბრის № ას-413-393-2015 განჩინება), თუ ცედენტს, რომელიც ერთდროულად შპს-ს დირექტორი და მისი კრედიტორია, სურს თავისი მოთხოვნები დაუთმოს შპს-ს სხვა კრედიტორებს, ეკისრება ვალდებულება გადაამოწმოს, მართლაც არიან თუ არა შერჩეული ცესიონერები შპს-ს კრედიტორები, რაც წარმოადგენდა მოთხოვნის დათმობის მთავარ მოტივს. თავად ცესიონერებს გამჟღავნების ვალდებულება არ ეკისრებათ; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 6 ივნისის №ას-257-244-2015 განჩინება, თუ გამყიდველი ნასყიდობას დებს იმ მიზნით, რომ მყიდველი ფასის გადახდის გარდა დაფარავს ვალს, რომელიც უზრუნველყოფილია გამყიდველის სხვა მიწის ნაკვეთზე არსებული იპოთეკით და ამგვარად გაათავისუფლებს მის უძრავ ქონებას ტვირთისაგან, გამყიდველს ევალება იმის გამორკვევა, ვალის დაფარვა დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს თუ თავდაპირველად გათვალისწინებული გრაფიკის მიხედვით; სამედიცინო კლინიკის ნასყიდობისას გამყიდველი, კლინიკის წლიური შემოსავლის მითითების შემდეგ არ არის ვალდებული დააკონკრეტოს, რომ კლინიკა წლიურად არცთუ ისე ბევრ პაციენტს ემსახურება და ამის გამო თითოეულის წილი მთლიან შემოსავალში საკმაოდ მაღალია, რაც იმას ნიშნავს, რომ ერთ-ერთი მათგანის გაქცევის შემთხვევაშიც კი ეს შემოსავალი მნიშვნელოვნად მცირდება. რა თქმა უნდა, ეს რისკი არსებობს, თუმცა მისი გამორკვევა და მისგან თავის დაზღვევა უკვე მყიდველის საქმეა (BGH NJW 1989, 763). ამ ხსენებულ შემთხვევებში დუმილით მოტყუება არ გვაქვს სახეზე.

44 *კიკოშვილი,* ნების ნაკლი ქართულ სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა 2008, გვ. 18, თუმცა ავტორი არასწორად აიგივებს გსკ-ის 123 II პარაგრაფში ხსენებულ „ბოროტ განზრახვას“ (Arglist) მართლწინააღმდეგობასთან.

45 შდრ. გერმანული სასამართლო პრაქტიკის მიერ შემუშავებული ტიპური შემთხვევები დაუშვებელი შეკითხვებისა – *Wendtland,* in Beck OK BGB, 39. Aufl., 2016, § 123 Rn. 2. დაუშვებელია, მაგალითად, შეკითხვა პარტიულ თუ კონფესიურ კუთვნილებასთან, ან ნასამართლობასთან დაკავშირებით, თუ ეს ნასამართლობა უკვე გაქარწყლებულია, ან მას დასაკავებელი პოზიციისათვის არანაირი მნიშვნელობა არ გააჩნია. ამისგან განსხვავებით, დასაშვებია შეკითხვა წარსულში საიდუმლო სამსახურებთან თანამშრომლობასთან დაკავშირებით, თუ საჯარო სამსახურში აყვანას ეხება საქმე, უნარშეზღუდულობასთან ან საინტოლოგისტთა სექტის კუთვნილებასთან დაკავშირებით.

საც[46] და მისი გათვალისწინება აუცილებელია ქართულ სამართალშიც.[47]

17 ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ შემთხვევას, როდესაც ტყუილი დასაშვებია, წარმოადგენს შრომითი ხელშეკრულების დადებისას დამსაქმებლის მიერ დასაქმებულისათვის შეკითხვის დასმა, რომელიც ცდება შრომის კოდექსის მე-5 მუხლის 1-ლი ნაწილის ფარგლებს. ასეთ **დაუშვებელ** შეკითხვაზე დასაქმებულს განზრახ არასწორი პასუხის გაცემის უფლება აქვს და ეს არ ეთვლება მას ტყუილად.[48] მაგალითად, შეკითხვა პოტენციური დასაქმებულის ფეხმძიმობასთან დაკავშირებით[49] მაშინაც კი დაუშვებელია, როდესაც მოცემულ ადგილზე კონკურსში მხოლოდ ქალები მონაწილეობენ და კონკრეტულ შემთხვევაში დისკრიმინაციული მოპყრობა სახეზე არ გვაქვს.[50]

3. სუბიექტური შემადგენლობა

18 მოტყუების ობიექტური შემადგენლობის გარდა 81-ე მუხლის წინაპირობების შესრულებისათვის სუბიექტურ დონეზე აუცილებელია მომტყუებლის შეგნებული გადაწყვეტილება, ე. წ. **„მოტყუების განზრახვა“.**[51] მომტყუებელი უნდა **აცნობიერებდეს,** რომ მის მიერ მიწოდებული მცდარი ცნობით ან სწორი ცნობის დამალვით, კონტრაჰენტს უქმნის არასწორ წარმოდგენას,

46 შდრ. *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 344.

47 არასწორია საწინააღმდეგო მოსაზრება (*კიკოშვილი,* ნების ნაკლი ქართულ სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა 2008, გვ. 18; *Kereselidze,* AT des ZGB, 2004, S. 257), რომელიც მის გაზიარებას შეუძლებლად მიიჩნევს. გერმანულ სამართალში აღიარებული ეს გადაწყვეტა არ გამომდინარეობს მხოლოდ შესაბამის დანაწესში (გსკ-ის 123-ე მუხლის 1-ლი ნაწილი) „ბოროტი განზრახვის“ ხსენებიდან (რასაც ავტორი არასწორად აიგივებს მართლწინააღმდეგობის აღმნიშვნელ მომენტთან), სინამდვილეში გერმანული სამართლის ამოსავალი დოგმის მიხედვით მოტყუება თვისთავად მართლსაწინააღმდეგოა, თუ გამონაკლისის სახით ის გამორიცხული არ არის). „ტყუილის უფლების“ მინიჭება, საბოლოო ჯამში, წარმოადგენს სამართლის პოლიტიკისა და არა დოგმატიკის საგანს, ამიტომაც ზუსტად ასეთივე წარმატებით შეგვიძლია საქართველოშიც მივუთითოთ იმ ფაქტზე, რომ გაკიცხვადობის მომენტი, რომელსაც აპრიორულად შეიცავს საკუთარ თავში მოტყუება, როგორც მეორე პირის ნების გამოხატვის თავისუფლების დაუშვებელი ხელყოფა, გამონაკლისის სახით არ გვაქვს სახეზე, როდესაც თავად მოტყუებულის ინტერესი (მაგ., თავისი პოტენციური დასაქმებულის ფეხმძიმობის შესახებ ინფორმაციის მიღება, მისთვის შემდგომში სულ სხვა მოტივით სამუშაოზე უარის თქმის გამო) არ არის აღიარებული სამართლის მიერ და შესაბამისად მისი ხელყოფაც არ არის მართლსაწინააღმდეგო.

48 *კიკოშვილი,* ნების ნაკლი ქართულ სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა 2008, გვ. 18.

49 BAG NJW 1993, 1154 და შემდგომი.

50 BAG DB 1993, 1978; *Stürmer,* Bewerbung und Schwangerschaft - Die Entscheidung des EuGH in der Rechtssache „Mahlburg", NZA 2001, 529, გამონაკლისის სახით ფეხმძიმობასთან დაკავშირებით შეკითხვა დასაშვებია და მასზე განზრახ არასწორი პასუხი ტყუილს წარმოადგენს 81 I 1 მუხლის მიხედვით, თუ ორსულის დასაქმება მოცემული ტიპის სამუშაოზე კანონით აკრძალულია ან საფრთხეს უქმნის ორსულის ჯანმრთელობას. ამასთან, შეკითხვა დასაშვებია მხოლოდ ვადიანი ხელშეკრულების შემთხვევაში.

51 *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 342, ეს წინაპირობა ცალსახად აღიარებულია გერმანული სამართლის ოჯახის ქვეყნებში; *ჯორბენაძე,* შეცდომა გარიგებაში, პარალელი სხვა სამართლებრივ ინსტიტუტებთან, სამართლის ჟურნალი №1/2011, გვ. 193, 199; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 30 აპრილის №ას-193-180-2015 განჩინება; *კროპჰოლერი,* გსკ-ის სასწავლო კომენტარი, თარგმანი, 2014, § 123 ველი 6.

ან ამყარებს უკვე შექმნილ წარმოდგენას და სწორედ ეს ფაქტორი განაპირობებს მეორე მხარის ნების გამოხატვას.[52] გარდა ამისა, აუცილებელია ამ არასწორ წარმოდგენასა და გარიგების დადებას შორის **კაუზალური ბმის გაცნობიერება** (იხ მე-10 ველი), რაც იკითხება ფორმულირებიდან – „გარიგების დადების მიზნით მოტყუება“.

19 მოტყუების განზრახვა უნდა არსებობდეს უკვე გარიგების **დადების მომენტში,**[53] რის აუცილებლობასაც საქართველოს უზენაესი სასამართლო თითქმის ყოველთვის სწორად იაზრებს,[54] მსჯელობს რა, მაგალითად, სესხის მოტყუებით დადების შემთხვევაში, არა იმასთან დაკავშირებით, დაუბრუნდა თუ არა თანხა გამსესხებელს, არამედ ჰქონდა თუ არა მსესხებელს თანხის სამუდამოდ დატოვების განზრახვა უკვე გარიგების დადებისას. გერმანული სასამართლო პრაქტიკა[55] მოვალის **გადახდისუუნარობის** მიუხედავად, **გარიგების დადების** მომენტში ავტომატურად არ უშვებს მის მოტყუების განზრახვას, რადგან ის შეიძლება ვალს იღებდეს იმ იმედით, რომ მისი გადახდის ვადის მოსვლისათვის უკვე აღარ იქნება ვალაუვალი, მაშინაც კი, როდესაც ამის პერსპექტივა საეჭვოა. ამ შემთხვევის მოტყუებისგან გამიჯვნისათვის უნდა მოვიშველიოთ არაპირდაპირი განზრახვის თვითიმედოვნებისგან გამიჯვნის კრიტერიუმები.

20 განზრახვა მოიცავს, როგორც **პირდაპირ,** ასევე **ირიბ განზრახვას,** ანუ სულ მცირე იმ ფაქტის გაცნობიერებას, რომ მეორე მხარე მოტყუების გარეშე გარიგებას არ დადებდა[56] ან სხვა შინაარსით დადებდა. ამასთან, **უმნიშვნელოა მოტივი,** რაც უბიძგებს პირს მეორე მხარის მოტყუებისაკენ; მოტყუებული მხარისათვის **ზიანის მიყენების მიზანი** არ წარმოადგენს 81-ე მუხლის გამოყენების აუცილებელ წინაპირობას, ისევე როგორც მომტყუებლის მიერ ამ გარიგებიდან რაიმე სარგებლის მიღება (შდრ. მუხ. 82 4-6 ველები).[57]

21 ქართული სასამართლო პრაქტიკა ნაწილობრივ **აკნინებს** მომტყუებლის **განზრახვის გადამწყვეტ მნიშვნელობას,** მიიჩნევს რა, მაგალითად, რომ თუ მხარემ ხელი მოაწერა ხელშეკრულებას, მაშინ ვერც ერთ შემთხვევაში ვერ შეძლებს იმის დამტკიცებას, რომ სინამდვილეში არ გასცნობია გარიგების შინაარსს და შეცდომაში იყო შეყვანილი მეორე მხარის ნათქვამის საფუძ-

52 *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 342.

53 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2001 წლის 11 აპრილის № 3კ/210-01 განჩინება.

54 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2001 წლის 11 აპრილის № 3კ/210-01 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 10 აპრილის № ას-447-424-2011 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 30 აპრილის № ას-193-180-2015 განჩინება.

55 OLG Köln NJW 1967, 740.

56 *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 343; *კროპჰოლერი,* გსკ-ის სასწავლო კომენტარი, თარგმანი, 2014, § 123 მე-6 ველი; ირიბი განზრახვის დასაშვებად საკმარისია სრულებით გაუცნობიერებელი და გადაუმოწმებელი ცნობების მიწოდება (BGH NJW 1998, 302; BGH NJW 1981, 1441; BGHZ 74, 392; BGH NJW 63, 382), მაგალითად, მეორადი მანქანებით მოვაჭრე არწმუნებს მყიდველს იმაში, რომ მანქანა ნაავარიები არ არის, თუმცა სინამდვილეში წარმოდგენაც არ აქვს ამის შესახებ.

57 *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 378 და შემდგომი; *ზოიძე, სკ-ის* კომენტარი, წიგნი I, მუხ. 81, გვ. 242: *კერესელიძე,* კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, 345: *კროპჰოლერი,* გსკ-ის სასწავლო კომენტარი, თარგმანი, 2014, § 123 ველი 6.

ველზე.[58] ამგვარი კატეგორიულობა, რაც ზემოთ ხსენებული უარსაყოფი „თვალსაჩინოების სტანდარტის“ ირიბი გამოვლინებაა (შდრ. მე-10 ველი), არასწორია. მომტყუებლის ზეპირი დაპირებისა და წერილობითი ხელშეკრულების შინაარსის ურთიერთაცდენა, თუ ეს განზრახ ხდება, წარმოადგენს მოტყუების ხერხს[59] და ყოველ ცალკეულ შემთხვევაში უნდა დადგინდეს, თუ რამდენად შეგვეძლო მოგვეთხოვა მოტყუებულისგან წერილობითი ხელშეკრულების ტექსტის კიდევ ერთხელ გულდასმით გადამოწმება. მაგალითად, მომტყუებლის განზრახვა (ასევე მიზეზშედეგობრიობა) გამორიცხულია, თუ შეცდომაში შეყვანილი პირი ნოტარიუსთან თავად არ განაცხადებს პრეტენზიას ქართული ენის არცოდნასთან დაკავშირებით.[60] დამქირავებელი ვერ მიუთითებს მოტყუებაზე, თუ შეგნებულად წაუკითხავად მოაწერს ხელს ხელშეკრულებას,[61] თუმცა სხვაგვარად არის საქმე, როდესაც მას უკვე კონკრეტული არასწორი წარმოდგენა აქვს შექმნილი გამქირავებლის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. შესაბამისად, უფრო გამართულ გადაწყვეტას წარმოადგენს **ყოველ ცალკეულ შემთხვევაში** იმის გამორკვევა, იცოდა თუ არა მხარემ, თუ რა ხელშეკრულებას აწერდა ხელს და რამდენად შეიძლება ეს გაურკვევლობა მისი ბრალით იყოს გამოწვეული (რაც მომტყუებლის განზრახვასთან ერთად მიზეზ-შედეგობრიობასაც გამორიცხავს),[62] და არა ხელმოწერისათვის აპოდიქტიკური ძალის მინიჭება.[63]

58 „გარიგებაზე ხელმოწერა უკვე თავისთავად ადასტურებს გარიგების შინაარსის ცოდნას“, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 29 მაისის №ას-198-186-2014 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 16 ივნისის №ას-182-171-2014 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 23 მარტის №ას-1342-1182-2010 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 14 იანვრის №ას-1059-1326-09 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 18 მაისის №ას-829-1080-04 განჩინება; მხოლოდ ე. წ. „ნდობით გამოწვეული უხეში გაუფრთხილებლობა“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 29 აპრილის №ას-132-124-2015 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 7 მაისის №ას-715-684-2014 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 19 თებერვლის №ას-1316-1254-2014 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 6 თებერვლის №ას-505-478-2014 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 16 ივნისის №ას-182-171-2014 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 2 ივნისის №ას-1202-1147-2013 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 10 მარტის №ას-1214-1159-2013 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 4 ოქტომბრის №ას-983-1017-2011 გადაწყვეტილება) ავტომატურად არ გამორიცხავს გარიგების მოტყუებით დადებას. სინამდვილეში მხარის ნდობა, ცალკე აღებული, ასევე წარმოადგენს 81-ე მუხლით დასაცავ სიკეთეს (შდრ. მუხ. 83 21-ე ველი), ამიტომაც მეორე მხარის გაუფრთხილებლობა შეიძლება გამორიცხავდეს მხოლოდ მომტყუებლის განზრახვას, მაგრამ არ გამორიცხავს მოტყუებას, თუ პირი შეგნებულად იყენებს თავისი კონტრაჰენტის ამ გაუფრთხილებლობას, თუმცა ამ შემთხვევაშიც რჩება მიზეზშედეგობრიობის გამორიცხვის შესაძლებლობა.

59 შდრ. *Flume,* Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts II, 4. Aufl., 1992, 530; შდრ. ასევე თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 30 ნოემბრის № 2ბ/2103-11 გადაწყვეტილება.

60 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 19 თებერვლის № ას-1316-1254-2014 განჩინება, დასაშვებია ასევე ხელმოწერიდან გამომდინარე ვარაუდი იმისა, რომ მხარე აცნობიერებს გარიგების შინაარსს.

61 LG Berlin 64. Zivilkammer, Urteil vom 11. Mai 1990, Az: 64 S 511/90.

62 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 13 ივლისის № ას-198-189-2010 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 6 მაისის № ას-1214-1156-2014 გადაწყვეტილება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 17 ივლისის № ას-1206-1135-2012 განჩინება.

63 ქართული სასამართლოს მიერ არჩეული ამგვარი ფორმალისტური მიდგომით, გამორიცხული

დუმილით მოტყუებისას აუცილებელია, რომ პირმა, რომელსაც ეკისრება გამჟღავნების ვალდებულება, იცოდეს ან სულ მცირე უშვებდეს, რომ მეორე მხარე მის მიერ დაფარული გარემოებების შესახებ ინფორმაციას არ ფლობს.[64] 22

III. სამართლებრივი შედეგები

81-ე მუხლის მიხედვით მოტყუებით დადებული გარიგება არის საცილო, რაც ნიშნავს იმას, რომ ის დადებისას ნამდვილია, ხოლო 59 II 2 მუხლის[65] მიხედვით შესაბამისი პირის მიმართ შეცილების შემდეგ ქარწყლდება დადების მომენტიდან (59 II 1),[66] 84-ე მუხლით გათვალისწინებული ვადის დაცვის შემთხვევაში. ქართული სასამართლო პრაქტიკა ამ გადაწყვეტასთან დაკავშირებით ყოველთვის თანმიმდევრული არ არის.[67] 23

მოტყუებით დადებული გარიგების გაბათილების შემდეგ გაცემულის უკუქცევა უნდა მოხდეს ან **შესრულების კონდიქციის** (976 I ა)), ან **ვინდიკაციის** (172 I) მეშვეობით. ორივე შემთხვევაში მომტყუებელი არაკეთილსინდისიერების გამო პასუხს აგებს **გამკაცრებულად** (981, 164). 24

IV. კონკურენცია

1. შეცდომის საფუძვლით შეცილება

კონტრაჰენტის მოტყუება ხდება მისი შეცდომაში შეყვანის გზით, რაც ნიშნავს იმას, რომ **შეცდომის საფუძვლით შეცილება** (72-ე და შემდგომი მუხლები) შეიძლება მთელ რიგ შემთხვევებში კონკურირებდეს მოტყუების მოტივით შეცილებასთან (შდრ. მე-2 ველი). სწორი მოსაზრების[68] თანახ- 25

უნდა იყოს ასევე, მაგალითად, ჭარბი ინფორმაციის მიწოდებით მოტყუება, რაც არასწორია (იხ. მე-9 ველი).

64 BGH NJW-RR 1996, 690.

65 იხ. 59-ე მუხლის კომენტარი ველი 29 და შემდგომნი.

66 *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 379; *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 341 სქ. 1696; *კიკოშვილი,* ნების ნაკლი ქართულ სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა 2008, გვ. 12, 17; *ჯორბენაძე,* შეცდომა გარიგებაში, პარალელი სხვა სამართლებრივ ინსტიტუტებთან, სამართლის ჟურნალი №1/2011, გვ. 193, 199; საცილო გარიგებებთან დაკავშირებით შდრ. 59-ე მუხლის კომენტარი ველი 23-ე და შემდგომნი; იხ. ასევე 59-ე მუხლის კომენტარი ველი 33 და შემდგომნი.

67 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 30 სექტემბრის № ას-669-636-2014 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 7 მაისის № ას-715-684-2014 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 29 აპრილის № ას-132-124-2015 განჩინება: „81-ე მუხლის პირველი ნაწილი კი, ითვალისწინებს გარიგების ბათილობას“. მართალია, სასამართლო ამ გადაწყვეტილებებში მოტყუებით დადებულ გარიგებას ბათილად მოიხსენიებს, თუმცა ეს, სავარაუდოდ, მექანიკურ შეცდომას უნდა წარმოადგენდეს, რადგან ყველა სხვა შემთხვევაში საცილოობა და ავტომატური ბათილობა ერთმანეთისაგან მართებულად არის გამიჯნული: საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 1 ნოემბრის №ას-1134-1080-2014 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 17 ივლისის №ას-1206-1135-2012 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 10 აპრილის №ას-447-424-2011 განჩინება.

68 *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 380; *ჭანტურია,* შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, 2000, გვ. 377; *ჯორბენაძე,* შეცდომა

მად ეს ორი ერთმანეთს არ გამორიცხავს. გარდა ამისა, მოტყუების საბაბით შეცილება დასაშვები უნდა იყოს მაშინაც კი, როდესაც შემცდარმა მხარემ უკვე გამოიყენა შეცილების უფლება შეცდომაზე დაყრდნობით.[69] ეს გამართლებულია იმ მოსაზრებით, რომ მოტყუების საფუძვლით შემცილებელს **ზიანის ანაზღაურების ვალდებულება** 79 II მუხლის მიხედვით არ ეკისრება და შეცილებისათვის გაცილებით უფრო **ხანგრძლივი ვადა** აქვს (84), ვიდრე შეცდომის საბაბით შეცილების შემთხვევაში.[70] გარდა ამისა, სასამართლო პროცესზე შესაძლებელია **მხოლოდ მოტყუების წინაპირობები** მტკიცდებოდეს, მაგრამ არა „არსებითი შეცდომისა“ 72-ე და შემდგომი მუხლების მიხედვით, ამიტომაც უნდა ჰქონდეს ორივე საფუძვლით შეცილების უფლება, რათა პროცესზე ერთზე მაინც შეძლოს მითითება.[71]

26 მოტყუებისა და **მუქარის** გამო შეცილება ერთმანეთს არ გამორიცხავს, მაგალითად, თუ მეუღლეთაგან ერთ-ერთი თავის მოკვლის ცრუ მუქარით აიძულებს მეორეს ხელი მოაწეროს საქორწინო კონტრაქტს,[72] მის ამ ქცევაში შეიძლება იკითხებოდეს როგორც მუქარის (85), ისე მოტყუების ნიშნები.[73]

2. ნაკლოვანი შესრულებიდან წარმოშობილი პასუხისმგებლობა

27 მოტყუებაზე დაფუძნებული შეცილება, განსხვავებით შეცდომის გამო შეცილებისგან, შეიძლება კონკურირებდეს ასევე **ნაკლოვანი შესრულებით გამოწვეულ პასუხისმგებლობასთან.**[74] მაგალითად, თუ გამყიდველი მყიდველს გარიგების დადებისას განზრახ უმალავს ნივთის ნაკლს, ამ უკანასკნელს აქვს როგორც მოტყუების გამო შეცილების უფლება, ასევე ნასყიდობიდან წარმომდგარი მეორადი მოთხოვნები (490-ე და შემდგომი მუხლები).[75] გამყიდველი, რომელიც იტყუება, არ იმსახურებს იმას, რომ პასუხი აგოს პრივილეგირებულად, მხოლოდ ნაკლიდან წარმოშობილი პასუხისმგებლობის მიხედვით და შეინარჩუნოს, მაგალითად, შესრულების „მეორე შანსი“.

28 ხელშეკრულების დარღვევიდან წარმომდგარი მეორადი მოთხოვნების წაყენება არ ითვლება არც შეცილებაზე **უარის თქმად** და არც საცილო გარიგების **დადასტურებად** (61 III),[76] თუმცა საპირისპირო შემთხვევაში,

გარიგებაში, პარალელი სხვა სამართლებრივ ინსტიტუტებთან, სამართლის ჟურნალი №1/2011, გვ. 208; *კროპჰოლერი,* სკ-ის სასწავლო კომენტარი, თარგმანი, 2014, § 123 მე-14 ველი.

69 შდრ. გერმანულ სამართალში „ორმაგი ეფექტის შესახებ მოძღვრება“ *Petersen*, Doppelwirkungen im Recht, Jura 2007, 673 და შემდგომნი.

70 *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 380.

71 *კროპჰოლერი,* გსკ-ის სასწავლო კომენტარი, თარგმანი, 2014,§ 123 მე-14 ველი; მოცულია თუ არა მოტყუების გამო შეცილებით შეცდომის საფუძვლით შეცილება განმარტების საკითხს წარმოადგენს (BGHZ 78, 216, 221).

72 BGH NJW-RR 1996, 1281.

73 BGH NJW-RR 1996, 1282, თუმცა ამ შემთხვევაში სასამართლო მუქარის საკითხს საბოლოოდ ღიად ტოვებს.

74 Müko/*Armbrüster,* BGB, 7. Aufl. 2015, § 123 ღნ. 89.

75 *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 380.

76 Müko/*Armbrüster,* BGB, 7. Aufl. 2015, § 123 Rn. 89; ამიტომაც თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 30 მარტის № 2ბ/4219-15 გადაწყვეტილებაში მოყვანილი მსჯელობა, რომლის მიხედვითაც წინააღმდეგობრივია შეცილებასთან ერთად ხელშეკრულების დარღვევის გამო ხელშეკრულებიდან გასვლა, არასწორია. აქ არაფერი წინააღმდეგობრივი არ არის, მოტყუების

შეცილების გაცხადების შემდეგ, რომელიც ex tunc-მოქმედებით აქარწყლებს გარიგებას, მოტყუებული, რა თქმა უნდა, ველარ წარადგენს თავის მეორად მოთხოვნებს.[77]

3. კანონსაწინააღმდეგო გარიგება

29 მოტყუებით დადებული გარიგება (მაშინაც კი, როდესაც ამავდროულად შესრულებულია **თაღლითობის** წინაპირობები) **ავტომატურად** არ უნდა დაკვალიფიცირდეს **კანონსაწინააღმდეგო** გარიგებად 54-ე მუხლის 1-ლი ვარიანტის მიხედვით.[78] მაგალითად, თუ გამყიდველი მყიდველს ატყუებს ავტომანქანის განარბენთან დაკავშირებით და ამგვარად, იღებს მასში ორმაგ ფასს, ეს, მართალია, თაღლითობით დადებული გარიგებაა, თუმცა ეს კანონდარღვევა მხოლოდ ერთ მხარეს შეერაცხება. 54-ე მუხლის მიხედვით არანამდვილობისათვის კი, ჩვეულებრივ, **ორმხრივი კანონდარღვევაა** საჭირო,[79] რადგან მოტყუებულ მხარეს მაინც შეიძლება ჰქონდეს ამ გარიგების შენარჩუნების ინტერესი (მაგალითად, იმიტომ, რომ ამასობაში მანქანის ფასმა ისედაც მოიმატა), წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლია ის შეცილების მეშვეობით გააქარწყლოს.

4. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნები

30 მოტყუებისას, როგორც წესი, ამავდროულად სახეზეა **დელიქტური** წესით ზიანის ანაზღაურების წინაპირობები[80] (992 – ქმედების მართლწინააღმდეგობას განაპირობებს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლი), ასევე ზიანის ანაზღაურების წინაპირობები **წინარე სახელშეკრულებო ურთიერთობიდან** (culpa in contrahendo), გამომდინარე ვალდებულების დარღვევიდან (317 III, 316 II).

V. მტკიცების ტვირთი

31 შემცილებელს ეკისრება იმ ნორმის **ყველა ფაქტობრივი წინაპირობის** არ-

საფუძველზე შეცილება კონკურირებს ნაკლიდან წარმოშობილ პასუხისმგებლობასთან და შესაძლებელია ორივე მოთხოვნის გაერთიანება ალტერნატიული სასარჩელო მოთხოვნის სახით ერთ სარჩელშიც, მაგალითად, იმგვარად, რომ, თუ სასამართლო გარიგებას ბათილად არ ცნობს მოტყუების საბაბით (იმიტომ, რომ არ დგინდება მომტყუებლის განზრახვა გარიგების დადებისას), მაშინ მოსარჩელე გასვლას აცხადებს ნაკლოვანი შესრულების საბაბით.

77 Müko/*Armbrüster,* BGB, 7. Aufl. 2015, § 123 Rn. 89.

78 შდრ. ამასთან დაკავშირებული ქართული სასამართლო პრაქტიკის გადმოცემა ჯორბენაძე, შეცდომა გარიგებაში, პარალელი სხვა სამართლებრივ ინსტიტუტებთან, სამართლის ჟურნალი №1/2011, გვ. 202 და შემდგომნი, თუმცა მაგალითად მოყვანილი საქმე (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2004 წლის 16 ივლისის № ას-325-619-04 გადაწყვეტილება, სუსგ სამოქალაქო, სამეწარმეო და სხვა კატეგორიის საქმეებზე, 9/2004, გვ. 2081) მოტყუებისა და კანონსაწინააღმდეგოობის კონკურენციისათვის არ გამოგვადგება, რადგან მოტყუება ეხებოდა მინდობილობის გაცემას, ხოლო კანონსაწინააღმდეგოდ შეიძლებოდა მიგვეჩნია მხოლოდ მინდობილობის საფუძველზე დადებული ხელშეკრულება, როგორც საკუთარ თავთან დადებული გარიგება (114).

79 ეს გამომდინარეობს 54-ე და 81-ე მუხლების შეპირისპირებიდან, BGHZ 89, 373; BGH NJW-RR 2001, 380 და შემდგომი.

80 *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 380.

სებობის მტკიცება, რომელსაც ის თავის შეცილების უფლებას აფუძნებს.

32 თუ მოტყუების საფუძვლით შეცილებისას, მოტყუება მეორე მხარის დუმილით არის გამოწვეული, შემცილებელმა უნდა ამტკიცოს, რომ გარიგების დადების მომენტში მისი კონტრაჰენტისათვის გასამჟღავნებელი ფაქტების შესახებ ცნობილი იყო, მეორე მხარემ უნდა ამტკიცოს, თუ კონკრეტულად რა მომენტში შეასრულა თავისი **გამჟღავნების ვალდებულება** და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა გააქარწყლოს შემცილებელმა ეს მტკიცებულება.[81] პოზიტიური ქმედებით გამოწვეული მცდარი წარმოდგენისას მეორე მხარემ უნდა ამტკიცოს, თუ მოგვიანებით რა ინფორმაციის მიწოდებით გააქარწყლა მან ეს თავდაპირველად შექმნილი მცდარი წარმოდგენა.[82]

33 მოტყუებასა და გარიგების დადებას შორის **მიზეზშედეგობრივი კავშირის,**[83] განზრახვის,[84] ისევე როგორც **მართლწინააღმდეგობის** ცალკეული წინაპირობების[85] მტკიცების ტვირთი მოტყუებულს აწევს.

34 შეცილების უფლების **გაქარწყლებისათვის** იხ. მუხ. 84 12-13 ველები.

81 *Wendtland,* in Beck OK BGB, 39. Aufl., 2016, § 123 ღნ. 41.

82 *Ellenberger,* in Palandt, 74. Aufl. 2015, § 123 ღნ. 30.

83 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 17 ივლისის №ას-1134-1080-2014 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 17 ივნისის №ას-487-461-2015 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 29 მაისის № ას-198-186-2014 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 6 მაისის №ას-1214-1156-2014 გადაწყვეტილება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 30 აპრილის №ას-193-180-2015 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 20 ოქტომბრის №ას-788-748-2013 გადაწყვეტილება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 17 თებერვლის № ას-901-859-2013 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 23 მარტის № ას-1342-1182-2010 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 18 მაისის № ას-829-1080-04 განჩინება.

84 BGH NJW 57, 988.

85 BGH NJW 1988, 1267.

მუხლი 82. გარიგების მიჩნევა ბათილად მოტყუების გამო

მოტყუებით დადებული გარიგების ბათილად ცნობისათვის მნიშვნელობა არა აქვს, არასწორი ცნობების შეტყობინებით მხარე მიზნად ისახავდა რაიმე სარგებლის მიღებას, თუ – მეორე მხარისათვის ზიანის მიყენებას.

I. ზოგადი დებულებები 475
II. ზიანის მიყენებისა და სარგებლის მიღების მოტივი 475

I. ზოგადი დებულებები

განსხვავებით თაღლითობისაგან,[1] 81-ე და შემდგომი მუხლები იცავენ არა მოტყუებულის ქონებას, არამედ მისი **ნების თავისუფლებას**[2] და **ნდობას** მეორე მხარის კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებით, დამოუკიდებლად იმისა, ადგება თუ არა მას მოტყუებით რაიმე ქონებრივი ზიანი ან იღებს თუ არა მომტყუებელი ამით რაიმე სარგებელს. ამგვარად, მომტყუებლის მოტივს მნიშვნელობა არ ენიჭება.[3] საკმარისია, თუ სახეზე გვექნება მოტყუების **სუბიექტური** და **ობიექტური** შემადგენლობა (იხ. ამასთან დაკავშირებით 81-ე მუხლის კომენტარი). **1**

მიუხედავად დანაწესის ერთი შეხედვით დამაბნეველი ფორმულირებისა, არ არის აუცილებელი **არც ალტერნატივის** სახით ამ მოტივთგან ერთ-ერთის ქონა.[4] **2**

მოცემული ნორმიდან argumentum a maiore ad minus (ანუ მით უმეტეს) გამომდინარეობს, რომ, თუ სარგებლის მიღებისა და ზიანის მიყენების განზრახვა არ არის აუცილებელი მოტყუებით დადებული ხელშეკრულებისათვის, მით უფრო არ უნდა იყოს აუცილებელი სარგებლის **რეალურად** მიღება ან ზიანის მიყენება. **3**

II. ზიანის მიყენებისა და სარგებლის მიღების მოტივი

მოტყუებული მხარისათვის **ზიანის მიყენების მიზანი** არ წარმოადგენს 81-ე მუხლის გამოყენების აუცილებელ წინაპირობას, ისევე როგორც მომტყუებლის მიერ ამ გარიგებიდან რაიმე სარგებლის მიღება.[5] საკმარისია იმის გაცნობიერება, რომ მეორე მხარე მოტყუების გარეშე გარიგებას არ **4**

1 თაღლითობა სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ვარიანტის მიხედვით, საკუთარ თავში მოიცავს მოტყუებას 81-ე და შემდგომი მუხლების მიხედვით, თუმცა ყოველი მოტყუება აუცილებლობის ძალით არ წამოადგენს თაღლითობას, *ჯორბენაძე,* შეცდომა გარიგებაში, პარალელი სხვა სამართლებრივ ინსტიტუტებთან, სამართლის ჟურნალი №1/2011, გვ. 200, 202, მოტყუება წარმოადგენს თაღლითობის ჩადენის ხერხს.

2 *ჭანტურია,* შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, 2000, გვ. 377; *კიკოშვილი,* ნების ნაკლი ქართულ სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა 2008, გვ. 19; *ჯორბენაძე,* შეცდომა გარიგებაში, პარალელი სხვა სამართლებრივ ინსტიტუტებთან, სამართლის ჟურნალი №1/2011, გვ. 202.

3 *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 345; *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 378;

4 *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 345; *კიკოშვილი,* ნების ნაკლი ქართულ სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 2008, გვ. 19.

5 *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, 2009, 345; *კროპჰოლერი,* გსკ-ის სასწავლო კომენტარი, თარგმანი, § 123 მე-6 ველი.

დადებდა ან სხვა შინაარსით დადებდა (იხ. მუხ. 81-ე, მე-20 ველი).

5 მაგალითად, თუ გამყიდველი განზრახ დაუმალავს მყიდველს იმ გარემოებას, რომ სახლის საძირკველი არასათანადოდ არის დაცული მიწისქვეშა წყლებისაგან, **უმნიშვნელოა** ის ფაქტი, რომ გამყიდველი **იმედოვნებდა, საფრთხე** სინამდვილეში **გადამეტებული** იყო (შესაბამისი სამსახურის გაფრთხილების მიუხედავად) და ამასთან, სხვა მიმდებარე სახლებიც იდენტურ მდგომარეობაში იქნებოდნენ.[6] ასევე, თუ გამყიდველი უმალავს მყიდველს მიყიდული სახლის საცხოვრებლად გათვალისწინებული ფართის რეალურ ოდენობას, უმნიშვნელოა მისი ვარაუდი, რომ ზედამხედველობის შესაბამის სამსახურს **ეს ფაქტი შეუმჩნეველი** დარჩებოდა და მყიდველი შეუზღუდავად ისარგებლებდა ბინის მთლიანი ფართით.[7] დაზღვეული, რომელიც არ უმხელს მზღვეველს, ამგვარად, თავისი დაავადების შესახებ, ატყუებს მას (81-ე მუხლის გაგებით), მიუხედავად იმისა, რომ სხვა მზღვეველი ამას უმნიშვნელო ჩივილად მიიჩნევდა[8] და ამგვარად, არ გეგმავდა არც ახალი მზღვეველისათვის რაიმე ზიანის მიყენებას ან მის ხარჯზე გაუმართლებელი სარგებლის მიღებას.

6 პრობლემურია ე. წ. **„კეთილი განზრახვით“** მოტყუების შემთხვევები, როდესაც მომტყუებელი იმ ფაქტზე აპელირებს, რომ გარიგების დადებისას კონტრაჰენტის შეცდომაში შეყვანით, საბოლოო ჯამში, მის ინტერესებშივე მოქმედებდა. მაგალითად,[9] შპს-ს პარტნიორი თანაპარტნიორისაგან წილის გამოსყიდვისას ამ წილის დათმობას საზოგადოების გადარჩენის ერთადერთ გზად დაუსახავს, რის გარეშეც შპს-ს გაკოტრება, ყოფილ მეწილეს კი წილის ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე დაკარგვა ემუქრება (რაც სიმართლეს არ შეესაბამება), თუმცა ამ დროს სახეზე გვქონდა წილის დამთმობის საზოგადოებიდან გარიცხვის სხვა წინაპირობები, რაც ამ უკანასკნელისათვის გაცილებით არახელსაყრელი იყო. გერმანულმა სასამართლომ მაინც არ გამორიცხა (შეცილების უფლების მომნიჭებელი) მოტყუება, რადგან ეს მხოლოდ მაშინ იქნებოდა შესაძლებელი, თუ მხარის „კეთილი განზრახვა“ სრულებით **ცხადი** და პირადი სარგებლის მოპოვების ყოველგვარი **ეჭვის გამაქარწყლებელი** იქნებოდა. დღესდღეობით **ცხადი „კეთილი განზრახვით“** მოტყუების შესაძლებლობაც უკუგდებულია.[10] 81-ე მუხლი **არ იცავს** მოტყუებულს მეორე მხარის მხოლოდ ამორალური და გაკიცხვადი საქციელისაგან, არამედ იცავს მის ნების თავისუფლებასა და ნდობას, რომლის შეზღუდვაც აპრიორი ანიჭებს მას შეცილების უფლებას. გარდა ამისა, რეალური კეთილი განზრახვის რეალიზების შემთხვევაში ნაკლებსავარაუდოა, რომ მოტყუებულმა შეცილების უფლება გამოიყენოს.[11]

6 BGH NJW 1986, 980.

7 BGH NJW-RR 2008, 258.

8 OLG Frankfurt a. M. r + s 2005, 474.

9 BGH LM Nr. 9 zu § 123.

10 *Flume,* Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts II, 1992, 543; MükoKramer, BGB, 5. Aufl. 2006, § 123 Rn. 9.

11 *ზოიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 82, გვ. 242, სწორად მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ, ჩვეულებრივ, „კეთილი განზრახვა“ მხოლოდ თავის გამართლების საბაბი თუ იქნება მომტყუებლის მხრიდან.

მუხლი 83. მოტყუება მესამე პირის მხრიდან

1. მესამე პირის მხრიდან მოტყუებისას შეიძლება გარიგების ბათილობის მოთხოვნა, თუ მოტყუების შესახებ იცოდა ან უნდა სცოდნოდა იმ პირს, რომელიც სარგებელს იღებს ამ გარიგებიდან.

2. თუ გარიგების ორივე მხარე მოტყუებით მოქმედებდა, მაშინ არც ერთ მათგანს არა აქვს უფლება მოტყუებაზე მითითებით მოითხოვოს გარიგების ბათილობა ან ზიანის ანაზღაურება

I. ზოგადი დებულებები 477
II. მოტყუება მესამე პირის მხრიდან 478
1. მესამე პირი 478
2. ცალკეული შემთხვევები 479
3. სარგებლის მიმღები 479
ა) სარგებელი 479
ბ) შეცილების ადრესატი 481
აა) კონტრაჰენტის ტყუილი 481
ბბ) ტყუილი, რომელიც შეერაცხება სარგებლის მიმღებს 481
4. ცოდნა და გაუფრთხილებლობით არცოდნა 482
5. რწმუნებულებისა და თანხმობის საცილოობა 483
III. ორმხრივი ტყუილი, 83 II 483
1. დანაწესის მიზანი 483
2. შედეგები „თვალსაჩინოების სტანდარტისათვის“ 485

I. ზოგადი დებულებები

83-ე მუხლის 1-ელ და მე-2 ნაწილებში გაერთიანებულია **ორი განსხვავებული** დანაწესი ერთი საერთო ნიშნით – მოტყუებული პირის **შეცილების** უფლების გამოყენების **ფარგლები.** მიუხედავად მომტყუებლის განზრახი მოქმედებით გამოწვეული ნების თავისუფლების შეზღუდვისა,[1] მოტყუებული მაინც არ სარგებლობს აბსოლუტური დაცვით, ყოველთვის არა აქვს გარიგების შეცილების მეშვეობით გაქარწყლების უფლება. ერთ შემთხვევაში ეს უფლება შეიძლება გამოირიცხოს **გარიგებიდან სარგებლის მიმღების ნდობის** დაცვიდან გამომდინარე,[2] მეორე შემთხვევაში კი იმ მიზეზით, რომ თავად **მოტყუებულის ნდობა** დაცვას არ იმსახურებს. **1**

1 იხ. 81-ე მუხლის კომენტ. 1-ლი და მე-2 ველი.

2 შდრ. სხვა მოსაზრება *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 346, რომელიც მოცემული ნორმის გამართლებას იმაში ხედავს, რომ ამ დროს მოტყუებულის კონტრაჰენტი, უწყობს რა ხელს საკუთარი დუმილით მომტყუებლის მიერ შექმნილი მცდარი წარმოდგენის შენარჩუნებას, არ იმსახურებს დაცვას. ამგვარი განმარტება ბოლომდე დამაჯერებელი არ არის, რადგან 83 I მუხლი ეხება ასევე შემთხვევას, როდესაც ამ კონტრაჰენტმა გაუფრთხილებლობით (მე-19 ველი) არ იცის მესამე პირის მხრიდან მოტყუების შესახებ, შესაბამისად, დუმილით ხელის შეწყობაზე საუბარი ზედმეტია. უფრო გამართლებულია ამ დანაწესის განმარტება მოტყუებულის კონტრაჰენტის ნდობისა და მოტყუებულის ნების თავისუფლების აწონ-დაწონვის ჭრილში, როგორც მათ შორის კომპრომისის მონახვის მექანიზმისა. *კიკოშვილი* (ნების ნაკლი ქართულ სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 2008, გვ. 17) სწორად აკეთებს აქცენტს ნების მიმღების კეთილსინდისიერებაზე, თუმცა შემდგომ ისევ „ნების გამოვლენაზე ზემოქმედების შესახებ“ საუბრობს.

II. მოტყუება მესამე პირის მხრიდან

2 83 I მუხლი ეხება შემთხვევას, როდესაც მცდარი ცნობის **წყარო არა უშუალოდ გარიგების მონაწილეა,** არამედ მესამე პირი, თუმცა მონაწილემ იცის ამის შესახებ ან უნდა შეეტყო შესაბამისი გულისხმიერების გამოყენებისას. მაგალითად, მაკლერი, რომელმაც იცის სახლის ავარიულობის შესახებ, მას შეგნებულად უნაკლოდ ასაღებს, სარგებელს კი ამ სახლის გაყიდვით გამყიდველი იღებს, რომელიც შეგნებულად ხუჭავს თვალს მაკლერის ქმედებაზე.[3] ამ დროს მოტყუებულის **პარტნიორის ნდობა** გარიგების (რომლის დადებაც მეორე მხარის ნების თავისუფლების ხარჯზე მოხდა) სამუდამოდ შენარჩუნებასთან დაკავშირებით დაცვას არ იმსახურებს.

3 დანაწესი მოქმედებს მხოლოდ **მიღებასავალდებულო** ნების გამოვლენის შემთხვევაში.[4] არ მოიცავს, მაგალითად, ჯილდოს დაპირებას 775-ე მუხლის მიხედვით, მაშინაც კი, როდესაც მესამე პირს შესაბამისი შედეგის მისაღწევად მნიშვნელოვანი ხარჯების გაწევა უწევს.

1. მესამე პირი

4 83 I მუხლის განმარტებისათვის გადამწყვეტ საკითხს წარმოადგენს იმის გამორკვევა, თუ ვინ შეიძლება ჩავთვალოთ **„მესამე პირად“.** შეცილების უფლება მით უფრო შეზღუდულია, რაც უფრო ფართოა ამ მესამე პირთა წრე. მესამე პირად მიიჩნევა მხოლოდ ნეიტრალური პირი, ანუ პირი, რომელიც გარიგების დადებისას **არც ერთი მხარის ბანაკში** არ იმყოფება და არა, მაგალითად, ერთ-ერთი მხარის წარმომადგენელი.[5] წარმომადგენლის გარდა მესამე პირად არ ითვლება ასევე ნებისმიერი სხვა პირი, რომლის ქცევაც (მოტყუებული) ნების გამოვლენის ადრესატს შეერაცხება მათ შორის არსებული მჭიდრო ურთიერთობისა თუ სხვა განსაკუთრებული გარემოებების გამო.[6]

5 მესამე პირის ცნების ამგვარი რესტრიქციული განმარტება განპირობებულია იმით, რომ 83 I მუხლის მიხედვით პასუხისგება წარმოადგენს **წინარე სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის** სპეციალურ ფორმას – თითოეულ მხარეს ეკისრება ვალდებულება არ მოატყუოს მეორე მხარე.[7] თუ ამ ვალდებულებას არღვევს არა მომავალი კონტრაჰენტი, არამედ სხვა პირი, იმის განსასაზღვრად, არის თუ არა ის ნეიტრალური, 396-ე მუხლი უნდა გამოვიყენოთ.[8]

3 *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 379.

4 Müko/*Armbrüster,* in Münchener Kommentar zum BGB, 7. Aufl. 2015, § 123 Rn. 61.

5 *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 379; *ზოიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, 2002, 83-ე მუხლი, გვ. 243-244.

6 BGH NJW 1996, 1051; BGH NJW 1990, 1662.

7 *Schubert,* Unredliches Verhalten Dritter bei Vertragsabschluss, AcP 168 (1968), 504 და შემდგომნი.

8 BGH NJW 2011, 2874, თუმცა ეს მოსაზრება გაკრიტიკებულია იმდენად, რამდენადაც არ მოიცავს, მაგალითად, წარმომადგენლობის გარეშე მოქმედი წარმომადგენლის შემთხვევას, მაშინაც კი, როდესაც წარმომადგენელი მოგვიანებით იწონებს გარიგებას. ამიტომაც მეორე მოსაზრების (*კროპჰოლერი,* გსკ-ის სასწავლო კომენტარი, თარგმანი, § 123 მე-7 ველი; Müko/*Armbrüster* BGB, 7.

2. ცალკეული შემთხვევები

მესამე პირად არ უნდა მივიჩნიოთ **წარმომადგენელი**,[9] მაშინაც კი, როდე- 6
საც ის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე მოქმედებდა, თუკი წარმოდგენილი გარიგებას მოგვიანებით მოიწონებს.[10] ასევე ლიზინგის ხელშეკრულებისას, **ლიზინგის საგნის მიმწოდებელი,** თუ ის ლიზინგის გამცემის ნება-სურვილის თანახმად მონაწილეობას იღებს ხელშეკრულების დადებაში, არ მიიჩნევა მესამე პირად 83 I მუხლის თანახმად და უმნიშვნელოა იცოდა (ან უნდა სცოდნოდა) თუ არა ლიზინგის გამცემმა მისი მხრიდან ლიზინგის მიმღების მოტყუების შესახებ.[11]

ამის საპირისპიროდ მესამე პირად ითვლება ყველა ის პირი, რომლებსაც 7
არ გააჩნიათ უფლებამოსილება განახორციელონ გარიგების დადებისაკენ მიმართული ქმედებები ერთ-ერთი მხარის სასარგებლოდ.[12] მაგალითად, **მაკლერის** ქმედება, რომლის ფუნქციაც ამოიწურება იმით, რომ ერთმანეთს გააცნოს ხელშეკრულების დადების მსურველები და მისცეს მათ ხელშეკრულების დადების შესაძლებლობა, აქვს რა ნეიტრალური დამოკიდებულება ორივე მხარის ინტერესების მიმართ, პირდაპირ არც ერთ მხარეს არ შეერაცხება.[13] მესამე პირია, 360-ე მუხლის თანახმად მორიგებისას მასში ჩართული **მოსამართლე**.[14] ქართული სასამართლო პრაქტიკის[15] მიხედვით, ასევე **ნოტარიუსიც**.

თავდებობის კისრებისას, თუ თავდებს მოვალე ბოროტი განზრახვით 8
ატყუებს, აქაც ის მესამე პირად ითვლება.[16] იგივე წესი მოქმედებს მოვალის მხრიდან კრედიტორის მოტყუების შემთხვევაში.[17] სამეწარმეო საზოგადოების პარტნიორებს ასევე მხოლოდ მაშინ შეერაცხებათ მათი **თანაპარტნიორის** ტყუილი, თუ სახეზეა 83 I მუხლის წინაპირობები.[18]

3. სარგებლის მიმღები

ა) სარგებელი

სარგებლის ქვეშ, ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული 9
მოსაზრების[19] თანახმად, მხოლოდ **სამართლებრივი სარგებელი**[20] (უფლების

Aufl. 2015, § 123 Rn. 65) თანახმად, „მესამე“ პირთა წრეს არ განეკუთვნება არც ერთი მომტყუებელი, რომელიც მხოლოდ გარეგნულად მაინც მინდობილ პირად წარმოსდგება და ეს მოჩვენებითი ფაქტი ხელშეკრულების კონტრაჰენტს შეერაცხება.

9 *კიკოშვილი,* ნების ნაკლი ქართულ სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა 2008, გვ. 17.

10 *კროპჰოლერი,* გსკ-ის სასწავლო კომენტარი, თარგმანი, 2014, § 123 მე-7 ველი.

11 BGH NJW 1989, 288.

12 *Schubert,* Unredliches Verhalten Dritter bei Vertragsabschluss, AcP 168 (1968), 492.

13 RGZ 101, 98; BGH WM 1964, 853.

14 Müko/*Armbrüster,* BGB, 7. Aufl. 2015, § 123 Rn. 67.

15 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 16 ივნისის განჩინება № ას-182-171-2014.

16 BGH NJW 1996, 1051.

17 Müko/*Armbrüster,* BGB, 7. Aufl. 2015, § 123 Rn. 67.

18 Müko/*Armbrüster,*BGB, 7. Aufl. 2015, § 123 Rn. 69.

19 *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 347.

20 „უფლებისა თუ მოთხოვნის შინაარსობრივი დატვირთვით“.

ან მოთხოვნის გაგებით) უნდა მოვიაზროთ, რაც, საბოლოო ჯამში, არასწორია. მართალია, სარგებლის ამგვარი განმარტება მოიცავს ზემოთ მოყვანილი შემთხვევების უმრავლესობას, თუმცა მაინც ვერ უზრუნველყოფს მოტყუებულის ინტერესების ამომწურავ დაცვას.

10 მაგალითად, **203-ე მუხლის** მიხედვით **ვალის გადაკისრებისას,** როდესაც კრედიტორი და მოვალე დებენ ვალის გადაკისრების ხელშეკრულებას, თავდაპირველი მოვალე შეიძლება ატყუებდეს კრედიტორს, ამის შესახებ იცოდეს ახალმა მოვალემაც და კრედიტორს მაინც არ ექნება მოტყუების საფუძვლით შეცილების უფლება. თავდაპირველი მოვალე ამ შემთხვევაში მესამე პირად გვევლინება და რადგან ახალი მოვალე ამ დროს არანაირ სამართლებრივ სარგებელს (უფლებას) არ მოიპოვებს, კისრულობს რა მხოლოდ ვალდებულების დაფარვას, კრედიტორს არ ექნება შეცილების უფლება 83 I მუხლის საფუძველზე.[21] ამ ხერხით, საბოლოო ჯამში, ნებისმიერ მოვალეს შეუძლია თავისი კრედიტორი გადაამისამართოს უკვე გაკოტრებულ ახალ მოვალესთან, ამ უკანასკნელთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე.

11 მეორე შემთხვევა, როდესაც სარგებლის ცნების ხსენებული განმარტების თანახმად, მოტყუებული შეცილების უფლების გარეშე რჩება, არის **მესამე პირის სასარგებლოდ** დადებული ე. წ. **„არანამდვილი“ ხელშეკრულება** (იხ. მუხ. 349-ე მე-7 ველი[22]), რომლის ძალითაც მოვალემ ვალდებულება უნდა შეასრულოს მესამე პირის მიმართ, მაგრამ თავად მესამე პირს არ აქვს მოთხოვნის უფლება. ამ ხელშეკრულებით მესამე პირი, რომელიც ასევე 83 I მუხლის გაგებით მესამე პირია, არ იძენს არანაირ სამართლებრივ სარგებელს, არ აქვს რა თავისი დამოუკიდებელი მოთხოვნის უფლება შემპირებლის (მოვალის[23]) მიმართ. მოთხოვნის უფლება აქვს მხოლოდ შეპირების მიმღებს (კრედიტორს). ამგვარად, თუ ტყუილს მიმართა მესამე პირმა, რომლის შესახებაც კრედიტორმა არაფერი იცოდა, მიუხედავად იმისა, რომ ეს მესამე პირი გარიგებიდან ფაქტობრივ სარგებელს იღებს, არ იღებს რა სამართლებრივ სარგებელს, მოვალეს მაინც არ ექნება შეცილების უფლება. ამ გადაწყვეტასაც უსამართლო შედეგებამდე მივყავართ, რადგან მესამე პირს კრედიტორითა და მოვალით მანიპულაციის შედეგად დაუსჯელად შეუძლია მიიღოს ფაქტობრივი სარგებელი ისე, რომ სამართლებრივს ყურადღება აღარ მიაქციოს.

12 გამოსავალს და ამ ორივე შემთხვევის მართებულ გადაწყვეტას კი იმის დაშვება წარმოადგენს, რომ მოტყუებულს **თავისი კონტრაჰენტის** წინაშე **ყოველთვის** აქვს შეცილების უფლება, თუ ამ უკანასკნელმა იცის ან გაუფრთხილებლობით (მე-19 ველი) არ იცის მესამე პირის ტყუილის შესახებ. ასევე სარგებლის ქვეშ, ზემოთ მოყვანილი მოსაზრების საწინააღმდეგოდ (მე-9 ველი), უნდა გავიგოთ არა მხოლოდ სამართლებრივი, არამედ ასევე ფაქტობრივი სარგებელიც.

21 Müko/*Armbrüster,* in Münchener Kommentar zum BGB, 7. Aufl. 2015, § 123 Rn. 75.

22 gccc.ge, 2016 წ. 11 თებერვლის მდგომარეობით.

23 ტერმინოლოგიისათვის შდრ. მუხ. 349-ე მე-9 ველი.

ბ) შეცილების ადრესატი

შეცილების ადრესატია პირი, რომელიც სარგებელს იღებს ამ გარიგებიდან, თუმცა რთულია სარგებლის ამ მიმღების ერთიანი ცნების დადგენა, რადგან, საბოლოო ჯამში, 83 I მუხლში **გაერთიანებულია** ორი დანაწესი, რომლებიც გსკ-ის 123-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილის 1-ელ და მე-2 წინადადებაში ცალ-ცალკეა დაფიქსირებული,[24] რის გამოც ერთ-ერთი პრობლემური შემთხვევა მოუწესრიგებელი რჩება (მე-9 ველი). მიუხედავად ამისა, ნორმის განმარტების მეშვეობით შესაძლებელია ამ ბუნდოვანების თავიდან აცილება.[25] 13

აა) კონტრაჰენტის ტყუილი

პირველი, შედარებით უპრობლემო შემთხვევა, სამ პირს შორის ურთიერთობაში მოტყუებისა, სახეზე გვაქვს მაშინ, როდესაც უშუალოდ **კონტრაჰენტი იტყუება.** მაგალითად, სხვა პირის სასარგებლოდ დადებული დაზღვევის ხელშეკრულებისას (836), თუ დამზღვევი მზღვეველს ატყუებს, გარიგება ყოველთვის საცილოა, მაშინაც კი, როდესაც დაზღვეულმა ამის შესახებ არაფერი იცოდა.[26] ეს შემთხვევა საერთოდ არ **ექცევა 83 I მუხლის** მოქმედების სფეროში, რადგან იტყუება არა მესამე პირი, არამედ კონტრაჰენტი.[27] მოტყუებულს ამ შემთხვევაში შეცილების უფლება აქვს **81 I მუხლის** საფუძველზე. 14

ბბ) ტყუილი, რომელიც შეერაცხება სარგებლის მიმღებს

თუ უშუალოდ გარიგების კონტრაჰენტი არ იტყუება, სარგებელს სხვა პირი იღებს, მაგრამ გარიგება იდება **მეოთხე პირის მხრიდან ტყუილის საფუძველზე**[28], მაგალითად, სხვა პირის სასარგებლოდ დადებული დაზღვევისას მზღვეველს ატყუებს გარეშე პირი, თუმცა ამის შესახებ არც დამზღვევმა და არც დაზღვეულმა არაფერი იციან – დგება პრობლემა, უნდა დავიცვათ სარგებლის კეთილსინდისიერი მიმღები თუ მოტყუებული.[29] კანონმდებლის **ცალსახა** გადაწყვეტილებით სარგებლის კეთილსინდისიერ მიმღებს არ ვიცავთ მხოლოდ მაშინ, როდესაც მას ქვემოთ მოყვანილი პრინციპის (მე-19 ველი) მიხედვით შეერაცხება მეოთხე პირის ტყუილი. 15

ამ ცალსახა გადაწყვეტის გავრცელებას იმ შემთხვევაზე, როდესაც ამ მეოთხე პირის ტყუილი **შეერაცხება მხოლოდ კონტრაჰენტს,** მაგრამ მის შეს- 16

24 *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 345.

25 ამიტომაც *კერესელიძის* (უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 345) მოსაზრების სრულად გაზიარება შეუძლებელია.

26 OLG Celle r+s 2010, 426 და შემდგომი.

27 Müko/*Armbrüster,* BGB, 7. Aufl. 2015, § 123 Rn. 73.

28 ეს ოთხ პირს შორის ურთიერთობა წარმოადგენს გსკ-ის 123 II 2 პარაგრაფის მთავარ გამოყენების სფეროს (Müko/*Armbrüster,* BGB, 7. Aufl. 2015, § 123 Rn. 74).

29 ამიტომაც ამ და ზემოთ მოყვანილ შემთხვევაში ინტერესთა განაწილება და შესაბამისად, გადასაწყვეტი პრობლემაც არაერთგვარია *(Schubert,* Unredliches Verhalten Dritter bei Vertragsabschluss, AcP 168 (1968), 495.

ახებ არ იცის და არც უნდა სცოდნოდა სარგებლის მიმღებს, საკმაოდ უსამართლო შედეგამდე მივყავართ. 83 I მუხლის პირდაპირი გამოყენებით, რომელიც მხოლოდ სარგებლის მიმღებზე აკეთებს აქცენტს, გარიგება ვერ იქნება საცილო. აქ **ვერ დაგვეხმარება ვერც სარგებლის ცნების** ზემოთ ხსენებული (მე-12 ველი) ფართო განმარტება, რადგან შესაძლებელია, რომ უშუალოდ ხელშეკრულების დამდები ამ ხელშეკრულებიდან არც ფაქტობრივ და არც სამართლებრივ სარგებელს არ იღებდეს. მაგალითად, მესამე პირის სასარგებლოდ დადებული „ნამდვილი" ხელშეკრულებიდან, შეპირების მიმღებმა (კრედიტორმა) უარი თქვას საკუთარ მოთხოვნის უფლებაზე და ის სრულად გადაულოცოს მესამე პირს.

17 მიუხედავად კეთილსინდისიერი მიმღების ნდობის დაცვისა, უპირატესობა უნდა მივანიჭოთ პრინციპს, რომლის თანახმადაც გარიგების მხარე ყოველთვის დაცული უნდა იყოს მეორე მხარის ტყუილისაგან, მაშინაც კი, როდესაც მომტყუებელი ამით უშუალო სარგებელს არ იღებს, რაც პირდაპირ გამომდინარეობს **82-ე მუხლიდან** და რასთანაც სიტყვასიტყვითი განმარტების თანახმად **წინააღმდეგობაში** მოდის 83 I მუხლი, გამორიცხავს რა შეცილების შესაძლებლობას, თუ მომტყუებელი-კონტრაჰენტი ამ გარიგებიდან სარგებელს არ იღებს და ამ სარგებელს მხოლოდ მესამე პირს ანიჭებს. ამ შემთხვევაში ისევ ზემოთ მოყვანილი ინტერესთა გადანაწილება გვაქვს სახეზე (მე-11 ველი) და მიუხედავად იმისა, რომ კონტრაჰენტი სარგებელს არ იღებს, მოტყუებულის ნდობა მის კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებით დაცული უნდა იყოს.

18 ამის გამო, თუ ტყუილი შეერაცხება **გარიგების უშუალო მონაწილეს,** სარგებლის მიღებაზე, როგორც შეცილების ადრესატის განსაზღვრის მთავარ კრიტერიუმზე, უარი უნდა ვთქვათ და 82, 83 I მუხლების **ტელეოლოგიური ექსტენსიის** თანახმად, რომელთა მიზანიც მოტყუებულის ნდობის დაცვაა მისი კონტრაჰენტის კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებით (მაშინაც კი, როდესაც ეს კონტრაჰნეტი მესამე პირისათვის ცდილობს სარგებლის მოპოვებას[30]), მოტყუებულს **ყოველთვის** მივანიჭოთ შეცილების უფლება.

4. ცოდნა და გაუფრთხილებლობით არცოდნა

19 თუ მომტყუებელი მესამე პირია, მოტყუებით დადებული გარიგება მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს საცილო, როდესაც მოტყუებულის კონტრაჰენტმა (ან გარიგებიდან სარგებლის მიმღებმა მესამე პირმა) იცოდა ან უნდა სცოდნოდა მოტყუების შესახებ.[31] **გაუფრთხილებლობით** არცოდნა გვაქვს სახეზე მაშინაც, როდესაც, ცალკეული გარემოებებიდან გამომდინარე, კონტრაჰენტს უნდა გამოეკვლია, იყო თუ არა მეორე მხარის ნების გამოვლენა მოტყუებით განპირობებული.[32] გაუფრთხილებლობის ნებისმიერი სახე საკმარისია.[33]

30 Müko/*Armbrüster,* BGB, 7. Aufl. 2015, § 123 Rn. 73.

31 შდრ. *კერესელიძე*, უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 346, აქცენტს აკეთებს მხოლოდ ცოდნაზე, რაც, სავარაუდოდ, მექანიკური გამორჩენის ბრალია.

32 BGH NJW-RR 1992, 1006.

33 Müko/*Armbrüster,* BGB, 7. Aufl. 2015, § 123 Rn. 71.

5. რწმუნებულებისა და თანხმობის საცილოობა

პრობლემურია რწმუნებულებისა და თანხმობის საცილოობა, რადგან ამ ცალმხრივი გარიგებების გაბათილებას სხვა გარიგებების – წარმომადგენლობითი უფლებამოსილებითა და თანხმობის საფუძველზე დადებული გარიგებების – არანამდვილობა მოსდევს შედეგად. ერთი მოსაზრების[34] თანახმად, ამ დროს მოტყუების მოტივით შეცილების უფლების გამოყენება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც ხელშეკრულების მეორე მხარემ იცოდა ან უნდა სცოდნოდა მის შესახებ. ამ გადაწყვეტის საწინააღმდეგოდ მოჰყავთ არგუმენტი, რომ სახელშეკრულებო პარტნიორის ნდობა წარმომადგენლობით უფლებამოსილებასთან დაკავშირებით 113 I მუხლის მიხედვით არის დაცული და 83 I მუხლით გათვალისწინებული დაცვის მექანიზმის ჩართვის აუცილებლობა არ არსებობს.[35] **20**

III. ორმხრივი ტყუილი, 83 II

83 II მუხლის მიხედვით, თუ გარიგების დადებისას ორივე მხარე ატყუებს ერთმანეთს, მაშინ არც ერთს არ აქვს მოტყუებაზე მითითების უფლება და ამ საფუძვლით გარიგების ბათილობის მოთხოვნა. ეს დანაწესი, რომელსაც მუხლის სათაურთან ბევრი არაფერი აქვს საერთო, ნათელყოფს, რომ მოტყუებისას დაცული სამართლებრივი სიკეთე არის **არა მხოლოდ მოტყუებულის ნების გამოვლენის თავისუფლება** (ასეთ შემთხვევაში ორმხრივი ტყუილისას ორივე მხარეს უნდა ჰქონოდა შეცილების უფლება), არამედ ასევე მის უკან მდგომი **ნდობა მეორე მხარის კეთილსინდისიერ ქცევასთან** დაკავშირებით. ამ ნდობაზე მითითების უფლება კი აღარ აქვს მხარეს, თუ ის თავადაც იტყუება. **21**

1. დანაწესის მიზანი

მოცემული ნორმა იურიდიულ ლიტერატურაში[36] გაკრიტიკებულია, რო- **22**

34 *კროპჰოლერი,* გსკ-ის სასწავლო კომენტარი, *თარგმანი*, 2014, § 123 მე-8 ველი; *Flume,* Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts II, 1992, 546.

35 Müko/*Armbrüster,* BGB, 7. Aufl. 2015, § 123 Rn. 76. რაც შეეხება თანხმობას, გერმანული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით (BGHZ 137, 255), მაგალითად, თუ სამმხრივი ხელშეკრულებისას, როდესაც გამქირავებელი ნებას რთავს ახალ დამქირავებელს (მომტყუებელს) ჩაანაცვლოს ამჟამინდელი დამქირავებელი მასთან დადებული ხელშეკრულებით, აქ შეცილება ამჟამინდელი დამქირავებლის წინაშე გამოთქმული ნებართვისა, შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც მან იცოდა ან უნდა სცოდნოდა მოტყუების შესახებ.

36 *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 347; სინამდვილეში მოტყუებით დადებული გარიგების არსს ეწინააღმდეგება სწორედ ამ ავტორის დაშვება, რომ ორმხრივი ტყუილისას ამ „არასწორი“ დანაწესის გასწორების ერთ-ერთი შესაძლო ვარიანტი შეიძლება გარიგების ბათილობა ყოფილიყო. მართალია, რომის სამართალში (Paul. (33 ed.) D. 18.1.57.3) ორმხრივი არაკეთილსინდისიერების (dolus) შემთხვევაში მართლაც იყო შესაძლებელი გარიგების ბათილად ცნობა (ესეც დამოკიდებული იყო შესრულების გართულების დამატებით გარემოებებზე, როგორიც იყო, მაგალითად, ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა), თუმცა ეს სრულებით შეუძლებელია თანამედროვე ქართულ სამართალის დოგმატიკიდან გამომდინარე, სადაც გამოტყუებული ნება, მხოლოდ საცილოა და არა აპრიორულად ბათილი. კანონმდებლის ამ ამოსავალ

გორც დანაწესი, რომელიც მოტყუებით დადებული **გარიგების არსს** ეწინააღმდეგება. ეს მოსაზრება 81-84-ე მუხლების უკან მდგომი მთავარი პრინციპის (იხ. 1-ლი და 26-ე ველები) ვერგაგებას ემყარება და დაუმსახურებლად აკრიტიკებს საპირისპირო პოზიციას.[37]

23 83 II მუხლი უნდა გავიგოთ, როგორც ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპის (8 III) სპეციალური გამოვლინების – in pari delicto melior est conditio possidentis[38] (**„ორმხრივი უსამართლობისას მოპასუხეს უნდა მივანიჭოთ უპირატესობა“**) ნორმატიული კონსტანტაცია. თუ მომტყუებელი მოგვიანებით აღმოაჩენს, რომ თავადაც მოატყუეს, შეცილების მეშვეობით ვეღარ გამოითხოვს საკუთარ შესრულებას მეორე მხარისაგან, რადგან მანაც ზუსტად ასევე არაკეთილსინდისიერად მოიპოვა საპირისპირო შესრულება. თითოეულ მხარეს მხოლოდ მაშინ აქვს მეორის არაკეთილსინდისიერებაზე მითითების უფლება, როდესაც თვითონ არის კეთილსინდისიერი.

24 ამ დანაწესის გარეშეც საბოლოო შედეგი დიდი ალბათობით მაინც უცვლელი იქნებოდა **976 II** დ) და **979 IV მუხლების**[39] მიხედვით, თუმცა უმიზნოდ გართულდებოდა ამ შედეგის მისაღწევი სამართლებრივი კონსტრუქცია. 976 II დ) და 979 IV მუხლები, ორივე, კონდიქციური უკუქცევისას დაბრუნების ვალდებულებისაგან ათავისუფლებს მიმღებს, თუ ნორმა, რომლის საფუძველზეც მოხდა გარიგების არანამდვილად ცნობა, ამ მიმღების დაცვას ემსახურებოდა.[40] 81 I სწორედ ის ნორმაა, რომელიც მოტყუებულის დაცვას ემსახურება და კონდიქციური უკუქცევისას მთელ რიგ შემთხვევებში ათავისუფლებს მოტყუებულ მიმღებს უკან დაბრუნების ვალდებულებისაგან, მაგრამ, თუ ორივე მხარე მოტყუებულია, მაშინ **არც ერთი არ დააბრუნებს** არაფერს, რაც ნიშნავს იმას, რომ გარიგების ბათილობის მოთხოვნას რეალური შედეგი არ მოჰყვება. მაგალითად, თუ გაცვლის ხელშეკრულებისას ორივე მხარე ატყუებს ერთმანეთს გაცვლილი მანქანის მუხრუჭების მდგომარეობასთან დაკავშირებით, ხოლო მოგვიანებით ორივე მანქანა მიმღებთან ამ მიზეზით განადგურდება, მაშინ 979 IV მუხლის მიხედვით თითოეული

დოგმაზე უარის თქმა შეუძლებელია ორმხრივი ტყუილის შემთხვევაშიც კი. ასევე არამართებულია იქვე (გვ. 347-348) მოყვანილი პარალელი იტალიის სამოქალაქო კოდექსის დანაწესთან (იხ. მუხ. 81 მე-6 ველი); ამ არასწორ მოსაზრებას იზიარებს ასევე *კიკოშვილი*, ნების ნაკლი ქართულ სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა 2008, გვ. 17; შდრ. ასევე *ჯორბენაძე*, შეცდომა გარიგებაში, პარალელი სხვა სამართლებრივ ინსტიტუტებთან, სამართლის ჟურნალი №1/2011, გვ. 209.

37 *ზოიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი I, 2002, 83-ე მუხლი, გვ. 245.

38 ეს პრინციპი მფლობელობასთან დაკავშირებული დავისას ცნობილი იყო კლასიკური პერიოდის რომის სამართალში (Ulp. (1 leg. Iul. Pap.) D. 50.17.128pr.), ჩამოყალიბდა კანონიკურ სამართალში უკვე ზოგადი პრინციპის ფორმით (VI, Reg. iur., 65, Corpus juris canonici (ed. Gregoriana), part. 3, col. 844, L. 9-10) და ცოცხალია თანამედროვე მართლწესრიგშიც. შდრ. მაგალითად, ანგლოამერიკული სამართლიანი სამართლის (equity) წესი those seeking equity must do equity (ის ვინც ეძიებს სამართლიანობას, თავადაც უნდა მოქმედებდეს მის შესაბამისად) და გსკ-ის 817 2 პარაგრაფი.

39 შდრ. ამ დანაწესების გამოყენებისათვის *რუსიაშვილი/ეგნატაშვილი*, კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, 2016, გვ. 146 და შემდგომნი, გვ. 161 და შემდგომნი.

40 პირველი ნორმა ეხება ნატურით დაბრუნებას, ხოლო მეორე – ნატურით დაბრუნების შეუძლებლობისას ღირებულების ანაზღაურებას.

გათავისუფლდება უკან დაბრუნების ვალდებულებისაგან.[41]

ამგვარად, ეს დანაწესი როგორც სამართლის **დოგმატიკის,** ისე **პოლიტიკის** კუთხით სრულ თანხმობაშია სსკ-ის სისტემატიკასთან.

2. შედეგები „თვალსაჩინოების სტანდარტისათვის“

83 II მუხლში შემოთავაზებული გადაწყვეტა ცალსახად მეტყველებს ქარ- **25**
თულ სასამართლო პრაქტიკაში[42] აღიარებული ე. წ. **„თვალსაჩინოების სტანდარტის“** (იხ. მუხ. 81-ე მე-10 ველი) **საწინააღმდეგოდ,** რომლის მიხედვითაც „მოტყუების ფაქტი იმდენად თვალსაჩინო და აშკარა უნდა იყოს, რომ ნებისმიერი საშუალო განვითარებისა და აზროვნების ადამიანის მოტყუება უნდა იყოს შესაძლებელი“. ეს სტანდარტი თბილისის სააპელაციო სასამართლოს,[43] გამოჰყავს **კეთილსინდისიერების პრინციპიდან,** რაც თანმიმდევრულია, თუმცა, საბოლოო ჯამში, არასწორი.

სინამდვილეში **არ არსებობს** მოტყუების ქმედების **ობიექტური მნიშვნელო- 26**
ბის, მისი მესამე პირის თვალსაწიერიდან დადგენის აუცილებლობა (მუხ. 81-ე მე-12 ველი), როგორც, მაგალითად, შეცდომით გამოხატული ნების შემთხვევაში ხდება, რადგან მომტყუებლისა და მოტყუებულის ნდობა არ არის თანაბრად დასაცავი. მომტყუებელი სწორედაც რომ არ არის ნების გამოხატვის ობიექტური მიმღები. ეს განსაკუთრებით ნათლად იკითხება 83 II მუხლიდან, რომლის მიხედვითაც, **თუ ორივე იტყუება არც ერთს არ აქვს შეცილების უფლება** – ნების თავისუფლება მხოლოდ მაშინ იმსახურებს დაცვას, თუ საქმე ეხება კეთილსინდისიერი პირის ნებას.

41 იგულისხმება, რომ როგორც ერთი, ისე მეორე მხარე იყენებს მოტყუების საფუძვლით შეცილების უფლებას. შდრ. უკვე არანამდვილი გარიგების შემთხვევაში შეცილების უფლების გამოყენებისათვის მუხ. 81 25-ე ველი.

42 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 16 ივნისის № ას-182-171-2014 განჩინება.

43 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 30 ნოემბრის № 2ბ/2103-11 გადაწყვეტილება.

მუხლი 84. შეცილების ვადა

მოტყუებით დადებული გარიგება შეიძლება სადავო გახდეს ერთი წლის განმავლობაში. ვადა აითვლება იმ მომენტიდან, როცა შეცილების უფლების მქონემ შეიტყო შეცილების საფუძვლის არსებობის შესახებ

I. ნორმის მიზანი....486
II. ცალკეული დებულებების განმარტება....487
1. ვადის დაწყება....487
2. შეცილების გაცხადების მისვლა....487
3. ერთწლიანი ვადა, როგორც უფლების გამომრიცხავი ვადა....487
4. ვადის გასვლის შედეგები....488
5. შეცილების გამომრიცხავი სხვა გარემოებები....488
ა) უფლების პრეკლუზია....488
ბ) დადასტურება....489
6. მტკიცების ტვირთი....489

I. ნორმის მიზანი

1 შეცდომის საფუძველზე შეცილების მსგავსად, მოტყუებით დადებული გარიგების შემთხვევაშიც ამ უფლების გამოყენება დროში შეზღუდულია, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ მომტყუებლის ინტერესები არ საჭიროებს დაცვას, შეცილების უფლების მქონეს მაინც **არ უნდა** მივანიჭოთ უფლება მისი **შეუზღუდავი** გამოყენებით შეარყიოს **სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობა**.[1] თუმცა გამომდინარე იმ განსხვავებიდან, რომ მოტყუების შემთხვევაში ნების თავისუფლების ხელყოფა მეორე მხარის განზრახი მოქმედებით ხდება[2] და ის გაცილებით უფრო ინტენსიურად არის ხელყოფილი ვიდრე შეცდომისას, კანონი მოტყუებულს არა მხოლოდ უპირობოდ ანიჭებს ხელშეკრულების ბათილობის მოთხოვნის უფლებას,[3] არამედ ანიჭებს მას უფრო მეტ დროსაც ამ უფლების გამოყენებისათვის.

2 დანაწესში ხსენებული გარიგების **„სადავოობა“,** სწორი მოსაზრების

1 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 25 მარტის № ას-1350-1275-2012 გადაწყვეტილება; Müko/*Armbrüster,* BGB, 7. Aufl. 2015, § 124 Rn. 1.

2 *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, 376; *კიკოშვილი,* ნების ნაკლი ქართულ სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა 2008, გვ. 17; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 29 მაისის № ას-198-186-2014 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 6 მაისის № ას-1214-1156-2014 გადაწყვეტილება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 25 მარტის № ას-1350-1275-2012 გადაწყვეტილება.

3 *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 377; *ჭანტურია,* შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, 2000, გვ. 378; შდრ. ასევე *კიკოშვილი,* ნების ნაკლი ქართულ სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა 2008, გვ. 17; *ჯორბენაძე,* შეცდომა გარიგებაში, პარალელი სხვა სამართლებრივ ინსტიტუტებთან, სამართლის ჟურნალი №1/2011, გვ. 193 და შემდგომი; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 25 მარტის №ას-1350-1275-2012 განჩინება.

თანახმად, **„საცილოობის“** სინონიმად უნდა გავიგოთ.[4]

პრობლემურია, როდესაც შეცილების გაცხადება უნდა მოხდეს არა მომ- 3
ტყუებლის მიმართ, არამედ **მესამე პირის** მიმართ, ან როდესაც ეს შეცილება უშუალოდ ეხება მესამე პირს (იხ. მუხ. 83 მე-16 და მე-20 ველები). ამ შემთხვევაში გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში[5] გამოთქმული მოსაზრების თანახმად, შეცილების ადრესატს შეუძლია **შესაბამისი ვადა** დაუთქვას შემცილებელს უფლების გამოყენებისათვის, რომლის ამოწურვის შემდეგაც შემცილებელი დაკარგავს ამ უფლებებს მესამე პირის წინაშე.

II. ცალკეული დებულებების განმარტება

1. ვადის დაწყება

მიღებასავალდებულო ნების გამოხატვისას მოტყუებულს შეცილების 4
უფლების გამოყენება შეუძლია ერთი წლის განმავლობაში იმ მომენტიდან, როდესაც უნდა შეეტყო თავისი ამ უფლების შესახებ. ამგვარად, ამ ვადის დინება იწყება მოტყუებულის მიერ შეცდომისა და იმ გარემოების აღმოჩენის შემდეგ, რომ ეს შეცდომა მეორე მხარის ტყუილით იყო განპირობებული. დანაწესი მოითხოვს **პოზიტიურ ცოდნას,** რასაც გაუფრთხილებლობით არცოდნას ვერ გავუთანაბრებთ.[6] საკმარისი არ არის არც უბრალო **ეჭვი** მეორე მხარის ტყუილთან დაკავშირებით,[7] ისევე როგორც მხოლოდ ნივთის ნაკლის შესახებ ცოდნა; აუცილებელია, მოტყუების ფაქტის გაცნობიერება, თუმცა თავის მხრივ არ არის აუცილებელი მისი თითოეული დეტალის ცოდნა.[8]

არამიღებასავალდებულო ნების გამოხატვისას გამართლებული ჩანს, 5
რომ ერთწლიანი ვადის დინება დაიწყოს იმ მომენტიდან, როდესაც არსებობდა შეცილების კონკრეტული შესაძლებლობა, რისი წინაპირობაცაა 59 II 2 მუხლის მიხედვით შეცილების ადრესატის გამორკვევა.[9]

2. შეცილების გაცხადების მისვლა

შეცილების გაცხადება ერთი წლის განმავლობაში უნდა მიუვიდეს მეორე 6
მხარეს, რაც განისაზღვრება **51-ე მუხლის** წესების მიხედვით.

3. ერთწლიანი ვადა, როგორც უფლების გამომრიცხავი ვადა

ერთწლიანი ვადის გამოთვლისათვის უნდა გამოვიყენოთ **122, 123 II მუხლები.** 7
თავად ეს ვადა წარმოადგენს უფლების **გამომრიცხავ ვადას** და არა ხან- 8

4 იხ. 59-ე მუხლის კომენტარი ველი 25.
5 *Flume,* Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts II, 4. Aufl., 1992, 532.
6 Müko/*Armbrüster,* BGB, 7. Aufl. 2015, § 124 Rn. 3; BGH WM 1973, 751.
7 BGH WM 1973, 750 (751).
8 BGH NJW 2009, 2533.
9 Müko/*Armbrüster,* BGB, 7. Aufl. 2015, § 124 Rn. 5.

დაზმულობის ვადას. განსხვავებით ხანდაზმულობის ვადის გასვლისაგან, გამომრიცხავი ვადის ამოწურვა მოთხოვნას არა მხოლოდ განუხორციელებელს ხდის, არამედ სრულებით აქარწყლებს მას, რის გამოც სასამართლო ამ ვადას ამოწმებს არა მხოლოდ მეორე მხარის შესაგებელის საფუძველზე, არამედ საკუთარი ინიციატივით (იხ. მუხ. 79 მე-8 ველი). ამ შემთხვევაში ქართული სასამართლო პრაქტიკა[10] არასწორი მიმართულებით არის წასული, აიგივებს რა ხანდაზმულობის ვადას გამომრიცხავ ვადასთან.

9 ხანდაზმულობის შესახებ დანაწესებს 84-ე მუხლით გათვალისწინებული ვადის შემთხვევაში მხოლოდ **ანალოგიით** თუ გამოვიყენებთ, მათი მიზანშეწონილობიდან გამომდინარე. მაგალითად, ანალოგიით უნდა გამოვიყენოთ 132 ბ) მუხლი, რომლის თანახმადაც ვადა ჩერდება, თუ შეცილების გაცხადებას აბრკოლებს განსაკუთრებული და მოცემულ პირობებში **აუცდენელი დაუძლეველი ძალა.**[11] ამ დროის განმავლობაში ერთწლიანი ვადის დინება უნდა შეჩერდეს. ასევე, თუ შეცილების უფლების მფლობელი შეზღუდულქმედუნარიანია, რომელსაც კანონიერი წარმომადგენელი არ ჰყავს, ან მხარდაჭერის მიმღები, რომელსაც მხარდაჭერა სათანადო წესით არ გაეწია, ანდა ეს პირები წარმოადგენენ შეცილების ადრესატებს, ერთწლიანი ვადის დენა შეჩერებულად ითვლება, სანამ ეს პირი სრულად ქმედუნარიანი არ გახდება ან მას კანონიერი წარმომადგენელი ან მხარდამჭერი არ დაენიშნება (134-ე მუხლის ანალოგიით).[12]

4. ვადის გასვლის შედეგები

10 ერთწლიანი ვადის ამოწურვის შემდეგ მოტყუებული **კარგავს** შეცილების უფლებას. შეცილების ვადის ამოწურვისაგან დამოუკიდებლად ის ინარჩუნებს **ზიანის ანაზღაურების** მოთხოვნის უფლებას (იხ. მუხ. 81 30-ე ველი),[13] რაც მოტყუებულს ანიჭებს მეორე მხარის მოთხოვნისაგან, როგორც ზიანისაგან, გათავისუფლების მოთხოვნის უფლებას.

11 შეცილების ვადის გასვლასთან ერთად მოტყუებული კარგავს უკვე გაცხადებული შეცილების ახალი საფუძვლებით გამყარების **შესაძლებლობას.**[14]

5. შეცილების გამომრიცხავი სხვა გარემოებები

ა) უფლების პრეკლუზია

12 გარდა ზემოთ მოყვანილი გამონაკლისისა (მე-3 ველი), შეცილების უფლების პრეკლუზია ხდება ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე იმ შემთხვევაში, როდესაც მოტყუებას ხელშეკრულების

10 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 23 სექტემბრის № ას-886-929-2011 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 11 ნოემბრის № ას-586-551-2010 განჩინება.
11 *ზოიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 84, გვ. 245.
12 *ზოიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 84, გვ. 245.
13 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 27 მაისის № ას-1046-1314-09 განჩინება.
14 BAG NJW 2008, 940.

განხორციელებისათვის არანაირი **მნიშვნელობა აღარ ენიჭება.**[15] ეს განსაკუთრებით აქტუალურია ისეთი ხანგრძლივი ვადით დადებული ხელშეკრულებების შემთხვევაში, როგორიც არის შრომითი ხელშეკრულება, თუმცა, მაგალითად, დასაქმებულის მიერ შრომითი ხელშეკრულების დადებისას გაყალბებული დიპლომის წარმოდგენის შემთხვევაში მიიჩნევა, რომ დამსაქმებლის ინტერესი, რამდენიმეწლიანი ჯეროვანი სამუშაოს მიუხედავად, შეიძლება მაინც ხელყოფილი იყოს.[16] გარდა ამისა, თუ მოტყუებული სასამართლო პროცესზე, მიუხედავად შეცილების უფლების შესახებ ცოდნისა, არ გამოიყენებს მას, ერთმევა ამ უფლების მოგვიანებით გამოყენების შესაძლებლობა. ამ არგამოყენებით მეორე მხარეს წარმოეშობა ნდობის მომენტი, რადგან პროცესის შემდეგ ის უკვე **აღარ განიხილავს** შეცილების გამოყენების შესაძლებლობას.[17] პრეკლუზია **83 II მუხლის ანალოგიით** უნდა დავუშვათ ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც მეორე მხარე მოტყუების დარი ბოროტი განზრახვით იყენებს თავის შეცილების უფლებას, მაგალითად, თუ ჯერ ინარჩუნებს გარიგებას თავის სასიკეთოდ და მხოლოდ შემდეგ ითხოვს მის ბათილობას.[18]

ბ) დადასტურება

თუ შეცილების უფლების მქონე **ადასტურებს** საცილო გარიგებას 61 III მუხლის[19] მიხედვით, მაშინ შეცილების უფლება ქარწყლდება დამოუკიდებლად 84-ე მუხლით გათვალისწინებული ვადისა, თუმცა მხოლოდ მეორადი მოთხოვნების წარდგენით (როდესაც მყიდველს, ამასთან, შეცილების წინაპირობებიც გაცნობიერებული აქვს) არ მჟღავნდება დადასტურების ნება (იხ. მუხ. 81, 28-ე ველი). **13**

6. მტკიცების ტვირთი

შეცილების ვადის ამოწურვასთან დაკავშირებით **მტკიცების ტვირთს** ატარებს შეცილების ადრესატი.[20] ამ წესს არამართებულად არ იზიარებს საქართველოს უზენაესი სასამართლო თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში,[21] ითხოვს რა მოსარჩელისაგან იმის მტკიცებას, რომ 1997 წელს ჩუქების ხელშეკრულების მოტყუებით დადების შესახებ მხოლოდ 2005 წელს გახდა ცნობილი და ამგვარად, 2006 წელს 84-ე მუხლით გათვალისწინებული ვადა ჯერ კიდევ არ იყო ამოწურული. **14**

15 BAG NJW 1970, 1566.
16 LAG BadenWürttemberg MDR 2007, 533.
17 OLG Hamburg HansRGZ 1926, 232.
18 OLG Hamm NJOZ 2014, 1987.
19 იხ. მუხ. 61 მე-18 და შემდგომი ველები.
20 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 4 ოქტომბრის № ას-983-1017-2011 გადაწყვეტილება.
21 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 23 სექტემბრის № ას-886-929-2011 განჩინება.

ასევე ნებისმიერი პირს, რომელიც უთითებს იმ ფაქტზე, რომ შემცილებელმა უკვე წელიწადზე მეტია იცის მოტყუების შესახებ,[22] ეკისრება ამის მტკიცების ტვირთი.

22 Müko/*Armbrüster,* BGB, 7. Aufl. 2015, § 124 Rn. 16.

III. იძულებით დადებული გარიგებანი

მუხლი 85. ცნება

გარიგების დადების მიზნით იმ პირის იძულება (ძალადობა ან მუქარა), რომელმაც დადო გარიგება, ანიჭებს ამ პირს გარიგების ბათილობის მოთხოვნის უფლებას მაშინაც, როცა იძულება მომდინარეობს მესამე პირისაგან.

I. ზოგადი დებულებები 491
1. ნორმის მიზანი და შინაარსი 491
2. გამოყენების სფერო 492
II. იძულებით დადებული გარიგების წინაპირობები 493
1. ობიექტური შემადგენლობა 493
ა) ძალადობა 493
ბ) მუქარა 495
2. მართლწინააღმდეგობა 496
3. მიზეზშედეგობრივი კავშირი იძულებასა და ნების გამოხატვას შორის 497
4. სუბიექტური შემადგენლობა 497
5. მესამე პირის მხრიდან იძულება 498
III. სამართლებრივი შედეგები 499
IV. კონკურენცია 499
1. მოჩვენებითი გარიგება 499
2. 54-ე მუხლთან კონკურენცია 499
3. მოტყუებით დადებული გარიგება 501
4. შესრულების გამოძალვა 978-ე მუხლის მიხედვით 501
V. მტკიცების ტვირთი 502

I. ზოგადი დებულებები

1. ნორმის მიზანი და შინაარსი

იძულებით დადებული გარიგების შემთხვევაშიც, მოტყუებით დადებული გარიგების მსგავსად, საქმე გვაქვს ნების ნაკლის საფუძველზე დადებულ გარიგებასთან, თუმცა მოტყუებისაგან განსხვავებით, აქ ნების თავისუფლება აშკარად არის ხელყოფილი. მაიძულებელი პირი კი არ გამოსტყუებს მეორე მხარეს შეცდომაში შეყვანის გზით ნების გამოხატვას, არამედ ადგილი აქვს მისი თავისუფალი **ნების აშკარა მოდრეკას.**[1] ამის გამო, იძულების **1**

1 *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 380; სკ-ის კომენტარი, წიგნი პირველი, 85-ე მუხლი, გვ. 246; *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 349; *ჯორბენაძე,* შეცდომა გარიგებაში, პარალელი სხვა სამართლებრივ ინსტიტუტებთან, სამართლის ჟურნალი №1/2011, გვ. 193; სუსგ სამოქალაქო, სამეწარმეო და სხვა კატეგორიის საქმეებზე, 9/2005, გვ. 46.

საფუძვლით შეცილების უფლება, მოტყუებისაგან განსხვავებით, მაშინაც კი შეუზღუდავად უნდა დავუშვათ, როდესაც იძულება მესამე პირისაგან მომდინარეობს.[2] ამ განსხვავების უკან დგას მოსაზრება, რომ მოტყუებულს ყოველთვის აქვს შეცდომის გამო (72-ე და შემდგომი მუხლები) შეცილების უფლების გამოყენების შესაძლებლობა „მარაგში“, მაშინ, როდესაც იძულებულს 85-ე მუხლით შეცილების გარდა, მხოლოდ ამ მესამე პირის მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნები დარჩებოდა და მის გადახდისუნარიანობაზე იქნებოდა დამოკიდებული.[3]

2 იძულებით დადებული გარიგებაც, მოტყუებით და შეცდომით დადებული გარიგების მსგავსად, არის მხოლოდ **საცილო** და არა ავტომატურად ბათილი (იხ. მუხ. 81 23-24-ე ველები).[4] შეცილების უფლება აქვს მხოლოდ იმ პირს, რომელიც გარიგების დადებაში მონაწილეობას იღებდა. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ[5] თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ 85-ე მუხლი მეუღლეს არ ანიჭებს თანასაკუთრებაში არსებული ქონების გასხვისების ბათილობის მოთხოვნის უფლებას, თუკი გარიგება მეორე მეუღლემ დადო.

3 **ზიანის ანაზღაურების** მიმართ გამოიყენება ზოგადი წესები.[6]

2. გამოყენების სფერო

4 85-ე მუხლი, 81-ე მუხლის მსგავსად, მოქმედებს ყველა სახის ნების გამოხატვის მიმართ როგორც **მიღებასავალდებულოს**, ისე **არამიღებასავალდებულოს, გაცხადებულის** თუ **კონკლუდენტურის.**

5 მუქარის დროს ერთმანეთისაგან უნდა გავმიჯნოთ ორი შემთხვევა: თუ მუქარის ადრესატს რეალურად სურს იმ **შედეგის დადგომა**, რომელსაც მიზნად ისახავს მისი ნების გამოხატვა, რადგან ეს მიაჩნია მუქარის რეალიზების თავიდან აცილების ერთადერთ გზად, შინაგანი ნება და მისი გარეგანი გამოვლენა ერთმანეთს ემთხვევა და 85-ე მუხლის შემთხვევა გვაქვს სახეზე.[7] თუ ამის საპირისპიროდ მუქარის ადრესატი მიიჩნევს, რომ საკმარისია დამმუქრებლის წინაშე ფორმალურად გამოავლინოს ნება, რათა თავიდან აირიდოს მოსალოდნელი საფრთხე (დამოუკიდებლად ამასთან დაკავშირებული სამართლებრივი შედეგისა), შინაგანი ნება – და მისი გარეგანი გამოვლენა – ჩვეულებრივ, არ ემთხვევა ერთმანეთს და მეორე მხარის მიერ ამ ნამდვილი მოტივის შეცნობის შემთხვევაში სახეზე გვაქვს **მოჩვენებითი გარიგება**

2 *ზოიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, 85-ე მუხლი, გვ. 247; *კიკოშვილი,* ნების ნაკლი ქართულ სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა 2008, გვ. 20.

3 Müko/*Armbrüster,* BGB, 7. Aufl. 2015, § 123 Rn. 96.

4 *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 384.

5 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2002 წლის №3კ-1232-02 განჩინება.

6 *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 384; *ზოიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, 85-ე მუხლი, გვ. 252.

7 *ჯორბენაძე,* შეცდომა გარიგებაში, პარალელი სხვა სამართლებრივ ინსტიტუტებთან, სამართლის ჟურნალი №1/2011, გვ. 193; სუსგ სამოქალაქო, სამეწარმეო და სხვა კატეგორიის საქმეებზე, 9/2005, გვ. 46.

56 I მუხლის ანალოგიის მიხედვით. შესაბამისად, გარიგება ავტომატურად არანამდვილია და შეცილების გამოყენების აუცილებლობა არ არსებობს (იხ. 26-ე ველი).[8]

II. იძულებით დადებული გარიგების წინაპირობები

იძულება წარმოადგენს ნების გამოხატვის პროცესში აშკარა ჩარევას.[9] მიუხედავად იმისა, რომ ნების გამომხატველს გაცნობიერებული აქვს რეალური მდგომარეობა და არ სურს გარიგების დადება, მისი თავისუფალი ნება იმდენად არის შეზღუდული, რომ, საბოლოო ჯამში, თანხმდება მასზე, ფორმალურად საკუთარი გადაწყვეტილებით.[10] **6**

1. ობიექტური შემადგენლობა

ა) ძალადობა

კანონმდებელი 85-ე მუხლში დაუშვებელი ზემოქმედების ხერხებად აღიარებს ძალადობასა და მუქარას. **ძალადობის** ქვეშ უნდა გავიგოთ **ფიზიკური იძულება,**[11] რომელიც მიმართულია მოძალადისათვის სასურველი ნების გამოხატვისაკენ. **7**

განსხვავებით სისხლის სამართლის კოდექსის 181-ე მუხლით გათვალისწინებული **ძალადობისაგან,**[12] 85-ე მუხლი ეხება მხოლოდ დაძლევადი ფიზიკური (vis compulsiva) ძალის გამოყენებით გამოძალულ ნების გამოხატვას, ე. წ. **ნების მომდრეკი** ძალის გამოყენებას, როდესაც პირს შეზღუდულად, თუმცა მაინც რჩება თავისუფალი არჩევნის გაკეთების შესაძლებლობა (მაგ., ჩაკეტვა, ბორკილების დადება, ცემა ხელმოწერის გამოძალვის მიზნით და ა. შ.). ამისაგან განსხვავებით თავისუფალი **ნების გამტეხი** იძულება (vis absoluta), როდესაც იძულებულს არჩევანის თავისუფლება სრულად წართმეული აქვს – დაუძლეველი ფიზიკური ძალის გამოყენებით ღილაკზე თითის დაჭერის იძულება, სხვისი დამორჩილებული ხელით ხელმოწერის **8**

8 *Ellenberger,* in Palandt, 74. Aufl. 2015, § 123 Rn. 6.

9 სუსგ სამოქალაქო, სამეწარმეო და სხვა კატეგორიის საქმეებზე, 9/2005, გვ. 46.

10 *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 381; *ზოიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 84, გვ. 247; *ჯორბენაძე*, შეცდომა გარიგებაში, პარალელი სხვა სამართლებრივ ინსტიტუტებთან, სამართლის ჟურნალი №1/2011, გვ. 193; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 29 აპრილის განჩინება №ას-132-124-2015; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 21 ივლისის განჩინება №ას-333-314-2014; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 27 მაისის განჩინება №ას-170-163-2013; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 23 იანვრის განჩინება №ას-1796-1773-2011.

11 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 29 აპრილის განჩინება №ას-132-124-2015; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 21 ივლისის განჩინება №ას-333-314-2014; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 27 მაისის განჩინება №ას-170-163-2013; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 23 იანვრის განჩინება №ას-1796-1773-2011.

12 *ლეკვეიშვილი/მამულაშვილი/თოდუა*, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი პირველი, 2011, გვ. 432, *Kindhäuser,* Strafrecht Besonderer Teil I, 7. Aufl., 2015, 135.

შესრულება – აღარ წარმოადგენს 85-ე მუხლის შემთხვევას. ამ შემთხვევაში ნების გამოხატვას აკლია მისი კონსტიტუციური ელემენტი, **მოქმედების ნება,** რის გარეშეც ის საცილო კი არ არის, არამედ საერთოდ არ არსებობს.[13] ამ განსხვავებას ქართული სასამართლო პრაქტიკა[14] ყოველთვის სწორად ვერ აღიქვამს, უარყოფს რა იძულების შემთხვევაში მოქმედების ნებას.

9 ძალადობის განმარტება, **სისხლის სამართალში**[15] აღიარებული დეფინიციის კვალდაკვალ, უნდა მოხდეს, როგორც ფიზიკური ეფექტის მქონე იძულებისა, ძალის ან სხვა სხეულებრივი ფაქტორების გამოყენებით, რომელიც, მისი ინტენსივობისა და მოქმედების არეალის გამო, გამოსადეგია იმისათვის, რათა ხელყოს პირის გადაწყვეტილების ჩამოყალიბება-მიღების თავისუფლება. ძალადობად უნდა ჩავთვალოთ მეზობლის მიერ მეორე მეზობლის სახლისკენ მიმავალ სამანქანო გზაზე ბარიერის აღმართვა, რათა ამით დაიყოლიოს მიწის ნაკვეთის იაფად დათმობაზე.[16]

10 **არასწორია** ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება,[17] რომლის თანახმადაც 85-ე და შემდგომი მუხლებით გათვალისწინებული იძულების ქვეშ **მხოლოდ ფსიქიკური იძულება,** ანუ მუქარა, უნდა გავიგოთ.[18] ამ მოსაზრების თანახმად, ცემისას მნიშვნელოვანია არა უკვე განხორციელებული დარტყმა, არამედ ყოველი შემდგომი დარტყმის შიში.[19] გარდა იმისა, რომ ეს პოზიცია პირდაპირ ეწინააღმდეგება კანონის ტექსტს,[20] ის, საბოლოო ჯამში, ნების მომდრეკი იძულების ფსიქიკურ იძულებასთან არასწორ გაიგივებას ემყარება. სინამდვილეში ნების მხოლოდ მოდრეკა (ანუ არჩევნის თავისუფლების შენარჩუნება) შესაძლებელია ფიზიკური იძულების გამოყენებითაც და არა მხოლოდ სამომავლო საფრთხის დამუქრებით (ფსიქიკური იძულება). მაგალითად, პირის ჩაკეტვა გარიგებაზე ხელის მოწერის მიზნით, ან უნარშეზღუდულისათვის ეტლის გამოცლა, ეს არ არის მხოლოდ სამო-

13 Müko/*Armbrüster,* BGB, 7. Aufl. 2015, § 123 Rn. 96.

14 იხ. მაგ., საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 30 ივლისი №ას-662-628-2015 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 7 მაისის №ას-715-684-2014 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 14 აპრილის №ას-865-823-2013 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 11 მაისის №ას-423-400-2014 განჩინება; თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 23 აპრილის განჩინება №2ბ/4202-13.

15 *Kindhäuser,* Strafrecht Besonderer Teil I, 7. Aufl., 2015, 134.

16 შდრ. BVerfGE 104, 92.

17 *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 350; *კიკოშვილი,* ნების ნაკლი ქართულ სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა 2008, გვ. 6, 19 და შემდგომი.

18 მხოლოდ ის ფაქტი, რომ გსკ-ის 123 I პარაგრაფი მხოლოდ ფსიქიკურ ძალადობას ეხება, ქართულ სამართალში ამ გადაწყვეტის ავტომატურ კოპირებას არ გვავალდებულებს. განსხვავებულია, მაგალითად, შესაბამისი დანაწესი საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსში (1112 მუხლი), რომელიც ზოგადად ძალადობაზე აკეთებს აქცენტს, თუმცა დღესდღეობით, წარსულში გამოთქმული მოსაზრების საპირისპიროდ, საფრანგეთშიც იძულების ერთადერთ ფორმად მხოლოდ ფსიქიკური ძალადობაა აღიარებული (*Ferid/Sonnenberger,* Das Französische Zivilrecht, Band 1/1, 2. Aufl., 1994, 497). მიუხედავად ქართული დანაწესების თვალშისაცემი მსგავსებისა საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის შესაბამის ნორმებთან (1111-1115 მუხლები), არც ამ გადაწყვეტის გაზიარებაა სავალდებულო ქართულ სამართალში.

19 BGH WM 1975, 1002.

20 სწორად მიუთითებს ამაზე *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 381 სქ. 560; შდრ. ასევე *ზოიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 85, გვ. 247.

მავლო საფრთხით დამუქრება, არამედ უკვე რეალიზებული საფრთხე, სულ მცირე თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვა, თუმცა ამავდროულად არ წარმოადგენს არც დაუძლეველ ფიზიკურ ძალას.

საზღვრის წაშლა ფიზიკურ და ფსიქიკურ ძალადობას შორის, როგორც ამას ზემოთ ხსენებული მოსაზრება გვთავაზობს, **არასასურველია,**[21] პირიქით, უნდა მოხდეს ძალადობისა და მუქარის შემთხვევების მაქსიმალურად დამოუკიდებლად გამოკვეთა და ორივესთვის ცალ-ცალკე დოგმატიკის შემუშავება, რადგან იძულების სიმძაფრე და ნების თავისუფლების ხელყოფის ინტენსივობა ამ ორივე შემთხვევაში განსხვავებულია. ძალადობის დროს პირი უშუალოდ იმყოფება ექსტრემალურ სიტუაციაში და მისთვის გაცილებით რთულია **იძულების რეალური ხასიათი**ს შეცნობა 86-ე მუხლის მიხედვით, ვიდრე ამ ძალადობით მხოლოდ დამუქრების შემთხვევაში.[22] ცემით მუქარა სხვაა და რეალური ცემა კიდევ სხვა, რადგან არა მხოლოდ შემდეგი დარტყმის შიშით ითრგუნება ნება, არამედ უკვე განხორციელებული დარტყმითაც. **11**

გარდა ამისა, ძალადობის **მართლზომიერების განსაზღვრა** 88-ე მუხლის მიხედვით სულ სხვა კრიტერიუმებით უნდა მოხდეს, ვიდრე იძულების (იხ. მუხ. 88, მე-16 ველი). **12**

ბ) მუქარა

მუქარა **(ფსიქიკური იძულება)** წარმოადგენს სამომავლო საფრთხის შესახებ შეტყობინებას, რომლის რეალიზებასაც **დამმუქრებელი** საკუთარ ნება-სურვილზე დამოკიდებულად წარმოაჩენს,[23] რათა, ამგვარად, ზეგავლენა მოახდინოს **მუქარის ადრესატის** ნების ჩამოყალიბებაზე და **დაიყოლიოს** შესაბამისი გარიგების დადებაზე.[24] **13**

სამომავლო საფრთხე მოიცავს **ნებისმიერ უარყოფით შედეგს** როგორც მატერიალურს, ისე არამატერიალურს,[25] დამოუკიდებლად მისი სიმძიმისა.[26] მუქარის სიმძიმე მნიშვნელობას იძენს მხოლოდ მიზეზშედეგობრიობის დადგენისას (იხ. მუხ. 86 მე-11 და შემდგომი ველები). **14**

აუცილებელი არ არის, რომ დამმუქრებელს მართლაც ჰქონდეს „დაპირე- **15**

21 ამ მოსაზრებას იზიარებს *ჭანტურია* (სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 381), მიჯნავს რა ძალადობასა და ძალადობის მუქარას ერთმანეთისაგან.

22 მაგალითად, თუ მოძალადე უნარშეზღუდულს შუა ქუჩაში ჩამოაგდებს ეტლიდან, ძალადობის მსხვერპლისათვის გაცილებით უფრო რთულია გააცნობიეროს ის ფაქტი, რომ ეს მდგომარეობა დიდხანს არ შეიძლება გაგრძელდეს (და გამვლელების წყალობით ის მალე აღმოიფხვრება), ვიდრე იმ შემთხვევაში, როდესაც მომავალი მოძალადე მხოლოდ ემუქრება მას ამის გაკეთებით. ამ შემთხვევაში მუქარის ადრესატს აქვს საკუთარი ნების თავისუფლების შენარჩუნების გაცილებით მეტი შესაძლებლობა.

23 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 29 აპრილის №ას-132-124-2015 განჩინება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 27 მაისის № ას-170-163-2013 განჩინება; *კერესელიძე,* კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, გვ. 350; BGH NJW 1951,643.

24 BGH NJW 2005, 2769; BGH NJW-RR 1996, 1282.

25 *Ellenberger,* in Palandt, 74. Aufl. 2015, § 123 Rn. 15.

26 *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 351.

ბული“ უარყოფითი შედეგის **სისრულეში მოყვანის განზრახვა,** საკმარისია, თუ მუქარის ადრესატს შეეძლო მისი აღქმა რეალური საფრთხის შემცველად.[27] დამუქრება შესაძლებელია როგორც გაცხადებულად, ისე **შეფარული** თუ **კონკლუდენტური** მითითების გზით.[28] ყველა ამ შემთხვევაში გადამწყვეტია, ჩანს თუ არა **ადრესატის თვალსაწიერიდან** საფრთხის რეალიზება დამმუქრებლის ნებაზე დამოკიდებულად.[29] შესაბამისად, მითითება ობიექტურად არსებულ გარემოებაზე, რომელზეც დამმუქრებელს არანაირი ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლია, ვერ ჩაითვლება მუქარად, ისევე როგორც უკვე რეალიზებული საფრთხე.[30] გერმანული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, მუქარად არ ითვლება არც უკვე შეუქცევად საფრთხეზე მითითება (იხ. მუხ. 86 მე-9 ველი). მუქარა არ გვაქვს სახეზე ასევე იმ შემთხვევაში, როდესაც პირი მხოლოდ **ვარაუდობს,** რომ ნების არგამოვლენისას მეორე მხარე მას ავნებს, ამ უკანასკნელის მხრიდან კონკრეტული მითითების გარეშე ნების არგამოვლენასა და საფრთხეს შორის კავშირზე (იხ. დეტალურად მუხ. 86 მე-9 ველი). უკვე არსებული მძიმე მდგომარეობის გამოყენება, რომელიც არ შექმნილა ნების გამოძალვის მიზნით, არ წარმოადგენს მუქარას. მუქარა არ გვაქვს სახეზე ასევე იმ შემთხვევაში, როდესაც პირი (გარანტის ფუნქციის გარეშე) მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილს უარს ეუბნება დახმარებაზე სა-პირისპირო შესრულების გარეშე.[31]

16 მესამე პირის მიმართ მუქარასთან დაკავშირებით იხ. 87-ე მუხლის კომენტარი.

2. მართლწინააღმდეგობა

17 მიუხედავად იმისა, რომ იძულებას თან ახლავს პირის ნების თავისუფლების შეზღუდვა, ის მაინც შეიძლება იყოს მართლზომიერი (88-ე მუხლის თანახმად[32]), თუ პირი მართლზომიერი შედეგის მისაღწევად შესაბამის მართლზომიერ საშუალებას გამოიყენებს. მაგალითად, კრედიტორი სარჩელის აღძვრით ემუქრება მოვალეს, რომელიც ჯიუტად არ აპირებს ვალის გასტუმრებას.[33] ამ შემთხვევისაგან განსხვავებით, მართლზომიერი მიზნის მიღწევა დაუშვებელია არამართლზომიერი (მაგ., შვილის მოტაცებით მუქარა) ან მიზანთან შეუსაბამო საშუალებით (მაგ., ერთი ვალის გასტუმრების მოთხოვნა სხვა ურთიერთობიდან წარმოშობილი სარჩელის აღძვრის მუქარით ან სხვა საქმესთან დაკავშირებით პროკურატურისათვის მიმართვით).[34]

18 მუქარისაგან განსხვავებით, იძულების ხერხად გამოყენებული **ძალადობა**

27 BGH NJW 1982, 2302.
28 BGH NJW 1988, 2601.
29 *Ellenberger,* in Palandt, 74. Aufl. 2015, § 123 Rn. 16.
30 *Ellenberger,* in Palandt, 74. Aufl. 2015, § 123 Rn. 16.
31 *Wendtland,* in Beck OK BGB, 39. Aufl., 2016, § 123 Rn. 27.
32 დეტალურად ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. 88-ე მუხლის კომენტარი.
33 *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 382.
34 *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 382 და შემდგომი.

თითქმის ვერასოდეს **ვერ იქნება** მართლზომიერი 88-ე მუხლის მიხედვით (იხ. მუხ. 88 მე-15-16 ველები).

3. მიზეზშედეგობრივი კავშირი იძულებასა და ნების გამოხატვას შორის

19 იძულებით დადებული გარიგების საცილოობისათვის აუცილებელია, რომ იძულებასა და ნების გამოხატვას შორის არსებობდეს მიზეზშედეგობრივი კავშირი,[35] რაც ნიშნავს იმას, რომ იძულების გარეშე ნების გამოხატვა საერთოდ **არ მოხდებოდა**, მოხდებოდა **სხვა დროს** ან **სხვა შინაარსით.**[36]

ეს კავშირი არ გვაქვს, მაგალითად, სახეზე, თუ იძულება თავისი ხასიათისა თუ ინტენსივობიდან გამომდინარე იმდენად უმნიშვნელოა, რომ შეუძლებელია მან მოდრიკოს იძულებულის ნება და დაუმორჩილოს ის მოძალადისას (იხ. დეტალურად ამასთან დაკავშირებით მუხ. 86 მე-15 და შემდგომი ველები).

4. სუბიექტური შემადგენლობა

20 85-ე მუხლის მიხედვით, იძულება სუბიექტურ დონეზე მოითხოვს მაიძულებლის მიერ იმ ფაქტის **გაცნობიერებას**, რომ მისი ქცევა საკმარისია იძულებულის ნების შესაბამისი მიმართულებით მიქცევისაკენ და ამის სურვილს[37] („გარიგების დადების მიზნით იძულება“). **არ არის** აუცილებელი **მართლწინააღმდეგობის მომენტის** გაცნობიერება,[38] რაც ნიშნავს იმას, რომ მუქარა შეიძლება მართლსაწინააღმდეგო იყოს მაშინაც კი, როდესაც ის დამმუქრებელს მართლზომიერად მიაჩნია და, პირიქით.

21 საკამათოა, ამის საპირისპიროდ, უნდა აცნობიერებდეს თუ არა დამმუქრებელი იმ **ფაქტობრივ გარემოებებს,** რომლებიც მისი მხრიდან იძულებას **მართლსაწინააღმდეგო** ან **ამორალურ** ხასიათს სძენს. გერმანული სასამართლო[39] ამ წინაპირობას სავალდებულოდ მიიჩნევს. მაგალითად,[40] თუ ნასყიდობის მხარეებს შორის საკამათოა, ხელშეკრულება 16 000 ლიტრ ძმარზე დაიდო თუ 10 000 და გამყიდველი, რომელსაც მხოლოდ ამ რაოდენობის მიწოდება სურს, უარს იტყვის საერთოდ რამის მიწოდებაზე, სანამ მყიდველი არ აღიარებს, რომ დარჩენილი 6 000 ლიტრის მოთხოვნის უფლება არ აქვს, რაიხის სასამართლოს მიხედვით, აქ სახეზე არ გვაქვს მართლსაწინააღმდეგო მუქარა, რადგან „არაბრალეული შეცდომა არ არის იმდენად მნიშვნელოვანი, რათა პირს შეერაცხოს მართლსაწინააღმდეგო მუქარა მთელი თავისი შედეგებითურთ.“ ეს მოსაზრება არასწორია და სამართლიანადაც არის უარყოფილი სამეცნიერო ლიტერატურის[41] მიერ. 85-ე მუხლის

35 *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 383.
36 *Wendtland,* in Beck OK BGB, 39. Aufl., 2016, § 123 Rn. 37.
37 *Wendtland,* in Beck OK BGB, 39. Aufl., 2016, § 123 Rn. 35.
38 *Flume,* Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts II, 4. Aufl., 1992, 539.
39 შდრ. BGH NJW 1957, 1796; BGH LM Nr. 28.
40 RG 108, 102.
41 *Flume,* Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts II, 4. Aufl., 1992, 539; Müko/*Armbrüster,* BGB, 7. Aufl.

მიზანი მდგომარეობს არა გაკიცხვადობის ხარისხის მიხედვით განსხვავებაში, თუ რამდენად ბრალეულად ან არაბრალეულად აიძულა ერთმა პირმა მეორე, არამედ სხვა პირის თავისუფალ ნებაზე დაუშვებელი ზემოქმედების სანქციონირებაში შეცილების მეშვეობით. ამის გამო შეცილების უფლების მინიჭებისათვის უმნიშვნელო უნდა იყოს, კეთილსინდისიერად მიაჩნდა თუ არა დამმუქრებელს, რომ ჰქონდა ამგვარი მუქარის გამოთქმის უფლება.[42] თუმცა აქ ერთი დათქმის გაკეთება მაინც აუცილებელია, გამყიდველის მხრიდან შესაბამისი სარჩელის აღძვრის მუქარა არ ჩაითვლებოდა მართლსაწინააღმდეგოდ, რადგან სარჩელით მუქარა პირმა მაშინაც უნდა აიტანოს, როდესაც მის უკან ნამდვილი უფლება არ დგას (იხ. მუხ. 88 მე-4 ველი).

5. მესამე პირის მხრიდან იძულება

22 85-ე მუხლით გათვალისწინებული იძულება მოიცავს ასევე მესამე პირის მხრიდან იძულებასაც,[43] მაგალითად, განათლების მინისტრის მუქარა აკადემიური საბჭოს წევრებზე მისთვის სასურველი კანდიდატის არჩევის მიზნით.[44] განსხვავებით მოტყუებისაგან, იძულებისას უმნიშვნელოა მას უშუალოდ ნების გამოვლენის ადრესატი მიმართავს თუ მესამე პირი, ისევე როგორც უმნიშვნელოა იცოდა ან უნდა სცოდნოდა თუ არა იძულებულის კონტრაჰენტს ამ მესამე პირის მხრიდან განხორციელებული იძულების შესახებ.[45] ამ შემთხვევაში 83-ე მუხლი ანალოგიითაც კი არ უნდა გამოვიყენოთ.[46] რა თქმა უნდა, მესამე პირის მხრიდან, ისევე როგორც უშუალოდ კონტრაჰენტის მხრიდან, იძულებისას აუცილებელია, რომ იძულებასა და ნების გამოხატვას შორის არსებობდეს არა მხოლოდ კაუზალური, არამედ ასევე **მიზნობრივი**
23 ბმა (იხ. მუხ. 86 მე-19 ველი).[47]

ასევე პოლიტიკურად მოტივირებული **კოლექტიური იძულებაც** შეიძლება გახდეს 85-ე მუხლის მიხედვით შეცილების უფლების მომნიჭებელი. მაგალითად, გერმანიაში დასაშვებად მიიჩნიეს ნაციონალ-სოციალისტური რეპრესიების პერიოდში ებრაელთა მიერ ქონების გასხვისება უკუექციათ მუქარის
24 მოტივით.[48]

თუ იძულებულის კონტრაჰენტმა არ იცოდა და არც შეიძლება სცოდნოდა მუქარის შესახებ, მაშინ გამართლებულია, რომ იძულებულმა შეცილების უფლების გამოყენების შემდეგ აუნაზღაუროს მას ამით გამოწვეული ე. წ. **ნდობის ზიანი**

2015, § 123 Rn. 111.

42 *Flume,* Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts II, 4. Aufl., 1992, 539.

43 იხ. ამასთან დაკავშირებით *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 382; *კერესელიძე*, უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 350.

44 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 9 დეკემბრის განჩინება № ას-215-200-2014.

45 *ზოიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 85, გვ. 247.

46 შესაბამისად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 27 მაისის განჩინებაში № ას-170-163-2013 არასავალდებულო იყო მოსარჩელის ცოდნაზე მითითება.

47 Müko/*Armbrüster,* BGB, 7. Aufl. 2015, § 123 Rn. 96.

48 Müko/*Armbrüster,* BGB, 7. Aufl. 2015, § 123 Rn. 116.

79 II 1 მუხლის ანალოგიის გამოყენებით.[49] ეს გადაწყვეტა გამართლებულია, წარმოადგენს რა გარკვეულ კომპენსაციას მეორე მხარისათვის შეუზღუდავად მინიჭებული შეცილების უფლებისათვის.

III. სამართლებრივი შედეგები

25 იძულებით დადებული გარიგების სამართლებრივ შედეგებთან დაკავშირებით ძალაშია **მოტყუებით დადებული გარიგებების** შესახებ გამოთქმული მოსაზრებები (იხ. მუხ. 81 23-24-ე ველები).

IV. კონკურენცია

1. მოჩვენებითი გარიგება

26 იძულებით დადებული გარიგების მოჩვენებითისაგან (იხ. მე-5 ველი) გამიჯვნისას, გადამწყვეტია ნების გამოხატვის ადრესატის თვალსაწიერი. იძულებისას მაიძულებელი იმედოვნებს, რომ არა მხოლოდ მოდრეკს მეორე მხარის ნებას, არამედ ეს ნება **მოდრეკილი დარჩება გარკვეული დროის განმავლობაში.**[50] მჩუქებელი პისტოლეტის შუბლზე მიდების შემდეგ არა მხოლოდ მოაწერს ხელს ხელშეკრულებას, არამედ გადასცემს კიდეც მოგვიანებით ნაჩუქარ ნივთზე საკუთრებას დასაჩუქრებულს. ამის საპირისპიროდ, თუ მოძალადე „დასაჩუქრებული“ ხვდება, რომ „მჩუქებლის“ ნება მხოლოდ წამიერად მოდრიკა და ის პირველივე შესაძლებლობისთანავე განაცხადებს პოლიციაში და, რა თქმა უნდა, არ შეასრულებს დანაპირებს, მაშინ სახეზე გვაქვს მოჩვენებითი გარიგება 56 I მუხლის ანალოგიით.

2. 54-ე მუხლთან კონკურენცია

27 85-ე და 54-ე მუხლების კონკურენციასთან დაკავშირებით ქართული სასამართლო პრაქტიკა სრულიად არათანმიმდევრულია. ოთხი სამართლებრივი თვალსაზრისით თითქმის იდენტური ფაქტობრივი შემადგენლობისას სასამართლო ერთ შემთხვევაში საჯარო წესრიგის წინააღმდეგ მიმართულ გარიგებას[51] უშვებს, მეორეში ამორალურს[52] და მესამეში კი – მხოლოდ იძულებით[53] დადებულ გარიგებას. სწორია მხოლოდ მეორე დაშვება, რადგან აქ უბრალო იძულებასთან კი არ გვქონდა საქმე, არამედ პროკურატურის მუშაკის (მეორე შემთხვევაში შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენ-

49 Müko/*Armbrüster,* BGB, 7. Aufl. 2015, § 123 Rn. 117; იხ. 79 II მუხლის კომენტარი.

50 შდრ. ამის საპირისპიროდ *Süß,* Geld oder Leben, JURA 2011, 739, რომელიც ასხვავებს იძულების სიმძაფრიდან გამომდინარე ნების მოდრეკის ხარისხის (არა მოდრეკის ეფექტის ხანგრძლივობის) მიხედვით, რაც არასწორია.

51 საქართველოს უზენაესი სასამართლო 2016 წლის 25 მაისი განჩინება №ას-225-215-2016.

52 საქართველოს უზენაესი სასამართლო 2015 წლის 21 ივლისი განჩინებაში №ას-688-654-2015; თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 15 აპრილის გადაწყვეტილება №2ბ/4686-13.

53 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 21 ივლისის განჩინება №ას-333-314-2014.

ლის) მხრიდან პასუხისგებაში მიცემული პირისა და მისი ახლობლების მიმართ მუქარასთან, თუმცა ეს არ გამორიცხავდა, რომ ეს გარიგება ამავდროულად იძულებითაც იყო დადებული, მიუხედავად იმისა, რომ ამას პრაქტიკული მნიშვნელობა უკვე აღარ გააჩნდა (იხ. ქვემოთ 30-ე ველი).

28 იძულებით დადებული გარიგება ავტომატურად არ წარმოადგენს **მართლსაწინააღმდეგო** ან **საჯარო** წესრიგის წინააღმდეგ მიმართულ გარიგებას (54 1-2 ვარ.), რადგან ამისათვის აუცილებელია ორმხრივი კანონდარღვევა (ან ორივე მხარის მიერ საჯარო წესრიგის წინააღმდეგ მიმართული ქმედების ჩადენა), რაც იძულებით დადებული გარიგების შემთხვევაში, ჩვეულებრივ, სახეზე არ გვაქვს. როდესაც საჯარო მოხელე სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებით აიძულებს მესაკუთრეს სახელმწიფოს აჩუქოს მის მიწის ნაკვეთზე გამავალი გაზსადენი,[54] აქ მხოლოდ იძულებით დადებულ გარიგებასთან გვაქვს საქმე და არა კანონსაწინაღმდეგოობის გამო ავტომატურად ბათილთან. ეს გამომდინარეობს კანონმდებლის გადაწყვეტილებიდან, რომელიც იძულებისას გარიგებას მხოლოდ საცილოდ მიიჩნევს, რაც აზრს დაკარგავდა, თუ იძულებით გამოწვეული კანონდარღვევა ნებისმიერ შემთხვევაში მაინც გარიგების არანამდვილობამდე მიგვიყვანდა (იხ. მუხ. 81, 29-ე ველი).

29 რაც შეეხება იძულებით დადებული გარიგების მიმართებას **ამორალურ გარიგებასთან** (54 ვარ. 3), თუ ამორალურობის მომენტს მხოლოდ და მხოლოდ ნების თავისუფლების დაუშვებელი მოდრეკა განაპირობებს, მაშინ სახეზე გვაქვს მხოლოდ იძულება 85-ე მუხლის გაგებით და არა ამორალურობის მოტივით არანამდვილი გარიგება.[55] 85-ე მუხლის გვერდით 54-ე მუხლის მე-3 ვარიანტის გამოყენებისათვის აუცილებელია, ნების მართლსაწინააღმდეგო დათრგუნვიდან გამომდინარე, უზნეობას დაემატოს ამორალურობის დამოუკიდებელი ელემენტი. ეს დამატებითი ელემენტი არ გვაქვს სახეზე, მაგალითად, იმ შემთხვევაში, როდესაც მაიძულებელი თავდებს ხელშეკრულების დადებამდე მხოლოდ აღუწერს ახლობელი პირის პასუხისგებაში მიცემის საფრთხეს (იხ. მუხ. 86 მე-9 ველი). მხოლოდ ის ფაქტი, რომ თავდებობის ოდენობა მნიშვნელოვნად აღემატებოდა პირის ფინანსურ შესაძლებლობებს, უზნეობის დამატებითი მომენტის შემომტანი არ არის, რადგან ის უკვე შთანთქმულია იძულების შემადგენლობით (იგულისხმება, რომ თავდებობას ნაკლებ თანხაზე ახლო ნათესავი ყოველგვარი იძულების გარეშე იკისრებდა).[56] ამის საპირისპიროდ ამორალურობის დამატებითი ელემენტი სახეზე გვაქვს, როდესაც პროკურატურის მუშაკი პასუხისგებაში მიცემულ პირს სთავაზობს მოსალოდნელი სასჯელის შემსუბუქებას სახელმწიფოსათვის ქონების დათმობის სანაცვლოდ,[57] რაც თავის მხრივ გა-

54 სხვაგვარად მიიჩნევს საქართველოს უზენაესი სასამართლო თავის 2016 წლის 25 მაისი განჩინებაში №ას-225-215-2016.

55 Müko/*Armbrüster,* BGB, 7. Aufl. 2015, § 123 Rn. 119.

56 BGH NJW 1988, 2601.

57 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 15 აპრილის გადაწყვეტილება № 2ბ/4686-13; მართალია, სასამართლოს მსჯელობა ბოლომდე გამართული არ არის, მიიჩნევს რა იძულების შემთხვევაში ავტომატურად დარღვეულად საჯარო წესრიგს (54 ვარ. 2), თუმცა უზენაესი

მორიცხულია იმ შემთხვევაში, როდესაც ქონების დათმობა დამნაშავის მიერ სახელმწიფოსათვის მიყენებული ზიანის კომპენსირებას ემსახურება (იხ. ასევე მუხ. 86 მე-9 ველი).[58]

გამყვლეფი გარიგება (54 ვარ. 3, 55) მაშინ კონკურირებს იძულებით დადებულ გარიგებასთან, როდესაც შეუსაბამო სარგებლის მოპოვების შესაძლებლობა კონტრაჰენტს მხოლოდ იძულების შედეგად მეორე მხარის ნების დათრგუნვის შემდეგ მიეცა.[59] **30**

3. მოტყუებით დადებული გარიგება

მოტყუებითა და **მუქარით** დადებული გარიგების კონკურენციისათვის იხ. მუხ. 81, 26-ე ველი. **31**

4. შესრულების გამოძალვა 978-ე მუხლის მიხედვით

85-89-ე მუხლების გამოყენების სფერო შეიძლება გარკვეულ შემთხვევებში გადაიკვეთოს 978-ე მუხლთან (condictio ex iniusta causa), რომელიც ითვალისწინებს მუქარით ან სხვაგვარი იძულებით გამოძალული შესრულების უკან დაბრუნებას, თუ მიმღები ვერ დაამტკიცებს მიღებულის შენარჩუნების საფუძველს. იმ გარემოებაზე მითითება, რომ 85-ე მუხლი გარიგების დადებისას იძულებას ეხება, ხოლო 978-ე მუხლი კი უშუალოდ ფაქტობრივ გადაცემას, ვერ იქნება ამ ორ დანაწესს შორის მიჯნის გავლებისათვის საკმარისი, რადგან, სასურველია, ქართულ სამართალშიც შესრულების (სანივთო) გარიგების აღიარება (მიყიდულ ნივთზე საკუთრების გადაცემა უნდა მოხდეს არა მხოლოდ მფლობელობის გადაცემის რეალაქტით), რომელიც ასევე შეიძლება გახდეს იძულების მოტივით საცილო. გარდა ამისა, 976-ე, 978-ე მუხლების გაგებით, რაიმეს გადაცემა შესაძლებელია ასევე გარიგებითაც. მაგალითად, ვალის აღიარება (341), რომელიც ანაცვლებს არსებულ ვალდებულებით ურთიერთობას (ნოვაცია),[60] ასევე წარმოადგენს რაიმეს ხსენებული მუხლების გაგებით და პრობლემურია მისი იძულებით გამოძალვის შემთხვევაში უკან დაბრუნება 978-ე მუხლის საფუძველზე უნდა მოხდეს, თუ 85-89, 976 I ა) მუხლების მიხედვით. პრობლემა განსაკუთრებით მძაფრად დგება იმ შემთხვევაში, როდესაც იძულების საბაბით შეცილება უკვე ხანდაზმულია. ამ კონკურენციის გადასაწყვეტად შემდეგი არგუმენტების მოშველიება შეგვიძლია: **32**

978-ე მუხლში მოწესრიგებული condictio ex iniusta causa, მიუხედავად იმისა, რომ ქართველმა კანონმდებელმა ის შესრულების კონდიქციად აღიქვა, **33**

სასამართლო მაინც სწორ გადაწყვეტილებამდე მიდის თავის 2015 წლის 21 ივლისი განჩინებაში №ას-688-654-2015; ამისგან განსხვავებით, მიუღებელია სასამართლოს მსჯელობა 2014 წლის 21 ივლისის განჩინებაში №ას-333-314-2014 იდენტურ შემთხვევასთან დაკავშირებით.

58 იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა 2014 წლის 15 აპრილის გადაწყვეტილებაში № 2ბ/4686-13.

59 Müko/*Armbrüster,* BGB, 7. Aufl. 2015, § 123 Rn. 119.

60 საქართველოს უზენაესი სასამართლო 2016 წლის 11 ნოემბრის განჩინება № ას-862-812-2015.

თავისი არსით ხელყოფის კონდიქციისა და დელიქტური მოთხოვნის დანამატს წარმოადგენს, რაც ნიშნავს იმას, რომ ის ვერ იქნება **მთავარი ინსტრუმენტი არანამდვილი გარიგებების უკუქცევისათვის**. გარდა ამისა, 978-ე მუხლი **სამართლის პოლიტიკის** კუთხით საკმაოდ პრობლემურია, რადგან იძლევა 118-119-ე მუხლების ფარგლებისაგან დამოუკიდებელ თვითდახმარების უფლებას, რაც შეუთავსებელია ძალადობაზე სახელმწიფოს მონოპოლიის პრინციპთან. ამის გამო, სასურველია, პრობლემური 978-ე მუხლის გამოყენების სფეროს **მაქსიმალურად შეზღუდვა** 85-ე მუხლთან კონკურენციისას. თუ პირი აპელირებს გარიგების იძულებით დადებაზე, დამოუკიდებლად იმისა, შემდეგ ნებაყოფლობით ასრულებს თუ არა ვალდებულებას (საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსაზრების საპირისპიროდ)[61], მას 85-89-ე მუხლებზე უნდა მიეთითოს და გარიგების გაბათილების შემდეგ კი, 976 I ა) მუხლით გათვალისწინებულ შესრულების კონდიქციაზე ან ვინდიკაციაზე (172 I). გარდა ამისა, თუ იძულებას ადგილი ჰქონდა არა გარიგების დადების, არამედ მისი შესრულების ეტაპზე, თუმცა ეს შესრულებაც არ ამოიწურებოდა მხოლოდ რეალაქტით, არამედ საჭიროებდა (გარიგების) ნებელობით მომენტს, აქაც იძულებით დადებული გარიგების დანაწესები უნდა გამოვიყენოთ, რათა შესრულების გამომძალველს არ მიეცეს მხოლოდ შესაბამის მოთხოვნის უფლებაზე მითითებით მისი შენარჩუნების შესაძლებლობა (შდრ. მუხ. 88 მე-2 ველი).

34 თუ იძულების გამო შეცილება გამორიცხულია ერთწლიანი ვადის გასვლის გამო (89), ამ შემთხვევაში **არაფერი უშლის ხელს 978-ე მუხლის** გამოყენების შესაძლებლობას.

V. მტკიცების ტვირთი

35 მტკიცების ტვირთის განაწილებასთან დაკავშირებით შესაბამისად მოქმედებს **მოტყუების შემთხვევაში აღიარებული** (იხ. მუხ. 81 31-34-ე ველები) წესები; მხარემ, რომელიც აპელირებს გარიგების იძულებით დადებაზე, უნდა ამტკიცოს კიდეც მისი წინაპირობები.[62]

36 თუ იძულების ხასიათი საკმარისია ნების მოდრეკისათვის (იხ. 86-ე მუხლის კომენტარი), მაშინ მეორე მხარის სამტკიცებელია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში იძულება არ გამხდარა კაუზალური ნების გამოხატვისათვის და გამონაკლისის სახით გამომხატველის **თავისუფალ გადაწყვეტილებას** ემყარებოდა.[63] ასევე, თუ იძულებული მიუთითებს **საშუალება-მიზნის დაუშვებელ კომბინაციაზე** (იხ. მუხ. 88 7-10-ე ველები), მაშინ მეორე მხარეს ეკისრება იმის მტკიცების ტვირთი, თუ როგორ ამართლებდა მისი ინტერესი ამ მიზნის მიღწევისათვის კონკრეტული საშუალების გამოყენებას.[64]

61 საქართველოს უზენაესი სასამართლო 2015 წლის 21 ივლისის განჩინებაში №ას-688-654-2015.

62 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 29 აპრილის განჩინება №ას-132-124-2015.

63 იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით (2011 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილება №2ბ/1967-11) მუხ. 86 მე-18 ველი.

64 BGH NJW 2005, 2769, მაგალითად, არ არის მართლსაწინააღმდეგო, დასაშვები მოთხოვნის რეალიზებისათვის მუქარის ფორმად პრესის ინფორმირების გამოყენება (რომელიც ასევე დასაშვებია),

გარდა ამისა, ცალკეულ შემთხვევებში აუცილებელია **მტკიცების ტვირთის შეტრიალება,** როდესაც ნების გამომხატველის მიერ წარმოდგენილი ირიბი მტკიცებულებები ცალსახად მიუთითებენ მუქარის ფაქტზე. მაგალითად,[65] თუ მჩუქებელი მოახერხებს დაამტკიცოს, რომ იმავე დღეს, როდესაც მის შვილთან გაფორმდა საპროცესო შეთანხმება, მან შინაგან საქმეთა სამინისტროს აჩუქა ერთი ძვირად ღირებული ავტომანქანა, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ კი მეორე და ამასთან, იმყოფებოდა მატერიალურად საკმაოდ დუხჭირ მდგომარეობაში, სასამართლომ არ უნდა მოსთხოვოს მას დამატებით შესაბამისი ჩინოვნიკის მიერ განხორციელებული მუქარის აუდიოჩანაწერი, არამედ გადააკისროს საწინააღმდეგოს მტკიცების ტვირთი მოპასუხეს – სამინისტრომ უნდა ამტკიცოს, თუ რა შეიძლებოდა ყოფილიყო ამგვარი საჩუქრის საფუძველი, თუ არა მუქარა. თბილისის სააპელაციო სასამართლო მტკიცების ტვირთის შეტრიალებას უშვებს მხოლოდ გარიგების ამორალურობის კონტექსტში, რაც არასაკმარისია, იგივე უნდა მოხდეს იძულების მტკიცებისასაც.

თუმცა ინტერესი, ამ ერთმანეთთან პირდაპირ კავშირში არმყოფი საშუალება-მიზნის კომბინაციის გამოყენებისადმი, უნდა ამტკიცოს დამმუქრებელმა.

65 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 15 აპრილის გადაწყვეტილება № 2ბ/4686-13.

მუხლი 86. იძულების ხასიათი

1. გარიგების ბათილობას იწვევს ისეთი იძულება, რომელსაც თავისი ხასიათით შეუძლია გავლენა მოახდინოს პირზე და აფიქრებინოს, რომ მის პიროვნებას ან ქონებას რეალური საფრთხე ემუქრება.

2. იძულების ხასიათის შეფასებისას მხედველობაში მიიღება პირთა ასაკი, სქესი და ცხოვრებისეული გარემოებანი.

I. ზოგადი დებულებები 504
II. იძულების ხასიათი 505
1. ძალადობის ხასიათი 505
2. მუქარის ხასიათი 506
ა) მოსალოდნელი საფრთხე 506
ბ) საფრთხის სიმძაფრე 508
აა) მუქარის ადრესატის თვალსაწიერი 508
ბბ) აბსტრაქტული საფრთხე 509
3. მიზეზშედეგობრივი კავშირი იძულებასა და ნების გამოხატვას შორის 510

I. ზოგადი დებულებები

1 იძულება მიზნად არ ისახავს დამუქრებული პირის ნების სრულ პარალიზებას, არამედ მხოლოდ და მხოლოდ მისი შესაბამისი მიმართულებით მოდრეკას,[1] თუმცა ამისათვისაც აუცილებელია, რომ იძულება იყოს გარკვეული, **არაუმნიშვნელო, ინტენსივობის**.[2] ასეთად 86 I მუხლი მიიჩნევს პირადი არაქონებრივი სიკეთეებისა და ქონებრივი სიკეთეების დაზიანების საფრთხეს. მხოლოდ **იდეალური ინტერესი** ხელყოფის საფრთხე საკმარისი არ არის. შესაბამისად, იძულებად ვერ აღიქმება პირის მუქარა, რომ გარიგებაზე ხელის არმოწერის შემთხვევაში დააკარგვინებს „ადამიანების რწმენას“. ამის საპირისპიროდ, სახელის გამტეხი ცნობების გავრცელებით მუქარა (რომ პირი არ არის კანონიერ ქორწინებაში შეძენილი შვილის ბიოლოგიური მამა[3]), შეიძლება წარმოადგენდეს იძულებას 86-ე მუხლის გაგებით, კერძოდ, მამის პატივისა და ღირსების შელახვის საფრთხეს, დამოუკიდებლად იმისა, სწორია თუ არა ეს ცნობები.

მოცემული დანაწესის მე-2 ნაწილს დამოუკიდებელი მნიშვნელობა არ გააჩნია, ის მხოლოდ აკონკრეტებს, თუ რა კრიტერიუმებით უნდა ვიხელმძღვანელოთ იძულებული პირის სუბიექტური თვალსაწიერის (იხ. მე-12 ველი) განსაზღვრისას.

1 *Armbrüster,* in Beck OK BGB, 39. Aufl., 2016, § 123 Rn. 25.

2 *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 381.

3 შდრ. განსხვავებული პოზიცია თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილებაში №2ბ/1967-11.

II. იძულების ხასიათი

1. ძალადობის ხასიათი

ძალადობის დეფინიცია **სისხლის სამართლის მეცნიერებიდან** არის გად- 2
მოსაღები (იხ. მუხ. 85, 8-12-ე ველები).[4] ძალადობა, მართალია, არ გულისხ-
მობს მსხვერპლზე უშუალო სხეულებრივ ზემოქმედებას, თუმცა აუცილებე-
ლია, რომ მის მიერ აღქმული იყოს არა მხოლოდ ფსიქიკურ, არამედ ასევე
სხეულებრივ იძულებად.[5] საკამათოა ის მოთხოვნები, რაც სხეულებრივ
იძულებას წაეყენება.[6] ცალსახაა, რომ გარიგების დადების მიზნით ცემა,
საგრძნობი ფიზიკური ტკივილის მიყენება და ა. შ. ყოველი მიზეზის გარეშე
ექცევა ძალადობის ცნების ქვეშ. იგივე ითქმის მეზობლის სახლიდან მუდმი-
ვად გამომავალ საგრძნობ ხმაურზე ან სუნზე (რომლის ატანა-განეიტრალე-
ბა შეუძლებელია ან მნიშვნელოვან სირთულეებს უკავშირდება), რათა,
ამგვარად, გამოსძალოს მეზობელს ბინა შეღავათიან ფასად ან სერვიტუტი
მის კუთვნილ მიწაზე.[7] გერმანულ სასამართლო პრაქტიკაში[8] პრობლემუ-
რია **დემონსტრაცია-ბლოკადების** შემთხვევები. მაგალითად, დემონსტრაცი-
ის მონაწილეები თავს მიიჯაჭვავენ მშენებლობის საძირკველში ჩაშენებულ
ბოძებზე, რათა ამგვარად აიძულონ მშენებელი უარი თქვას შეკვეთაზე და
ჩაშალონ მშენებლობა. მიუხედავად იმისა, რომ გერმანული სასამართლო
ამ შემთხვევასაც სისხლისსამართლებრივი ძალადობის ცნების ქვეშ აერ-
თიანებს,[9] მსგავსი მიდგომა 85-ე მუხლის ფარგლებში **საზღვრებს წაშლი-**
და ძალადობასა და მუქარას შორის. ცოლის მხრიდან ქმრის თანდასწრებით
გამოთქმული თავის მოკვლის მუქარაც (იხ. მუხ. 81 26-ე ველი) ზუსტად
ასეთივე წარმატებით შეგვეძლო ძალადობად მიგვეჩნია, რისი აუცილებლო-
ბაც არ არსებობს. გამონაკლისის სახით მხოლოდ ფსიქიკური გზით გა-
დაცემადი იძულებაც ძალადობად უნდა მივიჩნიოთ, თუ ის არა მხოლოდ
იძულებულის გრძნობებზე, არამედ პირდაპირ ნერვულ სისტემაზე ზემოქმე-
დებს[10] და მნიშვნელოვნად უზღუდავს გადაწყვეტილების მიღების შესაძლე-
ბლობას: მძღოლი თანამგზავრისაგან ვალის აღიარების გამოძალვის მიზნით
მნიშვნელოვნად გადააჭარბებს სიჩქარეს და ამასთან, დაუშვებელ მანევრებს
აკეთებს.

85-ე მუხლის გაგებით ძალადობას არ წარმოადგენს **ნივთების მიმართ** 3

4 თანამედროვე ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში 85-ე მუხლის გაგებით, ძალადობასა და მის კომპონენტებთან დაკავშირებით დისკუსია არ მიმდინარეობს. ამ შემთხვევაში ვერც შედარებით-სამართლებრივ დისკურსზე მითითება გამოგვადგება, რადგან ძალადობა, ძირითადად, არც სხვა ქვეყნების მართლწესრიგშია აღიარებული მუქარის გვერდით გარიგების საცილოობის წინაპირობად.

5 RGSt 60, 158.

6 *Küpper,* Strafrecht Besonderer Teil 1, 3. Aufl., 2007, 67.

7 *Küpper,* Strafrecht Besonderer Teil 1, 3. Aufl., 2007, 67.

8 შდრ. *Küpper,* Strafrecht Besonderer Teil 1, 3. Aufl., 2007, 66.

9 BGHSt 41, 182: იძულება ძალადობის გამოყენების საშუალებით სახეზეა მაშინაც, როდესაც მხოლოდ უმნიშვნელო ფიზიკური ზემოქმედება მსხვერპლზე იმგვარ ფსიქიკურ ეფექტს ავითარებს, რომ აღმართავს ძალადობის მსხვერპლისათვის დაუძლეველ ბარიერს მიზნისაკენ მიმავალ გზაზე.

10 შდრ. *Küpper,* Strafrecht Besonderer Teil I, 3. Aufl., 2007, 67.

ძალადობა, რადგან აქ არ გვაქვს ფიზიკური იძულების მომენტი.[11] მაგალითად, თუ დამქირავებელი ქირავნობის ხელშეკრულების გაგრძელებასთან დაკავშირებული კამათისას ხელს სტაცებს გამქირავებლის კატას და მანამდე აწვალებს, სანამ ეს უკანასკნელი ხელს არ მოაწერს შესაბამის ფორმულარს, აქ ქმედებით გამოწვეული იძულების ეფექტი მხოლოდ ფსიქიკური ხასიათისაა.

4 **ამგვარად**, ძალადობად უნდა მივიჩნიოთ სხეულებრივი იძულების გამოყენება პირის ნების დათრგუნვისა და შესაბამის კალაპოტში მოქცევის მიზნით, თუმცა, ამასთან, აუცილებელია, რომ მოქმედების თავისუფლება არ იყოს სრულებით გამორიცხული (იხ. მუხ. 85 მე-8 ველი).

2. მუქარის ხასიათი

ა) მოსალოდნელი საფრთხე

5 მუქარის დროს დამმუქრებელი მუქარის ადრესატს აღუწერს საფრთხეს, რომლის განხორციელება-თავიდან აცილებაც მას ხელეწიფება, რათა ამგვარად **დაიყოლიოს** მისთვის სასურველი ნების გამოვლენაზე (იხ. მუხ. 85-ე მე-13 ველი). ეს **დაყოლიების** მომენტი არ გვაქვს სახეზე, როდესაც, მაგალითად, გამოცდილი საქმოსანი მეორეს იმგვარად აღუწერს არსებულ ვითარებას, რომ სავარაუდოს ხდის ამ უკანასკნელისათვის უარყოფითი შედეგის დადგომას, რითიც განაპირობებს გარიგების დადებას.[12] მხარეებს შორის გარიგების დადებისას წარმოშობილი **კამათი** ან **ჩხუბი**, ცალკე აღებული, ვერ ამტკიცებს იძულების ფაქტს.[13]

6 მართალია, მუქარა **დროში წინ უნდა უსწრებდეს** გარიგების დადებას, წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელია საუბარი ზემოთ ხსენებულ **„დაყოლიებაზე“,** თუმცა აქ გადამწყვეტია მუქარით გამოწვეული ზოგადი ეფექტი და არა ფაქტების ზუსტი ქრონოლოგია. ვერ ვიტყვით, რომ ბრალდებულთან საპროცესო შეთანხმების არდადების მუქარა ქარწყლდება ამ შეთანხმების გაფორმებისთანავე,[14] რადგან გაფორმების შემდეგაც არსებობს მისი გაუქმების ან დაკავებული პირისათვის სხვაგვარი ვნების მიყენების შესაძლებლობა, რაც უკვე საკმაოდ სავარაუდოა იმ სახელმწიფო ორგანოს მხრიდან, რომელმაც მანამდე მართლსაწინააღმდეგო მუქარას მიმართა. ამის გამო, საპროცესო შეთანხმებიდან ექვსი დღის შემდეგ დადებული ნაჩუქრობაც, რა თქმა უნდა, ითვლება მუქარის ქვეშ დადებულად.

7 მუქარად ვერ ჩაითვლება ვერც **ობიექტური** მდგომარეობის ხატოვანი აღწერა, რომლის შეცვლაც აღმწერს არ ძალუძს.[15] ასევე **უკვე შექმნილი მძიმე**

11 *Mitsch,* Strafrecht Besondere Teil 2, 2. Aufl., 2003, 242.

12 RGZ 104, 80.

13 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 7 ივლისის №ას-309-633-05 განჩინება.

14 თუმცა ამგვარ მსჯელობას ავითარებს პირველი ინსტანციის სასამართლო თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 15 აპრილის გადაწყვეტილებაში № 2ბ/4686-13.

15 BGH NJW 1952, 1094.

მდგომარეობის სათავისოდ **გამოყენება** არ წარმოადგენს მუქარას,[16] თუმცა შესაძლებელია გარიგება ბათილი იყოს 54-ე მუხლის მე-3 ვარიანტის მიხედვით (იხ. მუხ. 85 30-ე ველი).[17]

მუქარა არ გვაქვს სახეზე ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც ნების გა- **8**
მომხატველი **მადლიერების, პატივისცემის** ან პროფესიული **დაქვემდებარებ-ის** გამო ვერ ამბობს უარს ხელშეკრულების დადებაზე.[18] მხოლოდ **გაფრთხ-ილებად** და არა მუქარად ითვლება შემთხვევა, როდესაც ოფერენტი თავის კონტრაჰენტს მუქ ფერებში უხატავს იმ შედეგს, რაც დადგება შეთავაზებაზე უარის თქმის შემთხვევაში.[19]

მუქარად არ ითვლება არც უკვე შეუქცევად საფრთხეზე მითითება[20] და **9**
გერმანული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, არც გადაწყვეტილების მიღებისას **დროის წნეხის** ქვეშ მოქცევა,[21] რადგან 85-ე და შემდგომი მუხლები იცავენ ნების გამოხატვის თავისუფლებას, ამ ნებისათვის განზრახ და მართლსაწინააღმდეგოდ სხვა მიმართულების მიცემისაგან და არა ნებისმიერი ხელშემშლელი გარემოებისაგან. მუქარა არ გვაქვს სახეზე ასევე იმ შემთხვევაში, როდესაც პირი **მხოლოდ ვარაუდობს,** რომ ნების არგამოვლენისას მეორე მხარე მას ავნებს, თუმცა ამ უკანასკნელს არ მიუცია საკმარისი საბაბი ამ ვარაუდისათვის. მაგალითად,[22] ფულის მიმთვისებლის სისხლისსამართლებრივი დევნის შესაძლებლობაზე მითითება მისი ახლობელი პირისათვის, საკმარისი არ არის ამ უკანასკნელის მიერ მიმთვისებლის სასარგებლოდ ნაკისრი თავდებობის საცილოობისათვის. გერმანიის ფედერალური სასამართლოს მიხედვით ამ შემთხვევაში საფრთხე ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარეობდა, მუქარისათვის კი აუცილებელი იყო ამ საფრთხესა და ნების არგამოვლენას შორის კავშირზე კონკრეტული მითითება. თუ განსასჯელს და მისი ოჯახის წევრებს სურთ ნებაყოფლობით აუნაზღაურონ დაზარალებულს მიყენებული ზიანი, რითაც ასევე გარკვეულ შეღავათს მიიღებს განსასჯელიც, რადგან სისხლის სამართლის ბრალდებაზე პასუხისმგებელი ორგანო აღნიშნულ გარემოებას უსათუოდ მიიღებს მხედველობაში საბოლოო პოზიციის ჩამოყალიბებისას, ესეც არ ჩაითვლება მუქარად.[23]

ის ფაქტი, რომ პროკურორის მხრიდან **საპროცესო შეთანხმების** არგა- **10**
ფორმება ბრალდებულისათვის რეალურ საფრთხეს წარმოადგენს, ვერ გამოირიცხება ამ უკანასკნელის დისკრეციულ უფლებამოსილებაზე მითითებით[24]

16 BAG NJW 1983, 2959: გერმანულმა ფედერალურმა სასამართლომ არ მიანიჭა დასაქმებულ ქალს შეცილების უფლება, რომელმაც დეკრეტული შვებულების უფლების არცოდნიდან გამომდინარე და დაფიქრებისათვის საკმარისი დროის მიცემის გარეშე ხელი მოაწერა ხელშეკრულების გაუქმებას.

17 *Flume,* Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts II, 4. Aufl., 1992, 534.

18 Müko/*Armbrüster,* BGB, 7. Aufl. 2015, § 123 Rn. 99.

19 *Zweigert/Kötz,* Einführung in die Rechtsvergleichung auf dem Gebiete des Privatrechts, 3. Aufl, 1996, 425.

20 *Wendtland,* in Beck OK BGB, 39. Aufl., 2016, § 123 Rn. 26.

21 BAG NJW 1994, 1021.

22 BGH NJW 1988, 2601.

23 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 23 აპრილის განჩინება №2ბ/4202-13.

24 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 15 აპრილის გადაწყვეტილება № 2ბ/4686-13.

– საპროცესო შეთანხმების არგაფორმებაც ექცეოდა კანონის ფარგლებში. აქ სასამართლო საფრთხის რეალურობას არ მიჯნავს მისი მართლწინააღმდეგობისაგან (იხ. მუხ. 88 მე-8 ველი), რაც არასწორია. რადგან რეალურ საფრთხეს წარმოადგენს მუქარის ადრესატისათვის **მოსალოდნელი ნებისმიერი უარყოფითი შედეგი,** დამოუკიდებლად იმისა, თუ რამდენად მართლზომიერია ის.

ბ) საფრთხის სიმძაფრე

11 რთულად განსასაზღვრია ობიექტური კრიტერიუმებით დამმუქრებლის მიერ წარმოჩენილი საფრთხის, რომელიც სრულებით **არარეალური** შეიძლება იყოს, სიმძიმე,[25] რადგან მისი ეფექტი მუქარის ადრესატის ნების მოდრეკის ჭრილში, ანუ სუბიექტური კატეგორიებით, ფასდება. ცალსახაა, რომ **წვრილმანი მუქარისას** თითქმის **შეუძლებელია მიზეზშედეგობრიობის მტკიცება** (იხ. მე-15 და შემდგომი ველები). ცოლის მხრიდან მუქარა განქორწინებასთან დაკავშირებით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს[26] მიხედვით, არ შეიცავს იმ ხარისხის საფრთხეს, რაც საკმარისი იქნებოდა ქმრის მიერ მთელი თავისი ქონების გაყიდვისათვის.

აა) მუქარის ადრესატის თვალსაწიერი

12 მიუხედავად ამისა, მოცემულ კონტექსტში ცალსახად არადამაჯერებლად ჟღერს ქართული სასამართლოს არგუმენტი,[27] რომ, რადგან შინაგან საქმეთა სამინისტროს არ გააჩნია სამართლებრივი მექანიზმი საპროცესო შეთანხმებისას პროკურორზე ზემოქმედებისა, მისი მუქარა ბრალდებულის მიმართ ამ საპროცესო შეთანხმების არგაფორმებით, ვერ იქნებოდა ქმედითი. ამგვარი მსჯელობა მიამიტურ დაშვებასა და რეალურ სიტუაციაზე თვალის დახუჭვის მცდელობას წარმოადგენს. მუქარის სერიოზულობის შეფასებისათვის გადამწყვეტია არა ის, თუ რამდენად თავსდება მისი შინაარსი სამართლებრივი სახელმწიფოს ჩარჩოებში და არც დამმუქრებლის რეალური ჩანაფიქრი, არამედ **მუქარის ადრესატის თვალსაწიერი**[28] – **„აფიქრებინოს,** რომ რეალური საფრთხე ემუქრება“. მაგალითად,[29] თუ მენარდე სახლზე საკუთრების გადაცემას პირობად დაუთქვამს შემკვეთის მიერ „დამატებითი პრემიის“ გადახდას, მენარდის ყველა მოთხოვნის უპირობოდ აღიარებასა და საპირისპირო მოთხოვნებზე უარის თქმას, რისი უფლებაც მას არ აქვს და რაც საშულება-მიზნის დაუშვებელ კომბინაციას წარმოადგენს (იხ. მუხ. 88 მე-6 და შემდგომი ველები), უმნიშვნელოა, თუ რამდენად სერიოზული იყო ეს მუქარა ზოგადად, ობიექტური მესამე პირისათვის, გადამწყვეტია,

25 *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 351.
26 სუსგ სამოქალაქო, სამეწარმეო და სხვა კატეგორიის საქმეებზე, სუსგ სამოქ. 1/2008, გვ. 59.
27 იხ. პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 15 აპრილის გადაწყვეტილებაში № 2ბ/4686-13.
28 *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 351.
29 BGH NJW 1982, 2302.

თუ რამდენად დამაჯერებლად ჟღერდა ის მისი ადრესატისათვის. ამდენად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს[30] მიერ ხშირად ხსენებული პრინციპი, რომ „იძულება მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩაითვალოს ზემოქმედებაუნარიან იძულებად, თუკი იგი რეალური საფრთხის მაუწყებელია“, ხოლო, „თუ საფრთხე მოჩვენებითია, მაშასადამე, იძულებაც ამ აზრით არარსებულია“, გასაზიარებელი არ არის. მართალია, ეს 86 I მუხლის ფორმულირებიდან მხოლოდ ოდნავ გადახვევას წარმოადგენს, თუმცა ამავდროულად უკვე ბუნდოვანი ხდება, რას გულისხმობს სასამართლო ამ რეალური საფრთხის ქვეშ. სავარაუდოდ, არა მხოლოდ იძულებულის პოზიციიდან რეალურს, არამედ ობიექტურად რეალურს, რაც არასწორია.[31]

ბბ) აბსტრაქტული საფრთხე

პრობლემურია **აბსტრაქტული** ხასიათის საფრთხით მუქარა, როგორიც არის „პრობლემები შეგექმნება“,[32] ან როგორც უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთ გადაწყვეტილებაშია[33] აღწერილი, მუქარა გამონათქვამებით – „მე შენ დაგჭმუჭნი“, „თუ არ დათმობ, დაგათმობინებ“. სასამართლომ ამ შემთხვევაში ამ ტიპის მუქარა არასწორად მიიჩნია მხოლოდ უმნიშვნელო ზემოქმედებად, რომელიც ვერ ჩაითვლებოდა იძულებად 85-ე მუხლის მიხედვით. აბსტრაქტული მუქარის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ, რადგან საფრთხე დაუკონკრეტებელია, ის შეიძლება წარმოადგენდეს მართლზომიერ მუქარასაც 88-ე მუხლის გაგებით (იხ. მუხ. 88 11-12-ე ველები). მაგალითად, ფულის შემთხვევაში „დაგათმობინებ“, შეიძლება ნიშნავდეს სარჩელის აღძვრის ან იძულებითი აღსრულების მეშვეობით დათმობინებას. სხვა შემთხვევაში, თუ ეს აბსტრაქტულად დახატული საფრთხე **სუბიექტურად საკმარისია** პირის ნების მოდრეკისათვის, უმნიშვნელოა, დამმუქრებელი მუქარის ადრესატს დაუკონკრეტებს, რომ სცემს, თუ ეტყვის, რომ „თავბედს აწყევლინებს“, რაც შეიძლება ცემასაც ნიშნავდეს, ავტომანქანის საქარე მინის ჩამტვრევასაც და სამსახურში მასზე სამარცხვინო ცნობების გავრცელებასაც, ამიტომაც ამ ტიპის მუქარისას ყოველ ცალკეულ შემთხვევაში უნდა დადგინდეს, იყო თუ არა ეს მუქარა მართლსაწინააღმდეგო და ამასთან, მისი სერიოზულობის უარსაყოფად მხოლოდ აბსტრაქტულ ხასიათზე მითითება არ კმარა. 13

აუცილებელი არ არის, რომ მუქარაში დაფიქსირებული საფრთხე **უშუალოდ ნების გამომხატველს** ეხებოდეს (იხ. მუხ. 87, 1-ლი ველი). 14

30 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 29 აპრილის განჩინება №ას-132-124-2015; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 30 ივნისის განჩინება №3კ-472-03; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 30 ივნისის განჩინება №3კ-472-03.

31 შესაბამისად, სწორია სხვა განჩინებაში (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 29 აპრილის განჩინება №ას-132-124-2015) სასამართლოს მიერ მხოლოდ იძულებულის სუბიექტურ აღქმაზე გაკეთებული აქცენტი; იხ. ასევე თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილება №2ბ/1967-11.

32 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 9 დეკემბრის განჩინება №ას-215-200-2014.

33 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 23 იანვრის განჩინება №ას-1796-1773-2011.

3. მიზეზშედეგობრივი კავშირი იძულებასა და ნების გამოხატვას შორის

15 იძულების საფუძვლით შეცილებისათვის აუცილებელია, რომ იძულება იყოს გადამწყვეტი მოტივი ნების გამოხატვისათვის, რაც გულისხმობს მიზეზშედეგობრივ კავშირს იძულებასა და ნების გამოხატვას შორის,[34] თუმცა ამასთან, ისევე როგორც მოტყუებისას (იხ. მუხ. 81 მე-10 ველი), აქაც საკმარისია, თუ იძულების გარეშე ნების გამოხატვა არ მოხდება, არ მოხდებოდა მოცემული ფორმით ან დროის მოცემულ მომენტში.[35] მოტყუების მსგავსად აქაც უმნიშვნელოა, წარმოადგენდა თუ არა იძულება გარიგების დადების ერთადერთ ან მხოლოდ **ერთ-ერთ მოტივს.**[36]

16 მიზეზშედეგობრიობის შემოწმებისას საკმარისია მუქარის მხოლოდ **სუბიექტური** ეფექტის კონსტანტაცია, ანუ იმის დადგენა, განაპირობა თუ არა მან ადრესატის მხრიდან ნების გამოხატვა და არა ის, შეიძლებოდა თუ არა მუქარას ობიექტურად ამგვარი შედეგი მოჰყოლოდა (იხ. მე-12 ველი).

17 მუქარა არ არის კაუზალური ნების გამოხატვისათვის, თუ ის არა მუქარის ადრესატის ნების მოდრეკას, არამედ გამომხატველის **საკუთარ გადაწყვეტილებას** ეფუძნება, მაშინაც კი, როდესაც ის მეტწილად უკვე იძულებულია გადადგას ეს ნაბიჯი. მაგალითად,[37] თუ დამსაქმებელი ჯერ მოშლის ხელშეკრულებას და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყებს მოლაპარაკებებს დასაქმებულთან ე. წ. გაუქმების ხელშეკრულების დადებაზე, ეს უკანასკნელი აღარ არის განპირობებული მოშლის მუქარით, რადგან მოშლა ამ დროისათვის არა სამომავლო, არამედ უკვე რეალიზებული საფრთხეა. გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც დამმუქრებელმა წინასწარ გამიზნულად ჩააგდო ნების გამომხატველი ამ მდგომარეობაში.[38]

18 პრობლემურია ქართული სასამართლო პრაქტიკიდან[39] შემდეგი შემთხვევა: შვილი აიძულებს მამას დადოს მასთან გარიგება, რის გარეშეც ის გაავრცელებს ცნობას, რომლის მიხედვითაც იძულებული პირი სინამდვილეში არ არის მისი მეორე შვილის ბიოლოგიური მამა. სასამართლომ მიიჩნია, რომ თუ ეს ცნობა მცდარია, მაშინ მუქარა ვერ ჩაითვლება სერიოზული ხასიათის მქონედ, ხოლო მისი სისწორის შემთხვევაში, სავარაუდოდ, თავად მამის სურვილს შეესატყვისებოდა ქონების დატოვება ბიოლოგიური შვილისათვის. ეს მსჯელობა ბოლომდე დამაჯერებელი არ არის. გადამწყვეტი უნდა ყოფილიყო ნების მოდრეკის ეფექტი, რაც ამგვარი ცნობების გავრცელების მუქარას უდავოდ ახასიათებს, ხოლო მუქარასა და ნების გამოხატვას შორის მიზეზშედეგობრივი ბმის არარსებობა მეორე მხარის სამტკიცებელი იყო.

19 მიზეზშედეგობრიობისაგან უნდა განვასხვაოთ **მიზნობრივი ბმა** მუქარასა

34 შდრ. *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 383; *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 350; თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილება №2ბ/1967-11.

35 Müko/*Armbrüster,* BGB, 7. Aufl. 2015, § 123 Rn. 112.

36 Müko/*Armbrüster,* BGB, 7. Aufl. 2015, § 123 Rn. 112.

37 BAG NJW 2007, 1834.

38 RG Recht 1927 Nr. 2196.

39 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილება №2ბ/1967-11.

და ნების გამოხატვას შორის. მუქარა მიზნად უნდა ისახავდეს მისი ადრესატის არა მხოლოდ შეშფოთებას, არამედ ნების გამოხატვისაკენ იძულებას (მე-5 ველი).[40] მუქარის ადრესატი უნდა აცნობიერებდეს, რომ მის მიერ ნების არგამოვლენის შემთხვევაში დამმუქრებელი იზრუნებს იმისათვის, რათა „დაპირებული“ საფრთხე რეალიზებულ იქნეს.[41]

40 Müko/*Armbrüster,* BGB, 7. Aufl. 2015, § 123 Rn. 114.
41 BGH NJW 1988, 2601.

მუხლი 87. იძულება პირის ახლობელთა წინააღმდეგ

იძულება გარიგების ბათილობის მოთხოვნის საფუძველია მაშინაც, როცა იგი მიმართულია გარიგების ერთ-ერთი მხარის მეუღლის, ოჯახის სხვა წევრების ან ახლო ნათესავების წინააღმდეგ.

I. ზოგადი დებულებები 512
II. ნორმის მიზანი და გამოყენების სფერო 512
1. ფსიქიკური ეფექტი იძულებულზე 512
2. სრულებით უცხო პირი 513
III. ცალკეული დებულებების განმარტება 513
1. ახლო ნათესავი 513
2. 87-ე მუხლის ანალოგიით გამოყენება 514
3. ახლობელი პირის პასუხისგებაში მიცემის მუქარა 514
ა) დასაშვები მუქარა 514
ბ) დაუშვებელი მუქარა 515
გ) მართლწინააღმდეგობის დამატებითი მომენტი 516

I. ზოგადი დებულებები

1 გარიგების დადების მიზნით იძულება ჩვეულებრივ ხორციელდება უშუალოდ ნების გამომხატველის მიმართ, თუმცა გამონაკლის შემთხვევებში შესაძლებელია ნების გამომხატველზე **არაპირდაპირი ზემოქმედება,** მის ახლობელ პირებზე პირდაპირი ზემოქმედების ან ამ პირდაპირი ზემოქმედების მუქარის მეშვეობით, რაც 87-ე მუხლის თანახმად ასევე საცილოდ აქცევს გარიგებას.[1]

II. ნორმის მიზანი და გამოყენების სფერო

1. ფსიქიკური ეფექტი იძულებულზე

2 განსხვავებით უშუალოდ ნების გამომხატველის იძულებისაგან, რომელიც შეიძლება განხორციელდეს როგორც ძალადობის (ფიზიკური იძულების), ისე მუქარის (ფსიქიკური იძულების) მეშვეობით (იხ. მუხ. 85 7-15-ე ველები), ახლობელი პირის წინააღმდეგ მიმართული ძალადობაც კი მხოლოდ ფსიქიკური ეფექტის მქონეა იძულების ადრესატზე და **მუქარის ცნების ქვეშ** უნდა გაერთიანდეს. ამგვარად, ახლობელ პირზე განხორციელებული იძულება ვერასოდეს ვერ ჩაითვლება ძალადობად 85-ე მუხლის გაგებით.

3 მესამე პირის წინააღმდეგ განხორციელებული იძულებისაგან უნდა გაიმიჯნოს შემთხვევა, როდესაც ძალადობა ხდება **მესამე პირის გავლით** უშუალოდ ნების გამომხატველის მიმართ. მაგალითად, ბრმა პირის გამყოლის მიწაზე დაგდება, რითიც მას ეზღუდება გადაადგილების შესაძლებლობა,[2]

1 შდრ. *Wendtland,* in Beck OK BGB, 39. Aufl., 2016, § 123 Rn. 27.
2 *Kindhäuser,* Strafrecht Besonderer Teil I, 7. Aufl., 2015, 135.

თავისი გაშუალებული ფიზიკური ეფექტით იძულების ადრესატებზე წარმოადგენს უშუალოდ ამ პირზე განხორციელებულ ძალადობას 85-ე მუხლის გაგებით და არა მესამე პირის წინააღმდეგ მიმართულ იძულებას.

2. სრულებით უცხო პირი

4 პრობლემურია შემთხვევა, როდესაც მუქარაში აღწერილი საფრთხე ეხება მუქარის ადრესატისათვის **სრულიად უცხო პირს.** მაგალითად, ნოტარიუსთან მოლაპარაკებებისას გამყიდველი ნოტარიუს შუბლზე ადებს პისტოლეტს და მყიდველისაგან ითხოვს ნასყიდობის ფასის გაორმაგებას. ეს შემთხვევა **არ უნდა განვიხილოთ 87-ე მუხლის (არც ანალოგიით)** გამოყენების სფეროდ, რადგან აქ ნების მომდრეკია არა კონკრეტული ადამიანის კეთილდღეობაზე ზრუნვა – ნოტარიუსის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის მუქარა ვერ მოდრეკდა მყიდველის ნებას, არამედ განცდა იმისა, რომ პირი გახდება ზოგადად ადამიანის სიკვდილის მიზეზი. ეს სიტუაცია იდენტურია ნივთების მიმართ ძალადობის შემთხევისა (იხ. მუხ. 86 მე-3 ველი).

5 მოცემულ კონტექსტში არაფერს ცვლის იმ ფაქტზე მითითება, რომ **სისხლის სამართლის მეცნიერება** მთელ რიგ შემთხვევებში (მაგ., სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლი) სრულებით უცხო პირის წინააღმდეგ განხორციელებულ მუქარას ახლობელი პირის (ან თავად ადრესატის) მიმართ მუქარას უთანაბრებს.[3] ამ გადაწყვეტის გავრცელება 87-ე მუხლზე შეუძლებელია. განსხვავებით შესაბამისი სისხლისსამართლებრივი ნორმებისაგან, 85-ე და შემდგომი მუხლები ემსახურება სხვა ხარისხის ნების თავისუფლების უზრუნველყოფას. ამიტომაც ასხვავებენ ნების სრულ პარალიზებასა (რა შემთხვევაშიც ცალსახაა, რომ საერთოდ არ გვაქვს სახეზე ნების გამოხატვა) და ნაწილობრივ პარალიზებას შორის და იცავენ მას ამ ნაწილობრივი შეზღუდვისაგანაც. 87-ე მუხლის ფუნქცია მდგომარეობს იმაში, რომ თვალსაჩინოებისათვის ცალკე გამოყოს ამ თავისუფალი ნების ნაწილობრივი პარალიზების სტანდარტულ შემთხვევა – ახლობელი პირის წინააღმდეგ მიმართული მუქარით იძულება. შესაბამისად, ამ დანაწესზე მითითება აღარ გვჭირდება, თუ ისედაც ცალსახაა, რომ არა მხოლოდ ახლობელი პირის ნება, არამედ ნებისმიერი პირის ნება მოიდრიკებოდა. ზემოთ მოყვანილ შემთხვევაში სახეზეა პირდაპირ 85-ე მუხლის მიხედვით იძულება.

III. ცალკეული დებულებების განმარტება

1. ახლო ნათესავი

6 87-ე მუხლი ნების გამომხატველს ანიჭებს შეცილების უფლებას, თუ ეს გამოხატვა განპირობებული იყო მისი **მეუღლის** ან **ოჯახის სხვა წევრის** მიმართ მუქარით – ქმრის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის მუქა-

3 შდრ. *Wessels/Hillenkamp,* Strafrecht Besonderer Teil II, 35. Aufl., 2012, Rn. 326.

რა, ცოლის მიერ თავდებობის კისრების მიზნით, წარმოადგენს შეცილების საფუძველს, თუ გამონაკლისის სახით გამორიცხული არ არის მართლწინააღმდეგობა (იხ. მე-9 ველი).

7 ცალსახაა, რომ ახლო ნათესავის ცნების ქვეშ ერთიანდება ყველა 1336-ე მუხლით გათვალისწინებული პირი, ანუ არა მხოლოდ **დედა, მამა**[4] და **შვილი,**[5] არამედ ასევე, მაგალითად, **ბიძაშვილებიც,** თუმცა არც 1336-ე მუხლის ჩამონათვალია ამომწურავი, რადგან გადამწყვეტია არა თავისთავად ნათესაური კავშირები, არამედ მასთან დაკავშირებული **„ინტერესები და განცდები“.**[6] გერმანული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, ახლო ნათესაური კავშირი არსებობს სიდედრსა და სიძეს შორისაც,[7] თუ ამ უკანასკნელისათვის ვნების მიყენების მუქარით დასაშვებია პირველის ნების მოდრეკა.

2. 87-ე მუხლის ანალოგიით გამოყენება

8 მიუხედავად იმისა, რომ 87-ე მუხლი მხოლოდ **ახლო ნათესავზე** აკეთებს აქცენტს, აუცილებელია კონკრეტული შემთხვევის თავისებურებების გათვალისწინება.[8] ცალკეულ შემთხვევაში საფრთხე, რომელიც მიმართულია ნების გამომხატველის საცოლის ან **ახლო მეგობრის** წინააღმდეგ, შეიძლება საკმარისი იყოს გარიგების იძულებით დადებისათვის. გამომდინარე იქიდან, რომ 87-ე მუხლი იცავს არა ოჯახურ და ახლო ნათესაურ ურთიერთობებს გარეშე პირთა ზემოქმედებისაგან, არამედ პირის ნებას მოდრეკისაგან, თუ ურთიერთობის ის სიმჭიდროვე, რაც არსებობს ორ პირს შორის, საკმარისია ნების გამომხატველის თავისუფალი ნების დასათრგუნად და მისთვის კონკრეტული მიმართულების მინიჭებისათვის, დასაშვებია 87-ე მუხლის **ანალოგიით** გამოყენება.

3. ახლობელი პირის პასუხისგებაში მიცემის მუქარა

ა) დასაშვები მუქარა

9 პრობლემურია მუქარის შეფასება, როდესაც ის მუქარის ადრესატის **ახლობელი პირის** (ნათესავის ან სხვაგვარად დაკავშირებულის) პასუხისგებაში მიცემას უკავშირდება და ამგვარად, უბიძგებს მას ნების გამოხატვისაკენ, თუმცა ეს მუქარა, მისი **უშუალოდ პასუხისგებაში მისაცემი პირის** მიმართ განხორციელების შემთხვევაში, იქნებოდა **მართლზომიერი** 88-ე მუხლის გაგებით. მაგალითად, შვილს თაღლითობის ბრალდებით მამის პასუხისგებაში მიცემის მუქარით აიძულებენ იკისროს თავდებობა, თუმცა თავად მამის იძულება თაღლითობით მიყენებული ზიანის ანაზღაურებისკენ არ იქნებოდა

4 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 21 ივლისის განჩინება № ას-333-314-2014.
5 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილება №2ბ/1967-11; თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 15 აპრილის გადაწყვეტილება № 2ბ/4686-13.
6 *ზოიძე,* საქართველოს სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 85, გვ. 250.
7 BGH NJW 1988, 2600.
8 *ზოიძე,* საქართველოს სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 85, გვ. 249.

მართლსაწინააღმდეგო (იხ. მუხ. 88 მე-9 ველი). როგორც გერმანიის ფედერალური სასამართლო[9] სწორად აღნიშნავს მოცემულ კონტექსტში, ამ ტიპის მუქარა არ უნდა იყოს ავტომატურად მართლსაწინააღმდეგო მხოლოდ იმის გამო, რომ დამმუქრებელს არ აქვს მუქარის ადრესატისაგან ნების გამოვლენის მოთხოვნის უფლება. ეს უშუალოდ ადრესატის წინააღმდეგ მუქარისას მოქმედი წესი (იხ. მუხ. 88 მე-9 ველი) უნდა გავრცელდეს ასევე მესამე პირის წინააღმდეგ მიმართულ მუქარაზეც. შესაბამისად, მართლზომიერი საშუალებით მართლზომიერი მიზნის მიღწევის შემთხვევაში, მათ შორის ურთიერთკავშირის მართლზომიერება უნდა დადგინდეს საზოგადოებაში დამკვიდრებული მორალის მიხედვით (იხ. მუხ. 88 მე-6 ველი). გადამწყვეტია, აქვს თუ არა დამმუქრებელს დასახული მიზნის მიღწევის გამართლებული ინტერესი და წარმოადგენს თუ არა მუქარა მისი მიღწევის დასაშვებ გზას. თუ მუქარის ადრესატმა, ახლობელი პირის თაღლითობის ბრალდებით პასუხისგებაში მიცემით მუქარისას, თავადაც მიაყენა ზიანი სისხლის ან სამოქალაქო სამართლის მიერ არასანქციონირებული ფორმით, მუქარა დასაშვებია. ერთ-ერთ ასეთ შემთხვევაში გერმანიის ფედერალური სასამართლო[10] დაეჭვდა მართლწინააღმდეგობასთან დაკავშირებით იმ მოტივით, რომ დამმუქრებელ ბანკს ჰქონდა უფლება ევარაუდა, რომ მუქარის ადრესატი ასევე ჩართული იყო მისი მეუღლის მიერ განხორციელებულ ფინანსურ მაქინაციაში ან იღებდა მისგან სარგებელს.

მართალია, ამ დაშვების საწინააღმდეგოდ მოჰყავთ არგუმენტი,[11] რომ დაუშვებელი და განსაკუთრებით გაკიცხვადია **ნათესაური გრძნობებით „თამაში“,** თუმცა, საბოლოო ჯამში, ხშირია რა შემთხვევები, როდესაც ახლობელი პირები ზიანს ანაზღაურებენ ერთმანეთის სანაცვლოდ, რათა ამით თავიდან აცილონ პასუხისგებაში მიცემა და თუ უშუალოდ დამნაშავის მიმართ ამ ფორმით მუქარა არ იქნებოდა მართლსაწინააღმდეგო, მაშინ ის არ უნდა იყოს მართლსაწინააღმდეგო არც მისი ახლობლების მიმართ.[12] მიუხედავად იმისა, რომ სხვის მაგივრად ზიანის ანაზღაურების გადაწყვეტილება ყველამ დამოუკიდებლად უნდა მიიღოს და ამ გადაწყვეტილების გამოძალვა დაუშვებელია,[13] ამ ტიპის მუქარა ყოველთვის მართლზომიერია, თუ მისი ადრესატი ამა თუ იმ ფორმით ხელს აფარებს დამნაშავეს.[14] **10**

ბ) დაუშვებელი მუქარა

მუქარის ადრესატის ახლობელი პირის წინააღმდეგ მიმართული მუქარა ყოველთვის მართლსაწინააღმდეგოა, თუ ის **უშუალოდ ახლობელი პირის მიმართ** განხორციელების შემთხვევაშიც **მართლსაწინააღმდეგო** იქნებოდა (შდრ. მუხ. 88 მე-2 და შემდგომი ველები). საპროცესო შეთანხმების არ **11**

9 BGH NJW 1957, 1797

10 BGH NJW 1957, 1797

11 Müko/*Armbrüster,* BGB, 7. Aufl. 2015, § 123 Rn. 110.

12 *Flume,* Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts II, 4. Aufl., 1992, 536.

13 Müko/*Armbrüster,* BGB, 7. Aufl. 2015, § 123 Rn. 110.

14 Müko/*Armbrüster,* BGB, 7. Aufl. 2015, § 123 Rn. 110.

გაფორმებით მუქარა მნიშვნელოვანი ქონების სახელმწიფოსათვის ჩუქების გარეშე[15] თანაბრად დაუშვებელია როგორც ბრალდებულის, ისე მისი ოჯახის წევრების მიმართ.

გ) მართლწინააღმდეგობის დამატებითი მომენტი

12 ახლობელი პირის მიმართ მუქარა შეიძლება გახდეს მართლწინააღმდეგობის დამატებითი მომენტის შემომტანი. მაგალითად,[16] თუ დამსაქმებელს აქვს დასაბუთებული ეჭვი, რომ დასაქმებულმა ჩაიდინა სისხლის სამართლის დანაშაული მის წინააღმდეგ და ამის გაცხადების მუქარით აიძულებს დადოს შრომითი ხელშეკრულების გაუქმების ხელშეკრულება, ეს მართლზომიერია (შდრ. მუხ. 88 მე-9 ველი). თუმცა მუქარა არამართლზომიერი ხდება, თუ იმავე დანაშულში დასაქმებულის მამასაც მიუძღვის წვლილი და დამსაქმებელი მამის დასმენის საფრთხეზეც მიუთითებს, რადგან მამის მიერ ჩადენილი დანაშაული პირდაპირ კავშირში აღარ არის შრომით ურთიერთობასთან.

15 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 21 ივლისის განჩინება №ას-333-314-2014; თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილება №2ბ/1967-11; თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 15 აპრილის გადაწყვეტილება №2ბ/4686-13.

16 LAG Hamm BeckRS 2009, 74335.

მუხლი 88. იძულება მართლზომიერი საშუალებებით

85-87-ე მუხლების მიხედვით იძულებად არ ჩაითვლება ისეთი მოქმედებები, რომლებიც არ ხორციელდება არც მართლსაწინააღმდეგო მიზნით და არც მართლსაწინააღმდეგო საშუალებათა გამოყენებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა საშუალება და მიზანი ერთმანეთს არ შეესაბამებიან.

I. ზოგადი დებულებები 517
II. მართლსაწინააღმდეგო მუქარა 517
1. მართლსაწინააღმდეგო საშუალება 517
ა) სამართალდამცავი და მართლმსაჯულების ორგანოებისათვის 518
ბ) სადავო უფლება 518
2. მართლსაწინააღმდეგო მიზანი 519
3. საშუალებისა და მიზნის კომბინაცია 519
ა) დაუშვებელი კომბინაცია 520
ბ) დასაშვები კომბინაცია 521
გ) ახლობელი პირის მიმართ მუქარა 522
III. მართლსაწინააღმდეგო ძალადობა 522
1. ძალადობის მართლწინააღმდეგობის ცალკე განხილვა 523
2. შორეული მიზნები 524

I. ზოგადი დებულებები

1 იძულება, მიუხედავად იმისა, რომ მას თან ახლავს პირის ნების თავისუფლების შეზღუდვა, მაინც შეიძლება იყოს მართლზომიერი. კერძოდ, ნების გამომხატველს არ ექნება შეცილების უფლება, თუ მაიძულებელი პირი მართლზომიერი შედეგის მისაღწევად შესაბამის მართლზომიერ საშუალებას გამოიყენებს, რადგან 85-89-ე მუხლები არ იცავენ ნების გამოხატვის თავისუფლებას ნებისმიერი ტიპის ეკონომიკური თუ პირადი ხასიათის ხელშემშლელი გარეშე ფაქტორისაგან.[1] სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობა მნიშვნელოვნად შეირყეოდა, თუ ყოველი ნების გამოხატვა, რომელიც განპირობებულია მეორე მხარის მხრიდან ძალდატანებით, საცილოდ გამოცხადდებოდა, ამიტომაც იძულება მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს საცილოობის მიზეზი, როდესაც ის მართლსაწინააღმდეგოა.

II. მართლსაწინააღმდეგო მუქარა

1. მართლსაწინააღმდეგო საშუალება

2 მუქარა მართლსაწინააღმდეგოა, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა დამმუქრებელს მუქარის ადრესატისაგან შესაბამისი ნების გამოვლენის მოთხოვნის უფლება, თუ დამმუქრებელი ამ მიზნის მისაღწევად მართლსაწინააღმდეგო **საშუალებას** იყენებს.[2] მაგალითად, თუ კრედიტორი მოვალეს

1 *Wendtland,* in Beck OK BGB, 39. Aufl., 2016, § 123 Rn. 28.

2 *კიკოშვილი,* ნების ნაკლი ქართულ სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა 2008, გვ. 21.

ვალის გადაუხდელობის შემთხვევაში თავის გატეხით ემუქრება, ეს წარმოადგენს მართლსაწინააღმდეგო მუქარას და მოვალეს აქვს შეცილების უფლება. თუ მოვალე ამ შესრულების (სანივთო) გარიგების ბათილად ცნობის შემდეგ შესრულებას უკან გამოითხოვს, კრედიტორს არ შეუძლია მის ამ მოთხოვნას დაუპირისპიროს ერთდროულად შესრულების შესაგებელი (369-ე მუხლის ანალოგიით) ან გაქვითოს ის თავისი შესრულების მოთხოვნით.[3] მართლსაწინააღმდეგოა გარიგების დადების მიზნით მამის მიმართ მუქარა ისეთი ცნობების გავრცელებით, რომლებიც ადასტურებენ, რომ ის არ არის კანონიერ ქორწინებაში შეძენილი შვილის ბიოლოგიური მამა.[4]

ა) სამართალდამცავი და მართლმსაჯულების ორგანოებისათვის მიმართვა

3 სხვაგვარად არის საქმე სასამართლოსათვის, პროკურატურისათვის და სხვა სამართალდამცავი ან მართლმსაჯულების ორგანოებისათვის მიმართვით მუქარის შემთხვევაში, რადგან მართლწესრიგი სწორედაც რომ ანიჭებს დამმუქრებელს თავისი **უფლების რეალიზების** ამგვარ შესაძლებლობას და ის არ უნდა წავართვათ მას (თუ ეს მასსა და მუქარის ადრესატს შორის არსებულ თავდაპირველ ურთიერთობასთან პირდაპირ კავშირშია), მხოლოდ იმიტომ, რომ ამით მეორე მხარის ნების თავისუფლება იზღუდება. ამის გათვალისწინებით, დასაშვებია მუქარა **დაკავების უფლების** გამოყენებით (369), **სარჩელის** აღძვრით,[5] იძულებითი **აღსრულებით,**[6] ქონების **დაყადაღებით, გაკოტრების** განცხადების შეტანით ან დაშვებული **თვითდახმარების** უფლების გამოყენებით.[7] მაგალითად, საჯარო დამსაქმებლის მუქარა, რომ ის გამოიყენებს მოტყუების გამო შეცილების უფლებას, რადგან დასაქმებულმა თავის დროზე დამალა საიდუმლო სამსახურებთან თანამშრომლობის ფაქტი,[8] არ ანიჭებს დასაქმებულს მოგვიანებით ხელშეკრულების გაუქმების გარიგების (რომელსაც მან ნებაყოფლობით მოაწერა ხელი) იძულების საფუძველით შეცილების უფლებას.[9] 85-ე მუხლის გაგებით იძულების შემთხვევას არ წარმოადგენს, რა თქმა უნდა, სასამართლოს მხრიდან კანონით გათვალისწინებული **კონტრაჰირების იძულება.**[10]

ბ) სადავო უფლება

4 ზოგადად უმნიშვნელოა, **ნამდვილად ეკუთვნის** თუ არა დამმუქრებელს

3 *Flume,* Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts II, 4. Aufl., 1992, 535.

4 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილება №2ბ/1967-11.

5 *კიკოშვილი,* ნების ნაკლი ქართულ სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 2008, გვ. 20.

6 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 6 თებერვლის განჩინება №ას-403-380-2014; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 30 ივლისის განჩინება №ას-662-628-2015, თუმცა ამ შემთხვევაში სასამართლო ნების გამოვლენაში ჩარევის ფაქტს უარყოფს და არა მართლწინააღმდეგობას.

7 Müko/*Armbrüster,* BGB, 7. Aufl. 2015, § 123 Rn. 105.

8 შდრ. ამ შეკითხვის დასაშვებობასთან დაკავშირებით მუხ. 81 მე-16 ველი.

9 შდრ. LAG Potsdam NJ 1998, 336.

10 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 27 მაისის განჩინება №ას-25-728-03.

ის უფლება, რომლის რეალიზაციითაც იმუქრება,[11] გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დამმუქრებელი შეგნებულად აპელირებს არარსებული უფლების რეალიზაციაზე.[12] სხვა შემთხვევაში სარჩელის აღძვრით მუქარა პირმა მაშინაც უნდა აიტანოს, როდესაც მის უკან ნამდვილი უფლება არ დგას, რადგან ეს ზოგად ცხოვრებისეულ რისკს განეკუთვნება. თუ გარიგების ერთი მხარე მეორეს „სასამართლო პროცესზე შეხვედრის“ დაპირებით გადაახდევინებს ვალს, გადამხდელს არ აქვს მუქარის გამო შეცილების უფლება.[13] რა თქმა უნდა, თუ გადახდილი ვალი არ არსებობდა, გადამხდელს შეუძლია თანხა კონდიქციით უკან გამოითხოვოს. მუქარას არ წარმოადგენს მორიგებისას მოსამართლის მიერ ამ **პროცესთან დაკავშირებული რისკების** აღწერა. განსხვავებულად არის საქმე, როდესაც მოსამართლე თავისი ავტორიტეტის გამოყენებით მხარეს წნეხში აქცევს.[14] იძულებითი აღსრულებით დამუქრება წარმოადგენს მართლსაწინააღმდეგო საშუალებას, როდესაც მისი განხორციელება ობიექტურად სრულებით შეუძლებელია.[15]

2. მართლსაწინააღმდეგო მიზანი

გარიგება, 85-ე მუხლის თანახმად, საცილოა ასევე იმ შემთხვევაშიც, **5**
როდესაც დამმუქრებელი, **დამოუკიდებლად** გამოყენებული **საშუალებისა, მართლსაწინააღმდეგო მიზანს** ისახავს.[16] მაგალითად, ვადამოსული ვალის დაუყოვნებლივ მოთხოვნის მუქარით აიძულებენ აკრძალული პრეპარატების გაყიდვას.[17] რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში გარიგება არანამდვილია ასევე 54-ე მუხლის 1-ლი ვარიანტის მიხედვით.

მიზანს მართლსაწინააღმდეგოდ არ ხდის მხოლოდ ის გარემოება, რომ **დამმუქრებელს არ ჰქონდა** მუქარის ადრესატისაგან **ნების გამოხატვის მოთხოვნის უფლება**.[18]

3. საშუალებისა და მიზნის კომბინაცია

მუქარის მართლსაწინააღმდეგობა შეიძლება განპირობებული იყოს **6**
მართლზომიერი მიზნისა და მის მისაღწევად გამოყენებული მართლზომიე-

11 BGH NJW 1997, 1981; NJW 2005, 2768.

12 Müko/*Armbrüster,* BGB, 7. Aufl. 2015, § 123 Rn. 105; შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლო 2016 წლის 11 ნოემბრის განჩინება № ას-862-812-2015.

13 *Flume,* Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts II, 4. Aufl., 1992, 536; BGH NJW 2005, 2768: ვინც საჭოჭმანო სამართლებრივი მდგომარეობისას, თავისი კონტრაჰენტს ობიექტურად სავარაუდო მოთხოვნას წაუყენებს და მისი სასამართლოს გზით რეალიზაციით დაემუქრება, არ მოქმედებს მართლსაწინააღმდეგოდ.

14 იყენებს რა გამონათქვამებს „გამოიჩინეთ გონიერება, წინააღმდეგ შემთხვევაში მათრახით უნდა გაიძულოთ მორიგება“ ან „მორიგების უარყოფის სასიკვდილო რისკი“ (BAG NZA 2010, 1254).

15 OLG Frankfurt BeckRS 2010, 28915; შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლო 2016 წლის 11 ნოემბრის განჩინება № ას-862-812-2015 (იხ. მე-7 ველი).

16 *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 383; *კიკოშვილი,* ნების ნაკლი ქართულ სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა, 2008, გვ. 21.

17 Müko/*Armbrüster,* BGB, 7. Aufl. 2015, § 123 Rn. 106; შდრ. სხვა მაგალითები *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 383.

18 *Flume,* Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts II, 4. Aufl., 1992, 536.

რი საშუალების **დაუშვებელი კომბინაციითაც.**[19] გერმანული სასამართლო პრაქტიკა[20] ამ შემთხვევაში ხელმძღვანელობს შემდეგი ფორმულით: მართლზომიერი საშუალების მართლზომიერი მიზნის მისაღწევად გამოყენება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საზოგადოების ჯანსაღად და სამართლიანად მოაზროვნე წევრების წარმოდგენებს ან ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპს, რისი დადგენაც უნდა მოხდეს ყოველი ცალკეული შემთხვევის თავისებურებების გათვალისწინებით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, აქვს თუ არა დამმუქრებელს დასახული მიზნის მიღწევის გამართლებული ინტერესი და წარმოადგენს თუ არა მუქარა მისი მიღწევის მორალურად დასაშვებ გზას, მაშინაც კი, როდესაც დამმუქრებელს არ აქვს მოვალის მიმართ სასამართლო წესით განხორციელებადი მოთხოვნის უფლება.[21]

ა) დაუშვებელი კომბინაცია

7 მაგალითად, საშუალება-მიზნის დაუშვებელი კომბინაციაა სახეზე **(მიუხედავად იმისა, რომ დამმუქრებელს ეკუთვნოდა მუქარის შედეგად მოპოვებული)**, თუ პირი, რომელიც შემთხვევით შეესწრება მისი მოვალის მიერ ჩადენილ ავტოსაგზაო დელიქტს, მოგვიანებით სამართალდამცავი ორგანოსათვის მიმართვის გზით აიძულებს მას შეასრულოს ვადამოსული ვალდებულება.[22] ამ კონტექსტში პრობლემურია, წარმოადგენს თუ არა პატრულის გამოძახების მუქარით გამოძალული ვალის აღიარება საშუალება-მიზნის დაშვებულ კომბინაციას.[23] მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ შემთხვევაში კითხვის ნიშნის ქვეშ უნდა დავაყენოთ ამ მუქარის სიმძაფრე (იხ. მუხ. 86 მე-11 ველი), საშუალება-მიზნის კომბინაციის კუთხით ეს მუქარა, სავარაუდოდ, მართლსაწინააღმდეგოა, რადგან პატრული კერძო პირებისაგან ვალის ამოღებით არ არის დაკავებული. ნებისმიერ შემთხვევაში საწინააღმდეგო მოსაზრება დეტალურ დასაბუთებას საჭიროებდა. ადვოკატის მიერ უშუალოდ მთავარი სხდომის წინ ჰონორარის მომატების მოთხოვნა მომსახურებაზე უარის თქმის მუქარით, წარმოადგენს საშუალება-მიზნის დაუშვებელ კომბინაციას, თუმცა ეს მუქარა დასაშვებია, თუ ის სხდომამდე კარგა ხნით ადრე ხდება და კლიენტს აქვს შესაბამისი დრო მისი ახალი ადვოკატით ჩანაცვლებისათვის.[24]

8 დაუშვებელია შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის მანქანის საჩუქრად გადაცემის მოთხოვნა **პროკურორის მხრიდან საპროცესო შეთანხმებასთან** დაკავშირებული დისკრეციული უფლებამოსილების არგამოყენების მუქარით,[25] მიუხედავად იმისა, რომ ცალ-ცალკე აღებული ერთიც მართლზომიერია და

19 *კიკოშვილი,* ნების ნაკლი ქართულ სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა 2008, გვ. 21.

20 BGH NJW 1951, 643; BGH NJW 1957, 1796; BGH, NJW 1969, 1627.

21 BGH NJW 1957, 1797.

22 Müko/*Armbrüster,* BGB, 7. Aufl. 2015, § 123 Rn. 108.

23 საქართველოს უზენაესი სასამართლო 2016 წლის 11 ნოემბრის განჩინება № ას-862-812-2015.

24 BGH, NJW 2010, 1367.

25 იხ. პირველი ინსტანციის სასამართლოს საპირისპირო მსჯელობა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 15 აპრილის გადაწყვეტილებაში № 2ბ/4686-13.

მეორეც, მათი ურთიერთკავშირი 88-ე მუხლის გაგებით დაუშვებელ კომბინაციას გვაძლევს.

შრომითი ხელშეკრულებისას **სამართალდამცავ ორგანოსათვის განცხადებით** მიმართვის მუქარა მაშინ არის გამართლებული, თუ დასაქმებულის მიერ ჩადენილი სავარაუდო დანაშული პირდაპირ **კავშირშია** შრომით ხელშეკრულებასთან.[26] მაგალითად, საქმე ეხება დასაქმებულის მიერ სწორედ დამსაქმებლის მიმართ ჩადენილ დანაშულს. პასუხისგებაში მიცემის მუქარა მართლზომიერია, თუ ის ემსახურება მხოლოდ დამნაშავის მიერ მიყენებული ზიანის კომპენსაციას და არსებობს შინაგანი კავშირი დანაშაულსა და ზიანს შორის.[27] მაგალითად, შესაბამისი ორგანოსათვის თაღლითობასთან დაკავშირებული განაცხადით მიმართვის მუქარა, თუ დამნაშავე არ აანაზღაურებს ზიანს ან არ აღიარებს ვალს 341-ე მუხლის მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ ამის მომთხოვნს შესაძლებელია არ ჰქონდეს ამ ნების გამოვლენის მოთხოვნის უფლება. ამასთან, მუქარა არ უნდა უბიძგებდეს მის ადრესატს ნაჩქარევი გადაწყვეტილებისაკენ.[28] 9

საფრთხეზე მითითებამ არ უნდა გამოიწვიოს მუქარის ადრესატისათვის ყოველგვარი მოსაფიქრებელი დროის წართმევა, თუ, მაგალითად, ასანაზღაურებელი ზიანის დადგენა მხოლოდ მორიგებისას უნდა მოხდეს,[29] ან განუსაზღვრელი ოდენობის ვალის თავდებობით უზრუნველყოფას ეხება საქმე.[30] მუქარა მართლსაწინააღმდეგოა, თუ სამედიცინო კლინიკის გამქირავებელი ითხოვს გარკვეულ თანხას **ამჟამინდელის ახალი დამქირავებლით** ჩანაცვლებისათვის (სანაცვლოდ კი უარს ამბობს ამ უკანასკნელის გადახდისუნარიანობის გადამოწმებაზე), ამ თანხმობის გარეშე კი ეს ჩანაცვლება ჩაიშლება და ამჟამინდელი დამქირავებელი იძულებულია დათანხმდეს მის გადახდას.[31] 10

ბ) დასაშვები კომბინაცია

ამის საპირისპიროდ საშუალება-მიზნის **დაუშვებელ კომბინაციას არ წარმოადგენს** გამყიდველის მიერ მიწის გაყიდვაზე უარის თქმა იმ შემთხვევაში, თუ მაკლერი თავის პროვიზიაზე უარს არ განაცხადებს.[32] არც თავდებისმიმართ მუქარა, ახლის არდადების შემთხვევაში ძველი თავდებობიდან პასუხისგებასთან დაკავშირებით, არ არის მართლსაწინააღმდეგო.[33] ასევე შპს-სთან დადებული **საკრედიტო ხელშეკრულებების მოშლის მუქარა,** თუ 11

26 BAG, 30.01.1986, NZA 87, 91.
27 BGH NJW 1957, 1796.
28 Müko/*Armbrüster,* BGB, 7. Aufl. 2015, § 123 Rn. 108.
29 *Flume,* Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts II, 4. Aufl., 1992, 538.
30 BGH NJW 1988, 2600.
31 BGH NJW 1995, 3053.
32 BGH NJW 1957, 1797.
33 BGH NJW 1969, 1627; სხვაგვარადაა საქმე, თუ იპოთეკის ახალი ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში პირს თაღლითური განზრახვა ამოძრავებს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 27 მაისის განჩინება №ას-170-163-2013.

შპს-ის პარტნიორი დაუყოვნებლივ არ დაუდგება მას თავდებად.[34]

12 გერმანული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით,[35] მართლზომიერია დედის მხრიდან სახლიდან გაგდების მუქარა ქალიშვილის მიმართ, თუ ეს უკანასკნელი არ გააშვილებს თავის უკანონო შვილს. მართალია, ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც დამმუქრებელი მუქარის ადრესატისაგან ითხოვს რაიმეს, რისი **მოთხოვნის სამართლებრივი უფლებაც მას არ გააჩნია** (მაგ., თანხმობა ქორწინებაზე, ან შვილის გაშვილება), **მართლწინააღმდეგობა ავტომატურად არ გვაქვს სახეზე** და ზოგადად კეთილსინდისიერებისა და ზნეობრიობის კრიტერიუმით (მე-6 ველი) უნდა ვიხელმძღვანელოთ, თუმცა ამ შემთხვევაში პრობლემურია, თუ რა უფრო ამორალური იყო, სხვისი მეუღლისაგან შვილის გაჩენა, თუ ახალშობილის ბებიის მხრიდან დედის იძულება, გაეშვილებინა საკუთარი შვილი, რათა ამგვარად ჩამოერეცხა ოჯახის სირცხვილი. ცალსახად მართლსაწინააღმდეგოა მუქარა ბანკის მიერ ჩეკის არგანაღდებით, რასაც ადრესატისათვის კატასტროფული შედეგები ექნებოდა, თუ ეს მიზნად ისახავს მისგან მიწის ნაკვეთის ნასყიდობის გამოძალვას.[36]

გ) ახლობელი პირის მიმართ მუქარა

13 პრობლემურია მუქარის შეფასება, როდესაც ის მუქარის ადრესატის **ახლობელი მესამე პირის** (ნათესავის ან სხვაგვარად დაკავშირებულის) პასუხისგებაში მიცემას უკავშირდება და ამგვარად იყოლიებს მას ნების გამოხატვაზე. მაგალითად, შვილს თაღლითობის ბრალდებით მამის პასუხისგებაში მიცემის მუქარით აიძულებენ იკისროს თავდებობა. ამ ტიპის მუქარა, ჩვეულებრივ, მართლსაწინააღმდეგოა, თუმცა გერმანიის ფედერალური სასამართლო[37] შესაძლებლად მიიჩნევს **მართლწინააღმდეგობის გამორიცხვას** იმ შემთხვევაში, თუ დამმუქრებელი თავს დაზარალებულად მიიჩნევდა ასევე მუქარის ადრესატის (კონკრეტულ შემთხვევაში – თაღლითობაში ეჭვმიტანილის მეუღლის) მხრიდან და თვლის, რომ მანაც მიიღო სარგებელი დანაშაულიდან (იხ. დაწვრილებით მუხ. 87 მე-9 ველი).

14 მუქარის, რომელიც უშუალოდ ადრესატის მიმართ დასაშვები საშუალების დასაშვებ მიზანთან კომბინაციას წარმოადგენდა, მართლწინააღმდეგობის განმაპირობებელი შეიძლება იყოს მასში დაფიქსირებული საფრთხის ადრესატის ახლო ნათესავზე გავრცელება (იხ. მუხ. 87 მე-12 ველი).

III. მართლსაწინააღმდეგო ძალადობა

15 მუქარის მართლზომიერებასთან დაკავშირებით მოყვანილი პრინციპები შესაბამისად ვრცელდება **ძალადობაზეც,** თუმცა რთული წარმოსადგენია

34 BGH LM Nr. 28.
35 BGH NJW 1951, 644.
36 BGH WM 1965, 861.
37 BGH NJW 1957, 1797

შემთხვევა, როდესაც მოძალადის ინტერესი მეორე მხარის მიერ ნების გამოხატვასთან დაკავშირებით შეიძლება ამართლებდეს ნების მომდრეკი ისეთი ინტენსიური საშუალების გამოყენებას, როგორიც ფიზიკური ზემოქმედებაა. ჩვეულებრივ, სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგების არდადებით გამოწვეული შელახვა კერძო ინტერესებისა ვერ ამართლებს მის დასაცავად სხვა პირის ფიზიკური ხელშეუხებლობის შელახვას ვერც თვითდახმარების ფარგლებში. მიწის ნაკვეთის გამყიდველის მიერ მყიდველისათვის ხელის ამოტრიალება, რათა მან მეორეთი ხელი მოაწეროს ხელშეკრულების გაუქმებას, რომლის დადებაც ამ უკანასკნელმა თავის მხრივ გამყიდველისათვის ხელის ამოტრიალების შედეგად მოახერხა, უკვე დაუშვებელია.

1. ძალადობის მართლწინააღმდეგობის ცალკე განხილვა

ძალადობის მართლწინააღმდეგობის დადგენისას ნათლად ჩანს ის უპი- **16**
რატესობა, რასაც გვთავაზობს **ძალადობის, როგორც იძულების ცალკე შემადგენლობის** გამოყოფა მუქარისაგან[38] და საწინააღმდეგო მოსაზრების სიმცდარე.[39] ამ საწინააღმდეგო მოსაზრების თანახმად, ძალადობის გამოყოფა ცალკე შემადგენლობად შეუძლებელია და 85-ე მუხლით გათვალისწინებული იძულების ქვეშ მხოლოდ ფსიქიკური იძულება უნდა გავიგოთ (ზოგადი კრიტიკისათვის იხ. მუხ. 85 მე-10 და შემდგომი ველები), რაც იმას ნიშნავს, რომ, თუ ერთი პირი მეორეს სცემს გარიგების დადების მიზნით, ნების მოდრეკის ეფექტი განპირობებულია მხოლოდ და მხოლოდ ყოველი შემდგომი დარტყმით გამოწვეული ტკივილის მოლოდინით და არა უკვე მიყენებული დარტყმებით. ეს არასწორია და არ იძლევა ძალადობის მართლწინააღმდეგობის ჯეროვნად შეფასების შესაძლებლობას. მაგალითად, თუ ცოლი ცემის მუქარით აიძულებს ქმარს გაიღოს ფული საერთო შვილის გადაუდებელი ოპერაციისათვის, რადგან ეს ბავშვის გადარჩენის ერთადერთ გზას წარმოადგენს, ეს ჩაითვლება **უკიდურეს აუცილებლობად** (117 I) და ამგვარად, გამოირიცხება მართლწინააღმდეგობა. სხვაგვარად არის საქმე იმ შემთხვევაში, როდესაც ცოლი ქმრის ფულის გაღებისაკენ იძულების მიზნით პირდაპირ ცემას მიმართავს. აქ უკვე შეუძლებელია მართლწინააღმდეგობის გამორიცხვა; სავარაუდოდ, ცემით დამუქრებაც საკმარისი იქნებოდა და რეალური ცემა 117 I მუხლის გაგებით აუცილებელი არ იყო. თუ ძალადობას ცალკე არ გამოვყოფთ მუქარისაგან, ეს ორივე შემთხვევა იდენტური აღმოჩნდება – აქტიური ცემაც 85-ე მუხლის გაგებით მხოლოდ ყოველი შემდგომი დარტყმით დამუქრებაა – და მართლწინააღმდეგობის საკითხიც ერთგვარად უნდა გადაწყდეს, რაც არასწორია.

38 *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 381; *ზოიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 85, გვ. 247.

39 *კერესელიძე*, უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 350.

2. შორეული მიზნები

17 საკამათოა მოძალადის **შორეული კეთილშობილური მიზნების,** როგორც მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავი გარემოების, გათვალისწინების შესაძლებლობა: გარემოსდამცველები აჭედავენ ნაკრძალის დირექტორის კაბინეტს, რათა ამგვარად შიგნით გამოკეტილი დირექტორი და ინვესტორი აიძულონ, გააუქმონ უკვე დადებული ხელშეკრულება, რომელიც ნაკრძალის ტერიტორიაზე საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობას ისახავს მიზნად. გერმანიის ფედერალური[40] სასამართლო უარყოფს ამ შორეული მიზნის – გარემოს დაცვა, რეკრეაციული ზონის შენარჩუნება – გათვალისწინების შესაძლებლობას. ეს მოსაზრება იურიდიულ ლიტერატურაში[41] სამართლიანად არის გაკრიტიკებული, რადგან, თუ მართლწინააღმდეგობის განსასაზღვრად მნიშვნელოვანია კონკრეტული შემთხვევის თავისებურებები და ურთიერთდაპირისპირებული ინტერესების აწონ-დაწონვა, მაშინ შორეული მიზანიც არ უნდა დარჩეს გაუთვალისწინებელი, მიუხედავად იმისა, იქნება თუ არა ის გადამწყვეტი მართლწინააღმდეგობის გამორიცხვისათვის.

40 BGHSt 35, 270.

41 *Küpper,* Strafrecht Besonderer Teil 1, 3. Aufl., 2007, 74.

მუხლი 89. შეცილების ვადა

იძულებით დადებული გარიგება შეიძლება სადავო გახდეს ერთი წლის განმავლობაში იძულების დამთავრების მომენტიდან.

I. ნორმის მიზანი 525
II. ცალკეული დებულებების განმარტება 525
1. ერთწლიანი ვადა, როგორც უფლების გამომრიცხავი ვადა 525
2. ვადის დაწყება 526
3. ვადის გასვლის შედეგები 527
4. შეცილების უფლების გამომრიცხავი გარემოებები 527
5. მტკიცების ტვირთი 527

I. ნორმის მიზანი

1 იძულებით დადებული გარიგების შეცილების ვადაც, მსგავსად მოტყუებით დადებული გარიგებისა, სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობიდან გამომდინარე, **შეუზღუდავი არ არის** და ასევე ერთი წლით განისაზღვრება (იხ. მუხ. 84 1-ლი ველი). განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ ერთწლიანი ვადა აითვლება არა იმ მომენტიდან, როცა შეცილების უფლების მქონემ შეიტყო შეცილების საფუძვლების არსებობის შესახებ, არამედ იძულების დამთავრების მომენტიდან – მაიძულებელი პირი ხელყოფს რა აშკარად პირის ნების გამოხატვის თავისუფლებას, ამით, ერთი მხრივ, თავიდანვე ნათელყოფს იძულებულისათვის ნების შეზღუდვის მომენტს, თუმცა, მეორე მხრივ, მუქარის ან ძალადობის მეშვეობით აღმართული ბარიერი პირის შინაგან ნებასა და მის გარეგან მანიფესტირებას შორის, ავტომატურად **არ წყვეტს არსებობას** გარიგების დადებასთან ერთად. ამიტომაც იძულებით დადებული გარიგების შემთხვევაში ათვლის წერტილია არა მის შესახებ შეტყობა, არამედ იძულების დასრულება.

II. ცალკეული დებულებების განმარტება

1. ერთწლიანი ვადა, როგორც უფლების გამომრიცხავი ვადა

2 არასწორია, რომ ქართული სასამართლო 84-ე მუხლით გათვალისწინებული ვადის მსგავსად, 89-ე მუხლით გათვალისწინებულ შეცილების ვადასაც ხანდაზმულობის და არა **გამომრიცხავ ვადად** მოიხსენიებს (შდრ. მუხ. 84, მე-8 ველი) და მას მხოლოდ მეორე მხარის შესაგებლის საფუძველზე ამოწმებს.[1]

3 სხვა შემთხვევაში ძალაში რჩება **84-ე მუხლთან დაკავშირებით** გამოთქმული მოსაზრებები (იხ. მუხ. 84, 7-9 ველები).

1 შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 21 ივლისის განჩინება №ას-333-314-2014; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 11 მაისის განჩინება №ას-423-400-2014; თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 15 აპრილის გადაწყვეტილება №2ბ/4686-13.

2. ვადის დაწყება

4 89-ე მუხლში მოცემული გადაწყვეტით კანონმდებელი პირდაპირ მიგვანიშნებს, რომ იძულების დასრულების მომენტი მხოლოდ შემთხვევით თუ შეიძლება დაემთხვეს თვითონ გარიგების დადების დასრულების მომენტს. შესაბამისად, შეცილების ვადის დინება იწყება იმ მომენტიდან, როდესაც იძულებულს შეეძლო თავისუფლად განეცხადებინა მასზე განხორციელებული ზეწოლის შესახებ, ანუ **იძულების დასრულებასთან** ერთად. იძულება დასრულებულად ითვლება მასში აღწერილი **საფრთხის რეალიზაციისას,** ან **საბოლოოდ ჩავლისას.**[2] გადამწყვეტია, თუ რა მომენტიდან თავისუფლდება შეცილების უფლების მქონე იძულებით გამოწვეული წნეხისაგან, მისი სუბიექტური წარმოდგენის თანახმად.[3] მაგალითად, თუ გარიგების დადება განპირობებულია ცოლის თვითმკვლელობის მუქარით ქმრის მიმართ (იხ. მუხ. 81 26-ე), მაშინ საფრთხე ჩავლილია ყველაზე გვიან გაშორებისა და ცოლის სხვა მამაკაცთან გადაბარგების შემდეგ.

5 ამ კონტექსტში სრულებით შეუძლებელია უზენაესი სასამართლოს[4] მსჯელობის გაზიარება. ბრალდებულისა და მისი ოჯახის წევრების მიმართ მუქარა 2 ავტომანქანისა და 48 ძვირად ღირებული ნივთის სახელმწიფოსათვის ჩუქების მიზნით, რის გარეშეც მასზე არ გავრცელდებოდა შეღავათი, სასამართლომ დამთავრებულად მიიჩნია **ჩუქების ხელშეკრულების დადების მომენტიდან.** ეს ცალსახად არასწორია, წინააღმდეგ შემთხვევაში კანონმდებელს არ დასჭირდებოდა 89-ე მუხლში განსაკუთრებული ხაზგასმა იძულების დამთავრების მომენტისა. მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში შეუძლია პირს ერთ წუთში დადოს გარიგება და მეორე წუთს შეცილების უფლების გამოყენებას ეცადოს; ვინც თავის კონტრაჰენტს პისტოლეტით ხელში ადებინებს გარიგებას, ის თავისუფლად ვერ შეეგუება მეორე დღეს გაცხადებულ შეცილებას. სასამართლოს სულ მცირე არა გარიგების დადებაზე, არამედ პროკურატურის მხრიდან შეპირებულ მოქმედებაზე – ბრალდების მოხსნაზე – უნდა გაეკეთებინა აქცენტი, წინააღმდეგ შემთხვევაში ამგვარი დაშვებიდან გამომდინარეობს, რომ იძულებულს ჯერ უნდა დაედო გარიგება და იმავე წუთს განეცხადებინა შეცილება, რაც აბსურდულია და საერთოდ ეჭვქვეშ აყენებს იძულების სიმძაფრეს (მუხ. 86 მე-11 და შემდგომი ველები). იმ შემთხვევაში კი, თუ ამ სიმძაფრეს ეჭვქვეშ არ დავაყენებთ, მაშინ მუქარა **პოლიტიკური რეჟიმის** დამთავრებასთან ერთად უნდა მიგვეჩნია დასრულებულად. ასევე ვერ ვიტყვით, რომ ბრალდებულთან საპროცესო შეთანხმების არდადების მუქარა ქარწყლდება ამ შეთანხმების გაფორმებისთანავე,[5] რადგან გაფორმების შემდეგაც არსებობს მისი გაუქმების ან დაკავებული პირისათვის სხვაგვარი ვნების მიყენების შესაძლებლობა, რაც უკვე საკმაოდ სავარაუდოა იმ სახელმწიფო ორგანოს მხრიდან, რომელმაც

2 *Wendtland,* in Beck OK BGB, 39. Aufl., 2016, § 124 Rn. 3.

3 OLG Brandenburg BeckRS 2012, 10029.

4 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 21 ივლისის განჩინება № ას-333-314-2014.

5 თუმცა ამგვარ მსჯელობას ავითარებს პირველი ინსტანციის სასამართლო თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 15 აპრილის გადაწყვეტილებაში № 2ბ/4686-13.

მანამდე მართლსაწინააღმდეგო მუქარას მიმართა (იხ. მუხ. 86 მე-6 ველი). ხოლო, თუ სასამართლო მიჩნევდა, რომ ჩუქება განპირობებული იყო არა პოლიტიკური რეჟიმის მიერ ხელშეწყობილი პრაქტიკით, არამედ მხოლოდ კონკრეტული ჩინოვნიკის დანაშულით, მაშინ ეს ცალკე მსჯელობის საგანი უნდა გამხდარიყო.[6]

უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების კრიტიკისათვის შესაძლებელია გერმანულ სასამართლო პრაქტიკაზე მითითება, სადაც ასევე ერთწლიანი გამომრიცხავი ვადა მოქმედებს მუქარის საფუძვლით შეცილებისათვის (§ 124 გსკ). ბერლინის კამერალურმა სასამართლომ[7] 1947 წელსაც კი შესაძლებლად ჩათვალა ებრაელი მესაკუთრისათვის 1938 წელს გასხვისებული მიწის ნაკვეთის დაბრუნება, მიიჩნია რა ეს გასხვისება **ნაციონალ-სოციალისტური რეჟიმის** მხრიდან ებრაელებზე კოლექტიური მუქარით განპირობებულად (იხ. მუხ. 85 23-ე ველი). ამ პრაქტიკის გაზიარება ქართულ რეალობაშიც აუცილებელია. **6**

გარდა ამისა, აღნიშნულ გადაწყვეტილებაში შემაშფოთებელია ის ფაქტი, რომ სასამართლომ საერთოდ არ იმსჯელა არსებითად საქმის გარემოებებზე, იძულების ხასიათსა და ფორმაზე და ის პირდაპირ დაუშვებლად ცნო გამომრიცხავ ვადაზე მითითებით. ეს არასწორია, რადგან იძულების ხასიათის გამორკვევის გარეშე შეუძლებელია იმის დადგენა, თუ როდიდან ჩაითვლებოდა საფრთხე უკვე ჩავლილად. **7**

არამიღებასავალდებულო ნების გამოხატვის შეცილებასა და შეცილების მისვლასთან დაკავშირებით იხ. 85-ე მუხლის კომენტ. ველი 4-5. **8**

3. ვადის გასვლის შედეგები

ვადის გასვლის **შედეგებთან** დაკავშირებით იხ. მუხ. 84-ე მე-10 ველი. **9**

4. შეცილების უფლების გამომრიცხავი გარემოებები

შეცილების უფლების გამომრიცხავ გარემოებებთან (**პრეკლუზია** და **დადასტურება**) დაკავშირებით იხ. მუხ. 84-ე, მე-12-მე-14 ველები. **10**

5. მტკიცების ტვირთი

მსგავსად მოტყუების საფუძვლით შეცილების უფლების გაქარწყლებისა (84-ე მუხლით გათვალისწინებული ვადის გასვლის გამო), 89-ე მუხლის შემთხვევაშიც **მოწინააღმდეგე მხარემ** უნდა მიუთითოს, თუ რა მომენტიდან ჩაითვლებოდა იძულება დამთავრებულად და რომ ამ მომენტიდან გასულია წელიწადზე მეტი.[8] **11**

6 გარდა ამისა, მოცემული გარიგება ამორალურობის გამო საერთოდ არანამდვილი უნდა ყოფილიყო (იხ. მუხ. 85, 29-ე ველი), რის გამოც მასზე გავრცელდებოდა სანივთო მოთხოვნისათვის გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადა.

7 KG SJZ 1947, 257.

8 *Wendtland,* in Beck OK BGB, 39. Aufl., 2016, § 124 Rn. 8.

12 იმ შემთხვევაში, როდესაც გარიგების დადებიდან ერთ წელზე მეტია გასული და შემცილებელი აპელირებს იმ ფაქტზე, რომ იძულება გარიგების დადების შემდეგაც გრძელდებოდა, ოღონდ არა თავდაპირველი, არამედ **მოდიფიცირებული ფორმით,** მაშინ ამ მოდიფიცირებული მუქარის მტკიცების ტვირთი ისევ შემცილებელზე გადადის. მაგალითად, თუ ბრალდებულმა იძულებით გარიგება დადო საპროცესო შეთანხმების არგაფორმების შიშის გამო, თუმცა მისი გაფორმების შემდეგაც ეშინოდა, მისი გაუქმების ან სხვაგვარი ვნების მიყენებისა,[9] მაშინ ის ატარებს ამ საფრთხის რეალურობის მტკიცების ტვირთს. თუმცა ცალკეულ შემთხვევებში საკმარისი უნდა იყოს ზოგადი ხასიათის მითითება, მაგალითად, პოლიტიკური რეჟიმის უცვლელ ხასიათზე.

9 შდრ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 15 აპრილის გადაწყვეტილებაში №2ბ/4686-13.

თავი მეხუთე
პირობითი გარიგებანი

მუხლი 90. ცნება

პირობითად ითვლება გარიგება, როდესაც იგი დამოკიდებულია სამომავლო და უცნობ მოვლენაზე იმით, რომ ან გარიგების შესრულების გადადება ხდება მის დადგომამდე, ანდა გარიგების შეწყვეტა – ამ მოვლენის დადგომისთანავე.

I. ზოგადი დებულებები 529
1. მიზანი და გამოყენების სფერო 529
2. ცნება 530
3. პირობათა სახეები 531
II. გამოყენების წინაპირობები 531
1. პირობის დასაშვებობა 531
2. განსხვავება სხვა ინსტიტუტებისაგან 532

I. ზოგადი დებულებები

1. მიზანი და გამოყენების სფერო

90-98-ე მუხლებში განმტკიცებული პირობითი გარიგების ინსტიტუტი გარიგების მონაწილეებს ანიჭებს იმის შესაძლებლობას, რომ გარიგებით განსაზღვრული მიზნის მიღწევა დამოკიდებული გახადონ **სამომავლო და უცნობი მოვლენის დადგომაზე.** ამ ასპექტით პირობითი გარიგება **კერძო ავტონომიის გამოვლენის** მნიშვნელოვან ინსტიტუტს წარმოადგენს. მისი მეშვეობით ურთიერთობის მონაწილეებს შეუძლიათ გარკვეული მოქნილობისა და დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა. მაგალითად, ტურისტს შეუძლია დადოს საზღვარგარეთ ტურისტული მოგზაურობის ხელშეკრულება იმ პირობით, თუკი ის მიიღებს ამ ქვეყნის ვიზას. **1**

ჩვეულებრივ გარიგების შესრულება იწყება მისი დადებისთანავე, თუმცა არ არის გამორიცხული გარიგებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება გარიგების მონაწილეების მიერ განსაზღვრული მოვლენის დადგომაზე იყოს დამოკიდებული. ამ მიზანს ემსახურება **პირობითი გარიგება.**[1] **2**

გარიგებაში პირობის დაფიქსირება სხვადასხვა ფორმით ხდება. ყველაზე გავრცელებულია „თუ“ კავშირის გამოყენება: „თუ..., მაშინ...“ თუმცა ეს არ არის პირობის გამოხატვის ერთადერთი ფორმა.[2] ამიტომ საკითხი იმის შესახებ, პირობით გარიგებასთან გვაქვს საქმე თუ არა, განმარტების შედეგად უნდა დადგინდეს.[3]

1 პირობითი გარიგება განსხვავდება გარიგების ნამდვილობის პირობისაგან. განსხვავებების შესახებ იხ.: *ზოიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 90, გვ. 253.
2 *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 410.
3 შდრ. MüKo/*Westermann,* BGB, 6. Aufl., 2012 § 158 Rn. 16.

2. ცნება

3 90-ე მუხლი შეიცავს **პირობითი გარიგების ლეგალურ დეფინიციას,** რომლის თანახმად პირობითია გარიგება, თუკი ამ გარიგებით გათვალისწინებული შედეგის დადგომა დამოკიდებულია **სამომავლო და უცნობი მოვლენის** დადგომაზე.

მოვლენა მხოლოდ მაშინ ჩაითვლება პირობითი გარიგების პირობად, თუკი იგი **ობიექტურადაც და მხარეთა წარმოდგენითაც უცნობია.**[4] სამომავლო და უცნობი მოვლენა შეიძლება **სახელშეკრულებო ვალდებულების ფორმითაც** არსებობდეს, მაგალითად, ნასყიდობის ფასის სრულად გადახდის პირობა პირობადებული საკუთრების დროს.

უზენაესი სასამართლოს აზრით, პირობით გარიგებას წარმოადგენს სადავო ხელშეკრულების პუნქტი, რომლითაც მხარეები შეთანხმდნენ, რომ, თუ მოვალე ვალდებულებას ვერ შეასრულებს, კრედიტორს საკუთრებაში გადასცემს კარიერზე უფლებას, ვინაიდან ხელშეკრულების ზემოაღნიშნული დათქმა უფლების გადაცემაზე დაკავშირებულია გარკვეული პირობის დადგომასთან – ვალდებულების შეუსრულებლობასთან.[5]

4 გერმანული სამართლისაგან განსხვავებით, რომელიც პირობად არ მიიჩნევს **მოვლენას, რომელიც არსებობს, მაგრამ გარიგების მონაწილეებისათვის უცნობია** ამის შესახებ,[6] ქართული სამოქალაქო კოდექსი გამონაკლისის სახით გადადების პირობით დადებული გარიგებისათვის ამგვარ პირობას უშვებს (96-ე მუხლი).

5 **პირობად არ ჩაითვლება** ისეთი მოვლენა, რომელიც უეჭველად დადგება, მაგრამ უცნობია მისი დადგომის დრო. ეს იქნება **ვადის დათქმა**[7] და არა პირობა.[8] მაგალითად, პირობად არ ჩაითვლება ადამიანის გარდაცვალება, რადგან უეჭველია, რომ ადამიანი გარდაიცვლება. უცნობია მხოლოდ მისი გარდაცვალების დრო. ამიტომ ამ შემთხვევაში სახეზეა ვადის დათქმა.[9] და პირიქით, გარკვეულ ასაკამდე მიღწევა, მაგალითად, საპენსიო ასაკამდე, შეიძლება იყოს კვალიფიცირებული როგორც პირობა, რადგან უცნობია, მიაღწევს თუ არა ადამიანი ამ ასაკს.[10]

6 სამომავლო და უცნობ მოვლენაზე გარიგების დამოკიდებულება შეიძლება ორგვარ ხასიათს ატარებდეს: პირველი, **გარიგების შესრულების გადადება** ხდება ამ პირობის დადგომამდე (96-ე მუხლი) და, მეორე, პირობის დადგომამ შეიძლება გამოიწვიოს **გარიგების შეწყვეტა** (97-ე მუხლი).[11]

4 შდრ. *Röverkamp,* in Beck OK BGB, 28. Aufl. Stand 01.08.2013, § 158 Rn. 3.

5 საქ. უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 19 ოქტომბრის № ას-379-352-2010 გადაწყვეტილება.

6 შდრ. *Röverkamp*, in Beck OK BGB, 28. Aufl. Stand 01.08.2013, § 158 Rn. 3.

7 ქართულ ლიტერატურაში იყენებ ასევე ტერმინს „ვადიანობა“: *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 398.

8 ქართულ ლიტერატურაში იყენებენ ასევე ტერმინს „ვადიანობა“: *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 398.

9 შდრ. მაგ. *Medicus,* BGB AT, 10. Aufl., 2010, Rn. 827.

10 შდრ. *Medicus,* BGB AT, 10. Aufl., 2010, Rn. 827.

11 *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 410.

3. პირობათა სახეები

გარიგებით გათვალისწინებული შედეგის დადგომა შეიძლება რამ- 7
დენიმე პირობაზე იყოს დამოკიდებული. იმის მიხედვით, ამ პირობების დადგომა ერთდროულად აუცილებელია თუ საკმარისია ერთ-ერთის დადგომა, ერთმანეთისაგან განსხვავდება **კუმულატიური** და **ალტერნატიული პირობები.**[12]

კუმულატიური პირობით დადებული გარიგების დროს აუცილებელია ყველა პირობის ერთდროულად დადგომა, რომ მიღწეულ იქნეს გარიგებით დასახული მიზანი. კუმულატიური პირობა, როგორც წესი, გამოიხატება „და“ კავშირით.

ალტერნატიული პირობის დროს საკმარისია ჩამოთვლილი რამდენიმე პირობიდან ერთ-ერთის დადგომა. ალტერნატიული პირობის არსებობა გამოიხატება „ან“ კავშირით.

გარიგებით გათვალისწინებული შედეგის დადგომასთან მიმართებაში 8
ერთმანეთისაგან განსხვავდება **გადადების, ანუ სუსპენზიური** (96-ე მუხლი) და **გაუქმების, ანუ რეზოლუტიური პირობები** (97-ე მუხლი).

პირობის დადგომის მომენტის განსაზღვრის მიხედვით პირობა შეიძლება 9
იყოს **პოზიტიური** (93-ე მუხლი) და **ნეგატიური** (94-ე მუხლი).[13]

შინაარსის მიხედვით გარიგების პირობა შეიძლება იყოს **კაზუალური** და 10
პოტესტატიური.[14] **კაზუალურია პირობა,** როცა მისი არსებობა დამოკიდებულია შემთხვევით მოვლენაზე, მაგალითად, ზიანის დადგომაზე ან ავარიის დროს მძიმედ დასავებულის გადარჩენაზე. კაზუალური პირობა შეიძლება გამოიხატოს მესამე პირის მოქმდებაშიც, მაგალითად, გარიგების დადება მესამე პირისაგან თანხმობის მიღების პირობით.[15] **პოტესტატიური პირობის** დადგომა შეიძლება დამოკიდებული იყოს გარიგების ერთ-ერთი მონაწილის მოქმედებაზე, მაგალითად, ნასყიდობა სინჯის საფუძველზე ნამდვილი იქნება, თუკი ნასყიდობის საგანი გარიგების მეორე მხარეს მოეწონება და ის გამოხატავს ამას.[16] პოტესტატიური პირობის მაგალითად სახელდება ასევე **პირობადებული საკუთრება**[17] (188-ე მუხლი). მყიდველი ნასყიდობის ფასის გადახდის ვალდებულებას შეასრულებს თუ არა და გახდება თუ არა მესაკუთრე, მთლიანად დამოკიდებულია მყიდველზე.

II. გამოყენების წინაპირობები

1. პირობის დასაშვებობა

პირობითი შეიძლება იყოს ნებისმიერი გარიგება, მათ შორის ცალმხრივი 11

12 *ზოიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 90, გვ. 254.
13 პოზიტიურ პირობას სხვანაირად ასევე აფირმატორულ პირობასაც უწოდებენ: *Bork,* in Staudinger BGB, 2003, Vorbem zu §§ 158-163 Rn. 13.
14 შდრ. *Tuhr*, Der AT des deutschen bürg. Rechts, Bd. 2/2, S. 275.
15 *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 414.
16 იქვე, გვ. 415.
17 შდრ. *Rüthers/Stadler,* Allgemeiner Teil des BGB, 16. Aufl. § 20 Rn. 8.

და მრავალმხრივი გარიგებებიც.[18] პირობითი გარიგების მიმართ გამოიყენება ჩვეულებრივი გარიგებისთვის დადგენილი წესი. პირობა შეიძლება უკვე არსებულ გარიგებაშიც იქნეს დამატებული, მაგალითად, ნასყიდობის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და პირობადებული საკუთრების ჩართვა.[19]

12 ზოგიერთი გარიგების მიმართ 90-98-ე მუხლებით გათვალისწინებული პირობების გამოყენება შეუძლებელია, მაგალითად, **დაუშვებელია დაქორწინება პირობით.**[20]

13 პირობადებული გარიგების გამოყენების აკრძალვები შეიძლება ერთ შემთხვევაში **კანონიდან პირდაპირ გამომდინარეობდეს,** ხოლო სხვა შემთხვევებში – **გარიგების ბუნებისათვის იყოს მიუღებელი.** მაგალითად, შვილება ან ბავშვისათვის სახელის დარქმევა პირობით.[21]

სხვა შემთხვევებში **განმარტების შედეგად უნდა გადაწყდეს,** შეიძლება თუ არა პირობითი გარიგებების გამოყენება კონკრეტული ურთიერთობის მიმართ.[22]

2. განსხვავება სხვა ინსტიტუტებისაგან

14 გარეგნული მსგავსების მიუხედავად 90-ე მუხლში გათვალისწინებული პირობა განსხვავდება სხვა ინსტიტუტებისაგან.

15 **გარიგების წინაპირობა** განსხვავდება პირობითი გარიგებისაგან იმით, რომ გარიგებასთან დაკავშირებული მოვლენა ან წარსულშია, ან აწმყოში. მაგალითად, ნახმარი ავტომანქანის ყიდვა იმ პირობით, რომ მანქანას უნდა ჰქონდეს ახალი საბურავები, იქნება არა გარიგების პირობა, არამედ გარიგების დადების წინაპირობა. წინაპირობა ამ შემთხვევაში დამოკიდებულია გარიგების მეორე მონაწილის ნებაზე და ასეთი პირობა 92-ე მუხლის მიხედვით არ ჩაითვლება პირობად 90-ე მუხლის გაგებით.

16 რთულია განსხვავების დადგენა **პოტესტატიურ პირობასა** და **წინაპირობას** შორის, რადგან ორივე შემთხვევაში პირობის დადგომა გარიგების მონაწილეთა აქტიურობაზეა დამოკიდებული. გადამწყვეტი უნდა იყოს ის, ობიექტურად თუ რამდენად უცნობი ან ცნობილია მოვლენის დადგომა. ეს განსხვავება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა დადგინდეს განმარტების საფუძველზე.

17 90-ე მუხლის **პირობა** განსხვავდება **„ხელშეკრულების სტანდარტული პირობებისაგან“**, რომელშიც საუბარია ხელშეკრულების ცალკეულ დებულებებზე,[23] რომელთა შინაარსი მხარეებისათვის ცნობილია და არ წარმოადგენს უცნობ ან სამომავლო გარემოებებს.

18 შდრ. *Röverkamp,* in Beck OK BGB, 28. Aufl. Stand 01.08.2013, § 158 Rn. 16.
19 *ჭანტურია,* კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, 2012, გვ. 170.
20 შდრ. გერმანულ სამართალს: *Medicus,* BGB AT, 10. Aufl., 2010, Rn. 846.
21 *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 418.
22 შდრ. MüKo/*Westermann,* BGB, 6. Aufl., 2012 § 158 Rn. 10.
23 შდრ. *Medicus,* BGB AT, 10. Aufl., 2010, Rn. 824.

მუხლი 91. მართლსაწინააღმდეგო ან/და ამორალური პირობის ბათილობა

ბათილია პირობა, რომელიც ეწინააღმდეგება კანონის მოთხოვნებს ან ზნეობის ნორმებს, ანდა შეუძლებელია მისი შესრულება. გარიგება, რომელიც რომელიმე ასეთ პირობაზეა დამოკიდებული, მთლიანად ბათილია.

I. ზოგადი დებულებები 533
1. პირობის ნამდვილობა 533
2. სამართლებრივი პირობები და პირობის ნამდვილობა 533
II. პირობის ბათილობის სამართლებრივი შედეგი 534
1. მთლიანად გარიგების ბათილობა 534
2. მტკიცების ტვირთი 534

I. ზოგადი დებულებები

1. პირობის ნამდვილობა

პირობის ნამდვილობა გავლენას ახდენს გარიგების ნამდვილობაზე. ამიტომ პირობის ნამდვილობის წინაპირობები ისეთივე შემოწმებას მოითხოვს, როგორც გარიგების ნამდვილობის წინაპირობები. 1

91-ე მუხლი პირობის ბათილობის სამ საფუძველს ასახელებს: **კანონსაწინააღმდეგობა, ამორალურობა** და **შესრულების შეუძლებლობა.** პირობის ნამდვილობის შემოწმებისას გამოყენებულ უნდა იქნეს 54-ე მუხლი.[1] 2

პირობის შესრულების შეუძლებლობა იწვევს გარიგების ბათილობას, რადგან პირობის ნამდვილობისათვის მას (შეუძლებელ პირობას) აკლია „ობიექტურობისა“ და მოლოდინის მომენტი, რადგან თავიდანვე ცნობილია, რომ პირობა არ დადგება.[2] 3

2. სამართლებრივი პირობები და პირობის ნამდვილობა

ზოგიერთ შემთხვევაში გარიგებათა ნამდვილობა დამოკიდებულია სხვადასხვა პირობაზე, მაგალითად, **არასრულწლოვნის მიერ დადებული გარიგება** ნამდვილია მხოლოდ მაშინ, როცა მას მოიწონებს მისი კანონიერი წარმომადგენელი. ვინაიდან გარეგნულად ეს პირობა სამომავლო და უცნობ მოვლენაზეა დამოკიდებული, გასარკვევია, არის თუ არა ასეთი პირობა ნამდვილი, ხოლო გარიგება პირობითი და გამოიყენება თუ არა მათ მიმართ 90-98-ე მუხლების წესები. 4

პირობითი გარიგებით გათვალისწინებულ პირობასა და მის შინაარსს თვითონ გარიგების მონაწილეები განსაზღვრავენ კერძო ავტონომიის პრინციპიდან გამომდინარე. რაც შეეხება არასრულწლოვნის კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის პირობას, ეს კანონით არის დადგენილი. ამიტომ ასეთ პირობებს **სამართლებრივი პირობები** (Condicione juris) ეწოდება და 5

1 *ზოიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ.მუხლი 91, გვ. 255.
2 *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 416.

მათ მიმართ არ გამოიყენება 90-98-ე მუხლების ნორმები.[3] ამრიგად, როცა გარიგების ნამდვილობის პირობა კანონით განსაზღვრულია და ის არ არის გარიგების მონაწილეთა ნებაზე დამოკიდებული, არ არსებობს პირობითი გარიგება.[4]

6 სადავო შეიძლება გახდეს საკითხი მაშინ, როცა გარიგების მონაწილეების მიერ განსაზღვრული და კანონით გათვალისწინებული **პირობები განსხვავდება ერთმანეთისაგან.** ჯერ უნდა დადგინდეს, კანონის ნორმა იმპერატიულია თუ დისპოზიციური. თუ ნორმა დისპოზიციურია, მაშინ შეიძლება მხარეთა მიერ განსაზღვრულ პირობას მიენიჭოს უპირატესობა და გამოყენებულ იქნეს 90-98-ე მუხლების ნორმები. თუ ნორმა იმპერატიულია, მაშინ უპირატესობით სარგებლობს კანონის ნორმა.[5]

II. პირობის ბათილობის სამართლებრივი შედეგი

1. მთლიანად გარიგების ბათილობა

7 91-ე მუხლის მე-2 წინადადების თანახმად, პირობის ბათილობა კანონსაწინააღმდეგობის, ამორალურობის ან შესრულების შეუძლებლობის გამო იწვევს **მთლიანად გარიგების ბათილობას.**

8 ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში **კრიტიკის საგანია** კანონმდებლის ასეთი მკაცრი და უალტერნატივო მიდგომა სამართლებრივი შედეგის მიმართ, კერძოდ, გარიგების გამოცხადება მთლიანად ბათილად.[6] ზოგიერთი მართლწესრიგი უშვებს გარიგების ნაწილობრივი ბათილობის ან პირობის გაუქმებისა და გარიგების შენარჩუნების შესაძლებლობას.[7]

2. მტკიცების ტვირთი

9 **პირობის ბათილობის მტკიცების ტვირთი** ეკისრება იმ პირს, ვინც ცდილობს ამ საფუძვლით გარიგების ბათილობის მიღწევას.

3 *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 417; *Röverkamp,* in Beck OK BGB, 28. Aufl. Stand 01.08.2013, § 158 Rn. 9.

4 შდრ. *Röverkamp,* in Beck OK BGB, 28. Aufl. Stand 01.08.2013, § 158 Rn. 9.

5 *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011,გვ. 417.

6 *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 395.

7 შდრ. *Medicus,* BGB AT, 10. Aufl., 2010, Rn. 853.

მუხლი 92. ნებაზე დამოკიდებული პირობა

ნებაზე დამოკიდებულად ითვლება ისეთი პირობა, რომლის დადგომაც ან დაუდგომლობა დამოკიდებულია მხოლოდ გარიგების მხარეებზე. ასეთი პირობით დადებული გარიგება ბათილია.

I. მიზანი და გამოყენების სფერო 535
II. გამოყენების წინაპირობები 535
III. ნებაზე დამოკიდებული პირობები სასამართლო პრაქტიკაში 536

I. მიზანი და გამოყენების სფერო

92-ე მუხლი შეიცავს **პირობის ბათილობის ერთ-ერთ შემთხვევას.** კერძოდ, ბათილად ითვლება ისეთი პირობა, რომლის დადგომაც ან დაუდგომლობაც მხოლოდ გარიგების მხარეებზეა დამოკიდებული. აქ არ იგულისხმება პირობის დამოკიდებულება გარიგების ყველა მონაწილის ერთობლივ ნებაზე, როგორც ეს ლიტერატურაშია გაგებული.[1] ამ შემთხვევაში საუბარია არა გარიგების მონაწილეთა რაოდენობაზე, არამედ საზოგადოდ გარიგების მონაწილის ნებაზე. **1**

ნორმის მიზანი არის გარიგების მონაწილეთა **ნება-სურვილის გამიჯვნა პირობისაგან,** რომლის დადგომაც იწვევს გარიგების ნამდვილობას. ამის გაკეთება იოლი არ არის და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ეს გამიჯვნა უნდა მოხდეს განმარტების საფუძველზე.[2] **2**

II. გამოყენების წინაპირობები

ნებაზე დამოკიდებული პირობის განხილვასთან დაკავშირებით წარმოიშობა **პოტესტატიური პირობისაგან მისი გამიჯვნის პრობლემა,** რაც არცთუ ისე იოლია. თუ პოტესტატიური პირობის დროს გარიგების ნამდვილობა დამოკიდებულია მოვლენაზე, მის დადგომაზე, 92-ე მუხლი საუბრობს მხოლოდ მხარეების ნება-სურვილზე, მათ მიერ თანხმობის გამოხატვაზე.[3] **3**

მაგალითად, მაღაზიაში ტელევიზორის მყიდველი შეუთანხმდება გამყიდველს ნასყიდობის ფასზე, მაგრამ მას უნდა კიდევ ერთი დღე საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად, მაგრამ იმის შიშით, რომ ტელევიზორი სხვამ არ იყიდოს, დაუბარებს გამყიდველს, რომ თუ მეორე დღის 17 საათამდე უარს არ შემოუთვლის, მაშინ ნასყიდობის ხელშეკრულება დადებულია.[4]

აღიარებული შეხედულების მიხედვით ამ შემთხვევაში საუბარია არა პირობაზე, არამედ **მხოლოდ მხარის ნება-სურვილზე,** დადოს ან არ დადოს ხელშეკრულება. ამიტომ ასეთი შემთხვევა ვერ შეფასდება პირობად და 92-ე

1 *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 396.
2 შდრ. *Westermann,* in Beck OK BGB, 6. Aufl., 2012 § 158 Rn. 18 ff.
3 შდრ. *Rüthers/Stadler,* Allgemeiner Teil des BGB, 16. Aufl. § 20 Rn. 8.
4 მაგ., აღებულია: *Rüthers/Stadler,* Allgemeiner Teil des BGB, 16. Aufl. § 20 Rn. 8.

მუხლის მიხედვით ამგვარი პირობით დადებული გარიგება ბათილია.[5]

4 პრობლემური შეიძლება იყოს პირობადებული საკუთრების მიჩნევა პირობით გარიგებად იმის გამო, რომ ამ შემთხვევაშიც პირობის შესრულება (ნასყიდობის ფასის სრულად გადახდა) მთლიანად არის დამოკიდებული მყიდველზე. საპირისპირო არგუმენტის თანახმად, ნასყიდობის ფასი შესაძლოა გადაიხადოს მესამე პირმაც. ამ საფუძვლით თვლიან, რომ პირობადებული საკუთრება არ არის მხოლოდ მხარის ნება-სურვილზე დამოკიდებული გარიგება.[6]

5 ამრიგად, 92-ე მუხლში საუბარია არა სამომავლო და უცნობ მოვლენაზე, რომლის დადგომა თუნდაც გარიგების მონაწილის ნებაზე იყოს დამოკიდებული (პოტესტატიური პირობა), არამედ მონაწილის ნება-სურვილზე, განახორციელოს მისთვის სავალდებულო ნების გამოვლენა. 92-ე მუხლი ამ საფუძლით მიიჩნევს ასეთ გარიგებას ბათილად.

III. ნებაზე დამოკიდებული პირობები სასამართლო პრაქტიკაში

6 სესხის ხელშეკრულებაში ჩანაწერი, რომ მოვალე სესხს დააბრუნებს, „როცა დასჭირდება“ სესხის უზრუნველსაყოფად გამსესხებლისათვის გირაოში გადაცემული დუქანი, სასამართლომ მიიჩნია ნებაზე დამოკიდებულ პირობად და 92-ე მუხლის თანახმად ბათილად.[7]

ხელშეკრულების პირობა, ხელშეკრულებაში მითითებული დღიდან 45 კალენდარული დღის განმავლობაში გადახდის განხორციელების შესახებ, არ წარმოადგენს პირობით გარიგებას, ვინაიდან იგი არ არის დამოკიდებული რაიმე სამომავლო მოვლენაზე: ასეთი სამართლებრივი შეფასება მისცა უზენაესმა სასამართლომ საოლქო სასამართლოს მოსაზრებას, რომელმაც ხელშეკრულების აღნიშნული პირობა, როგორც ნებაზე დამოკიდებული პირობა, 92-ე მუხლის მიხედვით ბათილად მიიჩნია.[8]

5 *Rüthers/Stadler*, Allgemeiner Teil des BGB, 16. Aufl. § 20 Rn. 8

6 შდრ. *Medicus,* BGB AT, 10. Aufl., 2010, Rn. 830.

7 საქ. უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 14 ივნისი № ას-6-345-09 გადაწყვეტილება.

8 საქ. უზენაესი სასამართლოს 2004 წლის 11 ნოემბრის № ას-504-784-04 გადაწყვეტილება.

მუხლი 93. პოზიტიური პირობა

1. თუ გარიგება დადებულია იმ პირობით, რომ რაიმე მოვლენა დადგება განსაზღვრულ ვადაში, მაშინ პირობა ძალადაკარგულად ითვლება, თუკი ეს ვადა გავიდა და მოვლენა არ დადგა.

2. თუ ვადა არ არის განსაზღვრული, მაშინ პირობა შეიძლება შესრულდეს ნებისმიერ დროს. პირობა შეიძლება ძალადაკარგულად იქნეს მიჩნეული, როცა აშკარაა, რომ მოვლენის დადგომა უკვე შეუძლებელია.

I. ნორმის მიზანი 537
II. გამოყენების წინაპირობები 537
III. სამართლებრივი შედეგი 538
IV. მტკიცების ტვირთი 538

I. ნორმის მიზანი

93-ე და 94-ე მუხლების მიზანი არის **პირობის დადგომისა** და მასთან დაკავშირებული **სამართლებრივი შედეგების** განსაზღვრა. კერძოდ, ორივე მუხლი შეიცავს პასუხს კითხვაზე, თუ როდის ჩაითვლება პირობა შესრულებულად. ერთ შემთხვევაში საუბარია პირობად მიჩნეული მოვლენის დადგომის აუცილებლობაზე (93-ე მუხლი), ხოლო მეორე შემთხვევაში – ამგვარი მოვლენის არდადგომაზე (94-ე მუხლი). **1**

პირობასთან დაკავშირებული გაურკვევლობა და მოლოდინი როგორმე უნდა დასრულდეს. ეს ხდება ან **პოზიტიურად** ან **ნეგატიურად** – პირობის შესრულებით ან შეუსრულებლობით.[1] **2**

II. გამოყენების წინაპირობები

93-ე მუხლის თანახმად, **პოზიტიური პირობა შესრულებულად** მხოლოდ მაშინ მიიჩნევა, თუკი პირობით გათვალისწინებული მოვლენა დადგა. ამ მოვლენის დადგომისათვის 93-ე მუხლი ორ წინაპირობას ითვალისწინებს: **3**

პირველი, პირობის შესრულებისათვის შეიძლება **განსაზღვრული იყოს ვადა.** თუ ეს ვადა გავიდა და მოვლენა არ დადგა, მაშინ პირობა **ძალადაკარგულად ითვლება** (93 I). მაგალითად, თუ საბანკო გარანტიის მოქმედების ვადაში არ დადგა საგარანტიო შემთხვევა, ამ ვადის გასვლის შემდეგ ბენეფიციარი ვერ მოითხოვს გარანტისაგან გარანტიით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას.[2]

მეორე, პირობის შესრულებისათვის შეიძლება **ვადა არ იყოს განსაზღვრული (93 II).** ამ დროს პირობა ძალადაკარგულად მიიჩნევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცაა აშკარაა, რომ **მოვლენის დადგომა უკვე შეუძლებელია.** ამრიგად, პოზიტიური პირობისათვის ამ დროს გადამწყვეტია მოვლენის დადგომის შეუძლებლობის განსაზღვრა.

1 შდრ. *Medicus,* BGB AT, 10. Aufl., 2010, Rn. 833.

2 საქ. უზენაესი სასამართლოს 2001 წლის 17 იანვრის № 3კ/62-01 გადაწყვეტილება.

III. სამართლებრივი შედეგი

4 პირობის დადგომის სამართლებრივი შედეგი გათვალისწინებულია, ერთი მხრივ, 90-ე მუხლში, ხოლო მეორე მხრივ – 96-ე და 97-ე მუხლებში.

5 პირობის ძალადაკარგულად გამოცხადება იწვევს იმ **მოთხოვნის უფლების გაუქმებას,** რომელიც უფლებამოსილ პირს პირობის დადგომისას წარმოეშობოდა.[3] მაგალითად, საბანკო გარანტიის მოქმედების ვადაში მოვალის (პრინციპალის) მიერ ვალდებულების შეუსრულებლობით ბენეფიციარს წარმოეშობოდა გარანტისაგან თანხის გადახდის მოთხოვნის უფლება.

6 პირობის ძალადაკარგულად გამოცხადებამ შეიძლება გამოიწვიოს **მოთხოვნის უფლების წარმოშობა.** მაგალითად, თუ პირობადებული საკუთრების დროს მყიდველი არ გადაიხდის ნასყიდობის საფასურს, გამყიდველს წარმოეშობა ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლება.

7 გარდა ამისა, პირობის გაუქმებამ შეიძლება გამოიწვიოს გარიგების შეწყვეტა და ამან მის მონაწილეებს უბიძგოს გარიგების მოდიფიცირებისაკენ.[4]

სასამართლოს ერთ-ერთი გადაწყვეტილების თანახმად, სარგებლის მიღების თაობაზე სახელშეკრულებო დათქმის ამოქმედება დამოკიდებული იყო ბანკში დეპოზიტის გახსნიდან 4 თვეში მშენებლობის დაწყებაზე. ამ ვადის გასვლა და მშენებლობის დაუწყებლობა იწვევს 93-ე მუხლის მიხედვით გარიგების შეწყვეტას.[5]

IV. მტკიცების ტვირთი

8 93-ე მუხლიდან გამომდინარეობს რამდენიმე ფაქტის მტკიცების ტვირთი.

პირველი, **პირობის დადგომის ფაქტი** უნდა დაამტკიცოს იმ პირმა, ვინც პირობის დადგომის საფუძველზე იღებს სარგებელს ან წარმოეშობა მოთხოვნის უფლება.

მეორე, განსაზღვრული **ვადის გასვლისა** და **პირობის შეუსრულებლობის ფაქტი** უნდა დაამტკიცოს იმ პირმა, ვის წინააღმდეგაც შეიძლება იყოს მიმართული პირობის დადგომის შედეგად წარმოშობილი მოთხოვნის უფლება.

მესამე, **პირობის შესრულების შეუძლებლობის ფაქტი** ასევე უნდა დაამტკიცოს იმ პირმა, ვის მიმართაც წარმოიშობოდა მოთხოვნის უფლება.

3 შდრ. *Bork*, in Staudinger BGB ,2003, § 158 Rn. 16.

4 შდრ. *Bork,* in Staudinger BGB, 2003, § 158 Rn. 16.

5 საქ. უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 27 მარტის № ას-1300-1320-2011 გადაწყვეტილება.

მუხლი 94. ნეგატიური პირობა

1. თუ გარიგება დადებულია იმ პირობით, რომ რაიმე მოვლენა არ დადგება განსაზღვრულ ვადაში, მაშინ პირობა შესრულებულად ითვლება, თუკი აღნიშნული ვადა გავა მოვლენის დადგომის გარეშე; პირობა შესრულებულად ითვლება მაშინაც, როცა ვადის გასვლამდე აშკარაა, რომ მოვლენის დადგომა შეუძლებელია.

2. თუ ვადა განსაზღვრული არ არის, პირობა შესრულებულად ითვლება მხოლოდ მაშინ, როდესაც ნათელი გახდება, რომ მოვლენა არ დადგება.

I. ნორმის მიზანი 539
II. გამოყენების წინაპირობები 539
III. სამართლებრივი შედეგი 540

I. ნორმის მიზანი

94-ე მუხლი იძლევა პირობის შესრულების დეფინიციას ნეგატიურ კონტექსტში და ამით ის წარმოადგენს 93-ე მუხლის შებრუნებულ ვარიანტს. **ნეგატიური პირობა** შესრულებულია მაშინ, როცა აშკარაა, რომ მოვლენა, რომლის დაუდგომლობასთანაც უნდა ყოფილიყო სამართლებრივი შედეგი დაკავშირებული, არ დადგა ან შეუძლებელია, რომ დადგეს.[1] **1**

93-ე მუხლისაგან განსხვავებით, 94-ე მუხლის მიხედვით გადამწყვეტია ის, რომ პირობით განსაზღვრული მოვლენა არ დადგეს.

II. გამოყენების წინაპირობები

94-ე მუხლის გამოყენების წინაპირობა არის პირობით გათვალისწინებული **მოვლენის დაუდგომლობა**, ე.ი **პირობის შეუსრულებლობა.** 93-ე მუხლის მსგავსად განსახილველი მუხლი პირობის შეუსრულებლობას ან განსაზღვრულ დროზე დამოკიდებულს ხდის, ან მოვლენის დაუდგომლობის გარდაუვალობაზე. **2**

პირველ შემთხვევაში, პირობა შესრულებულად ითვლება, თუკი **განსაზღვრული ვადის** განმავლობაში მოვლენა არ დადგება (94 I 1), მაგალითად, თუ ავტომანქანის დაზღვევის ხელშეკრულებით ავტომობილის მესაკუთრე პირველი ორი წლის განმავლობაში არ მოახდენს ავარიას, მას სადაზღვევო პრემია გაუნახევრდება. ე.ი. გადამწყვეტია, რომ ხელშეკრულების დადებიდან ორი წლის მანძილზე ავტომობილის მესაკუთრეს არ მოუვიდეს ავარია – **პირობით გათვალისწინებული მოვლენა არ დადგეს.** **3**

მეორე შემთხვევაში გადამწყვეტია ის, თუ რამდენად **შეუძლებელია მოვლენის დადგომა** ვადის გასვლის მიუხედავად (94 I 2). მაგალითად, თუკი ავტომანქანის მესაკუთრე ერთი წლის შემდეგ გაყიდის ავტომანქანას, შეუძლებელი იქნება სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის შესრულება, რომ მან ორი წლის განმავლობაში ავარიის გარეშე ატაროს **4**

1 შდრ. *Bork,* in Staudinger BGB, 2003, § 158 Rn. 15.

ავტომანქანა.

5 მესამე შემთხვევაში ვადა საერთოდ არ არის განსაზღვრული და პირობის შესრულება მთლიანად დამოკიდებულია **მოვლენის დადგომის შეუძლებლობაზე** (94 II).

III. სამართლებრივი შედეგი

6 პირობით გათვალისწინებული მოვლენის დაუდგომლობა უფლებამოსილ პირს ანიჭებს **გარიგებით გათვალისწინებული სიკეთის მიღების უფლებას.** მაგალითად, თუ ავტომანქანის მესაკუთრეს ორი წლის განმავლობაში არ ჰქონდა ავარია, მას უფლება აქვს სადაზღვევო კომპანიისაგან მოითხოვოს სადაზღვევო პრემიის განახევრება.

7 ყველა სხვა შემთხვევაში სამართლებრივი შედეგები ისეთივეა, როგორც 93-ე მუხლით გათვალისწინებული პოზიტიური პირობის დადგომისას.

მუხლი 95. პირობის დადგომაზე ზემოქმედების დაუშვებლობა

1. იმ პირს, რომელმაც განსაზღვრული პირობით დადო გარიგება, არა აქვს უფლება პირობის დადგომამდე შეასრულოს რაიმე ისეთი მოქმედება, რომელსაც შეუძლია ხელი შეუშალოს მისი ვალდებულების შესრულებას.

2. თუ პირობა დგება განსაზღვრულ დროს და პირს უკვე შესრულებული აქვს ასეთი მოქმედება, მაშინ იგი ვალდებულია მეორე მხარეს აუნაზღაუროს ამგვარი მოქმედებით წარმოშობილი ზიანი.

I. ნორმის მიზანი და გამოყენების სფერო 541
1. ზოგადი დებულებანი 541
2. განსხვავება სხვა ინსტიტუტებისაგან 542
II. გამოყენების წინაპირობა 542
1. გარიგებით ნაკისრი ვალდებულება 542
2. ხელშემშლელი მოქმედების შესრულება (95 I მუხლი) 543
III. სამართლებრივი შედეგი (95 II მუხლი) 543
IV. მტკიცების ტვირთი 544

I. ნორმის მიზანი და გამოყენების სფერო

1. ზოგადი დებულებანი

პირობითი გარიგებით გათვალისწინებული პირობის დადგომამდე არსებობს გაურკვევლობა და ბუნდოვნობა პირობის დადგომასთან დაკავშირებით. ამ ვითარებას ლიტერატურაში **გარდამავალი მდგომარეობა** ეწოდება.[1] ეს მდგომარეობა გარიგების ყველა მონაწილეს ეხება და ის მათთვის სამართლებრივ არასტაბილურობას იწვევს. მაგალითად, პირობადებული საკუთრების (188-ე მუხლი) დროს გამყიდველი ფორმალურად კვლავ მესაკუთრედ რჩება, მაგრამ ნივთი მყიდველის მფლობელობაშია, რომელიც ჯერ კიდევ არ გამხდარა მესაკუთრე. გამყიდველს აქვს ნასყიდობის ფასის მიუღებლობის საფრთხე, ხოლო მყიდველს – გამყიდველისაგან ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნის რისკი.[2] **1**

95-ე მუხლის თანახმად, მიუხედავად **გარდამავალი მდგომარეობის** არსებობისა, **პირობითი გარიგების მონაწილეებს ეკისრებათ** გარიგებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება და ეკრძალებათ ისეთი მოქმედების განხორციელება, რომელმაც შეიძლება გარიგების შესრულება ეჭვქვეშ დააყენოს. პირობითი გარიგება მის მონაწილეებს რაიმე შეღავათებს არ ანიჭებს და მათ არ ათავისუფლებს ნაკისრი ვალდებულებისაგან. **2**

95-ე მუხლი **იცავს იმ პირს,** ვინც პირობითი გარიგებისაგან უნდა მიიღოს სარგებელი და მის მიღებას შეიძლება ხელი შეუშალოს გარიგების მეორე **3**

1 გერმანულ სამართალში ეწოდება მერყევი მდგომარეობა (Schwebezustand). შდრ. *Medicus,* BGB AT, 10. Aufl., 2010, Rn. 841; *Rüthers/Stadler,* Allgemeiner Teil des BGB, 16. Aufl. § 20 Rn. 18.

2 დაწვრილებით პირობადებული საკუთრების შესახებ იხ. *ჭანტურია,* კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, 2012, გვ. 166-181.

მონაწილის მიერ ვალდებულების შესრულებისათვის საფრთხის შემცველი მოქმედების განხორციელებამ.[3] მაგალითად, პირობადებული საკუთრების დროს მყიდველის მიერ ნივთის გასხვისება ნასყიდობის ფასის სრულად გადახდის გარეშე.

2. განსხვავება სხვა ინსტიტუტებისაგან

4 **95-ე მუხლი განსხვავდება 98-ე მუხლისაგან,** რომელიც აწესრიგებს გარიგების მონაწილეების მიერ პირობის დადგომის დაბრკოლების ან დადგომის ხელშეწყობისას **არაკეთილსინდისიერი ზემოქმედების** საკითხებს. 95-ე მუხლის მიხედვით თავიდან უნდა იქნეს აცილებული ისეთი ვითარება, როცა პირობა დგება, მაგრამ ამ პირობის დადგომას რაიმე შედეგი უკვე აღარ მოჰყვება, რადგან, მაგალითად, გამყიდველმა უკვე გაასხვისა შეპირებული ნივთი, რომელიც მას პირობის დადგომისას გარიგების მეორე მონაწილისათვის უნდა გადაეცა. 98-ე მუხლის თანახმად კი, პირობის დადგომაზე ხდება არაკეთილსინდისიერად ზემოქმედება.

5 95-ე მუხლი ეხება პირობითი გარიგებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულებას და მათი დარღვევის მოსალოდნელ სამართლებრივ შედეგებს ზიანის ანაზღაურების სახით. 98-ე მუხლის მიხედვით კი, პირობა არ ჩაითვლება დამდგარად, თუკი მისი დადგომა არაკეთილსინდისიერმა ზემოქმედებამ გამოიწვია.

II. გამოყენების წინაპირობა

1. გარიგებით ნაკისრი ვალდებულება

6 პირობითი გარიგებით **ნაკისრი ვალდებულება,** გარდამავალი მდგომარეობის მიუხედავად, **უცვლელი რჩება.** გარიგების მონაწილეს ეკრძალება რაიმე ისეთი მოქმედების შესრულება, რამაც შეიძლება ვალდებულების შესრულება გაართულოს ან საერთოდ შეუძლებელი გახადოს.

7 პირობითი გარიგება ჩვეულებრივი გარიგებაა, რომლის **მონაწილეებმა უნდა შეასრულონ აღებული ვალდებულებები.** მაგალითად, პირობადებული საკუთრების დროს მყიდველმა უნდა გადაიხადოს ნასყიდობის ფასი, ხოლო გამყიდველმა უნდა გადასცეს საკუთრება ნასყიდობის საგანზე.

8 გარიგებით ნაკისრი **ვალდებულება შეიძლება განსხვავებული იყოს** იმის მიხედვით, გარიგება დადებულია გადადების პირობით თუ გაუქმების პირობით. მაგალითად, გადადების პირობით იქნება გარიგება დადებული მაკლერსა და ბინის გამყიდველს შორის, თუკი ამ უკანასკნელმა მაკლერს პროვიზია მხოლოდ ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ უნდა გადაუხადოს. ხელშემშლელი მოქმედება იქნება, თუკი ნასყიდობის ხელშეკრულებაში ბინის ნასყიდობის ფასი ხელოვნურად შემცირდება, რათა მაკლერს ნაკლები პროვიზია გადაუხადოს.

3 შდრ. *Rüthers/Stadler,* Allgemeiner Teil des BGB, 16. Aufl. § 20 Rn. 19.

2. ხელშემშლელი მოქმედების შესრულება (95 I მუხლი)

95 I მუხლი არ შეიცავს **აკრძალული მოქმედებების ჩამონათვალს,** რომელთაც შეიძლება გარიგებიდან წარმოშობილი ვალდებულებების შესრულებას შეუშალონ ხელი.[4] ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში კონკრეტული გარიგების განმარტებით უნდა დადგინდეს, თუ რაში გამოიხატება დარღვევა. 9

ხელშემშლელი მოქმედება შესაძლოა იყოს **მრავალგვარი.** მაგალითად, პირობადებული საკუთრების დროს ეს შეიძლება გამოიხატოს პირობადებული მყიდველის მიერ ნივთის **განკარგვაში,** ვიდრე ის სრულად გადაიხდის ნასყიდობის საფასურს, ანდა პირობადებული გამყიდველის მიერ ნასყიდობის საგნის, რომლის საკუთრება ჯერ კიდევ მას რჩება, მესამე პირისათვის მიყიდვაში და ა.შ. 10

ვალდებულების დარღვევა შეიძლება ასევე გამოიხატოს იმ **თანხის გახარჯვაში**, რომელიც პირობის დადგომისას უნდა გადაეხადა ვალდებულ პირს მეორე მხარისათვის. 11

გადამწყვეტია, რომ ხელშემშლელი **მოქმედება ხორციელდება გარდამავალი მდგომარეობის დროს** და გარიგებით გათვალისწინებული პირობის დადგომამდე. 12

III. სამართლებრივი შედეგი (95 II მუხლი)

95-ე მუხლი არ მიუთითებს ვალდებულების დარღვევით განხორციელებული ქმედების ბათილობაზე, როგორც სამართლებრივ შედეგზე.[5] უფლებამოსილ პირს ენიჭება **ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.** 13

იმის მიხედვით, გარიგება დადებულია გადადების პირობით (96-ე მუხლი) თუ გაუქმების პირობით (97-ე მუხლი), **სამართლებრივი შედეგი,** გარდამავალი მდგომარეობის პერსპექტივიდან გამომდინარე, შეიძლება **განსხვავებული იყოს.** 14

გადადების პირობით დადებული გარიგება დადებისთანავე არის დასრულებული. ამიტომ გარიგებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება მხარეებისათვის სავალდებულოა. მხოლოდ გარიგებით გათვალისწინებული შედეგის დადგომა არის პირობის დადგომამდე გადადებული.[6] მაგალითად, პირობადებული საკუთრების დროს ფასის საბოლოო გადახდამდე არ გადადის საკუთრება შემძენზე. გარიგების მონაწილეს 95 II მუხლის მიხედვით მეორე მონაწილისაგან შეუძლია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, თუკი მისმა მოქმედებამ ხელი შეუშალა ან საერთოდ ჩაშალა პირობაზე დამოკიდებული უფლების წარმოშობა, მაგალითად, საკუთრების გადასვლა პირობადებულ მყიდველზე. 15

4 გერმანიის სამოქალაქო კოდექსის § 161 კონკრეტულად არის განმტკიცებული განკარგვის ბათილობა, რომელიც განხორციელდა მერყევი მდგომარეობის დროს.

5 განსხვავებით გერმანიის სამოქალაქო კოდექსის § 161, რომელიც განხორციელებულ განკარგვებს ბათილად მიიჩნევს.

6 შდრ. *Röverkamp,* in Beck OK BGB, 28. Aufl. Stand 01.08.2013, § 158 Rn. 20.

16 **გაუქმების პირობით დადებული გარიგების** სამართლებრივი შედეგი დგება დაუყოვნებლივ, მაგრამ წყდება (უქმდება) გაუქმების პირობის დადგომისთანავე და აღდგება პირვანდელი მდგომარეობა.[7] მაგალითად, ვალის დაბრუნებით მოგირავნე კარგავს გირავნობის უფლებას მესამე პირის კუთვნილ გირავნობის საგანზე და მის მფლობელობაში არსებული ნივთი უნდა დაუბრუნოს მესაკუთრეს. იმ პირს, ვინც გაუქმების პირობით დადებული გარიგებით შეიძინა რაიმე უფლება, ეკრძალება რაიმე ისეთი მოქმედების განხორციელება, რომელიც შეუძლებელს გახდის ამ უფლების დაბრუნებას, თუკი დადგება გაუქმების პირობა. მაგალითად, მოგირავნეს, რომელმაც ვალის დაბრუნებისთანავე უნდა დაუბრუნოს გირავნობის საგანი დამგირავებელს, არა აქვს უფლება გირავნობის განმავლობაში მის მფლობელობაში არსებული ნივთი გადაამუშაოს ან გაასხვისოს. რადგან ნივთის რეალურად დაბრუნება შეუძლებელი გახდება, მან, 95 II მუხლის თანახმად, უნდა აანაზღაუროს მიყენებული ზიანი.

IV. მტკიცების ტვირთი

17 გარიგებით გათვალისწინებული უფლების წარმოშობის ხელშემშლელი ან ჩამშლელი **მოქმედების ჩადენის მტკიცების ტვირთი** ეკისრება გარიგების იმ მონაწილეს, რომლის უფლებაც დაირღვა.

18 გარდა ამისა, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის არსებობის დასამტკიცებლად **ზიანის არსებობის ფაქტი** უნდა დაამტკიცოს იმ პირმა, ვისაც ზიანი მიადგა 95 I მუხლით გათვალისწინებული ქმედების შედეგად.

7 შდრ. *Röverkamp*, in Beck OK BGB, 28. Aufl. Stand 01.08.2013, § 158 Rn. 23.

მუხლი 96. გარიგება გადადების პირობით

გარიგება გადადების პირობით დადებულად ითვლება, თუ გარიგებით გათვალისწინებული უფლებებისა და მოვალეობების წარმოშობა დამოკიდებულია სამომავლო და უცნობ მოვლენაზე, ანდა ისეთ მოვლენაზე, რომელიც უკვე დამდგარია, მაგრამ მხარეთათვის ჯერ კიდევ უცნობია.

I. ცნება და გამოყენების სფერო 545
II. გამოყენების წინაპირობები 545
1. გადადების პირობის განსაზღვრა 545
2. პირობის დადგომის შედეგები 546

I. ცნება და გამოყენების სფერო

96-ე მუხლი შეიცავს **გადადების პირობით დადებული გარიგების დეფინიციას** და აკონკრეტებს 90-ე მუხლის შინაარსს. 1

გარდა ამისა, 96-ე მუხლი კავშირშია 97-ე მუხლთან და ერთობლივად განსაზღვრავენ **პირობის დადგომის სამართლებრივ შედეგებს.** 2

გარიგება გადადების პირობითაა დადებული, თუკი გარიგებით გათვალისწინებული უფლებებისა და მოვალეობების წარმოშობა დამოკიდებულია პირობის დადგომაზე.[1] მაგალითად, გადადების პირობით დადებულად ჩაითვლება შეთანხმება მაკლერის პროვიზიის გადახდაზე ბინის მყიდველის მიერ ფასის სრულად გადახდის შემდეგ. 3

II. გამოყენების წინაპირობები

1. გადადების პირობის განსაზღვრა

გარიგება გადადების თუ გაუქმების პირობით არის დადებული, როგორც წესი, თვით გარიგებიდან გამომდინარეობს, თუმცა გარიგების მონაწილეებმა შეიძლება ამაზე პირდაპირ არ მიუთითონ. ასეთ შემთხვევაში **პირობითი გარიგების სახე განმარტებით უნდა დადგინდეს.** გამიჯვნა ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება რთული იყოს. ის, რაც ერთი მხარისათვის გაუქმების პირობას წარმოადგენს, შეიძლება მეორე მხარისათვის გადადების პირობა იყოს, მაგალითად, ხელფასის აღება მოვალის მიერ მისთვის არის გაუქმების პირობა (ვალის დაბრუნება და სესხის ხელშეკრულების გაუქმება), ხოლო კრედიტორისათვის (გამსესხებლისათვის) – გადადების პირობა (ხელფასის აღებისთანავე მას წარმოეშობა ვალის დაბრუნების მოთხოვნის უფლება).[2] 4

გარიგების მონაწილეებმა პირობად შეიძლება დათქვან **სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებაც,** მაგალითად, ფასის გადახდა პირობადებული საკუთრების დროს.[3] პირობა შეიძლება ასევე განისაზღვროს **წინარე ხელშე-** 5

1 *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 412.
2 იქვე, გვ. 413.
3 შდრ. *Röverkamp,* in Beck OK BGB, 28. Aufl. Stand 01.08.2013, § 158 Rn. 7.

კრულებაში.[4] გადამწყვეტია, რომ ყველა ამ შემთხვევაში საუბარია **სამომავლო და უცნობ მოვლენაზე** 90-ე მუხლის თანახმად.

6 **გამონაკლისის სახით** შესაძლებელია პირობად ისეთი მოვლენის განსაზღვრაც, „რომელიც უკვე დამდგარია, მაგრამ მხარეთათვის ჯერ კიდევ უცნობია".[5] ეს აიხსნება იმით, რომ გარიგების მონაწილეები ყოველ პირობას მათი ობიექტური ცოდნის ფარგლებში განსაზღვრავენ და შედეგებსაც მას უკავშირებენ.[6] არსებობს მოსაზრება, რომ ეს ეწინააღმდეგება პირობის ბუნებას, რომლისთვისაც მომავლის ფაქტორი გადამწყვეტია.[7]

2. პირობის დადგომის შედეგები

7 გადადების პირობის დადგომით უფლებამოსილ პირს წარმოეშობა **შესრულების მოთხოვნის უფლება** და **პირობით განსაზღვრული შედეგი დგება,** მაგალითად, პირობადებული საკუთრების დროს ნასყიდობის ფასის სრულად გადახდის შემდეგ (ე.ი. პირობის დადგომა) საკუთრება მთლიანად გადადის შემძენზე.[8]

8 გადადების პირობით გათვალისწინებული შედეგი დგება **სამომავლოდ:** პირობადებული შემძენი მესაკუთრე ხდება ნასყიდობის ფასის გადახდის მომენტიდან და არა ნასყიდობის ხელშეკრულების დადებიდან.[9]

9 შედეგის გამომწვევი პირობა დადგა თუ არა, უნდა გადაწყდეს **განმარტების** შედეგად, რადგან არცთუ იშვიათად ეს დამოკიდებულია სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებასთან. მაგალითად, გირავნობის საგნის რეალიზაციის უფლების წარმოშობა დამოკიდებულია იმაზე, დააბრუნა თუ არა მოვალემ სესხი დადგენილ დროში.

4 შდრ. *Röverkamp,* in Beck OK BGB, 28. Aufl. Stand 01.08.2013, § 158 Rn. 7.
5 გერმანულ სამართალში ეს არ მიიჩნევა პირობად. შდრ. *Röverkamp,* in Beck OK BGB, 28. Aufl. Stand 01.08.2013, § 158 Rn. 3.
6 *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 413.
7 *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 393-394.
8 შდრ. *Medicus*, Medicus, BGB AT, 10. Aufl., 2010, Rn. 839.
9 შდრ. *Medicus,* Medicus, BGB AT, 10. Aufl., 2010, Rn. 839.

მუხლი 97. გარიგება გაუქმების პირობით

გარიგება გაუქმების პირობით დადებულად ითვლება, როცა ამ პირობის დადგომა იწვევს გარიგების შეწყვეტას და აღადგენს გარიგების დადებამდე არსებულ მდგომარეობას.

I. ზოგადი დებულება

97-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში სამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშობა გარიგების დადებისთანავე. პირობის დადგომა იწვევს ამ ურთიერთობის შეწყვეტას.[1] მაგალითად, ბინის გაქირავება იმ პირობით, რომ გამქირავებლის შვილის დაქორწინების შემთხვევაში დამქირავებელი გაათავისუფლებს ბინას. დაქორწინება ამ შემთხვევაში იწვევს ბინის ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტას. **1**

II. სამართლებრივი შედეგი

გაუქმების პირობის დადგომა იწვევს **გარიგებით გათვალისწინებული ურთიერთობის შეწყვეტას** და **პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას.** ამით ის განსხვავდება გადადების პირობით დადებული გარიგებისაგან. მაგალითად, მოვალის მიერ სესხის დაბრუნება გამსესხებლისათვის იწვევს გირავნობის უფლების შეწყვეტას და მოგირავნე ვალდებულია მის მფლობელობაში არსებული მოძრავი ნივთი დამგირავებელს დაუბრუნოს. **2**

ჩვეულებრივ გაუქმების პირობის დადგომა ავტომატურად იწვევს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება ამისთვის **დამატებითი მოქმედებები** გახდეს საჭირო. მაგალითად, თუ სესხის ხელშეკრულება შეწყდა შესრულებით, ეს ავტომატურად არ იწვევს ამ ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად დადებული საბანკო გარანტიის ხელშეკრულების შეწყვეტას.[2] **3**

გადადების პირობით დადებული გარიგების მსგავსად გაუქმების პირობაც **მოქმედებს სამომავლოდ** და მას **უკუქცევითი ძალა არა აქვს.**[3] ეს იმას ნიშნავს, რომ პირობის დადგომამდე, მაგალითად, გირავნობის საგნის მფლობელობა ან სარგებლობა მართლზომიერი იქნება. თუმცა უკუქცევითი ძალის შესახებ გარიგების მონაწილეები შეიძლება შეთანხმდნენ, მაგალითად, სარგებლობის ხარჯების ანაზღაურების თაობაზე. **4**

1 *ზოიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ.97, გვ. 264.
2 *ჭანტურია*, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, 2012, გვ. 233.
3 შდრ. *Medicus,* BGB AT, 10. Aufl., 2010, Rn. 840.

მუხლი 98. კეთილსინდისიერების მნიშვნელობა პირობის დადგომისას

1. თუ პირობის დადგომა არაკეთილსინდისიერად დააბრკოლა მხარემ, რომლისთვისაც პირობის დადგომა ხელსაყრელი არ არის, პირობა დამდგარად ჩაითვლება.

2. თუ პირობის დადგომას არაკეთილსინდისიერად შეუწყო ხელი მხარემ, რომლისთვისაც პირობის დადგომა ხელსაყრელია, პირობა დამდგარად არ ჩაითვლება.

I. ნორმის მიზანი და გამოყენების სფერო 548
II. გამოყენების წინაპირობები 548
III. სამართლებრივი შედეგი 549

I. ნორმის მიზანი და გამოყენების სფერო

1 98-ე მუხლი წარმოადგენს 8 III მუხლში განმტკიცებული **კეთილსინდისიერების ვალდებულების** დარღვევის ერთ კონკრეტულ გამოვლინებას.

2 **ნორმის მიზანი** არის იმ პირის ინტერესების დაცვა, ვისი უფლებებიც შეილახა იმის გამო, რომ გარიგების მეორე მონაწილემ არაკეთილსინდისიერად შეუწყო ხელი პირობის დადგომას ან არაკეთილსინდისიერად შეუშალა ხელი პირობის დადგომას.

3 98-ე მუხლი **შეიცავს ორ შემადგენლობას,** რომელთაგან ერთი ეხება გადადების პირობით დადებულ გარიგებას (98 I), ხოლო მეორე – გაუქმების პირობით დადებულ გარიგებას (98 II).

4 გადადების პირობით დადებულ გარიგებასთან მიმართებაში 98 I მუხლი დაუშვებლად მიიჩნევს **პირობის დადგომის არაკეთილსინდისიერ დაბრკოლებას** იმ პირის მიერ, რომელსაც არ აწყობს პირობის დადგომა. მაგალითად, პირობადებული საკუთრების შემთხვევაში გამყიდველის მიერ თავის არიდება იმ თანხის მიღებისაგან, რომელიც გადაიხადა მყიდველმა ნასყიდობის ფასის ანგარიშში. ამით გამყიდველი აბრკოლებს პირობის დადგომას, რომელიც იწვევს საკუთრების გადასვლას მისგან შემძენზე.

5 გაუქმების პირობით დადებულ გარიგებასთან დაკავშირებით 98 II მუხლი კრძალავს **პირობის დადგომის არაკეთილსინდისიერ ხელშეწყობას** იმ მხარის მიერ, რომელსაც არ აწყობს პირობის დადგომა. მაგალითად, ხანძრის გაჩენა განზრახ იმ მიზნით, რომ დამზღვევმა სადაზღვევო კომპანიისაგან მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება.

II. გამოყენების წინაპირობები

6 ნორმის გამოყენების წინაპირობა არის გარიგების ერთ-ერთი მონაწილის მიერ **ზემოქმედების მოხდენა პირობის დადგომაზე ან მის დაუდგომლობაზე.** უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი ზემოქმედებასა და პირობის დადგომას ან მის არდადგომას შორის. მხოლოდ ზემოქმედების მცდელობა არ არის საკმარისი.[1]

1 შდრ. *Röverkamp,* in Beck OK BGB, 28. Aufl. Stand 01.08.2013, § 162 Rn. 3.

უმოქმედობა მხოლოდ მაშინ ჩაითვლება ზემოქმედებად, თუკი გარიგების მხარეს ეკისრებოდა გარკვეული მოქმედების განხორციელების ვალდებულება, რომელიც მან არ შეასრულა. მაგალითად, გარიგების ერთ-ერთმა მხარემ არაფერი გააკეთა იმისათვის, რომ მას მიეღო საექსპორტო ლიცენზია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესასრულებლად. **7**

98-ე მუხლი გამოიყენება მხოლოდ მაშინ, როცა **ზემოქმედება არის არაკეთილსინდისიერი.** მაგალითად, ნარდობის ხელშეკრულების შეწყვეტა შემკვეთის მიერ პირობის დადგომამდე ერთი დღით ადრე.[2] **8**

III. სამართლებრივი შედეგი

98-ე მუხლით გათვალისწინებული წინაპირობების არსებობისას ამოქმედდება **იურიდიული ფიქცია,** რომელიც ორ სამართლებრივ შედეგში გამოიხატება: **9**

პირველი, **პირობა ჩაითვლება დამდგარად,** თუნდაც ის სინამდვილეში არ იყოს დამდგარი, თუკი ამ პირობის დადგომა არაკეთილსინდისიერად დაბრკოლდა. მაგალითად, პირობადებული საკუთრების დროს გამყიდველი არ იღებს მყიდველის მიერ გადახდილ თანხას.

მეორე, **პირობა არ ჩაითვლება დამდგარად,** თუნდაც ის ფაქტობრივად დამდგარი იყოს, თუკი ამ შემთხვევაშიც არაკეთილსინდისიერად მოხდა პირობის დადგომის ხელშეწყობა, მაგალითად, ხანძრის ხელოვნურად გაჩენა დამზღვევის მიერ.

2 შდრ. *Röverkamp,* in Beck OK BGB, 28. Aufl. Stand 01.08.2013, § 162 Rn. 6.1.

თავი მეექვსე
თანხმობა გარიგებებში

მუხლი 99. ცნება

1. თუ გარიგების ნამდვილობა დამოკიდებულია მესამე პირის თანხმობაზე, მაშინ როგორც თანხმობა, ასევე მასზე უარი შეიძლება გამოითქვას როგორც ერთი, ისე მეორე მხარის წინაშე.

2. თანხმობას არ სჭირდება გარიგებისათვის დადგენილი ფორმის დაცვა.

3. თუ გარიგება, რომლის ნამდვილობაც დამოკიდებულია მესამე პირის თანხმობაზე, დადებულია მისი თანხმობით, მაშინ შესაბამისად გამოიყენება 66-ე მუხლის მე-2 და მე-3 წინადადებები.

I. ზოგადი დებულებები 551
1. ნორმის მიზანი და შინაარსი 551
2. გამოყენების სფერო 552
ა) პირობითი გარიგებები 553
ბ) გარიგებისმიერი თანხმობასავალდებულობის შეუძლებლობა 553
აა) საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა 554
ბბ) სასამართლო პრაქტიკის კრიტიკა 554
გ) თანხმობა, როგორც ვალდებულების შინაარსის ნაწილი 555
დ) ადმინისტრაციული ორგანოს თანხმობა 555
3. ტერმინოლოგიური საკითხი 557
II. თანხმობის გაცხადება, 99 I 557
1. თანხმობის ადრესატი 557
2. თანხმობა რამდენიმე გარიგებასთან დაკავშირებით 558
3. კონკლუდენტური ნების გამოხატვა 560
4. დუმილი 560
5. ნების ნაკლი და არანამდვილობის სხვა მიზეზები 561
ა) უფლების ბოროტად გამოყენება 561
ბ) შეცილება 561
III. თანხმობის ფორმა, 99 II 562
1. ფორმის თავისუფლების პრინციპი 562
2. ფორმასავალდებულო თანხმობა 563
IV. თანხმობაზე უარი 564
V. თანხმობა ცალმხრივ გარიგებაზე, 99 III 564
1. თანხმობის გარეშე დადებული ცალმხრივი გარიგების არანამდვილობა 564
2. მეორე მხარის უარი ცალმხრივ გარიგებაზე 565

I. ზოგადი დებულებები

1. ნორმის მიზანი და შინაარსი

თანხმობა წარმოადგენს თავისთავად, **დამოუკიდებელ აბსტრაქტულ** (მუხ. 50, მე-20 ველი) გარიგებას, რომლის ნამდვილობაც დამოუკიდებელია მესამე პირის მიერ დადებული გარიგებისგან ან მის მიერ განხორციელებული განკარგვისაგან. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ თანხმობა ფორმალური თვალსაზრისით თანხმობასავალდებულო გარიგების ნამდვილობის წინაპირობაა, ფუნქციურად ის მაინც მხოლოდ **„დამხმარე გარიგების“** სტატუსს ატარებს.[1] ანუ მას არ აქვს თავისი მატერიალურ-სამართლებრივი შინაარსი და ემსახურება მხოლოდ **მთავარი გარიგებისათვის** ნამდვილობის მინიჭებას.[2] 1

თანხმობის გარეშე დადებული თანხმობასავალდებულო გარიგება, ჩვეულებრივ, **მერყევად ბათილია**[3] (იხ. მუხ. 54 მე-10 ველი), ხოლო, თუ ცალმხრივ გარიგებას ეხება საქმე, ძირითადად, საბოლოოდ ბათილი (45-ე ველი, მუხ. 101 9-12-ე ველები). 99-102-ე მუხლები შეიცავენ ზოგად წესებს, თუ ვის წინაშე და რა ფორმით უნდა მოხდეს მესამე პირის თანხმობის (თანხმობაზე უარის) გაცხადება, რომლის გარეშეც ეს მთავარი გარიგება ვერ იქნება ნამდვილი. ორ პირს შორის დადებული გარიგების ნამდვილობის მესამე პირის თანხმობაზე დამოკიდებულად მიჩნევის საფუძველი შეიძლება იყოს მისი **პირადი ინტერესი** ამ გარიგებაში, ან მთავარ გარიგებაში ჩართული პირის ზედამხედველობის უფლება.[4] 2

თანხმობა არის **ცალმხრივი გარიგება,** რომელიც დადებულია ნების გამოხატვის მეორე მხარესთან მისვლის მომენტიდან და ამ კუთხით იგი უნდა მოვიაზროთ 51-ე მუხლის მოქმედების სფეროში მოქცეულ ცალმხრივ გარიგებათა ოჯახში.[5] მიღებასავალდებულობასთან დაკავშირებით არაფერი იცვლება მაშინაც კი, როდესაც ნოტარიალურად დამოწმებული, თუმცა 111-ე მუხლის მიხედვით, მერყევად ბათილი გარიგების მოწონება ხდება ასევე ნოტარიალური ფორმით.[6] თანხმობა **არ საჭიროებს** მეორე მხარის მიერ მის **აქცეპტირებას.** მის მიმართ ძალაში რჩება ასევე სხვა, ცალმხრივი **მიღებასავალდებულო გარიგების** მიმართ მოქმედი დანაწესები. ეს ეხება განსაკუთრებით **ქმედუნარიანობის, ნების ნაკლის, შეცილების, კონვერსიისა** და **დადასტურების** შესახებ წესებს, თუ სხვა წესს არ შეიცავენ უპირატესად გამოსაყენებელი 99-102-ე მუხლები. 3

საკითხი, წარმოადგენს თუ არა თანხმობა მისი განმცხადებლისათვის 4

1 Müko/*Bayreuther,* BGB, 7. Aufl. 2015, § 182 Rn. 2.

2 *ჭანტურია,* შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, 2000, გვ. 395-396.

3 *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 403.

4 *Bub,* in Beck OK BGB, 39. Aufl., 2016, § 182 Rn. 1.

5 *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 403; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2001 წლის 26 ოქტომბრის განჩინება №3კ/613-01.

6 OLG Karlsruhe NJW 1988, 2050.

მე-15 მუხლის გაგებით მხოლოდ **უფლებრივი სარგებლის** მომტან გარიგებას,[7] უნდა გადაწყდეს იმ გარიგების **სამართლებრივი შედეგების** მიხედვით, რომლის ნამდვილობისათვისაც მოხდა თანხმობის გაცხადება. სხვაგვარადაა საქმე, როდესაც თანხმობის განმცხადებელი მხოლოდ მოჩვენებითი უფლებამოსილების მქონეა. ამ შემთხვევაში მთავარი გარიგების შედეგები ეხება მხოლოდ ნამდვილად უფლებამოსილ პირს და თანხმობა მაშინაც კი ნამდვილია მე-15 მუხლის მიხედვით, როდესაც დათანხმებული შეზღუდულად ქმედუნარიანია.

2. გამოყენების სფერო

5 გარიგების თანხმობასავალდებულობა, როგორც ის 99-102-ე მუხლებშია მოწესრიგებული, სრულად შეესატყვისება **კერძო ავტონომიის პრინციპს.**[8] მხოლოდ არასრულწლოვანს სჭირდება გარიგების დადებისათვის ზოგადად თანხმობის ქონა, რადგან მართლწესრიგი მას სრულად არ ანიჭებს კერძო ავტონომიით სარგებლობის შესაძლებლობას. სხვა შემთხვევაში (კანონისმიერი) თანხმობის აუცილებლობა, ჩვეულებრივ, განპირობებულია იმით, რომ გარიგება არა მხოლოდ მისი მონაწილეების, არამედ ასევე მესამე პირების სამართლებრივ სფეროს ეხება და არავინ შეიძლება დათმოს ან მიიღოს სამართლებრივი პოზიციები ისე, რომ მას ეს არ უნდოდეს, რაც ასევე კერძო ავტონომიის პრინციპის გამოვლინებაა.

6 99-102-ე მუხლები მოქმედებს იმ შემთხვევებში, როდესაც ხელშეკრულებებისა და ცალმხრივი გარიგებების ნამდვილობა **კანონის ძალით** დამოკიდებულია მესამე პირთა თანხმობაზე.[9] ამის მაგალითს წარმოადგენს **შეზღუდულად ქმედუნარიანის** მიერ დადებული გარიგება (63-ე და შემდეგი მუხლები), **არაუფლებამოსილი წარმომადგენლის** მიერ დადებული გარიგების მოწონება (111-ე და შემდგომი მუხლები), არაუფლებამოსილი პირის მიერ საგნის განკარგვის ნებართვა ან მოწონება (102), კრედიტორის თანხმობა ვალის გადაკისრებასთან დაკავშირებით (204). თანხმობას საჭიროებს ასევე გარიგება 114-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში, როდესაც პირი მას **საკუთარ თავთან** დებს.[10] განსხვავებით არაუფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ დადებული გარიგების მოწონებისაგან, რწმუნებულების მინიჭება არ წარმოადგენს თანხმობას 99-ე და შემდგომი მუხლების გაგებით, ის არის დამოუკიდებელი სამართლებრივი ფიგურა, რომელიც ამომწურავად არის მოწესრიგებული 103-ე და შემდგომ მუხლებში.[11]

---

7 *ზოიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, 2002, მუხ. 99, გვ. 48.

8 *Flume,* Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts II, 3. Aufl., 1979, 886.

9 *Bub,* in Beck OK BGB, 39. Aufl., 2016, § 182 Rn. 3; ზოიძე, ჭანტურია/ახვლედიანი/ზოიძე/ჯორბენაძე (რედ.), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, 99-ე მუხლი, გვ. 267.

10 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 08 ივლისის განჩინება № ას-543-516-2013.

11 *Flume,* Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts II, 3. Aufl., 1979, 889; შდრ. განსხვავებული პოზიცია *ზოიძე,*სკ-ის კომენტარი, წიგნი I, 2002, მუხ. 99, გვ. 271; *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 406.

თანხმობად ხშირად მოიხსენიება მთავარი გარიგების ერთ-ერთი მონაწილის მოქმედება უშუალოდ ამ გარიგების ფარგლებში, რომელიც მისი დადების შემდეგ ხდება. ამის მაგალითს წარმოადგენს ნასყიდობა მოწონების პირობით (520), გარიგების დადასტურება (61 II, III), გადაწყვეტილებებთან დაკავშირებული თანხმობა (934 I, 956) და რამდენიმე საფეხურიანი სამართლებრივი აქტის მონაწილეთა თანხმობა ამ აქტის განხორციელებისას (1247 და შემდგომი მუხლები). ეს ყველაფერი არ წარმოადგენს თანხმობას 99-102-ე მუხლების (ტექნიკური) გაგებით, ისევე როგორც თანხმობა, რომლის გაუცემლობის ეფექტიც გარიგების მონაწილესა და მესამე პირს შორის არსებული ურთიერთობის ფარგლებით ამოიწურება (მაგ., თანხმობა ქვექირავნობაზე, 549).[12] **7**

ა) პირობითი გარიგებები

გარიგების ძალით სხვა პირებს შორის დადებული გარიგების თანხმობასავალდებულოდ ქცევა შესაძლებელია ამ თანხმობის აუცილებლობის, როგორც კონკრეტული გარიგების გადადების პირობად (96) მიჩნევის მეშვეობით[13] – ბინის მესაკუთრე მზად არის მიაქირავოს ის პიანისტს რეპეტიციისათვის, თუ ზედა მეზობელი იქნება თანახმა. ამ შემთხვევაში სახეზეა არა თანხმობა 99-102 მუხლების გაგებით, არამედ პირობითი გარიგება (90-98 მუხლები).[14] **8**

ბ) გარიგებისმიერი თანხმობასავალდებულობის შეუძლებლობა

ამისგან განსხვავებით, მხარეთა შორის კერძოსამართლებრივი შეთანხმებით გარიგების თანხმობასავალდებულობის დაწესება შეუძლებელია, ამიტომაც არსებობს **მხოლოდ კანონისმიერი** და **არა გარიგებისმიერი** თანხმობასავალდებულობა.[15] გარდა ამისა, გენერალური შეთანხმება, რომ პირის მიერ დადებული ყველა სამომავლო გარიგების ნამდვილობა დამოკიდებული იქნება სხვა პირის თანხმობაზე, დაუშვებლად ზღუდავს მხარის კერძო ავტონომიის პრინციპს და არანამდვილია, როგორც ამორალური გარიგება. თუმცა ნებისმიერი სხვა შეთანხმება ორ პირს შორის, რომ ერთი მათგანის თანხმობის გარეშე მეორე არ დადებს გარკვეულ გარიგებას, არ გაასხვისებს რაიმე ნივთს,[16] მართალია, როგორც შეთანხმება ბათილი არ არის, მაგრამ მესამე პირებს არ უნდა უზღუდავდეს გარიგების დადების შესაძლებლობას,[17] **9**

12 BGH NJW 1972, 1267.

13 OLG Dresden OLGR 2001, 113.

14 *ჭანტურია,* შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, 2000, გვ. 395; *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 402.

15 *Flume,* Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts II, 3. Aufl., 1979, 886, 888.

16 შდრ. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლი და მისი კომენტარი: *კროპჰოლერი,* გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, *დარჯანია/ჭეჭელაშვილი* (მთარგმნ.), 2014, § 137.

17 *ჭანტურია,* შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, 2000, გვ. 394; *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 401.

ამ შეთანხმების დარღვევით დადებული გარიგება მაინც ნამდვილია და შეიძლება მხოლოდ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება წარმოშვას.[18]

აა) საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა

10 თუმცა, ამ საკითხს სხვაგვარად წყვეტს საქართველოს უზენაესი სასამართლო. თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში[19] მან არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებები, რომელიც ხელშეკრულებით დადგენილ თანხმობის აუცილებლობას 99-102-ე მუხლის რეგულირების სფეროს მიღმა ტოვებდა და განმარტა, რომ მითითებული ნორმა შეეხება როგორც კანონით დადგენილ, ისე მხარეთა მიერ შეთანხმების საფუძველზე დაწესებულ სავალდებულო თანხმობას. იგივე პოზიციაა გატარებული შედარებით ახალ გადაწყვეტილებაში, სადაც უზენაესმა სასამართლომ თანხმობასავალდებულოდ მიიჩნია მხარეთა შეთანხმებით ქონების სამომავლო გასხვისების გარიგება.[20]

ბბ) სასამართლო პრაქტიკის კრიტიკა

11 ამ ორივე გადაწყვეტილებაში განვითარებული მსჯელობა თანხმობასავალდებულო გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით **არასწორია.** მართლწესრიგი კერძო ავტონომიას აღიარებს სამართლებრივი ურთიერთობების კონსტრუირების ქვაკუთხედად და მხოლოდ თავისთვის იტოვებს მისი შეზღუდვის შესაძლებლობას.[21] არავინ შეიძლება შეიზღუდოს თავი ერთი ვალდებულებითი გარიგების ფარგლებში იმგვარად, რომ შემდეგ ვეღარ დადოს სხვა ნამდვილი ვალდებულებითი გარიგება.

12 განსაკუთრებით, უზენაესი სასამართლოს ზემოთ ხსენებულ მეორე გადაწყვეტილებაში არჩეული გზა იმსახურებს კრიტიკას, სადაც შეთანხმება, რომ შემძენს ნასყიდობის საგნის გასხვისება გამყიდველის წინასწარი თანხმობის გარეშე არ შეეძლო, სასამართლომ საკმარისად ჩათვალა ამ ნივთთან დაკავშირებით დადებული ყველა შემდგომი ნასყიდობის თანხმობასავალდებულობისათვის. ამგვარი დაშვება შესაძლებელი რომ ყოფილიყო, მაშინ **პირობადებული საკუთრების აუცილებლობა** აღარ იარსებებდა. ეს გადაწყვეტა ანგარიშს არ უწევს სანივთო და ვალდებულებით უფლებამოსილებას შორის დიქოტომიას. სანივთო უფლებამოსილება შეიძლება შეიზღუდოს იმით, რომ შემძენს მხოლოდ პირობადებული საკუთრება გადაეცეს, ე. წ. მოლოდინის უფლება, თუმცა ამაზე შორსმიმავალი შეზღუდვა იქნებოდა პირისათვის ნაყიდი ნივთის შემდგომი გაყიდვის უფლების ჩამორთმევა, რაც ალოგიკურია – როგორ შეიძლება მესამე პირთან დადებული გარიგებით გათვალისწინებული ვალდებულებით-სამართლებრივი შეზღუდვა უფრო ინ-

18 *ზოიძე*,სკ-ის კომენტარი, წიგნი I, 2002, მუხ. 99, გვ. 48.გვ. 268.
19 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 24 ივნისის განჩინება № ას-76-72-2013.
20 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 30 ოქტომბრის განჩინება № ას-784-751-2014.
21 *Flume*, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts II, 3. Aufl., 1979, 886.

ტენსიური იყოს, ვიდრე საკუთრების არგადაცემა?

13 სხვა გადაწყვეტილებაში სასამართლომ დასაშვებად მიიჩნია გირავნობის საგნის რეალიზაცია იმ შემთხვევაშიც კი, თუკი დამგირავებელი, მიუხედავად მოგირავნესთან არსებული შეთანხმებისა, მაინც გაასხვისებს საგანს,[22] რაც უთუოდ გასაზიარებელია. სასურველია, თუ ეს და არა ზემოთ ხსენებული ორი არასწორი გადაწყვეტილება გახდება ორიენტირი ამ მიმართულებით პრაქტიკის შემდგომი განვითარებისათვის.

14 მესამე პირის თანხმობის აუცილებლობა შეიძლება უშუალოდ გარიგების (ან ხელშეკრულების) მხარემ გაითვალისწინოს **გადადების პირობის** ფორმით (შდრ. მე-8 ველი).

გ) თანხმობა, როგორც ვალდებულების შინაარსის I ნაწილი

15 ყოველივე ზემოთ თქმული არ ნიშნავს იმას, რომ მხარეებს არ შეუძლიათ გაითვალისწინონ მათ შორის დადებული გარიგებით ერთი-ერთი მხარის მიერ დასადები შემდგომი გარიგების თანხმობასავალდებულოობა, თუმცა ამგვარ შეთანხმებას მხოლოდ ვალდებულებითი ეფექტი აქვს და, როგორც უკვე ვახსენეთ (მე-9 ველი) მარტო ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას წარმოშობს.

16 ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში ამ კონტექსტში მაგალითად მოჰყავთ საზოგადოების წესდების თანახმად წარმომადგენლის მიერ გარკვეული გარიგების დადებისათვის საზოგადოების ამა თუ იმ ორგანოს თანხმობის აუცილებლობა.[23] ეს არის არა თანხმობა გარიგებებში, არამედ გარიგების **„შინაარსის შემადგენელი ელემენტი“**. დირექტორების წარმომადგენლობითი უფლებამოსილება როგორც შპს-ში, ასევე სს-ში შეუზღუდავია. მიუხედავად ამისა, შესაძლებელია განისაზღვროს, რომ დირექტორს კონკრეტული გარიგებების დასადებად სხვა ორგანოს თანხმობა სჭირდება, თუმცა ამ შემთხვევაში თანხმობა მხოლოდ ვალდებულების შინაარსია და მის გარეშე დადებული გარიგებაც ნამდვილია.[24]

დ) ადმინისტრაციული ორგანოს თანხმობა

17 პრობლემურია საკითხი, შეიძლება თუ არა რეგულირების სფეროში მოექცეს სახელმწიფოს მხრიდან გაცემული თანხმობა, მაგალითად, სხვადასხვა სახის ლიცენზია ან ნებართვა, რომელიც განსაკუთრებით აქტუალურია აგრარულ, ფინანსურ, სამშენებლო და შრომით სექტორში. ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ სახელმწიფოს თანხმობა მაინც ექცევა 99-102-ე მუხლების მოქმედების სფეროში, თუკი ის წარმოადგენს გარიგების

22 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 10 მარტის გადაწყვეტილება №ას-1296-1223-2012.

23 *ზოიძე*, მუხ. 99,გვ. 268.

24 *Flume,* Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts II, 3. Aufl., 1979, 889.

ნამდვილობის წინაპირობას.[25] ეს მოსაზრება, მართალია, საბოლოო ჯამში, გასაზიარებელია, თუმცა მანამდე რამდენიმე დათქმის გაკეთებას საჭიროებს. ადმინისტრაციული ორგანოს თანხმობა არ წარმოადგენს კერძოსამართლებრივ გარიგებას, არამედ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, შესაბამისად მასზე 99-ე და შემდგომ მუხლებს პირდაპირ ვერ გამოვიყენებთ.[26] მისი ნამდვილობის წინაპირობები და სამართლებრივი შედეგები უნდა განისაზღვროს საჯარო სამართლის მიხედვით, თუმცა ასევე გერმანულ სასამართლო პრაქტიკაშიც და იურიდიულ ლიტერატურაში აღიარება პოვა მოსაზრებამ,[27] რომ ამ თანხმობაზეც უნდა გამოვიყენოთ 99-ე და შემდგომი მუხლები, თუ მას, გამომდინარე იქიდან, რომ ადმინისტრაციული ორგანოს თანხმობას ეხება საქმე, რაიმე თავისებურება არ ახასიათებს.

18 ადმინისტრაციული ორგანოს თანხმობასთან დაკავშირებით, ძირითადად ორი საკითხია პრობლემური: ნებართვის გამოუხმობადობა და მოწონების უკუქცევითი ძალა. ადმინისტრაციული ორგანოს როგორც ნებართვა, ისე მოწონება არ არის თავისუფლად **გამოხმობადი**[28] და ორგანოს, ჩვეულებრივ, არ შეუძლია მოწონებაზე უარი ცალმხრივად გააუქმოს და შემდეგ მოიწონოს კერძო პირებს შორის დადებული გარიგება. ასევე ნებართვაც პრინციპულად გამოუხმობადი უნდა იყოს,[29] თუმცა სხვაგვარადაა საქმე, თუ მისი გაცემა რაიმე პროცედურული თუ მატერიალურ-სამართლებრივი დარღვევით მოხდა. ამ დროს ნებართვა-მოწონების გამოხმობა მთლიანად ადმინისტრაციული სამართლის მიხედვით განისაზღვრება.

19 რაც შეეხება მოწონების **უკუქცევით ძალას,** ის იდენტურია 101-ე მუხლში მოწესრიგებულისა, თუ შესაბამისი საჯარო-სამართლებრივი დანაწესიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.[30] განკარგვისას (იხ. მუხ. 102 მე-5 ველი) ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან მოწონება არ წარმოადგენს კერძოსამართლებრივი განკარგვის შემადგენლობის ნაწილს, ანუ ამ კერძოსამართლებრივი შემადგენლობის შესრულების მომენტიდან წარმოიშობა მბოჭავი ეფექტი.[31] ეს ნიშნავს იმას, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან მოწონების შემთხვევაში ყველა სხვა საწინააღმდეგო განკარგვა, რომელიც განხორციელდა თავდაპირველ განკარგვასა და მოწონებას შორის შუალედში. უკუქცევითი ძალით არანამდვილია. მაგალითად, თუ პირი ასხვისებს ქონებას, რომლის მესაკუთრის ცვლილებასაც სახელმწიფოს მხრიდან თანხმობა სჭირდება, ამ თანხმობის გარეშე და მოწონებამდე კიდევ რამდენჯერმე ასხვისებს მას, თავდაპირველი გასხვისების მოწონების შემდეგ ყველა ეს შუალედური გასხვისება, როგორც არაუფლებამოსილი პირის მიერ განხორციელებული, არანამდვილია ისე, რომ 101-ე მუხლის არც პირდაპირ და არც

25 *ჭანტურია*, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, 2000, გვ. 397-398; *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 405.

26 *Flume,* Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts II, 3. Aufl., 1979, 895.

27 შდრ. *Flume,* Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts II, 3. Aufl., 1979, 895 და იქ მითითებული ლიტერატურა.

28 RG 103, 106.

29 *Flume,* Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts II, 3. Aufl., 1979, 896.

30 RG 125, 53.

31 *Flume,* Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts II, 3. Aufl., 1979, 895.

ანალოგიით გამოყენების აუცილებლობა არ არსებობს. თუმცა, მიუხედავად ამ შუალედური განკარგვის არანამდვილობისა, შემძენს შეუძლია საკუთრების კეთილსინდისიერად მოპოვება. კეთილსინდისიერებისათვის გადამწყვეტია განკარგვის შემადგენლობის და არა მოწონების მომენტი.[32]

3. ტერმინოლოგიური საკითხი

99-102-ე მუხლები იყენებენ გვარეობით ცნებას „თანხმობას“, რომელიც მოიცავს როგორც წინასწარ გაცემულ თანხმობას (ნებართვა), ასევე გარიგების დადების შემდგომ თანხმობას (მოწონება). გარიგების დადების თანადროულად თანხმობის გაცემა, მართალია, ფაქტობრივად შესაძლებელია, მაგრამ სამართლებრივად ის თანხმობის ცალკე ფორმად არ განიხილება და ან ნებართვას წარმოადგენს, ან მოწონებას.[33] **20**

ტერმინოლოგიური თვალსაზრისით პრობლემურია ის გარემოება, რომ ყოფითი ლექსიკა თანხმობასა და ნებართვას შორის განსხვავებას არ აკეთებს და ამას ვერც სსკ-ის კანონმდებელმა აუარა გვერდი. მთელ რიგ მუხლებში (მაგ., 65 III, 861) ნებართვა თანხმობის სინონიმად გამოიყენება, ხანდახან კი ის მოწონებას აღნიშნავს (67).

II. თანხმობის გაცხადება, 99 I

1. თანხმობის ადრესატი

თანხმობა გარიგებაზე (ისევე როგორც მასზე უარი) შეიძლება გამოითქვას როგორც ერთი, ისე მეორე მხარის, ასევე მათი წარმომადგენლის წინაშე. ამგვარი დანაწესით კანონმდებელი მიიჩნევს, რომ მთავარი გარიგების არც ერთ მხარეს არ გააჩნია ისეთი ინტერესი მერყევად ბათილად დადებული გარიგების საბოლოო ბედთან დაკავშირებით, რომელიც მეორისას გადაწონიდა.[34] აუცილებელია, რომ თანხმობა მიმართული იყოს ამ ერთ-ერთი მხარისაკენ. ნების გამოხატვა, რომელიც სხვა მიმღებისკენაა მიმართული (გინდ შემთხვევით ან გადამისამართების შემდეგ მოხვდეს კიდეც საჭირო ადრესატთან), ან მიმართულია ხელშეკრულებაში ჩართული ადმინისტრაციული ორგანოსაკენ, ვერ წარმოშობს შესაბამის სამართლებრივ შედეგებს.[35] ამისგან განსხვავებით, თუ სწორი ადრესატისაკენ მიმართული თანხმობა შეცდომით სხვა ადრესატთან მოხვდება და ის მოგვიანებით (99 I მუხლის გაგებით) სწორ ადრესატთან გადაამისამართებს, ნების გამოხატვა ნამდვილი ხდება მასთან მისვლისთანავე. **21**

ხელშეკრულებისას თანხმობის გაცხადება შეიძლება როგორც თანხმობასავალდებულო **ნების გამომხატველის, ასევე მისი კონტრაჰენტის** მიმართ.[36] **22**

32 *Flume,* Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts II, 3. Aufl., 1979, 896.
33 *Bub,* in Beck OK BGB, 39. Aufl., 2016, § 182 Rn. 2.
34 *Bub,* in Beck OK BGB, 39. Aufl., 2016, § 182 Rn. 15.
35 *Bayreuther,* in Münchener Kommentar zum BGB, 7. Aufl. 2015, § 182 Rn. 5.
36 BGH NJW 1953, 58.

დათანხმებულს აქვს არჩევანის საშუალება, თუ ვის წინაშე განაცხადებს ამ თანხმობას. უმნიშვნელოა მეორე კონტრაჰენტმა, რომლის წინაშეც თანხმობა არ გაცხადებულა, იცის თუ არა ამ გაცხადების (ან უარყოფის) შესახებ.

23 თუ გარიგების ერთ მხარეზე **რამდენიმე პირი** დგას (მაგ., რამდენიმე არაუფლებამოსილი პირი განკარგავს ერთ ნივთს), მაშინ თანხმობა ამ ერთ მხარეზე მყოფი ყველა პირის წინაშე უნდა გაცხადდეს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ერთ-ერთი ნების გამოხატვას იღებს, როგორც სხვების წარმომადგენელი.[37]

24 **ნოტარიუსს** შეიძლება მიენიჭოს უფლებამოსილება, მიიღოს მის მიერ დამოწმებულ გარიგებაში მონაწილე ყველა პირის ნების გამოხატვა, მათ შორის მესამე პირთა თანხმობა. ნოტარიუსისათვის ამგვარი უფლებამოსილების მინიჭება მაშინ გვაქვს სახეზე, როდესაც მხარეები ნოტარიუსს გარიგების დამოწმების გარდა, საქმის სხვა დეტალების მოგვარებასაც მიანდობენ.[38] იპოთეკარმა მიწის ნაკვეთის გასხვისების შემთხვევაში თანხმობა ვალის გადაკისრებასთან დაკავშირებით (204) მხოლოდ მყიდველის ან გამყიდველის წინაშე უნდა გამოთქვას და არა იმ პირის მიმართ, ვინც მიწის ნაკვეთს მოგვიანებით შეიძენს.[39] კრედიტორის თანხმობა მესამე პირის წინაშე შესრულებასთან დაკავშირებით (373 II) შეიძლება გაცხადდეს როგორც მოვალის, ასევე მესამე პირის წინაშე.[40]

25 99 I მუხლში ჩამოყალიბებული წესისაგან **განსხვავებულ დანაწესებს** შეიცავს, მაგალითად, 111 II მუხლი, ასევე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ფუნქციების მომწესრიგებელი ნორმები.

2. თანხმობა რამდენიმე გარიგებასთან დაკავშირებით

26 წინასწარი თანხმობის (ნებართვის) გამოთქმა შესაძლებელია ერთდროულად **გარიგებების** მთელ **ჯგუფთან ან გვართან** დაკავშირებით.[41] ამის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს არასრულწლოვნისათვის ჯიბის ფულის გადაცემა (65 I) ან საწარმოს გაძღოლის ნებართვის მინიჭება (65 II). საეჭვოობის შემთხვევაში ნებართვის შინაარსი და ფარგლები უნდა დადგინდეს განმარტების მეშვეობით.

3. კონკლუდენტური ნების გამოხატვა

27 თანხმობის გამოთქმა შესაძლებელია კონკლუდენტური ქცევითაც.[42] ეს ეხება როგორც მოწონებას, ისე ნებართვას, თუმცა კონკლუდენტურად გამოთქმული თანხმობის მნიშვნელობა, პირველ რიგში, ნებართვის შემთხვევა-

37 Müko/*Bayreuther,* BGB, 7. Aufl. 2015, § 182 Rn. 7.
38 OLG Koln NJW 1995, 1499.
39 Müko/*Bayreuther,* BGB, 7. Aufl. 2015, § 182 Rn. 7.
40 Müko/*Bayreuther,* BGB, 7. Aufl. 2015, § 182 Rn. 7.
41 Müko/*Bayreuther,* BGB, 7. Aufl. 2015, § 182 Rn. 7.
42 BGH NJW 2010, 861; აღნიშნულს ასევე ადასტურებს საქართველოს უზენაესი სასამართლოც 2001 წლის 26 ოქტომბრის №3კ/613-01 განჩინებაში.

შია მნიშვნელოვანი. კონკლუდენტური თანხმობის პირველი წინაპირობაა, რომ ის ცხადი გახდეს, ანუ მიუვიდეს შესაბამის ადრესატს (21-ე ველი) და საკმარისი არ არის მისი გაცხადება მესამე პირების მიმართ. ამავე დროს, ვინაიდან თანხმობა ცალკე გარიგებაა, აუცილებელია ქმედება იმგვარად განხორციელდეს, რომ მიმღებს ჰქონდეს მისი შინაარსის აღქმის შესაძლებლობა.[43] თუ **რამდენიმე პირის** თანხმობაა აუცილებელი, კონკლუდენტური თანხმობა მხოლოდ იმ შემთხვევაში გვაქვს სახეზე, როდესაც ყველა უფლებამოსილმა პირმა იცის ერთ-ერთი მათგანის კონკლუდენტურად გამოთქმული თანხმობის შესახებ.[44]

მერყევად ბათილი გარიგების კონკლუდენტური ქცევით მოწონებისას, არ არის აუცილებელი მომწონებელმა იცოდეს მისი არანამდვილობის შესახებ (ან სულ მცირე უშვებდეს ამას) და მის ქცევაში იკითხებოდეს ამ მომენტამდე არანამდვილი გარიგების ნამდვილად ქცევის სურვილი. **28**

ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ სამართლებრივი ბოჭვის ნება ნების გამოხატვის ნამდვილობისათვის კონსტიტუტიურ ელემენტს არ წარმოადგენს, გადამწყვეტია ობიექტური მიმღების თვალსაწიერი და ის ფაქტი, რომ გამომხატველს შესაბამისი გულისხმიერების გამოყენების შემთხვევაში უნდა შეეცნო, რომ მისი ადრესატი გონივრული განსჯის (52) შედეგად მას ნების გამოხატვად აღიქვამდა.[45] საიდანაც პირდაპირ გამომდინარეობს, რომ უმნიშვნელო უნდა იყოს, იცის თუ არა უფლებამოსილმა პირმა, რომ მისი ქცევა მოწონებად იქნება აღქმული. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მოწონებად მიიჩნია კრედიტორის მიერ ქონების დაბრუნების თაობაზე მემორანდუმის გაფორმება იმ პირთან, რომელსაც მოვალემ გადასცა ეს ქონება.[46]

რაც შეეხება გარიგების ბათილობის **ცოდნას** (ან **გაუფრთხილებლობით არცოდნას**), წინააღმდეგობრივი ქცევა იქნებოდა (venire contra factum proprium-ის პრინციპის დარღვევა), თუ ნების გამომხატველი უარს იტყოდა იმ გარიგების ნამდვილობაზე, რომლის მოსაწონებლადაც და ნამდვილობისათვისაც ცოტა ხნის წინ ყველაფერი გააკეთა.[47] ამ კონტექსტში მხოლოდ თანმიმდევრულია, რომ გადამწყვეტი არ იყოს, არც **ნების ადრესატის** ცოდნა, რომ გარიგება მოწონებას საჭიროებს.[48] **29**

იპოთეკის დათმობა ჩვეულებრივ შეიცავს ცედენტის კონკლუდენტურ მინიშნებას იმასთან დაკავშირებით, რომ ცესიონერს შეუძლია თავისუფლად განკარგოს ეს უფლება.[49] ნივთის **პირობადებული** საკუთრების უფლებით გასხვისება ჩვეულებრივ ითვალისწინებს მყიდველის უფლებას, ეს ნივთი კიდევ გაასხვისოს სხვა პირზე, თუ მყიდველი პროფესიულად არის დაკავე- **30**

43 *ჭანტურია*, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, 2000, გვ. 396.
44 BGH NJW 1982, 1036.
45 იხ. მუხ. 52 მე-14 ველი; *კერესელიძე*, უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 240.
46 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 30 ოქტომბრის განჩინება №ას-784-751-2014.
47 Müko/*Bayreuther,* BGB, 7. Aufl. 2015, § 182 Rn. 7.
48 BGH NJW 1982, 1036.
49 Müko/*Bayreuther,* BGB, 7. Aufl. 2015, § 182 Rn. 13.

ბული ნაყიდი ნივთების გადაყიდვით. თუ სამეწარმეო საზოგადოების პარტნიორები ახალ პარტნიორად აღიარებენ პირს, რომელსაც ყოფილმა პარტნიორმა თავისი წილი დაუთმო, მაშინ აქ შესაძლებელია კონკლუდენტური თანხმობის ამოკითხვა ამ წილის დათმობასთან დაკავშირებით.[50] არასრულწლოვნისა (65) და რწმუნებულების გარეშე მოქმედი წარმომადგენლის შემთხვევაში (111), თუ უფლებამოსილი პირი განახორციელებს გარიგებით გათვალისწინებულ **შესრულებას**[51] (შდრ. დეტალურად მუხ. 101 24-ე ველი), ან, პირიქით, მოითხოვს მეორე მხარისაგან ამ შესრულების განხორციელებას,[52] აქაც შეიძლება იკითხებოდეს ამ გარიგებების კონკლუდენტური მოწონება. მაგალითად, ნივთის მიწოდება, გადახდა,[53] სესხის შემთხვევაში პროცენტების დაფარვა[54] და ა. შ. წარმოადგენს კონკლუდენტურ მოწონებას. **ხელშეკრულების დათმობისას,** რომელიც მოთხოვნის დათმობისაგან განსხვავდება იმით, რომ ჩამნაცვლებელი სრულად იკავებს ჩანაცვლებულის სახელშეკრულებო პოზიციებს, თუ კონტრაჰენტი ითხოვს შესრულებას ახალი კონტრაჰენტისაგან, აქაც იკითხება ხელშეკრულების დათმობის მოწონება.[55] გერმანული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით,[56] თუ გამყიდველი მოიხმარს **არაუფლებამოსილი წარმომადგენლის** მიერ დადებული ნასყიდობიდან მიღებულ თანხას, მხოლოდ ეს ცალკე აღებული არ ჩაითვლება გარიგების მოწონებად, თუმცა ამის საპირისპიროდ, შესრულების მიღება და მისი გამოყენება უკვე წარმოადგენს მოწონებას.

4. დუმილი

31 დუმილი, ისევე როგორც სხვა შემთხვევებში, აქაც ვერ ჩაითვლება კონკლუდენტურად გამოხატულ თანხმობად. გამონაკლისის სახით დუმილს შეიძლება მიენიჭოს კონკლუდენტური ნების გამოხატვის მნიშვნელობა, როდესაც უფლებამოსილი პირი ვალდებული იყო სხვა შემთხვევაში ცალსახად განეცხადებინა თანხმობაზე უარი.[57] მაგალითად, თუ არაუფლებამოსილი წარმომადგენელი მოგვიანებით შეიძენს წარმომადგენლობით უფლებამოსილებას, რაც ამ მომენტიდან ანიჭებს მას გარიგების მოწონება-არმოწონების უფლებას, მისი დუმილი ხანგრძლივი დროის განმავლობაში ჩაითვლება დადებული გარიგების კონკლუდენტურ მოწონებად.[58] გერმანული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით დუმილით კონკლუდენტური მოწონების

50 BGH NJW-RR 2006, 1414.

51 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 07 ოქტომბრის განჩინება № ას-483-457-2015; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2001 წლის განჩინება № 3კ/382-01.

52 BGH NJW 2003, 2160.

53 BGH NJW-RR 1990, 1251.

54 OLG Zweibrucken OLGR 2000, 336.

55 OLG Dusseldorf BeckRS 2009, 25233.

56 OLG Dusseldorf NZM 2005, 909.

57 OLG Brandenburg BeckRS 2010, 8958.

58 OLG Karlsruhe VersR 1992, 1364, რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში თავად წარმოდგენილის მიერ უფლებამოსილების მინიჭებაშიც იკითხება კონკლუდენტური მოწონება (27-ე და შემდგომი ველები).

მაგალითს წარმოადგენს მეუღლის მიერ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე მეორე მეუღლის სახელით გარიგების გადება, როდესაც ეს უკანასკნელი არ უარყოფს ამ გარიგებას.[59] საქართველოს უზენაესმა სასამართლომ თანხმობად მიიჩნია მხარეთა დუმილი, როცა მათ იცოდნენ წილების ნასყიდობისა და დაგირავების შესახებ, თუმცა ნოტარიუსთან ამაზე პრეტენზია არ გამოუთქვამთ.[60]

5. ნების ნაკლი და არანამდვილობის სხვა მიზეზები

ა) უფლების ბოროტად გამოყენება

ნებართვის, ისევე როგორც რწმუნებულების, ბოროტად გამოყენება დაუშვებელია. ამგვარად, განკარგვა მოცული აღარ არის უფლების მფლობელის წინასწარი თანხმობით, თუ უფლებამოსილი პირი მინიჭებულ უფლებას – განკარგოს ნივთი საკუთარი სახელით – ცალსახად ბოროტად იყენებს.[61] **32**

ბ) შეცილება

თანხმობას, როგორც ყველა სხვა ცალმხრივ გარიგებას, შეიძლება ახასიათებდეს ნების ნაკლი, რაც იძლევა მისი შეცილების შესაძლებლობას **შეცდომის, მოტყუების** ან **იძულების** ზოგადი საფუძვლით, შესაბამისი წინაპირობების არსებობისას, თუმცა ნებართვის გამოხმობა, მე-100 მუხლის თანახმად, ყოველთვის შეიძლება გარიგების დადებამდე, რის გამოც შეცილების აუცილებლობა, ჩვეულებრივ, არ არსებობს. გამონაკლისის სახით, თუ გარიგებით (იხ. მუხ. 100 მე-13 ველი) ან კანონის საფუძველზე გაცემულია გამოუხმობადი ნებართვა ან საქმე ეხება მოწონების (101) გაქარწყლებას, დგება სწორედ შეცილების გამოყენების აუცილებლობა. **33**

ნებართვის აბსტრაქტული ხასიათის გამო იმ სახელშეკრულებო ურთიერთობის ნაკლი, რომლისათვისაც გაიცემა თანხმობა, ავტომატურად არ აისახება მის ნამდვილობაზე (1-ლი ველი).[62] თუმცა სხვა მხრივ, დათანხმებულის შეცდომა თანხმობასავალდებულო მთავარი (სახელშეკრულებო) **ურთიერთობის სახესა** და **შინაარსთან** დაკავშირებით, მაგალითად, ნივთის არსებით თვისებასთან დაკავშირებით, თანხმობის გარიგების ფარგლებში არის არა მხოლოდ უმნიშვნელო შეცდომა მოტივში (იხ. მუხ. 73 მუხ. 31), არამედ **შეცდომა შინაარსში 73 ბ)** მუხლის მიხედვით. თუ შეცდომა მთავარი გარიგების ფარგლებში მხოლოდ მოტივში უმნიშვნელო შეცდომად ითვლება, ის ასევე უმნიშვნელოა ნებართვის ფარგლებშიც. **34**

შეცილების ადრესატი არის თანხმობის მიმღები პირი. გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში გაბატონებული მოსაზრების მიხედვით,[63] არ არის აუ- **35**

59 OLG Karlsruhe VersR 1992, 1363.

60 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2001 წლის 26 ოქტომბრის განჩინება №3კ/613-01.

61 Müko/*Bayreuther,* BGB, 7. Aufl. 2015, § 182 Rn. 16.

62 Müko/*Bayreuther,* BGB, 7. Aufl. 2015, § 182 Rn. 18.

63 Müko/*Bayreuther,* BGB, 7. Aufl. 2015, § 182 Rn. 19.

ცილებელი შეცილების გაცხადება ასევე მეორე მხარის, მათ შორის არც თანხმობის მიმღების კონტრაჰენტის წინაშე.

მესამე **პირის მხრიდან მოტყუებისას** გასათვალისწინებელია, რომ თანხმობის უკუქცევითი ძალით გაუქმებასთან ერთად ქარწყლდება ასევე მისი მეშვეობით დადებული მთავარი გარიგება, რის გამოც აუცილებელია თანხმობის საფუძველზე ნამდვილად ქცეული გარიგების კონტრაჰენტმაც იცოდეს მოტყუების შესახებ.[64] ეს წესი მოქმედებს იმ შემთხვევაშიც, როდესაც თანხმობა მხოლოდ დათანხმებულსა და თანხმობის ადრესატს შორის შიდა ურთიერთობაში გაცხადდა.[65] თუმცა ეს გადაწყვეტა მთლიანობაში უკუსაგდებია (იხ. მუხ. 83-ე მუხლის კომენტ. ველი 20).

36 დათანხმებული და შემდეგში შემცილებელი ვალდებულია **აუნაზღაუროს ზიანი** მთავარი გარიგების კონტრაჰენტს, დამოუკიდებლად იმისა, თუ ვის წინაშე გაცხადდა შეცილება.[66] ამ მთავარი გარიგების მიხედვით განისაზღვრება ზიანის ანაზღაურების მოცულობა.

III. თანხმობის ფორმა (99 II)

1. ფორმის თავისუფლების პრინციპი

37 თანხმობა, ისევე როგორც რწმუნებულება (107 II), არ საჭიროებს თანხმობასავალდებულო გარიგებისათვის დადგენილ ფორმას (99 II), რაც თავისთავად იმის მტკიცებულებაცაა, რომ თანხმობა დამოუკიდებელია ძირითადი გარიგებისგან.[67] გერმანულ სამართალში, იდენტური ნორმატიული წანამძღვრების პირობებში, გამოთქმული მოსაზრების თანახმად,[68] ეს წესი არ მოქმედებს, თუ გარიგების ფორმასავალდებულობა განპირობებულია **გაფრთხილების ფუნქციით** (იხ. მუხ. 68 მე-3 ველი) ან საქმე ეხება გამოუხმობად ნებართვას. ამ ორივე შემთხვევაში აუცილებელია თანხმობის გაცემა მთავარი გარიგებისათვის გათვალისწინებული ფორმით. ეს მოსაზრება უკუსაგდებია[69] და მას ვერც რწმუნებულების ფორმასავალდებულობასთან დაკავშირებულ იდენტურ პრობლემატიკაზე მითითება გაამართლებს, რადგან დათანხმებული მესამე პირი, არ ხდება რა წარმოდგენილისაგან განსხვავებით უშუალოდ გარიგების მხარე, არ საჭიროებს ამ ინტენსივობის გაფრთხილებას. გარდა ამისა, თითქმის ყველა ფორმის დანაწესის მიზანს მხარის გაფრთხილება წარმოადგენს და ხსენებული დაშვება 99 II მუხლის მნიშვნელობას ნულამდე დაიყვანდა. ამასთან, გაუგებარი იქნებოდა იმ განსაკუთრებული დანაწესების (მე-40 ველი) ფუნქცია, რომლებიც თანხმობის ფორმასავალდებულობას განსაზღვრავენ, თუ თანხმობა მხოლოდ

64 Müko/*Bayreuther,* BGB, 7. Aufl. 2015, § 182 Rn. 20.
65 BGH NJW 98, 532.
66 Müko/*Bayreuther,* BGB, 7. Aufl. 2015, § 182 Rn. 21.
67 *ზოიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, 2002, მუხ. 99, გვ. 270.
68 Müko/*Bayreuther,* BGB, 7. Aufl. 2015, § 182 Rn. 22.
69 BGH NJW 1994, 1344.

გაფრთხილების ფუნქციაზე მითითებით შეიძლება გვექცია ფორმასავალდებულოდ.

უძრავ ქონებასთან დაკავშირებული გარიგებების შემთხვევაში გერმანული სასამართლო პრაქტიკა[70] ერთმანეთისაგან მიჯნავს მატერიალურ და (საჯარო რეესტრის) პროცედურულ მხარეს. არაუფლებამოსილი წარმომადგენლის (განმკარგავის) ქმედების მოწონება, მართალია, არ საჭიროებს თავად ამ გარიგებისათვის აუცილებელ ფორმას (მაგ., 183, 234, 243, 247 II, 289 I), თუმცა 3111 I მუხლის მიხედვით რეგისტრაციისათვის აუცილებელია არა მხოლოდ გარიგების, არამედ ასევე მოწონების წერილობითი ფორმით წარდგენა. ამ გადაწყვეტის გაზიარება საჯარო რეესტრის პროცედურული თავისებურებებიდან და მიზნიდან გამომდინარე ქართულ პრაქტიკაშიც უთუოდ აუცილებელია. **38**

მცირე **ჩამონათვალი** ფორმასავალდებულო გარიგებებთან დაკავშირებით გაცემული არაფორმასავალდებულო თანხმობისა (გერმანული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით[71]) შემდეგია: უძრავი ნივთის გასხვისებასთან დაკავშირებული თანხმობა ნამდვილობისათვის (განსხვავებით სანივთო უფლების რეგისტრაციისაგან, 38-ე ველი) არ საჭიროებს 323-ე მუხლით გათვალისწინებულ ფორმას.[72] არაუფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ წერილობით დადებული თავდებობა უფლებამოსილ პირს შეუძლია ფორმის დაუცველად (892) მოიწონოს,[73] ისევე როგორც საქორწინო ხელშეკრულება – 1174-ე მუხლით გათვალისწინებული ფორმის დაუცველად.[74] არასრულწლოვანს შეუძლია სრულწლოვანების მიღწევასთან ერთად ფორმის დაუცველად მოიწონოს მის მიერ ფორმის დაცვით დადებული შპს-ის წილის მოპოვების გარიგება, რომელიც ამ მომენტამდე მერყევად ბათილია.[75] მეწარმეთა შესახებ კანონის 43 II მუხლით გათვალისწინებული ფორმის დაცვას არ საჭიროებს ასევე არაუფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ წილის დათმობის მოწონება.[76] **39**

2. ფორმასავალდებულო თანხმობა

მიუხედავად 99 II მუხლით გათვალისწინებული ფორმის თავისუფლების პრინციპისა, თანხმობა მთელ რიგ შემთხვევებში მაინც საჭიროებს ფორმის დაცვას. მაგალითისათვის იხ.: **307 III, 844 II, 945, I, 1108 II, 1251, 1411, 1501** მუხლები. **40**

70 BGH NJW 1959, 883.

71 გადმოღებულია: Müko/*Bayreuther,* BGB, 7. Aufl. 2015, § 182 Rn. 23.

72 BGH NJW 1994, 1344.

73 Müko/*Bayreuther,* BGB, 7. Aufl. 2015, § 182 Rn. 23.

74 BGH NJW 1998, 1857.

75 BGH NJW 1980, 1842.

76 შდრ. არაუფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ შპს-ის დამფუძნებელი ხელშეკრულების შეცვლის ფორმის დაუცველად მოწონებასთან დაკავშირებით Müko/*Bayreuther,* BGB, 7. Aufl. 2015, § 182 Rn. 23.

IV. თანხმობაზე უარი

41 99 I მუხლში კანონმდებელი თანხმობასა და მასზე უარს ერთმანეთის გვერდიგვერდ აყენებს და მათზე ერთსა და იმავე პრინციპებს ავრცელებს.[77] თანხმობაზე უარიც, თანხმობის მსგავსად, წარმოადგენს ცალმხრივ მიღებასავალდებულო ნების გამოხატვას,[78] რომლის მისვლასთან ერთადაც მერყევად[79] ბათილი მთავარი გარიგება საბოლოოდ არანამდვილი ხდება.[80] ის უნდა გაცხადდეს როგორც საბოლოო უარი გარიგებაზე, რაც საეჭვოობისას განმარტების მეშვეობით დგინდება. თუ თანხმობაზე უფლებამოსილი პირი მხოლოდ დროებით აცხადებს უარს მის გაცემაზე და შესაძლებლად მიიჩნევს მოგვიანებით აზრის შეცვლას, ეს არ ჩაითვლება უარად 99 I მუხლის გაგებით.[81]

თანხმობის მსგავსად, ასევე მასზე უარის გაცხადება შეიძლება როგორც **ერთი,** ისე **მეორე მხარის** წინაშე (99 I) და ის არ საჭიროებს მთავარი გარიგებისათვის დადგენილ **ფორმას** (99 II).

42 უარი უნდა იყოს **გამოუხმობადი**,[82] რაც გამომდინარეობს მისი ფუნქციიდან: თანხმობის მოთხოვნა ხდება გარიგების მერყევად ბათილი მდგომარეობის ცალსახად გადასაწყვეტად, ეს კი აზრს დაკარგავდა, თუ ყოველთვის იქნებოდა შესაძლებელი ამ ცალსახად გადაწყვეტილი მდგომარეობის უკუქცევა. თუმცა, საბოლოო ჯამში, ეს გამოუხმობადობა განეიტრალებულია იმით, რომ უარი გარიგების დადებამდე ნებისმიერ მომენტში შეიძლება შეიცვალოს თანხმობით და ასევე შესაძლებელია თანხმობის გარეშე დადებული გარიგების მოგვიანებით მოწონებაც.

43 უარი **შეცილებადია** ზოგადი წესების მიხედვით (72-89), თუმცა უარის ნებისმიერ მომენტში შეცვლის გამო, მისი საცილოობა პრაქტიკულად უმნიშვნელოა.

V. თანხმობა ცალმხრივ გარიგებაზე, 99 III

1. თანხმობის გარეშე დადებული ცალმხრივი გარიგების არანამდვილობა

44 99 III მუხლი ეხება **ცალმხრივ გარიგებაზე** თანხმობას. მიუხედავად იმისა, რომ ტერმინი „ცალმხრივი“ ამ დანაწესში ნახსენები არ არის, ეს გამომდინარეობს 66-ე მუხლზე მითითებიდან, რომელიც მხოლოდ ცალმხრივ გარიგებებს ეხება, და ქართული დანაწესის გერმანული ანალოგიდან (გსკ-ის 182 III პარაგრაფი).

45 გერმანულ სასამართალო პრაქტიკასა და იურიდიულ ლიტერატურაში

77 Müko/*Bayreuther,* BGB, 7. Aufl. 2015, § 182 Rn. 25.
78 *ზოიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, 2002, მუხ. 99, გვ. 268-269.
79 *ზოიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, 2002, მუხ. 99, გვ. 269.
80 BGH NJW 1982, 1099.
81 BGH WM 1964, 879.
82 BGH NJW 1954, 1155.

გაბატონებული მოსაზრების თანახმად,[83] თანხმობასავალდებულო ცალმხრივი გარიგება, თუ ის იდება წინასწარი **ნებართვის გარეშე,** არანამდვილია, რაც ემყარება 66 1 მუხლში დაფიქსირებული პრინციპის განზოგადებას და განპირობებულია მიმღების ინტერესით თავიდანვე ცალსახად იყოს გათვითცნობიერებული სამართლებრივ მდგომარეობაში, რომლის შეცვლაც მას არ ძალუძს – დადებისთანავე იცოდეს ნამდვილია თუ არა გარიგება. აქედან გამომდინარეობს ნებართვის გარეშე დადებული ცალმხრივი გარიგების მოწონების მნიშვნელოვნად შეზღუდვა, რაც ქართულ სამართალშიც გასაზიარებელია. თუ ამის საპირისპიროდ ნების გამომხატველი ამტკიცებს ნებართვის არსებობას და მიმღები პრეტენზიას არ გამოთქვამს, გარიგება მოწონებაუნარიანი უნდა იყოს.[84]

2. მეორე მხარის უარი ცალმხრივ გარიგებაზე

99 III, 66 1, 2 მუხლების თანახმად, არანამდვილია ცალმხრივი გარიგება, მიუხედავად ნებართვის არსებობისა, თუ მისი დამდები ამ ნებართვას არ წარმოადგენს **წერილობითი ფორმით** (66 III) და მიმღები გარიგებაზე ამ საფუძვლით დაუყოვნებლივ იტყვის უარს.[85] წერილობითი ფორმა შეიძლება ჩაანაცვლოს ელექტრონულმა ფორმამ (იხ. მუხ. 69 22-ე ველი). გარიგებაზე უარში მის საფუძვლად უნდა მიეთითოს წერილობითი ნებართვის არარსებობა[86] და ზოგადად, უარზეც ვრცელდება ნების გამოხატვის განმარტების წესები (52). გარიგებაზე უარი **გამორიცხულია,** თუ თანხმობის უფლების მქონემ ნების ადრესატს შეატყობინა საკუთარი ნებართვის შესახებ. **46**

83 შდრ. BGH NJW-RR 2003, 303.
84 Müko/*Bayreuther,* BGB, 7. Aufl. 2015, § 182 Rn. 33.
85 BAG NJW 2004, 2612.
86 BAG NZA 2003, 909.

მუხლი 100. წინასწარ გაცემული თანხმობა (ნებართვა)

წინასწარ გაცემული თანხმობა (ნებართვა) შეიძლება გარიგების დადებამდე გაუქმდეს, თუკი მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან. თანხმობის (ნებართვის) გაუქმების შესახებ უნდა ეცნობოს ორსავე მხარეს.

I. ზოგადი დებულებები 566
II. ნებართვის გაუქმება 566
1. გაუქმების შესაძლებლობა 566
2. გაუქმების გაცხადება (გამოხმობა) 567
3. გამოხმობის მომენტი 568
4. გამოხმობის „გამოხმობა“ 568
III. ნებართვის გაქარწყლების სხვა შემთხვევები 568
IV. ნებართვის გაუქმების გამორიცხვა 569
V. სამართლებრივი შედეგები 570

I. ზოგადი დებულებები

1 ნებართვა არის უფლებამოსილი პირის მიერ გამოთქმული **წინასწარი** თანხმობა თანხმობასავალდებულო გარიგებასთან დაკავშირებით და ამგვარად, ახლოს დგას რწმუნებულების მინიჭებასთან,[1] თუმცა მისი იდენტური არ არის (იხ. მუხ. 99 მე-6 ველი). ამგვარად, წარმოადგენს რა ისეთ თანხმობას, რომლის გაცხადებაც ხდება მანამ, სანამ გარიგება დაიდებოდეს – შესრულდება ამ გარიგების შემადგენლობა – გარიგების **დადებასთან ერთად** გამოთქმული თანხმობაც ნებართვად უნდა ჩაითვალოს.[2] საკუთრების გადაცემის სხვადასხვა აქტს შორის გამოთქმული თანხმობაც, მაგალითად, გარიგების დადებასა და 186 I მუხლით გათვალისწინებულ გადაცემას შორის, ნებართვად ითვლება.[3]

ნებართვასავალდებულო გარიგება, ანუ ისეთი თანხმობასავალდებულო გარიგება, რომლის მოწონებაც შეუძლებელია, არანამდვილია, თუ მისი დადება ხდება ამ ნებართვის გარეშე (59 I). ეს ძირითადად ცალმხრივი გარიგებების შემთხვევაში გვაქვს სახეზე (იხ. მუხ. 99, 45-ე ველი).

II. ნებართვის გაუქმება

1. გაუქმების შესაძლებლობა

2 ნებართვის, ისევე როგორც წარმომადგენლობის (109 ბ)) გამოხმობა მთავარი გარიგების დადებამდე, ჩვეულებრივ, შეუზღუდავად არის შესაძლებელი,[4] დამოუკიდებლად იმისა, ის გაცხადებულად გაიცა თუ კონკლუ-

1 *Flume*, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts II, 3. Aufl., 1979, 896.
2 Müko/*Bayreuther,* BGB, 7. Aufl. 2015, § 183 Rn. 1.
3 Müko/*Bayreuther,* BGB, 7. Aufl. 2015, § 183 Rn. 1.
4 *ზოიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი პირველი, მუხ, 99, გვ. 272.

დენტური მოქმედებით.[5] ამ გადაწყვეტის უკან დგას ის მოსაზრება, რომ დათანხმებული არ უნდა შეიბოჭოს მის მიერ გაცემული ნებართვით იმაზე უფრო ადრე, ვიდრე მთავარი გარიგების მხარეები შეიბოჭებოდნენ.[6]

2. გაუქმების გაცხადება (გამოხმობა)

ნებართვის გამოხმობა, ისევე როგორც მისი გაცხადება, ხდება ცალმხრივი მიღებასავალდებულო ნების გამოხატვით, რომელიც ნამდვილია ადრესატთან მის **მისვლასთან** ერთად.[7] მისი გაცხადება შესაძლებელია ასევე კონკლუდენტური მოქმედებითაც.[8] **3**

თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ ნებართვის მინიჭებისაგან განსხვავებით, მისი გაუქმების შესახებ **ორივე მხარეს** უნდა ეცნობოს. თუ კანონიერი წარმომადგენელი არასრულწლოვანს გაატანს ფულს შესაბამისი ნივთის საყიდლად (65 I), მაშინ მისი გამოხმობის შესახებ უნდა შეატყობინოს არა მხოლოდ არასრულწლოვანს, არამედ ასევე მის კონტრაჰენტსაც. ამგვარად, უზრუნველყოფილია მთავარი გარიგების ორივე მხარის ინტერესების დაცვა.[9] არასრულწლოვნის კონტრაჰენტი ხედავს რა კანონიერი წარმომადგენლის გადაცემულ ფულს (და შესაძლებელია ასევე მის წერილობით თანხმობას), უჩნდება ნდობა იმასთან დაკავშირებით, რომ არასრულწლოვანს აქვს შესაბამისი ნებართვა. ანუ, საბოლოო ჯამში, ნებართვის გაცემით წარმოშობილი **ნდობის მომენტის** გაქარწყლებისათვის არ კმარა მისი მხოლოდ ერთი მხარის მიმართ გამოხმობა. ამიტომაც კანონი ითვალისწინებს გაუქმების შესახებ ორივე მხარისათვის შეტყობინების აუცილებლობას. თუმცა, მეორე მხრივ, პრობლემურია გამოხმობა იმ შემთხვევაში, როდესაც მეორე მხარე საერთოდ არ არის ცნობილი – ვის წინაშე უნდა გამოიხმოს კანონიერმა წარმომადგენელმა ნასყიდობა, როდესაც არ იცის, თუ რომელ მაღაზიაში აპირებს არასრულწლოვანი ნივთის შეძენას? ამ პრობლემის თავიდან აცილების მიზნით მე-100 მუხლით გათვალისწინებული ორივე მხარის სავალდებულო შეტყობინების წესი **მხოლოდ მაშინ** უნდა გამოვიყენოთ, როდესაც მთავარი გარიგების **ორივე მონაწილე ცნობილია.** სხვა შემთხვევაში საკმარისად უნდა მივიჩნიოთ, თუ ნებართვის გამომხმობი ყველაფერს გააკეთებს, რათა მიმღების კონტრაჰენტს არ გაუჩნდეს ნებართვის არსებობის ნდობა. როდესაც მიმღებმა შეტყობინების გარეშეც იცოდა გამოხმობის შესახებ, ან არ იყო სახეზე საკმარისი საფუძველი ნებართვის არსებობის ვარაუდისათვის, არ არსებობს მე-100 მუხლით გათვალისწინებული წესის ბრმად გამოყენების აუცილებლობა. **4**

ცალმხრივი გარიგების დადებისას ნებართვის გამოხმობის შესახებ უნდა ეცნობოს ნების გამოხატვის ადრესატს. მიუხედავად იმისა, რომ ის არ წარ- **5**

5 RGZ 133, 254.
6 *Bub,* in Beck OK BGB, 39. Aufl., 2016, § 183 Rn. 1.
7 *ზოიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 99, გვ. 272.
8 RGZ 133, 253.
9 *ზოიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 99, გვ. 272.

მოადგენს ტექნიკური გაგებით მეორე მხარეს, ნორმის მიზნიდან გამომდინარე, აქ მისი **ანალოგიით** გამოყენება მართებული ჩანს.

ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული **სხვა პრინციპები** გამოიყენება ასევე მისი გამოხმობისათვისაც **იხ. 99-ე მუხლის კომენტარი.**

3. გამოხმობის მომენტი

6 გაცემული ნებართვის გამოხმობა შესაძლებელია იმ გარიგების დადებამდე, რომლის ნამდვილობისათვისაც გაიცა ნებართვა. ეს გულისხმობს ამ მთავარი გარიგების ყველა წინაპირობის შესრულებას.[10] ნივთის გასხვისების ნებართვის გამოხმობა შეიძლება ნასყიდობისა და სანივთო შეთანხმების დადების შემდეგაც კი, თუ შემძენს ჯერ არ გადასცემია ნივთზე მფლობელობა (186 I).[11] თუმცა გამოხმობა გამორიცხულია, თუ გადაცემა ხდება მესამე პირისაგან მფლობელობის მოთხოვნის უფლების დათმობის მეშვეობით, ამ მოთხოვნის უფლების დათმობასთან ერთად.[12] უძრავი ნივთების შემთხვევაში გამოხმობა უკვე შეუძლებელია საჯარო რეესტრში შესაბამისი განცხადების წარდგენის შემდეგ.[13] გერმანულ სამართალში ამ მოსაზრებას ასაბუთებენ წარმომადგენლობის სამართალთან პარალელით, როდესაც სანივთო გარიგების ფორმის დაუცველად დადებასა და უძრავ ნივთზე საკუთრების გადაცემის სხვა წინაპირობების შესრულებამდე, რწმუნებულების გაქარწყლება ხელს არ უშლის საკუთრების გადასვლას.

7 თუკი ნებართვა გამცემმა გამოიხმო გარიგების დადებამდე, თუმცა მეორე მხარეს სამომავლო კონტრაჰენტის ნდობით უკვე განხორციელებული აქვს გარკვეული მოსამზადებელი სამუშაოები, მას შეიძლება წარმოეშვას **ზიანის ანაზღაურების** მოთხოვნა 317 II მუხლის შესაბამისად.[14]

4. გამოხმობის „გამოხმობა“

8 ერთხელ გაცემული ნებართვის **თავიდან გაცემა** ყოველთვის შესაძლებელია გარიგების დადებამდე, ისევე როგორც ამ გარიგების **მოწონება,** მისი ნებართვის გარეშე დადების შემთხვევაში.

III. ნებართვის გაქარწყლების სხვა შემთხვევები

9 მართალია, მე-100 მუხლი ნებართვის გაქარწყლებას მხოლოდ მისი გაუქმების მეშვეობით ითვალისწინებს, თუმცა შესაძლებელია მისი გაქარწყლება სხვა საფუძვლითაც. ნებართვა, რომელიც ცალმხრივ გარიგებას წარმოადგენს, შეიძლება დაიდოს გადადების ან გაუქმების **პირობით**,

10 Müko/*Bayreuther,* BGB, 7. Aufl. 2015, § 183 Rn. 12.

11 BGH NJW 78, 696.

12 BGH BB 1961, 881.

13 BGH NJW 1998, 1484.

14 *ჭანტურია*, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, 2000, გვ. 395-399; *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 407.

ასევე გარკვეული ვადით, რომლის გასვლის შემდეგაც ის არანამდვილია. მთავარი გარიგების არანამდვილობა, რომლის დასადებადაც გაიცა ნებართვა, ავტომატურად არ იწვევს ნებართვის გაქარწყლებას, ამ უკანასკნელის **აბსტრაქტული** ხასიათის გამო (იხ. მუხ. 99, 1-ლი ველი). ამასთან, თუკი ნებართვის ხანგრძლივობა დამოკიდებულია მხარეთა შორის არსებულ ურთიერთობაზე, მისი დასრულებით ავტომატურად გაუქმებულად ჩაითვლება ნებართვაც.[15]

ნებართვის **მიმღების გარდაცვალებასაც** არ მოსდევს ავტომატურად ნებართვის გაქარწყლება. ეს დამოკიდებულია იმ ურთიერთობის ხასიათზე, რის საფუძველზეც ხდება ნებართვის გაცემა. თუ მას საფუძვლად ედო დავალების ხელშეკრულება, მაშინ ნებართვა ქარწყლდება მარწმუნებლის გარდაცვალებასთან ერთად 109 დ) მუხლის ანალოგიით,[16] თუმცა შესაძლებელია მისი გადასვლა ნებართვის მიმღების მემკვიდრეებზე 722 II მუხლით გათვალისწინებული აუცილებელი ზომებისას. ნებართვა ყოველთვის ქარწყლდება, თუ ის პირად ხასიათს ატარებდა. ამისგან განსხვავებით, ნებართვა მიმღების გარდაცვალების შემდეგაც ძალაში რჩება, თუ მიმღებს ჰქონდა მისი მოთხოვნის უფლება. მაგალითად, თუ გამყიდველი მყიდველს ნივთის პირობადებული საკუთრების უფლებით გადაცემისას, მას ამ ნივთის შემდგომი გასხვისების უფლებას მიანიჭებს, ეს უფლება მყიდველის მემკვიდრეზეც გადადის.[17] **10**

რაც შეეხება საპირისპირო შემთხვევას – ნებართვის **გამცემის გარდაცვალებას** – ამ დროს ნებართვა ჩვეულებრივ ძალაში რჩება.[18] თუ გამცემი მოგვიანებით კარგავს ნებართვის გაცემის უფლებამოსილებას, ეს, ჩვეულებრივ, აქარწყლებს მანამდე გაცემულ ნებართვას.[19] **11**

თანხმობის გამცემი, რომელსაც **გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების** წარმოებაში მიღების თაობაზე სასამართლოს განჩინების გამოტანის მომენტიდან მეურვის თანხმობის გარეშე ნებისმიერი გარიგების დადება (გადახდისუუნარობის საქმისწარმოების შესახებ კანონის 21 II ა) მუხლი) ეკრძალება, კარგავს საკუთარი ქონების განკარგვის შესაძლებლობას ასევე სხვა პირების მეშვეობითაც (102) და ძალადაკარგულია ამასთან დაკავშირებით გაცემული ნებართვაც. **12**

IV. ნებართვის გაუქმების გამორიცხვა

ნებართვის გაუქმებას შესაძლებელია გამორიცხავდეს **კანონი,** ან ეს გამორიცხული იყოს მხარეთა **შეთანხმებით,** ისევე როგორც **გამოუხმობადი** ნე- **13**

15 *ზოიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 99, გვ. 271.
16 OLG Hamm NJW-RR 2003, 800.
17 Müko/*Bayreuther,* BGB, 7. Aufl. 2015, § 183 Rn. 5.
18 *Maier-Reimer,* in Erman BGB, 14. Aufl. 2014, § 183 Rn. 2.
19 *Medicus,* Allgemeiner Teil des BGB, 10. Aufl., 2010, Rn. 1022.

ბართვის გაცემით.[20] დასაშვებია გაუქმების კონკლუდენტურად გამორიცხვაც. საეჭვოობისას, თუ ნებართვის გაცემა მოხდა მიმღების ინტერესებში, მისი გამოხმობა დაუშვებელია.[21] ამის მაგალითს წარმოადგენს პირობადებული საკუთრების შემძენის უფლება, გაასხვისოს ნივთი მისი პროფესიული საქმიანობის ფარგლებში.

V. სამართლებრივი შედეგები

14 ნებართვის გამოხმობა აქარწყლებს მის ნამდვილობას და ამის შემდეგ დადებული თანხმობასავალდებულო გარიგება, ისევე როგორც ზოგადად, ნებართვის გარეშე დადების შემთხვევაში, **მერყევად ბათილია,** რაც მხარეებს ჯერ კიდევ უტოვებს შესაძლებლობას, გადაარჩინონ გარიგება სათანადო პირის მხრიდან მოწონების მოპოვების გზით.[22] ნებართვის მიმღების კონტრაჰენტის ნდობის დაცვიდან გამომდინარე, ნებართვა უნდა დარჩეს ძალაში, სანამ არ მოხდება გამოხმობის უშუალოდ მის წინაშე გაცხადება მე-100 მუხლის მიხედვით (მე-4 ველი). მაგალითად, ყოველთვის, როდესაც გაცემულია ნებართვის საბუთი, ის ძალაშია ამ საბუთის დაბრუნებამდე.

20 Müko/*Bayreuther,* BGB, 7. Aufl. 2015, § 183 Rn. 16.
21 Müko/*Bayreuther,* BGB, 7. Aufl. 2015, § 183 Rn. 16.
22 *ზოიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 99, გვ. 271-272.

მუხლი 101. შემდგომი თანხმობა (მოწონება)

შემდგომ თანხმობას (მოწონებას) უკუქცევითი ძალა აქვს გარიგების დადების მომენტიდან, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი.

I. ზოგადი დებულებები 571
1. ნორმის მიზანი და შინაარსი 571
2. გამოყენების სფერო 572
II. სამართლებრივი მდგომარეობა გარიგების მოწონებამდე 573
1. ნებართვის გარეშე დადებული თანხმობა-სავალდებულო გარიგება 573
ა) ზოგადი 573
ბ) ცალმხრივი გარიგება 573
2. მერყევად ბათილი მდგომარეობა 574
ა) მერყევად ბათილი მდგომარეობის ხანგრძლივობა 574
ბ) ვადიანი გარიგების მოწონება 574
III. მოწონების წინაპირობები 575
1. მოწონების შინაარსი 575
2. მოწონების მომენტი 576
ა) უფლებამოსილება მოწონების მისვლის მომენტისათვის 576
ბ) გამონაკლისი და მოთხოვნის უფლება 982 I, II მუხლის მიხედვით 577
გ) გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღება 578
დ) კონკლუდენტური მოწონება ვალდებულების შესრულებით 578
IV. მოწონების სამართლებრივი შედეგები 579
1. მოწონების რეტროსპექტიული (უკუქცევითი) ძალა 579
ა) მავალდებულებელი გარიგება 579
ბ) ცალმხრივი გარიგებები 579
გ) განკარგვითი გარიგება 580
2. მოწონების პროსპექტიული ძალა 581

I. ზოგადი დებულებები

1. ნორმის მიზანი და შინაარსი

მოწონება არის თანხმობასავალდებულო გარიგების **დადების შემდეგ** გამოთქმული თანხმობა.[1] ის არ წარმოადგენს მხოლოდ დროში გადაწეულ ნებართვას, არამედ სტრუქტურულად და ფუნქციურად დამოუკიდებელ სა- **1**

1 *ზოიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 101, გვ. 273.

მართლებრივ ფიგურას.[2] ნებართვისაგან განსხვავებით, რომელიც უშუალოდ არ გარდაქმნის სამართლებრივ მდგომარეობას და მხოლოდ სამომავლო ეფექტით შემოიფარგლება, მოწონებას აქვს უშუალო სამართლებრივი შედეგები მხარეებისათვის და ასევე მთელ რიგ შემთხვევებში თავად მომწონებლისათვისაც (111, 102 II). მოწონებას აუცილებლად უნდა ახასიათებდეს **გარე ეფექტი** – თანხმობასავალდებულო გარიგების ნამდვილად ქცევა, წინააღმდეგ შემთხვევაში ის ვერ ჩაითვლება მოწონებად.[3] მოწონება უკვე დადებული გარიგების ნამდვილად ქცევის მექანიზმი და არა ახალ გარიგებაზე გამოთქმული თანხმობაა,[4] ამიტომაც ის ჯერ კიდევ არსებულ გარიგებას უნდა ეხებოდეს – გარიგების დასრულების შემდგომ მოწონება უშედეგო ხდება (თუმცა შდრ. 28 ველი).[5] გარდა ამისა, მოცემული დანაწესი მოწონებას ანიჭებს უკუქცევით ძალასაც, რადგან მიიჩნევს, რომ თუ თანხმობასავალდებულო გარიგების მხარეებს დადების შემდეგ მისი ნამდვილობა სურთ, ეს ნამდვილობა ნასურვებია, როგორც წესი, დადების მომენტიდანვე.[6]

2 ერთხელ გაცემული მოწონების **გამოხმობა** ადრესატთან მისი მისვლის შემდეგ **შეუძლებელია.** ეს გამომდინარეობს არა იმდენად უკუდასკვნით მე-100 მუხლიდან, რამდენადაც მოწონების ზოგადი ფუნქციიდან, შესძინოს გარიგებას სამუდამო (გამოუხმობადი) ნამდვილობა. გარდა ამისა, **ცალმხრივი** გარიგების და ზოგადად, ნების გამოხატვის გამოხმობა შეუძლებელია მისი მისვლის შემდეგ, თუ ამას კანონი სპეციალურად არ ითვალისწინებს.[7]

2. გამოყენების სფერო

3 101-ე მუხლი, რომელიც აწესებს მოწონების უკუქცევით ეფექტს, პრაქტიკული თვალსაზრისით, ყველაზე მნიშვნელოვანი ნორმაა თანხმობის თავიდან.[8] გასათვალისწინებელია, რომ გარიგების მოწონება შეუძლებელია, თუ მას წინ უსწრებდა ცალსახა და საბოლოო უარი მოწონებაზე.[9] მოწონების უკუქცევითი ძალა, საბოლოო ჯამში, წარმოადგენს მხარეთა სავარაუდო ინტერესის ყველაზე მეტად შესატყვის, თუმცა მაინც მხოლოდ და მხოლოდ ზოგად წესს, საიდანაც დასაშვებია უამრავი გამონაკლისი, სწორედ მხარეთა ამ ინტერესიდან გამომდინარე.[10]

4 სხვა შემთხვევაში ძალაში რჩება ზოგადად **თანხმობასთან** და ასევე **ნებართვასთან** დაკავშირებით ჩამოყალიბებული პრინციპები იხ. 99-ე და მე-100 მუხლების კომენტარი.

2 Müko/*Bayreuther,* BGB, 7. Aufl. 2015, § 184 Rn. 1.
3 LAG Thüringen BeckRS 2011, 65685.
4 *ზოიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 101, გვ. 273.
5 *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 408.
6 *Bub,* in Beck OK BGB, 39. Aufl., 2016, § 184 Rn. 1.
7 Müko/*Bayreuther,* BGB, 7. Aufl. 2015, § 184 Rn. 2; *Bub,* in Beck OK BGB, 39. Aufl., 2016, § 184 Rn. 1.
8 *ზოიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 101, გვ. 273.
9 *Bub,* in Beck OK BGB, 39. Aufl., 2016, § 184 Rn. 1.
10 *ზოიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 101, გვ. 273.

II. სამართლებრივი მდგომარეობა გარიგების მოწონებამდე

1. ნებართვის გარეშე დადებული თანხმობასავალდებულო გარიგება

ა) ზოგადი

თუ თანხმობასავალდებულო გარიგება იდება შესაბამისი ნებართვის გა- 5
რეშე, ის **მერყევად ბათილია** (იხ. მუხ. 99 მე-2 ველი) და მისთვის ნამდვილობის მინიჭების ერთადერთი საშუალება მისი მოწონებაა.[11] მოწონება მერყევად ბათილ გარიგებას **ვერ** აქცევს ნამდვილად, თუ გარიგება **არანამდვილია** თანხმობის არარსებობის **გარდა სხვა საფუძვლითაც,** ან თანხმობის გაცემა შესაძლებელი იყო **მხოლოდ ნებართვის** ფორმით.[12]

მიუხედავად იმისა, რომ მერყევად ბათილი გარიგება არ არის ნამდვილი 6
და არ წარმოშობს შესაბამის სამართლებრივ შედეგებს,[13] ის მაინც **განსხვავდება თავიდანვე არარა** გარიგებისაგან არა მხოლოდ იმით, რომ მისი მოწონებაა შესაძლებელი, არამედ იმითაც, რომ მხარეს ცალმხრივი ნების გამოხატვით აღარ შეუძლია მისგან გათავისუფლება. ეს უფლება მას მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ გამონაკლის შემთხვევებში აქვს (64, 112).

რა თქმა უნდა, ყოველთვის არის შესაძლებელი გარიგების მერყევად 7
ბათილი მდგომარეობის დასრულება მხარეთა **ურთიერთშეთანხმების** საფუძველზე მისი გაუქმებით.

ბ) ცალმხრივი გარიგება

რაც შეეხება **ცალმხრივი გარიგების** (იხ. მუხ. 99 45-46-ე ველები) მოწ- 8
ონების შესაძლებლობას, ამასთან დაკავშირებით მოსაზრებები ორად იყოფა.

ერთი მოსაზრების თანახმად[14] მიჩნეულია, რომ გარდა გამონაკლისი 9
შემთხვევებისა, როდესაც კანონი თავად გამორიცხავს ცალმხრივი გარიგების მოწონების შესაძლებლობას (66 1), ყველა სხვა შემთხვევაში ნებართვის გარეშე დადებული თანხმობასავალდებულო გარიგების მოწონება შესაძლებელი უნდა იყოს და ეს გარიგებაც ამ მომენტამდე **მერყევად ბათილია.** ამ მოსაზრების გასამყარებლად უთითებენ იმ ფაქტზე, რომ 99 I, 101-ე მუხლები ცალმხრივ და ორმხრივ გარიგებებს შორის არ ასხვავებენ. 99 III მუხლიც მხოლოდ 66-ე მუხლის მე-2 და მე-3 წინადადებებზე უთითებს და არა ამ მუხლის პირველ წინადადებაზე, სადაც გამორიცხულია არასრულწლოვნის მიერ ნებართვის გარეშე დადებული ცალმხრივი გარიგების ნამდვილობა. გარდა ამისა, მთავარი განმაპირობებელი ნებართვის გარეშე დადებული ცალმხრივი გარიგების დადებისთანავე ბათილობისა, არის (მერყევად ბა-

11 *ზოიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 101, გვ. 273.
12 Müko/*Bayreuther,* BGB, 7. Aufl. 2015, § 184 Rn. 3.
13 *ჭანტურია,* შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, 2000, გვ. 399.
14 *Medicus,* Allgemeiner Teil des BGB, 2010, Rn. 1018; OLG ZweibrOcken NJW-RR 1996, 711.

თილობით განპირობებული) **გაურკვეველი მდგომარეობის** თავიდან აცილება, რომელიც ამ ნების ადრესატს საკუთარი ნებით არ გამოუწვევია და რომელზეც მას ზემოქმედების საშუალება არ აქვს. თუმცა ამ ცალმხრივი ნების გამოხატვის ადრესატი, ამ მოსაზრების თანახმად, საკმარისად შეიძლება იყოს დაცული იმით, რომ მერყევად ბათილობის შესახებ შეტყობის მომენტიდანვე დაუთქვამს უფლებამოსილ პირს ვადას მოწონებისათვის, ხოლო, თუ თავიდანვე იცის, რომ გარიგება თანხმობასავალდებულო იყო, მაშინ უნდა აიტანოს კიდეც ეს ხსენებული გაურკვეველი მდგომარეობა.[15]

10 ეს მოსაზრება, საბოლოო ჯამში, არადამაჯერებელია. ცალმხრივი ნების გამოხატვის ადრესატის მხოლოდ ცოდნა ამ გარიგების თანხმობასავალდებულობის შესახებ და უფლებამოსილი პირისათვის მოწონებისათვის ვადის დაწესების შესაძლებლობა, ვერ უზრუნველყოფს მისი ინტერესების საკმარისად დაცვას. ამის გამო გასაზიარებელია გაბატონებული მოსაზრება,[16] რომლის მიხედვითაც ცალმხრივი გარიგება მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს მერყევად ბათილი, როდესაც ადრესატმა იცის, რომ ის თანხმობასავალდებულოა და **პრეტენზიას არ გამოთქვამს.** ყველა სხვა შემთხვევაში ის დადების მომენტიდანვე ბათილია.

11 ცალმხრივი გარიგების მოწონების **უკუქცევით ძალასთან** დაკავშირებით იხ. 27-ე ველი.

2. მერყევად ბათილი მდგომარეობა

ა) მერყევად ბათილი მდგომარეობის ხანგრძლივობა

12 კანონი (და ჩვეულებრივ, არა მხარეთა შეთანხმება) არ ითვალისწინებს მერყევად ბათილი მდგომარეობის თავისთავად დასრულების შესაძლებლობას მხოლოდ დროის გასვლის შედეგად, რაც ნიშნავს იმას, რომ უფლებამოსილი პირის მიერ გარიგების მოწონების შესაძლებლობა ფაქტობრივად დროში შეუზღუდავია და მისი გამოყენება შესაძლებელია გარიგების დადებიდან ხანგრძლივი დროის გასვლის შემდეგაც.[17] მოწონებასავალდებულო გარიგება არ კარგავს ამ უნარს მხოლოდ იმის გამო, რომ მხარე არაფერს აკეთებს – არ ცდილობს მოწონების მოპოვებას – განსაკუთრებით მაშინ, თუ მას ამის ვალდებულება არ ეკისრება.

ბ) ვადიანი გარიგების მოწონება

13 თუ **მოწონებისათვის გათვალისწინებულია ვადა,** ამ ვადის გასვლის შემდეგ გარიგების მოწონება შეუძლებელია. გარდა ამისა, გერმანული სასამართლო პრაქტიკა[18] მოწონების შესაძლებლობას გამორიცხავს ასევე იმ

15 *Bub,* in Beck OK BGB, 39. Aufl., 2016, § 184 Rn. 1.
16 RGZ 146, 316; BAG NJW 1978, 75; BGHZ 11, 37; OGH NJW 1949, 671.
17 OLG Stuttgart NJW 1954, 36: შესაძლებლად ჩათვალა გარიგების 30 წლის შემდეგ მოწონებაც კი.
18 შდრ. BGH NJW 1973, 1790.

შემთხვევაში, როდესაც თავად მოწონებასავალდებულო გარიგება იყო ვადიანი და ეს ვადა უშედეგოდ ამოიწურა, რადგან ვადის გასვლის შემდეგ აღარ არსებობს უკვე თავად ეს გარიგება. მიუხედავად ამ გადაწყვეტასთან დაკავშირებით გამოთქმული კრიტიკისა,[19] ეს პრაქტიკა საქართველოშიც გასაზიარებელი ჩანს.

14 ცალსახაა, რომ ვადის გასვლის შემდეგ მოწონება უნდა გამოირიცხოს, როდესაც ის ეწინააღმდეგება მთავარი გარიგების ვადის დათქმის მიზანს. თანხმობასავალდებულო გამოსყიდვის უფლების მოწონება შესაძლებელია მხოლოდ 517 III მუხლით გათვალისწინებულ ვადაში.[20] დამატებითი ვადის დაწესების მოწონებაც 394 II 1 და 405 I 1 მუხლების მიხედვით შეუძლებელია ამ ვადის გასვლის შემდეგ.[21]

15 იგივე წესი უნდა გავრცელდეს **ვადიან ოფერტზეც,** რომელიც ქარწყლდება იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც არაუფლებამოსილი წარმომადგენელი მას მიიღებს, მაგრამ წარმოდგენილი მას შესაბამის ვადაში არ მოიწონებს.[22]

III. მოწონების წინაპირობები

1. მოწონების შინაარსი

16 მოწონებით ხდება გარიგებაზე თანხმობის გამოთქმა მისი დადების შემდეგ და უნდა ეხებოდეს ამ გარიგების მთლიან შინაარსს ისე, როგორც მხარეებმა დადეს ეს გარიგება, თუმცა, თუ გარიგება დანაწევრებადია, შესაძლებელია მისი ნაწილობრივი მოწონებაც მხარეთა სავარაუდო ნებისდა შესაბამისად (62). მოწონების **შეზღუდულად, პირობადადებულად** ან **განვრცობილად** გაცხადების შემთხვევაში სახეზე გვაქვს მასზე უარი (333 II), რომლის განმარტებაც შესაძლებელია ახალი გარიგების დადების ნებართვად (52).[23] მოწონებაზე შესაბამისად გამოიყენება falsa demonstratio-ს პრინციპი (იხ. მუხ. 52 მე-10 ველი).[24]

17 ჩვეულებრივ, მოწონების, ისევე როგორც ყველა სხვა ცალმხრივი გარიგების დადება, **შეუძლებელია პირობადებულად.** გარდა ამისა, მოწონებას – ნებართვისგან განსხვავებით – აქვს პირდაპირი გარდაქმნითი ეფექტი (უშუალოდ წარმოშობს ან აქარწყლებს უფლებებს), რასთანაც ზოგადად ასევე შეუთავსებელია მისი პირობადებულად გაცხადება.[25] თუმცა გამონაკლისის სახით პირობის დათქმა დასაშვებია. მაგალითად, რაიხის სასამართლომ[26] დასაშვებად მიიჩნია ვალის გადაკისრების პირობადებულად მოწონება. გამომდინარე იქიდან, რომ მოწონება თანხმობასავალდებულო

19 შდრ. Müko/*Bayreuther,* BGB, 7. Aufl. 2015, § 184 Rn. 6.
20 BGH NJW 1960, 1805.
21 BGH NJW 2000, 506.
22 Müko/*Bayreuther,* BGB, 7. Aufl. 2015, § 184 Rn. 7.
23 Müko/*Bayreuther,* BGB, 7. Aufl. 2015, § 184 Rn. 10.
24 OLG Dusseldorf NJW-RR 1995, 784.
25 *Bub,* in Beck OK BGB, 39. Aufl., 2016, § 184 Rn. 4.
26 RG HRR 1928, Nr. 1559.

გარიგების ნამდვილობის წინაპირობაა, ცალსახად შეუძლებელია ისეთი მთავარი გარიგების მოწონების პირობადებულად გაცხადება, რომელსაც თავად არ შეიძლება დაედოს პირობა, მაგალითად, ცალმხრივ გარდაქმნით გარიგებას (ხელშეკრულების მოშლა, შეცილება და ა. შ.).

18 გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში კამათის საგანს წარმოადგენს, შესაძლებელია თუ არა მოწონების ნამდვილობის ისეთ გაუქმების პირობაზე (97) დამოკიდებულად ქცევა, რომლის დადგომაც **მეორე მხარი ძალაუფლების** სფეროშია. მაგალითად, მომწონებელმა თავისი მოწონების ნამდვილობა დამოკიდებული გახადოს მეორე მხარის საპირისპირო შესრულებაზე, ან ნივთის განკარგვიდან მიღებული მოგების დაბრუნებაზე (982 I).[27] თუმცა ეს მოსაზრება უკუსაგდებია სამართლებრივი სტაბილურობისა და სიცხადის გამო. პირობის დადგომა მხოლოდ არაუფლებამოსილი პირის, მაგალითად, არაუფლებამოსილი განმკარგავის ხელშია, თუმცა მოწონების ეფექტი ეხება ასევე ნივთის ამ არაუფლებამოსილი პირისაგან შემძენსაც, რომლის ინტერესებშიც დაუშვებელი უნდა იყოს პირობის დადებით გამოწვეული არასტაბილურობა.[28]

2. მოწონების მომენტი

ა) უფლებამოსილება მოწონების მისვლის მომენტისათვის

19 მომწონებელს ის უფლებამოსილება, რომლის გარეშეც დადებული გარიგება მხოლოდ მერყევად ბათილია, უნდა ჰქონდეს არა მხოლოდ გარიგების დადების, არამედ **მოწონების მეორე მხარესთან მისვლის მომენტშიც.**[29] მხოლოდ ამ შემთხვევაშია შესაძლებელი გარიგების მერყევად ბათილი მდგომარეობის დასრულება და მისი ნამდვილად ქცევა. ის, თუ **ვის** აქვს **კონკრეტულ მომენტში** გარიგების მოწონების უფლებამოსილება, განისაზღვრება გარიგების შინაარსისა და მისი თანხმობასავალდებულობის განმაპირობებელი დანაწესიდან გამომდინარე.[30] თუ არასრულწლოვნის მიერ გარიგების დადების შემდეგ იცვლება მისი კანონიერი წარმომადგენელი, მაშინ მოწონების უფლებამოსილებაც მხოლოდ ამ ახალ წარმომადგენელს აქვს და არა გარიგების დადების მომენტში მის იმჟამინდელ წარმომადგენელს.[31] თუ არასრულწლოვანი სრულწლოვანი ხდება, გარიგების მოწონების აუცილებლობაც ქარწყლდება.

20 თუ, მაგალითად, არაუფლებამოსილი პირის მიერ განხორციელებულ განკარგვას ეხება საქმე (102), რომელიც მესაკუთრემ უნდა მოიწონოს, ეს შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ პირი მესაკუთრე იქნება არა მხოლოდ განკარგვის, არამედ **ასევე მოწონების მომენტშიც,** რადგან სხვა შემთხვევაში თავისი მოწონებით სხვა უფლებამოსილი პირის სამართლებრივ სფეროში

27 *Wilckens,* AcP 157 (1958/1959), 399.
28 Müko/*Bayreuther,* BGB, 7. Aufl. 2015, § 184 Rn. 11.
29 Müko/*Bayreuther,* BGB, 7. Aufl. 2015, § 184 Rn. 19.
30 *Bub,* in Beck OK BGB, 39. Aufl., 2016, § 182 Rn. 5.
31 *Bub,* in Beck OK BGB, 39. Aufl., 2016, § 182 Rn. 5.

ჩაერეოდა – კოლიდირებს სხვის უფლებასთან, საკუთრების კეთილსინდისიერად შეძენის პრინციპების გვერდის ავლით. ამ გადაწყვეტას არ ცვლის არც 101-ე მუხლში გათვალისწინებული უკუქცევითი ეფექტი, რადგან ის წარმოადგენს მხოლოდ მოწონების სამართლებრივ შედეგს და არა წინაპირობების უკუქცევის ძალით პროეცირების მექანიზმს.[32]

ზემოთ თქმულის საპირისპიროდ, **არ არის** აუცილებელი, რომ მომწონებელი **უკვე გარიგების დადების მომენტში** იყოს უფლებამოსილი, თუმცა ამ უფლებამოსილების მხოლოდ გარიგების დადების შემდეგ მოპოვების შემთხვევაში მისი მოწონებაც მხოლოდ ამ მომენტიდან მოქმედებს.[33] თავის მხრივ სხვაგვარად არის საქმე, თუ მოწონების უფლებამოსილება საზედამხედველო უფლებამოსილებიდან გამომდინარეობს. მაგალითად, გადახდისუუნარობის საქმისწარმოების შესახებ კანონის მიხედვით დანიშნული მეურვის მოწონებას შეუზღუდავი უკუქცევითი ძალა აქვს.[34] **21**

ბ) გამონაკლისი და მოთხოვნის უფლება 982 I, II მუხლის მიხედვით

ხსენებული პრინციპიდან, რომლის მიხედვითაც მომწონებელი მოწონების მომენტში უნდა იყოს უფლებამოსილი, რამდენიმე გამონაკლისი დაიშვება: მესაკუთრეს აქვს **ნივთის განადგურების** მიუხედავად არანამდვილი განკარგვის მოწონების შესაძლებლობა, რათა ამით მოიპოვოს 982 I, II მუხლის მიხედვით განკარგვის სასყიდლის გამოთხოვის შესაძლებლობა (იხ. მუხ. 102 21-ე ველი).[35] აქ, მართალია, არ გვაქვს ზემოთ ხსენებული კოლიზია, როდესაც „თავის დროზე“ უფლებამოსილი პირის მოწონების უფლება კოლიდირებს „ამჟამად“ უფლებამოსილი პირის სამართლებრივ სფეროსთან, თუმცა გამონაკლისის სახით ეს კოლიზიაც დასაშვებია. თუ მოპარული ნივთის ქურდისაგან შემძენი მოიპოვებს მასზე საკუთრებას **გადამუშავების** ან **შერწყმა-შერევის** გზით, თავდაპირველ მესაკუთრეს შეუძლია აქ გამონაკლისის სახით ქურდის განკარგვა მოიწონოს და ამგვარად, ისევ გამოითხოვოს სასყიდელი 982 I, II მუხლის მიხედვით.[36] ამ გადაწყვეტას გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში[37] ასაბუთებენ იმ არგუმენტით, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში მესაკუთრე „მშრალზე“ დარჩებოდა, ვერ მიიღებდა რა, ვერც ნივთს ვინდიკაციით (ნივთის არარსებობის გამო) და ვერც მის სასყიდელს 982 I, II მუხლით გათვალისწინებული კონდიქციური მოთხოვნით, რომლის ფუნქციაც სწორედ რომ დაკარგული ვინდიკაციის ჩანაცვლებაა და რომელსაც აქ ვერ გამოვიყენებდით, მოწონების გარეშე ქურდის მხრიდან განკარგვა არ იქნებოდა რა ნამდვილი მესაკუთრის მიმართ. ამ გადაწყვეტით კანონმდებელი უზრუნველყოფს მესაკუთრის მიერ, თუ ნივთის არა, კომპენსაციის სახით მისი სასყიდლის დაბრუნების შესაძლებლობას მაინც და მიუხედავად **22**

32 *Flume,* Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts II, 3. Aufl., 1979, 909 .
33 *Finkenauer,* AcP 2.03 (2003), 282; Medicus, Allgemeiner Teil des BGB, 2010, Rn. 1028.
34 Müko/*Bayreuther,* BGB, 7. Aufl. 2015, § 184 Rn. 22.
35 BGH NJW 1971, 1452.
36 BGH NJW 1971, 1452.
37 *Medicus,* Allgemeiner Teil des BGB, 2010, Rn. 1029.

გერმანულ დოქტრინაში მისი განსხვავებულად დასაბუთების მცდელობისა,[38] შედეგის მხრივ ის მაინც საყოველთაოდ აღიარებულია.

გ) გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღება

23 თუ მოწონების უფლებამოსილი პირის გადახდისუუნარობის შესახებ განცხადება მიღებულია სასამართლო წარმოებაში (შდრ. ნებართვასთან დაკავშირებით მუხ. 100 მე-12 ველი) და გარიგება ეხება მომწონებლის ქონებრივ ურთიერთობას, ის კარგავს ამ მოწონების უფლებამოსილებას გადახდისუუნარობის საქმისწარმოების შესახებ კანონის 21 II ა) მუხლის მიხედვით. მოვალეს არ შეუძლია არც საკუთარი არაუფლებამოსილი წარმომადგენლის მოქმედების და არც არაუფლებამოსილი პირის მიერ მისი კუთვნილი ნივთის განკარგვის (102 II) მოწონება.[39] ამის საპირისპიროდ მესამე პირი ინარჩუნებს გადახდისუუნაროს ქონებასთან დაკავშირებული გარიგების მოწონების შესაძლებლობას.[40]

დ) კონკლუდენტური მოწონება ვალდებულების შესრულებით

24 თუ მოწონების უფლებამოსილის მქონე პირი ასრულებს მოწონებასავალდებულო გარიგებას, ეს ჩვეულებრივ წარმოადგენს კონკლუდენტურ მოწონებას (იხ. მაგალითები მუხ. 99, 30-ე ველი).[41] თუ შესაბამისი უფლებამოსილების გარეშე დადებული შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დასაქმებულები იღებენ ხელფასს და ირიცხებიან შესაბამის საკალათბურთო კლუბის შემადგენლობაში, ეს წარმოადგენს კლუბის ხელმძღვანელობის მხრიდან გარიგების კონკლუდენტურ მოწონებას.[42] სხვა შემთხვევაში, როდესაც დამქირავებლის მიერ გაწეული რემონტის საფასური გამქირავებელმა მის მეუღლეს გადაუხადა და ისიც ნაწილობრივ, დამქირავებლის მხრიდან საპასუხო უმოქმედობა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ[43] 101-ე მუხლის მიხედვით კონკლუდენტურ მოწონებად მიიჩნია. ეს გადაწყვეტა ბოლომდე გამართული არ არის. პირველ რიგში, აქ ადგილი ჰქონდა არა გარიგების მოწონებას, რაც არის 101-ე მუხლის პირდაპირი გამოყენების წინაპირობა, არამედ არაუფლებამოსილი პირის მიერ უფლებამოსილისათვის განკუთვნილი შესრულების მიღებას, რაზეც 373 II მუხლის მიხედვით ანალოგიით გამოიყენება 99-102-ე მუხლები (შდრ. მუხ. 102 მე-7 ველი). რაც შეეხება შეპირებულის ნაცვლად გაწეული სამუშაოების მეოთხედი ღირებულების გადახდას, აქ საერთოდ შეუძლებელი იყო მოწონების პრინციპების გამოყენება, რადგან საქმე არ ეხებოდა გარიგებას. ერთადერთი, რაზეც უნდა ემსჯელა სასამართლოს, ეს იყო კონკლუდენტური ვალის პატიება

38 Müko/*Bayreuther,* BGB, 7. Aufl. 2015, § 184 Rn. 231.
39 *Bub,* in Beck OK BGB, 39. Aufl., 2016, § 182 Rn. 6.
40 BGH NJW-RR 2009, 706.
41 Müko/*Bayreuther,* BGB, 7. Aufl. 2015, § 184 Rn. 5.
42 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 07 ოქტომბრის განჩინება № ას-483-457-2015.
43 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2001 წლის განჩინება № 3კ/382-01.

(448), თუმცა უბრალოდ უმოქმედობით კონლუდენტური პატიების დაშვება შეუძლებელია, რადგან ამ შემთხვევაში წაიშლებოდა საზღვრები კონკლუდენტურ პატიებასა და მოთხოვნის პრეკლუზია-ხანდაზმულობას შორის.

IV. მოწონების სამართლებრივი შედეგები

1. მოწონების რეტროსპექტიული (უკუქცევითი) ძალა

25 მოწონებას, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, აქვს რეტროსპექტიული (უკუქცევითი) ძალა და ნამდვილად აქცევს გარიგებას დადების მომენტიდან. ეს უკუქცევითი ძალა მოქმედებს, როგორც **მავალდებულებელი** (26-ე ველი), ასევე **განკარგვითი** (28-ე ველი) და **გარდაქმნითი** გარიგებების (მაგ., გასვლა) შემთხვევაში.

ამგვარად, თუ მომწონებელი გარიგების დადებასა და მოწონების გაცხადებას შორის შუალედში დაკარგავს იმ უფლებამოსილებას, საიდანაც გამომდინარეობს მის მიერ გარიგების მოწონების შესაძლებლობა, ეს მოწონებაც გამოირიცხება.[44]

ა) მავალდებულებელი გარიგება

26 თანხმობასავალდებულო **მავალდებულებელი გარიგების** (იხ. მუხ. 50 მე-15 ველი) მოწონებისას ამ გარიგებიდან წარმომდგარი მოთხოვნის უფლება წარმოიშობა და ნამდვილია მისი დადების მომენტიდან.[45] ამის საპირისპიროდ **ხანდაზმულობის ვადის** ათვლა იწყება მოწონების მომენტიდან, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადაში ჩაითვლებოდა ის დროს, რაც დროის განმავლობაშიც კრედიტორი მოკლებული იყო შესაძლებლობას სასამართლო წესით განეხორციელებინა საკუთარი მოთხოვნის უფლება, ეს კი შეუთავსებელი იქნებოდა 132 ბ) მუხლში მოცემულ პრინციპთან. თავის მხრივ, არც თანხმობასავალდებულო ნების გამოხატვით არის შესაძლებელი ხანდაზმულობის ვადის დინების შეჩერება.[46] იგივე წესი ვრცელდება **მოვალისა** და **კრედიტორის ვადის გადაცილებაზეც,** აქაც ორივე მხოლოდ მოწონების შემდეგ შედის ძალაში.[47] მაშინაც კი, თუ მხარეებმა შესრულების თარიღი კალენდრის მიხედვით განსაზღვრეს, ამ თარიღის დადგომასთან ერთად მოვალე ვადაგადაცილებულია მხოლოდ მაშინ, თუ გარიგების მოწონება უკვე მანამდე განხორციელდა.[48]

ბ) ცალმხრივი გარიგებები

27 თანხმობასავალდებულო **ცალმხრივი გარიგების** მოწონება, მისი ნებართ-

44 Müko/*Bayreuther,* BGB, 7. Aufl. 2015, § 184 Rn. 21.
45 OLG Karlsruhe NJW-RR 1986, 57.
46 Müko/*Bayreuther,* BGB, 7. Aufl. 2015, § 184 Rn. 13.
47 OLG Restock NJW 1995, 3127.
48 BGH NJW 2001, 366.

ვის გარეშე დადების შემდეგ, მხოლოდ გამონაკლისის სახით არის შესაძლებელი (იხ. მუხ. 99 45-46 ველები, 8-10 ველები), თუმცა მოწონებას ამ დროს, როგორც წესი, უკუქცევითი ძალა აქვს.[49] თავად ამ გამონაკლისიდანაც დაიშვება გამონაკლისი – თუ ცალმხრივი გარიგებით ვადის დათქმა ხდება (მოშლა, რომელიც გაცხადებიდან სამი თვის შემდეგ ასრულებს ხელშეკრულებას), ვადის ათვლა იწყება არა ცალმხრივი გარიგების დადების, არამედ მისი მოწონების მომენტიდან. გერმანიის ფედერალური სასამართლო[50] ითვალისწინებს არაუფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ 394 II 1 და 405 I 1 მუხლებით გათვალისწინებული ვადის დაწესების მოწონების შესაძლებლობას, თუმცა მას არ გააჩნია ex tunc (ანუ უკუქცევითი) მოქმედება.[51]

გ) განკარგვითი გარიგება

28 განკარგვითი გარიგება, რომლითაც უფლებამოსილი პირი ცვლის უკვე არსებულ უფლებას (იხ. მუხ. 50 მე-17 ველი), ასევე შეიძლება იყოს თანხმობასავალდებულო. 183-ე მუხლის მიხედვით, **უძრავ ნივთზე საკუთრების განკარგვის** მოწონებისათვის აუცილებელია არა მხოლოდ გარიგების არსებობა, არამედ ასევე შემძენის რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. წერილობითი ფორმით დადებული გარიგება და საჯარო რეესტრში რეგისტრაცია ამ შემთხვევაში ერთ მთლიანობას ქმნის და მათი მხოლოდ ერთობლიობაში მოწონებაა შესაძლებელი.[52] თუმცა რეგისტრაციის გარეშეც შესაძლებელია, რომ მოწონება განიმარტოს ნებართვად საკუთრების გადაცემისათვის, რომლის წინაპირობებიც (რეგისტრაციის არარსებობის გამო) ჯერ კიდევ სრულად არ არის სახეზე.

29 თუ შესაბამისი **ნებართვის გარეშე დარეგისტრირებული** პირი თავის მხრივ კიდევ ერთხელ განკარგავს ნივთს და მეორე შემძენი მოიპოვებს საკუთრებას როგორც **კეთილსინდისიერი** შემძენი, 185-ე მუხლის მიხედვით, მაშინ თავდაპირველი განკარგვის მოწონება უკვე შეუძლებელია, რადგან ამ მომენტისათვის მეორე შემძენი უკვე მესაკუთრეა.[53] მოწონება შესაძლებელია და თავის ფუნქციას ინარჩუნებს მხოლოდ ამ მეორე შემძენის არაკეთილსინდისიერების დროს. ამ შემთხვევაში ის უკუქცევითი ძალით ნამდვილად აქცევს პირველ განკარგვას, რის შემდეგაც მეორე განკარგვა უკვე უფლებამოსილი პირის მიერ ხდება.

30 იგივე პრინციპი ვრცელდება **მოძრავ ნივთზე (186) საკუთრების გადაცემაზე,** აქაც საკუთრების გადაცემის გარიგების, როგორც ერთი მთლიანობის, მოწონება შეიძლება მხოლოდ ნივთის გადაცემის შემდეგ.

49 OLG Zweibrucken NJW-RR 1996, 712.
50 BGHZ 143, 41.
51 Müko/*Bayreuther,* BGB, 7. Aufl. 2015, § 184 Rn. 14.
52 Müko/*Bayreuther,* BGB, 7. Aufl. 2015, § 184 Rn. 16.
53 Müko/*Bayreuther,* BGB, 7. Aufl. 2015, § 184 Rn. 17.

2. მოწონების პროსპექტიული ძალა

მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებელი 101-ე მუხლში მოწონებას რეტროსპექტიულ (უკუქცევით) ძალას ანიჭებს, ის ითვალისწინებს ასევე გამონაკლისსაც, როდესაც მოწონებას მხოლოდ მომავლისაკენ მიმართული (პროსპექტიული) ძალა აქვს. ამ შემთხვევაში მოწონება მოქმედებს ისე, როგორც გადადების პირობის დადგომა, თუმცა, რა თქმა უნდა, გამოიყენება არა 96-ე მუხლი, არამედ 99-ე და შემდეგი მუხლები.[54] გარდა იმისა, რომ ეს პროსპექტიული ეფექტი შეიძლება **თავად კანონით** იყოს გათვალისწინებული, **მხარეთა შეთანხმებამაც** შეიძლება გამორიცხოს მოწონების უკუქცევით ძალა ამ ნორმის **დისპოზიციური ხასიათიდან** გამომდინარე. მხარეთა შეთანხმებით გამორიცხვა შესაძლებელია კონკლუდენტურადაც მოხდეს,[55] თუმცა **საეჭვოობისას,** ჩვეულებრივ, უკუქცევითი ეფექტი მხარეთა მიერ ნასურვებად მიიჩნევა.[56] **მტკიცების ტვირთს** უკუქცევითი ეფექტის გამორიცხვასთან დაკავშირებით ატარებს ის პირი, რომელსაც აწყობს მისი გამორიცხვა.[57] 31

სასამართლო გადაწყვეტილებით მოწონების დავალდებულებას, ჩვეულებრივ, უკუქცევითი ეფექტი გააჩნია.[58]

54 Müko/*Bayreuther,* BGB, 7. Aufl. 2015, § 184 Rn. 30.
55 BGH NJW 1990, 508.
56 BGH NJW 1965, 41.
57 Müko/*Bayreuther,* BGB, 7. Aufl. 2015, § 184 Rn. 29.
58 Müko/*Bayreuther,* BGB, 7. Aufl. 2015, § 184 Rn. 29.

მუხლი 102. საგნის განკარგვა არაუფლებამოსილი პირის მიერ

1. საგნის განკარგვა არაუფლებამოსილი პირის მიერ ნამდვილია, თუკი იგი ხორციელდება უფლებამოსილი პირის წინასწარი თანხმობით.

2. განკარგვა ხდება ნამდვილი, თუ უფლებამოსილი პირი მას მოიწონებს.

I. ზოგადი დებულებები ... 582
1. ნორმის მიზანი და შინაარსი ... 582
2. გამოყენების სფერო ... 582
II. განკარგვა ... 583
1. განკარგვა ... 583
2. ანალოგიით გამოყენება ... 584
3. განსხვავება წარმომადგენლობისაგან ... 585
4. არაუფლებამოსილი პირი ... 585
III. უფლებამოსილი პირის ნებართვა, 102 I ... 586
1. ზოგადი ... 586
2. ნებართვის მინიჭება ... 586
IV. უფლებამოსილი პირის მოწონება, 102 II ... 587
1. არანამდვილი განკარგვის მოწონება და მიღებული სარგებლის გამოთხოვა 982 II, 102 II ... 587
2. არანამდვილი შესრულების მოწონების შეუძლებლობა, (983) ... 588
3. უფლებამოსილი პირი ... 589
4. სამართლებრივი შედეგები ... 589

I. ზოგადი დებულებები

1. ნორმის მიზანი და შინაარსი

1 მოცემული დანაწესი აწესრიგებს ორ შემთხვევას, როდესაც საგნის განკარგვა არაუფლებამოსილი პირის მიერაც ნამდვილია. ეს შესაძლებელია უფლებამოსილი პირის მხოლოდ თანხმობის (102 I) ან მოწონების (102 II) შემთხვევაში. ამასთან, ეს მეორე შემთხვევა უფრო მნიშვნელოვანია, რადგან ის უფლებამოსილ პირს განმკარგავისაგან სარგებლის მოთხოვნის უფლებას ანიჭებს.[1]

2. გამოყენების სფერო

2 მოწონების შემთხვევა, როდესაც არაუფლებამოსილი პირი საკუთარი სახელით დებს გარიგებას და ეს გარიგება ნამდვილია უფლებამოსილი პირის მიერ მასზე თანხმობის გამოთქმის მომენტიდან, ჰგავს წარმომადგენლობის შემთხვევას, როდესაც ერთი პირი საკუთარი მოქმედებით მეორეს

1 *Bub,* in Beck OK BGB, 39. Aufl., 2016, § 185 Rn. 1.

მოუპოვებს სამართლებრივ პოზიციებს (შდრ. ქვევით 10-ე ველი).[2] თუმცა მათ შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაც არსებობს, განკარგვის მიმღებისათვის შეუცნობადი რჩება, რომ განმკარგავი ამით სხვის სამართლებრივ სფეროში იჭრება. ამგვარად, განკარგვისას **სახეზე არ გვაქვს** წარმომადგენლობისათვის **დამახასიათებელი საჯაროობის მომენტი,** რასაც ამართლებენ იმაზე მითითებით, რომ განკარგვის მიმღებს ჩვეულებრივ არ აქვს ინტერესი იცოდეს, თუ ვინ ფლობდა ამ განკარგვის უფლებამოსილებას,[3] ეს პირი არ ხდება მისი პერსონალური მოვალე.

102 II მუხლი ითვალისწინებს განმკარგავის უფლებამოსილების ნაკლის ე. წ. „მორჩენის" შესაძლებლობას – უფლებამოსილი პირის მიერ მის მოწონებას.[4] მოწონების მომენტიდან მთავრდება გარიგების მერყევად ბათილი მდგომარეობა.[5] **3**

ნორმის **ანალოგიით** გამოყენებასთან დაკავშირებით შდრ. მე-7 ველი. **4**

II. განკარგვა

1. განკარგვა

განკარგვის ზუსტი **დეფინიცია** გერმანულ სამართალს უნდა დავესესხოთ (თუმცა შდრ. ასევე მუხ. 50 მე-17 ველი). განკარგვა 102-ე მუხლის გაგებით წარმოადგენს გარიგებას, რომელიც პირდაპირ ზემოქმედებს სანივთო უფლებაზე ან სამართლებრივ ურთიერთობაზე, მისი სხვისთვის გადაცემის, გაუქმების, დატვირთვის ან შინაარსობრივი ცვლილების გზით.[6] განმკარგავად ითვლება პირი, რომელიც ხელშეკრულების შინაარსიდან გამომდინარე განკარგვის მიმღებს გადასცემს რაიმე უფლებას.[7] განკარგვის ყველაზე ტრაფარეტული შემთხვევებია ნივთზე საკუთრების გადაცემა, მისი შეზღუდული სანივთო უფლებით დატვირთვა,[8] მოთხოვნის უფლების დათმობა,[9] ნივთის ან უფლების დაყადაღება. განკარგვას წარმოადგენს ასევე გაქვითვის ხელშეკრულება,[10] თუმცა გაქვითვის, როგორც ცალმხრივი გარიგების (442), მოწონება შეუძლებელია 102-ე მუხლის მიხედვით, რადგან ის თავიდანვე ბათილია (იხ. მე-8 ველი). თავად მოწონებაც 102-ე მუხლის გაგებით წარმოადგენს განკარგვას. ასევე ისეთი ცალმხრივი გარიგებები, როგორიც არის საკუთრების მიტოვება (184) (იხ. მუხ. 50 მე-17 ველი). **5**

2 *ჭანტურია,* შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, 2000, გვ. 400.
3 *Bub,* in Beck OK BGB, 39. Aufl., 2016, § 185 Rn. 1.
4 *ზოიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 101, გვ. 274.
5 *ჭანტურია,* შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, 2000, გვ. 401.
6 BGH NJW 1950, 647; BGH NJW 1980, 175.
7 *Bub,* in Beck OK BGB, 39. Aufl., 2016, § 185 Rn. 2.
8 შდრ. მაგ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2001 წლის 26 ოქტომბრის განჩინება №3კ/61301; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილება №3კ-659-02.
9 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 6 სექტემბრის განჩინება №2ბ/1375-11.
10 RGZ 72, 377.

6 **მავალდებულებელი** გარიგების დადება (იხ. მუხ. 50 მე-15 ველი), ასევე ყველა იმ გარიგებისა, რომელიც პირდაპირ არ ზემოქმედებს კონკრეტული უფლების მდგომარეობაზე, არ ითვლება განკარგვად.[11] ქართული სასამართლო პრაქტიკა ამ პრინციპს ბოლომდე ვერ იაზრებს, მოიხსენიებს რა ჩუქების[12] ან ნასყიდობის[13] ხელშეკრულებებს განკარგვად 102-ე მუხლის გაგებით. ეს ცალსახად არასწორია, პირს შეუძლია გაყიდოს ის ნივთი, რომელიც სხვის საკუთრებაშია, მესაკუთრის თანხმობის გარეშე ისე, რომ ეს ზეგავლენას არ მოახდენს ნასყიდობის ნამდვილობაზე. თუ მყიდველს შემდგომში ვერ გადასცემს შეპირებულ საკუთრებას, თავს გაიხდის ზიანის ანაზღაურების მოვალედ ნასყიდობიდან. ქართული სასამართლო ასევე შესაძლებლად მიიჩნევს 322-ე და 102-ე მუხლების ერთსა და იმავე გარიგებაზე გავრცელებას,[14] რაც ასევე არასწორია. 322-ე ეხება მხოლოდ ვალდებულებით გარიგებებს.

2. ანალოგიით გამოყენება

7 მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი გარიგება და სამართლებრივი მოქმედება არ წარმოადგენენ განკარგვას ზემოთ ხსენებული გაგებით, მათზე მაინც შესაძლებელია 102-ე მუხლის **ანალოგიით** გავრცელება, თუ ეს გარიგება იდება არაუფლებამოსილი პირის მიერ.[15] ამ განვრცობის შესაძლებლობას ითვალისწინებს თავად კანონიც. მაგალითად, **373 II მუხლის** მიხედვით, არაუფლებამოსილი პირის მიერ სხვისთვის განკუთვნილი შესრულების მიღება მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩაითვალოს კრედიტორის მიმართ შესრულებად, თუ სახეზეა ამ კრედიტორის თანხმობა, რაც 99-102-ე მუხლებთან გვაბრუნებს.[16]

8 განკარგვით გარიგებებს არ განეკუთვნება ისეთი (გარდაქმნითი) უფლებები, როგორიც არის **შეცილება, გასვლა** ან ხელშეკრულების **მოშლა,** თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ ისინი თავიანთი ეფექტით საკმაოდ ახლოს დგანან მასთან, მათზე ანალოგით გამოიყენება 102 I მუხლი[17], მაგრამ არ გამოიყენება ამავე მუხლის მე-2 ნაწილი, რადგან ამ ცალმხრივი გარიგების მოწონება შეუძლებელია (შდრ. ზემოთ მე-5 ველი).[18] გამონაკლისის სახით შეცილების ადრესატმა უნდა აიტანოს მერყევი მდგომარეობით გამოწვეული გაურკვევლობა, თუ იცოდა განმცხადებლის არაუფლებამოსილების შესახებ და არ გაუპროტესტებია ის.[19]

11 BGH NJW 1961, 500; BGH NJW 1991, 1816.

12 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 18 მარტის განჩინება №ას-8-6-2013.

13 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 11 ივლისის განჩინება №ას-918-876-2013; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 29 ივლისის განჩინება №ას-236-497-08; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 17 სექტემბრის განჩინება №3კ/95302.

14 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 29 ივლისის განჩინება №ას-236-497-08.

15 *Bub,* in Beck OK BGB, 39. Aufl., 2016, § 185 Rn. 3.

16 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2001 წლის 23 მაისის განჩინება № 3კ/382-01, თუმცა სასამართლო ამ შემთხვევას არასწორად მოთხოვნის განკარგვად მოიხსენიებს. 373 II მუხლით გათვალისწინებული მოწონება შეიძლება მოხდეს კონკლუდენტურადაც.

17 BGH NJW 1998, 896.

18 BGH NJW 1997, 1151.

19 *Bub,* in Beck OK BGB, 39. Aufl., 2016, § 185 Rn. 3.

102-ე მუხლი ანალოგიით ვრცელდება ნივთებთან და უფლებებთან დაკავშირებულ **იძულებითი აღსრულების ღონისძიებებზე,** როგორიც არის, მაგალითად, ქონების დაყადაღება.[20] 9

3. განსხვავება წარმომადგენლობისაგან

არაუფლებამოსილი განმკარგავი განკარგვისას უნდა მოქმედებდეს **საკუთარი სახელით,**[21] რაც განასხვავებს კიდეც მას უფლებამოსილების გარეშე მოქმედი წარმომადგენლისაგან, რომელიც სხვისი სახელით მოქმედებს.[22] თუ პირი განკარგვით ან სხვაგვარ გარიგებას დებს სხვისი სახელით, უფლებამოსილ პირს ამ გარიგების მოწონება მხოლოდ 111-ე მუხლის მიხედვით შეუძლია. 102-ე მუხლი აქ აღარ გამოიყენება.[23] 10

4. არაუფლებამოსილი პირი

განმკარგავი არაუფლებამოსილია, თუ მის მიერ დადებული განკარგვითი გარიგება **მესამე პირის თანაქმედების** გარეშე, არანამდვილია.[24] ყველა პირი, ვინც არ არის განკარგვის შედეგად გადაცემული უფლების მესაკუთრე, არაუფლებამოსილია 102-ე მუხლის გაგებით. მაგალითად, პირი, რომელიც გადასცემს სხვის ნივთზე საკუთრების უფლებას ან თმობს სხვა პირის მოთხოვნის უფლებას.[25] არაუფლებამოსილად შეიძლება ჩაითვალოს ასევე განკარგული უფლების მფლობელიც კი, თუ მას ჩამორთმეული აქვს განკარგვის უფლებამოსილება (იხ. მუხ. 101, 23-ე ველი).[26] 11

ამისგან განსხვავებით მესაკუთრე, რომელმაც უკვე მიიღო სამკვიდრო, უფლებამოსილი განმკარგავია, **საჯარო რეესტრში მესაკუთრედ დარეგისტრირებამდეც** და აქ 102-ე მუხლის გამოყენებისათვის ადგილი არ რჩება.[27] 12

მინდობილი მესაკუთრე (724) ნივთის განკარგვისას ყოველთვის უფლებამოსილია, მაშინაც კი, როდესაც ამ განკარგვით ის არღვევს საკუთრების მიმნდობის მიმართ ნაკისრ ვალდებულებას შიდა ურთიერთობიდან.[28] 13

102-ე მუხლის მიხედვით არაუფლებამოსილად ითვლება პირი, რომელიც სამართლებრივ პოზიციას გაუქმების **პირობადებულად** მოიპოვებს (97), ამ პირობის დადგომის შემდეგ, მაშინაც კი, როდესაც განკარგვა პირობის დადგომამდე ხდება.[29] არაუფლებამოსილად ითვლება ასევე მხოლოდ ნივთის 14

20 *Bub,* in Beck OK BGB, 39. Aufl., 2016, § 185 Rn. 4.
21 *ზოიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 102, გვ. 274.
22 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილება №3კ-659-02.
23 სავარაუდოდ, ამ მიმართულებით მიდის საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავის 2003 წლის 11 ივლისის განჩინებაში № 3კ-659-02.
24 *Bub,* in Beck OK BGB, 39. Aufl., 2016, § 185 Rn. 6.
25 BGH NJW 1990, 2680; BGH NJW 1980, 176.
26 *Bub,* in Beck OK BGB, 39. Aufl., 2016, § 185 Rn. 6.
27 შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 29 ივლისის განჩინება № ას-236-497-08, სადაც სასამართლო საწინააღმდეგო პოზიციაზეა.
28 BGH NJW 1999, 1026.
29 RGZ 76, 91.

თანამესაკუთრე, თუ ის სხვა თანამესაკუთრეების თანხმობის გარეშე განკარგავს ნივთს.[30] **დატვირთული** უფლების მფლობელი, რომელიც უფლების დაუტვირთავად გადაცემას ჰპირდება მიმღებს, ასევე არაუფლებამოსილია 102-ე მუხლის გაგებით.[31] **პირობადებული საკუთრების** მფლობელიც ნივთზე საკუთრების გადაცემის ჭრილში არაუფლებამოსილად ითვლება.[32]

15 გადამწყვეტ მომენტს არაუფლებამოსილების განსაზღვრისათვის წარმოადგენს **განკარგვის მომენტი.**[33]

III. უფლებამოსილი პირის ნებართვა (102, I)

1. ზოგადი

16 არაუფლებამოსილი პირის განკარგვა თავიდანვე ნამდვილია, თუ ეს არაუფლებამოსილი პირი მას უფლებამოსილი პირის წინასწარი თანხმობით (ნებართვით) ახორციელებს – **განკარგვის უფლებამოსილება.**[34] ამავე პრინციპიდან აწარმოებს გერმანული სამართლის დოქტრინა ე. წ. **შესრულების მიღებისა** (373 II) და **პროცესის გაძღოლის უფლებამოსილებას,**[35] რისი გადმოღების აუცილებლობა სამომავლოდ შესაძლებელია ქართულ სამართალშიც დადგეს.

17 ამის საპირისპიროდ ე. წ. **დავალდებულების უფლებამოსილება,** რომლის მიხედვითაც ერთი პირი მეორეს ანიჭებს მისი დავალდებულების შესაძლებლობას, აღიარებული არ არის.[36] ამისთვის არსებობს სპეციალური ინსტიტუტი – წარმომადგენლობა, თავისი საჯაროობის პრინციპით, რომლის გვერდის ავლაც იქნებოდა დავალდებულების უფლებამოსილების დაშვება. ქართული სასამართლო მთელ რიგ შემთხვევებში ამ განსხვავებას ვერ აკეთებს, აერთიანებს რა ასევე ვალდებულებით გარიგებებს, 102-ე მუხლის გაგებით, განკარგვის ცნების ქვეშ (იხ. მე-6 ველი).

2. ნებართვის მინიჭება

18 ნებართვის გაცემა ხდება 99-ე-მე-100 მუხლებში ჩამოყალიბებული პრინციპების მიხედვით (იხ. ამ მუხლების კომენტარი). რწმუნებულება (107) შეიძლება შეიცავდეს არა მხოლოდ წარმოდგენილის სახელით ნივთის

30 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 18 ივლისის განჩინება №ას-178-167-2014; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 18 მარტის განჩინება №ას-8-6-2013, თუმცა არასწორია სასამართლოს დაშვება, რომლის მიხედვითაც თითოეული მეუღლეთაგანი უფლებამოსილი იყო გაესხვისებინა მისი კუთვნილი წილი, რადგან 1158-ე მუხლის თანახმად, მეუღლეთა თანასაკუთრება არა წილობრივ, არამედ თანაზიარ საკუთრებას წარმოადგენს.

31 *ჭანტურია,* შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, 2000, გვ. 400.

32 BGHZ 20, 94.

33 *Bub,* in Beck OK BGB, 39. Aufl., 2016, § 185 Rn. 6.

34 *Bub,* in Beck OK BGB, 39. Aufl., 2016, § 185 Rn. 7; *ზოიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 102, გვ. 275.

35 *Bub,* in Beck OK BGB, 39. Aufl., 2016, § 185 Rn. 7.

36 Müko/*Bayreuther,* BGB, 7. Aufl. 2015, § 185 Rn. 31.

განკარგვის უფლებას, არამედ ასევე ნებართვასაც 102 I მუხლის შესაბამისად, რისი დადგენაც განმარტების მეშვეობით უნდა მოხდეს.[37] განმკარგავს ნებართვას ანიჭებს **უფლებამოსილი** პირი, რომელიც შეიძლება იყოს თავად ამ განსაკარგავი უფლების მფლობელი ან არამფლობელი, მაგრამ უფლებამოსილი (მაგ., გაკოტრების მმართველი). თუ განმკარგავის არაუფლებამოსილება განპირობებულია იმით, რომ მის გარდა ასევე სხვა უფლებამოსილი პირიც არსებობს (მაგ., თანამესაკუთრეები), მაშინ ნებართვის გაცემა შეუძლიათ ამ თანამესაკუთრეებს, თუმცა არ არის აუცილებელი მისი ერთობლივად გაცხადება.[38] **კომისიონერი** უფლებამოსილია საკუთარი სახელით გაასხვისოს საკომისიო მომსახურების ფარგლებში გასასხვისებლად მიბარებული ქონება.[39] თუ ნივთის **პირობადებული საკუთრების** უფლებით მომპოვებელი ამავდროულად ვაჭარია, კონკლუდენტურად შეთანხმებულად ითვლება ნივთის სავაჭრო ურთიერთობების ფარგლებში შემდგომი გასხვისების ნებართვა.[40]

იხ. **გამოხმობასთან** და სხვა **გამაქარწყლებელ** გარემოებებთან დაკავშირებით მუხ. 101, მე-2 ველი. **19**

IV. უფლებამოსილი პირის მოწონება (102 II)

მოწონების გაცემა ხდება 99-101-ე მუხლების მიხედვით. წინაპირობებთან დაკავშირებით შდრ. მუხ. 101-ე მე-16 და შემდგომი ველები. **20**

1. არანამდვილი განკარგვის მოწონება და მიღებული სარგებლის გამოთხოვა (982 II, 102 II)

ნებართვასთან შედარებით გაცილებით დიდია არაუფლებამოსილი პირის მიერ განხორციელებული განკარგვის, რომელიც ამ მიზეზით არანამდვილია, უფლებამოსილი პირის მიერ მოწონებისა და ამგვარად, ნამდვილად ქცევის შესაძლებლობა (102 II).[41] უფლებამოსილ პირს შეუძლია მოგვიანებით განმკარგავისაგან ხელყოფის კონდიქციით (982 I) გამოითხოვოს ის სარგებელი, რაც არაუფლებამოსილმა განმკარგავმა მიიღო ამ განკარგვიდან. თუმცა 982 I მუხლით გათვალისწინებული ხელყოფისათვის აუცილებელია, რომ ხელმყოფის განკარგვა უფლებამოსილი პირის წინაშე ნამდვილი იყოს – რეალურად ხელყოფდეს მის სამართლებრივ პოზიციებს, არანამდვილი განკარგვის შემთხვევაში ეს ხელყოფა არ გვაქვს სახეზე, თუმცა კონიგმა,[42] უსაფუძვლო გამდიდრების სამართლის სარეფორმო წინადადებაში სპეციალურად გაითვალისწინა არანამდვილი განკარგვის მოწონების **21**

37 RGZ 53, 274.
38 RGZ 152, 380.
39 *Bub,* in Beck OK BGB, 39. Aufl., 2016, § 185 Rn. 9.
40 OLG Hamburg MDR 1970, 506.
41 *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 409.
42 იხ. *რუსიაშვილი/ეგნატაშვილი,* კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, 2016, გვ. 88 და შემდგომნი.

შესაძლებლობა, რაც ქართველმა კანონმდებელმა გადმოიღო კიდეც 982 II მუხლში – „ბათილი განკარგვის შემთხვევაში უფლებამოსილ პირს შეუძლია ხელმყოფისაგან მოითხოვოს დაუყოვნებლივი ანაზღაურება." მართალია, ამ დანაწესის ფორმულირება, ერთი შეხედვით, რთულად აღსაქმელია და საერთოდ საპირისპიროზე მიგვანიშნებს, თუმცა გერმანულ ორიგინალთან[43] შედარებისას მისი შინაარსი და კანონმდებლის განზრახვა ნათელი ხდება: თუ უფლებამოსილი პირი არაუფლებამოსილი პირის მხრიდან არანამდვილი განკარგვის შემთხვევაში მისგან ამით მიღებულ სარგებელს მოითხოვს უკან, აქ სახეზე გვაქვს ამ არანამდვილი განკარგვის **კონკლუდენტური მოწონება,** რაც ნამდვილად აქცევს მას და უფლებამოსილ პირს გზას უხსნის 982 I მუხლით უკან მოთხოვნისაკენ.

თუ **განკარგვა უსასყიდლო** ხასიათს ატარებდა, მაშინ საგნის გამოთხოვა უშუალოდ მესამე პირი-მიმღებისაგან არის შესაძლებელი (990 I).

როგორც სხვაგან ვახსენეთ (იხ. მუხ. 101, 22-ე ველი), მოცემულ შემთხვევაში მოწონება შესაძლებელია მიღებული სარგებლის დაბრუნების **კონკლუდენტური** პირობით.[44]

2. არანამდვილი შესრულების მოწონების შეუძლებლობა (983)

22 გერმანულ სამართალში, გარდა არანამდვილი განკარგვის მოწონებისა და ამით მიღებული სარგებლის გამოთხოვის შესაძლებლობისა, არსებობს ასევე არანამდვილი **შესრულების მოწონების შესაძლებლობა,** როდესაც უფლებამოსილი პირისათვის განკუთვნილ შესრულებას იღებს არაუფლებამოსილი პირი. ამგვარი შესრულება არანამდვილია (373 I) და მოვალე მის შემდეგაც რჩება ვალდებულად კრედიტორის წინაშე. თუმცა, გარდა ამისა, გერმანული სასამართლო პრაქტიკა ანიჭებდა და დღემდე ანიჭებს[45] კრედიტორს არაუფლებამოსილი მიმღებისაგან შესრულების გამოთხოვის შესაძლებლობას და ამასთან, ამ შესრულების მოთხოვნაში იკითხება კონკლუდენტური მოწონება ამ შესრულებისა, რის გარეშეც ის ნამდვილი ვერ იქნება და ვერ იქნება კონდიცირებადი (§ 816 გსკ).

23 ქართულ სამართალში ამ გადაწყვეტის გადმოღება შეიძლება **სასურველი** იყოს. მართალია, ამის საწინააღმდეგოდ მეტყველებს თავად კონიგის კომენტარი თავისი კანონპროექტის შესაბამის პარაგრაფთან დაკავშირებით, რომელიც ქართველმა კანონმდებელმა 983-ე მუხლში გადმოიღო. კონიგმა,[46] ზემოთ ხსენებული სასამართლო პრაქტიკის შესახებ ცოდნის მიუხედავად, არ გაითვალისწინა არაუფლებამოსილი პირის მიერ მიღებული შესრულების მოწონების შესაძლებლობა უფლებამოსილი პირის მიერ სპეციალურ დანაწესში და გარდა ამისა, გაცხადებულადაც **თქვა მასზე უარი,** მიიჩნია რა, რომ ეს გადაწყვეტა გაუმართლებელ პრივილეგიას ანიჭებს კრედი-

43 *König,* Gutachten und Vorschläge zur Überarbeitung des Schuldrechts II, 1981, 1562.
44 *Bub,* in Beck OK BGB, 39. Aufl., 2016, § 185 Rn. 10.
45 BGH NJW 2005, 2699; BGH NJW-RR 2012, 1129; BGH NJW 2008, 3571.
46 *König,* Gutachten und Vorschläge zur Überarbeitung des Schuldrechts II, 1981, 1563.

ტორს – მოვალის გაკოტრების მიუხედავად, მას შეუძლია ჰყავდეს ახალი კონდიქციური მოვალე შესრულების არაუფლებამოსილი მიმღების სახით. ქართული სამართლისათვის ეს უარი სავალდებულო არ არის. 983-ე მუხლში არაფერია ნათქვამი იმასთან დაკავშირებით, რომ მხოლოდ წინასწარი თანხმობა (ნებართვა) განაპირობებს ნამდვილ შესრულებას და გარდა ამისა, 373 II მუხლიც (შდრ. სხვა პირის მიმართ შესრულებაზე თანხმობასთან დაკავშირებით მუხ. 101 24-ე ველი) კრედიტორის გარდა სხვა პირის მიმართ შესრულების განხორციელების შესაძლებლობას **ზოგადად კრედიტორის თანხმობის** საფუძველზე ითვალისწინებს, რაც ნიშნავს იმას, რომ შესაძლებელი უნდა იყოს არაუფლებამოსილი პირის მიერ კრედიტორისათვის გამიზნული შესრულების მიღების მოწონება, მისი შემდგომში 983-ე მუხლის მიხედვით კონდიცირების მიზნით.

3. უფლებამოსილი პირი

იმასთან დაკავშირებით, თუ ვინ ჩაითვლება დროის კონკრეტულ მომენტში **მოწონებაზე უფლებამოსილ** პირად იხ. მუხ. 101 მე-19 ველი. **24**

4. სამართლებრივი შედეგები

მოწონების შემდეგ მერყევად ბათილი გარიგება **ნამდვილია** და თანაც **დადების მომენტიდან** (101). ამ უკუქცევითი ძალიდან **გამონაკლისებთან** დაკავშირებით შდრ. მუხ. 101 31-ე ველი. **25**

განკარგვის უკუქცევითი ძალით ნამდვილობა არ ნიშნავს იმას, რომ ამით ქარწყლდება უფლებამოსილსა და არაუფლებამოსილ პირს შორის **მართლწინააღმდეგობის** განმაპირობებელი მომენტი.[47] უფლებამოსილ პირს, მიუხედავად მოწონებისა, შეუძლია წარუდგინოს არაუფლებამოსილს **ზიანის ანაზღაურების** მოთხოვნა განკარგვიდან გამომდინარე.[48] **26**

ერთი და იმავე საგნის **რამდენჯერმე** განკარგვის შემთხვევაში უფლებამოსილ პირს აქვს არჩევანის უფლება, თუ რომელი განკარგვა მოიწონოს. ნამდვილი ხდება ის განკარგვა, რომელსაც პირველი მოიწონებს, რის შემდეგაც უფლებამოსილი კარგავს თანხმობის გაცხადების უფლებას.[49] თუ უფლებამოსილი პირი ერთდროულად იწონებს რამდენიმე ურთიერთსაწინააღმდეგო განკარგვას, მაშინ უკუქცევითი ძალით ნამდვილად იქცევა ქრონოლოგიურად პირველი განკარგვა. განკარგვათა ჯაჭვის შემთხვევაში, როდესაც არაუფლებამოსილი პირისაგან მიმღები თავის მხრივ კიდევ ასხვისებს ნივთს, პირველი განკარგვის მოწონებასთან ერთად მოწონებულად ითვლება ყველა შემდგომი განკარგვა.[50] **27**

47 *Bub,* in Beck OK BGB, 39. Aufl., 2016, § 185 Rn. 12.
48 BGH NJW 1960, 860.
49 *Bub,* in Beck OK BGB, 39. Aufl., 2016, § 185 Rn. 12.
50 *Bub,* in Beck OK BGB, 39. Aufl., 2016, § 185 Rn. 12.

თავი მეშვიდე
წარმომადგენლობა გარიგებებში

მუხლი 103. ცნება

1. გარიგება შეიძლება დაიდოს წარმომადგენლის მეშვეობითაც. წარმომადგენლის უფლებამოსილება ან კანონიდან გამომდინარეობს ანდა წარმოიშობა დავალების (მინდობილობის) საფუძველზე.

2. ეს წესი არ გამოიყენება მაშინ, როცა, გარიგების ხასიათიდან გამომდინარე, იგი უშუალოდ უნდა დადოს პირმა, ან როცა კანონით აკრძალულია გარიგების დადება წარმომადგენლის მეშვეობით.

I. ზოგადი დებულებანი 590
1. წარმომადგენლის განმარტება 591
2. წარმოდგენილის განმარტება 591
3. წარმომადგენლობითი უფლებამოსილება 591
4. მეორე მხარე წარმომადგენლობით დადებული გარიგებისას 592
II. წარმომადგენლის მეშვეობით გარიგების დადების უფლებამოსილება (103 I) 592
1. კანონისმიერი წარმომადგენლობა 593
2. გარიგებისმიერი წარმომადგენლობა 593
III. წარმომადგენლის მეშვეობით გარიგების დადების შეზღუდვის ფარგლები (103 II) 595
IV. კავშირი სხვა სამართლებრივ ინსტიტუტებთან 595
1. საკუთრების მინდობა 595
2. ერთობლივი საქმიანობა (ამხანაგობა) 595
3. ხანდაზმულობა 596
4. მოვალის პასუხისმგებლობა მისი წარმომადგენლის მოქმედებისათვის 596
5. დაზღვევა 596
6. კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები 596
7. საქორწინო ხელშეკრულების დადება 597
8. იურიდიული პირის წარმომადგენლობა 597
9. წარმომადგენლობა საპროცესო სამართალში 597

I. ზოგადი დებულებანი

1 წარმომადგენლობის მნიშვნელობა და როლი დიდია არა მხოლოდ კერძო, არამედ საჯარო-სამართლებრივ ურთიერთობებშიც.[1] ყოველდღიურ ცხოვრებაში არაერთი გარიგება იდება წარმომადგენლის მეშვეობით. განსახილველი მუხლი წარმომადგენლის მეშვეობით გარიგების დადების ამომავალ დებულებას წარმოადგენს. იგი გარიგების მონაწილე მხარეებს (ან მხარეს)

1 იხ. *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 423.

ანიჭებს უფლებამოსილებას, ცალკეულ შემთხვევებში გარიგება სხვა პირის დახმარებითაც დადონ. მუხლის განმარტებიდან იკვეთება, რომ წარმომადგენლობით დადებული გარიგებისას, მასში არანაკლებ ორი სუბიექტი მონაწილეობს: **წარმომადგენელი** და **წარმოდგენილი.**

1. წარმომადგენლის განმარტება

წარმომადგენელია პირი, რომელიც მოქმედებს სხვისი სახელით.[2] წარმო- **2**
მადგენელი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური თუ იურიდიული პირი. გარკვეულ შემთხვევებში შესაძლებელია, წარმომადგენელი შეზღუდული ქმედუნარიანიც იყოს (105).[3] წარმომადგენელი თავად უნდა მოქმედებდეს გარიგების დადების მიზნით.[4] იგი თავად ავლენს ნებას გარიგების დადებისას, რომელიც წარმოდგენილის ნებას უნდა შეესაბამებოდეს. სწორედ ამ ასპექტში განსხვავდება წარმომადგენელი ე.წ. შიკრიკისგან, კურიერისგან,[5] რომელიც არ ავლენს საკუთარ ნებას.[6] იგი მოქმედებს სხვა პირის ვალდებულებათა შესასრულებლად (იხ. 396).[7] მას არ გააჩნია წარმომადგენლობითი უფლებამოსილება და შესაბამისად, იგი არ არის გარიგების დადების უნარის მქონე.[8]

2. წარმოდგენილის განმარტება

წარმოდგენილი არის პირი, რომელიც უშუალოდ ხდება გარიგების მხარე. **3**
სწორედ იგი გადასცემს მის მიერ გამოვლენილ ნებას წარმომადგენელს, რათა დაიდოს შესაბამისი გარიგება მისი სახელით.[9] ასეთი პირი შეიძლება იყოს ნებისმიერი.[10]

3. წარმომადგენლობითი უფლებამოსილება

წარმომადგენლობით უფლებამოსილებად[11] მიჩნეულ უნდა იქნეს წარმო- **4**

2 *ზოიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 103, გვ. 276.

3 შდრ. *თუმანიშვილი,* გარიგებები (სამართლებრივი ბუნება და ნორმატიული რეგულირება), 2012, გვ. 86.

4 *ერქვანია,* მესამე პირთა ინტერესების დაცვა წარმომადგენლობაში (საქართველოსა და გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით), მართლმსაჯულება და კანონი, №3(34)12, გვ. 33.

5 გერმანულ ენაში მოხსენიებულია ტერმინი: BOTE. ამ ფარგლებში მოქმედი პირი არ დებს გარიგებას თავისი სახელით, სხვისი ინტერესების გათვალისწინებით. ასეთ შემთხვევაში, მას მხოლოდ ნება გადააქვს მეორე მხარესთან და ე.წ. „ნების კურიერულ“ ფუნქციას ასრულებს.

6 MüKo/*Schubert,* BGB, 7. Aufl., 2015, § 164, Rn. 70.

7 *ერქვანია,* მესამე პირთა ინტერესების დაცვა წარმომადგენლობაში (საქართველოსა და გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით), მართლმსაჯულება და კანონი, №3(34)12, გვ. 33.

8 MüKo/*Schubert,* BGB, 7. Aufl., 2015, § 164, Rn. 70.

9 *Schäfer, Bec*k OK BGB, 39. Aufl., § 164, Rn. 16.

10 *თუმანიშვილი,* გარიგებები (სამართლებრივი ბუნება და ნორმატიული რეგულირება), 2012, გვ. 86.

11 განსახილველი სამართლებრივი ინსტიტუტის ტერმინოლოგიური ხარვეზის შესახებ იხილეთ, *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, გვ. 404.

მადგენლის უფლებამოსილება, წარმოადგინოს სხვა პირი.[12] აღნიშნული შეიძლება გამომდინარეობდეს კანონიდან ან გარიგებიდან.[13] მისი ნამდვილობისთვის არ არის დადგენილი კონკრეტული ფორმა (გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა), რასაც ფორმის თავისუფლების პრინციპი განაპირობებს.[14]

4. მეორე მხარე წარმომადგენლობით დადებული გარიგებისას

5 ვინაიდან გარიგების მონაწილე მხარე მესამე პირი ვერ იქნება, **იმ პირს, რომელიც წარმოდგენილის სახელით, წარმომადგენელთან უშუალოდ დებს გარიგებას, მეორე მხარე უნდა ეწოდოს.** თუმცა, 103-114-ე მუხლებიდან გამომდინარე, ზოგიერთ შემთხვევაში წარმომადგენელი დასახელებულია, როგორც მესამე პირი (107, 108 და 114). ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებების ნაწილი აღნიშნულ მხარეს ასევე მესამე პირად მოიხსენიებს.[15] მაგალითად, „მესამე პირის მოთხოვნის უფლებები“[16] და სხვ. ანალოგიურადაა მოხსენიებული იგი სასამართლო პრაქტიკაშიც.[17] უნდა აღინიშნოს, რომ საკანონმდებლო ხარვეზი ავტორებს / სასამართლოს ამის შესაძლებლობას ცალსახად ანიჭებს.[18]/[19]

II. წარმომადგენლის მეშვეობით გარიგების დადების უფლებამოსილება (103 I)

6 წარმომადგენლის მეშვეობით გარიგების დადებისას მნიშვნელოვანია მხედველობაში იქნეს მიღებული შემდეგი ფაქტორები: „ა) წარმომადგენელი გამოხატავს საკუთარ ნებას, ბ) ამას იგი აკეთებს სხვისი სახელით, გ) უფლებები და მოვალეობები წარმოეშობა წარმოდგენილ პირს“.[20] ჩამოთვლილი კრიტერიუმები კუმულატიური ხასიათისაა და მათი ერთობლიობა ქმნის შესაბამის სამართლებრივ შედეგს. სწორედ ამ მიზნით, წარმომადგენლად არ ჩაითვლება ანდერძის აღმსრულებელი, სამკვიდროს მმართველი, კურიერი[21] და სხვ.

12 *ზოიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 103, გვ. 276.
13 განსახილველი საკითხის კრიტიკა იხილეთ, კერესელიძე, უზოგადესი ცნებები, გვ. 404 და შემდგომი.
14 იხ. *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 426.
15 იხ. მაგალითად, იქვე, გვ. 429 და შემდგომი.
16 *ერქვანია,* მესამე პირთა ინტერესების დაცვა წარმომადგენლობაში (საქართველოსა და გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით), მართლმსაჯულება და კანონი, №3(34)12, გვ. 32.
17 იხ. მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2006 წლის 8 სექტემბრის №ას-39-486-06 განჩინება.
18 იხ. *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, გვ. 405.
19 გერმანულ ლიტერატურაში ტერმინი Dritte აღნიშნავს განსახილველ პირს. იხ. მაგალითად, MüKo/*Schubert,* BGB, 7. Aufl., 2015, § 164, Rn. 1.
20 ჩამონათვალი ეფუძნება შემდეგ სამეცნიერო ლიტერატურას: *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 427.
21 იქვე.

1. კანონისმიერი წარმომადგენლობა

კანონისმიერია წარმომადგენლობა, როდესაც წარმომადგენლობითი უფლებამოსილება სამართლებრივი ნორმებიდან გამომდინარე ხორციელდება. კანონისმიერი უფლებამოსილებისას არ არის საჭირო, რომ არსებობდეს რაიმე სახის გარიგება მხარეებს შორის. ასეთი უფლების წარმოშობა ყოველთვის შესაბამის სამართლებრივ ურთიერთობაზეა დამოკიდებული. კანონისმიერი წარმომადგენლობა სახეზეა, მაგალითად, შეზღუდული ქმედუნარიანობისას და სხვ. **7**

კანონისმიერი წარმომადგენლობა წარმოდგენილის ნებაზე დამოკიდებული სამართლებრივი მოქმედება არ არის.[22] იგი ეხება იმ პირებს, რომლებიც წარმოადგენენ შეზღუდულ ქმედუნარიანებს, მხარდაჭერის მიმღებ პირებსა და ქმედუუნაროებს. თითოეულ მათგანს წარმომადგენელი ესაჭიროება იმ მიზნით, რათა არ შევიდნენ ისეთ სამართლებრივ ურთიერთობაში, რაც მათ ზიანს მოუტანს. **8**

კანონისმიერმა წარმომადგენლობამ შესაძლოა ცალკეული სამართლებრივი ურთიერთობების ნამდვილობის საკითხზე იქონიოს გავლენა. ასეთი შემთხვევები მაშინაა სახეზე, როცა მერყევად ბათილი გარიგების დადება ხდება კანონიერი წარმომადგენლის გარეშე. მეორე შემთხვევად შესაძლებელია 1108 II მუხლის მოყვანა, რომელიც, მზრუნველის წინასწარი წერილობითი თანხმობის საფუძველზე განსაზღვრავს შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირის ქორწინების საკითხს;[23] ასევე, 1293-ე მუხლი და სხვ. **9**

2. გარიგებისმიერი წარმომადგენლობა

წარმომადგენლობა შეიძლება წარმოიშვას ცალმხრივი, ორმხრივი და მრავალმხრივი გარიგების საფუძველზე. თითოეულ შემთხვევაში ნათლად უნდა იყოს გამოკვეთილი წარმოდგენილის ნება, წარმომადგენლის მეშვეობით დადოს გარიგება მხარესთან. **10**

გარიგებისმიერ წარმომადგენლობას უცხოურ ლიტერატურაში ნებაყოფლობით წარმომადგენლობადაც მოიხსენიებენ.[24] ასეთ დროს პირი თავად იღებს გადაწყვეტილებას თავისი ინტერესების რეალიზებისთვის უფლებამოსილების სხვისთვის გადაცემის თაობაზე.[25] წარმომადგენლობის ამგვარი სახის ყველაზე გავრცელებული შემთხვევა მინდობილობაა, სადაც უმეტესად დეტალურად განისაზღვრება უფლებამოსილების ფარგლები.[26] მისი შინაარსი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სამართლებრივი ურთიერთობა **11**

22 MüKo/*Schubert,* BGB, 7. Aufl., 2015, § 164, Rn. 8.

23 ის, თუ რამდენადაა ქორწინება გარიგება, ცალკე განხილვის საგანია. მაგრამ, ვინაიდან იგი მხარეთა მიერ გამოვლენილი ნების საფუძველზე წარმოშობილ სხვა სამართლებრივ ურთიერთობებს ფორმალური თვალსაზრისით ძალიან წააგავს (მაგალითად, გარიგებას), ამ მუხლის კომენტირებისას მისი გათვალისწინება მნიშვნელოვანია.

24 MüKo/*Schubert,* BGB, 7. Aufl., 2015, § 164, Rn. 7.

25 *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, გვ. 402.

26 იხ. მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 1 ივლისის №ას-163-156-2013 განჩინება, აღწერილობითი ნაწილი.

არსებობს მინდობილობის დადებამდე.[27] კერძოდ, სწორედ მინდობილობის გაცემით გამოიხატება პირისთვის წარმომადგენლობის უფლებამოსილების – რწმუნებულების მინიჭება. ეს კი შეიძლება განხორციელდეს ზოგადი (გენერალური), სპეციალური ან ერთჯერადი მინდობილობით.[28] თითოეული მათგანი შეიძლება გაიცეს როგორც ზეპირად, ისე წერილობითი.[29] აღსანიშნავია, რომ პრაქტიკაში უფრო გავრცელებულია წერილობითი მინდობილობა,[30] რომელიც ზოგიერთ შემთხვევაში ნოტარიუსთანაც კი იდება და რომელსაც უდიდესი კანონიერი ნდობა გააჩნია.[31]/[32]

12 მინდობილობა წინ უსწრებს გარკვეულ შეთანხმებას უფლებამოსილების განხორციელების თაობაზე, ან პირიქით. ამდენად, არსებობს შემთხვევები, როცა ხელშეკრულებით ხდება გარკვეული ვალდებულების დაკისრება. აღნიშნულის ყველაზე გავრცელებული სახეა **დავალების ხელშეკრულება** (709-723), რომლის მიხედვითაც, რწმუნებული მარწმუნებლის სახელითა და ხარჯით გარკვეული ქმედების განხორციელების ვალდებულებას იღებს. კიდევ უფრო ნათლადაა საკითხი წარმოჩენილი, ე.წ. საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებაში, სადაც, ერთი მხრივ, იდება დავალების ხელშეკრულება მხარეებს შორის, ხოლო, მეორე მხრივ, სასამართლოში წარმომადგენლობისთვის, მხარე ცალკე დებს მინდობილობას. აღნიშნული არ ნიშნავს, რომ კანონით, მაგალითად, დავალების ხელშეკრულება აუცილებლად მინდობილობას მოითხოვს, ან მინდობილობა, ან კონკრეტული ხელშეკრულება ერთმანეთის სამართლებრივი წინაპირობის მატარებლებს წარმოადგენენ.[33] თუმცა, თუ ცალკეულ შემთხვევებს გავითვალისწინებით, პრაქტიკაში დამკვიდრებული შემთხვევებიდან გამომდინარე, მხოლოდ დავალების ხელშეკრულებით, ცალკეულ შემთხვევებში შედეგის მიღწევა შეუძლებელია.[34]

27 *ზოიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 103, გვ. 277.

28 *კობახიძე,* სამოქალაქო სამართალი, 2000, 316.

29 იხ. მაგალითად, *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 426.

30 *ზოიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 103, გვ. 277.

31 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 19 ივლისის №ას-114-110-2012 განჩინება.

32 უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ნოტარიუსის მიერ დამოწმებული დოკუმენტის ნდობის საკითხისა, სასამართლო პრაქტიკაში ასევე დაფიქსირებულია მოსაზრება, რომ სისრულისა და უტყუარობის პრეზუმფცია ნოტარიულად დამოწმებულ მინდობილობაზე არ მოქმედებს – საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 9 იანვრის №ას-1531-1537-2011 განჩინება – აღწერილობითი ნაწილი – ამავე განჩინებაში სასამართლო უთითებს 2002 წელს დიდი პალატის მიერ განხილულ საქმეზე, სადაც იგივე პოზიციაა გაიზიარებული: „სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობა თავისთავად არ ნიშნავს მარწმუნებლის მიერ წარმომადგენლისათვის უფლებამოსილების მინიჭების არსებობას“ – საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2002 წლის 9 სექტემბრის №3კ/624-02 გადაწყვეტილება. დიდი პალატის განმარტებით, მიუხედავად სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობისა, მხარემ წინდახედულობა უნდა გამოიჩინოს და დაუკავშირდეს წარმოდგენილ პირს. ასეთი მოსაზრება შეუსაბამობაში მოდის 104 II და 104 III მუხლებთან, კეთილსინდისიერების პრინციპთან და სხვ.

33 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2006 წლის 8 სექტემბრის №ას-39-486-06 გადაწყვეტილება.

34 ამის დასტურია სასამართლო გადაწყვეტილებათა ცალკეული მაგალითები, სადაც სასამართლო არ ამყარებს თავის მსჯელობის მართებულ წინაპირობებს. იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 10 სექტემბრის №ას-739-707-2014 განჩინება – აღწერილობითი ნაწილი – დასახელებული განჩინების საპირისპირო მოსაზრებაა გამოხატული საკასაციო პალატის მსჯელობაში (იხ. იქვე).

III. წარმომადგენლის მეშვეობით გარიგების დადების შეზღუდვის ფარგლები (103 II)

13 განსახილველი მუხლის მე-2 ნაწილში ჩამოყალიბებული წინადადებები: „იგი უშუალოდ უნდა დადოს პირმა“ და „როცა კანონით აკრძალულია გარიგების დადება წარმომადგენლობის მეშვეობით“ ანალოგიური შინაარსის მატარებელია. იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, მეორე წინადადებას გარკვეული პრევენციის ფუნქცია გააჩნია, რათა მხედველობიდან არ იქნეს გამორჩენილი.[35] რაც შეეხება კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებს, მათგან გამოსაყოფია: წარმომადგენლის საშუალებით გარიგების დადების აკრძალვა გვხვდება ქორწინების[36] (1107) შემთხვევაში,[37] ასევე ანდერძის შედგენისას (1346) და შეცვლისას (1398).

IV. კავშირი სხვა სამართლებრივ ინსტიტუტებთან

14 სხვა სამართლებრივ ინსტიტუტებთან გარიგებაში წარმომადგენლობის კავშირი მხოლოდ რამდენიმე ასპექტში უნდა იქნეს განხილული. სწორედ ამ მიზნით, გამოყოფილია მხოლოდ რამდენიმე მათგანი, რომელიც განსახილველი ნორმის უშუალო კავშირს ასახავს სხვა ინსტიტუტებთან.

1. საკუთრების მინდობა

15 საკუთრების მინდობას სამეცნიერო ლიტერატურაში ე.წ. არაპირდაპირი წარმომადგენლობის მაგალითადაც მიიჩნევენ.[38] განსხვავებით წარმომადგენლობისგან, საკუთრების მინდობისას პირი (მინდობილი მესაკუთრე) თავისი სახელით გამოდის ურთიერთობებში, მაგრამ ისე, რომ ითვალისწინებს მიმნდობის ინტერესებს.[39] ეს კი ცალსახად მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ საკუთრების მინდობა კლასიკური გაგებით წარმომადგენლობა არ არის, თუმცა თავისი არსიდან (ასევე, 729-ე მუხლის გააზრებიდან) გამომდინარე, წარმომადგენლობასთან გარკვეული კავშირები იკვეთება.

2. ერთობლივი საქმიანობა (ამხანაგობა)

16 როგორც საკუთრების მინდობის შემთხვევაში, ამხანაგობის დროსაც წარმომადგენლობა კლასიკური გაგებით სახეზე არ არის. აღნიშნული განპირობებულია განსახილველი ინსტიტუტის სპეციფიკიდან, რომლის ფარგლებშიც, 934 I მუხლის საფუძველზე, ასეთი ხელშეკრულების მონაწილეები ერთობლივად წარმოადგენენ ამხანაგობას მესამე პირებთან ურთიერთობაში. თუმცა, იგივე მუხლი იცნობს ასევე მხარეთა თავისუფლების პრინციპს,

35 *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, გვ. 403.
36 იხ. ამავე კომენტარის 23-ე შენიშვნა.
37 *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, გვ. 403.
38 *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 428.
39 იქვე.

რომლის მიხედვითაც, ამხანაგობის მონაწილეებს მესამე პირებთან წარმომადგენლის არჩევის უფლებამოსილება გააჩნიათ. ამდენად, ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლებში შესაძლებელია მხარეთა მიერ გარიგებაში წარმომადგენლობის საკითხი განისაზღვროს.

3. ხანდაზმულობა

17 ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერება (134) გრძელდება იქამდე, სანამ პირი არ გახდება სრული ქმედუნარიანი, ან მას არ დაენიშნება კანონიერი წარმომადგენელი ან მხარდამჭერი.

4. მოვალის პასუხისმგებლობა მისი წარმომადგენლის მოქმედებისათვის

18 396-ე მუხლში გაერთიანებულია წარმომადგენლის და ე.წ. ნების გადამტანის უფლებრივი სტატუსი. თუმცა ორივე შემთხვევაში პასუხისმგებლობა მაინც წარმოდგენილს ეკისრება. მაგალითად, წარმოდგენილი კურიერს გაატანს 2016 წლის მოდელ კომპიუტერს, ხოლო, შიკრარი კი გზაში დააზიანებს მას. ასეთ შემთხვევაში, მეორე მხარეს უფლებამოსილება წარმოეშობა, მოსთხოვოს ნივთობრივად უნაკლო ნივთის გადაცემა. ანალოგიური უფლებამოსილება წარმოეშობოდა მეორე მხარეს, ასეთივე შემთხვევა წარმოდგენილის სახელით მოქმედ წარმომადგენელს რომ მოსვლოდა.

5. დაზღვევა

19 805 I მუხლი წარმომადგენლად მიიჩნევს დაზღვევის აგენტს, რომელსაც ხელშეკრულების დადების უფლებამოსილებას, ასევე, ცალკეულ შემთხვევებში შესაბამისი სახელშეკრულებო პირობების შეცვლის შესაძლებელობას ანიჭებს. აქვე გამოსაყოფია 844 II მუხლში არსებული ჩანაწერი, რომელიც მესამე პირის სასარგებლოდ დადებული გარიგებისას კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი თანხმობის გაცემის ვალდებულებას ადგენს. საინტერესოა, რომ ასეთ შემთხვევაში გარიგებისმიერი წარმომადგენლობა არ მიიღება მხედველობაში.

6. კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები

20 გარიგებებში წარმომადგენლობის საკითხი კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობებისას არ გამოიყენება. მიუხედავად ამისა, ცალკეულ შემთხვევებში ამ ინსტიტუტთა გზები მაინც იკვეთება. ასე მაგალითად, 994-ე მუხლი, რომელიც არასრულწლოვნის პასუხისმგებლობისთვის მიყენებულ ზიანს განსაზღვრავს; ასევე, 969-ე და 971-ე მუხლებში არსებული მოწესრიგება (დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება), სადაც უკვე სხვა პირის სასარგებლოდ ხორციელდება ქმედება. როგორც აღინიშნა, ეს უკანასკნელი კლასიკური გაგებით წარმომადგენლობის სახეს არ წარმოად-

გენს, მაგრამ სხვა პირის სიკეთის გადასარჩენად ქმედების განხორციელების ჭრილში თუ შევხედავთ საკითხს, შეიძლება მაქსიმალურად გათანაბრებულადაც კი მივიჩნიოთ.

7. საქორწინო ხელშეკრულების დადება

1175-ე მუხლი შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირთათვის საქორწინო ხელშეკრულების დადების უფლებამოსილებას განსაზღვრავს, სადაც მხოლოდ კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით ანიჭებს პირებს ამგვარი ქმედების განხორციელების შესაძლებელობას. **21**

9. იურიდიული პირის წარმომადგენლობა

იურიდიული პირის წარმომადგენლობა გარკვეული ორგანიზაციული სახის მოწესრიგებასთანაა კავშირში. თავის მხრივ, ორგანიზაციული მოწესრიგება კონკრეტული იურიდიული პირის წესდებას ემყარება,[40] რაც იმას ნიშნავს, რომ მისი დამფუძნებლები თავიდანვე აღნიშნავენ შეთანხმებულ დოკუმენტში სამომავლო უფლება-მოვალეობებისა და იურიდიული პირის წარმომადგენლის შესახებ. აღნიშნულის მაგალითია, დირექტორი, რომელსაც შეიძლება მიენიჭოს როგორც აბსოლუტური თავისუფლება, იმოქმედოს კანონით გათვალისწინებულ ფარგლებში, ისე გარკვეული შეზღუდვები, მაგალითად, უძრავი ქონების ნასყიდობისას (დამფუძნებელთა თანხმობის სახით) და სხვ.; ასევე აღსანიშნავია, პროკურა, რომელიც, განსხვავებით მინდობილობისგან, მხოლოდ ცალმხრივი აქტის საფუძველზე არ წარმოშობს იურიდიულ შედეგებს და რომელსაც მეორე მხარის მიერ მისი მიღების თაობაზე ნების გამოვლენა სჭირდება.[41] **22**

10. წარმომადგენლობა საპროცესო სამართალში

სამოქალაქო-საპროცესო კოდექსის 93-ე მუხლი საპროცესო ურთიერთობისას წარმომადგენლობის შესაძლებლობას განსაზღვრავს, 95-ე მუხლი ადგენს იმ პირთა ჩამონათვალს, რომელთაც სასამართლოში წარმომადგენლად გამოსვლის უფლებამოსილება არ გააჩნიათ, ხოლო, ამავე კოდექსის 96-ე მუხლი სასამართლოში წარმომადგენლის უფლებამოსილების გაფორმების წესს ეხება, სადაც ცალკეულ საკითხებზე ამახვილებს ყურადღებას. **23**

საპროცესო-სამართლებრივი ურთიერთობისას წარმომადგენლობის საკითხი რადიკალურად განსხვავდება 103-114-ე მუხლებით მოწესრიგებული წარმომადგენლობისგან. 103-114-ე მუხლები ეხება უშუალოდ გარიგებაში წარმომადგენლობას და არა პროცესუალურ წარმომადგენლობას. შედეგად, ეს ნორმები პროცესში არ გამოიყენება. **24**

ამდენად, გარიგებებში წარმომადგენლობის მომწესრიგებელი ნორმები **25**

40 *Schäfer,* Beck OK BGB, 39. Aufl., § 164, Rn. 2.

41 თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 19 მარტის N 2/17265-13 გადაწყვეტილება.

შეიძლება ერთგვარ სამართლებრივ ჩარჩოდ იქნეს მიჩნეული, თუ როდის ადგენს კანონი ქცევის სავალდებულო წესსა და მოქმედების კონკრეტულ არეალს მხარეებისთვის. მაგალითად, წარმომადგენლობის დამადასტურებელი საბუთის ფორმა – კანონმდებელი ცალკეულ შემთხვევაში სანოტარო ფორმით დამოწმებული დოკუმენტის სავალდებულობასაც ითვალისწინებს. გარდა აღნიშნულისა, სასამართლოში წარმომადგენლობის მომწესრიგებელი ნორმები მხარეებს იმ სამოქმედო არეალს უსაზღვრავს, რომლის ფარგლებშიც, მათ სამოქალაქო წესით უნდა დადონ შესაბამისი გარიგებები ან მორიგებით დაასრულონ საქმე და სხვ.

მუხლი 104. გარიგების შედეგების ადრესატი წარმომადგენლობისას

1. იმ გარიგებით, რომელსაც წარმომადგენელი დებს თავისი უფლება-მოსილების ფარგლებში, და იმ პირის სახელით, რომელსაც იგი წარმოადგენს, უფლებები და მოვალეობები წარმოეშობა მხოლოდ წარმოდგენილ პირს.

2. თუ გარიგება დადებულია სხვა პირის სახელით, მაშინ წარმომადგენლობითი უფლების არარსებობა არ შეიძლება გამოიყენოს გარიგების მეორე მხარემ, თუკი წარმოდგენილმა ისეთი გარემოებები შექმნა, რომ გარიგების მეორე მხარეს კეთილსინდისიერად ეგონა ასეთი უფლებამოსილების არსებობა.

3. თუ გარიგების დადებისას წარმომადგენელი არ მიუთითებს თავის წარმომადგენლობით უფლებამოსილებაზე, მაშინ გარიგება წარმოშობს შედეგებს უშუალოდ წარმოდგენილი პირისათვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მეორე მხარეს უნდა ევარაუდა წარმომადგენლობის შესახებ. იგივე წესი მოქმედებს მაშინაც, როცა მეორე მხარისათვის სულ ერთია, ვისთან დადებს გარიგებას.

I. ზოგადი დებულებანი 599
II. უფლება-მოვალეობების ადრესატი (104 I).....600
III. წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შედეგი (104 II) 600
1. „მეორე მხარის“ განმარტება 104 II მუხლზე დაყრდნობით 601
2. გარიგების მეორე მხარის წარმოდგენა და კეთილსინდისიერება.....601
3. წარმოდგენილის მიერ შესაბამისი გარემოებების შექმნა 601
IV. გარიგების შედეგების წარმოშობა წარმოდგენილი პირისათვის (104 III) 602
1. წარმომადგენლის მიერ თავისი უფლებამოსილების მიუთითებლობა 602
2. გარიგების მეორე მხარის ვარაუდი 602
3. კონტრაჰენტის დატვირთვა მეორე მხარისთვის 603
4. გარიგების ადრესატის მნიშვნელობის არარსებობა მეორე მხარისთვის 604

I. ზოგადი დებულებანი

განსახილველი მუხლი მკაფიოდ ადგენს იმ სუბიექტთა წრეს, რომელთაც წარმომადგენლობის მეშვეობით დადებული გარიგებისას უფლებები და მოვალეობები წარმოეშობათ. მუხლის არსიდან გამომდინარე, წინა პლანზეა წამოწეული ისეთი აუცილებელი საკითხები, როგორიცაა კეთილსინდისიერების პრინციპი, ცალკეულ შემთხვევებში, გარემოების შექმნა და ხელშეკრულე- 1

ბის მონაწილე მხარის დამოკიდებულება ასეთი გარიგების დადების დროს.

II. უფლება-მოვალეობების ადრესატი (104 I)

2 წარმომადგენლის მიერ ქმედების განხორციელების მიუხედავად, უფლებები და მოვალეობები წარმოეშობა წარმოდგენილს. ეს დათქმა წარმოადგენს წარმომადგენლობით დადებული გარიგების განსაზღვრის უმთავრეს კრიტერიუმს, რომლითაც გარიგების მონაწილე მხარის ვინაობა დგინდება. შედეგად, ასეთ შემთხვევაში სახეზეა სამი პირის (წარმოდგენილი, წარმომადგენელი და მეორე მხარე) მიერ გამოვლენილი ნება.[1] ასეთი წესი არ ვრცელდება შემთხვევაზე, როდესაც რწმუნებულებით არ დგინდება წარმომადგენლობის ფაქტი[2] და სხვ.

3 უფლება-მოვალეობების ადრესატი შეიძლება საჭიროებდეს დადგენას ცალკეულ შემთხვევებში. აღნიშნული ისეთ მაგალითს ეხება, როდესაც ინფორმაციის გადამოწმება გონივრულ საჭიროებას მოითხოვს (არ იგულისხმება 104 II, 104 III, 111 I და 111 II მუხლები). მაგალითად, ხელშეკრულების ნოტარიულად დამოწმებისას ნოტარიუსის ვალდებულებაა გადაამოწმოს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების საკითხი.[3] ასეთ დროს მოწმდება ის, თუ რამდენადაა უფლებამოსილების გამცემი – წარმოდგენილი მართლა ასეთი ნების გამომვლენი პირი.

III. წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შედეგი (104 II)

4 104 II მუხლში გაწერილი ქცევის წესი გარკვეულ საგამონაკლისო შემთხვევაზე მიუთითებს, როდესაც, მართალია, წარმოდგენილის ნება გამოვლენილი არ არის, თუმცა მის მიერ განხორციელებული ქმედება ასეთი მოლოდინის გონივრულ საფუძველს ქმნის. წინდაწინვე აღსანიშნავია, რომ ასეთში არ მოიზარება ის შემთხვევა, როცა ქმედება კანონით აკრძალულია. მაგალითად, 103 II მუხლის მოწესრიგება[4] და სხვ.

როგორც წესი, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე სხვისი სახელით დადებული გარიგება არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგს.[5] მოცემული დათქმა მთლიანად კეთილსინდისიერების პრინციპს ეფუძნება. ამდენად, იგი წარმოადგენს ნების გამოვლენის ადრესატის ინტერესების დაცვის მქონე დათქმას,[6] რომლითაც კეთილსინდისიერების პრინციპზე დაფუძნებით დაცული იქნება მისი უფლებები.[7]

1 *ზოიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 104, გვ. 280.
2 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 4 ივნისის №ას-1705-1689-2011 გადაწყვეტილება.
3 იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 6 სექტემბრის №2ბ/1375-11 განჩინება.
4 იხ. ასევე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 11 ნოემბრის №570-541-2015 გადაწყვეტილება.
5 *ზოიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 104, გვ. 280.
6 *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, გვ. 406.
7 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 6 თებერვლის №ას-1435-1450-2011 განჩინება, აღწერილობითი ნაწილი.

1. „მეორე მხარის“ განმარტება 104 II მუხლზე დაყრდნობით

განსახილველ შემთხვევაში „მეორე მხარედ“ იწოდება წარმოდგენილი და მეორე მხარე.[8]/[9] 5

2. გარიგების მეორე მხარის წარმოდგენა და კეთილსინდისიერება

გარიგების მეორე მხარის (ამ შემთხვევაში არ იგულისხმება წარმოდგენილი) მიერ კონკრეტული შეხედულება ობიექტურ გარემოებას უნდა ეფუძნებოდეს. ასეთი შეიძლება იყოს ნოტარიუსის მიერ დამოწმებული მინდობილობა,[10] რომლის მიმართაც სახეზეა მხარის კანონიერი ნდობა, რომ ამგვარი დამოწმებული დოკუმენტი არის ნამდვილი ნების საფუძველზე არსებული ცალმხრივი გარიგება და იგი იურიდიული ძალის მატარებელია.[11] 6

ამდენად, განსახილველ შემთხვევაში არ იგულისხმება მეორე მხარის სიმართლესთან შეუსაბამო წარმოდგენები, მისი დამოკიდებულება საკითხისადმი, რასაც იგი შეცდომაში შეჰყავს და სხვ. აღსანიშნავია, რომ მხოლოდ ცალსახად ობიექტური გარემოება ვერ გახდება ამ მუხლით საკითხის მოწესრიგების წინაპირობა. ასეთი გარემოება კეთილსინდისიერებას უნდა ეფუძნებოდეს. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, მეორე მხარე ამ ფაქტის მიმართ კეთილსინდისიერი უნდა იყოს და არ უნდა ჰქონდეს თუნდაც კანონიერი/გონივრული მოლოდინი, რომ სხვა შედეგი შეიძლებოდა დამდგარიყო. 7

104 II მუხლში არსებული დათქმა კერძო ავტონომიის პრინციპს შეესაბამება და პირდაპირ კავშირშია ნების გამოვლენის კონკრეტულ შედეგთან. იგი ერთგვარად აზუსტებს ქცევის კონკრეტულ წესს და ადგენს მეორე მხარის შეზღუდულ უფლებამოსილებას, მიმართოს წარმომადგენელს ან/და შესაბამის პირს გარიგებასთან მიმართებით შესაბამისი მოთხოვნით (ასეთი შეიძლება იყოს, მაგალითად, შეცდომით ან მოტყუებით დადებული გარიგება). 8

3. წარმოდგენილის მიერ შესაბამისი გარემოებების შექმნა

გარდა კეთილისინდისიერებისა, 104 II მუხლის გამოყენებისთვის საჭიროა სახეზე კუმულაციურად იყოს წარმოდგენილის მიერ შესაბამისი პირობების შექმნა. კერძოდ, აქ საუბარია წარმოდგენილის ქმედებაზე (ან ცალკეულ შემთხვევაში უმოქმედობაზე[12]), რომლითაც იგი ისეთ გარემოებას ქმნის, რომ მეორე მხარე დარწმუნებულია წარმომადგენლობითი უფლებამოსილების იურიდიულ მართებულობაში. მაგალითად, თუ წარმოდგენილი 9

8 იხ. *კერესელიძე*, უზოგადესი ცნებები, გვ. 405.

9 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 27 ივნისის №ას-775-829-2011 განჩინება, აღწერილობითი ნაწილი.

10 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 19 აპრილის №2ბ/4378-10 განჩინება.

11 იგივე განჩინება.

12 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 27 ივნისის №ას-775-829-2011 განჩინება, აღწერილობითი ნაწილი.

მეორე მხარეს მიაწდვის ინფორმაციას, რომ კონკრეტული პირი იქნება მისი წარმომადგენელი, თუმცა შემდეგ ისე შეცვლის წარმომადგენლობით უფლებამოსილებას დასახელებულ პირთან, რომ ამის შესახებ არ შეატყობინებს მეორე მხარეს ან დაავიწყდება ასეთი ინფორმაციის მისთვის მიწოდება. ასეთის არსებობისას, წარმოდგენილის მიერ ისეთი გარემოებაა შექმნილი, რომ მეორე მხარეს კეთილსინდისიერად ჰგონია წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნამდვილობის თაობაზე. აღსანიშნავია, რომ 104 II არ განსაზღვრავს წარმოდგენილის განზრახვის ან გაუფრთხილებლობის საკითხს. შესაბამისად, ასეთი შედეგის არსებობისას ყურადღება არ მიექცევა იმ საკითხს, სურდა თუ არა იგი, რამდენად წინდაუხედავად იმოქმედა მან და ა.შ.

10 ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 104 II მუხლი შემდეგნაირად უნდა იქნეს განმარტებული, რომ წარმოდგენილს ან მეორე მხარეს არ გააჩნია წარმომადგენლობითი უფლებამოსილების არარსებობის შემთხვევაში მოთხოვნის დაყენების უფლება, თუ წარმოდგენილმა ისეთი გარემოებები შექმნა, რომ მეორე მხარეს ასეთი უფლებამოსილების არსებობა კეთილსინდისიერად ეგონა.

IV. გარიგების შედეგების წარმოშობა წარმოდგენილი პირისათვის (104 III)

11 104 III მუხლი ისეთი გარემოების დაზუსტებას ეხება, როდესაც მეორე მხარის ვარაუდი და წარმომადგენლობის საკითხი ლოგიკურ ბმაში უნდა იყოს სავარაუდო ობიექტურ წარმოდგენასთან და აღნიშნულის საფუძველზე დადგეს შედეგი. კერძოდ, მეორე მხარეს უნდა გააჩნდეს გარკვეული მოლოდინი, გარკვეული ვარაუდი, რომ წარმომადგენლობა შეიძლება ნამდვილი იყოს. კანონის ამგვარი მოწესრიგება ემყარება მის პრაქტიკულ გამოყენებას – ყველა შემთხვევაში არ მოითხოვოს მხარემ ინფორმაციის მიღება წარმომადგენლობითი უფლებამოსილების თაობაზე[13] და სხვ.

1. წარმომადგენლის მიერ თავისი უფლებამოსილების მიუთითებლობა

12 წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მიუთითებლობამ რომ კანონიერი მოლოდინი შექმნას, გარიგება უნდა დაიდოს შესაბამის ადგილას, შესაბამისი პირობების გათვალისწინებით. კერძოდ, მიუხედავად ასეთი დოკუმენტის/მტკიცებულების არქონისა, ობიექტური და გონივრული მოლოდინიდან გამომდინარე, სავარაუდოა, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შესახებ.

2. გარიგების მეორე მხარის ვარაუდი

13 როგორც აღინიშნა, ვარაუდი არ უნდა ეფუძნებოდეს დაუსაბუთებელ წარმოდგენებს. იგი შეიძლება ემყარებოდეს განგრძობადი ხასიათის ურთი-

13 *ზოიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 104, გვ. 281.

ერთობას,[14] პირის აქტიურ ქმედებას ან უმოქმედობას[15] და სხვ. თითოეულ ასეთ შემთხვევაში კანონმდებელი გულისხმობს რეალობასთან შესაბამის ვარაუდს, რომლის წარმოდგენაც კონკრეტული შემთხვევისას არ იქნებოდა სიმართლესა და ლოგიკასთან შეუსაბამო. მაგალითად, როდესაც პიროვნება მეორე პირს აჩვენებს პირადობის დამადასტურებელ საბუთს, რომელზეც დატანილი სურათიდან იკვეთება, რომ სწორედ იგია შესაბამისი სახელისა და გვარის მატარებელი ფიზიკური პირი, მეორე მხარის ვარაუდი, რომ შეიძლება ეს დოკუმენტი გაყალბებული იყოს, მხოლოდ მაშინ იქნებოდა სახეზე, თუ ასეთი კონტურები გამოიკვეთა პირადობიდან ან თუ არსებობდა ამ პიროვნების მიმართ ნდობის ნაკლები სტანდარტი.

ასეთ შემთხვევაში წარმოდგენილს მაინც წარმოეშობა უფლება-მოვალე- **14**
ობები, ვინაიდან მეორე მხარე კეთილისნდისიერია. ანალოგიური ვრცელდება შემთხვევაზე, როდესაც იურიდიული პირის დირექტორი (წარმომადგენელი) მინდობილობას გასცემს თანამშრომელზე და შემდეგ მეორე თანამშრომლის სახელით შეუთვლის მას მინდობილობის გაუქმების თაობაზე, ხოლო, მინდობილობით მინიჭებულ წარმომადგენელთან ეს ინფორმაცია არ მიაღწევს. ასეთ დროს, ერთი მხრივ, მეორე მხარის ვარაუდია სახეზე, რომ სწორედ წარმომადგენელი ავლენს იურიდიული პირის ნამდვილ ნებას, ხოლო, მეორე მხრივ, მისთვის არ აქვს დიდი მნიშვნელობა, თუ ვისთან დადებს ხელშეკრულებას.

კიდევ ერთი მაგალითის მოყვანაა შესაძლებელი, რომელიც ადვოკატის **15**
საქმიანობას ეხება. კერძოდ, ორდერი, რომლის საფუძველზეც ადვოკატი იცავს კლიენტის, მათ შორის ქონებრივ ინტერესებს, ვერ იქნება წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.[16] აღნიშნული გამომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ მეორე მხარისთვის ცნობილი უნდა იყოს აუცილებლად, რომ ორდერი ან სასამართლოში მინდობილობა არ იძლევა გარიგების დადების უფლებამოსილებას, თუ ეს მინდობილობაში არ არის მითითებული.[17] შესაბამისად, ასეთი სახის წარმომადგენლობა არ იქნება ნამდვილი და მასში ასევე არ იქნება გაერთიანებული ე.წ. გონივრული ვარაუდის წინაპირობა.

3. კონტრაჰენტის დატვირთვა მეორე მხარისთვის

წარმომადგენლის ვინაობას მეორე მხარისთვის მაშინ აქვს მნიშვნელო- **16**

14 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 11 ნოემბრის №570-541-2015 გადაწყვეტილება. გარდა სასამართლო მსჯელობისა, საინტერესოა ამავე გადაწყვეტილების აღწერილობით ნაწილში გაწერილი სასამართლოს პოზიცია.

15 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 27 ივნისის №ას-775-829-2011 განჩინება, აღწერილობითი ნაწილი. აღსანიშნავია, რომ საკასაციო პალატა პირველი ინსტანციის ამ პოზიციას არსებითად არ იზიარებს და დასახელებული შემთხვევის არსებობისას (გარემოებებიდან გამომდინარე), 111-ე მუხლის მოქმედებაზე მიუთითებს.

16 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 5 სექტემბრის №ას-127-124-2011 განჩინება.

17 იხ. იგივე განჩინება.

ბა, როდესაც ამ უკანასკნელს სწორედ წარმომადგენელთან სურს ხელშეკრულების დადება. მაგალითად, თუ წარმომადგენლის ცოდნის, გამოცდილებისა და სხვა თვისებების გამოყენებით სურს დადოს ნარდობის ხელშეკრულება. ასეთ შემთხვევაში, დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ ვინ გახდება ხელშეკრულების მხარე.

17 განსხვავებით ფიზიკურ პირთან დადებული ხელშეკრულებისას, იურიდიული პირის საქმიანობის შემთხვევაში უმეტესწილად კონკრეტული პიროვნების ვინაობა, რომელიც ამავე იურიდიული პირის თანამშრომელია, არ წარმოადგენს გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონეს (არ იგულისხმება შემთხვევა, როდესაც გარიგებაში აღინიშნება, რომ უშუალოდ კონკრეტულმა პიროვნებამ უნდა განახორციელოს ქმედება და სხვ.). მაგალითად, ბანკთან საბანკო კრედიტის ხელშეკრულების დადებისას, მსესხებლისთვის აბსოლუტურად არ არის მნიშვნელოვანი, ვის მიერ გამოვლენილი ნების საფუძველზე დადებს გარიგებას. აქ უმთავრესია, რომ ნება იყოს გამოვლენილი კრედიტის გამცემის – ბანკის მიერ.

18 კიდევ ერთი მაგალითი, როდესაც კონკრეტულ იურიდიულ პირთან იდება ხელშეკრულება და პირს უშუალო კომუნიკაცია მის ერთ-ერთ თანამშრომელთან აქვს, რომელიც ხელს აწერს ხელშეკრულებას. თუნდაც იმ თანამშრომელს დირექტორისგან (კანონიდან გამომდინარე) არ ჰქონდეს წარმომადგენლობითი უფლებამოსილება მინიჭებული, შედეგი მაინც იურიდიულ პირსა და მეორე მხარეს შორის დადგება.

4. გარიგების ადრესატის მნიშვნელობის არარსებობა მეორე მხარისთვის

19 სიტყვები „სულერთია, ვისთან დადებს გარიგებას“ არ გულისხმობს, რომ ყველა შემთხვევაში, როდესაც მეორე მხარისთვის მხოლოდ გარიგების დადება (ობიექტი) იქნება მიზანი და არა კონტრაჰენტი, აუცილებლად გახდება ეს უკანასკნელი წარმოდგენილისთვის უფლების წარმოშობის საფუძველი. აქ საგულისხმოა მხოლოდ ისეთი შემთხვევა, როდესაც წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შესახებ შეეძლო მხარეს ევარაუდა.[18]

20 იმოქმედა წარმომადგენელმა ისე, რომ წარმოდგენილს არ ჰქონდა კონკრეტული პოზიცია შესაბამის საკითხზე ჩამოყალიბებული, ასეთ დროს წარმოდგენილი მაინც გახდება ურთიერთობის მონაწილე მხარე (ვინაიდან წარმომადგენლობითი უფლებამოსილება დასტურდება). შესაბამისად, მას უკვე ცალკე წარმოეშობა მოთხოვნის (ზიანის ანაზღაურების) უფლებამოსილება წარმომადგენელთან მიმართებით, რომელმაც მასზე დაკისრებული ვალდებულება ჯეროვნად არ შეასრულა.

21 ის, თუ რამდენად შეიძლება ყველა შემთხვევაში ნამდვილად ჩაითვალოს მეორე მხარის დამოკიდებულება, რა არის მისთვის სულერთი და სხვ. ცალკეული საკითხის განხილვის საგანს წარმოადგენს. სავარაუდოა, რომ

18 *ზოიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 104, გვ. 281.

ასეთი შედეგი მისაღები უნდა იყოს ისეთი გარიგებების შემთხვევაში, როდესაც მისი შესრულება დაუყოვნებლივ ხდება[19] ან როდესაც პირს რამდენიმე წარმომადგენელი ჰყავს (კრედიტის მაგალითზე).

19 *კერესელიძე*, უზოგადესი ცნებები, გვ. 407.

მუხლი 105. წარმომადგენილის შეზღუდული ქმედუნარიანობა

წარმომადგენლის მიერ დადებული გარიგება ნამდვილია მაშინაც, როცა წარმომადგენელი შეზღუდულად ქმედუნარიანი იყო.

I. ზოგადი დებულებები 606
II. გარიგების შედეგები 606
III. ნორმის გამოვლინება საპროცესო სამართალში 607

I. ზოგადი დებულებანი

1 განსახილველი მუხლის საფუძველზე, წარმომადგენლის შეზღუდულქმედუნარიანობის მიუხედავად, გარიგება ნამდვილად ითვლება. ასეთი დათქმა კი ზოგადი დანაწესიდან[1] საგამონაკლისო შემთხვევას წარმოადგენს. კერძოდ, ნორმატიული შინაარსის მიხედვით, პირის, რომელიც ალკოჰოლის ან ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარების გამო ოჯახს მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში აყენებს და ამის გამო იგი ცნობილია შეზღუდულქმედუნარიანად, როგორც წარმომადგენლის მიერ დადებული გარიგება, მაინც ნამდვილად მიიჩნევა. ასე მაგალითად, განსხვავებით მერყევად ბათილი გარიგებებისგან, ასეთ დროს კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა არ არის საჭირო, რათა გამოვლენილი ნება და შესაბამისად, გარიგება ნამდვილად იქნეს მიჩნეული.[2] სხვა სიტყვებით რომ ითქვას, არასრულწლოვანის დაცვისკენ არ არის მიმართული განსახილველი მუხლი.[3] ამდენად, 105-ე მუხლი მიუთითებს შეზღუდულ ქმედუნარიანი პირის მიერ გამოხატული ნების ნამდვილობაზე.

II. გარიგების შედეგები

2 როდესაც შეზღუდულქმედუნარიანი პირი სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობაში სხვისი სახელით გამოდის, ამ შემთხვევაში გარიგების შედეგები წარმოდგენილი პირისთვის დგება, როგორიც არ უნდა იყოს იგი, სარგებლიანი თუ საზიანო. აღნიშნული დაკავშირებულია იმ ფაქტთან, რომ წარმომადგენლის არჩევას წარმოდგენილი პირი თავად ახდენს და შესაბამისად ამ სამოქალაქო რისკის მატარებელიც სწორედ ეს პირია.[4]

3 აღნიშნულ დანაწესს გააჩნია საგამონაკლისო შემთხვევა: თუ შეზღუდულქმედუნარიანი პირი მოქმედებს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გადაჭარბებით, ანუ წარმოიშობა რისკი, რომ იგი თავად გახდეს სამართლებრივი შედეგის ადრესატი, ასეთ შემთხვევაში გავრცელდება შეზღუდულქმედუნარიანობის მქონე პირის მიერ დადებული გარიგების მიმართ მოქმედი წესები.[5]

1 *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 431.
2 იხ. *ზოიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 105, გვ. 282.
3 იხ. MüKo/*Schubert,* BGB, 7. Aufl., 2015, § 165, Rn. 1.
4 *ზოიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 105, გვ. 282.
5 *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, გვ. 408.

შესაბამისად, გარიგების ნამდვილობისთვის საჭირო იქნება ან კანონიერი წარმომადგენლის ან მზრუნველის თანხმობა. აღნიშნული გამომდინარეობს იქიდან, რომ არასრულწლოვნის დაცვის ინტერესი უპირატესია ნების გამოვლენის ადრესატის მიერ წარმომადგენლობის საფუძველზე გამოვლენილი ნების ნდობის ინტერესთან მიმართებით.[6] ამგვარად, თუ შეზღუდულქმედუნარიანი პირი მოქმედებს სხვისი სახელით, მისი ნების გამოვლენა თავისუფალია, მაგრამ, თუ იგი საკუთარ ინტერესებს წარმოადგენს, მისი ნების გამოვლენა შეზოჭილია.[7] **4**

მაგალითად, შეზღუდულქმედუნარიანი პირი დებს გარიგებას და ყიდულობს კონკრეტულ ნივთს. ასეთ შემთხვევაში, გარიგების ნამდვილობა დამოკიდებული იქნება იმაზე, მოიწონებს თუ არა კანონიერი წარმომადგენელი (მშობელი და ა.შ.) ნივთს (63 I). **5**

განსხვავებით აღნიშნულისგან, მოწონება არ არის სავალდებულო, თუ წარმოდგენილი პირი შეზღუდულ ქმედუნარიან პირს – წარმომადგენელს დაავალებს, დადოს მისი სახელით ხელშეკრულება. მაგალითად, ზემოთ მოყვანილ შემთხვევაში, თუ წარმომამდგენელი შეზღუდულქმედუნარიანია და წარმოდგენილი მაინც დაავალებს მას კონკრეტული ნივთის ყიდვას, მაშინ წარმომადგენლის მიერ გამოვლენილი ნება და შესაბამისად დადებული გარიგება ნამდვილია. **6**

III. ნორმის გამოვლინება საპროცესო სამართალში

განსხვავებით კერძოსამართლებრივი გარიგების დადებისგან, სასამართლოში შეზღუდული ქმედუნარიანი პირის მიერ გამოვლენილი ნება/დაფიქსირებული პოზიცია არ იქნება სამართლებრივი შედეგების მომტანი. სამოქალაქო-საპროცესო კოდექსის 94-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტისა და დასახელებული მუხლის სისტემური განმარტებიდან გამომდინარე, სასამართლოში შეზღუდულქმედუნარიანი პირის მიერ წარმომადგენლობის განხორციელება დაუშვებელია. შედეგად, აქ 105-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებამოსილებაც არ გამოდგება, თუნდაც ანალოგიის წესით მოინდომოს მხარემ მისი გავრცელება. **7**

6 *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, გვ. 408.
7 *თუმანიშვილი,* გარიგებები (სამართლებრივი ბუნება და ნორმატიული რეგულირება), 2012, გვ. 89.

მუხლი 106. ნების გამოვლენის ნაკლი წარმომადგენლობისას

1. ნების გამოვლენის ნაკლის გამო გარიგების საცილოობისას გადამწყვეტია წარმომადგენლის ნება.

2. თუ ნების გამოვლენის ნაკლი შეეხება ისეთ გარემოებებს, რომლებიც წარმოდგენილი პირის მიერ წინასწარ იყო განსაზღვრული, აღნიშნული ნაკლი შეცილების უფლებას იძლევა მხოლოდ მაშინ, თუ ეს ნაკლი წარმოდგენილი პირისაგან მომდინარეობს.

I. ზოგადი დებულებანი 608
II. წარმომადგენლის ნება (106 I) 608
1. წარმომადგენლის გამოვლენილი ნების ნაკლი 609
2. წარმომადგენლის ნების პრიორიტეტულობა 609
III. წარმოდგენილის ნება (106 II) 609
1. წარმოდგენილისგან მომდინარე ნაკლი 610
2. წარმოდგენილის წინასწარი განზრახულობა 610

I. ზოგადი დებულებანი

1 106-ე მუხლი ნების ნაკლზე საუბრობს. ნების ნაკლის მიზეზი შეიძლება სხვადასხვა გარემოება იყოს. ერთ შემთხვევაში, მხარეებს შეიძლება სურდეთ გარეგნულად გამოხატული ნებით, სხვა ნამდვილი ნებისა და მათ მიერ დასახული მიზნის დაფარვა. სხვა შემთხვევაში ნების გამოვლენა შეიძლება არასერიოზული იყოს: პირი არც ისახავდეს რაიმე კონკრეტული მიზნის მიღწევას. ცალკე განსახილველ მაგალითად გამოდგება შემთხვევა, როდესაც ნების გამოვლენის მიზეზი შეიძლება იყოს: ფსიქიკური მოშლა, შეცდომა, მოტყუება, მუქარა და ა.შ. ყველა ჩამოთვლილ შემთხვევას აქვს საერთო – ყოველი ნების გამოვლენა ნაკლის მქონეა. ე.ი. გარეგნულად გამოხატული ნება არ ემთხვევა შინაგან ნებას,[1] რაც სასამართლო პრაქტიკითაა დადასტურებული.[2] განსახილველი მუხლის არსსაც წარმოადგენს სწორედ ასეთი შემთხვევის მოწესრიგება, რომლის საფუძველზეც, ერთმანეთისგან გამიჯნულია წარმომადგენლისა და წარმოდგენლის მიერ ნების გამოვლენის ნაკლის ფაქტი.

II. წარმომადგენლის ნება (106 I)

2 წარმომადგენლის ნებაზე საუბრისას მნიშვნელოვანია საკითხი იმ ასპექტში იქნეს დანახული, თუ რა შემთხვევაში ენიჭება წარმომადგენლის ნების ნაკლს პრიორიტეტი.

1 *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 360.

2 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 6 ნოემბრის №ას-789-754-2014 განჩინება; ასევე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 17 ივნისის №ას-487-461-2015 განჩინება.

1. წარმომადგენლის გამოვლენილი ნების ნაკლი

წარმომადგენლის მიერ გამოვლენილი ნება შესაძლებელია ნაკლის მქონე იყოს კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში.[3] ასეთია, მაგალითად, მოტყუებით დადებული გარიგება, სადაც ნების ნაკლს მხარის არასწორი წარმოდგენა განაპირობებს დასადები გარიგების არსთან თუ შინაარსთან დაკავშირებით. ასევე, არსებითი შეცდომა, სადაც შეცდომის არსებით ხასიათს ის გარემოება წარმოადგენს, რომ ამგვარი შეცდომა გარიგების კონტრაჰენტის მიერ მიზანმიმართულადაა გამოწვეული. შეცდომა გამოწვეულია მეორე მხარის ქმედებით და იგი სამართალურთიერთობის კეთილსინდისიერი მონაწილე ნების ნაკლთან მიმართებით არ არის.[4] ამდენად, თუ წარმომადგენელი უშვებს არსებით შეცდომას, სწორედ მისი მოქმედების და ასევე, მისი ნების ნამდვილობიდან გამომდინარე განისაზღვრება გარიგების საცილოობის (ასეთი წინაპირობის არსებობის შემთხვევაში) საკითხი. **3**

2. წარმომადგენლის ნების პრიორიტეტულობა

წარმომადგენლის უფლებამოსილება წარმოდგენილის ნების გამოვლენის შედეგად წარმოიშობა,[5] რაზე დაყრდნობითაც, წარმომადგენელი ახორციელებს ქმედებას, რათა საბოლოო მიზანს მიაღწიოს (დადოს გარიგება). აღნიშნულის საფუძველზე, სახელშეკრულებო ბოჭვის ნება კონტრაჰენტის მიმართ ვლინდება უშუალოდ წარმომადგენლის და არა მარწმუნებლის მიერ, შესაბამისად, ნების ნაკლიანი გამოვლინებაც შეიძლება მხოლოდ მის მიერ ან მის მიმართ იქნეს გამოხატული.[6] მაგალითად, ნების გამოვლენის განმარტებისას მხედველობაში მიიღება ნების გამომვლენის, ანუ რწმუნებულის პიროვნება, როგორ მეტყველებს ან წერს იგი, რა სახის განათლება აქვს მიღებული და სხვ.[7] **4**

ამდენად, იმის გათვალისწინებით, რომ გარიგების დასადებად რეალურად ნებას არა წარმოდგენილი, არამედ წარმომადგენელი პირი გამოხატავს, მან ყველაზე კარგად იცის, თუ რას ისახავდა მიზნად ან/და რა სამართლებრივი შედეგების წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა სურდა. აღნიშნულის საფუძველზე, სწორედ მისი და არა წარმოდგენილი პირის ნებაა პრიორიტეტული. **5**

III. წარმოდგენილის ნება (106 II)

წარმოდგენილი პირისგან მომდინარე ნაკლი წარმომადგენლობის მიზნებისთვის ნაკლად არ ითვლება (მეორე მხარესთან მიმართებით, შესაძლებელია, მაგალითად, 72-ე და შემდგომი მუხლებით შეცილება). შესაბამისად, **6**

3 იხ. *ზოიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, 2002, მუხ. 106, გვ. 284.

4 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 9 დეკემბრის №ას-1071-1005-2012 გადაწყვეტილება.

5 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 25 იანვრის №3კ/878-01 გადაწყვეტილება.

6 MüKo/*Schubert,* BGB, 7. Aufl., 2015, § 166, Rn. 1.

7 *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 408.

თუნდაც მინდობილობაში არ იქნა მართებული ფორმულირება ან წარმოდგენილის მოსაზრებები არსებითი შეცდომის მატარებელია, წარმომადგენელი ამ ფაქტის მიმართ აბსოლუტურად კეთილსინდისიერია. ასეთი მოწესრიგება პირდაპირ კავშირშია გარიგებაში წარმომადგენლობის არსსა და მის პრინციპებთან.

1. წარმოდგენილისგან მომდინარე ნაკლი

7 106 II მუხლით განსაზღვრული შემთხვევა გამონაკლისს წარმოადგენს ამავე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი წესისაგან. ამ შემთხვევაში, წარმომადგენლის მიერ დადებული გარიგების საცილოობისას მხედველობაში მიიღება არა მისი, არამედ წარმოდგენილი პირის ნება. ეს ის შემთხვევაა, როდესაც გარემოებები, რომლებსაც შეუძლიათ გარიგების ბათილობა გამოიწვიონ, წარმოდგენილი პირისთვის ხელშეკრულების დადებამდეა ცნობილი.[8] შეიძლება ითქვას, რომ ამგვარი ჩანაწერით კანონი აზუსტებს კონკრეტულ შემთხვევაში საკითხის გადაჭრის შესაძლებლობას. შესაბამისად, მუხლის მეორე ნაწილში საუბარია შეცილების უფლებაზე, რომელიც გამომდინარეობს მარწმუნებლის მიერ განსაზღვრული გარემოებებიდან. ამ შემთხვევაში შეცილების უფლება წარმომადგენელს აღარ უნდა ჰქონდეს, რადგან ნების ნაკლი მის მიერ გამოვლენილ ნებას კი უკავშირდება, თუმცა ეს ნება (ნების შინაარსი) ფორმირებული იყო წარმოდგენილი პირის მიერ.

8 მაგალითად, კოლექციონერმა გიორგიმ (წარმოდგენილი) ლაშას (წარმომადგენელს) დაავალა, რომ დავითისგან (მეორე მხარე) შეეძინა XVIII საუკუნის ძვირად ღირებული ვიოლინო. მას შემდეგ, რაც ლაშამ დავითთან დადო ხელშეკრულება, გიორგიმ გაიგო, რომ ვიოლინო, რომლის შეძენაც მას სურდა, არ წარმოადგენდა XVIII საუკუნეში დამზადებულს. შესაბამისად, ვიოლინო კოლექციისთვის არ გამოდგებოდა. იმის გათვალისწინებით, რომ გიორგი ამ ფაქტს გარიგებაში დაშვებულ შეცდომად ჩათვლის, 106 II მუხლის საფუძველზე გარიგების ნამდვილობის შესახებ შეეცილება მეორე მხარეს.

2. წარმოდგენილის წინასწარი განზრახულობა

9 წარმოდგენილის წინასწარ განზრახულობაში კონკრეტული ფაქტის მიმართ წარმოდგენილის პირდაპირი დამოკიდებულება იგულისხმება. კერძოდ, ნაკლის არსებობა, მისი წარმოდგენებიდან გამომდინარე, უნდა იყოს სახეზე. მაგალითად, თუ წარმოდგენილი პირი ავალებს წარმომადგენელს გაყიდოს ნივთობრივად ნაკლიანი საგანი, გარიგების ნამდვილობას ვერ უზრუნველყოფს იმის მტკიცება, რომ წარმომადგენელი აქ არაფერ შუაშია და კეთილსინდისიერია, რადგან მან არ იცოდა და არ შეიძლება სცოდნოდა აღნიშნულის შესახებ.[9] შესაბამისად, ასეთ შემთხვევებში გარიგების ბათილობა

8 *ზოიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი I, 2002, მუხ. 106, გვ. 284.
9 იქვე, გვ. 285.

განპირობებული იქნება სწორედ წარმოდგენილი პირის ნებით.[10]

წარმოდგენილი პირი ვერ შეეცილება წარმომადგენელს იმ შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელი მოქმედებს დავალების – მინდობილობის საფუძველზე მიღებული დავალების ფარგლებში. ასეთ შემთხვევაში, თუნდაც ნების ნაკლი აშკარა იყოს, არ დადგება წარმომადგენლის პასუხისმგებლობის საკითხი. 10

10 *თუმანიშვილი,* გარიგებები (სამართლებრივი ბუნება და ნორმატიული რეგულირება), 2012, გვ. 90.

მუხლი 107. წარმომადგენლობითი უფლებამოსილება

1. უფლებამოსილების (რწმუნებულების) მიცემა ხდება რწმუნებულის ან იმ მესამე პირის მიმართ ნების გამოვლენით, რომელთანაც უნდა შედგეს წარმომადგენლობა.

2. ნების გამოვლენას არ სჭირდება ის ფორმა, რომელიც აუცილებელია იმ გარიგების დასადებად, რომლისთვისაც გაცემულია უფლებამოსილება. ეს წესი არ გამოიყენება მაშინ, როცა დადგენილია სპეციალური ფორმა.

I. ზოგადი დებულებანი 612
II. ნების გამოვლენა რწმუნებულის ან „მესამე პირთა“ მიმართ (107 I) 613
III. ფორმის თავისუფლება წარმომადგენლობითი უფლებამოსილებისას (107 II) 613
1. ფორმის თავისუფლება წარმომადგენლის მეშვეობით დადებული გარიგებისას 613
2. სპეციალური ფორმის მნიშვნელობა 614
ა) სპეციალური ფორმა წარმომადგენლობითი უფლებამოსილებისთვის.....616
ბ) სპეციალური ფორმა გარიგებისთვის 615
IV. კავშირი სხვა სამართლებრივ ინსტიტუტებთან.....615

I. ზოგადი დებულებანი

1 განსახილველი მუხლის მიზანს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მოწესრიგება წარმოადგენს.[1] უფლებამოსილების ანალოგიურად მოიხსენიებს კანონმდებლობა **რწმუნებულებას.** თითოეულ შემთხვევაში იგი გარიგების საფუძველზე გაცემული წარმომადგენლობითი ძალაუფლებაა, რომლის ფარგლები განისაზღვრება უფლებამოსილების მიმცემის მიერ.[2] თავის მხრივ, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გამოხატვის ფორმა არის **მინდობილობა.** შესაბამისად, პრაქტიკაში უმეტესწილად რწმუნებულების გარეგნულად გამოსახატად გამოიყენება სწორედ მინდობილობა,[3] რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის უზრუნველსაყოფად წარმოდგენილსა და მეორე მხარეს („მესამე პირს“[4]) შორის. [5]

2 პრაქტიკული თვალსაზრისით, წარმომადგენლისთვის უფლებამოსილების მინიჭება უშუალოდ წარმოდგენილი პირის მიერ წარმომადგენელთან უშუალო მოლაპარაკების ან/და შეთანხმების შედეგად ხდება. შესაბამისად, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გამცემი პირი, როგორც წესი, ნებას იმის შესახებ, რომ მას კონკრეტული პირი სურს იყოს მისი წარმომადგენელი, სწორედ წარმომადგენლის წინაშე აცხადებს.

1 შედარებით-სამართლებრივი თვალსაზრისით იხილეთ: *კროპჰოლერი,* გსკ-ის სასწავლო კომენტარი, თარგმანი, § 167, ველი 1.

2 *ზოიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, 2002, მუხ. 107, გვ. 285.

3 *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 434.

4 იხ. 103-ე მუხლის კომენტარი, ვნ. 5.

5 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 10 სექტემბრის №ას-739-707-2014 განჩინება.

II. ნების გამოვლენა რწმუნებულის ან „მესამე პირთა“ მიმართ (107 I)

გარდა უშუალოდ წარმომადგენელთან გამოვლენილი ნებისა, შესაძლოა, მარწმუნებელმა (წარმოდგენილმა პირმა) კონკრეტული პირის წარმომადგენლობის შესახებ პოზიცია უშუალოდ დააფიქსიროს იმ პირთან, რომელთანაც კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობა უნდა დამყარდეს წარმომადგენლის საშუალებით. კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ პირი გარიგებას დებს წარმომადგენლის მეშვეობით, შესაძლოა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შესახებ ნება სწორედ „მესამე პირის“ (ანუ ვისთანაც სამომავლოდ მარწმუნებელმა გარიგება უნდა დადოს) და არა წარმომადგენლის წინაშე გამოვლინდეს. მაგალითად, ორი პირი თანხმდება ხელშეკრულების არსებით პირობებზე. ორივე პირს სურს, ხელშეკრულება თავიანთი წარმომადგენლების მეშვეობით დადონ. ისინი ადგილზევე თანხმდებიან აღნიშნულის შესახებ, რაც სამართლებრივ ურთიერთობას წარმოშობს. შედეგის თვალსაზრისით სამართლებრივად იდენტურია, მარწმუნებელი რწმუნებულების გაცემის შესახებ ნებას გამოავლენს უშუალოდ წარმომადგენლის თუ მესამე პირის წინაშე. **3**

III. ფორმის თავისუფლება წარმომადგენლობითი უფლებამოსილებისას (107 II)

გარიგების ფორმა ნების გამოვლენის ფორმაა,[6] რომლის სპეციალური გამოვლინება კანონით მკაცრად უნდა იყოს განსაზღვრული. ვინაიდან წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შემთხვევაში კანონი ნების ნამდვილობისთვის სპეციალურ ფორმას არ ადგენს,[7] ასეთი სახის უფლებამოსილება ფორმასავალდებულო გარიგებათა რიცხვში არ ექცევა.[8] მაგალითად, თუ ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს წერილობითი ფორმით, შესაძლოა, რომ გამყიდველმა ან/და მყიდველმა უფლებამოსილება (რწმუნებულება) წარმომადგენელს მისცეს ზეპირი ფორმით. მიუხედავად აღნიშნულისა, 107 II მუხლი გამონაკლის შემთხვევაზე მიუთითებს. **4**

1. ფორმის თავისუფლება წარმომადგენლის მეშვეობით დადებული გარიგებისას

107 II მუხლის პირველი წინადადების შინაარსის ანალიზი ცხადყოფს, რომ იგი განამტკიცებს ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპს და მხარეებს ხელშეკრულების დადებისთვის (რომელსაც არ სჭირდება კანონით დადგენილი ფორმა) წარმომადგენლობითი უფლებამოსილების თავისუფლებას განუსაზღვრავს. ეს ლოგიკურიცაა, ვინაიდან მინდობილობის არსს უფლებამოსილების დადასტურება/ნამდვილობა წარმოადგენს, ხოლო, **5**

6 *ზოიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი I, 2002, მუხ. 68, გვ. 213.
7 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2001 წლის 21 მარტის №3კ/234-01 განჩინება.
8 იხ. *კროპჰოლერი*, გსკ-ის სასწავლო კომენტარი, თარგმანი, §167, ველი 3.

ხელშეკრულებით კონკრეტული ურთიერთობის ცალკეული წინაპირობები თანხმდება.[9]

6 იმის გათვალისწინებით, რომ ზოგიერთი ხელშეკრულება სწორედ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების საფუძველზე იდება, რწმუნებულებისთვის ფორმის სავალდებულო წესის განსაზღვრა, შესაძლოა ხელშეკრულების (დადების) თავისუფლების არაპირდაპირი საფუძველი გამხდარიყო. სწორედ ამ მიზნით, კანონმდებელი მხარეებს თავისუფლებას ანიჭებს.

2. სპეციალური ფორმის მნიშვნელობა

7 107 II მუხლის მეორე წინადადება[10] აზუსტებს ისეთ შემთხვევებს, როდესაც ა) კონკრეტული სამართალურთიერთობისთვის სპეციალური ფორმაა დადგენილი[11] და ბ) როდესაც გარიგებისთვის შესაბამისი ფორმააა დადგენილი. ორივე შემთხვევაში პრობლემა ასახვას პოვებს როგორც სამოქალაქო, ისე სხვა კერძოსამართლებრივ ურთიერთობაში. აღნიშნულის ნათელი გამოვლინებაა საკორპორაციო სამართალი, სადაც დირექტორის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების წარმოშობისთვის შესაბამისი რეგისტრაციაა საჭირო, მაგრამ შემდგომ, იურიდიული პირის სახელით ქმედების განხორციელება (მაგალითად, ხელშეკრულების დადება და სხვ.), ცალკე უფლების მინიჭებას არ მოითხოვს[12] (თუ სახეზე არ იქნა წესდებით შეზღუდული შემთხვევა და სხვ.).

ა) სპეციალური ფორმა წარმომადგენლობითი უფლებამოსილებისთვის

8 პირველი შემთხვევის ნათელი გამოხატულებაა სამოქალაქო-საპროცესო კოდექსის 96-ე მუხლი, რომლის პირველი ნაწილის მე-2 წინადადების თანახმადაც, მოქალაქის მიერ გაცემული მინდობილობა უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით ან იმ ორგანიზაციის მიერ, სადაც მარწმუნებელი მუშაობს ან სწავლობს და სხვ. ამგვარად, სამოქალაქო-საპროცესო კოდექსით, დადგენილია მინდობილობის სპეციალური ფორმა, რომლის დაუცველობის შემთხვევაშიც, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელება შეუძლებელია. შესაბამისად, კანონის იმპერატიული მოთხოვნის თანახმად, თუ წარმომადგენლის უფლებამოსილება არ არის კანონით დადგენილი წესით გაფორმებული, სასამართლო პირს წარმომადგენლად არ დაუშვებს.[13]

9 აქვე აღსანიშნავია, რომ 107-ე მუხლი მინდობილობის სპეციალურ ფორ-

9 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 13 დეკემბრის №ას-398-377-2012 გადაწყვეტილება.

10 107 II მუხლის მე-2 წინადადების თაობაზე კრიტიკული მოსაზრება იხილეთ: *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, გვ. 409.

11 მეორე მოსაზრება გამომდინარეობს სკ-ის 1999 წლის კომენტარიდან, ვინაიდან კანონი პირდაპირ არ ადგენს და არ აზუსტებს ქცევის ამგვარ წესს.

12 იხ. მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2001 წლის 21 მარტის №3კ/234-01 განჩინება.

13 *ლილუაშვილი/ხრუსტალი,* საქართველოს სამოქალაქო-საპროცესო კოდექსის კომენტარი, 2007, 96-ე მუხლი, გვ. 187.

მასა და არა მის შინაარსზე მიუთითებს. შინაარსი და საფუძველი, მაგალითად, სასამართლო წარმომადგენლობის დროს არის დავალების ხელშეკრულება და არა 107-ე მუხლი. ეს უკანასკნელი მხოლოდ მინდობილობის ფორმის განსაზღვრისათვის გამოიყენება. ამგვარი პოზიცია კი გამომდინარეობს სამოქალაქო კოდექსითა და სამოქალაქო-საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ წარმომადგენლობას შორის არსებითი განსხვავებიდან – სამოქალაქო პროცესში წარმომადგენელს მინიჭებული აქვს მხოლოდ საპროცესო მოქმედებების შესრულების უფლებამოსილება,[14] რაც მის კონკრეტულ გამოვლინებაზე მიუთითებს.

ბ) სპეციალური ფორმა გარიგებისთვის

გარიგების სპეციალური ფორმა, როგორც წესი, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ფორმის განსაზღვრის საწინდარი არ არის, თუმცა 107 II მუხლის მე-2 წინადადება ამის განმარტების საფუძველს იძლევა.[15] რეალურად ამგვარი მოქმედება პრაქტიკული თვალსაზრისითაც იქნებოდა სწორედ წერილობითი ფორმის წარდგენის საფუძველი. ასე მაგალითად, უძრავი ქონების ნასყიდობის შემთხვევაში (183 და 3111 I მუხლები), საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, წერილობითი რწმუნებულების ჩაბარება არაპირდაპირ სავალდებულო დოკუმენტთა ნუსხაში ექცევა (იხ. ასევე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 86 II მუხლი). **10**

IV. კავშირი სხვა სამართლებრივ ინსტიტუტებთან

განსახილველი მუხლის კავშირი 69-ე მუხლთან მიმართებით შეიძლება იქნეს დანახული, სადაც გარიგების ფორმის თავისუფლებისა და ასევე, მისი შეზღუდვის საკითხია განხილული. კავშირის მეორე მაგალითად გამოდგება 1411-ე მუხლი, სადაც ანდერძის აღმსრულებლის დანიშვნისთვის წერილობითი დოკუმენტის გაფორმებაა საჭირო და სხვ. **11**

14 *ქურდაძე,* სამოქალაქო საქმეთა განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში, მეორე გამოცემა, 2006, გვ. 227.

15 იხ. მაგალითად, *ზოიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, 2002, მუხ. 107, გვ. 287-288.

მუხლი 108. შეტყობინების ვალდებულება უფლებამოსილების შეცვლისას

უფლებამოსილებაში ცვლილებები და მისი გაუქმება უნდა ეცნობოს მესამე პირებს. ამ მოთხოვნის შეუსრულებლობისას ეს ცვლილებები და უფლებამოსილების გაუქმება არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მესამე პირთა მიმართ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მხარეებმა ხელშეკრულების დადებისას ამის შესახებ იცოდნენ ან უნდა სცოდნოდათ.

I. ზოგადი დებულებანი 616
II. უფლებამოსილებაში ცვლილების შედეგები 617
III. უფლებამოსილების ცვლილების/გაუქმების შეტყობინების ვალდებულება 617
1. შეტყობინების ვალდებულების მიზანი 617
2. შეტყობინების ვალდებულების არარსებობა 618
IV. უფლებამოსილების ცვლილების/გაუქმების შეტყობინების ვადები 618
1. გონივრული ვადები 618
2. შეთანხმებული ვადები 619
V. კავშირი 104 II მუხლთან 619

I. ზოგადი დებულებანი

1 წარმომადგენლობის უფლებამოსილებაში ცვლილება ყოველთვის დაკავშირებულია შესაბამის შედეგთან, რომელიც შეიძლება ცალკეული ურთიერთობისას დადგეს. სწორედ ამ მიზნით ადგენს განსახილველი ნორმა ქცევის ისეთ წესს, რომლის ფარგლებშიც წარმოდგენილს ასეთი ინფორმაციის შეტყობინების ვალდებულება ეკისრება. გარდა აღნიშნულისა, „მესამე პირს“ უნდა გააჩნდეს შესაძლებლობა, თვალი ადევნოს უფლებამოსილების შემდგომ განვითარებას, რათა არ მიადგეს რაიმე ზიანი.[1]

2 ნორმის არსიდან გამომდინარე, შეტყობინების ვალდებულება უნდა გავრცელდეს არა მხოლოდ იმ პირის მიმართ, რომელიც დებს გარიგებას ან დადებული აქვს გარკვეულ შემთხვევაში, არამედ ყველა იმ პირის მიმართ, რომელიც ინფორმაციას ფლობს რწმუნებულების შესახებ და რომელმაც შესაძლოა ურთიერთობის დამყარებისას ირწმუნოს ასეთი ურთიერთობის თაობაზე.[2]

3 განსახილველი მუხლი პრინციპის დონეზე გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მხარეთა მიერ რელატიური ურთიერთობის საფუძველზეა განსაზღვრული შეტყობინების სავალდებულო წესი. ასეთ დროს მხარეს ეკისრება ვალდებულება, რომლის შესრულებაც უკვე სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარეობს.

1 *ზოიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, 2002, მუხ. 108, გვ. 288.
2 *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, გვ. 409.

II. უფლებამოსილებაში ცვლილების შედეგები

4 უფლებამოსილებაში ცვლილებამ შესაძლოა ურთიერთობის მონაწილე სუბიექტებიც შეცვალოს. გაფრთხილების საკითხი მნიშვნელოვანია შესაბამისი შედეგების განსაზღვრისთვის. მაგალითად, როდესაც წარმომადგენელი ინფორმირებულიც კი არ არის იმის თაობაზე, რომ გარიგება, რომელიც მას უნდა დაედო, მას არ ანიჭებს წარმოდგენილის სახელით მოქმედების შესაძლებლობას. ასეთ დროს, ინფორმაციის არარსებობა შეიძლება დამაბრკოლებელი გარემოება გახდეს. სწორედ ამ მიზნით, უპირველესად, წარმოდგენილ პირს (ცალკეულ შემთხვევებში, წარმომადგენელსაც) ეკისრება იმის ვალდებულება, რომ როგორც წარმოდგენილი, ისე მეორე მხარე გააფრთხილოს უფლებამოსილებაში ცვლილების / გაუქმების თაობაზე. თავის მხრივ, „მესამე პირს“ ინფორმაცია შეიძლება მიაწოდოს როგორც წარმოდგენილმა, ისე, მისმა წარმომადგენელმა. თუმცა ორივე შემთხვევაში ასეთი ქმედების განხორციელებისგან თავის შეკავებისას პასუხისმგებლობის საკითხი წარმოდგენილის მიმართ დადგება.[3]

III. უფლებამოსილების ცვლილების/გაუქმების შეტყობინების ვალდებულება

1. შეტყობინების ვალდებულების მიზანი

5 უფლებამოსილებაში ცვლილების შეტყობინების ვალდებულება კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარეობს. სხვა შემთხვევაში მხარისთვის ბოლომდე არ იქნება ცხადი, თუ ვისთან დებს გარიგებას იგი და რა სამართლებრივი შედეგები მოჰყვება მას. შეტყობინების ვალდებულებაში იგულისხმება ნებისმიერი სახის წარმომადგენლობით ურთიერთობებში ცვლილების (გაუქმების) შესახებ ინფორმაციის გაცემის საკითხი, იქნება ეს იურიდიული თუ ფიზიკური პირის წარმომადგენლის პიროვნებაში ცვლილება (თუნდაც, სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე)[4] და სხვ.

6 ცალკეული შემთხვევების გათვალისწინებით, გამოსაყოფია 318-ე მუხლთან კავშირი, რომლის მიხედვითაც, ინფორმაციის გაცემის ვალდებულებაა დადგენილი. კავშირის არსი გამოსაყოფია იმ თვალსაზრისით, რომ ხელშეკრულების დადებამდე მხარე ვალდებულია მეორე მხარეს მიაწოდოს ყველა სახის არსებითი ინფორმაცია, რაც სახელშეკრულებო ურთიერთობის დამყარებისთვის მნიშვნელოვანია. ასეთ კატეგორიას განეკუთვნება წარმომადგენლობის საკითხიც, რომლის მიხედვითაც, მხარეს უნდა ჰქონდეს ინფორმაცია, თუ ვისი საშუალებით იდება ხელშეკრულება და სხვ.

7 ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ შეტყობინების მიზანს კეთილსინდისიერების პრინციპზე დაფუძნებით, მხარის მიერ შესაბამისი ინფორმაციის გაცემის ვალდებულება წარმოადგენს. მით უმეტეს,

3 *ზოიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, 2002, მუხ. 108, გვ. 288.
4 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 19 მარტის №ას-452-843-06 განჩინება.

რომ მეორე მხარე ამ საკითხთან მიმართებით არ იღებს გადაწყვეტილებას და შესაბამისად, ინფორმაციაც მას უნდა მიუვიდეს შესაბამისი სუბიექტის მხრიდან.

2. შეტყობინების ვალდებულების არარსებობა

8 მიუხედავად კანონის იმპერატიული ჩანაწერისა, იგივე მუხლი იცნობს გარკვეულ გამონაკლისს, როდესაც „მესამე პირთა“ მიმართ ასეთი ცვლილება/გაუქმება არ შეიძლება იქნეს გამოყენებული.[5] კერძოდ, ა) მხარეებმა ხელშეკრულების დადებისას იცოდნენ ამის შესახებ[6] ან ბ) მათ უნდა სცოდნოდათ ამის შესახებ. მაგალითად, შესაძლებელია ისეთი შემთხვევა იქნეს მოაზრებული, როდესაც მხარე კონკრეტული სახელშეკრულებო ურთიერთობის დამყარებისას მეორე მხარეს შესაბამისი ცვლილების / გაუქმების თაობაზე წინასწარ აცნობებს და ამ ინფორმაციას შემდეგ ხელშეკრულების პირობად აქცევს. მაგალითად, მხარეები თანხმდებიან, რომ მიღება-ჩაბარების აქტს ხელს მოაწერს იურიდიული პირის დირექტორი. თუ მხარეები ხელშეკრულებაში ასახავენ ინფორმაციას, დირექტორის ცვლილების შესახებ, მაშინ თუნდაც უკვე თანამდებობაზე არმყოფმა პირმა მოაწეროს ხელი მიღება-ჩაბარების აქტს, იგი მაინც ნამდვილად ჩაითვლება.

IV. უფლებამოსილების ცვლილების/გაუქმების შეტყობინების ვადები

9 უფლებამოსილების ცვლილების/გაუქმების შეტყობინების კონკრეტული ვადები კანონით გათვალისწინებული არ არის. ამ მიზნით, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ორი მათგანი: გონივრული ვადები და შეთანხმებული ვადები.

1. გონივრული ვადები

10 გონივრული ვადები სწრაფ და კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე ყველაზე უფრო მიზანშეწონილ ვადებად უნდა იქნეს მიჩნეული.[7] განსხვავებით ცალკეული სამართლებრივი ურთიერთობებიდან (მაგ., საპროცესო ნორმები და სხვ.), გარიგების შემთხვევაში უფლებაში ცვლილების შეტყობინება პირველივე შესაძლებლობით უნდა მოხდეს. მაგალითად, თუ მხარე აუქმებს მინდობილობას, ხოლო მისი მინდობილი პირი რამდენ-

5 ამ მოწესრიგების თაობაზე კრიტიკული პოზიცია იხილეთ: *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, გვ. 410.

6 აღნიშნული საკანონმდებლო ჩანაწერის შესახებ იხილეთ საინტერესო მოსაზრება: *ერქვანია*, მესამე პირთა ინტერესების დაცვა წარმომადგენლობაში (საქართველოსა და გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით), „მართლმსაჯულება და კანონი“ №3(34)12, გვ. 39.

7 ტერმინის არსის დადგენის მიზნით შესაძლებელია ცალკეული სამეცნიერო შრომის გათვალისწინება, სადაც გონივრული ვადები – იხ. მაგალითად, *სიჭინავა,* „გონივრული ვადის“ მოთხოვნა (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით), საერთაშორისო სამართლის ჟურნალი №1, 2008, 111-112.

იმე საათში აწერს ხელს გარიგებას, მან ამის შესახებ როგორც მინდობილ პირს/წარმომადგენელს, ისე მეორე მხარეს (ამ მუხლში – მესამე პირს) უნდა შეატყობინოს პირველივე საკომუნიკაციო საშუალებით (ტელეფონით, ელ. ფოსტით თუ ინტერნეტის სხვა საშუალების გამოყენებით და ა.შ.).

2. შეთანხმებული ვადები

შეთანხმებული ვადა პირდაპირ კავშირშია მხარეთა მიერ ხელშეკ- **11**
რულებაში განსაზღვრულ პირობასთან, რომლის მიხედვითაც, შეიძლება დადგინდეს, რომ წარმომადგენლობაში ცვლილების შესახებ ინფორმაცია ეცნობება მხარეს დაუყოვნებლივ ან, მაგალითად, ოთხი კალენდარული დღის ვადაში და სხვ. თუ მიუხედავად ხელშეკრულებით შეთანხმებული ვადისა, სახეზეა შემთხვევა, როდესაც ოთხი კალენდარული დღე (ზემოთ მოყვანილი მაგალითიდან გამომდინარე), ძალიან გვიანია შესაბამისი შეტყობინების თაობაზე.

V. კავშირი 104 II მუხლთან

ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, განსახილველ შე- **12**
ტყობინების ვალდებულებას შეიძლება პრაქტიკული მნიშვნელობა აბსოლუტურად დაკარგული ჰქონდეს 104 II მუხლიდან გამომდინარე,[8] რომელიც მეორე მხარის ვარაუდსა და კეთილსინდისიერების ფაქტს ეხება.[9]

8 მაგალითისთვის იხილეთ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 19 მარტის №ას-452-843-06 განჩინება. აღნიშნულ განჩინებაზე დაყრდნობით, თუ მსჯელობა იმ თვალსაზრისით წარიმართება, რომ მხარემ არ იცოდა და არც უნდა სცოდნოდა წარმომადგენლობის უფლებამოსილებაში ცვლილების შესახებ, შესაძლოა 104 II მუხლით პრობლემა ცალსახად გადაიჭრას.

9 *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, გვ. 409.

მუხლი 109. წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლები

წარმომადგენლობითი უფლებამოსილება ქარწყლდება:

ა) იმ ვადის გასვლით, რა ვადითაც გაიცა უფლებამოსილება;

ბ) უფლებამოსილი პირის უარით;

გ) უფლებამოსილების გამცემი პირის მიერ უფლებამოსილების გაუქმებით;

დ) უფლებამოსილების გამცემი პირის გარდაცვალებით;

ე) შესრულებით;

ვ) უფლებამოსილების გამცემი პირის მხარდამჭერის მიმღებად ცნობით, თუ მას მხადაჭერა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ან ქონების განკარგვის უფლების განსახორციელებლად დაუწესდა.

საქართველოს 2015 წლის 20 მარტის კანონი №3339 – ვებგვერდი, 31.03.2015წ.

I. ზოგადი დებულებანი 620
II. წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გაქარწყლება/შეწყვეტა 621
1. ვადის გასვლა 621
2. უფლებამოსილი პირის უარი 621
3. უფლებამოსილების გამცემი პირის მიერ უფლებამოსილების გაუქმება 621
4. უფლებამოსილების გამცემი პირის გარდაცვალება 622
5. შესრულება 623
6. უფლებამოსილების გამცემი პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობა 623
III. ნორმის დატვირთვა საპროცესო სამართალში 624

I. ზოგადი დებულებანი

1 წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლების დადგენა ასეთი სამართლებრივი ურთიერთობის კონკრეტული საკითხების მართებულად გამოყენებისთვის უმნიშვნელოვანეს წინაპირობას წარმოადგენს. 109-ე მუხლი ზუსტად ადგენს იმ შემთხვევებს, როდესაც წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გაქარწყლებაა დასაშვები.[1]

1 საინტერესო მოსაზრებაა გამოთქმულ იურიდიულ ლიტერატურაში, სადაც 109-ე მუხლთან მიმართებაში დაფიქსირებულია პოზიცია, რომ ნაცვლად ზოგად საფუძვლებზე მითითებისა, ეს ნორმა სხვაგვარად შეიძლება იქნეს ფორმულირებული. იხ. *ერქვანია,* მესამე პირთა ინტერესების დაცვა წარმომადგენლობაში (საქართველოსა და გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით), მართლმსაჯულება და კანონი, №3(34)12, გვ. 39.

II. წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გაქარწყლება/შეწყვეტა

1. ვადის გასვლა

ვადის გასვლის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გაქარწყლება/ შეწყვეტა ყველაზე უფრო გავრცელებულ შემთხვევას წარმოადგენს. მაგალითად, მინდობილობის შემთხვევაში, როდესაც ნოტარიუსთან გაფორმებულ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დოკუმენტს კონკრეტული ვადა აქვს მითითებული. ვადის გასვლა ყოველთვის გარკვეულ პერიოდთანაა დაკავშირებული. შესაბამისად, შესრულებულად ჩაითვლება ყველა ის ქმედება, რომელიც ვადის ამოწურვამდეა განხორციელებული. მაგალითად, უწყების ჩაბარების მინდობილობის მოქმედების ბოლო დღეს[2] და სხვ. **2**

ვადის გასვლასთან მიმართებით უფლებამოსილების გაქარწყლების/ შეწყვეტის ფაქტად შეიძლება იქნეს მიჩნეული შემთხვევა, როდესაც ცალკე ხელშეკრულებით (მაგალითად, დავალების ხელშეკრულება) აქვთ მხარეებს კონკრეტული ვადა მითითებული, რა ვადაშიც უნდა მოხდეს რწმუნებულების უკან გადაცემა. ასეთ დროს, მართალია, რწმუნებულების ვადა გასულად არ ითვლება, თუმცა, ვინაიდან მხარეთა შორის არსებობს მასზე შეთანხმება, იგი არაუფლებამოსილად უნდა იქნეს მიჩნეული. **3**

2. უფლებამოსილი პირის უარი

უფლებამოსილი პირის უარში წარმომადგენლის უარი უნდა იქნეს მოაზრებული.[3] პრაქტიკული თვალსაზრისით, შესაძლებელია არ დადგეს ისეთი შედეგი, რომ რწმუნებულება გაუქმებულად ჩაითვალოს, თუმცა მას სამართლებრივი ძალა მაინც აღარ ექნება. ასე მაგალითად, როდესაც რწმუნებული უარს ამბობს სასამართლოში წარმომადგენლობაზე, ხოლო რწმუნებულება ნოტარიუსის მიერაა დამოწმებული. ასეთის არსებობისას, რწმუნებულება იქამდე იქნება ძალაში, სანამ მარწმუნებელი არ გააუქმებს მას ნოტარიუსთან, ან სანამ მისი მოქმედების ვადა არ გავა, თუმცა ორივე შემთხვევაში სამართლებრივი შედეგის დადგომისთვის მაინც წარმომადგენლის ქმედებაა საჭირო. შედეგად, პრაქტიკული მნიშვნელობიდან გამომდინარე, რწმუნებულება თავის აზრს დაკარგავს. **4**

3. უფლებამოსილების გამცემი პირის მიერ უფლებამოსილების გაუქმება

წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გაუქმება პირს ნებისმიერ დროს შეუძლია,[4] გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა.[5] იმის გათვალისწინებით, რომ რწმუნებულების გაცემა ცალმხრივი გარიგებაა და მისი **5**

2 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 21 იანვრის №ას-1078-1011-2012 განჩინება.
3 *ზოიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, 2002, მუხ. 109, გვ. 289.
4 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 5 აპრილის №ას-514-898-06 განჩინება.
5 იხ. *ზოიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, 2002, მუხ. 109, გვ. 290.

ნამდვილობა მხოლოდ წარმოდგენილის მიერ ნების გამოვლენას საჭიროებს, უფლებამოსილების გაუქმების შემთხვევაშიც, სწორედ ერთი პირის მიერ ნების გამოვლენაა ასეთი შედეგის დადგომისთვის მნიშვნელოვანი. ასეთ დროს მნიშვნელოვანია, რწმუნებულების გაუქმების თაობაზე მეორე მხარე (ასევე, ცალკეულ შემთხვევებში – წარმომადგენელი) იყოს გაფრთხილებული და ინფორმირებული (108), ვინაიდან, ასეთი ნების გამოვლენა მხოლოდ მაშინ იქნება იურიდიული ძალის მქონე, თუკი იგი მეორე მხარეს მიუვა.[6] მაგალითად, შემკვეთი და შემსრულებელი ძირითადი ხელშეკრულებით შეთანხმდნენ, რომ მათ შორის მომდევნო ორი თვის მანძილზე დაიდება შვიდი ხელშეკრულება ცალ-ცალკე. შემკვეთის სახელით ხელშეკრულებას ხელს მოაწერს მისი წარმომადგენელი, რომლის შესახებაც შემსრულებელი ინფორმირებულია. მხარეებმა ერთი თვის მანძილზე დადეს ექვსი ხელშეკრულება. ამასობაში შემკვეთმა წარმომადგენელს რწმუნებულების უფლებამოსილება გაუუქმა. ასეთ დროს, წესით, იურიდიულად წარმომადგენელს არ აქვს უფლება, დადოს შესაბამისი ხელშეკრულება შემკვეთის სახელით. თუმცა, თუ შემკვეთი შემსრულებელს აღნიშნულის თაობაზე არ აცნობებს, მიუხედავად წარმომადგენლის უფლებამოსილების ძალაში ყოფნისა, ხელშეკრულება შემკვეთსა და შემსრულებელს შორის ნამდვილად ჩაითვლება (108).

4. უფლებამოსილების გამცემი პირის გარდაცვალება

6 იმის გათვალისწინებით, რომ გარდაცვალების შედეგად პიროვნება უფლებაუნარიანობასა და ქმედუნარიანობას კარგავს, მის მიერ გამოვლენილ ნებასაც აღარ უნდა გააჩნდეს სამართლებრივი ძალა. თუმცა სამოქალაქო კოდექსში ასეთი პოზიცია ყველა სამართლებრივი ურთიერთობისას არაა გამყარებული. მაგალითად, დავალების ხელშეკრულებით შესაძლებელია მხარეები სხვა საკითხზეც შეთანხმდნენ (იხ. 721 I, რომლის ძალითაც, მარწმუნებლის გარდაცვალებით ხელშეკრულება არ წყდება, თუ ხელშეკრულებაში სხვა რამ არ არის მითითებული), რაც რწმუნებულების გაცემისას არ გამოიყენება. თუმცა ასეთ შემთხვევაშიც აღნიშვნის ღირსია ის საკითხი, ხომ არ მოდის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება მემკვიდრეთა უფლებებთან მიმართებით შეუსაბამობაში.[7]

7 დავალების ხელშეკრულებასთან მიმართებით საინტერესოა 721 II მუხლთან კავშირი, სადაც კანონი ცალკეულ შემთხვევებში, მარწმუნებლის (წარმოდგენილის) გარდაცვალებისას (ასევე, მხარდამჭერის მიმღებად ცნობის) რწმუნებულს დავალებული მოქმედების შესრულების ვალდებულებას აკისრებს.

8 გარდა დასახელებული შემთხვევებისა, უფლებამოსილი პირის გარდაცვალების შემთხვევაში, თუ მხოლოდ მინდობილობაა მის მიერ გაცემული

6 იხ. *ზოიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, 2002, მუხ. 109, გვ. 290.

7 აღნიშნულ საკითხზე იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 8 თებერვლის №3კ/1039-01 განჩინება.

და დადებული არ არის დავალების ხელშეკრულება შესაბამისი პირობით, მაშინ წარმომადგენლობითი უფლებამოსილება შეწყვეტილად მიიჩნევა.[8] თუნდაც, მხარეთა შორის იმ მომენტში არ იყოს ცნობილი ამგვარი ინფორმაცია, გარიგება მაინც ბათილად მიიჩნევა.[9]

უფლებამოსილების გამცემი პირის პარალელურად განხილულ უნდა იქნეს წარმომადგენლის გარდაცვალების შემთხვევა. მართალია, კანონი აღნიშნულ საკითხს პირდაპირ არ აწესრიგებს, მაგრამ წარმომადგენლობის არსიდან გამომდინარე (რომელიც უშალოდ სუბიექტის არსებობაზეა დაფუძნებული), წარმომადგენლის გარდაცვალებაც წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გაუქმების საფუძველი უნდა გახდეს. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, ასეთი უფლება მის მემკვიდრეზე არ უნდა გადავიდეს. პარალელის სახით თუ 722 I მუხლს დავიმოწმებთ, შევნიშნავთ, რომ განსხვავებით მარწმუნებლის გარდაცვალებისგდან, რწმუნებულის შემთხვევაში, ეს მუხლი უფრო კატეგორიულად განსაზღვრავს შესაძლო შედეგებს.[10] **9**

5. შესრულება

შესრულებაში იგულისხმება ვალდებულების შესრულება, კერძოდ, მინიჭებული წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ფარგლებში კონკრეტული ქმედების განხორციელება, რაც ვალდებულების შეწყვეტის საერთო საფუძველს წარმოადგენს.[11] ასეთი შეიძლება იყოს: სასამართლოში წარმომადგენლობა და სხვ. ამ შემთხვევაშიც, ხშირად მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ რა სახით აქვთ მხარეებს ორმხრივი გარიგებით (ხელშეკრულებით) მოწესრიგებული ეს საკითხი. მაგალითად, თუ მხარეები მიიჩნევენ, რომ სასამართლოში წარმომადგენლობად ჩაითვლება მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოზე წარმომადგენლობა, შესაბამისი შედეგიც (შესრულება) სწორედ პირველი ინსტანციის დასრულების შედეგად იქნება სახეზე, ხოლო, თუ მხარეთა შეთანხმებით, სასამართლოში წარმომადგენლობა საქმის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებამდე მოქმედებს, შესრულებად ჩაითვლება ის მომენტი, როდესაც წარმომადგენლის მიერ შესრულებული მოქმედების შედეგად შესაბამისი გადაწყვეტილება აღსრულდება. **10**

6. უფლებამოსილების გამცემი პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობა

უფლებამოსილების გამცემი პირი (იგულისხმება გარიგების საფუძველზე წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გაცემა) არ შეიძლება მხარდამჭერის მიმღები იყოს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ან ქონების განკარგვის შემთხვევაში. თითოეულის არსებობისას, მის მიერ გაცე- **11**

8 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2006 წლის 8 სექტემბრის №ას-39-486-06 განჩინება.
9 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 23 ოქტომბრის №ას-1128-1059-2012 განჩინება.
10 იხ. *ზოიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი I, 2002, მუხ. 109, გვ. 291.
11 იქვე.

მულ რწმუნებულებას სამართლებრივი ძალა ეკარგება ნების გამოვლენის სამართლებრივი არსიდან გამომდინარე. მხარდამჭერის მიმღებად ცნობის მიუხედავად, მასზე გავრცელდება 721 I მუხლის შედეგები (იხ. ამავე კომენტარის ვნ. 7).

III. ნორმის დატვირთვა საპროცესო სამართალში

12 მიუხედავად წინამდებარე თავში გაწერილი ქცევის წესისა, გარიგებაში წარმომადგენლობის საკითხის მიუხედავად, უფლებამოსილების შეწყვეტისას მხარეებს შეიძლება დამატებითი უფლება-მოვალეობები წარმოეშვათ. მაგალითად, სამოქალაქო-საპროცესო კოდექსის 99-ე და მე-100 მუხლების მიხედვით, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მარწმუნებლის სახელით შეწყვეტის შემთხვევაში, ისევე, როგორც წარმომადგენლის მიერ საპროცესო უფლება-მოვალეობათა განხორციელებაზე უარის თქმის შემთხვევაში, მას ეკისრება შეტყობინების ვალდებულება. აღნიშნულის პარალელურად მან უნდა შეატყობინოს სასამართლოს იმის შესახებ, რომ ის აღარ წარმოადგენს სასამართლოში განსახილველ საქმეში მხარის რწმუნებულს და რომ მათ შორის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება შეწყვეტილია.

13 აღსანიშნავია, რომ სასამართლოს გააჩნია უფლება, თავად გადაწყვიტოს, თუ როდის შეწყვიტავს წარმომადგენელი თავისი უფლებამოსილების განხორციელებას. ასეთი საპროცესო-სამართლებრივი დათქმა პირდაპირ კავშირშია მოქმედების კეთილსინდისიერად განხორციელების წინაპირობასთან, რომლის ფარგლებშიც, მხარეთა მიერ მიღწეული შეთანხმების საფუძველზე, დაუშვებელია ისეთი ქმედების განხორციელება, რაც მეორე მხარისთვის საზიანო შედეგის მომტანი იქნება.

მუხლი 110. წარმომადგენლის ვალდებულება უფლებამოსილების გაქარწყლებისას

უფლებამოსილების გაქარწყლების შემდეგ წარმომადგენელმა უფლებამოსილების საბუთი უნდა დაუბრუნოს უფლებამოსილების გამცემს; საბუთის დატოვების უფლება მას არა აქვს.

I. ზოგადი დებულებანი 625
II. საბუთის გადაცემის ვალდებულების მიზანი 625
1. სხვისი სახელით მოქმედების გათვალისწინებით 625
2. კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვა 626
3. საბუთის დატოვების დაუშვებლობა 626
4. 110-ე მუხლის გავრცელება მოქმედი წარმომადგენლობის შემთხვევაზე 626
5. პასუხისმგებლობა 626

I. ზოგადი დებულებანი

წარმომადგენლობის არარსებობის შემთხვევაში მისი დამადასტურებელი საბუთის მოთხოვნის უფლება გააჩნია წარმოდგენილს. განსახილველ მუხლს ერთგვარი პრევენციული ხასიათი გააჩნია და იგი უპირველესად, წარმოდგენილის ინტერესის დაცვის მიზნისკენაა მიმართული.[1] იგი ამ საბუთის მიღებით მაქსიმალურად გამორიცხავს გაუთვალისწინებელი გარიგების დადებას წარმომადგენლის მეშვეობით. ამასთან, ცალკეა დაცული მეორე მხარე, არ დადოს გარიგება ისეთ წარმომადგენელთან, რომელსაც ასეთი ქმედების განხორციელების უფლებამოსილება არ გააჩნია. ამასთან, წარმომადგენლის მიერ საბუთის წარმოდგენილისთვის გადაცემით მაქსიმალურად გამოირიცხება მეორე მხარისთვის სიმართლესთან შეუსაბამო ინფორმაციის მიწოდების შესაძლებელობა და აღნიშნულიდან გამომდინარე, უფლების ბოროტად გამოყენება,[2] არამართლზომიერი ქმედება[3] და სხვ. **1**

II. საბუთის გადაცემის ვალდებულების მიზანი

1. სხვისი სახელით მოქმედების გათვალისწინებით

წარმოდგენილისთვის საბუთის გადაცემის ერთ-ერთ მიზანს შესაძლებელია სხვისი სახელით მოქმედებისას უფლებამოსილების გადაჭარბების გამორიცხვა წარმოადგენდეს. სწორედ ასეთი საშუალების გამოყენებით შეიძლება თავიდან იქნეს აცილებული, მაგალითად, მოტყუებით დადებული გარიგება ან კონტრაჰენტის პიროვნებაში შეცდომით დადებული გარიგება და სხვ. **2**

1 *ზოიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი I, 2002, მუხ. 110, გვ. 292.
2 იქვე.
3 *კერესელიძე*, უზოგადესი ცნებები, გვ. 411.

2. კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვა

3 გარდა პრევენციული ხასიათისა, ვალდებულების ამგვარი სახით განხორციელება პირდაპირ კავშირშია კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვასთან. კერძოდ, ისევე როგორც სხვა კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში, კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვის ვალდებულება აკისრია მხარეს წარმომადგენლობის შემთხვევაშიც.

3. საბუთის დატოვების დაუშვებლობა

4 110-ე მუხლის მე-2 წინადადება წარმოადგენს ამავე ნორმაში გაწერილი ქცევის წესის დაკონკრეტებულ ვერსიას. შეიძლება ითქვას, რომ საბუთის დატოვების უფლების არქონა წარმომადგენელს ავტომატურად მისი გადაცემის ვალდებულებას აკისრებს.[4]

4. 110-ე მუხლის გავრცელება მოქმედი წარმომადგენლობის შემთხვევაზე

5 მხარეთა შორის არსებული შეთანხმებით შესაძლებელია წინასწარ იყოს განსაზღვრული წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გადაცემის, უკან დაბრუნების საკითხი. მაგალითად, დავალების ხელშეკრულებით შეიძლება განისაზღვროს, რომ კონკრეტული შედეგის დადგომის მომენტის შემდეგ მხარეთა შორის წყდება ასეთი სახის სახელშეკრულებო ურთიერთობა და თუნდაც იმ მომენტისთვის გაცემული წარმომადგენლობითი უფლებამოსილება – რწმუნებულება ჯერ კიდევ ძალაში იყოს, რწმუნებულმა მარწმუნებელს უფლებამოსილების საბუთი აუცილებლად უნდა დაუბრუნოს. ასეთ შემთხვევაში, მართალია, ვალდებულება სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარეობს, მაგრამ ანალოგიის წესით დავალების ხელშეკრულებაზე დაყრდნობით იგი შესაძლებელია რწმუნებულების შემთხვევაზეც გავრცელდეს.

5. პასუხისმგებლობა

6 უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთის უკან გადაცემისგან თავის შეკავების შემთხვევაში შესაძლებელია პირს დაეკისროს პასუხისმგებლობა. ასეთი პასუხისმგებლობა შეიძლება გათვალისწინებული იყოს როგორც ხელშეკრულებით, ისე გამომდინარეობდეს კონკრეტული შემთხვევიდან. კვლავ დავალების ხელშეკრულების მაგალითის მოყვანაა შესაძლებელი. კერძოდ, აღნიშნულ ხელშეკრულებაში მითითებულია, რომ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების უკან გადაცემის ვალდებულება ეკისრება რწმუნებულს. თუ მან ეს ვალდებულება არ განახორციელა, მას დაეკისრება პირგასამტეხლო შესაბამისი ოდენობით. ასეთი შეთანხმება ნამდვილი იქნება ვალდებულებათა შეუსრულებლობის გამო.

4 *კერესელიძე*, უზოგადესი ცნებები, გვ. 411.

მუხლი 111. გარიგების დადება წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე

1. თუ პირი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე სხვისი სახელით დებს ხელშეკრულებას, ამ ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებულია წარმოდგენილი პირის თანხმობაზე.

2. თუ მეორე მხარე წარმოდგენილი პირისაგან მოითხოვს თანხმობას, მაშინ ამ თანხმობის შესახებ უნდა ეცნობოს მხოლოდ მას. თანხმობა შეიძლება გაიცეს მოთხოვნიდან ორი კვირის ვადაში; თუ ეს არ მოხდა, მაშინ ითვლება, რომ თანხმობაზე მოთხოვნა უარყოფილია.

I. ზოგადი დებულებანი 628
II. წარმოდგენილი პირის თანხმობა (111 I) 628
1. მერყევად ბათილი გარიგება წარმომადგენლის მიერ მოქმედებისას 628
2. თანხმობის (მოწონების) სამართლებრივი შედეგი წარმომადგენლობისას 629
3. წარმოდგენილი პირის თანხმობის ფორმა 629
4. ცალკეული შემთხვევები, რომელთან მიმართებითაც გამოიყენება 111 I მუხლი 630
ა) სხვა პირის სახელის გამოყენება 630
ბ) გაყალბებული ხელმოწერა 630
გ) დაურეგისტრირებელი იურიდიული პირი 630
დ) საჯარო სამართლის იურიდიული პირების მაგალითი 631
III. თანხმობის მოთხოვნა წარმოდგენილი პირისაგან (111 II) 631
1. სუბიექტთა წრე 632
2. თანხმობის სამართლებრივი ბუნება 632
3. ორკვირიანი ვადა 632
IV. წარმომადგენელთან წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე დადებული ხელშეკრულება 632
1. გავრცელების არეალი 632
2. წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნაკლი 111-ე მუხლის მიზნებისთვის 633
3. წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ფარგლების გადამეტება 633
V. კავშირი სხვა სამართლებრივ ინსტიტუტებთან 634
1. კავშირი გარიგებებში თანხმობასთან 634
2. კავშირი დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებასთან 634

I. ზოგადი დებულებანი

1 111-ე მუხლი წარმოადგენს სათანადო უფლებამოსილების გარეშე წარმომადგენლობის შემთხვევის მომწესრიგებელ ნორმას, რომელიც ცალკეულ დაკონკრეტებულ სახეს 112-ე და 113-ე მუხლებში პოვებს.[1] შედეგად, მიუხედავად განსახილველი ინსტიტუტის თავისებურებისა, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების საჭიროების თვალსაზრისით, წარმოდგენილი პირის სახელით დადებული ხელშეკრულება, როდესაც შესაბამისი უფლება არ არის კანონის საფუძველზე წარმოშობილი, არ იწვევს წარმოდგენილი პირის მიმართ სამართლებრივ შედეგებს.[2]

2 111-ე მუხლის უმთავრესი მიზანია, დაადგინოს პირის უფლება წარმომადგენლობითი უფებამოსილების გარეშე მოქმედებაზე, თუ ფაქტობრივ გარემოებათა გათვალისწინებით არ არის საკმარისი დრო, რათა დროულად იქნეს მიღებული წარმოდგენილი პირისგან წინაწარი თანხმობა. ამდენად, თუ გარიგება წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშეა დადებული, ხელშეკრულება მაინც დადებულად ითვლება, თუ წარმოდგენილი პირი შემდგომში დაეთანხმება აღნიშნული ხელშეკრულების პირობებს.[3] მაგალითად, თუ წარმოდგენილი ნახავს, რომ მასთან შეთანხმების გარეშე, მისი სახელითაა დადებული (წარმომადგენლის საშუალებით) ხელშეკრულება და იგი მოიწონებს მას, ხელშეკრულება დადებულად / ნამდვილად ჩაითვლება.

3 ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ 111-ე მუხლის რედაქცია მხარეებს, ერთი მხრივ, გარკვეულ თავისუფალ არეალს ანიჭებს, იმოქმედონ დამატებითი დაბრკოლებების გარეშე, ხოლო, მეორე მხრივ, იგი წარმოდგენილი პირის ნამდვილობის დასადგენ მექანიზმს აწესრიგებს.[4]

II. წარმოდგენილი პირის თანხმობა (111 I)

4 წარმოდგენილი პირის თანხმობა, 111-ე მუხლის მიზნებიდან გამომდინარე, გარიგების ნამდვილობის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს. ასეთ შემთხვევაში წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე დადებული გარიგება მოწონებაუნარიანია,[5] რომელიც მერყევად ბათილ გარიგებად დაკვალიფიცირდება.

1. მერყევად ბათილი გარიგება წარმომადგენლის მიერ მოქმედებისას

5 ზოგადი დანაწესის მიხედვით, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე დადებული ხელშეკრულება მერყევად ბათილია. მერყევი (დროებითი) მდგომარეობის დასასრული უკავშირდება წარმოდგენილი პირის უარს/

1 იხ. მაგალითად, *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, გვ. 411.
2 MüKo*/Schubert,* BGB, 7. Aufl., 2015, § 177, Rn. 1; იხ. ასევე *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, გვ. 411.
3 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2006 წლის 24 იანვრის №ას-203-622-06 განჩინება.
4 იხ. მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 28 ოქტომბრის №ას-813-764-2015 განჩინება.
5 *ზოიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, 2002, მუხ. 111, გვ. 292.

თანხმობას (111 I), ვადის გასვლას (111 II) ან გარიგების მეორე მხარის მიერ ნების გამოხმობას (112).[6] მერყევი (დროებითი) მდგომარეობის დროს წარმოდგენილი არ იმყოფება მეორე მხარესთან სახელშეკრულებო თვითბოჭვაში. ამ შემთხვევაში მხარეებს არ აქვთ ვალდებულება შეასრულონ ხელშეკრულების პირობები.[7]

2. თანხმობის (მოწონების) სამართლებრივი შედეგი წარმომადგენლობისას

წარმოდგენილ პირს შეუძლია არაუფლებამოსილი პირის მიერ დადებულ გარიგებას დაეთანხმოს (მოიწონოს) და ამის შედეგად გახადოს ის ნამდვილი. მოწონების შემთხვევაში, წარმოდგენილი პირისათვის წარმოიშობა ისეთივე შედეგები, როგორც ამას ადგილი ექნებოდა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დროს.[8] აღნიშნული დანაწესი ცხადყოფს, რომ „ნების გამოვლენით პირი აცხადებს თანხმობას კონკრეტული გარიგების ფარგლებში სხვა პირის მიერ განხორციელებული მოქმედების მოწონებაზე, ანუ, თანამედროვე გაგებით, დამდგარი სამართლებრივი შედეგების მის მიმართ მოქმედებაზე“.[9] ნების გამოვლენის ნამდვილობის მომენტის ხანგრძლივობა განისაზღვრება ნების მისვლიდან მარწმუნებლის („წარმოდგენილი პირის“) მიერ გარიგების მოწონებამდე.[10] მოწონება შესაძლოა ასევე კონკლუდენტური მოქმედებით განხორციელდეს.[11] **6**

თანხმობა (მოწონება) სამართლებრივ შედეგს იწვევს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების არარსებობის, ასევე ბათილი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის (მინდობილობის) საფუძველზე ხელშეკრულების დადების შემთხვევაში.[12] უძრავ ნივთთან დაკავშირებული გარიგების ნამდვილობა ასევე დამოკიდებულია წარმოდგენილი პირის თანხმობაზე (მოწონებაზე), თუკი ეს გარიგება ბათილი მინდობილობის საფუძველზე დაიდო.[13] **7**

3. წარმოდგენილი პირის თანხმობის ფორმა

წარმოდგენილი პირის თანხმობა ნებისმიერი სახით შეიძლება გაიცეს. მთავარია, მისი ნამდვილობის დადასტურება და წარმოდგენილის მიერ უფლების დამდგენი დოკუმენტის წარდგენა. ვინაიდან კანონში არ გვხვდება დაკონკრეტება, 111-ე მუხლის გავრცელების ნაწილში გარიგებისმიერი, ორგანიზაციული და კანონისმიერი წარმომადგენლობა (ასევე, ინდივიდუა- **8**

6 იხ. ასევე MüKo*/Schubert,* BGB, 7. Aufl., 2015, § 177, Rn. 19.

7 *Schäfer,* Beck OK BGB, 39. Aufl., § 177, Rn. 18.

8 იხ. *ზოიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, 2002, მუხ. 111 გვ. 293.

9 *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, გვ. 400.

10 იქვე, გვ. 412.

11 *კროპჰოლერი,* გსკ-ის სასწავლო კომენტარი, თარგმანი, § 177, ველი 3.

12 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2006 წლის 24 იანვრის №ას-203-622-06 განჩინება.

13 იგივე განჩინება; ასევე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 4 ოქტომბრის №ას-464-434-2010 განჩინება.

9 ლური და საერთო წარმომადგენლობა[14]) უნდა იქნეს მოაზრებული.

4. ცალკეული შემთხვევები, რომელთან მიმართებითაც გამოიყენება 111 I მუხლი

ა) სხვა პირის სახელის გამოყენება

10 შემთხვევებზე, როდესაც პირი იყენებს სხვა პირის სახელს, იმ მიზნით რომ საკუთარი თავის სასარგებლოდ დაამყაროს სხვა პირთან (კონტრაჰენტთან) სახელშეკრულებო ურთიერთობა, 111 I მუხლის მოქმედება ვრცელდება. მსგავს შემთხვევას ადგილი აქვს, როდესაც პირს, მისთვის სასურველი გარიგების დადების მიზნით, გარიგების მეორე მხარეს მიზანმიმართულად შეჰყავს შეცდომაში და როგორც სხვა (გარიგების მეორე მხარისთვის სასურველი) პირი დებს მასთან ხელშეკრულებას. პირს, რომელთანაც გარიგების მეორე მხარეს სურდა ხელშეკრულების დადება, უფლება აქვს, განაცხადოს თანხმობა ხელშეკრულებაზე (მოიწონოს ხელშეკრულება), რის შედეგადაც ხელშეკრულება ძალაში დარჩება.

11 აღსანიშნავია ასევე, რომ ზემოთ დასახელებული შემთხვევის არსებობისას, გარიგების მეორე მხარე კარგავს მოტყუებით დადებული გარიგების მომწესრიგებელი ნორმების საფუძველზე ხელშეკრულების შეცილების უფლებას. გაყალბებული ხელმოწერის პარალელურად უნდა მოწესრიგდეს საკითხი, როდესაც იგი მოტყუებით დადებულ გარიგებას ეხება. კერძოდ, თუ, მიუხედავად მოტყუებისა, წარმოდგენილი პირი დაეთანხმება გარიგების პირობას, ხოლო მეორე მხარე არ იქნება უარზე ასეთი გარიგების მიმართ, მაშინ გარიგება თავისთავად ნამდვილად ჩაითვლება და მასზე არ გავრცელდება შეცილების სამართლებრივი საფუძვლები.

ბ) გაყალბებული ხელმოწერა

12 გაყალბებული ხელმოწერის საფუძველზე დადებული ხელშეკრულებაც ექვემდებარება წარმოდგენილი პირის მხრიდან მოწონებას.[15] თავის მხრივ, მოწონება შეიძლება იყოს როგორც მხოლოდ ხელშეკრულების ფარგლებში უკვე განხორციელებულ მოქმედებასთან მიმართებაში, ისე მთლიანი სახელშეკრულებო ურთიერთობის მიმართ.

გ) დაურეგისტრირებელი იურიდიული პირი

13 მოცემული დანაწესი გამოიყენება დაურეგისტრირებელი იურიდიული პირის შემთხვევაშიც.[16] კერძოდ, წარმომადგენლობა შესაძლოა ნამდვილად ჩაითვალოს იმ დროს, როდესაც პირი მოქმედებს დაურეგისტრირებელი იუ-

14 MüKo/*Schubert,* BGB, 7. Aufl., 2015, §. 177, Rn. 3.

15 იქვე, Rn. 8.

16 *კროპჰოლერი,* გსკ-ის სასწავლო კომენტარი, თარგმანი, § 177, ველი 1.

რიდიული პირის სახელით.[17] ასეთ დროს, მომავალში რეგისტრირებული მეწარმე სუბიექტის უფლებამოსილ ორგანოებს უფლება აქვთ მოიწონონ წარმომადგენლის მიერ განხორციელებული ქმედება, რის შედეგადაც იურიდიული პირის დაფუძნებამდე დადებული ხელშეკრულება ჩაითვლება ნამდვილად.

ზემოთ მოყვანილ მსჯელობასთან შედარების თვალსაზრისით მნიშ- **14**
ვნელოვანია სამეწარმეო კანონმდებლობის განხილვა, სადაც დგინდება დაურეგისტრირებელი მეწარმე სუბიექტის სახელით მოქმედ პირთა წრე და მათი პასუხისმგებლობის ფარგლები. კერძოდ, პასუხისმგებელ პირებად გვევლინებიან დაურეგისტრირებელი მეწარმე სუბიექტის სახელით მოქმედი პირები და საწარმოს დამფუძნებლები.[18] ამდენად, ნორმის სიტყვასიტყვითი განმარტებით, პასუხისმგებლობა კუმულაციურია როგორც დაურეგისტრირებელი საწარმოს სახელით მოქმედი პირისთვის, ისე საწარმოს დამფუძნებლებისათვის. შედეგად, 111-ე (ასევე, 112-ე და 113-ე) მუხლების შემთხვევაში, ზემოაღნიშნული დანაწესისგან განსხვავებით, დგება მხოლოდ იმ პირის პასუხისმგებლობა, ვინც სათანადო უფლებამოსილების გარეშე მესამე პირის სახელით შესაბამისი მოქმედება შეასრულა (დადო ხელშეკრულება).[19]

დ) საჯარო სამართლის იურიდიული პირების მაგალითი

განსახილველი ნორმის მოქმედების არეალში ექცევა ასევე საჯარო სა- **15**
მართლის იურიდიული პირების[20] მიერ დადებული კერძოსამართლებრივი ხასიათის გარიგებებში წარმომადგენლობა.[21] მსგავს შემთხვევას (მათ შორის) აქვს ადგილი, როდესაც არ არის დაცული საჯარო სამართლის შესაბამისი ნორმებით წარმომადგენლობისთვის დადგენილი სავალდებულო მოთხოვნები.[22]

III. თანხმობის მოთხოვნა წარმოდგენილი პირისაგან (111 II)

ხელშეკრულების მერყევად ბათილი ბუნების გამო სამართლებრივი სტა- **16**
ბილურობის არარსებობის გათვალისწინებით, მეორე მხარეს უფლება აქვს თავიდანვე უარი განაცხადოს ხელშეკრულებაზე (112), ან თუ სურს ხელშეკრულების შენარჩუნება, სიცხადის მიზნით, მოითხოვოს წარმოდგენილი პირისაგან თანხმობა (მოწონება – 111 II).[23]

17 „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი ადგენს მეწარმე სუბიექტის სახელით, მის რეგისტრაციამდე, მოქმედების განხორციელების შესაძლებლობასა და შესაბამის პირთა პასუხისმგებლობის ფარგლებს. იხ. ასევე MüKo/*Schubert,* BGB, 7. Aufl., 2015, §. 177, Rn. 4.

18 „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი.

19 აღნიშნული საკითხის დეტალურად გაანალიზებისთვის იხილეთ 113-ე მუხლის მოწესრიგება.

20 საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში, უპირველეს ყოვლისა, ნაგულისხმებია 1509 I მუხლით განსაზღვრული სუბიექტები.

21 MüKo/*Schubert,* BGB, 7. Aufl., 2015, § 177, Rn. 3.

22 *Schäfer,* Beck OK BGB, 39. Aufl., § 177, Rn. 9.

23 MüKo/*Schubert*, BGB, 7. Aufl., 2015, § 177, Rn. 2.

1. სუბიექტთა წრე

17 წარმოდგენილი პირისგან თანხმობის მოთხოვნის უფლებამოსილება გააჩნია მეორე მხარეს. კანონი ასევე აკონკრეტებს, რომ მხოლოდ მას უნდა ეცნობოს შესაბამისი სამართლებრივი უფლებამოსილების თაობაზე. ასეთი დადასტურება შესაძლებელია მეორე მხარეს გაეგზავნოს ნებისმიერი საშუალებით, ხოლო, თუ მხარეები შეთანხმდებიან – შეთანხმებული პირობების მიხედვით.

2. თანხმობის სამართლებრივი ბუნება

18 წარმოდგენილი პირისაგან თანხმობა (მოწონება) წარმოადგენს ცალმხრივი გარიგების მსგავს მოქმედებას, რომელიც მიღებასავალდებულოა.[24] იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილი პირის მიერ გაცხადებული თანხმობის (მოწონების) შესახებ არ ეცნობება საკუთრივ გარიგების მეორე მხარეს, აღნიშნულ თანხმობას (მოწონებას) არ ექნება იურიდიული ძალა და გარიგება კვლავ მერყევად ბათილ მდგომარეობაში დარჩება.[25]

3. ორკვირიანი ვადა

19 მეორე მხარის ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად, დასახელებული ნორმა ადგენს ორკვირიან ვადას, რომლის განმავლობაშიც თანხმობა (მოწონება) უნდა იქნეს გაცხადებული. ამ ვადის გასვლის შემდეგ თანხმობა (მოწონება) უარყოფილად ჩაითვლება.[26]

IV. წარმომადგენელთან წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე დადებული ხელშეკრულება

1. გავრცელების არეალი

20 სკ-ის 111 მუხლის მოქმედება ვრცელდება ყველა ხელშეკრულებაზე, გარდა შემთხვევებისა, როდესაც წარმომადგენლობა გამოირიცხება კანონის ან სხვა საფუძვლების გამო.[27] წარმომადგენლის მეშვეობით გარიგების დადება იზღუდება, თუ გარიგების ხასიათის გათვალისწინებით ან კანონით პირდაპირ განსაზღვრულ შემთხვევებში, პირი უფლებამოსილია, წარმომადგენლის დაუხმარებლად, დამოუკიდებლად დადოს ეს გარიგება (მაგ., წარმომადგენლობის მეშვეობით შვილად აყვანა და სხვა).[28]

24 MüKo/*Schubert,* BGB, 7. Aufl., 2015, § 177, Rn. 21.
25 იქვე, Rn. 24.
26 იქვე, Rn. 2.
27 იქვე, Rn. 9.
28 იხ. *ზოიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, 2002, მუხ. 103, გვ. 278.

2. წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნაკლი 111-ე მუხლის მიზნებისთვის

21 წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნაკლს შესაძლოა სხვადასხვა გარემოება განაპირობებდეს. წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე მოქმედება სახეზეა, როდესაც აღნიშნული უფლებამოსილება იმთავითვე არ წარმოშობილა (არ არსებობდა), შეცილების შედეგად გაბათილდა ან სხვა საფუძვლებიდან გამომდინარე, ძალადაკარგულად იქნა ცნობილი, ან წარმოდგენილმა პირმა იგი ხელშეკრულების დადებამდე გააუქმა.[29] გარდა აღნიშნულისა, წარმომადგენლობითი უფლებამოსილება არარსებულად მიიჩნევა მაშინაც, თუ პირი მოქმედებს ნამდვილი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების საფუძველზე, თუმცა გარიგების მეორე მხარე არ არის აღნიშნულის თაობაზე ინფორმირებული. მსგავს შემთხვევას ადგილი აქვს, როდესაც: ა) თავად წარმომადგენელი არ ფლობს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შესახებ ინფორმაციას; ბ) წარმომადგენელმა იცის ამ უფლებამოსილების შესახებ, თუმცა არ სურს მისი გამოყენება ან გ) უბრალოდ უარყოფს მის არსებობას.[30]

3. წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ფარგლების გადამეტება

22 უფლებამოსილების ფარგლების გადამეტებაზე საუბრისას შესაძლებელია სახეზე იყოს წარმომადგენლის მხრიდან უფლების ბოროტად გამოყენება, როდესაც იგი გასცდება რწმუნებულებით მინიჭებულ უფლებამოსილებას. ამ დროს შეიძლება ადგილი ჰქონდეს პირის როგორც განზრახ, ისე გაუფრთხილებელ მოქმედებას. ორივე შემთხვევაში 111-ე მუხლი მოიცავს პირის როგორც სხვისი სახელით წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე მოქმედების, ასევე ნამდვილი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ფარგლების გადამეტების შემთხვევებს.[31] უფლებამოსილების ფარგლების გადამეტებას ადგილი აქვს, როდესაც ხელშეკრულების დადებისას პირს თავიდანვე ჰქონდა ხელშეკრულების კონკრეტულ შინაარსზე წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, თუმცა თავისი ინიციატივით გასცდა მის ფარგლებს.[32] მაგალითად, არ შეუთანხმდა წარმოდგენილს და სხვ. მიუხედავად ამისა, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე დადებული გარიგების ნაწილის ბათილობას, გარიგების ის ნაწილი, რომელიც წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ფარგლებში შედგა, სკ-ის 62-ე მუხლის წინაპირობათა გათვალისწინებით, ინარჩუნებს იურიდიულ ძალას.[33] აღნიშნული, თავის მხრივ, დამოკიდებულია იმაზე, თუ რა კავშირი არსებობს გარიგების ამ ნაწილსა და მის სხვა ნაწილებს შორის.[34]

29 *Bamberger/Roth/Valenthin,* BGB, § 177, Rn. 5.
30 MüKo*/Schubert,* BGB, 7. Aufl., 2015, § 177, Rn. 14.
31 იხ. *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, გვ. 411.
32 იხ. ასევე *Schäfer,* Beck OK BGB, 39. Aufl., § 177, Rn. 6.
33 იხ. ასევე MüKo*/Schubert,* BGB, 7. Aufl., 2015, § 177, Rn. 11.
34 იხ. *ზოიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, 2002, მუხ. 62, გვ. 202.

23 111-ე მუხლის შემადგენლობა ასევე სახეზეა, როცა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გადამეტებას არ აქვს ადგილი, თუმცა წარმომადგენელმა ეს უფლებამოსილება ბოროტად გამოიყენა.[35] ისევე როგორც ზემოთ დასახელებული შემთხვევისას (წარმომადგენლის ინიციატივა), უფლების ბოროტად გამოყენების შემთხვევაშიც, თუ მეორე მხარე ამ ფაქტის მიმართ კეთილსინდისიერია, გარიგება ნამდვილად ჩაითვლება (იხ. წინა ველში არსებული ინფორმაცია).

V. კავშირი სხვა სამართლებრივ ინსტიტუტებთან

24 სხვა სამართლებრივ ინსტიტუტებთან კავშირის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია განხილულ იქნეს წარმომადგენლობის მომწესრიგებელი (104 II), გარიგებებში თანხმობისა და დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების შესახებ ცალკეული სამართლებრივი ნორმები.

1. კავშირი გარიგებებში თანხმობასთან

25 გარიგებებში თანხმობასთან 111-ე მუხლის კავშირი გამომდინარეობს კონკრეტული ქმედების განხორციელების საჭიროებიდან, რომელზეც გარიგების ნამდვილობაა დამოკიდებული. თუმცა, განსხვავებით გარიგებაში თანხმობისგან, წარმომადგენლობის შემთხვევაში ასეთი თანხმობა არა მესამე პირის, არამედ უშუალოდ გარიგების სამომავლო მხარის ნებას ეფუძნება. აქვე აღსანიშნავია, რომ გარიგებებში თანხმობის მომწესრიგებელი ნორმის ცალკეული შემთხვევა (101) ასახვას პოვებს წარმომადგენლობით დადებული გარიგების მაგალითებზე, როდესაც წარმოდგენილი პირის მიერ გარიგების მოწონების შემთხვევაში, გარიგება თავიდანვე ნამდვილად ჩაითვლება.[36]

2. კავშირი დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებასთან

26 დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე დადებული ხელშეკრულების მომწესრიგებელ ნორმებს შორის მსგავსება უდავოა. კერძოდ, ორივე შემთხვევაში პირი სხვა პირის სასარგებლოდ ახორციელებს კონკრეტულ ქმედებას (დებს ხელშეკრულებას), ისე, რომ არ აქვს ამ მოქმედებისათვის აუცილებელი წინასწარი ნებართვა/სამართლებრივი საფუძველი. ამასთან, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე ხელშეკრულების დადების მსგავსად, დავალების გარეშე სხვისი საქმეები უნდა სრულდებოდეს შემსრულებლის კეთილი ნებითა და მეპატრონის ინტერესებისათვის.[37]

27 მიუხედავად მათ შორის არსებული მსგავსებისა, არსებობს უმთავრე-

35 MüKo/*Schubert,* BGB, 7. Aufl., 2015, § 177, Rn. 15.

36 *ზოიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, 2002, მუხ. 111, გვ. 293.

37 იხ. ასევე *ნინიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი IV, ტომი II, 2001, მუხ. 979, გვ. 342.

სი განმასხვავებელი ნიშანი. კერძოდ, ის, რომ დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებისას პირი (გესტორი) მეპატრონის ინტერესებისათვის, არა მისი, არამედ საკუთარი სახელით მოქმედებს.[38]

38 იხ. *ნინიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი IV, ტომი II, 2001, მუხ. 979, გვ. 342.

მუხლი 112. ხელშეკრულებაზე უარის უფლება

ხელშეკრულების დასადებად თანხმობის მიცემამდე მეორე მხარეს უფლება აქვს უარი თქვას ხელშეკრულებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნაკლის შესახებ მან ხელშეკრულების დადების დროს იცოდა. ხელშეკრულების დადებაზე უარი შეიძლება გამოითქვას წარმომადგენლის მიმართაც.

I. ზოგადი დებულებანი 636
II. მოქმედება თანხმობის მიცემამდე 636
III. ხელშეკრულებაზე უარის უფლება 637
1. ხელშეკრულების დადების თავისუფლება 637
2. ნების გამოვლენის ნამდვილობა და ფორმის თავისუფლება 637
IV. წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნაკლის შესახებ ცოდნა 638
V. უარი წარმომადგენლის მიმართ 638
VI. პარალელი შეცილების უფლებასთან 638

I. ზოგადი დებულებანი

1 112-ე მუხლი აწესრიგებს გარიგების მეორე მხარის უფლებას უარი თქვას ხელშეკრულებაზე,[1] ვიდრე წარმოდგენილი პირი მეორე მხარის მოთხოვნის საფუძველზე დასთანხმდება, ან უარყოფს ხელშეკრულების დადებას (111 II). განსახილველი მუხლი აწესრიგებს არა გარიგებაზე, არამედ ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევას. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ 103-ე და შემდგომ მუხლებში მოცემული დანაწესის არეალი 112-ე მუხლში ვიწროვდება და არა ზოგადად გარიგებებს, არამედ მხოლოდ ხელშეკრულებებს ეხება, რაც პრაქტიკული თვალსაზრისიდან გამომდინარე ლოგიკურიცაა.

II. მოქმედება თანხმობის მიცემამდე

2 მას შემდეგ, რაც მეორე მხარე შეიტყობს, რომ ხელშერულების დადებისას წარმომადგენლს არ გააჩნდა სათანადო წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, წარმოდგენილის მიერ ხელშეკრულებაზე თანხმობის (მოწონების) ან თანხმობაზე (მოწონებაზე) უარის გაცხადებამდე, იგი იმყოფება გაურკვეველ მდგომარეობაში.[2] სწორედ ამ მიზნით, 112-ე მუხლი სამართლებრივი სტაბილურობის შესანარჩუნებლად, გარიგების მეორე მხარეს ანიჭებს შესაძლებლობას, არ დაელოდოს წარმოდგენილის გადაწყვეტილებას და ცალმხრივი ნების გამოვლენით დაასრულოს მისთვის არასასურველი არამყარი სამართლებრივი მდგომარეობა.[3]

1 აღნიშნული მუხლის შესახებ იხილეთ: *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, გვ. 411.

2 *Schäfer,* Beck OK BGB, 39. Aufl., § 178, Rn. 1.

3 MüKo*/Schubert,* BGB, 7. Aufl., 2015, § 178, Rn. 1; იხ. ასევე, *ზოიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, 2002, მუხ. 112, გვ. 295.

არ არსებობს ხელშეკრულებაზე უარის უფლება, თუ მეორე მხარემ იცოდა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნაკლის შესახებ და ამის მიუხედავად, მაინც დადო ხელშეკრულება. ამ შემთხვევაში, მეორე მხარე აცნობიერებს სამართლებრივი სიმყარის არარსებობის ფაქტსა და მასთან დაკავშირებულ პოტენციურ რისკებს, რაც, შესაბამისად, მას სამართლებრივი დაცვის შესაძლებლობას უკარგავს.[4] 3

III. ხელშეკრულებაზე უარის უფლება

ხელშეკრულებაზე უარის უფლება მხარეთა ნების ავტონომიის რეალიზაციის ერთ-ერთ მაგალითს წარმოადგენს. სწორედ ამ მიზნით, 112-ე მუხლი წარმომადგენლობით დადებული გარიგებისას მეორე მხარეს ანიჭებს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას. ასეთი ქმედება შეიძლება მეორე მხარისგან ეფუძნებოდეს კონკრეტულ ეჭვს ან სხვა მიზეზიდან გამომდინარეობდეს. თითოეულ შემთხვევაში უარის მოტივი არ იქნება მხედველობაში მიღებული და მეორე მხარის მიერ გამოვლენილი ნება ნამდვილად ჩაითვლება (თუ იგი დააკმაყოფილებს კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებს). 4

1. ხელშეკრულების დადების თავისუფლება

კანონის განმარტებიდან გამომდინარე, ორი კვირა იმ ვადად აღიქმება, როდესაც მეორე მხარეს ხელშეკრულების დადებაზე უარის თქმის უფლება გააჩნია. აღნიშნული შეესაბამება ხელშეკრულების დადების თავისუფლების პრინციპს, მხარემ არ დადოს ხელშეკრულება, თუ იგი არ ეთანხმება პირობებს და სხვ. 5

2. ნების გამოვლენის ნამდვილობა და ფორმის თავისუფლება

გარიგების მეორე მხარის მიერ ნების გამოვლენის გამოთხოვა (ხელშეკრულებაზე უარი)[5] წარმოადგენს ცალმხრივ, მიღებასავალდებულო ნების გამოვლენას. მისი ნამდვილობისთვის არ არის აუცილებელი რაიმე სპეციალური ფორმის დაცვა[6] და შესაძლოა გამოვლინდეს როგორც წარმოდგენილის, ასევე წარმომადგენლის მიმართაც.[7] ხელშეკრულებაზე უარი შესაძლოა კონკლუდენტური მოქმედებითაც განხორციელდეს.[8] 6

4 MüKo/*Schubert,* BGB, 7. Aufl., 2015, § 178, Rn. 1; იხ. ასევე, *ზოიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, 2002, მუხ. 112, გვ. 295.

5 ნების გამოვლენის გამოთხოვა შეეხება გარიგების მეორე მხარის მიერ თავდაპირველად გაცხადებულ, ხელშეკრულების დადების სურვილს და არა, წარმოდგენილი პირის მიმართ თანხმობის მისაღებად წაყენებულ მოთხოვნას. იხ. *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, გვ. 411. შდრ. *ზოიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, 2002, მუხ. 112, გვ. 294.

6 *ზოიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, 2002, მუხ. 112, გვ. 295.

7 *Schäfer,* Beck OK BGB, 39. Aufl., § 178, Rn. 2.

8 MüKo/*Schubert,* BGB, 7. Aufl., 2015, § 178, Rn. 9.

IV. წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნაკლის შესახებ ცოდნა

7 წარმომადგენელთან გარიგების დადებისას მეორე მხარე არ უნდა ფლობდეს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნაკლის შესახებ ინფორმაციას.[9] აღნიშნულ შემთხვევაში, მხოლოდ წარმოდგენილი პირია უფლებამოსილი მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ნამდვილობა/არანამდვილობის შესახებ.[10]

8 აღსანიშნავია, რომ ნების გამოვლენის გამოთხოვის (ხელშეკრულებაზე უარის) უფლება გამოირიცხება მხოლოდ პოზიტიური ცოდნის დროს.[11] თავად უხეში გაუფრთხილებლობით არცოდნის დროს, მეორე მხარე მაინც ინარჩუნებს ხელშეკრულებაზე უარის თქმის შესაძლებლობას. ამდენად, მეორე მხარის მიერ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნაკლის ცოდნის შესახებ ფაქტის შეფასებისთვის მნიშვნელოვანია დადგინდეს ნების გამოვლენის კონკრეტული დროის მონაკვეთი (ოფერტი/აქცეპტი). კერძოდ, თუ გარიგების მეორე მხარე ავლენს ნებას, ვიდრე იგი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნაკლის შესახებ წარმოდგენილის აქცეპტის (მოწონების) მიღებამდე შეიტყობს, მაშინ მას არ ეზღუდება ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება.[12]

V. უარი წარმომადგენლის მიმართ

9 112-ე მუხლის მე-2 წინადადება წარმომადგენლის მიმართ ხელშეკრულების დადებაზე უარის თქმის უფლებას განსაზღვრავს. ასეთ შემთხვევაში ადრესატად გვევლინება წარმომადგენელი, რომელსაც მეორე მხარის ნება მიუვა.

VI. პარალელი შეცილების უფლებასთან

10 112-ე მუხლი და საცილო გარიგებების მომწესრიგებელი ნორმები, როგორც წესი, არ გამორიცხავენ ერთმანეთს. შეცილების მიზნებისთვის არ გამოიყენება 74 I მუხლი, რომელიც კონტრაჰენტის პიროვნებაში არსებითი შეცდომის სამართლებრივ წინაპირობებს განსაზღვრავს, ვინაიდან წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნაკლის არცოდნა არ წარმოადგენს არსებით შეცდომას.[13] არ არსებობს შეცილების უფლება გარიგების მოტყუებით დადების შემთხვევაშიც. 112-ე მუხლი წარმოადგენს სპეციალურ მოწესრიგებას და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნაკლისას, გარიგების მეორე მხარეს ენიჭება ხელშეკრულებაზე უარის თქმის დამოუკიდებელი უფლება.[14]

9 იხ. *ზოიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, 2002, მუხ. 112, გვ. 294.

10 MüKo/*Schubert,* BGB, 7. Aufl., 2015, § 178, Rn. 4.

11 მაგალითი ეფუძნება გერმანულ ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას. იხილეთ წინადადება გერმანულ ენაზე: „Nur bei positiver Kenntnis ausgeschlossen".

12 MüKo/*Schubert,* BGB, 7. Aufl., 2015, § 178, Rn. 5.

13 იქვე Rn. 6. იხ. ასევე. *Schäfer,* Beck OK BGB, 39. Aufl., § 178, Rn. 9.

14 MüKo/*Schubert,* BGB, 7. Aufl., 2015, § 178, Rn. 6.

მუხლი 113. წარმომადგენლის ვალდებულება წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნაკლის არსებობისას

1. თუ პირი, რომელიც დებს ხელშეკრულებას, როგორც წარმომადგენელი, თავის წარმომადგენლობით უფლებამოსილებას ვერ დაადასტურებს, ვალდებულია მეორე მხარის სურვილით ან შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება, ან აანაზღაუროს ზიანი, თუკი წარმოდგენილი პირი ხელშეკრულებაზე თანხმობის მიცემას უარყოფს.

2. თუ წარმომადგენელმა არ იცოდა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნაკლის შესახებ, იგი ვალდებულია აანაზღაუროს მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მეორე მხარეს მიადგა იმის გამო, რომ იგი ენდობოდა ამ უფლებამოსილებას.

3. წარმომადგენელს არ ეკისრება პასუხისმგებლობა, თუ მეორე მხარემ იცოდა ან მას უნდა სცოდნოდა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნაკლის შესახებ. წარმომადგენელი პასუხს არ აგებს მაშინაც, როცა ქმედუნარიანობა შეზღუდული ჰქონდა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა იგი მოქმედებდა თავისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით.

I. ზოგადი დებულებები 640
II. პასუხისმგებლობის წინაპირობები (113 I) 640
1. ხელშეკრულების დადება 641
2. წარმომადგენლობითი უფლებამოსილების არარსებობა 641
3. წარმოდგენილის უარი თანხმობაზე 641
4. მიზეზშედეგობრივი კავშირი 642
5. პასუხისმგებლობის მოცულობა – არჩევანის თავისუფლება 642
ა) შესრულება 643
ბ) ზიანის ანაზღაურება 643
გ) ნეგატიური (უარყოფითი) ინტერესი 644
III. წარმომადგენლის არაინფორმირებულობა (113 II) 644
IV. პასუხისმგებლობის გამორიცხვის წინაპირობები (113 III) 644
1. პასუხისმგებლობის გამორიცხვის ზოგადი საფუძვლები წარმომადგებლობისას 645
2. მეორე მხარის ინფორმირებულობა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნაკლის შესახებ 645
3. წარმომადგენლის შეზღუდულქმედუნარიანობა 646

I. ზოგადი დებულებები

1 113-ე მუხლი ადგენს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების არსებობის შესახებ ნდობის გაწბილებისთვის კანონისმიერ პასუხისმგებლობას.[1] ასეთი ნდობა კი შეიძლება იყოს სტიმულირებული და იმედგაცრუებული. აღნიშნული პასუხისმგებლობის[2] განსაზღვრის წინაპირობას ის გარემოება წარმოადგენს, რომ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე მოქმედებით, პირი საფრთხეს უქმნის სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობას. ასეთ შემთხვევაში კანონი პასუხისმგებლობას სწორედ წარმომადგენელს აკისრებს. მაგალითისთვის შესაძლებელია იმედგაცრუებული ნდობის შემთხვევა იქნეს განხილული. ასეთისთვის პასუხისმგებლობის ერთ-ერთი შემთხვევაა, როდესაც წარმომადგენელი არწმუნებს გარიგების მეორე მხარეს, რომ ის წარმოდგენილისგან მიიღებს თანხმობას (მოწონებას). მიუხედავად იმისა, რომ მეორე მხარემ იცოდა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნაკლის შესახებ (113 II), წარმომადგენელი, სამოქალაქო კოდექსის ძირეული პრინციპების გათვალისწინებით (8 III, 115, 316 II), არ თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან.[3]

2 წარმომადგენელს, გარიგების მეორე მხარისგან განსხვავებით, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნაკლის შესახებ ინფორმაციის ფლობის უკეთესი შესაძლებლობა გააჩნია. ამდენად, 113-ე მუხლი ადგენს წარმომადგენლის პასუხისმგებლობას, თუ მან წარმოდგენილის სახელით, სათანადო უფლებამოსილების გარეშე, მესამე პირთან დაამყარა სახელშეკრულებო ურთიერთობა. კანონის ეს დანაწესი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების არსებობის დადასტურების ვალდებულებას წარმომადგენელს აკისრებს, რა შემთხვევებშიც მხედველობაში არ მიიღება მოქმედებდა თუ არა წარმომადგენელი ბრალეულად.[4] სათანადო გულისხმიერების გამოვლენის შემთხვევაშიც წარმოიშობა მის მიმართ შესაბამისი მოთხოვნის საფუძველი.[5] წარმომადგენელი პასუხს აგებს დამოუკიდებლად იმისა, მოქმედებდა იგი ნებაყოფლობითი (გარიგებისმიერი), ორგანიზაციული თუ კანონისმიერი წარმომადგენლობის ფარგლებში.[6]

II. პასუხისმგებლობის წინაპირობები (113 I)

3 პასუხისმგებლობის თვალსაზრისით კანონი აკონკრეტებს შესაბამის წინაპირობებს. იგი მეორე მხარეს ორი სამართლებრივი შედეგიდან ერთ-ერთის არჩევის შესაძლებლობას ანიჭებს: ა) შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება ან ბ) აანაზღაუროს ზიანი. პირველი მათგანი შეიძლება იყოს ნებისმიერი

1 იხ. MüKo/*Schubert,* BGB, 7. Aufl., 2015, § 179, Rn. 2.
2 იხ. *კროპჰოლერი,* გსკ-ის სასწავლო კომენტარი, თარგმანი, § 179, ველი 1.
3 იხ. MüKo/*Schubert,* BGB, 7. Aufl., 2015, § 179, Rn. 7.
4 *Schäfer,* Beck OK BGB, 39. Aufl., § 179, Rn. 1.
5 *ერქვანია,* მესამე პირთა ინტერესების დაცვა წარმომადგენლობაში (საქართველოსა და გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით), მართლმსაჯულება და კანონი, №3(34)12, გვ. 32.
6 *Schäfer,* Beck OK BGB, 39. Aufl., § 179, Rn. 16.

ის ვალდებულება, რაც მხარეთა შორის ხელშეკრულებით იქნა შეთანხმებული. უფრო ზუსტად, საუბარია ქმედების განხორციელებაზე.

113 I მუხლი ეხება მხოლოდ სახელშეკრულებო ურთიერთობებს. ამდენად, იგი არ გამოიყენება ყველა გარიგებაზე. **4**

1. ხელშეკრულების დადება

წარმომადგენლობის უმთავრესი წინაპირობაა, რომ წარმომადგენელი წარმოდგენილის სახელით უნდა დებდეს მეორე მხარესთან ხელშეკრულებას. ამდენად, წარმომადგენელი უნდა მოქმედებდეს სხვისი სახელით და, სულ მცირე, კონკლუდენტური მოქმედებით უნდა ქმნიდეს ვარაუდს, რომ მას წარმომადგენლობითი უფლებამოსილება გააჩნია.[7] აღნიშნული ქმედება პირდაპირ კავშირშია კეთილსინდისიერების პრინციპთან,[8] მეორე მხარე არ შეცდეს ხელშეკრულების დადებისას. **5**

2. წარმომადგენლობითი უფლებამოსილების არარსებობა

წარმომადგენელი არ უნდა იყოს აღჭურვილი ნებაყოფლობითი (გარიგებისმიერი), ორგანიზაციული თუ კანონისმიერი წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით.[9] 113-ე მუხლის საფუძველზე მოთხოვნა წარმოიშობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილი უარყოფს ხელშეკრულების დადებაზე თანხმობის გაცემას (მოწონებას) ან უშედეგოდ გაივლის კანონით განსაზღვრული ორკვირიანი ვადა (111 II).[10] **6**

3. წარმოდგენილის უარი თანხმობაზე

113-ე მუხლის საფუძველზე წარმომადგენლის პასუხისმგებლობა დგება მაშინ, თუ წარმოდგენილმა ხელშეკრულების თანხმობაზე (მოწონებაზე) საბოლოო უარი განაცხადა და ამის შედეგად ხელშეკრულება არ დაიდო. პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის მნიშვნელობა არ აქვს ხელშეკრულება წარმოდგენილის თანხმობაზე/მოწონებაზე უარის მიზეზით, თუ კანონით განსაზღვრული ვადის გასვლის საფძველზე არ დადებულა.[11] **7**

თუ წარმომადგენლის მიერ დადებული ხელშეკრულების მხოლოდ ნაწილი ექცევა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების არეალში, და ხელშეკრულების ეს ნაწილი ნამდვილია, წარმომადგენლის პასუხისმგებლობა ვრცელდება მხოლოდ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე დადებული ხელშეკრულების ნაწილზე. იგივე წესი მოქმედებს, როდესაც **8**

7 MüKo/*Schubert,* BGB, 7. Aufl., 2015, § 179, Rn. 22.

8 აღნიშნულის თაობაზე იხ. *ერქვანია,* მესამე პირთა ინტერესების დაცვა წარმომადგენლობაში (საქართველოსა და გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით), მართლმსაჯულება და კანონი, №3(34)12, გვ. 35-36.

9 MüKo/*Schubert,* BGB, 7. Aufl., 2015, § 179, Rn. 23.

10 იქვე, Rn. 24.

11 *Schäfer,* Beck OK BGB, 39. Aufl., § 179, Rn. 5.

წარმომადგენელმა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე იმოქმედა, ხოლო, წარმოდგენილმა ხელშეკრულების მხოლოდ ნაწილი მოიწონა.[12]

4. მიზეზშედეგობრივი კავშირი

9 წარმომადგენლის მიერ დადებული ხელშეკრულების იურიდიული ძალის არარსებობას წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნაკლი უნდა განაპირობებდეს. შესაბამისად, წარმომადგენელი პასუხისმგებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ 113-ე მუხლიდან გამომდინარე, მეორე მხარის მოთხოვნა მიზეზშედეგობრივ კავშირშია მისი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების არარსებობასთან.[13]

10 წარმომადგენლის პასუხისმგებლობა გამოირიცხება, თუ გარიგების მეორე მხარე, 112-ე მუხლის თანახმად, უკან გამოითხოვს გამოვლენილ ნებას. ამ შემთხვევაში, ფაქტობრივ გარემოებათა გათვალისწინებით, შესაძლოა მოთხოვნილ იქნეს 394-ე, 316 II და 317 II მუხლების საფუძველზე, ხელშეკრულების მომზადების ეტაპზე წარმოშობილი ზიანის ანაზღაურება.[14]

5. პასუხისმგებლობის მოცულობა – არჩევანის თავისუფლება

11 113 III მუხლით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, წარმომადგენელი გარიგების მეორე მხარის წინაშე ყოველთვის არის პასუხისმგებელი. განსახილველი ნორმა ადგენს მხოლოდ პასუხისმგებლობის ფარგლების ვარირების შესაძლებლობას,[15] რაც 112 II მუხლით გათვალისწინებული, ნდობასთან დაკავშირებული ზიანისათვის წარმომადგენლის შეზღუდული პასუხისმგებლობიდან გამომდინარეობს.[16]

12 წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნაკლის ან მისი შეცილებადობის პოზიტიური ცოდნის გამო წარმომადგენლის მოქმედება მიიჩნევა არაკეთილსინდისიერად.[17] ამგვარად, კანონი გარიგების მეორე მხარეს (კრედიტორს) ანიჭებს არჩევანის უფლებას ვალდებულების შესრულებასა და მისი შეუსრულებლობისას ზიანის ანაზღაურებას შორის.[18] მეორე მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს წარმომადგენელს ნაკისრი ვალდებულების შესრულება, რაც წარმომადგენელს არსებითად ხელშეკრულების მხარედ აქცევს.[19] თუმცა გასათვალისწინებელია ისიც, რომ წარმომადგენელი არ წარმოადგენს, კლასიკური გაგებით, ხელშეკრულების მხარეს,[20] 113 I მუხლი აფუძნებს კანონისმიერ ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობას, რომლის შინაარ-

12 დასახელებული ნაშრომი, Rn. 4.
13 MüKo/*Schubert,* BGB, 7. Aufl., 2015, § 179, Rn. 30.
14 იხ. ასევე, იქვე, Rn. 33.
15 იქვე, Rn. 3.
16 იხ. ასევე *ზოიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, 2002, მუხ. 113 გვ. 296.
17 *Schäfer,* Beck OK BGB, 39. Aufl., § 179, Rn. 19.
18 *ზოიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, 2002, მუხ. 113, გვ. 296.
19 იხ. *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, გვ. 412.
20 MüKo/*Schubert,* BGB, 7. Aufl., 2015, § 179, Rn. 34. იხ. ასევე *ზოიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, 2002, მუხ. 113 გვ. 296.

სიც მხოლოდ წარმომადგენელთან არარსებული ხელშეკრულების შემთხვევაში დგინდება.[21]

მეორე მხარის არჩევანის უფლების რეალიზაცია შესაძლოა კონკლუდენტურად, წარმომადგენლის მიერ ფაქტობრივად განხორციელებული შესრულების მიღებითაც განხორციელდეს. წარმომადგენელს არ შეუძლია შებოჭოს მეორე მხარე ამ შესრულების შეთავაზებით.[22] 376-ე მუხლის თანახმად, არჩევანის უფლების ერთჯერადად გამოყენებით მეორე მხარე კარგავს სხვა (ალტერნატიული) მოთხოვნის უფლებას.[23] **13**

არჩევანის უფლება იზღუდება 375-ე მუხლის საფუძველზე და წარმოიშობა მხოლოდ ზიანის ანაზღაურების მოვალეობა, თუ წარმომადგენლის მიერ ვალდებულების შესრულება შეუძლებელია.[24] **14**

ა) შესრულება

წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნაკლის დროს მეორე მხარეს წარმომადგენლის მიმართ გააჩნია ყველა პირველადი და მეორადი მოთხოვნა, რაც შესაძლოა გამომდინარეობდეს წარმოდგენილის სახელით დადებული ხელშეკრულებიდან. წარმომადგენელს უფლება აქვს მეორე მხარის მოთხოვნას დაუპირისპიროს ყველა ის შესაგებელი, რაც წარმოდგენილს მოქმედი ხელშეკრულების საფუძველზე ექნებოდა.[25] თავის მხრივ, „წარმომადგენელს შესრულების მოთხოვნისაგან თავის დაცვა შეუძლია იქამდე, ვიდრე მეორე მხარე არ შეასრულებს (369-ე მუხლი)“.[26] **15**

იმ შემთხვევაში, თუ პიროვნული თვისებებიდან გამომდინარე, ვალდებულება მხოლოდ წარმოდგენილის მიერ უნდა შესრულდეს, წარმომადგენელი გათავისუფლდება ამ მოვალეობისგან და დაეკისრება მხოლოდ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება.[27] **16**

ბ) ზიანის ანაზღაურება

ზიანის ფულადი ანაზღაურება დარღვეული უფლების აღდგენის ბოლო ღონისძიებაა.[28] თუმცა, 113-ე მუხლის მიზნებიდან გამომდინარე, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა გარიგების მეორე მხარის არჩევითაც იკავებს ვალდებულების შესრულების ადგილს.[29] ანაზღაურებას ექვემდებარება ხარჯები და ასევე ის ზიანი, რომელიც წარმოდგენილთან ნამდვილი ხელშეკრულებისას არ იარსებებდა.[30] **17**

21 MüKo/*Schubert*, BGB, 7. Aufl., 2015, § 179, Rn. 36.
22 იქვე, Rn. 35.
23 იხ. ასევე, იქვე, Rn. 19.
24 იხ. იქვე.
25 MüKo/*Schubert,* BGB, 7. Aufl., 2015, § 179, Rn. 38.
26 *ზოიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი I, 2002, მუხ. 113, გვ. 297.
27 *Schäfer,* Beck OK BGB, 39. Aufl., § 179, Rn. 21.
28 *ზოიძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი III, მუხ. 409, გვ. 455.
29 MüKo/*Schubert,* BGB, 7. Aufl., 2015, § 179, Rn. 44.
30 იხ. იქვე, Rn. 45.

გ) ნეგატიური (უარყოფითი) ინტერესი

18 წარმომადგენლის პასუხისმგებლობის მოცულობის განსაზღვრა დამოკიდებულია მის მიერ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ცოდნა/არცოდნის ფაქტზე.[31] წარმომადგენელი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნაკლის შესახებ არცოდნისას პასუხისმგებელია მხოლოდ მეორე მხარის ნეგატიური (უარყოფითი) ინტერესისთვის (ნდობის ზიანი), რაც, თავის მხრივ, ზღუდავს 113 I მუხლით გათვალისწინებულ „საგარანტიო პასუხისმგებლობის" მასშტაბებს.[32] სხვა სიტყვებით რომ ითქვას, 113 II მუხლი ადგენს წარმომადგენლის ბრალის გარეშე პასუხისმგებლობას, თუმცა პასუხისმგებლობის ეს ფარგლები იზღუდება მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი, პირდაპირი (და არა არაპირდაპირი) ზიანის ფარგლებით. ამდენად, თუ წარმომადგენელმა არაფერი იცოდა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნაკლის შესახებ, იგი პასუხს არ აგებს ვალდებულების შესრულების ინტერესისათვის.[33]

19 თუ ნაკლის შესახებ არცოდნა გამოწვეულია წარმომადგენლის გაუფრთხილებლობით (მათ შორის უხეში გაუფრთხილებლობით), წარმომადგენლის პასუხისმგებლობა მაინც გამოირიცხება.

III. წარმომადგენლის არაინფორმირებულობა (113 II)

20 113 II მუხლი ავიწროებს პასუხისმგებლობის ფარგლებს და მას კონკრეტული შემთხვევის არსებობას უკავშირებს. კერძოდ, წარმომადგენლის მიერ არ უნდა იყოს ცნობილი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნაკლის შესახებ. ასეთის არსებობისას მეორე მხარეს არ გააჩნია არჩევანის თავისუფლება, მოითხოვოს მისთვის სასურველი პასუხისმგებლობის დაკისრება წარმომადგენლისთვის.

21 113 II მუხლის მოქმედების არეალი მნიშვნელოვნად ეფუძნება მეორე მხარის ნდობის ფარგლებს. პასუხისმგებლობაც სწორედ ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას განსაზღვრავს. თავის მხრივ, ასეთ ზიანში ე.წ. „ნდობის ზიანი" იგულისხმება.[34] ასეთ დროს აუცილებელია, რომ მოთხოვნილი ზიანი იყოს გონივრული. კერძოდ, არ აჭარბებდეს იმ ინტერესის ანაზღაურებას, რომელიც ექნებოდა დაზარალებულს გარიგების შესრულების შემთხვევაში.[35]

IV. პასუხისმგებლობის გამორიცხვის წინაპირობები (113 III)

22 113 III მუხლის არსი წარმოადგენს წარმომადგენლის პასუხისმგებლობის გამორიცხვას, რომლის ფარგლებშიც განსაზღვრულია როგორც ქმედუნარ-

31 *Schäfer,* Beck OK BGB, § 179, Rn. 25.
32 *ზოიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 113, გვ. 297.
33 იხ. *კროპჰოლერი,* გსკ-ის სასწავლო კომენტარი, 2014, § 179, ვნ. 4.
34 *ზოიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 113, გვ. 297.
35 იქვე.

იანი, ისე შეზღუდული ქმედუნარიანი წარმომადგენლის პასუხისმგებლობის საკითხი.

1. პასუხისმგებლობის გამორიცხვის ზოგადი საფუძვლები წარმომადგენლობისას

„წარმომადგენლობითი ძალაუფლება გამორიცხავს წარმომადგენლის პასუხისმგებლობას და აფუძნებს მოთხოვნის საპირისპირო შესაგებელს“.[36] წარმომადგენლის პასუხისმგებლობა ასევე გამოირიცხება, თუ წარმოდგენილი განზრახ ან გაუფრთხილებლად თავად ქმნის რისკს მასზედ, რომ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნაკლის გამო ხელშეკრულება არ დაიდო.[37] **23**

ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, 113 I მუხლის მიზნებიდან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ ნამდვილი ხელშეკრულების არსებობის პირობებში, მეორე მხარე წარმოდგენილის მიმართ, მისი ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, ვალდებულების შესრულების ან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების რეალიზაციას ვერ შეძლებდა, მსგავსი გარემოება ათავისუფლებს წარმომადგენელს პასუხისმგებლობისგან.[38] **24**

2. მეორე მხარის ინფორმირებულობა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნაკლის შესახებ

მეორე მხარის მიერ ინფორმაციის ფლობა, რომ წარმომადგენელს არ გააჩნია წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, ასევე შემთხვევა, როდესაც მან უნდა იცოდეს აღნიშნულის შესახებ, აქარწყლებს წარმომადგენლის პასუხისმგებლობას.[39] ასევე, ასეთ კატეგორიას მიეკუთვნება შემთხვევა, როდესაც „წარმომადგენელი მინდობილობის გარეშე მოქმედებს არარსებული სამართლის სუბიექტის სახელით, მისი პასუხისმგებლობა გამოირიცხება იმ შემთხვევაში, როდესაც კონტრაჰენტმა შეიტყო მინდობილობის გარეშე მოქმედი წარმომადგენლობის შესახებ“.[40] **25**

წარმომადგენლის პასუხისმგებლობის გამორიცხვის შემთხვევად შესაძლებელია განხილულ იქნეს სიტუაცია, როდესაც თავად წარმომადგენელი აცნობებს მორე მხარეს, რომ მის მიმართ გაცემული წარმომადგენლობითი უფლებამოსილება შესაძლოა ნაკლიანი იყოს.[41] **26**

36 *ზოიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 113, გვ. 297.
37 MüKo*/Schubert,* BGB, 7. Aufl., 2015, § 179, Rn. 4.
38 იქვე, Rn. 40.
39 *ზოიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 113, გვ. 298.
40 *კროპჰოლერი,* გსკ-ის სასწავლო კომენტარი, თარგმანი § 179, ვნ. 4.
41 *Schäfer,* Beck OK BGB, § 179, Rn. 29.

3. წარმომადგენლის შეზღუდულ ქმედუნარიანობა

27 113-ე III მუხლის მეორე წინადადება ადგენს არასრულწლოვანი წარმომადგენლის პასუხისმგებლობის შეზღუდვის კანონისმიერ საფუძველს. მიუხედავად იმისა, რომ კანონით დაშვებულია შეზღუდულ ქმედუნარიანი პირის მიერ წარმომადგენლობა (სკ-ის 105-ე მუხლი) მისი დაცვის მიზნით, ნაკლიანი წარმომადგენლობითი უფლებამოსილებისას კანონი ათავისუფლებს შეზღუდულქმედუნარიანს პასუხისმგებლობის პოტენციური რისკისგან.[42]

28 შეზღუდულქმედუნარიანი წარმომადგენელი პასუხს აგებს, თუ მას მიღებული ჰქონდა თავისი კანონიერი წარმომადგენლისგან თანხმობა.[43] აღნიშნულზე დაფუძნებით, კანონიერ წარმომადგენელს შეუძლია შემდგომშიც მოიწონოს წარმომადგენლის მოქმედება, რის შედეგადაც ძალაში რჩება შეზღუდულქმედუნარიანი წარმომადგენლის პასუხისმგებლობა.[44]

42 დასახელებული ნაშრომი. Rn. 30.
43 *ზოიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, 2002, მუხ. 113, გვ. 298.
44 *Schäfer,* Beck OK BGB, § 179, Rn. 30.

მუხლი 114. საკუთარ თავთან გარიგების დადების დაუშვებლობა

თუ თანხმობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, წარმომადგენელს არ შეუძლია წარმოდგენილი პირის სახელით საკუთარ თავთან თავისი სახელით, ან, როგორც მესამე პირის წარმომადგენელმა, დადოს გარიგება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გარიგება უკვე არსებობს რაიმე ვალდებულების შესასრულებლად.

I. ზოგადი დებულებები 647
II. საკუთარ თავთან დადებული გარიგების სამართლებრივი შედეგები 648
1. საკუთარ თავთან დადებული გარიგების მერყევად ბათილობა 648
2. ნორმის განმარტების ტელეოლოგიური შეზღუდვა (რედუქცია) 649
ა) უფლებრივი სარგებელი 649
ბ) ერთი პირის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირი 649
III. საკუთარ თავთან დადებული გარიგების ნამდვილობა 650
1. წარმოდგენილის თანხმობა 650
2. ვალდებულების შესრულების მიზანი 651
3. ამოცნობადობა 651
IV. კავშირი სხვა სამართლებრივ ინსტიტუტებთან 652
1. კავშირი ქორწინებასთან 652
2. ერთი პიროვნების მიერ დადებული ხელშეკრულება, რომელიც ორივე მხარესთანაა დაკავშირებული 652

I. ზოგადი დებულებები

114-ე მუხლის მიზანია, რომ წარმომადგენელს არ უნდა გააჩნდეს გარიგების ორივე მხარის წარმოდგენის/განსახიერების უფლებამოსილება.[1] გარიგებებში წარმომადგენლობისას, წარმომადგენელს უნარჩუნდება ფაქტობრივი შესაძლებლობა, წარმოდგენილის სახელით საკუთარი თავის მიმართაც გამოავლინოს ნება. წარმომადგენელი შესაძლოა ან თავად მოექცეს ნების მიმღების მხარეს (თვითკონტრაჰირება), ან იმოქმედოს მესამე პირის სახელით (წარმომადგენლობათა სიმრავლე).[2] ამდენად, განსახილველი მუხლით გათვალისწინებულია ორი, „თვითკონტრაჰირებისა“ და „წარმომადგენლობათა სიმრავლის“ შემთხვევა.[3] **1**

წარმომადგენელი შესაძლოა აღმოჩნდეს საკუთარ ინტერესებთან კონფლიქტში. აღნიშნული ფაქტი ართულებს წარმომადგენლის მიერ საკუთარი თავის საზიანოდ მარწმუნებლის ინტერესების დაცვის შესაძლებლობას.[4] წარმომადგენლის უმთავრესი მიზანი წარმოდგენილის ინტერესების დაცვაა. **2**

1 *ზოიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 114 გვ. 298.
2 *Schäfer,* Beck OK BGB, 39. Aufl., § 181, Rn. 1.
3 *ზოიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, 2002, მუხ. 114 გვ. 298.
4 იხ. *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, გვ. 412.

ეს კი ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით სარგებლობის აკრძალვაში გამოიხატოს.[5] თავის მხრივ, ამის აღსრულება, წარმომადგენლის მიერ როგორც წარმოდგენილის, ასევე საკუთარი თავის ან მესამე პირის სახელით ერთდროულად მოქმედებისას, შეუძლებელია.[6]

3 სამართლებრივ ლიტერატურაში გაბატონებული მოსაზრების თანახმად, საკუთარ თავთან დადებული გარიგება[7] მერყევად ბათილია.[8] თუ კანონით სპეციალურად სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, 114-ე მუხლის მოქმედების არეალში, მისი შინაარსის გათვალისწინებით, ექცევა ყველა კერძოსამართლებრივი გარიგება.[9] შესაბამისად, მისი მოქმედება ვრცელდება არა მხოლოდ ხელშეკრულებებზე, არამედ ცალმხრივ მიღებასავალდებულო გარიგებებზეც.[10]

II. საკუთარ თავთან დადებული გარიგების სამართლებრივი შედეგები

4 ის, თუ რა ჩაითვლება საკუთარ თავთან დადებულ გარიგებად, ცალკეული მაგალითის საფუძველზე უნდა იქნეს განხილული. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია, რომ წინა პლანზე იყოს წამოწეული ერთი მხარის უფლებრივი სარგებელი, ისევე, როგორც სამართლებრივი შესაძლებლობა, დადოს გარიგება დამატებითი შეზღუდვის გარეშე.

1. საკუთარ თავთან დადებული გარიგების მერყევად ბათილობა

5 იმის გათვალისწინებით, რომ წარმოდგენილს შესაძლებლობა აქვს უკეთ შეაფასოს ხსენებული გარიგების სამართლებრივი შედეგები მისი დადების შემდეგ და არა მის დადებამდე, განსახილველი დანაწესი წარმოდგენილს ანიჭებს უფლებას მოიწონოს წარმომადგენლის მიერ საკუთარ თავთან დადებული გარიგება და ამ მოწონების საფუძველზე დატოვოს ის ძალაში.[11] გამომდინარე აღნიშნულიდან, 114-ე მუხლი ადგენს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მხოლოდ შეზღუდვის წინაპირობას, რომლის თანახმად, წარმომადგენლის მიერ დადებული ხელშეკრულება არა მისი დადებისთანავე უპირობოდ ბათილია,[12] არამედ მის მოწონებამდე – მერყევად ბათილი.

5 MüKo/*Schubert,* BGB, 7. Aufl., 2015, § 181, Rn. 2.

6 *Schäfer,* Beck OK BGB, 39. Aufl., § 181, Rn. 1.

7 განსახილველი მუხლის კომენტარში საკუთარ თავთან დადებული გარიგების ჭრილში იგულისხმება როგორც თვითკონტრაჰირება, ისე წარმომადგენლობათა სიმრავლის შემთხვევა, თუკი ეს შეესაბამება კონკრეტულ ვითარებას.

8 იხ. *ზოიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, 2002, მუხ. 114 გვ. გვ. 299; ასევე, *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, გვ. 413.

9 იხ. ასევე, *Schäfer,* Beck OK BGB, 39. Aufl., § 181, Rn. 4.

10 MüKo/*Schubert,* BGB, 7. Aufl., 2015, § 181, Rn. 14.

11 იხ. იქვე. Rn. 56.

12 საინტერესოა სასამართლოს პოზიცია, სადაც იგი მიიჩნევს, რომ, თუ წარმომადგენელმა მინდობილობის ფარგლებში საკუთარ თავთან დადო გარიგება, მაშინ ეს გარიგება უცილოდ ბათილია და მასზე ვრცელდება 54-ე მუხლით მოქმედი დანაწელი – იხ. სუს განჩინება, 24 ივლისი 2015, №ას-887-848-2014.

წარმომადგენლის მიერ საკუთარ თავთან დადებული გარიგების საფუძველზე წარმოშობილი ურთიერთობის მოსაწერიგებლად გამოიყენება 111-113-ე მუხლები,[13] რაც იმას ნიშნავს, რომ წარმოდგენილი პირისათვის ნებისმიერ დროს უნდა იყოს შესაძლებელი, თავისი ინტერესების შესაბამისად ასეთი გარიგება მოიწონოს და ამით ხელშეკრულება ნამდვილად აქციოს ან არ მოიწონოს და ამით გააბათილოს იგი.[14] **6**

2. ნორმის განმარტების ტელეოლოგიური შეზღუდვა (რედუქცია)

ის, თუ რატომ არ მიიჩნევა საკუთარ თავთან დადებული გარიგება ბათილ გარიგებად, ნორმის შინაარსობრივი დატვირთვის გათვალისწინებით, რამდენიმე წინაპირობიდან გამომდინარე უნდა იქნეს განხილული. **7**

ა) უფლებრივი სარგებელი

განსახილველი დანაწესის შეზღუდვის კლასიკური მაგალითია წარმოდგენილისათვის გარიგებით მხოლოდ უფლებრივი სარგებლის მინიჭება.[15] მოცემულ შემთხვევაში არ იკვეთება არც ინტერესთა კონფლიქტის ან სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის ხელმყოფი გარემოებების წარმოშობის საშიშროება და არც წარმოდგენილის დაცვის განსაკუთრებული აუცილებლობა.[16] 114-ე მუხლის შინაარსის ტელეოლოგიური შეზღუდვის (რედუქციის) საფუძველზე კანონისმიერ წარმომადგენელს არ ეკრძალება დაასაჩუქროს საკუთარი ქმედუუნარო შვილი[17] და სხვ. **8**

ბ) ერთი პირის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირი

ვინაიდან თვითკონტრაჰირებისა და ორმაგი წარმომადგენლობის აკრძალვა ემსახურება წარმოდგენილი პირის ინტერესების დაცვას, სამართლებრივ ლიტერატურაში არსებობს არაერთგვაროვანი მიდგომა 114-ე მუხლის ერთკაცა იურიდიული პირის (შპს-ის) მიმართ გამოყენების შესაძლებლობასთან დაკავშირებით, რამეთუ აქ ინტერესთა კონფლიქტი არ შეიძლება არსებობდეს.[18] შპს-ს ერთპიროვნული დამფუძნებლის – დირექტორის მიერ საკუთარ თავთან დადებული გარიგების საფუძველზე კომპანიის კაპიტალის/ქონების გადაადგილების შეზღუდვის პრევენციის მიზნებისთვის დაცვის სუბიექტია კრედიტორი და არა ეს კომპანია.[19] სწორედ ერთკაცა შპს-ს მიმართ შეიძლება იქნეს გამოყენებული 114-ე მუხლი. ასეთ დროს შეიძლება წესდებით იყოს აკრძალული შესაბამისი გარიგების დადება, რაც, თავის მხრივ, გარიგებ- **9**

13 MüKo/*Schubert,* BGB, 7. Aufl., 2015, § 181, Rn. 56.
14 *მიგრიაული/ბეარი,* საკუთარ თავთან გარიგების დადება ერთკაცა შპს-ში, გვ. 4.
15 „უფლებრივი სარგებლის“ ცნებასთან დაკავშირებით იხ. მე-15 მუხლის კომენტარი, ველი 5.
16 *Schäfer,* Beck OK BGB, 39. Aufl., § 181, Rn. 19.
17 იქვე.
18 *მიგრიაული/ბეარი,* საკუთარ თავთან გარიგების დადება ერთკაცა შპს-ში, გვ. 6.
19 MüKo/*Schubert,* BGB, 7. Aufl., 2015, § 181, Rn. 30.

ის ნამდვილობის საკითხზე მსჯელობისას შემაფერხებელი სამართლებრივი წინაპირობა გახდება.[20]

III. საკუთარ თავთან დადებული გარიგების ნამდვილობა

10 114-ე მუხლში, მიუხედავად შეზღუდვისა, გათვალისწინებულია გამონაკლისი, როდესაც საკუთარ თავთან გარიგების დადება დასაშვებია. ასეთი საგამონაკლისო შემთხვევა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობასა და კერძო სამართლის უმთავრეს პრინციპებს (ასევე, მაგალითად, 54-ე მუხლს და სხვ.). 114-ე მუხლი ადგენს საკუთარ თავთან დადებული გარიგების აკრძალვის საგამონაკლისო შემთხვევებს. ნებადართულია წარმომადგენლის მიერ მსგავსი გარიგების დადება – ან წარმოდგენილისგან თანხმობის არსებობისას, ან იმ დროს, როდესაც ეს გარიგება, გამონაკლისის სახით არსებული ვალდებულების შესრულებას ემსახურება.[21] ამდენად, „სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს გარიგების დადებაზე თანხმობის, როგორც გარიგების ნამდვილობის პირობის, ორ სახეს: ა) წინასწარ გაცემულ თანხმობას – ნებართვას (მე-100 მუხლი) და ბ) შემდგომ თანხმობას – მოწონებას (101-ე მუხლი).“[22]

1. წარმოდგენილის თანხმობა

11 წარმომადგენლის მიერ 114-ე მუხლით განსაზღვრული გარიგების დადებაზე თანხმობა არის ცალმხრივი, მიღებასავალდებულო ნების გამოვლენა და არ საჭიროებს სპეციალური ფორმას.[23] თანხმობის გაცემა შესაძლოა როგორც ნათლად და გარკვევით,[24] ასევე კონკლუდენტური მოქმედებითაც განხორციელდეს.[25] ამის მაგალითია, როდესაც უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულების ორივე მხარე, სანოტარო წესით დამოწმებული ერთი მინდობილობის საფუძველზე, ერთსა და იმავე პიროვნებას ანიჭებენ უძრავი ნივთის განკარგვის უფლებამოსილებას.[26]/[27]

12 იურიდიული პირების წარმომადგენლობის შემთხვევაში, თანხმობა შესაძლოა გაიცეს წესდების საფუძველზე ან კონკრეტული იურიდიული პირის უფლებამოსილი უმაღლესი მმართველობითი/სამეთვალყურეო ორგანოს

20 იხ. *მიგრიაული/ბეარი,* საკუთარ თავთან გარიგების დადება ერთკაცა შპს-ში, გვ. 7; ნაშრომში შედარებაა გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 181-ე მუხლთან.

21 *Schäfer,* Beck OK BGB, 39. Aufl., § 181, Rn. 31.

22 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 8 ივლისის №ას-543-516-2013 განჩინება.

23 *Schäfer,* Beck OK BGB, 39. Aufl., § 181, Rn. 32.

24 მაგ., წერილობითი მინდობილობის/რწმუნებულების საფუძველზე. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იხ. ასევე საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 8 ნოემბრის №ას-1655-1552-2012 გადაწყვეტილება; ასევე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 13 ოქტომბრის №ას-788-745-2015 განჩინება.

25 MüKo/*Schubert,* BGB, 7. Aufl., 2015, § 181, Rn. 58.

26 *Schäfer,* Beck OK BGB, 39. Aufl., § 181, Rn. 33.

27 აღნიშნულ საკითხზე იხილეთ: საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 28 ივნისის №ას-167-497-05 განჩინება.

გადაწყვეტილებით.[28] აღსანიშნავია ასევე, რომ წარმომადგენლის მიერ საკუთარ თავთან გარიგების დადების უფლებამოსილება შესაძლოა კანონის საფუძველზეც იქნეს მოწესრიგებული,[29] როდესაც პირს ასეთი შესაძლებლობა პირდაპირ ნორმით ენიჭება.

მართალია, წარმოდგენილი არ არის ვალდებული მოიწონოს გარიგება, თუმცა გამონაკლისის სახით შესაძლოა მოწონების ვალდებულება მაინც წარმოიშვას. ასეთი შემთხვევა კი მაშინაა სახეზე, თუკი აღნიშნულის განუხორციელებლობა ეწინააღმდეგება სამოქალაქო სამართლით განმტკიცებულ კეთილსინდისიერებისა და გულისხმიერების პრინციპებს.[30] **13**

2. ვალდებულების შესრულების მიზანი

ნორმის შინაარსობრივი დატვირთვიდან გამომდინარე,[31] წარმომადგენელი უფლებამოსილია საკუთარ თავთან დადოს გარიგება, თუ ეს გამონაკლისის სახით ვალდებულების შესრულების მიზანს ემსახურება.[32] აღნიშნულს შესაძლოა ადგილი ჰქონდეს – წარმომადგენლის ვალდებულების შესრულებისას წარმოდგენილის მიმართ, წარმოდგენილის ვალდებულების შესრულებისას წარმომადგენლის მიმართ ან წარმომადგენლობათა სიმრავლის დროს, ერთ-ერთი წარმოდგენილის (მაგ., მოვალის) ვალდებულების შესრულებისას მეორე წარმოდგენილის (მაგ., კრედიტორის) მიმართ.[33] ამასთან, 114-ე მუხლის თანახმად, ვალდებულების შესრულება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, თუ ეს ვალდებულება უკვე არსებობს (წარმოიშვა), მისი შესრულება ვადამოსული და თავისუფალია მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელი შესაგებლისგან.[34] შესაგებელში ნაგულისხმევია გარიგების მეორე მხარის და არა წარმომადგენლის მიერ წარმოდგენილის მოთხოვნის საპირისპიროდ წაყენებული მოთხოვნა.[35] **14**

3. ამოცნობადობა

წარმომადგენლის მიერ საკუთარ თავთან დადებული გარიგება, თუკი გარიგება ფორმასავალდებულო არ არის, როგორც წესი, გარეგნულად ამოუცნობადია.[36] რამდენადაც, აღნიშნული გარიგება მესამე პირთა მიმართ სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს, აუცილებელია, რომ ის გარეგნულად **15**

28 *Schäfer,* Beck OK BGB, 39. Aufl., § 181, Rn. 36.

29 იქვე, Rn. 37. ამ მხრივ აღსანიშნავია გერმანიის კანონმდებლობთ გათვალისწინებული მოწესრიგება, რომლის თანახმად მშობლებს აქვთ უფლება დადონ მათ არასრულწლოვან შვილთან საწყისი განათლების მიღების თაობაზე ხელშეკრულება (Ausbildungsvertrag). აღნიშნულ საკითხზე იხილეთ, მაგალითად, MüKo/*Schubert,* BGB, 7. Aufl., 2015, § 181, Rn. 59.

30 MüKo/*Schubert,* BGB, 7. Aufl., 2015, § 181, Rn. 64; შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 8 ივლისის №ას-543-516-2013 განჩინება.

31 ნორმის თაობაზე კრიტიკული მოსაზრება იხილეთ: *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, გვ. 413.

32 იხ. *Schäfer,* Beck OK BGB, 39. Aufl., § 181, Rn. 38.

33 იქვე. იხ. ასევე MüKo/*Schubert,* BGB, 7. Aufl., 2015, § 181, Rn. 83.

34 იქვე, Rn. 84.

35 იხ. იქვე.

36 MüKo/*Schubert,* BGB, 7. Aufl., 2015, § 181, Rn. 90.

ამოცნობადი იყოს, რათა მესამე პირებმა შეძლონ მისი აღქმა.[37] ამოცნობადობისთვის საკმარისია, რომ უფლებამოსილ პირს შესწევდეს უნარი შეიცნოს წარმომადგენლის მიერ 114-ე მუხლით გათვალისწინებული გარიგების დადება.[38]

IV. კავშირი სხვა სამართლებრივ ინსტიტუტებთან

16 სხვა სამართლებრივ ინსტიტუტებთან კავშირის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ყურადღების გამახვილება ორ მათგანზე: ა) ქორწინებასა და ბ) საერთო საკუთრებაზე. ასეთი სახის დიფერენციაცია გამომდინარეობს სასამართლო პრაქტიკიდან, რომელიც საერთო საკუთრების შემთხვევაში საკუთარ თავთან გარიგების დადების საკითხს ეხება.

1. კავშირი ქორწინებასთან

17 სასამართლო პრაქტიკის თანახმად, 114-ე მუხლი აწესებს არა მხოლოდ წარმოდგენილის მიერ საკუთარ თავთან გარიგების დადების აკრძალვას, არამედ, ასევე უარყოფს წარმომადგენლის მიერ წარმოდგენილის სახელით მასთან რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ პირთან სახელშერულებო ურთიერთობის დამყარების შესაძლებლობასაც. სასამართლოს განმარტებით, მოცემული მსჯელობა ეფუძნება იმ გარემოებას, რომ რეგისტრირებული ქორწინების პირობებში, თანაცხოვრების პერიოდში, შეძენილი ქონება მეუღლეთა თანასაკუთრებად იქცევა და ამ მოტივით, ეს გარემოება, 114-ე მუხლის საფუძველზე, გარიგების ბათილობის საფუძველს წარმოშობს.[39] სასამართლო პრაქტიკით, ასეთი გარიგება საკუთარ თავთან დადებულ გარიგებად უნდა იქნეს შეფასებული.[40] თავის მხრივ, ასეთი დამაბრკოლებელი გარემოება არ იარსებებს, თუ სახეზე არ იქნება მეუღლეთა რეგისტრირებული ქორწინება.[41]

2. ერთი პიროვნების მიერ დადებული ხელშეკრულება, რომელიც ორივე მხარესთანაა დაკავშირებული

18 ასეთ მაგალითად მოიაზრება შემთხვევა, როდესაც პირი ერთ შპს-ში წილების 51%-ის მფლობელია, ხოლო, მეორე შპს-ში – დირექტორი. ასეთ

37 იხ. იქვე; ასევე, *Schäfer,* Beck OK BGB, 39. Aufl., § 181, Rn. 41.

38 MüKo/*Schubert,* BGB, 7. Aufl., 2015, § 181, Rn. 91.

39 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 6 ივნისის №ას-369-349-2011 განჩინება, აღწერილობითი ნაწილი; თბილისი სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 18 ნოემბრის განჩინება.

40 იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 19 დეკემბრის №ას-525-870-07 განჩინება.

41 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 11 ნოემბრის №ას-429-671-08 განჩინება, აღწერილობითი ნაწილი – სასამართლოს განმარტებით, არარეგისტრირებული ქორწინებისას შეძენილ ქონებაზე თანასაკუთრების მომწესრიგებელი ნორმები არ ვრცელდება.

დროს, თუ იგი ერთი მხრივ, როგორც დირექტორი დადებს ხელშეკრულებას და, მეორე მხრივ, როგორც იმ კომპანიის წარმომადგენელი, რომელშიც 51%-ს ფლობს, შეიძლება ანალოგიის თვალსაზრისით ასეთი გარიგება 114-ე მუხლის მოწესრიგებაში მოექცეს და მასზე გავრცელდეს შესაბამისი სამართლებრივი წინაპირობები.

კარი მესამე
უფლების განხორციელება

მუხლი 115. უფლების ბოროტად გამოყენების დაუშვებლობა

სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად. დაუშვებელია უფლების გამოყენება მარტოოდენ იმ მიზნით, რომ ზიანი მიადგეს სხვას.

I. ზოგადი დებულებები 654
II. სხვა ნორმებთან ურთიერთკავშირი 655
III. შემადგენლობა 655
1.მართლზომიერება 655
2.უფლების გამოყენების მიზანი 656
ა. ობიექტური კრიტერიუმი 656
ბ. სუბიექტური კრიტერიუმი 656
3.ზიანის მიყენების მიზანი 657
4.ცალკეული შემთხვევები 657
IV. სამართლებრივი შედეგი 659
V. მტკიცების ტვირთი 661

I. ზოგადი დებულებები

1 115-ე მუხლი კერძოსამართლებრივი ურთიერთობის ერთ-ერთი ფუძემდებლური პრინციპის – „კეთილსინდისიერების პრინციპის“ გამოხმაურებაა.[1] 8 III მუხლის შესაბამისად კერძოსამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეები ვალდებულნი არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლება-მოვალეობები, რაც „ინდივიდის თავისუფლების ერთგვარი შეზღუდვაა.“[2]

2 მე-9 და 10 II მუხლები პირს ანიჭებს თავისუფლებას, კერძოსამართლებრივ ურთიერთობაში განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი ქმედება, თუმცა აქვე ზღუდავს ნების ავტონომიის ფარგლებს მაშინ, როდესაც ის ხელყოფს მესამე პირთა უფლებებს.[3]

3 10 III მუხლით კანონმდებელი იქვე კანონის იმპერატიული ნორმების დანიშნულებაზე მიუთითებს. საგულისხმოა, რომ სწორედ უფლებათა ბოროტად გამოყენებისაგან იცავს სხვათა თავისუფლებას კანონის იმპერატიული ნორმები.[4]

იმპერატიული ნორმების დარღვევა სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ სხვადასხვა სამართლებრივ შედეგს უკავშირდება (მაგ., 54, 992).

115-ე მუხლით კანონმდებელი განსაზღვრავს ზოგად აკრძალვას იმ შემთხვევებისათვის, როდესაც უფლების ბოროტად გამოყენების კონკრეტული შემთხვევა კანონის სპეციალური იმპერატიული ნორმებით არ არის გათვალისწინებული.

---

1 *ჯორბენაძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, 2002, მუხ. 115 გვ. 301.
2 *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 83.
3 შდრ. *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 49; მუხ. 8 III, 9 და 10 კომენტ.
4 შდრ. MüKo/*Grothe,* BGB, 6. Aufl., 2012, § 226, Rn. 1.

II. სხვა ნორმებთან ურთიერთკავშირი

4 უფლების ბოროტად გამოყენების 115-ე მუხლით მოწესრიგებული შემადგენლობა 8 III მუხლით გათვალისწინებული კეთილსინდისიერების პრინციპის დაკონკრეტებაა, რომელიც კერძოსამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეებს ავალდებულებს, კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები. კეთილსინდისიერების პრინციპი ვლინდება ურთიერთობის მონაწილე „სუბიექტის მიერ სხვა პირის ინტერესების გათვალისწინების ვალდებულებაში იმ მოცულობით, რომელიც არ იწვევს თავად მისი ინტერესების არათანაზომიერ შეზღუდვას.“[5]

ნაკლებად სავარაუდოა არსებობდეს შემთხვევა, როდესაც სახეზეა უფლების ბოროტად გამოყენება და ის იმავდროულად არ არის კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევა.[6] თუმცა უფლების ბოროტად გამოყენების შემადგენლობით დამატებითი წინაპირობებია დადგენილი, რომელიც მოწესრიგების სფეროს ავიწროებს და მის ცალკე მოწესრიგებას ამართლებს.

5 115-ე მუხლი, მე-8 მუხლის მსგავსად, სამოქალაქო კოდექსის ზოგად ნაწილშია მოწესრიგებული და სისტემურად ის ვრცელდება თანაბრად ნებისმიერ კერძოსამართლებრივ ურთიერთობაზე.[7] ნორმის მოქმედების სფერო არ იზღუდება არც საპროცესო ნორმებთან მიმართებით.[8] ცალკეულ შემთხვევაში შესაძლებელია გამართლებული იყოს მისი გამოყენება საჯარო-სამართლებრივ ურთიერთობებშიც.[9]

III. შემადგენლობა

1. მართლზომიერება

6 115-ე მუხლის 1-ლი წინადადების თანახმად, სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს **მართლზომიერად.** ფორმულირება, ერთი შეხედვით დეკლარაციულ ხასიათს ატარებს და იგი მხოლოდ ამავე მუხლის მეორე წინადადებასთან კავშირში ხდება გასაგები. კერძოდ, მუხლის მეორე წინადადების შესაბამისად, „დაუშვებელია უფლების გამოყენება მარტოოდენ იმ მიზნით, რომ ზიანი მიადგეს სხვას“. ამ ორი წინადადების ურთიერთკავშირში დგინდება კანონმდებლის სავარაუდო ნება, მართლსაწინააღმდეგოდ ჩაითვალოს უფლების დაუშვებელი გამოყენების ნებისმიერი შემთხვევა.[10]

7 საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, მართლსაწინააღმდეგოდ უნდა ჩაითვალოს უფლების განხორციელება, რომელიც სხვა პირს

5 *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 83.
6 MüKo*/Grothe,* BGB, 6. Aufl., 2012, § 226, Rn.1.
7 შდრ. MüKo/*Grothe,* BGB, 6. Aufl,. 2012, § 226, Rn. 2.
8 115-ე მუხლის გათვალისწინებით სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მართლზომიერებასთან დაკავშირებით შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2001 წლის 7 მარტი №3კ/288-01 განჩინება, სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 3/2001, გვ. 239.
9 MüKo*/Grothe,* BGB, 6. Aufl., 2012, § 226, Rn. 2.
10 მაგ., შდრ. MüKo*/Grothe,* BGB, 6. Aufl., 2012, § 226, Rn. 5.

ზიანს აყენებს და „არ ისახავს უფლების განხორციელების აუცილებლობით ნაკარნახევი ინტერესის დაცვას“.[11]

უფლების გამოყენების მართლზომიერების ფარგლები ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ცალკეული უფლებისა და გარემოებების შეფასების საფუძველზე დგინდება. მოწესრიგების თავისებურების გათვალისწინებით ამ ფარგლების წინასწარ განსაზღვრა და იმპერატიული ნორმებით შეზღუდვა შეუძლებელია.[12]

2. უფლების გამოყენების მიზანი

ა. ობიექტური კრიტერიუმი

8 115-ე მუხლის შესაბამისად უფლების გაუმართლებელ განხორციელებად ჩაითვლება ცალკეული შემთხვევა, როდესაც ობიექტური დამკვირვებლის თვალსაწიერიდან არ დგინდება პირის მიერ უფლების განხორციელების არანაირი მიზანი,[13] გარდა სხვა პირისათვის ზიანის მიყენებისა. უფლების ასეთი განხორციელება დაუშვებელი და გაუმართლებელია. უფლების განხორციელება გამართლებულია,[14] თუ არსებობს ობიექტურად შეცნობადი დასაბუთებული ინტერესი, რომელიც მის განხორციელებას გაამართლებს.[15]

ბ. სუბიექტური კრიტერიუმი

9 სხვა პირისათვის ზიანის მიყენების მიზანი უფლების განმახორციელებლის თვალსაწიერიდან უნდა შეფასდეს. უფლების განმახორციელებელი პირის მიზანი ვლინდება როგორც ქმედების შედეგად ზიანის მიყენების შეგნებაში, ასევე ამ ზიანის დადგომის შესაძლებლობის დაშვებაში.[16]

შესაბამისად საკმარისია, რომ უფლების განხორციელება მიმართულია ზიანის მიყენებაზე, უშუალოდ შედეგის დადგომა აუცილებელი არ არის. საგულისხმოა, რომ ზიანი მოიცავს არა მხოლოდ ქონებრივ დანაკლისს, არამედ ნებისმიერი არამატერიალური სიკეთის,[17] უფლებისა და ინტერესის ხელყოფასაც კი.[18]

---

11 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 18 თებერვლის № ას-1535-1438-2012 განჩინება, ასევე საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 29 ოქტომბრის № ას-1200-1129-2012 განჩინება.

12 MüKo/*Grothe,* BGB, 6. Aufl., 2012, § 226, Rn.1.

13 უფლების განმხორციელებლის მოტივაციასთან დაკავშირებით ვრცლად იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 29 ოქტომბრის № ას-1200-1129-2012 განჩინება; შდრ. ასევე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 25 იანვრის № ას-1127-1058-2012 გადაწყვეტილება.

14 MüKo/*Grothe,* BGB, 6. Aufl., 2012, § 226, Rn.4.

15 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 18 თებერვლის №ას-1535-1438-2012 განჩინება, *Kesseler,* BGB Kommentar, 2006, § 226, Rn. 2.

16 *Dernhardt,* in Beck OK BGB, § 226, Rn. 6; MüKo/*Grothe*, BGB, 6. Aufl.. 2012, § 226, Rn.5.

17 MüKo/*Grothe,* BGB, 6. Aufl., 2012, § 226, Rn. 2.

18 MüKo/*Grothe,* BGB, 6. Aufl., 2012, § 226, Rn. 4.

3. ზიანის მიყენების მიზანი

10 უფლების ბოროტად გამოყენება შესაძლოა მოხდეს როგორც მოქმედებით, ასევე უმოქმედობით. შესაბამისად, უფლების ბოროტად გამოყენებად უნდა ჩაითვალოს მათ შორის შემთხვევა, როდესაც პირი უფლებას არ იყენებს მხოლოდ იმ მიზნით, რომ სხვას მიადგეს ზიანი.[19]

უფლების განხორციელებისას პირს უნდა სურდეს „მარტოოდენ“ სხვისთვის ზიანის მიყენება. ამ შემთხვევაში სიტყვა „მარტოოდენ“ მიზანშეწონილია განიმარტოს ფართოდ – როგორც „მნიშვნელოვანწილად, დიდწილად“. ყოველი შემთხვევის თავისებურების გათვალისწინებით თვალსაჩინო უნდა იყოს, რომ ძირითადი მამოძრავებელი ინტერესი პირის მიერ უფლების გამოყენებისა, სწორედ მესამე პირისათვის ზიანის მიყენება ან ზიანის დაშვებაა. სხვა დამატებითი მოტივაცია იმდენად უმნიშვნელო უნდა იყოს მესამე პირის ინტერესთან მიმართებით, რომ მისი ფორმალურად დასახელება არ უნდა ამართლებდეს უფლების განხორციელებას.

4. ცალკეული შემთხვევები

11 სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო პალატამ მხარეთა ინტერესების შეპირისპირების შედეგად უფლების ბოროტად გამოყენებად მიიჩნია მიწის ნაკვეთის მესაკუთრის მიერ კანონით გათვალისწინებული უფლების რეალიზება. კერძოდ, მესაკუთრემ არ დაუშვა მეზობლის მიერ ღიობის ამოჭრა, რაც სასამართლომ უფლების ბოროტად გამოყენებად შეაფასა. სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ, ერთი მხრივ, მესაკუთრის ინტერესია მესამე პირებმა არ ჩაიხედონ მის ეზოში (რაც მესაკუთრის მიერ დასახელებული ინტერესი იყო), თუმცა მობინადრის ინტერესი არსებითად მნიშვნელოვანია, „თითო ოთახს ჰქონდეს თითო-თითო განათებისა და ჰაერის გასუფთავების საშუალება.“[20]

გაუმართლებელი უფლების განხორციელებად შეფასდა ამხანაგობის ერთ-ერთი წევრის მიერ შენობა-ნაგებობის ლეგალიზებაზე უარის შემთხვევა, როდესაც ამხანაგობის დანარჩენი წევრები თანხმობას აცხადებენ; ხოლო უარის საფუძვლად დასახელდა უფლების მფლობელსა და მესაკუთრეს შორის არსებული სხვა დავა, რომლის გადაწყვეტაც არ იყო დაკავშირებული ლეგალიზების შედეგებთან.[21]

უფლების მართლზომიერ განხორციელებად მიიჩნია თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო პალატამ შრომის ხელშეკრულების მოშლა

19 თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 21 სექტემბრის განჩინება, რომელიც საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 11 თებერვლის № ას-1480-1396-2012 გადაწყვეტილებით ძალაში იქნა დატოვებული.

20 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება, რომელიც საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 22 მარტის №ას-40-38-2012 გადაწყვეტილებით ძალაში იქნა დატოვებული.

21 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 18 თებერვლის № ას-1535-1438-2012 განჩინება.

დამსაქმებლის მიერ იმ დასაბუთებით, რომ დასაქმებულის მხრიდან ადგილი ჰქონდა ვალდებულების არაერთჯერად დარღვევას.[22] სასამართლოს დავის ფარგლებში მხარეთა ინტერესების შეპირისპირებისა და დამსაქმებლის გადაწყვეტილების მიზნის შეფასებისათვის სასურველი იყო ემსჯელა დარღვევის ტიპზე, მის ინტენსივობაზე და ამასთან, ხელშეკრულების მოშლის თანაზომიერებაზე დასაქმებულის მიერ ჩადენილ დარღვევებთან დაკავშირებით.[23]

უფლების განხორციელება მართლზომიერად ჩაითვალა, როდესაც საბანკო კრედიტის ფარგლებში მომხმარებლის მიერ კრედიტის გრაფიკის დარღვევის (ვალდებულების დარღვევის) გამო ბანკმა სარჩელი წარადგინა არა დაუყოვნებლივ, არამედ დარღვევიდან 2 წლისა და 5 თვის გასვლის შემდეგ. ამ საქმეში საქართველოს უზენაესმა სასამართლომ გააუქმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო პალატის 2012 წლის 18 სექტემბრის განჩინება. სუს-მ განმარტა, რომ ბანკის კომერციული ინტერესი ამართლებს უფლების განხორციელებას ხანდაზმულობის ვადის ფარგლებში ნებისმიერ დროს.[24]

გაუმართლებელი უფლების განხორციელებად უნდა ჩაითვალოს სხვა პირის, მაგალითად, მეზობლის წინააღმდეგ მოთხოვნების წარდგენა, რომელიც წმინდა აღმზრდელობითი დანიშნულებისაა,[25] განსაკუთრებით, თუ მოთხოვნასა და მოთხოვნის განხორციელების შედეგად წარმოშობილ ხარჯებს შორის აშკარა შეუსაბამობაა.[26] არამართლზომიერად შეიძლება ჩაითვალოს, გერმანული მაგალითის თანახმად, საფუძველს მოკლებული უარი მოვალის მხრიდან თანხმობის გაცემასა და უზრუნველყოფის შეცვლაზე სხვა იდენტური ღირებულების უზრუნველყოფით.[27]

სუს-მ უფლების ბოროტად გამოყენებად მიიჩნია შემთხვევა, როდესაც ბანკმა მოვალის სასარგებლოდ სხვა საკრედიტო დაწესებულების მიერ მოვალის ვალის გადაფარვის შესახებ გაკეთებული შეთავაზება უგულებელყო და მოვალის მიერ სესხის უზრუნველსაყოფად დატვირთული ქონების რეალ-

22 თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილება ძალაში იქნა დატოვებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის № ას-1840-1813-2011 განჩინებით.

23 ჩაჩავა, შრომის ხელშეკრულების ნებაზე დამოკიდებული და მხარეთა ნებისაგან დამოუკიდებელი შეწყვეტა 2013 წლის 2 ივნისის ცვლილებებით დამკვიდრებული ახალი კლასიფიკაცია, გვ. 110.

24 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 7 თებერვლის № ას-1385-1307-2012 გადაწყვეტილება/განჩინება; შდრ. MüKo*/Roth/Schubert,* BGB, 6. Aufl., 2012, § 242, Rn. 329 ff. გერმანულ დოქტრინაში ხანდაზმულობის ვადის ფარგლებში მოთხოვნის განხორციელება შესაძლოა გამოირიცხოს, თუ გასულია ხანგრძლივი ვადა და გარემოებათა გათვალისწინებით მოვალეს კეთილსინდისიერების პრინციპის შესაბამისად შესაძლოა ჰქონდეს საფუძლიანი ვარაუდი, რომ კრედიტორის მიერ ვალდებულების შესრულების მოთხოვნა აღარ მოხდება — „illoyal verspätete Geltendmachung“ ; შდრ. ასევე BeckRS 2001 30176268, BAG.

25 საერთო საკუთრებაში არსებულ სხვენში ინდივიდუალური საკუთრებიდან ამოჭრილი ასასვლელის გაუქმების მოთხოვნა ნებართვის არარსებობის მოტივით. თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 30 მარტის გადაწყვეტილება ძალაში იქნა დატოვებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2006 წლის 22 მაისის №ას-1242-1484-05 განჩინებით; შდრ. ასევე საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 14 სექტემბრის №ას-376-698-05 განჩინება.

26 MüKo*/Grothe,* BGB, 6. Aufl., 2012, § 226, Rn.11.

27 MüKo*/Grothe*, BGB, 6. Aufl., 2012, § 226, Rn.12.

იზაცია მოახდინა. სასამართლო უფლების ბოროტად გამოყენების დადგენისას აფასებს ბანკის ინტერესს იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციასთან დაკავშირებით. კერძოდ, სასამართლო განმარტავს, რომ იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის მიზანი მოვალის მიერ ბანკის წინაშე აღებული ვალდებულების დაფარვაა. შესაბამისად, თუ ამ ვალდებულების შესრულება სხვა ალტერნატიული საშუალებითაა შესაძლებელი, რომელიც ნაკლებ დანახარჯს მოითხოვს და ამასთანავე, მოვალის ინტერესების გათვალისწინებით უფრო მსუბუქი და ხელსაყრელი ალტერნატივაა, კრედიტორმა უფრო მსუბუქი საშუალება უნდა აირჩიოს. შესაბამისად, სასამართლომ სრულიად მართებულად მიიჩნია, რომ ბანკის ინტერესის დაკმაყოფილების უფრო მარტივი მსუბუქი და თანაბარწილად ეფექტიანი საშუალების არსებობისას, მოვალისათვის საზიანო საშუალების არჩევა დაუსაბუთებელი და გაუმართლებელია. შესაბამისად, ასეთი ქმედება ბანკის მხრიდან უფლების ბოროტად გამოყენებად შეაფასა.[28]

IV. სამართლებრივი შედეგი

12 თუ კონკრეტულ შემთხვევაში ნორმის შემადგენლობის ელემენტები სახეზეა, უფლების განხორციელება დაუშვებელია.

115-ე მუხლი არ ითვალისწინებს უფლების დაუშვებელი განხორციელების შესაბამის სამართლებრივ შედეგებს. შესაბამისად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სამართლებრივი შედეგი განსხვავებულია. მაგალითად, თუ უფლების ბოროტად გამოყენება გარიგების შინაარსზე ახდენს ზეგავლენას, გარიგების მიმართ გამოიყენება 54-ე მუხლი 62-ე მუხლის დათქმის გათვალისწინებით.[29]

ასე მაგალითად, უზენაესი სასამართლო განმარტავს, რომ დამსაქმებლის მიერ შრომითი ხელშეკრულების მოშლა, თუ მას არ აქვს გამართლება და დამსაქმებელი არ მიუთითებს ხელშეკრულების მოშლის კონკრეტულ საფუძველს, უფლების ბოროტად გამოყენებად უნდა ჩაითვალოს.[30] ასეთ შემთხვევაში ხელშეკრულების მოშლა უფლების ბოროტად გამოყენებად ჩაითვლება, რაც 115-ე მუხლის შესაბამისად დაუშვებელია, 54-ე მუხლის თანახმად კი ნების გამოვლენა, რომელიც კანონით დადგენილ წესს ეწინააღმდეგება, ბათილია.[31]

28 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 29 ივნისის №ას-1338-1376-2014 გადაწყვეტილება/განჩინება.

29 მაგ., საქართველოს შრომის კოდექსის მუხ. 6 I (3) შესაბამისად, მიმდევრობით დადებულად ჩაითვლება შრომის ხელშეკრულება, თუ ხელშეკრულებებს შორის წყვეტა 60 დღეზე ნაკლები. ამ დათქმის მიუხედავად, მაგ., ხელშეკრულებებს შორის 61-დღიანი წყვეტა საფუძვლის გარეშე უფლების ბოროტად გამოყენებად უნდა ჩაითვალოს და გავრცელდეს უვადო ხელშეკრულების მიმართ მოქმედი შესაბამისი წესები, გარდა იმ შემთხვევისა, თუ უფლების რეალიზების მოტივაცია დამსაქმებლის მხრიდან დასაბუთებულია.

30 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 25 იანვრის № ას-1127-1058-2012 გადაწყვეტილება/განჩინება.

31 შდრ. *ჩაჩავა,* ვადიანი და უვადო შრომითი ხელშეკრულებების მოშლის მიმართ მოქმედი კანონმდებლობის სამოსამართლეო სამართლით სრულყოფის რეკომენდაციები, 2011, გვ. 52.

13 სამოქალაქო კოდექსი, გერმანიის სამოქალაქო კოდექსისაგან განსხვავებით, არ შეიცავს დელიქტის სპეციალურ შემადგენლობას, რომელიც უფლების ბოროტად გამოყენების შემთხვევებში ზიანის ანაზღაურების წესს განსაზღვრავს.[32] მიუხედავად ამისა, თუ უფლების ბოროტად გამოყენების შედეგად მესამე პირს მიადგა ზიანი, ის უფლებამოსილია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება 992-ე და სხვა დელიქტის მომწესრიგებელი სპეციალური მუხლების შესაბამისად. უფლების ბოროტად გამოყენების შეფასება დელიქტის შემადგენლობაში მართლწინააღმდეგობის ელემენტის შემოწმების ფარგლებში იქნება აუცილებელი. კერძოდ, თუ დადგინდება, რომ პირი მისთვის კანონით ან ხელშეკრულებით მინიჭებული უფლების საფუძველზე საკმარისი მოტივაციისა და ინტერესის გარეშე საკუთარი ქმედებით ზიანს აყენებს სხვას, და ასევე სახეზეა როგორც მიზეზობრივი კავშირი, ასევე ბრალი, პასუხისმგებლობა შესაძლოა დადგეს 992-ე მუხლის შესაბამისად. ასეთ შემთხვევაში მნიშვნელოვანია შეფასდეს, პირის ზიანის გამომწვევი ქმედება იყო ობიექტური ინტერესით ნაკარნახევი, რაც უფლების გამოყენებას ამართლებს, თუ ის უპირატესად მხოლოდ სხვა პირისათვის ზიანის მიყენებას ისახავდა მიზნად და ამიტომ მართლსაწინააღმდეგოდ უნდა შეფასდეს.

14 თუ პირი, რომელიც უფლებას ბოროტად იყენებს, სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილეა, მას ცალკეული შემთხვევის თავისებურების გათვალისწინებით დაეკისრება არაძირითადი სახელშკერულებო ვალდებულების დარღვევისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობა, მათ შორის ზიანის ანაზღაურების ვალდებულება.[33]

უფლების ბოროტად გამოყენებამ, რომელიც უშუალოდ ხელშეკრულების დადების ეტაპს უკავშირდება, შესაძლოა ხელშეკრულების დადების შემდგომ ამ სახელშეკრულებო პირობის ბათილობაც გამოიწვიოს.

უფლების ბოროტად გამოყენების შემთხვევაში შესაძლოა პირს დაეკისროს ცალკეული ქმედების განხორციელება, მაგალითად, სავალდებულო თანხმობის გაცემა,[34] უფლების რეგისტრაცია, როდესაც უფლებამოსილი პირი არ არეგისტრირებს საკუთარ უფლებას და ამით ზიანს აყენებს მესამე პირს.[35] უფლების არამართლზომიერმა განხორციელებამ შესაძლოა ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნის უფლება დააფუძნოს,[36] ასევე უფლების განმახორციელებელს სხვა პირების მხრიდან გარკვეული ქმედების განხორციელების დაშვება დააკისროს.[37]

32 შდრ. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის § 826, რომლის თანახმად პირი, რომელიც ზნეობის საწინააღმდეგოდ სხვა პირს მიაყენებს განზრახ ზიანს, ვალდებულია აანაზღაუროს ეს ზიანი.

33 შდრ. *ჩაჩავა,* მოთხოვნებისა და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია, დის., 2011, გვ. 140.

34 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 29 ოქტომბრის № ას-1200-1129-2012 განჩინება.

35 თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 31 მაისის № 2/4479-12 (საქმის პროგრამული №330210012082769).

36 MüKo/*Grothe,* BGB, 6. Aufl., 2012, § 226, Rn.14.

37 გამაგრებითი სამუშაოების ჩატარების მიზნით პირველ სართულზე მესაკუთრის მიერ იმ პირთა შეშვება, რომელთაც სასამართლო გადაწყვეტილებით ევალებოდათ აღნიშნული სამუშაოების ჩატარება შდრ. თბილისის საქალაქო სასამართლოს კოლეგიის 2013 წლის 24 აპრილის №2/2974-13 გადაწყვეტილება.

თუ დადგინდა, რომ უფლების განხორციელება დაუშვებელია, ცალკეულ შემთხვევაში მის საწინააღმდეგოდ შესაძლოა აუცილებელი მოგერიებისა[38] თუ თვითდახმარების გამოყენებაც გამართლებული იყოს.

V. მტკიცების ტვირთი

102-ე მუხლის ზოგადი წესის შესაბამისად, მტკიცების ტვირთი ეკისრება იმ პირს, რომელიც უფლების ბოროტად გამოყენებაზე აპელირებს. **15**

თუმცა, რამდენად ჰქონდა პირს უფლების განხორციელების ობიექტური ინტერესი, ასევე მესამე პირისათვის ზიანის მიყენების მიზანი,[39] უფლების განმახორციელებელმა უნდა ამტკიცოს.

გასათვალისწინებელია, რომ უფლების ბოროტად გამოყენების ფაქტის არსებობა სასამართლომ საკუთარი ინიციატივით უნდა შეამოწმოს და გაითვალისწინოს.[40] „შესაბამისად, ნებისმიერი დავის განხილვისას, როგორც წესი, სასამართლო ამოწმებს უფლების გამოყენებისა და ვალდებულების შესრულების მართლზომიერების საკითხს და მის საფუძველზე აფასებს მხარეთა მიერ სასამართლოს წინაშე დაყენებულ მოთხოვნათა მართებულობას.“[41]

38 MüKo/*Grothe,* BGB, 6. Aufl., 2012, § 226, Rn.14.

39 იქვე. Rn.14.

40 შდრ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 27 სექტემბრის № 2/10023 გადაწყვეტილება.; MüKo/*Grothe,* BGB, 6. Aufl., 2012, § 226, Rn.15.

41 თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 27 დეკემბრის № 2/14619 გადაწყვეტილება.

მუხლი 116. აუცილებელი მოგერიების ფარგლებში მიყენებული ზიანი

1. აუცილებელი მოგერიების ფარგლებში განხორციელებული მოქმედება არ არის მართლსაწინააღმდეგო და ამ დროს დამდგარი ზიანი არ ანაზღაურდება.

2. აუცილებელ მოგერიებად ჩაითვლება ისეთი თავდაცვა, რომელიც აუცილებელია საკუთარ თავზე ან სხვებზე რეალური მართლსაწინააღმდეგო თავდასხმის მოსაგერიებლად.

I. ზოგადი დებულებები 662
II. შემადგენლობა 663
1. თავდასხმა 663
ა. თავდამსხმელი 663
ბ. მოქმედება 663
გ. დაცული სიკეთე 664
2. რეალური 664
ა. იმწუთიერი 664
3. მართლსაწინააღმდეგო 665
4. მომგერიებელი და თავდასხმის მსხვერპლი 665
5. თავდაცვა მოგერიების მიზნით 666
ა. მესამე პირთა სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა 667
ბ. აუცილებლობა 667
6. თანაზომიერება 668
III. სამართლებრივი შედეგები 669
IV. საპროცესო-სამართლებრივი მნიშვნელობა 670

I. ზოგადი დებულებები

1 116-ე მუხლი ადგენს სპეციალურ შემადგენლობას, რომლის არსებობისას მიყენებული ზიანი მართლზომიერია და ხელმყოფის პასუხისმგებლობა გამოირიცხება.

აუცილებელი მოგერიება ინტერესთა ბალანსის შენარჩუნებას ემსახურება. კერძოდ, ნორმა, ერთი მხრივ, მიზნად ისახავს იმ სამართლებრივი სიკეთის დაცვას, რომელსაც ემუქრება საფრთხე, მეორე მხრივ კი, სამართლებრივი წესრიგის უზრუნველყოფას ემსახურება.[1]

სწორედ ამიტომ, აუცილებელი მოგერიების ფარგლების დადგენისას, სამართლებრივი სიკეთისა და არსებული საფრთხის შეპირისპირებასთან ერთად, გასათვალისწინებელია თავდასხმის სახე და მისი მნიშვნელობა მართლწესრიგის კონტექსტში.[2]

გასათვალისწინებელია, რომ აუცილებელი მოგერიების სისხლისსამართლებრივი შემადგენლობა ავტომატურად არ ადგენს აუცილებელი მოგერიების სამოქალაქო-სამართლებრივ შემადგენლობას და, პირიქით. ცალ-

1 *Dennhardt,* in Beck OK BGB, § 227, Rn. 2; MüKo/*Grothe,* BGB, 6. Aufl.,§ 227, Rn. 1.
2 MüKo*/Grothe,* BGB, 6. Aufl.,§ 227, Rn. 1.

კეულ შემთხვევაში ზიანის მიყენება შეიძლება სისხლისსამართლებრივად გამართლებული იყოს, მაშინ, როდესაც იგივე ქმედება სამოქალაქო კოდექსის მიზნების გათვალისწინებით, არ ათავისუფლებდეს პირს პასუხისმგებლობისაგან.[3] ეს აიხსნება სისხლის სამართლის არსით, პასუხისმგებლობა დააწესოს საზოგადოებრივად საშიში ქმედებისათვის. სამოქალაქო სამართალი კი უპირატესად მიზნად ისახავს პირთა კერძო ინტერესების დაბალანსებას.[4]

II. შემადგენლობა

1. თავდასხმა

თავდასხმა არის სამართლებრივად დაცული სიკეთის მიმართ პირდაპირი მუქარა, გამოხატული ადამიანის აქტიურ ქმედებაში.[5] **2**

ა. თავდამსხმელი

თავდამსხმელი უნდა იყოს ადამიანი, თუმცა მისი დელიქტუნარიანობა არ არის მნიშვნელოვანი.[6] გერმანულ დოქტრინაში იურიდიული პირი თავდასხმის სუბიექტად არ განიხილება, თუმცა ეს არ გამორიცხავს თავდასხმის განხორციელების შესაძლებლობას იმ ფიზიკური პირების მიერ, რომლებიც იურიდიული პირის სახელით მოქმედებენ და ამ იურიდიული პირის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირები არიან.[7] **3**

თუ ადამიანი ნივთს ან ცხოველს თავდასხმის იარაღად იყენებს, ასეთი ქმედება ჩაითვლება პირის მიერ განხორციელებულ თავდასხმად. საპირისპიროდ ამისა, თუ საფრთხე ნივთისა თუ ცხოველისაგან ადამიანის ჩარევის გარეშე მომდინარეობს, გამოიყენება უკიდურესი აუცილებლობის შემადგენლობა.[8]

ბ. მოქმედება

თავდასხმა რომ სახეზე იყოს, აუცილებელია პირის მოქმედება, მისი აქტიური ქმედება. უმოქმედობა (მაგ., სახელშეკრულებო თუ კანონისმიერი ვალდებულების შეუსრულებლობა ან სხვა არამართლზომიერი მდგომარეობის შენარჩუნება) თავდასხმად არ უნდა ჩაითვალოს.[9] **4**

ცალკეულ შემთხვევაში მნიშვნელოვანია და რთული უმოქმედობის მოქმედებისაგან გამიჯვნა. მაგალითად, გერმანული დოქტრინის თანახმად,

3 შდრ. სისხლის სამართლის კოდექსის მუხ. 30; ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მუხ. 18; MüKo/*Grothe,* BGB, 6. Aufl.,§ 227, Rn. 3.

4 MüKo/*Säcker,* BGB, 6. Aufl., § 904, Rn. 1.

5 *Dennhardt,* in Beck OK BGB, § 227 Rn. 6; MüKo/*Grothe,* BGB, 6. Aufl.,§ 227, Rn. 4.

6 *Tuhr,* Der Notstand im Zivilrecht, 1988, S. 53; *Dennhardt*, in Beck OK BGB, § 227 Rn.6.

7 MüKo/*Grothe,* BGB, 6. Aufl.,§ 227 Rn. 4.

8 *Dennhardt*, in Beck OK BGB, § 227 Rn. 6.

9 მაგ., ქირავნობის ურთიერთობის დასრულების შემდეგ დამქირავებლის მიერ ფართის არდაცლა იხ. *Dennhardt,* in Beck OK BGB, § 227 Rn. 6; ასევე უკანონო მფლობელობის გაგრძელება – შდრ. *ბიოლინგი/ლუტრინგჰაუსი*, სკ-ის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, გვ. 74.

უმოქმედობად არ ჩაითვლება სატრანსპორტო საშუალების მართვისას არდამუხრუჭება (მოძრაობის გაგრძელება),[10] ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ხელმყოფის მიერ დაზარალებულთან დახმარების მიღწევის ბლოკირება.[11]

თავდასხმას გარკვეული ინტენსივობა უნდა ახასიათებდეს. ასე მაგალითად, გერმანულ დოქტრინაში მიიჩნევა, რომ მოწევა არამწეველთა განყოფილებაში თავდასხმას წარმოადგენს, საპირისპიროდ ამისა, მოწევა ფეხბურთის სტადიონზე – არა.[12]

გ. დაცული სიკეთე

5 აუცილებელი მოგერიების შემადგენლობით დაცულია ნებისმიერი სამართლებრივად დაცული სიკეთე, მათ შორის უძრავი თუ მოძრავი ნივთები.[13] შესაბამისად, თავდასხმა შესაძლოა მიმართული იყოს ნებისმიერი სამართლებრივად დაცული სიკეთის, პიროვნული უფლებების თუ სხვა ინტერესის ხელყოფისაკენ.[14]

2. რეალური

6 რეალურია ისეთი თავდასხმა, რომელიც დიდი ალბათობით მოსალოდნელია, ან დაიწყო და ჯერ კიდევ არ დასრულებულა, შესაბამისად, საფრთხე კვლავ არსებობს[15] და პირი უშუალოდ დგას საფრთხის წინაშე. მაგალითად, იარაღის არა მხოლოდ დამიზნება, არამედ იარაღისკენ გაწევა, როგორც წესი უკვე აკმაყოფილებს საფრთხის რეალურობის წინაპირობას.[16]

რამდენიმე მოქმედების შემცველი თავდასხმა რეალურია ბოლო კომპონენტის დასრულებამდე ნებისმიერ მონაკვეთში.[17] მაგალითად, გერმანული დოქტრინის თანახმად პიროვნული უფლებების დარღვევისას ნებართვის გარეშე ფოტოგადაღება არ არის დასრულებული თავდასხმა და ის რეალურია მისი ასლების დაბეჭდვამდე.[18]

ა. იმწუთიერი

7 სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა არ არის აუცილებელი, დაწყებული იყოს და მიმდინარეობდეს, საკმარისია თავდასხმის დაწყების მყისიერი საფრთხე არსებობდეს.

მხოლოდ პრევენციული ხასიათის მოგერიება, რომელიც სამომავლოდ

10 MüKo/*Grothe,* BGB, 6. Aufl.,§ 2275.
11 *Dennhardt,* in Beck OK BGB, § 227 Rn. 6.
12 *Dennhardt,* in Beck OK BGB, § 227 Rn. 8.
13 *Tuhr,* Der Notstand im Zivilrecht, 1888, S. 44-45.
14 *Dennhardt,* in Beck OK BGB, § 227 Rn. 7.
15 *ჯორბენაძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხლი 116, გვ. 302.
16 MüKo/*Grothe*, BGB, 6. Aufl. 2012, § 227, Rn. 9
17 შდრ. *ჯორბენაძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, 2002, მუხ. 116, გვ. 302.
18 MüKo/*Grothe,* BGB, 6. Aufl.,§ 227, Rn. 9.

მოსალოდნელი საფრთხის აცილებას ემსახურება, არ აკმაყოფილებს იმწუთიერების წინაპირობას.[19]

თვითდახმარებისაგან განსხვავებით[20], დაუშვებელია თავდაცვის განხორციელება დასრულებული თავდასხმის მიმართ,[21] მიუხედავად იმისა, მესამე პირის ჩარევით მოხდა თავადსხმის შეწყვეტა (დასრულება) თუ სხვა მიზეზით.

3. მართლსაწინააღმდეგო

მართლწინააღდეგობის სტანდარტი კერძო და საჯარო სამართალში განსხვავებულია, შესაბამისად, შეიძლება ცალკეულ შემთხვევაში საჯარო-სამართლებრივად გამართლებული ხელყოფა სამოქალაქო-სამართლებრივად გაუმართლებელი იყოს ან, პირიქით.[22] **8**

კერძო სამართალში მართლსაწინააღმდეგოდ უნდა ჩაითვალოს ნებისმიერი თავდასხმა, რომელიც არ არის გამართლებული კანონმდებლობისა თუ ხელშეკრულების საფუძველზე. მართლსაწინააღმდეგოდ შესაძლოა ჩაითვალოს ბრუნვაში დამკვიდრებული გულისხმიერების ვალდებულების დარღვევა.[23]

თავდასხმის მართლწინააღმდეგობის შეფასებისას უმნიშვნელოა, რამდენად არის სახეზე თავდამსხმელის ბრალი.[24]

თავდასხმა მართლზომიერია და გამართლებული, თუ არსებობს თავდასხმის გამამართლებელი საფუძველი; შესაბამისად, მართლსაწინააღმდეგოდ არ უნდა ჩაითვალოს თავდასხმა, თუ პირი, რომელზეც ხორციელდება შესაძლო თავდასხმა, ვალდებულია ითმინოს იგი.[25]/[26]

მართლზომიერი თავდასხმის მიმართ დაუშვებელია აუცილებელი მოგერიების გამოყენება. შესაბამისად, აუცილებელი მოგერიების წინააღმდეგ აუცილებელი მოგერიების ან უკიდურესი აუცილებლობის თუ თვითდახმარების გამოყენება გაუმართლებელია.[27]

მომგერიებლის მიერ თავდასხმის პროვოცირება არ ართმევს მომგერიებელს მოგერიების უფლებას, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მისი ქმედება (პროვოცირება) თავისთავად არამართლზომიერ თავდასხმას წარმოადგენს. ასეთ შემთხვევაში „მომგერიებელია“ თავდამსხმელი და მოწინააღმდეგე მხარე თავდაცვას ახორციელებს.[28]

მოგერიების უფლება შესაძლოა შეიზღუდოს, თუ თავდასხმის პროვოცირება აუცილებელი მოგერიების (ანუ საპასუხო თავდასხმის) უფლების

19 *Dennhardt,* in Beck OK BGB, § 227 Rn. 10.
20 შდრ. 118-ე მუხლის კომენტარი.
21 *Tuhr,* Der Notstand im Zivilrecht, 1988, S. 48.
22 MüKo*/Grothe,* BGB, 6. Aufl.,§ 22715.
23 MüKo*/Wagner,* BGB, 6. Aufl.,§ 823, Rn.18.
24 MüKo*/Grothe,* BGB, 6. Aufl.,§ 227Rn. 4.
25 MüKo*/Grothe,* BGB, 6. Aufl.,§ 227, Rn. 10.
26 *Dennhardt,* in Beck OKBGB, § 227 Rn. 12; NJW 1991, 1671, BGH Urteil 22-02-1991- V ZR 308/89 Bamberg.
27 MüKo*/Grothe,* BGB, 6. Aufl.,§ 227, Rn. 11.
28 MüKo*/Grothe,* BGB, 6. Aufl.,§ 227, Rn. 11.

წარმოშობის მიზნით, განზრახ ხორციელდება.[29]

4. მომგერიებელი და თავდასხმის მსხვერპლი

9 მოგერიება მიმართული უნდა იყოს საკუთარი თავის ან სხვების მიმართ მართლსაწინააღმდეგო თავდასხმის მოგერიებაზე.

შესაბამისად, მომგერიებელი შესაძლოა იყოს როგორც პირი, რომელსაც თავს ესხმიან, ასევე ნებისმიერი მესამე პირი, მათ შორის პოლიციის თანამშრომელი.[30]

მესამე პირი, რომლის მიმართ ხორციელდება თავდასხმა, შეიძლება იყოს ნებისმიერი, მათ შორის მომგერიებლისათვის უცნობი პირი (მათ შორის კერძო და საჯარო სამართლის იურიდიული პირები), რომელიც მოსალოდნელი თავდასხმით შესაძლოა დაზარალდეს.[31] მესამე პირად გერმანულ დოქტრინაში განიხილება ჩანასახიც.[32]

5. თავდაცვა მოგერიების მიზნით

10 თავდაცვის შეფასებისას გასათვალისწინებელია არა თავდაცვის შედეგი, არამედ თავდაცვითი ქმედება.[33] ქმედება შეიძლება გამოიხატოს როგორც პასიურ თავდაცვით ქმედებაში, ასევე საპასუხო თავდასხმაში.

თავდაცვის დროს მნიშვნელობა არა აქვს პირის ქმედუნარიანობას, ალკოჰოლის შემცველობას მის სისხლში და სხვა ანალოგიურ გარემოებას.[34]

ნებადართულია მოგერიება, რომელიც აუცილებელია თავდასხმის ასაცილებლად.[35] პირველ რიგში, ეს იმას ნიშნავს, რომ მოგერიება შეიძლება მხოლოდ თავდამსხმელის მიმართ იყოს მიმართული, სხვა პირების ან მათი სამართლებრივი სიკეთის მიმართ განხორიელებული ხელყოფა უკიდურესი აუცილებლობის შემადგენლობაში მოექცევა.[36]

გერმანულ დოქტრინაში გავრცელებული მოსაზრების თანახმად, თავდაცვა უნდა შეფასდეს სუბიექტური კრიტერიუმების გათვალისწინებით. კერძოდ, თავდაცვის დროს აუცილებელია ხელმყოფმა იცოდეს აუცილებელი მოგერიების მდგომარეობის არსებობის შესახებ და უნდა ჰქონდეს თავდაცვის „განზრახვა“. თავდაცვა მიზანმიმართული უნდა იყოს და ემსახურებოდეს თავდასხმის მოგერიებას.[37]

29 MüKo/*Grothe,* BGB, 6. Aufl.,§ 227, Rn. 24.
30 MüKo/*Grothe,* BGB, 6. Aufl.,§ 227, Rn. 15.
31 მაგ., ხანძრის გაჩენის შედეგად მესამე პირები, რომლებიც შესაძლოა დაზარალდნენ.
32 MüKo/*Grothe,* BGB, 6. Aufl.,§ 227, Rn. 15; შდრ. *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 104-107.
33 MüKo/*Grothe,* BGB, 6. Aufl.,§ 227, Rn. 16.
34 NJW 2008, 571, (572), BGH, Urteil vom 30.10.2007-VI ZR 132/06.
35 MüKo/*Grothe,* BGB, 6. Aufl.,§ 227, Rn. 12.
36 *ჩაჩავა,* ბესარიონ ზოიძის საიუბილეო კრებულში, „უკიდურესი აუცილებლობა – პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოება თუ მოთხოვნის დამფუძნებელი სპეციალური შემადგენლობა“, გვ. 427.
37 *Dennhardt,* in Beck OK BGB, § 227 Rn.13; MüKo/*Grothe,* BGB, 6. Aufl.,§ 227, Rn. 18.

ა. მესამე პირთა სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა

11 თუ თავდაცვის შედეგად მესამე პირს ადგება ზიანი (მის საკუთრებას ან სამართლებრივად დაცულ სხვა სიკეთეს), ზიანის ანაზღაურების საკითხი უკიდურესი აუცილებლობის წესებით გადაწყდება.

მესამე პირისათვის ზიანის მიყენებისას მნიშვნელოვანია გაიმიჯნოს, მესამე პირის ქონების ხელყოფა შეგნებულად ხორციელდება და სიკეთეთა შეპირისპირებით პირი ცდილობს სხვა საფრთხის აცილებას, თუ აღნიშნული ზიანის მიყენება რეფლექსური ან გაუაზრებელია.[38]

ბ. აუცილებლობა

12 აუცილებელია თავდაცვა, რომელიც ნაწილობრივ მაინც არის შესაბამისი[39] და ამასთანავე, წარმოადგენს თავდაცვის შედარებით მსუბუქ საშუალებას. ეს კრიტერიუმები ობიექტური თვალსაზრისიდან უნდა შეფასდეს და მომგერიებლის სუბიექტური შეხედულება უმნიშვნელოა.[40]

აუცილებლობის ფარგლები ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა დადგინდეს იმ გარემოებათა ერთობლიობის შეფასების შედეგად, რომელშიც მოგერიება ხორციელდება. ასეთ დროს გასათვალისწინებელია როგორც თავდასხმის, ასევე თავდაცვის მომენტისათვის არსებული გარემოებები და საშუალებები.[41]

ობიექტურთან ერთად გასათვალისწინებელია სუბიექტური ფაქტორები. მაგალითად, თუ თავდამსხმელი შეიარაღებული იყო, მაგრამ თავდამცველმა ეს ვერ შენიშნა, იარაღის არსებობა არ უნდა იქნეს გათვალისწინებული გარემოებათა ერთობლიობის შეფასებისას.[42]

მომგერიებელს უფრო მსუბუქი საშუალების გამოყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში მოეთხოვება, თუ ეს საშუალება იმავე წარმატებით უზრუნველყოფს საფრთხის თავიდან აცილებას. ასე მაგალითად, მხოლოდ თავდაცვითი მოქმედება საპასუხო თავდასხმის მაგიერ (როგორც უფრო მსუბუქი ზომა) მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა შეირჩეს, თუ თავდაცვითი მოგერიება დიდი ალბათობით უზრუნველყოფს საფრთხის საბოლოოდ და მყისიერად აღკვეთას.[43] მაგალითად, ჩხუბში, როგორც წესი, თავდაცვა არ არის ეფექტური საშუალება და ნაკლებად სავარაუდოა თავდაცვითი მოგერიებით შესაძლებელი იყოს თავდასხმის საბოლოოდ და მყისიერად აღკვეთა.[44]

13 მოგერიება სიცოცხლისათვის საშიში საშუალებით, ცხადია, უკიდურესი ზომა უნდა იყოს თავდაცვისათვის.[45] მაგალითად, ორი პირის მიერ განხორ-

38 *Braun,* NJW 1991, 1671, BGH Urteil 22-02-1991- V ZR 308/89 Bamberg.
39 *Dennhardt,* in Beck OK BGB, § 227 Rn.14.
40 MüKo*/Grothe,* BGB, 6. Aufl.,§ 227, Rn.13.
41 MüKo*/Grothe,* BGB, 6. Aufl.,§ 227, Rn.13.
42 NJW 2008, 571, (572), BGH, Urteil vom 30.10.2007-VI ZR 132/06
43 *Dennhardt,* in Beck OKBGB, § 227 Rn. 15.
44 NJW 2008, 571, (572), BGH, Urteil vom 30.10.2007-VI ZR 132/06.
45 MüKo*/Grothe,* BGB, 6. Aufl.,§ 227, Rn.14.

ციელებული მართლსაწინააღმდეგო რეალური თავდასხმის მოსაგერიებლად ხელმყოფის მიერ თავდამსხმელისათვის დანით მძიმე ჭრილობის მიყენება სასამართლომ სისხლის სამართლის საქმეზე არ ჩათვალა თანაზომიერად, ვინაიდან მომგერიებელი სპორტსმენი იყო და ფიზიკური ძალით ბევრად აღემატებოდა თავდამსხმელებს.[46] ამ შემთხვევაში, რამდენად იყო მომგერიებლის მიერ შერჩეული მოგერიების ზომა აუცილებელი, კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების ერთობლიობაში გაანალიზების საფუძველზე უნდა გადაწყდეს. კერძოდ, სასამართლომ უნდა შეაფასოს, რამდენად შეეძლო მომგერიებელს თავდასხმის მომენტში არსებული გარემოებების გათვალისწინებით თავდასხმის მოგერიება უფრო მსუბუქი საშუალებით, რომელიც მოგერიებას საბოლოოდ და მყისიერად აღკვეთდა.

მოგერიების აუცილებლობის შეფასებისას გასათვალისწინებელია, რომ **აუცილებელი უნდა იყოს არა მოგერიების შედეგი, არამედ თავად მოქმედება, რომელიც მოგერიებას ემსახურება.** ასე, მაგალითად, თავში ჩარტყმა დატენილი იარაღის, რომელიც მოულოდნელად გაისვრის და მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს თავდამსხმელს, შესაბამის და აუცილებელ, ე.ი. გამართლებულ ქმედებად უნდა ჩაითვალოს;[47] ანალოგიურად აუცილებელ ზომად ჩაითვალა, მაგალითად, 64 წლის თავდამსხმელისათვის მსუბუქი ხელის კვრა, მიუხედავად იმისა, რომ დაცემის შედეგად თავდამსხმელი გარდაიცვალა.[48]

6. თანაზომიერება

14 ადამიანის სიცოცხლე, ცხადია, ყოველთვის უფრო ღირებულია, ვიდრე ქონება. მიუხედავად ამისა, აუცილებელი მოგერიების გამოყენების ფარგლებში მოგერიების მიზნით ადამიანის სიცოცხლის განზრახ მოსპობა ადამიანის წინააღმდეგ მიმართული თავდასხმის მოგერიების მიზნით გამართლებულია. რამდენად გამართლებულია იგივე ქმედება ქონებრივი ღირებულებების დაცვის მიზნით, ცალკეულ გარემოებათა შეფასების საფუძველზე უნდა მოხდეს.[49]

გერმანული დოქტრინის თანახმად, უკიდურესი აუცილებლობისაგან განსხვავებით, აუცილებელი მოგერიების თანაზომიერების შეფასებისას სიკეთეთა შორის უბრალო შეუსაბამობა (დისპროპორცია) არ გამორიცხავს მოგერიების თანაზომიერებას. მოგერიება არათანაზომიერად რომ ჩაითვალოს, აუცილებელია სახეზე იყოს აშკარა შეუსაბამობა თავდასხმასა და მოგერიებისათვის გამოყენებულ საშუალებას შორის.[50]

აშკარა შეუსაბამობის მაგალითად გერმანულ დოქტრინაში განიხილება ათცენტიანი სიროფის ბოთლის ქურდისათვის სიცოცხლის მოსპობა.[51]

46 საქ. უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2005 წლის 13 ოქტომბრის №2კ-213აპ.-05, განჩინება.

47 MüKo/*Grothe,* BGB, 6. Aufl.,§ 227, Rn.16, Fn. 115.

48 MüKo/*Grothe,*BGB, 6. Aufl.,§ 227, Rn.16 Fn. 116.

49 MüKo/*Grothe,* BGB, 6. Aufl.,§ 227, Rn.17.

50 MüKo/*Grothe,* BGB, 6. Aufl.,§ 227, Rn.20.

51 MüKo/*Grothe,* BGB, 6. Aufl.,§ 227, Rn.20. Fn. 141.

შესაბამისად, ცალკეული შემთხვევის შეფასების საფუძველზე უნდა მოხდეს თანაზომიერების ფარგლების დადგენა, არსებული საფრთხისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, მათ შორის უნდა მოხდეს მომგერიებელი პირის ემოციური მდგომარეობის გათვალისწინება.

უფრო მკაცრად შეიძლება შეფასდეს თანაზომიერების ფარგლები ახლო ურთიერთობაში მყოფ პირებს შორის (მეუღლეები, შვილები, ოჯახის წევრები და სხვ).[52]

გერმანული სასამართლო პრაქტიკის თანახმად, პირის მიერ თავდასხმის მოგერიება დანის გამოყენებით, როდესაც მეორე მხარე მხოლოდ მუშტებს იქნევდა, თუმცა დანის გამოყენების მუქარა არსებობდა, შესაბამისად და თანაზომიერად იქნა მიჩნეული.[53]

თანაზომიერად ჩაითვალა ასევე იარაღის გასროლა იმ პოლიციელების მიმართ, რომლებიც ფორმის გარეშე შეიპარნენ კერძო საკუთრების ტერიტორიაზე, სადაც არაერთი ქურდობა მომხდარა.[54] მაშინ, როდესაც იარაღის გამოყენება პირის მიმართ, რომელიც მესაკუთრის ეზოში შევიდა, რათა გაქცეული ძაღლი დაებრუნებინა, არ ჩაითვალა თანაზომიერად.[55]

III. სამართლებრივი შედეგები

შესაძლებელია ცალკეულ შემთხვევაში პირის პასუხისმგებლობა გამ- **15**
ოირიცხოს სისხლისსამართლებრივად,[56] თუმცა პირი პასუხისმგებელი იყოს სამოქალაქო წესით მიყენებული ზიანისათვის.[57]

დასაფიქრებელია, მომგერიებლის შეცდომა თავდასხმის ვარაუდის შემთხვევაში, რამდენად შეიძლება დაკვალიფიცირდეს აუცილებელ მოგერიებად. აქ მნიშვნელოვანია უკვე მომგერიებლის სუბიექტური დამოკიდებულება, კერძოდ, ბრალი.[58] ამასთან, ობიექტური გარემოებების გათვალისწინებით, რამდენად ქმნის „თავდამსხმელის“ ქცევა თავდასხმის ვარაუდს.

დამატებით გასაანალიზებელია, როგორ უნდა შეფასდეს შემთხვევა, როდესაც მოგერიების დროს მომგერიებლის მიერ ზიანის მიყენება ხდება იმ ვარაუდით, რომ თავდამსხმელს აყენებს ზიანს, რეალურად კი მესამე პირის სამართლებრივ სიკეთეს ხელყოფს.[59] მაგ., ხელმყოფის ქურთუკი ზიანდება, რომელიც აღმოჩნდება, რომ მას მეგობრისგან აქვს ნათხოვარი. ასეთ შემთხვევაში უნდა გაიმიჯნოს შემთხვევები მომგერიებლის სუბიექტუ-

52 *Dennhardt,* in BGB, §227, Rn. 21; MüKo*/Grothe,* BGB, 6. Aufl.,§ 227, Rn. 23.

53 MüKo*/Grothe,* BGB, 6. Aufl.,§ 227, Rn. 13.

54 MüKo*/Grothe,* BGB, 6. Aufl.,§ 227, Rn. 26,

55 იქვე MüKo*/Grothe,* BGB, 6. Aufl.,§ 227, Rn. 14,

56 მაგ., სსსკ-ის მუხ. 7 II მუხლის თანახმად, „დანაშაულს არ წარმოადგენს ისეთი ქმედება, რომელიც, თუმცა ფორმალურად შეიცავს ამ კოდექსით გათვალისწინებული რომელიმე ქმედების ნიშნებს, მაგრამ მცირე მნიშვნელობის გამო არ გამოუწვევია ისეთი ზიანი, რომელიც აუცილებელს გახდიდა ჩამდენის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, ან არ შეუქმნია ასეთი ზიანის საფრთხე.“.

57 MüKo*/Grothe,* BGB, 6. Aufl., 2012, § 227, Rn. 2.

58 MüKo*/Grothe,* BGB, 6. Aufl.,2012, § 227, Rn. 26.

59 შდრ. *ბიოლინგი/ლუტრინგჰაუსი,* სკ-ის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, გვ. 57, სქ. 31.

რი დამოკიდებულებისა და ობიექტური შეცნობადობის მიხედვით. კერძოდ, თუ მომგერიებელმა იცის, რომ მესამე პირის სამართლებრივ სიკეთეს ხელყოფს, ეს შემთხვევა უკიდურესი აუცილებლობის ფარგლებში უნდა შეფასდეს. ხოლო, თუ მომგერიებელი სამართლებრივ სიკეთეს ხელყოფს იმ ვარაუდით, რომ ის თავდამსხმელს ეკუთვნის, მისი ქმედება აუცილებელი მოგერიების ფარგლებში უნდა შეფასდეს.

აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილების შემთხვევაში მოგერიება ჩაითვლება მართლსაწინააღმდეგოდ და მიყენებული ზიანი უნდა ანაზღაურდეს ზოგადი წესების შესაბამისად.

მომგერიებლის პასუხისმგებლობა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებისთვის დადგება მაშინაც, თუ მომგერიებელი დაბნეულობის, შიშისა და სხვა ფაქტორების გამო გასცდა მოგერიების ფარგლებს.[60]

IV. საპროცესო-სამართლებრივი მნიშვნელობა

16 აუცილებელი მოგერიება სასამართლოს მიერ შესამოწმებელი უფლების განხორციელების დამაბრკოლებელი[61] გარემოებაა.[62]

სამოქალაქო-საპროცესო სამართლის ზოგადი პრინციპის მიხედვით მტკიცების ტვირთი იმ პირს ეკისრება, ვინც ამ ნორმის სამართლებრივ შედეგს ეყრდნობა, კერძოდ, მომგერიებელს.[63]

შესაბამისად, თუ მომგერიებელს ეკისრება აუცილებელი მოგერიების ვითარების არსებობის მტკიცების ტვირთი, თავდამსხმელმა უნდა ამტკიცოს, რომ მომგერიებელმა მოგერიების ფარგლებს გადააცილა.[64]

სამოქალაქო სასამართლო, მტკიცებულებათა შეფასების თავისუფლების პრინციპიდან გამომდინარე, არ იბოჭება სისხლის სამართლის საქმეზე ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი შეფასებით აუცილებელი მოგერიების არსებობა-არარსებობაზე.[65]

60 MüKo/*Grothe,*BGB, 6. Aufl., 2012, § 227, Rn.25.
61 „rechtshindernde Einwendung“
62 *Dennhardt,* in Beck OKBGB, § 227, Rn. 25.
63 შდრ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102 I მუხლი.
64 *Dennhardt,* in Beck OKBGB, § 227, Rn. 25; MüKo/*Grothe,* BGB, 6. Aufl.,§ 227, Rn. 27.
65 შდრ. სსსკ-ის 105 მუხლი; MüKo/*Grothe,* BGB, 6. Aufl.,§ 227, Rn. 27.

მუხლი 117. უკიდურესი აუცილებლობით გამოწვეული ზიანი

1. იმ საფრთხის თავიდან ასაცილებლად მიყენებული ზიანი, რომელიც მოცემულ გარემოებაში არ შეიძლებოდა თავიდან აცდენილი ყოფილიყო სხვა საშუალებით და, თუ მიყენებული ზიანი აცდენილ ზიანზე ნაკლებ მნიშვნელოვანია, უნდა აანაზღაუროს ზიანის მიმყენებელმა (უკიდურესი აუცილებლობა).

2. იმ ფაქტობრივ გარემოებათა გათვალისწინებით, რომლებშიც მიყენებული იყო ზიანი, მისი ანაზღაურება შეიძლება დაეკისროს მესამე პირს, რომლის ინტერესებისთვისაც ზიანის მიმყენებელი მოქმედებდა, ანდა მთლიანად ან ნაწილობრივ განთავისუფლდეს ანაზღაურებისაგან როგორც მესამე პირი, ისე ზიანის მიმყენებელიც.

I. ზოგადი დებულებები 672
II. კავშირი სამოქალაქო კოდექსის სხვა ნორმებთან 672
1. მიმართება დელიქტის ზოგად შემადგენლობასთან 672
2. აუცილებელი მოგერიება და თვითდახმარება 673
III. შედარებით-სამართლებრივი კონტექსტი (უკიდურესი აუცილებლობის მოწესრიგება გერმანულ სამართალში) 673
1. უკიდურესი აუცილებლობისას პასუხისმგებლობის გამომრიცხავი შემადგენლობა 674
2. უკიდურესი აუცილებლობისას ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის სპეციალური შემადგენლობა 675
3. ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირი 675
IV. უკიდურესი აუცილებლობის შემადგენლობა 676
1. ზოგადი დებულებები 676
ა) პირი სხვა პირს შეგნებულად აყენებს ზიანს 677
ბ) ზიანის მიყენება მიმართულია საფრთხის თავიდან ასაცილებლად 677
გ) საფრთხის რეალურობა 677
დ) ზიანის მიყენების აუცილებლობა 677
ე) აცდენილი ზიანი მიყენებულზე ნაკლებმნიშვნელოვანია 678
2. მართლზომიერება 678
V. პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოებები 680
1. გარემოებები, რომლებიც პასუხისმგებლობას ამცირებს ან გამორიცხავს 680
2. ნივთიდან მომდინარე საფრთხე, როგორც პასუხისმგებლობის გამომრიცხავი უდავო გარემოება 681
3. საფრთხის შემქმნელი პირისა და დაზარალებულის თანხვედრა 681
4. სხვა საფუძვლები 682

VI. უკიდურესი აუცილებლობის ფარგლებში ზიანის მიყენების სამართლებრივი შედეგები 682
1. 117-ე მუხლის შესაბამისად 682
2. 117-ე მუხლი, როგორც მოთხოვნის დამოუკიდებელი საფუძველი მესამე პირთა მიმართ 683
VII. საპროცესო-სამართლებრივი დატვირთვა 685

I. ზოგადი დებულებები

1 117-ე მუხლი აწესრიგებს უკიდურესი აუცილებლობის ფარგლებში მიყენებული ზიანის შემადგენლობასა და განსაზღვრავს შესაბამის სამართლებრივ შედეგებს. უკიდურესი აუცილებლობის დროს სახეზეა მართლზომიერი ინტერესების კოლიზია,[1] როდესაც პირს აქვს უფლება, ზიანი მიაყენოს მესამე პირის სიკეთეს.[2] თუმცა ეს უფლება თავისთავად არ ათავისუფლებს ხელმყოფს მესამე პირისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან.

უკიდურესი აუცილებლობის ფარგლებში მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის დაწესება ხელმყოფისა თუ მესამე პირების მიმართ, როგორც წესი, გამართლებულია. სხვა პირთა ინტერესები არ უნდა დარჩეს დაუცველი მაშინ, როდესაც მათ არ ეკისრებათ პასუხისმგებლობა საფრთხის წარმოშობაში და ზიანის მიყენებით არც მათი სამართლებრივი სიკეთის გადარჩენა ხდება.

117-ე მუხლი ხელმყოფის მიმართ სპეციალური პასუხისმგებლობის დამფუძნებელი მოთხოვნის საფუძვლად უნდა ჩაითვალოს.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილი დამოუკიდებელი მოთხოვნის საფუძველს ქმნის იმ პირთა მიმართ, რომელთა ინტერესებშიც მოქმედებდა ხელმყოფი, დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების მარეგულირებელი თუ სახელშეკრულებო ნორმების გათვალისწინებით.

117-ე მუხლი იქვე აწესებს გამონაკლისს, როდესაც ხელმყოფი და/ან მესამე პირი შესაძლოა გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან სრულად ან ნაწილობრივ.

II. კავშირი სამოქალაქო კოდექსის სხვა ნორმებთან

2 117-ე მუხლი ზიანის მიყენების სპეციალურ შემთხვევას აწესრიგებს, როდესაც ხელმყოფის მიმართ დადგენილი პასუხისმგებლობის დამფუძნებელი წინაპირობები განსხვავებულია დელიქტის ზოგადი შემადგენლობისაგან.

1. მიმართება დელიქტის ზოგად შემადგენლობასთან

3 992-ე მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას მართლსაწინააღმდე-

1 *ჯორბენაძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 117, გვ. 303.
2 *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 113.

გო ბრალეული მოქმედებით მიყენებული ზიანისათვის. დელიქტის ზოგადი შემადგენლობის ერთ-ერთი წინაპირობა მართლწინააღმდეგობაა, რომლის არარსებობის შემთხვევაში პირის პასუხისმგებლობა ამ შემადგენლობის საფუძველზე არ დადგება. დოქტრინაში მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავ გარემოებებად განიხილება აუცილებელი მოგერიება, უკიდურესი აუცილებლობა, თვითდახმარება, დავალების გარეშე სხვისი საქმის შესრულება (მხოლოდ შიდა ურთიერთობაში და არა მესამე პირებთან მიმართებით) და კანონითა თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი სხვა სამართლებრივი საფუძველი,[3] რომელიც ზიანის მიყენებას ამართლებს.[4] შესაბამისად, უკიდურესი აუცილებლობის ფარგლებში მიყენებული ზიანი მართლსაწინააღმდეგოდ არ ჩაითვლება და პასუხიმგებლობა 992-ე მუხლის საფუძველზე არ დადგება.

2. აუცილებელი მოგერიება და თვითდახმარება

4 უკიდურესი აუცილებლობა უნდა გაიმიჯნოს აუცილებელი მოგერიებისა და თვითდახმარებისაგან. ცალკეულ შემთხვევაში უკიდურესი აუცილებლობის შემადგენლობა იმავდროულად ფარავს 970 II და 1001 მუხლების წინაპირობებს, რომელთათვისაც განსხვავებული სამართლებრივი შედეგია გათვალისწინებული. ნორმათა კონკურენციის საკითხი ცალკეული შემთხვევის გათვალისწინებით უნდა გადაწყდეს.

III. შედარებით-სამართლებრივი კონტექსტი (უკიდურესი აუცილებლობის მოწესრიგება გერმანულ სამართალში)

5 გერმანულ სამართალში უკიდურესი აუცილებლობის მოწესრიგებისას როგორც სისტემურად, ასევე სამართლებრივი შედეგის თვალსაზრისით, იმიჯნება ორი შემადგენლობა: პირველი მოწესრიგებულია ზოგად ნაწილში, როგორც პასუხისმგებლობის გამომრიცხავი შემადგენლობა, როდესაც ზიანდება უშუალოდ საფრთხის გამომწვევი ნივთი; მეორე შემთხვევა გათვალისწინებულია სანივთო სამართალში და ეხება ნებისმიერი წყაროდან მომდინარე საფრთხეს.[5] პირველ შემთხვევაში ხელმყოფი, როგორც წესი, არ აგებს პასუხს მიყენებული ზიანისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მან თავად გამოიწვია საფრთხე; მეორე შემთხვევაში კი სწორედ ხელმყოფია პასუხისმგებელი მიყენებული ზიანისათვის, იმის მიუხედავად, რომ ის არ მოქმედებს მართლსაწინააღმდეგოდ და ბრალეულად. ამ შემთხვევაში ხელმყოფს რეგრესის წესით წარმოეშობა , ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა მესამე პირის მიმართ.

3 მაგ., დაზარალებულის თხოვნა ან ნებართვა, თუ ეს უკანასკნელი არ ეწინააღმდეგება კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს. შდრ. *ჩიკვაშვილი,* სკ-ის კომენტარი, წიგნი IV, ტ. 2, გვ. 383.

4 MüKo/*Wagner,* BGB, 5. Aufl., § 823, Rn. 14, შდრ. ასევე *Dresenkamp,* „Das war's mit dem Smart", JA 2012, S527-534, S. 533.

5 *Lemke,* BGB Kommentar, 2006, § 904, Rn. 1 ff.; შესაბამისად, გერმანულ დოქტრინაში გამიჯნულია ე.წ. „დაცვითი" და „ხელმყოფი" უკიდურესი აუცილებლობა: MüKo/*Säcker,* BGB, 5. Aufl., Rn. 1.

1. უკიდურესი აუცილებლობისას პასუხისმგებლობის გამომრიცხავი შემადგენლობა

6 სამოქალაქო კოდექსის მსგავსად, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის ზოგად ნაწილში გათვალისწინებულია თვითდახმარების, აუცილებელი მოგერიებისა და უკიდურესი აუცილებლობის ვითარებაში მიყენებული ზიანის შემადგენლობები.[6] ამასთან, გერმანელი კანონმდებელი თანმიმდევრულია და თითოეულ შემადგენლობაში პირდაპირ მიუთითებს მათზე, როგორც მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავ გარემოებებზე.

გერმანული მიდგომისაგან განსხვავებით, ქართული მოწესრიგება (აუცილებელი მოგერიებისა და თვითდახმარებისაგან განსხვავებით) მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავ გარემოებად პირდაპირ არ უთითებს უკიდურეს აუცილებლობას. გარდა ამისა, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 228-ე პარაგრაფითა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 117-ე მუხლით მოწესრიგებულ უკიდურესი აუცილებლობის შემადგენლობებს შორის დამატებით განმასხვავებელი ელემენტებიც შეინიშნება.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 228-ე პარაგრაფის თანახმად, პირი, რომელიც სხვა პირის ნივთს დააზიანებს ან გაანადგურებს იმ მიზნით, რომ მისგან მომავალი საფრთხე აიცილოს თავიდან ან ააცილოს სხვას, არ მოქმედებს მართლსაწინააღმდეგოდ იმ შემთხვევაში, თუ დაზიანება ან განადგურება საფრთხის თავიდან ასაცილებლად აუცილებელი და თანაზომიერია. ხელმყოფი არ თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუ მას თავად მიუძღვის ბრალი საფრთხის წარმოშობაში.[7]

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 228-ე პარაგრაფი 117-ე მუხლის მსგავს უკიდურესი აუცილებლობის შემადგენლობის ანალოგიურ წინაპირობებს ითვალისწინებს. კერძოდ, ზიანის მიყენება უნდა იყოს მიმართული საფრთხის თავიდან აცილებისაკენ, ხელყოფა უნდა იყოს აუცილებელი, ყველაზე მსუბუქი და თანაზომიერი საშუალება.[8]

თუმცა გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 228-ე პარაგრაფი, 117-ე მუხლისაგან განსხვავებით, ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევაზე, როდესაც ხელმყოფის ჩარევის შედეგად ზიანდება ნივთი, რომლისგანაც მომდინარეობს საფრთხე.[9] ხელმყოფი პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან თავად ბრალეულად გამოიწვია ეს საფრთხე.[10] მნიშვნელოვანია, რომ უკიდურესი აუცილებლობის მოწესრიგება გერმანიის სამოქალაქო კოდექსში მხოლოდ ამ შემადგენლობით არ შემოიფარგლება.

6 BGB § 227, 228, 229.

7 § 228 BGB „Wer eine fremde Sache beschädigt oder zerstört, um eine durch sie drohende Gefahr von sich oder einem anderen abzuwenden, handelt nicht widerrechtlich, wenn die Beschädigung oder die Zerstörung zur Abwendung der Gefahr erforderlich ist und der Schaden nicht außer Verhältnis zu der Gefahr steht. Hat der Handelnde die Gefahr verschuldet, so ist er zum Schadensersatz verpflichtet."

8 *Heinrichs,* in Palandt BGB Komm, 67. Aufl., § 228, Rn. 7 f.

9 *Medicus,* AT, 9. Aufl., Rn. 162 ff.

10 ამის მაგალითია ხელმყოფის მიერ ძაღლის პროვოცირება, რომლიც შემდგომ თავს ესხმის ხელმყოფს ან სხვას, ძაღლს კი აყენებენ ზიანს მისგან მომდინარე საფრთხის თავიდან ასაცილებლად. შდრ. *Tuhr*, Der Notstand im Zivilrecht, 1988, S. 55.

2. უკიდურესი აუცილებლობისას ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის სპეციალური შემადგენლობა

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 904-ე პარაგრაფის თანახმად, მესაკუთრე ვალდებულია, დაუშვას და ითმინოს თავის საკუთრებაში ჩარევა, თუ ხელმყოფის მოქმედება (ხელყოფა) რეალური საფრთხის თავიდან აცილებისკენაა მიმართული. თმენის ვალდებულება მესაკუთრეს ეკისრება, თუ მიყენებული ზიანი არსებულ საფრთხესთან მიმართებით თანაზომიერია.[11] **7**

საგულისხმოა გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 904-ე პარაგრაფის მე-2 წინადადება, რომლის თანახმად, მესაკუთრე უფლებამოსილია, მოითხოვოს ხელყოფით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. შესაბამისად, ხელმყოფის მიერ ზიანის მიყენება მართლზომიერია, თუმცა გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, 117-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების მსგავსად, მაინც წარმოიშობა.[12]

ეს შემადგენლობა ადგენს დელიქტის სპეციალურ, ბრალის გარეშე პასუხისმგებლობას,[13] რომლის დროსაც პირი ვალდებულია აანაზღაუროს მიყენებული ზიანი, თუ მან ნებითა და შეგნებით მიაყენა სხვას ზიანი (ან დაუშვა ზიანის დადგომა) რეალური საფრთხის თავიდან ასაცილებლად[14] (უნებლიე ან შემთხვევითი ზიანის მიყენება აღნიშნული ნორმის მოწესრიგების ფარგლებს სცდება და მისი შეფასება ზოგადი წესებით ხდება).[15] გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 904-ე პარაგრაფის თანახმად, ხელმყოფის პასუხისმგებლობა დელიქტის ზოგადი შემადგენლობის საფუძველზე გამოირიცხება მართლწინააღმდეგობის არარსებობის გამო, თუმცა ზიანის ანაზღაურების ვალდებულება სპეციალური შემადგენლობის საფუძველზე მაინც დგება[16]. ეს წესი არ გავრცელდება შემთხვევაზე, თუ ზიანი დადგებოდა ხელმყოფის ქმედების მიუხედავად.[17]

3. ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირი

ბუნდოვანია, გერმანული მოწესრიგების მიხედვით, ვინ არის ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელი პირი. ამ საკითხზე არსებობს წინააღმდეგობრივი და ფართო დისკუსია გერმანულ დოქტრინაში. ფართოდ გავრცელებული მოსაზრების თანახმად, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ხელმყოფის მიმართ წარმოიშობა, მიუხედავად იმისა, ხელმყოფის ქმედებით სარგებელი **8**

11 თანაზომიერებასა და ინტერესთა შეფასებასთან დაკავშირებით შდრ. *Heck,* Problem der Rechtsgewinnung S. 50, 72; ასევე MüKo*/Ernst,* BGB, 5. Aufl., Band 2, § 281, Rn. 57.

12 MüKo*/Säcker,* BGB, 5. Aufl., § 904, Rn. 1 ff.

13 *Schulze,* BGB-HK, §904 Notstand, Rn. 2.

14 BGH, Umfang des Ersatzanspruches aus Notstand, NJW, 1985, 490-491

15 *Bassenge,* in Palandt BGB Komm, 67. Aufl., § 904, Rn. 3.

16 ნორმის შემადგენლობის წინაპირობებია: პირი უნდა აყენებდეს სხვის საკუთრებას ზიანს საფრთხის თავიდან ასაცილებლად; ხელყოფა არ უნდა სცდებოდეს საფრთხესთან მიმართებით თანაზომიერების ფარგლებს. უნდა არსებობდეს ხელყოფასა და ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირი.

17 *Fritzsche,* in Beck OK BGB, § 904, Rn. 16 ff.

მიიღო მესამე პირმა თუ თავად ხელმყოფმა. თუმცა ამ უკანასკნელს წარმოეშობა რეგრესის წესით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება იმ პირისაგან, ვის ინტერესებშიც იგი მოქმედებდა ხელშეკრულების, დავალების გარეშე სხვისი საქმის შესრულების თუ სხვა სამართლებრივი საფუძვლით.[18]

9 შესაბამისად, 117-ე მუხლის ფორმულირებისაგან განსხვავებით, გერმანული სამართალი ცალსახად უპირატესობას ანიჭებს დაზარალებულის მიერ მოთხოვნის დაყენებას ხელმყოფის მიმართ და მასთან თანაბარ საფეხურზე არ აყენებს მესამე პირს. თუმცა განიხილება მესამე პირის მიმართ მოთხოვნის დაყენების შესაძლებლობაც.[19] მესაკუთრეს შეიძლება ჰქონდეს მესამე პირისაგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება გამონაკლის შემთხვევაში, თუ ხელმყოფი უშუალოდ მესამე პირის მითითების საფუძველზე მოქმედებდა[20] და ეს შეცნობადია.[21]

10 არსებობს მოსაზრება, რომ, ვინაიდან ხელმყოფი არის პირი, რომელსაც უშუალო ურთიერთობა აქვს მესაკუთრესთან, მხოლოდ ის უნდა იყოს პასუხისმგებელი.[22] ასეთი მიდგომა არ არის გასაზიარებელი. უდავოა, რომ მესაკუთრეს არ უნდა დააწვეს ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის ძიების არათანაზომიერი ტვირთი. თუმცა სასურველია, მესამე პირთა მიმართ მოთხოვნის წარდგენის შესაძლებლობაც არსებობდეს, თუ ამ პირის იდენტიფიცირება დაზარალებულისათვის სირთულეს არ ქმნის და ეს მის ინტერესს შეესაბამება.

11 მესაკუთრე, გერმანული დოქტრინის თანახმად, კარგავს მოთხოვნის უფლებას, თუ მან თავად შექმნა საფრთხე.[23] ანალოგიურად უნდა მოხდეს მსგავსი შემთხვევის შეფასება სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული შერეული ბრალის წესების გამოყენებით.[24]

IV. უკიდურესი აუცილებლობის შემადგენლობა

1. ზოგადი დებულებები

12 117-ე აწესრიგებს უკიდურესი აუცილებლობის ფარგლებში მიყენებული ზიანის ანაზღაურების შემთხვევას. მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, უკიდურესი აუცილებლობის ფარგლებში მოქმედებად ითვლება ზიანის მიყენება იმ საფრთხის თავიდან ასაცილებლად, რომელიც მოცემულ გარემოებაში არ შეიძლებოდა თავიდან აცდენილიყო სხვა საშუალებით, თუ მიყენებული ზიანი აცდენილ ზიანზე ნაკლებმნიშვნელოვანია.

18 *Lemke,* BGB Kommentar, 2006, § 904, Rn. 19.
19 *Bassenge,* in Palandt BGB Komm, 67. Aufl., § 904, Rn. 5; *Lemke,* BGB Kommentar 2006, § 904, Rn. 19.
20 *Bassenge*, in Palandt BGB Komm, 67. Aufl.,§ 904, Rn. 5; *Schulze,* BGB-HK, §904, Rn. 6 f.
21 MüKo/*Säcker,* BGB, 5. Aufl., § 904, Rn. 13 ff.; *Schulze,* BGB-HK, §904, Rn. 4.
22 *Berger/Jauernig,* BGB Kommentar, 14. Aufl., 2011, § 904, Rn. 5; Sdr. ასევე MüKo/*Säcker,* BGB, 5. Aufl., § 904, Rn. 17 ff.
23 იხ. იქვე Rn. 20.
24 შდრ. მუხ. 415, 998.

შესაბამისად, უკიდურესი აუცილებლობის ფარგლებში მოქმედებს პირი, თუ:

ა) პირი სხვა პირს შეგნებულად აყენებს ზიანს

პირს გააზრებული უნდა ჰქონდეს, რომ სურს და განზრახ აყენებს სხვას ზიანს, ან სულ მცირე, შეგნებულად უშვებს ზიანის დადგომას სხვა სამართლებრივი სიკეთის გადასარჩენად; შემთხვევითი ზიანი ასეთად არ უნდა ჩაითვალოს.[25] გასათვალისწინებელია ასევე, რომ ხელმყოფის მხრიდან სხვა პირისათვის ზიანის მიყენება მოქმედებაში გამოიხატება. „გაუცნობიერებელი და რეფლექსური ქცევა მოქმედებად არ მიიჩნევა."[26] **13**

ბ) ზიანის მიყენება მიმართულია საფრთხის თავიდან ასაცილებლად

ზიანის მიყენება მიმართულია საფრთხის თავიდან ასაცილებლად (ამასთან, საფრთხე შესაძლოა მომდინარეობდეს როგორც უშუალოდ ნივთებისაგან ადამიანის ზემოქმედების გარეშე, ასევე ბუნებრივი მოვლენებისა და ადამიანებისაგან);[27] აქ გასათვალისწინებელია ფორმულირება, რომლის მიხედვით გამართლებულად ჩაითვლება ზიანის მიყენება, რომელიც მიმართულია საფრთხის თავიდან აცილებისკენ, მიუხედავად იმისა, მოხდება თუ არა საფრთხის აცილება. **14**

გ) საფრთხის რეალურობა

საფრთხე რეალურია, თუ არსებობს მისი დადგომის მაღალი ალბათობა[28] (შეუძლებელი უნდა იყოს მისი თავიდან აცილება ხელმყოფის ჩარევის გარეშე);[29] **15**

საფრთხე რეალურია, თუ ზიანის წარმოშობის საფრთხის შემცველი გარემოების გათვალისწინებით მყისიერი ჩარევა აუცილებელია.[30] ზიანის დადგომის საფრთხე დაცული სამართლებრივი სიკეთის მიმართ მაღალი ალბათობით უნდა არსებობდეს.[31]

დ) ზიანის მიყენების აუცილებლობა

ზიანის მიყენება გამართლებულია, თუ ზიანის მიყენება აუცილებელია, **16**

25 MüKo/*Säcker,* BGB, 5. Aufl., § 904, Rn. 7.

26 შდრ. *ბიოლინგი/ლუტრინგჰაუსი*, სკ-ის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, გვ. 55-56.

27 *Lemke,* BGB Kommentar, 2006, S. 904, Rn. 5. ეს მიდგომა ნაწილობრივ (მხოლოდ ნივთებთან მიმართებით) გაზიარებულია ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში. იხ. *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 114.

28 *Heinrichs*, in Palandt BGB Komm, 67. Aufl.,§ 280, Rn. 4.

29 *Jauernig,* BGB Kommentar, 14. Aufl., 2011, § 904, Rn. 3.

30 MüKo/*Säcker,* BGB, 5. Aufl., § 904, Rn 4.

31 MüKo/*Säcker,* BGB, 5. Aufl., § 904, Rn 5.

გამოყენებული საშუალება კი შესაბამისი (კერძოდ, თანაზომიერების პრინციპის გათვალისწინებით, არ უნდა არსებობდეს უფრო მსუბუქი საშუალება, რომელიც საფრთხის თავიდან აცილებას უზრუნველყოფდა);

აღნიშნული წინაპირობის შეფასება ობიექტური თვალსაწიერიდან უნდა მოხდეს. ხელმყოფმა უნდა გამოიყენოს საშუალება, რომელიც არსებულთაგან ყველაზე ნაკლებად დაამძიმებს უფლებამოსილი პირის მდგომარეობას და ამასთანავე, ხელმყოფისაგან სავარაუდოა (შეიძლება მოეთხოვოს).[32] მაგალითად, თუ სატელეფონო ზარის განხორციელებით შესაძლებელია დახმარების გამოძახება და მოსალოდნელია, რომ დახმარება დროულად მოასწრებს ადგილზე, ხელყოფა გაუმართლებელი იქნება.[33]

ე) აცდენილი ზიანი მიყენებულზე ნაკლებმნიშვნელოვანია

17 ზიანი უნდა შეფასდეს ინტერესების შეპირისპირების საფუძველზე, მიყენებული ზიანი არ უნდა იყოს საფრთხესთან შედარებით არათანაზომიერი.[34] ამასთან, ღირებულებათა შეფასება გულისხმობს უმთავრესად არა სამართლებრივ სიკეთეთა მატერიალური ღირებულების, არამედ მათი მნიშვნელობის შეფასებას. მაგალითად, ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა ყოველთვის უფრო მნიშვნელოვან ღირებულებად ჩაითვლება ნებისმიერ მატერიალურ სიკეთესთან შედარებით.[35]

თუ სახეზეა ორი მატერიალური ღირებულების მქონე სიკეთე, ასეთ შემთხვევაში მისი ფულადი ღირებულებაა მნიშვნელოვანი. გერმანული დოქტრინის თანახმად, თანაზომიერია ხელყოფა, თუ დაცული სიკეთის ღირებულება 50%-ით მაინც აღემატება ხელყოფის შედეგად მიყენებულ ზიანს. თუმცა განსხვავებულია მიდგომა გერმანულ სამართალში ცხოველებთან დაკავშირებით. კერძოდ, ცხოველის დაცვის მიზნით განხორციელებული ხელყოფა გამართლებულია, თუ მისი ღირებულება არ აღემატება მიყენებულ ზიანს[36] და, პირიქით, ცხოველისათვის ზიანის მიყენება გამართლებულია, თუ გადარჩენილი სიკეთე არსებითად მნიშვნელოვანი ღირებულებისაა.[37]

თუ უკიდურესი აუცილებლობის დასახელებული წინაპირობები სახეზეა, ხელყოფა მართლზომიერად უნდა ჩაითვალოს.[38]

2. მართლზომიერება

18 უკიდურესი აუცილებლობის შემადგენლობაზე მსჯელობისას განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მართლწინააღმდეგობა, როგორც

32 *Fritsche,* in Beck OK, BGB, 28. Aufl.,§ 904, Rn. 13.

33 იქვე.

34 BGH NJW 1957, 1273, 1277; BGH, Urteil vom 26. 10. 1951 - I ZR 8/51 (Hamm), NJW 1952, 660 f.

35 *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 113; MüKo*/Säcker,* BGB, 6. Aufl., § 904, Rn.10

36 MüKo*/Säcker,* BGB, 6. Aufl., § 904, Rn. 11, 12.

37 *Tuhr,* Der Notstand im Zivilrecht, 1988, S. 54

38 MüKo*/Säcker,* BGB, 6. Aufl., § 904, Rn. 13.

992-ე მუხლით დადგენილი პასუხისმგებლობის წარმოშობის აუცილებელი წინაპირობა. მართლწინააღმდეგობის განმარტება სამოქალაქო სამართალში შესაძლოა განსხვავდებოდეს სისხლისსამართლებრივი დეფინიციისაგან. გერმანულ დოქტრინაში წამოჭრილია მართლწინააღმდეგობის დამდგარ შედეგთან და არა ხელმყოფის ქმედებასთან მიმართებით შემოწმების მიზანშეწონილობის საკითხი.[39] ეს მოსაზრება გასაზიარებელია. ასეთი მიდგომა აიხსნება იმ გარემოებით, რომ ზიანის მიყენების ზოგ შემთხვევაში ხელმყოფის ქმედებაში არ იკვეთება მართლწინააღმდეგობის ნიშნები (იგი შესაძლოა, არ ეწინააღმდეგებოდეს სამართლებრივი წესრიგით დადგენილ ქცევის წესებს), თუმცა შედეგად იწვევს სამართლებრივი სიკეთის გაუმართლებელ ხელყოფას, რაც არ არის მართლზომიერი (გამართლებული) კანონის ან ხელშეკრულების საფუძველზე.[40]

დოქტრინაში მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავ გარემოებებად მიიჩნევა: აუცილებელი მოგერიება, უკიდურესი აუცილებლობა, თვითდახმარება, დავალების გარეშე სხვისი საქმის შესრულება (მხოლოდ შიდა ურთიერთობაში და არა მესამე პირებთან მიმართებით) და კანონითა თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი სხვა სამართლებრივი საფუძველი,[41] რომელიც ზიანის მიყენებას ამართლებს.[42]

საყურადღებოა, რომ 117-ე მუხლი, სამართლის სხვა დარგების მსგავსი შემადგენლობებისაგან განსხვავებით,[43] არ მიუთითებს, რომ უკიდურესი აუცილებლობის ფარგლებში მიყენებული ზიანი მართლსაწინააღმდეგოდ არ ითვლება. შესაბამისად, დასაფიქრებელია: უკიდურესი აუცილებლობის ფარგლებში მიყენებული ზიანი არ უნდა იქნეს მიჩნეული მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებად, თუ მართლწინააღმდეგობის გამორიცხვის არარსებობა კანონმდებლის განზრახვის გარეშე დაშვებულ ხარვეზად უნდა ჩაითვალოს. 19

117 I მუხლის სიტყვასიტყვითი განმარტებით, არ არსებობს პირდაპირი მითითება, რომ უკიდურესი აუცილებლობის ფარგლებში მიყენებული ზიანის შემთხვევა მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავ გარემოებად ჩაითვალოს.

მიუხედავად ამისა, სისტემური განმარტება ტელეოლოგიური განმარტებით მიღებულ შედეგს ადასტურებს.[44] თუ სადავო ნორმა განიმარტება არა დამოუკიდებლად, არამედ სამართლის სისტემაში მისი ადგილის გათ-

39 *Sprau,* in Palandt BGB Komm, 67. Aufl., § 823, Rn. 24 f.; MüKo*/Wagner/Brüggemeier/Jansen,* BGB, 5. Aufl., 2009, § 823, Rn. 11 f.

40 *Sprau,* in Palandt BGB Komm, 67. Aufl., § 823, Rn. 23 ff.

41 მაგ., დაზარალებულის თხოვნა ან ნებართვა, თუ ეს უკანასკნელი არ ეწინააღმდეგება კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს. შდრ. *ჩიკვაშვილი*, სკ-ის კომენტარი. წიგნი IV, ტ. 2, მუხ. 992, გვ. 383.

42 MüKo*/Wagner,* BGB, 5. Aufl., § 823, Rn. 14; შდრ. ასევე *Riehm,* „Das war's mit dem Smart", JA 2012, S. 533.

43 შდრ. სისხლის სამართლის კოდექსის მუხ. 30 და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მუხ. 18, რომლებშიც უკიდურესი აუცილებლობის ფარგლებში მიყენებული ზიანი არ ითვლება მართლსაწინააღმდეგოდ.

44 *ბიოლინგი/ლუტრინგჰაუსი,* სკ-ის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, გვ. 57.

ვალისწინებით, მხედველობაშია მისაღები როგორც შესაბამისი კარის შინაარსი, ისე უშუალოდ ამ ნორმის წინა და შემდგომი ნორმების ლოგიკური ურთიერთკავშირი.[45] 116-ე აწესრიგებს აუცილებელი მოგერიების, ხოლო 118-ე თვითდახმარების ფარგლებში ზიანის მიყენების შემთხვევას. ამ შემადგენლობებს საერთო აქვთ კანონმდებლის პირდაპირი მითითება, რომ მიყენებული ზიანი მართლსაწინააღმდეგოდ არ უნდა ჩაითვალოს.

თუ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევა მოქცეულია ორ ნორმას შორის, რომლებიც პირდაპირ გამორიცხავენ მართლწინააღმდეგობას, დასაშვებია კანონმდებლის ნება უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევასთან მიმართებითაც ანალოგიური იყოს. ასეთ შემთხვევაში, მოწესრიგების სავარაუდო მიზნის გათვალისწინებით, დასტურდება, რომ კანონმდებლის მიერ დაშვებულია უნებლიე ხარვეზი[46]. შესაბამისად, ზიანის მიყენება უკიდურესი აუცილებლობის ფარგლებში მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავ გარემოებად უნდა იქნეს მიჩნეული.[47] სხვაგვარად, უკიდურესი აუცილებლობის მოწესრიგება მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავ შემადგენლობათა შორის აუხსნელი და სისტემურად გაუმართლებელია.

117-ე მუხლით გათვალისწინებული უკიდურესი აუცილებლობა 992-ე მუხლის შემადგენლობაში მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავ გარემოებად უნდა იქნეს მიჩნეული.[48] შესაბამისად, ასეთი გარემოებების არსებობისას ხელმყოფის პასუხისმგებლობა 992-ე მუხლით უნდა გამოირიცხოს.

V. პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოებები

20 117 I მუხლი ადგენს ხელმყოფის პასუხისმგებლობას მიყენებული ზიანისათვის. ამავე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს პასუხისმგებლობის მესამე პირზე დაკისრების შესაძლებლობასაც, თუმცა იქვე ადგენს გამონაკლისს. როგორც ხელმყოფი, ასევე მესამე პირი შესაძლოა სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლდნენ ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან ცალკეულ ფაქტობრივ გარემოებათა გათვალისწინებით, რომლებშიც მიყენებული იყო ზიანი.

დასაფიქრებელია, რა გარემოებების გათვალისწინებით უნდა მოხდეს პასუხისმგებლობის დაკისრება მესამე პირზე ან ხელმყოფისა თუ მესამე პირის სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლება პასუხისმგებლობისაგან.

1. გარემოებები, რომლებიც პასუხისმგებლობას ამცირებს ან გამორიცხავს

21 გარემოებები, რომლებიც პასუხისმგებლობას ამცირებს ან გამორიცხ-

45 *Huber,* Irrtumsanfechtung und Sachmängelhaftung, S. 191; *Heinrichs,* in Palandt BGB Komm, 67. Aufl., Einleitung, Rn. 42.

46 უნებლიე ხარვეზთან დაკავშირებით იხ. *Brandenburg,* Die teleologische Reduktion, S. 30; *Heinrichs,* in Palandt BGB Komm, 67. Aufl., Einleitung, Rn. 48.

47 *ჯორბენაძე,* სკ-ის კომენტარები, წიგნი I, 2002, გვ. 303; შდრ. ასევე, *Medicus,* BGB AT, 9. Aufl., Rn. 162 ff.

48 *ჯორბენაძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 177, გვ. 303.

ავს, 117-ე მუხლით არ დგინდება. შესაბამისად, სასამართლომ ყოველი კონკრეტული შემთხვევის თავისებურების გათვალისწინებით უნდა შეაფასოს არსებულ ფაქტობრივ გარემოებებსა და კერძო სამართლის ძირითად პრინციპებზე დაყრნობით.

ასე მაგალითად, სამსჯელოა, გამორიცხავს თუ არა 1001-ე მუხლის შემადგენლობა ხელმყოფის ან მესამე პირის მიმართ 117-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნას. 1001-ე მუხლის თანახმად, ხანძრის ჩაქრობის, მეზობელ ბინებსა და ნაგებობებზე მისი გავრცელების თავიდან აცილების დროს სხვა პირებისათვის მიყენებული ზიანი უნდა აანაზღაუროს იმ პირმა, რომელსაც ბრალი მიუძღვის ხანძრის გაჩენაში. შესაბამისად, ხელმყოფი ან მესამე პირი შესაძლოა გათავისუფლდეს 117-ე მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან. 1001-ე მუხლის სპეციალური მოწესრიგების საფუძველზე ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება, თუ დადგინდა პირი, რომელსაც ბრალი მიუძღვის ხანძრის გაჩენაში. ასეთი პირის არარსებობის ან მის მიერ ხანძრის ბრალის გარეშე გამოწვევის შემთხვევაში, პასუხისმგებლობის გამორიცხვა ვერ მოხდება.[49]

ხელმყოფისა თუ მესამე პირის პასუხისმგებლობის სრულად თუ ნაწილობრივ გამორიცხვის დროს სასამართლომ შესაძლოა იხელმძღვანელოს შერეული ბრალის მომწესრიგებელი ნორმებით (415, 998). ეს მხარეთა ინტერესების დაბალანსებას შეუწყობს ხელს და გამორიცხავს ხელმყოფის პასუხისმგებლობას, მაგალითად, როდესაც დაზარალებული თავად არის პასუხისმგებელი საფრთხის წარმოშობაზე.

2. ნივთიდან მომდინარე საფრთხე, როგორც პასუხისმგებლობის გამომრიცხავი უდავო გარემოება

117 II მუხლით, პასუხისმგებლობა უდავოდ უნდა გამოირიცხოს, თუ ხელყოფა განხორციელდა იმ ნივთზე, რომლისგანაც მომდინარეობდა საფრთხე; მაგალითად, თუ პირი ცხოველის თავდასხმის მოგერიების მიზნით ცხოველს მიაყენებს ზიანს.[50] **22**

ასეთ შემთხვევაში ხელმყოფის პასუხისმგებლობის საკითხი მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა დადგეს, თუ საფრთხე მან თავად გამოიწვია;

3. საფრთხის შემქმნელი პირისა და დაზარალებულის თანხვედრა

ხელმყოფი უნდა გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისაგან იმ შემთხვევაშიც, თუ დაზარალებული იმავდროულად მესამე პირია, რომელმაც თავად შექმნა საფრთხე,[51] ან, რომლის ინტერესებშიც მოქმედებდა ხელმყოფი.[52] **23**

49 *ბიოლინგი/ლუტრინგჰაუსი,* სკ-ის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, 2009, 132.

50 *Tuhr,* Der Notstand im Zivilrecht, 1988, S. 53.

51 დაზარალებულის ბრალთან დაკავშირებით შდრ. მუხ. 415 და 998.

52 მოთხოვნას გამორიცხავს, მაგ., მუხ. 970 II, როდესაც პირი, რომლის ინტერესებშიც მოქმედებს ხელმყოფი, თავადაა საფრთხის შემქმნელ პირთან ერთად ხელმყოფის მიმართ ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირი.

4. სხვა საფუძვლები

24 ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ უნდა დაეკისროს ასევე ხელმყოფსა და მესამე პირს, თუ ზიანი დადგებოდა ხელმყოფის ჩარევის მიუხედავად.[53]

ხელმყოფის მიმართ დაზარალებულის მოთხოვნა შესაძლოა გამოირიცხოს, თუ იდენტიფიცირებულია საფრთხის გამომწვევი ან ის პირი, რომლის ინტერესებშიც ხელმყოფი მოქმედებდა, მათ მიმართ მოთხოვნა წარდგენილია სოლიდარულად ხელმყოფთან ერთად ან ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით უდავოა, რომ ხელმყოფს პასუხისმგებლობის მასზე დაკისრების შემთხვევაში წარმოეშობა ზიანის ანაზღაურების რეგრესული მოთხოვნა მესამე პირთა მიმართ;

ამგვარად, 117 II მუხლის შეფარდება დამოკიდებულია როგორც სასამართლოს ფართო განმარტების შესაძლებლობაზე, ისე მოსარჩელის ნებაზე.[54]

VI. უკიდურესი აუცილებლობის ფარგლებში ზიანის მიყენების სამართლებრივი შედეგები

25 უკიდურესი აუცილებლობის ფარგლებში მიყენებული ზიანის შემთხვევაში, პირველ რიგში, უნდა გაიმიჯნოს: თუ ზიანდება ნივთი, რომლიდანაც უშუალოდ მომდინარეობდა საფრთხე, ანაზღაურების ვალდებულება ხელმყოფს, როგორც წესი, არ უნდა დაეკისროს.

ხოლო თუ ზიანდება მესამე პირის ქონება, მიყენებული ზიანი, როგორც წესი, ანაზღაურებას დაექვემდებარება.[55]

უკიდურესი აუცილებლობის დროს სახეზეა მართლზომიერი ინტერესების კოლიზია,[56] როდესაც პირს აქვს უფლება, ზიანი მიაყენოს მესამე პირის სიკეთეს.[57] მართლწინააღმდეგობის არარსებობის გამო, მართალია, ხელმყოფი თავისუფლდება 992-ე მუხლით დადგენილი პასუხისმგებლობისაგან, თუმცა უკიდურესი აუცილებლობის მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავ გარემოებად განხილვა არ ათავისუფლებს ხელმყოფს პასუხისმგებლობისაგან.[58]

1. 117-ე მუხლის შესაბამისად

26 117 I მუხლის ბოლო წინადადება ადგენს, რომ უკიდურესი აუცილებლობის ფარგლებში მოქმედი პირი (ხელმყოფი) პასუხს აგებს მიყენებული ზიან-

53 *Fritzsche,* in BeckOK BGB, 28. Aufl., 2013, § 904, Rn. 16 ff.

54 შდრ. *ბიოლინგი/ლუტრინგჰაუსი,* სკ-ის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, 2009, გვ. 132.

55 *Tuhr,* Der Notstand im Zivilrecht, 1988, S. 55-57

56 *ჯორბენაძე,* სკ-ის კომენტარები, წიგნი I, 2002, 303.

57 *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 113.

58 ლოგიკურია, რომ, თუ პირი საკუთარი ან სხვა პირი სამართლებრივი სიკეთის გადარჩენის მიზნით მესამე პირის სამართლებრივ სიკეთეს აყენებს ზიანს, მესამე პირმა არ უნდა ზიდოს აღნიშნული ქმედებით გამოწვეული ტვირთი; *Tuhr,* Der Notstand im Zivilrecht, 1988, S. 57.

ისათვის. თუმცა ზიანის ანაზღაურების საკითხებს შემდგომ აზუსტებს ამავე მუხლის მე-2 ნაწილი და, შესაბამისად, იგი ამ ნაწილთან ურთიერთკავშირში უნდა განიმარტოს. 117 II მუხლის თანახმად, ზიანის ოდენობა და ზიანზე პასუხისმგებელი პირი უნდა განისაზღვროს იმ ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, რომლებშიც მიყენებული იყო ზიანი. ამ გარემოებათა გათვალისწინებით ზიანის ანაზღაურება შესაძლოა დაეკისროს როგორც ხელმყოფს, ასევე მესამე პირს, რომლის ინტერესებშიც მოქმედებდა ზიანის მიმყენებელი. ამასთან, მუხლის ბოლო წინადადების თანახმად, როგორც ხელმყოფი, ასევე მესამე პირი, შესაძლოა, მთლიანად ან ნაწილობრივ განთავისუფლდეს ზიანის ანაზღაურებისაგან.

ხელმყოფი, 117 I მუხლის ბოლო წინადადების თანახმად, როგორც წესი, პასუხისმგებელია უკიდურესი აუცილებლობის ფარგლებში შეგნებულად მიყენებული ზიანისათვის, მართლწინააღმდეგობისა და ბრალის მიუხედავად.[59] უკიდურესი აუცილებლობის ფარგლებში მოქმედება მას ანიჭებს უფლებას, რეგრესის წესით მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება საფრთხის შემქმნელი პირისაგან ან იმ პირისაგან, რომლის ინტერესებშიც მოქმედებდა იგი.

2. 117-ე მუხლი, როგორც მოთხოვნის დამოუკიდებელი საფუძველი მესამე პირთა მიმართ

117 II მუხლი განიხილება მესამე პირთა მიმართ მოთხოვნის დამოუკიდებელ სამართლებრივ საფუძვლად.[60] შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს, ვინ არის მესამე პირი, რომლის ინტერესებშიც მოქმედებს ხელმყოფი. **27**

მესამე პირის სტატუსის განმარტება შესაძლოა მოხდეს ვიწრო და ფართო გაგებით.

ვიწრო გაგებით ნორმის განმარტებისას მესამე პირად (რომლის ინტერესებშიც მოქმედებდა ხელმყოფი) განიხილება პირები, რომელთა სამართლებრივ სიკეთეს უშუალოდ ემუქრებოდა საფრთხე და რომელთა გადარჩენასაც ემსახურებოდა ხელყოფა.

ფართოდ განმარტებისას შესაძლოა 117 II მუხლში მითითებული მესამე პირი 970 II მუხლით გათვალისწინებულ საფრთხის გამომწვევ პირსაც მოიცავდეს.[61]

59 *ბიოლინგი/ლუტრინგჰაუსი*, სკ-ის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, 2009, გვ. 56; იხ. ასევე *Lemke,* BGB Kommentar, 2006, § 904, Rn. 20.

60 *ბიოლინგი/ლუტრინგჰაუსი,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, 2009, 117.

61 ნორმის ფართო განმარტებასთან დაკავშირებით, „teleologische Extension" იხ. *Huber,* Irrtumsanfechtung und Sachmängelhaftung: eine Studie zur Konkurrenzfrage vor dem Hintergrund der internationalen Vereinheitlichung des Vertragsrechts, 2001, S. 193; შდრ. 970-ე II: „შემსრულებელს, რომელსაც ზიანი მიადგა იმ საფრთხის თავიდან აცილებისას, რომელიც რეალურად ემუქრებოდა სხვა პირს ან ქონებას, ხოლო საფრთხის თავიდან აცილება არ შეადგენდა შემსრულებლის სამართლებრივ მოვალეობას, უნდა აუნაზღაურდეს ზიანი იმ პირისაგან, რომელმაც შექმნა საფრთხე ან იმ პირისაგან, რომლის სიკეთის გადარჩენასაც შემსრულებელი ცდილობდა." საფრთხის გამომწვევი პირის პასუხისმგებლობას ითვალისწინებს ასევე 1001-ე მუხლი, რომელიც დელიქტის სპეციალურ შემადგენლობას ითვალისწინებს და ცალკეულ შემთხვევაში შესაძლოა უკიდურესი აუცილებლობის ფარგლებშიც მოექცეს"

ხელმყოფი უკიდურესი აუცილებლობისას მოქმედებს იმ პირების ინტერესებში, რომლებიც შესაძლოა დაზარალდნენ საფრთხის განხორციელების შედეგად. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ხელმყოფი, როგორც წესი, მოქმედებს ასევე იმ პირის ინტერესშიც, რომელმაც გამოიწვია საფრთხე. ხელმყოფის მიზანია, უფრო მცირე ზიანის მიყენებით აიცილოს მეტი მოცულობის ზიანი. ეს კი სწორედ საფრთხის გამომწვევის ინტერესებში შედის, ვინაიდან დიდი ალბათობით სწორედ მას, როგორც საფრთხის გამომწვევს, დაეკისრება პასუხისმგებლობა მესამე პირთა მიმართ.

შესაბამისად, საფრთხის გამომწვევი პირის არსებობისა და იდენტიფიცირების შემთხვევაში გამართლებული იქნება, უპირატესად, სწორედ მას დაეკისროს ზიანის ანაზღაურება. ხელმყოფისა და სხვა მესამე პირთა მიმართ, სასურველია, გავრცელდეს სუბსიდიარული პასუხისმგებლობის რეჟიმი. ასეთი მიდგომა გამართლებულია, ვინაიდან საფრთხის გამომწვევი უმეტეს შემთხვევაში არის ზიანის გამომწვევი ან, სულ მცირე, ხელშემწყობი პირი. შესაბამისად, პირდაპირი მოთხოვნა საფრთხის გამომწვევის მიმართ შესაძლოა დაეფუძნოს 117 II მუხლს.

117 II მუხლის გაგებით, საფრთხის გამომწვევ მესამე პირად უნდა ჩაითვალოს ასევე პირი, რომლის მიმართაც თვითდახმარებისა თუ აუცილებელი მოგერიების ფარგლებში მოქმედი ხელმყოფი იყენებს აუცილებელ ზომებს. 116-ე და 118-ე მუხლებით, ხელმყოფი თავისუფლდება მიყენებული ზიანის ანაზღაურებისაგან მხოლოდ შესაბამის ნორმაში გათვალისწინებულ პირთა (თავდამსხმელისა თუ ვალდებული პირის) მიმართ. იგი არ თავისუფლდება მესამე პირთათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებისაგან,[62] რაზეც ვრცელდება 117-ე მუხლის შემადგენლობა.[63]

მესამე პირის მიმართ დამოუკიდებელი მოთხოვნის წარდგენის შესაძლებლობის დაშვება გამართლებულია, თუ ეს მიდგომა არ ხელყოფს დაზარალებულის ინტერესებს[64] და ხელს უწყობს პროცესის ეკონომიურობის პრინციპის დაცვას. ამასთან, ხელმყოფის ან მესამე პირის პასუხისმგებლობის საკითხი შეიძლება დადგეს, თუ დაზარალებული წარადგენს მათ მიმართ მოთხოვნას.[65]

უკიდურესი აუცილებლობის ფარგლებში დაზარალებულმა თავად უნდა გააკეთოს არჩევანი, თუ ვის მიმართ დააყენებს მოთხოვნას: კერძოდ, პირდაპირ მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება ხელმყოფისაგან, ან პირისაგან, რომლის ინტერესშიც მოქმედებდა ხელმყოფი, თუ საფრთხის გამომწვევი პირისაგან.

62 შდრ. *Kesseler,* BGB Kommentar, 2006, 229, Rn. 2.

63 შდრ. *Kesseler,* BGB Kommentar, 2006, 227, Rn. 11. უკიდურესი აუცილებლობისა და აუცილებელი მოგერიების შემადგენლობათა გამიჯვნის მნიშვნელობაზე იხ. *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 114.

64 *Bassenge,* in Palandt BGB Komm, 67. *Aufl.*, § 904, Rn. 5, სოლიდარული პასუხისმგებლობის შემთხვევაში უნდა მოხდეს მუხ. 963, 976, ასევე მუხ. 415, 998 გამოყენება.

65 სისხლის სამართლის კოდექსის მუხ. 4, შეჯიბრებითობის პრინციპი; *Schneider,* Ueber richterliche Ermittlung und Feststellung des Sachverhalts im Civilprozesse, 1888, S. 18.

VII. საპროცესო-სამართლებრივი დატვირთვა

28 უკიდურესი აუცილებლობა, აუცილებელი მოგერიების მსგავსად, სასამართლოს მიერ შესამოწმებელი, უფლების განხორციელების დამაბრკოლებელი გარემოებაა.[66]

სამოქალაქო-საპროცესო სამართლის ზოგადი პრინციპის მიხედვით მტკიცების ტვირთი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომელიც შესაძლოა ხელმყოფის ან მესამე პირის პასუხისმგებლობას გამორიცხავდეს, იმ პირს ეკისრება, ვინც ამ ნორმის შესაბამის სამართლებრივ შედეგს ეყრდნობა.[67]

დაზარალებულმა უნდა დაამტკიცოს, რომ ხელმყოფმა საფრთხე თავად გამოიწვია.[68]

დაზარალებულს ეკისრება ასევე ნებისმიერი გარემოების არსებობის მტკიცების ტვირთი, რომელიც ხელმყოფის ან მესამე პირის პასუხისმგებლობას აფუძნებს.[69]

66 *Dernhardt,* in Beck OK BGB, 28. Aufl., BGB § 227, Rn. 25; *Dernhardt,* in Beck OK BGB, 28. Aufl., BGB § 228, Rn. 14.

67 შდრ. სამოქალაქო- საპროცესო კოდექსის მუხ. 102 I.

68 *Dernhardt,* in Beck OK BGB, 28. Aufl., BGB § 228, Rn. 14.

69 *Fritzsche, i*n Beck OK BGB, 28. Aufl., BGB § 904, Rn. 25.

მუხლი 118. თვითდახმარება

თუკი კომპეტენტური ორგანოების დახმარება დროულად ვერ უსწრებს და სწრაფი ჩარევის გარეშე არსებობს საფრთხე, რომ უფლება ვერ განხორციელდება, ან მისი განხორციელება არსებითად გართულდება, მაშინ მართლსაწინააღმდეგოდ არ ჩაითვლება იმ პირის მოქმედება, რომელიც თვითდახმარების მიზნით წაართმევს, გაანადგურებს ან დააზიანებს ნივთს, ან ამავე მიზნით შეიპყრობს ვალდებულ პირს, რომელიც შეიძლება მიიმალოს, ანდა აღკვეთავს ვალდებული პირის წინააღმდეგობას იმ მოქმედების მიმართ, რომელიც მას უნდა შეესრულებინა.

I. ზოგადად 686
II. შემადგენლობა 686
1. უფლება თუ მოთხოვნა 687
2. უფლებამოსილი პირი 688
3. კომპეტენტური ორგანოების მხრიდან დროული დახმარების შეუძლებლობა 689
4. „უფლების“ ვერგანხორციელების საფრთხე 690
5. თვითდახმარების საშუალება და მისი ფარგლები 690
III. სამართლებრივი შედეგი 691
IV. მტკიცების ტვირთი 691

I. ზოგადად

1 მოთხოვნათა ძალისმიერი განხორციელება და უზრუნველყოფა, როგორც წესი, სახელმწიფო ორგანოების კომპეტენციაა.[1] 118-120-ე მუხლები აწესრიგებს ერთიან შემადგენლობას, რომლის ფარგლებშიც კანონმდებელი მოთხოვნათა „ძალისმიერ“ და თვითნებურ განხორციელებას მართლზომიერად მიიჩნევს.[2] გარდა კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა, თვითდახმარება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ისეთი მოთხოვნების უზრუნველსაყოფად, რომელთა განხორციელება სახელმწიფოებრივი ორგანოების მიერ დასაშვებია,[3] ხოლო მოთხოვნის განხორციელება სხვა საშუალებით შეუძლებელი.[4]

118-ე მუხლი კანონით დადგენილი გამონაკლისია და მისი სახელშეკრულებო თავისუფლების ფარგლებში განვრცობა გაუმართლებელი და დაუშვებელია.[5]

II. შემადგენლობა

2 თვითდახმარება აუცილებელი მოგერიებისაგან არსებითად იმით განსხვავდება, რომ თვითდახმარება მართლსაწინააღმდეგო ხელყოფის შედე-

1 *Dennhardt,* in Beck OK BGB, 28. Auflage, § 229, Rn. 1.
2 MüKo*/Grothe,* BGB, 6. Aufl., § 229, Rn.1.
3 *Kesseler,* BGB Kommentar, 2006, § 229, Rn.1.
4 *ჯორბენაძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I,მუხ. 115, გვ. 304.
5 MüKo*/Grothe,* BGB, 6. Aufl., § 229, Rn.1, ასევე *Kesseler,* BGB Komm., § 229, Rn.1.

გად ხელყოფამდე არსებული მდგომარეობის აღდგენას ემსახურება, მაშინ, როდესაც მოგერიების მიზანი ხელყოფისაგან თავდაცვაა.[6] შესაბამისად, აუცილებელი მოგერიების ფარგლები იქ სრულდება, სადაც ხელყოფა განხორციელებულია[7] ან ხელყოფის საფრთხე აღკვეთილია, თუმცა ამით პირი არ კარგავს უფლებას თვითდახმარების წესით გათვალისწინებულ ფარგლებში განახორციელოს შესაბამისი ქმედებები ხელყოფამდე არსებული მდგომარეობის აღდგენის მიზნით.

1. უფლება თუ მოთხოვნა

118-ე მუხლის თანახმად, ნორმის გამოყენების ერთ-ერთი წინაპირობაა, უნდა არსებობდეს საფრთხე იმისა, რომ **უფლება** ვერ განხორციელდება. **3**

სამოქალაქო კოდექსის ფორმულირებისაგან განსხვავებით, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 229-ე პარაგრაფი იყენებს ტერმინს „მოთხოვნა“ და არა „უფლება“. გასაანალიზებელია, ასეთი მიდგომა ქართველი კანონმდებლის გააზრებული ნებაა, თვითდახმარების ფარგლები ამ გზით განავრცოს თუ მოცემულ კონტექსტში უფლება ვიწროდ უნდა განიმარტოს და მხოლოდ მოთხოვნებზე უნდა გავრცელდეს.[8]

ცალკეული მაგალითები იძლევა დასკვნის შესაძლებლობას, რომ კანონმდებლის მიზანია თვითდახმარება მხოლოდ მოთხოვნათა მიმართ გავრცელდეს. მაგალითად, თუ სამეზობლო ურთიერთობის ფარგლებში გამონაბოლქვი ხელს უშლის მესაკუთრეს საკუთრების უფლების განხორციელებაში (ვერ ფენს სარეცხს აივანზე), უფლების შეზღუდვა სახეზეა, მაგრამ არ არსებობს მოთხოვნა, ვინაიდან ამ შემთხვევაში უფლებას ზღუდავს სამეზობლო თმენის ვალდებულება.[9] შესაბამისად, გამოირიცხება თვითდახმარების განხორციელების უფლებაც. ანალოგიურად წყდება საკითხი ხმაურის, ხმამაღალი მუსიკის თუ სხვა ხელშეშლის შემთხვევაში, რომელიც დასაშვებ ხელშეშლად განიხილება სამეზობლო თმენის ვალდებულების ფარგლებში, მიუხედავად იმისა, რომ გარკვეულწილად ზემოქმედება ხელს უშლის მეზობელს საკუთრებით სარგებლობაში. აქაც გამორიცხულია თვითდახმარების განხორციელება მოთხოვნის არარსებობის გამო.[10]

გერმანული დოქტრინის თანახმად, უდავოა, რომ თვითდახმარების გამოყენება დასაშვებია მხოლოდ მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნის უზრუნველსაყოფად,[11] რომელიც განხორციელებადია.[12] ამასთან, არ არის

6 *Tuhr,* Der Notstand im Zivilrecht, 1988, S. 46.

7 *Tuhr,* Der Notstand im Zivilrecht, 1988, S. 48.

8 მოთხოვნის მიმართება უფლებასთან, ვრცლად იხ. *ჩაჩავა,* მოთხოვნებისა და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია, 2010, გვ. 11-14.

9 შდრ. მუხ. 175.

10 *Tuhr,* Der Notstand im Zivilrecht, 1988, S. 50.

11 MüKo/*Grothe,* BGB, 6. Aufl., § 229, Rn.3; შდრ. მუხ. 128-130.

12 ხანდაზმული მოთხოვნის უზრუნველსაყოფად განხორციელებული თვითდახმარება გაუმართლებლად მიიჩნია საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების პალატამ, გადაწყვეტილება №ას-159-867-03; *Dennhardt,* in Beck OK BGB, 28. Aufl., 2013, § 229, Rn. 3; *Kesseler,* BGB Kommentar, 2006, § 229, Rn. 2.

აუცილებელი მოთხოვნა ვადამოსული იყოს.[13]

თვითდახმარება შესაძლოა განხორციელდეს არაძირითადი მოთხოვნის უზრუნველსაყოფადაც, ასეთი შეიძლება იყოს პირადობის მოწმობის წარდგენის მოთხოვნა კრედიტორის მიერ მოვალის პირადობის დადგენის მიზნით, თუ მისი პიროვნება უცნობია (განსაკუთრებით ხშირია შემთხვევები სასტუმროს, ტაქსის, რესტორანის მომსახურებით სარგებლობისას).[14]

სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში თვითდახმარების განხორციელება გამორიცხულია. ასე მაგალითად, განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულების შემთხვევაში მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა არ აძლევს გამყიდველს მყიდველისაგან თვითნებურად ნივთის წართმევის უფლებას.[15] სუპერმარკეტში მომხმარებლისათვის ჯიბეების შემოწმება მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაითვლება გამართლებულად, თუ არა მხოლოდ საფუძვლიანი ეჭვი არსებობს, არამედ ვინდიკაციის მოთხოვნა უდავოდ სახეზეა (ქურდობის ფაქტი უდავოა).[16]

საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელი პირების მიერ თვითდახმარების გამოყენება გამართლებულია მხოლოდ კერძოსამართლებრივ მოთხოვნათა უზრუნველსაყოფად.[17]

2. უფლებამოსილი პირი

4 უკიდურესი აუცილებლობისა და აუცილებელი მოგერიების შემადგენლობებისაგან განსხვავებით, თვითდახმარების გამოყენების უფლება პირს აქვს, როგორც წესი, მხოლოდ საკუთარი „უფლების“ განხორციელების მიზნით.[18]

თუმცა, ცხადია, შესაძლოა მესამე პირის მოთხოვნის უზრუნველყოფას ემსახურებოდეს თვითდახმარება, თუ უფლებამოსილი პირის მხრიდან უფლების განმახორციელების მიმართ არსებობს მის სასარგებლოდ ამ თვითდახმარების განხორციელების გამოხატული ან კონკლუდენტური ნება.[19] იგივე წესი ვრცელდება გარიგებისმიერ და კანონისმიერ წარმომადგენელზე.[20]

დასაფიქრებელია, რამდენად დასაშვებია თვითდახმარების განხორციელება დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების ფარგლებში. ნორმის საგამონაკლისო ბუნების გათვალისწინებით გერმანულ დოქტრინაში პოზიცია არაერთგვაროვანია. არსებობს მოსაზრება, რომ თვითდახმარება დავალების გარეშე სხვისი საქმის შესრულების მიზნით გამორიცხულია,[21] ზოგიერთი ავტორი კი მიიჩნევს, რომ თვითდახმარების უფლება უნდა გავრცელდეს დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებაზე თუ

13 *Dennhardt,* in Beck OK BGB, 28. Auflage, § 229, Rn. 4.
14 MüKo/*Grothe*, BGB, 6. Aufl., § 229, Rn. 3.
15 MüKo/*Grothe,* BGB, 6. Aufl., § 229, Rn. 3.
16 *Kesseler,* BGB Kommentar, 2006, § 229, Rn. 2.
17 MüKo/*Grothe,* BGB, 6. Aufl., § 229, Rn. 3.
18 *V. Tuhr,* Der Notstand im Zivilrecht, 1988, S. 43.
19 MüKo/*Grothe,* BGB, 6. Aufl., § 229, Rn. 2.
20 იქვე.
21 უარყოფილია *Kesseler,* BGB Kommentar, 2006, § 229, Rn. 2.

მეპატრონე შემდგომში მოიწონებს მას.[22]

ანალოგიურად შეიძლება წამოიჭრას აზრთა სხვადასხვაობა, როდესაც პირი მოქმედებს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე და ამ დროს იყენებს თვითდახმარების უფლებას.[23] ასეთ დროს გადამწყვეტია, რამდენად ემსახურება პირის თვითდახმარება წარმოდგენილი პირისა თუ მეპატრონის ინტერესებს, კერძოდ, მისი მოთხოვნის განხორციელების უზრუნველყოფას.

3. კომპეტენტური ორგანოების მხრიდან დროული დახმარების შეუძლებლობა

თვითდახმარების უფლება გამორიცხულია, თუ კომპეტენტური ორგანოების ჩარევა მოთხოვნის განხორციელების მიზნით შესაძლებელია დროულად.[24] საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელი ორგანოს ჩარევად ჩაითვლება ღონისძიება, რომელიც ემსახურება მოთხოვნის განხორციელებას.[25] ასეთი შეიძლება იყოს დროებითი უზრუნველყოფის ღონისძიება, ყადაღა,[26] ვინდიკაციის განხორციელება კომპეტენტური ორგანოს (პოლიციის) დახმარებით.[27] 5

დასაფიქრებელია, კომპეტენტური ორგანოების დახმარება ვერ უნდა ხდებოდეს კანონით დადგენილ ვადებში (პროცედურის გაჭიანურების ან შეფერხების გამო),[28] თუ დასაშვებია თვითდახმარების გამოყენება მაშინაც, როდესაც კომპეტენტური ორგანოების დახმარება გათვალისწინებული პროცედურის შესაბამისად ობიექტურად ვერ უსწრებს მოთხოვნის დაცვას? სასურველია, საკითხი, რამდენად გამართლებულია ნორმის ფართოდ განმარტება, გადაწყდეს ცალკეული შემთხვევის თავისებურებების გათვალისწინებით ინტერესთა შეპირისპირების საფუძველზე.

სასურველია, სასამართლო პრაქტიკაში ყურადღება გამახვილებულ იქნეს ამ წინაპირობაზე, როგორც ერთ-ერთ აუცილებელ ელემენტზე თვითდახმარებიის განხორციელების მართლზომიერების შეფასებისას. მაგალითად, სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე გამართლებულ თვითდახმარებად მიიჩნია ერთ-ერთი თანამესაკუთრის მიერ სხვა პირთა თანასაკუთრების მითვისების მიზნით აღმართული ღობის თვითნებური მოშლა, ისე, რომ არ იმსჯელა კომპეტენტური ორგანოების ჩარევის დროულ შესაძლებლობაზე და თვითდახმარების განხორციელების მყისიერ აუცილებლობაზე.[29]

22 MüKo/*Grothe,* BGB, 6. Aufl., § 229, Rn.2.

23 შდრ. მუხ. 111

24 ბანკის მიერ ანგარიშიდან თანხის ჩამოჭრა არ მიიჩნია გამართლებულ თვითდახმარებად, ვინაიდან ბანკს ნებისმიერ დროს შეეძლო სათანადო ვადაში მიემართა კომპეტენტური ორგანოებისათვის საქ. უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების პალატის 2013 წლის 12 ნოემბრის № ას-159-867-03 გადაწყვეტილება, *Dennhardt,* in Beck OK BGB, 28. Auflage, § 229, Rn. 5.

25 მაგ., სასამართლოში სარჩელის შეტანის გზით იხ. *ბიოლინგი/ლუტრინგჰაუსი,* სკ-ის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, გვ. 74.

26 MüKo/*Grothe,* BGB, 6. Aufl., § 229, Rn.4; *Kesseler,* BGB Kommentar, 2006, § 229, Rn. 3.

27 მუხ. 172 III შესაბამისად, სამართალდამცავი ორგანოების დახმარება.

28 MüKo/*Grothe,* BGB, 6. Aufl., § 229, Rn.4.

29 საქ. უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების პალატის 2013 წლის 9

სხვა საქმეზე სასამართლომ ბანკის მიერ ანგარიშიდან თანხის ჩამოჭრა არ მიიჩნია გამართლებულ თვითდახმარებად, ვინაიდან ბანკს ნებისმიერ დროს შეეძლო სათანადო ვადაში მიემართა კომპეტენტური ორგანოებისათვის.[30]

4. „უფლების“ ვერგანხორციელების საფრთხე

6 ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში აუცილებლობიდან გამომდინარე უნდა მოხდეს ვითარების შეფასება. მაგალითად, ტაქსის მგზავრი, რომელიც საფასურს არ იხდის, შეიძლება დაკავებულ იქნეს მხოლოდ მისი პიროვნების დადგენის მიზნით. მის საფულეზე წვდომა მხოლოდ იმ შემთხვევაშია გამართლებული, თუ არსებობს რეალური საფრთხე, რომ მგზავრი მიიმალება[31], ანუ მოთხოვნის განხორციელება არსებითად გართულდება. საინტერესოა, მაგალითად, გერმანულ დოქტრინაში გადახდისუუნარობის საფრთხის არსებობა საკმარისი არ არის იმისათვის, რომ თვითდახმარება გამართლებულად ჩაითვალოს.[32]

5. თვითდახმარების საშუალება და მისი ფარგლები

7 გამართლებულია ნებისმიერი ისეთი საშუალების გამოყენება, რომლის გამოყენების უფლებამოსილება ექნებოდა შესაბამის კომპეტენტურ ორგანოს.[33]

სააღსრულებო წარმოების პროცესში დასაშვებია ნებისმიერი დაგირავებადი ნივთის „დაუფლება“, რომელზეც სააღსრულებო წარმოების მიქცევა დასაშვებია;[34] ვინდიკაციური სარჩელის არსებობისას თვითდახმარების უფლება ვრცელდება მხოლოდ უშუალოდ ვინდიკაციის ობიექტზე.[35] მესამე პირების ნივთებზე თვითდახმარება არ ვრცელდება.[36]

ნივთის განადგურება ან დაზიანება გამართლებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნა მიმართულია სწორედ ამ ნივთით გამოწვეული ხელშეშლის აღკვეთისაკენ.[37] ასევე, თუ ზიანის მიყენება აუცილებელია მოთხოვნის განსახორციელებლად (მაგ., კარის შემტვრევა ნივთის გამოტანის მიზნით).[38]

პირის დაკავება, როგორც თვითდახმარების ზომა, ხანმოკლე უნდა იყოს; ის, როგორც წესი, მხოლოდ დაკავებული პიროვნების დადგენის მიზნითაა გამართლებული; ასევე, თუ არსებობს მისი მიმალვის საფრთხე.[39] პირი,

ივლისის № 3კ-468-03 განჩინება.

30 საქ. უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების პალატის 2013 წლის 12 ნოემბრის № ას-159-867-03 გადაწყვეტილება.

31 შდრ. *ჯორბენაძე*, სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 115, გვ. 304; *Kesseler,* BGB Kommentar, 2006, § 229, Rn. 4, 7.

32 MüKo/*Grothe,* BGB, 6. Aufl., § 229, Rn.5.

33 *Kesseler,* BGB Kommentar, 2006, § 229, Rn. 5; MüKo/*Grothe,* BGB, 6. Aufl., § 229, Rn.6.

34 შდრ. სააღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონი 04.10.2013 რედაქციით.

35 *Kesseler,* BGB Kommentar, 2006, § 229, Rn. 6.

36 MüKo/*Grothe,* BGB, 6. Aufl., § 229, Rn.7.

37 MüKo/*Grothe,* BGB, 6. Aufl., § 229, Rn.7.

38 *Kesseler,* BGB Kommentar, 2006, § 229, Rn. 6.

39 *Dennhardt,* in Beck OK BGB. 28. Aufl., 2013, § 229, Rn. 9; MüKo/*Grothe,* BGB, 6. Aufl., § 229, Rn.8.

რომელიც კონკრეტული დანაშაულის ფაქტზე დაიჭირეს, მისი წარდგენა დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს კომპეტენტური ორგანოებისათვის.

უკიდურესი აუცილებლობისა და აუცილებელი მოგერიების მსგავსად, თვითდახმარების განმახორციელებელი პირის სუბიექტური დამოკიდებულება არსებული გარემოებებისა თუ საშუალების შერჩევისას არ არის მნიშვნელოვანი. გადამწყვეტია, მისი ქმედება ობიექტურად იყოს გამართლებული.[40]

III. სამართლებრივი შედეგი

8 თვითდახმარება მართლზომიერია და შესაბამისად, პირი თავისუფლდება 992-ე მუხლით გათვალისწინებული დელიქტური პასუხისმგებლობისაგან.

თვითდახმარების საპასუხოდ დაუშვებელია ასევე აუცილებელი მოგერიების განხორციელება, ვინაიდან თავდასხმა ან მისი საფრთხე მართლზომიერია.[41]

ერთმნიშვნელოვანია გერმანულ დოქტრინაში პოზიცია, რომ თვითდახმარების ხარჯები ვალდებულ პირს ეკისრება.[42]

გერმანული დოქტრინის თანახმად, უფლებამოსილ პირს თვითდახმარებით მოპოვებული ნივთების დაკავების უფლება აქვს მხოლოდ კომპეტენტური ორგანოებისათვის დაუყოვნებლივ მიმართვის შემთხვევაში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე.[43]

IV. მტკიცების ტვირთი

9 უკიდურესი აუცილებლობისა და აუცილებელი მოგერიების მსგავსად, თვითდახმარება სასამართლოს მიერ შესამოწმებელი უფლების განხორციელების დამაბრკოლებელი გარემოებაა.[44]

სამოქალაქო-საპროცესო სამართლის ზოგადი პრინციპის მიხედვით მტკიცების ტვირთი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომელიც შესაძლოა უფლებამოსილი პირის პასუხისმგებლობას მიყენებული ზიანისათვის გამორიცხავდეს, იმ პირს ეკისრება, ვინც ამ ნორმის შესაბამის სამართლებრივ შედეგს ეყრდნობა.[45]

შესაბამისად, თვითდახმარების საშუალების აუცილებლობის მტკიცების ტვირთიც იმ პირს ეკისრება, რომელიც იყენებს ამ უფლებას.[46]

40 იქვე.
41 შდრ. სსკ-ის 116 მუხლის კომენტარი მართლწინააღმდეგობის შესახებ.
42 *Dennhardt,* in Beck OK BGB, 28. Auflage, § 229, Rn.11.
43 MüKo*/Grothe,* BGB, 6. Aufl., § 229, Rn.9.
44 *Dernhardt,* in Beck OK BGB,28. Aufl.,§ 227, Rn. 25; *Dernhardt,* in Beck OK BGB, 28. Aufl., § 228, Rn. 14; *Dernhardt,* in Beck OK BGB,28. Aufl., § 229, Rn. 12.
45 შდრ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მუხ. 102 I.
46 MüKo*/Grothe,* BGB, 6. Aufl., § 230, Rn.1.

მუხლი 119. თვითდახმარების ფარგლები

1. თვითდახმარება არ შეიძლება გასცდეს იმ ფარგლებს, რომლებიც აუცილებელია საფრთხის თავიდან ასაცილებლად.

2. ნივთის წართმევის შემთხვევაში აუცილებელია დაუყოვნებლივ გაკეთდეს განცხადება ნივთზე ყადაღის დადების შესახებ.

3. ვალდებული პირის შეპყრობის შემთხვევაში იგი დაუყოვნებლივ უნდა წარედგინოს სათანადო ორგანოებს.

I. თვითდახმარების ფარგლები 692
1. საფრთხის თავიდან ასაცილებლად აუცილებელი თვითდახმარება 692
2. ნივთის წართმევა 693
3. ვალდებული პირის შეპყრობა 693
II. სამართლებრივი შედეგი 694

I. თვითდახმარების ფარგლები

1. საფრთხის თავიდან ასაცილებლად აუცილებელი თვითდახმარება

1 119 I მუხლი დასაშვებად მიიჩნევს მხოლოდ თვითდახმარების ისეთი საშუალების გამოყენებას, რომელიც აუცილებელია საფრთხის თავიდან ასაცილებლად. უკიდურესი აუცილებლობისა და აუცილებელი მოგერიების მსგავსად გამართლებული და შესაბამისად მართლზომიერია ისეთი ქმედება, რომელიც საფრთხის თავიდან აცილებისათვის ობიექტურად აუცილებელია. პირმა უნდა გამოიყენოს სხვადასხვა საშუალებათა შორის მხოლოდ ყველაზე მსუბუქი ღონისძიება, რომელიც საფრთხეს აღკვეთს და ვალდებულ პირს ნაკლებად დააზარალებს.[1]

თუ პირის დაკავება მისი პიროვნების დადგენის მიზნით ხდება, მას შემდეგ, რაც მისი პიროვნების დადგენა მოხდა, მისი შემდგომი დაკავება გაუმართლებელია.[2]

თუ მოპარული ნივთის ჩამორთმევა საკმარისია მოთხოვნის განხორციელებისათვის, პირის დაკავება არ იქნება გამართლებული.[3]

თვითდახმარების ფარგლების გადაცილებად მიიჩნია საქართველოს უზენაესმა სასამართლომ შემთხვევა, როდესაც ბანკმა მომხმარებლის ანგარიშიდან ჩამოჭრა მასთან შეთანხმების გარეშე კრედიტის თანხა, განსაკუთრებით იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მოთხოვნა ხანდაზმული იყო.[4]

საგულისხმოა, რომ აუცილებელი მოგერიებისაგან განსხვავებით, თვითდახმარების მართლზომიერების შეფასებისას საფრთხესა და თვითდახმარების საშუალებას შორის თანაზომიერება, როგორც წესი, არ მოწმდება.[5]

1 MüKo/*Grothe,* BGB, 6. Aufl., § 230, Rn.1.
2 *Dennhardt,* in Beck OK BGB, 28. Aufl., § 230, Rn.4; *Kesseler,* BGB Kommentar, 2006, § 330, Rn.1.
3 *Grothe,* in Beck OK BGB, 6. Aufl., §230, Rn.1.
4 საქ. უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 12 ნოემბრის № ას-159-867-03 გადაწყვეტილება.
5 *Kesseler,* BGB Kommentar, 2006, § 330, Rn.1; MüKo/*Grothe,* BGB, 6. Aufl., § 230, Rn.1.

2. ნივთის წართმევა

ნივთის წართმევა, როგორც წესი, მოთხოვნის უზრუნველყოფას ემსახურება[6] და მხოლოდ დროებით არის დასაშვები იმ მომენტამდე, სანამ კომპეტენტური ორგანოს დახმარება შესაძლებელი გახდება.[7] უფლებამოსილმა პირმა დაუყოვნებლივ უნდა მიმართოს შესაბამის ორგანოებს მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალების გამოყენების მოთხოვნით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 191-ე და შემდგომი მუხლების შესაბამისად), წინააღმდეგ შემთხვევაში მას ამ პროცედურის გაჭიანურების გამო შესაძლოა ზიანის ანაზღაურებაც დაეკისროს, რადგან ქმედება მართლსაწინააღმდეგოდ გარდაიქმნება.[8] **2**

მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალების გამოყენებაზე ან სხვა კონპეტენტური ორგანოს მხრიდან ჩარევაზე უარის მიღების შემთხვევაში ნივთი დაუყოვნებლივ უნდა დაბრუნდეს.[9]

თვითდახმარების ფარგლების შეფასებისას მიზანშეწონილია ამ კონტექსტში გაანალიზდეს უსაფუძვლო გამდიდრების ნორმებით გათვალისწინებული მოწესრიგება, რომელიც თვითდახმარებით დადგენილი ფარგლებისაგან განსხვავებულ წესს ითვალისწინებს. კერძოდ, 978-ე მუხლის თანახმად, პირი, რომელიც იძულების ან მუქარის საფუძველზე გადასცემს სხვას რაიმეს, უფლებამოსილია მოითხოვოს მისი უკან დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მიმღებს ჰქონდა უფლება გადაცემულზე. მოწესრიგების გათვალისწინებით იძულებისა თუ მუქარის საფუძველზე მიღებული უკან დაბრუნებას ექვემდებარება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიმღებს არ აქვს ამ ნივთის დატოვების უფლებამოსილება. დასაფიქრებელია, თუ თვითდახმარების ფარგლებში პირმა სხვა პირს იძულების გზით ჩამოართვა ნივთი, რომელიც მას ეკუთვნის ან სხვაგვარად აქვს ამ ნივთის მიღების უფლება (მაგ., ხელშეკრულების თანახმად ნივთის გადაცემის ვალდებულება არსებობდა და ეს უფლება მიმღებს გააჩნდა), ხომ არ უნდა იქნეს გამოყენებული 978-ე მუხლი უპირატესად. ასეთ შემთხვევაში მიმღებს ექნება ნივთის დატოვების უფლება, მაშინ, როდესაც თვითდახმარების ფარგლებში ასეთი უფლებამოსილება მიმღებს არ გააჩნია.

3. ვალდებული პირის შეპყრობა

ვალდებული პირის შეპყრობის შემთხვევაში იგი დაუყოვნებლივ უნდა წარედგინოს შესაბამის ორგანოებს. ამასთან, მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებების გამოყენების მოთხოვნა უნდა მოხდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 191-ე და შემდგომი მუხლების შესაბამისად.[10] **3**

6 *ჯორბენაძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, 115 მუხლი, გვ. 304.
7 *Kesseler,* BGB Kommentar, 2006, § 330, Rn.1; MüKo/*Grothe,* BGB, 6. Aufl., § 230, Rn.2.
8 MüKo/*Grothe,* BGB, 6. Aufl., § 230, Rn.4.
9 *Dennhardt,* in Beck OK BGB, 28. Aufl., § 230, Rn.5.
10 შდრ. *Dennhardt,* in Beck OK BGB, 28. Aufl., § 230, Rn.4.

II. სამართლებრივი შედეგი

4 119-ე მუხლით გათვალისწინებულ ფარგლებში განხორციელებული თვითდახმარება მართლზომიერია და მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება გამოირიცხება.

მუხლი 120. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება

პირი, რომელიც 118-ე მუხლში გათვალისწინებულ მოქმედებას განახორციელებს იმ მცდარი ვარაუდით, თითქოს ეს აუცილებელი იყო მართლსაწინააღმდეგო მოქმედების თავიდან ასაცილებლად, ვალდებულია მეორე მხარეს აუნაზღაუროს ამ დროს წარმოშობილი ზიანი.

I. უფლების განმახორციელებელი პირის შეცდომა 695
II. მოწესრიგების მიზანი..... 696

I. უფლების განმახორციელებელი პირის შეცდომა

120-ე მუხლი ითვალისწინებს შემთხვევას, როდესაც უფლების განმახორციელებელი პირი ცდება თვითდახმარების უფლების გამოყენების აუცილებლობაში და ვარაუდობს, რომ მისი მოქმედება აუცილებელია მართლსაწინააღმდეგო მოქმედების თავიდან ასაცილებლად. მოქმედება ამ კონტექსტში, 992-ე მუხლის მსგავსად, ფართოდ უნდა განიმარტოს და უმოქმედობაზეც გავრცელდეს,[1] ვინაიდან თვითდახმარება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მოქმედების, ისე უმოქმედობის მიმართაც მაშინ, როდესაც არსებობს მოთხოვნის რეალიზების დაყოვნების შედეგად მისი განხორციელების შეუძლებლობის ან მნიშვნელოვანი გაძნელების საფრთხე. **1**

თუ ცალკეულ შემთხვევაში თვითდახმარების შემადგენლობა ობიექტურად არ არსებობს, თვითდახმარება მართლსაწინააღმდეგოა. დელიქტის ზოგადი შემადგენლობის შესაბამისად, თუ პირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებით ბრალეულად აყენებს სხვას ზიანს, ის ვალდებულია (992-ე და/ან დელიქტის სპეციალური შემადგენლობის განმსაზღვრელი მუხლების შესაბამისად) აანაზღაუროს ამით გამოწვეული ზიანი.

პირი შესაძლოა ცდებოდეს ფაქტობრივ გარემოებებში ან უფლებაში. შესაძლებელია პირი შეცდომით ვარაუდობდეს, რომ დაზარალებული მიმალვას აპირებს; ან ცდებოდეს თვითდახმარების განხორციელების აუცილებლობაში, მაშინ, როდესაც კომპეტენტური ორგანოების მიერ სწრაფი ჩარევა შესაძლებელია; შესაძლოა ნივთი, რომელსაც დაეუფლა ან დააზიანა, მესამე პირს ეკუთვნოდეს. თვითდახმარების უფლების განმახორციელებელი პირი შესაძლოა ცდებოდეს თავად განხორციელებადი მოთხოვნის არსებობაში. ნებისმიერ შემთხვევაში ის პასუხს აგებს აღნიშნული შეცდომით გამოწვეული ზიანისათვის.[2] შემთხვევის შეფასების დროს გასათვალისწინებელია, მცდარი ვარაუდი თავად დაზარალებულმა ხომ არ გამოიწვია.[3]

1 *Tuhr,* Der Notstand im Zivilrecht, S. 43, მაგ., მეზობელი არ ჭრის ხის ტოტებს, რომლის ყოველწუთიერი ჩამოტეხვისა და მესაკუთრის სამართლებრივი სიკეთის დაზიანების საფრთხე არსებობს.
2 MüKo*/Grothe,* BGB, 6. Aufl., § 231, Rn.2.
3 შდრ. მუხ. 415, 998.

II. მოწესრიგების მიზანი

2 მოწესრიგების აუცილებლობა, ერთი შეხედვით, ბუნდოვანია, ვინაიდან 992-ე ითვალისწინებს მართლსაწინააღმდეგო ბრალეული ქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას, რომელიც გავრცელდება ნებისმიერი არამართლზომიერი ზიანის მიყენების შემთხვევაში, როგორიცაა, მაგალითად, აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილება.

შესაბამისად, 120-ე მუხლის არსებობა გამართლებული იქნება, თუ იგი გაითვალისწინებს დამატებით წინაპირობებს, რომელიც ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობისათვის განსხვავებულ, საგამონაკლისო წესს დაადგენდა.

ამ თვალსაზრისით საგულისხმოა, რომ სამოქალაქო კოდექსის მსგავსად, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 231-ე პარაგრაფი ითვალისწინებს თვითდახმარების უფლებაში შეცდომის დროს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას. თუმცა 120-ე მუხლის განსხვავებით 231-ე პარაგრაფი აზუსტებს, რომ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება წარმოიშობა მიუხედავად ბრალისა.[4] სავარაუდოდ, 120-ე მუხლის მოწესრიგების მიზანიც ესაა.

აღნიშნულს ვარაუდის საფუძველს ქმნის ასევე თავად ფორმულირება „მცდარი ვარაუდი“, რომელიც ობიექტური კრიტერიუმია და მოიცავს როგორც ბრალეულ, ასევე ბრალის გარეშე შეცდომას.

ნორმის ამგვარი განმარტების შემთხვევაში 120-ე მუხლი დაზარალებულ პირს დამოუკიდებელი მოთხოვნის საფუძველს, რომლის ძალითაც დაზარალებულს ხელმყოფის მიერ მისთვის თვითდახმარების მცდარი ვარაუდით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება ექნება, მიუხედავად ხელმყოფის ბრალისა.[5]

ნორმის ამაგვარი განმარტების შემთხვევაში 120-ე მუხლის დელიქტის სპეციალურ შემადგენლობად უნდა ჩაითვალოს, როდესაც ზიანის ანაზღაურების ვალდებულება წარმოიშობა, მიუხედავად იმისა, პირი ფაქტობრივ გარემოებებში ცდებოდა თუ უფლებაში.[6]

4 *Dennhardt,* in Beck OK BGB, 28. Aufl., § 231, Rn.1.

5 MüKo*/Grothe*, BGB, 6. Aufl., § 231, Rn. 1; შდრ. მსგავსად უკიდურესი აუცილებლობა.

6 MüKo*/Grothe,* BGB, 6. Aufl., § 231, Rn. 2.

კარი მეოთხე
ვადები

I. ზოგადი მიმოხილვა....695
1. ვადის არსი და მნიშვნელობა....697
2. დროის ერთეულის გამოთვლის ისტორია....697
3. ვადების დადგენის მიზანი....698
II. საერთაშორისო აქტები....698
III. ვადების კლასიფიკაცია....699
IV. კავშირი სამოქალაქო პროცესთან....700

I. ზოგადი მიმოხილვა

1. ვადის არსი და მნიშვნელობა

ვადას სამოქალაქო უფლების განხორციელებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, ვინაიდან უფლების განხორციელება, როგორც წესი, სწორედ დროის გარკვეულ მონაკვეთშია შესაძლებელი. **1**

ვადა დროში არსებული მომენტი ან გარკვეული მონაკვეთია, მაგრამ დრო, ვადისგან განსხვავებით, სამართლებრივ კატეგორიას არ წარმოადგენს. ვადა დროშია, ე.ი. დრო მოიცავს ვადასაც. დრო უსასრულოა, ხოლო ვადა კონრეტული სუბიექტის (პირის, კანონმდებლის) ნებით განსაზღვრული დროის მონაკვეთია, რომელიც კონკრეტულ უფლებებსა და ვალდებულებებს წარმოშობს.[1] **2**

ვადაში იგულისხმება დროის განსაზღვრული პერიოდი (მომენტი), რომელსაც სამოქალაქო კანონმდებლობა უკავშირებს ამა თუ იმ იურიდიული შედეგის დადგომას.[2] ამდენად, ვადა ადამიანის ნებას დაქვემდებარებული დროის განსაზღვრული ან განსაზღვრადი მონაკვეთი, ან კონკრეტული კალენდარული თარიღია, რომელიც სამართლებრივი მნიშვნელობის მქონე რაიმე მოვლენის დადგომის, შესრულების ან დამთავრების მომენტს განსაზღვრავს. **3**

2. დროის ერთეულის გამოთვლის ისტორია

ქართული სამართლის ძეგლებით დროის გასვლას გარკვეული სამართლებრივი შედეგები უკავშირდებოდა. ასე მაგალითად, ნივთზე საკუთრების ხანდაზმულობის – „სიგრძოთაგან ჟამთაჲს“ შედეგად შეძენის აუცილებელ წინაპირობად ნივთის 30 წლით „მიუმძლავრებლად“ ფლობა სახელდებოდა,[3] ხოლო სესხის ხელშეკრულებაში თარიღის მითითება სესხის დადების აუ- **4**

1 დროისა და ვადის ურთიერთმიმართების შესახებ იხ. *ზოიძე/ზარანდია,* მოძღვრება ვადების (დროის) სამართლებრივი ბუნების შესახებ, სამართლის ჟურნალი, 4-5, 2003; *სუხიტაშვილი,* სამართალი და დრო, 2004; *ზარანდია,* სახელშეკრულებო ვადების შესრულების ადგილი და ვადები, დის., 2002.

2 *ახვლედიანი,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 121, გვ. 306.

3 *ჯავახიშვილი,* თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. 7, 1984, გვ. 292, 308

ცილებელ პირობად – წესად მიიჩნეოდა.[4]

5 დროს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა რომის სამართალიც. გარკვეულ ვითარებაში, გარკვეული პირობების დაცვით, დროს შეეძლო სამართლებრივი დაცვა მიენიჭებინა ფაქტისათვის, ფაქტობრივი მდგომარეობისათვის; ფაქტი შეიძლება გადაქცეულიყო უფლებად. სხვა შემთხვევაში „ხანგრძლივი დროის“ განმავლობაში უფლების გამოუყენებლობა უფლებას აქარწყლებდა. ასევე მნიშვნელოვანი იყო დროის გამოთვლისა და სასარჩელო ხანდაზმულობის საკითხები.[5]

3. ვადების დადგენის მიზანი

6 დროის ფაქტორი გადამწყვეტია ვალდებულების შესრულების, სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სხვა მნიშვნელოვანი სამართლებრივი ინსტიტუტებისთვის. კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში ვადებისადმი ინტერესი მარტივი მიზეზითაა გამოწვეული – კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოქმედება სწრაფად და ეფექტურად, ურთიერთობის სუბიექტებისათვის მისაღებ, ამავდროულად, მხარეებისათვის განჭვრეტად დროში უნდა განხორციელდეს, რაც ვადების გამოთვლის საერთო წესების დადგენითაა შესაძლებელი.

7 ვადების განსაზღვრისას სამოქალაქო კოდექსი ყველასთვის აშკარა დებულებებს შეიცავს, მაგრამ ამ დებულებებს იურიდიული ძალა მხოლოდ მათი საკანონმდებლო განმტკიცების შედეგად აქვთ. ამიტომ მათი მნიშვნელობა სამართლებრივი პრაქტიკისა და ვადების ერთიანი გაგებისთვის დიდია.[6]

II. საერთაშორისო აქტები

8 ვადებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საერთაშორისო ხელშეკრულებებში. საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებათა შესახებ კონვენცია[7] ვადებთან დაკავშირებული საკითხების სამართლებრივ მოწესრიგებას ნორმებში ასახული სპეციალური დებულებებით უზრუნველყოფს.

სამართლებრივ ურთიერთობებში ვადის აქტუალობას ცხადყოფს ვადების გამოთვლის შესახებ ევროპული კონვენცია, რომელიც ეხება ვადების გამოთვლას სამოქალაქო, კომერციულ და ადმინისტრაციულ საკითხებზე, მათ შორის, ყოველივე ამასთან დაკავშირებულ პროცედურულ საკითხებზე, სადაც ამგვარი ვადები დადგენილია: კანონის, სასამართლოს ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ; არბიტრაჟის მიერ, სადაც არ განსაზღვრულა ვადის გამოთვლის წესი; მხარეების მიერ, სადაც ვადის გამოთვლის წესი არ

4 იქვე, გვ. 330

5 *ნადარეიშვილი,* რომის სამოქალაქო სამართალი, 2008, გვ. 39-41.

6 *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 119.

7 გაეროს 1980 წლის კონვენცია „საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებათა შესახებ“ საქართველოში ძალაშია საქართველოს პარლამენტის მიერ 1994 წლის 3 თებერვლის დადგენილებით.

განსაზღვრულა არც მხარეების შეთანხმებით, გამოხატულად ან ნაგულისხმევად, და არც მხარეებს შორის დადგენილი პრაქტიკით (პირველი მუხლი).[8]

ევროკავშირის ფარგლებში მოქმედი სახელშეკრულებო სამართლის ზოგად წესებად გამოყენებული ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები ადგენს ვადების გამოთვლის (1:304), გონივრული ვადის (2:206, 4:113, 6:109), შესრულების დროს (7:102, 7:103), ხანდაზმულობისა (14:201-14:601) და ვადებთან დაკავშირებულ სხვა არაერთ საყურადღებო დანაწესს.[9] ვადებთან დაკავშირებით ასევე მნიშვნელოვან დებულებებს შეიცავს საერთაშორისო კომერციული კონტრაქტებისათვის ზოგადი წესების დამდგენი საერთაშორისო კომერციულ ურთიერთობათა პრინციპები.[10] მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ზემოთ დასახელებული საერთაშორისო აქტი საქართველოში რატიფიცირებული არ არის, სამოქალაქო სამართალწარმოების დროს შესაძლებელია მათი, როგორც უნიფიცირებული ხასიათის მქონე დოკუმენტის დებულებების გათვალისწინება. **9**

III. ვადების კლასიფიკაცია

სამოქალაქო სამართალში დანიშნულების მიხედვით არსებობს:[11] **10**

– სამოქალაქო უფლების წარმოშობის ვადები

ვადა, რომლის დადგომა ან გასვლა უფლების წარმოშობას იწვევს, მაგალითად, 191-ე მუხლით, ნივთის მპოვნელი, სათანადო სუბიექტებთან განცხადების განხორციელებიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ, ნაპოვარზე საკუთრებას შეიძენს. **11**

– სამოქალაქო უფლების განხორციელების ვადები.

დროის მონაკვეთი, რომლის განმავლობაშიც პირს შეუძლია განახორციელოს უფლება ან ვალდებული პირისგან მოქმედების შესრულება მოითხოვოს. ამ ვადებში შედის: **სამოქალაქო უფლების არსებობის ვადები,** ე.წ. აღმკვეთი ვადები, რომელიც განსაზღვრავს უფლების მოქმედების ფარგლებს დროში. **საგარანტიო ვადები** – ვადა, რომლის განმავლობაშიც მოვალე კისრულობს ნაკეთობის შეუფერხებელ გამოყენებას (მაგ., 496-ე მუხ.). საგარანტიო ვადებში განასხვავებენ ვარგისიანობისა და ტრანსპორტაბელურობის ვადებს. ვარგისიანობის ვადები წესდება კვების პროდუქტებზე, მედიკამენტებსა და სხვა ნაწარმზე. ეს ვადა მოიცავს დროს, რომლის განმავლობაშიც შეიძლება პროდუქციის შენახვა, რეალიზაცია და მისი გამოყენება. ტრანსპორტაბელურობის ვადა არის ის დრო, რომლის განმავლობაშიც გარანტირებულია პროდუქციის თვისებების შენარჩუნება მისი დადგენილი წესით **12**

8 European Convention on the Calculation of Time-Limits (კონვენცია ამჟამად საქართველოში რატიფიცირებული არ არის).

9 The Principles Of European Contract Law 2002.

10 European Convention on the Calculation of Time-Limits.

11 *ახვლედიანი,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 121, გვ. 306.

ტრანსპორტირების დროს.[12] **საპრეტენზიო ვადები** – დრო, რომლის განმავლობაშიც უფლებამოსილ პირს უფლება აქვს (ზოგჯერ ვალდებულიცაა) სასამართლოსადმი მიმართვამდე ვალდებულ პირს მიმართოს. მაგალითად, გადაზიდვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპრეტენზიო ვადები. საგულისხმოა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებით 573-ე მუხლით გათვალისწინებული საპრეტენზიო ვადა გაიმიჯნა სასარჩელო ხანდაზმულობის ვადებისგან.[13]

– ვალდებულების შესრულების ვადები, რომლის განმავლობაშიც მოვალემ ვალდებულება უნდა შეასრულოს

13 განასხვავებენ ვალდებულების შესრულების საერთო (ვალდებულების მთლიანად შესრულების) და კერძო (ვალდებულების გარკვეული ნაწილის შესრულების) ვადებს.

შესრულების დრო განისაზღვრება კანონით, მხარეთა შეთანხმებით, ანდა გამონაკლის შემთხვევაში ერთ-ერთი მხარის ცალმხრივი ნების გამოვლენით, შეიძლება იგი გამომდინარეობდეს სხვა გარემოებიდანაც.[14]

IV. კავშირი სამოქალაქო პროცესთან

14 დროის ფაქტორი დიდ როლს ასრულებს სამოქალაქო-საპროცესო სამართალში. საპროცესო ვადა არის დროის გარკვეული მონაკვეთი, რომლის განმავლობაში უნდა შესრულდეს ესა თუ ის საპროცესო მოქმედება.[15] სამოქალაქო-საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საქართველოს საერთო სასამართლოები სამოქალაქო საქმეებს განიხილავენ ამ კოდექსით დადგენილი წესების მიხედვით. აღნიშნული ნორმით, სასამართლოში სამოქალაქო საქმისწარმოებისას ამა თუ იმ საპროცესო მოქმედების განხორციელების ვადის გამოთვლა წესრიგდება არა მატერიალური კანონმდებლობით, არამედ სამოქალაქო-საპროცესო კოდექსის VII თავით დადგენილი საპროცესო ვადების გამოთვლის წესიდან. შესაბამისად, 121-ე მუხლის დანაწესი, რომ კანონებში, სასამართლო გადაწყვეტილებებსა და გარიგებებში მითითებული ვადების მიმართ გამოიყენება ამ თავში დადგენილი წესები, ნიშნავს არა საპროცესო მოქმედების განხორციელებისათვის დადგენილი ვადის ამ ნორმების შესაბამისად ათვლას (იქნება ეს საჩივრის, კერძო, სააპელაციო თუ საკასაციო საჩივრის შეტანის ვადა), არამედ გამოიყენება კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით რაიმე ქმედების განხორციელების ან მისი განხორციელების შეზღუდვისა თუ აკრძალვისათვის მოდავე მხარისათვის დაწესებული ვადის ათვლისას.[16]

12 *კობახიძე,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გვ. 355-356.

13 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 1 ნოემბრის №ას-543-858-05 გადაწყვეტილება. ასევე, იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 8 ნოემბრის №ას-542-775-08 გადაწყვეტილება.

14 *ზოიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი III, მუხ. 365, გვ. 286; *ზარანდია,* სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ადგილი და ვადები, დის., 2002, გვ. 39; *ძლიერიშვილი,* ვალდებულების შესრულების ნავარაუდევი და გონივრული ვადები; სამოქალაქო კოდექსის მუხ. 1 სტრუქტურა, 2013, გვ. 3.

15 *ლილუაშვილი,* სამოქალაქო-საპროცესო სამართალი, 2005, გვ. 183.

16 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 10 მაისის № ას-1282-ა-11-2011 განჩინება.

თავი პირველი
ვადების გამოთვლა

მუხლი 121. ვადების გამოთვლის წესების გამოყენების სფერო

კანონებში, სასამართლო გადაწყვეტილებებსა და გარიგებებში მითითებული ვადების მიმართ გამოიყენება ამ თავში გათვალისწინებული წესები.

I. ზოგადი დებულებები 699
1. ნორმის მიზანი 699
2. ნორმის ისტორია 699
3. გამოყენების სფერო 699
II. კანონით დადგენილი ვადები 700
III. სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილი ვადა 703
IV. ვადის დადგენა გარიგებით 703

I. ზოგადი დებულებები

1. ნორმის მიზანი

15 ნორმა სამოქალაქო კოდექსით დადგენილი ვადების გამოთვლის წესების გამოყენების სფეროს განსაზღვრავს. კერძოსამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტთა უფლებებისა და ვალდებულებების განხორციელება ხშირად ვადაზეა დამოკიდებული, რაც განაპირობებს კანონით, სასამართლო გადაწყვეტილებით თუ მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ვადის ერთგვაროვნად გამოთვლის აუცილებლობას. 121-127-ე მუხლები ადგენს ვადების გამოთვლის ზოგადი ხასიათის ქცევის წესს, რომელიც ამ საკითხის მიმართ ერთიანი გამოყენების დამკვიდრებას უზრუნველყოფს. შესაბამისად, ნორმის მიზანი ვადების გამოთვლის საერთო წესების მოქმედების ფარგლების განსაზღვრაშია.

2. ნორმის ისტორია

16 ნორმით დადგენილი ვადების გამოთვლის წესების გამოყენების ფარგლების განსაზღვრა ქართული სამოქალაქო კოდექსისათვის სიახლეს არ წარმოადგენს და იგი პრაქტიკულად გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 186-ე პარაგრაფით გათვალისწინებული ნორმის ანალოგიურია.[17]

3. გამოყენების სფერო

17 121-127-ე მუხლები დისპოზიციურია და გამოიყენება მხოლოდ მაშინ, როდესაც კანონი ან ხელშეკრულება განსხვავებულ წესს არ ადგენს. ნორმის შესაბამისად, ვადების გამოთვლის წესები ვრცელდება კანონში, სასამართ-

17 შდრ. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი §186. გამოყენების სფერო. კანონებში, სასამართლო აქტებსა და გარიგებებში მოცემული ვადებისა და თარიღებისადმი გამოიყენება §§187-193 ნორმათა განმარტების წესები.

ლო გადაწყვეტილებებსა და გარიგებებში მითითებულ ვადებზე.

II. კანონით დადგენილი ვადები

18 სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილით დადგენილი ვადების გამოთვლის წესი საერთოა მთლიანად კერძო სამართლისათვის. ეს ვადები მოქმედებს როგორც სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ ურთიერთობებზე, ასევე შრომის საავტორო, საკორპორაციო და სხვა სამართლებრივ ურთიერთობებში. ამასთან, თუ კონკრეტული ურთიერთობა განსხვავებულ წესს ადგენს, 2 I მუხლის თანახმად, გამოიყენება სპეციალური ნორმა.[18]

19 ნორმის მოწესრიგების სფეროში „კანონებში მითითებული ვადების“ აღნიშვნა, კერძოსამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელ კანონებს გულისხმობს. სამართლის სხვა დარგებში დადგენილ ვადებზე სამოქალაქო კოდექსით დადგენილი ვადების გამოთვლის წესების გავრცელება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი სამართლის ესა თუ ის დარგი ვადების გამოთვლის სპეციალურ წესს არ ითვალისწინებს.

ვადას კანონი ზოგ შემთხვევაში იმპერატიულად განსაზღვრავს და კერძო სამართლის სუბიექტების მიერ მისი შეცვლა დაუშვებელია, ასე მაგალითად, ნივთის ხანდაზმულობით შეძენის ვადები (იხ. 165 და 167-ე მუხლების კომენტ.).

ზოგჯერ კანონი ადგენს ვადების მაქსიმუმს, რომლის ფარგლებშიც დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ დაადგინონ სხვა ვადები. მაგალითად, ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველის უფლება ნივთის გამოსყიდვაზე 10 წელს არ უნდა აღემატებოდეს. ხელშეკრულების მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ გამოსყიდვის ნებისმიერ ვადაზე, მაგრამ არა უმეტეს 10 წლისა.[19] კანონით ვადები ისეთი შემთხვევისთვისაც გაითვალისწინება, როდესაც იგი მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული არ არის, მაგალითად, 626 I მუხლის თანახმად თუ ვალის დაბრუნების ვადა განსაზღვრული არ არის, მაშინ ვალი დაბრუნებულ უნდა იქნეს კრედიტორის ან მოვალის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტისას.

20 სიზუსტის მიხედვით ერთმანეთისაგან განასხვავებენ **დადგენილ (განსაზღვრულ)** და **დაუდგენელ (განუსაზღვრელ) ვადებს.** ზუსტად განსაზღვრული ვადა კონკრეტული თარიღითაა გამოხატული, რაც მოიცავს წელიწადს, თვესა და რიცხვს. ვადა განუსაზღვრელია, როდესაც თარიღი მოვლენის მოხდენის შესახებ არ შეიძლება ცნობილი იყოს: მაგალითად, პიროვნების გარდაცვალება.[20] ვადა შეიძლება განისაზღვროს პერიოდითაც (მაგ,. წლებით, კვარტლებით, თვეებით და ა.შ.), რა დროსაც აუცილებელია მისი დენის დასაწყისის მომენტის დადგენა. თუ ნივთი ქირავდება სამი წლით, მითითებულ უნდა იქნეს, თუ როდიდან იწყება ამ სამი წლის გამოთვლა.[21]

18 სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილის მნიშვნელობაზე იხ.: *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 46, 48; *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, 2009.

19 *ახვლედიანი,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 121, გვ. 309.

20 *ზარანდია,* სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ადგილი და ვადები, დის., 2002, გვ. 58.

21 *ახვლედიანი,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 121, გვ. 308.

განუსაზღვრელი ვადები სამოქალაქო კოდექსში გამოხატულია ტერმინებით: **„დაუყოვნებლივ“** (66, 119, 191, 245, 266, 332, 358, 365, 367, 394 და სხვ.),[22] რაც შინაარსობრივად, სწრაფ, გარემოებათა მიხედვით, დროის დაკარგვის გარეშე, და არა ცალსახად, იმწუთიერ მოქმედებას ნიშნავს; **„მაშინვე“** (51, 330, 680) – დაუყოვნებლივის საპირისპიროდ დროის გასვლის გარეშე მოქმედებას მოითხოვს, ამასთან, „მაშინვე პასუხის გაცემა“ არ ნიშნავს, რომ აქცეპტანტი რაღაც წუთებით ან წამებითაა შეზღუდული,[23] „მაშინვე“ მოქმედება ვალდებულების ფარგლებში, გონივრულად უნდა შეფასდეს. რაც შეეხება **„ნებისმიერ დროს“** (621, 665, 720), კანონი, ნორმის შესაბამისი ვითარებიდან გამომდინარე, კრედიტორსა და მოვალეს მოქმედების დროში შეზღუდვის გარეშე განხორციელების უფლებას ანიჭებს, რაც მეორე მხარისგან სწრაფ საპასუხო მოქმედებას მოითხოვს.

21 სამართლებრივად საკმაოდ მნიშვნელოვან დროის კატეგორიას განეკუთვნება **ნავარაუდევი ვადები,** რომელიც შეიძლება გათვალისწინებული იყოს კანონით (მაგ., 365-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა, როდესაც „არ არის განსაზღვრული დრო და იგი სხვა გარემოებებიდანაც არ ირკვევა“, 405-ე მუხლით გათვალისწინებული დამატებითი ვადა, 971-ე მუხლით შემსრულებელი ვალდებულია პირველი შესაძლებლობისთანავე აცნობოს მეპატრონეს, რომ იკისრა საქმეთა შესრულება და სხვა), ასევე შესაძლებელია, მხარეთა ნებიდან გამომდინარეობდეს (ვადის უზუსტობა).[24]

ნავარაუდევი ვადა მისი განმარტების და გონივრულად განსაზღვრის აუცილებლობას წარმოშობს. შესაბამისად, კანონი ნავარაუდევ (გარემოებებიდან გამომდინარე[25]) ვადებთან მიმართებით ადგენს **გონივრული ვადის** კატეგორიას (მაგ., 356, 405 V, შრომის კოდექსის მუხ. 36 III). სამოქალაქო კოდექსში გონივრული ვადის შინაარსის გამოსახატავად გამოყენებულია ტერმინები „შესაბამისი ვადა“ (294-ე მუხ.), „აუცილებელი დრო“ (394-ე მუხ.), „განსაზღვრული ვადა“ (541-ე მუხ.), რაც გონივრული ვადის შინაარსის გამომხატველი სინონიმებია.[26]

მოქმედებათა გონივრულ ვადაში შესრულება აღიარებულია საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებათა შესახებ კონვენციით.[27] ანალოგიურ დებულებებს ითვალისწინებს ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპებიც.[28]

22 ვადის გონივრულობის განსაზღვრას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. როდესაც გონივრული ვადის (reasonable time) განმარტებაზე ვსაუბრობთ, მხედველობაში უნდა მივიღოთ სხვადასხვა გარემოპირობები, ასევე ადათები და დამკვიდრებული პრაქტიკის ნორმები. ამასთან, გასათვალ-

22 შდრ. საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებათა შესახებ კონვენციის მუხ. 18, 21, 38.

23 *ჭანტურია,* სკ-ის კომენტარი, წიგნი III, მუხ. 330, გვ. 130.

24 ზარანდია, სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ადგილი და ვადები, დის., 2002, გვ.65-66.

25 *ძლიერიშვილი,* ვალდებულების შესრულების ნავარაუდევი და გონივრული ვადები; სამოქალაქო კოდექსის პირველი მუხლის სტრუქტურა, 2013, გვ. 3.

26 *სუხიტაშვილი,* სამართალი და დრო, გვ. 48.

27 გაეროს 1980 წლის კონვენცია „საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებათა შესახებ“, მუხ. 18, 33, 43, 47 და სხვ. მუხლები, (საქართველოში ძალაშია 1994 წლიდან).

28 The Principles Of European Contract Law 2002.

ისწინებელია ასევე ხელშეკრულების საგანი და სხვა გარემოებები.[29] ამდენად, გონივრული ვადა გონივრულობის (აღქმა, რომელიც ექნებოდა იმავე მდგომარეობაში მყოფ ნებისმიერ გონივრული განსჯის უნარის მქონე (გონიერ) ადამიანს, საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებათა შესახებ კონვენცია, მუხ. 8 II.) აღიარებულ სტანდარტებს უნდა შეესაბამებოდეს. გონივრული ვადა დროის მონაკვეთია, ხანგრძლივობაა, რომელსაც ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, კონკრეტულ ვითარებათა გათვალისწინებით ურთიერთობის მონაწილეები და დავის განმხილველი ორგანოები განსაზღვრავენ.[30] ვადის გონივრულობის შეფასებისას მნიშვნელოვანია, თუ რასთან მიმართებით არის დადგენილი ეს ვადა, ანუ რა ინტერესი დევს ვადაში. ინტერესი დროში არსებული ფასეულობაა და თუ იგი აღარ იარსებებს, უფლების დაცვასაც აზრი ეკარგება.[31] მხარეთა მიერ ნავარაუდევი ვადის განსაზღვრისას სასამართლო მხედველობაში იღებს კომერციულ ბრუნვაში მიღებულ ტრადიციებს, კერძოდ, მეწარმე სუბიექტებს ურთიერთმიმართებაში შეიძლება უფრო მეტი ინტერესი გააჩნდეთ შემდგომი თანამშრომლობის მიზნით და შესაბამისად, შესრულების მოლოდინს ჩვეულებრივზე მეტი დრო დაუთმონ. ვადის გონივრულობა ყოველი კონკრეტული შემთხვევის თავისებურებების გათვალისწინებით უნდა განისაზღვროს. იგი თანხმობაში უნდა იყოს შესრულების მიმართ კრედიტორის ინტერესთან და მოვალესაც მძიმე ტვირთად არ უნდა დააწვეს.[32]

23 გონივრული ვადა სხვადასხვა გარემოპირობების, ადათების, დამკვიდრებული პრაქტიკის ნორმების, ხელშეკრულების საგნისა და სხვა გარემოებების გათვალისწინებით ხელშეკრულების შინაარსთან,[33] ასევე სამოქალაქო სამართალში დამკვიდრებული კეთილსინდისიერების პრინციპთან[34] შესაბამისობაში და სამართლიანობის საფუძველზე[35] განიმარტება. ასე მაგალითად, სასამართლომ საქმის გარემოებათა შეფასებით, საცხოვრებელი სახლის მშენებლობის დასრულებისთვის 12 თვე ვალდებულების შესრულებისათვის გონივრულ ვადად მიიჩნია.[36] ვადის გონივრულობის საზომი, კერძოსამართლებრივ ურთიერთობათა სპეციფიკიდან გამომდინარე, განისაზღვრება, მაგალითად, 659 მუხლით გათვალისწინებული ტურისტული მოგზაურობის ხარვეზების აღმოფხვრის ვადის გონივრულობა, ხარვეზის სპეციფიკიდან გამომდინარე უნდა განისაზღვროს.[37]

მოქმედების გონივრულ ვადაში განხორციელება აღიარებულია სამოქალაქო-საპროცესო კოდექსითაც. ასე მაგალითად, სასამართლო უწყება მხარეებს ან მათ წარმომადგენლებს უნდა ჩაბარდეთ იმ ვარაუდით, რომ მათ ჰქონდეთ სასამართლოში გამოცხადებისა და საქმის მომზადებისათვის

29 *Schlechtriem/Schwenzer,* Commentary on CISG, 3. Ed., 2010, Art. 39, p. 630.

30 *სუხიტაშვილი,* სამართალი და დრო, გვ. 47.

31 ზარანდია, ნავარაუდევი და გონივრული ვადები, ჟურნ. ადამიანი და კონსტიტუცია, 1/2003, გვ. 69.

32 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 8 ივნისის № ას-48-401-07 განჩინება.

33 *Schlechtriem/Schwenzer,* Commentary on CISG, 3. Ed., 2010, Art. 39, p. 630.

34 *ძლიერიშვილი,* ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, 2010, გვ. 43.

35 იქვე, გვ. 38.

36 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 27 დეკემბრის 2ბ/2845-12 განჩინება.

37 *ძლიერიშვილი,* ვალდებულების შესრულების ნავარაუდევი და გონივრული ვადები, აკაკი ლაბარტყავა, 80, საიუბილეო კრებული, 2013, გვ. 184.

გონივრული ვადა (საქართველოს სამოქალაქო-საპროცესო კოდექსი, 70 II).

III. სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილი ვადა

სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილ ვადაში პირი ვალდებულია, ნებაყოფლობით შეასრულოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოქმედება. სასამართლო პრაქტიკის ანალიზით, ვადის დადგენა, ძირითადად, მოდავე მხარეთა მორიგების შემთხვევაში ხდება. **24**

IV. ვადის დადგენა გარიგებით

სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპით (იხ. 319-ე მუხლის კომენტ.) მხარეებს შეუძლიათ, მათი ინტერესის შესაბამისად დაადგინონ გარიგების პირობათა შესრულების ვადები, რომელიც შესაძლებელია ზუსტი თარიღით (2013 წლის 5 აგვისტო) ან კონკრეტულ მოვლენაზე (მაგ., ზაფხულის დასაწყისი) მითითებით იყოს განსაზღვრული. ხელშეკრულებით ვადის გაუთვალისწინებლობა ან უზუსტობა მისი მხარეთა ან სასამართლოს მეშვეობით განმარტების საჭიროებას იწვევს.[38] **25**

38 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 8 ივნისის № ას-48-401-07 განჩინება.

მუხლი 122. ვადის დასაწყისის აღმნიშვნელი დრო

თუ ვადის დასაწყისად აღებულია ესა თუ ის მოვლენა ან დღის რომელიმე მონაკვეთი, მაშინ ვადის გამოთვლისას არ მიეთვლება ის დღე, რომელშიც დგება ეს მოვლენა ან დღის ზემოაღნიშნული დრო.

I. ნორმის მიზანი.....706
II. რეგულირების საგანი.....706

I. ნორმის მიზანი

1 ვადის გამოთვლისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს ვადის დასაწყისის სწორად განსაზღვრას, ვინაიდან აღნიშნულს უფლების განხორციელების, ვალდებულების შესრულების ან ზოგ შემთხვევაში უფლების გაქარწყლების საკითხები უკავშირდება. სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეებს უფლება აქვთ ვადები სხვაგვარად განსაზღვრონ, მაგრამ, თუ მათ გამორჩათ ვადების კონკრეტული მითითება, გამოიყენება 122-127-ე მუხლებში მოცემული ცნებები.[1] ნორმის მიზანი, კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში ვადის საწყისად დროის სხვადასხვა მონაკვეთის განსაზღვრის მიუხედავად, ვადის დასაწყისის საერთო წესის დადგენაშია.

II. რეგულირების საგანი

2 ზოგ შემთხვევაში ვადის დასაწყისი კონკრეტული დღით ან დღის რომელიმე მონაკვეთითაა გამოხატული, ზოგჯერ კი ვადის დაწყება გარკვეული მოვლენის დადგომაზეა დამოკიდებული. როდესაც ვადის დასაწყისად კონკრეტული დღეა განსაზღვრული, იგი გამოხატულია ზუსტი თარიღით ან კვირის რომელიმე დღით. სახელშეკრულებო ურთიერთობებში ხშირ შემთხვევაში თარიღი გამოიყენება.[2] დათარიღება ბუნებაში და საზოგადოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ სფეროში უკვე მომხდარი, აწმყოში ან მომავალში მოსახდენი ხდომილების ან მოქმედების კალენდარული დროის აღნიშვნაა.[3] ვადა განსაკუთრებით აქტუალური ხდება, როდესაც ოფერტში მითითებული ვადა არ არის დაფიქსირებული კალენდარული თარიღით. ასეთ შემთხვევაში, საჭირო ხდება მისი სხვადასხვა საშუალებით (მაგ., 2 კვირით, 10 დღით) განსაზღვრა, რათა ვადის ათვლის პერიოდი დადგინდეს.[4] დათარიღებით ვადის დასაწყისი ზუსტად განსაზღვრულია, რაც ამარტივებს ვადის გამოთვლას. ჩვეულებრივ, თარიღი სამწევროვანი შემადგენლობისაა: დღე, თვე, წელიწადი. თუმცა ზოგჯერ იგი სახეშეცვლილია, ასე მაგალითად, 2005 წლის შობა ან 2005 წლის თამარობა.[5]

ვადის გამოთვლა სრული დღეებით ხდება, რაც ნიშნავს, რომ ვადაში არ ჩაითვლება განსაზღვრული თარიღის ან მოვლენის დადგომის დღე და ვადის

1 *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 119.
2 საქ. უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2000-2012 წწ. გადაწყვეტილებათა კრებულები სახელშეკრულებო დავებზე.
3 *სუხიტაშვილი,* სამართალი და დრო, 2004, გვ.39.
4 *Schlechtriem/Schwenzer,* Commentary on CISG, 2010, Art. 20, p. 356.
5 *ზარანდია,* სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ადგილი და ვადები, დის., 2002, გვ. 59.

დასაწყისად მომდევნო დღე მიიჩნევა. ამავდროულად, მნიშვნელობა არ აქვს, ვადის დასაწყისი ემთხვევა თუ არა შაბათ-კვირას ან რომელიმე უქმე დღეს. ვადის დასაწყისად **დღის რომელიმე მონაკვეთიც** შეიძლება დადგინდეს, მაგალითად, დილა, შუადღე და სხვა. ნორმა განსხვავებულ წესს არ ადგენს იმ შემთხვევისთვის, როდესაც ვადის ათვლის დასაწყისად დღის დასაწყისია აღებული, შესაბამისად, ვადის ათვლა მომდევნო დღის დასაწყისიდან უნდა დაიწყოს. ვადის ათვლის ასეთი წესი აღიარებულია ქართულ სამოქალაქო სამართალში,[6] ასეთი შემთხვევა განსხვავებულადაა მოწესრიგებული, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 187-ე პარაგრაფის მეორე ნაწილით, რომლის ძალითაც, როდესაც ვადის დასაწყის მომენტად აღებულია დღის დასაწყისი, ის დღე ვადაში შედის.

ზოგ შემთხვევაში კანონით[7] ან მხარეთა შეთანხმებით შეიძლება 24 ან 48-საათიანი ვადა განისაზღვროს. ასეთ შემთხვევაში, ვადის დასაწყისის 122-ე მუხლით დადგენილი წესის ანალოგიით გამოყენება შესაძლებელია ისე, რომ ვადის ათვლა დროის ერთეულის მომდევნო ერთეულიდან დაიწყოს, შესაბამისად, ვადა განსაზღვრული დროის მომდევნო საათიდან ან მომდევნო წუთიდან დაიწყება.[8] **3**

თუ ვადის დასაწყისად აღებულია რაიმე მოვლენა, ვადის ფარგლები ზუსტად დადგენილი არ არის, მაგრამ მოვლენის დადგომის საეჭვოობა არ არსებობს. ასე მაგალითად, თუ საავტომობილო გადაზიდვის ხელშეკრულებაში ვადის დასაწყისად განსაზღვრულია უღელტეხილზე მოძრაობის გახსნის დღე,[9] ვადის ათვლა ასეთ შემთხვევაშიც მოვლენის დადგომის მომდევნო დღიდან უნდა აითვალოს.

ვადის დასაწყისის გამოთვლის ზემოაღნიშნული წესისგან გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც ამა თუ იმ სამოქალაქო უფლების წარმოშობისთვის მნიშვნელოვანია პირის დაბადების დღე (მაგ., პირის ქმედუნარიანობა გარიგებებში, 994-ე მუხლით გათვალისწინებული არასრულწლოვნის პასუხისმგებლობა მიყენებული ზიანისათვის, მემკვიდრეობით და საოჯახო-სამართლებრივ ურთიერთობებში და სხვა). ამ საკითხს სამოქალაქო კოდექსი პირდაპირ არ აწესრიგებს, მაგრამ მე-12 მუხლის (იხ. მე-12 მუხლის კომენტ.) შინაარსიდან გამომდინარე, პირის დაბადების დღე სიცოცხლის ხანგრძლივობის ვადაში უნდა ჩაითვალოს, რაც უფლებაუნარიანობისა და ქმედუნარიანობის წარმოშობის ამ დღიდან ათვლის საფუძველია. აღსანიშნავია, რომ 122-ე მუხლი მსგავსია გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 187 პარაგრაფის პირველი ნაწილისა, ამავე პარაგრაფის მეორე ნაწილით კი დადგენილია, რომ ასაკის გამოთვლისას დაბადების დღე ასაკში მიითვლება. **4**

ვადის დასაწყისის მოვლენით განსაზღვრის შემთხვევა 90-98-ე მუხლებით გათვალისწინებულ პირობით გარიგებებს ჰგავს, მაგრამ პირობითი გარიგებისაგან მკვეთრად განსხვავდება. გარიგება პირობითად ჩაითვლება მხოლოდ მაშინ, როცა მისი ნამდვილობა დამოკიდებულია სამომავლო და უცნობ მოვლენაზე, ე.ი. ისეთ მოვლენაზე, რომელიც მომავალში უნდა **5**

6 *ახვლედიანი,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 122, გვ. 310.
7 საქართველოს სარკინიგზო კოდექსი, მუხ. 25, 27.
8 *Bassenge,* in Palandt BGB Komm, 56. Aufl., § 187, Rn. 1.
9 *ახვლედიანი,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 122, გვ. 310.

დადგეს, მაგრამ ჯერ კიდევ გაურკვეველია დადგება, თუ არა ეს მოვლენა,[10] ხოლო ვადის მოვლენით დადგენა ამ მოვლენის დადგომის ეჭვს არ იწვევს.

6 ვადა არის სამომავლო, მაგრამ დადგენილი მოვლენა, რომელზეც დამოკიდებულია ვალდებულების შესრულება ან მოქმედების შეწყვეტა, პირობა კი არის სამომავლო, მაგრამ განუსაზღვრელი მოვლენა, რომელზედაც დამოკიდებულია რაიმე უფლების ან ვალდებულების წარმოშობა ან მისი მოქმედების შეწყვეტა.[11] ვადა არის სამომავლო მოვლენა (ამით ის უახლოვდება პირობას), მაგრამ დადგენილი პირობა (ამით ის უპირისპირდება მას). პირობის დადგომას ყოველთვის თან ახლავს მისი განუხორციელებლობის ეჭვი.[12]

7 სამოქალაქო კოდექსი არ აწესრიგებს იმ შემთხვევას, როდესაც რაიმე მოვლენის დადგომის მომენტად არა კონკრეტული დღე, არამედ ზოგადად წელია განსაზღვრული. სასამართლო პრაქტიკით, წლებით დადგენილი ვადის დენის დაწყების მომენტის განსასაზღვრად ანალოგიით გამოიყენება 122-ე მუხლი და ვადის დენა იწყება წლის დასრულების მომდევნო დღიდან, ანუ მომდევნო წლის 1 იანვრიდან.[13]

10 *ჭანტურია*, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გვ. 411.

11 *ზარანდია*, სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ადგილი და ვადები, დის., 2002, გვ. 35.

12 იქვე, გვ. 39.

13 საქ. უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 4 ოქტომბრის № ას-649-610-2011 განჩინება, სუს სამოქალაქო საქმეებზე 2/2012, გვ. 86-91.

მუხლი 123. ვადის დამთავრება

1. დღეების მიხედვით განსაზღვრული ვადა მთავრდება ვადის ბოლო დღის გასვლასთან ერთად.

2. ვადა, რომელიც განსაზღვრულია კვირების, თვეების ან რამდენიმე თვის შემცველი დროით – წლით, ნახევარი წლით, კვარტალით, – მთავრდება ბოლო კვირის ან ბოლო თვის იმ დღის დამთავრებისთანავე, რომელიც შეესაბამება მოვლენის დადგომის დღეს ან დღის ზემოაღნიშნულ დროს.

3. თუ თვეების მიხედვით განსაზღვრულ ვადას აკლია ვადის გასვლის აღსანიშნავი კონკრეტული დღე, მაშინ ვადა მთავრდება ამ თვის ბოლო დღის დამთავრებისას.

I. ნორმის მიზანი 709
II. რეგულირების საგანი 709
II. კავშირი სამოქალაქო-საპროცესო კოდექსთან 712

I. ნორმის მიზანი

ნორმის მიზანია ვადის გამოთვლისას ვადის დამთავრების ზუსტი მომენტის განსაზღვრის საერთო წესის დადგენა, ვინაიდან უფლების განხორციელების შესაძლებლობა სწორედ დროის ამ მონაკვეთში მთავრდება და შესაბამისად, იგი მნიშვნელოვანია სამართლებრივი შედეგის დადგომისთვის. ეს მომენტი ზოგ შემთხვევაში უფლებას წარმოშობს (შეძენითი ხანდაზმულობა), სხვა შემთხვევაში კი შესაძლოა, ვადის დასრულებამ ვალდებულების იძულებით შესრულების მოთხოვნის უფლება და სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება გამოიწვიოს. ვადის დასრულების ზუსტი დროის განსაზღვრას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სამართლებრივ შედეგებთან მიმართებით. ასე მაგალითად, თუ გამყიდველი ვალდებულია დააბრუნოს საფასური, მან უნდა გადაიხადოს აგრეთვე მისი პროცენტები ფასის გადახდის თარიღიდან გაანგარიშებით (საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებათა შესახებ კონვენცია, მუხ. 84 I), ე.ი. მნიშვნელოვანია, განისაზღვროს ფასის გადახდის თარიღი, რათა პროცენტული დარიცხვა სწორედ აღნიშნული დღიდან მოხდეს.[1] **1**

I. რეგულირების საგანი

ვადა შეიძლება დროის სხვადასხვა მონაკვეთით – დღეებით, თვეებით, კვარტალით ან წლებით განისაზღვროს. ნორმის შესაბამისად, დღეების მიხედვით განსაზღვრული ვადა ამ ვადის ბოლო დღის გასვლასთან ერთად მთავრდება. კალენდარული დღე 24 საათს მოიცავს. იგი იწყება 00:00 საათზე **2**

1 *Schlechtriem/Schwenzer,* Commentary on CISG, 3. Ed., 2010, Art. 84, p. 1132.

და მთავრდება ამავე დღის 24:00 საათზე. ასე მაგალითად, ვალდებულების შესრულების ვადა მოვალეს ვადის ბოლო დღის 24 საათზე ეწურება. ამდენად, ვადა, ვადის ბოლო დღის 24 საათამდე დროს სრულად მოიცავს. ბოლო დღის 24 საათის შემდეგ ვადა დასრულებულია. აღნიშნულიდან გამონაკლისს წარმოადგენს გარემოება, როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული მოქმედება კერძო ან საჯარო დაწესებულებაში უნდა შესრულდეს. ასეთ შემთხვევაში პირი ვალდებულია, მოქმედება სამუშაო საათების დასრულებამდე განახორციელოს. მაგალითად, თუ ბანკი დღის 18 საათამდე მუშაობს, ხელშეკრულებით შეთანხმებული საბანკო ოპერაციის განხორციელების ვადა 18 საათზე დასრულებულად ჩაითვლება.[2] კრედიტორის ინტერესიდან გამომდინარე, შესაძლებელია, ვადის დამთავრების დროდ დღის რომელიმე მონაკვეთიც მიეთითოს, მაგალითად, დილით, სამუშაო დღის ბოლომდე, სამუშაო დღის განმავლობაში და სხვ. ოფერენტის მიერ აქცეპტის მიღების ვადად დღის მონაკვეთის განსაზღვრისას, ვადის ათვლა ოფერენტის მიერ ნების გამოხატვის მომენტიდან – განცხადების ტექსტში მითითებული ვადიდან აითვლება და არა ადრესატისთვის წინადადების მისვლის მომენტიდან.[3]

3 სახელშეკრულებო ურთიერთობებშ, დღეებით ვადის განსაზღვრისას მნიშვნელოვანია, შესრულების ვადის ზუსტი განსაზღვრა, რაც თარიღის ან კონკრეტულ მოვლენაზე (მაგ., დაბადების დღეს) მითითებითაა შესაძლებელი. თუ ვადა მხოლოდ დღეების ოდენობითაა განსაზღვრული, მაშინ შესრულების ვადის განსაზღვრა ხელშეკრულების შინაარსიდან გამომდინარე უნდა მოხდეს. მაგალითად, სასამართლომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ცალკეული სამუშაოების შესრულების ვადების მხოლოდ დღეების ოდენობით განსაზღვრის და მისი დაწყებისა და დამთავრების ზუსტ თარიღებზე შეთანხმების არარსებობის გამო, ხელშეკრულების მოქმედების ვადაში სამუშაოთა შესრულება ჯეროვან შესრულებად მიიჩნია.[4] სხვა შემთხვევაში, სასამართლომ მიიჩნია, რომ ხელშეკრულების ამოწურვის შემდეგ დამატებითი ვადის დანიშვნა არ შეადგენს კრედიტორის ვალდებულებას, რადგანაც გამოკვეთილად და ნათლად განსაზღვრული დღე თავისთავად აღარ საჭიროებს შეხსენებას („დრო აფრთხილებს ადამიანის მაგივრად“). იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულების შესრულებისათვის წინასწარ იყო შეთანხმებული გარკვეული დღე, ხელშეკრულების შეწყვეტისათვის არ არის საჭირო შეხსენება, ასეთ შემთხვევაში შეხსენება კრედიტორის უფლებას და არა მოვალეობას წარმოადგენს.[5]

ნორმის მეორე ნაწილი ხანგრძლივი ვადის დამთავრების წესს ადგენს, კერძოდ, როდესაც ვადა რამდენიმე კვირას ან რამდენიმე თვეს მოიცავს.

4 **კვირა** ზოგადად, შვიდდღიანი დროის მონაკვეთისაგან შედგება. ვადა კვირით ძირითადად ხელშეკრულებით, ასევე ზოგ შემთხვევაში კანონითაც

2 *ახვლედიანი,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ.123, გვ. 311.

3 *ჭანტურია,* სკ-ის კომენტარი, წიგნი III, მუხ. 331, გვ. 135.

4 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 2 დეკემბრის № ას-851-902-2011 განჩინება.

5 საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 5 მაისის № ბს-1034-992(კ-09) გადაწყვეტილება.

განისაზღვრება (მაგ., 336, 2581, 279, 281, 282, 798, 817, 834). ვადის ერთი ან რამდენიმე კვირით განსაზღვრისას, კვირა 7 დღით უნდა გამოითვალოს, ამასთან, კვირის დასაწყისად და შესაბამისად, დამთავრების დღედ შეიძლება კვირის ნებისმიერი დღე დადგინდეს. ასე მაგალითად, თუ მხარეების შეთანხმება ოთხშაბათს შედგა, ხოლო ვალდებულება ხელშეკრულების დადებიდან ერთი კვირის ვადაში უნდა შესრულდეს, ვადის გამოთვლა დაიწყება ხუთშაბათიდან და დამთავრდება მომდევნო ხუთშაბათს 24 საათზე. ვადის გამოთვლის ასეთი წესი ვერ გავრცელდება ისეთ შემთხვევაზე, როდესაც ხელშეკრულებით მხარეები კვირას სხვა გარემოებითაც აზუსტებენ, მაგალითად, **სამუშაო კვირა,** რომელიც სამუშაოს თავისებურებიდან გამომდინარე, შეიძლება შვიდ დღეს არ მოიცავდეს (საქართველოს შრომის კოდექსი მუხ.13 II ა, მუხ. 14).

თვე გრიგორიანული კალენდრით 28-31-დღიან დროის მონაკვეთს უდრის. **5**
თვეებით ვადის განსაზღვრისას, შესაძლებელია, ვადად მიეთითოს როგორც კონკრეტული ოდენობა (მაგ., ხუთი თვე), ასევე თვეების შემცველი დროის მონაკვეთი – კვარტალი, ნახევარი წელი ან წელიწადი. თუ ვადა თვეებით ან მისი შემცველი დროის მონაკვეთით – კვარტალით ან წლითაა დადგენილი, ნორმის თანახმად, ვადა ბოლო თვის შესაბამის დღეს დამთავრდება, ანუ თუ ხუთი თვით განსაზღვრული ვადა 18 ივლისს დაიწყო, 18 დეკემბერს დამთავრდება. თვე, ჩვეულებრივ, 4 კვირას მოიცავს. ამასთან, მხარეთა შეთანხმება 4-კვირიან ვადაზე, ცალსახად ერთ თვეზე შეთანხმებად არ უნდა განიმარტოს. ასე მაგალითად, თუ ვადის დასაწყისად აღებულია 2013 წლის 1 მარტი, 4- კვირიან ვადაზე შეთანხმებისას, იგი 2013 წლის 29 მარტს დასრულდება, ხოლო 4-კვირიანი ვადის ერთთვიან ვადად მიჩნევისას, იგივე მაგალითით, ვადა 2013 წლის 1 აპრილს უნდა დამთავრდეს.

123 III მუხლი სპეციალურ რეგულაციას ითვალისწინებს ისეთი შემთხ- **6**
ვევისთვის, როდესაც თვეების მიხედვით განსაზღვრულ ვადის ბოლო თვეს შესაბამისი დღე აკლია და ვადის დასასრულად ამ თვის ბოლო დღეს ადგენს. ასე მაგალითად, თუ ვადის დასაწყისი 31 იანვარია, ვადა 28 თებერვალს დასრულდება. ამასთან, თუ ვადა 28 თებერვალს იწყება, ვადა 28 მარტს (და არა 30 მარტს) დასრულდება.[6] ამდენად, თვეებით განსაზღვრული ვადის გამოთვლისას, გადამწყვეტი მნიშვნელობისაა, თვის რომელ რიცხვში დაიწყო ვადა და აქვს თუ არა ვადის ბოლო თვეს შესაბამისი რიცხვი.

კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში არ არის გამორიცხული, მხა- **7**
რეები ვადის დამთავრების თვეზე რიცხვის მიუთითებლად შეთანხმდნენ, მაგალითად, ნასყიდობის საგნის აგვისტოს თვეში მიწოდებაზე. ასეთ დროს, ვადა აგვისტოს თვის ბოლო დღის 24 საათზე დამთავრდება.[7] ვადის კვარტალით, ნახევარი წლით ან წლით განსაზღვრის შემთხვევებშიც იგივე წესი გავრცელდება,[8] ანუ კვარტალით ვადის განსაზღვრისას, ვადა მესამე თვის ბოლო დღეს, ნახევარი წლით განსაზღვრისას, მეექვსე თვის ბოლო დღეს,

6 *Heinrichs,* in Palandt BGB Komm, 66. Aufl., § 188, Rn. 2.
7 *ახვლედიანი,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ.123, გვ. 312.
8 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 1 ოქტომბრის № ას-649-610-2011 განჩინება.

ხოლო წლით განსაზღვრისას – 31 დეკემბრის 24 საათზე დამთავრდება.

III. კავშირი სამოქალაქო-საპროცესო კოდექსთან

8 სამოქალაქო-საპროცესო კანონმდებლობა, სამოქალაქო კოდექსის მსგავსად, განსაზღვრავს წლებითა და თვეებით განსაზღვრული ვადის დამთავრების წესს. ამასთან, საპროცესო ვადის დამთავრებას მნიშვნელოვანი სამართლებრივი შედეგი უკავშირდება – კანონით ან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში საპროცესო მოქმედების განუხორციელებლობა ამ მოქმედების შესრულების უფლებას აქარწყლებს (საქართველოს სამოქალაქო-საპროცესო კოდექსის მუხ. 61, 63).

მუხლი 124. ცნებები

1. ნახევარი წელი ნიშნავს ექვსთვიან ვადას, კვარტალი – სამთვიან ვადას, რომელიც აითვლება წლის დასაწყისიდან, ხოლო ნახევარი თვე – თხუთმეტ-დღიან ვადას.

2. თუ ვადა შედგება ერთი ან რამდენიმე მთლიანი და ნახევარი თვისაგან, ბოლოს უნდა გამოითვალოს თხუთმეტი დღე.

1 შესაძლებელია, ვადა დროის სხვადასხვა მონაკვეთით განისაზღვროს. ვადის გამოთვლის გამარტივების მიზნით, ნორმა დროის მონაკვეთების მოცულობას აზუსტებს. ნორმით, **ნახევარი წელი** ექვსი თვის ტოლფასია. ამასთან, იგი შესაძლებელია, წლის ნებისმიერი თვიდან აითვალოს, მაგალითად, ვადის ნახევარი წლით შეთანხმების შემთხვევაში, თუ ვადა იწყება 1 მაისს, დამთავრდება 1 ნოემბერს. განსხვავებული ვითარებაა, თუ ნახევარი წელი კანონით ან მხარეთა შეთანხმებით, მკაცრად განსაზღვრული დრო ან კალენდარული წელია, მაგალითად, კანონის თანახმად, იჯარის ხელშეკრულებისთვის საიჯარო წლად ითვლება კალენდარული წელი (606).

2 სამოქალაქო კოდექსი კვარტალის განმარტებას არ გვაძლევს. საერთო წესით, კვარტალი კალენდარული წლის სამთვიანი დროის მონაკვეთია, ხოლო კალენდარული წელი ოთხი კვარტალისგან შედგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსით, კალენდარული წელი მოიცავს ოთხ კვარტალს: ა) 1 იანვრიდან 31 მარტის ჩათვლით – I კვარტალი; ბ) 1 აპრილიდან 30 ივნისის ჩათვლით – II კვარტალი; გ) 1 ივლისიდან 30 სექტემბრის ჩათვლით – III კვარტალი; დ) 1 ოქტომბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით – IV კვარტალი.[1] 124-ე მუხლის შესაბამისად, კვარტალი სამთვიან ვადას მოიცავს, რომელიც აუცილებლად წლის დასაწყისიდან უნდა აითვალოს. თუ ვალდებულება უნდა შესრულდეს 2013 წლის მესამე კვარტალში, ვადის დასაწყისად ჩაითვლება 2013 წლის 1 ივლისი, ხოლო დასასრულად იმავე წლის 1 ოქტომბერი. განსხვავებული მოსაზრებით[2] აღნიშნულ მაგალითზე ვადა სექტემბრის თვის ბოლოს უნდა დამთავრდეს.

კანონის მიზნებისთვის, ნახევარი თვე განისაზღვრება 15 დღით. თვე შეიძლება 28, 29, 30 ან 31 დღისგან შედგებოდეს, რასაც ნახევარი თვის დათვლისას მნიშვნელობა არ მიენიჭება და ნახევარ თვედ ზუსტად 15 დღე მიიჩნევა. ასე მაგალითად, თუ ვალდებულების შესრულების ვადად ნახევარი თვეა დადგენილი, ხოლო ვადის დასაწყისად აღებულია 11 მარტი, ვადა 26 მარტს დამთავრდება.

3 ნორმის მეორე ნაწილი ითვალისწინებს გამონაკლისს, როდესაც ვადა ერთდროულად მოიცავს ნახევარ და სრულ თვეს ან თვეებს. ასეთ შემთხვევაში ვადა თავდაპირველად თვეებით გამოითვლება, შემდეგ კი ნახევარი თვე დაემატება. ასე მაგალითად, თუ ვადა ორი თვენახევრითაა განსაზღვრული, ვადის დასაწყისი კი 2013 წლის 15 მაისია, ორი თვე 15 ივლისს დამთავრდება, რასაც დაემატება ნახევარი თვე – 15 დღე და საბოლოოდ, ვადა 30 ივლისს დამთავრდება.

1 საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხ. 3 X.

2 *ახვლედიანი,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 124. გვ. 313.

მუხლი 125. ვადის გამოთვლა ვადის გაგრძელებისას
ვადის გაგრძელების შემთხვევაში ახალი ვადა გამოითვლება გასული ვადის დამთავრებიდან.

1. ნორმის მიზანი

1 **ნორმის მიზანია** დადგენილი ვადის გაგრძელებისას ვადის გამოთვლის საერთო წესის დადგენა. ნორმა გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 190 პარაგრაფის ანალოგიური შინაარსისაა და კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში განსაზღვრული ვადის გაგრძელებას აწესრიგებს.

გავრცელებული მოსაზრებით, დადგენილმა ვადამ კერძოსამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტებისთვის დაბრკოლება არ უნდა შექმნას და მხარეებმა, კანონის ფარგლებში, მასზე ზემოქმედება უნდა შეძლონ. შინაარსობრივად, ვადის გაგრძელება დადგენილი ვადის დროში გაზრდაა, რაც ზოგ შემთხვევაში ორივე მხარის ინტერესშია. მატერიალურ-სამართლებრივად ვადის გაგრძელება ძირითადად მხარეთა ნებაზეა დამოკიდებული, თუმცა მისი ათვლა 125-ე მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად უნდა მოხდეს.

2. ვადის გაგრძელების მომენტი.

ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია სამოქალაქო კოდექსით დადგენილი იმპერატიული აკრძალვები, ასე მაგალითად, 514-ე მუხლით დადგენილია, რომ გამოსყიდვის ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს ათ წელს. ამ ვადის გაგრძელება დაუშვებელია (514).

2 ვადის გაგრძელება დასაშვებია როგორც თავდაპირველი ვადის პერიოდშიც, ასევე მისი გასვლის შემდეგაც. ამასთან, 124-ე მუხლით დადგენილი წესი გამოიყენება მხოლოდ ვადის გაგრძელების შემთხვევისთვის. თუ განსაზღვრული ვადის ნაცვლად ახალი ვადა დგინდება, ვადის ათვლა 122-ე მუხლით უნდა განხორციელდეს. მაგალითად, თუ ნარდობის სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფი პირები ახალ გარიგებას დადებენ თავდაპირველი ხელშეკრულების მსგავს საგანსა და ფასზე. ამასთან, ვადის გაგრძელება განსხვავებულ სამართლებრივ შედეგებს იწვევს შრომით სახელშეკრულებო ურთიერთობებში (საქართველოს შრომის კოდექსი, მუხ. 6, ნაწ. 13).

3. ახალი ვადის ათვლა.

3 ვადის გაგრძელებისას სამართლებრივად მნიშვნელოვანია ახალი (გაგრძელებული) ვადის ათვლის წესი. ნორმის შესაბამისად, ახალი ვადა გამოითვლება გასული ვადის დამთავრებიდან. ამდენად, ახალი ვადის მიმდინარეობა იწყება არა მისი დათქმის, არამედ პირველადი ვადის გასვლის მომენტიდან.[1] ასე მაგალითად, თუ ვალდებულების შესრულების ვადა მთავრდებოდა 11 ივნისს, ხოლო მხარეები მის გაგრძელებაზე შეთანხმდნენ

1 *Bassenge,* in Palandt BGB Komm., 56. Aufl., § 190, Rn. 1.

8 ივნისს, ახალი ვადა აითვლება არა 8 ივნისიდან, არამედ 11 ივნისიდან. რადგან ძველი და ახალი ვადა ერთ მთლიანობას წარმოადგენს, მნიშვნელობა არა აქვს პირველადი ვადა მთავრდებოდა თუ არა კვირას ან სხვა უქმე დღეს,[2] შესაბამისად, ამ შემთხვევაში 127-ე მუხლი არ გამოიყენება.

ახალი ვადის განსაზღვრისას დრო შეთანხმებულად ითვლება, თუ ის **4**
განსაზღვრულია კალენდარული თარიღით ან არ არის კალენდარულად განსაზღვრული თუმცა, დამოკიდებულია კონკრეტულ სამომავლო მოვლენაზე, რაც ნათლად და ობიექტურადაა გამოხატული (მაგ., ხვალ, როგორც კი შესაძლებელი იქნება, აღდგომიდან მე-10 დღეს, და სხვა). ამასთან, ვალდებულ პირს შეუძლია ვალდებულება განსაზღვრული ვადის პირველ, ბოლო ან ნებისმიერ დღეს, ოღონდ მითითებულ პერიოდში შეასრულოს.[3]

4. კავშირი სხვა ნორმებთან.

ვადის გაგრძელება განსხვავებულ სამართლებრივ შედეგებს იწვევს **5**
შრომით სახელშეკრულებო ურთიერთობებში (საქართველოს შრომის კოდექსი, მუხ. 6, ნაწ. 13), შესაბამისად, გამოიყენება სპეციალური ნორმა.

აღსანიშნავია, რომ ვადის გაგრძელებას სამოქალაქო-საპროცესო კოდექსიც ითვალისწინებს, იმ განსხვავებით, რომ საპროცესო მოქმედების შესრულებისთვის დადგენილი ვადის გაგრძელება მხოლოდ იმ შემთხვევაშია დასაშვები, თუ იგი სასამართლოს მიერაა დადგენილი. რაც შეეხება კანონით დადგენილ ვადას, სამოქალაქო-საპროცესო კოდექსით დასაშვებია მისი აღდგენა (საქართველოს სამოქალაქო-საპროცესო კოდექსი, მუხ. 64-65).[4] ამდენად, სამოქალაქო საქმეთა განხილვის დროს, საპროცესო მოქმედებების შესრულებისას ან/და პროცესუალური უფლებების განხორციელებისათვის დადგენილი ვადების გაგრძელებისას, გამოიყენება მხოლოდ სამოქალაქო-საპროცესო კოდექსის შესაბამისი ნორმა.

2 *Bassenge,* in Palandt BGB Komm, 56. Aufl., § 190, Rn. 1.
3 *Schlechtriem/Schwenzer,* Commentary on CISG, 3. Ed., 2010, Art. 33, p. 552-553.
4 *ლილუაშვილი,* სამოქალაქო-საპროცესო სამართალი, გვ.189-190.

მუხლი 126. ვადის გამოთვლა თვეების მიხედვით

1. თუ დრო განსაზღვრულია თვეების ან წლების მიხედვით იმგვარად, რომ არ არის საჭირო მათი ერთად გასვლა, მაშინ თვე გამოითვლება ოცდაათი დღით, ხოლო წელი – სამას სამოცდახუთით.

2. თვის დასაწყისად ითვლება თვის პირველი დღე, შუა თვედ – თვის მეთხუთმეტე დღე, ხოლო თვის დასასრულად – თვის ბოლო დღე.

1 ნორმა ადგენს ვადის გამოთვლის სპეციალურ წესს ისეთი შემთხვევისთვის, როდესაც დრო თვეების ან წლების მიხედვითაა განსაზღვრული. დროის ასეთი მონაკვეთებით ვადის განსაზღვრისას, მისი რეგულაცია მოცემულია 123-124-ე მუხლებშიც, მაგრამ მათგან განსხვავებით 126-ე მუხლი აწესრიგებს ვადის გამოთვლას მაშინ, როდესაც თვეების ან წლების ერთად გასვლა საჭირო არ არის.

2 თვის ხანგრძლივობა კალენდარულად 28-31 დღეს შეადგენს. ნორმის შესაბამისად **თვე** ოცდაათი დღით გამოითვლება იმ შემთხვევისთვის, როდესაც თვეების ერთად გასვლა საჭირო არ არის.[1] ასე მაგალითად, პერიოდულად შესასრულებელი ნასყიდობის ხელშეკრულებისთვის მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ, რომ ნასყიდობის საგნის (100 ტონა მარცვლეულის) მიწოდება აპრილიდან დეკემბრამდე ნაწილ-ნაწილ – სამი თვის განმავლობაში განხორციელდეს. ასეთ შემთხვევაში, ვალდებულება შეთანხმებულ, მაგრამ ერთმანეთის არამიმდევარ ივნისის, აგვისტოსა და დეკემბრის თვეებში შეიძლება შესრულდეს.

3 **წელი (წელიწადი)** ზოგადად მოიცავს წლის დასაწყისიდან – 1 იანვრიდან წლის დასასრულამდე – 31 დეკემბრამდე, უწყვეტ, 365 ან 366 დღისგან შემდგარ პერიოდს **(კალენდარული წელი).** სახელშეკრულებო ურთიერთობებში წელიწადი ზოგჯერ მითითებულია როგორც **სამეურნეო წელი,** რაც ძირითადად კალენდარულ წელს ემთხვევა. სამეურნეო წელი გამოიყენება კანონითაც.[2] კალენდარულ წელს ემთხვევა საიჯარო წელიც.[3] სახელშეკრულებო ურთიერთობებში წელიწადად მიიჩნევა ასევე დროის მონაკვეთიც, რომელიც არ ემთხვევა კალენდარულ წელს, მაგრამ 12 უწყვეტ თვეს მოიცავს, მაგალითად, შეთანხმებიდან, 2011 წლის ივლისიდან ვალის ერთ წელიწადში დაბრუნების ვალდებულება მოიცავს 2012 წლის ივლისამდე 12- თვიან უწყვეტ პერიოდს. ნორმის შესაბამისად კი, წელი სამას სამოცდახუთი დღით განისაზღვრება, იმ შემთხვევისთვის, როდესაც მათი ერთად გასვლა საჭირო არ არის. მაგალითად, თუ მოქმედება 2012 წლიდან 2015 წლამდე ორი წლის ვადაში უნდა შესრულდეს, შესრულების ვადა 730 დღით გამოითვლება.

4 ნორმის მეორე ნაწილი თვის მონაკვეთების მარტივ რიცხობრივ მონაცემს განსაზღვრავს: თვის დასაწყისი თვის პირველი დღეა, შუა თვედ თვის მეთხუთმეტე დღე მიიჩნევა, ხოლო თვის დასასრულად – თვის ბოლო დღე.

1 *ახვლედიანი,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 126, გვ. 314.
2 საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ მუხ. 91 IV, დ.
3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხ. 606 I.

კანონი არ ადგენს წლის დასაწყისსა და დასასრულს, თუმცა იგი ნორმის მეორე ნაწილის ანალოგიურად წლის პირველი და ბოლო დღით შეიძლება განისაზღვროს.[4]

4 საქ. უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 4 ოქტომბრის №ას-649-610-2011 განჩინება, სუსგ სამოქალაქო საქმეებზე 2/2012, გვ. 86-91.

მუხლი 127. გამოსასვლელი და სადღესასწაულო დღეები

თუ მოქმედება უნდა შესრულდეს განსაზღვრულ დღეს და ეს დღე ან ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს ან მოქმედების შესრულების ადგილას გამოცხადებულ სადღესასწაულო ანდა სხვა გამოსასვლელ დღეებს, მაშინ ამ დღის ნაცვლად გამოყენებულ უნდა იქნეს მომდევნო სამუშაო დღე.

1 ნორმა არასამუშაო და სადღესასწაულო დღეებში ვადის დამთავრებისას მოქმედების შესრულების წესს ადგენს. **მოქმედება** გულისხმობს როგორც კანონით, ასევე ხელშეკრულებით ვადის ფარგლებში გათვალისწინებულ შესრულებას ან მოთხოვნას (პრეტენზიის წარდგენა, ვალის გადახდა, სამუშაოების შესრულება, ინფორმაციის გაცემა, ფრენშაიზის მიმღებისთვის მოქმედებისაგან თავის შეკავება, და სხვა), რომელსაც განსაზღვრული სამართლებრივი შედეგი უნდა მოჰყვეს.

2 არასამუშაო დღეს მნიშვნელობა აქვს მხოლოდ ვადის დამთავრებისათვის.[1] ნორმის შესაბამისად, მოქმედების შესრულების დღე თუ არასამუშაო დღეს ემთხვევა, შესრულების დღედ მომდევნო სამუშაო დღე ჩაითვლება. ამასთან, მოქმედების შესრულების ადგილის მიხედვით, არასამუშაო და სადღესასწაულო დღეები სხვადასხვა რეგიონში შეიძლება განსხვავებული იყოს. მოქმედების შინაარსის თავისებურებიდან გამომდინარე, მოქმედების შესრულების ადგილზე შესაძლებელია სამუშაო დრო განსხვავებულად დადგინდეს (მაგ., საზღვაო, საჰაერო, სარკინიგზო სადგურებსა და ტერმინალებში). **არასამუშაო დღედ,** ჩვეულებრივ, შაბათი და კვირა მიიჩნევა, თუმცა შესაძლებელია, ცალკეულ დაწესებულებაში (მაგალითად, სავაჭრო, საყოფაცხოვრებო მომსახურების და სხვა მსგავსი ტიპის დაწესებულება) ასეთად კვირის სხვა დღეც იყოს არჩეული.

3 **სადღესასწაულო ანდა სხვა გამოსასვლელი – უქმე დღეების** ზუსტი ჩამონათვალი კანონით არის დადგენილი. ესენია: 1 და 2 იანვარი – ახალი წლის სადღესასწაულო დღეები; 7 იანვარი – უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს შობის დღე; 19 იანვარი – ნათლისღება – უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს გაცხადების დღე; 3 მარტი – დედის დღე; 8 მარტი – ქალთა საერთაშორისო დღე; 9 აპრილი – საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღების დღე, საქართველოს ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღე; სააღდგომო დღეები – დიდი პარასკევი, დიდი შაბათი, უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის დღე; მიცვალებულთა მოხსენიების დღე – აღდგომის მეორე დღე, ორშაბათი (თარიღები გარდამავალია); 9 მაისი – ფაშიზმზე გამარჯვების დღე; 12 მაისი – საქართველოს ეკლესიის, როგორც სამოციქულო საყდრის, დამაარსებლის – წმინდა ანდრია მოციქულის ხსენების დღე; 26 მაისი – საქართველოს დამოუკიდებლობის დღე; 28 აგვისტო – ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების დღე (მარიამობა); 14 ოქტომბერი – მცხეთობის (სვეტიცხოვლობის, კვართის დღესასწაულის) დღე; 23 ნოემბერი – გიორგობის დღე (საქართველოს შრომის კოდექსი, მუხ. 20).

1 *ახვლედიანი,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ.127, გვ. 315.

დაწესებულების საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეიძლება არასამუშაო დღედ სხვა ნებისმიერი დღეც განისაზღვროს. მაგალითად, თუკი მაღაზია სანიტარიული სამუშაოების გამო დაკეტილია, მყიდველისთვის ეს დღე არასამუშაოდ ჩაითვლება და ამავე მაღაზიაში შეძენილი ნივთის საგარანტიო ვადა მაღაზიის პირველ სამუშაო დღეს დამთავრდება.[2]

4 ვინაიდან ვადის დამთავრების მომენტს მნიშვნელოვანი იურიდიული შედეგები მოჰყვება, არასამუშაო დღეებთან მიმართებით რეგულაციებს საერთაშორისო აქტებიც ითვალისწინებს. საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებათა შესახებ კონვენციის 20 II მუხლის თანახმად, აქცეპტისთვის დადგენილ ვადაში ოფიციალური დასვენებებისა და არასამუშაო დღეებიც მოიაზრება. პრობლემა შესაძლოა წარმოიშვას სწორედ დასვენების და არასამუშაო დღეებთან დაკავშირებით. კერძოდ, საერთაშორისო ტრანსაქციებში ხშირია შემთხვევა, როდესაც სხვადასხვა არასამუშაო და დასვენების დღე ქალაქებისა და რეგიონების მიხედვით განსხვავებულია, თუმცა 20 II 2 მუხლის სწორედ აღნიშნულ საკითხს აწესრიგებს,[3] რომლის თანახმადაც, თუ აქცეპტის შესახებ ინფორმაცია ოფერენტს არასამუშაო დროის გამო ვერ ჩაბარდა, მაშინ ვადა მომდევნო პირველ სამუშაო დღემდე გადაიწევს. მსგავს დებულებას ითვალისწინებს ვადების გამოთვლის შესახებ ევროპული კონვენციის 5 მუხლიც.[4]

5 127-ე მუხლის შესაბამისად, არასამუშაო დღეები მოქმედების შესრულების ადგილის მიხედვით შეიძლება დადგენილისგან განსხვავებული იყოს. ასეთ შემთხვევაში, დაინტერესებულმა პირმა უნდა ამტკიცოს, რომ, დამკვიდრებული წესით, არასამაუშაო დღედ მიჩნეული დღე (მაგალითად, შაბათი ან კვირა) მოქმედების შესრულების ადგილზეც არასამუშაო დღეა. ასე მაგალითად, სასამართლო განჩინებით დადგინდა, რომ ხელშეკრულებით შეთანხმებული 48-საათიან ვადაში განუბაჟებელი ტვირთის მიღებისთვის, საწინააღმდეგოს დამტკიცებამდე ივარაუდება, რომ ქ. ბაქოს საბაჟო ტერმინალზე შაბათი და კვირა არასამუშაო დღე არ არის.[5]

2 *ახვლედიანი,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 127, გვ. 315.

3 *Schlechtriem/Schwenzer,* Commentary on CISG, 3. Ed., 2010, Art. 20, 356.

4 European Convention on the Calculation of Time-Limits (კონვენცია ამჟამად საქართველოში რატიფიცირებული არ არის).

5 საქ. უზენაესი სასამართლო 2011 წლის 20 ივნისის № ას-582-550-2011 განჩინება.

თავი მეორე
ხანდაზმულობა

მუხლი 128. ცნება. სახეები

1. სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე ვრცელდება ხანდაზმულობა.

2. ხანდაზმულობის ვადა არ ვრცელდება:

ა) პირად არაქონებრივ უფლებებზე, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;

ბ) მეანაბრეთა მოთხოვნაზე ბანკსა და სხვა საკრედიტო დაწესებულებებში შეტანილი ანაბრების გამო.

3. ხანდაზმულობის საერთო ვადა შეადგენს 10 წელს.

I. ხანდაზმულობის არსი და მიზანი 720
II. გამოყენების სფერო 721
III. ხანდაზმულობის გამიჯვნა სხვა ვადებისგან 722
IV. კავშირი პროცესთან 722
1. ხანდაზმულობის სამართლებრივი შედეგი 724
V. მოთხოვნები, რომლებზეც ხანდაზმულობა არ ვრცელდება 724
1. პირადი არაქონებრივი უფლებები 725
2. მეანაბრეთა მოთხოვნა საკრედიტო დაწესებულებაში შეტანილ ანაბრებზე 725
3. საზიარო უფლების გაუქმების მოთხოვნა 726
4. საკუთრების უფლების დაცვის მოთხოვნის ხანდაზმულობა 726
VI. საერთო ვადა 726

I. ხანდაზმულობის არსი და მიზანი

1 ძველი ქართული სამართლის ძეგლებში ხანდაზმულობა დროის განსაზღვრულ მონაკვეთზე მითითებით ან დროის სინონიმებით (ხანი, ჟამი) არის გამოყენებული. როგორც სამართლებრივი ტერმინი, ხანდაზმულობა ქართულ ნორმატიულ აქტებში 1923 წლის საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსიდან იღებს სათავეს.[1] „ხანდაზმულობა“ სამოქალაქო სამართალში გამოხატავს იმ აზრს, რომ რომელიმე ურთიერთობას, მდგომარეობას, მოვლენას ადგილი ჰქონდა იმდენად დიდი ხნის წინ, რომ ხანგრძლივი დროის გასვლა განსაზღვრული სახით გავლენას ახდენს პირთა უფლებებსა და ვალდებულებებზე.[2]

2 სასარჩელო ხანდაზმულობაში იგულისხმება დრო, რომლის განმავლობაშიც პირს, ვისი უფლებებიც დარღვეულია, შეუძლია მოითხოვოს თავისი უფლების იძულებით განხორციელება ან დაცვა.[3] ამდენად, უფლებადარ-

1 *ლომიძე,* ხანდაზმულობა (ტერმინის საკითხისათვის), სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები, წიგნი I, 2010, გვ. 371-377.

2 *ახვლედიანი,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 128, გვ. 316.

3 იქვე, გვ. 317.

ღვეული პირისათვის უფლების დაცვა დროის გარკვეულ პერიოდშია შესაძლებელი, ხოლო ამ ვადის გასვლის შედეგად მოთხოვნა ხანდაზმულად ჩაითვლება, რაც მოთხოვნის სასარჩელო წესით დაცვას (მატერიალურად, და არა პროცესუალურად) გამორიცხავს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ვალდებული პირი, ხანდაზმულობის ვადის გასვლის მიუხედავად, შესრულებაზე თანახმაა.

ხანდაზმულობის მიზანი მოვალის დაცვა და დროის გასვლის გამო მტკიცების სირთულეებისგან მისი გათავისუფლებაა. დაცულია ასევე მოვალის ნდობა, რომ მოთხოვნის უფლებები მის წინააღმდეგ არ იქნება გამოყენებული.[4] უფლების სასარჩელო წესით დაცვის დროში შეზღუდვა განპირობებულია: 1. სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების დადგენისა და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების გამარტივებით; 2. სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის დაცვით; 3. დარღვეული უფლების დასაცავად ხანგრძლივი დროის მანძილზე ზომების მიუღებლობა, როგორც წესი, მეტყველებს იმაზე, რომ დაზარალებული ან არ არის საკმარისად დაინტერესებული თავისი უფლების განხორციელებით ან არ არის დარწმუნებული მოთხოვნის საფუძვლიანობაში; 4. სასარჩელო ხანდაზმულობა ხელს უწყობს გარიგებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას, თავიანთი უფლებების რეალიზაციის თვალსაზრისით, სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეების აქტიურობის სტიმულირებას ახდენს, აგრეთვე აძლიერებს ორმხრივ კონტროლს ვალდებულების შესრულებაზე.[5] **3**

II. გამოყენების სფერო

სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილით დადგენილი ხანდაზმულობის ვადების გამოთვლის წესი საერთოა კერძო სამართლისათვის და მოქმედებს როგორც სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ, ასევე შრომის, საავტორო, საკორპორაციო და სხვა სამართლებრივი ურთიერთობებიდან წარმოშობილ მოთხოვნებზე. გამონაკლისს წარმოადგენს ის შემთხვევები, როდესაც კონკრეტული ურთიერთობა განსხვავებულ წესს ადგენს, შესაბამისად, 2 I მუხლის თანახმად, გამოიყენება სპეციალური ნორმა.[6] **4**

სამოქალაქო კოდექსის ზოგად ნაწილში გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადების მარეგულირებელი ნორმები იმპერატიული ხასიათისაა და სავალდებულოა როგორც კერძო სამართლის სუბიექტებისთვის, ასევე დავის მომწესრიგებელი ორგანოებისთვის. **5**

სამოქალაქო კოდექსის ზოგადი ნაწილით დადგენილი ხანდაზმულობის ვადები და მათი გამოთვლის წესი გამოიყენება ადმინისტრაციულ დავებშიც.[7] **6**

4 *კროპჰოლერი*, გსკ-ის სასწავლო კომენტარი, თარგმანი, გვ. 94, 95.

5 საქ. უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა სასარჩელო ხანდაზმულობასთან დაკავშირებით, თბილისი, 2009, გვ.63

6 საქ. უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 24 თებერვლის №ას-959-1161-08 განჩინება, სუსგ საქმეებზე 10/2011, გვ. 28.

7 საქ. უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული პალატის 2011 წლის 1 მარტის № ბს-1197-1164(კ-10) გადაწყვეტილება, 2011 წლის 4 ოქტომბრის № ბს-384-381(კ-11) განჩინება და 2012 წლის 28 დეკემბრის № ბს-1548-1527(კ-11) განჩინება.

III. ხანდაზმულობის გამიჯვნა სხვა ვადებისგან

7 ხანდაზმულობის ვადების გარდა, კანონი ადგენს ვადებს, რა დროშიც სამართალურთიერთობის სუბიექტს შეუძლია უფლების დაცვა უშუალოდ მეორე მხარეს მოთხოვოს. კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში ვალდებული პირისადმი მიმართვის ვადა სამართალწარმოების ეკონომიურობის მიზნითაა შემოღებული და დარღვეული უფლების აღდგენის საკითხის მხარეთა შორის ნებაყოფლობით მოწესრიგებას ემსახურება.[8] ასეთი ვადების აღსანიშნავად კანონში გამოყენებულია ტერმინი შეცილების ვადა, საგარანტიო ვადა (653), რეკლამაცია (698), პრეტენზია (495, 573) ან ზოგ შემთხვევაში პირდაპირი მითითებაა (1488) უფლებამოსილი პირის მიერ ვალდებული პირისთვის მოთხოვნის წარდგენის თაობაზე.

ამ ვადებთან ერთად კანონი ზოგჯერ პირდაპირ ადგენს მოთხოვნის იძულებით დაკმაყოფილების – ხანდაზმულობის ვადებს (655,699), სხვა შემთხვევაში გამოიყენება ამ ურთიერთობისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადები.

IV. კავშირი პროცესთან

8 ხანდაზმულობა, როგორც დარღვეული უფლების იძულებით დაცვის ვადა, მჭიდროდაა დაკავშირებული პროცესთან, ვინაიდან უფლების დაცვა სასამართლოში სასარჩელო წესით ხორციელდება.

სარჩელი წარმოადგენს უფლების დაცვის საპროცესო საშუალებას,[9] ხოლო ხანდაზმულობა დაცვის ამ საშუალების გამოყენების ვადაა.[10] მოთხოვნის ხანდაზმულობა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის საფუძველს არ წარმოადგენს[11] და იგი სარჩელის წარმოებაში მიღების წინაპირობად არ მიიჩნევა.[12] აღნიშნულს განაპირობებს ის გარემოება, რომ კრედიტორს (მოსარჩელეს) შეუძლია, ხანდაზმულობის საწინააღმდეგო ფაქტებზე (ხანდაზმულობის ვადის შეჩერებისა და შეწყვეტის გარემოებებზე) მიუთითოს და მოთხოვნის იძულებით აღსრულებაზე იდაოს. სასამართლო უფლებამოსილია, მხოლოდ საქმის არსებითი განხილვით, ხანდაზმულობის დამადასტურებელ და გამომრიცხავ გარემოებათა დამდგენი მტკიცებულებების სრულყოფილი გამოკვლევითა და ურთიერთშეჯერების შედეგად დაადგინოს, ხანდაზმულია თუ არა მოთხოვნა. ამავდროულად, დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე, მოპასუხეს შეუძლია ცნოს სარჩელი – დაეთანხმოს ხანდაზმული მოთხოვნის შესრულებას (სამოქალაქო-საპროცესო კოდექსის 3.2 მუხლი).

9 ხანდაზმულობის ვადის გასვლა სპობს უფლების იძულებით განხორციელების შესაძლებლობას მატერიალური და არა პროცესუალური თვალსაზრისით. ხანდაზმულობის ვადის გასვლის მიუხედავად მოთხოვნა განხილულ უნდა

8 საქ. უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა სასარჩელო ხანდაზმულობასთან დაკავშირებით, თბილისი, 2009..

9 *ლილუაშვილი,* სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი, 2005, გვ. 288.

10 *ძლიერიშვილი,* ხანდაზმულობის ვადების გავლენა სარჩელზე, თბილისი, 1997, გვ. 9.

11 საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლი.

12 *ლილუაშვილი,* სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი, 2005, გვ. 289-295.

იქნეს და თუ გამოირკვევა, რომ არ არსებობს ხანდაზმულობის ვადის შეჩერების ან შეწყვეტის საფუძვლები, მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება.[13]

ამდენად, სასამართლო უფლებამოსილია, მხოლოდ საქმის არსებითი განხილვით, ხანდაზმულობის დამადასტურებელ და გამომრიცხავ გარემოებათა დამდგენი მტკიცებულებების სრულყოფილი გამოკვლევითა და ურთიერთშეჯერების შედეგად დაადგინოს, ხანდაზმულია თუ არა მოთხოვნა.

ამასთან, თუ ვალდებული პირი შესაგებლით ხანდაზმულობაზე პრეტენზიას არ აცხადებს, მიუხედავად იმისა, მოთხოვნა საფუძვლიანია თუ არა, სასამართლოს გადაწყვეტილება ხანდაზმული მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ საკმარისია, დაეყრდნოს მხოლოდ ხანდაზმულობის ფაქტის დადგენას, ვინაიდან ხანდაზმულობა მოთხოვნას მატერიალურ-სამართლებრივად სპობს.

10 რაც შეეხება სასარჩელო ხანდაზმულობის გამოთვლის წესს, აღნიშნულს, სასამართლო პრაქტიკით, სწორედ სასამართლო ადგენს, მაგალითად, თუ საქმის გარემოებებიდან ირკვევა, რომ ხანდაზმულობის ვადის დენა შეწყვეტილი იყო, სასამართლომ გადაწყვეტილება აღნიშნულის გათვალისწინებით უნდა მიიღოს, თუნდაც მხარე ამ საკითხს არ აყენებდეს.[14]

11 მოთხოვნის ხანდაზმულობა ფაქტია და არა სამართლებრივი კვალიფიკაცია, შესაბამისად, მასზე მითითებით სარჩელის უარყოფა მხოლოდ მოვალის (მოპასუხის) უფლებაა, რაც სამოქალაქო პროცესის შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე, გამორიცხავს ამ საკითხის სასამართლოს ინიციატივით გამოკვლევას.

ამრიგად, სასამართლო მოთხოვნის ხანდაზმულობას იკვლევს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხე პირადად ან კანონით შესაგებლის წარდგენაზე უფლებამოსილი პირის მეშვეობით[15] მოთხოვნის ხანდაზმულობის საფუძვლით სასარჩელო მოთხოვნას სათანადო წესით წარდგენილი პასუხით (შესაგებელი) უარყოფს.

12 სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობაზე **არასათანადო მოპასუხის** მითითებას სამართლებრივი ძალა არ აქვს.

13 მიუხედავად იმისა, რომ დავაზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება გავლენას ახდენს საქმეში **დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მოპასუხის მხარეზე ჩართულ მესამე პირებზე,** ამ პირთა მიერ მოთხოვნის ხანდაზმულობაზე მითითებას მოპასუხის ამავე შინაარსის შესაგებლის გარეშე, სარჩელზე უარის თქმის უფლების არარსებობის გამო,[16] იურიდიული ძალა არ უნდა მიენიჭოს. ამასთან, პრაქტიკული თვალსაზრისით, ასეთი მითითება დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მოპასუხის მხარეზე ჩართულ მესამე პირისათვის თავდაცვის საშუალებას წარმოადგენს მის წინააღმდეგ წარდგენილ რეგრესულ მოთხოვნებზე (მაგალითისთვის შეად. 706).

13 *ახვლედიანი,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, 2001, გვ. 317.

14 საქ. უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა სასარჩელო ხანდაზმულობასთან დაკავშირებით, თბილისი, 2009, გვ. 6.

15 საქართველოს სამოქალაქო-საპროცესო კოდექსის 93-101-ე მუხლები.

16 საქართველოს სამოქალაქო-საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლი.

14 სამოქალაქო სამართალწარმოებაში **უფლებამონაცვლის**[17] ჩართვის შემთხვევაში, თუკი პროცესში მონაწილე მოპასუხემ, რომელიც უფლებამონაცვლემ შეცვალა, მოთხოვნის ხანდაზმულობაზე შედავება უკვე განახორციელა, ამ საკითხზე უფლებამონაცვლისაგან ხელახალი შესაგებლის წარდგენა აუცილებელი არ არის.

15 სამოქალაქო-საპროცესო კოდექსის დანაწესებიდან გამომდინარე, ხანდაზმულობაზე **მოპასუხის შესაგებელი**, როგორც წესი, წარდგენილ უნდა იქნეს პირველი ინსტანციის სასამართლოში, წერილობითი ფორმით.[18] გამონაკლისი ვითარებაა, როდესაც დავის პირველ ინსტანციაში განხილვისას, სასამართლო გადაწყვეტილებით სარჩელში მითითებულ სამართლებრივ კვალიფიკაციას ცვლის და მოპასუხეს ხანდაზმულობაზე მითითებით სარჩელისგან თავდაცვის საშუალება არ ეძლევა. ასეთ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოში ხანდაზმულობაზე შესაგებელი დასაშვებად მიიჩნევა.[19]

16 მოპასუხეთა **სავალდებულო საპროცესო თანამონაწილეობისას**[20] ხანდაზმულობაზე შესაგებლის უფლება ნებისმიერ მოპასუხეს აქვს[21] და მისი შედეგი საერთოა ყველა მოპასუხისათვის, მიუხედავად იმისა, დამოუკიდებლად წარდგენილ შესაგებელში სხვა მოპასუხეებიც უთითებენ თუ არა მოთხოვნის ხანდაზმულობის ფაქტზე.

17 **არასავალდებულო თანამონაწილეობის** დროს[22] მოთხოვნა ხანდაზმულად მიიჩნევა მხოლოდ იმ მოპასუხის მიმართ, რომელიც შესაგებლით სასარჩელო მოთხოვნას ხანდაზმულობის ფაქტზე მითითებით უარყოფს.

18 მოთხოვნის ხანდაზმულობის ფაქტის **მითითებისა და მტკიცების ტვირთი** მიმთითებელ სუბიექტს (როგორც წესი, მოპასუხეს) ეკისრება. მოწინააღმდეგე მხარემ უნდა ამტკიცოს მოთხოვნის ვადაში წარდგენის, ხანდაზმულობის შეჩერების ან შეწყვეტის ფაქტი.

1. ხანდაზმულობის სამართლებრივი შედეგი

19 ხანდაზმულობა იწვევს არა მოთხოვნის უფლების გაუქმებას, არამედ ანიჭებს მოვალეს მყარ უფლებას, უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე.[23],[24]

V. მოთხოვნები, რომლებზეც ხანდაზმულობა არ ვრცელდება

20 ხანდაზმულობა მხოლოდ მოთხოვნებზე ვრცელდება,ხოლო აბსოლუტური უფლებების დაცვა ხანდაზმულობის საფუძვლით უარყოფილი ვერ იქნება.

17 საქართველოს სამოქალაქო-საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლი.
18 საქართველოს სამოქალაქო-საპროცესო კოდექსის 201-ე, 380-ე, 407-ე მუხლები.
19 საქ. უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 25 მარტის №ას-1350-1275-2012 განჩინება.
20 საქართველოს სამოქალაქო-საპროცესო კოდექსის 86-ე „ა“ მუხლი.
21 იხ. მუხ. 466 კომენტ.
22 საქართველოს სამოქალაქო-საპროცესო კოდექსის 86-ე „ბ“ და „გ“მუხლი.
23 *კროპჰოლერი,* გსკ-ის სასწავლო კომენტარი, თარგმანი, გვ. 95.
24 იხ. მუხ. 144 კომენტ.

1. პირადი არაქონებრივი უფლებები

21 ნორმის შესაბამისად, ხანდაზმულობა არ ვრცელდება პირად არაქონებრივ უფლებებზე, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ასეთ მოთხოვნათა რიცხვს მიეკუთვნება მე-18 მუხლით გათვალისწინებული სახელის ტარების, პატივისა და ღირსების, პირადი ცხოვრების საიდუმლოების, პირადი ხელშეუხებლობის ან საქმიანი რეპუტაციის შელახვის დასაცავად აღძრული მოთხოვნები. ნორმა მოიცავს ნაწარმოების ავტორისა (ავტორობის უფლების, სახელის (ფსევდონიმის, ანონიმის) უფლების, ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლებისა და რეპუტაციის პატივისცემის უფლებები) და შემსრულებლის (სახელის უფლება და რეპუტაციის პატივისცემის უფლება), ასევე მათი მემკვიდრეების[25] არაქონებრივ უფლებებს, ამასთან, ავტორის არაქონებრივ უფლებათა უვადო დაცვა საქართველოს საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ კანონის სპეციალური მოწესრიგების საგანს წარმოადგენს.[26]

არაქონებრივი უფლებები კონსტიტუციით გარანტირებულ ძირითად უფლებებს განეკუთვნება[27] და მათი უვადო დაცვა ამ უფლებათა მაღალი ხარისხითაა განპირობებული.

ნორმისგან განსხვავებული წესია გათვალისწინებული ცილისწამების შემთხვევაში უფლების იძულებით დაცვის ვადასთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაში, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ საქართველოს კანონის მე-19 მუხლით, სარჩელი სასამართლოში წარდგენილ უნდა იქნეს 100 დღის განმავლობაში მას შემდეგ, რაც პირი გაეცნო ან შეეძლო, რომ გასცნობოდა განცხადებას.[28] მე-18 მუხლში 2004 წლის 24 ივნისს განხორციელებული ცვლილების შედეგად, ცილისწამების – არსებითად მცდარი ინფორმაციის შემცველი და პირისათვის ზიანის მიმყენებელი, მისი სახელის გამტეხ განცხადებაზე დავის შემთხვევაში გამოიყენება „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესები.[29]

2. მეანაბრეთა მოთხოვნა საკრედიტო დაწესებულებაში შეტანილ ანაბრებზე

22 ნორმით დროში შეუზღუდავია მეანაბრეთა მოთხოვნა ბანკსა და სხვა საკრედიტო დაწესებულებებში შეტანილი ანაბრების გამო, რაც გამოწვეულია ამ ურთიერთობათა ხანგრძლივი ხასიათის გამო.[30] მათზე სასარჩელო ხანდაზმულობა იმის გამო არ ვრცელდება, რომ კანონმდებელს სურს დამატებითი გარანტიებით უზრუნველყოს მეანაბრეები, რაც თავის

25 საქ. უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2002 წლის 3 იანვრის № 3კ/35-02 განჩინება.

26 საქართველოს საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ კანონის მე-17, 33-ე, 35-ე და 57-ე მუხლები.

27 საქართველოს კონსტიტუციის მე-17, 23-ე მუხლები.

28 სიტყვისა და გამოხატვის შესახებ საქართველოს კანონის მე-19 მუხლი.

29 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 20 თებერვლის № ას-1278-1298-2011გადაწყვეტილება.

30 *ახვლედიანი,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 129, გვ. 318.

მხრივ, გაზრდის თავისუფალი თანხების საბანკო ანგარიშებზე განთავსების მიმზიდველობას.[31]

3. საზიარო უფლების გაუქმების მოთხოვნა

23 გარდა 128-ე მუხლში მითითებული ჩამონათვალისა, 968-ე მუხლით, ხანდაზმულობას არ ექვემდებარება საზიარო უფლების გაუქმების მოთხოვნა.[32]

4. საკუთრების უფლების დაცვის მოთხოვნის ხანდაზმულობა

24 მიუხედავად იმისა, რომ ნორმა არ უთითებს საკუთრების უფლების უვადო დაცვაზე, სასამართლო პრაქტიკა ამ უფლების ვინდიკაციური და ნეგატორული სარჩელებით დაცვაზე ხანდაზმულობას, საკუთრების უფლების აბსოლუტური ბუნებიდან გამომდინარე, არ ავრცელებს.[33] სასამართლო პრაქტიკით, ხანდაზმულობის საგანი არის ფარდობითი უფლება და არა აბსოლუტური უფლება, შესაბამისად, აბსოლუტურ უფლებაზე ხანდაზმულობა არ ვრცელდება.[34]

25 ნორმით დადგენილი გამონაკლისის რეგულირების სფეროს გაფართოება და მისი გავრცელება ე.წ. აბსოლუტური ბატონობის უფლებებზე, უდავოდ ლოგიკური და მიზანშეწონილია.[35] სხვა მოსაზრებით, ხანდაზმულობა არ ვრცელდება საკუთრების უფლებაზე: მესაკუთრე მარადიულად რჩება მესაკუთრედ, მაგრამ ხანდაზმულობა ვრცელდება მესაკუთრის სავინდიკაციო მოთხოვნაზე.[36]

საკუთრების უფლების შენარჩუნება ნივთზე, მისი მფლობელობისა და სარგებლობის უვადოდ გამორიცხვით, ეჭვქვეშ აყენებს უფლების ამ სახით არსებობის მიზანშეწონილობას.

VI. საერთო ვადა

26 საერთო ხანდაზმულობის ვადა მოთხოვნის წარდგენისათვის შეადგენს ათ წელს. მოთხოვნის საერთო ვადის დადგენა განპირობებულია იმ გარემოებით, რომ კრედიტორის მხრიდან მოთხოვნის უფლების მიმნიჭებელი გარემოებების შესახებ ცოდნის (ან უხეში გაუფრთხილებლობით – არცოდნის) სუბიექტური კრიტერიუმი არ იწვევდეს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ფაქტობრივ ხანდაზმულობაუუნარობას.[37] მოთხოვნის დროში შეზღუდვა სამოქალაქო ბრუნვასა და კერძოსამართლებრივ ურთიერთობათა

31 საქ. უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა სასარჩელო ხანდაზმულობასთან დაკავშირებით, თბილისი, 2009, გვ. 4.

32 იხ. მუხ. 968 კომენტ.

33 საქ. უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა სასარჩელო ხანდაზმულობასთან დაკავშირებით, თბილისი, 2009, გვ. 16.

34 საქ. უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 12 ივლისის № ას 146-140-2012 განჩინება.

35 *ჩაჩავა,* მოთხოვნისა და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია, 2011, გვ. 154.

36 *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 121.

37 *კროპჰოლერი,* გსკ-ის სასწავლო კომენტარი, გვ. 96.

სტაბილურობას ემსახურება.

27 კანონის ეს დანაწესი გამოიყენება იმ მოთხოვნებისთვის, რომელთა დაცვის სპეციალური (უფრო ხანგრძლივი (მაგ., 920-ე მუხლით ფასიანი ქაღალდებიდან გამომდინარე მოთხოვნებისთვის დროის უფრო მეტი მონაკვეთი – 30 წელია დადგენილი) ან მოკლე) ვადა კანონით დადგენილი არ არის.

28 სამოქალაქო კოდექსი არ განსაზღვრავს მაქსიმალურ ვადას, რომლის განმავლობაშიც შესაძლებელია ნაჩუქარი ნივთის უკან გამოთხოვის განხორციელება 530-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობისას. მიუხედავად ასეთი ფორმულირებისა, ცხადია, რომ კანონმდებლის ნება არ შეიძლება განიმარტოს იმგვარად, თითქოს მჩუქებლის მძიმე მდგომარეობაში აღმოჩენის შემთხვევაში წარმოშობილი ჩუქების საგნის გამოთხოვის მოთხოვნა დროში არ არის შეზღუდული.[38] ნივთის გამოთხოვის მოთხოვნა 530-ე მუხლში მითითებული წინაპირობების გარდა, დამატებით შეზღუდვას უნდა დაექვემდებაროს და განხორციელებადი იყოს მხოლოდ განსაზღვრული ვადის განმავლობაში.[39] ამ შემთხვევაში საერთო ვადის გამოყენების მიზანშეწონილობა ცხადია და ნაჩუქარი ნივთის გამოთხოვა ათწლიანი ხანდაზმულობის ვადაში უნდა განხორციელდეს.[40]

29 იშვიათ შემთხვევაში, მოთხოვნებისთვის ხანდაზმულობის საერთო ვადის გამოყენების თაობაზე, კანონი პირდაპირ უთითებს (1489-1490).

30 ხანდაზმულობა, როგორც მოთხოვნის იძულებით დაცვის ვადა, განსხვავდება კონტრაჰენტების ურთიერთშედავების ვადებისგან. ზოგ შემთხვევაში კანონი ითვალისწინებს არა უფლების იძულებით დაცვის მოთხოვნის ვადებს, არამედ ადგენს დაინტერესებული პირის მიერ მხოლოდ მეორე მხარის წინაშე უფლების დარღვევის თაობაზე შედავების ვადას. ასეთ შემთხვევაში, გამოიყენება ხანდაზმულობის საერთო ათწლიანი ვადა, თუ კანონი ამგვარი მოთხოვნისათვის განსხვავებულ წესს არ ადგენს (მაგ., 663).

31 ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ბათილ გარიგებებზე შეცილების ნორმები. ვინაიდან 59-ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, შეცილება ხორციელდება ხელშეკრულების მეორე მხარის მიმართ, უფლებადარღვეულმა პირმა კანონით განსაზღვრულ ვადებში (79, 84, 89) შეცილება უნდა განახორციელოს მეორე მხარის მიმართ. რაც შეეხება უფლების იძულებით დაცვის ხანდაზმულობას, მოთხოვნა საერთო, ათი წლის ვადაში უნდა იქნეს წარდგენილი.[41]

32 უფლების დაცვის ვადები განსაზღვრული არ არის უსაფუძვლო გამდიდრებიდან წარმოშობილ მოთხოვნებზეც. სასამართლო პრაქტიკით, ვინაიდან უსაფუძვლო გამდიდრება არის გარიგების ბათილობის, მისი არარსებობის ან შეწყვეტის შედეგი, ანუ, ეს არ არის ცალკე, იზოლირებული სამართლებრივი ურთიერთობა, არამედ მიბმულია ხელშეკრულებაზე, ასეთ

38 *ჩაჩავა,* მოთხოვნისა და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში, დის., 2010, გვ. 162.

39 *ძლიერიშვილი,* ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებათა სამართლებრივი ბუნება, 2010, გვ. 258.

40 იხ. მუხ. 530-ე კომენტ.

41 *ზოიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 78, 85, გვ. 236, 245.

მოთხოვნაზე უნდა გავრცელდეს ხანდაზმულობის ხელშეკრულების მიმართ მოქმედი, და არა საერთო ვადა, რადგანაც ამ შემთხვევაში მოთხოვნა პირდაპირაა დაკავშირებული ხელშეკრულებასთან.[42] აღსანიშნავია, რომ მიუხედავად ამ პოზიციისა, ცალკეულ შემთხვევებში უსაფუძვლო გამდიდრებიდან წარმოშობილ მოთხოვნებზე დავის გადაწყვეტისას გამოყენებულია ხანდაზმულობის ათწლიანი ვადა.[43]

32 აღნიშნულთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ პირის უსაფუძვლო გამდიდრება მხოლოდ ბათილი გარიგების შედეგი არ არის (მაგ. ხელყოფის კონდიქცია – 982-985), ამავდროულად, გარიგების ბათილობა გარიგებას იურიდიული ძალის არმქონედ, არარად აქცევს, რაც გამორიცხავს უსაფუძვლო გამდიდრების კავშირს ბათილ ხელშეკრულებასთან.

33 უცილოდ ბათილი გარიგება ვერ წარმოშობს შედეგებს მისი არსებობის „ვერც ერთ“ ეტაპზე[44], ხოლო საცილო გარიგება ბათილია მისი დადების მომენტიდან, თუ შეცილებაზე უფლებამოსილი პირი შეცილების ნებას გამოავლენს. ამასთან, შეცილება კანონით გათვალისწინებულ ვადებში მეორე მხარის („შეცილების ადრესატის“[45]) მიმართ და არა სასამართლოში სარჩელის წარდგენით უნდა განხორციელდეს.

ხანდაზმული მოთხოვნა სასამართლოს გადაწყვეტილებით მოთხოვნის ხანდაზმულობის ფაქტის შედეგად, ხოლო შეცილების უფლების განუხორციელებლობისას – ამ უფლების გამოუყენებლობის საფუძველზე არ დაკმაყოფილდება. ამავდროულად, ხანდაზმულობისგან განსხვავებით, შეცილების უფლების გამოუყენებლობისას, უფლებამოსილ პირს შეუძლია, კერძოსამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში სხვა საფუძვლით იდავოს. შესაბამისად, შეცილების ვადა და ხანდაზმულობის ვადა ერთმანეთისაგან მკაცრად გამიჯნული ინსტიტუტებია.

42 საქ. უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა სასარჩელო ხანდაზმულობასთან დაკავშირებით, თბილისი, 2009, გვ. 13; შდრ. საქ. უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 1 მარტის №ას-1570-1473-2012 განჩინება.

43 საქ. უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 9 ივლისის № ას-347-323-2010 განჩინება.

44 *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, 2009, გვ.263

45 იქვე, გვ.361-363

მუხლი 129. სახელშეკრულებო მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადა

1. სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელს, ხოლო უძრავ ნივთებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო მოთხოვნებისა – ექვს წელს.

2. ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც წარმოიშობა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან, სამი წელია.

3. ცალკეულ შემთხვევებში კანონით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ხანდაზმულობის სხვა ვადებიც.

I. ნორმის მიზანი.....729
II. ხანდაზმულობის სპეციალური ვადები 730

I. ნორმის მიზანი

1 ნორმის მიზანია სპეციალური ხანდაზმულობის ვადების განსაზღვრა და გამოიყენება მხოლოდ სახელშეკრულებო ურთიერთობებში წარმოშობილი მოთხოვნების მიმართ.[1] **სახელშეკრულებო მოთხოვნების სტანდარტული** სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა ზოგადია და გამოიყენება ყველა სახელშეკრულებო მოთხოვნებისათვის, თუ კანონით სპეციალური ვადა არ არის გათვალისწინებული (მაგ., 655, 663).[2]

2 ამავე ნორმით გათვალისწინებულია გამონაკლისი უძრავ ნივთებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო მოთხოვნებისთვის, რომელიც ექვსი წლით განისაზღვრება და იგი გამოიყენება უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების დადგენის, უფლების გადაცემისა ან გაუქმების მოთხოვნებისთვის.

3 ამასთან, საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკით უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების ვინდიკაციური და ნეგატორული სარჩელებით დაცვაზე ხანდაზმულობას, საკუთრების უფლების აბსოლუტური ბუნებიდან გამომდინარე, არ ავრცელებს.[3]

4 გასათვალისწინებელია, რომ უძრავ ნივთებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო მოთხოვნების ექვსწლიანი ვადა, მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების ობიექტი უძრავი ნივთია, არ გამოიყენება სახელშეკრულებო ურთიერთობიდან წარმოშობილი იმ მოთხოვნების მიმართ, რომელთა საფუძველს, ამა თუ იმ კერძოსამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს. მაგალითად, უძრავი ნივთის იჯარის ან ქირავნობიდან გამომდინარე ქირის, იჯარის ან სხვა სახელშეკრულებო პირობების შესრულების მოთხოვნებზე ზოგადი ან ამ ურთიერთობისთვის გათვალისწინებული სპეციალური ხანდაზმულობის ვადები

1 საქ. უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 4 ოქტომბრის № ას-649-610-2011 განჩინება, სუსგ სამოქალაქო საქმეებზე 2/2012, გვ. 86-91.

2 საქ. უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 3 იანვრის № ას-1321-1247-2012 განჩინება.

3 საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა სასარჩელო ხანდაზმულობასთან დაკავშირებით, თბილისი, 2009, გვ. 16.

გამოიყენება.

5 სპეციალური მოწესრიგების საგანს წარმოადგენს **პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან** წარმოშობილი მოთხოვნები, რომლისთვისაც ხანდაზმულობის სამწლიანი ვადაა გათვალისწინებული. ვალდებულების პერიოდულად, დროის განსაზღვრულ შუალედებში (მაგ., ყოველთვე, კვარტალში ერთხელ, თვის კონკრეტულად განსაზღვრულ კალენდარულ დღეს) შესრულების დადგენა მოთხოვნის უფლებას ცალკეულად, ყოველი შესრულებისათვის დამოუკიდებლად წარმოშობს და შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადაც კონკრეტული შესრულების დარღვევიდან აითვლება.

6 ვალდებულების ერთდროული ან ნაწილ-ნაწილ შესრულება მხარეთა შეთანხმებაზე (ნასყიდობა გადახდის განვადებით – 507) ან შესასრულებელი ვალდებულების არსზეა (მაგ., სარჩოს, პენსიის, ხელფასის გადახდის მოთხოვნის უფლება) დამოკიდებული.

თუ კრედიტორი თანახმაა, მოვალეს შეუძლია ვალდებულება ნაწილ-ნაწილ (ნაწილობრივი შესრულება) შეასრულოს ხელშეკრულების დადების შემდეგაც (378).

7 განსაზღვრული პერიოდებით შესასრულებელი ვალდებულებების ხანდაზმულობის ვადის ათვლა გარკვეული სპეციფიკით ხასიათდება. ასეთ შემთხვევაში, თითოეული შესრულების დარღვევა ცალ-ცალკე წარმოშობს მოთხოვნის უფლებას და ასეთი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა სამი წელია.[4] ამგვარ მოთხოვნებზე შესაძლებელია მხოლოდ სარჩელის აღძვრამდე ბოლო სამი წლის კუთვნილი თანხის ანაზღაურება.[5] ვადის გამოთვლის აღნიშნული წესი ზოგადია და გამოიყენება განსაზღვრული პერიოდებით შესასრულებელ ვალდებულებათა მიმართ. ამასთან, კანონით შეიძლება გამონაკლისი წესი დადგინდეს (656).

მნიშვნელოვანია, რომ ხანდაზმულობის ვადის ასეთი გამოთვლა დაწესებულია მხოლოდ ისეთი შემთხვევისთვის, როდესაც განსაზღვრულია ვალდებულების ცალკეული ნაწილის (მოქმედების) შესრულების კონკრეტული დრო.[6]

129-ე მუხლის მეორე ნაწილით დადგენილი ხანდაზმულობა გამოიყენება სასამართლო გადაწყვეტილებით დადასტურებულ იმ მოთხოვნათა მიმართ, თუ დადასტურება შეეხება პერიოდულად განმეორებად მოქმედებებს (იხ. 142.2 კომენტარი).

II. ხანდაზმულობის სპეციალური ვადები

8 კერძოსამართლებრივ ურთიერთობათა თავისებურებებიდან გამომდინარე, კანონით შეიძლება სახელშეკრულებო მოთხოვნათა ხანდაზმულობის სპეციალური ვადებიც დადგინდეს.

4 *ახვლედიანი,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 129, გვ. 319.

5 საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა სასარჩელო ხანდაზმულობასთან დაკავშირებით, თბილისი, 2009, გვ.63; შდრ. მუხ. 1235.

6 საქ. უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 3 თებერვლის № ას-1014-1286-09 განჩინება.

ხანდაზმულობის სპეციალური ვადების არსებობა გამორიცხავს 129-ე მუხლით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ზოგადი ვადების გამოყენებას და მოთხოვნა მხოლოდ სპეციალურ ვადაშია განსახორციელებელი. 9

სპეციალური ვადა ზოგადი ვადებისაგან განსხვავებულ მცირე (მაგ., 663-ე მუხლით ტურისტის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა შეადგენს ექვს თვეს) ან ხანგრძლივ (მაგ., 920-ე მუხლით ფასიანი ქაღალდებიდან გამომდინარე მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს ოცდაათ წელს) დროს შეიძლება ადგენდეს. სახელშეკრულებო მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადების დროის როგორც მცირე, ისე ხანგრძლივი პერიოდით განსაზღვრა განპირობებულია სახელშეკრულებო ურთიერთობათა თავისებურებით და მიზანი უფლების ეფექტურად დაცვაშია. ასე მაგალითად, 655-ე მუხლით ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულების ნაკლის გამო შემკვეთმა მოთხოვნა ერთი წლის მანძილზე უნდა წარადგინოს, ხოლო თუ შესრულება ნაგებობას შეეხება, შესრულების ნაკლის გამო მოთხოვნის წარდგენა შესრულებული სამუშაოს მიღებიდან ხუთი წლის განმავლობაშია შესაძლებელი.

მუხლი 130. ხანდაზმულობის ვადის დაწყება

ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.

I. ნორმის მიზანი და გამოყენების სფერო..... 732
II. კავშირი პროცესთან 734

I. ნორმის მიზანი და გამოყენების სფერო

1 ნორმა ადგენს უფლებამოსილი პირის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის ათვლის დასაწყისის სტანდარტულ წესს. ნორმით განსაზღვრული წესი საერთოა კერძოსამართლებრივ ურთიერთობებიდან წარმოშობილი მოთხოვნისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კანონით ვადის დენის განსხვავებული წესია დადგენილი. ნორმა არეგულირებს მოთხოვნის წარმოშობის მომენტის განსაზღვრის წინაპირობებს.

2 ხანდაზმულობის ვადის სწორი გამოთვლისათვის არსებითია, ზუსტად დადგინდეს **მოთხოვნის წარმოშობის დრო.** ნორმის თანახმად, იგი პირისთვის მისი უფლების დარღვევის შესახებ ფაქტის შეტყობის მომენტს ემთხვევა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კანონი ხანდაზმულობის ვადის ათვლის დასაწყისად ამა თუ იმ ფაქტის წარმოშობის დროს ადგენს.

3 ნორმის შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადის დენის დასაწყისი დაკავშირებულია **ობიექტურ მომენტთან** – უფლების დარღვევის ფაქტთან და სუბიექტური მომენტთან – დრო, როდესაც უფლებამოსილი პირისათვის უფლების დარღვევის შესახებ ცნობილი გახდა ან გარემოებათა გათვალისწინებით უფლების დარღვევის ფაქტი უნდა შეეტყო.

4 **უფლების დარღვევის ფაქტი** – დრო, როდესაც უფლება დაირღვა. როგორც წესი, ივარაუდება, რომ პირი უფლების დარღვევის ფაქტს მისი დადგომისთანავე შეიტყობს ან საშუალო გულისხმიერების გამოჩენის შემთხვევაში შეეძლო შეეტყო ამ ფაქტის თაობაზე. აღნიშნულის საწინააღმდეგოს, ანუ უფლების დარღვევის დაგვიანებით შეტყობის შესახებ მტკიცების ტვირთი უფლებადარღვეულ პირს ეკისრება.

უფლების დარღვევის შეტყობის ფაქტად მიიჩნევა დრო, როდესაც უფლებამოსილი პირისათვის ცნობილი გახდა უფლების დარღვევის შესახებ ან გარემოებათა გათვალისწინებით უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.

5 თუ უფლების დარღვევის ფაქტის კრედიტორისათვის შეტყობას ხელს უშლის მოვალე ან სხვა დაინტერესებული პირი, მოთხოვნის დაწყების მომენტად უნდა ჩაითვალოს დრო, როდესაც კრედიტორისთვის ფაქტის არსებობა შეიტყო.

თუ დადგინდება, რომ პირმა თავისი დაუდევრობის (გულგრილობის) გამო ვერ გაიგო უფლების დარღვევის შესახებ, მაშინ ხანდაზმულობის ვადის

დენა დაიწყება იმ მომენტიდან, როცა საქმის გარემოებების მიხედვით პირს უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.[1]

იურიდიული პირის უფლების დარღვევის შემთხვევაში მოთხოვნის ხან- **6**
დაზმულობის ვადა დაიწყება იმ დროიდან, როდესაც იურიდიულმა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო ამ უფლების დარღვევის თაობაზე. ვადის დაწყების ათვლაზე გავლენას ვერ მოახდენს ის ფაქტი, რომ სარჩელის წარმდგენი იურიდიული პირის უფლებამოსილი წარმომადგენელი მოგვიანებით – უფლების დარღვევის ფაქტის დადგომის შემდეგ დაინიშნა ამ თანამდებობაზე.

ცხადია, უფლების დარღვევის ფაქტის და ამ ფაქტის შესახებ უფლე- **7**
ბამოსილი პირის ცოდნის დრო ყოველთვის ერთმანეთს არ ემთხვევა. ამ გარემოების დამტკიცების შემთხვევაში უპირატესობა **სუბიექტურ მომენტს** მიენიჭება.

სუბიექტური მომენტი იწვევს იმას, რომ ხანდაზმულობა არსებითად უფრო გვიან დგება,[2] ანუ მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა აითვლება არა უფლების დარღვევის ფაქტიდან, არამედ უფლებადარღვეული პირის მიერ ამ ფაქტის ან/და ვალდებული პირის შესახებ (მაგალითად, 1008-ე მუხლის მიხედვით, დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადა სამი წელია იმ მომენტიდან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ) შეტყობის მომენტიდან.[3]

მოთხოვნის წარმოშობის დრო შეიძლება განისაზღვროს კანონით ან **8**
ხელშეკრულებით.

კანონით მოთხოვნის წარმოშობის მომენტის დადგენის შემთხვევაში, მოთხოვნის ხანდაზმულობის დრო კონკრეტულ ნორმაში მითითებული ფაქტის დადგომიდან დაიწყება და ვადის დენის დასაწყისი უფლებამოსილი პირის მიერ ფაქტის შეტყობის დროზე დამოკიდებული არ არის. შინაარსობრივად, ფაქტი შეიძლება წარმოიშვას როგორც ურთიერთობის მხარის მიერ ამა თუ იმ მოქმედების განხორციელებით (699-ე მუხლით, გადაზიდვიდან გამომდინარე უფლებების ხანდაზმულობის ვადის დენა ტვირთის ნაწილობრივ დაკარგვის, დაზიანების ან ჩაბარების ვადის გადაცილებისას იწყება ტვირთის გამოგზავნის დღიდან), ასევე მხარეთა ნებისგან დამოუკიდებლად (1409-ე მუხლით, ანდერძის ბათილობის შესახებ მოთხოვნა, ხოლო 1391-ე მუხლით საანდერძო დანაკისრის მიმღების უფლება საანდერძო დანაკისრის შესრულებაზე მოთხოვნის ვადა გამოითვლება სამკვიდროს გახსნის დღიდან).

ხელშეკრულებით მოთხოვნის წარმოშობის მომენტის განსაზღვრა სახ- **9**
ელშეკრულებო თავისუფლების პრინციპს ეფუძნება. მხარეებს შეუძლიათ, მათი ინტერესის შესაბამისად დაადგინონ ვალდებულების შესრულების ვადები, რომელიც შესაძლებელია ზუსტი თარიღით ან კონკრეტულ მოვლენაზე (მაგ., ზამთრის ბოლოს) მითითებით იყოს განსაზღვრული. ასეთი

1 *ახვლედიანი*, სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 130, გვ. 320.
2 *კროპჰოლერი*, გსკ-ის სასწავლო კომენტარი, თარგმანი, გვ. 95.
3 საქ. უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 1 ივლისის №ას-247-237-2013 გადაწყვეტილება.

შეთანხმების შემთხვევაში მოთხოვნის წარმოშობის დრო ობიექტური კრიტერიუმით – ფაქტის დადგომის დროის მონაკვეთით იწყება.[4]

10 ხელშეკრულებით ვალდებულების შესრულების ვადის გაუთვალისწინებლობის ან/და ამ ვადის სხვა გარემოებებიდანაც დაუდგენლობის შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადის ათვლა კრედიტორისა და მოვალის მოქმედებებზეა დამოკიდებული (365-ე მუხლი). თუ ხელშეკრულება განუსაზღვრელი ვადითაა დადებული (ან განსაზღვრულია მოთხოვნის მომენტით), უფლების დარღვევის შესახებ პირი შეიტყობს მხოლოდ მაშინ, როცა მოითხოვს შესრულებას, ხოლო მეორე მხარე არ შეასრულებს იმ მოქმედებას, რომლის შესრულებაც ევალებოდა.[5] მოთხოვნის წარმოშობა ასეთ შემთხვევაში დამოკიდებულია კრედიტორის ნებაზე – მოსთხოვოს მოვალეს ფასის გადახდა. როგორც კი ეს ნება იქნება განცხადებული და მიუვა მოვალეს, ხოლო იგი დაუყოვნებლივ არ შეასრულებს ვალდებულებას, უკვე სახეზე იქნება კრედიტორის უფლების დარღვევა და, შესაბამისად, დაიწყება ხანდაზმულობის ვადის დენა. ამდენად, იმ შემთხვევაში, როდესაც ვალდებულების შესრულების დრო არ არის განსაზღვრული, ვალდებულების დარღვევასა და მოთხოვნის წარმოშობის დროზე მაშინ შეიძლება საუბარი, როდესაც კრედიტორი მოითხოვს ვალდებულების შესრულებას და კრედიტორის ნება მიუვა მოვალეს.[6]

11 თუ შესრულების ვადის შეუთანხმებლობისას, მოვალეს მიცემული აქვს შეღავათიანი ვადა მოთხოვნის შესასრულებლად[7] ან ასეთი ვადა კანონიდან გამომდინარეობს (626-ე მუხლი), ხანდაზმულობის ვადის ათვლა შესრულების ვადის უშედეგოდ გასვლის მომენტიდან დაიწყება.[8]

ხანდაზმულობის ვადის გასვლის მიუხედავად, მისი ათვლა ხელახლა დაიწყება მოვალის მიერ კრედიტორის წინაშე ვალის აღიარების ან ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალების კრედიტორისათვის გადაცემით.[9]

II. კავშირი პროცესთან

12 ვინაიდან სასამართლო მოთხოვნის ხანდაზმულობას მოპასუხის მითითების საფუძველზე[10] იკვლევს, მოთხოვნის ვადაში წარდგენა მოსარჩელის მტკიცების ტვირთს წარმოადგენს.[11]

13 რაც შეეხება ხელშეკრულებით ვალდებულების შესრულების ზუსტ

4 საქ. უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 3 თებერვლის №ას-1070-1337-09 განჩინება, სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 10/2011 გვ 105-108.

5 *ახვლედიანი,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 130, გვ. 321.

6 საქ. უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 7 ოქტომბრის №ას-438-726-05 განჩინება.

7 *ახვლედიანი,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 130. გვ. 321.

8 საქ. უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 16 მაისის №ას-858-807-2010 განჩინება, სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 12/2012 გვ. 40-49.

9 იხ. მუხ. 144 III კომენტ.

10 იხ. მუხ. 128 კომენტ.

11 საქ. უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 15 ნოემბრის №ას-988-1021-2011 გადაწყვეტილება, სუსგ სამოქალაქო საქმეებზე 5/2013, გვ. 34-38.

ვადაზე მხარეთა შეთანხმების არარსებობას, კრედიტორის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ ვალდებულების შესრულების ვადის არსებობა მოვალის მტკიცების ტვირთს წარმოადგენს და ასეთი გარემოება მოვალემ სათანადო მტკიცებულებებით, დამაჯერებლად უნდა დაასაბუთოს.[12] ასევე მოვალის მტკიცების ტვირთს წარმოადგენს ის გარემოება, რომ ვალდებულების შესრულება რაიმე ფაქტის ან მოვლენის დადგომასთან იყო დაკავშირებული და უფლებამოსილი პირისათვის უფლების დარღვევის ფაქტი ამ დროიდან ცნობილი იყო.[13]

თუ ხანდაზმულობის წარმოშობის მომენტის დადგენა ობიექტურად შეუ- **14**
ძლებელია, ყურადღება უნდა მიექცეს სუბიექტურ მომენტს, ამასთან, იგულისხმება, რომ ხანდაზმულობის წარმოშობის ობიექტური და სუბიექტური მომენტები თანმხვედრია, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე არ ეთანხმება ხანდაზმულობის წარმოშობის ობიექტური და სუბიექტური მომენტების თანხვედრას, მაშინ მტკიცების ტვირთი ეკისრება მას (მოსარჩელეს), იმის გასარკვევად, თუ როდიდან უნდა დაიწყოს ხანდაზმულობის ვადის ათვლა.[14]

12 საქ. უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 16 მაისის №ას-858-807-2010 განჩინება, სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 12/2012 გვ. 40-49.

13 საქ. უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 18 იანვრის №ას-1537-1440-2012 განჩინება.

14 საქ. უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, 2007, გვ. 64.

მუხლი 131. მოთხოვნის წარმოშობა

თუ მოთხოვნის წარმოშობა დამოკიდებულია კრედიტორის მოქმედებაზე, ხანდაზმულობა იწყება იმ დროიდან, როცა კრედიტორს შეეძლო განეხორციელებინა ეს მოქმედება.

I. ზოგადი დებულება

1. ნორმის მიზანი

1 ნორმის მიზანი შესრულების მიღებაზე კრედიტორის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დასაწყისის განსაზღვრაშია. განსხვავებით 130-ე მუხლით დადგენილი მოთხოვნის წარმოშობის ვადის დასაწყისის სტანდარტული წესისგან, 131-ე მუხლი კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში ისეთ კონკრეტულ შემთხვევას აწესრიგებს, როდესაც მოვალის მიერ ვალდებულების შესრულება კრედიტორის მოქმედებაზეა დამოკიდებული.

ხშირად მოვალის მიერ ვალდებულების შესრულება კრედიტორის მიერ რაიმე მოქმედებაზეა დამოკიდებული, ამიტომ, სანამ ის ამ მოქმედებას არ შეასრულებს, მოვალისაგან ვალდებულების შესრულების მოთხოვნის უფლება არ წარმოიშობა.[1]

2. გამოყენების წინაპირობები

2 131-ე მუხლის შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადის დასაწყისი განისაზღვრება დროის იმ მონაკვეთით, როდესაც კრედიტორმა, მოვალესთან არსებული სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსიდან გამომდინარე, კონკრეტული მოქმედება უნდა შეასრულოს.

3 მოქმედება, რომლის შესრულების ვალდებულებაც კრედიტორს აკისრია, შეიძლება წარმოიშვას ხელშეკრულებაში ამ მოქმედებაზე და შესრულების ზუსტ ვადაზე შეთანხმებით, შესაბამისად, მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადაც შეთანხმებული დროიდან აითვლება.

4 კრედიტორის მიერ განსახორციელებელი მოქმედების ან ამ მოქმედების შესრულების ვადის გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, კრედიტორის შესასრულებელი მოქმედების ვადა ვალდებულების შინაარსის და მხარეთა ინტერესების გონივრული განმარტებით უნდა დადგინდეს. ასე მაგალითად, ნარდობის ხელშეკრულებით თუ სამუშაო შემკვეთის მასალით უნდა შესრულდეს, შემკვეთის მოთხოვნის უფლება დამზადებული ნაკეთობის ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში გადაცემაზე, დამოკიდებულია შესრულების მიღებაზე უფლებამოსილი პირის – შემკვეთის მიერ სამუშაოს მასალის გონივრულ (სამუშაოს შესასრულებლად საჭირო) ვადაში მიწოდებაზე.

5 კრედიტორს ყოველთვის არ აქვს შესაძლებლობა განახორციელოს მოცემული მოქმედება, ამიტომ ასეთ შემთხვევაში მოთხოვნის ხანდაზმულობა არ დაიწყება. თუ კრედიტორს შეეძლო შეესრულებინა მოქმედება, რომელზე-

1 *ახვლედიანი,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 131, გვ. 322.

დაც დამყარებულია მოთხოვნის წარმოშობა, მაგრამ არ შეასრულებს, მაშინ ხანდაზმულობის ვადის დენა დაიწყება იმ დროიდან, როცა კრედიტორს შეეძლო განეხორციელებინა ეს მოქმედება.[2]

6 ნორმით დადგენილი წესი უმეტესად გამოიყენება ორმხრივ სახელშეკრულებო ურთიერთობებში, როდესაც სახელშეკრულებო ურთიერთობათა შინაარსიდან გამომდინარე, შესრულების მიღებამდე კრედიტორს გარკვეული მოქმედების განხორციელება ევალება (მაგ., ლიზინგის გამცემი ვალდებულია, ლიზინგის საგანი შეთანხმებული თვისებებითა და ვადაში სარგებლობაში გადასცეს ლიზინგის მიმღებს. მხოლოდ ამ მოქმედების განხორციელების შემდეგ წარმოეშობა ლიზინგის გამცემს საზღაურის მიღების შესაძლებლობა, შესაბამისად, კრედიტორის საზღაურზე მოთხოვნის უფლება და ხანდაზმულობის ვადის ათვლაც ამ მოქმედებაზეა დამოკიდებული).

2 *ახვლედიანი,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, მუხ. 131, გვ. 322.

მუხლი 132. ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერება

ხანდაზმულობის ვადის დენა ჩერდება, თუ:

ა) ვალდებულების შესრულება გადავადებულია აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ (მორატორიუმი);

ბ) სარჩელის წარდგენას აბრკოლებს განსაკუთრებული და მოცემულ პირობებში აუცდენელი დაუძლეველი ძალა;

გ) კრედიტორი ან მოვალე იმყოფება შეიარაღებული ძალების იმ ნაწილში, რომელიც გადაყვანილია საომარ მდგომარეობაში;

დ) კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

I. ზოგადი დებულებანი 738
II. ნორმის მიზანი და გამოყენების სფერო 739
III. ვადის დენის შეჩერების საფუძველი 739
1. აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ ვალდებულების შესრულების გადავადება (მორატორიუმი) 739
2. განსაკუთრებული და მოცემულ პირობებში აუცდენელი დაუძლეველი ძალა 740
3. კრედიტორი ან მოვალე იმყოფება შეიარაღებული ძალების იმ ნაწილში, რომელიც გადაყვანილია საომარ მდგომარეობაში 742
4. კანონით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები 742
5. ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერების მომენტი 743

I. ზოგადი დებულებანი

1 როგორც წესი, მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა უწყვეტად მიმდინარეობს და ამ ვადის განმავლობაში უფლებამოსილი პირის მოთხოვნა დარღვეული უფლების იძულებით დაცვაზე, განხორციელებადია. ამავდროულად, კანონი ითვალისწინებს მოთხოვნის წარდგენის შემაფერხებელ გარემოებებს, რომელთა არსებობა ხანდაზმულობის ვადის დენას აჩერებს.

2 სამოქალაქო კოდექსი ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერების საფუძვლებს ორ ჯგუფად ყოფს: პირველი, როცა **უფლებამოსილი პირი მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო** მოკლებულია მოთხოვნის წარდგენის შესაძლებლობას და, მეორე, როცა **ურთიერთობათა ხასიათიდან გამომდინარე** ხანდაზმულობის ვადის დენა არ არის მიზანშეწონილი.[1] გარემოებები, რომლებშიც უფლებამოსილი პირისათვის შეუძლებელია მოთხოვნის განხორციელება, მოცემულია 132-ე მუხლში, ხოლო 133-ე და 134-ე მუხლით გათვალისწინებულია ურთიერთობები, რომელთა არსებობის დროის განმავლობაში ხანდაზმულობის ვადის დენა შეჩერებულია.

ვინაიდან ხანდაზმულობის ვადის გასვლის სამართლებრივი შედეგები მოვალის ინტერესშია, მოთხოვნის წარდგენის ვადის შეჩერება მხოლოდ

1 *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ. 125.

კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებშია დასაშვები.

სამოქალაქო კოდექსი არ აწესრიგებს სოლიდარული უფლებამოსილების მქონე პირთა არსებობის შემთხვევაში ერთი სოლიდარული კრედიტორისათვის მოთხოვნის წარდგენის კანონით გათვალისწინებული შემაფერხებელი გარემოება იწვევს თუ არა სხვა კრედიტორებისათვის ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერებას. სოლიდარული უფლებამოსილების არსიდან გამომდინარე, ერთი კრედიტორისთვის პატივსადები, მოთხოვნის წარდგენის დამაბრკოლებელი გარემოება სხვა კრედიტორების მიმართ არ უნდა გავრცელდეს (იხ. 460-ე მუხლის კომენტარი).

ერთ-ერთი მოვალის მიმართ ხანდაზმულობის ვადის შეჩერების ფაქტი მხოლოდ ამ მოვალის მიმართ მოქმედებს, შესაბამისად, კრედიტორს ამ ფაქტის სხვა სოლიდარულ მოვალეთა მიმართ გამოყენების უფლება, 476-ე მუხლის თანახმად, არ აქვს.

II. ნორმის მიზანი და გამოყენების სფერო

ნორმის მიზანია ხანდაზმულობის ვადის შემაჩერებელ გარემოებათა განსაზღვრა და იგი გამოიყენება კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში. ამასთან, გარდა ამ გარემოებებისა, ვადის დენის შეჩერება დასაშვებია კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში. **3**

III. ვადის დენის შეჩერების საფუძვლები

1. აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ ვალდებულების შესრულების გადავადება (მორატორიუმი)

მორატორიუმი ხანდაზმულობის ვადის ერთ-ერთ შემაჩერებელ გარემოებას წარმოადგენს. ეს სიტყვა ლათინური წარმოშობისაა (moratoius – დამაყოვნებელი) და განიმარტება, როგორც საშინაო და საგარეო ვალდებულებათა შესრულების გადადება მთავრობის მიერ საგანგებო მდგომარეობის (მაგ., ომის, სტიქიური უბედურების) გამო.[2] მიუხედავად იმისა, მორატორიუმი საშინაო თუ საგარეო ურთიერთობათა სფეროს ეხება, მან შეიძლება გავლენა მოახდინოს კერძოსამართლებრივ ურთიერთობაზე. მაგალითად, რუსეთის ფედერაციის ცენტრალური ბანკის მიერ ამ ბანკის საკორესპონდენტო ანგარიშებზე რიცხული, საქართველოს იურიდიული პირების კუთვნილი სახსრების სახელმწიფო საგარეო ვალის ანგარიშში ჩამოწერის შედეგად წარმოქმნილი დავალიანება სახელმწიფო ვალის შესახებ საქართველოს კანონით აღიარებულია საშინაო ვალად და მისი შესრულება გადავადებულია,[3] შესაბამისად, უფლებამოსილ პირთა მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა შეჩერებულია. **4**

ვალდებულების შესრულების გადავადება ხორციელდება ხელისუფლების

2 უცხო სიტყვათა ლექსიკონი, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა.
3 საქართველოს „სახელმწიფო ვალის შესახებ“ კანონის 48-ე მუხლი.

მიერ გამოცემული სათანადო ნორმატიული აქტის საფუძველზე,[4] რომელიც, როგორც წესი, მისი მოქმედების სფეროსა და ვადას (ზუსტ დროს ან მოვლენის დამთავრებას) განსაზღვრავს.

მორატორიუმი შეიძლება გავრცელდეს განსაზღვრულ ტერიტორიაზე, ვალდებულებათა ცალკეულ სახეებზე, პირთა განსაზღვრულ ჯგუფებზე და სხვა.[5]

5 **კავშირი პროცესთან.** აფერხებს თუ არა მოთხოვნის წარდგენას აღმასრულებელი ხელისუფლების გადაწყვეტილება ვალდებულების შესრულების გადავადებაზე, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ფაქტობრივ გარემოებათა ურთიერთშეჯერებით უნდა შემოწმდეს. ხანდაზმულობის ვადის დენის შემაჩერებელი გარემოების მტკიცების ტვირთი გარემოების (ფაქტის) მიმთითებელ პირს ეკისრება და იგი სათანადო მტკიცებულებით – ხელისუფლების მიერ მიღებული აქტით უნდა დადგინდეს. ამასთან, ხანდაზმულობის ვადის დენა შეჩერდება, თუ მორატორიუმსა და უფლებამოსილი პირის მიერ მოთხოვნის წარუდგენლობას შორის მიზეზობრივი კავშირი დადგინდება.

2. განსაკუთრებული და მოცემულ პირობებში აუცდენელი დაუძლეველი ძალა

6 განსაკუთრებული და მოცემულ პირობებში აუცდენელი დაუძლეველი ძალის გამო ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერება განპირობებულია ამ გარემოების უჩვეულობით, მისი გათვალისწინებისა და აცილების ობიექტური შეუძლებლობით, განსაკუთრებულობით.

7 დაუძლეველი ძალა ისეთი მოვლენაა, რომლის თავიდან აცილება მოცემულ პირობებში ტექნიკური და სხვა საშუალებებით **ობიექტურად შეუძლებელია.** დაუძლეველი ძალა ხანდაზმულობის ვადის დენას აჩერებს არა მისი შინაგანი დამახასიათებელი თვისებების გამო, არამედ მთელი რიგი პირობებისა და კონკრეტული გარემოებების გამო.[6]

8 დაუძლეველ ძალას ქართული სამოქალაქო კოდექსი არ განმარტავს, თუმცა ასეთი გარემოება ტერმინით „ფორსმაჟორი“[7], როგორც მოქმედების შემზღუდავი გარემოება, აღიარებულია უნიფიცირებული აქტებით, რომლებიც გარემოების დაუძლეველ ძალად მიჩნევის ძირითად სტანდარტებს ადგენენ, კერძოდ, ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპებით, მხარის მიერ ვალდებულების დარღვევა საპატიოა, თუ ის დაამტკიცებს, რომ ეს გამოიწვია **მის კონტროლს მიღმა არსებულმა დამაბრკოლებელმა**

4 საქართველოს 2013 წლის 28 ივნისის „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ კანონი საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანით უცხოელებსა და უცხო ქვეყანაში რეგისტრირებულ იურიდიულ პირებზე, ასევე, უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ საქართველოში დაფუძნებულ იურიდიულ პირებზე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე საკუთრების მოპოვებასთან დაკავშირებით 2014 წლის 31 დეკემბრამდე მორატორიუმი გამოცხადდა; საქ. საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2012 წლის 26 ივნისის № 3/1/512 გადაწყვეტილება.

5 *ახვლედიანი,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, 2002, მუხ. 132, გვ. 323.

6 *ახვლედიანი,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, 2002, მუხ. 132, გვ. 324.

7 Force majeure – ვითარება, რომლის თავიდან აცილება შეუძლებელია, გადაულახავი დაბრკოლება, სამოქალაქო განათლების ლექსიკონი, უცხო სიტყვათა ლექსიკონი.

გარემოებებმა და ხელშეკრულების დადებისას მათი მხედველობაში მიღება ან ამ გარემოებების ან მისი შედეგების **თავიდან არიდება შეუძლებელი იყო.**[8]

დამკვიდრებული აზრით, დაუძლეველ ძალად მიიჩნევა როგორც ბუნებრივი (სტიქიური) ხდომილებები, ასევე პოლიტიკური, სამხედრო, სოციალური და სხვა გარემოებები, რომელიც უფლებამოსილი პირისთვის გადაულახავია და მოქმედების განხორციელებას შეუძლებელს ხდის,[9] ანუ ამ შემთხვევაში ისეთ სუბიექტურ თუ ობიექტურ გარემოებებთან გვაქვს საქმე, რომელიც გამორიცხავს ვალდებულების შესრულების შესაძლებლობას.[10] ამასთან, დაუძლეველი გარემოება საგანგებო და უჩვეულო მოვლენაა[11], რაც კრედიტორის მიერ მისი წინასწარ გათვალისწინების და მასზე ზემოქმედების შესაძლებლობას გამორიცხავს. ასე მაგალითად, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ დაუძლეველ ძალად მიიჩნია 2006 წლის ოქტომბრის დასაწყისიდან რუსეთის ფედერაციის ხელისუფლების გადაწყვეტილების საფუძველზე რუსეთ-საქართველოს შორის საზღვაო, საჰაერო, სახმელეთო ტრანსპორტის მოძრაობის შეჩერების ფაქტი,[12] ასევე საქართველო-რუსეთის 2008 წლის აგვისტოს ომი.[13] **9**

განსაკუთრებულ და უფლების დაცვის შემაფერხებელ გარემოებად შეიძლება შეფასდეს სამართალდამცავი ორგანოების კანონსაწინააღმდეგო უარი კომპეტენციის ფარგლებში მოქმედების განხორციელებაზე, ასე მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო-საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა უგულებელყოფით სარჩელის (განცხადების) წარმოებაში მიღებაზე უარი, ასევე პირის მიმართ განხორციელებული პოლიტიკური იძულება, არ გამოიყენოს სამართლებრივი დაცვის საშუალებები. **10**

კრედიტორის მიერ კანონის არცოდნა (მე-3 II) ან მისი წარმომადგენლის შეცდომა (განზრახი ან გაუფრთხილებელი) უფლების დაცვის დამაბრკოლებელ გარემოებას არ წარმოადგენს. **11**

მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენის შემაჩერებელ გარემოებად ასევე არ უნდა ჩაითვალოს უფლების დაცვის სამართლებრივად არასწორი მოქმედების განხორციელება (სამოქალაქო უფლების დასაცავად პროკურატურის, შსს ან სხვა ორგანოებისათვის მიმართვა). **12**

კრედიტორის ავადმყოფობა უფლების დაცვის განხორციელების დამაბრკოლებელ გარემოებად მიჩნევა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ უტყუარად დადგინდება, რომ ავადმყოფობის სირთულიდან გამომდინარე, მას არ შეეძლო თავად ან წარმომადგენლის მეშვეობით ემოქმედა. **13**

მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენა დაუძლეველი ძალის წარმოშობიდან მის დამთავრებამდე შეჩერდება. **14**

8 ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები, 8:108 მუხლი, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, ბზეკალავას, ჭალიძის, ცერცვაძისა და გეგენავას საერთო რედაქციით, 2014; შდრ. UNIDROIT Principles of International Commercial Contracts, art.7.1.7; საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულებათა შესახებ გაეროს (ვენის) კონვენცია, მუხ. 79.

9 *ზოიძე,* სკ-ის კომენტარი, წიგნი III, 2001, მუხ. 394, გვ. 375.

10 საქ. უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 6 ივლისის № ას-7-6-2010 განჩინება.

11 *ახვლედიანი,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, 2002, მუხ. 132, გვ. 324.

12 საქ. უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 23 ივლისის № ას-30-367-09 განჩინება.

13 საქ. უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 6 ივლისის № ას-7-6-2010 განჩინება.

15 მოთხოვნის წარდგენის შეუძლებლობის გამო ხანდაზმულობის ვადის შეჩერების ფაქტის მითითებისას კრედიტორმა უნდა დაამტკიცოს:

– მოთხოვნის წარუდგენლობა მის კონტროლს მიღმა არსებულმა გარემოებამ გამოიწვია;

– გონივრული წინდახედულობის ფარგლებში დაუძლეველი ძალის გათვალისწინება, მოსალოდნელობა შეუძლებელი იყო;

– მოვლენის ან/და მისი შედეგების თავიდან აცილება და დაძლევა კრედიტორს არ შეეძლო;

– მოთხოვნის წარუდგენლობა კრედიტორის დაუდევრობას არ უკავშირდება.

3. კრედიტორი ან მოვალე იმყოფება შეიარაღებული ძალების იმ ნაწილში, რომელიც გადაყვანილია საომარ მდგომარეობაში

16 მოთხოვნის წარდგენის დამაბრკოლებელი გარემოებაა, როდესაც კრედიტორი ან მოვალე შეიარაღებული ძალების იმ ნაწილში იმყოფება, რომელიც გადაყვანილია საომარ მდგომარეობაში. კრედიტორს შეუძლია ისარგებლოს ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერებით, როცა შეიარაღებულ ძალებში იმყოფება თვითონ ან მოვალე.[14] ამდენად, ხანდაზმულობის ვადის დენა ჩერდება როგორც კრედიტორის, ასევე მოვალის შეიარაღებულ ძალების ნაწილში ყოფნის განმავლობაში.

ნორმაში აღწერილი საფუძვლით ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერების აუცილებელ წინაპირობას შეიარაღებული ძალების ნაწილის საომარ მდგომარეობაში გადაყვანის ფაქტი წარმოადგენს. მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენა სწორედ ამ ფაქტის დადგომიდან (მხარის შეიარაღებულ ძალებში გაწვევის დღიდან) შეჩერდება.

17 **კავშირი პროცესთან.** შეიარაღებული ძალების ნაწილის საომარ მდგომარეობაში გადაყვანის ფაქტი და ზუსტი დრო კომპეტენტური ორგანოს[15] მიერ გამოცემული სათანადო აქტით უნდა დადგინდეს.

უფლების დაცვის ასეთი შემაფერხებელი ფაქტის მტკიცების ტვირთი ფაქტის მიმთითებელ მხარეზეა.

4. კანონით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები

18 132-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებები ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერების ზუსტ ჩამონათვალს არ მოიცავს და ამავე ნორმით, ხანდაზმულობის ვადის დენა შეიძლება შეჩერდეს **კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.** კერძოსამართლებრივ ურთიერთობათა თავისებურებიდან გამომდინარე, მოთხოვნის წარდგენის ვადის შეჩერება კონკრეტულ გარემოებაზე ან მოქმედებაზეა დამოკიდებული. ამასთან, როგორც წესი, განსაზღვრულია ვადის დენის შეჩერების საწყისი და დასრულების დრო.

14 *ახვლედიანი,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, 2002, მუხ. 132, გვ. 324.

15 საქართველოს თავდაცვის შესახებ საქართველოს კანონი მუხ. 7.

ასე მაგალითად, 663-ე მუხლით, მოგზაურობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ტურისტის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა ექვს თვეს შეადგენს. თუ ტურისტი მოთხოვნებს წარადგენს ხანდაზმულობის ვადის დაწყებამდე, მაშინ ხანდაზმულობის ვადა შეჩერდება იმ დღემდე, რომელ დღესაც მოგზაურობის მომწყობი უარყოფს მოთხოვნას. მსგავსი რეგულაციაა დადგენილი მე-700 მუხლით.

5. ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერების მომენტი

132-ე მუხლით გათვალისწინებულ გარემოებათა არსებობისას ვადის დენის შეჩერება და მისი გაგრძელება დასაშვებია 136-ე მუხლით გათვალისწინებული წესით (იხ. 136-ე მუხლის კომენტარი). **19**

მუხლი 133. ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერება ქორწინების განმავლობაში

სანამ ქორწინება არსებობს, მეუღლეთა შორის მოთხოვნებზე ხანდაზმულობის ვადის დენა ჩერდება. იგივე წესი მოქმედებს მშობლებსა და შვილებს შორის მოთხოვნებზე ბავშვების სრულწლოვანების დადგომამდე, აგრეთვე მეურვეებსა (მზრუნველებსა) და სამეურვეო პირებს შორის მოთხოვნებზე მეურვეობის მთელი პერიოდის მანძილზე.

I. ნორმის მიზანი და გამოყენების სფერო

1 ნორმის მიზანია საოჯახო ურთიერთობაში მყოფ პირთა შორის სიმშვიდისა და სიმყარის შენარჩუნება-განმტკიცება. ნორმა მოიცავს როგორც ქორწინებისა და ნათესაობის საფუძველზე დაკავშირებულ პირთა, ასევე მეურვეებსა და სამეურვეო პირებს შორის ურთიერთობას, ვინაიდან ამ უკანასკნელ პირთა კავშირი განსაკუთრებულ ნდობასა და ურთიერთპატივისცემაზეა დამყარებული და, სავსებით მართებულად, საოჯახო-სამართლებრივ ურთიერთობათა სფეროს წარმოადგენს.

ხანდაზმულობის ვადის დენა ჩერდება არა იმიტომ, რომ პირს მოთხოვნის წარდგენის შესაძლებლობა არ აქვს, არამედ იმ თავისებური ურთიერთობის გამო, რომელიც მყარდება[1] ნორმაში დასახელებულ პირებს შორის, შესაბამისად, დადგენილი რეგულაცია მხოლოდ ამ ურთიერთობაში მყოფი პირების მიმართ გამოიყენება.

II. კავშირი სხვა სამართლებრივ ინსტიტუტებთან

2 ურთიერთობათა თავისებურებიდან გამომდინარე, ნორმა მჭიდრო კავშირშია საოჯახო სამართლის ისეთ ინსტიტუტებთან, როგორიცაა ქორწინება, მშობლებისა და შვილების ურთიერთობა, მეურვეობა და მზრუნველობა.

III. ნორმის შემადგენლობა

3 **მეუღლეთა შორის** მოთხოვნებზე ხანდაზმულობის ვადის შეჩერების წინაპირობას პირთა შორის 1106-ე მუხლით დადგენილი წესით ქორწინება წარმოადგენს და ხანდაზმულობა ქორწინების ამ წესით რეგისტრაციის მომენტიდან შეჩერდება (1151).

1107-ე, 1108-ე და 1120-ე მუხლებით გათვალიწინებული პირობების დარღვევით რეგისტრირებული და ფიქციური ქორწინების ბათილად ცნობა, 1146-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად[2], არ იწვევს მოთხოვნის

1 *ახვლედიანი,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, 2002, მუხ. 133, გვ. 325.

2 ბათილად ცნობილი ქორწინება ბათილად ითვლება ქორწინების რეგისტრაციის დღიდან და არ წარმოშობს მეუღლეთა უფლებებსა და მოვალეობებს, 1146-ე მუხლი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

ხანდაზმულობის ვადის შეჩერებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოთხოვნის წარდგენაზე უფლებამოსილმა მეუღლემ (კეთილსინდისიერი მეუღლე) არ იცოდა და არც შეიძლება სცოდნოდა ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებების შესახებ (1146 III).

ვინაიდან ორივე მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ქორწინების გაბათილების მოთხოვნა დაუშვებელია (1149), ერთ-ერთი მეუღლის მემკვიდრის მოთხოვნა[3] ხანდაზმულობის ვადის შეჩერების არგუმენტით საფუძველს მოკლებულია.

მოთხოვნის წარდგენის ვადის დენა 1122-ე მუხლით გათვალისწინებული ქორწინების შეწყვეტამდე ჩერდება. კანონის თანახმად, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში მოშლილი ქორწინება შეწყვეტილად ჩაითვლება განქორწინების რეგისტრაციის მომენტიდან, ხოლო სასამართლოში მოშლილი ქორწინება შეწყვეტილად ჩაითვლება განქორწინების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს მიერ განქორწინების რეგისტრაციის მომენტიდან.[4]

გართულებულია ვითარება **ფაქტობრივ ქორწინებაში მყოფ** (დაუქორწინებელ) პირებთან დაკავშირებით, რომელთა მიმართ სასამართლო პრაქტიკა, 1151-ე მუხლით გათვალისწინებულ იმპერატიულ მოთხოვნას, მეუღლეთა უფლება-მოვალეობების წარმოშობას მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით რეგისტრირებული ქორწინების შემთხვევაში ავრცელებს.[5] სახელმწიფოსაგან საეკლესიო წესით ჯვრისწერის აღიარების მიუხედავად, მეუღლეთა კანონით დადგენილი უფლებებისა და მოვალეობების წარმოშობის საფუძველი ვერ გახდება,[6] ვინაიდან კონსტიტუციური შეთანხმების შესაბამისი ნორმა დეკლარაციული ხასიათისაა, ნორმით ზუსტად განსაზღვრულია სახელმწიფოს მიერ ჯვრისწერის აღიარების ფარგლები – ეკლესიის მიერ შესრულებული ჯვრისწერის აღსრულების შემდეგ ახლად შექმნილი ოჯახი მართლმადიდებლური წესით ხდება კანონიერი და მას რაიმე თანამდევი კანონით გათვალისწინებული იურიდიული შედეგი არ მოჰყვება.[7] ასეთი ფაქტობრივი ქორწინება, რეგისტრირებულისაგან განსხვავებით, სრულყოფილად არ წარმოშობს მექორწინეებისათვის[8] კანონით დადგენილ ქონებრივ უფლებებს. **4**

ამ მიმართებით ეროვნული სასამართლოებისთვის გასათვალისწინებელია

3 საქ. უზენაესი სასამართლოს 2006 წლის 27 სექტემბრის №ას-427-818-06 განჩინება, სუსგ სამოქალაქო საქმეებზე 7/2006, გვ 31-32.

4 სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ საქართველოს კანონი, 55-ე მუხლი.

5 საქ. უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 25 იანვრის № ას-681-637-2010 განჩინება, სუსგ სამოქალაქო საქმეებზე, 11/2011, გვ. 37-45; საქ. უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 15 მაისის № ას-968-1269-07 განჩინება.

6 სახელმწიფო აღიარებს ეკლესიის მიერ შესრულებულ ჯვრისწერას კანონმდებლობით დადგენილი წესით. სამართლებრივ ურთიერთობებში გამოიყენება ქორწინების სახელმწიფო რეგისტრაციის მონაცემები. საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების მე-3 მუხლი.

7 საქ. უზენაესი სასამართლოს 2006 წლის 27 სექტემბრის № ას-427-818-06 განჩინება.

8 *შენგელია/შენგელია,* საოჯახო სამართალი, 2011, გვ. 70.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა ქორწინების გარეშე ერთ ოჯახად მცხოვრებ პირთა სამართლებრივ მდგომარეობაზე.

ევროპული კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებში მომხდარი სოციალური და სამართლებრივი ცვლილებების გათვალისწინებით, ოჯახური ცხოვრების განმარტება სტრასბურგის ორგანოების მიერ გასცდა ფორმალურ ურთიერთობას და ასევე მოიცვა ფაქტობრივი კავშირები პარტნიორებს შორის. ამდენად, თუ პარტნიორებს არა აქვთ ფორმალური ურთიერთობა, შეადგენს თუ არა ასეთი ურთიერთობა ოჯახურ ცხოვრებას, დამოკიდებული იქნება ფაქტობრივ მდგომარეობაზე. საქმეზე კრონი ნიდერლანდების წინააღმდეგ (Kroon v. Netherlands) – ევროპულმა სასამართლომ განაცხადა: „სასამართლო იხსენებს, რომ მე-8 მუხლით გათვალისწინებული „ოჯახური ცხოვრების“ ცნება არ იზღუდება მხოლოდ ქორწინებაზე დამყარებული ურთიერთობით და შეიძლება მოიცავდეს სხვა დე ფაქტო „ოჯახურ კავშირებს“, როდესაც მხარეები ერთად ცხოვრობენ ქორწინების გარეშე.[9]

ცხოვრებისეული და სასამართლო პრაქტიკა ცხადყოფს საქართველოს მოქალაქეთა ქორწინების გარეშე ერთ ოჯახად ცხოვრების არაიშვიათ შემთხვევათა არსებობას. ამ ურთიერთობის თავისებურებიდან გამომდინარე, თანაცხოვრების პერიოდში პარტნიორის მიმართ პირის მოთხოვნის წარდგენის ხანდაზმულობის ვადის შეჩერება, ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გათვალისწინებით და 133-ე მუხლის ანალოგიის გამოყენებით, უფლების დაცვის სწორ გზად უნდა ჩაითვალოს.[10] მსგავსი მოწესრიგებაა გერმანიის სამოქალაქო კოდექსის § 207-ის პირველი აბზაცით.

5 **მშობლებსა და შვილებს შორის** ხანდაზმულობის ვადა კანონის თანახმად, შეჩერებულია ბავშვების სრულწლოვანების დადგომამდე – 18 წლის ასაკის მიღწევამდე (მე-12 მუხ.) ან ბავშვის გაშვილებამდე (ბიოლოგიურ მშობელთან ნათესაური ურთიერთობის შეწყვეტით).

ნორმით დადგენილი წესი ვრცელდება:

ა) შვილებსა და მშობლებზე, მიუხედავად იმისა, იმყოფებიან თუ არა ისინი ქორწინებაში(1202-ე მუხ.); სასამართლო ქალისა და მამაკაცის ერთობლივ თანაცხოვრებას არ განიხილავს მშობლებსა და მცირეწლოვან შვილებს შორის ოჯახური ცხოვრების აუცილებელ პირობად.[11] ბავშვის ინტერესები უპირატესია[12], შესაბამისად, ბავშვისა და მშობლის ურთიერთობა არ არის დამოკიდებული ბავშვის დედისა და მამის ერთად ცხოვრებაზე ან ბავშვის

9 *კორკელია/მჭედლიძე/ნალბანდოვი,* საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მისი ოქმების სტანდარტებთან, 2005, გვ. 191.

10 133-ე მუხლი არ ითვალისწინებს ქორწინების გარეშე ერთ ოჯახად მცხოვრებ პირთა შორის მოთხოვნის წარდგენის ხანდაზმულობის ვადის შეჩერებას, თუმცა მართლმსაჯულების ერთ-ერთ ფუნქციას კანონის ხარვეზის შევსება წარმოადგენს, რაც მოცემულ შემთხვევაში გამართლებულია სამართლიანობისა და თანასწორობის უპირატეს არგუმენტებზე დაყრდნობით.

11 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე Berrehab v. The Netherlands, განაცხადი № 10730/84, §21.

12 ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა სამართლებრივი სტატუსის შესახებ ევროპული კონვენცია, რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 03/01/2002 წლის №1321 დადგენილებით.

ერთად აღზრდასა, ან რჩენაზე.[13]

ბ) შვილებსა და მშობლის უფლება-მოვალეობა ჩამორთმეულ პირებს შორის (1207-ე მუხ.);

გ) მშვილებლებსა და შვილად აყვანილს შორის (1261-ე მუხ.).

მიუხედავად იმისა, რომ ბავშვსა და მშობლის მეუღლეს შორის სამართლებრივ ურთიერთობას საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ აწესრიგებს, მიზანშეწონილია, ამ სუბიექტებს შორის 133-ე მუხლით დადგენილი წესის გავრცელება.[14]

არასრულწლოვან ბავშვებთან მიმართებით ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერება პრაქტიკულად წარმოადგენს **ხანდაზმულობის ვადის გადავადებას** მათი სრულწლოვანების ასაკის მიღწევამდე.

მეურვეებსა (მზრუნველებსა) და სამეურვეო პირებს შორის მოთხოვნებზე ხანდაზმულობის ვადა მეურვეობის მთელი პერიოდის მანძილზე შეჩერდება. **6**

მეურვეობის პერიოდად განისაზღვრება დრო პირის მეურვედ (მზრუნველად) დანიშვნიდან ამ ურთიერთობების შემწყვეტი გარემოებების წარმოშობის გამო მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ მეურვეობის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე (1301-1304).

ნორმის მოქმედება შეიძლება გავრცელდეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ პირთა, კერძოდ, მეურვეებსა და სამეურვეო პირებს, მზრუნველებსა და სამზრუნველო პირებს შორის ურთიერთობაზე.

სამეურვეო პირებს წამოადგენენ: მშობლის მზრუნველობის გარეშე დარჩენილი შვიდ წლამდე ასაკის ბავშვები (1275) და სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ აღიარებული პირები (12, 1276).

მზრუნველობა წესდება მშობლის მზრუნველობის გარეშე დარჩენილ შვიდი წლის ასაკიდან თვრამეტ წლამდე არასრულწლოვანსა და სრულწლოვან ქმედუნარიან პირზე მისი თხოვნით, თუ მას თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია დამოუკიდებლად განახორციელოს თავისი უფლებები და შეასრულოს მოვალეობანი (1277), ასევე იმ პირებზე, რომლებსაც ალკოჰოლის ან ნარკოტიკული ნივთიერების გამო სასამართლოს გადაწყვეტილებით ქმედუნარიანობა შეეზღუდათ (16).

მეურვე და მზრუნველი ინიშნება მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების გადაწყვეტილების ან გარდაცვლილი მშობლების ანდერძის საფუძველზე (1281).

133-ე მუხლი არ უთითებს, ნორმის მოქმედება უნდა გავრცელდეს თუ არა **მინდობით აღსაზრდელად გადაცემულ ბავშვებსა და დედობილ-მამობილს შორის** წარმოშობილ მოთხოვნებზე.[15] ბავშვის მინდობით აღსაზრდელად გადაცემა ბავშვის ოჯახურ გარემოში აღზრდის მიზანს ემსახურება და ბუნებრივია, შვილობილსა და დედობილ-მამობილს შორის, გარდა მინდობით აღზრდის ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობებისა, **7**

13 საქ. უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 7 მაისის № ას-41-40-2010 განჩინება.

14 შდრ. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის §207.2 თანახმად, ერთ-ერთი მშობლის მეუღლესა და ამ მეუღლის შვილებს შორის ხანდაზმულობის ვადის დენა შეჩერდება ბავშვების არასრულწლოვანების განმავლობაში.

15 იხ. საქართველოს კანონი „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“.

განსაკუთრებულ პატივისცემასა და ნდობას წარმოშობს, შესაბამისად, მინდობით აღზრდის განმავლობაში მიზანშეწონილია, ამ სუბიექტებს (შვილობილი და დედობილი ან მამობილი) შორის წარმოშობილ მოთხოვნებზე 133-ე მუხლით გათვალისწინებული წესი გავრცელდეს.

8 იმავე მოსაზრებით, ხანდაზმულობის ვადა შესაძლებელია შეჩერდეს ბავშვის ქონებრივი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად დანიშნულ **ქონების მეურვესა** (1211, 1286) და არასრულწლოვანს შორის წარმოშობილ მოთხოვნებზე ამ ურთიერთობის არსებობამდე. არასრულწლოვნის ქონების მართვის უფლება ქონების მეურვეს გადაეცემა არასრულწლოვნის მშობლების, მამკვიდრებლის ან მეურვის (მზრუნველის) მოთხოვნის შედეგად, რაც ცხადყოფს მოცემული ურთიერთობის განსაკუთრებული ნდობის საფუძველზე წარმოშობას და შესაბამისად, ამ სუბიექტებს შორის 133-ე მუხლის მოქმედების გავრცელების კანონზომიერებას.

მუხლი 134. ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერება შეზღუდულქმედუნარიანის და მხარდაჭერის მიმღების მონაწილეობისას

თუ მოთხოვნა მომდინარეობს შეზღუდულქმედუნარიანისაგან, რომელსაც კანონიერი წარმომადგენელი არ ჰყავს, ან მხარდაჭერის მიმღებისაგან, რომელსაც მხარდაჭერა სათანადო წესით არ გაეწია, ანდა მოთხოვნა მიმართულია აღნიშნული პირისადმი, ხანდაზმულობის ვადა შეჩერებულად ითვლება, სანამ ეს პირი სრული ქმედუნარიანი არ გახდება, ან მას კანონიერი წარმომადგენელი ან მხარდამჭერი არ დაენიშნება.

I. ნორმის მიზანი და გამოყენების ფარგლები 749
II. ნორმის წინაპირობები 750
III. კავშირი პროცესთან 750

I. ნორმის მიზანი და გამოყენების ფარგლები

ნორმის მიზანი იმ პირთა ინტერესების დაცვაა, რომელთაც ობიექტურად, პატივსადები დამაბრკოლებელი გარემოებების გამო (ასაკი, ჯანმრთელობა, ფსიქიკური, გონებრივი/ინტელექტუალური დარღვევები) საკუთარი სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების დამოუკიდებლად განხორციელება არ შეუძლიათ.ამავდროულად, ნორმა ხანდაზმულობისაგან იცავს იმ კრედიტორის უფლებასაც, რომელსაც მოთხოვნა აქვს შეზღუდულქმედუნარიანი (მე-14-მე-16-ე მუხლები) ან მხარდაჭერის მიმღები პირის (12. IV-V) მიმართ,[1] ხოლო ამ უკანასკნელს კანონიერი წარმომადგენელი ან მხარდამჭერი დანიშნული არ ჰყავს (1280-1282-ე მუხლები). **1**

მიუხედავად უფლება-მოვალეობათა განხორციელების შეუძლებლობისა, ნორმით დადგენილი წესი არ გამოიყენება არასრულწლოვან ბავშვებთან მიმართებით, რომელთაც მშობლები (მშობელი) ჰყავთ, ვინაიდან მშობლები არასრულწლოვანი შვილების კანონიერი წარმომადგენლები არიან და განსაკუთრებულ რწმუნებულებათა გარეშე გამოდიან მათი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად მესამე პირებთან ურთიერთობაში, მათ შორის, სასამართლოში (1198 VI). ამ სუბიექტთა შორის წარმოშობილ მოთხოვნებზე ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერების საკითხი 133-ე მუხლით რეგულირდება (იხ.133-ე მუხლის კომენტარი). **2**

აღნიშნულიდან გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს ის შემთხვევა, როდესაც არასრულწლოვანი ბავშვი, მიუხედავად იმისა, რომ მშობელი ჰყავს, უფლების სათანადო წესით რეალიზებას ვერ ახდენს, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს მშობლის მძიმე ავადმყოფობით ან სხვა ობიექტური და **3**

1 შენიშვნა: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე 2015 წლის 20 მარტს სამოქალაქო კოდექსის მე-12 მუხლში შეტანილი ცვლილებით, ფსიქიკური, გონებრივი/ინტელექტუალური დარღვევების მქონე პირი მიჩნეულ იქნა ქმედუნარიანად, რომელიც თავისი უფლებებისა და მოვალეობების რეალიზებისთვის საჭიროებს მხარდაჭერას. საქართველოს 2015 წლის 20 მარტის კანონი № 3339-IIს, 31.03.2015; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის № 2/4/532,533 გადაწყვეტილება.

რეალურად უფლების განხორციელების დამაბრკოლებელი გარემოებებით.[2]

II. ნორმის წინაპირობები

4 134-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენა შეჩერდება, თუ დარღვეული უფლების დაცვის

ა) მოთხოვნა მომდინარეობს **შეზღუდულქმედუნარიანი ან მხარდაჭერის მიმღები** პირისაგან, რომელსაც კანონიერი წარმომადგენელი არ ჰყავს, ან

ბ) მოთხოვნა მიმართულია **შეზღუდულქმედუნარიანი ან მხარდაჭერის მიმღები** იმ პირის მიმართ, რომელსაც კანონიერი წარმომადგენელი არ ჰყავს.

5 **შეზღუდულქმედუნარიანი ან მხარდაჭერის მიმღებ** პირთა პირადი და ქონებრივი ინტერესების სამართლებრივი დაცვა მეურვეობისა და მზრუნველობის ინსტიტუტით რეგულირდება. ნორმა ითვალისწინებს იმ გამონაკლის ვითარებას, როდესაც უფლების რეალიზების შესაძლებლობას მოკლებულ პირებს მეურვე, მზრუნველი ან მხარდამჭერი სათანადო წესით არ ჰყავთ დანიშნული და, ამავდროულად, მათ იურიდიული მოქმედების განხორციელების აუცილებლობა წარმოეშვათ – მოთხოვნა უნდა წარადგინონ ან მათ წინააღმდეგ მიმართულ მოთხოვნას უპასუხონ.

6 მოთხოვნის წარმოშობის შემთხვევაში, მეურვეობის, მზრუნველობის ან მხარდაჭერას დაქვემდებარებულ პირს, ხოლო ამ პირთა მიმართ (მათ წინააღმდეგ) მოთხოვნის წარმოშობის შემთხვევაში მოთხოვნაზე უფლებამოსილ პირს (კრედიტორს) მოთხოვნის წარდგენის ხანდაზმულობის ვადა პირის სრული ქმედუნარიანობის დადგომამდე, ან მისთვის წარმომადგენლის დანიშვნამდე უჩერდებათ.

7 ხანდაზმულობის ვადის დენა შეჩერდება იმ მომენტიდან, როდესაც პირისათვის მეურვის ან მზრუნველის დანიშვნის გარემოება წარმოიშვა (იხ. 136-ე მუხლის კომენტარი).

III. კავშირი პროცესთან

8 მიუხედავად კანონიერი წარმომადგენლის გარეშე დარჩენილ პირთა მიმართ 134-ე მუხლით დაწესებული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის შეჩერებისა, სამოქალაქო-საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულია ვითარება, როდესაც ქმედუუნარო პირის მიმართ აღძრულია სარჩელი ან ასეთ პირს უფლების დასაცავად სარჩელი წარდგენილი აქვს სასამართლოში და მას კანონიერი წარმომადგენელი არ ჰყავს.

9 როგორც წესი, ქმედუუნარო პირი სასამართლოში წარმოდგენილია კანონიერი წარმომადგენლით, წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლო სარჩელს წარმოებაში არ მიიღებს (საქართველოს სამოქალაქო-საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტი), სარჩელის განსახილველად მიღების შემთხვევაში განუხილველად დატოვებს (საქართ-

2 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 12 აპრილის № ას-1224-1076-2010 გადაწყვეტილება.

ველოს სამოქალაქო-საპროცესო კოდექსის 275-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი), ხოლო საქმისწარმოების ეტაპზე ქმედუნარიანობის დაკარგვისას, საქმისწარმოებას შეაჩერებს (საქართველოს სამოქალაქო-საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი).

10 ამავდროულად, კონკრეტულ გარემოებათა არსებობისას, სასამართლო უფლებამოსილია, პროცესში ჩართულ კანონიერი წარმომადგენლის გარეშე მყოფ ქმედუუნარო პირს დაუნიშნოს **საპროცესო წარმომადგენელი (საპროცესო მზრუნველი),** კერძოდ, თუ:

ა) სარჩელი აღძრულია ქმედუუნარო პირის წინააღმდეგ; ქმედუუნარო მოპასუხეს კანონიერი წარმომადგენელი დანიშნული არ ჰყავს; მოსარჩელე შუამდგომლობს საპროცესო წარმომადგენლის დანიშვნას; საქმის დროულად განუხილველობა მოსარჩელეს ზიანს მიაყენებს (საქართველოს სამოქალაქო-საპროცესო კოდექსის 82-ე მუხლის I ნაწ.).

ბ) სარჩელი აღძრულია ქმედუუნარო პირის მიერ; ქმედუუნარო მოსარჩელეს კანონიერი წარმომადგენელი დანიშნული არ ჰყავს; გარემოებათა გამო მიზანშეწონილია საქმის დროულად განხილვა (საქართველოს სამოქალაქო-საპროცესო კოდექსის 82-ე მუხლის მეორე ნაწ.).

11 ორივე შემთხვევაში საპროცესო წარმომადგენლის დანიშვნა დასაბუთებული უნდა იყოს კონკრეტული დავის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, მისი სწრაფი განხილვისა და სასამართლო გადაწყვეტილების დროულად გამოტანის აუცილებლობით. საქმის სწრაფი განხილვის აუცილებლობა, როგორც წესი, მოტივირებულია იმ სავარაუდო ზიანით, რომელიც აზარალებს კრედიტორს და, არცთუ იშვიათ შემთხვევაში, მოვალესაც (ასე მაგალითად, ვადის გადაცილების შემთხვევაში სანქციებზე შეთანხმების არსებობა). საპროცესო წარმომადგენლის დანიშვნის მიზანშეუწონლობის შემთხვევაში, სასამართლომ დავა კანონიერი წარმომადგენლის დანიშვნამდე არ უნდა განიხილოს.

საპროცესო წარმომადგენელი ინიშნება იმ შემთხვევაშიც, როდესაც 14 წლის ასაკს მიღწეული არასრულწლოვანი თავისი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად სასამართლოს თვითონ მიმართავს (საქართველოს სამოქალაქო-საპროცესო კოდექსის 811 მუხლი).

12 კანონი არ ადგენს საპროცესო წარმომადგენლის უფლება-მოვალეობების ფარგლებს და მიიჩნევა, რომ მათ იგივე უფლებები და მოვალეობები აქვთ, რაც კანონიერ წარმომადგენლებს გააჩნიათ. ამასთან, საქმის განხილვისას, ქმედუუნარო პირის მატერიალური უფლების განმკარგველი მოქმედების განხორციელებისას (სარჩელის ცნობა, მორიგება), ქმედუუნარო პირთა უფლებების დაცვის მიზნით, მიზანშეწონილია სასამართლოს აქტიური ჩართულობა.[3]

13 სამოქალაქო-საპროცესო კოდექსის 82-ე მუხლი სამოქალაქო დავაში საპროცესო წარმომადგენლის დანიშვნას მხოლოდ ქმედუუნარო პირთა მონაწილეობის შემთხვევაში უშვებს. დასაბუთებული აუცილებლობის შემთხვევაში, ნორმით გათვალისწინებული გარემოებების არსებობისას, ამავე

3 *ლილუაშვილი,* სამოქალაქო-საპროცესო სამართალი, 2005, გვ. 182.

კოდექსის მე-7 მუხლით გათვალისწინებული კანონის ანალოგიით, პროცესში მონაწილე მხარდამჭერის გარეშე მყოფ **მხარდაჭერის მიმღებ** პირთა მიმართაც საპროცესო წარმომადგენლის დანიშვნა შესაძლებელია.

14 პირის **შეზღუდულქმედუნარიანად** (მე-16 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში) **ან მხარდაჭერის მიმღებად აღიარება** ხორციელდება სასამართლოს მიერ სამოქალაქო-საპროცესო კოდექსის კარი მეშვიდე[4], XLIV[10] და XLIV[11] თავებით დადგენილი წესით.

მუხლი 135. დრო, რომლის განმავლობაშიც ხანდაზმულობის ვადის დენა შეჩერებულია

დრო, რომლის განმავლობაშიც ხანდაზმულობის ვადის დენა შეჩერებულია, ხანდაზმულობის ვადაში არ ჩაითვლება.

I. ნორმის მიზანი

ნორმა განსაზღვრავს ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერების სამართლებრივ შედეგს – დროის მონაკვეთი, რომლის განმავლობაშიც მოთხოვნის წარდგენის დამაბრკოლებელი გარემოებები არსებობს, ხანდაზმულობის ვადაში არ ჩაითვლება. **1**

II. გამოყენების სფერო

135-ე მუხლით დადგენილი წესი ვრცელდება მოთხოვნის დამაბრკოლებელი ყველა იმ გარემოების წარმოშობის შემთხვევაში, რომელიც მოთხოვნის წარდგენის ხანდაზმულობის ვადას აჩერებს, მათ შორის, 132-134-ე მუხლებით და ასევე კანონით გათვალისწინებულ ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერების სხვა შემთხვევებზეც. ამასთან, 132-ე მუხლში მითითებული მოთხოვნის წარდგენის დამაბრკოლებელი გარემოებები 135-ე მუხლით გათვალისწინებულ შედეგს მხოლოდ 136-ე მუხლით დადგენილი პირობებით (ხანდაზმულობის ვადის უკანასკნელი ექვსი თვის ვადაში არსებობისას) იწვევს. **2**

ხანდაზმულობის ვადის შეჩერება გამოიხატება იმაში, რომ დრო, რომელიც გავიდა იმ გარემოებათა დადგომამდე, რომლებიც ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერებას იწვევენ, ხანდაზმულობის ვადაში ჩაითვლება, ხოლო დრო, რომლის განმავლობაშიც გრძელდება ხანდაზმულობის ვადის დენის შემაჩერებელი გარემოება, მხედველობაში არ მიიღება.[1]

ამდენად, ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერების ხანგრძლივობა დამოკიდებულია მოთხოვნის წარდგენის დამაბრკოლებელ გარემოებათა არსებობის ხანგრძლივობაზე და ეს პერიოდი ხანდაზმულობის ვადაში არ ჩაითვლება.

1 *ახვლედიანი,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, 2001, მუხ. 135, გვ. 327.

მუხლი 136. ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერების მომენტი

1. ხანდაზმულობის ვადა ჩერდება იმ შემთხვევაში, თუ 132-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებები წარმოიშვა ან განაგრძობდა არსებობას ხანდაზმულობის ვადის უკანასკნელი ექვსი თვის ფარგლებში; ხოლო თუ ეს ვადა ექვს თვეზე ნაკლებია, – ხანდაზმულობის ვადის განმავლობაში.

2. იმ გარემოებების შეწყვეტის დღიდან, რომლებიც საფუძვლად დაედო ხანდაზმულობის ვადის შეჩერებას, ხანდაზმულობა გაგრძელდება ექვს თვემდე; ხოლო თუ ხანდაზმულობის ვადა ექვს თვეზე ნაკლებია, – ხანდაზმულობის ვადამდე.

I. რეგულირების მიზანი 754
II. გამოყენების სფერო 754
1. ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერების განსხვავებული წესი 755
ა) 133-ე მუხლში მითითებული გარემოებები 755
ბ) 134-ე მუხლში მითითებული გარემოებები 757
III. ვადის დენის შეჩერების წინაპირობა 757
IV. ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერების დამთავრება 758
V. შეჩერებული ხანდაზმულობის ვადის დენის გაგრძელება 758

I. რეგულირების მიზანი

1 136-ე მუხლით დადგენილი წესის მიზანია, პირისთვის დარღვეული უფლების დაცვის უზრუნველყოფა იმ ვითარებაში, როდესაც მოთხოვნის წარდგენა უფლებამოსილი პირისგან დამოუკიდებელ და ობიექტურად ხელშემშლელ გარემოებათა გამო შეუძლებელია. ნორმით გათვალისწინებულია, დამაბრკოლებელ გარემოებათა შეწყვეტიდან ექვსი თვის ვადით ხანდაზმულობის ვადის გაგრძელება, რაც ამ ვადაში კრედიტორს უფლების დასაცავად მოთხოვნის წარდგენის შესაძლებლობას უქმნის.

II. გამოყენების სფერო

2 136-ე მუხლით, ამ ნორმით დადგენილი რეგულაცია გამოიყენება 132-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნის წარდგენის დამაბრკოლებელი გარემოებების არსებობისას, კერძოდ:

ა. ვალდებულების შესრულება გადავადებულია აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ (მორატორიუმი);

ბ. სარჩელის წარდგენას აბრკოლებს განსაკუთრებული და მოცემულ პირობებში აუცდენელი დაუძლეველი ძალა;

გ. კრედიტორი ან მოვალე იმყოფება შეიარაღებული ძალების იმ ნაწილში, რომელიც გადაყვანილია საომარ მდგომარეობაში;

დ. კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

ჩამოთვლილთაგან ა, ბ და გ პუნქტებში გარემოებათა არსებობისას ვადის

დენის შეჩერების ერთგვაროვანი წესი გამოიყენება.

1. ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერების განსხვავებული წესი

136-ე მუხლის გამოყენება 132-ე მუხლის „დ“ პუნქტში მითითებულ კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევების მიმართ, კონკრეტული ნორმით რეგულირებულ ხანდაზმულობის ვადის დენის დამაბრკოლებელი გარემოების ხასიათის გათვალისწინებით უნდა გავრცელდეს. 3

ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერების კანონით გათვალისწინებული სხვა შემთხვევაა 133-ე და 134-ე მუხლებში მითითებული გარემოებები.

ა) 133-ე მუხლში მითითებული გარემოებები

133-ე მუხლით, ხანდაზმულობის ვადა შეჩერდება: 4

ა. მეუღლეთა შორის მოთხოვნებზე – ხანდაზმულობის ვადა შეჩერებულია ქორწინების განმავლობაში და ვადის დენა იწყება ქორწინების შეწყვეტის მომენტიდან.

ბ. მშობლებსა და შვილებს შორის – ხანდაზმულობის ვადა შეჩერებულია ბავშვების სრულწლოვანების დადგომამდე (18 წლის ასაკის მიღწევამდე);

გ. მეურვეებსა (მზრუნველებსა) და სამეურვეო პირებს შორის მოთხოვნებზე ხანდაზმულობის ვადა მეურვეობის მთელი პერიოდის მანძილზე შეჩერდება.

ამდენად, 133-ე მუხლით, ხანდაზმულობის ვადის დენის დამაბრკოლებელ გარემოებათა არსებობისას ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერების საწყის მომენტად კონკრეტული იურიდიული ფაქტის (ქორწინება, არასრულწლოვანება, მეურვეობა) წარმოშობა მიიჩნევა, ხოლო შეჩერების პერიოდად – დროის მონაკვეთი, რომლის განმავლობაშიც ეს გარემოებები არსებობას განაგრძობს. 5

133-ე მუხლი მსგავსია გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 207-ე პარაგრაფისა, რომელიც ოჯახური და სხვა მსგავსი გარემოებების არსებობისას ხანდაზმულობის ვადის შეჩერებას ადგენს. საგულისხმოა, რომ ამ გარემოებებთან მიმართებით გსკ შეჩერებული ხანდაზმულობის ვადის გაგრძელების პერიოდს (დროის მონაკვეთს) არ უთითებს (მაგ., 210-211-ე პარაგრაფებში გსკ ხანდაზმულობის ვადის გაგრძელების დროდ ექვს თვეს განსაზღვრავს). კანონის ასეთი მიდგომა ამ ურთიერთობათა თავისებურებებითაა გამართლებული. 6

დამაბრკოლებელ გარემოებათა არსებობის შეწყვეტის შემდეგ ხანდაზმულობის ვადის გაგრძელების წესს არც 134-ე მუხლი არ ადგენს. ამასთან, 136-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, 134-ე მუხლთან მიმართებით ხანდაზმულობის ვადის გაგრძელების ექვსთვიანი ვადა უნდა გავრცელდეს, რაც მიზანშეუწონელია. 136-ე მუხლის გათვალისწინება, ჩვეულებრივისგან განსხვავებით, მოთხოვნაზე უფლებამოსილ პირს, ნაცვლად დადგენილი 7

ხანდაზმულობის ვადისა (მაგ., 3 წელი), უფლების დაცვა მხოლოდ ექვსი თვის განმავლობაში შეეძლება. ამდენად, ეს პატივსადები ობიექტური გარემოებები, რომელიც 134-ე მუხლით კანონმდებლის მიერაც უფლების განხორციელების დამაბრკოლებელ გარემოებად იქნა მიჩნეული, 136-ე მუხლის მოქმედების გავრცელებით, უფლებამოსილ პირს კერძო სამართლის სხვა სუბიექტებთან შედარებით არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს. კერძოდ:

8 ა. ქორწინებაში მყოფ პირებთან მიმართებით, თუ მოთხოვნა ქორწინების განმავლობაში წარმოიშვა, ხანდაზმულობის ვადა შეჩერებულია და მისი დენა დაიწყება ქორწინების შეწყვეტის მომენტიდან. ე.ი. თუ პირს მეუღლის მიმართ სახელშეკრულებო ან სანივთო უფლებებთან დაკავშირებით მოთხოვნა ქორწინებიდან ერთი წლის შემდეგ წარმოეშვა და ხუთი წლის შემდეგ განქორწინდა, 136-ე მუხლის გამოყენების შემთხვევაში, მოთხოვნაზე უფლებამოსილ პირს, ნაცვლად დადგენილი ხანდაზმულობის ვადისა (მაგ., 3 წელი), უფლების დაცვა მხოლოდ ექვსი თვის განმავლობაში შეეძლება.

თუ მოთხოვნა ქორწინებამდე წარმოიშვა, ქორწინების განმავლობაში ხანდაზმულობის ვადა შეჩერებულია, ხოლო განქორწინების შემთხვევაში ვადის დენა გაგრძელდება. იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით, ამ უკანასკნელ შემთხვევაში მხედველობაში იქნება მიღებული დაქორწინებამდე გასული დრო.[1] აღნიშნულით ავტორი გამორიცხავს 136-ე მუხლით გათვალისწინებული შეჩერებული ვადის ექვსი თვით გაგრძელებას. დაქორწინებამდე გასული დროის გათვალისწინებამ შესაძლებელია, გაუმართლებლად არახელსაყრელი მდგომარეობა შეუქმნას უფლებამოსილ პირს – კრედიტორს (მაგალითად, თუ სამწლიანი ხანდაზმულობის ვადის შემთხვევაში დაქორწინება მოთხოვნის წარმოშობიდან 2 წლისა და 10 თვის შემდეგ მოხდა).

9 ბ. მშობლებსა და შვილებს შორის მოთხოვნებზე ხანდაზმულობის ვადის დენას რაც შეეხება, ამ შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადა არც დაწყებულა და მისი შეჩერება პრაქტიკულად წარმოადგენს **ხანდაზმულობის ვადის გადავადებას (ვადის დაყოვნებას)** არასრულწლოვანთა სრულწლოვანების ასაკის მიღწევამდე. ბუნებრივია, ასეთ შემთხვევაშიც, თუ ხანდაზმულობის ვადა შეჩერებულად მიიჩნევა და 136-ე მუხლით უფლების დაცვა ექვსი თვით გაგრძელდება, ეს სამართლებრივ ლოგიკას მოკლებულია.

10 გ. მეურვეებსა (მზრუნველებსა) და სამეურვეო პირებს შორის მოთხოვნებზე ხანდაზმულობის ვადა მეურვეობის მთელი პერიოდის მანძილზე შეჩერდება. ამ შემთხვევაშიც, წინა ორი გარემოების მსგავსი ვითარებაა, ვინაიდან მეურვეობა და მზრუნველობა წესდება როგორც შვიდ წლამდე ასაკის, აგრეთვე იმ სრულწლოვნის პირადი და ქონებრივი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად, რომელსაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია დამოუკიდებლად განახორციელოს თავისი უფლებები და შეასრულოს თავისი მოვალეობები (1275-1276-ე მუხლები).

1 *ახვლედიანი,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, 2002, მუხ. 133, გვ. 326.

ამდენად, ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერებისა და გაგრძელების 136-ე მუხლით გათვალისწინებული წესის გამოყენება 134-ე მუხლით გათვალისწინებულ გარემოებებთან მიმართებით, მიზანშეუწონელია. ამ ურთიერთობების თავისებურებათა გათვალისწინებით, ხანდაზმულობის ვადის დენა უფლების დამაბრკოლებელი გარემოების დამთავრების (შეწყვეტის) მომენტიდან უნდა დაიწყოს. 11

ბ) 134-ე მუხლში მითითებული გარემოებები

134-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენა შეჩერდება, თუ დარღვეული უფლების დაცვის მოთხოვნა: 12

ა) მომდინარეობს შეზღუდულქმედუნარიანი ან მხარდაჭერის მიმღები პირისაგან, რომელსაც კანონიერი წარმომადგენელი არ ჰყავს, ან

ბ) მოთხოვნა მიმართულია შეზღუდულქმედუნარიანი ან მხარდაჭერის მიმღები იმ პირის მიმართ, რომელსაც კანონიერი წარმომადგენელი არ ჰყავს ან რომელსაც მხარდაჭერა სათანადო წესით არ გაეწია.

ამავე ნორმით, განსაზღვრულია ხანდაზმულობის ვადის შეჩერების ხანგრძლივობა – სანამ ეს პირი სრული ქმედუნარიანი არ გახდება ან მას კანონიერი წარმომადგენელი, ან მხარდამჭერი არ დაენიშნება. 13

რაც შეეხება ხანდაზმულობის ვადის შემაჩერებელ გარემოებათა შეწყვეტის შემდეგ მოთხოვნის იძულებით დაცვის ვადის გაგრძელებას, გამოიყენება 136-ე მუხლის დანაწესი, შესაბამისად, ვადა გაგრძელდება ექვს თვემდე, ექვს თვეზე ნაკლები ხანდაზმულობის ვადის შემთხვევაში – ხანდაზმულობის ვადამდე.[2] ნორმით აღწერილ დამაბრკოლებელ გარემოებათა აღმოფხვრის შემდეგ მოთხოვნის წარსადგენად ექვსი თვის ვადა უფლებამოსილი პირისთვის სავსებით საკმარისი და გონივრულია. ამდენად, 136-ე მუხლის გამოყენება 134-ე მუხლთან მიმართებით მიზანშეწონილია. 14

III. ვადის დენის შეჩერების წინაპირობა

ნორმის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უფლების დაცვის დამაბრკოლებელი გარემოებები წარმოიშვა და არსებობს: 15

1. ხანდაზმულობის უკანასკნელი ექვსი თვის განმავლობაში;

2. მოთხოვნის იძულებით დაცვის ექვს თვეზე ნაკლები ვადის შემთხვევაში, ამ ვადის განმავლობაში.

ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს უფლების დაცვის დამაბრკოლებელ გარემოებათა ხანდაზმულობის ვადის უკანასკნელი ექვსი თვის განმავლობაში არსებობა. ამასთან, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა ასეთ გარემოებათა წარმოშობის დროს, არამედ ამ გარემოებათა ვადის ბოლო ექვსი თვის მონაკვეთში არსებობას. ასე მაგალითად, სახელშეკრულებო მოთხოვნის ხანდაზმულობის სამწლიანი 16

2 შდრ. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, პარაგრაფი 210.

ვადის შეჩერებისთვის განმსაზღვრელია უფლების დაცვის დამაბრკოლებელი გარემოების ბოლო ექვსი თვის განმავლობაში არსებობა, მიუხედავად იმისა, სამწლიანი ვადის რა მონაკვეთში (თუნდაც ვადის დასაწყისში) წარმოიშვა ასეთი გარემოება. ასეთ შემთხვევაში, ხანდაზმულობის ვადის დენა შეჩერდება ბოლო ექვსი თვის დაწყებისთანავე.[3]

17 მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა თუ ექვს თვეზე ნაკლებია, უფლების დაცვის დამაბრკოლებელ გარემოებათა ამ ვადაში წარმოშობა ყოველთვის გამოიწვევს ხანდაზმულობის ვადის შეჩერებას. ასე მაგალითად, პარტნიორთა კრების, აგრეთვე სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებათა გასაჩივრებისთვის შესაბამისი ოქმის შედგენიდან 2 თვის ვადაა დადგენილი (მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 15 II მუხლი). ამ დროის განმავლობაში 132-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებათა წარმოშობა ან არსებობა ხანდაზმულობის ვადას აჩერებს.

IV. ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერების დამთავრება

18 ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერების ხანგრძლივობა დამოკიდებულია უფლების დაცვის დამაბრკოლებელ გარემოებათა არსებობის ხანგრძლივობაზე. ამ გარემოებათა შეწყვეტის დღიდან ხანდაზმულობის ვადა გაგრძელდება.

V. შეჩერებული ხანდაზმულობის ვადის დენის გაგრძელება

19 ხანდაზმულობის ვადის შემაჩერებელ გარემოებათა შეწყვეტის შემდეგ მოთხოვნის იძულებით დაცვის ვადა გაგრძელდება ექვს თვემდე, ექვს თვეზე ნაკლები ხანდაზმულობის ვადის შემთხვევაში – ხანდაზმულობის ვადამდე.

20 მაგალითად, თუ სამწლიანი ხანდაზმულობის ვადის დროს ვადის მიმდინარეობა შეჩერდა მისი დაწყებიდან ორი წლისა და რვა თვის გასვლის შემდეგ და შეჩერება გაგრძელდა ერთი თვე, ამ ერთი თვის გასვლის შემდეგ ხანდაზმულობის ვადა გაგრძელდება არა დარჩენილი ოთხი თვით, არამედ ექვსი თვით. თუ ხანდაზმულობის ვადა ხუთი თვეა და იგი შეჩერდა ერთი თვის გასვლის შემდეგ, იგი კვლავ ხუთი თვე იქნება, ე.ი. იმდენი, რამდენიცაა ხანდაზმულობის ვადა.[4]

3 *ახვლედიანი,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, 2002, მუხ. 136, გვ. 329.
4 იქვე. 136, გვ. 330.

მუხლი 137. ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა

ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ ვალდებული პირი უფლებამოსილი პირის წინაშე ავანსის, პროცენტის გადახდით, გარანტიის მიცემით ან სხვაგვარად აღიარებს მოთხოვნის არსებობას.

I. ზოგადი დებულებები, ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა და თავიდან დაწყება 759
II. აღიარება 759
1. სამართლებრივი ბუნება 759
2. ცალკეული შემთხვევები 761
3. მოთხოვნის სრულად და ნაწილობრივ აღიარება 761
4. მოვალის აღიარება უფლებამოსილი პირის წინაშე 761
III. შედეგი 762

I. ზოგადი დებულებები, ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა და თავიდან დაწყება

1 ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა და თავიდან დაწყება ის სამართლებრივი კატეგორიებია, რომლებიც ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. მაშინ, როდესაც 137-ე მუხლი განსაზღვრავს, თუ რა შემთხვევაში წყდება ხანდაზმულობის ვადის დენა, 141-ე მუხლი ადგენს აღნიშნული ვადის დენის შეწყვეტის შედეგს. კერძოდ, ვადის დენის შეწყვეტამდე გასული დრო მხედველობაში აღარ მიიღება და ვადის დენა დაიწყება თავიდან.[1] ვადის დენის შეწყვეტასთან მიმართებით ცენტრალური ადგილი უკავია ვალდებული პირის მიერ უფლებამოსილი პირის წინაშე მოთხოვნის არსებობის აღიარებას.

II. აღიარება

1. სამართლებრივი ბუნება

2 ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის მიზნებისათვის **აღიარება** წარმოადგენს უფლებამოსილი პირის წინაშე განხორციელებულ მოვალის **ფაქტობრივ ქმედებას**, რომლითაც არაორაზროვნად დასტურდება შესაბამისი მოთხოვნის არსებობის შესახებ მოვალის აღქმა.[2] გერმანიის სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, ყველა აღიარება შეიძლება არ იყოს გარიგება და იგი დაკვალიფიცირდეს, როგორც გარიგების მსგავსი აქტი, რომლის სამართლებრივი შედეგებიც მოვალის ნებისაგან დამოუკიდებლადაც შეიძლება დადგეს; აღიარების ნამდვილობისთვის საჭიროა პირის ქმედუნარიანობა.[3] თუმცა,

1 *ახვლედიანი,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, 2002, მუხ. 137, გვ. 330; *ბერეკაშვილი/თოდუა/ჩაჩავა/ძლიერიშვილი,* კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა სამოქალაქო სამართალში, 2015, გვ. 51; შდრ.: *Ellenberger,* in Palandt BGB Komm. 69. Aufl., § 312, Rn. 1.

2 *ახვლედიანი,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, 2002, მუხ. 137, გვ. 330; შდრ.: *Ellenberger,* in Palandt BGB Komm. 69. Aufl., § 312, Rn. 2.

3 *Ellenberger,* in Palandt BGB Komm. 69. Aufl., § 312, Rn. 2.

მეორე მხრივ, ნამდვილი გარიგება ან **ვალის არსებობის აღიარებაც** შეიძლება შეიცავდეს იმ **ფაქტობრივ ქმედებას,** რომლითაც წყდება ხანდაზმულობის ვადის დენა.[4]

3 ქართულ სასამართლო პრაქტიკაში 137-ე მუხლის მიზნებისათვის აღიარებასთან მიმართებით უფრო მეტი აქცენტი მოვალის ნებაზეა გადატანილი. კერძოდ, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე განმარტა, რომ „[...] 137-ე მუხლით დადგენილი ვალდებული პირის მიერ უფლებამოსილი პირის წინაშე მოთხოვნის არსებობის **სხვაგვარად აღიარება** შეფასებითი კატეგორიაა და კონკრეტულ შემთხვევაში გარემოებათა სრული ანალიზით უნდა შეფასდეს. მოვალის ასეთ ქმედებად – სხვაგვარად აღიარებად – უნდა ჩაითვალოს მოვალის ისეთი ქმედება, რომელშიც **აშკარად გამოკვეთილია პირის ნება** ვალდებულებების არსებობასთან მიმართებით.“[5]

იმავე მუხლთან მიმართებით სხვა საქმეზე სასამართლომ შემდეგი შეფასება გააკეთა: „[...] აღნიშნული ნორმით გათვალისწინებული მოთხოვნის „სხვაგვარ აღიარებად“ მხოლოდ მოვალის **ერთმნიშვნელოვანი და ნათლად გამოვლენილი ნება** ჩაითვლება, რომლის საფუძველზეც იგი პირდაპირ აღიარებს დავალიანების არსებობას. ნებიმისერი ეჭვი ან უზუსტობა მოვალის სასარგებლოდ უნდა იქნეს განმარტებული“.[6]

4 საქართველოს სასამართლო პრაქტიკიდან ჩანს, რომ უმეტეს შემთხვევაში მოვალის ნების შინაარსი განმსაზღვრელი რჩება. შესაბამისად, მოვალის მიერ მოთხოვნის არსებობის აღიარების კვალიფიკაციისას უპირველეს გზად 341-ე მუხლის რეგულაცია რჩება, რომელიც სპეციალურ მოწესრიგებას შეიცავს ვალის არსებობის აღიარებასთან დაკავშირებით (იხ. 341-ე მუხლის კომენტ.). თუმცა, აღნიშნული სასამართლო პრაქტიკა და შეფასება არ უნდა იქცეს განსახილველი საკითხის მოწესრიგების ერთადერთ გზად და ყოველი კონკრეტული გარემოებების არსებობისას ინდივიდუალურად უნდა შეფასდეს, თუ რამდენად მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს მოვალის ნების შინაარსი, მაშინ, როდესაც გარეგნული მახასიათებლებით მოვალის მიერ გახორციელებული გარიგების მსგავსი ქმედება აშკარად უფლებამოსილი პირის მიმართ გაკეთებული მოთხოვნის არსებობის აღიარებით ქმედებად უნდა შეფასდეს. უფრო მეტიც, იმავე გერმანიის სასამართლო პრაქტიკის შესაბამისად, ნების ნაკლთან დაკავშირებული ნორმები არ გამოიყენება მოვალის მიერ განხორციელებული აღიარებისადმი მისი ნებელობითი დამოკიდებულების განსასაზღვრად.[7]

5 განსახილველ საკითხთან მიმართებით მსჯელობის განვითარებისას გერმანული სამართლის დოქტრინისა და სასამართლო პრაქტიკის განხილვა

4 Brem OLGZ 71, 53.

5 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2006 წლის 19 დეკემბრის №ას-330-733-06 გადაწყვეტილება; *ნაჭყებია,* სამოქალაქო-სამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში, 2014, გვ. 53.

6 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2010 წლის 1 დეკემბრის №ას-599-562-2010 გადაწყვეტილება; *ნაჭყებია,* სამოქალაქო-სამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში, 2014, გვ. 54.

7 RG HRR 30, 96.

შემთხვევითი არ არის, რამდენადაც, 137-ე მუხლისა და გსკ-ის § 212-ის დისპოზიცია თითქმის იდენტურია და ნორმის მიღმა შინაარსობრივი საწყისების შეფასებისას საკმაოდ შედეგიანად შეიძლება ქართული სამართლის ერთგვარი პირველადი წყაროს განხილვა-მოშველიება ისევ და ისევ ქართული სამართლის თვითმყოფადი განვითარებისათვის.

2. ცალკეული შემთხვევები

137-ე მუხლი პირდაპირ ჩამოთვლის ვალდებულების არსებობის აღიარების კონკრეტულ ფორმებს. კერძოდ, ესენია: აღიარება **ავანსის, პროცენტის გადახდითა** და **გარანტიის მიცემით.** გარდა ამისა, კანონმდებელი საკმაოდ მოქნილ რეგულაციას სთავაზობს, რამდენადაც აღნიშნული ჩამონათვალი არ არის ამომწურავი ხასიათის და შესაძლებელია, რომ ვალდებულმა პირმა ვალდებულების არსებობის **„სხვაგვარად აღიარებაც“** განახორციელოს. თავად „სხვაგვარად აღიარების“ კვალიფიკაციასთან დაკავშირებით, როგორც ზემოთ აღინიშნა, სასამართლო პრაქტიკა მკაფიოდ მიუთითებს, რომ ყოველი აღიარება ინდივიდუალური შეფასების საგანს წარმოადგენს შესაბამისი გარემოებების გათვალისწინებით. **6**

3. მოთხოვნის სრულად და ნაწილობრივ აღიარება

აღიარება შეიძლება განხორციელდეს როგორც სრულად, მთელ ვალდებულებასთან მიმართებით, ასევე ვალდებულების მხოლოდ ცალკეულ ნაწილ(ებ)ზე. ეს ორი ტიპის აღიარება შეიძლება განსხვავებული სამართლებრივი შედეგების მომტანი იყოს. კერძოდ, ვალდებულების სრულად აღიარებისას, ლოგიკურია, რომ ხანდაზმულობის ვადის დენა უნდა შეწყდეს და მისი თავიდან დაწყება/ათვლა უნდა მოხდეს მთლიან ვალდებულებასთან მიმართებით. მაგრამ, რაც შეეხება ვალდებულების მხოლოდ ცალკეული ნაწილის არსებობის არიარებას, აქ ლოგიკური იქნება, რომ აღიარებას შედეგად მოჰყვეს ვალდებულების მხოლოდ იმ ნაწილის ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა და მისი ათვლის ახლიდან დაწყება, რომელი ნაწილის არსებობის აღიარებაზეც იყო ვალდებული პირის აღიარება მიმართული. რაც შეეხება ვალდებულების მეორე ნაწილს, რომლის არსებობის აღიარებაც არ მომხდარა, მისი ხანდაზმულობის ვადის დენა არ უნდა იქნეს განხილული შეწყვეტილად და მაშასადამე, არც ვადა არ უნდა დაიწყოს თავიდან. **7**

4. მოვალის აღიარება უფლებამოსილი პირის წინაშე

137-ე მუხლის თანახმად აუცილებელია, რომ აღიარება მოხდეს ვალდებული პირის მიერ უფლებამოსილი პირის წინაშე. საქართველოს სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე განმარტა, რომ 137-ე მუხლით ვალდებული პირის აღიარება უნდა განხორციელდეს უშუალოდ უფლებამოსილი პირის და არა სხვა სუბიექტის წინაშე. მოცემულ შემთხვევაში, წერილის ადრესატს **8**

არ წარმოადგენს შპს [...]; სააპელაციო სასამართლომ ასევე არ იმსჯელა, აღნიშნული დოკუმენტი გამოხატავს მხოლოდ ფაქტის აღიარებას თუ ვალდებულების აღიარებას. ამასთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სამოქალაქო კოდექსის როგორც 137-ე, ისე 144-ე მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრული სამართლებრივი შედეგი უკავშირდება მოვალის მიერ ვალდებულების **აღიარებას, სადაც მოვალე გამოხატავს ნებას,** იძლევა დაპირებას ვალდებულების შესრულების თაობაზე და **არა ფაქტის აღიარებას,** სადაც მოვალე ახდენს მარტოოდენ ვალდებულების ფაქტის კონსტატაციას.[8]

9 მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, უნდა ითქვას, რომ როგორც ვალდებულ პირს, ასევე უფლებამოსილ პირს შეუძლია თავისი უფლებამოსილი წარმომადგენლის მეშვეობით განახორციელოს როგორც ვალდებულების აღიარების არსებობის (ვალდებული პირის შემთხვევაში), ასევე შესაბამისი აღიარების მიღებაც (უფლებამოსილი პირის შემთხვევაში). უბრალოდ, გასათვალისწინებელია, რომ ვალდებული და უფლებამოსილი პირის უფლებამოსილი წარმომადგენლები სათანადო ფორმის დაცვით იქნენ შესაბამისი უფლებებით აღჭურვილნი და ვალდებულებებით დავალებულნი.

III. შედეგი

10 ხანდაზმულობის ვადის დენის აღიარების საფუძველზე შეწყვეტის შემდეგ ახლიდან იწყება ვალდებულების ხანდაზმულობის ვადის დენა (137-141). კერძოდ, აღიარების ნამდვილი ფორმით განხორციელების მეორე დღიდან იწყება ხანდაზმულობის ვადის დენის ახლიდან ათვლა (122). აღიარების შედეგის დასადგომად მნიშვნელოვანია აღიარების განხორციელების დრო და არა მისი უფლებომისილი პირის მიერ მიღების დრო.

8 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2010 წლის 9 ნოემბრის №ას-374-347-2010 გადაწყვეტილება; *ნაჭყებია*, სამოქალაქო-სამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში, 2014, გვ. 54.

მუხლი 138. ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა სარჩელის შეტანით

ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ უფლებამოსილი პირი შეიტანს სარჩელს მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ან მის დასადგენად, ანდა შეეცდება დაიკმაყოფილოს მოთხოვნა სხვა საშუალებით, როგორიცაა სახელმწიფო ორგანოსათვის ან სასამართლოში განცხადებით მიმართვა მოთხოვნის არსებობის შესახებ, ანდა აღმასრულებელი მოქმედების განხორციელება. შესაბამისად გამოიყენება 139-ე და 140-ე მუხლები.

I. წინაპირობები 763
II. სარჩელი უცხო ქვეყნის სასამართლოში ან კერძო არბიტრაჟში 764
III. შედეგები 765

I. წინაპირობები

138-ე მუხლი განსაზღვრავს იმ კონკრეტულ სამართლებრივ მექანიზმებს/ საშუალებებს, რომელთა უფლებამოსილი პირის მიერ სათანადო ფორმით გამოყენების შემთხვევაშიც წყდება ხანდაზმულობის ვადის დენა. კერძოდ, აღნიშნული საშუალებებია: **1**

- სარჩელის შეტანა მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ან მის დასადგენად (სარჩელის შეტანა ყოველთვის არ იწვევს ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტას (იხ. 140-ე მუხლი));
- განცხადებით მიმართვა სახელმწიფო ორგანოსათვის ან სასამართლოში მოთხოვნის არსებობის შესახებ;
- აღმასრულებელი მოქმედების განხორციელება.

მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს აღნიშნული სამართლებრივი საშუალებების უფლებამოსილი პირის მიერ გამოყენება.

ერთ-ერთ საქმეზე სასამართლომ განმარტა,[1] რომ „მითითებული მუხლი ადგენს ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტას იმ შემთხვევაში, როდესაც მხარე საკუთარი მოთხოვნის დაცვის ნებას ავლენს და გარკვეულ ღონისძიებებს მიმართავს დარღვეული უფლების აღსადგენად. ამასთან, აღნიშნული ნორმის საფუძველზე ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტისათვის აუცილებელია, რომ მხარის მიერ არჩეული საშუალება ვარგისი იყოს შესაბამისი შედეგის მისაღწევად. ხანდაზმულობის ვადის დენას უფლებამოსილი პირის მხოლოდ ისეთი სარჩელი (განცხადება) წყვეტს, რომელსაც სასამართლო წარმოებაში მიიღებს. სხვა სახელმწიფო ორგანოსათვის მიმართვისას აუცილებელია, რომ აღნიშნული ორგანო კომპეტენტური იყოს, ანუ სადავო-სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგება ამ ორგანოსადმი მიმართვის გზით უნდა შეიძლებოდეს. თითოეულმა მხარემ თავად უნდა შეარჩიოს საკუთარი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად სწორი და ეფექტური საშუალება, ამ პირობის **2**

1 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2015 წლის 4 დეკემბრის №ას-960-909-2015 გადაწყვეტილება; *ნაჭყებია,* სამოქალაქო-სამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში, 2014, გვ. 54.

დარღვევით გამოწვეული შედეგები კი, თავად მხარის რისკია.

საკასაციო პალატამ ერთ-ერთ საქმეზე ასევე განმარტავს, რომ „[...] 138-ე მუხლით გათვალისწინებული იურიდიული მოქმედებებიდან ერთ-ერთის განხორციელებას მხოლოდ მაშინ მოჰყვება ამავე ნორმაში მითითებული სამართლებრივი შედეგი, ვიდრე ხანდაზმულობის ვადა გასული არ არის, წინააღმდეგ შემთხვევაში, გასული ვადის დენის შეწყვეტაზე საუბარი მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს. ამასთანავე, ნორმით განსაზღვრული შედეგის მიღწევისათვის მნიშვნელოვანია, კრედიტორმა მიმართოს უფლებამოსილ პირს“.[2]

3 გარდა ზემოაღნიშნული საშუალებებისა, უფლებამოსილ პირს შეუძლია განახორციელოს აღმასრულებელი მოქმედებები, როდესაც აღნიშნული პირი თავად აღასრულებს თავის მოთხოვნას.[3]

4 სასამართლო პრაქტიკით ნათლად ჩანს, რომ 138-ე მუხლის საფუძველზე ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა შესაბამისი უწყებისთვის მიმართვის გზით შესაძლებელია შემდეგი წინაპირობების არსებობისას:

- სამართლებრივი საშუალების გამოყენება უნდა მოხდეს უფლებამოსილი პირის მიერ ვალდებული პირის მიმართ;
- უფლებამოსილი პირის მიერ არჩეული საშუალება ვარგისი უნდა იყოს შესაბამისი შედეგის მისაღწევად. კერძოდ, არჩეული საშუალებით მიმართვა უნდა განხორციელდეს ისეთ უწყებაში, რომელიც კომპეტენტურია განსახილველ საკითხზე რეაგირების მოსახდენად და არ წარმოადგენს არასათანადო უწყებას.

5 იმ შემთხვევაში, თუ ხდება აღმასრულებელი მოქმედების განხორციელება უფლებამოსილი პირის მიერ, მაშინ მნიშვნელოვანია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შესაბამი გარემოებების გათვალისწინება და შეფასება თუ რამდენად საკმარისია ესა თუ ის მოქმედება, რათა ხანდაზმულობის ვადის დენა მიჩნეულ იქნეს შეწყვეტილად.

6 ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის ხანგრძლივობა და სარჩელზე უარის შედეგები 138-ე მუხლის მიზნებისათვის განისაზღვრება 139-140-ე მუხლებით.

II. სარჩელი უცხო ქვეყნის სასამართლოში ან კერძო არბიტრაჟში

7 მართალია, 138-ე მუხლი უთითებს სასამართლოსთვის სარჩელით ან განცხადებით მიმართვაზე, თუმცა აღნიშნული მუხლის შედეგები ასევე მაშინაც უნდა დადგეს, როდესაც შესაბამისი უფლებამოსილი პირი სასამართლოს ნაცვლად სარჩელით მიმართავს სათანადო განსჯადობის მქონე კერძო არბიტრაჟს.[4]

2 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2015 წლის 4 დეკემბრის №ას-960-909-2015 გადაწყვეტილება; *ნაჭყებია,* სამოქალაქო-სამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში, 2014, გვ. 54.

3 *ახვლედიანი,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, 2002, მუხ. 138, გვ. 332.

4 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2012 წლის 22 აპრილი №ას-1586-1489-2012 გადაწყვეტილება.

138-ე მუხლის სამართლებრივი შედეგი ასევე დგება უცხო ქვეყნის განსჯადი/საერთაშორისო კომპეტენციის მქონე სასამართლოში[5] სარჩელის შეტანისას, იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის ან შესაბამისი საერთაშორისო მრავალმხრივი ან ორმხრივი ხელშეკრულების შესაბამისად უცხო ქვეყნის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ცნობაუნარიანი და შესაბამისად, აღსრულებადი იქნება საქართველოში.[6] **8**

III. შედეგები

ხანდაზმულობის ვადის დენის განხილული სამართლებრივი საშუალებებით შეწყვეტისას ახლიდან იწყება ვალდებულების ხანდაზმულობის ვადის დენა (137-141). კერძოდ, სამართლებრივი საშუალების ნამდვილი ფორმით განხორციელების მეორე დღიდან იწყება ხანდაზმულობის ვადის დენის ახლიდან ათვლა (122). **9**

5 დამატებით ლიტერატურაზე მითითებით სასამართლოთა საერთაშორისო კომპეტენციის თაობაზე იხ. *სვანაძე,* საერთაშორის ბიზნეს-ხელშეკრულებების მოლაპარაკება და შედგენა საერთაშორისო ნასყიდობის სამართლის მაგალითზე, ბიზნეს-სამართლის მიმოხილვა, IV გამოცემა, 2015, გვ. 79.

6 დამატებით ლიტერატურაზე მითითებით უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების თაობაზე იხ. *Svanadze,* Grundlagen des deutsch-georgischen Anerkennungsrechts, Eine rechtsvergleichende Analyse, 2014.

მუხლი 139. ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის ხანგრძლივობა

1. ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა სარჩელის შეტანის საფუძველზე გრძელდება მანამ, სანამ სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება არ შევა კანონიერ ძალაში, ან პროცესი სხვაგვარად არ დასრულდება.

2. თუ მხარეთა შეთანხმების შედეგად ან შემდგომი გაგრძელების შეუძლებლობის გამო პროცესი შეწყდება, მაშინ ხანდაზმულობის ვადის დენა შეწყდება მხარეთა ან სასამართლოს ბოლო საპროცესო მოქმედების დამთავრებასთან ერთად. თუ ერთ-ერთი მხარე პროცესს კვლავ განაგრძობს, შეწყვეტის შემდეგ დაწყებული ხანდაზმულობის ახალი ვადა ისევე შეწყდება, როგორც წყდება ხანდაზმულობის ვადის დენა სარჩელის შეტანით.

I. ზოგადი დებულებები 766
II. სარჩელის შეტანა და მისი შედეგები 766
III. კავშირი პროცესთან 767
IV. პროცესის შეწყვეტა (139 II მუხლი) 768

I. ზოგადი დებულებები

1 139-ე მუხლი განსაზღვრავს დროის იმ მონაკვეთს, რომლის განმავლობაშიც გრძელდება ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა სარჩელის შეტანისას. კერძოდ, 139 I მუხლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის დენა შეწყვეტილია სარჩელის შეტანის მომენტიდან სასამართლოს კანონიერ ძალაში შესვლამდე ან პროცესის სხვაგვარად დასრულებამდე.

2 ნიშანდობლივია, რომ 139 I მუხლი სარჩელის შეტანასა და ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტას ერთმანეთს უკავშირებს. სარჩელის შეტანით კი უფლებამოსილი პირი არაორაზროვან აქცენტს უნდა აკეთებდეს იმაზე, რომ მას სურს სასარჩელო წარმოების გზით საკუთარი უფლებების განხორციელება ხანდაზმულობის ვადის ფარგლებში. უფრო მეტიც, შესაძლოა, სასამართლომ ყურადღება ასევე ისეთ გარემოებებზეც გაამახვილოს, როდესაც აშკარაა, რომ მოსარჩელეს ცალსახად არ აქვს იურიდიული ინტერესი სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანასთან დაკავშირებით და მას მხოლოდ სარჩელის შეტანით ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა სურს.[1] ასეთ შემთხვევაში, შესაძლოა იმაზე ფიქრიც, რომ ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა მსგავსი განზრახვით შეტანილ სარჩელს შედეგად არ უნდა მოჰყვეს.

II. სარჩელის შეტანა და მისი შედეგები

3 138-ე და 139 I მუხლის მიზნებისათვის მნიშვნელოვანია იმ მომენტის განსაზღვრა, როდიდანაც შეიძლება მიჩნეულ იქნეს სარჩელი შეტანილად. სააპელაციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე განმარტა, რომ „[...] ხან-

1 გერმანულ სამართალში შდრ. MüKo/*Grothe,* § 204, Rn. 3.

დაზმულობას წყვეტს უფლებამოსილი პირის მხოლოდ ისეთი განცხადება, რომელსაც სასამართლო წარმოებაში მიიღებს, ხოლო, თუ სასამართლო უფლებამოსილი პირის განცხადებას ან სარჩელს არ მიიღებს, ხანდაზმულობის ვადის დენა არ შეწყდება. სარჩელის განუხილველად დატოვებისას ან საქმისწარმოების შეწყვეტისას კი იმავე სარჩელის ექვსი თვის ვადაში წარდგენის შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადა შეწყვეტილად ითვლება პირველი სარჩელის წარდგენის დროიდან. ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა ნიშნავს, რომ შეწყვეტამდე განვლილი დრო ხანდაზმულობის ვადაში არ ჩაითვლება და ვადის ათვლა თავიდან დაიწყება.“[2]

გამოდის, რომ სარჩელი 139-ე მუხლის მიზნებისათვის შეტანილად ჩაითვლება მას შემდეგ, რაც სასამართლო მას საქართველოს სამოქალაქო-საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად მიიღებს წარმოებაში.

139-ე მუხლის თანახმად, სარჩელის წარმოებაში მიღების მომენტიდან სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე ან პროცესის სხვაგვარად დასრულებამდე გრძელდება ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა. 139 I მუხლის ჩანაწერი შეიძლება ისე იქნეს აღქმული, რომ თითქოს იგი ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერებას შეეხება და არა შეწყვეტას. მაგრამ აღნიშნული მუხლი, განსხვავებით მისი მსგავსი გერმანული რეგულაციისაგან (შესაბამისი რეფორმის შემდეგ),[3] ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტას შეეხება და არა შეჩერებას. **4**

III. კავშირი პროცესთან

ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის ხანგრძლივობა დამოკიდებულია კონკრეტულ საპროცესო-სამართლებრივ შედეგებზე. კერძოდ, ვადის დენის შეწყვეტა გრძელდება (ა) **სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე ან (ბ) პროცესის სხვაგვარად დასრულებამდე.** **5**

(ა) სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერი ძალის ქვეშ იგულისხმება მისი ფორმალური კანონიერი ძალა. კერძოდ, გადაწყვეტილების ის თვისება, რომლის ძალითაც იგი აღარ შეიძლება გასაჩივრდეს, ხოლო მხარეთა შორის არსებული დავა კი ითვლება გადაჭრილად.[4] აღნიშნული საკითხი მოწესრიგებულია საქართველოს სამოქალაქო-საპროცესო კოდექსის 264-ე მუხლში. **6**

(ბ) პროცესის სხვაგვარად დასრულების ქვეშ, უპირატესად, საგულისხმოა საქართველოს სამოქალაქო-საპროცესო კოდექსის XXIX თავით განსაზღვრული გადაყვეტილების გამოტანის გარეშე საქმისწარმოების დამთავრების შემთხვევები, როგორიც არის **საქმისწარმოების შეწყვეტა** (სსსკ-ის მუხლი 272) და **სარჩელის განუხილველად დატოვება** (სსსკ-ის მუხლი 275-ე). თუმცა, **7**

2 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2015 წლის 4 დეკემბრის №ას-493-467-2015 გადაწყვეტილება; *ნაჭყებია,* სამოქალაქო-სამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში, 2014, გვ. 54.

3 იხ. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის §204.

4 *ლილუაშვილი,* სამოქალაქო პროცესუალური სამართალი, 2015, გვ. 273, 274.

მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ საქმისწარმოების ყველა სახის შეწყვეტა და სარჩელის განუხილველად დატოვება არ იწვევს ხანდაზმულობის ვადის დენის სარჩელის შეტანის გზით შეწყვეტას (იხ. 140 I).

IV. პროცესის შეწყვეტა (139 II მუხლი)

8 აღნიშნული მუხლის თანახმად, თუ მხარეები მიაღწევენ შეთანხმებას პროცესის შეწყვეტის შესახებ ან თუ პროცესი მისი შემდგომი გაგრძელების შეუძლებლობის გამო შეწყდება, მაშინ ხანდაზმულობის ვადის დენაც წყდება მხარეთა ან სასამართლოს ბოლო საპროცესო მოქმედების დასრულებასთან ერთად. მსგავსი ფორმით შეწყვეტილი ხანდაზმულობის ვადის ახლიდან ათვლა დაიწყება მხარეთა ან სასამართლოს ბოლო საპროცესო მოქმედების დასრულებასთან ერთად. ხოლო ასეთი ფორმით ახლიდან ათვლილი ხანდაზმულობის ვადის დენა ისევ შეწყდება, თუ ერთ-ერთი მხარე პროცესს კვლავ განაგრძობს.

მუხლი 140. უარი სარჩელზე

1. სარჩელის შეტანა ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტას არ გამოიწვევს, თუ მოსარჩელე უარს იტყვის სარჩელზე, ან სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით სარჩელი განუხილველად იქნება დატოვებული.

2. თუ უფლებამოსილი პირი ექვსი თვის ვადაში შეიტანს ახალ სარჩელს, მაშინ ხანდაზმულობის ვადა შეწყვეტილად ითვლება პირველი სარჩელის შეტანის დროიდან.

I. ზოგადი დებულებები

140-ე მუხლი განსაზღვრავს იმ შემთხვევებს, როდესაც სარჩელის შეტანა, მიუხედავად 139-ე მუხლის დანაწესისა, არ იწვევს ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტას და ვადა საერთო წესით განაგრძობს დენას. აღნიშნულ შემთხვევებს განეკუთვნება: **1**

(ა) მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმა და
(ბ) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით სარჩელის განუხილველად დატოვება.

II. კავშირი პროცესთან

(ა) **სარჩელზე უარის თქმა** საქართველოს სამოქალაქო-საპროცესო კოდექსის (შემდგომში სსსკ) 272 I (გ) მუხლის მიხედვით წარმოადგენს საქმისწარმოების შეწყვეტის ერთ-ერთ საფუძველს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სსსკ-ს 273 II მუხლის თანახმად, საქმისწარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება. შესაბამისად, 140 II მუხლის მიზნებისათვის ახალი სარჩელის შეტანისას გასათვალისწინებელია, რომ სასამართლოსადმი მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით თუ მოხდება, მაშინ 140 II მუხლის შედეგები ვერ დადგება. **2**

140-ე მუხლი სარჩელზე უარის თქმაზე აკეთებს აქცენტს, მაგრამ 140-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი ასევე უნდა დადგეს მაშინაც, როდესაც მოსარჩელის მიერ ხდება სარჩელის გამოხმობა სსსკ-ს 831-ე მუხლის საფუძველზე. ერთ-ერთ საქმეზე სასამართლომ ისიც განმარტა, რომ „[...] მართალია, სამოქალაქო კოდექსის 140-ე მუხლში მითითებულია სარჩელის განუხილველად დატოვების და არა საქმის განხილვის შეწყვეტის თაობაზე, მაგრამ საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ნორმა განმარტებულ უნდა იქნეს მისი დანიშნულების გათვალისწინებით და არა გამოყენებული ტერმინების სიტყვასიტყვითი მნიშვნელობიდან გამომდინარე. [140-ე მუხლით განსაზღვრული სამართლებრივი შედეგი მაშინაც დგება სახეზე, როდესაც ადგილი აქვს] სარჩელის მიღებაზე უარის თქმას, [და არა სარჩელის განუხ-

ილველად დატოვებას და აღნიშნული] არ შეიძლება გახდეს სასამართლოს მიერ მითითებული ნორმის გამოყენებაზე უარის თქმის საფუძველი“.[1]

3 (ბ) **სარჩელის განუხილველად დატოვების** სამართლებრივი საფუძვლები მოცემულია სსსკ-ის 275-ე მუხლში. სარჩელის განუხილველად დატოვების სამართლებრივ შედეგთან დაკავშირებით ხანდაზმულობის მატერიალურ-სამართლებრივი და პროცესუალურ-სამართლებრივი რეგულირება ერთმანეთს ემთხვევა. კერძოდ, 140-ე მუხლის მსგავსად, სსსკ-ის 277-ე მუხლის თანახმადაც, სარჩელის (განცხადების) განუხილველად დატოვების შემთხვევაში სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა არ შეწყდება.

III. ახალი სარჩელის შეტანა (140 II მუხლი)

4 140 II მუხლი იძლევა საშუალებას, რომ ახალი სარჩელის შეტანის შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადის დენა შეწყდეს. კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ სარჩელის შეტანა ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტას არ გამოიწვევს და შესაბამისად, ვადა საერთო წესით განაგრძობს დენას (140 I), რადგანაც უარი ითქვა სარჩელზე ან განუხილველად იქნა დატოვებული, მაშინ აღნიშნული მომენტიდან 6 თვის ვადაში შეტანილი ახალი სარჩელის საფუძველზე ხანდაზმულობის ვადა შეწყვეტილად ჩაითვლება პირველი სარჩელის შეტანის დროიდან.

5 საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ „[...] საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად, პირველი ინსტანციის სასამართლოში სარჩელის რეგისტრაციაზე უარის თქმის ან განუხილველად დატოვების შემთხვევაში, პირს შეუზღუდავად შეუძლია ახალი სარჩელის აღძვრა, თუ აღმოიფხვრება სარჩელის წარმოებაში მიღების დამაბრკოლებელი გარემოებები. სწორედ ასეთი შემთხვევისათვის ადგენს სამოქალაქო კოდექსის 140-ე მუხლი, რომ სარჩელის განუხილველად დატოვების შემთხვევაში, ხანდაზმულობის ვადის დენა არ შეწყდება, მაგრამ, თუ პირი განუხილველად დატოვებიდან 6 თვის განმავლობაში აღძრავს ახალ სარჩელს, რომელსაც სასამართლო წარმოებაში მიიღებს და განიხილავს, ხანდაზმულობის ვადა შეწყვეტილად ითვლება პირველი სარჩელის წარდგენის მომენტიდან. სამოქალაქო-საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის მიხედვით, სასამართლო სარჩელს არ მიიღებს წარმოებაში, თუ ეს საქმე ამ სასამართლოს განსჯადი არ არის. სარჩელის განუხილველად დატოვებიდან 6 თვის ვადაში განსჯადი სასამართლოსადმი მიმართვის შემთხვევაში, ხანდაზმულობის ვადა შეწყვეტილად პირველი სარჩელის წარდგენიდან ითვლება. იმავე კოდექსის 187-ე მუხლის მიხედვით კი, სარჩელის განუხილველად დატოვება წარმოებაში მიღების შემდეგადაც დაიშვება, თუ შესაბამისი საფუძველი მოგვიანებით გამოვლინდა.“[2]

1 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2013 წლის 22 აპრილის №ას-1586-1489-2012 გადაწყვეტილება.

2 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2013 წლის 22 აპრილის №ას-1586-1489-2012 გადაწყვეტილება.

მუხლი 141. ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყების ათვლა თავიდან თუ შეწყდება ხანდაზმულობის ვადის დენა, მაშინ შეწყვეტამდე განვლილი დრო მხედველობაში არ მიიღება და ვადა დაიწყება თავიდან.

ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტას განსაკუთრებული გავლენა აქვს მისი დენის შეწვეტამდე განვლილ დროსთან მიმართებით. კერძოდ, შეწყვეტამდე განვლილი დრო მხედველობაში არ მიიღება და ვადის ათვლა თავიდან იწყება. 1

ერთ-ერთ საქმეზე „სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ განხილული სასარჩელო მოთხოვნები ხანდაზმული არ არის, რადგან 2010 წლის 28 მაისს შესრულებული გადახდით (2250 ლარი), რომლითაც ნაწილობრივ ანაზღაურდა დასაქმებულის წინაშე არსებული ვალდებულება, სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის დენა შეწყდა, რადგან ვალდებულმა პირმა უფლებამოსილი პირის წინაშე მთლიანი დავალიანების ნაწილის გადახდით აღიარა დასაქმებულის მოთხოვნის არსებობა დავალიანების დანარჩენი ნაწილისადმი. შესაბამისად, ამავე კოდექსის 141-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის (რომელიც, იმავე კოდექსის 129-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, შეადგენს 3 წელს, როგორც პერიოდულად შესასრულებელ სახელშეკრულებო ვალდებულებაზე) დენა დაიწყო თავიდან.[1]

სხვა საქმეზე სასამართლომ შემდეგი განმარტება გააკეთა: „ზემომითითებული გარემოებები, სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლის შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის საფუძველს წარმოადგენს. ამავე კოდექსის 141-ე მუხლის თანახმად, თუ შეწყდა ხანდაზმულობის ვადის დენა, მაშინ შეწყვეტამდე განვლილი დრო მხედველობაში არ მიიღება და ვადის დენა იწყება თავიდან. აქედან გამომდინარე, შპს „[X]-ის“ მიერ განხორციელებული გადახდების პერიოდულობა 3 წელზე ნაკლებია. შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადის ათვლა უნდა დაიწყოს ბოლო გადახდიდან და ვინაიდან, ამ დროიდან სარჩელის წარდგენამდე არ გასულა 3 წელი, სააპელაციო სასამართლოს [...] სარჩელი სრულად უნდა დაეკმაყოფილებინა.[2]

1 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2014 წლის 6 თებერვლის №ას-1196-1138-2014 გადაწყვეტილება.

2 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2014 წლის 8 მაისის №ას-167-157-2014 გადაწყვეტილება.

მუხლი 142. სასამართლოს გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა

1. სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადაა ათი წელი მაშინაც კი, როცა ეს მოთხოვნა უფრო ნაკლებ ხანდაზმულობას ექვემდებარება.

2. თუ დადასტურება შეეხება პერიოდულად განმეორებად მოქმედებებს, რომლებიც მომავალში უნდა შესრულდეს, მაშინ მათ მიმართ გამოიყენება 129-ე მუხლის მეორე ნაწილით დადგენილი ხანდაზმულობა.

I. სასამართლოს გადაწყვეტილებით დადასტურებული ხანდაზმულობა (მუხლი 142 I)

1 იმ შემთხვევაში, როდესაც მოთხოვნის დადასტურება ხდება სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, მაშინ ასეთი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა 10 წელს შეადგენს მაშინაც კი, თუ ეს მოთხოვნა უფრო ნაკლებ ხანდაზმულობას ექვემდებარება. მაგალითად, თუ სახელშეკრულებო მოთხოვნის თაობაზე დავა დასრულდა სასამართლოს საბოლოო კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, რომლითაც დადასტურდა აღნიშნული მოთხოვნა, მაშინ ამ მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა იქნება 10 წელი, ნაცვლად სამი (სახელშეკრულებო მოთხოვნა, რომელიც არ არის უძრავ ნივთებთან დაკავშირებით (129 I)) ან ექვსი (უძრავ ნივთებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო მოთხოვნის შემთხვევაში (129 I)) წლისა.[1]

შეიძლება ითქვას, რომ იმ შემთხვევაში, თუ მხარეთა შორის დავა შეეხება სახელშეკრულებო მოთხოვნას, რომელზეც ვრცელდება სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა და დავა თუ დასრულდება მხარეთა მიერ სასამართლოში მიღწეული მორიგებით (სსსკ-ს 272 (დ)), მაშინ სასამართლოს მიერ სსსკ-ის 208 I მუხლის საფუძველზე გამოტანილი განჩინება საქმისწარმოების შეწყვეტის შესახებ უნდა გაუტოლდეს 142-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნის ხანდაზმულობის დამადასტურებელ გადაწყვეტილებას. საქმის-წარმოების მორიგების საფუძველზე შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება (სსსკ-ის 273 II მუხლი). რაც შეეხება ხანდაზმულობის ვადას, ასეთ შემთხვევაში სასამართლოს მიერ დამტკიცებული მორიგების პირობების საფუძველზე წარმოშობილ მოთხოვნათა მიმართ იმოქმედებს 142-ე მუხლით გათვალისწინებული 10-წლიანი ხანდაზმულობის ვადა, ნაცვლად 129 I მუხლით გათვალისწინებული სამწლიანი ხანდაზმულობის ვადისა.

2 სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე 142-ე მუხლთან დაკავშირებით შემდეგი სახის განმარტება გააკეთა: „[...] მოცემული მუხლით გათვალისწინებული ათწლიანი ვადა უკვე აღიარებული, მინიჭებული უფლების რეალიზაციის ვადაა. აღნიშნული ნორმის შესაბამისად, პირს, ვის სასარგებლოდაც მიღებულია გადაწყვეტილება, შეუძლია, მოითხოვოს მისი აღსრულება კანონიერ

1 *ახვლედიანი,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, 2002, მუხ. 142, გვ. 335, 336.

ძალაში შესვლის დღიდან 10 წლის განმავლობაში, რაც შეიძლება გამოიხატოს სააღსრულებო ფურცლის გაცემის, იძულებით აღსრულების მოთხოვნით და ა.შ.“[2]

კანონიერ ძალაში შესული უცხო ქვეყნის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება 142 I მუხლის მიზნებისათვის უნდა გაუტოლდეს საქართველოს სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, იმ შემთხვევაში, თუ უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილება საქართველოში ცნობაუნარიანი იქნება.[3] **3**

მართალია, 142 I ცალსახად უთითებს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებაზე, თუმცა აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული შედეგი ასევე უნდა გავრცელდეს კანონიერ ძალაში შესულ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებზეც როგორც საქართველოს ფარგლებს გარეთ გამოტანილ საერთაშორისო, ასევე ადგილობრივ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებზეც. **4**

II. პერიოდულად განმეორებადი მოქმედებების დადასტურება (მუხლი 142 II)

სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა მოქმედებს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადასტურებულ ისეთ მოთხოვნებზე, რომელიც შეეხება პარალელურად განმეორებად მოქმედებებს (პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან წარმოშობილ მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადების თაობაზე იხ. 129-ე მუხლის კომენტარი). **5**

2 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2014 წლის 6 თებერვლის №ას-1196-1138-2014 გადაწყვეტილება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 14 მაისის №ას-431-409-2012 განჩინება.

3 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2015 წლის 30 ივლისის №ა-1639-შ-37-2015 გადაწყვეტილება, საქმე №010222215950849; დამატებით ლიტერატურაზე მითითებით უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების თაობაზე იხ. *Svanadze,* Grundlagen des deutsch-georgischen Anerkennungsrechts, Eine rechtsvergleichende Analyse, 2004; *Svanadze,* in: Beiträge und Informationen zum Recht im postsowjetischen Raum.

მუხლი 143. ხანდაზმულობის ვადა სანივთო მოთხოვნათა მიმართ

თუ ნივთი, რომლის მიმართაც არსებობს სანივთო მოთხოვნა, უფლებამონაცვლეობის გზით მესამე პირის მფლობელობაში აღმოჩნდება, მაშინ უფლებრივი წინამორბედის მფლობელობაში გასული ხანდაზმულობის ვადა გამოიყენება აგრეთვე უფლებამონაცვლის მიმართაც.

1 მესამე პირი უფლებამონაცვლეობის გზით შეიძლება გახდეს იმ ნივთის მფლობელი, რომელზედაც სხვა პირს გააჩნია სანივთო მოთხოვნა.[1] უფლებამონაცვლებასთან დაკავშირებით საქართველოს სამოქალაქო კოდექსი სპეციალურ რეგულირებებს შეიცავს 241-ე (**უფლებამონაცვლეობა** აღნაგობის უფლების შეწყვეტისას), 572-ე (**უფლებამონაცვლეობა** გაქირავებული ნივთის გასხვისებისა), 958-ე და 1512-ე (ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობის [**უფლებამონაცვლეობა** საბინაო-სამშენებლო კოოპერატივებთან მიმართებით]) მუხლები.

2 143-ე მუხლის თანახმად, სანივთო მოთხოვნასთან დაკავშირებულ ურთიერთობებში მოვალის ცვლილებას არანაირი გავლენა არ აქვს უკვე დაწყებული ხანდაზმულობის ვადის დენასთან მიმართებით. განსახილველ მუხლში საუბარია ე.წ. **მფლობელობით უფლებამონაცვლეობაზე**. კერძოდ, თუ ნივთი იმყოფება ერთი პირის მფლობელობაში, ხოლო მეორე პირი მესაკუთრეა და ნივთი მესამე პირის მფლობელობაში გადავა, მაშინ მის წინამორბედ მფლობელთან მიმართებით გასული ხანდზმულობის ვადა გამოიყენება და ჩაითვლება გასულად უფლებამონაცვლის მიმართაც. შესაბამისად, ნივთის ახალი უფლებამონაცვლე-მფლობელის შესაბამის ურთიერთობაში შესვლასთან ერთად არ ხდება სანივთო მოთხოვნათა მიმართ ხანდაზმულობის ვადის ახლიდან ათვლა.

3 აღნიშნულ მუხლთან დაკავშირებით შეიძლება შემდეგი შესაძლო შემთხვევის განხილვა: პირი მოძრავ ნივთს უწყვეტად ფლობდა 2009 წლიდან 2013 წლამდე – 4 წლის განმავლობაში და ამ ნივთის მესაკუთრემ იცოდა, რომ მას გააჩნდა მფლობელთან მიმართებით ნივთის მისთვის გადაცემის მოთხოვნის უფლება **(სანივთო მოთხოვნა)**, მაგრამ მესაკუთრეს არც აღნიშნული უფლება (172) და არც დასაბუთებული პრეტენზიის წაყენების უფლება (168) ამ 4 წლის განმავლობაში არ განუხორციელებია. მეხუთე წელს – 2014 წელს, ნივთის მფლობელმა ნივთი გადასცა მესამე პირს მფლობელობაში. მესამე პირს განზრახული ჰქონდა, რომ ნივთზე საკუთრების უფლება შეეძინა ხანდაზმულობით (165) და სწორედ ამიტომაც მოიპოვა ნივთზე მფლობელობა. ასეთ შემთხვევაში, 2009 წლიდან გასული 4 წელი შეიძლება ჩაითვალოს 165-ე მუხლით განსაზღვრული, ხუთწლიან ხანდაზმულობის ვადაში. შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში, თუ მესაკუთრე 2014 წლის ბოლომდე, ანუ, თავდაპირველი მფლობელის მიერ ნივთის უწყვეტად ფლობის დაწყებიდან 5 წლის გასვლამდე უკვე ახალი უფლებამონაცვლის მიმართ არ განახორციელებს თავის უფლებას (172) ან პრეტენზიას (168), მაშინ ახალმა უფლებამონაცვლემ შეიძლება 165-ე მუხლის საფუძველზე ნივთზე მოიპოვოს საკუთრე-

1 *ახვლედიანი,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, 2002, მუხ. 143, გვ. 336.

ბის უფლება 5-წლიანი უწყვეტად ფლობის ხანდაზმულობით. აღნიშნული შესაძლო დასკვნის მიუხედავად, უნდა ითქვას, რომ სასამართლომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურად უნდა შეაფასოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები და აღნიშნულ შედეგამდე მისვლის შესაძლებლობა. ასეთი შემოწმებისას ცენტრალური საკითხი უნდა იყოს იმის დადგენა, (ა) აქვს თუ არა მფლობელს ნივთის ფლობის უფლება (172) და (ბ) გააჩნია თუ არა მესაკუთრეს ნივთის მფლობელის მიმართ დასაბუთებული პრეტენზიის წაყენების შესაძლებობა (168).

მუხლი 144. ვალდებული პირის უფლება ხანდაზმულობის ვადის გასვლისას

1. ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ ვალდებული პირი უფლებამოსილია უარი თქვას მოქმედების შესრულებაზე.

2. თუ ვალდებულმა პირმა მოვალეობა შეასრულა ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ, მას არა აქვს უფლება მოითხოვოს შესრულებულის დაბრუნება, თუნდაც მოვალეობის შესრულების მომენტში მას არ სცოდნოდა, რომ ხანდაზმულობის ვადა გასული იყო.

3. იგივე წესი გამოიყენება ვალდებული პირის აღიარებისა და უზრუნველყოფის საშუალებათა მიმართაც.

I. უარი მოქმედების შესრულებაზე (144 I).....776
II. ვადის გასვლის შემდეგ შესრულების შედეგები (144 II).....780
III. აღიარება და უზრუნველყოფის საშუალებები (144 III).....780

I. უარი მოქმედების შესრულებაზე (144 I)

1 მოთხოვნა მაშინ ითვლება ხანდაზმულად, როდესაც ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერების, შეწყვეტისა და სხვა შემაფერხებელი გარემოებების მიუხედავად, ხანდაზმულობის შესაბამისი ვადა გასულია. ხანდაზმულობის ვადის გასვლა თავად მოთხოვნას არ აუქმებს (არ წყვეტს), ის უბრალოდ მოვალეს შესაძლებლობას აძლევს, უარი თქვას მოთხოვნის შესრულებაზე.[1] სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე განმარტა, რომ „ხანდაზმულობის ინსტიტუტის სპეციფიკურობა იმაში მდგომარეობს, რომ დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ მოთხოვნის უფლება ობიექტურად არსებობს, თუმცა იგი განუხორციელებელია".[2] ხატოვნად რომ ითქვას, სახეზეა „შიშველი" ვალდებულება, რამეთუ იგი აღარ არის „შემოსილი" უპირობოდ შესასრულებელი არახანდაზმული და განხორციელებადი მოთხოვნით. ასეთ შემთხვევაში მოვალეს უფლება აქვს, თავისუფლად განკარგოს შესრულების ის საგანი, რომლის მოთხოვნაც ხანდაზმულია.[3] დოგმატურად მოვალის აღნიშნული შეცილების უფლება წარმოადგენს მატერიალურ-სამართლებრივ და არა პროცესუალურ-სამართლებრივ უფლებას.[4] 144 I მუხლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ ვალდებულ პირს უფლება აქვს, უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე.[5]

2 საპროცესო-სამართლებრივ კონტექსტში საფიქრალია, რომ, თუ შესაბამისი მხარე არ ითხოვს კონკრეტული სამართლებრივი მოთხოვნა შეფასდეს ხანდაზმულად, მაშინ სასამართლომ წესით ხანდაზმულობის საკითხთან

1 *Ellenberger,* in Palandt BGB Komm. 69. Aufl., § 214, Rn. 1.

2 თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის სასამართლოს 2015 წლის 19 მაისის №2/17071-14 გადაწყვეტილება.

3 BGH NJW-RR 05, 241.

4 *Meller-Hannich,* JZ, 2005, S. 241.

5 *როგავა,* ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების მზღვეველზე გადაცემის ფარგლები და მისი ხანდაზმულობა სასამართლო გადაწყვეტილების ანალიზი (საქმე №ას-581-549-2011), სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, 2013, 15, 20.

მიმართებით შეფასება არ უნდა გააკეთოს და ამით უნდა მოახდინოს მხარეთა შეჯიბრებითობისა და დისპოზიციურობის პრინციპის დაცვა. თუმცა აღნიშნული მიდგომის გამოყენებაზე თავისუფლად შეიძლება ფიქრი ისეთ შემთხვევაში, როდესაც დავა შეეხება თანაბარი ძალის მქონე პირებს, მეწარმეებს, რომლებიც შესაბამისი ადვოკატებით ან იურისტებით არიან პროცესში წარმოდგენილი. როდესაც სახეზეა არათანაბარი სიტუაცია და ერთი მხარე სუსტია მეორე მხარესთან შედარებით (მაგალითად, მეწარმე და მომხმარებელი, იურიდიული პირი და ფიზიკური პირი, დამსაქმებელი იურიდიული პირი ანდა ორგანიზაცია და დასაქმებული ფიზიკური პირი, სახელმწიფო და მოქალაქე), მაშინ სასამართლომ შეიძლება, ცალკეულ გარემოებათა გათვალისწინებით, დაუშვას ხანდაზმულობის ვადის გასვლისა და მისი შედეგების თაობაზე განმარტების საკუთარი ინიციატივით გაკეთება.[6]

ასევე მნიშვნელოვანია პროცესუალურ-სამართლებრივად იმის განსაზ- **3**
ღვრა, თუ პროცესის რა ეტაპზე შეუძლია შესაბამის მხარეს, 144 I მუხლის შესაბამისად, უარი თქვას მოთხოვნის შესრულებაზე. საპროცესო ეკონომიის მიზნებიდან გამომდინარე საფიქრალია, რომ თანაბარი ძალის მქონე პირებს შორის დავისას შესაბამისმა მხარემ მთავარ სხდომამდე უნდა განახორციელოს შესაბამისი შუამდგომლობის დაყენება. ხოლო არათანაბარი ძალის მქონე პირებს შორის დავისას სასამართლომ ხანდაზმულობის ვადის გასვლისა და მისი შედეგების თაობაზე განმარტების საკუთარი ინიციატივით გაკეთებაც ასევე სასამართლოს მთავარ სხდომამდე უნდა მოახდინოს. სააპელაციო და საკასაციო ინსტანციაში არც ერთ მხარეს არ უნდა მიეცეს 144 I მუხლზე დაყრდნობით შესაბამისი მოთხოვნის დაყენების საშუალება.

სახელმწიფოსა და მოქალაქეს შორის დავისას 144 I მუხლზე სახელმწი- **4**
ფოს აპელირებასთან დაკავშირებით ძალიან საგულისხმო გადაწყვეტილება მიიღო თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის სასამართლომ;[7] აღნიშნულ გადაწყვეტილებაში სანიმუშოდ საყურადღებო ასპექტებზე გაამახვილა სასამართლომ ყურადღება კონსტიტუციურ-სამართლებრივ გარანტიებსა და სასამართლოს მიერ სახელმწიფოსთვის 144 I მუხლით სარგებლობის უფლების შეზღუდვასთან მიმართებით. კერძოდ, სასამართლომ სამართლებრივი შეფასების ცენტრალურ საგნად დააყენა საკითხი იმის თაობაზე, თუ რამდენად შეიძლება, რომ სახელმწიფომ ისარგებლოს ხანდაზმულობის ინსტიტუტზე მითითების სამოქალაქო-სამართლებრივი უფლებით და „[...] უნდა შეიზღუდოს თუ არა სახელმწიფო, როგორც საკუთრების კონსტიტუციური გარანტი, ხანდაზმულობაზე მითითების უფლებაში, როდესაც სადავო-სამართლებრივ ურთიერთობაში ის მონაწილეობს, როგორც საკუთრების უფლების სავარაუდო ხელმყოფი".[8] დასმულ საკითხთან დაკავშირებით სასამართლომ განავითარა მსჯელობა

6 გერმანიის სასამართლოს პრაქტიკის მაგალითზე იხ.: Düss NJW 91, 2091; Köln NJW-RR 90, 192, BayObIG NJW 99, 1875, BGH NJW 98, 612.

7 თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის სასამართლოს 2015 წლის 19 მაისის №2/17071-14 გადაწყვეტილება.

8 თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის სასამართლოს 2015 წლის 19 მაისის №2/17071-14 გადაწყვეტილება.

და შეაფასა თავად ხანდაზმულობის ინსტიტუტის შინაარსი, მისი იურიდიული ფუნქცია, გამოყენების პირობები და კეთილსინდისიერების პრინციპის მოქმედება 144 I მუხლზე დაყრდნობით მოთხოვნის დაყენებისას. კერძოდ, სასამართლომ შემდეგი საგულისხმო განმარტებები გააკეთა, მათ შორის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებზე შესაბამისი მითითებით, რაც ასევე საგულისხმოა საერთო სასამართლოს მხრიდან საკანონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებზე დაყრდნობით სამართლებრივი მსჯელობისა და, ზოგადად, ერთიანი სამართლებრივი სივრცისა და საკუთრივ სამართლის განვითარების კუთხით:

„[...] ხანდაზმულობის ინსტიტუტი კონსტიტუციური მართლწესრიგის შემადგენელი ნაწილია და მიმართული ეკონომიკური ურთიერთობების მონაწილეთა სამართლებრივი მშვიდობის უზრუნველსაყოფად. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტების თანახმად: „....ხანდაზმულობის ვადები ემსახურება რამდენიმე მნიშვნელოვან მიზანს, კერძოდ, სამართლებრივ განსაზღვრულობას და საბოლოობას, პოტენციური მოპასუხეების დაცვას ძველი სარჩელებისაგან, რომლებისგანაც თავის დაცვა შეიძლება რთული აღმოჩნდეს და უსამართლობის თავიდან აცილებას, რომელიც შეიძლება წარმოშვას, თუ სასამართლოები იძულებული გახდებიან, გადაწყვიტონ საქმეები, რომლებიც შორეულ წარსულში მოხდა, იმ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, რომელიც შესაძლოა დროის გასვლის გამო არასაიმედო ან არასრული იყოს... (იხ. STUBBINGS AND OTHERSS VS THE UNITED KINGDOM 1996 წლის 22 ოქტომბერი).“

„[...] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილებაში საქმე №3/1/531 (ჯანაშვილი პარლამენტის წინააღმდეგ) აღნიშნულია „....სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა გულისხმობს დროის გარკვეულ მონაკვეთს, რომლის განმავლობაშიც პირს, რომლის უფლებაც დაირღვა, შესაძლებლობა აქვს, მოითხოვოს საკუთარი უფლებების სამართლებრივი გზით (იძულებით) განხორციელება ან დაცვა. ამ ვადის გაცდენა კი გულისხმობს ამ პირთა მიერ ასეთი შესაძლებლობის გამოყენების უფლების მოსპობას, გაქარწყლებას. სამოქალაქო სამართალში სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ პირი კარგავს უფლების სასამართლო გზით დაცვის შესაძლებლობას.....“.

მართალია, აღნიშნულ გადაწყვეტილებაში სასამართლომ ისიც სამართლიანად დასძინა, რომ: „[...] სახელმწიფო, როგორც კერძოსამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი, ასევე სარგებლობს ხანდაზმულობაზე მითითების უფლებით და სასამართლოს მხრიდან ამ უფლებაში ჩარევა განპირობებული უნდა იყოს ლეგიტიმური მიზნებით“. თუმცა 8 III მუხლის თანახმად, ასევე დამაჯერებლად დაასკვნა, რომ „[...] სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებულნი არიან, კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები [...]“ და რომ „[...] კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარეობს სწორედ ხანდაზმულობის ინსტიტუტის მოქმედება სამოქალაქო სამართალში, ვინაიდან შეუძლებელია, მოვალე ხანგრძლივი დროის განმავლობაში მუდმივად იყოს კრედიტორის მხრიდან მოთხოვნის

წარდგენის მოლოდინში [...]“. განვითარებული მსჯელობის საფუძველზე კი სასამართლომ დაასკვნა შემდეგი, რაც საფუძვლად დაედო თავად გადაწყვეტილების სამართლებრივ შედეგს:

„[...] თუკი თავად ხანდაზმულობის ინსტიტუტის გამოყენება ხდება კეთილსინდისიერების პრინციპის საწინააღმდეგოდ, ამასთან, თუკი საკითხი ეხება საკუთრების უფლებას, ხოლო სუბიექტად თავად ამ უფლების დაცვის კონსტიტუციური გარანტი გვევლინება, სასამართლომ უნდა შეაფასოს საკითხი, რამდენად ლეგიტიმურია ამ უფლების გამოყენება კონსტიტუციური მართლწესრიგის ფარგლებში. მით უმეტეს – იმის გათვალისწინებით, რომ სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი უნდა გადაწყდეს მხოლოდ ხანდაზმულობაზე მითითებით – ყოველგვარი არსებითი დასაბუთების გარეშე.

შესაბამისად, ჩნდება კითხვა, კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, გააჩნია თუ არა სახელმწიფოს, როგორც საკუთრების კონსტიტუციური გარანტის ფუნქციით აღჭურვილ სუბიექტს, ხანდაზმულობაზე მითითების უფლება, როდესაც ამ უფლების რეალიზაციით იგი ყოველგვარი დასაბუთების გარეშე ცდილობს აირიდოს თავიდან სამოქალაქო პასუხისმგებლობა.“

„[...] როგორც აღინიშნა, სამოქალაქო ურთიერთობაში სახელმწიფო თვისებრივად არ კარგავს „განსაკუთრებულ სტატუსს“, რაც გულისხმობს, რომ იგი ინარჩუნებს კონსტიტუციურ ვალდებულებებს კერძოსამართლებრივ სივრცეშიც. როგორც სუვერენი და კონსტიტუციური ვალდებულებების მატარებელი, იგი შებოჭილია სამართლიანობის დაცვის უფრო მაღალი სტანდარტით. უფლების რეალიზაცია სამართლიანობის ფარგლებში განსაკუთრებულად სახელმწიფოს მოვალეობაა [...].“

„[...] უფრო მეტიც, მიუხედავად სამართალურთიერთობის კერძოსამართლებრივი ბუნებისა, კერძო სამართლის სუბიექტების მხრიდან, კონტრაჰენტი ძლიერი მხარის, სახელმწიფოს ქმედებების მიმართ მოქმედებს კანონიერი ნდობის პრინციპი (მსგავსი მოსაზრება ასახულია თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 15 აპრილის გადაწყვეტილებაში. საქმე №2ბ/4686-13). სასამართლო მიიჩნევს, რომ სახელმწიფოს მხრიდან ხანდაზმულობის ინსტიტუტით სარგებლობა, იქ, სადაც ამ უფლების გამოყენება ეწინააღმდეგება მისი კონსტიტუციური ვალდებულებების არსს ანდა, როდესაც სახელმწიფო მართლსაწინააღმდეგო ან ამორალური შინაარსის ქმედებით იძენს ქონებრივ სარგებელს სხვა პირის უფლების ხელყოფის ხარჯზე – დაუშვებელია. ამიტომ, ამ დავის ფარგლებში სახელმწიფო ვერ ისარგებლებს ამ ინსტიტუტზე მითითებით, რადგან მოსარჩელის სამართლებრივი პრეტენზია გულისხმობს სახელმწიფოს მხრიდან მისი საკუთრების უფლების ხელყოფას სისხლისსამართლებრივი მექანიზმების გამოყენებით. **შესაბამისად, განსახილველი დავის ფარგლებში, სახელმწიფო ვერ ისარგებლებს ხანდაზმულობის უფლების გამოყენებით, რათა ყოველგვარი სამართლებრივი პოლემიკის გარეშე თავიდან აიცილოს სამოქალაქო პასუხისმგებლობა“.**

თუმცა სასამართლომ ამავდროულად ხაზგასმით დაასკვნა, რომ „[...] სახელწიფოს მიმართ ყოველი ამგვარი აკრძალვა წარმოადგენს კონკრეტული შემთხვევის ფარგლებში შეფასების საგანს და უნდა ემსახურებოდეს მხოლოდ ლეგიტიმურ ინტერესებს“.

II. ვადის გასვლის შემდეგ შესრულების შედეგები (144 II)

5 144 II მუხლის თანახმად, ვალდებული პირის მიერ ხანდაზმული მოთხოვნის შესრულების შემდეგ მას არა აქვს უფლება, მოითხოვოს შესრულების დაბრუნება, თუნდაც მოვალეობის შესრულების მომენტში მას არ სცოდნოდა, რომ ხანდაზმულობის ვადა გასული იყო.[9] აღნიშნული დანაწესი სწორედ 144 I მუხლით განსაზღვრული პრინციპიდან გამომდინარეობს, რომლის თანახმადაც, ხანდაზმული მოთხოვნა, მართალია, **განუხორციელებადია,** მაგრამ ის, 144 II მუხლით გათვალისწინებულ გარკვეულ გარემოებათა არსებობისას, **შესრულებადად**[10] რჩება.

III. აღიარება და უზრუნველყოფის საშუალებები (144 III)

6 ხანდაზმულობის ვადის გასვლისას 144 I, II მუხლით დადგენილი შედეგები მაშინაც დგება, როდესაც ვალდებული პირი აღიარებს ვალს ან კრედიტორი ვალდებულების უზრუნველსაყოფად განახორციელებს შესაბამის ქმედებას ან გამოიყენებს ვალდებულების უზრუნველყოფის საშუალებ(ებ)ას. მაგალითად, თუ სამწლიანი ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ მოვალე ხანდაზმული მოთხოვნის უზრუნველსაყოფად სათანადო წესით იპოთეკით დატვირთავს ქონებას, ასეთ შემთხვევაში 144 III მუხლის საფუძველზე გამოდის, რომ მოვალემ კონკლუდენტური ქმედებით აღიარა ვალდებულების არსებობა, ხოლო ხანდაზმულობის ვადის დენის ათვლა თავიდან დაიწყება და მოვალეს უფლება აღარ ექნება, უარი განაცხადოს მათ შესრულებაზე შესაბამისი, ხელმეორედ დაწყებული ხანდაზმულობის ვადის გასვლამდე.[11]

9 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 17 დეკემბრის №2ბ/4587-14 გადაწყვეტილება; საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 4 დეკემბრის №ას-960-909-2015 გადაწყვეტილება.

10 *Ellenberger,* in Palandt BGB Komm. 69. Aufl., § 214, Rn. 4.

11 *ახვლედიანი,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, 2002, მუხ. 144, გვ. 338.

მუხლი 145. დამატებითი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა

მთავარი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის გასვლასთან ერთად ხანდაზმულობის ვადა გასულად ითვლება დამატებითი მოთხოვნებისთვისაც მაშინაც კი, როცა ამ მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადა ჯერ არ გასულა.

დამატებითი მოთხოვნა წარმოადგენს მთავარ/ძირითად მოთხოვნასთან ისე დაკავშირებულ მოთხოვნას, რომლის ხანდაზმულობის ვადაც ავტომატურად გასულად ითვლება მთავარი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის გასვლასთან ერთად მაშინაც კი, როდესაც ამ დამატებით მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადა ჯერ არ გასულა.[1] თუმცა აღსანიშნავია, რომ დამატებით მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადის დაწყება, ხანგრძლივობა, შეჩერება და დენის ახლიდან დაწყება დამოკიდებული არ არის ძირითადი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადაზე.[2] 1

სამოქალაქო კოდექსი 145-ე მუხლის მიზნებისათვის არ იძლევა **დამატებითი მოთხოვნის** კანონისმიერ დეფინიციას. ლიტერატურაში დამკვიდრებული მოსაზრების თანახმად, ასეთ დამატებით მოთხოვნებს განეკუთვნება გირაო, თავდებობა,[3] პირგასამტეხლო, პროცენტი, ასეთი ასევე შეიძლება იყოს ნივთისა და უფლების ნაყოფი[4] (154) და ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის სხვა საშუალებები;[5] თუმცა ლიტერატურაში არ არის კონკრეტულად განხილული, თუ ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის დამატებითი რა საშუალებები იგულისხმება დამატებით მოთხოვნებში. 2

სასამართლო პრაქტიკით **დამატებითი მოთხოვნები** გაიგივებულია **აქცესორულ უფლებებთან,**[6] „[...] რომელიც ისეა დაკავშირებული სხვა უფლებასთან, რომ მის გარეშე არც შეიძლება არსებობდეს“ (153, იხ. 153-ე მუხლის კომენტ.). ამავე საქმეზე სასამართლომ განმარტა, რომ „[...] იპოთეკა წარმოადგენდა სესხის ხელშეკრულებასთან მიმართებით აქცესორულ უფლებას, რომელიც გამომდინარეობდა ძირითადისაგან, შესაბამისად, სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა ვრცელდებოდა იპოთეკის ხელშეკრულებაზეც, რაც მისი დაკმაყოფილების შესაძლებლობას აღარ იძლეოდა. აქედან გამომდინარე, საქალაქო სასამართლომ სწორად მიიჩნია, რომ [...] [მო]სარჩელის მოთხოვნა ხანდაზმულობის გამო არ უნდა დაკმაყოფილებულიყო“.[7] 3

სხვა საქმეზე სასამართლომ ასევე განმარტა, რომ „[...] იპოთეკა სანივთო-სამართლებრივი გარიგებაა, რომელიც უზრუნველყოფს ვალდებულებას. მისი არსი და დანიშნულება არსებული ვალდებულების უზრუნველყოფაა და მის გარეშე არ არსებობს. იპოთეკა აქცესორული უფლებაა და,

1 *ახვლედიანი,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, 2002, მუხ. 145, გვ. 338.

2 *Ellenberger,* in Palandt BGB Komm. 69. Aufl., § 214, Rn. 1.

3 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2004 წლის 3 თებერვლის №ა-114-ა-15-03 გადაწყვეტილება.

4 *Ellenberger,* in Palandt BGB Komm. 69. Aufl., § 214, Rn. 1.

5 *ახვლედიანი,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, 2002, მუხ. 145, გვ. 338; *Ellenberger,* in Palandt BGB Komm. 69. Aufl., § 214, Rn. 1.

6 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 28 ნოემბრის №ას-858-822-2014 გადაწყვეტილება.

7 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 28 ნოემბრის Nას-858-822-2014 გადაწყვეტილება.

სამოქალაქო კოდექსის 153-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, იგი არ წარმოიშობა და არც შეიძლება არსებობდეს ძირითადი უფლების გარეშე. იპოთეკის, როგორც აქცესორული უფლების, ბუნება ვლინდება ძირითადი უფლების გადაცემის პროცესშიც – მოთხოვნის გადაცემისას იპოთეკა თან მიჰყვება მთავარ უფლებას. რამდენადაც ხანდაზმული იყო ძირითადი მოთხოვნა – სესხად გაცემული თანხის დაბრუნება, ხანდაზმულად მიიჩნეოდა ასევე დამატებითი მოთხოვნაც იპოთეკით დათვირთული უძრავი ნივთის რეალიზაციის თაობაზე".[8]

4 საინტერესო განმარტება გააკეთა სასამართლომ 145-ე მუხლის კონტექსტში, როდესაც **მიუღებელი შემოსავალის მოთხოვნა** 145-ე მუხლის მიზნებისთვის **დამატებით მოთხოვნას** გაუტოლა. კერძოდ, სასამართლომ აღნიშნა, რომ: „[...] ვინაიდან უსაფუძვლო იყო ძირითადი თანხის დაკისრების მოთხოვნა, შესაბამისად, უსაფუძვლო იყო ამ თანხის გადაუხდელობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაც. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 145-ე მუხლზე, რომლის თანახმად, მთავარი მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის გასვლასთან ერთად ხანდაზმულობის ვადა გასულად ითვლება დამატებითი მოთხოვნებისთვისაც, მაშინაც კი, როცა ამ მოთხოვნათა ხანდაზმულობის ვადა ჯერ არ გასულა. **შესაბამისად, ვალდებულების დროული შეუსრულებლობით გამოწვეული მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების შესახებ მოსარჩელის მოთხოვნაც ხანდაზმულად უნდა მიჩნეულიყო".**[9]

5 145-ე მუხლიდან გამონაკლისს წარმოადგენს **საბანკო გარანტია** (881), რომელიც ლიტერატურაში ასევე განიხილება **დამატებით მოთხოვნად,** თუმცა ძირითადი მოთხოვნის ვადის გასვლა გავლენას არ ახდენს იმ მოთხოვნაზე, რომელიც საბანკო გარანტიაზეა დაფუძნებული.[10]

8 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 30 ივლისის №ას-369-350-2015 გადაწყვეტილება; ასევე შდრ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები №ას-444-423-2015, 30.10.2015; №ას-1196-1216-2011, 20.10.2011.

9 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 9 დეკემბრის №ას-826-784-2013 გადაწყვეტილება.

10 *ახვლედიანი,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, 2002, მუხ. 145, გვ. 339; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 12 დეკემბრის №ას-159-867-03 გადაწყვეტილება.

მუხლი 146. ხანდაზმულობის ვადის შეცვლის დაუშვებლობა მხარეთა შეთანხმებით

ხანდაზმულობის ვადებისა და მათი გამოთვლის წესის შეცვლა მხარეთა შეთანხმებით დაუშვებელია.

ხანდაზმულობის ვადები და მათი გამოთვლის წესი ლიტერატურაში შეფასებულია, როგორც იმპერატიული ნორმა, რაც შესაბამის მხარეებს არ აძლევს უფლებას, შეთანხმების გზით ან რაიმე სხვა ფორმით შეცვალონ (გაზარდონ, შეამცირონ) ხანდაზმულობის ვადები ან მათი გამოთვლის წესი.[1] **1**

ქართველი კანონმდებლის მიდგომა განსხვავდება გერმანიის ვალდებულებითი სამართლის 2002 წლის რეფორმის შედეგად მიღებული გსკ-ის § 202-ის რედაქციისაგან, რომლის თანახმადაც, სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპი ვრცელდება როგორც მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადების შემცირებასა და გაზრდაზე, ასევე მისი გამოთვლის წესის შეცვლაზე.[2] **2**

146-ე მუხლის იმპერატიული ხასიათი გასათვალისწინებელია შიდა ქართულ სამართლებრივ ურთიერთობებში. თუმცა აღნიშნულ საკითხს შეიძლება სხვა შეფასება ჰქონდეს საერთაშორისო კერძო და სამოქალაქო საპროცესო-სამართლებრივ კონტექსტში. **3**

თუ მხარეები საერთაშორისო კერძო ხელშეკრულებით გამოსაყენებელ სამართლად განსაზღვრავენ რომელიმე უცხო ქვეყნის სამართალს, რომლის სადავო მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადაც მეტი ან უფრო მცირეა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ იმავე მოთხოვნის ხანდაზმულობაზე, მაშინ თავს იჩენს ქვემოთ მოყვანილი შემდეგი საკითხები, თუ საქმის განმხილველი სასამართლო იქნება საქართველო: კერძოდ, ქართულ სასამართლოს მოუწევს საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონის 35 III, მე-5 და მე-6 მუხლებზე დაყრდნობით იმის შეფასება, თუ რამდენად არის 146-ე მუხლის იმპერატიული ხასიათი ასევე საერთაშორისო კონტექსტშიც იმპერატიულად გასათვალისწინებელი. ლიტერატურაში დამკვიდრებული პოზიციის თანახმად, საერთაშორისო კერძო და საერთაშორისო სამოქალაქო საპროცესო-სამართლებრივ კონტექსტში ყველა იმპერატიული ნორმა არ არის მკაცრად იმპერატიულად გასათვალისწინებელი. მხოლოდ უნდა მოხდეს იმ იმპერატიული ნორმების გათვალისწინება, რომლებიც შესაბამისი სახელმწიფოს მიერ მიღებულია ქვეყნის სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით, მისი საზოგადოებისა და საჯარო წესრიგის საერთო ინტერესების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, იმპერატიულ ნორმებს ასევე საერთაშორისო ხასიათიც უნდა ჰქონდეს, რათა მათი გათვალისწინება მოხდეს საერთაშორისო კერძო და საერთაშორისო სამოქალაქო-საპროცესო სამართლებრივ კონტექსტში.[3] **4**

1 *ახვლედიანი,* სკ-ის კომენტარი, წიგნი I, 2002, მუხ. 146, გვ. 339.

2 *Ellenberger,* in Palandt BGB Komm. 69. Aufl., § 202, Rn. 1; MüKo/*Grothe,* § 202 Rn. 1; *როგავა,* ხანდაზმულობის ვადის შემცირება მხარეთა შეთანხმებით გერმანიის სამოქალაქო სამართალში, სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, 2014, 116, 122

3 დამატებით საერთაშორისო ლიტერატურაზე მთითებით შეად: *სვანაძე,* საერთაშორისო ბიზნეს-

5 იმ შემთხვევაში, თუ მსგავს დავაზე მიღებული უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების საკითხი საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ იქნება გადასაწყვეტი, მაშინ სასამართლოს საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონის 68 (2) (ზ) მუხლით მოუწევს შეფასება, თუ რამდენად შეიძლება მიჩნეულ იქნეს საქართველოს ძირითადი სამართლებრივი პრინციპების საწინააღმდეგოდ საქართველოში დადგენილი ხანდაზმულობის ვადებზე დიდი ან უფრო მცირე ვადის გამოყენებით მიღებული გადაწყვეტილების საქართველოში ცნობა, ეს სასამართლოს შეფასების საგანია.[4] იმის გათვალისწინებით, რომ საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონის 30-ე მუხლი იძლევა იმის საშუალებას, რომ მოთხოვნის ხანდაზმულობაზე გავრცელდეს უცხო ქვეყნის სამართალიც, მაშინ საფიქრალია, რომ საერთაშორისო კერძო და სამოქალაქო საპროცესო-სამართლებრივ კონტექსტში 146-ე მუხლი ყოველთვის არ უნდა იქნეს განხილული ისეთ [ზე]იმპერატიულ ნორმად, რომელიც საქართველოს საერთაშორისო საჯარო წესრიგის დამდგენია და რომლის გაუთვალისწინებლობაც საქართველოს ძირითადი სამართლებრივი პრინციპების დარღვევად დაკვალიფიცირდება.[5] შესაბამისად, აღნიშნული საფუძვლით ყოველთვის არ უნდა ეთქვას უარი უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების საქართველოში ცნობას. თითოეული საქმის ფაქტობრივი გარემოებებისა და შესაბამისი ქვეყნების კანონმდებლობით გათვალისწინებული განსხვავებული ხანდაზმულობის ვადების შედარება-შეფასების საფუძველზე უნდა მოხდეს გადაწყვეტილების მიღება.

6 იმ შემთხვევაში, თუ განსახილველ საქმეზე გამოსაყენებელი იქნება რომელიმე საერთაშორისო ორმხრივი ან მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულება, მაშინ სასამართლომ უპირატესად შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებით უნდა იხელმძღვანელოს ზემოაღნიშნულ საკითხთა გადაწყვეტისას (მე-2 მუხლი).

ხელშეკრულებების მოლაპარაკება და შედგენა საერთაშორისო ნასყიდობის სამართლის მაგალითზე, ქართული ბიზნეს-სამართლის მიმოხილვა, IV გამოცემა, 2015, გვ. 64, 70; *Vashakidze,* Das Internationale Privatrecht von Georgien, 2014, S. 79-87; *Vashakidze,* Kodifikation des Internationalen Privatrechts in Georgian in: Transformation durch Rezeption?, 2014, S. 290, 319; *Svanadze,* Recognition of foreign judgments in Georgia: Is the Recognition of foreign judgments in Georgia predictable? (Comparative analyse) in: Beiträge und Informationen zum Recht im postsowjetischen Raum (www. mpipriv.de/gus), http://mpipriv.de/shared/data/pdf/2009_12_09_02.pdf; *Svanadze,* Grundlagen des deutsch-georgischen Anerkennungsrechts, Eine rechtsvergleichende Analyse, 2014, S. 93-96.

4 დამატებით ლიტერატურაზე მითითებით იხ: *Svanadze,* Grundlagen des deutsch-georgischen Anerkennungsrechts, Eine rechtsvergleichende Analyse, 2014, S. 93-96.

5 *სვანაძე,* საერთაშორისო ბიზნეს-ხელშეკრულებების მოლაპარაკება და შედგენა საერთაშორისო ნასყიდობის სამართლის მაგალითზე, ქართული ბიზნეს-სამართლის მიმოხილვა, IV გამოცემა, 2015, გვ. 64, 70.

ბიბლიოგრაფია

ალფაიძე, *თამარი,* მედია სამართალი, თბილისი, 2008.

ციტ.: *ალფაიძე,* მედია სამართალი, 2008, გვ.

ალფაიძე, *თამარი,* ჟურნალისტის სამართლებრივი სტატუსი, ადამიანი და კონსტიტუცია, 4/2004.

ციტ.: *ალფაიძე,* ჟურნალისტის სამართლებრივი სტატუსი, ადამიანი და კონსტიტუცია, 4/2004, გვ.

ახვლედიანი, ზურაბი, ვალდებულებითი სამართალი, „სამართალი“, თბილისი, 1999.

ციტ.: *ახვლედიანი,* ვალდებულებითი სამართალი, გვ.

ბარაბაძე, *ნინო,* სახელის, პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვის შესახებ აღძრულ საქმეთა განხილვისა და მორალური ზიანისათვის კომპენსაციის დაკისრების ზოგიერთი თავისებურებანი, მართლმსაჯულება და კანონი, 2011, №4(31), გვ. 108-123.

ციტ.: *ბარაბაძე,* სახელის, პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვის შესახებ აღძრულ საქმეთა განხილვისა და მორალური ზიანისათვის კომპენსაციის დაკისრების ზოგიერთი თავისებურებანი, მართლმსაჯულება და კანონი, 2011, №4(31), გვ.

ბერეკაშვილი, *დიანა/****თოდუა,*** *მზია/****ჩაჩავა,*** *სოფიო/****ძლიერიშვილი,*** *ზურაბი,* კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა სამოქალაქო სამართალში, თანდართული კაზუსის ნიმუშებით, ჩსძ, 2015.

ციტ.: *ბერეკაშვილი/თოდუა/ჩაჩავა/ძლიერიშვილი,* კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა სამოქალაქო სამართალში, 2015, გვ.

ბექაია, *ზურაბი,* საქართველოს კანონი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ, ქართული სამართლის მიმოხილვა, 7-2/3(1)/2004.

ციტ.: *ბექაია,* საქართველოს კანონი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ, ქართული სამართლის მიმოხილვა, 7-2/3(1)/2004, გვ.

ბიოლინგი, *ჰაინსი/****ლუტრინგჰაუსი,*** *პეტერი,* საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, გამომცემლობა სიესტა, ბრემენი-თბილისი, 2009.

ციტ.: *ბიოლინგი/ლუტრინგჰაუსი,* სკ-ის მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, გვ.

ბიჭია, *მიხეილი,* ღირსების სამოქალაქოსამართლებრივი დაცვის რამდენიმე ასპექტი, (ქართული და ევროპული მიდგომები), წიგნში: გუნცაძე (რედ.), საერთაშორისო ინტერდისციპლინარული კონფერენცია ევროპული ღირებულებები და იდენტობა: მოხსენებები, 16-17-18 ივნისი, თსუ, 2014, გვ. 81-91.

ციტ.: *ბიჭია,* ღირსების სამოქალაქო-სამართლებრივი დაცვის რამდენიმე ასპექტი (ქართული და ევროპული მიდგომები), გვ.

ბიჭია, *მიხეილი,* კერძო ცხოვრებისა და საადვოკატო საიდუმლოების სამოქალაქო-სამართლებრივი დაცვა, თანამედროვე სამართლის მიმოხილვა, №1, 2013.

ციტ.: *ბიჭია,* კერძო ცხოვრებისა და საადვოკატო საიდუმლოების სამოქალაქოსამართლებრივი დაცვა, თანამედროვე სამართლის მიმოხილვა, 1/2013, გვ.

ბიჭია, *მიხეილი,* პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით, თბილისი, 2012.

ციტ.: *ბიჭია,* პირადი ცხოვრების დაცვა, 2012, გვ.

ბიჭია, *მიხეილი,* სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი, სამართლის ჟურნალი, თბილისი, 2012, №1, გვ. 31-54.

ციტ.: *ბიჭია,* სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი, სამართლის ჟურნალი, 1/2012, გვ.

ბიჭია, *მიხეილ,* კერძო ცხოვრების ცნების მოცულობა საქართველოს კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, სამართლის ჟურნალი, თბილისი, 2011, №1, გვ. 67-89.

ციტ.: *ბიჭია,* კერძო ცხოვრების ცნების მოცულობა საქართველოს კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, სამართლის ჟურნალი 1/2011, გვ.

ბოელინგი, *ჰაინსი/**ჭანტურია,*** *ლადო,* სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, 2003.

ციტ.: *ბოელინგი/ჭანტურია,* სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, 2003, გვ.

ბურდული, *ირაკლი/**გოცირიძე,*** *ევა/**ერქვანია,*** *თინათინი* და სხვანი, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი, 2013.

ციტ.: *ავტორი,* საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, 2013, მუხ. გვ.

ბურდული, *ირაკლი,* სააქციო სამართლის საფუძვლები (გერმანული და ქართული სამართლის მაგალითზე), I ტომი, „მერიდიანი“, თბილისი, 2010.

ციტ.: *ბურდული,* სააქციო სამართლის საფუძვლები, ტ. I, 2010, გვ.

ბურდული, *ირაკლი,* სააქციო სამართლის საფუძვლები, II ტომი, „მერიდიანი“, თბილისი, 2013.

ციტ.: *ბურდული,* სააქციო სამართლის საფუძვლები, ტ. II, 2013, გვ.

ბურდული, *ირაკლი,* შენატანის განუხორციელებლობის სამართლებრივი შედეგი: უტოპიური შეხედულება სს-იდან პარტნიორის გარიცხვის შესახებ, სამართლის ჟურნალი, თსუ, თბილისი, 2010, №1-2, გვ. 18-54.

ციტ.: *ბურდული,* შენატანის განუხორციელებლობის სამართლებრივი შედეგი: უტოპიური შეხედულება სს-იდან პარტნიორის გარიცხვის შესახებ, სამართლის ჟურნალი, 1-2/2010, გვ.

ბურდული, *ირაკლი,* საწესდებო კაპიტალი და მისი ფუნქციები, წიგნში: თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, თბილისი, 2009.

ციტ.: *ბურდული,* საწესდებო კაპიტალი და მისი ფუნქციები, 2009, გვ.

ბურდული, *ირაკლი,* ქონებრივი ურთიერთობა სააქციო საზოგადოებაში, თსუ, თბილისი, 2008.
ციტ.: *ბურდული,* ქონებრივი ურთიერთობა სააქციო საზოგადოებაში, 2008, გვ.

გაბისონია, *ზვიადი,* საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2006.
ციტ.: *გაბისონია,* საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართალი, 2006, გვ.

გალდავა, *გულნაზი,* სამოქალაქო უფლებათა დაცვის ფორმები და საშუალებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, სამართლის ჟურნალი, №1, 2009.
ციტ.: *გალდავა,* სამოქალაქო უფლებათა დაცვის ფორმები და საშუალებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, სამართლის ჟურნალი, 1/2009, გვ.

გამყრელიძე, *სულხანი,* საერთაშორისო კერძო სამართლის შესავალი, წიგნი I, ბონა კაუზა, თბილისი, 2000.
ციტ.: *გამყრელიძე,* საერთაშორისო კერძო სამართლის შესავალი, წიგნი I, გვ.

გელაშვილი, *ირმა,* გაყინული ემბრიონის სამართლებრივი მდგომარეობა, სამართლის ჟურნალი, 2012, №1, გვ. 55-85.
ციტ.: *გელაშვილი,* გაყინული ემბრიონის სამართლებრივი მდგომარეობა, სამართლის ჟურნალი, 1/2012, გვ.

გელაშვილი, *ირმა,* ჩანასახის სამართლებრივი მდგომარეობა, თბილისი, „მერიდიანი“, 2012.
ციტ.: *გელაშვილი,* ჩანასახის სამართლებრივი მდგომარეობა, 2012, გვ.

გვაზავა, *ანდრია,* ზოგიერთი ცნობა ქართულ მონასტერთა ძველ წეს-განგებათა შესახებ, სამეცნიერო ჟურნალი „ლოგოსი“, №6, 2011. გვ. 52-55.
ციტ.: *გვაზავა,* ზოგიერთი ცნობა ქართულ მონასტერთა ძველ წეს-განგებათა შესახებ, 2011, გვ.

გულაშვილი, *ნიკოლოზი,* კორპორაციული საფარველის გაჭოლვა, როგორც კრედიტორთა დაცვის განსაკუთრებული ღონისძიება მშობელ-შვილობილ კომპანიათა ურთიერთობის კონტექსტში, ბურდული (რედ.), საკორპორაციო სამართლის კრებული I, 2011.
ციტ.: *გულაშვილი,* კორპორაციული საფარველის გაჭოლვა, როგორც კრედიტორთა დაცვის განსაკუთრებული ღონისძიება მშობელ-შვილობილ კომპანიათა ურთიერთობის კონტექსტში, 2011, გვ.

დვალიძე, *ირაკლი,* სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი: სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, თბილისი, 2013.
ციტ.: *დვალიძე,* სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, 2013, გვ.

დოლიძე, *ისიდორე* (გამომც.), ქართული სამართლის ძეგლები, ტომი III, საეკლესიო საკანონდებლო ძეგლები (XI-XIX სს.), გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1970.
ციტ.: ქართული სამართლის ძეგლები, ტომი III, 1970, გვ.

ერქვანია, *თათა,* მესამე პირთა ინტერესების დაცვა წარმომადგენლობაში (საქართველოსა და გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით), მართლმსაჯულება და კანონი, №3(34), თბილისი, 2012, გვ. 28-44.
ციტ.: *ერქვანია,* მესამე პირთა ინტერესების დაცვა წარმომადგენლობაში (საქართველოსა და გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით), მართლმსაჯულება და კანონი, №2(34)12, გვ.

ვაშაკიძე, *გიორგი,* კეთილსინდისიერება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით – აბსტრაქცია თუ მოქმედი სამართალი, „ქართული სამართლის მიმოხილვა“, 10/2007-1, გვ. 14-58.
ციტ.: *ვაშაკიძე,* კეთილსინდისიერება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით – აბსტრაქცია თუ მოქმედი სამართალი, „ქართული სამართლის მიმოხილვა“, 10/2007-1, გვ.

ზამბახიძე, *თამარი,* ელექტრონული ვაჭრობის სამართლებრივი რეგლამენტაციის საფუძვლები (პრობლემები და პერსპექტივა), ქართული სამართლის მიმოხილვა, 8/2005-1/2, გვ. 108-138.
ციტ.: *ზამბახიძე,* ელექტრონული ვაჭრობის სამართლებრივი რეგლამენტაციის საფუძვლები (პრობლემები და პერსპექტივა), ქართული სამართლის მიმოხილვა, 8/2005-1/2, გვ.

ზარანდია, *თამარი/**ჯუღელი,*** *თეა,* ზნეობრივი ვალდებულებანი სამოქალაქო სამართალში, მართლმსაჯულება და კანონი, 2006, №4, გვ. 74-86.
ციტ.: *ზარანდია/ჯუღელი,* ზნეობრივი ვალდებულებანი სამოქალაქო სამართალში, მართლმსაჯულება და კანონი, 4/2006, გვ.

ზარანდია, *თამარი,* ნავარაუდევი და გონივრული ვადები, ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, №1, 2003.
ციტ.: *ზარანდია,* ნავარაუდევი და გონივრული ვადები, ჟურნ. ადამიანი და კონსტიტუცია, 1/2003, გვ.

ზარანდია, *თამარ,* სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების ადგილი და ვადები, დისერტაცია, თსუ, 2002.
ციტ.: *ზარანდია,* სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების ადგილი და ვადები, დის., 2002, გვ.

ზოიძე, *ბესარიონი,* საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება (GTZ) თბილისი, 2007.
ციტ.: *ზოიძე,* საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში, 2007, გვ.

ზოიძე, *ბესარიონი,* ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, საგამომცემლო საქმის სასწავლო ცენტრი, თბილისი, 2005.
ციტ.: *ზოიძე,* ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, 2005, გვ.

ზოიძე, *ბესარიონი,* ქართული სამოქალაქო კოდექსის შექმნის ისტორიიდან, ქართული სამართლის მიმოხილვა, 6/2003-1, გვ. 86-114.
ციტ.: *ზოიძე,* სამოქალაქო კოდექსის შექმნის ისტორიიდან, 2003, გვ.

ზოიძე, *ბესარიონი,* ქართული სანივთო სამართალი, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 2003.

ციტ.: ზოიძე, ქართული სანივთო სამართალი, 2003, გვ.

ზოიძე, *ბესარიონი/* ***ზარანდია,*** *თამარი,* მოძღვრება ვადების (დროის) სამართლებრივი ბუნების შესახებ, სამართალი №4-5, 2003, გვ. 18-25.
ციტ.: *ზოიძე/ზარანდია,* მოძღვრება ვადების (დროის) სამართლებრივი ბუნების შესახებ, სამართლის ჟურნალი, 4-5, 2003, გვ.

ზოიძე, *ბესარიონი,* სამოქალაქო სამართლის რეფორმის ისტორიული ძირები საქართველოში, ჟურნალი „სამართალი“, 1996, № 5-6, გვ. 54-61.
ციტ.: *ზოიძე,* სამოქალაქო სამართლის რეფორმის ისტორიული ძირები საქართველოში, 1996, გვ.

ზოიძე, *ბესარიონი,* გარიგებანი საქართველოს მომავალ სამოქალაქო კოდექსში, სამართლის რეფორმა საქართველოში, 1994.
ციტ.: *ზოიძე,* გარიგებანი საქართველოს მომავალ სამოქალაქო კოდექსში, სამართლის რეფორმა საქართველოში, 1994, გვ.

ზოიძე, *თამარი,* წუნდებული პროდუქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურება (ქართული და გერმანული სამართლის შედარებითი ანალიზი), თბილისი, 2016.
ციტ.: *ზოიძე,* წუნდებული პროდუქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურება, 2016, გვ.

ზოიძე, *თამარი,* წუნდებული (უხარისხო) პროდუქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურება ქართულ სასამართლო პრაქტიკაში, სამართლის ჟურნალი, 2012, №1, გვ. 86-99.
ციტ.: *ზოიძე,* წუნდებული (უხარისხო) პროდუქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურება ქართულ სასამართლო პრაქტიკაში, სამართლის ჟურნალი, 1/2012, გვ.

თამარაშვილი, *მიქელი,* ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის ნამდვილის საბუთების შემოტანითა და განმარტებით XIII საუკუნიდგან ვიდრე XX საუკუნემდე, 1902 წლის რეპრინტ. გამოცემა, სიესტა, თბილისი, 2011.
ციტ.: *თამარაშვილი,* ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, 2011, გვ.

თორდია, *თეიმურაზი,* ფაქტისა და სამართლის საკითხის ურთიერთგამიჯვნა, მართლმსაჯულება და კანონი, 2010, №4(27), გვ. 14-20.
ციტ.: *თორდია,* ფაქტისა და სამართლის საკითხის ურთიერთგამიჯვნა, მართლმსაჯულება და კანონი, №4(27)10, გვ.

თუმანიშვილი, *გიორგი,* გარიგებები (სამართლებრივი ბუნება და ნორმატიული რეგულირება), თბილისი, 2012.
ციტ.: *თუმანიშვილი,* გარიგებები (სამართლებრივი ბუნება და ნორმატიული რეგულირება), 2012, გვ.

თუმანიშვილი, *გიორგი,* შესავალი საქართველოს კერძო სამართალში, I ნაწილი, სალექციო კურსი, თბილისი, 2010.
ციტ.: *თუმანიშვილი,* შესავალი საქართველოს კერძო სამართალში I, გვ.

იზორია, *ლევანი/* ***კორკელია,*** *კონსტანტინე/* ***კუბლაშვილი,*** *კონსტანტინე/* ***ხუბუა,*** *გიორგი* (რედ.), საქართველოს კონსტიტუციის კომენტარე-

ბი: ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2005.

ციტ.: ავტორი, *იზორია/კორკელია/კუბლაშვილი/ხუბუა* (რედ.), საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, 2005, მუხ. გვ.

იზორია, *ლევანი,* ადამიანის უფლებების შეზღუდვა და თანაზომიერების პრინციპი, კრებულში: კორკელია (რედ.) ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში, თბილისი, 2002.

ციტ.: *იზორია,* ადამიანის უფლებების შეზღუდვა და თანაზომიერების პრინციპი, ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში, 2002, გვ.

კარელიძე, *თამარი,* თვითრეგულირების ორგანოები რეგიონულ მაუწყებლებში, კრებულში: *მჭედლიშვილი/ჯორბენაძე* (რედ.), მედია, სამართალი და ეთიკა, სამეცნიერო სტუდენტური კონფერენციის ნაშრომები, თბილისი, 2015, გვ. 120-132.

ციტ.: *კარელიძე,* თვითრეგულირების ორგანოები რეგიონალურ მაუწყებლებში, მედია, სამართალი და ეთიკა, 2015, გვ.

კერესელიძე, *დავით,* კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2009.

ციტ.: *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, 2009, გვ.

კერესელიძე, *დავითი,* გამოხატვის თავისუფლება, ქართული სამართლის მიმოხილვა, 5/2002-4, გვ. 614-620.

ციტ.: *კერესელიძე,* გამოხატვის თავისუფლება, ქართული სამართლის მიმოხილვა, 5/2002-4, გვ.

კვანტალიანი, *ნუნუ,* პაციენტის უფლებები და ჯანმრთელობის დაცვის პერსონალის სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები, თბილისი, 2014.

ციტ.: *კვანტალიანი,* პაციენტის უფლებები და ჯანმრთელობის დაცვის პერსონალის სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები, გვ.

კიკილაშვილი, *გოგა,* იურიდიულ პირებს შორის ურთიერთობიდან წარმოშობილი არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების დროს ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობის და პასუხისმგებელი სუბიექტის განსაზღვრის პრობლემა, მართლმსაჯულება და კანონი, 2014, №4(43), გვ. 66-83.

ციტ.: *კიკილაშვილი,* იურიდიულ პირებს შორის ურთიერთობიდან წარმოშობილი არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების დროს ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობის და პასუხისმგებელი სუბიექტის განსაზღვრის პრობლემა, მართლმსაჯულება და კანონი №4(43)14, გვ.

კიკოშვილი, *სოფიო,* ნების ნაკლი ქართულ სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა 2008, გვ. 3-30.

ციტ.: *კიკოშვილი,* ნების ნაკლი ქართულ სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოცემა 2008, გვ.

კობახიძე, *ავთანდილი,* სამოქალაქო სამართალი I, ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2001.

ციტ.: *კობახიძე,* სამოქალაქო სამართალი I, ზოგადი ნაწილი, გვ.

კორკელია, *კონსტანტინე/**მჭედლიძე,** ნანა/**ნალბანდოვი,** ალექსანდრე,* საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მისი ოქმების სტანდარტებთან, თბილისი, 2005.

ციტ.: *კორკელია/მჭედლიძე/ნალბანდოვი,* საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და მისი ოქმების სტანდარტებთან, 2005, გვ.

კორკელია, *კონსტანტინე,* თავისუფალი მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევის უფლება საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ქართული სამართლის მიმოხილვა, 7/2004-4, გვ. 662-674.

ციტ.: *კორკელია,* თავისუფალი მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევის უფლება საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ქართული სამართლის მიმოხილვა, 7/2004-4, გვ.

კროპჰოლერი, *იანი,* გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, თორნიკე დარჯანიას და ზურაბ ჭეჭელაშვილის თარგმანი, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება, 2014.

ციტ.: *კროპჰოლერი,* გსკ-ის სასწავლო კომენტარი, თარგმანი, §, ველი.

კუბლაშვილი, *კონსტანტინე,* ძირითადი უფლებები, თბილისი, 2003.

ციტ.: *კუბლაშვილი,* ძირითადი უფლებები, 2003, გვ.

ლაზარაშვილი, *ლალი,* სასამსახურო ხელშეკრულება საწარმოს დირექტორთან. პარტნიორი და დირექტორი შიდასაზოგადოებრივ ურთიერთობებში, წიგნში: თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, თბილისი, 2009, გვ. 309-360.

ციტ.: *ლაზარაშვილი,* სასამსახურო ხელშეკრულება დირექტორთან. პარტნიორი და დირექტორი შიდასაზოგადოებრივ ურთიერთობაში, წიგნში: თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, 2009, გვ.

ლაზარაშვილი*, ლალი,* პარტნიორთა უფლებები და მოვალეობები სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში, ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, №3, 1997.

ციტ.: *ლაზარაშვილი,* პარტნიორთა უფლებები და მოვალეობები სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში, „ადამიანი და კონსტიტუცია“, №3, 1997, გვ.

ლეკვეიშვილი, *მზია/**თოდუა,** ნონა/**მამულაშვილი,** გოჩა,* სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, მეოთხე გამოცემა, 2011.

ციტ.: *ლეკვეიშვილი/თოდუა/მამულაშვილი,* სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, 2011, გვ.

ლილუაშვილი, *გია,* ამეწარმეთა რეგისტრაციის არსი და მიზნები, წიგნში: თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, თბილისი, 2009.

ციტ.: *ლილუაშვილი,* მეწარმეთა რეგისტრაციის არსი და მიზნები, 2009, გვ.

ლილუაშვილი, *თენგიზი/**ხრუსტალი,** ვალერი,* საქართველოს სამოქალაქო-საპროცესო კოდექსის კომენტარი, „სამართალი“, მე-2 გამოცემა, 2007.

ციტ.: *ლილუაშვილი/ხრუსტალი,* საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, 2007. მუხ. გვ.

ლილუაშვილი, *თენგიზი,* სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი, 2005.

ციტ.: *ლილუაშვილი,* სამოქალაქო-საპროცესო სამართალი, 2005, გვ.

ლილუაშვილი, *თენგიზი,* საერთაშორისო კერძო სამართალი, თბილისი, ჯისიაი, 2001.

ციტ.: *ლილუაშვილი,* საერთაშორისო კერძო სამართალი, გვ.

ლომიძე, *ვლადიმერი,* ხანდაზმულობა (ტერმინის საკითხისათვის), კრებულში: ფერაძე (რედ.), სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები, წიგნი 1, თბილისი, 2010.

ციტ.: *ლომიძე,* ხანდაზმულობა (ტერმინის საკითხისათვის), სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები, წიგნი I, 2010, გვ.

ლუთრინგჰაუსი, *პეტერი,* დელიქტური სამართლის პრობლემატიკა, წიგნში: შნიტგერი/ლუთრინგჰაუსი/შუშკე/ტოლკმიტი, მოკლე კონსპექტები, 2011, გვ. 14-37.

ციტ.: *ლუთრინგჰაუსი,* დელიქტური სამართალი, შნიტგერი/ლუთრინგჰაუსი/შუშკე/ტოლკმიტი, მოკლე კონსპექტები, 2011, გვ.

მახარობლიშვილი, *გიორგი,* შეტანაუნარიანი ობიექტების განსაზღვრის პოზიტიური და ნეგატიური შინაარსი, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, თბილისი, №1(32), 2012, გვ. 100-118.

ციტ.: *მახარობლიშვილი,* შეტანაუნარიანი ობიექტების განსაზღვრის პოზიტიური და ნეგატიური შინაარსი, 2012, გვ.

მახარობლიშვილი, *გიორგი,* მეწარმე სუბიექტთა დოგმატურ-თეორიული გამიჯვნა კაპიტალურ საზოგადოებათა საწყისებზე, სამართლის ჟურნალი, თბილისი, №2, 2011, გვ. 99-132.

ციტ.: *მახარობლიშვილი,* მეწარმე სუბიექტთა დოგმატურ-თეორიული გამიჯვნა, სამართლის ჟურნალი, 2/2011, გვ.

მეგენეიშვილი, *ნინო,* სახელმწიფოს პასუხისმგებლობის მოდელების ზოგადი მიმოხილვა, კრებულში: გიორგაძე (რედ.), ადმინისტრაციული სამართლის პრობლემები, თბილისი, 2013.

ციტ.: *მეგენეიშვილი,* სახელმწიფოს პასუხისმგებლობის მოდელების ზოგადი მიმოხილვა, ადმინისტრაციული სამართლის პრობლემები, გვ.

მესხიშვილი, *ქეთევანი,* ფარული ჩანაწერი როგორც მტკიცებულება სამოქალაქო სასამართლო სამართალწარმოების ფარგლებში, ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, IV გამოცემა, 2015, გვ. 71-79.

ციტ.: *მესხიშვილი,* ფარული ჩანაწერი როგორც მტკიცებულება სამოქალაქო სასამართლო სამართალწარმოების ფარგლებში, ქარ-

თული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა IV, 2015, გვ.

მონიავა, *პოლიკარპე (თემურ),* პირადი არაქონებრივი უფლებები, პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვის უფლება საზღვარგარეთის ქვეყნებში, თბილისი, 2004.

ციტ.: *მონიავა,* პირადი არაქონებრივი უფლებები, პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის დაცვის უფლება საზღვარგარეთის ქვეყნებში, გვ.

ნადარაია, *ლაშა/**როგავა**, ზვიადი/**რუხაძე,** კახა/**ბოლქვაძე,** ბონდო,* საქართველოს საგადასახადო კოდექსის კომენტარი, 2012.

ციტ.: *ავტორი,* ნადარაია/როგავა/რუხაძე/ბოლქვაძე, საქართველოს საგადასახადო კოდექსის კომენტარი, 2012, პარაგრაფი, ველი.

ნადარეიშვილი, *გიორგი,* რომის სამოქალაქო სამართალი, თბილისი, 2008.

ციტ.: *ნადარეიშვილი,* რომის სამოქალაქო სამართალი, 2008, გვ.

ნათაძე, *გიორგი,* საქართველოს ისტორიის მოკლე სოციოლოგიური მიმოხილვა, ტფილისის გამომცემლობა-მეცნიერება საქართველოში, ქუთაისი, 1925.

ციტ.: *ნათაძე,* საქართველოს ისტორიის მოკლე სოციოლოგიური მიმოხილვა, 1925, გვ.

ნაჭყებია, *ალეკო,* სამოქალაქოსამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში (2000-2013), ჩსძ, 2014.

ციტ.: *ნაჭყებია,* სამოქალაქოსამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში, 2014, გვ.

ნინიძე, *თევდორე,* სამოქალაქო კოდექსის პირველი მუხლის სტრუქტურა, „აკაკი ლაბარტყავა, 80 წელი, მამულიშვილი, პედაგოგი, მეცნიერი, თბილისი, „სამართალი", 2013, გვ. 151 და შემდგომნი.

ციტ.: *ნინიძე,* სამოქალაქო კოდექსის პირველი მუხლის სტრუქტურა, 2013, გვ.

ოსაკვე, *კრისტოფერი,* ანგლოამერიკულ სამართალში მორალური ზიანის ცნება, კლასიფიკაცია და ანაზღაურება, *თამარ შოთაძის* თარგმანი, თბილისი, 2015.

ციტ.: *ოსაკვე,* ანგლოამერიკულ სამართალში მორალური ზიანის ცნება, კლასიფიკაცია და ანაზღაურება, გვ.

ოხანაშვილი, *ანრი,* იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, სამართლის ჟურნალი, №2, 2009, გვ. 183-208.

ციტ.: *ოხანაშვილი,* იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, სამართლის ჟურნალი, 2/2009, გვ.

პოშერი, *რალფი,* ადამიანის ღირსება, როგორც ტაბუ, *მიხეილ ბიჭიას* თარგმანი, მართლმსაჯულება და კანონი, 2014, №2(41), გვ. 50-70, გვ. 66-68.

ციტ.: *პოშერი,* ადამიანის ღირსება, როგორც ტაბუ, მართლმსაჯულება და კანონი, №2(41)14, გვ.

როგავა, *რუსუდანი,* ხანდაზმულობის ვადის შემცირება მხარეთა შეთანხმებით გერმანიის სამოქალაქო სამართალში, სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, 2014, გვ. 116-121.

ციტ.: *როგავა,* ხანდაზმულობის ვადის შემცირება მხარეთა შეთანხმებით გერმანიის სამოქალაქო სამართალში, სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, 2014, გვ.

როგავა, *რუსუდან,* ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლები მზღვეველზე გადაცემის ფარგლები და მისი ხანდაზმულობა, სასამართლო გადაწყვეტილებების ანალიზი (საქმე №ას-581-549-2011), სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, 2013, გვ. 15-20.

ციტ.: *როგავა,* ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების მზღვეველზე გადაცემის ფარგლები და მისი ხანდაზმულობა სასამართლო გადაწყვეტილების ანალიზი (საქმე №ას-581-549-2011), სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, 2013, გვ.

რუსიაშვილი, *გიორგი/**ეგნატაშვილი,*** *დემეტრე,* კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, 2016.

ციტ.: *რუსიაშვილი/ეგნატაშვილი,* კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, 2016, გვ.

საჯაია, *ლიკა,* ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები (დის.), თსუ, 2014.

ციტ.: *საჯაია,* ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები (დის.), თსუ, 2014, გვ.

საჯაია, *ლიკა,* ავტოროობისა და სახელის უფლება – ქართული საავტორო სამართალი და თანამედროვე სამართლებრივი ტენდენციები, სამართლის ჟურნალი, თსუ, თბილისი, №1, 2013, გვ. 229-247.

ციტ.: *საჯაია,* ავტოროობისა და სახელის უფლება – ქართული საავტორო სამართალი და თანამედროვე სამართლებრივი ტენდენციები, სამართლის ჟურნალი,1/2013, გვ.

საჯაია, *ლიკა,* პრესა და მორალური ზიანი, ქართული სამართლის მიმოხილვა, 8/2005-1/2.

ციტ.: *საჯაია,* პრესა და მორალური ზიანი, სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა, ქართული სამართლის მიმოხილვა, 8/2005-1/2, გვ.

სვანაძე, *გიორგი,* საერთაშორის ბიზნეს-ხელშეკრულებების მოლაპარაკება და შედგენა საერთაშორისო ნასყიდობის სამართლის მაგალითზე, ბიზნეს-სამართლის მიმოხილვა, IV გამოცემა, 2015.

ციტ.: *სვანაძე,* საერთაშორის ბიზნეს-ხელშეკრულებების მოლაპარაკება და შედგენა საერთაშორისო ნასყიდობის სამართლის მაგალითზე, ბიზნეს-სამართლის მიმოხილვა, IV გამოცემა, 2015, გვ.

სიმონიშვილი, *ნიკოლოზი,* მტკიცების სტანდარტი პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვისა სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების კონკურენციისას, კრებულში: კვანტალიანი (რედ.), მტკიცებითი სამართლის აქტუალური საკითხები, თბილისი, 2016, გვ. 87-113.

ციტ.: *სიმონიშვილი,* მტკიცების სტანდარტი პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვისა და სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების კონკურენციისას, 2016, გვ.

სტურუა, *ნატა,* ქონებრივი ზიანის მომტანი ცნობების გახმაურება, სამართლის ჟურნალი, თბილისი, 2012, №1, გვ. 143-160.

ციტ.: *სტურუა,* ქონებრივი ზიანის მომტანი ცნობების გახმაურება,

სამართლის ჟურნალი, 1/2012, გვ.

სუხიტაშვილი, *დავითი,* სამართალი და დრო, თბილისი, 2004.

ციტ.: *სუხიტაშვილი,* სამართალი და დრო, 2004, გვ.

სუხიტაშვილი, *თეა,* სამოქალაქო პასუხისმგებლობის სუბიექტები, მართლმსაჯულება და კანონი, 2011, №2(29), გვ. 88-99.

ციტ.: *სუხიტაშვილი,* სამოქალაქო პასუხისმგებლობის სუბიექტები, მართლმსაჯულება და კანონი, №2(29)11, გვ.

ტურავა, *პაატა/**წკეპლაძე,*** *ნათია,* ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, 2013.

ციტ.: *ტურავა/წკეპლაძე,* ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, 2013, გვ.

ტულუში, *თეიმურაზი/**ბურჯანაძე,*** *გიორგი/**მშვენიერაძე,*** *გიორგი/**გოცირიძე,*** *გიორგი/**მენაბდე,*** *ვახუშტი,* ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, თბილისი, 2013.

ციტ.: *ტულუში/ბურჯანაძე/მშვენიერაძე/გოცირიძე/მენაბდე,* ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, გვ.

ფერაძე, *გრიგოლი,* ბერმონაზვნობის ისტორიისათვის საქართველოში ქართული ეკლესიის უძველესი ისტორია, თხზულებათა კრებული, ტომი I, (გამომც. დავით ყოლბაია), 2012.

ციტ.: *ფერაძე,* ბერმონაზვნობის ისტორიისათვის საქართველოში, 2012, გვ.

ქირია, *აკაკი,* საკორპორაციო სამართლის სისტემა საქართველოში, ბურდული (რედ.), საკორპორაციო სამართლის კრებული I, 2011.

ციტ.: *ქირია,* საკორპორაციო სამართლის სისტემა საქართველოში, 2011, გვ.

ქირია, *აკაკი,* იურიდიული პირის დაფუძნების თავისუფლება ევროპული სამართლის მიხედვით და გერმანიის საერთაშორისო საკორპორაციო სამართალი, სამართლის ჟურნალი, 1-2/2010, გვ. 139-163.

ციტ.: *ქირია,* იურიდიული პირის დაფუძნების თავისუფლება ევროპული სამართლის მიხედვით და გერმანიის საერთაშორისო საკორპორაციო სამართალი, სამართლის ჟურნალი, 1-2/2010, გვ.

ქოჩაშვილი, *ქეთევანი,* ბრალი, სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა, სამართლის ჟურნალი, 1/2009, 122.

ციტ.: *ქოჩაშვილი,* ბრალი, სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა, 2009, გვ.

ქურდაძე, *შალვა,* საექსპერტო შეფასება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 27 თებერვლის №2/2/558 გადაწყვეტილებაზე, ჟურნალი „ადვოკატი“, 2014, №3-4, გვ. 55-57.

ციტ.: *ქურდაძე,* საექსპერტო შეფასება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 27 თებერვლის №2/2/558 გადაწყვეტილებაზე, ადვოკატი, 3-4/2014, გვ.

ქურდაძე, *შალვა/**ხუნაშვილი,*** *ნინო,* საქართველოს სამოქალაქო საპროცესო

სამართალი, თბილისი, „მერიდიანი“, 2012.
ციტ.: *ქურდაძე/ხუნაშვილი,* საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, 2012, გვ.

შენგელია, *რომანი/**შენგელია,*** *ეკატერინე,* საოჯახო სამართალი, თბილისი, „მერიდიანი“, მე-2 გამოცემა, 2011 (პირველი გამოცემა, 2009).
ციტ.: *შენგელია/შენგელია,* საოჯახო სამართალი, 2011, გვ.

შენგელია, *რომანი,* საოჯახო სამართალი, თბილისი, „მერიდიანი“, 1999.
ციტ.: *შენგელია,* საოჯახო სამართალი, 1999, გვ.

შვაბე, *იურგენი,* გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, თბილისი, 2011.
ციტ.: *შვაბე,* გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, გვ.

ჩაჩავა, *სოფიო,* უკიდურესი აუცილებლობა – პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოება თუ მოთხოვნის დამაფუძნებელი სპეციალური შემადგენლობა, საიუბილეო კრებულში: *ჟანტურია/ბურდული* (რედ.), ბესარიონ ზოიძე 60, თბილისი, 2014.
ციტ.: *ჩაჩავა,* უკიდურესი აუცილებლობა – პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოება თუ მოთხოვნის დამაფუძნებელი სპეციალური შემადგენლობა, გვ.

ჩაჩავა, *სოფიო,* შრომის ხელშეკრულების ნებაზე დამოკიდებული და მხარეთა ნებისაგან დამოუკიდებელი შეწყვეტა – 2013 წლის 12 ივნისის ცვლილებებით დამკვიდრებული ახალი კლასიფიკაცია, კრებულში: ჩაჩავა (რედ.), შრომის სამართლის უახლესი ცვლილებების სამართლებრივი ასპექტები, თბილისი, 2014, გვ. 80-141.
ციტ.: *ჩაჩავა,* შრომის ხელშეკრულების ნებაზე დამოკიდებული და მხარეთა ნებისაგან დამოუკიდებელი შეწყვეტა – 2013 წლის 2 ივნისის ცვლილებებით დამკვიდრებული ახალი კლასიფიკაცია, გვ.

ჩაჩავა, *სოფიო,* ვადიანი და უვადო შრომითი ხელშეკრულებების მოშლის მიმართ მოქმედი კანონმდებლობის სამოსამართლეო სამართლით სრულყოფის რეკომენდაციები, კრებულში: შრომის სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2011.
ციტ.: *ჩაჩავა,* ვადიანი და უვადო შრომითი ხელშეკრულებების მოშლის მიმართ მოქმედი კანონმდებლობის სამოსამართლეო სამართლით სრულყოფის რეკომენდაციები, 2011, გვ.

ჩაჩავა, *სოფიო,* მოთხოვნებისა და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი, თსუ, 2010.
ციტ.: ჩაჩავა, მოთხოვნებისა და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში, დის., გვ.

ჩაჩანიძე, *ეთერი,* სამოქალაქო კაზუსების ამოხსნის მაგალითები, თბილისი, 2012.
ციტ.: *ჩაჩანიძე,* სამოქალაქო კაზუსების ამოხსნის მაგალითები, 2012, გვ.

ჩიკვაიძე, *დავითი,* მართლმადიდებლური საეკლესიო სამართალი, თბილისი, 2013.

ციტ.: *ჩიკვაიძე,* მართლმადიდებლური საეკლესიო სამართალი, 2013, გვ.

ჩიკვაშვილი, *შალვა,* მორალური ზიანის ანაზღაურება იურიდიული პირის არაქონებრივი უფლებების ხელყოფისას, სამართალი, 2004, №1-2.

ციტ.: *ჩიკვაშვილი,* მორალური ზიანის ანაზღაურება იურიდიული პირის არაქონებრივი უფლებების ხელყოფისთვის, სამართალი, №1-2/2004, გვ.

ჩიკვაშვილი, *შალვა,* პასუხისმგებლობა მორალური ზიანისათვის, თბილისი, 2003.

ციტ.: *ჩიკვაშვილი,* პასუხისმგებლობა მორალური ზიანისთვის, გვ.

ჩიკვაშვილი, *შალვა,* საოჯახო სამართალი, მეორე გამოცემა, თბილისი, „მერიდიანი“, 1999.

ციტ.: *ჩიკვაშვილი,* საოჯახო სამართალი, 1999, გვ.

ჩიტოშვილი, *თამარ,* უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების წარმოშობის ძირითადი სამართლებრივი ასპექტები, თბილისი, 2006.

ციტ.: *ჩიტოშვილი,* უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების წარმოშობის ძირითადი სამართლებრივი ასპექტები, 2006, გვ.

ცერცვაძე, *გიორგი,* საერთაშორისო არბიტრაჟი (შედარებითი ანალიზი), თბილისი, 2008.

ციტ.: *ცერცვაძე,* საერთაშორისო არბიტრაჟი, 2008, გვ.

ცვაიგერტი, *კონრადი/**კოტცი**, ჰაინი,* შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტომი II, 2001.

ციტ.: *ცვაიგერტი/კოტცი,* შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, II, 2001, გვ.

ძამუკაშვილი, *დავითი/**შენგელია,** რომანი/**გაბუნია,** დავითი/**ხრუსტალი,** ვალერი/**ჯორბენაძე,** სანდრო/**ჭანტურია***, ლადო,* საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საქართველოს კანონის კომენტარი, თბილისი, 2003.

ციტ.: *ავტორი,* ძამუკაშვილი/ჯორბენაძე/შენგელია/ხრუსტალი/გაბუნია, საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საქართველოს კანონის კომენტარი, 2003, მუხ. გვ.

ძლიერიშვილი, *ზურაბ/**ცერცვაძე,** გიორგი/**რობაქიძე,** ირაკლი/**სვანაძე,** გიორგი/**ცერცვაძე,** ლაშა/**ჯანაშია,** ლევანი,* სახელშეკრულებლო სამართალი, თბილისი, 2014.

ციტ.: *ავტორი,* წიგნში: ძლიერიშვილი/ცერცვაძე/რობაქიძე/სვანაძე/ცერცვაძე/ჯანაშია, სახელშეკრულებლო სამართალი, 2014, გვ.

ძლიერიშვილი, *ზურაბ,* ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, თბილისი, 2010.

ციტ.: *ძლიერიშვილი,* ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, 2010, გვ.

ძლიერიშვილი, *ზურაბ,* სამოქალაქო საპროცესო სამართლის ცალკეული საკითხები, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2007.

ციტ.: *ძლიერიშვილი,* სამოქალაქო საპროცესო სამართლის ცალკეული საკითხები, 2007, გვ.

ძლიერიშვილი, *ზურაბ,* უდავო წარმოების განსხვავება სასარჩელო წარმოებისაგან, საიუბილეო კრებულში: თენგიზ ლილუაშვილი 75, თბილისი, 2003.

ციტ.: *ძლიერიშვილი,* უდავო წარმოების განსხვავება სასარჩელო წარმოებისაგან, თენგიზ ლილუაშვილი 75, 2003, გვ.

ძლიერიშვილი, *ზურაბ,* ხანდაზმულობის ვადების გავლენა სარჩელზე, თბილისი, 1997.

ციტ.: *ძლიერიშვილი,* ხანდაზმულობის ვადების გავლენა სარჩელზე, 1997, გვ.

ჭანტურია, *ლადო,* კერძო მართლმსაჯულება – სახელმწიფო მართლმსაჯულების კონკურენტი თუ მისი რაციონალური დამატება, წიგნში: სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები. წიგნი II, ეძღვნება დავით ფურცელაძის 110 წლისთავს, თბილისი, „მერიდიანი“, 2012.

ციტ.: *ჭანტურია,* კერძო მართლმსაჯულება – სახელმწიფო მართლმსაჯულების კონკურენტი თუ მისი რაციონალური დამატება, დავით ფურცელაძე 110, საიუბილეო კრებული, სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები. 2012, გვ.

ჭანტურია, *ლადო,* კრედიტი უზრუნველყოფის სამართალი, თბილისი, 2012.

ციტ.: *ჭანტურია,* კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, 2012, გვ.

ჭანტურია, ლადო, სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011.

ციტ.: *ჭანტურია,* სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, 2011, გვ.

ჭანტურია, *ლადო,* საწესდებო ავტონომია საკორპორაციო სამართალში, კრებულში: ფერაძე (რედ.), სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები, წიგნი I, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2010.

ციტ.: *ჭანტურია,* საწესდებო ავტონომია საკორპორაციო სამართალში, 2010, გვ.

ჭანტურია, *ლადო,* საკორპორაციო სამართლის ევროპული დირექტივები, წიგნში: თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, თბილისი, 2009.

ციტ.: *ჭანტურია,* საკორპორაციო სამართლის ევროპული დირექტივები, 2009, გვ.

ჭანტურია, *ლადო,* კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი, 2006.

ციტ.: *ჭანტურია,* კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, 2006, გვ.

ჭანტურია, ლადო (მთ. რედ.) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I-V, თბილისი, 1999-2002.

ციტ.: *ავტორი,* სკ-ის კომენტარი, წიგნი, წელი, მუხ., გვ.

ჭანტურია, *ლადო/**ნინიძე,*** *თედო,* მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, მესამე გამოცემა, გამომცემლობა სამართალი, თბილისი, 2002.

ციტ.: *ჭანტურია/ნინიძე,* მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, 2002, გვ.

ჭანტურია, *ლადო,* შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბილისი, „სამართალი“, 1997.

ციტ.: *ჭანტურია,* შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, 1997, გვ.

ხეცურიანი, *ჯონი,* იურიდიული პირის საკანონმდებლო რეგულირების ძირითადი პრობლემები, სამართლის რეფორმა საქართველოში: 1994 წლის 23-25 მაისს თბილისში გამართული საერთ. კონფერენციის მასალები, ჯორბენაძე/კნიპერი/ჭანტურია (გამომც.), თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1994.

ციტ.: *ხეცურიანი,* იურიდიული პირის საკანონმდებლო რეგულირების ძირითადი პრობლემები, 1994, გვ.

ხუბაშვილი, *თამარი,* საფირმო სახელწოდების დაცვის მატერიალური და საპროცესო სამართლებრივი საშუალებები, „მართლმსაჯულება და კანონი“, №4(43)14, გვ. 160-178.

ციტ.: *ხუბაშვილი,* საფირმო სახელწოდების დაცვის მატერიალური და საპროცესო სამართლებრივი საშუალებები, მართლმსაჯულება და კანონი №4(43)14, გვ.

ჯავახიშვილი, *ივანე,* თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი 7, ქართული სამართლის ისტორია, თბილისი, 1984.

ციტ.: *ჯავახიშვილი,* თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. 7, 1984, გვ.

ჯავახიშვილი, *ივანე,* ქართული სამართლის ისტორია, ტომი II, ნაკვეთი II, (გამომც. ისიდორე დოლიძე), 1929.

ციტ.: *ჯავახიშვილი,* ქართული სამართლის ისტორია, ტომი II, ნაკვეთი II, 1929, გვ.

ჯორბენაძე, *სერგი/**ბახტაძე,*** *უშანგი/**მაჭარაძე,*** *ზურაბი,* მედიასამართალი, სახელმძღვანელო, თბილისი, 2014.

ციტ.: *ჯორბენაძე/ბახტაძე/მაჭარაძე,* მედიასამართალი, 2014, გვ.

ჯორბენაძე, *სერგი,* გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლება, როგორც დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობის წინაპირობა, საიუბილეო კრებულში: ზურაბ ახვლედიანი 80, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2014, გვ. 166-180.

ციტ.: *ჯორბენაძე,* გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლება, როგორც დემოკტარიული სახელმწიფოს არსებობის წინაპირობა, ზურაბ ახვლედიანი 80, გვ.

ჯორბენაძე, *სერგი,* რეკლამის განთავსება ტელემაუწყებელზე (საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით), დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2013.

ციტ.: *ჯორბენაძე,* რეკლამის განთავსება ტელემაუწყებელზე, გვ.

ჯორბენაძე, *სერგი,* საავტორო უფლებები ცხოვრებაში, მესამე გადამუშავებული გამოცემა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2013.

ციტ.: *ჯორბენაძე,* საავტორო უფლებები ცხოვრებაში, მესამე გამოცემა, 2013, გვ.

ჯორბენაძე, *სერგი,* ინფორმაციის თავისუფლება – გზამკვლევი, თბილისი, 2012.

ციტ.: *ჯორბენაძე,* ინფორმაციის თავისუფლება, 2012, გვ.

ჯორბენაძე, *სერგი,* საჯარო ინფორმაციის გაცემა საქართველოში, სამართლის ჟურნალი, თბილისი, 2012, №1, გვ. 184-195.

ციტ.: *ჯორბენაძე,* საჯარო ინფორმაციის გაცემა საქართველოში, სამართლის ჟურნალი, 1/2012, გვ.

ჯორბენაძე, *სერგი,* შეცდომა გარიგებაში, პარალელი სხვა სამართლებრივ ინსტიტუტებთან, სამართლის ჟურნალი, №2, 2011, გვ. 189-223.

ციტ.: *ჯორბენაძე,* შეცდომა გარიგებაში, პარალელი სხვა სამართლებრივ ინსტიტუტებთან, სამართლის ჟურნალი №1/2011, გვ.

ჯორბენაძე, *სერგი,* გარიგებაში დაშვებული შეცდომის სახეები საქართველოსა და გერმანიის სამოქალაქო კოდექსების მიხედვით, მართლმსაჯულება და კანონი, თბილისი, 2011, №4(31), გვ. 77-107.

ციტ.: *ჯორბენაძე,* გარიგებაში დაშვებული შეცდომის სახეები საქართველოსა და გერმანიის სამოქალაქო კოდექსების მიხედვით, მართლმსაჯულება და კანონი, თბილისი, 2011, 4(31), გვ.

ჯორბენაძე, სერგი, საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება, როგორც პირადი საიდუმლოების შემცველი მონაცემი (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 5 ივლისის №ბს-1278-1210(კ-08) განჩინების ანალიზი), სამართლის ჟურნალი, თბილისი, 2012, №2, გვ. 71-81.

ციტ.: *ჯორბენაძე,* საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება, როგორც პირადი საიდუმლოების შემცველი მონაცემი, სამართლის ჟურნალი, 2/2012, გვ.

ჯორბენაძე, *სერგო,* საქართველოს რესპუბლიკის მომავალი სამოქალაქო კოდექსის ძირითადი პრობლემები, წიგნში „სამართლის რეფორმა საქართველოში“, თსუ, თბილისი, 1994.

ციტ.: *ჯორბენაძე,* საქართველოს მომავალი სამოქალაქო კოდექსის ძირითადი პრობლემები, გვ.

Allen, *William T./***Kraakman,** *Reiner/***Subramanian,** *Guhan,* Commentaries and Cases on the Law of business Organization, 4th edition, Aspen Publishers, 2012.

ციტ.: *Allen/Kraakman/Subramanian,* Commentaries and Cases on the Law of business Organization, 2012, p.

Armour, *John/***Hansmann,** *Henry/***Kraakman,** *Reiner,* Agency Problems, Legal Strategies and Enforcement, Harvard Law School, Discussion Paper #o. 644, 7/2009.

ციტ.: *Armour/Hansmann/Kraakman*, Agency Problems and Legal Strategies, 2009, p.

Atkinson, *Rob,* Obedience as the Foundation of Fiduciary Duty, The Journal of Corporation Law, Vol. 34:1, 2008, pp. 43-97.

ციტ.: *Atkinson,* Obedience as the Foundation of Fiduciary Duty, 2008, p.

Bamberger, *Georg*/**Roth,** *Herbert* (Hrsg.), Beck'scher Online-Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch.

ციტ.: *ავტორი*, in Beck OK BGB, Edition (Auflage), §, Rn.

Bamberger, *Georg*/***Roth,*** *Herbert* (Hrsg.), Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch: BGB, Gesamtwerk in 3 Bänden.

ციტ.: *Bamberger/Roth ავტორი,* BGB, Aufl., §, Rn.

Bar, *Christian von*/***Zimmermann,*** *Reinhard,* Grundregeln des Europäischen Vertragsrechts, Teile I und II, Sellier, European Law Publishers, 2002.

ციტ.: *Bar/Zimmermann,* Grundregeln des Europäischen Vertragsrechts, Teile I und II, 2002, S.

Baudewin, *Christian,* Das Vereinsverbot, NVwZ, Heft 16, 2013, S. 1049-1054.

ციტ.: *Baudewin,* Das Vereinsverbot, NVwZ, Heft 16, 2013, S.

Baumbach, *Adolf* (Begr.)/***Hopt,*** *Klaus J.*, a Handelsgesetzbuch, mit GmbH & Co., Handelsklauseln, Bank- und Börsenrecht, Transportrecht (ohne Seerecht), 33. neubearb. und erweit. Auflage, C. H. Beck, München, 2008.

ციტ.: *ავტორი*, in Baumbach/Hopt, HGB, 33. Aufl., §, Rn.

Beckmann, *Roland Michael*/***Matusche-Beckmann,*** *Annemarie* (Hrsg.), Versicherungsrechts-Handbuch, 2. Aufl., 2009.

ციტ.: *ავტორი*, in Beckmann/Matusche-Beckmann, Versicherungsrechts-Handbuch, 2009, §, Rn.

Bölling, *Hein,* Recognition as an Unworthy Heir and the Deprivation of the Right to a Compulsory Portion according to the Civil Code of Georgia (and Some Comments on the Method of Interpretation of Law), in: Georgian Law Review 6/2003. pp. 517-525.

ციტ.: *Bölling,* Recognition as an Unworthy Heir and the Deprivation of the Right to a Compulsory Portion according to the Civil Code of Georgia, 2003, p.

Brandenburg, *Hans-Friedrich,* Die teleologische Reduktion: Grundlagen u. Erscheinungsformen d. auslegungsunterschreitenden Gesetzeseinschränkung im Privatrecht, 1983.

ციტ.: *Brandenburg,* die teleologische Reduktion, S.

Brox, *Hans*/***Walker,*** *Wolf-Dietrich,* Allgemeiner Teil des BGB, Vahlen, 31. Auflage, 2007.

ციტ.: *Brox/Walker,* BGB AT, 31. Aufl., 2007, S.

Bülow, *Peter,* Der erweiterte Eigentumsvorbehalt nach der Insolvenzrechtsreform, Der Betrieb (DB) Heft 43, 1999, S. 2196-2199.

ციტ.: *Bülow,* Der erweiterte Eigentumsvorbehalt nach der ინსოლვენზრეცჰტსრეფორმ, DB Heft 43, 1999, S.

Burduli, *Irakli,* Gesellschaftsrecht in Georgien und seine Entwicklungstendenzen, Kieler Ostrechts-#otizen, 16. Jahrgang 1/2013, S. 28-35.

ციტ.: *Burduli,* Gesellschaftsrecht in Georgien und seine Entwicklungstendenzen, 2013, S.

Carney, *William J.,* Mergers and Acquisitions: Cases and Materials, 2000.

ციტ.: *Carney,* Mergers and Acquisitions, 2007, p.

Chanturia, *Lado,* Die Europäisierung des georgischen Rechts _ bloßer Wunsch oder große Herausforderung? In Rabels Zeitschrift, Band 74, Heft 1, 2010, S.

154-181.

ციტ.: *Chanturia,* Die Europäisierung des georgischen Rechts, 2010, S.

Chanturia, *Lado,* The Development of Civil Law in Georgia, in Georgia in Transition King/Khubua (eds.), Frankfurt am Main, 2009, pp. 1-17.

ციტ.: *Chanturia,* The Development of Civil Law in Georgia, 2009, p.

Chanturia, *Lado,* Das neue Zivilgesetzbuch Georgiens:Verhältnis zum deutschen Bürgerlichen Gesetzbuch. In Aufbruch nach Europa. 75 Jahre Max-Planck-Institut für Privatrecht. (Hrsg.) Basedow, Jürgen/ Drobnig, Ulrich/ Ellger, Reinhard/ Hopt, Klaus J/ Kötz, Hein / Kulms, Rainer/ Mestmäcker, Ernst-Joachim. Mohr Siebeck. 2001. S. 893-904.

ციტ.: *Chanturia,* Das neue Zivilgesetzbuch Georgiens, Verhältnis zum deutschen Bürgerlichen Gesetzbuch, 2001, S.

Cox, *James*/***Hazen,*** *Thomas,* Treatise on the Law of Corporations, 3rd edition, Volume 1 (four volumes), Practitioner Treatise Series, Aspen Law & Business, 2010.

ციტ.: *Cox/Hazen,* The Law of Corporations, Vol. 1, 2010, p.

Davies, *Paul, I*ntroduction to Company Law, 2nd edition, OUP, Clarendon Law Series, 2010.

ციტ.: *Davies,* Introduction to Company Law, 2010, p.

Das, *Bhagaban*/***Debasish***, *Sathya Swaroop*/***Raskhit***, *Debdas,* Corporate Restructuring Merger Acquisition & Other Forms, Himalaya Pub. House, Mumbai, 2009.

ციტ.: *Das/Debasish/Raskhit,* Corporate Restructuring, 2009, p.

Deiser, *George F.,* The Juristic Person, University of Pennsylvania Law Review and American Law Register, Vol. 57, #o. 3, Volume 48 #ew Series. (Dec., 1908), pp. 131-142.

ციტ.: *Deiser,* The Juristic Person, 1908, p.

DePamphilis, *Donald,* Mergers, Acquisitions, and Other Corporate Restructuring Activities, 5th edition, Academic Press, 2010.

ციტ.: *DePamphilis,* Mergers, Acquisitions, and Other Corporate Restructuring Activities, 2010, p.

Dickinson, *Martin B.* (ed.), Federal Income Tax: Code and Regulations-Selected Sections, CCH, 2012-2013.

ციტ.: *Dickinson* (ed.), Federal Income Tax, 2012, p.

Dresenkamp, *Ulf,* „Das war's mit dem Smart", JA 2012, Heft 7, S. 527-534.

ციტ.: Dresenkamp, „Das war's mit dem Smart", JA 2012, S.

Ebenroth, *Carsten Thomas*/***Boujong,*** Karlheinz/***Joost,*** Detlev/S***trohn, Lutz,*** Handelsgesetzbuch, 2. Auflage, 2008.

ციტ.: *ავტორი*, Ebenroth/Boujong/Joost/Strohn, HGB, 2. Aufl., 2008, §, Rn.

Erman, *Walter* (Begr.), BGB, Handkommentar mit AGG, EGBGB (Auszug), ErbbauRG, HausratsVO, LPartG, ProdHaftG, UKlaG, VAHRG und WEG, 12. Auflage, Verlag Dr. Otto Schmidt Köln, 2008.

ციტ.: *ავტორი*, in Erman BGB, 12. Aufl., §, Rn.

Ferid, *Murad/***Sonnenberger,** Hans-Jürgen, Das französische Zivilrecht, Band 1/1, 2. Aufl., Verlagsgesellschaft Recht und Wirtschaft, 1994.
ციტ.: *Ferid/Sonnenberger,* Das französische Zivilrecht, Band 1/1, 2. Aufl., 1994, S.

Flume, *Werner,* Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, Band II, 3. Aufl., Springer Verlag, 1979.
ციტ.: *Flume,* Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, 3. Aufl., 1979, S.

French, *Derek/***Mayson,** *Stephen/***Ryan,** *Christopher,* Company Law, 26th edition, OUP Oxford, 2009-2010.
ციტ.: *French/Mayson/Ryan,* Company Law, 2010, p.

Gevurtz, *Franklin,* Corporation Law, 2nd edition, West Academic Publishing, 2010.
ციტ.: *Gevurtz,* Corporation Law, 2010, p.

Gilson, *Ronald J./***Black,** *Bernard S.,* The Law and Finance of Corporate Acquisitions, West Academic Publishing, 1986.
ციტ.: *Gilson/Black,* The Law and Finance of Corporate Acquisitions, 1995, p.

Grunewald, *Barbara,* Gesellschaftsrecht, Mohr Siebeck, 7. Vollst. Überarb. Aufl., Tübingen, 2008.
ციტ.: *Grunewald,* Gesellschaftsrecht, 7. Aufl., 2008, S.

Gurney, *Chrales* E., Behind the corporate screen, Peabody Law Review, Volume II, Number 4, 1938, pp. 7-13.
ციტ.: *Gurney,* Behind the corporate screen, Peabody Law Review, Vol. Volume II, Number 4, 1938, p.

Halibozek, *Edward/***Kovachich,** *Gerard L.,* Mergers and Acquisitions Security: Corporate Restructuring and Security Management, Butterworth-Heinemann, 2005.
ციტ.: *Halibozek/Kovachich,* Mergers and Acquisitions Security, 2005, p.

Hansmann, *Henry/***Kraakman,** *Reiner/***Squire,** *Richard,* Law and the Rise of the Firm, 119 Harvard Law Review, VoL 119, 2006, pp. 1336-1403.
ციტ.: *Hansmann/Kraakman/Squire,* Law and the Rise of the Firm, 2006, p.

Hansmann, *Henry,* The ownership of enterprise, Cambridge, MA: The Belknap Press of Harvard University Press, 1996.
ციტ.: *Hansmann,* The ownership of enterprise, 1996, p.

Hazen, *Thomas Lee/***Hazen**, *Lisa Love,* Punctilios and #onprofit Corporate Governance, A Comprehensive Look at Nonprofit Directors' Fiduciary Duties, University of Pennsylvania, Journal of Business Law, Vol.14:2, 2012.
ციტ.: *Hazen/Hazen,* Punctilios and Nonprofit Corporate Governance, Journal of Business Law, Vol.14:2, 2012, p.

Heck, *Philipp,* Problem der Rechtsgewinnung, Gehlen, 1968.
ციტ.: *Heck,* Problem der Rechtsgewinnung, S.

Heidel, *Thomas/***Hüßtege,** *Rainer/***Mansel**, *Heinz-Peter/***Noack,** *Ulrich* (Hrsg.), BGB, Allgemeiner Teil, EGBGB, Band 1, 2. Auflage, 2011.
ციტ.: *ავტორი*, in Heidel/Hüßtege/Mansel/#oack (Hrsg.), BGB, Allgemeiner Teil, EGBGB, Band 1, 2011, §, Rn.

Henssler, *Martin/**Strohn**, Lutz (*Hrsg.), Gesellschaftsrecht: GesellschaftsR; BGB, HGB, PartGG, GmbHG, AktG, GenG, UmwG, InsO, AnfG, IntGesR, 2. Auflage, 2014.

cit.: *ავტორი*, in Henssler/Strohn, Gesellschaftsrecht, 2. Aufl., 2014, §, Rn.

Honsell, *Heinrich/**Vogt,** Nedim Peter/**Wiegand,** Wolfgang,* Obligationenrecht I, Art. 1-529 OR, 3. Aufl., 2003.

ციტ.: *Honsell/Vogt/Wiegand,* Obliationenrecht I, Art. 1-529 OR, 3. Aufl. 2003, S.

Huber, *Peter,* Irrtumsanfechtung und Sachmängelhaftung: eine Studie zur Konkurrenzfrage vor dem Hintergrund der internationalen Vereinheitlichung des Vertragsrechts, 2001.

ციტ.: *Huber,* Irrtumsanfechtung und Sachmängelhaftung, S.

Hüffner, *Uwe,* Aktiengesetz, 10. Auflage, C.H. Beck, 2012.

ციტ.: *Hüffner, Aktiengesetz,* 10. Aufl., 2012, §, Rn.

Hurst, *Thomas R./**Gregory,** William A.,* Cases and Materials on Corporations, 1999.

ციტ.: *Hurst/Gregory,* Cases and Materials on Corporations, 1999, p.

Jauernig, *Othmar,* Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch, 13. Auflage, 2009.

ციტ.: Jauernig/*ავტორი*, BGB, §, Rn.

Jensen, *Michael C./**Meckling,** William H*., Theory of the Firm: Managerial Behavior, Agency Costs and Ownership Structure, Journal of Financial Economics, V. 3, No. 4, 1976.

ციტ.: *Jensen/Meckling,* Theory of the Firm, 1976, p.

Kereselidze, *David,* Der allgemeine Teil des Georgischen Zivilgesetzbuches von 1997. Eine rechtsvergleichende Untersuchung, Peter Lang Verlag, 2004.

ციტ.: *Kereselidze,* AT des ZGB, 2004, S.

Kindhäuser, *Urs,* Strafrecht Besonderer Teil I, 7. Auflage, 2015.

ციტ.: *Kindhäuser,* Strafrecht BT I, 7. Aufl., 2015, S.

Kleespies, *Mathias,* Die Domain als selbstständiger Vermögensgegenstand in der Einzelzwangsvollstreckung, GRUR, Heft 9, 2002, S. 764-775.

ციტ.: *Kleespies,* Die Domain als selbstständiger Vermögensgegenstand in der Einzelzwangsvollstreckung, GRUR, Heft 9, 2002, S.

Kleinberger, *Daniel S.,* Agency, Partnerships, and LLCs: Examples and Explanations, 2nd edition, 2002.

ციტ.: *Kleinberger,* Agency, Partnerships, and LLCs, 2002, p.

Knieper, *Rolf/**Chanturia,** Lado/**Schramm,** Hans-Joachim*, Das Privatrecht im Kaukasus und in Zentralasien, BWV, Berlin, 2010.

ციტ.: *Knieper/Chanturia/Schramm,* Das Privatrecht im Kaukasus und in Zentralasien, 2010, S.

Knieper, *Rolf,* Gesetz und Geschichte. ein Beitrag zu Bestand und Veränderung des Bürgerlichen Gesetzbuches, #omos, Baden-Baden, 1996.

ციტ.: *Knieper,* Gesetz und Geschichte, 1996, S.

Koessler, *Maximilian,* The Person in Imagination or Persona Ficta of the Corporation, 9 Louisiana Law Review, Volume 9, #umber 4, 1949, pp. 435-449.

ციტ.: *Koessler,* The Person in Imagination or Persona Ficta of the Corpo-

ration, 1949, p.

Köhler, *Helmut,* BGB Allgemeiner Teil, Ein Studienbuch, 36. neu bearb. Aufl., C. H. Beck, 2012.

ციტ.: *Köhler*, BGB Allgemeiner Teil, 36. Aufl., 2012, §, Rn.

König, *Detlef,* Ungerechtfertigte Bereicherung, in: Bundesminister der Justiz (Hrsg.), Gutachten und Vorschläge zur Überarbeitung des Schuldrechts, Bd. II, Köln, 1981, S. 1515-1590.

ციტ.: *König,* Gutachten und Vorschläge zur Überarbeitung des Schuldrechts II, 1981, S.

Kötz, *Hein/**Flessner,** Axel,* Europäisches Vertragsrecht, Bd.1, Abschluß, Gültigkeit und Inhalt des Vertrages. Die Beteiligung Dritter am Vertrag, Mohr Siebeck, 1996.

ციტ.: *Kötz/Flessner,* Europäisches Vertragsrecht, Bd.1, 1996, S.

Koziol, *Helmut/**Bydlinski**, Peter/**Bollenberger,** Raimund,* Kurzkommentar zum AGBG, 2. Aufl. Springer London, Limited, 2007.

ციტ.: *Koziol/Bydlinski/Bollenberger,* Kurzkommentar zum AGBG, , 2. Aufl., 2007, §, Rn.

Krafka, *Alexander/**Kühn,** Ulrich,* Registerrecht, 9. Auflage, C.H. Beck, 2013.

ციტ.: *Krafka/Kühn,* Registerrecht, 9. Aufl., 2013, S.

Kuney, *George W.,* Mastering Bankruptcy, Carolina Academic Press, 2008.

ციტ.: *Kuney,* Mastering Bankruptcy, 2008, p.

Küpper, *Georg,* Strafrecht Besonderer Teil 1, 3. Auflage, 2007.

ციტ.: *Küpper,* Strafrecht Besonderer Teil 1, 3. Aufl., 2007, S.

Kupraschwili, *Teimuras,* Schweigen beim Vertragsabschluss. Eine rechtsvergleichende Untersuchung unter Berücksichtigung von Deutschland und Georgien. WVB. Berlin. 2006.

ციტ.: *Kupraschwili,* Schweigen beim Vertragsabschluss, 2006, S.

Larenz, *Karl* (Begr.)/**Wolf,** *Manfred* (Fortgef.), Allgemeiner Teil des bürgerlichen Rechts, 9. Aufl., München, 2004.

ციტ.: *Larenz/Wolf,* AT des bürg. Rechts, 2004, §, Rn.

LoPucki, *Lynn/**Mirick,** Mr. Christopher,* Strategies for Creditors in Bankruptcy Proceedings, 5th edition, Aspen Publishers, 2007.

ციტ.: *LoPucki/Mirick,* Strategies for Creditors in Bankruptcy Proceedings, 2007, p.

Lüke, *Wolfgang,* Zivilprozessrecht: Erkenntnisverfahren, Zwangsvollstreckung. 9. Aufl. Beck, München, 2006.

ციტ.: *Lüke,* Zivilprozessrecht, 9. Aufl., 2006, Rn.

Lutter, *Marcus/*Welp, *Marcus,* Das neue Firmenrecht der Kapitalgesellschaften, ZIP, 1999, S. 1073-1083.

ციტ.: *Lutter/**Welp,*** Das neue Firmenrecht der Kapital-gesellschaften, ZIP, 1999, S.

Medicus, *Dieter,* Allgemeiner Teil des BGB, 10. Aufl., Heidelberg, Müller, 2006.

ციტ.: *Medicus,* BGB AT, 10. Aufl., §, Rn.

Medicus, *Dieter,* Bürgerliches Recht: eine nach Anspruchsgrundlagen geordnete

Darstellung zur Examensvorbereitung, 19. Aufl., München 2002.
იტ.: *Medicus,* Bürgerliches Recht, 19. Aufl., S./Rn.

Merkt, *Hanno*/***Göthel,*** *Stephan* R., US-amerikanisches Gesellschaftsrecht, 2. Auflage, 2006.
იტ.: *Merkt/Göthel,* US-amerikanisches Gesellschaftsrecht, 2. Aufl., S.

Merrill, *Thomas W.*/***Smith,*** *Henry E.*, Optimal Standardization in the Law of Property: The Numerus Clausus Principle, The Yale Law Journal, Vol. 110, 2000, pp. 58-70.
იტ.: *Merrill/Smith,* Optimal Standardization in the Law of Property, The Yale Law Journal, Vol. 110, 2000, p.

Mitsch, *Wolfgang,* Strafrecht, Besonderer Teil 2, 2. Auflage, 2003.
იტ.: *Mitsch,* Strafrecht, Besonderer Teil 2, 2. Aufl., 2003, S.

Muth, *Iris,* Neues Recht zwischen Tradition und Systemwechsel: Beratung des georgischen Arbeitsrechts in der Praxis, Nomos, 2004.
იტ.: *Muth,* Neues Recht zwischen Tradition und Systemwechsel: Beratung des georgischen Arbeitsrechts in der Praxis, 2004, S.

Oertmann, *Paul,* Die Geschäftsgrundlage: Ein neuer Rechtsbegriff, 1921.
იტ.: *Oertmann,* Die Geschäftsgrundlage, ein neuer Rechtsbegriff, 1921, S.

Oetker, *Hartmut* (Hrsg.), Kommentar zum Handelsgesetzbuch, 3. Auflage, 2013.
იტ.: *ავტორი*, in Oetker HGB, 3. Aufl., §, Rn.

Palandt, *Otto* (Begr.)/***Bassenge,*** *Peter,* Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch: mit Nebengesetzen, München, Beck.
იტ.: *ავტორი*, in Palandt BGB Komm, Aufl., §, Rn.

Palmiter, *Alan R.,* Corporations: Examples and Explanations, 5th edition, Aspen Publishers, 2006.
იტ.: *Palmiter,* Corporations, 2006, p.

Petersen, *Jens,* Doppelwirkungen im Recht, Jura 2008, S. 673-676.
იტ.: *Petersen,* Doppelwirkungen im Recht, Jura 2007, S.

Pinto, *Artur R./***Branson,** *Douglas M.,* Understanding Corporate Law, 3rd edition, 2009.
იტ.: *Pinto/Branson,* Understanding Corporate Law, 2009, p.

Posner, *Richard A.,* Economic Analysis of Law, 7. Aufl., Wolters Kluwer Law & Business, 2007.
იტ.: *Posner,* Economic Analysis of Law, 2007, p.

Raiser, *Thomas*/***Veil,*** *Rüdiger,* Recht der Kapitalgesellschaften, 5. neubearb., erweit. Aufl., Franz Vahlen, 2010.
იტ.: *Raiser/Veil,* Recht der Kapitalgesellschaften, 5. Aufl., 2010, S.

Ratner, *Steven R.,* Corporations and Human Rights: A Theory of Legal Responsibility, 111 Yale Law Journal, 2001, pp. 443-546.
იტ.: *Ratner,* Corporations and Human Rights, 111 Yale Law Journal, 2001, p.

Ravenscraft, *David J.*/***Scherer,*** *Frederic M.,* Mergers, Sell-offs, & Economic Efficiency, Brookings Institution 1987.
იტ.: *Ravenscraft/Scherer,* Mergers, Sell-offs, & Economic Efficiency, 1987, p.

Rehme, *Paul,* Geschichte des Handelsrechts, in: V. Ehrenberg (Hrsg.) Handbuch des gesamten Handelrechts, Band I, Leipzig, 1913, S. 28-237.
ციტ.: *Rehme,* Geschichte des Handelsrechts, 1913, S.

Richards, *Paul,* Law of contract, Longman, 2002.
ციტ.: *Richards,* Law of contract, Longman, 2002, p.

Rifai, *Nabiel,* Anspruch eines Beamten auf die Anrede mit akademischem Grad, NVwZ, Heft 13, 2009, S. 816-819.
ციტ.: *Rifai,* Anspruch eines Beamten auf die Anrede mit akademischem Grad, NVwZ, Heft 13, 2009, S.

Ring, *Gerhard (Hrsg.)*, Anwaltkommentar BGB, AT mit EGBGB, Band 1, 2005.
ციტ.: *ავტორი*, Anwaltkommentar zum BGB AT, 2005, §, Rn.

Rosin, *Gary S./**Closen,*** *Michael L.,* Agency, Partnership, and Limited Liability Companies: Cases and Materials, Carolina Academic Press, 2000.
ციტ.: *Rosin/Closen,* Agency, Partnership, and Limited Liability Companies, 2000, p.

Rüthers, *Bernd,* Rechtstheorie, 4. Aufl. C.H Beck, München, 2008.
ციტ.: *Rüthers,* Rechtstheorie, 4. Aufl. 2008, S.

Rüthers, *Bernd/**Stadler,*** *Astrid,* Allgemeiner Teil des BGB, 16. überarb. Auflage, C.H. Beck, 2009.
ციტ.: *Rüthers/Stadler*, Allgemeiner Teil des BGB, 16. Aufl., §, Rn.

Säcker, *Franz Jürgen*/***Rixecker,*** *Roland/**Oetker,*** *Hartmut*/***Limperg,*** Bettina (Hrsg.), Münchener Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch.
ციტ.: MüKo/*ავტორი*, BGB, Aufl., Jahr, §, Rn.

Saenger, *Ingo* (Hrsg.), Zivilprozessordnung, Handkommentar, 5. Auflage, #omos Verlag, 2013.
ციტ.: *ავტორი*, in Saenger, Zivilprozessordnung, 5. Aufl., 2013, §, Rn.

Saenger, *Ingo,* Gesellschaftsrcht, 2010.
ციტ.: *Saenger,* Gesellschaftsrcht, 2010, §, Rn.

Sauter, *Eugen*/***Schweyer,*** *Gerhard/**Waldner,*** W*olfram* (Hrsg.), Der eingetragene Verein, Gemeinverständliche Erläuterung des Vereinsrechts unter Berücksichtigung neuester Rechtssprechung mit Formularteil, München, 19 Auflage, 2010.
ციტ.: *ავტორი*, in Sauter/Schweyer/Waldner (Hrgs.), Der eingetragene Verein, 19. Aufl., 2010, S/Rn.

Schack, *Haimo,* BGB _ Allgemeiner Teil, 12. Auflage, C.F. Müller, Heidelberg, 2008.
ციტ.: *Schack,* BGB AT, 12. Aufl., 2008, §, Rn.

Schelhammer, *Kurt,* Schuldrecht nach Anspruchsgrundlagen samt BGB Allgemeiner Teil, 7. Aufl. C.F. Müller, Heidelberg, 2008.
ციტ.: *Schelhammer,* Schuldrecht nach Anspruchsgrundlagen samt BGB Allgemeiner Teil, 7. Aufl., 2008, S.

Schlechtriem, *Peter*/***Schwenzer,*** *Ingeborg* (ed.), Commentary on the U# Convention on the International Sale of Goods (CISG), 3rd ed., Oxford, 2010.
ციტ.: *Schlechtriem/Schwenzer,* Commentary on CISG, 3rd ed., 2010, Art., p.

Schlicht, *Jane C.,* Piercing the Nonprofit Corporate Veil, Marquette Law Review, Vol. 66, Issue 1, Art. 3, 1982, pp. 134-159.
ციტ.: *Schlicht,* Piercing the Nonprofit Corporate Veil, Marquette Law Review, Vol. 66, Issue 1, Art. 3, 1982, p.

Schmidt, *Karsten* (Hrsg.), Münchener Kommentar zum Handelsgesetzbuch.
ციტ.: MüKo/*ავტორი*, HGB, Aufl., Jahr, §, Rn.

Schneeman, *Angela,* Law of Corporations and Other Business Organization, 2008.
ციტ.: *Schneeman,* Law of Corporations and Other Business Organization, 2008, p.

Schneider, *K.,* Ueber richterliche Ermittlung und Feststellung des Sachverhalts im Civilprozesse, Eine Studie zur Reichtscivilprozessordnung, Duncker & Humboldt, 1888.
ციტ.: *Schneider,* Ueber richterliche Ermittlung und Feststellung des Sachverhalts im Civilprozesse, 1888, S.

Schnitzer, *Adolf F.,* Vergleichende Rechtslehre, Bd. II, 2. Aufl. 1961.
ციტ.: *Schnitzer,* Vergleichende Rechtslehre, Bd. II, 1961, S.

Schubert, *Werner,* Unredliches Verhalten Dritter bei Vertragsabschluß, Archiv für die civilistische Praxis, Band 168, 1968, S. 470-512.
ციტ.: *Schubert,* Unredliches Verhalten Dritter bei Vertragsabschluß, AcP 168, 1968, S.

Schulze, *Reiner*/***Dörner,*** *Heinrich*/***Ebert,*** Ina u. a., BGB, Handkommentar.
ციტ.: *ავტორი*, in Schulze BGB-HK, Aufl., §, Rn.

Semler, *Johannes*/***Stengel,*** *Arndt* (Hrsg.), Umwandlungsgesetz, mit Spruchverfahrensgesetz, 3. Auflage, C.H. Beck, 2012.
ციტ.: *ავტორი*, in Semler/Stengel (Hrsg.), UmwG, 3. Aufl., 2012, §, Rn.

Staudinger, *Julius von* (Begr.), Kommentar zum Bürgerlichen Gesetzbuch.
ციტ.: *ავტორი*, in Staudinger BGB, Jahr, Aufl., §. Rn.

Strine, *Jr. Leo E./****Hamermesh,*** *Lawrence, A./****Balotti,*** *Franklin R./****Gorris****, Jeffrey M.,* Loyalty's Core Demand: The Defining Role of Good Faith in Corporation Law, The Georgetown Law Journal, Vol. 98:629, 2010, pp. 631-696.
cit.: *Strine/Hamermesh/Balotti/Gorris,* Loyalty's Core Demand, Georgetown Law Journal, Vol. 98:629, 2010, p.

Stürmer, *Klaus,* Bewerbung und Schwangerschaft - Die Entscheidung des EuGH in der Rechtssache „Mahlburg", #ZA 2001, Heft 10, S. 527-530.
ციტ.: *Stürmer,* Bewerbung und Schwangerschaft - Die Entscheidung des EuGH in der Rechtssache „Mahlburg", #ZA 2001, S.

Süß, *Thorsten,* Geld oder Leben! Zum Verhältnis von Auslegung, Anfechtung und Mentalreservation, Jura 2011, S. 735-740.
ციტ.: *Süß,* Geld oder Leben, Jura 2011, S.

Svanadze, *Giorgi,* Grundlagen des deutsch-georgischen Anerkennungsrechts, Eine rechtsvergleichende Analyse, 2014.
ციტ.: *Svanadze,* Grundlagen des deutsch-georgischen Anerkennungsrechts, Eine rechtsvergleichende Analyse, 2014, S.

Swartz, *Matt/****Lee,*** *Daniel,* The corporate, securities, and M&A lawyer's job: a surviv-

al guide, 2007.

ციტ.: *Swartz/Lee,* The Corporate, Securities and M&A lawyer's job, 2007, p.

Tabb, *Charles J.,* Bankruptcy Anthology, Anderson Publishing, 2002.

ციტ.: *Tabb,* Bankruptcy Anthology, 2002, p.

Teubner, *Gunther,* Enterprise Corporatism: #ew Industrial Policy and the "Essence" of the Legal Person, American Journal of Comparative Law, 1988, 36 1, pp. 130-155.

ციტ.: *Teubner,* Enterprise Corporatism, 1988, p.

Thompson, *Jr. Samuel C.,* Business Planning for Mergers and Acquisitions. Corporate, Securities, Tax, Antitrust, International and related Aspects, 2nd edition, Carolina Academic Press, 2001.

ციტ.: *Thompson,* Business Planning for Mergers and Acquisitions, 2001, p.

Tiedtke, *Klaus*/***Schmitt,*** *Marco,* Die Falschlieferung durch den Verkäufer, JZ 2004, 1092.

ციტ.: *Tiedtke/Schmitt,* JZ 04, 1092.

Triebel, *Volker*/***Hodgson,*** *Stephen*/***Kellenter,*** *Wolfgang*/***Müller,*** *Georg,* Englisches Handels- und Wirtschaftsrecht, 2. Auflage, 1995.

ციტ.: *Triebel/Hodgson/Kellenter/Müller,* Englisches Handels- und Wirtschaftsrecht. 2. Aufl., 1995, S.

Tuhr, A*ndreas von,* Der Notstand des Zivilrechts, Habilitationsschrift, 1888.

ციტ.: *Tuhr,* Der Notstand des Zivilrechts, 1888, S.

Tuhr, *Andreas von*, Der Allgemeine Teil des Deutschen Bürgerlichen Rechts, Bd. 2/1, Duncker & Humblot, 1957.

ციტ.: *Tuhr,* Der AT des deutschen bürg. Rechts, 1957, Bd. 2/1, S.

Vashakidze, *George,* Das Internationale Privatrecht von Georgien, Mohr Siebeck, 2014.

ციტ.: *Vashakidze,* Das Internationale Privatrecht von Georgien, 2014, S.

Vashakidze, *George,* Kodifikation des Internationalen Privatrechts in Georgian in: Transformation durch Rezeption?: Möglichkeiten und Grenzen des Rechtstransfers am Beispiel der Zivilrechtsreformen im Kaukasus und in Zentralasien, Eugenia Kurzynsky-Singer (Hrsg), 2014.

ციტ.: *Vashakidze,* Kodifikation des Internationalen Privatrechts in Georgian, in: Transformation durch Rezeption?, 2014, S.

Wessels, Johannes/***Hillenkamp,*** *Thomas,* Strafrecht Besonderer Teil 2, Straftaten gegen Vermögenswerte, 35. Auflage, 2012.

ციტ.: *Wessels/Hillenkamp,* Strafrecht Besonderer Teil II, 35. Aufl., 2012, Rn.

Wharton, *John,* The Law Lexicon or Dictionary of Jurisprudence, Explaining the Technical Words and Phrases Employed in the Several Departments of English Law, Stevens & Sons, 1867.

ციტ.: *Wharton,* Dictionary of Jurisprudence, 1867, p.

Windbichler, *Christine,* Gesellschaftsrecht, Ein Studienbuch, 23. Auflage, C.H. Beck, 2013.

ციტ.: *Windbichler,* Gesellschaftsrecht, 23. Aufl., 2013, §, Rn.

***Wolf,** Manfred/**Neuner,** Jörg,* Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, 10. Auflage, 2012.

ციტ.: *Wolf/Neuner,* AT des bürgerlichen Rechts, 10. Aufl. S. Rn.

***Wüstenberg,** Dirk,* Das Namensrecht der Domainnamen, GRUR, Heft 2, 2003, S. 109-114.

ციტ.: *Wüstenberg,* Das Namensrecht der Domainnamen, GRUR, Heft 2, 2003.

***Zweigert,** Konrad/Kötz,* Hein, Einführung in die Rechtsvergleichung auf dem Gebiete des Privatrechts, 3. Auflage, 1996.

ციტ.: *Zweigert/Kötz,* Einführung in die Rechtsvergleichung auf dem Gebiete des Privatrechts, 3. Aufl., 1996, S.

***Гарридо,** Мануель Хесус Гарсия,* Римское частное право: Казусы, иски, институты/Перевод с испанского, Москва, статут, 2005.

ციტ.: *Гарридо,* Римское частное право, 2005, С.

***Чантурия,** Ладо*, Итоги и перспективы реформы частного права в Грузии. Пути к новому праву. Материалы международных конференций в Санкт-Петербурге и Бремене. Берлин, 1998. С. 35-47.

ციტ.: *Чантурия,* Итоги и перспективы реформы частного права в Грузии. Пути к новому праву, 1998. С.

***Чантурия,** Ладо,* Предотвращение законотворческого хаоса - важная задача правовой реформы. Материалы международных конференций в Санкт-Петербурге и Бремене. Берлин, 1998. С. 157-158.

ციტ.: *Чантурия,* Предотвращение законотворческого хаоса - важная задача правовой реформы. 1998. С.

***Шапп,** Ян,* Система Германского права, учебник/Пер. с немецкого. С.В. Королева, М. «Международные отношения», 2006.

ციტ.: *Шапп*, Система Германского права, 2006, С.

დაიბეჭდა:
გამომცემლობა „მერიდიანი“,
თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ., №47.
☎ 239-15-22
E-mail: meridiani777@gmail.com